

K/123  
K 3

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



წიგნი  
საბავშვო





# К Н И Г А М Е Д И Ц И Н С К А Я



**ЛАДО КОТЕГИШВИЛИ**

**Медицина в древней Грузии  
XIII век.**

Госиздат Грузии



# LIBER UNIVERSALIS DE MEDICINA



**LADO KOTETISCHVILI**

**La médecine dans la Géorgie Ancienne  
XIII siècle**

Tiflis Sachelgami  
1936

036

61(24)  
379  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
ბიბ

ტფ საზბ. ჯან-ბანის და ჯან-სახ. კომ-ის საინტ-ჰობ. ინ-ტი. — ხალხური მემკვიდრის კავშირები

✓ 6/5-89/4  
3791

# „წიგნი სააქიოღ“



ლადო კოტეხიშვილი

მედიცინა ქველ საქართველოში

XIII საუკუნე



123  
K  
+ 16815  
+ 16815

საქალმწიფო  
ბაზოქმედიცინა

ტფილისი  
1936

სამეცნიერო  
სემბოლო

ყვ

### წინასიტყვაობა

დღემდე თითქმის არაფერი ვიცით არც ქართული წერილობითი მედიცინის და არც ხალხური მედიცინის შესახებ.

დღემდე არავის უზრუნვია ქართული სამკურნალო ძეგლების შესწავლაზე და მათ გამოცემაზე.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არც ერთი ძველი საექიმო წიგნი ან კარაბადინი ჯერ არ დაბეჭდილა საქართველოში.

გამოცემულია მხოლოდ ორი საექიმო—ფილოსოფიური ხელთნაწერი 1. შატბერდის სამეცნიერო ქრესტომათიიდან ამოღებული „სამკურნალო ტრაქტატი“ შედგენილი იოვანე ბერაის მიერ IX—X საუკუნეში; „კაცისა შესაქმე“ რომელიც გამოცემულია მოსე ჯანაშვილის მიერ 1891 წ.

2. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც თარგმნილია ბერძნულიდან XII საუკუნეში სახელგანთქმული ქართველი ნეოპლატონიკის იოანე პეტრიწის ანუ პეტრიწონელის მიერ. ეს ძეგლი გამოცემულია სერგო გორგაძის მიერ 1914 წელს.

მაგრამ ამ უკვე გამოცემულ საექიმო-ფილოსოფიური ძეგლების არსებობა თითქმის არავინ იცის, ფილოლოგ-სპეციალისტების გარდა. და ეს იმიტომ, რომ ორივე ეს საექიმო ძეგლი განხილულია არა როგორც თავის დროისთვის სახელგანთქმული საექიმო ფილოსოფიური ტრაქტატები, არამედ როგორც ისტორიულ-ლინგვისტური ძეგლები. რასაკვირველია, ამ მხრივ განხილვა და შესწავლა აუცილებელიც არის და მნიშვნელოვანიც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ მეცნიერების თვალსაზრისით განხილვა, რომელსაც ეს ძეგლები ეკუთვნიან. სამწუხაროდ, სწორედ ამ მხრივ განხილვისათვის დღემდე არც ერთი მკვლევარი არ გამოსულა სწავლულ ექიმთა წრიდან.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ მედიცინას—არც ის არის შეგროვილი, სათანადოდ შესწავლილი და დადგენილი.

თუ რამე მაინც მოგვეპოება ამ დარგში, ყველაფერი ნაწყვეტების სახით გაბნეულია ძველ ქურნალ-გაზეთებში, ხელნაწერების სახით მუზეუმებში, უკომენტაროდ, სათანადო შესწავლის გარეშე—და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ აქაც სამკურნალო საშუალებათა და წესთა შემკრები ხალხი ზოგი ფოლკლორისტია, ზოგი ეთნოგრაფი, არქეოლოგი, ისტორიკოსი და სხვ. ექიმი კი ჯერ არა სჩანს.

ამ უცნაური გაუფერობის შედეგი ის არის, რომ ამ საკმაოდ დიდი მასალის მნიშვნელობა და აზრი ჩვენ არ ვიცით, არ ვიცით მათი შინაარსი, სადაურობა, უამისოდ კი შეგროვილი მასალა მკვდარია, გამოუსადეგარი. ამრავად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცით ქართული ხალხური მედიცინის შესახებ.

რასაკვირველია, ყველაფერ ამას თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა. ცნობილია, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის შემოსვლის პირველ დღიდანვე დაიწყო ქართული მედიცინის დევნა ისევე, როგორც ყველაფერი ქართულისა, რომ თვითმპყრობელობის უბეში ძალა

სკდილობდა „ჩინონიკებად“ გადაექცია ქართველი ექიმები, დაეშორებინა ისინი ქართული მედიცინის სათავეებისთვის.

ამ პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ ქართული საექიმო წიგნები, ქართული ქარაზა დინები და საერთოდ ქართული სამკურნალო ხელოვნება დაცინვის და მასხარად აგდების საგნად გახდა.

ამ გარემოებამ ჩაქალა, ქართული მედიცინის საიმაყო ტრადიციების ფეხზე დაყენების და გაგრძელების ყოველგვარი სურვილი. ველურობის საშიში ნიშანი დასდევს ამ საქმეს და ქართველი ექიმებიც, პირადი პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით, ერიდებოდნენ მას, როგორც ავი სენით შეპყრობილ სნეულს.

ამის შედეგი ის იყო, რომ თითქმის ასოცი წლის განმავლობაში არაფერი არ თქმულა ქართული მედიცინის შესახებ. ასე რომ 1800 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ისეთი სიჩუმე არსებობდა ამ საკითხის ირგვლივ, რომ მართლაც არაჩვეულებრივი ისტორიული მოვლენა იყო საჭირო, რომ ეს სიჩუმე სამუდამოდ დარღვეულიყო, რომ ძირფესვიანად ამოეგლიჯა თვითმპყრობელობა ჩვენში და რუსეთში, და ფართო გასაქანი მიეცა ხალხური შედეგების გამოჩვენებისა და შეცნობების ყველა დარგის აყვავებისათვის. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ ეს საკითხი დადებითად გადაქრა. დღეს სულ სხვანაირად არის შეფასებული ხალხური შემოქმედება და ეროვნული კულტურული წარსული. დღეს მოცემულია რეალური შესაძლებლობა ამ კულტურის გამოძეგნებისა, შესწავლისა და აყვავებისა.

მაშასადამე, ქართული წერილობითი მედიცინის და ხალხური მედიცინის შესწავლა და გამოძეგნებაც დღეს უნდა მოხდეს.

წინამდებარე წიგნის გამოცემა ერთგვარი ცდა არის ამ სასარგებლო და მეტად საჭირო საქმის დაწყებისა. როგორც პირველი ცდა, წინამდებარე წიგნს არ შეიძლება ნაკლი არ ჰქონდეს, მაგრამ ეს გარემოება არ გვაშინებს—ნაკლის შევსება, შეკლომის გასწორება ყოველთვის შეიძლება. მთავარია საქმის დაწყება.

ჩვენ განზრახული გვაქვს საქართველოს სამედიცინო წერილობითი ძეგლების შესწავლა და გამოცემა ციკლად „მედიცინა ძველ საქართველოში“. წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ამ ციკლის მეორე ტომს.

პირველ ტომში (უკვე დამუშავებულია და გამზადებული დასაბეჭდად) შევა IX, X, XI, XII საუკუნეების „საექიმო ფილოსოფიური“ ძეგლები, როგორც შატერდის კრებულის XXX თავი „კაცისა შესაქმნ“, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათვის კაცისა“, ნემესიოს ემესიელის „ბუნებისათვის კაცისა“ და უსახელო „საექიმო წიგნი“, რომელიც დაწერილია უძველესი ნუსხურით და პალეოგრაფიული ხიზნების მიხედვით ეკუთვნის XI—XII საუკუნეს.

მესამე ტომში შევა XIV—XV საუკუნე.

მეოთხე ტომში შევა XVI საუკუნის სახელგანთქმული საექიმო წიგნი, შესრულებული ბატონიშვილის დავითის მიერ ქ. კონსტანტინეპოლში, რომელსაც ჰქვია „ედიგარ დაუდი“. ეს ხელთნაწერი თავისი მოცულობით ყველა არსებულ ძეგლზე დიდია (შეიცავს 1200 გვერდს) და, როგორც ჩანს, ყველაზე გავრცელებული ყოფილა, არსებობს მისი თოთხმეტი ვარიანტი.

მეხუთე ტომში შევა XVII—XVIII და XIX საუკუნის დასაწყისი, როდესაც სრულიად წყდება საქართველოში საექიმო წიგნების წერა.

ცალკე დგას და ამ ციკლში არ შედის „მაგიური მედიცინა და სატაძრო მედიცინა უძველეს საქართველოში“, აგრეთვე „ხალხური მედიცინა“. ამ ორი უდიდესი და საინტერესო დარგის დამუშავება მოითხოვს დიდ ორგანიზაციულ მუშაობას. ეს მუშაობა გულისხმობს:



1. უნდა მოხდეს სატაძრო და მაგიური მედიცინის ნაშთების შეგროვება, უკვე შეგროვილის სისტემაში მოყვანა, მათი შედარებითი კვლევა. ამ საკითხთან დაკავშირებით შეგროვილ უნდა იქნას სამკურნალო ხასიათის თქმულებები, ზღაპრები, შელოცვები, ავგაროზები, სიზპრის ახსნანი, სიმღერები, რადგანაც, არსებული ცნობების მიხედვით, ყველაფერი ეს ფართოდ იყო გამოყენებული ძველად, ავადმყოფის მოვლის და მკურნალობის საქმეში.

2. მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა იქნას ლეგროვილი ხალხური მედიცინა, ანუ სად, რომელ კუთხეში, რა ავადმყოფობის დროს რა სამკურნალო საშუალებებს ხმარობს ხალხი. როგორც ესმის ხალხს ამა თუ იმ სამკურნალო ბალახის თუ საშუალების სიაგვარვე, როგორც ესმის ესა თუ ის ავადმყოფობა ხალხს ანუ როგორია მისი საექიმო მსოფლმხედველობა ამა თუ იმ ავადმყოფობის ან და სიკვდილის მიზეზების ახსნაში.

3. უნდა შესწავლილ იქნეს ბალახეულის და სხვა სამკურნალო საშუალებების სახელწოდებანი, უნდა შეგროვდეს მათი ნიმუშები, ბალახების შეგროვების და აქედან წამლების დამზადების წესები. აგრეთვე ნორმები, უნდა ჩაწერილ და შესწავლილ იქნას გამაფრთხილებელი (პრაფილაქტიკური) ხალხური ღონისძიებანი ამა თუ იმ ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ავადმყოფის მოვლის და კვების წესები, კიდევ სად რა სამკურნალო წყლებს ან ტალახს ხმარობენ, როგორია ამ ხმარების წესები, ან რის წინააღმდეგ არის ხმარებული ისეთი სამკურნალო საშუალება როგორც მზე, წყალი, ტალახი...

უნდა ყველაფერი ეს სისტემაში იქნას მოყვანილი, შესწავლილი და შედარებული სხვა ძველი კულტურული ხალხების წესებთან და მათ სამკურნალო ხერხებთან, რათა ძველ საქართველოს მოეძებნოს თავისი ნამდვილი ადგილი მათ შორის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ვინაობისა და სადაურობის შესწავლისათვის.

მაგრამ ხალხური მკურნალობის ნიმუშების შეგროვება როდი გულისხმობს ექიმბაშემის მკურნალობას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უფრო ყურმოკრულ სააფთიაქო საშუალებებს ხმარობენ უეცად, ყოველგვარი აზრის გარეშე.

საექყოა აგრეთვე ბევრგან დარჩენილი „სავარეულო“ სამკურნალო საშუალებანი, რომელნიც ხშირ შემთხვევაში ხალხის მოსატყუებელ რეკლამას შეიცავენ უფრო და სხვას არაფერს. ხალხურ მედიცინას ამგვარ ექიმბაშურ და მოექიმბაშო მკურნალობასთან, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს.

ასეთია შემდგომი მუშაობის მთავარი გეზი.

მაშასადამე, ციკლი „მედიცინა ძველ საქართველოში“ თავს უყრის და მკვლევარისთვის მისაწდომად ხდის ძველ საქართველოს საექიმო წერილობითი ძეგლების გაცნობა-შესწავლას.

სატაძრო და მაგიური მედიცინის ნაშთების შეგროვება-შესწავლასთან და სახალხო მედიცინის შეგროვება-შესწავლასთან ერთად, ყველაფერი ეს მასალად დაედება ძველი საქართველოს მედიცინის ისტორიას; ეს იქნება შეჯამება მთელი იმ ფაქტიური მასალისა, რომელზედაც ვილაპარაკეთ.

ამგვარიად უნდა შეიქმნას „საქართველოს მედიცინის ისტორია“. ეს მედიცინა მეტად მდიდარია მასალით, მეტად საინტერესო შინაარსით და მეტად სასარგებლო და აუცილებელი ჩვენი სამკურნალო აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე წიგნის დამუშავებასა და გაროცემას დაბრკოლებანი არ გადალობებოდეს, მაგრამ საქმის სიყვარულმა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობამ ეს დაბრკოლებანი ადვილად გადალახა.

მაგრამ ხელის შემწყობი და გამამხნეველები პირობებიც საკმაო იყო, რომ წარმატებით დასრულებულიყო ამ წიგნის შესწავლისა და გამოცემის საქმე.

დასასრულ, მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გამოვეუცხადო საქ. სახ. მუზეუმის დირექტორს გ. შიროტაძეს, რომელიც თანაგრძობით შეხედა ძველი საექიმო ძეგლების შესწავლისა და გამოცემის განზრახვას და მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილების გამგეს



3. ინგოროყვას, საქართველოს საექიმო საზოგადოების თავმჯდომარის ექ. შ. კიკაბაძის შვილს, რომელმაც ხელი შეუწყო და სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის დირექტორს ექ. ვანო ლორთქიფანიძეს, რომელმაც იზრუნა ამ წიგნის გამოცემისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ პროფ. იუსტიანე აბულაძეს, რომელიც თანაგრძნობით შეხვდა ამ შრომას და რომელმაც არაბულ-ირანული წარწერები გაუკეთა ამ წიგნის ლექსიკონში დართულ არაბულ-ირანულ სიტყვებს.

«ტექნიკა და შრომის» სტამბის ხელმძღვანელებს და მუშებს, რომელთაც არაფერი არ დაიშურეს იმისთვის, რომ ეს წიგნი კარგად ყოფილიყო გამოცემული, გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

მადლობას მოვახსენებ აგრეთვე იმათ, ვისი ზნეობრივი დახმარებაც ყოველდღიურად მამხნევებდა, რათა ბეჯითად შემესრულებინა ეს ფრიად ძნელი, მაგრამ საჭირო და სასარგებლო საქმე.

ექ. ლადო კოტეტიშვილი.

ტფილისი.  
მარტი 1936 წ.





## PRÉFACE

Les ouvrages médicaux géorgiens datent des IX—X siècles, époque où Ioanè Béraï réunit le recueil connu sous le nom de „Recueil de Schatberdi“. Le chapitre XXX présente un traité médical de „la Création de l'Homme“.

L'ouvrage médical suivant, créé par Grégoire Nosséli et ayant comme sujet „la Naissance de l'Homme“, est traduit du grec en géorgien au XI siècle, dans le même célèbre monastère de Schatberdi.

Vient ensuite le traité de philosophie médicale bien connu de Néméssio Eméséli sur „la Nature de l'Homme“, traduit du grec en géorgien au XII siècle, par le philosophe géorgien néoplatonicien Ioanné Petritzi.

Par conséquent, les tous premiers manuscrits médicaux étaient traduits directement du grec, dont la Géorgie subissait l'influence culturelle.

Cependant, au XI—XII siècles, quand la médecine des Arabes se propagea victorieusement dans le monde entier, quand Avitzène, Razé, Avenzoar, Averroës et autres médecins arabes illustres furent traduits partout, la Géorgie tomba aussi sous l'influence de la médecine arabe,—influence féconde et fort utile.

Le livre, dont nous nous occupons actuellement, présente un manuel médical arabe et fut traduit en géorgien au commencement du XIII siècle, notamment en 1207—1210 environ, par Khodja Kopili, auteur inconnu, mais ce n'est pas, à proprement parler, une traduction telle que nous l'entendons aujourd'hui.

Ce livre comprend beaucoup d'endroits géorgiens originaux, comme: traitement par l'urine des enfants par le lait de femmes, par le raisin et le vin par la boue et l'eau, traitements qui subsistent encore en Géorgie de nos jours.

Voici, en résumé, l'histoire de ce livre: au temps de l'illustre reine de Géorgie, Thamar, en 1206, les Géorgiens vainquirent le sultan Roukandan, dans un combat acharné, prirent la ville de Karnou et s'emparèrent, parmi d'autres butins, de l'original de ce livre qu'ils apportèrent à Tiflis, capitale de la Géorgie et procédèrent immédiatement à cette traduction par ordre du Tchkondidéli, ministre de l'instruction et de la santé publiques.

Le dernier manuscrit de ce texte appartient aux XIV—XV siècles. Il est conservé aujourd'hui dans la section paléographique du Musée de Géorgie, sous le № 1274 et mesure 30×20. Il présente une merveilleuse calligraphie „nouskhouri“ à l'encre noire, le commencement de chaque chapitre et les noms propres étant écrits à l'encre rouge.

La pagination est marquée par des majuscules nouskhouri par cahiers. Il y a en tout 50 cahiers, dont chacun comprend 16 pages,—le manuscrit est défectueux. Trois feuilles manquent au premier cahier, une feuille au sixième, deux au onzième et une au quinzième. Il est difficile de dire combien de feuilles manquent à la fin, mais le cinquantième cahier n'en a plus que trois et encore fort abimées.

Si l'on tient compte du texte, il ne doit pas manquer grand chose au livre. Actuellement le manuscrit comprend 776 pages. Il est fortement relié de cuir rouge foncé.

L'index qui accompagne le manuscrit—„Index Alphabétique“ est de la même écriture que le texte depuis le chapitre 1 jusqu'au chapitre 183. Depuis le chapitre 185 jusqu' à la fin du chapitre 219 l'écriture est autre que celle du manuscrit, se distinguant sensiblement de ces jolis caractères nets.

Dans le texte les titres des chapitres sont considérablement embrouillés. Par exemple depuis le chapitre 1 jusqu'au chapitre 16, les chapitres du texte et de l'index ne correspondent pas du tout, bien que le matériel compris soit le même,—ce qui s'explique par une erreur du copiste.

Souvent la lettre indiquant le chapitre est effacée dans le texte et se trouve remplacée par d'autres lettres, dont les chiffres ne conviennent pas au chapitre suivant ou précédent.

A certains endroits, où le chapitre du texte correspond à celui de l'index, le titre du chapitre est plus détaillé, avec plus de termes persans.

Actuellement l'index comprend 219 et le texte 244 chapitres. Pour qu'il soit plus facile de faire connaissance avec le contenu de ce livre, nous traduirons ici l'index tout entier.

Indications par lettres géorgiennes dans le but de trouver facilement les remèdes des différentes maladies et le moyen de les guérir:

- 1) Etudes médicales et leur utilité.
- 2) Chapitre concernant l'échelle du traitement médical, son étude et ses subdivisions.
- 3) Chapitre traitant de la nature de l'homme et de l'estomac.
- 4) Chapitre concernant l'étude des éléments composant l'organisme de la fusion des humeurs principales.
- 5) Chapitre de la naissance de l'homme et de la formation de son corps.
- 6) Chapitre de la découverte des cinq sens.
- 7) Chapitre de la conservation du corps en bonne santé.
- 8) Chapitre de la connaissance du pouls.
- 9) Chapitre traitant de l'eau et de la perception de l'humidité.
- 10) Chapitre des crises et des cas urgents.
- 11) Chapitre des indices de la santé et de la peur.
- 12) Chapitre de la connaissance des maladies futures.
- 13) Chapitre des sites et des climats.
- 14) Chapitre du changement des quatre saisons de l'année.
- 15) Chapitre traitant les sources de la maladie.

#### **Du mal de tête et de ce qui le provoque.**

- 16) „Karthli“ appelé en arabe „Khazami“ et en persan..
- 17) Chapitre des plaies à la tête, appelées en arabe „sitha“.
- 18) Chapitre de la chute des cheveux, appelée en arabe „asla“.
- 19) Chapitre des „alhaiāi“ et „dathalabi“, en arabe, maladies des serpents et des renards en arabe.
- 20) Chapitre des cheveux qui se fendent et qui blanchissent.



- 21) Mal de tête provenant de la chaleur ou du froid.
- 22) Mal de tête provenant de l'humidité ou de la sécheresse.
- 23) Mal de tête provenant du sang ou de la mucosité.
- 24) Mal de tête provenant de la bile jaune ou de la bile noire.
- 25) Mal de tête provenant d'un vent chaud ou froid.
- 26) Mal de tête provenant de l'enflure de la membrane du cerveau.
- 27) Mal de tête, appelé en arabe „batti“.
- 28) Mal de tête provenant d'un coup, d'un „Isthipraghi“ ou d'une odeur quelconque.
- 29) Mal de tête après l'ivresse ou à cause des mauvaises exhalaisons.
- 30) Mal de tête provenant de l'estomac et de sa faiblesse.
- 31) Migraine, provenant de la chaleur ou du froid.
- 32) Mal de tête, appelé „davari“ en arabe.
- 33) Mal de tête, appelé „messadar“ et provenant de la chaleur ou du froid.
- 34) „Sarsami“, provenant de la chaleur ou du froid.
- 35) Les maladies: „Soubathi“ et „Soubathi sahari“, sommeil lourd.
- 36) „Chékhoussi“ et „Djoumoudi“, provenant tous deux du froid.
- 37) „Malikhouri“, appelé en persan „dévanguï“.
- 38) „Koutzroubi“ et „manlaï“, provenant tous deux de la folie.
- 39) Insomnie et palpitations du cœur.
- 40) Amour et impatience.
- 41) Oubli et manque de mémoire.
- 42) „Kaboussi“ qui dérange pendant le sommeil et qu'on appelle en géorgien „Khibalki“.
- 43) „Bédapkani“ appelé „Saril“ en arabe et „attaque de l'ennemi“, en géorgien.
- 44) „Bédapkani“, provenant de la bile noire ou du vent froid.
- 45) „Sakthi“ qui rend inconscient et pareil à un mort.
- 46) „Pliendji“, provenant d'un coup ou d'empoisonnement.
- 47) „Istiskhoï“, affaiblissant les membres.
- 48) Engourdissement des membres, appelé en arabe „khidri“.
- 49) Contorsion du visage, appelée en arabe „lakvi“.
- 50) „Thachanoudji“ qui dessèche les membres.
- 51) „Kouzazi“ et „Imithidadi“, les deux couleurs, provenant du „thachanoudji“.
- 52) Tremblement des membres, appelé en arabe „racha“.

### Maladies des yeux et des paupières.

- 53) „Nguéri“ et „mkavanaï“ dans les yeux.
- 54) „Baradi“, „thaldjouri“ et „chraï“ à l'intérieur des yeux.
- 55) „Kathri“ et adhérence des paupières.
- 56) „Sapa“ et „vardan“, agrandissement des yeux et des cils et allongement des cils.
- 57) „Kmani“ et „thothaï“, détérioration et chute des cils.
- 58) „Salai“, „chornaki“ et „zélaki“ se trouvant à l'intérieur des yeux.
- 59) „Gadaï“, „pourbi“ et „kamkami“ se trouvant à l'intérieur des cils.
- 60) Maux d'yeux, provenant du sang.

- 61) Maux d'yeux, provenant de la bile jaune ou de la bile noire.
- 62) „Ztorpaï“ et „nakhouni“. On appelle „tarpaï“ un coup, reçu dans l'œil.
- 63) Plaie et enflure de l'œil, appelées „bathour“.
- 64) „Sabali“ et épiphora, appelés „dam“.
- 65) „Kouavill“, blanc et „dikaï“, se trouvant à l'intérieur de l'œil.
- 66) „Saratani“ et pus, se formant dans l'œil et „saratani“, appelé cancer, se formant derrière la deuxième membrane de l'œil.
- 67) Enflure extérieur de l'œil entier, ou à certains endroits.
- 68) Dilatation et rétrécissement de l'ouverture palpébrale.
- 69) Dilatation de l'œil s'appelant „Inthicha ri“.
- 70) Grande faiblesse de vue, causée par la chaleur ou par le froid.
- 71) Commencement d'épiphora de l'œil.
- 72) Cécité du jour et ainsi que celle de la nuit.

#### Maladies de nez et des oreilles; leur traitement.

- 73) Maux d'oreilles causés par la chaleur ou par le froid.
- 74) Enflure de l'oreille par la chaleur ou par le froid.
- 75) S'il entre dans l'oreille de l'eau ou un ver.
- 76) Plaie et écoulement de pus de l'oreille.
- 77) Perception de sons divers, bourdonnement et bruissement dans les oreilles.
- 78) Surdité et faible perception des sons, causées par la chaleur ou par le froid.
- 79) Ulcère et enflure dans le nez.
- 80) Manque d'odorat, causé par la chaleur ou par le froid.
- 81) „Bavassiri“ et mauvaise odeur du nez.
- 82) Hémorragie, appelée en arabe „rouapi“.
- 83) Coryza et écoulement du nez, causés par la chaleur ou par le froid.

#### Maladies de la bouche, des dents et de la langue, gencives des lèvres, ulcères et enflures.

- 84) Maux de dents causés par la chaleur ou par le froid.
- 85) Carie, chute et ébranlement des dents.
- 86) Détérioration des dents et des gencives, dents noircis et hémorragie des gencives.
- 87) Enflure des gencives causée par la chaleur ou par le froid.
- 88) Maladies et enflure de la bouche.
- 89) Mauvaise odeur de la bouche, appelée en arabe „abkhari“.
- 90) Eau coulant de la bouche pendant le sommeil.
- 91) Enflure de la langue, causée par la chaleur ou par le froid.
- 92) Enflure de la langue, appelée en arabe „kilad“.
- 93) Altération du goût.
- 94) Plaie, lourdeur et faiblesse de la langue.
- 95) „Kamoi“, non donné aux glandes de la bouche quand elles s'abaissent, par suite du froid ou de la chaleur.
- 96) Enflure du palais, abaissement de deux glandes.



- 97) Enflure de la gorge, appelée en arabe „Khounaki“.
- 98) Mal de gorge, causé par la chaleur ou par le froid.
- 99) „Devcha“ ou os, enfoncé à l'intérieur de la gorge.
- 100) Hémorragie de la gorge (hemoptoe).
- 101) Toux causée par la chaleur ou par le froid.
- 102) Toux provoquée par l'humidité ou par la sécheresse.
- 103) „Rabo“ causé par la chaleur ou par le froid.
- 104) Enflure du poumon, appelée en arabe „dathara“.
- 105) Ulcère du poumon, appelée en arabe „sili“.

#### Mal du côté.


- 106) Enflure intérieure d'une partie du côté, appelée en arabe „dathidjanab“.
- 107) „Barsami“, appelé en arabe „chovis“.
- 108) Maladie du cœur, causée par la chaleur ou par le froid, par la sécheresse ou par l'humidité.
- 109) Palpitations du cœur appelées en arabe „Khapakani“.
- 110) Evanouissement, appelé en arabe „gacha“.

#### Des maladies de l'estomac et de ses troubles.

- 111) Troubles de la digestion, causées par la chaleur ou par le froid.
- 112) Mauvaise digestion, causée par la chaleur ou par le froid.
- 113) Dégoût de la nourriture, provenant de l'estomac.
- 114) Manque d'appétit pour cause de maladie.
- 115) Boulimie, désignée sous le nom de „kathildjalbia“.
- 116) Absorption de terre, de plâtre et de sel des rochers.
- 117) Pulsation du piloris, appelée en arabe „vidjalpad“.
- 118) Soif et grande absorption d'eau.
- 119) „Eldahati“ et „Bardjiaï“, appelés en arabe „Thoukhmaï“.
- 120) „Dargui“ nom donné à une moiteur continue.
- 121) „Zala kalmida“ et „Zala kalma“, appelés en géorgien „sigloussoune“, détérioration de l'estomac et des intestins.
- 122) Abondance de „manichi“, appelés „athiani“.
- 123) Hémorragie, provenant de l'estomac.
- 124) Vomissement causé par la dureté de l'estomac.
- 125) Refroidissement causé par le vent, pénétrant dans l'estomac.
- 126) „Siksari“, appelé en persan „vavaki“ et „sakbiaki“.
- 127) Maux d'estomac, causés par la chaleur ou par le froid.
- 128) Ulcère de l'estomac, et le sang qui s'y fige.
- 129) Salive et liquide coulant de la bouche.
- 130) Enflure de l'estomac, causée par la chaleur ou par le froid.

#### Maladies du foie et de la rate.

- 131) Maladies du foie, causées par la chaleur ou par le froid.
- 132) Enflure du foie, causée par la chaleur ou par le froid.
- 133) Maladies du foie, causées par l'obstruction des ses voies.
- 134)...?

- 
- 135) „Isthisko“ nom persan de l'enflure de l'estomac.  
 136) „Isthiskoï lahami“, donnat une grande température, après l'échauffement.  
 137) „Zariri“ jaune et noir, appelés en arabe „larakani“.  
 138) Maladies de la rate, causées par la chaleur ou par le froid.  
 139) Enflure du rate, causée par la chaleur ou par le froid.

#### Maladies de l' Anus et des Intestins.

- 140) Hemorragie, provenant des intestins et appelée „sahadjalama“.  
 141) „Zahiri“, maladie des intestins, causée par la chaleur ou par le froid.  
 142) „Maghari“, causé par la chaleur ou par le froid.  
 143) „Kolindji“, causé par la chaleur ou par le froid.  
 144) „Elaos“, espèce de „Kolindi“.  
 145) Vers longs et courts et „Koudedni“, ce qui signifie graines de potiron.  
 146) „Bavassiri“ et „thothai“ se trouvant dans l'anus.  
 147) „Bavassiri“ meurtrissure de l'anus.  
 148) Plaque sur l'anus et hémorragie provenant d'une veine ouverte.  
 149) Prolapsus du rectum, enflure et faiblesse.

#### Reins et Vésicule Urinaire.

- 150) Maladies des reins, causées par la chaleur ou par le froid.  
 151) Enflure de l' „assamli“ causée par la chaleur ou par le froid.  
 152) Ulcères des reins et suintement de sang du penis.  
 153) Calculs ou sable, s'accumulant dans la vessie.  
 154) Suintement de l'urine, appelé en arabe „Salassali“.  
 155) Rétention d'urine, appelée en arabe „Sarali“.  
 156) Incontinence d'urine chez l'homme.  
 157) Enflure de la vessie, causée par la chaleur ou par le froid.  
 158) Ulcère de la vessie avec dépôt de calculs.

#### Maladies et enflures du penis et des testicules.

- 159) Erection involontaire du penis.  
 160) Sa faiblesse et écoulement de sperme sans plaisir.  
 161) Son enflure, causée par la chaleur ou par le froid.  
 162) Brûleure, causée par la chaleur ou par le froid.  
 163) Enflure des testicules, causée par la chaleur et par le froid.  
 164) Impotence par excès de tempérament.  
 165) Hernie dans l'aîne ou dans les testicules.

#### Traitement du Sein et de la Matrice.

- 166) Arrêt des fonctions de la matrice, appelé en arabe „Iltissillime“.  
 167) Metrorrhagia, appelée en arabe „nazpi“.  
 168) Arrêt de la menstruation, appelé en arabe „ihthibastamtha“.

169) Enflure de la matrice, causée par la chaleur ou par le froid.

170) Ulcère dans la matrice, probablement un cancer, appelé en géorgien „Kirtch-khibi“.

171) Fibrome dans la matrice.

„Rdjaï“, maladie simulant la grossesse.

Descente de la matrice et écoulement de fleurs blanches.

172) Avortement et maladie de la matrice en résultant.

173) Infécondité, provenant de l'homme ou de la femme.

174) Couches laborieuses simultanément avec le placenta.

175) Enflure du sein, provenant de la chaleur ou du froid.

176) Mal du sein et lait s'y coagulant.

### Mal de Dos.

177) Mal de dos, causé par la chaleur ou par le froid.

178) Gibbosité, appelée en arabe „hadaba“.

179) „Irakani“ causé par la chaleur ou par le froid.

180) Maladie des articulations, appelée en arabe „Vidjalmapassil“.

181) „Nikrissi“, causé par la chaleur ou par le froid.

182) „Davali“ et „dalpli“, deux maladies des pieds.

183) „Nakhounkhur“, qui mange les ongles. „Darichthai“, qui s'appelle „mkédi“ et qui se rencontre sur les deux pieds.

184) Gerçures et engelures des mains et des pieds.

185) „Kalapi“ qui s'appelle „tchorpli“, „koundjidaï“, „barichi“ et „namichi“.

186) „Kobai“ qui s'appelle „metchétschi“ et „thouthai“, „chiré“ en arabe.

187) „Mguléri“ sec et humide et prurit du corps.

188) Grande sudation et retention de la sudation.

189) Lentes et poux à la racine des cheveux.

190) Lèpre, appelée en persan „pessi“ et en arabe „barassi“ et „bahaki“ noir et blanc.

191) „Gandaumaï“ appelé en arabe „thaloulaï“ et „metchétschi“ en géorgien.

192) „Athachi parsi“ dont la traduction signifie „feu persan“ et enflures qui se montrent sur les membres et sur le corps.

193) Petite verole, en arabe „djodri“, et rougeole.

194) „Homraï“, nom donné aux enflures et „Khorai“ ou ulcère des intestins.

195) „Djodmi“, appelé laideur.

196) Altération du visage, teint bruni et brouillé par le soleil.

197) Enflure cuisante causée par le sang ou la bile jaune.

198) Enflure froide causée par la bile noire ou la mucosité.

199) „Saratani“ appelé cancer et en persan „khartchangui“.

200) „Gortheli“ et „Salaï“, qui naissent dans les membres.

201) „Taouni“ et „doubalaï“ qui naissent dans les membres.

202) „Doumbali“ qui s'appelle „mdjdomi“, „gavarsaï“ et „badobilaï“ à leur appartion.



- 203) Température quotidienne, causée par l'emportement ou la peur.
- 204) Température quotidienne, causée par la nourriture ou la faim.
- 205) Température quotidienne, causée par les ennuis ou par les maladies.
- 206) Température quotidienne, causée par la grande chaleur ou le froid excessif.
- 207) Température quotidienne, causée par la mucosité ou le coryza.
- 208) Température quotidienne, causée par l'insomnie ou par une enflure.
- 209) Température nommée „guibi“, se manifestant de deux manières: „lasimaï et „nablaiaï“.
- 210) Température nommée „motbaqui“, causée par la chaleur ou par le froid.
- 211) Température continue qui s'appelle „mohrikaï“ et „Batraiguibi“.
- 212) Température du 4-ème jour causée par la mucosité ou provenant des autres éléments de l'organisme.
- 213) Température des cinquième, sixième, onzième et autres jours.
- 214) Température, nommée „vachaï“ et température consécutive aux maladies.
- 215) Température nommée „diki“ de trois espèces, l'une „moptadiaï“, l'autre „dabouli“ et la troisième „diki“ proprement dit.

- 216) Fracture de l'os et coups sur les membres.
- 217) „Balkhourî-tzklulî“ et „atalî“ et vieilles ulcères.
- 218) Brûlures par le feu, le beurre et l'eau bouillants.
- 219) Piqûres des serpents, des reptiles en général, et des abeilles, appelées en arabe „Retaïlaï“ et scorpion...

L'étude du manuscrit et l'éucidation du nom de son auteur nous ont amenés à la conclusion que l'original arabe de ce livre doit appartenir à Averroës ou Ebn Achmed, Ebn Roschd, originaire de Cordoue (Espagne arabe) et doit être l'ouvrage remarquable de cet écrivain „Kitâb el Kollîjât“ (Liber Universalis de medicina).

On sait que cet ouvrage d'Averroës a été traduit en latin en 1531,—mais toutes les tentatives de retrouver l'original ou la traduction latine sont restées infructueuses jusqu'à nos jours. De la sorte on ne pourra attribuer ce livre à l'auteur en question que conditionnellement, avant d'avoir comparé le livre que nous possédons avec l'original arabe ou sa traduction latine.

En tout cas, l'original arabe ne doit pas avoir été écrit avant le XI siècle et pas plus tard que le XII.

**Dr. Lado Kotétichvili.**

Tiflis, 5 mai 1935.



მედიცინა ქველ საქართველოში

XIII საუკუნე

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს XIII საუკუნის ავტორის ნაშრომს, და როგორც ერთერთ უძველეს სააქიმო ხელთნაწერს, განსიკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, ჯერ არ არის შესწავლილი ქართული სააქიმო ხასიათის ხელთნაწერები, რაც ჩვენ მრავლად მოგვეპოება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო დაგვეთარიღებინა, თუ სახელდობრ როდის იწყება ჩვენში დამწერლობითი მედიცინა ან სააქიმო წიგნების თარგმნა, მაგრამ წინასწარ იმის თქმა კი დაჯერებით შეიძლება, რომ ეს თარიღი ძალიან ძველია.

ეგრეთწოდებული სატაძრო მედიცინისა და მაგიური მედიცინის კვალი იმდენად აშკარა და ნათელია დღესაც კი, რომ შეძლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ მედიცინა ძველ საქართველოში უძველეს, წარმართულ დროიდან მომდინარეობს.

მაგალითისთვის საკმარისია ვთქვათ, რომ დღემდის მთელ საქართველოში დარჩენილი იყო ავადმყოფის ამა თუ იმ ხატზე გადაცემა, ხატის კარზე მიყვანა, ღამის თევა, მამლის შეწირვა და სხვა წესები, ავადმყოფთან თუ ავადმყოფობასთან დაკავშირებული.

ეს წესები უძველესია და უკავშირდება იმ ზნე-ჩვეულებას, რომელიც ძველ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. როგორც ცნობილია, ძველ ეგვიპტელებს ჰყავდათ ჯანმრთელობის ღვთაება, რომელსაც ერქვა Imhotep-ი, ეს იყო ღვთაები Ptah-ს შვილი და მისი ტაძარი იმყოფებოდა მემფისში; ამ ტაძარში მთელი ეგვიპტიდან მოჰყავდათ ავადმყოფები სამკურნალოდ. ყველა ავადმყოფს ღვთაება Imhotep-ისთვის უნდა შეეწირა მამალი, როგორც ემბლემა სიცოცხლის დაწყებისა და ჯანმრთელობის. ამ ტაძრის კარზე ავადმყოფს უნდა ეთია და მას ერქვა ძილით მკურნალობა Incubation და მდგომარეობდა იმაში, რომ იმ ღამეს ავადმყოფი სიზმრის ნახვით და ქურუმების მეშვეობით იღებდა განცხადებას ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად (С. Ковнер „История Медицины“, ч. I Киев 1878 г. გვ. 14).

ამ მიზნისთვის საგანგებო წიგნიც კი არსებობდა, რომელიც შეიცავდა სიზმრის ახსნის ხელოვნებას. ამ ჩვეულების წყალობით ეგვიპტეში დარჩენილია აუარებელი „სიზმრის ახსნა“-ნი, რომელთაც ზებირსიტყვაობით თუ წერითს დოკუმენტებში, ჩვენამდის მოაღწიეს.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოშიაც ბევრია დარჩენილი ეს „სიზმრის ახსნა“ რაც სხვა ჩვევებთან ერთად მოწმობს ამ ორი უძველესი ხალხის რწმენათა იგივეობას.

აქ მეტიც შეიძლება ითქვას, სახელდობრ: საქართველოში სხვადასხვა ავადმყოფობას თავისი საკუთარი ხატი ჰყავდა და ავადმყოფის გადაცემა ანა თუ იმ ხატზე ავადმყოფობის ნიშნების მიხედვით ხდებოდა. მაგალითად: ქართლში გერისთავის ანუ თავგერის ხატზე მხოლოდ სულით ავადმყოფებისა და ავზნე შეპყრობილების შეთქმა ხდებოდა. ბარბარეზე მხოლოდ ყვავილის და ბატონების და სხვა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფრიად დიდი მნიშვნელობის საკითხი ჯერ სპეციალური კვლევის საგნად არ გამხდარა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო რაიმე გადაჭრილი აზრის გა-



მოთქმა. მაგრამ ის მცირეოდენი ცნობებიც კი, რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს უფლებას გვაძლევდნ დავასკვნათ, რომ უძველეს საქართველოს ჰყავდა ჯანმრთელობის ღვთაება.

აი, რასა სწერს დ. ხიზანაშვილი თავის წერილში „ფშავეთი და ფშავლები“ („იგერია“ 1897. № 177). „თამარის სალოცავიც დიდია, ის ითვლება აქიმ ღვთაებად და მას „წამლის სახსრად“ ერთ ცხვარს სწირავენდნო“.

ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით სწერს ს. მაკალათია (ს. მაკალათია: „ფშავი“ ტფილისი, 1934 წ. გვ. 206).

„თამარის ხატი ფშავში ძლიერ სალოცავად ითვლება, მას განსაკუთრებით ქალები ლოცულობდნ და აქიმ-ღვთაებას უწოდებდნ, რომელსაც „წამლის სახსრად“ ერთ ცხვარს ზედმეტს წირავენ... „ხატის ქალები მხოლოდ თამარსა ჰყავდა, რომელიც მის საქონელს უვლიდნენ და ყველ-ერთს ამზადებდნ. ხატის ქალები არ თხოვდებოდნ და ქალწულად რჩებოდნენ. ხატში მათ თავისი ცალკე საჯარე ჰქონიათ და თამარის ხატობას ერთად დგებოდნ. ხატის ქალებს ეხურათ თეთრი ხილაბანდები და წინ იკეთებდნენ თეთრ ფესტამალს, გულ-მკერდს იპობდნენ ღილ-შიბებით“-ო.

ამ ცნობებით „აქიმ ღვთაებად“ ანუ თამარი ჯანმრთელობის ღვთაებად გამოიყურება. ჩვენ დაახლოებით ის სახეც შეგვიძლიან აღვადგინოთ, როგორაც ქართველ ხალხს ჯანმრთელობის ღვთაება თამარი წარმოედგინა: „წყუული (გველი) რაშად ჰყავდა, პირში ღვთისგან ნაკურთხ ლაგამამოდებული, და ზედ მჯდომი დაჰქროდა“ („ძველი საქარ“ ტ. II, გვ. 49). გველი ხომ აქიმური სიბრძნის ემბლემა იყო ყველგან, თანაც უხილავ ძალთა და ავსულობის სიმბოლო.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ თამარს გველი დამორჩილებული ჰყოლია. რომ თამარი უქველად ძველი საქართველოს წარმართული პანთეონის წევრია, ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ ხეცურები და ფშავები თამარს ლოცულობდნ როგორც „პირიმზეს“ (იხ. ვ. კოტეტიშვილი: „ხალხური პოეზია“, ქუთაისი, 1934 წ., გვ. 349).

მესხების თქმულებით კი თამარი მწყემსი ყოფილა, რომელსაც ფრთამოტეხილი წეროსავის უწამლია. წერო კი აღმოსავლეთში მიჩნეული იყო ბედნიერებისა და დღეგრძელობის მახარობლად.

რასაკვირველია, ჯერჯერობით ყოველგვარი მსჯელობა ამ საკითხის ირგვლვ პირობითია, ვიდრე ზედმიწევნით არ იქნება შესწავლილი ღვთაება თამარის, „აქიმ-ღვთაების“ კულტი. მაგრამ არსებული ნიშნები უფლებას გვაძლევდნ ვიფიქროთ, რომ უძველეს, წარმართულ საქართველოს ჰყავდა ჯანმრთელობის ღვთაება და შეიძლება ითქვას რამდენიმეც, რომ ჩვენი წარმართულ ღვთაებათა პანთეონი და სააქიმო ხასიათის ზნეჩვეულებანი ენათესავებიან ძველი ეგვიპტის, ხეთების და საერთოდ ძველი აღმოსავლეთის ხალხების ზნეჩვეულებას. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს პროფ. ივ. ჯავახიშვილი <sup>1)</sup>, აი როგორ დასკვნას უკეთებს იგი ამ საკითხს: „ქართული წარმართობის ზემომოყვანილი შიშობილვა ცხადჰყოფს, როგორც ამ სარწმუნოების ძველის ძველ თვისებებსა და მახლობელი ძველი აღმოსავლეთის სხვა დიდ ერთა სარწმუნოებასთან აუცილებელ კავშირს, ისევე იმ უპირატესობასაც რომელიც ქართულ წარმართობაში მნათობთა თაყვანისცემას მიკუთვნებული ჰქონია“-ო.

როგორც ვხედავთ, საკითხი მეტად საგულისხმოა და ქართველი ხალხის სადაურობის კვლევისთვის მეტად დიდმნიშვნელოვანი.

მაგრამ არსად სატაძრო მედიცინა არ დარჩენილა თავის პირველყოფილ იდგომარებაში. ყველაფერი, რაც ამ მედიცინაში რეალური, სასარგებლო და ავადმყოფის განსაკურნებლად გამოსაყენებელი იყო, საერო მედიცინის კუთვნილებად გახდა. ტაძართან კი დარჩა

<sup>1)</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი: „ქართველი ერის იატორია“, წ. I, ტფილისი, 1928 წ. თავი მეორე, 33-დან 137 გვერდამდის.



მხოლოდ რელიგიური ხასიათის ჩვევანი, რაც, ცხადია, მკურნალობისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო.

თუ ასე მოხდა ყველგან, თავისთავად გასაგებია, რომ ასე მოხდებოდა საქართველოშიც: სატაძრო მედიცინის ნიადაგზე უსათუოდ უნდა აღმოცენებულიყო საერო მედიცინა; გაბმული ლაშქრობისა და დაუსრულებელი ბრძოლებისთვის მოწოდებულ ერს, ცხადია, უნდა შეემუშაებინა დაჭრილი, დაკოდილი და დაავადებული მებრძოლის მოვლა-მკურნალობა.

შემდეგ მოქალაქეობრივი ცხოვრების ძალიან ადრე განვითარება, კეთილნაშენ ქალაქთა და დაბათა სიმრავლე, გასაგებია, გარკვეულ საზოგადოებრივ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს წამოაყენებდა, მით უმეტეს, რომ სახლების და ქუჩების მოწყობა, მოედნების მოწყობა, სასმელი წყლის აკარგიანობა, ნაგვისა და სიბინძურის გატანა ყველგან ამ კეთილნაშენობის მთავარი და, შეიძლება ითქვას, ერთად ერთი პირობა იყო.

შემდეგ, ტანსაცმელის, კვების და იარაღის ტარების წესები გასაოცარი სიმარტივით და სისწორით იყო შემუშავებული, რაც სპეციალური შესწავლის და მზრუნველობის გარეშე, ესე იგი ადამიანის აღნაგობის, ჯანმრთელობის და ამ ჯანმრთელობის დაცვის ზედმიწევნითი ცოდნის გარეშე, ძნელად დასაჯერებელია, რომ შემუშავებულიყო.

შემდეგ, მაღალ და ხშირად მიუვალ მთებზე გასაოცარი ტაძრებისა და ციხე-კოშკების აგება მოწმობს იმას, რომ შრომის აზრიანად განაწილების, გამოყენებისა და დაცვის პირობები განსაკუთრებული მზრუნველობისა და შესწავლის საგნად უნდა ყოფილიყო გამხდარი.

აქედან გასაგებია, რომ საერო მედიცინა უძველეს საქართველოში სათანადო სიმაღლეზე უნდა მდგარიყო. ამის საბუთი მრავლად მოიპოვება, და თუ ჩვენ არაფერი ვიცით ამის შესახებ, ეს ვიმეორებ, იმის ბრალია, რომ ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არ გამხდარა.

წინამდებარე წიგნი საუკეთესო საბუთია ამ მოსაზრების დასამტკიცებლად. ირკვევა, რომ XIII საუკუნის დამდეგს საერო მედიცინა ჩვენში საკმაოდ განვითარებული ყოფილა და სიქიმიო სახელმძღვანელო წიგნის მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო თურმე, რომ ეს წიგნი ხელში ჩაგდებისთანავე შეუფასებიათ და უზენაესი ხელისუფლების ბრძანებით დაუყოვნებლივ შესდგომიან მის ქართულად გადმოთარგმნას.

ეს წიგნი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ რა ხასიათისა და რა მოცულობის იყო მედიცინა საქართველოში XIII საუკუნის დამდეგს და შეეფერებოდა თუ არა მეცნიერების ეს დარგი იმ ეპოქის მაღალ მეცნიერულ-კულტურულ დონეს, რომელიც „ოქროს ხანად“ არის ცნობილ ჩვენი ერის ისტორიაში.

მაგრამ ვიდრე ამაზე ლაპარაკს ჩამოვაგდებდეთ, საჭიროა გამოირკვეს სამი საკითხი:

1. როდის არის დაწერილ ამ წიგნის დედანი, სად და რა ენაზე;
2. როდის არის გადმოთარგმნილი ქართულად;
3. როდის არის გადაწერილი ის ხელთნაწერი, რომელმაც ჩვენამდის მიაღწია და

დაცულია საქარ. სახ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში № 1274-ით.

პირველი საკითხის შესახებ—როდის, სად და რა ენაზეა დაწერილი ეს წიგნი, აზრთა სხვაობა არსებობს. ამ წიგნის პირველ ამწერის, საქართველოს სიძველეთა მცოდნის ექვ. თიყაიშვილის აზრით, წიგნი გადმოთარგმნილია არაბულიდან XIII საუკუნის დასაწყისში [E. Такайшвили. „Описание рукописей общ. распростр. грамотности среди грузинск. населения“, т. I, 1902 г. გვ. 643].

ამავე აზრს ემყარება ექიმი ა. იაშვილი. [A. Яшвили: „Народная медицина в Закавказье“ Тифл., 1904 г. გვ. 84]. ავტორს როგორც სიანს, ხელთნაწერი არ უნახავს და ემყარება მხოლოდ ექ. თიყაიშვილის ზენოთმოყვანილ აწერილობას.

1895 წ. პრ. აღ. ხაბანაშვილი თავის წიგნში [„Очерки по истории в Грузинск. словесности“, вып. Москва, 1895 წ. გვ. 306, მეორე შენიშვნა] წინამდებარე ხელთნაწე-



რის შესახებ სწერს შემდეგს: „ერთ კარაბადინში (წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელთნაწ. № 1274) მოხსენებულია კიდევ ბაგრატი (იპპოკრატე) მასარჯულაძე-ფიანა, მაპომედ ზაქარაიას ძე, ანდრომახოს, აბუჯარიძე, თიადოყ, ფოლოს, მისოიას ძე, არბიასიოს, მადანელი, თებით ყურაჲს ძე, არხიჯანოს, დევეჯანოს, უპან (უნდა აყოს ჰუნანი) მესია, იბნიმას, რუფოს, სინაის ძე—დიდებულნი ბრძენნი, რომელნიც კდილობდნენ ადამიანის უკვდავ ყოფას, რისთვისაც ეძებდნენ მკურნავ ბალახეულობას, რითაც განდევნიდნენ ავადმყოფობას. ყოველ ავადმყოფობისათვის მოყვანილია მათი აზრი, ამ ხელთნაწერის მიწაწერიდან სჩანს, რომ კარაბადინი ყოფილა გადმოთარგმნილი არაბული ენიდან თამარ მეფის დროს მე-XII საუკუნეში მიტროპოლიტ ანტონ ჭყონდიდელის ბრძანებით“.

1908 წ. პროფ. ნ. მარმა დასწერა „Отзыв о сочинении Е. Такайшвили „Опис. рукоп. общ. распр. грам. среди Груз. населения“ С. П. В. 1908 г. სადაც იგი სწერს შემდეგს (იხ. გვ. 204, დამატება V). „თაყაიშვილი, ეგონებ, აქარადა, როდესაც XIII საუკუნის ქართული სააქიმო წიგნის დედანი მიიჩნია არაბულად; მხედველობაში არ არის მიღებული, რომ ავადმყოფობათა სახელწოდებანი სპარსულად გვხვდება იმაზე ხშირად, ვიდრე შეიძლება გვეფიქრა, როგორც მაგ: ბედაფქანი, ნახუნხუა, განდუმა... ტექსტის გამოცემულ ნაწილში გვხვდება ისეთი სპარსული სიტყვები, როგორც ოსტად, ჯაშქაბ, ქან, ხუნი პატ, ზაპრ,“ ემყარება რა ამ ფაქტს, ავტორი განაგრძობს: „შეიძლება ისეც გამოვიდეს, რომ ქართული თარგმანი გაკეთებულია არა სპარსულიდან, არამედ სომხურიდან, რომელსაც სააქიმო ტერმინოლოგიაში ახასიათებს როგორც არაბული, ისე სპარსული ელემენტები“, და დაასკვნის, რომ „საკითხის გადგსაპრელად აუცილებელია ტექსტის უფრო დეტალური შესწავლა,“ (1).

სულ ბოლო დროს, 1935 წ. გამოსულ პროფ. ი. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე წიგნში პატივცემული ავტორი ემყარება ჩვენი წიგნის ხელთნაწერს, როგორც XIII ს. დამდეგის ძეგლს: „რა თქმა უნდა, მარტო იმ გარემოებაზე დამყარება, რომ XIII ს. დამდეგს ქართულად გადმოთარგმნილსა თუ გადმოკეთებულ „სააქიმო წიგნში“ ხოჯა ყოფილია“... (გვ' 192).

„მართლაც კარნუ ქალაქიდან XIII საუკუნის დამდეგს ჩამოტანილსა და ხოჯა ყოფილისგან გადმოქართულებულ კარაბადინში“... (გვ. 184).

„სააქიმო წიგნის ხოჯა ყოფილის XIII საუკუნის დამდეგის ქართულ თარგმანშია ნახმარი“... (გვ. 56) და სხვა.

ამგვარად პატივცემული ავტორი სულ 30-ჯერ იხსენიებს წინამდებარე წიგნის ხელთნაწერს.

სხვაგან არსად ხელთნაწერზე არაფერი არ არის დაწერილი; არსებობს მხოლოდ ერთი ფაქტი, რომ ეს ხელთნაწერი ამჟამად მოთავსებულია ფირდოუსისთვის მიძღვნილ გამოფენაზე და ზედ აწერია: „XIII საუკუნის საექიმო წიგნი, თარგმანი სპარსულიდან“. ეს წარწერა ამჟღავნებს, რომ სახელწმ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ეს წიგნი არაბულიდან არის ნათარგმნი; რაზე ამყარებენ ამ აზრს, არა ჩანს.

ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ დავემყარეთ მხოლოდ ტექსტის დეტალურ ანალიზს, რამაც სრულიად ნათელი გახადა, რომ წიგნი არაბულ ენაზეა დაწერილი არაბ ექიმის მიერ ამას ცხადად ადასტურებს:

1. ის არაბული ტერმინოლოგია, რომელიც ტექსტშია მოყვანილი;

1) სამწუბაროდ პროფ. ნ. მარის გაკეთებული შენიშვნა დღემდის პასუხგაუცემელი დარჩა. დღეს კი როდესაც სომხეთის წერილობითი მემკვიდრის ძეგლები მთლიანად არის დამუშავებული და დაწერილია ძველი სომხეთის მემკვიდრის ისტორია—არაფერი ამის მსგავსი იქ არ არის აღმოჩენილი, რაც აქარწყლებს პროფ. ნ. მარის ზემოთ გამოთქმულ ვაჟს.



2. იმ ოცდაორი ექიმიდან, რომელნიც ტექსტში არიან მოხსენებულინი, აქვე აღნიშნული თ არაბული ექიმია, ზვიდი ბერძენი, ორი რომელი და არცერთი ირანელი; ამგვარად ირანელებს იმ დროს სახელგანთქმული ექიმების საკმაო რიცხვი ჰყავდათ;

3. ტექსტში მოყვანილი ირანული ტერმინოლოგია შემდგომი გადამწერლების მიერ არის შეტანილი XIII—XIV საუკუნის მანძილზე რასაც ამტკიცებს ის, რომ არაბულს ბევრ ადგილას ირანული განმარტება არ ახლავს, მაგალითად: ტექსტის წინ დართულ სარჩევში ვკითხულობთ, თავი „ივ“: „ქართლი რომელსა ჰქვიან არაბულად ხაზამი და სპარსულად...“ (არაფერი სწერია) ირანული ტერმინი არ არის მოძებნილი.

თავი „იზ“: „კარი თავისა წყლულისაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სითა“.

თავი „იკ“: „კარი თმათა დახდისა და ბელატობისა რომელს ჰქვიან არაბულად ასლა“.

თავი „ქზ“: „თავისა ტკივილი რომელი არაბულად ბაიტი ჰქვიან“.

და არსად ირანული, რაც შეუძლებელია იმ შემთხვევაში, წიგნი რომ ირანულად ყოფილიყო დაწერილი.

აქ შეიძლება დაუშვათ მეორე მოსაზრება, სახელდობრ: რომ არაბულ ენაზე დაწერილი წიგნი ჯერ ირანულად იყო ნათარგმნი და შემდეგ ირანულიდან ქართულად. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი ხდება, ქართველმა მთარგმნელმა რატომ მოლინად არ შეიტანა ირანული ტერმინოლოგია. მას ზოგი ტერმინი შეუტანია ზოგი კი არა. იმის დაშვება, რომ ირანულად არაბული ტერმინის შესატყვისი არ ჰქონდათ, ძნელი დასაჯერებელია, რადგან იმ დროს ირანში საკმაოდ სწერდენ საექიმო წიგნებს და საექიმო ტერმინოლოგიაც ჰქონდათ.

თავში „ვკ“ ვკითხულობთ: „სარატანი და თხალი რომელი თვალსა შეეკნების და სარატანი კირხიბსა ჰქვიან“. ირანულად არ არის განმარტებული, თუმცა ირანულად „სარატანს“ „ხარჩანგი“ ჰქვიან.

ამგვარი მაგალითის მოყვანა ბლოკად შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც ნათელია, რომ წიგნი არაბულად არის დაწერილი და ირანული ტერმინოლოგია შემდგომი დამუშავებისა და გადაწერის დროს არის შეტანილი.

როდის არის დაწერილი დედანი? ამის შესახებ ხელნაწერის პირველი აღმწერი ექვ. თაყაიშვილი არაფერს ამბობს. ექიმი ა. იაშვილი შემდეგ აზრს განოსთქვამს: „კარაბი-დინი, დაწერილი ხუცური ასოებით, გადმოთარგმნილია იმავე ენიდან (არაბულიდან) XII საუკუნეში; მისი შედგენა არაბულ ენაზე ეკუთვნის იმ ეპოქას, რომელიც ითვლება არაბთა კულტურული და პოლიტიკური განვითარების ეპოქად, ე. ი. VI—VII საუკუნეებს“ [A. Яшвили: „Нар. мед. в зак. крае, გვ. 113.]. ექიმ ა. იაშვილის ეს აზრი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მას ამ წიგნის ხელნაწერი არ უნახავა. მას რომ ტექსტი ენახა და იქ მოყვანილი ავტორების ვინაობა შეესწავლა, ნახავდა, რომ, სინაისძე იგივე ავიცენა X საუკუნის დამლევეს და XI საუკუნის დამლევეს ცხოვრობდა, ისაკი X საუკუნის ნახევარში, მასოხსძე—XI საუკუნის დამლევეს და სხვა.

ტექსტში მოყვანილი ავტორების ვინაობის შესწავლამ ნათლად გამოარკვია, რომ ეს წიგნი არაბულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი არა უადრეს XI საუკუნის და არა უგვიანეს XII საუკუნისა. იმ 22 ექიმის ცხოვრება, რომელნიც მოყვანილი არიან ტექსტში, არც ერთისა არ სცილდება XI საუკუნეს, და XII საუკუნის ისეთი გამოჩენილი ექიმი, როგორიც იყო ავენზოარი (Avenzuar), რომელიც გარდაიცვალა 1162 წელს, და მისი მოწაფე და თანამედროვე ავეროაესი (Averroes), რომელიც გარდაიცვალა 1206 წელს [K. Sprengel-ის აზრით, 1217 წ.], ამ წიგნში არ იხსენიებიან.

მოგვყავს ამ ექიმების სია:

1. ბაყრატი—Hippokrates—დაიბადა 459 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და გარდაიცვალა 377 წ. თესალიის ქალაქ ლარისში.



2. არისტოტელი—Aristoteles—ცხოვრობდა 384—322 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.
3. ჯალინოზ—Claudius Galenus—131—201 წ. ჩვენი წელთაღრიცხვამდე.
4. იოანა—Iohannes Mesue—777—857 წ. ჩვენი წ-ად.
5. მასარჯუა—Maserdschavaih—680 წ. ჩ. წ. ა. იყო ებრაელი ექიმი.
6. მაჰმად ზაქარიასძე, მუჰამედ—Muchamed Arrasi, Muchamed Ebn Sechartah—923 წ. ჩვენი წ-ალრ.
7. ანდრომახოს—Audromachus—54—60 ჩვ. წ. აღ.-მდე წ. იყო რომის პირველი არხიატრი.
8. აბუჯარიბ—Abu Dschafar—ცხოვრობდა XI საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვა.
9. თიადიყ, თიადლუყ, თიადოყ—Theodocus—690 წ. ჩვენი წ-ალრ. ბერძენი ექიმი ერაცყი.
10. ფოლის, ფოლოს—Fales, მილეტელი 636—546 ჩვენი წ-ალრ. იყო იონიის სკოლის ექიმი.
11. მასოასძე—Mesue der jüngerer—ცხოვრობდა XI საუკ. დასაწყისში. ჩვ. წ. ა.
12. არბიასიოს, არჯიასიოს—Oribasius—326—423 ჩვ. წ-ალ. სახელგანთქ. ექიმი პერგამიდან.
13. მადანელი, მადაინი, მადაინური—Aëtius Amidenus—557 წ ჩვ. წ-ალრ.
14. თებით ყურა, თებით ყურაასძე—Thabeth ebn Korah—83ა წ. ჩ. წ-ალრ.
15. არხიჯანოს, არხიჯანის, არქელანის—Archigenes von Arareca—97 წ. ჩვ. წ-ალრ.
16. დავჯანის ამ ექიმის ვინაობა ჯერჯერობით არ არის გამოჩვენებული. როგორც ჩანს, უძველესი დროის საბერძნეთის ექიმი უნდა იყოს.
17. ჰუნან—Hhonain ebn Jshak 804—877 ჩ. წ-ალრ.
18. მესიაჲ, მითია—Mesu ältere—IX საუკუნის ცნობილი ნესტორიანელი.
19. იბნი მასა, იბნიმას—Aliben Abbas—ცხოვ. X საუკ. დაწერა El-melikhi სამეფო წიგნი, შეიცავს მთელ მედიცინას.
20. რუფოს, რუფას, როფის—Rufus ეფესიდან—97 წ. ჩვ. წ-მდე ცხოვრობდა რომში გამოჩენილი ეკლექტიკოსი იყო.
21. სინაასძე—Ebn Sina—980—1036 ჩვ. წ. ა. წ. წარმოიშობით ხორასნელი.
22. ისაკ, ისაყ—Jzak ben Soleiman el Jsraili—940 წ. ჩვ. წ-ალრ.

შიეძლება დაეფუშვათ ის აზრი, რომ წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სინაის ძის, იბნ სინას ანუ ავიცენას Ebn Sina-ს შესანიშნავ შრომას Kanun Fit Tib, რომელიც შეიცავს იმ დროინდელ საექიმო წესებს. მაგრამ ამ აზრის წინააღმდეგ დაპარაკობს ის რომ ჩვენ წიგნში ბევრგან იხსენიება ავიცენა—„სინაის ძე იტყვის“... მაგრამ შიეძლება დაუშვათ რომ მაშინდელ ავტორებს და მათ შორის ავიცენასაც ახასიათებდათ ნაშრომებში საკუთარი თავის მოხსენება, მაშინ რჩება ამ აზრის საწინააღმდეგო შემდეგი მოსაზრება: ავიცენას გამოჩენილი „კანონი“ დაწერილია ხუთ წიგნად, რომლის უკანასკნელი სრული გამოცემა ლათინურ ენაზე ეკუთნის 1531 წელს [Haeser: „История и Основы Медицины“, გერმანულიდან რუსულად ნათარგმნი 1885 წ., გვ. 79.]. ეს ხუთი წიგნი ერთი მეორის გაგრძელებაა და წინამდებარე წიგნი რომ ერთერთი წიგნის თარგმანა წარმოადგენდეს, მაშინ ნაწყვეტის, დაუთავრებელი წიგნის შთაბეჭდილებას დასტოვებდა, რაც სრულიად არ უდგება ჩვენს წიგნს, რომელიც წარმოადგენს მთლიან, დასრულებულ საექიმო სახელმძღვანელოს.

ერთი რამის თქმა კი გადაჭრით შიეძლება, სახელდობრ იმისა, რომ ჩვენი წიგნი დაწერილია ავიცენას „კანონის“ ზეგავლენით. მაშასადამე, ჩვენ წიგნის ავტორი უნდა ვეძიოთ ავიცენას შემდეგ, ესე იგი 1036 წლის შემდეგ.



ავიციენას, იბნ სინას შემდეგ არაბეთის ექიმთა სია მრავალრიცხოვანია, მგეტამ, ყველაზე სახელგანთქმული მათში ორია: ავენზოპარი — Avenzoar, Abu Mervan Jbn Zuhar და ავეროესი — Averröes, Ebn Achmed Ebn Roschd. ორივე მოღვაწეობდა XII საუკუნის მეორე ნახევარში. ავენზოპარი გარდაიცვალა 1162 წელს, ხოლო ავეროესი — 1206 წელს. იმ ამ ორ ავტორში ერთ-ერთს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი წიგნი. ესენი ჩვენ წიგნში არ არიან მოხსენებული.

პირველ მათგანს ამ ხასიათის წიგნი არ დაუწერია. ყველაზე ცნობილი ნაშრომი, რომელიც დარჩა ავენზოპარს, არის Altheisir [Faciliatio s. Adjuumentum]. იგი წარმოადგენს საპოლემიკო შრომას. აქვს კიდევ სადასტაქრო ხასიათის შრომები, ასე რომ ავენზოპარი ჩვენი წიგნის ავტორად ვერ ჩაითვლება.

მაშასადამე, რჩება ავეროესი, და მართლაც ამ სახელგანთქმულ აქიმს დარჩა შესანიშნავი შრომა „Kitáb el Kolliját“ [Liber universalis de medicina], რომელიც წარმოადგენს „სააქიმო წიგნს“ ანუ „წიგნი სააქიმო“-ს, როგორც ჩვენ წიგნს ვჭვნიან. არსებობს ამ წიგნის უკანასკნელი ლათინური თარგმანი, რომელიც ეკუთნის 1531 წელს [Haeser „История и Основы Медицины“ გვ. 79].

ავეროესის შესახებ ვიცით შემდეგი: ის იყო ქალაქ კორდოვადან (არაბეთის ესპანია). ის ასწავლიდა სააქიმო ხელოვნებას და ძალიან წარმატებითაც. მედიცინის გარდა, ასწავლიდა აგრეთვე ფილოსოფიას და იურისპრუდენციას. ავეროესის შესახებ არის შემდეგი ცნობა [იხ. „Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneykunde“ von Kurt Sprengel Halle 1800 წ. erst. Theil გვ. 442]. ერთხელ დიდ ხალიფას შეურაცყოფისთვის ძალით აიძულეს ე. ხოგრა კორდოვას ებრაელთა უბანში. ამის შემდეგ ავეროესი გაქცეულა ქ. ფეცში, ჩრდილოეთ აფრიკაში, და გარდაიცვალა მაროკოში 1217 წელს (Haeser-ს გარდაცვალებების წლად დასახელებული აქვს 1206 წ.)

ავეროესმა დასწერა „Kitáb el Kolliját“, რომელიც განირჩეოდა ღრმა სისტემატიზაციით. ეს წიგნი დაწერილია ავიციენას ზეგავლენით და, როგორც ჩანს, თავის დროზე სახელგანთქმული საექიმო სახელმძღვანელო წიგნი ყოფილა.

რასაკვირველია, ვიდრე წინამდებარე წიგნის არაბული დედანი ან იმის 1531 წლის ლათინური თარგმანი არ გვექნება ხელში და შედარება არ მოხდება, გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ეს წიგნი უსათუოდ ავეროესის „Kitáb el Kolliját“-ია, ძნელია — მაგრამ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით და თითონ ამ ორი წიგნის ხასიათისა და მოცულობის მიხედვით ჩვენ ჯერჯერობით იმ აზრზე ვჭერდებით, რომ წინამდებარე „წიგნი სააქიმო“ ეკუთვნის ავეროესს და წარმოადგენს მისი შესანიშნავი შრომის „Kitáb el Kolliját“ თავისუფალ თარგმანს, ანუ უკეთ, განკადებას ქართულ ენაზე.

მეორე კითხვა: როდის არის ეს წიგნი გადმოთარგმნილი ქართულად? რამდენადაც ძნელია ამ წიგნის დედნისა და ავტორის დადგენა, იმდენად ადვილია მისი ქართულად გადმოთარგმნის თარიღის დადგენა.

წინამდებარე წიგნი ასე იწყება: „ესე წიგნი სააქიმო ოდეს რუქანდან სულტანი ქარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს მუნით ალაფად მოიღეს ქრისტეს მიერ პატრონი ქუორდი დემან მისმან მწიგნობართ უხუცესობამან პროტოა უპერტიზოსმან და ვაზირთა ყოველთა უპიოველესმან კაცმან, გოხებაა მოზაემან, და საღმრთოთა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ხელისა მპყრობელმან უღონოთა და ქუროითამან ქართულად მათარგმნინა მე მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა“.

როდის მოხდა ეს ამბავი? დამსახურებული ისტორიოგრაფი პროფ. ივანე ჯავახიშვილი [„ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914 წ., გვ. 611.] აწერს:

„1206 წ. ქალაქი კარიც საქართველოს შემოუერთდა „აქამდისინ კარი თურქთა ჰქონდა. თამარ მეფემ წარავლინა ლაშქარნი გარე [მო] დგომად; ცნეს თურქთა დეადღეს კარი და ივლტოდეს“. მეფემ მტრისგან დატოვებული კარი დაიბჟრა და „ლაშქვენი“ კარის მცვენი ლად ახალციხელი ივანე“. ამის შემდეგ კიდევ სხვა „გარეშემონი ქუყყანანი“ წაურთმევიათ თურქებისთვის—ეს ანბავი ძალიან სწყენია საბერძნეთის სულტანს ნუქარდინს..

ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ [იხ. „ქართლის ცხოვრება“, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, 1897 წ., გვ. 463.]

„ესე არა ელმოდა საბერძნეთის სულტანსა მალალსა ჩარსლანის ძესა ნუქარდინს, რომელი უშიღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა, რომელი მსთავრობდა დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაბადღუკიასა ვიდრე პონტოს ზღვამდე. ესე იჩემებდა ზაკეით სიყვარულსა და გზავნიდა მოციქულთა მწვიდობისათვის მრავალყამ და ძღვენთა მშვენიერთა, ეგრეთუშ თამარ ჰყოფდა ნაცვალსა სახედ მოციქულთა წარავლენდა ძღვენთა, გარნა იგი ზაკეისა ჰჟარავდა და ფიცთა მიერ გამსტრობად მოსწრაფე იყო ამის საშეფოხსა. ამან მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპათა მისთასა და შეკრიბა კაცი ოთხმოცი ბევრი რომელ არს რეა ათასი“.

შემდეგ მოთხრობილია, რომ მესობოტამიას, კოლონეროთს, გალატიასა, ლანგარს, ანკურიას, ისაერიას, კაბადღუკიას, დიდსა სომხითს, მითენიას და სახლვარსთა ფეზლალონისათა შეუკრებია დიდძალი ლაშქარი, შემდეგ მისულა თურქთათანა, „რომელ არიან მხნე ბრძოლასა შინა და სიმრავლითა ვითარცა მკალნი. გინა ჭინჭველნი ამათ მისკა ოქრო მრავალნი და კვალად ნიჭნი დიდი ეს ოდენ ვიდრე ასი ათასი მბედარი შეკახული გამოიყვანა მათგან“.

იი ამ ლაშქრით შესულა კარნუ ქალაქში, გადმოუგდია საქართველოს მმართველი სალდუხის ძე და მართველად დაუსვა მ თავისი ძმა. შემდეგ წამოსულა სალაშქროდ საქართველოზე „და მოიწია ქალაქად სევასტიად და იწყო მუნ განმზადებად საომართი მანქანათა“. მაშინ წარძოვლენია მოციქული თამარის წინაშე და მოუწერია წიგნი, „რომელსა წერილ იყო ესე ვითარი“.

„შე ნუქარდინ სულტანი ყოვლისა ცისა ქვეშისა, უმაღლესი, მიმსვავსებული ანგელოსთასა, თანა მდგომი ღვთისა, მოვლენებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს ყოველი დიაცი რეგვენია, შენ გიბრძანებია ქართველთა აღებად ხრმლისა და ღვთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დახოცად მუსლმანთა და კვალად ნათესავსა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყნებური“ და სხვა...

ამ წერილის მომტანი ნუქარდინის მოციქული შეუყვანიათ თამართან და მიუღიათ დიდის პატივით. წერილის წაკითხვის შემდეგ გათამამებულ მოციქულს ახლა სიტყვიერად გასუცხადებია: „უკეთუ შეფემან თქვენმან დაუტოვოს სჯული, იპყრას სულტანმა ცოლად და უკეთუ არა დაუტოვოს სჯული, იყოს ხარჯად სულტანისა“.

ამ წერილის წაკითხვას და მოციქულის სიტყვიერ განცხადებას თამარის წინ ისეთი დიდი შთიბეჭდილება მოუხდენია, რომ „წამოდგა ზაქარია ამირ სპასილარი და უბეტენა ხელითა ბირსა, დაეცა და ვითარცა მკვდარი დაედვა“.

ამის შემდეგ შესდგომიან ლაშქრობის სამზადისი. „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა ნიკოლსიით ვიდრე დარუბაზდამდის და ბრძანება და წიგნები ქროდა“.

ჯარი ჯავახეთისკენ დაძრულა „და მიიწივნენ ნაბლობლად კარისა (კარნუ ქალაქისა) და დადგეს დღისა ერთისა სავალსა“.

იი აქედან გაუგზავნიათ საპასუხო წერილი სულთანისთვის. სულთანი, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენდა ქართველი მხედრობის ასე მალე ასე ახლოს ყოფნას—და ყოფილა „ნებიერად მდგომარე“ „და არა უდვა დარაჯნი სულტანსა“.





მაშინ დაუწყებიათ რაზმი ქართველებს ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით და მო-  
ულოდნელად თავს დასხმიათ ნუქრედინს „და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი და განგრ-  
ძელდა მყოვარ ეამ“ და „ვითარ მგელნი ცხოვართა ეგრეთ შეუტევდეს ურიცხვთა შათ სპა-  
თა სულტანისათა“.

ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა ნუქრედინ ანუ რუქანდანი სულთანი და გაიქცა.  
ქართველებმა მეორედ აიღეს კარნუ ქალაქი და აუარებელ დავლასთან ერთად წინამდებარე  
წიგნის დედანიც მაშინ ჩაუგდიათ ხელში.

პროფ. ივანე ჯავახიშვილი („ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეორე, ტფილისი,  
1914 წ., გვ. 615), ავოწმებს რა მემატინის ამ ცნობას, ასე ასწორებს, რომ რუქანდინმა  
„მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპისა მისსა და შეკრიბა კაცი ოთხხეოცი ბევრი, რომელ  
არს ოთხასი ათასი“. დანარჩენში მთლიანად ეთანხმება ამ ამბის სისწორეს და სწერს:  
„თამარ მეფის ცნობა ამ სახელოვან ომისა და რუქანდინის დამარცხების შესახებ მოთადა  
მტკიცდება ირანელ ისტორიკოსთა ცნობებით. ჰამდალაჰ ყაჩინი, მაგ. ამბობს: რუქანდ-  
დინი „გაემგზავრა აფხაზთა და საქართველოს (გურჯისტან) წინააღმდეგ, მაგრამ რაკი იგი  
ფრთხილად არ მოიქცა, დამარცხებულ იქმნა, რუმში (თავის სამფლობელოში) დაბრუნდა და  
უნდოდა ქართველებისათვის) შური ეგო, მაგრამ არ დასცალდა და 602 წ. ჰიჯრი (18 აგვის-  
ტო 1205 წ.—7 აგვ. 1206 წ.) გარდაიცვალა“ (ე. განტენის გამ. Tārikhē ghuzidē წ. 1,  
გვ. 344—345). შემდეგ განაგრძობს: „უფრო ვრცელი ცნობები პაუტკან მიერ შეგროვილს  
წყაროებში არის (Th. HSuthma Recueil de textes relatif à l'histoire des Seldjoucides) რუ-  
ქანდდინს მეშველად თურმე ჰყოლია მუხადდინი აბულისტანელი, სულტანის სიძე ფახრ-  
ადდინ ბაქრამ შაჰ ერზინჯანის მულობელი—აზრუმის მფლობელ ალა ადდინისათვისაც  
უთხოვნია დახმარება, მაგრამ ის არ მიჰშველებია. პირველ ბრძოლაში ქართველები დამარ-  
ცხდნენ, მეორეში კი საბოლოოდ რუქანდინი დამარცხდა, დროშა მიწაზე დაეცა, ფახრ-  
ადდინი ქართველებმა ტყვედ წაიყვანეს, რუქანდინი ახალ ლაშქრობისთვის ემზადებოდა,  
მაგრამ არ დასცალდა“.

მაშასადამე, კარი ანუ კარნუ ქართველებს ორჯერ აუღიათ, პირველად—1206 წ. ამას  
ადასტურებს აგრეთვე იბნ ალი ასისი, რომლის სიტყვითაც ეს მოხდარა 603 წ. ჰიჯ. ანუ  
1206—7 წ., და ვარდანიც, რომელიც კარის ალების თარიღად სდებს 1206 წ. (იხ. იქვე,  
გვ. 612) ამ პირველი ალების შემდეგ ამხედრებულა რუქანდანი სულთანი, რის შემდეგაც  
მოხდარა ზემოთ მოყვანილი ამბავი—რუქანდინის დამარცხება და კარნუს ხელშეორიდ აღე  
მა იმავ 1206 წ. 7. აგვისტოს.

აქედან ირკვევა, რომ წინამდებარე „წიგნი სააქიმოა“ 1206 წლის დამლევს არის მო-  
ტანილი ტფილისში და სასწრაფოდ შესდგომიან თარგმანს, ისე რომ ამ წიგნის ქართულად  
თარგმნის თარიღად დაახლოებით 1208—1210 წელი უნდა ჩაითვალოს, ესე იგი ამ წიგნის  
ხნოვანობა 724—26 წლით განისაზღვრება.

თითონ მთარგმნელის „ხოჯა ყოფილის“ შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით. „ხოჯა“  
იმ დროანდელი გაგებით მოძღვარსაც ნიშნავდა, მასწავლებელსაც, დიდებულსაც (საბა). ის  
კი ცხადია, რომ „ხოჯა“ საექიმო პირი უნდა ყოფილიყო; შეიძლება მასწავლებელიც იყო  
ან ყოფილი მასწავლებელი, მაგრამ რომ ის უსათუოდ ქართველი იყო; ეს ეჭვს არ იწვევს,  
იმიტომ რომ ასე ზედმიწევნით ცოდნა ქართული ენისა, ზნეჩულებისა, ყოფისა და სხვა  
წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი დასაჯერებელია. სხვათაშორის, პროფ. ალ. ხახანაშვილი  
[იხ. „Очерки по истории Грузинск. словесности“ вып II Москва, 1895 г. გვ. 318.]  
სწერს: „თამარ მეფის დროს ეკვთნის კარაბადინი, რომელიც დავლად იყო წამოღებული  
კარნუ ქალაქის მახლობლად დამარცხებულ რუქანდანი სულთანის გატყვევის შემდეგ და რო-  
მელიც გადმოთარგმნილ იქნა ქართულად მწიგნობარ დეკანოზ ანტონის მიერ“. რაზედ  
ამყარებდა პრ. ხახანაშვილი ამ მოსაზრებას, სამწუხაროდ, არა სჩანს; მოსაზრება ჯერჯერო-  
ბით საბუთად ვერ ჩაითვლება.



მაგრამ ვთქვათ, რომ ის პირველი ფურცელი, სადაც მოყვანილია კარნუ ქალაქის აღ-  
ბისა და ამ წიგნის დავლად ჩაგდების ამბავი, დაკარგულიყო შეგვეძლო ტექსტის  
მიხედვით აღგვედგინა ამ წიგნის ქართულად გადმოთარგმნის თარიღი? შეგვეძლო, თუ შევა-  
დარებთ ამ წიგნის ენას მეთორმეტე საუკუნის სხვა ნაწარმოების ენას.

ენახოთ. XII საუკუნის ნაწარმოებად უდაოდ მიჩნეულია „ვეფხისტყაოსანი“. წინამდე-  
ბარე წიგნისა და „ვეფხისტყაოსნის“ შედარებამ გამოაჩინა შემდეგი.

ამ წიგნში: „ქართულად მათარგმნინა მე მიწასა მათსა ზოჯაყოფსა“.

„ვეფხ-ტყაოსანში“: „მიწამცა თქვენი აეთანდილ თქვენ წინა მშვილდოსანია“  
(სტროფი 69. კ. ქიქინაძის გამოცემა).

„მიწამცა თქვენი აეთანდილ ისმინეთ გიწერ მე რასა“ (სტრ. 181.)

ამ წიგნში: „საარი, ბედაჟქანი მტერთა დაცემაჲ ქართულად“ (Epilepsia) (თავი  
„მპ“).

„ვეფხ. ტყაოს“: „სრულნი ზუკრნი და მულბინი მე გარეშემო მცვიდიან,  
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფნი ყოველნი იკითხვიდიან.

ამ წიგნში: „მტერ დაცემული ვეგონე, არ ვიცი რას აჩმახვიდიან“ (სტროფი 393).  
„თუ სინგური, სპეტო, მელანი და ამარტაჲ თვითოჲსაგან სწორი აი-  
ღონ და წმიდად გავაღონ“. (თავი „ა“).

„ვეფხ. ტყაოს“: „ზე წამოჯდა ფერ მიბდილი, აყოლებდა თვალთა რეტად,  
ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად“ (სტრ. 542)  
საგულიანზოა. რომ სპეტო არსად შემდგომ საექიმო ხელთნაწერებში  
აღარ გვხვდება აღბად სახელი შეიცვალა.

ამ წიგნში: „წარითხანა ედგას და თუ მტერი დაემართოს, გახსნას იგი“ (შესავალში“).

„ვეფხ. ტყაოს“: „იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო ვატენილი, ჰპოვეს ერთი ზარა-  
დხანა აჯრისათვის სახლად ქმნილი“ (სტრ. 1432).

ამ წიგნში ბევრგან იხმარება „არღაენის ფერი“. მერმინდელ  
სააქიმო ხელთნაწერებში ჯერ არ შეგვხვდრია.


„ვეფხ. ტყ.“: „ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემლნი ალამნეს, სამთავე  
ლაწვთა ალამნი არღაენის ფერად ალამნეს“ (სტროფი 1002).

კიდევ მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც ნათელია, რომ  
„ვეფხისტყაოსანის“ ენა და ამ წიგნის ენა ერთი და იგივეა. რომ ერთივე და მეორევე ერთ  
ეპოქაშია დაწერილი.

შემდეგ, თუ ამ წიგნს შევადარებთ XII საუკუნის სხვა თარგმანს, სახელდობრ ნემესიოს  
ემესელის „ბუნებისათვის-კაცისა“-ს რომელიც ყველგან საექიმო ფილოსოფიურ ნაწარმოებად  
არის მიჩნეული და გადმოთარგმნილია ქართულად გამოჩენილი ფილოსოფოს ნეოპლატონ-  
ნიკს იოვანე პეტრიწის ანუ პეტრიწონელის მიერ XII საუკუნის პირველ მეოთხედში [იხ. ს.  
გორგაძე: „ნემესიოს ემესელი ბუნებისათვის კაცისა“, ტფილ., 1914 წ.,] დავინახავთ რომ  
ამ ორი ხელთნაწერის ენის ფონეტიკა და მორფოლოგია თითქმის ერთი და იგივეა. განს-  
ხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წინამდებარე წიგნის ენა უფრო, საეროა უფრო ხალხურია,  
და ეს გასაგებიც არის თუ მხედველობაში მივიღებთ საექიმო ხასიათის წიგნის დანიშნულებას.

მეტრე შეიძლება ითქვას: ს. გორგაძის მიერ ნაჩვენები ფონეტიკური თავისებურებანი,  
მორფოლოგიური უსწორმისწორობანი და არქაული ჯგუფის „უი“-ს და „უც“-ის ხმარებაც  
კა წინამდებარე წიგნში ისევე გვხვდება, როგორც ნემესიოს ემესელის წიგნის თარგმანში  
მაგ: „ლუინო“, „სხუითა“, „ძუირი“... ან კიდევ ჯგუფი „შეტყუებაჲ“, „ყუღლითაჲ“, „ყუღელას-  
თანაჲ“ და მრავალი სხვა... ამგვარი ნიშნების შედარებას რომ მივყვეთ, ნათლად დავინა-  
ხავთ, რომ ეს ორი წიგნი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ეპოქაშია დაწერილი —  
ეს ეპოქა დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქაა, საქართველოს ისტორიაში პო-  
ლიტიკურ-კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ეპოქად, „ოქროს“ ხანად მიჩნეული.





1. ბარის თავი, 2. ბარის თავი რქებზეა ჯობით და ჯერით, 3. სამკლავის მულთათმანი ქარსკლავით, 4. დიდი თიარა ჯვრით  
თაბზე, 5. წრივ და შიგ. ვეშაპი, 6. ნულის მადგარი ცხიველი გვირგვინით, 7. წიკ წიკ, ლახით, 8. იხვის მსგავსი ფრინველი  
თაბზე კანით მ. ვაზა ყვავილით, 10. ბარის თავი რქებზეა ჯობზე გველით.



ამგვარად გამოირკვა შემდეგი: I. წინამდებარე „წიგნი სააქიმოა“ს დედანი დაწერილი არაბული ენაზე არა უადრეს XI და არა უგვიანეს XII საუკუნისა. მარჯვლად ქართულად გადმოთარგმნილია ხოჯა ყოფილის მიერ XIII საუკუნის დასაწყისს და პ. შკანსკენლად გადაწერილია XIV—XV საუკუნის ფარგლებში.

ეხლა ვნახოთ, როგორი ხასიათისაა თარგმანი და რას ნიშნავს „გადმოთარგმნა“ ძველი ქართული სიტყვის გაგებით.

ჩვენი სახელგანთქმული ლექსიკოგრაფი სიბა-სულხან ორბელიანი (იხ. ლექსიკონი, გამოც. რ. ერისთვის რედაქციით 1884 წ.) ასე განმარტავს ამ სიტყვას: „თარგმანი — იგაფიანი სიტყვის განცხადება“, ესე იგი უცნობი ანდა გაუგებარი ზამის განცხადება, ახსნა.

ამ წიგნში ბევრგან არის ეს სიტყვა ნახმარი. მაგალითად, თავი „ა“ ასე იწყება: „იციოდე რომელ უფროინანი აქიმნი, ეგეთნი რომელ არა იციან ძალი აქიმობისა და ნიეთი და თავისადა აქიმი დაურქუამს სახელად, და თუ ჰკითხო თუ აქიმისა თარგმანი რაა არსო, არ იცის“. ვასაგებია, რომ აქაც განცხადებაზე, ახსნაზეა ლაპარაკი.

ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, შოთასაც აქვს ნახმარი [ვ. კიკინაძის რედ., სტრ. 9]: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით სარგალიტი ობოლი ხელხელ საკოგმანები ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ექენ საკოქმანები“.

19-4/IV-406

თავისთავად ცხადია, რომ „ქართულად ნათარგმანები“ აქ ნიშნავს უცხო ამბის ქართულად განცხადებას და სხვას არაღერს.


იმის დასამტკიცებლად, რომ თარგმანება ძველად არ ესმოდათ ისე, როგორც დღეს გვესმის, შეიძლება კიდევ ითქვას ის, რომ თარგმანის დღევანდელი გაგებით ძველად სხვა სიტყვას ხმარობდნენ, სახელდობრ „გადმოწერას“. მაგალითად, ხელთნაწერი № 758 (სახ. მუზ. პალ. განყ. საისტ. ფონდი) იწყება ასე: „სახელითა ღვთისათა ესე წიგნი სპარსითგან გარდმოწერილი არის თულად მარგალიტისა და სახუათა მარავალთა საჯავაროთა, სინჯეს თულადობისა ფასისა და ხასიათისა განაჩენისა — მეცნიერთა და შეწყობთა კაცთაგან ნათქმნი და დაწერილი ხელმწიფეთა სალაროთა შიგან სადებლად. ვინცა ამა განაჩენსა გაჰყვეს როსელითაცა რიგითა გამოჩეული და დაჟანსებული არის, იგი არა დაზიანდების. თორმეტი კარი არს და თორმეტსა სახელმწიფოთათვის თქმული არს“.

მთელი ხელთნაწერი აშკარად გვიჩვენებს, რომ იქ არაფერია ქართული, თითონ სიტყვებიც კი ირანული გამოთქმით არის დაწერილი, როგორც „სახუათა“, „მარავალთა“ და სხვა... წინამდებარე წიგნი კი შეიცავს სუფთა, დახვეწილ ქართულს როგორც გამოთქმებით, ისე წყობით.

რასაკვირველია, ვიდრე დედანი არ გვექნება ხელში და არ შევადარებთ, ძნელია იმის თქმა, თუ რა არის შიგ ქართველი ავტორისგან შეტანილი. მაგრამ ამ თავით იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ თარგმანი ძალიან თავისუფალი უნდა იყოს. მაგალითად, თავში „ბ“ ეკითხულობთ: „ამ ძარღვებს გაყოფა სამი ძარღვისგან აქეს ყიფლისაგან, აქქალისაგან და ბასალიკისაგან, თეთოსა ამათგანსა 122 ძარღვი აქეს მოკიდებული, ესე დიდრონი ძარღვი მტკეპარსა ჰგვანან და იგი წვრილნი რუთა“. აქ საგულისხმოა მსხვილი სისხლის ძარღვების მტკეპართან შედარება, რაც თარგმანის ზედმეტად გაქართულებას გულისხმობს. არაბულ დედანში ეს ადგილი, რასაკვირველია, სხვანაირად იქნებოდა.

დაკვირვებული მკითხველი ამის გარდა ბევრ ნაცნობ ადგილს ნახავს, ისეთს. რაც ჩვენ ხალხში დღესაც არის დარჩენილი, და შეუძლებელია ყველაფერი ეს არაბებსაც ჰქონოდათ ან და წიგნიდან იყოს ხალხში შესული.

ვიდრე ტექსტის ანალიზს შევეუდგებოდეთ, აუცილებლად საჭიროა კიდევ ერთი საკითხის გარკვევა, რასაც, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართულ სააქიმო ძეგლების შემდგომი კვლევისათვის. მით უმეტეს ამ საკითხზე გადაჭრილი და დასაბუთო-



ბული აზრი ჯერ არავის უთქვამს. სახელდობრ—რას ნიშნავს სიტყვა **კარაბადინი** და წინამდებარე წიგნი არის თუ არა **კარაბადინი**?

ამ ხელთნაწერის პირველი ანწერი ექვ. თაყაიშვილი მას **კარაბადინს** ეძახის და ამ სიტყვას ხსნის ასე: „საჭიროა შევნიშნოთ, რომ სიტყვა **კარაბადინი** ჩვენ სამკურნალო წიგნში არა გვხვდება. წიგნს ჰქვია „წიგნი სააქიმოა“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სიტყვა **კარაბადინი** შემოვიდა ხმარებაში შემდეგ დროს; ეს სიტყვა ენათესაება რუსულ სიტყვას „Чернокнижие“-ს, რადგანაც „**კარა**“ თათრულად ნიშნავს შავს. თაყაიშვილი იმომეებს ბერძენიშვილს (Н. Берძენов, „О Грузинской медицине“, Кавк. календарь, 1857 წ., გვ. 473). და დასძენს: „თუ ეს განმარტება მართალია, მაშინ ეს სიტყვა სრულიად არ უდგება ჩვენ საექიმო წიგნს, რადგანაც „Чернокнижие“-ს ქვეშ იგულისხმება ისეთი წიგნი, სადაც მედიკური ცნებანი არეულია ხალხურ ცრუმორწმუნეობასთან, ჩვენი სამკურნალო წიგნი კი თავის შინაარსით, მასალის განაწილებით და მკაცრი სისტემით წარმოადგენს თავის დროსთან შედარებით სავსებით მეცნიერულ წიგნს“ (Е. Такашვილი: „Опис. рук. Общ. расп. Граж. среди Грузин“. 1902 წ., გვ. 643).

ამ ამონაწერიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ე. თაყაიშვილი არ ეთანხმება ნ. ბერძენიშვილის აზრს მხოლოდ ამ წიგნის მიმართ, საერთოდ კი დასაშვებად სთვლის დაეთანხმოს. თითონ ნ. ბერძენიშვილი სწერს: [იხ. „Кавказск. Календарь“, 1857 წ., გვ. 479]: „ქართველმა ავტორმა (იოანეზეა ლაპარაკი) დაინახა საჭიროდ შეერთებინა ისინი (საექიმო და სააფთიაქო) ცნობანი ზოგად სახელწოდების—**კარაბადინის** ქვეშ; არ არის მხოლოდ ცნობილი, თუ რომელ ენიდან აიღო ეს სახელწოდება, ზოგნი მას სთვლიან ძველ არაბულად, სხვანი თათრულად და ზოგნიც ბერძნულად. მეორეთა აზრი შედარებით მართალია; „**კარა**“ თათრულად ნიშნავს შავს; სიტყვის მეორე ნაწილი კი, როგორც ჩანს, უნდა იყოს საკუთარი სახელი პიროვნების ან ადგილმდებარეობის. ჩვენ ძალიან გაბედულ პიპოტებაში არ ჩავარდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს სიტყვა შეიძლება წარმოშობილიყო იმავე პირობებში ვაფლენით, როგორც რუსული სიტყვა „Чернокнижие“.

ნ. ბერძენიშვილის ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. ალ. ხახანაშვილიც (იხ. „Очерки по ист. Груз. слов.—вып. I“, მოსკოვი, 1895 წ., გვ. 304): „წიგნი **კარაბადინი**, როგორც ამას წიგნის პირველი ნახევარი გვიჩვენებს, არის რაღაც რუსული „ჩერნოკნიჟიე“-ს მაგვარი, ანუ შეერთება საექიმო წესებისა ხალხურ ცრუმორწმუნეობასთან“.

არა ნაკლებ ორაგინალურ აზრს გამოთქვამს ექ. ა. იაშვილი. ამ საკითხის ირგვლივ იკა სწერს: „სიტყვა **კარაბადინი** არა ქართული წარმოშობისაა და მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ჯერ არ არის ცნობილი. „**კარა**“ თათრულად შავია, „**დინ**“ დაბოლოვებაა ბევრ მუსლიმანური გვარის და სახელისა; შეიძლება **კარაბადინი** გვარია ან სახელი ავტორისა, რომელმაც პირველად დაწერა პოპულიარული სამკურნალო წიგნი“.

მამასადამე, მხოლოდ ორი შეხედულება არსებობს ამ საკითხზე, ერთი ნ. ბერძენიშვილისა, რომელსაც ემხრობა პროფ. ალ. ხახანაშვილი და ნაწილობრივად ექვ. თაყაიშვილიც, მეორე ექიმო ა. იაშვილისა, ამ ორი შეხედულების გარდა, ამ საკითხზე ჯერჯერობით მესამე აზრი არ არსებობს.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმებოდით ვერც ერთის და ვერც მეორის აზრს და შევეუდექით ამ მეტად საჭირო საკითხის სპეციალურ კვლევას, რაღაც შემდეგ დასკვნამდის მიგვიკვანა: ვინც გულდასმით შეისწავლის ძველ საექიმო ხასიათის ხელთნაწერებს, ის აშკარად დაინახავს, რომ ეს ხელთნაწერები გაიყოფება ორ ჯგუფად, პირველი ჯგუფი ეს არის სააქიმო წიგნები, მეორე—**კარაბადინები**.

სააქიმო წიგნები შეიცავენ, ვრცლად თუ მოკლედ, ზოგად საექიმო საკითხებს, როგორც არის ანატომია, ფიზიოლოგია, პიგიენა, დიეტეტიკა; შემდეგ ავადმყოფობებს, მათ კლასიფიკაციას, მკურნალობას; შიგნით მოცემული წამლების დამზადება და სხვა.



კარაბადინები კი შეიცავენ მხოლოდ ავადმყოფობის სახელწოდებას ანუ მისეულ მკურნალობას და წამლეულობის დამხადების წესებს. ზოგჯერ კარაბადინში შედის ისეთი რამეც, რაც ექიმობას არ შეეხება, მაგალითად, კარაბადინი ხელთნაწერი № 2157 (საისტ. ფონდი) შეიცავს ასეთ რამეს:

- თავი ვ. წერილის ასოსი.
- თავი ზ. მელნის წინწყალი [როგორ ამოიყვანო ქაღალდიდან].
- თავი ც. უხილავი მელნის გაკეთება.
- თავი თ. წებოს გაკეთება.
- თავი ი. ტყუილის მელნის გაკეთება.
- თავი ია. ხის გაშავება.
- თავი იბ. ძვლის დაღობობა, და სხვა

რას წარმოადგენს „სააქიმო წიგნი“ თავის შინაარსით და მოცულობით, ამას ნათლად გვიჩვენებს წინამდებარე წიგნი. ამ ხასიათის წიგნი ბევრი გვაქვს, მათ შერცდომით აწერია კარაბადინი.

კარაბადინი თავისი პირვანდელ სახით ჯერჯერობით არა ჩანს. ყველა არსებული კარაბადინი ვადამწერებისაგან თუ შინაური მკურნალუბის მიერ საგრძნობლად არის შერყენილი; ბევრ მათგანში პრავლად არის შეტანილი საექიმო წიგნებიდან გამოკრებილი ცნობები, ან კიდევ ხალხური მკურნალობა, ამასთან ისე უსისტემოდ და არეულად, რომ საგრძნობლად უკარგავენ წიგნს თავის პირვანდელ სახეს.

ამგვარ კარაბადინის ტიპად შეიძლება მივიჩნიოთ, ჩვენის ახრით, კარაბადინებში ყველაზე უძველესი „მწერელ აბრამის“ კარაბადინი, ხელთნაწერი № 916 (საისტ. ფონდი), რომელიც დაწერილია ხტურის ასოებით. იგი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIV საუკუნეზე მერმინდელი არ უნდა იყოს. ეს კარაბადინი შესდგება სამი ნაწილისაგან!

ნაწ. I შეიცავს ასტრონომიულ და გეოფიზიკურ ცნობებს, მაგ.: „უკეთუ იყოს ზედნადები „გ“ მას წელსა იყოს ზამთარი ტუილი და მოკლე, გაზაფხული ეამიერად ხმელი და მერმე ნოტია, ზაფხული შეზავებული, ხილი და ყოველი ნაყოფი იათად იყოს მათაა შინა, ყოველი ნაყოფი კეთდეს, ხოლო ბარნი ნაკლულად, თივა ზომად, სთუელი ხმელი და გრილი. იანეარსა „იდ“ დაბნელდეს მთოვარე“.

„უკეთუ იყოს ზედნადები „იდ“, მას წელსა იყოს ზამთარი თოვლიანი, ყინვა ფრიადი, ზამთარის სიცივებმან ავნოს იფქილთა და ქრთილთა, ხოლო ბართა მთანი სჯობდნენ, გაზაფხული მოხმელე შუა ზაფხულიდგან, სთველი ნოტია, ნაშრომი სწორისა ზედა იყოს. მაიასა დაბნელდეს მთოვარე“, და სხვა.

იქვე დართული აქვს „კალანდრაჲ თქმული ეზრა წინასწარმეტყველიაა მართალი და ქეშმარიტი“ კვიმატი დღეების აღწერით.

ნაწილი II. „კარაბადინი მართალი და ქეშმარიტი“. მაგ.: „ძნელად შობისათვის—სვე მოხარზე და ასვი და თუ გაუძნელდეს ვერცხლის წყალი ასვი“.

„ვის მძოვარი სჭირდეს თავსა ანუ იმა წვერსა, შავის ცხვრის კლიკი დაწვი და ზეთითა გაადგინე და დასცხე“.

„ვის თვალთა ცრემლი სდიოდეს დედაკაცისა სძე გაათბევ და უწოვე, მისთვისვე პიტნი დინაყე გამოწურე და უწოვე“.

„ვის თვალთა ნისლი ეფარებოდეს კაპოეტის თევზისა ნავლელი თვალში ჩაუდევ“ და სხვა.

ამ სტილით ჩამოთვლილია თითქმის ყველა ავადმყოფობა და ყველა მათთვის მოძებნილია სათანადო მკურნალობა.

ნაწილი III. „იწყების წმინდაჲ ავგაროზი ნებოთა ღვთისათა მკურნალი სენთა და საღობოთა ეშმაკთაი და სულთა ბოროტთა და არა წმიდათა“.

ამ ნაწილში პირველად მოყვანილია სახარება იოანესი: „პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისა“.  
სახარება მათესი: „მას ეამსა შინა მივიდა იესო სახლსა პეტრესა და იხილა სი-  
დედრი პეტრესი.

სახარება ლუკასი: „მას ეამსა შინა შევიდა იესო კაპერნაუმს...“ და სხვა. შემდეგ მისდევს „ეპისტოლე, რომელი მიუწერა იოჰანსა ღვთის ქალაქსა ავგაროზ მთავრისა“. „ავგაროზ მთავრი ქალაქისა ედესიისა, იესო მაცხოვარი სახიერისა ქალაქისა იერუსალიმისა გახარებ...“ და სხვა.

შემდეგ მოყვანილია:

- ა. ლოცვა ქრისტესი და გიორგისი.
- ბ. ლოცვა ალისაჲ ეშმაკისაჲ მშობიარესა ზედა.
- გ. ლოცვა უფსმელობისაჲ—ლოცვა უფსმელობისაჲვე.
- დ. ლოცვა თვალისაჲ (თვალნაკრავისა).
- ე. სხვაჲ ლოცვაჲ მჯდომისაჲ.
- ვ. ლოცვაჲ ბედნიერისაჲ.
- ც. სხვაჲ ლოცვაჲ მტერ დაცემულისა და ქაჯიანისაჲ.
- ხ. ლოცვაჲ სნეულისა ზედა.

შემდეგ მოყვანილია ლოცვა „მრწამს ერთი ღმერთი“... (მორიანად)

ეს ხელთნაწერი წარმოადგენს იმის საუცხოვეო ნიმუშს, თუ როგორ არის აქიმობა და რელიგია, მაგიური, წარმართული მედიცინის ნაშთები და ასტრონომია, იმ დროინდელი გაგებით, ერთმანეთთან შეგუებული, ერთი მანძის ირგვლივ; ეს მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ყოველგვარი ატმოსფერული ცვალებადობისაგან, ეშმაკთა, სულთა ბოროტთა და არა წმინდათაგან და აგრეთვე ყოველგვარი ავადმყოფობისაგან, რომელიც გატარებულა იმავე რელიგიურ—მაგიურ რწმენათა პრიზმაში.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხელთნაწერის დედანი ბევრად უფრო ძველია წინამდებარე წიგნზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვა კარაბადინს, რომელიც უსათუოდ მერმინდელი შეტანილია, და ქრისტიანულ ლოცვებს, რომლებიც აგრეთვე შემდეგ არის შეტანილი, ეს ხელთნაწერი უძველეს წარმართულ ხანაში გადადის და სატაძრო მედიცინის კვალის საუცხოვეო მაჩვენებელი და დამადასტურებელია.

ავილოთ მაგალითად, ლოცვა თვალისაჲ: „გამოვიდა კაცი შავი კლდითა შავითა, გამოიყვანა ცხენი შავი, აუღვა ლაგამი შავი, შედგა უნაგირი შავი, აჭირა საჭირებელი შავი, შეჯდა კაცი შავი, გაემართა გზათა შავთა, მოდიოდა წყალი შავი, მოჰქონდა გველი შავი შთაყო მათრახი შავი, ამოიღო გველი შავი, გარდაჰქიდა ლოდსა შავსა, შთაყო ხელი შავი, ამოიღო დაშნა შავი, ტარშავი პირპოლოტიკი, გაკვეთა გველი შავი, გამოართო ცმელი შავი, აყარა მარლი შავი, დასდვა თვალსა მთვალავსა გულსა მზაკვარსა და მავნე გულსა წამალმცა და მარგებელ არს შეწევნითა ქრისტესათა“.

ან კიდევ: „აწ სკვე ქვა იდვა ქვედანი, ქვასა ქვეშე გველი ჯდა ჯარკვალი (მაგნებელი) კოხენები ასპიტი, ერთი თვალი ედგა წყლისა და ერთი ცეცხლისა, გასქდა წყლისა და გარდაესხა ცეცხლისასა და დაშრიტა, ეგრეთვე დაშრტეს თვალი მთვალავი, გველი მზაკვარი და მაგნე“.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც აშკარად ჩანს, თუ როგორ სცდილობდა მაგიური თქმით იმ დროინდელი უძღური ადამიანი ავადმყოფობის თავიდან არიდებას, რასაც იგი ბოროტ და მავნე სულთა განრისხების შედეგად სთვლიდა. ამიტომ არის მაგიური მედიცინა უძველესი, პირველყოფილ ყოფასთან და რწმენისთან დაკავშირებული.





როცა არსებული ძეგლების მიხედვით, საქართველოს მედიცინის ისტორია დაიწერება, მაშინ ეს საკითხები უფრო დეტალურად იქნება შესწავლილი და დამუშავებული. ჯერჯერობით ამით დაეკმაყოფილდეთ და დავუბრუნდეთ საკითხს, თუ რას ნიშნავს სიტყვა კარაბადინი და როდის და რა გზით შემოვიდა იგი საქართველოში.

ქართული კარაბადინების შესწავლამ ცხადყო, რომ კარაბადინი თავის პირველ მნიშვნელობით საექიმო წიგნი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სააფთიაქო წიგნი, რომელიც შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს, როგორც დღეს ფარმაცოპეია.

შემდეგში ამ წამლების დამზადების წესებს მიუმატეს სახელწოდებანი იმ ავადმყოფობებისა, რომლებს წინააღმდეგაც იხმარებოდა ესა თუ ის წამალი. ასე რომ თანდათან კარაბადინი იქცა მარტივ, პოპულიარულ საექიმო წიგნად.

თუმცა მათში ბევრია ისეთიც, რომელშიაც აშკარად გამოსკვივის ამ წიგნის პირვანდელი სახე. ასეთია, მაგალითად, ხელთნაწერი № 343 (საისტ. ფონდი):

- „კარი მეთხუთმეტე— გასახსნელ წვრილ წამლებს გაიმბობს“.
- „კარი მეთექვსმეტე— იარაჯების გასახსნელსა და სხვა სენების წამალთ გაიმბობს“.
- „კარი მათხუთხუთისა რომელ სხვისა და სხვის სენებია წამალთ გაიმბობს“.
- „აწ მულაბის ვითარებას გაიმბობს“.
- „კარი „იწ“— ლოყიათა, რომელნი არიან სალოკავნი თითთა, რომელნი ერგებიან ყოველთა ტკივილთა და საღმობათა“.
- „კარი „ით“— ამისა რომელ არს მარცვლები და ჰქვიან აბი და ერგების ყოველთა ტკივილთა“.
- კარი „კა“— ყურსების ნიშანი, არგებს ყოველთა დახსნილობასა გულთათა“
- „კარი „კბ“— ტლევების ვითარებასა გამცნობს“.
- „კარი „კვ“— მაჯუნებისა და თრიაქებისა ჯავაშირებისას გამცნობთ“.

ნათელია, რომ აქ წამლეულების დამზადებასთან გვაქვს საქმე. და თუ ამავე კარაბადინში მოთხრობილია „პირის სიმყრალდაათვის“, „კაცი რომ სისხლს ადუფებდეს“, „თავის ტკივილის წამალი“, „ტილისა და ქვეშ ფსმის წამალი“ და სხვა, ვფიქრობთ რომ წამლეულის დამზადებისა და პოპულიარული მკურნალობის ეს შეერთება მერმინდელია.

სწორედ ამ გარემოებამ საშუალება მისცა ყველას, ექიმსაც და არა ექიმსაც, თავისი დაკვირვება და ხალხისგან აღებული სამკურნალო საშუალებანი შეეტანა შიგ, რამაც ბევრი კარაბადინის შინაარსი გასაოცარ ფანტასტიკრობამდის მიიყვანა.

აი ამ გაგებით კარაბადინების მკურნალობა ბევრად უფრო ხალხურია, ვიდრე „სააქიმო წიგნების“, რომელნიც უფრო მეცნიერულ ხასიათს ატარებენ და გულმოდგინედ იცავენ ძველი მედიცინის კორიფეების— იპოკრატის, გალენის, ავიცენას და სხვა ძველ ექიმ ფილოსოფოსთა სამკურნალო იდეებს.

წინამდებარე წიგნი საუცხოვო ნიმუშია ამგვარი „სააქიმო წიგნისა“, რომელიც თავისუფალია ყოველგვარ ფანტასტიკისაგან, ცრუმორწმუნოებისაგან და შეიცავს დამწერლობითი მედიცინის მკაცრ სისტემას, რომელიც მთელი წიგნის მანძილზე არსად არ ილუნება ამას შეამჩნევს ყველა, ვინც გულდასმით გადაიკითხავს ამ წიგნს.

მაშასადამე, კარაბადინი თავისი პირვანდელი გაგებით სააფთიაქო წიგნი იყო და შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს.

აი რას სწერს ამის შესახებ ძველი მედიცინის და არაბული მედიცინის გამოჩინებული მკოდნე Kurt Sprengel'-ი [ob. Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneikunde v. K. Sprengel, გვ. 347., II ნ., Halle, 1800 წ.] რადგანაც ავტორის აზრს გადაამკრელი მნიშვნელობა აქვს, მოვიყვანო მას გერმანულად:



„Unter dem Namen Krabadin (قربادين) lieferte ein Vorsteher der Schule zu Dschondisabur, Sabor ebn Sahel, in der letzten Hälfte des neunten Jahrhunderts das erste Dispensatorium, welches in der Folge öfter nachgeahmt wurde. Besonders berühmt wurde in Zwölften Jahrhundert das Krabadin des Abul Has-an Hebatollah Ebn Talmid, eines christlichen Bischofs und Leibarztes der Khalifen zu Bagdad. Dieses Werk diente in der Folge den arabischen Apotheken zur Norm.“

აქედან ნათელია, რომ სახელწოდება კარაბადინი პირველად შემოსულა არაბეთში IX საუკუნის მეორე ნახევარში და ეკუთნის საბორობანსა და სავაქელს, რომელიც ჯონდიხაბურის (ქალაქი იყო არაბეთში) საექიმო სკოლის ზედამხედველი ყოფილა. მას ეს სახელწოდება მიუკია პირველ დისპენზარორიუმისთვის, რომელიც წამლეულის განმანაწილებელი წიგნი იყო და წამლეულის დამზადების წესებს შეიცავდა.

შემდეგ, XII საუკუნეში, განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა აბულ ჰასან ჰებატოლას ბანს თალმიდის კარაბადინი, რომელიც შემდეგში სანიმუშო ყოფილა არაბეთის ყველა აფთიაქისათვის.

მაშასადამე, კარაბადინი არაბული სიტყვაა და ნიშნავდა ფარმაკოპეიას ანუ წამლეულის დამზადების წესების შემცველ წიგნს.

თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოსა და არაბეთს შორის IX—X საუკუნეში მჭიდრო ურთიერთობა იყო როგორც სამხედრო ისე საეკონომიკურ-კულტურული, უნდა დავუშვათ, რომ კარაბადინი ჩვენში შემოტანილია X—XI საუკუნეში. თუ რასი წრადით შემოდიოდა ჩვენში არაბეთის მეცნიერული მიღწევანი, ამას, სხვათა შორის, წინამდებარე წიგნიც ამტკიცებს, რომლის არაბულად დაწერიდან ქართულად გადმოთარგნამდე სულ რაღაც 40—50 წელიწადი უნდა იყოს გასული.

ამავე საკითხის შესახებ ექ. ოვანესოვი თავის წიგნში [„История Медицины в Армении“, Эриван, 1928 წ., გვ. 55] სწერს: „უდავოა, რომ ყველაზე ღირსშესანიშნავ განყოფილებას არაბულ ნედრიცინაში წარმოადგენდა წამალთმცოდნეობა, რომელიც შეიცავდა ფარმაკოპეიას ფარმაკოლოგიით და რომელსაც ეწოდებოდა „აბრაბადინი“. ეს წიგნი შეიცავდა მოძღვრებას თითქმის ყველა წამლეულის შესახებ, მათი სხვადასხვა თვისებების აღწერით, აგრეთვე მათი დამზადების წესებს, დოზირებას, აგრეთვე მათ სამკურნალო ზეგავლენას სხეულზე“.

თუ შევადარებთ ექ. ოვანესოვის აზრს გერმანელი მეცნიერის Kurt Sprengel-ის ზემოთ მოყვანილ განმარტებას, დავინახავთ, რომ ექ. ოვანესოვი სწორე აზრს გამოსთქვამს ამგვარი წიგნის შინაარსის შესახებ, მაგრამ ერთ შეკდომას უშვებს—რომ არაბულად ამ ხასიათის წიგნს „კარაბადინი“ ერქვა და არა „აბრაბადინი“. აბრაბადინი ირანულია. მაშასადამე ძველ სომხეთში ეს წიგნი ირანიდან არის შესული ირანული სახელწოდებით.

აქედან ირკვევა, რომ ამ ხასიათის წიგნებს ირანულად და სომხურად „აბრაბადინი“ ჰქვიან, არაბულად და ქართულად კი—„კარაბადინი“, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ეს სიტყვა უშუალოდ არაბეთიდან არის შემოტანილი. ეს გარემოება ზედმეტად ამტკიცებს არაბეთისა და საქართველოს უშუალო მეცნიერულ-კულტურულ კავშირს.

ეხლა გადავიდეთ წინამდებარე წიგნის ანალიზზე.

ამ წიგნის ხელთნაწერი № 1274 [საქ. მუზ. პალეოგრ. განუ.] ზომით 30×20 სანტ. დაწერილია საუცხოო ხუცური ხელით [ხ. აქვე დართული რეპროდუქციები]. ტექსტი შავი მკლნით არის დაწერილი, ხოლო ყოველი თავის დასაწყისი და საკუთარი სახელები—წითელი მკლნით. პაგინაცია ნაშვინებია რვეულებით ასომთავრული ხუცურით. თითო რვეული 8 ფურცელს შეიცავს, სულ კი 50 რვეულია.

ხელთნაწერი დიფიქტურია: პირველ რვეულს აკლია 3 ფურცელი; მე-6 რვეულს—1 ფურცელი, მე-11 რვეულს—2 ფურცელი, მე-15 რვეულის—ერთი ფურცელი; რამდენი აკლია



ბოლოში, ამის თქმა ძნელია, მხოლოდ უკანასკნელ მე-50 რეგულიდან სამი ფურცელია დარჩენილი, ისიც ძალიან დაზიანებული.

შინაარსის მიხედვით წიგნს ბევრი არ უნდა აკლდეს.

ექ. თაყაიშვილის ჩვენებით ამჟამად წიგნში 786 გვერდია, მაგრამ ის პაგინაცია, რომელიც გვერდებს აქვს შემდეგ გაკეთებული ციფრებით, ათი გვერდით შეშლილია, ალბათ, ხელთნაწერის აწერს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ასე რომ ამჟამად წიგნში 786 კი არა, 776 გვერდია. ხელთნაწერი მაგარ ყდაშია ჩასმული, ყდას გადაკრული აქვს მუქი წითელი ტყავი.

სარჩევი, რომელიც ხელთნაწერს აქვს დართული „კრება ასოურად“ თავი „ა“-დან „რპპ“ თავამდის, ტექსტის ხელით არის შესრულებული; „რპკ“ თავიდან ბოლომდის, თავ „სით“-ამდის—არა დედნის ხელით არის დაწერილი და საგრძნობლად განსხვავდება დედნის ლამაზ და მწყობრ ხელისაგან.

ტექსტში თავების რიცხვი საგრძნობლად არის შეშლილი, მაგალითად, თავ „ა“-დან დაწყებული „ივ“ თავამდის ტექსტის და სარჩევის თავები სრულიად არ უდგება ერთი მეორეს, თუმცა შინაარსი იგივეა. ეს, ალბათ, გადამწერის მიერ არის შეშლილი—ხშირად თავის საჩვენებელი ასო. ტექსტში წაშლილია და სხვა ასოები აქვს მიწერილი, რომლებიც რიცხობრივად არ უდგება წინა და შემდგომ თავებს; ზოგან ტექსტის თავი თუ უდგება, სარჩევის თავს მეტად არის დაწერილი; ზოგან გაირანებულია.

ამჟამად სარჩევში 219 თავია, ტექსტში—244 „ა“-დან „ივ“ თავამდის—46; „ივ“-დან „სით“ თავამდის—198.

### ფილოსოფიურ-მედიკური კონცეპცია

წინამდებარე წიგნი იხსნება შემდეგი ალეგორიით: „ტანი კაცისა ქალაქსა ჰვავს, და ბუნებაჲ ტანისაჲ ხელმწიფე არს, კიორი და მანკი ვითა მტერი არს, რომელი ქალაქსა შემოვიდეს საოხრებლად და წამალი ბუნებისაჲ აბჯარი ჰომისა დღესა და აქიმი კარგი ვითა მებაჯრე იკნების, მებაჯრე ჩაუქი და მეცნიერი მეომარი და გულოანი ხამს, რომელ ჰომისა საქმე იცოდეს შებმისა და ჭირისა დღესა მტერთაჲგან მშვიდობით დაიცვას ხელმწიფე, ასრე რომელ თუ მტერი შორს იყოს და მევემან აბჯარი სთხოოს, თუ მტერი შორს იყოს ისარ მშვილდი მისცეს და თუ ახლოსრე იყოს, შუბი მისცეს და თუ ხელის ხელ მოსრულ იყოს, ხრძალი მისცეს და თუ ესრე არა იყოს და ჰომისა ნივთი არ იცოდეს, მტერი ხელმწიფესა დაიზაბუნებს“, და სხვა. შემდეგ ლაპარაკია ექიმის მოვალეობაზე, მცოდნეობაზე, პასუხისმგებლობაზე და სხვა.

თავი „ა“ ავტორი განაზღვრავს წიგნის დანიშნულებას და საკუთარ მიზანს. „და აწ რაჲხედაც სწავლაჲ უნა მოსწავლესა სრულიად ვახსენო ამას წიგნსა შინა და მოკლედ და ნივთიანად მწადიან და აღწერად აქიმობისა საზომისა“.

ამ თავში შემდეგი გეგმაა წამოყენებული:

- I. უსთუყუსი ანუ უსთუყუთასი.
- II. უსთუყუთასის შეხვევა და გარევა—ამ გარევის მიზევი ჰქვიან.
- III. ტანისა გარევა და შეხვევა—ამ გარევის იხლატი ჰქვიან
- IV. კაცთა ასოთა ვითარების შეტყობაჲ.
- V. ბუნებითი ძალი და შეტყობაჲ ნათესანისისა (სულიერი), ჰავანისისა (სიცოცხლე), ტაბათისა (ბუნება).
- VI. ძალისა, ნაქპარისა და აქიმობისა ხელი და ნივთი—ეს ხელი ნიშნავს:
  - ა. შეტყობაჲ წამალთა, რომელ აქიმნი იხმარებენ—გაყენება სნებათა კაცისა ტანი-საგან საცხებლითა და ხელითა.



- ბ. დასტაქრობაჲ: გაკვეთა, გახსნა, გაპობა, დადაღვა.
- გ. თადბირი საქამადთა, შარბათთა, გვარიშნთა.
- დ. კურნებაჲ ყოვლისა ფერის, ვით არწყევდნენ ანუ გაჰხნიდნენ ანუ შეჰკრაედნენ, ანუ გაახურენ, ანუ გააგრილონ, ანუ სინმელისაჲ, ანუ სინდლისაჲ.
- ე. ნიშანთა შეტყობაჲ, რომელ აქიმნი მანკათა და ჭირთა მით ნიშნითა შეატყობდნენ და მოეზავებოდეს კურნებაჲ.

როგორც ვხედავთ, გეგმა ფართოა და შეიცავს თითქმის მთლიანად იმ დროინდელ მედიცინას.

1. უსთუყუთასი. ამ ცნების განმარტებაში, როგორც ავტორი გვამცნობს, იმ დროინდელ ავტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა—ზოგს ვიწროდ ესმის ეს ცნება, ზოგს ფართოდ. მთავარში კი შეთანხმებულნი ყოფილან, რომ უსთუყუთასი უშენაესი ძალია, „არსებისა სათაუნოჲ“, „ნივთიანი რაჲმე არს ბუნებათა ზოგან“, „ნივთიანი რაჲმე ნაქმარი“, „პირველ რაჲ“ ანუ პირველყოფილი ძალი.

მაგრამ ბაყრატ და ჯალინოზ ამ ცნებას აფართოვებენ. მათი აზრით, უსთუყუთასი როგორც უშენაესი ძალია, ისე „თავი და ვითარებაჲ არს აქიმობისა“, „რომელ იცოდეს თუ აქიმობაჲ და მკურნალობაჲ რაჲ არს“. ამისთვის ავტორების აზრით საჭიროა ორი რამის ცოდნა:

- პირველი: „რომელ ბუნებანი იცოდეს სიმრთელისანი“.
- მეორე: „რაჲსა მიზეზისგან დასნეულდა“.

პირველ ანუ სიმრთელის ბუნებას განსაზღვრავენ შემდეგი მიზეზები: „და მიზეზნი თავად ოთხნი არიან“.

1. ფაალი—მომქმედი ძალი.
2. მადათი—დამანზადებელი ძალი.
3. სურათი—სახის მიმცემი ძალი.
4. თამამი—გამასრულებელი ძალი.

ეს ოთხი ძალი არის შემქნელი ყოვლისა არსისა და წარმოადგენს „სიმრთელის“ აუცილებელ პირობას. ამას გარდა შეიდი სხვა ძალია:

1. არქანი— ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი.
2. ახლატ—სისხლი, ზაფრა, ბალღამი და სევედა.
3. მიზეჯი—ძალია, რომელიც ამ ოთხთაგან გამოვა.
4. აადა—ასოთა ჰქვიან (ძალი, რომელსაც ყოველი ასო შეიცავს).
5. ყუა—ძვალთა ჰქვიან (ძალი, რომელსაც ყოველი ძვალი შეიცავს).
6. კაჟალი—მომქმედი ძალი, წონასწორობაში მომყვანი.
7. პარვაჰა—რომელსა ყულიშ ჰქვიან—გამყენებელი ძალი.

ამ შეიდი ძალის წონასწორობის მოშლა იწვევს ამა თუ იმ დაავადებას. ამ მოშლილობის ცოდნა განსაზღვრავს იმას, თუ აღამიანი „რაჲსა მიზეზისაგან დასნეულდა“.

ამის შემდეგ ავტორი იძლევა უსთუყუთასის დეტალიზაციას. „უსთუყუთასი არსებისა სათაუნოჲ არს, ვითაჲცა ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი და ყოველიცე სხვა ამათისა გარევისაგან იქნების, ამათგან ორი სუმუქია ცეცხლი და ჰაერი, ორი მძიმეა მიწა და წყალი“.

ეს ოთხი ელემენტი ასე ლაგდება: შუაში მიწაა—და მიწა მრგვალია, „ვითა ქალაქითა შემრგვალებული“.

- წყალი მის გარეშემო;
- ქარი მათ გარეშემო;
- ცეცხლი ყოველთა გარეშემო.

აი ამათ „გარეეთა და დაზავებითა და ხსიათითა ყველა არსი არს იქმნა“.



მაშასადამე, ყველა სულდგმულის გაჩენა, ზრდა, დასრულება, ყველა მცენარის ამოსვლა, ნაყოფის მოსხმა, დამწიფება, ანუ სამყაროს და ქვეყნის შექმნა და სიტყვების შექმნა ამ ქვეყანაზე ამ ოთხისაგან—ოთხი ელემენტისაგან არს, ანუ „უსთუყუთასისაგან არს ღმრთისა შეწევნითა და ბრძანებითა“.

II. ვნახოთ ეხლა, რას წარმოადგენს მიზეჯი ანუ უსთუყუთასის შეზავება და გარევა. უსთუყუთასის გარევა და ამ გარევის ბუნება ოთხნაირია:

1. მხურვალე უდრის ცეცხლს.
2. გრილი უდრის ჰაერს.
3. ნედლი უდრის წყალს.
4. ხმელი უდრის მიწას.

ამათ გარდა, კიდევ ოთხი სხვა გარევაა შესაძლებელი. ესენია:

1. მხურვალე და ნედლი.
2. მხურვალე და ხმელი.
3. გრილი და ნედლი.
4. გრილი და ხმელი.

მეცხრე გარევა „მოთადილი“ არის, რომელსა ჰქვია სწორი.

თითონ გარევის ბუნება ორნაირია: ერთი; სწორი, მეორე; ფერ-ფერი.

ა. სწორი გარევა ჰქვია ისეთ გარევას, როდესაც ერთი რომელიმე ნაწილი—ან მიწა, ან წყალი, ან ჰაერი, ან ცეცხლი—თანაბარია სამ სხვა ნაწილთან შედარებით, ესე-იგი გარევაში დაცულია წონასწორობა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ჯანმრთელობასთან.

ბ. ფერ-ფერი გარევა ჰქვია ისეთ გარევას, როდესაც ერთი რომელიმე ნაწილი ამ ოთხ ელემენტისაგან თანაბარი კი არ არის, არამედ მეტია სამ სხვა ნაწილთან შედარებით. მაშინ ასეთი სურათი გამოდის:

1. თუ ცეცხლის ნაწილი მეტი იყოს—მისი ბუნება მხურვალე იქნება.
2. თუ მიწის ნაწილი მეტი იყოს—მისი ბუნება ხმელი იქნება.
3. თუ ცეცხლის და ჰაერისა მეტი იყოს—მისი ბუნება მხურვალე და ნედლი იქნება.
4. თუ ცეცხლისა და მიწისა მეტი იყოს—მისი ბუნება მხურვალე და ხმელი იქნება.
5. თუ ჰაერისა და წყლისა მეტი იყოს—მისი ბუნება გრილი და ნედლი იქნება.

მაგალითი: „თუ სინგური, სპეტი, მელანი და ამარტაა თვითისაგან სწორი აიღონ და წმინდად გაგაღონ და ერთგან გაჰრიონ, მათი ფერი სხვათა ფეროვან გასხვავებული იქნების და თუ ერთგან რამე დააკლოს და ეს დანაკლისი მეორეს მიუმატოს, ეს დაკლება და მიმატება იმ ნარეცს გამოაჩნდება“.

მაგრამ აქ ავტორი შენაშნავს უკეთებს და ამბობს, რომ „სწორი ბუნება“ ანუ იდეალური გარევა ამ ოთხი ელემენტისა „კაცისა ტანსა შიგან არა არს“, სხვანაირად, იდეალური ჯანმრთელობა ანუ სრულყოფილი სხეული ქვეყანაზე არ არის, არის მხოლოდ ის, რომ „ბუნება კაცისა სისწორისაკენ იყოს“ და რომ ყველა სულიერის ბუნებასთან შედარებით ადამიანის ბუნება უფრო მიდრეკილია სისწორისაკენ.

ავტორი გვამცნობს, რომ თვით ადამიანის სხეულშიაც კი არის განახევება, რომ ტყავი კაცისა უფრო სწორი იქნება და სხვა...

ბოლოს ავტორი დასძენს; ამ გარევის „საიდუმლოება და სინამდვილე ღმერთმან იცის“-ო.

III. ტანისა გარევა და შეზავება, რომელსა ჰქვია იხლატი. რაც შეეხება კერძოდ ტანის გარევას, რომელსაც იხლატი ანუ იხლატი ჰქვია, ისიც ოთხია. თანაშნად ზემოთხსენებული ოთხი ელემენტისა—მიწის, ცეცხლის, წყლისა და ჰაერისა, ესენი არიან: სისხლი, ბაღლაში, ზაფრა და სველა.



1. სისხლის ბუნება მხურვალე და ნედლია, ვითა ცეცხლისა და ადგილი კაცის ტანში ლეიძლია.
2. ბალღამის ბუნება გრილი და ნედლია, ვითა წყლისა, და ადგილი მისი ტყობია.
3. ზაფრისა ბუნება მხურვალე და ხმელია, ვითა ცეცხლისა, და ადგილი მისი ნაღველია.

4. სევდისა ბუნება გრილი და ხმელია, ვითა შიწისა, და ადგილი მისი ელნეთი არის. ეს გარევა ამ ოთხი ელემენტისა ორგვარია;

1. ბუნებაური—ანუ ბუნებრივი—სწორი (სისქისა და სითხის მიხედვით).
2. არა ბუნებაური—არა ბუნებრივი—არა სწორი.

1. სისხლის სწორი გარევა ისეთია, რომ არც თხელი იყოს, არც სქელი, ფერად წითელი იყოს, გემოთი ტკბილი, სუნი მყრალი არა ჰქონდეს და რაჲ გამოიღონ, ადრე გასქელდეს.

სისხლის არა სწორი გარევა შვიდნაირია: 1. სქელი და ბნელი იყოს; 2. თხელი იყოს; 3. თეთრ ფერი იყოს; 4. ყვითელი ფერი იყოს; 5. მყრალი იყოს; 6. მლაშე იყოს; 7. პერულაინი (ქაფიანი) იყოს.

ყველა ამ ნიშნის მიხედვით დასკვნა შემდეგია:

1. თუ სისხლი სქელი და ბნელი იქნება, ლეიძლის სიმხურვალისა და სიხველის ნიშანია.
2. თუ თხელი იქნება, ლეიძლის სიგრილისა და სინედლის ნიშანია.
3. თუ თეთრი იქნება, ლეიძლის სიგრილის ნიშანია.
4. თუ ყვითელი—ზაფრის მომატების ნიშანია.
5. თუ მყრალი—დამპლობის ნიშანია.
6. თუ მლაშე—ბალღამის მომატების ნიშანია.
7. თუ პერულაინი—ბუნების სინედლის და ქარიანობის ნიშანი იქნება.

II. ბალღამის სწორი გარევა ის არის, რომ არც თხელი იყოს, არც სქელი. ბალღამი სტომაქშია. თუ კაცმა უკამოდ ქაჲა საჭმელი, მაშინ სტომაქი ამ ბალღამს მოიხმარებს, მაგრამ ბალღამი შეურგებელი და უღნობია.

ბალღამის არა სწორი გარევა ოთხფერია:

1. მკაფე—მაშინ უგრილესი და უხმელესი იქნება.
2. მლაშე—მაშინ უხმელესი და უმხურვალესი იქნება.
3. ტკბილი—მაშინ უმხურვალესი და უნედლესი იქნება.
4. ვითა გაზდნარი ჭიჭაჲ იქნების, ესე იგი შედედებული, ლორწოსავით, იგი უსქესი და უგრილესი იქნება.

ყველა ამ ნიშნის მიხედვით დასკვნა ასეთია:

1. თუ ბალღამი მკაფე იქნება—ნიშანი არს საჭამადისა არ მოღნობისა და სტომაქისა ბუნებისა სიგრილისა.
2. თუ მლაშე იქნება—ნიშანი არს ხველისა, წყურვილისა და ტანისა ქაფილისა.
3. თუ ტკბილი იქნება—ნიშანი მისი სისხლისა მორევეჲ და სიმხურვალე არს.
4. თუ გაზდნარ ჭიჭასავით იქნება—ნიშანი არს ტანისა სიგრილისა და ყოლინჯისა.

III. ზაფრის სწორი გარევა ის არის, რომ ნატიფი და ფერად წმინდაჲ და ნათელი იყოს, ხოლო გემოთი მწარე იყოს.

ზაფრის არა სწორი გარევა ოთხფერი იქნება:

1. ფერად ყვითლად იყოს, სინედლე მეტი იქნება და სიმხურვალე ნაკლები.
2. რაჲ კვერცხისა სიყვითლესა მგვანდეს, ნიშანია სინედლისა და ბალღამის გარევისა, მაშინ სიმხურვალეთა ნედლი იქნების.



- 3. ფორად ყოველნაირი იქნება, მაშინ უფრო ნედლი იქნების.
- 4. ჯანგარის ფერი იქნების, მაშინ ავი იქნება, მავნებელი.

ამ ნიშნების მიხედვით:

- 1. თუ ზაფრა ფერყვითელი იქნება, ეს ნიშნავს საჭამადის გვიან მოდნობას და ასოთა სისუსტესა.
- 2. რაჲ კვერცხისა სიყვითლესა ჰგვანდეს, ეს ნიშნავს ბატრალლობის ცხროს და ასოთა და ლაშასა შეკრულობას.
- 3. თუ ყოველნაირი ფერისა იქნება, ეს ნიშნავს სტომაქისა და ღვიძლის სისუსტეს და სხვა ძნელ მანკებს.
- 4. თუ ჯანგარის ფერი იქნება, მაშინ საშიშაა, ეს ნიშნავს, რომ სტომაქში გასარე-ველი დაშწვარია და ეს სიკვდილის ნიშანია.

IV. სვედის სწორი გარევა ის არის, რომ პირის გემო მეავე ჰქონდეს და ყავამი ფე-რად შეეგვრებანი და სქელი იყოს.

სვედის არა სწორი გარევა სანყერი იქნება:

- 1. მომეტებულად მეავე იყოს, იმდენად, რომ ზედ მწერი არ დაჯდება.
- 2. შავი და ეღვარი იყოს კუპრივითა და სუნი მეავე ჰქონდეს და უმბურვალესი და უფიცხესი იქნების.
- 3. ბედანჯრის ფერი იყოს.

ამის მიხედვით თუ

- 1. მომეტებულად მეავე იყოს, ნიშანი არს მიხეჯის დაშაებისა, სიშმავის, მჯდომისა და ძნელ წყლულებისა.
- 2. შავი და ეღვარე იყოს, ნიშანი არს მომკვლელთა მანკთა ვითა სიგონჯე და ვი-თა კირჩხიბი და ვითა ტაუნი.
- 3. ბედანჯრის ფერი იყოს, ნიშანი არს ისეთი მანკების, რომელნიც ასოთა შიგან დიდხანს დარჩეს.

აი ამგვარია მთელი იდეიურ-ფილოსოფიური კონცეპტია წინამდებარე წიგნისა და თანაც მთელი იპოკრატის შემდგომი მენდიცინისა, რომელიც მთლიანად მიიღეს ჯერ არა-ბებმა და შემდეგ ძველი აღმოსავლეთის კულტურულმა ხალხებმა. ეს იდეიურ ფილოსოფიუ-რი კონცეპტია მცირეოდენი ცვლილებებით ძალაში იყო თითქმის XIX საუკუნემდე.

### მეზოლოგიურ-ბიოლოგიური ცნობანი

ტანის ვითარება და შეტყობა სიმრთელისაჲ.

„ფილოსოფოსნი და აქიზნი ერთია და მათ შორის საცილობელი არა არს, რომ კაცი ამა ოთხთა ბუნებათ არს არს—წყლისა, ცეცხლისა, ჰაერისა და მიწისა“ და ეს ოთხი ერთ-მანეთის ურჩი ელემენტი კაცის ტანში განგებამ ერთმანეთს დაუმორჩილა.

რაც ქვეყანაზე სვლიერია, ყველა მკანელია—ღმერთმა ყველას საზრდო გაუჩინა. საჭ-მელში, რაც სასარგებლოა და გამოსაყენებელი სასუქად და საძალოდ, სხეული მას იღებს, რაც მავნეა და უხმარი, იმას სხეული არ იღებს და ტანისაგან გარე აგდებს. მავნე ელემენ-ტების ტანისაგან გამოყვანა ხდება ან განავალით, ან რწყევით და ან ზურგის წყლით—ესეც, როდესაც გამრავლდება, ტანს გარეთ გამოჰყავს ან დიაცითან კავშირის სახით ან სხვაებრ (პოლიუციები).

ზედმეტი ზურგის სითხის გარეთ გამოყვანას ორი სარგებელი აქვს: ერთი—ტანი გა-იწმინდება ზედმეტი მანკისაგან; მეორე—სხვა ახალი სულიერი დაიბადება. და ამასთან, რაც სიამოვნება იქნება, ესეც ბუნების ნაწილი და საზრდელი არს, კაცი გასუქდების და ერგების.

ამ ზურგის წყლის ადგილი დედაკაცის საშოშა — და ამ ასოს საყვირელება იმაშია, რომ ყრმა საშოში ცხრა თვეს იქნების. საშო საწყლელ ბლშტივით არის და ამის ქვეშ ძველ და ყელი გრძელი აქვს, ვითა მამაკაცის ასო; საშოს პირი თევზივითა აქვს და ორი ნაწილი საგან შესდგება, ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ. თუ ორ შვილსა შობს, ვაჟი უსათუოდ მარჯვნივ იქნების და ქალი მარცხნივ.

ჩასახვა ასე ხდება: სქესობრივი შეყრის დროს საშო პირს ააღებს და მამაკაცის წყალსა შთანთქავს, შემდეგ პირს შეკრავს — მამაკაცის წყალი შიგ დარჩება და დედაკაცის წყალს გაერევა. ეს ორივე ერთად შეერთებული წყალი საშვილოსნოში გაბრტყელდება.

აქ ასეთი კანონია: თუ საშვილოსნოს მარჯვენა ნაწილში მეტი იყოს წყალი, ვაჟი ჩაისახება და თუ მარცხნივ მეტი იყოს, ქალი ჩაისახება.

თუ მამაკაცის წყალი ბევრი იქნება და ძლიერი და თანაბარი ნდობა იქნება ორივე მხრივ, ტყუპი ჩაისახება.

დედაკაცის წყალი მამაკაცის წყლის ანუ თესლის საზრდელია — აქ ასეა: მამაკაცის წყალი სქელი და მზურვალაია, დედაკაცის თხელი და გრილი.

თუ მამაკაცის წყალი მომეტებულად სქელი და მზურვალი იქნება, შვილის ჩასახვა წახდება.

თუ მამაკაცის წყალი სქელი და მზურვალი იქნება, ვაჟი დაიბადება, თუ თხელი და გრილი — ქალი დაიბადება.

თუ მამაკაცისა უსქესი და მეტი იყოს, შვილი მამასა დაემსგავსება. ხასიათი მამაკაცისა წყლისა იგი არს, რომ რასაც სისხლსა ნახავს, შეჰკრავს — აქ იგულისხმება ქალის წესის შეკერა და ორსულების შემდეგ.

ამ შეკრულ სისხლისა და წყლისაგან კაცი დაისახება. რაც თეთრფეროვანია ძვალი, თეთრი ძარღვი (ნერვი) და ტვინი მამაკაცის წყლისგან ჩაისახება. ღვიძლი, ელენთი და თარკმელი და მათი მსგავსი, შეკრული სისხლისგან ჩაისახება.

სულ პირველად ჩნდება გული, თავის ტვინი და ღვიძლი. ორმოცი დღის შემდეგ პატარა ხორცი გაჩნდება, ლბილი, შემდეგ, ხანი რომ გავა, ძვალი გაჩნდება, შემდეგ ხორცი, თეთრი ძარღვები და ასოები გამოჩნდებიან, პირი, თვალები და ხელები, ფეხები და სხვა ასოები და, ბოლოს, ტყავი გამოჩნდება.

ოთხი თვე და ათი დღე რომ გავა, სული დაიბადება, ჩანასახი დედის მუცლიდან გამოსვლამდის ანუ დაბადებამდის წიღოვნობის სისხლით იკვებება, ამით იზრდება.

რასაც დედა სჭამს, ღვიძლი სისხლად აქცევს და საშობელს უგზავნის, და ჩანასახი მას სჭამს. დაბადების ეამი რომ მოვა, ბავშვი საშვილოსნოში გარდაიქცევა (შემობრუნდება) და გარეთ გამოვა.

ჩანასახის დასრულება და გამოსვლა მრავალნაირად ხდება.

I. შვილი შვიდ თვეზე თუ იშვას და ვაჟი იყოს, ჩასახვა მისი ხდება სამ დღეში, გაფორმება — სამოც დღეში და დასრულება — ასოთხმოც დღეში. თუ ქალი იყოს, ჩასახვა თხუთმეტ დღეში ხდება, გაფორმება — სამოცდა ათ დღეში და დასრულება — ორას ათ დღეში.

II. თუ შვილი ცხრა თვისა იშვას და ვაჟი იყოს, ჩასახვა ხდება 40 დღეში, გაფორმება — ოთხმოც დღეში, დასრულება — ორას ორმოც დღეში. თუ ცხრა თვისა იშვას და ქალი იყოს, ჩასახვა ხდება ორმოცდახუთ დღეში, გაფორმება — ორმოც დღეში და დასრულება — ორას სამოც დღეში.

III. თუ შვილი ათი თვისა იშვას და ვაჟი იყოს, ჩასახვა ხდება ორმოცდახუთ დღეში, გამოსვლა — ორმოცდაათ დღეში და დასრულება — ორას სამოცდაათ დღეში და თუ ათ თვეში იშვას და ქალი იყოს, ჩასახვა მისი ორმოცდაათ დღეში ხდება, გამოსვლა — ას დღეში და დასრულება — სამას დღეში.





თუ შვილი რვა თვეს იშვია, „უკუნისამდე დარჩომაჲ მისი არ ეგებოს“ ესე იგი არ გაიზრდება. ეს ასე ხდება: როცა შვილი შვიდი თვისა შეიქნება, შეინძრება და გამოსვლა მოუნდება, თუ ძლიერი იქნება, იშვება და გამოვა, თუ უსუსური, მაშინ გამოსვლას ვერ შესძლებს და მოკვდება. თუ არ მოკვდება, სუსტად დარჩება მთელ სიცოცხლეში. თუ საერთოდ იცოცხლა.

ბავშვი რომ სულ პირველად დაიბადება, ატირდება, ამ ატირებას ასე ხსნიან: თავის ადგილს რომ შორდება ბავშვი, იმიტომ ტირისო, და აქ აეტორი ხედავს ღვთის განგებას, ასეთ ბნელ და ვიწრო ადგილს როგორ სძლებს, და როდესაც დაიბადება, მაინც მისტირის თავის მდგომარეობასო.

ასეთია წინამდებარე წიგნის ემპრიოლოგიურ-ბიოლოგიური შეხედულებანი.

### ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნობები

**ძვალთა წყობილებაჲ.** ძვალს კაცის სხეულში სვიტის ადგილი უჭირავს—კაცი ძვლითა დგას. ძვლებში ვველაზე ადრე კიფა (cranium) შეიკრვის, ამიტომ ტანის ძვლებში ყველაზე უმაგრესია, მიწაწიაც იგი ყველაზე გვიან ღებება—ეს იმიტომ, რომ კარგი ასოა და მცველია სხვათა ასოთათვის. ფორმით რგვალია, იმიტომ რომ მრგვალი უფრო დაცულია ფათერაკისგან, ვიდრე ორკედლიანი ან სამკედლიანი აღნაგობა.

მრგვალია კიდევ იმიტომ, რომ მეტი ტვინი დაეტიოს. კიფა თუმცა მრგვალია, ექვსი ძვლისაგან არის შეკრული, ისე მაგრა, რომ „უკუნემდე“ არ დაიშალოს. ამას გარდა, შეკრულია კიდევ სანი რამისთვის: რომ სტომაქიდან მავნე ორთქლი ტვინში არ შეუშვას დაქვეშ გაიაროს; შენდევ, ერთ ძვალს რომ რამე დაემართოს, სხვა ძვალი მშვიდობით იყოს; მესამე: წინა ძვალი უკანაზე მაგარია და მაგრა რომ არ იყოს შეკრული, არ შეიძლება.

იმ ხუთ გრძნობიდან, რომელიც კაცსა აქვს, ოთხი თავისა შიგან არს: ხედვა, სმენა, ყნოსვა და გემოვნება, მეხუთე, შეხება, ხელის გულშია.

კბილების ზემო ნაწილი თავის ძვალს მაგრად აქვს მოკადებული. კბილი თექვსმეტია, ამათგან 4 მომკვეთელი, 4 მცოხნელი და 4 მოფქვავი.

ზანახის ძვალი (ქვეითა ყბა) შესდგება ორი ძვლისაგან, რომლის ორი ნაპირი თავის კეფაზე მაგრად მოკიდებულია.

კაცის ტანის წისქვილი კბილებია. ყოველი წისქვილისა ზემო ქვა ბრუნავს, კაცისა წისქვილისა კი ქვემოთი ბრუნავს.

ყოველი წისქვილის ქება შეწყობით არიან, კბილები კი არ შეწყობით არიან. ქვემოთა კბილები უფრო წვრილია ზემოთისაზე და რომ შეწყობით იყვნენ, ვერაფერს იზამდნენ. და ყველა ასოში ათასი საკვირველებია. ზანახის ძვლის უკან ყელთა მძივთა ძვალი შეიკვრის; სულ ოთხია და სიგრძე 4 თითის დადგება—ეს ძვლები თავის კიფასა აქვს მოკიდებული.

ყელის ძვალი მთლიანი რომ ყოფილიყო, კაცი ქვევით ვერ დაიხედებოდა, რადგან თვალები თავში სხედან და ვერც ცას შეხედავდა, თუ პირადმა არ დაწევებოდა.

ეს მძივნი დახვრეტილნია, სუკებში ჩაივლის და ასოთ შეიქნება. კაცს რომ ყელი არა აქონდეს, ვერც დაიძახებდა და ვერც ხმას გაიგონებდა, იმიტომ რომ ისეთ სულეირს, რომელსაც ყელი არა აქვს, არც ხმა აქვს, როგორც თევზს და კირჩხიბს.

ზურგის მძივი თორმეტია—ყველაზე მსხვილია და მათი ხერეღი ყველაზე ვიწროა.

წელის მძივი ხუთია და უფროსია ზურგისაზე, ხერეღი უფრო ვიწროა.

მძივ სულ ოცდაოთხია. ყველა ერთმანეთზე მოკიდებულია მაგრად. თითოს შუა რუტობათი გაივლის, რომ საქციელი (სახსარი) ნედლად იყოს და არ გახმეს. თუ გახმება, კაცი შეშასაებრ გახმება. თითო მძივს შუა ორი ხერეღია, ერთი მარცხნივ, ერთი მარჯვნივ, და თითო საქციელისგან ცოტა ტვინია გამოსული და თეთრ ძარღვად შექნილია.



წიბოს ძვალი ოცდაოთხია, ზოგი მოკლე და ზოგი გრძელი, თითქმის მარჯვნივ და მარცხნივ მოკიდებულია ზურგის გულისა მიძევთა და სხვა მათი თავი მოკიდებულია მკერდისა ძვალსა. ათი ძვალი მარტო ზურგის ძვალზეა მოკიდებული, მეორე თავი ძვალსა აქვს დაკიდებული. ეს ძვლები მრუდვით მშვილდვითა. ეს იმიტომ, რომ ეს ძვალნი მცველნი არიან მუცელსა შინა მყოფთათვის, იმიტომ კიდევ, რომ მრგვალ ქურჭელში უფრო მეტი რამ ჩაეტევოს.

როგორც სულიერთა ენა მრავალფერია, ისე ძვლები მრავალფერია, მეტადრე კაცისა: ზოგი მრგვალია, ზოგი ნახევარმრგვალი, ზოგი გრძელი, ზოგი მოკლე, ზოგი მსხვილი, ზოგი წვრილი.

**თავისა და ტანისა ვითარება და შეთავაზება**

კაცის ტანში სამი ასოა უმთავრესი: გული, ტვინი და ღვიძლი. გული ხელმწიფეა ტანისა, ტვინი—ვაზირი, ღვიძლი—მზარეული და გამყოფელი.

ტვინის ადგილი თავშია და უმთავრესად თვალისათვის არის—თვალი კი გულშია არს ტანისა. თვალთა სინათლე ორია: ერთი დანახვა, მეორე შეგება დანახულისა.

ტვინი ბუნება გრილი და ნეღლია. კეფას ქვეშ ძვეს ორ ფარდავშუა. ეს ფარდავი ერთი შიგნით არის, ერთი გარეთ. გარეგანი ფარდავი ცხვირის ზერელამდის არის. ამ ზერელის ქვეშ ორი გახვრეტილი ძვალია. ეს ხვრელი ზოგი სწორია, ზოგი მრუდე და ეს იმიტომ, რომ სუნთქვას დროს გრილი ჰაერი არ ეცეს ტვინს და არ აენოს.

პირის ზერელი ტვინის შუაგულთან არის მისული; ეს უფრო ვიწროა, ვიდრე ცხვირის ზერელი. სარგებელი ამ ზერელისა ის არის, რომ კაცი პირმოკუნული რომ იყოს, ამ ზერელით სული მაინც ამოვა და ჩავა.

ტვინის არტერიები (მფეთქელი ძარღვები) ტვინის შუა არის. თავის ტვინი სამ კერძად არს, ამას ბუტენი ქვებიან. ამ ბუტენთა შუა ძარღვებია, ზოგი მფეთქელი, ზოგი წყნარი (არტერია, ვენა). პირველი ბუტენი ყველაზე დიდია და თვალთა სინათლისა ადგილი არს. ამ ბუტენიდან ორი ღრუ ძარღვი თვალის გუგაზეა მოკიდებული და სინათლე ამ ორი ძარღვით შემოდის; კაცის ტანში სხვა ღრუ ძარღვი არ არის.

მეორე ბუტენი ცნობისა და შეგების ადგილი არს და თუ ამ ბუტენს რამე წაეკიდება, კაცი ცნობისაგან გადავა, და მნედა და ტვინის სხვა ავადმყოფობა გაჩნდება.

მესამე ბუტენი სწავლისა და მოგონების ადგილი არს, რომელსა ჰქვია სენიდისი, ეს ბუტენი ყველა ნერვებ შუა არის და ყველაზე პატარაა.

გული მხურვალი და ხმელია და მისი ადგილი მკერდსა ქვეშეთ იქნების, მარცხნივ კერძოთ და უპირველესი (უთავადესი) ასო არს.

გულის ტყავი მაგარი ხორციდან არის და მაგარ ბუდეში ზის, ფილტვი გულის გარემოა, დანრგვალეებულია; ერთი თავი წვრილი აქვს, ერთი მსხვილი. ორი ყური აქვს, ორი მუცელი—მარჯვნივ და მარცხნივ. მარჯვნივ მუცელს გზა აქვს, რომლითაც ღვიძლიდან სისხლს აზიდავს.

მარცხნივ ორი გზა აქვს, ერთი ჰაერისათვის, რომელიც ფილტვის ქნევისაგან ანიავებს და გულს გააგრძობს, მეორე გზა დიდი ძარღვი მფეთქელისათვის, რომელიც სათავე ყველა შარბანი ძარღვისათვის. ამით გარდა, გულიდან ღვიძლში ერთი ძარღვი მივა. ყოველი ასოს სიმხურვალე გულისაგან არის—გულში თუ სისხლი გაიყინება—კაცი მოკვდება. გულს ორი ყური და ორი მუცელი იმიტომ აქვს, რომ ღმერთს ყოველი საჭირო და სახმარი ასო ორ-ორი დაუბადია, მაგალითად: ორი თვალი, ორი ხელი, ორი ფეხი. ეს იმიტომ, ერთი რომ წახდეს, მეორემ შეასრულოს მისი სამუშაო.



ღვიძლი. ბუნებად მხურვალი და ნედლია. ადგილი მისი ტანსა შეგან მკერდსა ქვეშე ცოტად ქვემოთ არს, მარჯვენით კერძით, ერთის კვირის მთვარის ფორმისა და სტომამჭედა მოკიდებული—სტომაქი ისე უჭირავს, როგორც კაცმა რამე დაიჭიროს მუტაში.

ღვიძლის ზედაპირზე ნაღველია მოფენილი. ნაღველი ცეცხლსა ჰკავს, ღვიძლი—ნახ- შირსა და სტომაქი-ქოთანსა. საქამადი რომ სტომაქში ჩავა, ნაღველისა და ღვიძლის სიმხურ- ვალე ეცემა და სტომაქი იმ საქამადს მოხარშავს. სტომაქის ნამს და სინედლეს ღვიძლი მიიზიდავს, როგორც ხის ძირი მიწისაგან ნამს შიიზიდავს; ღვიძლი ამ მოზიდულ ნამს სის- ხლად აქცევს, შემდეგ სისხლს გაჰყოფს საზომისაებრ და ყოველ ასოს გაუყოფს—ამისთვის ღვიძლსა ტანის როკიკის მიმცემელი ჰქეიან. ღვიძლი ყველა ასოსთან დაკავშირებულია თითო ძარღვით, რომლითაც საზრდოს უგზავნის მას და მით ანედლებს; ეს გზა რომ შეი- კრას და ასოსთან ღვიძლიდან სისხლი არ მივიდეს, ის ასო განმემა, გავციოთლდება და და- ქენება.

ელენთა. გრილი და ხმელია. სევდის სახლია. ადგილი მისი გვერდის ქვეშ არის, მარცხნივ; გრძელი და ბრტყელია, ვითა ძროხის ენა. სტომაქს არის მოკიდებული ორი დიდი ძარღვით; ერთი დიდი ძარღვი ორი პირით არის მოკიდებული, ერთით სევდა გამო- აქვს სტომაქიდან, მეორეთი შიგ ასხავს სევდას. მეორე დიდი ძარღვით სისხლის ნარჩენი გამოაქვს სტომაქიდან. ელენთა თეილგვარია, იმიტომ რომ სევდა მოწოოს სხვილ და დიდ მანკისაგან.

ფილტვი. გრილი და ნედლია. მკერდის შუა არის დაკიდებული, ჩასუნთქვით სუფ- თა ჰაერი ჩააქვს და გრილდება და ამოსუნთქვით სიმხურვალე და ორთქლი ამოაქვს. ფილ- ტვი თეილგვარია, იმიტომ რომ ჰაერის ადგილი არს. ფილტვი მუდამ სავსეა ჰაერით—ამი- საგან არის რომ სულ შეგუბებულ კაცს ცოტა ხანს შეუძლიან გაძლება. ფილტვში რომ ჰაერი არ იყოს, სიმხურვალე დასწვამს გულს, ფილტვი, ამის გარდა, ჰაერს აღბობს და ათხ- ელებს და საზრდელად ხდის როგორც სტომაქი საქამადსა.

ნაღველი [ნაღველის ბუშტი]. მხურვალი და ხმელია და ღვიძლის პირსა მწოლი არს. ნაღველს ორი პირი აქვს, როგორც ელენთას; ერთი პირით ზაფრასა ღვიძლისაგან მოზიდავს, მეორეთი სტომაქში ჩაასხავს. ზაფრა სტომაქს სწმენდავს ფიტისაგან რომ ფიტის სიმძიმისაგან გაანთავისუფლოს კაცი. ნაღველის სარგებელა კიდევ ის არის, რომ სისხლსა ზაფრისაგან გასწმენდს; ეს რომ არ მოხდეს, ზაფრის სიმხურვალე სისხლს დასწვამს.

თირკმელი. მხურვალი და ნედლია. მისი ადგილი ზურგსა შუა არს და თირკმელი ღვიძლსა ახლავს, თირკმელს ძარღვი ახლავს. ერთი წვერით ღვიძლს არის მოკიდებული, მეორეთი—მათანას (საწყლე ბუშტი) ყელს—ზურგის წყლის გზაც ეს არის. თუ ზურგის წყალი იმ გზაზე წავა, რომელიც ღვიძლს არის მოკიდებული, სისხლად იქცევა, თუ იმ გზაზე, რომელიც მათანას არის მოკიდებული, გათეთრდება.

ფსლის გზაც თირკმელზეა მოკიდებული. თუ ფსელში რამეა დარჩენილი სისხლისა ძალისაგან—თირკმელი ნას გასწმენდს, ამის გამო არის რომ თირკმელს ძნელნი მანკნი შეეჭ- ნებიან.

სტომაქი. სტომაქის ადგილი მკერდის შუა არის, მაგრამ მიდრეკილება ზემოთა ნაწილს მარცხნივ აქვს, ქვემოთა ნაწილს კი მარჯვნივ. მარცხნივ ელენთა აქვს. ქვეშე მაგა- რი ზორცი აქვს და ზემოდან თხელი. ეს იმიტომ, რომ გავსების დროს თავის ადგილიდან არ შეიცვალოს. ფორმით აყიროსა (გოგრას) ჰკავს, ორი ყელი რომ ჰქონდეს. სტომაქის ის ნაწილი, რომელიც ზურგისკენ არის ბრტყელია, ის ნაწილი, რომელიც გულისკენ არის— მრგვალია.

სტომაქის გრძობა შიმშილია. შიგნიდან სტომაქი მრუდგვარია (უსწორმასწორო); ბოლო უფართესი აქვს თავზე, ეს იმიტომ, რომ საქამადი ბევრი დაიტოოს და სხვათა ასოთა არ აწყინოს. სტომაქს ოთხი ძალი აქვს:

1. მიმზიდველი, რომელიც საკმელს მიიზიდავს;
2. შემპყრობელი, რომელიც საჭამადს დაიდევს;
3. მომხარშველი, რომელიც საჭამადს მოხარშავს;
4. გამყენებელი, რომელსაც საჭამადი ნაწლავში გადაჰყავს.

წელი. სულ ექვსია. სამი ამითში სტომაქის ქვემოთ უწვრილესი და უთხელესია, სამი, უფრო ქვემოთი, უფართოესი და უსქელესი.

წვრილი წელები: 1. პირველ წელს ათნე აზრია ჰქვიან, მისი სიგრძე 12 თითის დადებია. ამ წელს სიმრუდე და ნასკვი არა აქვს, ეს წელი სტომაქს არის მოკიდებული.

2. მეორე წელი ამაჲ საჲ-საზრდელისაგან მუდამ ცარიელია, იმიტომ რომ საზრდელი შიგ არ ჩერდება.

3. ამაჲ დაყუ-დაგრეხილია და საკმელი შიგ დიდხანს რჩება.

სხვილი წელები: 1. პირელი სხვილი წელი? (აქ ტექსტში ფურცელი აკლია)

2. მეორე ყოლინია, იგი ფართო წელია.

3. ამაჲ მუსთამი—სწორე და ფართო წელია, ეს წელი ქვემო პირით საჯდომს არის მოკიდებული.

მოგრეხილობაჲ ნაწლავს იმიტომ აქვს, რომ საჭამადი შიგ დიდხანს გაჩერდეს და ქვემო წელნი უჟარათესნი არიან, იმიტომ რომ ფიტი ბევრი დაიტოს, თორემ კაცსა წამსა და წამს აუხანად ვასვლა დასჭირდებოდა.

მათანაჲ, რომელსა ჰქვიან საწყლე ბუშტა, საზარდულსა შიგან არს და თავი ვიწრო აქვს, ხოლო ძირი ფართო, რომ შიგ ბევრი წყალი დაეტოს; ტყავი მისი ძალიან მაგარია, რომ ზაფრის სიმსურველემ, რომელიც ფსელშია გარეული, მას არ აენოს.

მათანას პირზე პატარა ხორცია (კუნთი). აქედან ერთი ძარღვი თირკმელსა აქვს მოკიდებული, ერთი სასქესო ასოს. ეს ძარღვი და ეს კუნთი ფსლის მცველებია და უფამოდ არ გამოუშვებენ; თუ ეს ხორცი და ეს ძარღვი დაუსუსურდა, ფსელს ველარ დაიჭირავს და კაცს უნებლიე ვადინება.

ამით თავდება შინაგან ასოთა აწერა. აქ ტექსტში სწერია „და ეს ცოტა მიხსენებია მსწავლებელისათვის კმა არს“.

გარეგანი ასონი: თვალი, თვალი ძვლას ღრუში იმიტომ ზის, რომ მეტად საჭირო ასოა. მას შუბლის ძვალი მცველად ჰყავს. წარბნი თვალის ეჯიბნია, წამწამები მეკარეა, რომ მტვერი და მიწა არ ჩაუშვან და ჩასაქრელსა უკუმოაყენებდეს.

თვალი შვიდ ტაბაყასა და სამ რეტობათისაგან შესდგება.

- I. მოლაჲჰამაჲ—ყოველგნით მოკიდებულია, ძალიან თხელია და ფერად თეთრი.
- II. ტაბაყაჲ ყარინაჲ—მაგარი არს და ფერად და სიმაგრით თეთრსა რქასა ჰგავს.
- III. ტაბაყაჲ ლაბიბაჲ—ყურძნისა მარცვალსა ჰგავს.
- IV. ტაბაყაჲ ანქაბოთა—ვითა აბლაბუდე თხელია;
- V. ტაბაყაჲ შაბაჲია—საკვირველად თხელია.
- VI ტაბაყაჲ ჯალიდია—ვარდსა ჰგავს ფერად.
- VII. ტაბაყაჲ სალბია—ამით ყოველთაგან უმაგრესი არს.

ამათი სარგებელი: პირველი—ხორცთა მიდამოდ შემაგრებული არს.

მეორე—ფათერაკისაგან შეინახავს თვალსა.

მესამე—სინათლესა შეინახავს, რომე ნათელი და ბრწყინვალე თვალთაგან არ დაიპანტოს.

მეოთხე—სიმაგრე და სიმკისე შეინახოს და მანკი უკუ აყენოს.

მეხუთე—საზრდელი მისცეს სხვა ტაბაყებს.

მექვსე—შარიანთა ძარღვთა სიმსურველისაგან შეინახოს (თვალი).



შეშვიდე—სიმაგრე მისცეს, თვალი თავის ადგილზე მაგრა დაიჭიროს, რუტობათი სამია: I ბაიტა—სინედლე არს, ვითა კვერცხისა ცილი.

II. რუტობათი ჯალიდი—სინედლე არს, ვითა მყინვარი.

III. რუტობათი ზაჯაჯია—სინედლე არს, ვითა გამდნარი ქიქაჲ.

რუტობათი ჯალიდი თვალის გუგაშია, ფერად ნათელი და ბრწყინვალეა; ამის საზრდელი რუტობათი ზაჯაჯია, მით რომ მის უკან არის და ბაიტა ყველაზე წინ არის.

შვიდი ტაბაყაჲ ამ რუტობათების წინ არის. სამივე შესამუსა ტაბაყასა შუა არს და ორი ღრუ ძარღვი, რომელნიც ტვინიდან მოდიან, რუტობათი ჯალიდით თვალის გუგასა შემოჰყვება და იგი ღრუ სიბნელესა შინა გაფართოვდების და სინათლესა შინა დავიწროვდების, თუ ეს ღრუნი ძალიან გაფართოვდებიან, კაცი ვერასა ნახავს.

ყურთ. ხმას შორის შეიგნებს, ყურის ხერხელი მოდრეკით იმიტომ არის, რომ ქარი და მიწა ყურში არ შეუვიდეს და მწარე წყალი იმიტომ არის, რომ მძრომი არ შევიდეს შიგ.

ცხვირი. პირის დამამშვენებელია, მას ორი კერძი აქვს. ცხვირს სამი სარგებელი აქვს:

1. სულისა (სუნთქვის) გზა არის.
2. სიმყრალე და სისუტრნელე მით შეიძების.
3. ავ მანკს სქელსა და მაგარს, რასაც ტვინი გააკიდევგნებს, ცხვირი ჩამოიღებს.

ბაგე და ენა. ბაგე პირისა მეკარეა და კბილთა ფარდაგი და ენის შემწე საუბრისა ეამსა. კაცს ბაგე რომ არ ჰქონდეს, ვერ იბრუნებდა. ღმერთს ბაგე ჩვილი და ლბილი ხორცისაგან დაუზადებია და მუდამ სინედლეა შიგ, რომ საუბარი არ შეშალოს.

ენაც რბილი ხორცისაგან არის, რომ საუბრის დროს შორჩილი იყოს. ენა საქამაღს პირში აბრუნებს. ენას ძარღვი აქვს, ამ ძარღვის სარგებელი ორია:

1. რომ მიწყით (მუღამ) ენა ნედლად იყოს;
2. თუ კაცი ხმელ საქამაღსა სჭამს, დაასველოს.

ხელითა ვითარებაჲ. (აქ ხელი აწერილია როგორც შეხების ორგანო).

ყველა საქმე ხელითა იქნების. ხელნი კაცსა ფრთისა ნაცელად აქვს. ხელით შრომობს კაცი. საზრდელს ხელით შოულობს. ხელი ფათერაკის უკუწყენებელია. ხელი ტანისა აბჯარი და ფარი არს.

ძუძუთა ვითარებაჲ. შესდგება სუსტისა ხორცისაგან და ლუღედთაგან და მფეთქავი ძარღვები აქვს ორივე ძუძუს. ძუძუს სარგებელი ის არის, რომ ყრმის საზრდელი მასში იქნების. რძის სათაენო სისხლია. გული სისხლს ასოგებში გაფანტავს არტერიებით და შემდეგ ძუძუს ხორცთან მიიყვანს, რომ იქ გათხლდეს, ძუძუს ხორცი თეთრია და ამ სისხლს გაათეთრებს. რომ რძე წიდოვნობისა სისხლისაგან არის, იქედან ჩანს რომ, თუ დედაკაცს წესი დასწყდება ძუძუს წოვების დროს მისი რძე ბავშს აგნებს.

ყვერთა ვითარება. ყვერი საყოფელი ადგილია ზურგის წყლისა და სუსტი ხორცისაგან არის დაბადებული და თითოსაგან ძარღვი თირკმელთან არის მოკიდებული. ამ ძარღვით ნატიფი სისხლი თირკმლისაგან ყვერთან მივა და იქ შეიგბოლება (მოიხარშება).

აქიმთაგან სათესლეს (ყვერს) ავიაიშანო ჰქვია. ყვერი რომ ზურგის წყალს მოხარშავს, ეს წყალი სასქესო ასოდან გარეთ გამოვა.

სასქესო ასო. ღრუა და მფეთქავი ძარღვებისა და თეთრი ძარღვისაგან (ნერვი) შესდგება, იმიტომ რომ შეყრის დროს სრული გემო მიეცება. ეს ძარღვები და ნერვები ქარით ივსება და ასო ამისგან დიდდება და მაგრდება, რომ საქმის (coitus) დროს გაწილებული და უსარგებლო არ იყოს, როცა გადიდდება, სათესლე გზა გაფართოვდება და მანის (ზურგის) წყალი შიგ თავისუფლად გაივლის.

სასქესო ასო დედაკაცისა და მამაკაცისა ერთნაირია, მხოლოდ მამაკაცისა გარედან არის და დედაკაცისა შიგნით. მამაკაცის ასოს მაგიერ დედაკაცს საშვილოსნოს ყელი აქვს



და ყვერისა ნაცვლად—საშვილოსნოს შიგნით ორი სხვა ზეპდანი აქვს, ხარტყვენელთა შუა დედათა ორი ყვერი აქვს, მათი ყვერი მაგარი და მრგვალია, მამაკაცისა კი გრძელი და სუსტი. ავიომანი მამათა გრძელი და მაგარია, ხოლო დედათა მოკლე და ლბილი.

ამის შემდეგ ავტორი აცხადებს:

„ესე ცოტად ვახსენე შინაგანთა და გარეგანთა ასოთა. მსწავლებელსა ეყოფის თუ გაონებად შეეწეოდეს, შეწვენითა ღმრთისათა“.

**ძველთა შიშობილება: თარხიზი, ნივთი და სათვალავი**

კაცთა ასოთა ძვალი 248 არის, 7 თავშია. 55 პირსა შიგან კბილითურთ. 9 ყელთა შიგან. 24 გვერდთა შიგან. 7 მკერდსა შიგან. 4 მხართა შიგან. 2 მკლავთა შიგან. 4 ხელის საქციელში, 14 სეიდსა (ხელის მტევნის სახსარი), 8 ნებისა ზურგსა შიგან. 30 თითთა შიგან. 7 ზურგსა შიგან. 7 ზურგთა მძივთა ქვეშე საჯდომამდის. ორი საჯდომთა შიგან. ორი ბარკალთა შიგან, 4 წვივთა შიგან. 4 კოჭთა შიგან. 2 ქუსლთა შიგან და ორი მას წინაით. 4 თათისა ზურგსა შიგან. 30 ფერხისა თითთა შიგან.

კაცისა ტანსა შიგან 77 თეთრი ძარღვია (ნერვი), 38 ჯუფთი და ერთი ფარდი. შვიდი ჯუფთის სათავე თავის ტვინშია.

- I. თვალთა შიგან მოკიდებულია.
- II. თვალთა ფურცელთა შიგან.
- III. ყვრიშალითა, ცხვირთა და ბაგეთა მოკიდებულია.
- IV. პირსა და ენისა შიგან.
- V. ყურსა, ყელსა, და მკერდსა თანა.
- VI. მუცლის ალათთა თანა მოკიდებული არს.
- VII. ენისა და ყელისა ხორცთა თანა.

31 წყვილი იგი არს, რომელ მათი სათავნოა ზურგისა ძვალთა ტვინისაგან არს თითო წყვილი ყელისა მძივისა ხვრელთაგან და ზურგისა მძივთაგან. 8 წყვილი ყელთა შიგან არს. 14 წყვილი ზურგსა შიგან. 5 წყვილი მუცელსა შიგან, და 3 წყვილი...? (აკლია). 3 წყვილი მათ მძივთა ქვეშეთ არს.

ატალნი (ატალი კუნთია). კაცის ტანში სულ 527 კუნთია. 23 თავსა შიგან არს. 24 თვალთა შიგან. 43 პირსა, ბაგესა და სახესა შიგან. 9 ენისა შიგან, 20 პირსა ქვეშე ფირტვისა ყიასა და გვერდის ძირსა და 6 კიერსა და ყელსა. 27 ხელთა შიგან, 8 მკლავთა შიგან. 107 მკერდსა შიგან. 48 ზურგსა შიგან. 8 მუცელსა შიგან. 1 მათანას პირსა. 4 სასქესო ასოში. 4 საჯდომში. 26 თეძოთა და ბარკალთა შიგან, 18 მუხლთა შიგან, 2 კოჭთა შიგან. 52 ფერხთა შიგან.

საქციელნი (სახსრები), დიდი და პატარა სულ 508 საქციელია. მათგან დიდი და მცირე თავსა და პირსა შიგან არს. 18 ყელსა შიგან ჩანბართურთ. 38 გვერდთა შიგან. 12 მკერდსა შიგან და 8 მხართა შინა და 40 მკლავთა შინა და 8 სეიდსა შინა. 32 სეიდისა თავთა. 16 ნებისა ზურგსა ზედათ. 4 მუხლთა შიგან. 8 წვივთა შინა. 4 ქუსლთა შიგან, 4 ქუსლთა წინაით, 20 თითისა ზურგსა შიგან და 60 ფერხისა თითთა შიგან.

ძარღვი ყველა 360 არს. 156 მფეთქელნი (არტერი), 204 წყნარი (ვენა), თუ ამ მფეთქელთაგან ერთი დაწყნარდეს, კაცი ავად გაბდება და თუ წყნართაგან ერთმა ფეთქა დაიწყოს, კაცი დასნეულდება. ამ ძარღვებს გაყოფა სამი ძარღვისაგან აქვს—ყიფალისაგან, აქვალისაგან და ბასალაკისგან. თვითოსა ამათგანსა 122 ძარღვი აქვს მოკიდებული; ესე დიდრონი ძარღვნი მტკვარსა ჰგვანან და იგი წვრილნი რუთა. რაც მფეთქელი ძარღვია—გულზეა მოკიდებული და რაც წყნარი-ღვიძლზე.

ხუთ პისთა [გრძნობათა] ხასიათი:



1. მხედველობა, 2. სმენა, 3. ყნოსა, 4. გემო, 5. შეხება ანუ გავება ლბილისა და მჭისისა, (ხნელისა) სივრცისა და სითბოსი.

გრძნობებში ესეთი კანონზომიერება არის დაკული: რაც ერთი გრძნობით შეიძების, ის მეორეთი არ შეიგების, ვითა მყრალი თვალთა არ შეიტყუების და ხმა ცხვირითა არ მოისმინების.

### პიკინა და კროფილატიკა

თავი „კთ“ — სიმრთელისა თადბირი და შენახვაა სიარული, გამოსვენება და სხვა.

„ლ“ — საჭმლისა ჭამისაჲ.

„ლა“ — ხილთა და ჭამაი მისი.

„ლბ“ — წყლისა სმაჲ.

„ლგ“ — ღვინის სმაჲ.

„ლდ“ — ძილისა და უძილობისა.

„ლე“ — მუცლისა ლბილად დაჭირვაჲ.

„ლვ“ — დედაკაცისა თანა დაწოლისა რომელსა ჰქვიან არაბულად ჯიმიქარდინ.

„ლზ“ — ტანისა ზელისა აბანოსა შიგან.

„ლუ“ — აბანოში ჯდომისა დიდხანს.

„ლთ“ — კირისა ცხება აბანოსა.

„მ“ — რიატათი, ნელი სიარული სეირნობა.

„მა“ — რწყევის რგებისაჲ.

„მბ“ — წამლისა აღებისა ნიეთიანობაჲ.

„მგ“ — იგივე.

„მდ“ — ხელის ვახსნისა ნიეთისაჲ.

„მე“ — ჭიჭისა მოკიდებისა ნიეთი.

„მვ“ — წურბელისა მოკიდებაჲ. რომელსა ჰქვიან დევია და ზალუ.

„მზ“ — სიმრთელის შენახვაჲ: აქ ლაპარაკია კბილის გაწმენდაზე, ყურის გამოწმენდაზე.

„ნ“ — მგზავრობისა, სიარულისა და ლაშქრობისა თადბირი.

„ნა“... (გამოტოვებულია).

„ნგ“ — ყრმის კვების წესები, კბილის ამოსვლა და ლაპარაკის დაწყება.

### ღიახროსტური ცნობანი

მაჯასისა (პულსი) შეტყობისა მეცნიერებაჲ და ნიეთი.

„ჯალინოს იტყვის: ვითა მაჯასისა შეტყობაჲ მიზეჯისა შეტყობაჲ არს“.

„და აწ ზენ მაჯასისა შეტყვებისა ნიეთი ეთქვათ რომელ გამოუცდელისათვის აღვილი იყოს და იცოდე რომელ მაჯასი გულის ფეთქაჲ არს“.

„მაგისგან შეიგების გულისა სისუსტე და სიძლიერე — ფი მოწმე არს აქიმისათვის მანკთა რომელ გულისა, და გულისა მიდამოსაგან და მფეთქელთა ძარღვთა იქნების“.

უმჯობესია, რომ მაჯასი მარცხნივ მნახონ. ამიტომ რომ გული მარცხნივ არის. ვისაც უნდა მიჯის შეტყობაჲ შეისწავლოს, მრთელ (ჯანმრთელ) კაცთა მაჯა უნდა შეისწავლოს, ამიტომ ოთხი თითი უნდა მასზე დასდოს ნუცა მაგრად, ნუცა ლბილად, და კარგად დაიხსონოს თუ მრთელი კაცისა როგორ ფეთქს და მაშინ გამოარჩევს, თუ სნეულისა როგორი იქნება.

I. თუ მაჯასი სწორად ფეთქდეს, ტანისა სიმრთელისა ნიშანი არს.

II. თუ ძლიერად იყოს და გვიანად ფეთქდეს, სისხლისა მორევენისა ნიშანი არს.

III. თუ მაჯასი თითთა ქვეშეთ სუსთად იძვროდეს და გვიანად ფეთქდეს, მაღალა მის მორევენის ნიშანი იქნების.

IV. თუ აღზე ფეთქდეს და ფიცხლად იტყოდეს, ზაფრისა მორევენისა ნიშანი არს.



V. თუ გასხირპული (გაქიმული) იყოს, ვითა შვილდისა საბელი, და შავრად ფეხთ-  
ქდეს, სევე დისა მორევისა ნიშანი არს.

ფსლისა და ფიტისა შეტყობისა ნივთი და ძალი.

წყალი (შარდი) მოწმე არს აქიმისთვის ღვიძლისა და მის მიდამოსა მანკისაჲ. ფსლის  
აღება ძილის შემდეგ უნდა, ჭამის უწინ. შემდეგ აქიმმა უნდა აქითხოს ავადმყოფსა, თუ რა  
უჭამია, რადგან საჭამადი სცელის შარდის ფერს.

შარდი შეიტყობა: I. ფერთი, II. სუნით, III. ყავამით (სისქე), IV. რუსობით (ნალექი).

I. ფსლის ფერი რეანაირია: თეთრი, ყითელი, თრუნჯული, ცეცხლის ფერი, ზაფრანის  
ფერი, არღაენის (მოწითალო) ფერი, წითელი და შავფერი.

II. წყლისა სიმყრალე იმის ნიშანია, რომ ბუნებასა მანკი სრულიად შეუბგოლია და  
ესე ცხელთა ცხროთა და ღვიძლისა სიმსივნესა შიგან იქნების. კიდევ შეიძლება წყლის  
სიმყრალე ბუშტისა სიწყლულისგან იყოს. თუ ძალიან სუნიანი იქნება, სიმბურვალისა სნება  
უძნელესი იქნების.

III. ყავამა სამ გვარია: ერთი მსხვილი, მეორე თხელი, მესამე სწორი. ყველას თავთა-  
ვიანთ მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ავადმყოფობათა გამოცნობის დროს.

IV. რუსუბაჲ ფიტია ანუ ნალექი: 1. ფერად შეიძლება თეთრი იყოს, მაშინ სიმრთე-  
ლისა ნიშანია.

2. ფერად წითელი იყოს—ნიშანია სნების გავრძელებისა.
3. ფერად ყვითელი იყოს—ნიშანია მანკთა სიმძნელისა.
4. ფერად შავი იყოს ან მწვანე—ნიშანია სიკვდილისა.

და ფტისა შეტყობაჲ—ფიტი (განავალი) კაცისაჲ, სიმცროჲ და სიმრავლე. სიმცროჲ  
სამფერად არს: 1. ან ზვერი იქნება, 2. ან ცოტა, 3. ან ჩვეულებრივი.

ყველა ამას თავისი მნიშვნელობა აქვს სტომაქის დაავადების დროს. შემდეგ მნიშვნე-  
ლობა აქვს 1. ფერს, რომელიც შეიძლება ყვითელი იყოს, მწვანე, თეთრი, შავი, ყველა  
ფერს თავისი მნიშვნელობა აქვს 2. კონსისტენციას—ლბილი იყოს ანუ მაგარი 3. სუნს.

მნიშვნელობა აქვს აქრეთვე ფიტის დროზე და არა დროზე განოსვლას და იმას, რაც  
განავალს თან გამოჰყვება, რომელიც ხუთნაირია: 1. ქარი, 2. სიცხიბე, 3. სინედლე (ლორწო)  
4. სისხლი, 5. თბამლი (ჩირჭი). ყველაფერს ამას თავისი მნიშვნელობა აქვს დიაგნოზის  
დროს.

ბუჭრანისა შეტყობა. „იყოფე რომელ ბუჭრანისათვის დია შეუბნებულან აქიმნი  
და დია წიგნები შეუქნია ბუჭრანისა მეცნიერებისათვის რომელი თუ ყველაჲ ვახსენო მსწავ-  
ლებელსა ნოეწყინების და სარგებელსა ფერ ჰპოებს, მაგრამ მათი გამორჩეული სიტყვა შე-  
მოგვიღია ამას წიგნსა შიგან მოკლე და ნივთიანი და მსწავლებელთათვის მოუწყინარი“...

ბუჭრანი ასორულთა ენითა (ასორული) ჰქვიან და მისი თარგმანი შემმა არს ბუნე-  
ბათაჲ და მანკთა. „ვითა რომელ ტანი ქალაქსა ჰგავს და ბუნებაჲ მისი ხელმწიფე არს და  
მანკისა სათაფნოჲ არაკივითა მჩერი არს, რომელ ამას ქალაქსა მოსრულ იყოს, ბუნებაჲ  
მტერსა მისსა შეებმის გასაძებლად (გასაძეველად) თუ შეძლებულ იყოს ერთხელ, თუ არ  
ძალი მჭონდეს ორჯელ-სამჯერ და თუ არ შეეძლოს და მტერი უძლესი იყოს ვითამცა მან-  
კისა სარძიკველი და სათაფნოჲ ბუნებაჲ შესწორდების და უსუსურობაჲ გაიქცევის, მაშინ  
კაცი მოკვდების, ოდესკა რომელი ბუნებაჲ და მანკი შეიბნენ მას ჭაბსა სნეული დია გასუ-  
სტდების და გამძიმდების. ამა ყოფასა აქიმნი ბუჭრანად იტყვიან“.

ოფლისა გამოცემა. ოფლის გამოცემის ნიშანი მრავალია:

- I. რომელ ასოდან გამოვა ოფლი.
- II. გამოსვლაჲ მისი (ანუ ინტენსიობა),

საიდნაც ოფლი გამოვა. მანკი იმ ასოშია. საზომზე თუ მეტი გამოვა, ავი ნიშანია,  
ავადმყოფს ძალს დააკლებს.





ოფლის შეტყობა ხუთფრად არის: I. სამხურვალით, II. სიკრალით, III. სიმყრალით, IV. გემოთი, V. ჯავანით (სისქე-სითხით).

ყველა ამათ თავთავისი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობის დიაგნოზისა და პროგნოზისათვის.

სიმართლისა და საშიშროება ნიშანი.

I. კ ა ნ ი შ ა ნ ი: ის არის, რომ ავადმყოფს ფერი არ შეეცვალოს, საჭამადი არ აიკვეთოს, გემო კარგი ჰქონდეს და კარვად ეძინოს, გონება არ შეეცვალოს, ნეტული წესიერად ჰქონდეს.

II. ც უ დ ი ნ ი შ ა ნ ი: სნეულს რომ თავისა არა ესმოდეს რა, რომ არ დაეძინებოდეს, თუ ხელს ყველგან მოიარებდეს, რაა უზმობდნენ, პასუხსა არ გასცემდეს, თუ სინათლესა ერიდებოდეს და პირი მუდამ კედლისაკენ ჰქონდეს, კბილსა ერთმანეთზე და მოუსვამდეს, თუ დია აცხრობდეს და დია ჰზნედეს, თუ ფეხებს ატოკებდეს დამოუსვენრობდეს და ნიადაგ ფშვებვიდეს, სიკვდილიაა ნიშანი არს—სიცხეში რომ მყრალი სუნი იწოუვა, ან კიდევ თუ ცხვირი დაუწყულდეს, თვალნი დაუვიწროვდნენ, პირი გაუპრუდდეს ანუ აღრენილა დარჩეს სიკვდილისა ნიშანი არს.

ს ნ ე უ ლ ე ბ ი ს ა და წ ყ ე ბ ი ს ა ნ ი შ ა ნ ი: ზოგს სნებას დასაწყისში ავი ნიშანი აქვს და სნებისა ვითარებაა ნიშნებითა შეივების. აქიმი ისეთი უნდა, რომ ჭირისა და სნების დასაწყისსა კარვად შეატკობდეს—რომ სნეულსა ფარეხსა (კრძალვასა) აქნევინებდეს ანუ საჭმელს შეუწყობდეს და წამალს მისცემდეს, ვიდრე სხეულში მანკის დედა გაძლიერდებოდეს.

აქ ჩამოთვლილია, თუ რომელი ნიშანი რა ავადმყოფობას ახასიათებს. ეს ნიშანი ბევრია, ავადმყოფობაც ბევრია. მაგრამ უმთავრესად რომელით უფრო სნეულდებიან შემდეგია:

1. მღიერი. 2. სიგონჯე. 3. ყვავილბ. 4. წითელი (ა). 5. პირისა სიმყრალე. 6. მანიამ.
7. სნებაა ვაბაასი. და კიდევ 7 სხვა მანკი რომელიც მამისგან დარჩების შეილს 1. სიგონჯე. 2. კეთრი. 3. დიყის ცხრო. 4. სილი. 5. მალიხოლია. 6. მანიამ. 7. ნიკრისი.

დასკენა: „მაშა ხამს რომელ ამათ ჭირთა პატრონთაგან კრძალვით და შორს იყვნენ“.

შ ე ტ ყ ო ბ ა ე კ ა ც თ ა და ჰ ა ე რ თ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა ა. აქ არის ლაპარაკი ქარებზე და საერთოდ ჰაერის ვაგლენაზე აღამიანის ჯანმრთელობაზე.

შემდეგ აწერილია ქალაქთა და ჰაერთა მუნება და „შეგებად თუ წელიწადი ოთხ ბუნებად და ოთხ ფერად არიან რად“ ამ თავში ლაპარაკია, თუ როგორ მოიქცეს კაცი წელიწადის სხვადასხვა დროს—ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე.

### ზოგადი პათოლოგია

ამ თავში ლაპარაკია იმაზე, რაც მიზეჯს ანუ ტანის ნორმალურ გარეგან შეშლის და იმ საერთო დაავადებაზე, რომელიც შედეგია ოთხში ერთ-ერთი ელემენტის გამრავლებისა სხეულში—ან შემციობების, სხვანაირად ოთხი გასარველის: 1. სისხლის, 2. ზაჟრის, 3. ბალღამის, 4. სევდის წონასწორობის მოშლაზე.

I. მანკი, რომელიც სისხლისა მორევისა და მის შესლილობისაგან იყოს.

სისხლი რომ კაცს მოერიოს და გამოსავალი სხეულიდან ვერ ჰპოოს, დაშავდება და მანკნი გამოჩნდებიან—ხორხის დაჭირვა, სურდო, ღრძილის სიმსიენე, ჯვდომები, დოუბალაა, წითელა, ლვიძლის ტკივილი, ნიკრისი, მუტბაყი ცხროა საქციელთა ტკივილი, ცხვირისაგან და მუცლიდან სისხლის დენაა.

სისხლის მორევნის ნიშანი ასეთია—პირი გაუწითლდება, ბევრს იძინებს, პირში სიტკობა ექნას, გაზანტდეს, ჰაერი გრილი უნდოდეს.

შემდეგ აწერილია საერთო მკურნალობა.

II. მანკი, რომელ ზაფრისა მორევისაგან და შეშლისგან იყოს. ზაფრა რომ კაცს მოერივა, სხეულში დაშავდება და ესე მანკნი გამოჩნდებიან:

თავის ტკივილი, შაყიყი, თავის სიწყულლე, ტანის მღიერი, მქავანი, სარსამი, ბარსამი, საქციელთა ტკივილი, ლვიძლისა სიწყულლე, თვალთა ტკივილი, ქარტლი



ბაგისა და პირისა დაბობილობაჲ, სტომაქისა ტკივილი და წყურთი, კბილისა ტკივილი, პირისა და ხორხისა სიხმელე, ცხროჲ რომელ მერონსა დღესა მოვიდეს.

ზაფრის მორევის, შეწლის და სხეულში დაშვების ნიშნები ასეთია: პირის გემო ტკბილი იყოს და სწყუროდეს, პირი ყვითლად ედგას, საქამადი არ მოუნდებოდეს, ბუნებაჲ შეეშალოს, ნერწყვი ყვითელი და მწვანე იყოს, გარგასლის დროს გვაში ეწვოდეს, ფსელი თხელი და ცეცხლის ფერი იყოს, ხმა შეეცვალოს, მაჯასი ფიცხლად ფეთქდეს.

შემდეგ აწერილია საერთო მკურნალობა.

III. მანკი, რომელ ბაღმისა მორევისა და შეწლისგან იყოს; თუ ბაღლაში მოერია კაცისა ტანსა, დიდი სნებაჲ გამოჩნდების: ფილენჯი, სარიი, საქთაჲ, ქაბუსი, ნოვიწყებაჲ, ასოთა სისუსთე, თნათა დახდა, მუცლის ყურყური, ნედლი ხველაჲ, თავისა სიბრუე საქამადისა არ მოდნობაჲ დია ბოყინებაჲ, თეთრი ბაჰაყი, თირკმელისა ტკივილი, ბუშტისა ტკივილი, სტომაქისა სისუსთე, თვალთა სიბნელე და კბილთა ტკივილი, და ცივი ცხროჲ.

ბაღლმის მორევის და შეწლის ნიშანი: პირი მუდამ ნედლათ ჰქონდეს და საქამადსა არ მოიდნობდეს და დაეძინებოდეს და პირი უსივდეს, თავი ამძიშებდეს, ფსლის ფერი თეთრი იყოს, მაჯასი ღბილი და უსუსური იყოს, სნეულის ფერი თეთრი იყოს და ცხელი ჰაერი უყვარდეს.

შემდეგ აწერილია საერთო მკურნალობა.

IV. მანკი რომ სევდისა შეწლისა და მორევისაგან იყოს. როცა სევდა მოერევა, მაშინ შემდეგი ავადმყოფობანი გამოჩნდებიან: უძილობა, ვასვასაჲ დიადი, ცნობისა შეწლაჲ, ელნეთისა ტკივილი, მიწისა ქამაჲ, კროფლი და შავი ბაჰაყი, არ გაძლომაჲ საქამადითა, სიბლენე ფერისა და ტყავისა, გახეთქილობაჲ და სიშმაგე, სიგონჯე და მგოთხე ცხროჲ და მშგავსი მათნი.

სევდის მორევისა და შეწლის ნიშანი იგი არს, რომელ ელნეთი გაუდიდდეს, არ დაეძინებოდეს, ეშინოდეს, მიწით საგონებელსა შიგან იყოს და სტომაქი ეწვოდეს და დამჭლდეს, კაცთა თანა არ დადგებოდეს და ფსელი შავი იყოს.

აწერილია მკურნალობა.

ამით თავდება ზოგადი საკითხები და იწყება კერძო პათოლოგია და თერაპია. წიგნის ეს ნაწილი მთავრდება შემდეგი განცხადებით: „და ელიაჲ ზანდუკთა კარი და ვითარებაჲ ეგეთთა საქმეთა, რომელ აქიმთა მოცხმაროს სნებათა და კურნებათა მისთა თაღბირი მოკლე და ნივთიანი მეცნიერთა ოსტატთა ნათქვამი ვთქვათ რომელ გამოსცნობდნენ მხურვალთა გრილისაგან და სავსებაჲ ღმერთინ რცის“.

**კერძო პათოლოგია და თერაპია**

ამ ნაწილში მოცემულია ავადმყოფობანი, მათი კლასიფიკაცია, წარმოშობის მიზეზები და მკურნალობა. ავადმყოფობათა აწერაში შემდეგი პრინციპია დაცული: „ავადიანი მთლიანად“. ეს ნაწილი იხსნება თავის ავადმყოფობათა აწერით. თავი „ი“ საბოსაჲ თავისაჲ რომელსა ჰქვიან ქარტილი. „იზ“ თავისა წყლული რომელ არაბულად საფაჲ ჰქვიან. „იწ“ თმისა დახდისა და ბელატობისაჲ რომელსა ჰქვიან ასლაიი. „ით“ თმისა გაბობაჲ და გათეთრებაჲ. „იკ“ დაათალაბ და დალჰაიაჲ ორივე ერთი არს. დაათალაბ ნელის ქირი და დალჰაიაჲ გტელის ქირსა ჰქვიან არაბულად.

- „კა“ თავისა ტკივილი რომელ სიმზურვალისგან იყოს.
- „კბ“ თავის ტკივილი რომელ სინედლისგან იყოს.
- „კგ“ თავისა ტკივილი რომელ სისხლისგან იყოს.
- „კდ“ თავის ტკივილი რომელ ზაფრისგან იყოს.
- „კე“ თავისა ტკივილი რომელ მზურვალ ქართაგან იყოს.
- „კვ“ თავისა ტკივილი რომელ ტვინისა ფარდაგთა სიმსივნისაგან იყოს.
- „კზ“ თავისა ტკივილი რომელ ბაიტაჲ ჰქვიან არაბულად.
- „კც“ თავისა ტკივილი რღველ ნაკრავისაგან იყოს.
- „კთ“ თავისა ტკივილი რომელ ნაბზრობისგან იყოს.
- „ლ“ თავისა ტკივილი რომელ სტომაჰისა სიმზურვალთა იყოს.
- „ლა“ შაყიყისა ტკივილი ნახევარ თავისაჲ არს.
- „ლბ“ თავისა ქნეჲჲ რომელსა ჰქვიან არაბულად დაეარი.
- „ლგ“ მასდარი რომელ სიმზურვალისა ანუ სიგრილისაგან იყოს.
- „ლდ“ სარსამი რომელსა ჰქვიან თავქედი.
- „ლე“ სუბათი თარგმანი დაძინებაჲ მძიმედ.
- „ლვ“ შეხუსი და ჯუმოდი ორივე სიგრალისაგან იქნების.
- „ლზ“ მალიხოლიაჲ, რომელსა ჰქვიან სპარსულად დევანაჲ.
- „ლც“ ყუტრუბი რომელ დევანოზით იქნების.
- „ლთ“ უძილობაჲ და ვასვასისა სიმრავლე.
- „მ“ მიჯნურობაჲ და დაუთმოზლობა. (ეს თავი ტექსტში არ არის).
- „მა“ მოვიწყებაჲ და არა დასწავლაჲ
- „მბ“ ქაბუსი რომელი მძინარესა ზედა დააწეების, ხიბალიკი ჰქვიან.
- „მგ“ ბედაფვანისა კურნებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სარი და ქართულად მტერთა

დაცემაჲ.

- „მდ“ მტერთა დაცემაჲ რომელ სევდისაგან იყოს ან გრილთა ქართაგან.
- „მე“ საქთაჲ რომელ უგრძნულად შეიპყრობს კაცსა.
- „მე“ ფელიჯი რომელ ბალღმისგან იყოს.
- „მზ“ ასოთა სისუსთე რომელსა ჰქვიან არაბულად ისთისხაჲ.
- „მც“ დაბუტებაჲ ასოთა რომელსა ჰქვიან არაბულად ხიდრი.
- „მთ“ პირისა გამრუდებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ლაყვაჲ.
- „ნ“ თაშანუჯი, იგი არს რომელ ასონი გამზმარივითა იყვნენ.
- „ნა“ ქუზაზი და იმთიდადი ორივე თაშანუჯისგან არს.
- „ნბ“ ასოთა თრთოლაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად რაშე.

ეს ნაწილი 37 თავს შეიცავს.

- თვალთა ტკივილისა და ქუთუთთთა
- თავი „ნგ“ მქავანი და მღიერი თომელ თვალისა ბურგთა შეექნების.
- „ნდ“ ბარდი და თაჰჯური და შაირაჲ რომელ თვალისა ქუქუთოასა შიგან იქნების.
- „ნე“ შათარა და თვალთა ერთმანერთსა ზედა გარდაკრვაჲ
- „ნვ“ საფაჲ და ვარდანაჲ და წამწამთა სიმეტე.
- „ნზ“ ქუმნაჲ და თუთაჲ და წამწამთა დახლაჲ.
- „ნც“ სალი და შურნაყი და სელყი, რომელ თვალისა ქუთუთთოსა შეიქნების.
- „ნთ“ ლუდაჲ და ლარბი რომელ წამწამთა შიგან იქნების.
- „ნა“ თვალისა ტკივილი რომელ სისხლისგან იყოს.
- „ნბ“ თვალისა ტკივილი რომელ ზაფრისგან იყოს.
- „ნგ“ ტარფაჲ ნაკრავი არს რომელ თვალთა ეცეს დანახუნაჲ.
- „ნდ“ სიწყლულე თვალთა და გაბერილობაჲ მისი



- „აღ“ საბალი და ცრემლთა დენაჲ რომელსა ჰქვიან საჰჯი.
- „აე“ ყუბიელი და დიყაჲ და თეთრი რომელ თვალთა შიგან იქნებინს იქნებინს.
- „აე“ სარტანი და დუბელაჲ რომელ ნეორესა ფარდავსა უკანით იქნებინს.
- „აზ“ თვალისა ადგომაჲ ერთობით ანუ ცოტაჲ.
- „აძ“ სიფართე და სიფიწრე თვალისა ხურელისა.
- „ათ“ ინთიბარი თჳალის გუგაჲსა გაფართოებაჲ არის.
- „ო“ თუალთა არ კარგად ჩენაჲ რომელ სიმხურვალით იყოს.
- „ოა“ პირველ წყლისა ჩაზოსვლაჲ თვალთა შიგან.
- „ობ“ ღამით სიბრმისა და დღისით სიბრმისაჲ.

ეს ნაწილი 20 თავს შეიცავს.

ყურის და ცხვირის სნეულეებანი.

- „ოგ“ ყურთა ტკივილი რომელ სიმხურვალისგან იყოს.
- „ოდ“ ყურის სიმსივნე სიმხურვალისგან თუ იყოს.
- „ოე“ წყალი რომელ ყურსა ჩაუხდეს ან მძრომელი.
- „ოვ“ ყურისა წყლული და თხამლისა და სისხლისა მოსვლა მისგან.
- „ოზ“ ხმისა მოსმენაჲ და უვილი და ქარი რომელ ყურთა იყოს.
- „ოც“ ყურისა სიმძიმე რაჲ სიგრილისგან იყოს.
- „ოთ“ ცხვითა წყლული და გაბერილობაჲ მისი.
- „პ“ არ ყნოსებაჲ ცხვრითაჲ სიმხურვალითა რაჲ იყოს.
- „პა“ ცხვრითა სიმყრალე და ნასორი შიგან რომელ იყოს.
- „პბ“ ცხვრითაგან სისხლისა დენაჲ, რომელ არაბულად რუაფი ჰქვიან.
- „პგ“ სურდოი რომელსა ჰქვიან ზუქაში და ნაზლაჲ.

ეს ნაწილი შეიცავს 11 თავს.

პირის ტკივილი, კბილთა, ენისა და ბაგეთა.

- „პდ“ კბილთა ტკივილი სიმხურვალისგან თუ იყოს.
- „პე“ შეკუმულობაჲ კბილისა და ძვრაჲ და დაეარდნაჲ.
- „პვ“ სიმყრალე და სიშავე და სისხლისა დენაჲ ღრძილთაგან.
- „პზ“ ღრძილისა სიმსივნე რაჲ სიმხურვალით იყოს.
- „პც“ პირისა ტკივილი და გაბერილობაჲ შიგან რომელი გამოჩნდეს.
- „პთ“ პირისა სიმყრალე რომელ ჰქვიან არაბულად აბხარი.
- „პე“ წყლისა დენაჲ პირისგან მძინარესა.
- „პე“ გასივებაჲ პირისაჲ სიმხურვალისგან თუ იყოს.
- „პე“ ენისა გაბერილობაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ყლაჲ.
- „პე“ ენაჲ რომელ გემოჲ ეჭვიოს, არაბულად ლალაორა დაყვი ჰქვიან.
- „პე“ ენისა სიწყლულე და სიმძიმე და სისუსთე შიგან.

ეს ნაწილი შეიცავს 11 თავს.

ქელის, მკერდის და ფირტვის სნეულეებანი.

- „ქე“ ქანისა ჩამოსულაჲ რომელსა ჰქვიან სასაჲ თუ სიმხურვალისგან იყოს.
- „ქე“ სასისაჲ სიმსივნე და ჩამოსულაჲ ორთა კვიკვრთა რომელსა ჰქვიან არაბულად დუბადმაჲ.
- „ქე“ ხორხისა სიმსივნე რომელსა ჰქვიან არაბულად ხომინაყი.
- „ქე“ ხორხისა ტკივილი სიგრილისაგან იყოს და თუ სიმხურვალისგან.
- „ქე“ დევჩაჲ და ტუალი, რომელ ხორხსა დაეჩაროს.
- „ქე“ სისხლისა ამოსვლაჲ ხორხისგან და რწყევითა ამოყოლაჲ სისხლისაჲ.
- „ქე“ ხუტელაჲ რაჲ სიმხურვალისგან იყოს ან სიგრილისაგან.
- „ქე“ ხუტელაჲ რომელ სიმხელისგან იყოს ანუ სინედლისგან.



„რგ“ რაბოა რომელ სიმბურვალისგან იყოს ანუ სიგრილისგან,  
 „რდ“ ფირტვისა გასიეგება რომელსა ჰქვიან არაბულად დათარგმნულად  
 ვალისგან იყოს.

„რე“ ფირტვისა სიწყულულე რომელსა ჰქვიან არაბულად სილი.  
 „რვ“ გვერდთა სიმსიენე რომელსა ჰქვიან დათარგმნაბი არაბულად.  
 „რზ“ ბარსაში რომელსა ჰქვიან არაბულად შავსაჲ.

ეს ნაწილი შეიცავს 13 თავს.

გ უ ლ ი ს ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი  
 „რც“ გულისა ტკივილი რომელ სიგრილისა, ანუ სიმბურვალისა, ანუ სინედლითა,  
 ანუ სიმბელისაგან იყოს.

„რთ“ გულასა ფეთქაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ხაფაყანი.

„რი“ დებნედილობაჲ, რომელსა ჰქვიან არაბულად ღიწყი.

ეს ნაწილი შეიცავს სამ თავს.  
 ს ტ ო მ ა ქ ი ს ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი 1).

„რიე“ არგაძლობაჲ ჭამისგან რომელსა ჰქვიან არაბულად შაჰვათალ ქალბიაჲ და  
 ჯუალ ქალბი, თარგმანი მისი ძლომილისა სიმშილი.

„რიე“ მიწისა და გაზისა და მლაშისა კედლისა ჭანაჲ.

„რიმ“ წყურვილი და წყლისა დია სმაჲ.

„რიზ“ 2) სტომაქისა პირისა ფეთქისაჲ ვითარებაჲ, რაჲ სიგრილისგან იყოს.

„რიო“ შაჰტაჲ და გარჯაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად თუხშაჲ და ქართულად  
 ელდაჲ.

„რკ“ დარაბი სილბოასა ჰქვიან რომელ გავრძელდეს.

„რკა“ ზალაყალმიდა და ზალაყალ—ამაჲ ორივე სილბოა არს თარგმანი მისი სტო-  
 მაქისა და წელთა სივლტსუნე.

„რკბ“ მანიშ გშთანნი რომელსა ჰქვიან არაბულად ღაშაჲანი.

„რკვ“ სისხლისა ამოღებაჲ ხორხისგან რომელ სტომაქისგან იყოს.

„რკდ“ რწყევაჲ ოდენი რომელ სილბოა არ ერთოს თანა.

„რკე“ ბოყინებაჲ დიაჲ, რომელ სტომაქსა შიგან ჩაჭრილ იყოს.

„რკვ“ ხრცოლია, რომელსა ჰქვიან არაბულად ფავაყი და სპარსულად საქბიაქი.

„რკზ“ სტომაქისა ტკივილი სიმბურვალისგან რაჲ იყოს.

„რკმ“ სტომაქისა სიწყულულე რომელ შიგან სისხლი ანუ სძე გაყინულ იყოს.

„რკო“ დია ნერწყვისა გავდებაჲ და სინედლე, რომელ პირსა შიგან დია შეიყრ-  
 ბოდეს.

თავი „რლ“ ტექსტში არ არის.

ეს ნაწილი შეიცავს 15 თავს.

ღ ვ ი ძ ლ ი ს ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი

„რლა“ ღვიძლისა ტკივილი სიმბურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.

„რლბ“ კურნებაჲ ღვიძლისა სიმსიენისაჲ რაჲ სიმბურვალისგან იყოს 3).

„რლდ“ ღვიძლისა სიმსიენე რომელ გზათა შეკრულობისგან ქნილ იყოს,

„რლე“ ისთისყაჲ რომელსა ჰქვიან მუცლისა გასიეგებაჲ.

„რლვ“ ისთისყაჲ ლაჰამი და რაჲკა სიმბურვალესა უკანით იყოს.

„რლა“ ყვითელი და შავი ზარირი, რომელსა ჰქვიან არაბულად იარაყანი 4).

1) ამ რვეულს აკლია ან ფურცელი და შემდეგი თავებია „რია“, „რიბ“, „რიგ“, „რიდი“.  
 2) ამ თავს ტექსტის სარჩევში თავთა სათვალავი უხის „რაზ“ და სწერია თავი „რამ“ წინ.  
 3) ეს თავი შეიცავს „რლვ“ თავსაც. თავი „რლვ“ ტექსტის სარჩევში არ არის.  
 4) ამ თავს ტექსტის სარჩევში უხის თავთა სათვალავი „რლზ“.

ეს ნაწილი შეიცავს 6 თავს.

ელენეთის სნეულებანი.

„რლვ“ ელენეთისა ტკავილი რომელ სიმხურვალისგან იყოს.

„რლთ“ სიმსივნე ელენეთისაჲ სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან

„რმ“ სისხლისა დაჯდომაჲ თუ ღვიძლისგან იყოს.

ეს ნაწილი შეიცავს 3 თავს.

წელთა (ნაწლავთა) და შაყადისა სნეულებანი.

„რმა“ სისხლისა დენაჲ მუცლისგან რაჲ წელთა სიწყულულისგან იყოს.

„რმბ“ ზაპირი სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან <sup>1)</sup>.

„რმგ“ მალისი ეგეთი მანკი არს რომელ ეგრე ეგონოს კაცსა თუ მისსა წელსა უკ-

ბენს რაჲმე.

„რმდ“ ყოლინჯი ეგეთი მანკი არს რომელ ყოლინსა წელსა შიგან იქნების.

„რმე“ ელაოს ერთ ფერი ყოლინჯი არს ღმერთმან ნუგის მისცეს.

„რმვ“ ქიაჲ გრძელი და მოკლე და ქუდედნაჲ რომლისა არს თარგმანი აყირომსა

თესლი.

„რმგ“ ბევასირი და თუთაჲ რომელ გუჲმსა შიგან იქნების.

„რმზ“ ნასორი და დანაყილობაჲ რომელ გუჲმსა შიგან იქნების.

„რმც“ სიწყულულე გუჲმისა, ანუ ძარღვისა თაჲჲ რომელ შიგან გახსნილ იყოს.

„რმთ“ გუჲმისა სიმსივნე და სისუსტე და გამოსვლა მასი და ქვილი.

ეს ნაწილი შეიცავს 10 თავს.

თირკმელისა და შათანაჲსა (საწყლე ბუშტი) სნეულებანი.

„რნ“ თირკმელისა ტკივილი სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

„რნა“ თირკმელისა სიმსივნე სიმხურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან.

„რნბ“ თირკმელისა სიწყულულე და სისხლისა დენაჲ სარცხენელისგან.

„რნგ“ ქვი ანუ ქვიშაჲ რომელ თირკმელსა შიგან იყოს.

„რნდ“ ფსლისა წითენაჲ ცვარცვარად რომელსა ჰქვიან არაბულად სალუსალობელი.

„რნე“ ფსლისა შეკრულობაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ასირალობელი.

„რნვ“ ფსლისა უნებლიე გამოსვლაჲ.

„რნზ“ ბუშტისა სიმსივნე სიმხურვალისაგან რაჲ იყოს.

„რნც“ შათანაჲსა სიწყულულე ვითამცა ბუშტისა და ქვაჲ რომელ შიგან იყოს.

ეს ნაწილი შეიცავს 9 თავს.

მამაკაცის სასქესო ორგანოს სნეულებანი.

„რნთ“ სარცხენლომსა აღგომაჲ დიაცისა უნდობლად.

„რნა“ სარცხენელისა სისუსთე და წყლისა დენაჲ მისგან უნდობლად და უსიპა-

ზონოთ.

„რნბ“ სიმსივნე სარცხენელისა რაჲ სიმხურვალისგან იყოს.

„რნგ“ დიაცისა არ მონდომაჲ სიგრილისაგან იყოს და თუ სიმხურვალისაგან.

„რნდ“ ყვერისა სიმსივნე სიმხურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.

„რნე“ ფეტვისა ჭარისა ვითარებდაჲ რომელ სახარდულსა შიგან ანუ ყვერთა ში-

გან იყოს.

ეს ნაწილი შეიცავს 8 თავს.

დედაკაცთა სასქესო ორგანოს სნეულებანი.

„რნვ“ ზეჰდანისა შეკრულობაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად იპინაყალ რაჰიმ.

„რნზ“ წიღოვნობისა განხნაჲ რომელსა ჰქვიან ნაზუი.

<sup>1)</sup> თავი „რმბ“ ორჯელ არის განმეორებული ტექსტშიც და სარჩევშიც.



„რძ“ წიღოვნობისა შეკრულობაჲ რომელსა ჰქვიან ილთიბასალტამეფი

„რათ“ ვასიგებაჲ საშობელისა რომელსა ჰქვიან ზეკდანი.

„რო“ საშობელისა სიწყლულე და კირჩხიბი რთმელ შიგან იქნას, რომელსა ჰქვიან არაბულად სარატანი.

„როა“ კიდე გამოსელაჲ საშობელისა და სინედლისა დენაჲ მისგან

„რობ“ შვილისა მოგდებაჲ და ენებაჲ და ქარები რომელ იყოს საშობელსა, ზეკდინსა შიგან.

„როვ“ არ დაორსულებაჲ და შვილისა არ მოცემაჲ მამაკაცისაგან იყოს თუ დიაცისაგან.

„როდ“ ძნელად შობაჲ და მანძიმაჲ გამოსელაჲ.

„როე“ ძღძეთითა სიმსიენე სიმსურვალისგან რაჲ იყოს.

„როვ“ ძღძეთითა სიმსიენე და სძე რომელ შიგან შეიკრას.

ეს ნაწილი შეიცავს 11 თავს.

საქციელთა და ზურგისა სნეულეებანი, აგრეთვე ხელთა და ფეხთა ტკივილი.

„როზ“ ზურგის ტკივილი სიმსურვალისგან იყოს თუ სიგრილისაგან.

„როც“ სიკუზე რომელსა ჰქვიან არაბულად ჰადბაჲ.

„როთ“ ირყანისაჲ იგი არს რომელ ბარკლისა თაფით კოკაჲდინ სტკიოდეს.

„რკ“ საქციელთა ტკივილი რომელსა ჰქვიან არაბულად ვაჯალ მავასილი და სპარსულად დარდი მანდაჰაჲ.

„რპა“ ნიკრისი სიმსურვალისაგან თუ იყოს.

„რპბ“ დაველი და დაღფილი ორივე ფერხთა შეეკნების

„რპვ“ ნახუნხურაჲ რომლისა თარგმანი არს ფრჩხილისა მჭამელი და რიშთაჲ რომელსა ჰქვიან მკედი, რომელ ფრჩხილისგან გამოვა.

„რპდ“ გაპობაჲ ხელისა და ფერხისაჲ და სიცივისა ცემაჲ და ზრომაჲ.

ეს ნაწილი შეიცავს 8 თავს.

კანის ავადმყოფობანი და სიმსიენეები.

„რპე“ ქალაფი რომელსა ჰქვიან პროფლი და ქუნჯიდაჲ და ბარიში და ნამიში.

„რპვ“ ყობაჲ რომელსა ჰქვიან მექეჭი და თუთაჲ რომელსა არაბულად შირე ჰქვიან.

„რზპ“ ხმელი და ნედლი მლიერი და ქავანი ტანისაჲ.

„რპს“ ოფლისა დენაჲ დიაჲ და ოფლისა არ გამოცემაჲ.

„რპთ“ წილი და ტილი რომელ დაესხას თმისა ძირსა.

„რე“ კეთრიანობაჲ რომელსა ჰქვიან სპარსულად ფესი და არაბულად ბარასი და შავი და თეთრი ბაჰაყი რომელსა ჰქვიან ქართულად.

„რეა“ განდღემაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად თალფლაჲ და ქართულად მექეჭი.

„რებ“ ათაში სპარსი რომლისა თარგმანი არს ცეცხლი სპარსული

„რევ“ ყუბავილი რომელსა ჰქვიან არაბულად ჯოდრი და სპარსულიდ აბ..... (წაშლილია).

„რედ“ ჰომრავი სიმსიენესა ჰქვიან და ხორაჲ წელისა სიწყლულესა.

„რეე“ ჯოდნი რომელსა ჰქვიან სიგონჯე.

„რევ“ პირისა რღუევაჲ და პირისა სიბნელე და ფერისა სიმრღვე რაჲ მზისგან იყოს.

„რეზ“ მსურვალი სიმსიენე რომელ სისბლისგან იყოს ანუ ზაფრისაგან.

„რეც“ გრილი სიმსიენე რომელ ბალღმისგან იყოს ანუ სევდისგან.

„რეთ“ სარატანი რომელსა ჰქვიან კირჩხიბი და სპარსულად ხარჩანგი.

„რს“ ლორთელი და სალაჲ რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს

„სა“ ტაუნი და დუბალაჲ რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს

„სბ“ დუნბალი რომელსა ჰქვიან მჯდომი და გაეარსაჲ და ბადობილაჲ რომელ გამოჩნდეს.

ეს ნაწილი შეიცავს 18 თავს.

სიცხიანი დაავადებანი.

„სგ“ ცხროა ყოველთა დღეთა რომელ წყრომისგან იყოს ანუ შიშისგან.

„სდ“ ყოველ დღეთა ცხროა რომელ საჭამადისგან იყოს ანუ სიმშლისგან.

„სე“ ცხროა ყოველთა დღეთა რომელ მზიდოდღეს თუ შეჭირვებისგან იყოს და თუ ქირთაგან.

„სვ“ ყოველთა დღეთა ცხროა რომელ დია სიცხისგან იყოს ანუ დია სიცვიისგან.

„სზ“ ცხროა ყოველთა დღეთა რომელ სიღბოასგან იყოს ანუ სურდოასგან.

„სს“ ცხროა რომელ უძილობისგან იყოს ანუ სიმსივნისა ტკივილისაგან.

„სთ“ ღიბისა ცხროა ორფერად იქნების ლაზიმა და ნაბიმა.

„სი“ ცხროა მოტბაყისა რომელ სიმბურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

„სია“ ნიადაგ ცხროა რომელ მოპრიყაჲ ჰქვიან და ბატრალ ღიბი.

„სიბ“ მგოთხე ცხროა რომელ სევდისგან ანუ სხვაჲ ხილტისაგან იყოს.

„სივ“ შეხუთა ცხროა და შეექვსე და შეთერამეტე და სხვაჲ ებრიცა.

„სიდ“ ვაბაჲსა ცხროა და გვეთიც ცხროა რომელ სნებათა უქანის იყოს.

„სიე“ დიყისა ცხროა.

ამ ნაწილში 13 თავია.

მოტეხილობაჲ ძვალთა, წყლულები, დამწვრობა და გველის ნაკბენი. ღრიანკალისა ანუ ფუტკრისა.

„სივ“ მოტეხილობაჲ ძვალისა და ნაკრავი რომელ ასოთა ეცეს, და თავისა გატეხილობაჲ.

„სიზ“ ბალხური წყლული და ახალი და ძველი წყლული.

„სიკ“ ცეცხლითა დამწვრობაჲ და ებრობათა მღუღრითა და მღუღრითა წყლითა.

„სით“ თავი რომელიც სარჩევში არის ტექსტში აღარ ირკვევა (დაზიანებული).

ამ ნაწილში 4 თავია.... შემდეგ ტექსტი წყდება.

რომ შევადაროთ ტექსტი და სარჩევი, დაინახავთ, რომ თავების დალაგება დაახლოვებით სწორია, მაგრამ ამა თუ იმ ავადმყოფობის სახელწოდებაში თუ განმარტებაში საგრძნობი განსხვავებაა. ეს განსხვავება წიგნის შემდგომი დამუშავებისა და მრავალჯერ გადაწერის შედეგი უნდა იყოს, თუმცა წიგნის საერთო სტრუქტურა და ბრინციბები საგნებით დაცულია. შეიძლება კიდევ ვიფიქროთ, რომ ეს განსხვავება წიგნის გაქართულების შედეგი იყოს. ცხადია, ქართველი ავტორები აუცილებლად საკუთარ განმარტებასა და დაკვირვებას შეიტანდნენ ტექსტში მისი შემდგომი დამუშავებისა და გადაწერის დროს. სხვანაირად ვერც მოხდებოდა, რადგან ორი საუკუნის მანძილზე აუცილებლად შეიცვლებოდა როგორც ავადმყოფობის გაგება, ისე მისი მკურნალობა.

ამგვარია წინანდებარე წიგნის ფილოსოფიურ-მედიკური კონცეპცია, ემბრიოლოგიურ-ბიოლოგიური შეხედულებანი, ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, დიეტეტიკა და დიაგნოსტიკური ცნობანი, ზოგადი და კერძო პათოლოგია და სამკურნალო საშუალებანი.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი ეს ძალიან უდგება ძველ ბერძნულ-რომაულ ფილოსოფიურ-მედიკურ კონცეპციას, რომელიც ცნობილია „გალენიზმის“ სახელწოდებით და რომელიც მთლიანად იყო მიღებული და გამოყენებული არაბეთში.

ამ კონცეპციის შემქმნელი-სახელგანთქმული კლავდიუს გალენია (131—201 წ. ქ. შ.), რომელმაც უმაღლეს წერტილამდე განავითარა საბერძნეთის მედიცინა და რომელიც ითვლება უკიდურეს დოკმატიზმის წარმომადგენლად, ექსპერიმენტალური სკოლის შემქმნელად და მეთაურად.

აი რას ამბობს მასზე ძველი მედიცინის გამოჩენილი მკვლევარი Daremberg-ი (დარემბერგის წიგნის უქონლობის გამო ციტატა მოყვანილია კონერის წიგნიდან—იხ. С. Ко-





внер. „История древней медицины“, გამ. III, Киев, 1888 წ., გვ. 823): „დაკვირვებითა ნიშანმდებლობით, თუ კი მართლა მას (ვალენს) სურს დაკვირვება, იმის მაგივრად რომ ბრძალ სწამდეს, მისი ანატომიური აღწერილობათა სისწორით, და შეხედულებათა სისწორით აღგილობრივ ცვლილებათა გაგებაში და სისწორით გაგებულ ავადმყოფობათა მკურნალობის შორსმჭერტლობით, ის შეიძლება ჩაითვალოს შექმნელად ადამიანის ნამდვილ ანატომიის, ექსპერიმენტალური ფიზიოლოგიისა და აღგილობრივი დიაგნოსტიკის. ის დაჯილდოვებული იყო უზენაესი ნიჭის ყველა თვისებით—მხოლოდ მას აკლდა გენიალობა. მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი ნიჭის ხასიათი, მას უბყრია ხელთ მედიცინის მთელი წარსული და მომავალი. მან მოკრიბა გარდმოცემათა ქსელი და შეჭრა ისეთი მაგარი კვანძით, რომლის გაკვეთაც მთელი 15 საუკუნის მანძილზე ვერ შესძლო ვერც სოციალურმა რევოლუციებმა, ვერც დიდ იმპერიათა მსხვერვემ, ვერც უმეტრებამ ახალი და ვერც დაუძღურებამ ძველი ხალხების“.

ამ წიგნის და საერთოდ არაბული მედიცინის შედარება ვალენტან და ძველ ბერძნულ-რომაულ მედიცინასთან იმდენად საინტერესოა რომ ცალკე კვლევის და შრომის მოითხოვს. ერთი რამ კი ცხადია და ეს წიგნიც ნათლად ამტკიცებს იმ აზრს, რომელსაც ადგია მედიცინის ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი—რომ არაბების მთელი გონებრივი საუთნზე წარმოსდგება ბერძნული წყაროებიდან, რომლებიც მათ მხოლოდ თავისებურად გადაამუშავეს.

იმ მრავალ მიზეზს შორის, რომლებიც ამ გასაოკარი ხალხის ორიგინალური აზროვნების განვითარებას ხელს უშლიდა, უბთავრესი მაინც ყურანი იყო. იმ რას სწერს ამის შესახებ Haeser-ი („История и Основы медицины“. С. II. В., 1888 წ. გვ. 74): „მაგრამ არაბთა გონებრივი ცხოვრების თავისუფალი განვითარების ყველაზე უდიდეს დაბრკოლებად მაინც ყურანი უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს „ხელთუქმნელი“ წიგნი შეიცავდა მართლ-მორწმუნისათვის ყველასფერს, რაც საჭირო იყო ქვეყნიურ და ზეციურ მოვლენათა და საგანთა შეგნებისთვის. ის, რასაც ერქვა მეცნიერება და არ მოიძებნებოდა ურანში და მით უმეტეს ეწინააღმდეგებოდა მას, ღირსი იყო გამოხისა და განკაცვისა“.

მაგრამ, ამ ზედმეტად არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, არაბებმა მაინც შესძლეს შეეთვრსებინათ იმ დროინდელი კაცობრიობის მთელი გონებრივი და კულტურული მონაპოვარი, დაეცვათ ის, საგრძნობლად გაემდიდრებინათ და გადაეცათ მერმინდელ კაცობრიობისათვის.

და ისტორიას ახსოვს ისეთი დროც, როდესაც რომაელები და თვით ბერძნებიც კი არაბულიდან სთარკმნიდნენ საექიმო წიგნებს. რაც შეეხება ქიმიას და წამალთმცოდნეობას ამ დარგში არაბებმა იმდენი რამ შექმნეს ახალი და ორიგინალური, რომ ბევრი მათგანი დღესაც ძალაშია და ხმარებაში; საკმარისია დავასახელოთ სინდიყი, აზოტის სიმღავე, ალკოჰოლი, ნავტალინი, ქაფური და მრავალი კიდევ სხვა, რომ ნათელი გახდეს ამ ძველი აღმოსავლეთის უკანათლებულეს ხალხის დამახტურება კაცობრიობისა და კულტურის წინაშე.

ეხლა ვნახოთ, თუ რას ნიშნავდა „ნიშანთა შეტყობაჲ“ ანუ როგორი იყო ავადმყოფის გასინჯვის ტექნიკა, რის მიხედვითაც უწერდნენ წამალს და რა ხერხებია წინამდებარე წიგნში ნახმარი ამა თუ იმ სნეულების განსაკურნებლად.

როგორ სინჯავდნენ ავადმყოფს? ამის შესახებ ცალკე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ტექსტის მანძილზე შიგადაშიგ ნათლად ჩანს, რომ იმ დროს საკმაოდ დახველოვნებულნი ყოფილან ამ საქმეში.

მაგალითად, თავში „რლე“ ეკითხულობთ: „და რაჲ მუცელსა ხელი დაჰკრან, ხმაჲ მისი იგრე იყოს, რომელ წყლითა სავსე კუპრიელისაჲ ხმაჲ და შიგან წყალი იყოს“.



თავი „რლე“: „და რაჲ ხელი მანკისა ადგილსა შემოჰკრან, ხმა მისი ტაბულსასაჲ ჰკვან-  
დეს, ვითამცა დუნბულისა ხმასა“ (დუნბული პეტარა ნალარა).

შემდეგ, თავი „რჲე“: ყვერი წითლად იყოს და ხმაჲ ეტრატისა იყოს (ეტრატი ტყა-  
ვის ქალაღლი).

აქედან ნათელია, რომ იმდროს პერკუსია იყო ცნობილი (რასაკვირველია, თავისებუ-  
რად). თუ პერკუსია იყო, პალბაცია ანუ „ხელით შეძება“-ც იქნებოდა და ჩვენც თავში  
„რჲე“ ვკითხულობთ: „ამ ორთა ფერთა სხეთა ნიშანი ხელითა შეიძების, აზრითა, ანუ  
ხელითა და აზრით შეიძლება შეტყობაჲ“.

ან კიდევ თავი „რკბ“: „რაჲ ხელი სტომამჲსა შემოსდევს დია მზურვალედ იყოს“. შემ-  
დეგ, თავი „რლე“: და რაჲ მუცლისა სინსიენესა ზედა თითი დააპიროს ჩადგეს ღრულ  
ლარაჲ ხელი აიღონ ზეგე შემოჯდეს და გასწორდეს“. ეს ხერხი როგორც ვიცით დღესაც  
ძალაშია.

საგულისხმოა ფეტყის ქარის დიაგნოსტიკა. თავი „რჲე“: „სნეული პირაღმა დააწვი-  
ნონ, ორივე ხელი მანკისა ადგილსა შემოსდევან ქარი თავისა ადგილსა წივიდეს“.

სკოლინით აგრეთვე საშეილოსნოს ქარის გაღება. თავი „რო“: „რაჲ ზეჰდანისა (საშეი-  
ლოსნოა) კარი გააღონ და დედათა შიგან შეხედნენ სიწყულულე კიდე ჩნდეს თვალითა  
ნახოს“.

თუ ამას დავუმატებთ მაჯის ან, უკეთ, მაჯასის გასინჯვას, შარდის გასინჯვას და  
თვალით ნახვას ანუ ავადმყოფის „დახედვას“ რომ ეძახდნენ, სურათი ნათელი გამოვა.

მაგრამ მაინც მთავარი, როგორც ჩანს, ანამნეზი იყო „და ჰკითხოს ავადმყოფსა“.  
„და ავადმყოფმან თითონ უამბოს“, „ავადმყოფისა გამოკითხვითა შეიგების“ და სხვა... ამ  
შენთხევეაში ეჭიშის გამოცდილებას ანუ „მონახულობას“ ვადაშქრელი წნიშენელობა ჰქონ-  
და, ამის შესახებ თავი „რო“ ვაღმოგვეცემს: „ნიშანი ზეჰდანისა (საშეილოსნოა) გამოსელი-  
საი იგი არს რომელ გამოსულ იყოს და თვით შეიგნეს და ესე უმეცართა (უცოლინართა)  
აქიმთა არ იციან და ყოლა ამას მანკსა ვერ შეატყუებენ თუ დია მეცნიერი აქიმი და  
მონახული არ არის“. ან კიდევ თავი „როა“: „რეგვენთა და უმეცართა აქიმთა მრავალი  
ჩაუგდია ცბროასა და სნებათა შიგან უმეცრობითა“.

ენახით ახლა იმ დროინდელი სამკურნალო ხერხები.

როგორც ვიცით, მთავარი იყო ხელის გახსნა, ჰკითხ სისხლის გამოწოვა, ჰქიქის ცეც-  
ხლით მოკიდება, დაშაწერა შაშარით, დადაღვა გახურებული რკინით, მუცლის გახსნა,  
რწყვეა, ტლეს შემოდება, ჰუცნის გაკეთება.

როგორ კეთდებოდა ეს მანიპულიაციები, ამ წიგნში ცალკე არაფერი სწერია, მაგ-  
რამ ეს იმდენად საინტერესოა, რომ ამის შესახებ ცნობას მოვიყვანოთ სხვა ხელთნაწერე-  
ბიდან.

ხელთნაწერი № 3045 (საისტ. ფონდი): „ნებიოთა ღვთისათა ბაგრატ ასე ბრძანებს:  
რომე ძარღვისა გახსნა უბრძანებია სენისა უფალისათვის ესე არის, აწ სწერია, თავით  
ფეხებამდის ეს ოცდა თერთმეტი ძარღვი არს:

1. თავფუხი—ზედათ თავსა შუა არს.
2. შუბლის ძარღვი
3. სადაღნი
4. ჯუნანი—რონი ორთავე ყურთა უკან არის
5. მაყანი—რომე ორთავე თვალთა კილოსა არის
6. რასულანავ-რომე ცხვირის თავსა არის
7. შავდაინ-რომე ორთა ბაგეთა არიან
8. თათულისან-რომე ენასა ქვეშე არის
9. კიდევ ორთა უბათა შუა არის

10. ყიფალი-რომე მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის
11. აქალი-რომე ყიფალსა და ბარკალსა შუა არის
12. ბასალიყი-მკლავის სადრეკსა ქვეშე ნაპირსა არის
13. აბლეზირა-რომე ცერის უკან არის
14. სელიმი-რომე ნეკსა და თითის შუა შემართებით არის
15. თათრუქაბა-რომელი მუხლთა ქვეშე არის
16. რომე კოჭთა ზევით არის
17. ნასათა და არყნისაცა ჰქვიან, ესე ქუსლსა ზემოთ არის და ესე ყველა ცხადათ ჩანს.

(დანარჩენი, რომელიც ცხადად არა ჩანს, მოყვანილი არ არის).

შემდეგ: „რომელი ძარღვი უფრო მუდამ გასახსნელი არის ეს არის ყიფალი, აქალი, ბასალიყი, საფაინ და აბელეზირა და სელიმი და მამაზი, არყანისა“... „მაგრამ ყიფალსა რიგზედ უნდა გახსნა: შაშარი წმინდა უნდა, შიგ არა დამალოს, და ბასალიყი რომ გაიხსნა ასრე უნდა, ზურგი კედელზე უკუაჭირო და აგრე უნდა გახსნა და ბასალიყისა ძარღესა ბევრი ზელა არ უნდა და თბილის წყლით უნდა თავზე დასხმა, დიდის შანდილოთა უნდა შეკვრა, გახსნისა დროსა დაჯდეს.

„მაბიზის გახსნასა სად უნდა შეკვრა? ვითამცა წვიფენი და ბარკალიცა შეუკრან და ბევრი ბიჯი უნდა წაიაროს და მრავალჯერ უნდა ადგეს, დაჯდეს, უფრო ძარღვი გამოჩნდების, თუ შაშრის წვერი ძარღვის ღაშიასა მიხედეს ხელი იყოს ანუ ფეხი გაუსივდეს და გასივდეს სრულიად ტანზედა—იის ზეთი უნდა შესცხო და ნედლის ქინძის წყალი და წითელი სანდალი, და თუ ამისთანა საზიანო ფეხშიგან მიხედეს მარჯვენა ხელი იმა მხარისაკენ უნდა გაუხსნა. თუ ბაყლი დადგომილი იყოს წყლულს უნდა გაფართოება და მჩერები უნდა შემოსდვა, როჟე ბაყლი გაპოვიდეს და თუ კარგად გახსნილი ძარღვი გაძნელდეს და ტყაეს ქვეშეთ ძარღვის ადგილი გალურჯდეს სანამდისინ არ გამართელდების იმ ხელითა ან ფეხითა საქმე არა ქნას“.

როგორც ამ ამონაწერიდგან სჩანს, ძველი აქიმები ხელის გახსნაში საკმაოდ დახელოვნებულნი ყოფილან.

ვნახოთ ახლა კიქის მოკიდება, ამ ხელთნაწერში კიქას კოტოში ჰქვიან, აქ ლაპარაკია სისხლის გამომწოვ კიქაზე:

„თუ ხურვება ტანშიგან დაფანტული იყოს ამას გამოიდებს, თუ ქვეშეთ მოიკიდებს სულ ტანისა სისხლსა ჩამოიდებს, ამისთვის რაცეა ზემო სენი არს ყველას ქვემოთ ჩამოხიდავს“—მერმე „რომელსა ასოსა კოტოში მოიკიდოს ისი ასო გამოწმინდოს—კოტოში ვაჭთა და ბერთა კაცთა ხელისა გახსნისა სანაცვლო არს და ყმაწვილსა სანამდის ძუძუ არ დაავდებინო ნურც ხელსა გაუხსნი და ნურცა კოტოშსა მოკიდებ და თუ მწვავედ დაეპირვოს ისეთი შაშარი ჰკარ რომე მწე მოკლე და წმინდა იყოს, თვარემ ვერა გასძლებს. ყმაწვილისა, ბერისა კაცისა საქმე სწორი არს, რაჲ სამოცისა წლისა შეიქნების კაცისა სისხლისა გამოდგება აღარ ვარგა, ამისთვის რომე სისხლიცა მოიკლებს და ხორცითა მტლობასა დაიწყებს“.

ამას გარდა, კიქას მშრალადაც ჰკიდებენ: „და კიქაჲ ცეცხლითა ნოჰკიდონ მტრდზე“ (თავი „რახ“).

დაშაშრვა შაშრით ხდება—შაშარი წვრილი ლახეარია ლანცეტივით. დადაღვა—გაცეცხლებული რკინით. ტლეს შემოსდებდნენ როგორც კომპრესს.

რწყევა ასე ხდება: ხელთნაწერში № 1318 (საისტ. ფონდი) ვკითხულობთ: „რწყევის დროს ასრე უნდა, ორივე თვალი აიკრას, მუცელი შეიხვიოს. რწყევის უკან პირი და ხელა ცივის წყლით დაიბანოს და გამოირეცხოს—კვირაში ზედიზედ ორ დღეს არწყვიოს და ხუთ დღეს მოსვენებით იყოს ასრე რომ ორშაბათ დღეს არწყვიოს და სამშაბათ დღეს აგრევე, ხუთ დღეში მოსვენებით იყოს“.

აი ამგვარია ტექნიკური შესრულება და ჩვენებანი სხედასხვა საექიმო მანიპულიაციების დროს. მაგრამ საკითხი ამით არ იწურება, წინამდებარე წიგნში ჩვენებები კიდევ ისეთი მანიპულიაციები, რომელნიც თითქმის განცვიფრებას იწვევენ. ენახოთ.

თავი „ჟზ“ გადმოგვცემს: ზუნაყის დროს „თუ არ იჯობინოს და სიკვდილისაგან საშიშოა იყოს უშეკობესი იგი არს რომელ, ხორხისა ყურყუქსა ქვეშ გახვრიტოს ორთავე მრგვალთა და რაა სიმსაინისგან მორკპვით იყოს ხერელი შეკეროს და ესე სიკვდილისა საშიშოა: აქამი იქნების იცოდე“.

როგორც ვხედავთ, აქ მანიპულიაცია კი არა, მთელ ოპერაციასზეა ლაპარაკი Tracheothomia'-ზე.

აგილოთ შენდევ თავი „რაა“: ფსლის შეკრულობის დროს „ყათატირი სარცხუნელსა ხერელსა შიგან შეუპყრას რომელ ფსელი გამოვიდეს და ესე სადასტაქროა არს მაგრამ რაი დაექირებოდს ღონისა ძებნა უნდა და ყათატირი ქურჭელი არს კალამი (ლერწამი) უგულთა ვითა რომელ დასტაქარნი ამა საქმისთვის იქმან და ხმარებისა უამსა ვითა ღარსა დაუძებენ“.

შემდეგ თავი „როპ“ (ქალურ ავადმყოფობაზეა ლაპარაკი): „წინამდგომიან ღიაცმან (ბეზია) ხელითა დააცხიბიანოს ბალბითა და ერბოათა და შეუყოს ხელი მუნ (საშვილოსნოში) და იგი გამოაგრებელი სინახლი გამოიღოს“.

ან კიდევ ძნელად მშობიარობის დროს—თავი „როდ“: „და თუ ძნელად შობაა მაშიმამასა (ბუღისა) სისქისგან იყოს მოიკირვოს რომე ფრეხილითა ანუ დანის წვერითა გააღოს“.

შემდეგ იმავე თავში ვკითხულობთ: „თუ ბუჯე არ გამოაღოდეს და ზეპდანისა თავი ღია იყოს წინა მდგომიან ღიაცმამ შეხედნეს, თუ ნახოს რომელ მაშიმამა (ბუღე) მოგრეხილ იყოს ხელი დაიცხიბიანოს ერბოათა დაექიდოს და გამოიღოს“.

თავი „რადე“: „წყალმანკის დროს“ „გახსნითა წყალი კადე გამოიღოს ვითა მუცელსა გაპხსნიან ისთისყაასთვის“.

მაგრამ ყველაზე მეტ განცვიფრებას იწვევს ის, რომ გლაუკომის დროს წყალს უღებდნენ თურმე თვალიდან, დღეს ოფტალმოლოგიაში ეს ოპერაცია ხდება სულ ადრე, ახლად დაწყებითი გლაუკომის დროს და მეტისმეტად რთულ ოპერაციად არის მიჩნეული. თავში „რა“ ვკითხულობთ: „თუ წყალი ჩამოსრულ იყოს (თვალთა შიგან) ყადაპისა კიდე არა იქნების და ყადაპი წყლისა გახსნასა ჰქვიან მილისა წვერითა“ (მილი ინსტრუმენტი).

კიდევ ასეთი ხერხი გვხვდება თავში „ეთ“: „თუ ძუალი (იგულისხმება ფხა) დაადგეს ხორხსა, ცოტაა ხორცი წითელი მკედსა (მაგარი ძაფი) მოაბას და ჩანთქას და მაშინ ამოხილოს უღონოდ, ძვალი მას ხორცსა მოეკიდების და გამოკვეების“.

როგორც ჩანს, მზით მკურნალობას და, ასე ეთქვამთ, ცხელი ქვიშის აბაზნებსაც იყენებდნენ. თავი „რლე“: „და თუ ხაფხული იყოს ცხელსა ქვიშასა შიგან ჩაწვებოდეს და მუცელსა ცხელსა ქვიშასა ზედა დასდებდეს“. ეს ისთისყოს დროს ანუ მუცლის გასიების დროს—როგორც ჩანს, ტუბერკულოზური პერიტონიტი უნდა იყოს.

თავი „რმე“: „თადარი (თაბახივით არის) გახვრიტოს ზედა დაჯდეს და ქვეშეთ იკმოლოს“.

ან კიდევ ბუასილის დროს: „და თუ თმითა და აბრეშუმითა წმინდათ შეკრას (ბუასილის კვანძი) კარგი არს, თვით დავარდების“.

ყველა იმის გარდა, რაც აქ მოვიყვანეთ, ისეთ ხერხებსაც ხმარობდნენ, რაც დღეს აღარ იხმარება და დიდი მნიშვნელობა კი უნდა ჰქონოდა. მაგალითად, თავი „სგ“: „ქურნეზაა მისი იგი არს, რომელ ვეფთთა რაასმე შეექცეოდეს რომელ გულსა გაამხიარულებდეს ვითა ჰამოთა მუტრითა ხვაა და ჰამოთა მოამბვეთაგან ჰამაყისა მოსმენაა და კარგთა მენლაპრეთაგან ზღაპრისა მოსმენაა. ეს ცხროას დროს რომელ შიშისგან იყოს“.



ან კიდევ თავი „სე“: ცხროჯ ყოველთა დღეთა „კურნებაჲ მისი იგი არს რომელ თავი შეაქციოს სიხარულსა და ნიშატსა და ეგეთთა საქმეთა რომელ გულისა გაანჩინა უღებდეს და ძუალთა, ხმითა ჰამოთა მომღერალითა“.

აი ასეთი იყო ის ხერხები, რომლებსაც მიმართავდნენ ავადმყოფის საწოლთან სნეულის დასახმარებლად და მოსარჩენად. და თუ ყველაფერს ამის დაფუძნებით იმ წესებს, რომლებიც საყოველთაოდ იყო მიღებული, როგორც მაგალითად, (თავი „როდ“): „რაჲ შობისა ქამი მოეახლოს მიწყით აბანოსა მივიდოდეს“, ან კიდევ: „თუ პატარასა ყმასა სჭირდეს (ავადმყოფობა) წამალი მისი დედამ ჰამოს“ და მრავალ სხვას, მაშინ სურათი ნათელი გახდება და თამამად შეგვეძლება დავასკვნათ, რომ იმ დროინდელი ქართველი აქიმები მაინც და მაინც სასოწარკვეთილნი და ზელცარიელნი არ მდგარიან ავადმყოფის საწოლის წინ, მეტადრე მაშინ, როდესაც „სიკვდილისა საშიშოასა ქამი იყო“.

აქედგან გასაგებია, თუ რას ეძახდნენ მაშინ უმეცრებას და ასე მწვავედ რად გრძნობდნენ მას და რად უნებოდნენ მოსწავლეებს ყოველ წამს: „ესე მეცნიერებაჲ კარგათ გაიგონებით, დაისწავლე ვინცა აქიმობ და კაცისა ტანისა და ბუნებისა და გასარეველისა შეტყუებაჲ და შეგებაჲ სახასოჲ არს მეტად მეცნიერისა და გონიერისა აქიმისაგან“ (თავი „როგ“). თორემ „რეგვენთა და უმეცართა აქიმთა მრავალი ჩაუგდია ცხოასა და სნებათა შიგან უმეცრობითა“.

ენახოთ ეხლა, თუ როგორი იყო წამლის მიცემის წესები. თავისთავად გასაგებია, რომ წამლის მიცემის დროს უნდა ეხელმძღვანელათ იმ ზოგადი ფილოსოფიურ-ექიმურ პრინციპებით, რომელნიც მაშინ სწამდათ.

როგორც ზემოთ ვენახეთ, ამ პრინციპების ურყევ საფუძველს შეადგენდა იპოკრატის ეგრეთწოდებული ჰუმორალური პათოლოგია, რომელიც ჯერ გალენმა და შემდეგ არაბებმა საფუძვლად დაუდგეს მთელ თავიანთ ფილოსოფიურ-ექიმურ მსოფლმხედველობას. ეს ჰუმორალური პათოლოგია გულისხმობდა შემდეგს: ქვეყანაზე არსებობს 4 სტიქიონი—წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი; ამათ უთანასწორდება სხეულის 4 ელემენტი ანუ ხილტი—სისხლი, სევდა, ზაფრა და ბალღამი. ნორმალური გარეგა ამ ოთხი ხილტისა ჰქმნიდა ორგანიზმში ერთგვარ ფიზიოლოგიურ წონასწორობას, რომელიც აუცილებელი პირობა იყო ჯანმრთელობისა—ამ გარეგანში ელემენთთა შორის წონასწორობის დარღვევა ანუ ყოველი მათი გამრავლება ან შემცირება ან წახდენა იწვევს ავადმყოფობას. აი ამ მთავარი პრინციპების მიხედვით ექიმის დანიშნულებას შეადგენდა შეტყობა ამ გარეგის წონასწორობისა და თუ წონასწორობა დარღვეული იყო, მაშინ გაგება იმისა, თუ ამ ოთხი ელემენტიდან რომელი იყო მომატებული ან შემცირებული და ჰქმნიდა ავადმყოფობას.

ექიმს დიეტეტიური ზომებით და წამლეულობის მიცემით უნდა ეშველა ბუნებისათვის, რომელიც თითონვე ასწორებდა დარღვეულ წონასწორობას—აქედგან მკურნალობის პრინციპი იყო *Contraia contrarii*, ესე იგი წინააღმდეგობა-საწინააღმდეგოთი ანუ ავადმყოფობასთან ბრძოლა და წინააღმდეგობა-საწინააღმდეგო საშუალებით, მაგალითად:

- ცხელს—ცივი,
- გრილს—თბილი,
- ცივს—ცხელი,
- ხველს—ნედლი,
- ნედლს—ხმელი და სხვა.

აქედან გასაგებია, რომ მთელი წამლეულობა, რომელიც უმთავრესად მცენარეულისაგან და ხილეულისაგან შესდგებოდა, შესწავლილი და დამუწავებული იყო მათი ამ ოთხი თვისების მიხედვით, როგორც:

1. ცივი და გრილი,
2. ცხელი ანუ მხურვალე,

- 3. ხმელი,
- 4. ნედლი.

ამ თვისებათა მიხედვით ნავარაუდევია იყო მათი ზეგავლენა სხეულზე მათლიანად ამ სხეულის რომელიმე ორგანოზე.

ამგვარადვე ხდებოდა საკმელების დაყოფა, ესე იგი საკმელებშიაც იყო ცხელი ანუ მხურვალე საკმელი, ცივი ან გრილი, ხმელი ანუ ნედლი და სხვა.

რადგან წინამდებარე წიგნში ამ საკითხზე ცალკე არაფერი სწერია, ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ამაზე ცნობებს მეორე საექიმო წიგნიდან, რომელსაც ჰქვია „იადიგარ დაუდი“ და რომელიც გადმოქართულებულია XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქ. კონსტანტინეპოლში მეფეთ მეფის ლუარსაბის ძის ბატონიშვილი დავითის ანუ დაუდხანის მიერ. ამ წესანიშნავ საექიმო ძეგლში, რომელიც მოცულობით აღემატება ყველა არსებულ საექიმო ძეგლს, ამ საკითხს მთელი თავები აქვს მიძღვნილი (ხელთნაწერში პავინაციის უქონლობის გამო გვერდები ვერ მოგვეყავს):

„ესე ბაბი პურებისა სიკეთესა და ხასიათებსა გვიამბობს“

„ხორბალი ნედლი არის და ცოტა სიმხურვალეცა ეთქმის, ყველაზე უკეთესია წმიდა, გაცრილი გამტკიცული ხვარბლისა პური და სხვა...“

„ქერის პური გრილი და ნედლია მაგრამ კაცს არ არგებს, სტომაქსა გვიან გაუძღობს კაცს ქარსა აუგდებს და სხვა.“

„ბრინჯის პური გრილი და ხმელი არის კაცის ჯანს მოიძნობს, მუცელში შეჭკრავს...“

„ფეტვისა პური გრილი და ხმელი არის გვიან დადნების, კაცს შეჭკრავს და სხვა..“

„ესე ბაბი ხორცებისა სიკეთესა განცნებს და გვიამბობს“

„ცხვრის ხორცი და ადამის ტომის სტომაქში ერთმანეთზედა შეზავებული არის, კაცსა კარგად მოუხდების და სტომაქსა ლამაზად დაშვენების...“

„ბატკნის და თიკნის ხორცი რაც ხორცი არის სრულიად ყველასა სჯობს და სხვა ხორცში უფრო ნაზუქი და შემრგო არის...“

„თხის ხორცი გრილი და მეტად ავი ხორცი არის...“

„ძროხის ხორცი ხმელი და მძიმე არის სტომაქში პილწად გასქელების და გვიან დადნების...“

„ირმის ხორცი მხურვალე და ხმელი არის კოლინჯსა, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა სამსავე მწოდ არგებს.“

შემდეგ ამავე თვისებათა მიხედვით ჩამოთვლილია: ჯეირნის ხორცი, შელის ხორცი, ღორის ხორცი, კატის ხორცი, კურდღლის ხორცი, ცხენის ხორცი, აქლემის ხორცი, კახჯრის ხორცი, ვირის ხორცი, შემდეგ ქათმის ხორცი და კვერცხი, ხოხბის, ღურაჯის, ტრედის, ჭავჭავის.

„იხვისა და ბატის ხორცი ორივე მხურვალე და სქელია... სტომაქში ორივე გვიან დადნების“ და სხვა.

შემდეგ აწერილია თევზების, ერპოების, ზეთების, რძეების თვისებანი.

„ძროხის რძე—გრილი და ნედლი“.

„ცხვრის რძე—გრილი და ნედლი“.

„თხის რძე—გრილი და ნედლი“.

„დედაკაცის რძე—სრულიად ყველა სხვასა სჯობს“.

შემდეგ ჩამოთვლილია პარკოსანი მარცვლეული:

ბრინჯი—მხურვალე და ხმელია“

ბაყლაკერცი—მოჭთადილი და შეზავებული არის“

ლობიო—მხურვალე არის“

მუხუდო—მუხუდოს წვენი კარგი არის“

„მურღუმაქი ვითამცა ცულის პირას ცერცვიო—გრილი არის“

„ბოი ვითამცა უღბოს თესლი—მზურვალი და ხმელი არის“...

შემდეგ ჩამოთვლილია მტილეთუნი:

„ბოლოკის თესლი—მზურვალი არის“

„თალგამის თესლი—მზურვალი და ნედლი არის“

„სტაფილოს თესლი—მზურვალი და ხმელი“

„წიწმატი და ტიტა—ორივე ერთნაირი არის მზურვალი და ხმელი“. და ასე ჩამო-  
თვლილია ყველა მტილეთული

შემდეგ სამკურნალო მცენარეულობა:

„კაპარი-მზურვალი და ხმელი არის“

„აბზინდა-მზურვალი და ხმელია“

„ყვავის კანკა-მზურვალი და ხმელია“ და სხვა მრავალი...

ხილებში: „ყურძენი მზურვალი და ნედლია“.

„ისრიმი—გრილი და ხმელია“,

„ტკბილი ბროწეული—მზურვალი და ნედლია“,

„მეავე ბროწეული—გრილი და ხელია“,

„მწარე ნუში—მზურვალი და ხმელია“,

„ატამი—გრილი და ნედლია“,

„ვაშლი ტკბილი—გრილი და ნედლი არის“,

„მსხალი—გრილი და ხმელი არის“,

„ბიი ორი რიგი არის, ტკბილი ბიი—გრილი და ნედლი არის“

„მეავე ბიი—გრილი და ხმელი“ და სხვა მრავალი...

ამ ამონაწერიდან ნათელია, რომ სასმელი, საკმელი, ხილი, სამკურნალო მცენარეულობა —ყველაფერი, რასაც ადამიანი იყენებდა საზრდოდ თუ სამკურნალოდ—არც ერთი მათგანი უნაწილო არ იყო იმ ოთხი ელემენტისაგან (ცეცხლი, მიწა, წყალი და ჰაერი), რომელიც იყო ფუძე ყოველი არსისა, მცენარისა და საერთოდ ყოველი სიცოცხლისა სულეერისა თუ უსულოსი.

აქედან გასაგებია, რომ ყველაფერი, რაც არსებობდა ქვეყანაზე, იმ ოთხი თვისების მატარებელი და შემცველი უნდა ყოფილაყო, რომელნიც შეადგენენ ამ ოთხი ელემენტის მთავარ თვისებას, როგორც სითბო, სიცივე, სიხმელე და სინედლე.

ეს ჰარმონია ზილულისა და უზილავისა, მცენარისა და არსისა, სულეერისა და უსულ-  
ლოსი ადამიანის სხეულთან ერთად ჰქმნიდა იმ მთლიანობას, რომლის საოცრებასაც მიჰყა-  
ვდა ძველი ადამიანი ღმერთთან ანუ ისეთ უზენაეს ძალასთან, რომელიც ჰქმნიდა სამყარომ ;  
ამ განუყოფელ მთლიანობას.

აქვეა სათავე იმ დემონოლოგიური რწმენისა, რომელიც გულისხმობდა ავი და ბორო-  
ტი სულების არსებობას და გაჩენას ქვეყანაზე, რომელნიც ხელს უშლიდნენ ამ მთლიანო-  
ბის განხორციელებას და უზენაესი ძალის ნების წინააღმდეგ ყოველ წუთს ცდილობდნენ  
არსებული წონასწორობის დარღვევას; ამის შედეგი კი იყო რწმენა იმისა, რომ ყველა ის  
ატმოსფერული, მეტეოროლოგიური თუ სეისმიური კატასტროფები და ავადმყოფობანი,  
რომელნიც ელვის სისწრაფით არღვევდნენ და ამსხვრევდნენ ათასი წლობით დაგროვილ  
კულტურას და მატერიალურ კეთილწყობილებას და ანადგურებდნენ მოსახლეობას, ვითომც  
შედეგი იყო ამ ავი და ბოროტი სულების გაწყობისა.

გამოადიოდა რა ამ რწმენიდან, ადამიანი ყოველთვის სცდილობდა საკუთარი ძალებით  
წინ აღდგომოდა იმ ბოროტ ძალას, რომელიც სცდილობდა ყოველ წუთს თავზე დაეტეხა  
მისთვის მოულოდნელი უბედურება. და მთავარ უბედურებად ხომ ავადმყოფობა იყო მიი-  
ნეული ყოველთვის. აქედან წამლის მიცემას და დაზნადებას ბევრჯერ რაღაც საიდუმლო



მისტიური ხასიათი ჰქონდა—წამლების სახელწოდებაც ყოველთვის რალც მისტიური და გაუგებარი იყო ჩვეულებრივ მომაკვდავისათვის.

გაუგებარი ჯა საიდუმლო იყო აგრეთვე ის რიტუალი, რომელიც ავადმყოფის მოვლასთან იყო დაკავშირებული—სიმღერა, ცეკვა, საკრავის დაკვრა, უღლის ტარება, წითელი ფერი, თეთრი ტანსაცმელის ტარება და სხვა.

თუ არც ერთი ეს არ სჭრიდა, მაშინ ადამიანი იშველებდა მაგიურ სიტყვას, რომლითაც ის სცდილობდა ავი სულის დაშინებას, ესე იგი ავადმყოფის განსაკურნებულად და ამა თუ იმ საერთოხის თავიდან ასაცილებლად იმ დროინდელი ადამიანი იყენებდა ყველა იმ საშუალებას, რომელიც მის განკარგულებაში იყო.

შემდეგ, როცა მედიცინამ გარკვეული სახე მიიღო, წამლეულობის მოგონებასა და გამოყენებას მთავარი მნიშვნელობა მიეცა—აქედან არის ის სიბევრე და ის სხვადასხვაობა მკურნალობაში, რომელიც გეანციფერებს თავის მრავალსახეობით. ეს მრავალსახეობა და მრავალრიცხოვნობა არაბეზმა პირდაპირ ფანტასტიურობამდის მიიყვანეს. აქედან ვასაგებია, რომ წინამდებარე წიგნში მარტო წამლების ფორმა გვხვდება 23, რაც პირდაპირ ფანტასტიურია. მოგვყავს აქვე:

- |             |             |                 |
|-------------|-------------|-----------------|
| 1. მაჯუნი   | 8. სუფუფი   | 16. ლუაზი       |
| 2. მატბუხი  | 9. რუბი     | 17. შაფი        |
| 3. მალამო   | 10. ჯულაბი  | 18. წყალი-წვენი |
| 4. გვარიწნი | 11. ყურსი   | 19. ლუყი        |
| 5. ნაყი     | 12. აფშარაჲ | 20. ფარრაჯაჲ    |
| 6. აბი      | 13. დარური  | 21. ფუხთა       |
| 8. იარაჲ    | 14. შარაბი  | 22. მოპარიბი    |
|             | 15. შარბათი | 23. ფოლოსი.     |

ყველა ესენი გამოყენების მიხედვით შემდეგნაირად დაჯგუფდებიან: სისხლის დამკირავნი, გამაგრებელნი, მომზოცებელნი, შემოსადებელნი, მუცლის დასალბობნი, გამახურებელნი, მოსამწიფებელნი, საცოხნელნი, სალოკნი, სისხლის უკუმყენებელნი, გამომრწყაენი, კიდევანნი ანუ გამოწყვანნი.

ეს წამლები უმთავრესად მცენარეულობისაგან და ხილთაგან მზადდებოდა. იყო ქიმიური წამლებიც.

წამლების დამზადების დროს გამოყენებული იყ.ა: გარჩევა, გაფხეკა, გაცრა, გაგალვა, გაშრობა, გახშობა, დალბობა, მოხარშვა, გამოწურვა, დანაყვა, დახელვა, დასორსოლაგება და სხვა... თითქმის ყველა ის წესები, რომლებიც დღეს იხმარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამოჩენილ ექიმს ჰქონდა თავისი საკუთარი წანლის ფორმულა და მისივე სახელით იყო ცნობილი. მაგალითად:

- ჯალინოზის იარაჲ,
- როფისის იარაჲ,
- მესიის გვარიწნი,
- ყურსი ანდრომახისი და სხვა.

ამათ გარდა, ხმარებაში იყო სტანდარტული ფორმებიც, როგორც, მაგალითად:

- აბი ყუყია, აბი ყოლინჯანისა
- აბი ღარიყონი, იარაჯი ფეყრა
- აბი საბრი, ბალადურისა მაჯუნი და სხვა მრავალი.

ნაკრამ ამისდა მიუხედავად ინდივიდუალურ მკოდნეობას მაინც დიდი ასპარეზი ჰქონდა.

რაც შეეხება წამლეულის მიცემის წესებს, როგორც ჩანს, აქ დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ: თავში „ლე“ კვითხულობთ: „წამალს აძლედე ეამისა და კაცისა მისაფერად“, „სნეუ-





ლისა სტომაქისა მისაფერად“, „სნეულისა ძალისა მისაფერად“, „სიცვიისა, სიცხისა, ჭამისა და ჰაერისა მისაფერად“ და სხვა.

როგორც სჩანს, ამ ზედმეტ სიფრთხილეს იწვევდა ის დიდი სიძნელე და სირთულე, რომელიც თან სდევდა ავადმყოფობის სწორ გაგებას ანუ სწორ დიაგნოზის დასმას.

რაც შეეხება წამლეულის ზომას და წონას—აქ გამოყენებულია არაბული:

- |  |   |
|--|---|
| 1. დანგი—3 კერატი.                             | 6. უკია—12 დრამი                            |
| 2. ყერატი—4 ქრთლის მარცვალი (ქერის)            | 7. პევზვი—ერთი მუჭა                         |
| 3. დრაპკანი—4 დრამი                            | 8. ლიტრა—წინად უდრიდა 400 გრამს დაახლოვებით |
| 4. დრამი—6 დანგი                               | 9. მანი—წინათ უდრიდა 300 გრამს დაახლოვებით  |
| 5. მიტყალი—1 <sup>1</sup> / <sub>2</sub> დრამი | 10. თასი—უდრიდა დაახლოვ. ერთ ჩაის კიჭას.    |

აი, ამგვარია წინამდებარე წიგნის მთავარი საექიმო პრინციპები ავადმყოფობათა წარმოშობის, გაგების და მკურნალობის შესახებ. აქ საყურადღებოა ის რომ მთელი წიგნის მანძილზე არსად არც ერთი მსჯელობა, ხერხი თუ მკურნალობა ამ პრინციპს არ სცილდება; ამიტომ არის, რომ წიგნი გასაოცარი მთლიანობისა და მკაცრი სისტემატურობის ხასიათს ატარებს ბოლომდის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, რომელიც წინამდებარე წიგნს აქვს საქართველოს ძველი მედიცინის და, საერთოდ, ძველი მედიცინის კვლევის საქმეში,—ეს ერთი, და მეორე—ის დაუსრულებელი იდეები და სამკურნალო საშუალებანი, რომლებიც აქ არის მოყვანილი, თანამედროვე ლაბორატორიასა და კლინიკაში გამოცდის და გამოკვლევის შემდეგ საგრძობლად გაამდიდრებენ თანამედროვე საექიმო აზროვნებას და შეიძლება ითქვას ბევრ ახალ სამკურნალო საშუალებასაც შეგვიძენენ, თუ კი დაცული იქნება მკაცრი მეცნიერული კვლევა და სათანადო სიდინჯე და არა ზერელე რეკლამა, რომლის საშიში ნიშნები უკვე ჩნდება ამ ზედმეტად საქირო და სერიოზული საქმის ირგვლივ.

ექიმი ბასმაჯიანი<sup>1)</sup> თავის „ამირ დოვლათ ამასიელის“ გამოცემის ფრანგულ წინასიტყვაობაში ძველი სომხეთის მედიცინის პრესტიჟის დასაცავად სრულიად სამართლიანად სწერს: „ამ წიგნის მეცნიერული მნიშვნელობა იმაშია, რომ ბროფნ სეკარზე და ვორონოვზე 4—5 საუკუნით ადრე მან, ამიერ დოვლათმა, უკვე იცოდა ოპოთერაპია—მან იცოდა ცხოველების ჯირკვლების სხვადასხვა ნაწილზე ზეგავლენა“-ო.

ჩვენ, ძველი საქართველოს მედიცინის პრესტიჟის დასაცავად უნდა განვაცხადოთ, რომ ქალის რძით მკურნალობა, რომელიც შეიცავს თანამედროვე ლიზატოთერაპიას და შარდით მკურნალობა, რომელიც შეიცავს უროთერაპიის პრინციპებს, 7—8 საუკუნით ადრე იყო ცნობილი და ფართოდ გამოყენებული სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობაში, ძველი ქართველი ექიმების მიერ.

ექ. ლადო კოტეტიშვილი.

<sup>1)</sup> ბასმაჯიანი: „ამირ დოვლათ ამასიელი—გამოუთარგმნარი უცოდინართათვის“ გამოცემა სომხურად, ვენა 1926 წელი.




№ 1. „წიგნი სავცხთა“.



Handwritten musical notation on a five-line staff, with Georgian text written below it. The text is in a historical script, likely Georgian. The page is numbered '51' in the top left corner. The notation consists of several measures, each starting with a clef and a key signature. The text is written in a cursive hand, typical of historical Georgian manuscripts.


№ 3. ბელთანუგროს სანძიმუშო გვერდი.



№ 4. ბელთაწერის სანიმუშო გვერდი.



# „წიგნი სააქიბოღ“



**ქსე** წიგნი სააქიმოა, ოდეს რუქიანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქცი-  
ეს, მუნით ალაფად მოიღეს, ქრისტეს მიერ პატრონი ჭყონ დიდელმან, მისმან მწიგნო-  
ბართ უხუცესობამან, პროტოა უბერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველსმან კაც-  
მან, გონებაჲ მოზავმან და საღმრთოათა მსჯავრთა მართლ მსაჯულმან, და ხელისა მპყრო-  
ბელმან უღონოთა და ქვრიეთამან, ქართულად მათარგმინა მე მიწასა მათსა ხოჯაყო-  
ფილსა.

**კრებაჲ ასოშრად:** <sup>1)</sup> რომელი საქმენელად და სამკურნალოსა და რაცა უნდეს აღ-  
ვილად პოს წამალნი სნეულთანი.

- 10 ა. პირველი კარი აქიმობისა სწავლისა და სარგებლიანობაჲ მისი.  
ბ. კარი აქიმობისა ნიეთისა საზომისა. სწავლაჲ და გაყოფაჲ მისი.  
გ. კარი ბუნებისა და სტომაქისაჲ  
დ. კარი გარეენაჲ ბუნებისაჲ და შეტყუებაჲ რგებისაჲ.  
ე. კარი კაცისა დაბადებისა და ტანისა შეტყუებაჲ.  
ვ. კარი გამოჩენა ხუთთა ჰავასთა.  
ზ. კარი შენახვაჲ ტანისა სიმრთელისა.  
ც. კარი მაჯასისა შეტყუებისაჲ.  
თ. კარი წყლისა და სიღბოასა შეგებაჲ.  
ი. კარი ბუპრიანისა და სიმრთელე დათერაკისა.  
ია. კარი ნიშანი სიმრთელისა და შიშისაჲ.  
20 იბ. კარი მომავლისა სნებისა შეტყუებაჲ.  
იგ. კარი ქალაქთა და ჰაერთა ბუნებაჲ.  
იდ. კარი წელიწადისა ოთხდერად ქცევისაჲ.  
იე. კარი ყოვლისა მანკისა ცოდნა თუ რაასაგან იქნების.

### თავის ტკივილის გამორჩენა რაასგან იძნებვის

- ივ. ქარტლი რომელსა ჰრქვიან არაბულად ხაზამი და სპარსულად<sup>2)</sup>... [საბოსაჲ]<sup>3)</sup>  
იზ. კარი თავისა წყლულთაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სითა.  
იც. კარი თმათა დახდისა და ბელატობისა რომელსა ჰქვიან არაბულად ასლა.  
ით. კარი დაღჰაიბ და დათაღაბი არაბულად გჯელთა და მელთა ქარი.  
30 კ. კარი თმისა გაპობისა, გათერებისა.  
კა. თავის ტკივილი რომელი სიმხურვალისა ანუ სიგრილისაგან იყოს.  
კბ. თავის ტკივილი რომელი სინედლისაგან იყოს და თუ სინემლისაგან.  
კგ. თავის ტკივილ სისხლისაგან იყოს და თუ ბაღმისაგან.  
კდ. თავის ტკივილი ზაფრისაგან იყოს და თუ სევდისაგან.

<sup>1)</sup> დედანში აქ ირი ასო უზის გვ.

<sup>2)</sup> აქ დედანში არაფერი სწერია.

<sup>3)</sup> აღდგენილია ტექტის მიხედვით.





- კე. თავის ტკივილი ტფილისა ქარისაგან იყოს და თუ გრილია ქარისაგან.
- კვ. თავის ტკივილი რომელი ტენისა ფარდავისაგან იყოს.
- კზ. თავის ტკივილი რომელი არაბულად ბაიტი ჰქვიან.
- კს. თავის ტკივილი რომელი ნაკრავისა ანუ ისთიფრალისა ანუ სულისაგან იყოს.
- კთ. თავის ტკივილი რომელი მახმურობასაგან იყოს ანუ ბუჭრიანისაგან.
- ლ. თავის ტკივილი რომელი სტომაქისაგან იყოს და მისისა სისუსტისაგან.
- ლა. შაყყაძისა ტკივილი რომელ სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- ლბ. თავის ტკივილი რომელსა არაბულად დავარი ჰქვიან.
- ლგ. თავის ტკივილი რომელსა მესადარ ჰქვიან რომელი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
- 10 ლდ. სარსამი თუ სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან<sup>1)</sup>
- ლე. მანკი სუშმათისა და სუშმათი საპარი დაძინება მძიმედ.
- ლვ. შეხუსი და ჯუშუდი თრივე სიგრილისაგან იქნების.
- ლზ. მალიხური რომელსა ჰქვიან სპარსულად დევანგი.
- ლს. ყუტრუბი და მანიამ ორივე სიშმაგისაგან იქნების.
- ლთ. უძილობა და გულისა სიშფოთე.
- მ. მიჯნურობა და დაუთმობლობა.
- მა. დავიწყება და არ დასწავლა.
- მბ. ქაბუსი რომელი მძინარესა ზედა დააწევების რომელსა ჰქვიან ქართულად ხი-ბალიკი.
- 20 მგ. ბადაფქანი რომელსა ჰქვიან არაბულად სარიი და ქართულად მტრისა დიციმა.
- მდ. ბადაფქანი რომელი სევდისაგან იყოს ანუ გრილისა ქარისაგან.
- მე. საქთი რომელსა უგრძნეულად შეეკნების და მკედარსა მიამსგზავსებს.
- მვ. ფილენჯი რომელი ნაკრავისაგან შეეკნას ანუ ბალამისაგან.
- მზ. ისთსხო რომელი ასოთა დაასუსტებს.
- მს. დაძინება ასოთა რომელსა ჰქვიან არაბულად ხიდრი.
- მთ. გამრუდება პირისა რომელსა ჰქვიან არაბულად ლაყვი.
- ნ. თაშანუჯი რომელი ასოთა გაახმობს.
- 30 ნა. ქუზახი და იმთიდადი ორივე ფერი თაშანუჯისაგან შეეკნების.
- ნბ. თრთოლა და ასოთა რომელსა ჰქვიან არაბულად რაშა.

**თვალთა ტკივილისა და კუჭუთოთა**

- ნგ. მღერი და მქავანი რომელი თვალთა შეეკნების.
- ნდ. ბარადი და თალჯური და შირა რომელი თვალთაშინა იქნების.
- ნე. ყათრი და თვალთა დაკრეა ერთმანერთსა ზედა.
- ნვ. საფა და ვარდან და თვალთა წამწამთა მომატება და გაგრძელება წამ-წამისა.
- 40 ნზ. ქმანი და თოთა და წამწამისა დახდა და ჩამოცივინა.
- ნს. სალა და შორნაყი და ზელაყი რომელი თვალთა შიგან იქნების.
- ნთ. ლადა და პურბი და ყამყამი რომელი წამწამსა შიგან იქნების.
- ა. თვალთა ტკივილი სისხლისაგან.
- აა. თვალთა ტკივილი თუ ზატრისაგან იყოს თუ სევდისაგან.
- აბ. ზტარფა და ნახუნა. ტარფა ნაკრავსა ჰქვიან რომელი ეცეს თვალთა.

<sup>1)</sup> ამ თავს მიწერილი აქვს „თავქედი“ არა დედნის ხელით.



- აგ. წყლული და დაბერულობა თვალთა რომელსა ჰქვიან მათურ.
- ად. საბალი და ცრემლითა დენა რომელსა ჰქვიან დამ.
- აე. ყუაგილი და თეთრი და დიყაა რომელი თვალთა შიგან იქნების.
- აგ. სარტანი და თხამლი რომელი თვალთა შეექნების და სარტანი კირჩხიბისა ჰქვიან, მეორესა ფარდაგსა უკანით შეიქნების.
- აზ. გარეთ სიმსიენე თვალთა ერთობით ანუ ცოტასა აღდილსა.
- აძ. გაფართოება და დავიწროება თვალთა ხერელისა.
- ათ. ინთიშარი თვალისა გაფართოებასა ჰქვიან.
- თ. ძლიე ნახვა რომელი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
- თა. პირველ წყლისა ჩამოდენა თვალთაგან.
- თბ. ღამე სიბნელე და ღლისითცა ეგრევე.
- თგ. ყურისა ტკივილი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.

**ცხუიკთა და შუკთა ჟამალი და კუარება**

- ოდ. ყურიცა გასიკვება სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
- ოე. წყალი ანუ მძროპელი თუ ყურსა ჩაიღეს.
- ოვ. წყლული და თხამლისა დენა ყურისაგან.
- ოზ. ხმისა მოსმენა გივილი და შევილი.
- ოძ. სიყრუე და მძიმედ სმენა ხმისა. სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
- ოთ. ცხვირთა წყლული და გაბერილობა რომელი შიგან იყოს.
- პ. თუ სული არ ეცემოდეს. სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
- პა. ცხვირისა ბავასირი და სიმყრალე.
- პბ. სისხლისა დენა რომელსა ჰქვიან არაბულად რუაფი.
- პგ. სურდოსა და ცხვირთა დენისა სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.

**პირის ტკივილი, კბილთა და ენისა, ზაბეთა დაკობა და ბავასირი და სიმსივნე**

- პდ. კბილთა ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- პე. კბილთა შექმულობა და დაცეენა და ძერა.
- პვ. სიმყრალე კბილისა და ღრძილისა და სიშავე და სისხლის დენა მისგან.
- პზ. სიმსიენე ღრძილისა სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისა.
- პძ. პირის ტკივილი და გაბერულობა მისი.
- პთ. პირისა სიმყრალე რომელსა ჰქვიან არაბულად აბხარი.
- ქ. წყლისა დენა პირისაგან დაძინებისა ჟამსა.
- ქა. ენისა სიმსიენე სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისა.
- ქბ. ენისა გაბერილობა რომელსა ჰქვიან არაბულად ყილიდ.
- ქგ. გემოა ენისა რომელი იქცეს.
- ქდ. სიწყლულე ენისა, სიმძიმე და სისუსტე.
- ქე. კვიკვირისა ჩამოსულა პირსა შიგან რომელსა ჰქვიან, ქამოა, სიგრილისაგან იყოს და თუ სიმხურვალისაგან.
- ქვ. გასიკვება ქამისა და ჩამოსულა ორთა ბადმათა. ხორხისა და მკერდისა და ფირტვისა ტკივილი.
- ქზ. ხორხისა სიმსიენე რომელსა ჰქვიან არაბულად ხუნაყი.
- ქძ. ხორხისა ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- ქთ. დევჩა ანუ ძუალი, რომელი ხორხსა შიგან დაეჩაროს.<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აწიხზე არა დედნის ხელით სწერია: „ტპის ძარი დანაყე და ღვინით ასვი ქინა-ქინა მაგიერო, ზეთი ღრანი დღეში გაკოფეთ ასვი ციფებისათვის“.

- რ. სისხლისა ამოღებაჲ ხორხასგან.
- რბ. ხუელაჲ სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
- რბ. ხუელაჲ სინედლისაგან იყოს ანუ სიხმელისაგან.
- რგ. რაბოი სიმხურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან.
- რდ. ფირტვისა გასიეგებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად დიოარა.
- რე. ფირტვისა სიწყულულე რომელსა ჰქვიან არაბულად სილი.

**გვერდთა ტკივილისაჲ**

- რვ. გვერდსა შიგნიითისა კერძისა გასიეგებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად დათლჯანბ
- რზ. ბარსამი რომელსა ჰქვიან არაბულად შოვის.
- 10 რს. გულის ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისა, სიხმელისაგან იყოს და თუ სინედლისა.
- რთ. გულისა ფეთქებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ხაფაყანი.
- რი. დაბნედილობაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად დიშე.

**სტომაჰისა ტკივილისა და ზირისა ხსენებაჲ**

- რია. საჭამადისა არ მოუნდობაჲ სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაჲ.
- რიბ. ჰავად შერგებაჲ საჭამადთა სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაჲ.
- რიგ. საჭამადი არ მოუნდებოდეს, სტომაჰისაგან იქნებოდეს.
- რიდ. საჭამადი არ მოუნდებოდეს მანკისაგან იქნებოდეს.
- რიე. არ გაძლომა ჭამადთა რომელსა ჰქვიან ყათიჯლბიი.
- 20 რივ. მიწისა ჭამა და გაჩისა და კლდისაგან მლაშისა ჭამა.
- რიზ. სტომაჰის პირისა ფეთქებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ვიჯალფად.
- რის. წყურვილი და წყლისა დიად მსუშეღად.
- რით. ელდაჰატი და ბარჯიაჲ რომელსა ჰქვია არაბულად თუხმაჲ.
- რვ. დარგი სილბოსა ჰქვან, რომელი გაგრძელდეს.
- რვა. ზალა ყალმიდა და ზალა ყალმაჲ რომელსა ჰქვიან ქართულად სტომაჰისაჲ და წელთა სიგლუსუნე.
- რკბ. მანიშისა სიშრავლე რომელსა ჰქვიან ათიანი<sup>1)</sup>.
- რკგ. სისხლისა ამოღებაჲ სტომაჰისაგან.
- რკდ. რწყევად, რაჲ მუცელი არ ღებოდეს დიად იყოს.
- 30 რკე. ბოყინებაჲ სტომაჰისაგან, რომ ქარი ჩაქრილ იყოს.
- რკვ. სიყსარი რომელსა ჰქვიან სპარსულად ვავაყი და სიქბიიქი.
- რკზ. სტომაჰისა ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- რკს. სტომაჰისა სიწყულულე და სისხლი რომელი შიგან გაყინულ იყოს.
- რკთ. ნერწყვაჲ და სინედლე რომელი პირისაგან იყოს.
- რკლ. სტომაჰისა გასიეგებაჲ სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

**ღვიძლისა და ტყვიისა და ზირისა ხსენებაჲ**

- რლა. ღვიძლის ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- რლბ. ღვიძლისა გასიეგებაჲ სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- რლდ. ღვიძლისა ტკივილი რომელი გზისა შეკრულობისაგან იყოს.
- 40 რლე. ისთისყო რომელი სპარსულად მუცლისა გასიეგებაჲ ჰქვიან.

<sup>1)</sup> შეცდომაჲ უნდა იყოს „დაშაანი“.



რღვ. ისთისყა ლაქაში რომელი ვახურებისა შემდგომად აცხრობდეს.  
 რლზ. ზარირი ყვითელი და შავი რომელსა ჰქვიან არაბულად იარაბულად.  
 რლპ. ელნეთისა ტკივილი სიმბურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.  
 რლთ. ტყირბისავე გასივება სიგრილისაგან იყოს და თუ სიმბურვალისა [გან].

**მაჟადისა და წილთა ტკივილისა.**

რმ. სისხლისა დენა წელთა სიწყლულისაგან იყოს. რომელსა ჰქვიან საჰჯალაჟა.  
 რნა. წელთა ტკივილი ზაჰირი სიმბურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან<sup>1)</sup>.  
 რმზ. მალარი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.  
 რმგ. კოლინჯი სიმბურვალისაგან იყო ანუ სიგრილისაგან.  
 რმდ. ელაოს ერთფერია კოლინჯთაგან.  
 რმე. კიაა გრძელი და მოკლე და ქუდედნი თარგმანი აყიროჟსა თესლი.  
 რმვ. ბავასირი და თოთა მუყადასა შიგან იქნების, მუყადაა გუამი არს.  
 რმზ. ბავასირი დანაყილობასა თან გუამისასა.  
 რმპ. რა აჩნდეს გუამსა სიწყლულე და ძარღვისა თავი რომელი შიგან გაეხსნას გუამსა.  
 რმთ. გაწოსვლა და სიმსიენე და სისუსტე.

**თირკუმელისა და მათნისა.**

რნ. თირკუმელისა ტკივილი <sup>2)</sup> სიმბურვალისაგან იყოს თუ სიგრილისაგან.  
 რნა. ასამლისა გასივება სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.  
 რნბ. სიწყლულე თირკუმელისა და სისხლისა წთომაჟა სამამაკაკოჟსაგან.  
 რნგ. ქვაა ანუ ქვიშა მათანისა შიგან რომელი მოკრფეს.  
 რნდ. ფსლისა წრედაა რომელსა ჰქვიან არაბულად სალასალი.  
 რნე. ფსლისა შეკრეა რომელსა ჰქვიან არაბულად სარალი.  
 რნვ. ფსლისა დენა კაცისა უნებლიად.  
 რნზ. მათნისა გასივება სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.  
 რნპ. სიწყლულე მათნისა და ქვისა დებაა შიგან.

**სამამაცოსა შუაჰისა ტკივილი და სიმსიენისა.**

რნთ. დგომაჟა სარცხენლისა უნდომლად.  
 რი. სისუსტე მისი და თეთრისა წყლისა მოსულა უგენურად და არ ჰამოდ.  
 რაბ. გასივება მისი სიმბურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.  
 რაბ. წყვაჟა მისი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან. ყუერისა გასივება სიმ-  
 ბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.  
 რაგ. არ მონდომაჟა დიაცისა სიმბურვალისაგან.  
 რაე. ფეტყის ქარი რომელი საზარდულსა შიგან იყოს ანუ ყუერსა შიგან.

**კუმუჟთა და ზიკლანისა კურნება.**

რავ. შეკრულობა ზეჰდანიისა რომელსა ჰქვიან არაბულად ილთნსილიმ.  
 რაზ. დიაცისა სისხლისა ნახვა რომელსა ჰქვიან არაბულად ნაზფი.  
 რაპ. დიაცისა ჩამოგდებულისა სისხლისა შეკრეა რომელსა ჰქვიან არაბულად  
 იკთიბასტამთა.  
 რათ. ზეჰდანიისა გასივება სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.  
 რა. ზეჰდანიისა სიწყლულე და შიგან რომელი სარატანი იყოს რომელსა ჰქვი-  
 ან არაბულად<sup>3)</sup> კირჩხიბი.

<sup>1)</sup> დედანში აქ ვარსკვლავი უხია და აშიაზე სწერია „ზაჰირი“ რმზ.  
<sup>2)</sup> ეს სიტყვა მხედრულით არის ჩამატებული.  
<sup>3)</sup> შედგომა, უნდა იყოს „კართულად“.



- გაბერულობაა ბავასირისა რომელი ზეჰდანსა შიგან იყოს
- რჯაა ეგეთი ჭირი არა რომელი დედათა ეგრე ჰგონია თუ ორსულთა.
- როა. გამოსულა ზეჰდანისა და სინედლისაა მოსულაა მისგან.
- რობ. ყრნისა მოგდებამ და დაქარებამ [და ქარები] რომელი ჩაეჭრეს ზეჰდანსა შიგან.
- როგ. უშვილობისა შეტყობამ თუ მიმაცისაგან თუ დედაცაცისაგან.
- როდ. ძნელად შობამ და მაშემისაა რომელსა ჰქვიან ბუდით გამოსულაა.
- როე. ძუძუმსა სიმსიენე სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
- როჲ. ძუძუმსა ტკივილი და სძე რომელი შიგან შეიკრას.

10

**ზურგისა ტკივილი**

- როზ. ზურგისა ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- როპ. სიკუხუე რომელსა ჰქვიან არაბულად ჰადაბა.
- როთ. ირაცანი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- რპ. სატკიველთა ტკივილი რომელსა ჰქვიან არაბულად ვიჯალმაფასილ.
- რპა. ნიქრისი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
- რპბ. დავალი და დაღფილ ესე ორივე ჭირი ფერხთა შეეკნების.
- რპვ. ნახუნხარ რომელი არს ფრჩხილის მქამელი. დარიშთაა რომელსა ჰქვიან მკედი და ორივე ფერხთაგან გამოვალს.

20

- რბდ. გაბობა ხელისა და ფერხისა და სიცივისა ცემა და ზრომამ.
- რბე. ქალაფი რომელსა ჰქვიან ჭროფლი და ქუნჯიდაა და ბარიში და ნამიში.
- რპვ. ყობამ რომელსა ჰქვიან მეკეჭი და თუთაა რომელსა არაბულად შირე ჰქვიან.
- რპზ. ხმელი და ნეღლი მლიერი და ქავანი ტანისაა.
- რპპ. ოფლისა დენამ დიამ და ოფლისა არ გამოცემა.
- რპთ. წილი და ტილი რომელ დაესხას თმისა ძირსა.
- რე. კეთრიანობამ რომელსა ჰქვიან სპარსულად ფესი და არაბულად ბარასი და შვი და თეთრი ბაჰაყი.

30

- რეა. განდუმამ რომელსა ჰქვიან არაბულად თალულამ და ქართულად მეკეჭი.
- რებ. ათაში ფარსი რომლისა თარგმანი არს ცეცხლი სპარსული და გაბერილობამ რომელი გამოჩნდეს კაცისა ასოთა და ტანსა ზედა.
- რეგ. ყუთვილი რომელსა ჰქვიან არაბულად ჯოდრი და წითელი.
- რედ. შორამ სასიენესა ჰქვიან და ხორამ წელისა სიწყულულესა.
- რეე. ჯოდში რომელსა ჰქვიან სიგონჯე.
- რეფ. პირისა რღუფვამ და პირისა სიბნელე და ფერისა სიმრლუე რამ მზისაგან იყოს.

40

- რეზ. მხურვალე სიმსიენე სისხლისაგან იყოს ანუ ზაფრისაგან.
- რეპ. გრილი სიმსიენე რომელ ბალღმისაგან იყოს ანუ სევდისაგან.
- რეთ. სარატანი რომელსა ჰქვიან კირჩხიბი და სპარსულად ხრჩინგი.
- ს. ლორთელი და საღამ რთმელ ასოთა შიგან გამოუჩნდეს.
- სა. ტაუნთი და დუზალამ რომელ ასოთა შიგან გამოჩნდენ.
- სბ. დუზალი რომელსა ჰქვიან მჯდომი და გაეარსამ და ბადობილია რომელ გამოჩნდეს.
- სგ. ცხრომ ყოველთა დღეთა რომელ წყრომისგან იყოს ანუ შიშისგან.
- სდ. ყოველთა დღეთა ცხრომ რომელ კამისგან იყოს ანუ შიმშილისაგან.
- სე. ცხრომ ყოველთა დღეთა რომელ მოვიდოდეს თუ შეჭირვებისაგან იყოს და თუ ჭირთაგან.



ვისა წამალი უნდეს, გასახსნელი არა მისცეს, და რაა შარაბისა მიცემა ხმდეს, ქაშქაბი არ მისცეს; და რაა ქაშქაბისა მიცემა ხმდეს, ურწყოა არ მისცეს. და რაასა ცხენულსა ითხოვდეს, ეამიერად მისცემდეს, და წინისა ძალისა მისაფერსა. და თუ ესრე არა ქნას, ბუნებასა გაუსუსტებს, და ჭირი და მანკი სიმრთელესა და ბუნებასა მოერევის, და გააქცევს სიმრთელესა სნებაჲ, მერმე ფათერაკი თუ რაა წაეკიდოს, იგი აქიჩისგან იქნების.

და რაა აქიში მეცნიერი და გონიერი იყოს, ხამს, რომელ მოუსმენდეს, და რაა შეფე პურსა ქამდეს, აქიში მის წინაშე იყოს რომელ საქამადთა დახედვიდეს. და თუ ეგეთი რაა მე საქამადი მოილონ წინაშე, რომელ არ მაშუნი იყოს ქამად, არ მიუშუას, რომელ მეფეთა მტერი დიად უყის. და საქამადი, რომელიცა მოწამლული იქნების, ნიშანი აქვს: თუ ბრინჯი მოწამლული იყოს, ყვითელი წყალივითა ზედა დაიჩნდების, და თუ ვარდი მოწამლული იყოს, გაპობით დამქქნარი იქნების ფერცელი მისი. და თუ ტანის სამოსი მოწამლული იყოს, ტანის სამოსსა დაბაყლიანებს, და დაბნელებს და თუ ფერად წავი იყოს, ტანისამოსი მაშინ უფროა ძნელად შეიგების. და ყოვლისა ნავლისა და წამლისა წამალი კიდეს კიდე ჩანს, ვითა თვით ყველასა ნივთი კურნებაჲ და რგებაჲ პირველსა წიგნსა შინა გამოვაცხადო თუ ღმერთსა უხდეს.

ეგრე ხამს, რომელ ხელმწიფესა აქიში შინაურად და მისანდობლად და საყუარლად ჰყავდეს, რომელ სამთა საქმეთა შინა აქიში მისანდობელი არს, ეგრე სხვანი კაცი მისანდობელნი არ იქნებიან: ერთი სიცოცხლესა შიგან, და მეორე საქონელსა შიგან, და მესამე დედაწულთა და შვილთა შუა. მაგრა სიცოცხლესა შინა იგი არს, თუ საქამადსა ჰკაზმოდენ მის წინაშე და არა მიენდობოდეს მისსა ქამასა, თუ აქიში მიართუბას გამოუღებს და მიენდობვის და ქამს. და საქონელსა შინა იგი არს, რომელ მეფე ძვირი იყოს და არას გასცემდეს, რაასაცა აქიში უთხრობს და მოახსენებს გასცემს თავისა სიმრთელისათვის. თუცა ძვირი იყოს სიმრთელისა სიხარულითა დიად რასმე გასცენდეს; და შინ მისანდობელი მით არს, რომელ ოდესცა მივიდეს მათ წინაშე, უოველივე მიესტულების და ფარდაგიანნი ხელსა მიუპყრობდენ, და მაჯასსა უჩვენებენ და ვითა მოძღვარსა ეგრე მიენდობვიან, და რაზომცა სამალავი ჭირი და ასთა იყოს, მას არ უმაღვენ და უჩვენებენ, და ხუაშიადსა არ დაუმაღვენ. და აქიში ხუაშიადისა შემნახავი, მოყვარული და ერთგული ხამს, და თუ ესეთი არა იყოს, თავისა მტერი იქნების და სახლად არ შეიშუების. აქიში წყნარი და მეცნიერი, მორწმუნე და ხელსვიანი ხამს; და იქნების, რომელ მეცნიერიცა იყოს, მაგრამ ხელმძიმე და საძულელი, და არავის უყუარდეს. თუ მეცნიერებაჲ სრულიად იკოდეს და ხელსუბუქი და საყვარელი აქიში, ღმრთისა ბრძანებაჲ, რასაცა მისცემს ავადმყოფსა, სნეულსა შერგების მისისა ხელისაგან. და თუ ხელმძიმე იყოს რაზომცა მეცნიერი იყოს ეგრეცა გვანად ერგების მისისა ხელისაგან ღმრთისა ბრძანებითა.

## ა. აქიშობისა საზომისა ცოდნაჲ და გაყოფაჲ მისი

იკოდე, რომელ უფროასნი აქიშნი ეგეთნი, რომელ არა იციან ძალი აქიშობისაჲ და ნივთი, და თავისადა აქიში დაურქუამს სახელად და თუ ჰკითხო, თუ აქიშისა თარგმანი რაა არსო, არ იცის, მით რომელ რისაცა კარგად მეცნიერია, აქიშთა სიხალე არ გამოუცდია, წიგნისა სააქიშობისა ოდენ წაკითხვა ცუდი არს. თუ ასრე არ იკოდეს, ვითა უნდა ნივთი და ძალი აქიშობისაჲ, და თუ ვინმე ეუბნებოდეს, პასუხისა გაცეწა არ შეეძლოს და ხისმი თავისა ვერ გატეხოს, და ბუნებიაინისა და მეცნიერისა კაცისაგან ეგრე ხამს, რომელ რასაცა ხელსა იქმოდეს ანუ წიგნათა ისწავლიდეს, ძალი და ნივთი ყველასა უკლებლად ისწავლოს. აწ რააზედაც სწავლაჲ უნა მოსწავლესა, სრულიად ვახსენო ამას წიგნსა შინა, და მოკლედ და ნივთიანად მწადიან და აღწერად, აქიშობისა საზომისა და თარგმანსა ზედა მეცნიერნი მოძღვარნი აქიშნი შეუბნებულან:

დევეჯანის და იოჰანის იტყვიან: ვითა აქიშობაჲ მეცნიერებაჲ არს, სიმრთელისა ჟამსა კაცისა მართლად შენახვაჲ, და მას ჟამსა რომელ კაცი სნეულად იყოს, და მას ჟამსა



რომელ არცა მართლად იყოს და არცა სწეულად. დე ესრე მყოფი იგი იქნების, რომელ სწეულებისაგან ადგომილიყოს, არცა მართლად იყოს და არცა სწეულად.

ფოლია და დადრეც იტყვიან: ვითა აქინობაა ხელი არს ესეთი, რომელ კაცისა წაღმართი და სიმართლელ მით იქნების.


- ბაყრატი და ჯალინოზ იტყვიან: აქინობაა ორი არს, ერთი მეცნიერებაა და მეორე მეცნიერებისა ხმარებაა. პირველ ბუნებისა შეტყუებაა და თაღბირთა შენახვაა სიმართლისა, მეორე სწეულისა გამართლებდა და მისსა ტანსა შიგან შეყენებაა სიმართლისა და გაყენებაა მანკისა, მესამე დასტაქრობისა მეცნიერებაა, და იგი კაცისა ხორცთა, ტყავთა და ძვალთა შინა არს, ვითა გაქუთთა და შეკრება და დადაღვა, გატეხილისა ძვალისა ფუკურვაა, და ამოგდებულისა ჩაგდებდა, და მისი საქმე სამ ფერად არს, მეოთხე ბუნებისა მეცნიერებაა, და იგი ორფერად არს. და ვახსენოთ, და ბუნებისა მეცნიერებაა ეჭუს კერძად არს: პირველ შეტყუებაა არსებისა რომელსა იტყვიან აქიმნი უსათუყუსთად, და მერმე შეზავება და გარეგაა უსათუყუსითისა შათთან, რომელ აქიმნი მაგას მიხუჯობით იტყვიან. მესამე ტანისაა გარეგაა და შეზავებაა არს, რომელ აქიმნი იხლატობით იტყვიან. მეოთხე კაცთ ასოთაა ვითარების შეტყუებაა და გაგონებით (ყოღნა მისი და ძალი და ნივთი მისი, მენჯთე ბუნებითი ძალი და შეტყუებაა არს ნაუსანისისა<sup>1)</sup> და ჰაენისა<sup>2)</sup> და ტაბათისა<sup>3)</sup>), ნეექესე ძალისა და ნაქმრისა და აქიმობისაა ხელი და ნივთი. მეცნიერნი აქიმნი ამას იტყვიან, ვითა ესე ხელი ერთი კერძი<sup>4)</sup> არს; პირველ შეტყუებაა წაშალთა, რომელსა ჰქვიან აყაყირი, და ეგეთთა წაშალთა, რომელ აქიმნი იხმარებენ, და გაყენებაა სნებათა კაცისა ტანისაგან საცხებლითა და ზელითა, და მეორე დასტაქრობაა გაკეთთა, გახსნა, გაპობა და დადაღვა. ვახსენოთ მესამე თაღბირი, საქამადათა, შარბათთა და გუარაშნთა, რომელი ამით იქნების სიმართლელ კაცისა ხანიერად, კაცთა სიმართლელსა ზედა შენახვაა. მეოთხე კურნებაა ყოელისა ფერისა, ვით არწყევენ, ანუ გაჰსნიდნენ, ანუ შეჰყრიდნენ, ანუ გააახურონ, ანუ გაავრილონ, ანუ სიხმელისა, ანუ სინედლისა, რომელსა ჰქვიან რუტუმათი. მეხუთე ნიშანთა შეტყობაა, რომელ აქიმნი მანკთა და ქირთა ნიშნითა შეატყუებდნენ და მოეზავებოდეს კურნება, და ყველა თაგის თაგის ადგილსა გაგონებით დამიწერია.

**ბ. უსთუყუსთასისა საზოგბი.** იცოდე რომელ უსათუყუსთასსა შიგან აქიმნი დიდად შეკილებულან: რუ ფეას და ანდრუმახოს ამას იტყვიან: ვითა უსათუყუსთასი ნივთიანი რამე არს ბუნებათა შიგან, ძალიანი და ნივთიანი რამე ნაქმარი არს. ბაყრატი და ჯალინოს და მათთან სხუათა ეგე უთქვამს, ვითა უსათუყუსთასი იგი არს, რომელი პირველ რაე, აქიმობისა თაგი ესე არს, რომელ იცოდეს, თუ აქიმობაა და მკურნალობაა რაე არს, ერთად ესე რომელ ბუნებანი იცოდეს სიმართლისანი, და მეორედ ესე რაასა მიზეზისაგან დასწეულდა. და მიზეზნი თავად ოთხნი არიან: ესე რომლითა ვიტყვი, ფაალი მქმედსა ჰქვიან და მადათი, რომელსა ჰქვიან დაჰხადება, და სურათი, რომელსა ჰქვიან სახე, და თამამი, რომელსა გასრულდება ჰქვიან. და მერმე ესე შვიდნი უნდან რომელი იცოდნის.

- ა. არქანი ცეცხლი და ჰერი და მიწა და წყალი. ბ. ახლატი რომელსა ჰქვიან სისხლსა, ზაფრასა, ბალღამსა და სედასა ჰქვიან  
 გ. მიზაჯი რომელი ანა ოთხთაგანვე გამოვიდეს მას ჰქვიან  
 დ. აადა რომელი ასოთა ჰქვიან  
 ე. ყუა ძვალთა ჰქვიან  
 ვ. კაფალი რომელსა მოქმედნი ჰქვიან  
 ზ. მარეაჰა რომელსა ყულიმ ჰქვიან.

1) ამ სიტყვას თავზე აწერია „სულიგრა“  
 2) ამ სიტყვას თავზე აწერია „სიციოცხლე“  
 3) ამ სიტყვას თავზე აწერია „ბუნება“  
 4) ეს სიტყვა სტრაქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.





მუჰამად ზაქარიას-ძე და იოჰანას-ძე იტყვიან; ვითა უსთუყუთასი. გრსებისა სათავნოა არს ვითამცა ცეცხლი და ჰაერი, მიწა და წყალი, რომელი ყუფილად ამათისა გარევისაგან არს იქნების ძალითა და ხასიათითა არქნითა, და მათგან ორი სუბუქნია, (ცეცხლი და ქარი<sup>1)</sup>), ორნი შიშიენია, მიწა და წყალი. მიწა შავი არს, ვითა ქალაკინითა შემრგვალებული შუაგული, და წყალი მისა გარშემო, ყველგან მდგომარე, და ქარი მათ გარშემო, და ცეცხლი ყველათა გარშემო მათისა ერთგან გარევითა და დაზავებითა და ხასიათითა ყველაი არა არსი არს იქმნა ძალითა და განგებითა და ბრძანებითა ღმრთისათა, და ამისათვის იტყვიან და სიმტკიცესა მოიღებენ, რომელ რააცა სოფელსა შიგან არს, სამთაგან არს, და ამ სამთაგან კიდე არა არს, ანუ არს სულიერნი, ანუ არს მზრდელნი, რომელსა 10 ჰქვიან არაბულად ნბათი, ანუ არს მადანი, მთანი, რომლისაგან გამოევა სპილენძი, რკინა, თუალნი და ყუფილასთანა სხვა, და ცხადათ ვხედავთ, რომელი ამათი არსება და ზრდა და ყოფა უსთუყუსათისა გარე ვისგან არს, მით რომელ ყანისა ზრდა და ხეთა და არსება მათი, ხილთა და კეთილთაგან სხვა უმიწოდ და უწყლოდ არ იქნების და არცა ეგების რომელ მიწაჲს და წყალსან<sup>2)</sup>. ნაყოფსა არ გამოისხამს, და რა მზე დახედნეს და ნიაგი ეცეს, სრულიად იზრდების და ნაყოფსაცა გამოისხამს.

მაშა აქა დასტური ნიჰანი არს ესე, რომელი ყოვლისა ხმელისა არსება უსთუყუსათისაგან არს ღმრთისა შეწევნითა და ბრძანებითა, და ყოველთა ფერთა არსება და სიცოცხლე ნაყოფითა იქნების, და ნაყოფისა არსება უსთუყუსათისგან იქნების. აქა გამოჩნდა, რომელ სულიერთაცა სიცოცხლე უსთუყუსათისგან იქნების, და ეგრეთვე მათა, რომელთა ჰქვიან<sup>3)</sup> მადანი, ნივთი და არსება უსთუყუსათისგან აქუს, რომელ რა დიდხან მზე ზედა მნათობდეს და სინედლე და რუტობათი მისგნით ამოხიდოს, და გაამაგროს და შეეგბოლოს რომელ ჯაჰარი მისი გახასდეს, და ევთსაცა აღვილსა, რომელ მზე არ დახედვიდეს, სულიერნი და საზრდელნი მუნ არ იქნებიან.

მაშა გამოცხადდა, რომელ ჰაენისა და ნბათისა და მადანისა არსება უსთუყუსათისა, მიზეჯისა და ძულისა გარევისიგან იქნების შეწევნითა და ძალითა ღვთისათა. და მათი გარევა ფერფერადი იქნების, და თვითო ფერი, რომელ ღმერთსა დაუბადებია, ხასიათი თვითოსა შიგან მათი მისაფერი დაუბადებია არსი, და სოფლისა და რააცა შიგან არსი არს, მისითა ბრძანებითა ხასიათი მისი მათგან ვაჟგია, და მით მოვილე უსთუყუსათისა საქმე და ნივთი ამას წიგნსა შინა, რომელ არაეინ თქუას თუ ძეგლთა აქიმთა იჯლი და 30 მეცნიერობა არ ცოდნია.

**ბ. მიზაჯისა და ბუნებისა შეტყუება.** იცოდე, რომელ მიზეჯი და ბუნება არს მისგან: ოთხნი მარტიენია, რომელსა ჰქვიან არაბულად მეთიდი, ერთი მხურვალია და მეორე გრილი, მესამე ნედლი, მეოთხე ხნელი. ოთხი სხვა გარეული არს; ერთი მხურვალი და ნედლი მეორე მხურვალი და ხნელი, მესამე გრილი და ნედლი, მეოთხე გრილი და ხნელი, მეცხრე მოთადილი, რომელსა ჰქვიან ქართულად სწორი და იგი ტანისა სიმრთელისა ნივთი და საძირკველია, რომელ ყოველთა სულიერთა და მიზეჯისა ნივთი და ძალი უსთუყუსათისა ნივთიანობისა და ძალისაგან არს, რომელ ერთნანერთსა გარევიან საქმისა ძალითა არა საქმითა.

და იცოდე, რომელ მათი გარევა ორფერად არს; ერთი სწორი და მეორე<sup>4)</sup> ფერფერი. სწორისა მოთადილობისაგან არს, რომელ არსება რაი რისა ამა ოთხისა უსთუყუსათისა ძალისაგან ერთი ნაწილი გაერთოს, რომელ ჰაზრითა ერთი ნაწილი მათ სამთა ნაწილთაგან უფროა სწორი იყოს. და ფერფერი გარევა იგი არს, რომელი ერთისა ნა-

<sup>1)</sup> ქარის მაგიერად უნდა იყოს „ჰაერი“.  
<sup>2)</sup> აქ ტექსტში ცარიელი ადგილია დატოვებული დაახლოებით ორნახევარი სიტყვისათვის.  
<sup>3)</sup> აქ ტექსტში ვარსკვლავი უზის და აშიაზე სწერია „ქანი არს“.  
<sup>4)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ ხეშოდან არის ჩამატებული დედნის ბელით.



წილისა არსებდა ოთხთა უსთუყუსითისა ძალისაგან ნაწილი ცეცხლისაჲ მათ სამთჳ ნაწილ-  
 თაგან უფროჲ იყოს, მის ნაწილისა ბუნებაჲ გრილი<sup>1)</sup> იყოს, და თუ მიწისა ნაწილი უფროჲ  
 იყოს, მისი ბუნებაჲ ხმელი იყოს და თუ ცეცხლისა და ჰაერისა ნაწილი უფროჲ იყოს, ბუნე-  
 ბაჲ მისი მზურვალი და ნედლი იყოს, და თუ ცეცხლისა და მიწისა ნაწილი უფროჲ იყოს,  
 ამათი ბუნებაჲ მზურვალი და ხმელი იყოს, და თუ ჰაერისა და წყლისა ნაწილი უფროჲ იყოს  
 მათი ბუნებაჲ გრილი და ხმელი იყოს; და კაცისა ბუნებისა ფერად<sup>2)</sup> ფერადობაჲ უსთუყუ-  
 თასისა გარევისა მსგავსაჲ და შესაფერად იქნების, და მე განოციხადო იგავი მისი: თუ  
 სინგური და სპეტი და მეღანი და ამარტაჲ, რომელსა ჰქვიან ზარნიხი, თვითოასგან სწორი  
 აიღონ და წმინდად გაგალონ და ერთგან გაპრიონ, მათი ფერი სხვათა ფერთაგან კიდე  
 10 განი იქნების, მაგრა თუ ერთისაგან რაჲმე დაიკლოს და ესდენი მეორესა მიუმატოს,  
 ესდენი დაკლებდა და მიმატებაჲ გამოაჩნდების მას გარეულსა;


იციოდე, რომელ სწორი ბუნებაჲ კაცისა ტანსა შიგან არა არს, მაგრამ ბუნებაჲ იქნების  
 სისწორისაჲ იყოს, და ცნობისა ჰაზრითა ყოვლისა სულიერისა ბუნებაჲთგან, კაცისა  
 ბუნებაჲ უფროჲ ახლავს სისწორესა, და ყოველთა ასოთაგან კაცისა ტყავი უფროჲ სწორს  
 არს, და ტყავთა ნებისა ტყავი უფრო სწორია, და ნებისა ტყავისაგან თითისა თავისა  
 ტყავი უფრო სწორი იქნების. და დასტურობით გარევაჲ უსთუყუთასისა ნიეთისა და  
 ვითარებაჲ ღმერთმან იცის.

აქიზობისაჲ მეცნიერთა და გონიერთა ოსტატთა ესრე უთქვამს, რომელ სამისაგან  
 კიდე არა არს: ანუ არსთა გუარი არს და არსებაჲ მით იპოვნების, ანუ ძალი არს  
 მოთადბირე ყოველთა სულიერთა, ანუ ეგეთი არს, რომელ მისისა გარევისაგან არსებაჲ  
 20 გამოაჩნდების.

**ბ. ტანისა ბარევისა და ბუნებისა შეტუშებაჲ.** იციოდე, რომელ ტანთა გარევისა აქიმ-  
 ნი იხლამად იტყვიან, და იგინი ოთხნია: ერთი სისხლი, მეორე ბალღანი, მესამე ზაფრიაჲ,  
 მეოთხე სევდაჲ. და ბუნებაჲ სისხლისა მზურვალი და ნედლი არს ვითა რომელ ჰაერისა ბუნებაჲ  
 და მისი ადგილი კაცისა ტანსა შიგან ღვიძლი არს. ბალღმისა ბუნებაჲ გრილი და ნელი  
 არს ვითა წყლისა ბუნებაჲ და ადგილი მისი კაცისა შიგან ტყირბი არს. ზაფრისა ბუნებაჲ  
 მზურვალი და ხმელი არს, ვითა ცეცხლისა ბუნებაჲ, და ადგილი მისი კაცისა ტანსა შიგან  
 ნოღელი<sup>3)</sup> არს. და ზაფრისა და სევდისა ბუნებაჲ გრილი და ხმელი არს, ვითა მიწისა  
 ბუნებაჲ, და ადგილი მისი კაცისა ტანსა შიგან ელნეთი არს.

და ესრე იციოდე რომელ თვით ამათ გარევათაგან ორჳერად არიან: ერთი ბუნებუ-  
 30 რი, და იგი კაცისა ტანსა შიგან სწორ გარევა იქნების: მეორე არ ბუნებური, და იგი კაცისა  
 ტანსა შიგან არ სწორი გამრეველი იქნების, და სისხლი, რომელი ბუნებაური იყოს, ნიშა-  
 ნი მისი იგი არს, რომელ სწორად იყოს, არცა თხელი და არცა სქელი, და ფერად დია  
 წითელი იყოს, და გემოჲ ტკბილი იყოს მისი, და რაჲ უსუნონ მყრალი არ იყოს, და რაჲ  
 გამოიღონ ადრე გასქედდეს. და რაჲ სისხლი ესეთი იყოს, სიძრთელისა ნიშანი არს და  
 ტანისა სიძლიერე, და ფერისა და პირისა სიწითლე და სიტურფე. და რაჲ არ ბუნებური  
 იყოს შეიდ ფერად იქნების: ერთი იგი, რომელი სქელი და ბნელი იყოს, იგი ნიშანი არს  
 ღვიძლისა სიმზურვალისა და სიმელისა. მეორე რაჲ დია თხელი იყოს, ნიშანი არს ღვიძლ-  
 40 ღისა სიგრილისა და სინედლისა, მესამე რაჲ თეთრ ფერი იყოს, ნიშანი არს ღვიძლისა და  
 სიგრილისაჲ. მეოთხე რაჲ ყვითელ ფერი იყოს, და გემოდ მწარე იყოს ნიშანი არს ზაფრი-  
 საჲ, მეხუთე რაჲ მყრალი იყოს, ნიშანი არს სისხლისა დამპლობისა. მეექვსე რომელ მლაშე  
 გვარი იყოს გემოდ, ნიშანი არს მლაშისა ბალღამისა გარევისა მისისა. მეშვიდე<sup>4)</sup> რაჲ პერუ-  
 ღიანი იყოს, ნიშანი არს ბუნებისა სინედლესა და ქარიანობისა ფერფერისა.

1) ეს სიტყვა სტრიქონს ზევიდან არას ჩამატებული დედნის ხელით.  
 2) ეს სიტყვა ორჯერ სწერია.  
 3) ბადველი.  
 4) ამ სიტყვის მაგიერად ტექსტში შეცდომით სწერია „მეოთხე“.



და რაა ბაღლაშიანი იყოს<sup>1)</sup>, მისი იგი არს, რომელ წესისაებრ იყოს, არცე თხელი, არცა სქელი და ამას არაბულად ჯაჰანკამი ჰქვიან, და იგი საქამადისაგან იქნებეს, რომელ სტომაქსა შიგან შეგებარ იყოს; და სისხლი რაა ყავამად იყოს, მისგან არს, რომელ ბაღლაში რაა ესრე იყოს, ნადავასონი და საქციელი მისგან ღბილად იქნებიან, და სიარულსა კაცისასა არას აწყენს ეგეთობაა. და ოდეს კაცისა საქამადი წესისა და ჟამისაგან გარდავიდეს, ანუ ეგეთი ჟამი მიხუდეს, რომელ ჰოოს, სტომაქი ამა ბაღლაშასა საქამადისა ნაცვლად მოიხმარებს, და მისგან წმიდაა სისხლი მიემატების, მით რომელ ბაღლაში საქამადი არს შეურგებელი და გაუდნობელი.

10 და ბაღლაში რომელი არ ბუნებაური იყოს, ოთხფერი იქნების: ერთი მკავე, და იგი სხუათა ბაღლაშათაგან უგრილესი და უხმელესი იქნების, ეგეთი ბაღლაში ნიშანი არს საქამადისა არ მოდნობისა და სტომაქისა და ბუნებისა სიგრილისა. მეორე რაა მლაშე იყოს, სხუათა ბაღლაშათაგან უხმელესი და უმხურვალესი იქნების, ნიშანი არს ხტელისა და წყურვილისა და ტანისა ქაველისა. მესამე რაა ტკბილი იყოს სიმხურვალითა და სინედლითა სხუათა ბაღლაშათაგან უმეტესი იქნების, ნიშანი მისი სისხლისა ნორცენაა და ტანთა სიმხურვალე არს. მეოთხე რუტობათი ხუჯაჯე ჰქვიან, ვითა გამდნარი ჭიქაა იქნების და იგი უსქესი და უგრილესი არს ყოველთა ბაღლაშათაგან, ნიშანი არს სტომაქისა და ტანისა სიგრილისა და ყოლინჯისა.

20 და ზაფრა რაა ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ ნატიფი იყოს და ფერად წმიდაა, და ნათელი იყოს, და გემოდ ნწარე იყოს და ზაფრა რაა ასეთი იყოს, სტომაქსა ახურვებს და საქამადთა მოდნობასა უშუელის, და წელთა ვასწმედს ნანარჩომისა სიგრილისაგან, რომელ შიგან დარჩომილი იყოს, და ნანარჩომსა ფუტული ჰქვიან, და ხორცისა ტკივილსა არგებს, და სიფხიზელსა მოუმატებს, და ტანსა გაასუბუქებს, და სისხლსა გაათხელებს, და მოანატიფებს, რომელი ძარლუთა შიგან ადვილად გაიარებდეს.

30 და ზაფრაა, რომელი არ ბუნებაური იყოს, ოთხფერი იქნების: ერთი იგი რომელ ფერყვითლად იყოს, და იგი მისგან იქნების, რომელ სინედლე შასთან გარეულ იყოს, და სიმხურვალე მისი უმცრო იქნების ბუნებაურისა ზაფრისაგან. ნიშანი მისი იგი არს, რომელ საქამადსა გლიან მოიდნობდეს, და ასოთა სისუსთისა. მეორე რაა კვერცხისა სიყვითლესა ჰგვანდეს, მისგან არს რომელ სინედლე სქელი ბაღლაშური ზაფრასა ბუნებაურსა თან გარეულ იყოს, და იგეთი სიმხურვალითა უმცროსი იქნების ყოველთა ფერთა ზაფრათა; ნიშანი არს იგი ბატრალღიბისა ცხროასა და ასოთა შეკრულებისა და ღამასა შეკრულებისა. მესამე ფერად რაა გინდა, მისებრი იყოს, და ზაფრაა ესე ფერი უფროსი სტომაქისა შიგან იქნების, და მისი შეყრაა უფროა სინედლისა საქამადისა ჟამისაგან იქნების. ნიშანი მისი იგი არს, რამელ სტომაქი და ღვიძლი უსუსურად ედგეს და ძნელნი მანკნი სხუანი. მეოთხე ჟანგარის ფერი იქნების, და ზაფრა რაა ესე ფერი იყოს, დია ჰავი იქნების, და ნიშანი იგი არს მისი, რომელ სხეულისა ვასარეველი სტომაქსა შიგან დამწუარი იყოს, და ესე სიკუდილისა ნიშანი არს.

40 და სევდაა, რომელი ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ გემო პირსა შიგან სიმკავეისაგან ჰქონდეს, და ყავამი სქელად იყოს და ფერად შავგვერემან გუარი იყოს, ბნელისა სისხლისა მრღვივისა ფერად. და სევდა რაა ესე ფერი იყოს, სტომაქსა საქამადსა მოანებებს და გონებასა გაუხათლებს, და კაცთა ძნელთა საქმეთა ზედა გაავლუოვანებს, და ტანისა ძალთა საზრდელი მისგან იქნების, და სისხლსა ტანსა შიგან დაიჭირავს, რომელ ყოველნან ასომან თავისი ნაწილი საზრდელი სისხლისგან აიღონ.

და სევდა, რომელი არ ბუნებაური იყოს, სამფერი იქნების: ერთი იგი არს, რომელი ბუნებაური სევდაა დაიწვას და სიმხურვალისა კერძი იქნების, და გემოდ მკავე იქნების.

1) ნიშანი.



და გაყოფა ამას სევდასა და ბუნებაურსა სევდასა შუა იგი არს, რომელ ~~ამო~~ სევდასა ზედა მწერი არ დაჯდების. ნიშანი მისი დაშავებაა მიზეჯისა არს და სიშმაგე და მძვინვარეობა და წყლულნი ძნელნი. მეორე იგი არს, რომელ სევდად დამწუარ იყოს, და გემოდ<sup>1)</sup> შავი და ელვარი იყოს კუპრივითა, და სული მკავე ჰქონდეს, და სხვათა ყოველთა სევდათაგან უმხურვალესი და უფიცხესი იქნების; ნიშანი არს ძნელთა მანკთა მომკლველთა, ვითა სიგონჯე, რომელსა ჰქვიან არაბულად ჯდომი, და ვითა კირჩხიბი, რომელსაც ჰქვიან სარატანი და ვითა ტაუნი, და ევეთი სნებაა, რომელ კურნებაა მისი არ ეგებოდეს. ნესამე რომელ ბადანჯანის ფერი იყოს, სიფიცხე და სიმხურვალე მისი მავა ორთა ეერთაგან, რომელ ვახსენე უმცროსი იქნების. ნიშანი იგი არს, რომელ სიმსივნე იყოს და მანკება ევეთი, რომელ ასოთა შიგან დიდ ხან დარჩეს.

10

ესე არს ოთხი ფერი მეცნიერება ბუნებისა და იგი ორი ნაწილი სხვაა გაყოფისა ძელისა და ნაქმარი ძალთა და საქმეთა, და ასოთა და ტანისა დაბადება, ნივთი ამისი, და შემდგომი, რაცა ღმერთსა უნდეს.

ღ. ტანისა ვითარება და ვითარება სიჰოთელისა, იცოდე რომელ აქიმნი და ფილოსოფოსნი ერთნია, და მათ შუა საცილობელი არა არს, რომელ იტყვიან ვითა კაცი ამა ოთხთა ბუნებათა არსნი არიან: წყლისა, ცეცხლისა, ჰაერისა და მიწისაგან. და ჩუენც შეწყენითა ღმრთისათა ვიციით დასტურობით და სარწმუნოება გუაქვს, რომელ ღმერთი ქენზარიტი არს დამბადებელი კაცისა და ყოვლისა არს მქმნელი, და წანითა დაჰბადა სოფელი და საუკუნოა, და მისითა აქიმობითა ამა ოთხთა ბუნებათაგან დაჰბადა კაცი, და

20

ოთხივე ერთმანეთისა ურჩნი, რომელსა ჰქვიან ტიდი. და ამა ოთხთაგან კაცისა ტანსა შიგან ერთიცა არა არს. და დამბადებელმან, ვითა შემძლებელ არს, ესე ოთხნი ურჩნი ერთმანეთისანი დაამორჩილნა კაცისა ტანსა შიგან, და არსებობისათვის აპვიჯი ქნა კაცთათვის.

და ღმერთმან რააცა სულიერი დაჰბადა, ყველა მქმნელი, დაჰბადა და ყოვლისათვის საზრდელი, ვითა მოწყალე და შემბრალებელ იყო, დაჰბადა და გამოაჩინა. და რაე საქამადი ქამონ, რააცა მათთვის შემრგე და სასარგებლო იყო, მათდა სასუტად და საძალოდ გაჰბადა, და რააცა შიგან საენო და უხმარი იყო და ფტლად, კაცისა ტანი და სულიერთა ტანი მას თავისა ტანისაგან გაუყენებს და გარე დაადგებს. ზოგი ფიტი არს და ზოგი ნერწყვა და რწყვა და ზოგი ზურგისა წყალი, მით რომელ იგიცა ფატილიაა ძალი არს ვითამცა<sup>2)</sup> ბუნებამან ოდესცა გამრავლდეს, მასაცა გააყენებს, ესრე რომელ რაე მოემატოს, კაცისა ბუნება მოანებებს ანუ დიაცი, ანუ სხვაებრ რათამე გაყენებასა ეცდების, და მას შიგან ორი სარგებელი არა, ერთი იგი, რომელ მანქსა მომატებულსა გაუყენებს ტანისგან, და მეორე რომელ სხვა სულიერსა დაჰბადებს ღმერთი მისგან. და იგი სიჰამონე, რომელ იქნების, ბუნებისა ნაწილი და საზრდელი არს შუა, და გასუბუქების და ერგების, რაე საზომისა ებრ იყოს<sup>3)</sup>, და ღმერთსა იგი ზურგისა წყალი თეთრი, რომელსა ჰქვიან ნეტრეაჲ, კაცისა სათესლედ დაუბადებია და სულიერთათვის, და ადგილი მისი დედათა ზეჰდანსა შიგან არს, და საკვირველებად ევეთი არს, რომელ ასოთა შიგან დაუბადებია ღმერთსა, რომელ დედათა ზეჰდანსა შიგან, და იგი საშვილედ ადგილი არს, წიგნურად საშოა მგონიან. და ყრმა ცხრასა თუესა შიგან იქნების;


30

და იცოდეთ, რომელ ზეჰდანი ვითა მათანაა არს, და მათანაა საწყლედ ბუშტი არს, და ტყაყი მისიცა მავარი იქნების, ვითა მათნისაა, და ადგილი მისი მათნასა ქვეშეთ იქნების, და ყელი გრძელი ათქს, ვითა მამაკაცისა სარცხუნელი, ვითამცა რვაის ოცდა ოთხთმეტი, გარე რომელი თავი მისი დედაკაცისა მას ადგილსა თანა მოკიდებული არს,

40

და იცოდეთ, რომელ ზეჰდანი ვითა მათანაა არს, და მათანაა საწყლედ ბუშტი არს, და ტყაყი მისიცა მავარი იქნების, ვითა მათნისაა, და ადგილი მისი მათნასა ქვეშეთ იქნების, და ყელი გრძელი ათქს, ვითა მამაკაცისა სარცხუნელი, ვითამცა რვაის ოცდა ოთხთმეტი, გარე რომელი თავი მისი დედაკაცისა მას ადგილსა თანა მოკიდებული არს,

1) ეს სიტყვა შეცდომით არის უნდა იყოს ფერად.  
 2) აქ ცარიელი ადგილია დატოვებული დაახლოვებით ორი სიტყვისთვის.  
 3) ამ გვერდის ბოლოში რვეულთა სათვალავი სწერია „ბ“ და შემდგომ გვერდის ქვემო აწიხზე „გ“



და პირი აქუს ვითა თევზისა, და ორი ტაბაყა არს შიგნით; ტაბაყაჲ ორი კერძოჲ არს ეგეთი, რომელ თუ შიგანსა გარეგანი გააკიდებნონ, ერთსა ზეჰდანსა შიგან ორი ზეჰდანი სხვაჲ ნახონ; ერთი მარჯვნით კერძოჲ, და ერთი მარცხნით კერძოჲ, და თუ ვინ გამო-საცდელად ფურცელი დაჰზადის დაკლულისა პირუტყვისა ზეჰდანისა ესე, რომელ მითქუანს, დაუდასტურდების, და ღმრთისა განგებითა იგი არს, რომელ თუ ორი შეილი შობოს, ვირე შიგან იყოს, საზრდელი ღიღეჲ კიდე განად იქნების, და ყმა შეილი უფროსი მარჯვნითვე იქნების, და ქალი მარცხნითვე; და ოდესცა მამაკაცი შეეკრების დედაკაცსა, ზეჰდანი პირსა ააღებს და მამაკაცისა წყალსა შთანთქავს, და პირსა ერთმანეთისა ზედა დასდებს, რომელ შიგან მილისა თავი ანუ მახთისა არ შვევიდოდეს, და იგი ზურვისა წყალი ნეტყაჲ შიგან

- 10 დარჩების, და დედაკაცისა წყალი მას გაერევის, და ორივე წყალი დედაკაცისა ზეჰდანსა შიგა გამრტყელდების. ამა ხელისა ოსტატთა ესრე უთქუამს, რომელ დედაკაცისა შეყრისა ჟამსა თუ მარჯვნით კერძო უფრო იყოს წყალი, ვაჟი უფროასი ჩაიჭრების, და თუ მარ-ცხნით იყოს, ქალი ჩაიჭრების, და თუ მამაკაცისა წყალი დია იყოს და ძლიერი და ორ-გნითვე ნდომაჲ სწორად იყოს, შეილი ორი ჩაიჭრების. და დედაკაცისა წყალი მამაკაცისა წყალისა საზრდელი იქნების; და მამაკაცისა წყალი სქელი და მხურვალი იქნების, და დე-დაკაცისა თხელი და გრილი, და სისქითა მამაკაცისა წყალი <sup>1)</sup>... გასქელდების და მით რომ-მელ დია მხურვალი არს, უფროასჯერ შეილისა სქანსა გააცუდებს, და ამისთვის უნდა დიაცისა წყალი, რომელ გასწორდეს. და თუ მამაკაცისა წყალი სქელი და მხურვალი იყოს, ყმაჲ დაიბადების, და თუ თხელი და გრილი იყოს, ქალი დაიბადების, და თუ მამაკაცისა
- 29 უსქე იყოს და უფროასი, შეილი მამისა დაემსგავსების. და ზასიათი მამაკაცისა წყლისა იგი არს, რომელ რასაცა სისხლსა ჰნახავს დიაცისა წილოვნობისასა, ყველასა შეჭკრავს, და თუცა ცოტა იყოს, ეგრეცა დურიტისაგმრ შეჭკრავს, და მის შეკრულსა სისხლსა არაბუ-ლად ალაყაჲ ჰქვიან.

და ღმერთი დამბადებელი მუნით დაჰბადებს, და არს იქს რომელ მის სისხლისა და მის წყლისაგან დასახავს კაცისა სახესა, ეგრე რომელ რაჲცა კაცსა შინა რაჲცა თეთრი არის, ვითა ძუალი და თეთრი ძარღვი, რომელსა ჰქვიან სპარსულად ფაჲ და არაბულად ასა-ბი, და ტვინი, რომელსა ჰქვიან მალზი, ამას მამაკაცისა წყლისაგან დასახავს, და სხვაჲ ასოჲ, რომელი ფერად თეთრი არ იყოს, ვითა ხორცი და ღვიძლი და ელნეთი და თარ-კქმელი და ნათი მსგავსი, ყუელასა ძირ ჩამოვადებულობისა სისხლისაგან დასახავს განგე-ბაჲ მისი, ანუ თუ გული, რომელ მისი სათაენოჲ შარიანისა სისხლისაგან არს, და ამას

- 30 დაბადებასა, რომელ მითქუანს, აქიმნი მოსავერაჲსა ყუელათად იტყვიან. თარგმანსა <sup>2)</sup>.
- და პირველი რაჲე რომელ დაიბადების, კაცისა გული და თავის ტვინი, ღვიძლი იქნების და რაჲ ორმოც დღე გარდვიდეს, იგი ალაყაჲ მუტლად შეიქნების, ვირემცა პატარა ხორცი ღბილი; და რაჲ ხანი გარდვიდეს, ძუალი დაიბადების და ხორცი, და ძარღვი და ფაჲ, და ასონი გამოჩნდებიან, ვითა პირი და თუალნი და ხელნი და ფერწნი და სხვანი ასონი, და ტყავი გამოჩნდების გარემო, რა ოთხი თუე და ათი დღე გარდახდეს, ღმერთი სულსა დაჰბადებს მისსა და გამოსელამდის დედის ნუცლით მისი საზდელი წილოვნობისა სისხლი არს, რომელსა ხუნი პატი ჰქვიან, და მით იზრდების დედისა მუცელსა შიგა, და რაჲსა დედა მისი ჰამს, ღვიძლი ნას ყველასა გაისისხლებს; და საშობელსა გაუჯავნის, და
- 40 ყმა თუნდა ქალი მას ჰამს, და რაჲ გამოსვლისა ჟამი მოვიდეს, ყმაჲ შიგან გარდაიქცევის და კიდე გამოვალს და სამთა სიბნელეთგან დაიხსნების; ერთი მანაჲ, რომელსა ჰქვიან ბუდე, მეორე ზეჰდანი, მესამე მუტცელი, ღმრთისა ბრძანებითა დიდ არს ძალი და წყალობაჲ მისი.

<sup>1)</sup> აქ ეაროელი ადგილია დატოვებული ერთი სიტყვისთვის.  
<sup>2)</sup> აქ ეაროელი ადგილია დატოვებული ერთი სიტყვისთვის.



და ტანისა და სახისა გასრულებამ და გამოსლვამ მრავალ ფერად იქნების, მით რომ რამ შვილი შვიდ თუედ იშუას და ყმა იყოს, სახე მისი სამდღედ დაბადებულნი იქნების და გამოსლვამ სამოც დღედ, და გასრულებამ მისი ას ოთხმოც დღედ, და თუ ქალი იყოს, დასახვა მისი ოცდა თხუთმეტ დღე ქნილიყოს და გამოსულა სამოცდა ათ დღედ, გასრულებამ მისი ორას და ათ დღედ.

და თუ ცხრასა თუესა შობილ იყოს და ყმა იყოს, სახე მისი ორმოც დღედ ქნილ იყოს, და გამოსლვა მისი ოთხმოც დღეთ, გასრულებამ მისი ორას ორმოც დღეთ, და თუ ქალი ყოფილიყოს დასახვა მისი ორმოცდა ხუთ დღე ქნილი იყოს, და გამოსლვა ორმოც დღედ, და გასრულებამ მისი ორას სამოც დღეთ, და თუ ქალი შობილ იყოს, ესრე იქნების.

და თუ შვილი ათ თუედ შობილ იყოს, ყმა იყოს დასახვა მისი ორმოცდა ხუთ დღედ ქნილ იყოს, გამოსლვა ოთხმოც და ათ დღეთ, და გასრულებამ მისი ორას სამოცდა ათ დღეთ, და თუ ქალი შობილ იყოს, დასახვა მისი ორმოცდა ათ დღედ ქნილ იყოს, და გამოსლვამ ას დღეთ, და გასრულებამ სამას დღეთ.

და თუ რვა თუედ იშვას, უკუნისამდე დარბომამ მისი არ ეგების, და მით იქნების, რომელ რამ შვილი დედის მუცელსა შიგან შვიდათ თვისა იქნას, შეიძრას და გამოსლვა მოუნდეს და გარდაიქცეს. თუ ყრმა ძლიერი იყოს, იშვას და გამოვიდეს და არ დარჩეს მით შვიდთა მასკვლავთა დავრიანი, რომელთა მოთაჰაირა ჰქვიან, მას ხედა გარდასრულ იყოს. და თუ უსუსური იყოს იძრას და გამოსლვა არ შეეძლოს, მოკუდეს უსუსურობისა და ჭირისა ნახვისაგან, და მით რომელ მერვისა დავრიანისა პატრონი ზეჰალი იქნების, და ჰაეი ვასკვლავი არს<sup>1)</sup> არ დასახული მერვე მონაჯიმთა ანგარიშითა სიკუდილისა სახელი<sup>2)</sup> იქნების.

და თუ შვილი ცხრა თუედ შობილ იყოს, დარჩეს, მით რომელ ამა ორსა თუესა შიგან გაძლიერდების, და მეცხრესა დავრიანისა შვილი მშოვარი იქნების, და თუ შობისა ყამსა ამის ყმისა ეტლი სიკუდილისა სახლსა იყოს, ანუ ნიწისა ბღრჯსა, ორთა ჰაეთა მასკულავთა შუა, შვილი მკუდარი გამოვიდეს, და რამ შვილი კიდე გამოვიდეს და დედას გაეყაროს, ატარდების. და ანა ხელისა აქიშნი ატირებასა ორფერად იტყვიან, ზოგნი იტყვიან მითა ატირდების, რომელ თავისა ადგილსა გაშორდების. ესე ღმრთისა განგებისა და მოვლენილობისაგან იქნების, დიდ არს ძალი მისი, რომელ ყრმასა ეგეთსა ბნელსა და ვიწროსა ადგილსა შიგა მშვიდობით დაიცავს ცხრასა თუესა, და რა მუნით გამოვიდეს, მისივე ადგილისათვის ატირდების, რომელ თუ ერთსა დღესა ეგეთსა ვიწროსა ბნელსა ადგილსა შინა ვინცა ზაადონ, ცოცხალი არ დარჩების, მაშა ამის უცხადენი ნიშანი არ ეგების ღმრთისა მოვლენილობისა და ერთობისათვის. და სხვა ნიშანი იგი არს, რომელ ვინცა დედისა საშოამსგან გამოვიდეს, თუ ერთი თითი აკლდეს, ყოველნი არსნი შეიყარნენ, ერთსა თითსა ვერ განოადგმენ და თუ მრუდი ედგას, ვერ გაუმართლებენ.

აწ ასოთა ვითარება და შეყრა და ქნა მისი გამოვაცხადო. რომელსა ღმრთისა ღმერთობა ჰეშმარტად გრწამდეს, და რააცა აქიშობდეთ, მის ყველსა ნივთი და ძალი სცანიო. და ძუალითა დავიწყოთ გარევისა ნივთი და ძუალითა შიგან, და მისთა თარქებთა შიგან, დია რომე საკვირველი არს.

9. ძუალთა წყოვილობა: იცოდე, რომელ ძუალი კაცისა ტანსა შიგან სუეტისა ადგილსა არს საძირკუელისათვის, და კაცი ძუალითა დგას და პირველ დაბადებასა შინა კიდამ პირველ შეიკრვის და ტანისა ძუალითა ყოველთაგან იგი უმაგრესი არს და მიწასა შინა უგვიანე დაღებვის, და ღმერთსა მით მაგრად დაუბადებია რომელ კარგი ასო არს, სხუათა ასოთა მცველი ფათერაკისაგან, და ესე მით არს რომელ მრგჳლად დაბადებულნი არს რომ-



1) გამოტოვებულია ერთი სიტყვა.  
2) შევღომა უნდა იყოს „სახლი“.



მელ მრგვალი უფრო დაცული იქნების ფათერაკისაგან ოთხკედელთა და სამსკველთაგან და მითცა რომელ ტვინი დია დავტიოს, და მითცა რომელ თუცა ჰვავს სინრგვალთა ექუს პატარად არს დამყნილი და შეწყობილი, ეგრე რომელ უყუნემდე არა დაიშლების შეწყობილობაჲ მისი.

და შეწყობილი სამთა ფერთათვის არს, ერთი მით რომელ, რაჲ ნატიფნი ბუხარნი ვითამცა ორთქლნი სტომაქისგან თავისა გაუზდეს ამა შეწყობილთა ქუეშე გაიაროს და თუ ორთქლი და ბუხარი სქელი და გლუსუნი, ფუტელი პირთა და ცხუი-თაგან ჩამოვიდეს და კაცი მორკმით იყოს ნანკთა და ენელთა თავის ტკივილისაგან.

10 მეორე იგი, რომელ თუ ერთსა პატარსა მისგნით რაჲმე წაეკიდოს სხვაჲ პატარა მშვიდობითა იყოს, მესამე იგი რომე თავისა წინაათისა კერძისა ძუალი უკანისისა უმაგრესი არს, და ერთობლისისგან არ ეგებოს რომელ ნახევარი ულბოსი იყოს და ნახევარი უმაგრესი.

და ამა ხუთთა პისთავან რომელ კაცსა შიგან არს, ოთხი პისი თავსა შიგან არს, ერთი თუალისა პისი ვითამცა ნახვაჲ და მეორე ყურისა ვითამცა მოსმენა, მესამე ცხურითა ვითარცა ყნოსა, მეოთხე ენისა პისი ვითამცა გემოსა შეგებაჲ, ეგე ერთი პისი რომელ დაიბადების ნებსა შიგან იქნებია, ვითარმცა დაქირვავა.

და ზემოათ კერძი კბილი თავისა ძუალსა თან დია მაგრად შეწყობით მოკიდებულნი არს, და ათესქუმეტი კბილი შიგან მოკიდებულნი არს, ამათგან ოთხნი მომკუთეულნი, და ოთხნი მცობნელნი, და ოთხნი მოფქაენი.

20 და სხვაჲ ძუალი ზანახისაჲ არს, და ორ პატარად არს, და ორთ ნაპირი მისი თავისა კეფასა თანა მაგრად მოკიდებულნი არს, და კაცისა ტანისა წისკვილი მისი კბილნია, და ყოვლისა წისკვილისა ზემო ქვაჲ ბრუნავს, კაცისა წისკვილისაჲ ქვემოთთი ბრუნავს, და ყოვლისა წისკვილისა ქვაჲ შეწყობით არიან და კბილნი არ შეწყობით არიან, მით რომელ ქვემოთნი კბილნი უწლოსნია ზემოთისგან, და თუმცა შეწყობით სწორად ყოფილ იყვნეს ვერას ვერ იქმოდეს.

და თვითოსა ასოსა შიგან ასეთიფე საკვირველებანი არიან ამაღ რომელ იცოდე, რომელ დამბადებელი ღმერთი აქიმთაგან უაჭიმესი არს.

და ზანახისა ძუალისა უკანა ყელთა მძივთა ძუალი შეიკრვის და იგი ოთხნი მძიენი რომელ სიგრძე მისი ოთხი თითი არს, და ღმერთმან ერთობილად მით არ დაჰბადა, რომელ იგი მძიენი თავისა კეფასა თან მოკიდებულნი არს, და თუალნი თავსა შინა არიან და თუ ყელისა ძუალი ერთობილად ყოფილიყო კაცი ქმე ქმე ვერ ხედვიდა და ვერცა ცათა შეხედვიდა, ნუ თუ პირ აღმა დაწუმოდა. ესე მძიენი გახვრეტილნია ანად რომე სჯუესა შიგან ჩაიაროს და ასოდ შეიქნას, და თუ კაცსა ყელი არა ჰქონებოდა ვერ იზანდა, და ვერცა ხმა გაიგონებდა მით რომელსაცა სულღერსა ყელი არა ათქს ხმაცა არა აქვს, ვითა თევზსა და ვითა კირჩხიბსა რომელსა ჰქვიან სპარსულად ხარჩანგი.

ზურგისა მძიენი ათორმეტნია, და ყელისაგან უფროასნი და უძლიერესნია, და მისი ხურელი უფიწრესია ყელისა მძივისა ხურელთაგან, და თაჰიგაჰისა მძივი ხუთნია და უფროსნია ზურგისა მძივთაგან. და ხურელი მისი უფიწრესია ზურგისა მძივისა ხურელისაგან. და ესე ყულაჲ ოცდა ოთხი მძივი არს ერთმანერთსა თან მოკიდებულნი მაგრად და მიწყით თვითოსა შუა რუტობათი გაჰელის, რომელ საქციელი ნედლად იყოს და არ განმეს, და თუ განმეს კაცი შეშისაებრ განმების და ვერლარა იძრვის. და თვითო მძივისა შიგან ორი ხურელი არს ერთი მარცხნით კერძო და მეორე მარჯვნით კერძოათ. და თვითო საქციელისაგან ცოტა ტვინი გამოსრული არს და ძარღვად შექმნილა და მას მძივთა დამართებით მისრული და ტვინი შიგან გამაგრებული.

40 და წიშონი ძუალნი ოცდა ოთხნი, ზოგი მათგან მოკლე და ზოგი გრძელი, თოთხმეტი მათ თანა იგი არს რომელ თავი მათი მარჯვნით და მარცხნით მოკიდებულნი არს ზურგის



ძულისა შიგეთა და სხვაჲ თავი მათი მკერდისა ძულსა მოკადებული, და ათი ძუალი იგი არს რომელ მათი თავი ზურვისა ძუალისად მოკადებული არს, და სხვაჲ თავი მათი არს რომელ შუა ძულსა ჰკიდებს. და ღმერთსა ესე ძულა მრუდათ დაუბადებია, არს ვითა შვილ-  
 დი, ნით რომელ ესე ძულა მუცლისა შიგან მყოფთათვის მცველია, და არცა ოდეს მიწასა  
 ზედა დასკუდდეს და ძილისა ეამსა. და ჭურჭელი რომელ მრგვალი იყოს ანუ ნახევარ მრგვა-  
 ლი, შიგან უფრო რაჲმე დაეტევის. რაჲ გუამი მიწასა ზედა დასდვას ძილისა ეამსა, მიწისა-  
 გან ორი ნაწილი უკანად დარჩების და ერთსა ნაწილსა ევენების.

10 და სულიერთა ენაჲ მრავალ ფერი არს და ძულა ეკრევე მრავალ ფერი არს, მეტად  
 კაცთა. ზოგი მრგვალია და ზოგი ნახევარ მრგვალი, და ზოგი გრძელი არს და ზოგი მოკლე,  
 ზოგი სხვილი არს ზოგი წვრილი, და ღმერთსა დამბადებულსა ვითა ხამს ეგრე დაუბადებია,  
 და უფელსა ვითარებაჲ დაწერო წიგნა გაგრძელდების.

3. თავისა და ტვინისა ვითარებაჲ და შეფარობილობაჲ. იცოდე რომელ სამი ასო არს  
 კაცისა ტანსა შიგან დას მას რასაჲ ჰქვიან ვითამცა უმთავრესი მით, რომე მათი ნაქმარი  
 დიდი არს, და საქმესა დიდსა იქმან და მავა სამთაგან ერთი გული არს და იგი ხელმწიფე  
 არს ტანისაჲ, და მეორე ტვინი არს და იგი ვახარი არს ტანისაჲ, მესამე ღვიძლი და  
 იგი მზარეული და გამყოფელი არს ტანისაჲ. და იცოდე რომელ ტვინისა ადგილი თავსა  
 შინა არს და უფროსი თუალისათვის არს, ეგრე მათ რომელ თუალი გუშავი არს ტანისაჲ,  
 და თუალთა სინათლე ორი არს, და ესე ორივე ღმერთსა მით დაუბადებია ასოთა ზედათ  
 რომელ რაცა ნახოს კაცმან და იცოდეს რომელ მისგან ელბინების რაჲმე მოეახლოს, და თუ  
 20 ეცნობდეს მისგან კრიდოს. და იცოდე რომელ ტვინი ბუნებაჲ გრძელი და ნედლი არს, და  
 იგი ორთა ფარდაგთა შუა კიუასა ქვეშეთ ძეს, ეგრე რომელ ამათ ორთა ფარდაგთან ერთი  
 გარეთ იყოს და ერთი შიგნით, და გარეგანი ფარდაგი რომელ კიუასა ქვეშე მოკიდებული  
 არ იყოს და კიდე განი იყოს, ამისთვის რომელ საფსოჲ უქუაყუნოს ტვინისაგან, და ამას  
 ფარდაგსა შიგან მუნამდინ რომელ ცხუიროთა ხურელი არს, და ამა ხურელთა ქვეშე ორი  
 ძუალი სხვაჲ არს რომელ გახურეტილი არს, და ზოგი ამა ხურელთა მართალი არს ზოგი  
 მრუდი, და ესე ხურელნი ამორვენ ტვინსა თავისაჲ მით რომელ სულთქმამდინ გრილი ჰაე-  
 რი ცხუიროთათ არ ეცეს ტვინსა და არა ავნოს. და პირისა ხურელი ეგრეთ არს რომელ  
 პირსა უკანით მრუდი ხურელი არს, ტვინისა შუაგულსა ქვეშეთ მოსრული და მას ძუალთა  
 დამოკიდებული, და მის ხურელისათა რომელ პირსა უკნით არს, უფიწრესი არს ამის ხურე-  
 30 ლისა რომელ ცხუიროთაჲ არს და სარგებელი მისა იგი არს რომელ კაცი რაჲ პირშეკრული  
 იყოს მისგან სული ამოვა და ჩავა, მძინარე იყოს და თუ მღვიძარე და არსებაჲ მფეთქელთა  
 ძარღუთა რომელ შუა ტვინსა შიგან არიან მისგან არს რომელ გარეგანი ფარდაგი არს.

და იცოდე რომელ თავისა ტვინი სამკერძად არს, მაგრა ერთგანით მაგრა მოკადე-  
 ბულია და მას ბუტენადი მალი ჰქვიან. და ამას ბუტენათა შუა წიაღები ძარღუები  
 არს ზოგი მფეთქელი, და ზოგი წანარი.

მაგრა პირველი ბუტენი რომელ შებლისაკე არს მით ორთა ბუტენთაგან უფ-  
 რო არს, და იგი თუალთა სინათლისა ადგილი არს და სიბნელე და სინათლე მის ბუტენისა-  
 გან იქნების, არაბულად ბუტენი დიძალსა მცველსა ჰქვიან. და ორი ძარღვი ღრუჲ ამას ბუ-  
 ტენისაგან თვალისა გუგამდინ მოკიდულნი, და სინათლე თვალთა ამა ორთა ძარღუთა შუა  
 40 შემოვა თუალთა. და იცოდე რომელ კაცისა ტანსა შიგან სხვაჲ ღრუი ძარღვი არა არს ამა  
 ორთაგან კიდე, და თუ ამას ბუტენსა რაჲ ჰავი წაეკიდოს თვალთა დაბნელდების.

და მეორე ბუტენი რომელ მასი მოკიდებული არს, ცნობისა და შეგებისა ად-  
 გილი არს, და ოდეს ამა ბუტენსა რაჲ ჰავი წაეკიდოს კაცი ცნობისაგან იავარ იქნების, და  
 მტერთა და ცემა რომელსა ჰქვიან სარით და საქითაჲ და ლაყვიაჲ გამოჩნდების.

მესამე ბუტენი და სწავლისა მოგონებისა ადგილი არს, რომელსა ჰქვიან სვინ-  
 დისი და მით იქნების დასწავლად და ხანებაჲ, და მოგონებაჲ ყულასა და ესე ბუტენი





ყოველთა ფაქტობრივად არს, და თუ უმცროსი არს მათ ორთა ბუნებრივად, და რაა ანაბ  
ბუნებრივად რაა ჰავი წაევიდოს კაცი მრავალე იქნების.

და თავისა ნაკვეთი და ვითარებამა, და ტვინთა გაყოვილობამა და უარდებები მისი  
და ორი ღრუბ თეთრი ძარღვი რომელსა ჰქვიან ფაჲ, ყუელთა თუალთა ხსენებასა გაგონე-  
ბით ვახსენო, რომელ მოსწავლემან გაგონებით ისწავლოს თუ ღმერთსა უნდეს.

**გულისა ვითარებამა და თანადიმი მიხი:** იცოდე რომელ გულისა ვითარებამა მხურვა-  
ლი და ხმელი არის, და ადვილი მისი მკერდსა ქვეშეთ იქნების მარცხნით კერძოა. და ყო-  
ველთა ასოთაგან უთავადესი და უკეთესი არს, მით რომელ სულისა ჰაენურისა ადვილი  
არს, და სათაენრო სიცოცხლისა, და სიმბურვალე ბუნებაური რომელსა ჰქვიან ჰაზარათი  
10 ჰარისი რომელ ტანი მისგან არსი არს. და ტყავი მისი მაგრისა ხორცისაგან არს და ბუ-  
დესა მავარსა შინა არს, რომელ სავნოსაგან მშვიდობით იყოს, და ბუდე მისი ეგეთი არს  
რომელ გულისა ტყავი მას არ მიხედეს და ფირტი მის გარეშემო არს, ეგრე რომელ კაცმან  
რაიმე ნებსა შინა დაიჭიროს, და გულისა არსებამა ვითა ნაძვისა გული არს, რომელ სპარ-  
სულად მას ჯალღორამა ჰქვიან, ანუ შეშისა კალიბადი რომელ ხარატსა დაემრგვალოს,  
მაგრა ერთი თავი მისგან ზუსტოა იყოს და ერთი უწლოა.

და იცოდე რომელ გულსა ორი ყური ათქს, ორი მუცელი, ერთი მარცხნით და ერთი  
მარჯვნით, და იგი მუცელი რომელ მარჯვნით არს გასავალი გზაჲ არს შიგან, ერთი რო-  
მელ ძარღვი სისხლსა აზიდაეს ღვიძლისაგან გულისა კერძი, მეორე იგი ძარღვი რომელ გუ-  
ლისგან საზრდელსა მისცემს გული. და იგი მუცელი რომელ მარცხნით იყოს შიგანცა ორი  
20 გზაჲ არს, ერთი ჰაენისათვის რომელ ფირტეთა კნევისაგან ანაიებს და გულსა გააგრილებს,  
მეორე ღვიძისა ძარღვისა მდებარელებისათვის რომელ ყოველთა შარბანთა ძარღუთა სათაენროა,  
ანუ თავი ყოველისა ასოსა სიმბურვალე ანა ძარღვთაგან არს რომელ გვიხსენებია და რომე-  
ლისაცა ასოთა შიგან რომელ ღვიძლისაგან მან და ძარღვი მისაგან ერთი ძარღვი გულისა-  
განცა მივა მუნ, და რომელსაცა ასოთა შიგან რომელ შარბანსა რაა ჰავი წაევიდოს, სიმ-  
ბურვალე მოსწყდეს მის ასოთაგან, და იგი ასო უხმრად გახდების.

და იცოდე რომელ სიმბურვალე და ნივთი ყოველთა ასოთა მის ცოტათა სისხლისაგან  
არს რაა გულსა შიგან იქნების, და ოდესცა იგი სისხლი სიგრილისა და სიხმელისაგან გაე-  
ყინოს, კაცი მოკვდების. და ღმერთისა განგებამა რომელ გულისათვის ორი ყური და ორი  
მუცელი დაუბადებია იგი არს რომელ, რომელიცა ასოა კაცისათვის უფრო სახმარი არს და  
30 მათ ასოთა თანა ორი დაუბადებია ვითა ორი თუალი, და ორი ყური, და ორი ხელი და  
ორი ფერხი, რომელ თუ ერთსა რაა ჰავი წაევიდების მეორე ეღვას.

**ზვიძლისა ვითარებამა და თანადიმი:** იცოდე რომელ ღვიძლი ბუნებად მხურვალი  
და ნედლი არს, და ადვილი მისი ტანსა შიგან მკერდსა ქვეშეთ ცოტათ უწუმორე არს  
მარჯვნით კერძოა, და სახე მისი ერთისა კვირისა მთვარესა ჰვავს, და სტომაქისად მოკი-  
დებული არს, და სტომაქი მასთან არს ეგრე ვითა კაცმან ნებსა შიგან დაიჭიროს. და ამის  
ხელისა ოსტატთა უთქვამს რომელ ნაგლევი ღვიძლსა ზედა მოფენილია, და ნაგლევი ცეც-  
ხლსა ჰვავს და ღვიძლი ნახშირსა და სტომაქი ქოთანსა. და რაა საკამად ასოთადი სტო-  
მაქსა შიგან ჩავიდეს, ნაგლევისა და ღვიძლისა სიმბურვალე ეცემის, და სტომაქი მას საკამა-  
დაა შეჰბეგოლავს და იბრუნებს შიგან, და რაა შებეგოლოს რააცა სტომაქსა შიგან ნამი და  
40 სახედლე იყოს ღვიძლი მას შოიზიდაეს, ვითა ხეთა ძირი მიწისგან ხამსა მოიზიდაეს, და რაა  
სტომაქისაგან წელთა შიგან მივიდეს რომელსა ჰქვიან რუდგანი და აყაყი შიგანისა  
ძარღვი ღვიძლისანი რააცა ნამი სხვაჲ იყოს მუნით იზიდვინ, და ღვიძლი მას ნამსა გაასი-  
სხლებს ვითა მიწი ხელი არს, და მერმე მას სისხლსა გაჰყოფს საზომისა ებრ და ყოველთა  
ასოთა გაუყოფს, და ანისგან არს, რომელ ღვიძლსა ტანისა როჯიკოსა მიმცემელი ჰქვიან.  
რა ყოველთა ასოთა შიგან თვითთი ძარღვი ღვიძლისაგან არს რომელ მით სისხლთა გაუ-  
ყოფს და უგზავნის მას და ანედლებს მით, და იგი ასო მით სიხმარ და უზანკოა იქნების და



ოდესცა გზაა შეიკრას ასოათა და ლეიძლისაგან მუნ სისხლი არ მივიდეს. იგი ასო გადით-  
 ლდების და დასკვნების.

**ელნეთისა ვითარებაა და თარგობი მისი.** იცოდე რომელ ელნეთისა ვითარებაა გრილი და ხველი არს, მით რომელ სევდისა საბლი არს, და მისი ადგილი მარცხენით კრძო გუერ-  
 დთა ქუეშეთ იქნების, და გრძელი და ბრტყელი არს, ვითა ზროხისა ენაჲ, და მუნით კერძო  
 რომელ სტომაქის დამოკიდებული არს ცოტად ღრუჲ არს, და ორი ძარღვი დიდი ელნეთით  
 სტომაქისადა მოკიდებული არს ვითა თევზთა წერილთა პირი. ერთითა პირითა სევდასა ჩამოზი-  
 დაეს სტომაქით, და მეორეთა პირითა სევდასა სტომაქისა პირისა შიგან ჩასხავს, ოდეს სტომაქი  
 საჭამადისაგან დაიცილოს და სტომაქსა მოანებებს საჭამადსა და კაცი მით დაიწყებს ჭამა-  
 10 სა. და სარგებელი იგი არს ელნეთისა რომელ სისხლისა ფიტსა სტომაქისაგან ჩამოზიდაჲს  
 და მისი საზღელი მისგან არს, და იცოდე რომელ არსებაა ელნეთისაჲ და ყიფილი ვითა  
 რაჲჲ არს, და მით მსხვილთა და დიდთა ნანკთა სევდისასა მოსწოვს.


**თ. ფირტვისა ვითარებაა.** იცოდეთ რომელ ფირტვისა ბუნებაა გრილი და ნეღლი  
 არს, და შკერდსა შუა ჰკიდავს, და ორნი ზრვანი აქუნ, ერთსა ინჰიბატისა ძრვაჲ ჰქვიან და  
 ერთსა ინჰისატისა ძრვაჲ. ინჰისატისა ძრვა იგი არს, რომელ მიწქით ფირტვი გრილსა  
 ჰაერსა ხორხისაგან ჩამოზიდავს სიმხურვალითა რომელ შიგან არს, რომელ დაიწყნაროს  
 თავისა სიმხურვალე, და ინჰიბატისა ძრვაჲ აგი არს რომელ ფირტვი კვამლისაებრ ორთქლ-  
 20 სა და მჟურკალსა ბუხარსა გულსაგან შეიღებს და ხორხთა ინსცემს, და პირსა და ცხვირთაგან  
 გაუყენებს. და იცოდე რომელ ღმერთმან მოწყალემან ფირტვი ნატიფისა ხორცისაგან ჯიფილ-  
 გვარი მით დაჰბადა რომელი ჰაერისა ადგილი არს, და გულსა ეგეთი ქურჭელი არს, რო-  
 მელი ჰაერსა გულსა სარგებლისათვის იზიდავს ვითა ინხსენებია, და რაჲ ჰაერი შეიყენოს  
 ცოცოტად მუნით გულსა მიახუდრებს და გულსა ბუხარსა თვით იზიდავს. და ამისაგან  
 არს რომელ კაცისა სული წიგნთა კითხვისა და საუბარსა ემსა დაუგუნდების, და რაჲ თავი  
 წყალსა ჩაყოს ძოტას ხანა შეუძლია გაძლებს, და სადაცა კვამლი და მტუერი იყოს დაი-  
 გუბებს სულს ცოტას ხანსა. და რა ემსაცა ფირტვი და ყიფილ გვარი არ იყოს, ამას შინა  
 რომელ ვიტყვი, სულისა დაკირვა არ ეგებოდა, მით რომელ ვიდრე ფირტუსა შინა ჰაერი  
 იყოს კაცი ცოცხალ იქნების და რაჲ შიგან ჰაერი არ იყოს კაცი მოკვდების, მით რომელ  
 მხურვალი ბუხარი გულსა დასწუამს.

და სხვაჲ ფირტვისა სარგებელი იგი არს, რომელ რაჲ ჰაერი შეიყენოს მას განატი-  
 30 ფებს და მერმედა მისცემს გულსა, მით რომელ ჰაერისა სულისა სახრდელი ღიდგა ჰაერ-  
 რისაგან არს, და მისგან გაძლიერდების და მისგან ცოცხალ არს. და ვითა ღვიძლი ქურჭე-  
 ლი არს, რომელი საჭამადს გამდნარსა სინედლესა გაასისხლებს<sup>1</sup>, და ასოთა სახრდელიდ გახ-  
 დის, და ასოთათვის გაუყოფს, ფირტვიცა ქურჭელი არს რომელ ჰაერსა გაზრდის და განო-  
 ტიფებს და სახდელათ გახდის, ცოცხალთა სულისათვის რომელსა ჰქვიან რუჰი ჰაეანი,  
 ჰაენი პირუტყვთა ჰქვიან და რუჰი სულსა. და რაჲ ჰაერი განატიფებული, ვითა მითქვამს, გულ-  
 40 სა მიხედეს გული მას მიიზიდავს და მისგნით შარბანთა ძარღვთა ტვისა გაუგზავნის, და  
 რაჲ ტვისა მიხედეს და მისად სახრდელად ჯნას აწიშნი მას ნაფსანი რუჰი იტყვიან, და თუ  
 მისგან შარბანთა ძარღვთა ღვიძლსა გაუგზავნოს ტაბიზნი, მას ტაბიზთი რუჰი ჰქვიან,  
 რუჰი ნაფსანი სახორციელო ნდომაჲ, და რუჰი ჰაენი პირუტყვთა სული, და ამისი მალელი

40 ღმერთმან იცის.  
 ნავრა მე მით გამომიცხადებია, რომელ ჰგენი წიგნი ძუელთა აქიმთა და ფილოსოფოსთა  
 თქმისაგან უნაწილო არ იყოს. და იცოდე რომელ რაჲ ფირტვი მანკიანად გახდეს უძნელე-  
 სია სამთათვის, ერთი მით რომელ წამალი გუიანად მიხედების, მეორე იგი რომელ ძვრისგან  
 ვერაოდეს დასწყნარდების, მესამე ამაღ რომელ შიგან სისხლი ცოტად შეჰხდების.

<sup>1</sup> ეს წიგნიადება „ქურჭელი არს რომელი საჭამადს გამდნარსა სინედლესა გაასისხლებს“ გამპორე-  
 ბულა, ამავე გვერდის ბოლო ამოიპე რვეელთა სათქალავი სწერია „გ“ ამის შემდეგში გვერდი მთლიანად  
 დაუწერელია.





სტრომაქის დაღმობისა და სიმქისისა წასულისაგანმცა, და მისგანცა, რომელ ღვიძლისგან სიმხურვალე არ მიხუდებოდის, ანუ ღვიძლსა რაჲ მანკი გამოაჩნდეს. ზოგთა ზქმითა უთქვამს ვითა ესე ძეალი სხუათა ასოთა შიგან მისცემენ რომელ ჰატიმასა ძალი სტრომაქსა შიგან ძეალია დაღმა არს, და ჯადიზიასი ფირტუსა შიგან, და დაფიასი ნიველუსა შიგან, და მსიქნასა ბავაზასა შიგან, და ბავაზი იგი ადგილი არს გზასა მისცემს რომელ სტრომაქისაგან გამოდიოდეს.

10 **იზ. წაღთა ვითარება.** იცოდე რომელ წელთა ვითირებაჲ სტრომაქისა ებ...<sup>1)</sup> ჰარრისაგან არს და ყველაჲ ეგესნი წელნი არიან, სამნი მათ თანა რომელ ქვემოთორე არიან უწლოსნი და უთხელესნი, და სამი რომე ქუეშეთრე არს უფართოესნი და უსქელესნი, შიგრამ შიგა სამთა ზემოთა თანა პირველსა კარგთა აქიმთაგან ითნე აზრთა ჰქვიან მით რომელ მათი სიგრძე ყოველსა კაცსა თავისა თითითა თორმეტი თითი იქნების, და ითნეაღი თორმეტსა ჰქვიან არაბულად. და მართალი იქნების, და ვითა სხუათა წელთა შიგან სიმრუდე და ნასკვი არ იქნების, და ავი არს იგი რომელ სტრომაქისა აბუყაბსა მოკიდებული არს. ნეორესა ამაჲ საიმ ჰქვიან, მით რომელ მიწყით საზღელისაგან ცარიელი იქნების, მით რომელ მისგნით ადრე ჩააბრებს და შიგან არ დადგების საქამადი. შესამესა ამაჲ დაყაყ ჰქვიან და იგი დაგრზილი არს, და შიგან საზრდელი დიდხან დაზონს და მათ<sup>2</sup>. მეორესა ამაჲ ყოლინი ჰქვიან და იგი ფართთა წელი არს, ამა ყოველთა ქვემოთ. შესამესა ამაჲ მუსსთუიმი ჰქვიან და მართალი და ფართთა წელი არს, და ერთი თავი მისი მოკიდებული არს მყადსა თანა. და რომელ წელთა ალაგსა შიგან მოგრესილობაჲ არს, ნივთი იგი არს, რომელ საზრდელი შიგან დაიყოვნებდეს და ადრე არ გამოვიდოდეს, და წამსა 20 კაცსა საქამადი არ მოუნდებოდეს. და ნივთი ნაგისი რომელ ქლემე წელნი უფართოესნია იგი არს, რომელ წამსა და წამსა კაცსა ავხანად წასვლა არ მოუნდებოდეს, და თუ ვიწრო იყოს წამსა აივსებია ფიტისაგან, და კაცსა დღიე მრავალჯერ მოუნდებოდა ავხანასა მისულსა. და საზონი ამა წელთაჲ შავსა ძეალსა ქუეშეთ არს მყადამდინ, და ღმერთსა მით დაუბადებია, რომელ დია საკვირველებანი და ნივთი არიან შიგან, და თუ ყუელაჲ ვახსენო წიგნი გავრძელდების.

30 **მათანისა ვითარება.** იცოდე რომელ მითანაჲ, რომელსა ჰქვიან ბუშტი სიწყლე, საზარდულსა შიგან არს, და ნაკვეთითა ყარულასა ჰგავს, რომელ აქიმნი წყალსა ჰნახვიან შიგან, თავი ვიწროჲ და ძირი ფართთა მით, რომელ წყალი შიგან დია დაეტიოს, და ტყავი მისი დია მავარი არს რომელ ზაფრისა სიფიცხე და სიხურვალემან რომელ ფსელსა გავრევის არ დააშავოს და არა ავნოს, და პირსა ზედა პატარა ხორცი არს მისსა, და ერთი ძარღვი მისგნით მოკიდებულია თირკმელსა თანა, და ერთი ძარღვი სირცხვილსა თანა, და იცი<sup>3</sup> პატარა ხორცი რომელ მითნისა პირსა არს ესე ორნივე მცველნი არიან ფსლისაჲ და უყამოდ არ გაუსყებენ. და ოდესცა ეგე ხორცი, ანუ იგი ძარღვი დაუსუსტრდნენ, ფსელსა ვერ დაიპირავენ და უნებლიე კაცისსა გავდინების, და ესე ცოტა მიხსენებია მსწაელეზელისათვის კმა არს, რომელ ყოველთა ასოთაგან შიგნითვე არს. აწ გარეგანთა ცხადთა ასოთა ვთქვათ რომელ დანბადებელსა ყუელაჲ ვითა ხამს ეგრე უქნია.

40 **თუალთა:** იცოდე რომელ ღმერთსა ძეალი ღრუჲსა შიგან მით დაუბადებია, რომელ საყვარელი და კარგი ასოჲ არს, და შუბლისა ძეალი პირისა ძეალთაგან გარეთრე მით დაუბადებია, რომელ თუალთა მცველი იყოს, და ზედაათ დაღმა თუ რაჲ მივიდოდეს თუალთა დაიკავდის, და წარბნი თუალთათვის ეჯიბად დაჰბადა რომელ რაჲ ოდესცა სწადდეს თუალთა ფარდაგთა ჩამოხურვიდეს, და წამწამნი მცკრედ და ფარდაგად დაუბადა, რომელ მტკერ-

1) აქ სიტყვა ავლია.  
2) აქ ორი სტრიქონის ოდენი ადგილი ცარიელია, გამოტოვებულია პირველი სხელი წელიც სახელი.  
3) იცოდე





**ივ. ცხვირთა ვითარებაა.** იცოდე რომელ ცხვირი პირისა დამამშუენებელი არს, უნი სოდ პირსა სიტურფე არა აქეს, და შიგნით ორი კერძი არს, რომელ მას <sup>რომელ</sup> შიგან არს, შიგან სამი სარგებელი არს, პირველი იგი რომელ სულისა გზაა არს, მეორე რომელ სიყრალე და სისურნელე მით შეიგნების, მესამე რომელ რააცა ჰავი მანკი სქელი და მავარი არს, და ტვინი მას გააკიდევნებს მუნით ჩამოვალს.

**ივ. ბაგათა და ენისა ვითარებაა.** იცოდე რომელ ბაგე პირისა მეკრე არს და კბილთა ფარდაგი, და ენისა შემწე საუბრისა ემსა. მით რომელ თუ კაცა ბაგე არ უდგას ვერ უზნობს კარგად და მისსა საუბარსა ვერაიენ გაიგონებს. და ღმერთსა, დიდ არს ძალი და წყალობაა მისი, ჩვილისა და ღბაღისა ხორცისაგან დაუბადებია, მით დაჰბადა აგრე რომელ კაცი საუბარსა ზედა მოვლენილი იყო. და შიგან სინედლე გაურაა რომელ მიწუით ნედლი იყოს, და ეგრეთვე ენაა ღბილისა ხორცისაგან დაჰბადა, რომელ საუბრისა ემსა მოჩილი იყოს, და საქამადისაგან თუ მანკი რაიმე დარჩეს პირსა შიგან ენა მას ზიანბრუნვებს სითაცა სწადლეა, და უნოდ საქამადი პირსა შიგან საცობნელად არ დაბრუნვების, და ენასა შიგან ხარღუები გამოაჩინა შარიანისა მსგზავსი, რომელ ამა ძარღუთა თავისაგან სინედლე ბაღღმისაა პირსა წეიურების, და აქიწნი ამა ძარღვისა თავსა საქამადლუბი იტყვიან. და სარგებელი ორი არს მათ ძარღუთა შიგან, ერთი რომელ მიწუით ენა ნედლად იყოს, რომელ თუ ხმელი იყოს კაცი ძნელად უზნობს, მეორე რომელ რაა კაცი ხმელსა საქამადსა ჭამდეს, ვითა მუელი ბური და ვითა ხალი ცოხნასა შიგან იგი განედლდების, რომელ ადვილად ჩაინთქმოდის რომელ ხმელი ძნელად ჩაინთქმის.

**ივ. ხელთა ვითარებაა.** იცოდე რომელ მოწყალესა ღმერთსა ხელნი სასარგებლოდ დაუბადებია. რააცა რამე საქმე კარგი საქმე არს და საყვარელი, ყველა ხელთა იქნების და ხელნი კაცთა ერთთა ნაცვლად აქთან რომელ ნურიწველთა აქეს, და ხელთა იზრომს კაცი და საზრდელსა თავისასა ხელის უფლებით იშოვებს, და ფასურაკისა უკომეცნებელი არს ტანისა და თავისაგან, რომელ თუ რაა ეცემოდის კაცსა ხელი მას იფარებს. ტანისა აბჯარი და ფარი არს და საქებური დაადის ჭირისაგან, ესდენი რომელ მითაქუამს ეყოფის ნაწიელბელსა.

**ივ. მუხთა ვითარებისა ნივთი.** იცოდე რომელ ძუძუნი გარვეით არიან სუსტისა ხორცისა და ლუღედთაგან და შარიანთაგან რამე ორთავე ძუძუთა შიგან მოკიდებული არს, და სარგებელი მიაი არს, რომელ ყრმისა საზრდელი მას შიგან იქნების, და დედისა მუცელსა შიგან შეილისა საზრდელი წიდოგნობისა სისხლი არს, და სათავნოა სძისა მისვე სისხლისგან არს. მაშა გულისა სიმბურვალე მას სისხლისა ძარღვთაგან დაჰბანტავს, რომელ გზაა არს წიდოგნობია სისხლისაა და მერმე ძუძუთა ხორცსა შიგან მიიყენას, რომელ მუნ განატიფდეს. და ფერად თეთრი იქნების მათ, რომელ ძუძუთა ხორცი თეთრი არს მით გაათეთრება სისხლსა ეგრე, რომელ ყრმისა ჩვილსა საზრდელად ერგებოდეს, და ნიშანი რომელ სძე წიდოგნობისა სისხლისაგან არს იგი არს, რომელ ძუძუთა ზეჰდანსა თანა რომელსა ჰქვიან საშობელი ზიარობაა აქეს, და იგი არს რომელ რაა სისხლი დაწყდეს დედაკაცისა ორსულობასა შიგან, სძე მისი ძუძუს მწოვარსა აენება და არ შეერგების. და თუ მარცხენა ძუძუ დადეკაცისა დაქენეს ნიშანი არს რომელ ქალსა აენებს, და თუ მარჯვენა ძუძუ ორსულისა დედაკაცისა დაქენეს ნიშანი არს, რომელ ვაჟსა აენებს.

**ივ. ყვირთა ვითარებაა.** იცოდე რომელ ყვერნი ალათი არს ზურვისა წყლისა, რომელსა ჰქვიან აბი. ორივე სუსტისა ხორცისაგან დაბადებულნია და თეითოსა ძარღვი თირკუმელთან მოკიდებული არს, რომელ ნატიფი სისხლი თირკუმელისაგან რომელ ძარღვითა ყვერსა მიხედების და ზოგი შარიანთა გამოკიდებული არია. და იგი სისხლი რომელ თირკუმელისაგან მოვა ნახეყარი მგბარად შეიქნების ძარღუთა შიგან, და რაა ყუერთა მივიდეს მუნ შეიგბოლების სრულიად, და აქიმთაგან ამათ ავიამიანი ჰქვიან, და რაა სუერშიგან წყალი შეგბოლოს და ხმარებისა ემსა ჩამოედინების რაას ოცდა თხუთმეტისაგან.



**აგ. ჩვაახ ოცდა თხუთმეტიხაა** <sup>1)</sup>. იცოდენ რომელ სარცხენელი ღრუა არს, და შიგნით რუტობათი არა იქნების, და მისი დაბადებამა ძარლუთა და ფიადთაგან იქნების, მით რომელ შეყრისა ჟამსა სრული გემო მიეცეს სიჰამოვნისა, და რუტობათისაგან ცარიელი მით არს, რომელ საქმისა ჟამსა ძარლენი და ფიად მისი ქართთა აღიესოს და გადიდდეს და გამაგრდეს, და საქმისა ჟამსა გაწმინდებული და უსარგებლო არ იყოს. და რაჲ გადიდდების წყლისა გზამა გაფართოვდების და მანისა წყალი შიგან წვეებით და ადვილად გაიარებს, და აღრე ჩამოვა. და იცოდენ რომელ ესე ჭურჭელი დედაკაცისა და მამაკაცისა სწორ არს, მით რომელ ესე ჭურჭელი ვითარ კაცთა გარეთ აქვს, დედათა შიგნით აქვს, და დედათა ამისი ნაცვალისა ზეჰდანიისა ყელი აქვს. და ყუერისა ნაცვალისა ზეჰდანიისა შიგნით ორი ზეჰდანი სხვაჲ აქვს და ვითარებამ მისი ამას წინათ გვითქვამს. და სარცხენელთა შუა დედათა ორნი ყუერნი აქუნან, მაგრამ მათი ყუერი მაგარი და მრგვალი არს, და მამაკაცთა ყუერი გრძელი და სუსთი არს, და ავიომანი მამათა გრძელი და მაგარი არს, და დედათა მოკლე და ლბილი არს.

10

ესე ცოტა ვახსენე შინაგანთა და გარეგანთა ასოთაჲ, მსწავლებელსა ეყოდის თუ გონებაჲ შეეწყოდეს, შეწყვენითა ღმერთისაათა.

**აგ. ძუალთა ვითარებაჲ და თარძი და ნივთი და სათვალავი.** იცოდენ რომელ კაცთა ასოთა ძუალი ყველაჲ ორას ორმოცდა რუა არს. მათგან შვიდი თავსა შიგან არს, და ორმოცდა თხუთმეტი პირსა შიგან კბილითურთ, და ცხრა ყელთა შიგან, და ოცდაოთხი გუერდსა შიგან, და შვიდი მკერდსა შიგან და ოთხი მხართა შიგან და ორი მკლავთა შიგან და ოთხი ხელისა საქციელსა შიგან, და თოთხმეტი სეიდსა შიგან, და რვა ნემისა ზურგსა შიგან, და ოცდა ათი თითთა შიგან, და შვიდი ზურგსა შიგან და შვიდი ზურგისა მძივთა ქვეშე საჯდომამდინ, რომელსა ჰქვიან მაყადი, ორნი საჯდომისა შიგან, და ორნი ბარკალთა შიგან, და ორნი მკლავთა შიგან და ოთხი წვიეთა შიგან, და ოთხი კოჭთა შიგან, და ორი ქუსლთა შიგან, და ორი მას წინათ და ოთხი თათისა ზურგსა შიგან, და ოცდაათი ფერისისა თითთა შიგან, და სხვაჲ საესებაჲ ღმერთმან იცის.

20

**ად. ტანისა ნივთი და ვითარებაჲ.** იცოდენ რომელ კაცისა ტანსა შიგან საშოცდა შვიდ მეტი ფაჲ არს, ოცდათვრამეტი ჯუფთი და ერთი ფარდი. ამათგან შვიდი ჯუფთი იგი არს, რომელ მათი სათაუნომ თავისა ტეინისაგან არს. პირველი ჯუფთი თვალთა შიგან მოკიდებულნია. მეორე ჯუფთი თვალთა ფურცელსა შიგან მოკიდებულნია, რომელსა ჰქვიან ბურჯი. მესამე ჯუფთი ყურიმალსა და ცხვირთა და ბაგეთა მოკიდებულნი არს. მეოთხე ჯუფთი პირსა და ენასა შიგან მოკიდებულნი არს. მეხუთე ჯუფთი ყურსა ყელსა და მკერდსა თანა მოკიდებულნი არს. შეექვსე ჯუფთი მუცლისა ალათთა თანა მოკიდებულნი არს. მეშვიდე ჯუფთი ენისა და ყელისა ხორცთათანა მოკიდებულნი არს. ოცდათვრამეტი წყვილი იგი არს, რომელ მათი სათაუნომ ზურგისა ძუალთა ტეინისაგან არს, ვითა თვითო წყვილი ყელისა მძივისა ზურელთაგან და ზურგისა მძივთაგან გა მოსრული არს, და მათ ასოთა შიგან რომელ მძივთა პირისპირ არიან დაიბანტიან. მათ ყოველთაგან რვაჲ წყვილი ყელსა შიგან არიან, და თოთხმეტი წყვილი ზურგსა შიგან, და ხუთი წყვილი მუცელსა შიგან, და სამი წყვილი ..<sup>2)</sup> შიგან არიან და სამი წყვილი მათ მძივთა შიგან არიან რომელ იგიცა ამა მძივთა ქვეშეთ არიან, და იგი რომელ მარტივი არს მაყადსა ზემოთ იქნების და მათომ არს ფადათა სათვალავი და კაცისა ტანსა შიგან გარეულნია ვითა ძარლუნი, და საესებაჲ ღმერთმან იცის.

30

40

**აე. ატალთა.** იცოდენ რომე ატალი ხორცისა ნაგულთსა ჰქვიან, რომელ კაცისა ტანისა არიან ხუთას ოცდა შეიდნი პატარანი არიან, ამათ ყოველთაგან ოცდა სამი ატალაჲ თავსა შიგან არს, და ოცდა ოთხი თვალთა შიგან და ორმოცდა სამი პირსა, ბაგესა და სახესა და

<sup>1)</sup> სახესო ასოხ სახელი გამოდის ამ რიცხვით. 800 = 8... 30-ლ... და ასე შემდეგ...  
<sup>2)</sup> აქ სიტყვა აკლია.



ცხრამ ენასა შიგან, და ოცი პირსა ქუეშე და ფირტვისა უიასა და გუერდისა ძირსა, და ექვსი კისერსა და ყელსა, და ოცდა შვიდი ხელთა შიგან და რვა ნკლაეთა შიგან, და ოცდა თოთხმეტი ხელისა სეიდსა შიგან, და ოცდა თექვსმეტი ნებთა შიგან, და ოცდა შვიდი მკერდსა შიგან, და ორმოცდა რვა ზურგსა შიგან და რვა მუკელსა შიგან, და ერთი მათანის პირსა, და ოთხი სამამაცოსა შიგან, და ოთხი მაყადისა შიგან, და ოცდა ექვსი თეძოთა და ბარკალთა შიგან, და თერამეტი მუხლთა შიგან, და ოცდა რვა წვივთა შიგან და ორი კოქთა შიგან, და ორმოცდა თორმეტი ფერხთა შიგან, და ღმერთიან იცის სავესებაჲ ქემარიტმან.

10 **33. უფუზოგილოზიხა ნივთი და ძალი.** იცოდე რომელ საქციელნი, რომელ კაცისა ტანსა შიგან არიან დიდნი და მცირენი ხუთას და რვა საქციელი არს შეწყობილობაჲ. ნათანას ორმოცი დიდი და მცირე თაქსა და პირსა შიგან არს, და თერამეტი ყელსა შიგან ჩანბართურთ, და ორმოცდა რვა გვერდთა შინა და თოთხმეტი მკერდსა შინა, და რვა მხართა შინა და ოთხმოცი მკლავთა შინა, და რვა სეიდსა შიგან და ოცდა თორმეტი სეიდისა თავთა, თექვსმეტი ნებისა ზურგსა, და სამოცი ხელისა თითთა შიგან და ოცდათოთხმეტი ზურგსა შიგან, და ოთხი ზურგსა ზედაჲ, და ოთხი ნჯხლთა შიგან და რვა წვივთა შინა, და ოთხი ქუსლთა შიგან და ოთხი ქუსლთა წინათ, და ოცი თათისა ზურგსა შიგან, და სამოცი ფერხისა თითთა შიგან.

20 **34. ძაღვთა ვითარებაჲ.** იცოდე რომელ ძარღვი ყველაჲ სამას სამოცი არს, მთვან ას ორმოცდა თექვსმეტი წვეთქელნი არიან, ორას და ოთხი წყნარნი. და თუ ამა მყოთქელთაგან ერთი დასწყნარდეს კაცი ჰედად გახდების, და თუ მათ წყნართაგანნი ერთმან ღვეთქა დაიწყოს კაცი დასწყულდების, და ამა ძარღვთა გაყოფილობაჲ სამთა ძარღვთაგან აქეს: კითხლისგან, აქაღის და ბასალიკისგან. და თვითთაჲ ამათთანასა ასოცდა ორი ძარღვი მოკიდებულნი აქეს. და ესე დიდრუანი ძარღვნი მტკუარსა ჰგანან, და იგი წყრილნი რუთა. და რაჲცა მფეთქელი არს გულისა მოკიდებულთა, და წყნარი ღვიძლსა მოკიდებულთა.

30 **35. ხუთთა ჰისთა ხასიათი და ვითარებაჲ.** იცოდე რომელ დამბადებულმან ხუთი ჰისი დაჰბადა ხუთსა ასოსა შინა, რომელ კაცთა სისრულე შავით იქნების, მათ რომელ ძალი ცეცხლსა აქეს და ამა ჰიათა შეძლებულობაჲ დღისით და სინათლესა შიგან იქნების და ნატიფობისა შიასა ნიშანი იგი არს, რომელ რასომობასა შორით შეიტყუებს, და თუალისა ჰისი არს ესე. მეორე სმენა და შეგებთა არს ხმათაჲ და იგი ყურთა ჰისი არს და თუალისაგან უმცრო არს, ბუნებაჲ ქარისა აქეს მას, და მისგან არს რომელი შორით ხნითა მოასმენს ქარი. მესამე ყნოსა სურნელისა და მყარლისა, ესე ცხვირისა ჰისი არს, და უქუესია ყურისასა და ბუნარისა ბუნებაჲ აქეს, და მისგან არს რომელ გაუხდების და ტვინსა მიახვედრებს სულსა, და მისი ბუნარი ბუნებად გარვევლი არს შაწისა და წყლისა ბუნებისაგან. მეოთხე ჰისი გემოჲსა შეგებისა არს ტკბილისა და მკაცისა, შწარისა, მლაშისა და ესე ცნობისა ჰისი არს, და ყნოებისგან უქუერესია მით რომელ ბუნებად კარგი წყალი არს, და ბუნარი უფროჲ ნატიფთა წყლისგან. მეხუთე ჰისი შეგებთა არს ღბილისა და მქისისაჲ, და იგი ხელისა ჰისი არს და ყოველთა ჰავისთაგან უმქისესი და უსქესია, მით რომელი ბუნებაჲ ნიწისაჲ აქეს და შეგებთა მისი ხელისა ფაჲთაგან იქნების, და ამისგან არს რომელ სიღბოსა და სიმქისესა და სიმბურვალესა და სიგრილესა მოუსმელად ვერ შეიგებს.

40 და იცოდე რომელ ესე ხუთი ჰისი, რომელ ღმერთსა დაუბადებია ერთმან ერთთა მიმდგომად დაჰბადა და ეგრე გაუგია, რომელ რაჲცა ერთითა ჰისითა არ შეიგებოდეს, მეორითაც არ შეიგების, ვითა მყარლი თუალითა არ შეიტყუების და ხმა ცხვირითა არ მოისმინების და აგრევე სხვანი ჰისნია, და ვინ ესე რაჲცა მათქვამს გულის ხმა ყოს და შეიგნეს ეგების, რომელ შეიგნეს, რომელ ყოელი არსებაჲ და საკვირველებაჲ, და მოვლენილობაჲ დამბადებლისა ღმერთისაგან არს და ირწმუნებს ღმერთსა, და მორწმუნეთა იციან, რომელ





ოთხთა ბუნებათა დამბადებელი და ცტლთა მბრუნებელი ღმერთი არს, და იცოდეს რომელიც ამის იტყვის, თუ საქმე ბუნებითაგან არს იქნების, ტყუვის და ბედითომს და ღმერთისაგან კიდე არაფერ არს მცნელი და მაქნელი ესე, არს მორწმუნეთა სიტყვაჲ.


10 **კთ. სიმრთელისა თაღზირი და შენახვა.** იცოდეს რომელ სიმრთელისა ნიშანი იგი არს, რომელ ტანი ძლიერად იყოს თავისა საქმესახედა, და ყოველი ასო დაეკლებლად თავისა საქმესა იქმოდეს, ეგრე რომელ კაცსა რაჲ მიჰქირდებოდეს. და ოდეს ტანი გაუსუსურდეს და ასონი თავისა საქმესა ვერ იქმოდენ, და ქირი გამოაჩნდეს ტანსა, სნებისა ნიშანი არს, თადბირისა შენახეჲ უნდა სიმრთელისა ჯამსა შრავად ფერად. პირველ უნდა რომელ საქამად სასუამადი ზომიერად ჭამოს და სვას და ნაშენი იყოს, და მეორედ რაჲცა მხაცი და ფტლთა ტანსა შიგან შეყრილ იყოს, ყველაჲ წამლითა გამოზიდოს ტანისაგან ვიდრე ქირისა სათავნოდ გახდებოდეს და ტანსა დასცენდეს.

20 **ჯ. აღინოს იტყვის:** ვითა სიმართლისა შენახვისა სათავნოჲ იგი არა, რომელ ოთხი ბუნებაჲ სწორად შეინახოს, ვითარცა სისხლი და ზაფრია. ბაღლინი და სეველა ვითა ერთმანერთსა არ მოერიონ და ერთმან მეორე არ დაიზაბუნოს, და სხეჲ გონებაჲ შეინახოს საქამად სასუამადთა რომელ სწორსა ჰამდეს, და რასაცა ზედა დაჩვეული იყოს მას საზომსა ზედა დაიდგენს და მეტი არ წიროს, ნუ თუ ძაფსა რასმე წესსა დაჩუეული იყოს რომელ გვანიდ დაგვანდებოდეს<sup>1)</sup> და სიარული ეგრე ხამს რომელ ჭამასა წინაჲთ იყოს და თყით ძალისა მისაჲერად იქცეოდეს საქმისა ჭინთა სიარულითა და ყოელიჲა ფერითა, და ეგრე ხამს რომელ არ დაშორებოდეს, და სიარული ჭამასა წინაჲთ ბუნებაურსა სინხურვალესა გაახალისებს, რომელსა ჰქვიან ჰარარათი ჰარიზი და საქამადთა მოადნობს და ასოთა გააძლიერებს, და სიარული ჭამასა უკანით კაცსა დაამკლოებს და დააუსუსურებს და ძნელთა სნებათა გამოაჩენს. თუცა აგრე არ იყოს და ჭამასა უკანით არ იაროს საქამადი დააშენდების. და ღია გამოაფენება და სიხანტე ჰარარათი ჰარიზისა დააუსუსურებს და ეგების რომელ ნოკუდინოსცა, მეტად საქამადსა წინაჲთ მით რომელ სიარული საქამადსა წინათ სტომაქსა და ღვიძლსა ძალსა მისცემს, და თუ სტომაქსა ზედა ნანარჩომი რაჲ იყოს მისცა მოადნობს. და ვისცა სწადიან რომელ რაჲცა ჭამოს შეერგოს საქამადთა უკანით ღია ნუ იარების და ნუცა რას მოაქირვებს თავსა, რომელ სნებისაგან მორჭმით იყოს.

30 **სტჰმა და ჭამა ეგრე ხამს,** რომელ მიწვიით სტომაქი სუბუქედ იყოს, და თუ რა უჭნს ოდესმე მეტი რაჲ ეჭამოს უჯობს რომელ ცოტა იაროს, რომელ ნახევრად შეეგბოს და მერმე ღია დაძინოს, და მეორესა დღესა შეადღემდინ ნურასა ჭამა ვიდრე არ მოემშოს. **ჯ. აღინოს იტყვის** ვითა სიმრთელისა შენახეჲ მით იქნების, რომელ სიარულთა და გამოაქვენება მისი ზომიერად იყოს, და საქამად სასუამადი მაშენესა მოიხმარებდეს, და თავი შეინახოს სიცხისა და საგრილისაგან, და განწყრომისა და შიშისაგან, და შექირვებისა და უძილობისაგან, და მოშურნეობისა და მტრობისაგან და რაჲცა ამას ჰგვანდეს ერთდებოდეს, რომელ ესე ყოველი ბუნებასა აქცევს და სისწორისაგან შეშლის, და მსურვალ ბუნებითა, მსურვალთა ცხროთათა, და გრძელითა სნებითა ჰეად გახდის.

40 **ღ. და საბამადინა ჯამისაჲ** ეგრე ხამს შენახეჲ სიმრთელისა, საქამადი მაშინ ჭამოს რომელ ტანი სუბუქედ იყოს მისი, და კარვად მოედნოს საქმელი, და სიარული წესისაებრ ყოფილიყოს და ნდომა ჰქონდეს საქამადისაჲ, და ასონი მართლად ედგენ და რაჲ საქამადი ინებოს არ გარდადოს ნუთუ მარხული იყოს, ანუ მას წინაჲთ ღია რაჲმე დაეპატიეოს, და რომელ ეჭამოს უდნობი და ჰავი ყოფილ იყოს, და რაჲ მოუნდეს ჭამოს, და ამა მიზეზითა ეგების რომე დააყოფოს. მაგრა ხამს, რომელ საქამადს წინა სჯობია ანუ სიქნეგბინი იხმაროს რომელ სტომაქი გახურდეს და საქამადი მოინებოს, და ეგრე ჭამოს რომელ რაჲ მოიცალოს სხეჲცა უნდეს ბუნებად. რომელ სიმრთელისა მშვიდობა ცოტასაჲ ჭამასა შინა

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აწიხე სწერია რვეულთა სათვალავი დ. და შემდგომი გვერდის ზემო აწიხე ე.



არს, ვითა სულია მშვიდობაჲ უცოდობითა, და ყოველსა კაცსა ანას წესსა ზედა ზუნდა და-  
 წყნარებაჲ, რომელ დაჩუქული იყოს და გაზრდილი და ეგზომისა ქამა რომელ ჩვეულ იყოს, ნუ  
 თუ დია მქამელი იყოს, ანუ ჰაგისა ქამასა დაჩუქულ იყოს და ეგრე ხანს რომელ ნებასა ზედა  
 ჰავსა ზნესა დაავდებხ და კარგსა ნოჰყვებოდის. და უკეთესი ზნე და წესი იგი არს მრთე-  
 ლისა კაცისა, რომელ ერთსა დღესა და ერთსა ღამესა შიგან ერთხელ ქამოს საჭამადი ანუ  
 ორჯერ, და თუ ორსა დღე ღამესა სამჯერ ქამოს უმჯობესი არს, და მიწყით მრთელი იგნე-  
 ბია, და ერთსა დღესა და ღამესა სამჯერ ქამა, აენებს მსუქანსა კაცსა და ასო სხვილსა. და  
 ვინცა მისი საწმარი მძიმე და ძალიანი იყოს, მას საჭამადი უფროასი ზუნდა, და ვინცა გა-  
 მოვანებული და უსაქმო იყოს, მისი საჭამადი უმცროსი ზუნდა, რომელი მიწყით მრთლად  
 10 იყოს ტანისა ბუნებაჲ სისწორისაჲ ანა შეეცვალოს, და თუცა იგი საჭამადი ჰავი არ იყოს,  
 და თუ დია ჰავი იყოს ნებნებასა დაზიდვა ზუნდა მისგან, რომელ არ დასნეულდეს, და დია  
 ჰავი არს რომელ კაცსა კარგისაგან უკეთე შეერგების, მით რომელ დაჩვეულ იყოს ჰავით.

**ლა. ხილთა და ჰამბა მინი.** იოჰან იტყვის: ნიადაჲ ხანს, რომელ საჭამადსა წინაჲთ  
 ქამდეს ბილსა ახალსა და ნედლსა. ნუ თუ მთავე და მკრეელი იყოს ვითა ზეჲ რომელსა  
 მქვიან აბი, და ვაშლი დაბროწყული და რაცა ამათ ჰგვანდეს. და დია ნუ სკამს, და თუ წამ-  
 ლად ქამდეს ეგებია, თუ საჭამადსა წინათ ქამოს, და სიმართლისა შენახვისათვის სკამოს,  
 რომელ ნედლი ხილი დია არა ქამოს, ნუ თუ მაშინ რომელ სტომიქი გაგრილებულ იყოს  
 არა, და დია მებურვალი იყოს კაცი ჭირისაგან ანუ სიარულისაგან, მაშინ ლეღვი ანუ ყურ-  
 ძენი ანუ ვაკოყებული ტყეშალი ეგების, რომელ ქამონ, და მაშინ რაჲ ხანი გარდგოდეს საჭა-  
 მადი ქამოს კარგად ერგების, და თუ ოდენაე ნილი საჭამადსა თანა დია ქამოს, და ელდაჲ  
 20 სტემოდეს თადმიირი იგი არს, რომელ მეორესა დღესა ცოტა ქამოს, რომელ სტომიქი გასუ-  
 ბუქდეს. და თუ ზედაჲთ ზედა ესრე მიხუდეს ღონე იგი არს, რომელ მუცელი დააღბოს წამ-  
 ლითა ეგეთითა, რომელ სტომიქსა და წელთა გასწმედდეს და ფიტსა ჩამოიღებდეს, ვითა  
 ცოტაჲ ტარეფული და ჰაბი საბრისაჲ და გუარში ზოსპილისა და გუარში შაპრიანი და  
 რაჲცა ანას ჰგვანდეს.

**ლა. წყლისა სუმა.** ჯალინოზ იტყვის: რომელ საჭამადსა ზედა წყლისა სმაჲ ეგდენი  
 ხამს, რომელ წყურვილი დააწყაროს ანუ საჭამადი ჩიყვანოს, რომელ სტომიქი სუბუქად  
 იყოს, და მერმე თუ მაძღრად სუას არა ჰგავა. და საჭამადსა ზედა წყალი გრილი სუას, რო-  
 მელ წყურვილი დააწყნაროს და საჭამადი მოაღნოს, ნუ თუ ეგეთსა კაცსა რომელ სტომიქი  
 30 და ღვიძლი მისი გაგრილებული იყოს, მას არა უხმს რომელ გრილი სვას, და რაჲ აბანოჲთ  
 გამოსრულ იყოს, ანუ დედაკაცსა თანა მისრულ იყოს, ანუ ძნელი რაჲმე საქნე ექნას ანუ  
 დია მისრულ იყოს აბანოსა გრილისა წყლისა სმა აენებს ამათ, და საშიშიცა იქნების ნუ  
 თუ ცოცოტად ზუნდეს სუმა, რომელ ჰავი არა იყოს, და ღამით წყლისა სუმა რომელ მოს-  
 წყურდეს ერგების, და რაჲ დია სუმიდეს და წყურვილი არ დასწყნარდეს, ცოტას ხანსა  
 დათმოს რომელ ხანი გარდახდეს.

**ლა. ღვინისა სუმა.** მოჰამედ ნაქარიას ძე იტყვის: რომელ თუესა შიგან ერთ-  
 ხელ ანუ ორჯელ სვას ღვინო, და ძნელთა და მლაშეთა და ფიცხელთა საჭამადთა ზედა  
 სვას, და დია ნუ სუაჲს. და რაჲ საზომისაებრ სუას მისი ხასიათი იგი არს, რომელ პირველ  
 ტანსა გაახურვებს და საჭამადსა მოაღნობს, და სიმბურვალესა ბუნებაურსა გააძლიერებს, და  
 40 საჭამადისა ძალსა ყოველგან მიახვედრებს, და სისხლსა გასწმედს, და სიყვითლესა პირისაგან  
 წაუღებს, და რაჲ მაშუხნეთა საჭამადთა ზედა სუას ტანსა ზრდის და გაასუქებს, და რაჲ წყალ  
 რეული შესგან წყლისა სინედლისა ყოველგან მიახვედრებს, და ჰამოდ დაიძინებს კაცსა და  
 სიხარულსა და ნიშატსა მოუმატებს. და ესე ყოველი მაშინღა არს რაჲ საზომსა ზედა სუას,  
 და არა მოიქარბოს, და თუ ესე არა იყოს სიმთვრალისა ეამსა სხვაებრ არს, და სარგებე-  
 ლი მისი საენებელი იქნების მით, რომელ ასოთა გაასუსტებს, და ცნობასა შეშლის და სნე-  
 ბათა ჰავთა მოიყვანს რომელ არა ერგებოდის, ვითა ჯალინოზ იტყვის მიზეჯისა წიგნსა



შიგან: ღვინისა სუშისა ჰაენი მანკნი ძნელნი წაეკიდებთან კაცსა ვითა სტატუსები და ფი-  
 ლინჯი, და ფაათა სისუსთე და სუბათი, და სარი და თა შანსუჯი და სარ-  
 გაშთანნი და ლაყვაა და რაშე, და თავის ტკივილი და შაყიყიი და ღვიძლისა სიმ-  
 სინენ და დუნბულეზაა, და დიდროვანი წყლულნი და ასოთა შეკრულობაა, და ეგეთნი  
 სნებანი, რომელ გაყენებაა ხანგრძლად არ ეგებოდეს მისი, და საშიშიცა იყოს. და სუშაა  
 ნისი ყოველსა კაცსა არ მოუხდების მით, რომელ მრავალთა კაცთა სტომაქსა შინა დაუ-  
 მთავედების და მიზეჯსა შეუშლის, და მრავალთა ზაფრათა მოუმატებს, და ღვიძლსა გაუშუ-  
 რვალებს და არწყევს, და დაამჟღობს, და მრავალთა თავსა ატკივნებს და დაამახმურებს. და  
 მით იქნების, რომელ კაცთა ბუნებაა მრავალ ფერი არს, და რაა ცნობითა ვაიგონონ საე-

10 ნოა მისი მისჭარბდების სარგებელსა მისსა.

და ღვინოა ვითა სპარსთაგან არ ქებული არს, ეგრევე არისტოტელისაგან არ  
 ქებული არს. დია ჰგომბს არისტოტელი, და იტყვიან რომელ მას არ უსწამს ღვინოა, ჰკით-  
 ხეს რად არა საქმი: ეგრე თქვა მე მას არა ვსუამ, რომელ ცნობაა დამიშალოს, მით რომელ  
 მე ცნობისაგან გამოჩენილ ვარ. და ვინცა ამანოათ გამოსრულიყოს, ან ძნელი საქმე ექნას,  
 ანუ დია რაამე ეჭანოს, ღვინოა სუშაა მას ეგნების.

ლდ. ძილისა და შილოზისა. შაყრატ იტყვის: ვითა დაძინებაა ეგდენი ხამს, რო-  
 მელ ასოთა გამოისუნენონ და სიმაშურალე წავიდეს, და საქამადი ნოიდნოს, და ძილი რაა  
 ესეთი იყოს ტანსა გაამრთელებს, ძალსა მოუმატებს, სტომაქსა დააწყნარებს, და ტანსა გაა-  
 სუტებს. და რაა საზომისაგან მეტი იყოს ტანსა გაასუსთებს და გაახანტებს, და ბალღამსა  
 20 მოუმატებს და სტომაქს გააგრძობს, მეტად მსუქანთა და სხვილ ასოთა დია ეგნების, და  
 უძილობაა კა რომელ საზომისაგან ვარდვიდეს, გაახურვებს და ბუნებაა შეშლის, და ტანსა  
 გაახმობს და დაამჟღობს. და არა ხანს რომელ კაცი უნებლივ მოსწყდეს ძილსა, რომელ  
 კაცსა დაახანტებს. და რაა შუალამე გაეღვიძოს კაცსა, ეგრე ხანს რომელ კულა დაიძინოს  
 რომელ უძილობისაგან დია რაამე ფათერაკი წაეკიდების კაცსა.

ლვ. მუცლისა ლგილად დაჯიკვაა. შადანიელი აქიმი იტყვის: ვითარ სიმრთელისა  
 შენახვაა უყეთი თადიბირი არს, და ეგრე სჯობს რომელ მუცელსა საქამადითა დააღბო-  
 ბდენ, არა წამლითა, რომელ წესსა ზედა დაიდგენს, და ფსელსა ზედა გაუფრთხილდეს, რო-  
 მელ წყლისა სუშისა საზომსა დიოდეს. და მისი გაფრთხილება იგი არს, რომელ ზანტად  
 არ იყოს სიარულითა, რომელ ჰაეი სინედლე განოჰყვეს ფსელსა, და სიმრთლე დარჩეს და თუ  
 30 მოღბეს მუცელი, ხილთა წაღითა და დელამოტისა წყლითა მუცელი დაიღბოს, და თუ  
 ფსელი ჰავად მოვიდოდეს სიქანგუბინი და ნესვისა თესლი და კიტრისა თესლი და ნიახუ-  
 რისა თესლი და ბადიანი იხმაროს, და სიარულისა ნაცვლად ცხელს ამანოსა შიგან ოდელი  
 იდინოს. და დედაკაცისა მიახლოებაა ნდომითა რაა იყოს ამას ერგების. და ოდესცა ეფსმო-  
 დენ ნუ ჰკოვინს, რომელ მისგან ჰაენი სნებანი შეიქნებიან თირკმელსა და ბუშტუსა შიგან.  
 და ეგრევე თუ ეგმოდინ კაცსა, დაყოენებაა არა ხამს, რომელ მისგანით ყოლინჯი და ზა-  
 ჰირი გამოჩნდების, და საქამადისა ნდომაა წაუფა. და თოლი რაა დაჯდებოდეს ავხანასა სა-  
 შიშოა, რომელ ბევასირი და ნასორი შეექნას და მაყადისა ტკივილი. მაშა ეგრე ხამს, რო-  
 მელ ყველაა წესსაებრ შეინახოს, რომელ სიმრთლე ხანი ერთი შერჩეს.

ლვ. დედაკაცსა თანა დაწოლისა რომელსა ჰქვიან აბაბულად ჯიმიძაკადან. მასარ-  
 40 ჯოაა იტყვის: მაწინ სჯობს რომელ დია მოუნდებოდეს და ზურგისა წყალი დია იყოს, და  
 არ გასუსთდეს კაცი, და რაა მოიცალოს მისგან უსუბუქესი იყოს რომელ ყოფილიყოს, და  
 მაწინ სჯობს რომელ ყოველი ასოა თავისა საზომსა და სისწორესა იყოს, რომელ არცა  
 შიოდეს არცა მაძლარი იყოს. თუ მაძლარი იყოს, შჯობს ვიდრე მშვიერი, და გათენებისა ეამსა  
 სჯობს ვიდრე პირველსა დამისასა. და მისი სარგებელი იგი არს რომელ ტანსა გაასუბუქებს,  
 და ნიშატსა მოუმატებს, და წყრომისა დააწყნარებს, და შეჭირვებისა გააქარვებს, და საგონე-  
 ბელსა შესაჭირვებელსა მოძხოცს გულისაგან, და მახულისა და მიჯნურობასა ერგების და

თავისა და თუაღთა სიმსივნენსა ერგების, და საზარდულსა და მათანასა და თირკმელთა გასწმენდს, და გახაფხულისა ეამსა სჯობს და ზამთრის, მაგრა თუ დია იქმოდის ავნებს, და ზიანს უხამს და ძალთა წაუღებს ასოთა, და თუაღთა სინათლესა დააკლებს, და კაცსა ადრე დაამბერებს და თმისა გაუთეთრებს, და ტანსა დაამჟლოებს, და ტვისსა თავისასა და ფირცესა და მკერდსა ავნებს, და ფაჟთა დაუსუსთებს, და თუ მჭლე კაცი დია იქმოდის, და დიყისაგან საშიშოა არს. და უარესი ჟამი მისი შემოდგომად არა, რაჲ ხისგან ფურცელი ცვიოდეს, და მას ეამსა, რომელ სნებაჲ ენებაჲსაგან იყოს მაშინ სიკუდილისაგან საშიშოა არს.

10 **ლ. ტანისა ზელისა აბანოსა უოჯახს შინა.** ისაკ იტყვის: ვითა ზელისაგან ტანი გაძლიერდების და ასონი გამაგრდებიან. და ლბილად ზელისაგან ასონი გაიხსნებიან, მაგრად ზელისაგან გაუსუსტრდენიან, და საზომისაებრ და ჟამისაებრ ზელისაგან ხორცი გაიზრდებიან, და ფერად დაშვენდების კაცი, მით რომელ სიმხურვალე მას ეამსა მოვამტების ბუნებაური, რომელსა მქვიან ღარიზი. და სრულთა ასოთა არგებს და შეკრულობასა გააზნის, და ქარსა და რუტობათათა გამოიყვანს ტანისაგან, და ძარღუთა და ფაჟთა გაძლიერებს და ერგების, რაჲ კვირასა შიგან ერთხელ ზელონ.

20 **ლ. აბანოსა ჯდომისა დიდხან.** ჯალინოს იტყვის: რომელ აბანოსა ჯდომა სინედლესა მოუმატებს რაჲ დიდხან არ დაიყოვნოს შიგან, და ტფილითა წყლითა ბანაჲ ტანსა გაიბურცებს, და სინედლესა მიუმატებს და ბუნებისათვის კარგი იქნების, და ფსელსა ადენს, და მამოდ დააძინებს კაცსა, და სიმაშვრალესა წაუღებს, და ტკივილთა დაუწყნარებს, და ქართა გააქარვებს, მაგრა ტანსა დაასუსთებს და ტანსა გაიანტიფებს, და გულსა და ღვიძლსა გაამხურვალესა, და ბაღდათა გლუსუნთა და სქელთა ქართა გამოიღებს კაცისაგან და ნელითა წყლითა ბანაჲ დია ანედლებს ტანსა, და ხმელ ბუნებათა ერგების, სიღობასათვის კარგი არს. და ცივითა წყლითა ბანაჲ მჭლეთა და უსუსტრასა ავნებს, და ტანსა გააგრილებს, და მსუქანსა უფროჲ არ ავნებს. და რაჲ ცივსა წყალსა ჩაჯდეს სიმხურვალე გარედამა შიგნით შეეაღს, და რაჲ გამოვიდეს სიმხურვალე ტანსა შიგან მისგან უფროჲ იქნების, რომელ ყოფილ იყოს.

30 **ფოლის იტყვის:** რომელი, წყალი ასოთა არ გაანედლებს არცა შიგნით სუმითა, და არცა გარე ბანითა, მაგრა ისთიურადი რომელ სიბრულითა და ბანითა იყოს, იგი ნატიფი რაჲჲ არს, რომელ ტყავისგან გამოვიდეს, მაგრა გარევესა და იხლატსა კარგად ავნებს აბანოჲ, მისი ისთიურადი ზელისა გახსნითა და ქიქათა მოკიდებითა, რომელსა მქვიან მაჯმათი, და რწყევითა და წამლისა აღებითა იქნების.

40 **ლ. ძირისა ცხებაჲ აბანოსა.** მასაოჲ ახსე ძე იტყვის: სისხლსა დასწუავს, და თაღბირი მისი იგი არს, რომელ პირველი იგი ადგილი გარცხას და ცივი წყალი დაასხას, და ვარღისა ზეთი სცხოს მას ადგილსა, და თუ ამით არ დასწყნარდეს და ეწუოდეს, თუ ნარსაქია ტკავი ვარღისა წყლითა და ძმრითა დააღბოს და შესცხოს ერგების, და თუ გაბერილი იყოს, და წელულად ედვას და თხამლი სდიოდეს, ინაჲ და ატმისა ფურცელი და სულდი და ხმელი ვარდი ყველაჲ დანაყილი, და გაცრილი ზედა მოაყაროს, და თუ ამით წამალთა თანა ერთი ანუ ორი იყოს კმა არს, და კირისა შეცხებაჲ მიწყით ძმრითა და ვარღის ზეთითა ზელდეს, რომელ კირისა სამხურვალე გამოიზიდოს და არა ავნოს.

50 **მ. რიატათი სიაკული.** მუშამედ ზაქარიას ძე იტყვის: რიატათი, ვითამცა სიაკული ასოთა დააჩენს, ფერფერი სარგებელი იქნების, პირველ შეკრულებასა გაუსხნის ასოთაგან, და შერმე ტანსა გაძლიერებს და გამაგრებს. და რაჲ საჭამადსა წინაჲთ იყოს რიატათი, სტომაცსა გაძლიერებს და საჭამადსა მოადნობს, და ბუნებასა გაუმხურვალესა და ფაჟთა გამაგრებს, და ირყანისასა და საქვიელთა ტკივილსა დააწყნარებს, და ზურგისა და წელთა ტკივილისა და ელნეთისა და თირკმელთა ტკივილისა ერგების, და ტანთა გაასუბუქებს. მაგრა საზომისაებრ ხამს, და საჭამადსა წინაჲთ კაცსა უფრო შეერგების რიატათი, კარგთა ნატიფთა საჭამადთაგან, მით რომელ წამალი ასოთა გაასუბუქებს და ხორცთა დაა-



კლებს. და რიატათი შეკრულობასა გახსნის და ტანსა არა დააკლდების, და ასოთა სი-  
თა გააძლიერებს, მანკიანსა სინედლესა ტანისაგან გააქრებს.

**ბაყრატი იტყვის:** რიატათი თავის მტკივანთაგან, ევრე ხაშს რომელ მიწყით  
წვივთა და კოქთა აზელიებდეს, და ნებასა იარებოდეს.

**ჯალინოს იტყვის:** რიატათი მზღრვალ ბუნებათა და ხმელ ბუნებათა აენებს, და  
გამოსვენება ტენისა სინედლესა მოუმატებს. და ცოტა სიარული საჭამადსა უკანით ერგე-  
ბის, მოადნობს და გარეფსა, და საჭამადისა ცოტასა ქამა, წამლისა აღებისა აღდილსა ერგე-  
ბის კაცსა, და დია ქამა დიდისა სნებისა მომღებელი არს.

10 **მბ. რაფაელისა რაფაელისა.** მას რაფაელ იტყვის: ევრე ხაშს რომელ თქვსა შიგან ორ-  
ჯელ არწყევდეს, რომელ სტომაქი გაწმდეს, და საჭამადი შეერგებოდეს, და ტანსა ანსუქნებ-  
დეს. და ბალღმიანთა დია ერგების, მეტად ნიკრისსა და საქუთათა, და ზურგის ტკივილსა  
დია ერგების. და თავსა და ტენისა მანკიანისა სინედლისაგან გასწმდეს, და თულთა  
გაანათლებს. და რაა თუესა შიგან ორსა ჯერსა გარდაღოს, ანუ რწყევისა ქამსა დია  
დაიბატიფოს, ტანსა დაამქობს, და ასოთა გაახმობს და გაასუსთებს, და თავსა და თულთა  
და მკერდსა აენებს. და ყელგრძელსა და მკერდგამოჯდომილსა, და თავაპოკაბებულსა და  
მკლესა და უსუსურსა აენებს. და ეინცა ესეთი არ იყოს მას ერგების, და რწყევისა ქამსა  
ევრე ხაშს, რომელ თულთა ზედა ლიფეფა, ვითამცა ლბილი რააჟე მალფაჟა, დასდენ და  
უკუეკრან, და ვირე სრულიად არ არწყიყოს ნუ გაჰხსნის, და შერბე ცივი წყალი თავსა და  
პირსა უკუესხს, და პირი თავფლისა წყლითა და სიქანგუბინითა გარცხას, და დია ერგების.

20 **მბ. წააღლისა აღაღისა ნივთიანობა:** ჯალინოს იტყვის: ევრე ხაშს, რომელ წელი-  
წაღსა შიგან ორჯელ ხაშს, რომელ ნატიფი წამალი სუბუქი, გასახსნელი მოსპილი აიღოს,  
ვითამცა აღვილი გასახსნელი, რომელ წეიერად შეკაზმულ იყოს, დია შემრგე იქნების სიმ-  
რთელისა შენახვისათვის. მაგრამ ევრე ხაშს, რომელ მეცნიერულად აიღოს წამალი, რომელ  
თუ ზაფრისა გამოღებაჟ ხმდეს და მან ბალღამი გამოიღოს, საენებელი უყო იქნების სარ-  
გებელისა. მაშა საზომისაებრ ხაშს, და რომელსა გამოღებაჟ ხმდეს თუ იგი გამოიღონ, ერცახე  
სარგებლიანი იქნების, მით რომელ ესრე მეცნიერად წამლისა აღებაჟ სიმრთელისა სპირკველი  
იქნების, და წამლისა აღებაჟ სხვილთა და სხვილ ასოთა კაცთა უფრო უნდა, მეტად ეგეთთა  
რომელ ხორცსა და ღვიწხასა და თაფლიანთა და ხილთა და ფერად ფერადთა საჭამადთა  
სჭამდეს, და მკლესა და უსუსურსა და მზარხავსა და ცოტას მჭამელსა, წამლისა აღებაჟ არა დია  
30 უნდა. და წამლისა აღებისა უწინაჟთ სამსა დღესა შორაბასა ცხებიანსა ქანდეს, და ზაფხუ-  
ლის წამლის აღებაჟ ცისკრისა ქამსა უნდა, და ზამთრის მამინ რომელ მზე კარგად ამო-  
სრულ იყოს. და ბალღმიანისა და სევდიანისა აბისა აღებაჟ უჯობს, და ზაფრისაისთვის მატ-  
ბუხი და სუფუფისა შარაბი, და რაა ბალღმისა მანკა მკერდსა და სტომაქსა შიგან იყოს,  
მარცთალი წვრილსა და ნატიფსა უნა აღებაჟ რომელ ქებული იყოს. და ცხელსა ზაფხულსა  
და ცივსა ზამთარსა წამლისა აღებაჟ არა ხაშს ნუ თუ დია დაეჭირებოდეს. და წამლისა უკა-  
ნითცა ფარეზი და კრძალვად უკეთ უნ სამსა დღესა აბანოს მივიდეს. და შედე და მლაშე  
და ნედლი ახალი ხილი, და უღნობი რააცა იყოს და სტომაქსა აენებდეს, ერთიცა არ ექვე-  
ბის, ესე გვარსა ირიდებოდეს, და რაა წამლისაგან გამოვიდეს დაიძინოს და გამოისუნოს.  
და ვიდრე წამლისაგან არ გამოვიდეს ყველაჟ ნუ დაიძინებს. აბანოს მივიდეს და წვივთა  
40 იზელიებდეს, და ნელი წყალი სუას, და თუ წამალი ცოტასა გაიყვანდეს ცხებიანი შარაბი  
ხვრიტოს, და მას დღესა დია საჭამადსა ნუ სჭამს, და ღვიწხისა ნუ სჭამს, და თუ დია ვაი-  
ყვანდეს წამლისა შარაბი და ბეჭესა შარაბი სუას, და არაბული გონიზი და ასფიომი შემ-  
გებარი იხმაროს. ასფიომი ბაზრაცატუნი არს.

მოკამედ ზაქარიას ძე იტყვის: ვითა წამლისა აღებაჟ სუბუქი უფრო ქე-  
ბული არს მსიყეთა, და ჰალილათა და იითა, და თურბიდიითა და საბრითა, და ასფიომი-  
ნითა და ბასბასათა, და შაჰშიპანტლითა და ღარიყონითა და სანამაქტრითა, და ხიარჩან-



ბრითა და თარანგუბინითა, და შირახიშლითა და ჰინდოურითა ხურმითა, კრომელსა ჰქვიან თამრი ჰინდი, და სიყამუნიათა, რააცა ამისგან მეტი ერთვის წამალსა, ყველსა სამშობიარს, და რა სარწყვეელსა წამალსა აიღებდეს იყოფინოს ბოლოკისა წყალი, და სიქანგუბინი და ცერეცოსა წყალი, რომელსა ჰქვიან შიბითი, და სალამაჲა თესლი, რომელსა ჰქვიან ძვიმელი, და ქანგარზადი. რააცა ამისგან კიდე ერთვის ზაპრი, მკლველი და გესლი იქნების, ეითა შავი და თეთრი ხარბაყი და ჯაბალაჰანგი და რააცა ამათა ჰვავს.

10 და ვისთვისცა წამალი აღებულ საზომიაგან გარდვიდეს, ვაშლისა ქერჭი ვაშლისა ხალი და ფმატისა ხალი უნდა, რომელ აქამონ, და აღარდენისა სუფუფი და რააცა ამას ჰვანდეს. და თუ ესე რომელ გვიტქვანს არა არგოს, ცოტა ბანგი ანუ აუიონი აღარდენისა სუფუფსა გაურონ და აქამონ. და კულა გასახსნელსა წამალსა ნუ აიღებს მეორესა დღესა, რომელ აგნებს და ბუნებასა გაუსუსტებს. და თუ წამალი აედოს და არ გაეხსნას, ოცდაათისა დრამისა წონი წითელი შანარი ასსა დრამსა წონისა ტვილსა წყალსა შიგან გაურონ და შესვას. და ოდესცა გასახსნელსა წამალსა აიღებდეს, ცხვირისა ხერგლნი მაგრად ბანბითა გატენოს, რომელ წამლისა სუნი ტვირისა შიგან არ გაუხდეს. და ვინცა ვერ აიღებდეს წამალსა, და არ შეეძლოს აიღება ანუ ძნელად აიღებდეს, ეგრე ხამს აქიმისაგან რომელ ადვილ ახალეზელსა აიღებდეს, ანუ ევეთსა რასმე შიგან ჩადვას რომელ ბუნებაჲ არ შეიშალოს წამლისა სულისაგან, და საქამადად ვადვილებოდეს, რომელ თუ წამალსა სინხურვალისა და ზაფრისათვის მისცემდეს, შარაბი ვარდისა უნდა მისცენ, მუინვართა გაგრილებული, ანუ დანაყილი სიყაპონიაჲ ცოტა ჯულაბსა შიგან გაურონ და იხმაროს.

20 და თუ წამალსა სევდისათვის მისცემს, ორი კრძა აუთიმონი და ნიმიქი ჰინდი წვრილად გავალონ და გაცრან, და საზომისებრ წამალსა გაურონ და აიღებინოს. და სისხლისა და წყნარებისათვის ღვინოჲ სუას ერგების. და თუ წამალსა ბაღდმისა და სიჯრილისათვის მისცემდეს, თურბიდი და ღარიყონი დანაყილი თვითოჲსაგან საზომიერი ერთი, ჯულაბსა თანა იხმაროს ერგების.

30 მგ. ხელის გახსნისა ნივთისაჲ. მაყრატ იტყვის: რომელ ხელის გახსნა ეანიერად და წესიერად, სიმართელისა შენახვისა უკეთესი კურნებაჲ და თათბირი არს, მეტად ეგვითა კაცთათვის რომელ მჯდომი ესხას და წყლულიანი იყოს, მათ კარგათ ერგების. მაგრა ეგრე ხამს რომელ, ანუ სამი საათი ანუ ორი საათი, რომელ ჟამისაგან გარდასრულ იყოს, და საათი ჰაჰასა ჰქვიან არაბულად, და დღე თორმეტი ჰაჰა არს, ეგრევე დამე თორმეტი საათი არს, მესამესა და მეორესა საათისა გაიხსნას ხელი, და თუ რაჲ უნდოდეს და არ გახსნას, და ჟამისაგან გარდაროს, ძნელი სნებანი გამოჩნდებიან, ეითა სარსამი რომელსა ჰქვიან თაგქელი, და ეითა ბარსანი და ცხროჲ მუტბაყისა, და სისხლისა დენა ქვეშეთ, და უგრძესული სიკვდილი რომელსა ჰქვიან მარგი მიფაჯა, და საქთა სისხლური და ხუნაყი, და რააცა ამათ ჰვანდეს. და დია გახსნაჲ, და საზომისაგან უყროსი გაშუებაჲ სიხლისა არავე ხამს, აგნებს კაცსა მით რომელ ბუნებასა შეუშლის და ისთის კაცსა გამოაჩენს, და კაცსა გააყვითლებს, და საქამადსა არ მოანებებს, და სტომიქსა და ღვიძლსა და გულსა დაუსუსტურებს, და ფელიჯსა ლაყვასა და ყოლინჯსა და რაშისა გამოაჩენს, და ტანისა ძალსა წაუღებს, და ყოველთა ასოთა დააუსუსტურებს.

და ცხელსა ჟამსა და ცივსა ეამსა ხელის გახსნა არა ხამს, ნუთუ ღონე არ იყოს, და მის დღესა რომელ ხელი გახსნას, დედაკაცსა ნუ დაეკარების, და დია ხუ იარების, და წამალსა და საქამადსა ნუ ჰამს, და ნუცა იმარხვინ, და ტანსა ნურას იწყენს, და წუადი და ზირაბაჯი ჰამოს და მწნილი და მჭავე იხმაროს, რომელ ზაფრა უკუაქარგოს და გარდაუღოს. და თუ ვის გულისა ფეტქაჲ, ანუ საქთაჲ, ანუ ხორხ შეკრულობაჲ სკირდეს, ისწრაფოს ხელის გახსნაჲ და ნუ მოლაფლდების, თუ ღამით გამოაჩნდეს თუ დღისით მასვე წამსა ხელი გაიხსნას.



და თუ ოდესმე ძარღვისა თავი გახსნილი იყოს მძინარესა, ანუ მღვიძარესა, და სინხ-  
ლი დია დაწრედილი იყოს, კურნებაჲ იგი არს რომელ ხორცისა წვესსა ხერტიდეს, და სურ-  
ნელსა ღვინოსა სუმიდეს, და ამოწავებულსა კურტაცსა ჭამდეს, და სურნელსა უსუნებდეს  
და ვარდსა სცხებდეს, და ლალიაჲ ცხვირთა შიგან ჩაუდეს, და ცოცოტად ხორცისა წვესსა  
ჭამდეს, და ღვინოსა სუმიდეს სურნელსა, რომელ ძალი ნოუეიდეს, და რაჲ ადგეს ხორცისა  
წვესსა ჭამდეს და ღვინოსა სუამდეს ერგების.

82. **მძინა მოკიდების ნიშთი.** თეზაჲთ ყურას ძე იტყვის: რომელ ჭიქისა მო-  
კიდებაჲ ხელის გახსნასაგან უმჯომესი არს, ვისაცა კბილი ანუ თავი სტკიოდეს, თავისა და  
10 თუალთა სიძძინესა გარდაიღებს. რაჲ ორგნითვე მოიკიდოს ჭიქაჲ და ორთავე მხართა შუა  
მოიკიდოს, გულისა ფეთქასა და ყელისა ტკივილსა ერგების. და თუ წვიგსა ზედა მოიკიდოს  
წილოვანობაჲ რაჲ შეიკრას გაიხანებოს, და მუცლისა ტკივილსა რომელ სიმხურვალისაგან  
იყოს ერგების, და მჯდომიანთა კაცთა ერგების, და თუ ყელსა მოკიდოს ერგების.

ისაჲ იტყვის ჭიქისათვის: ჭიქის მოკიდებაჲ ორგნითვე ყელსა, თავსა და პირსა და  
თუალთა დია ერგების, და კბილის ტკივილსა გარდაიღებს და ხელის გახსნისა ადვილსა მოე-  
კეთების. და თუ ნიკაფსა ქუეწეთ მოკიდოს პირისა ტკივილსა და ღრძილთა დაწავებასა  
ერგების. და წილოვნისა სისხლსა ჩამოიღებს, და ვასივებულსა დააწყნარებს მავრა მწლესა  
და უსუსურსა შავად გახდის.

83. **წუბრისა მოკიდებაჲ რომელსა ჰქვიან დეჰა და ზალუ.** მასა არჯოთაჲ იტ-  
ყვის: რომელსა წურბელი ერგების იგი არს, რომელ ყობასა და საფაჲსა და ძნელთა მყულულ-  
20 თა უკან აუშუას წურბელი, მას უკანის რომელ წამლითა კარგითა ტანი გაეწმიდოს ერგე-  
ბის, და სითცა მოეწოვნოს წურბელსა და მენათ სისხლი არ უკუდგებოდეს, ახალი კეცი  
დანაყონ და გაკრან და ზედა მოაყარონ, და თუ წურბელი არ დასწყუდების ნაცარი ზედ  
მოაყარონ და ქუე დაჰვარდებინ<sup>1)</sup>.

იოჰანა იტყვის: რომელ სიმრთელისა შენაბეჲ იგი არს, რომელ სიარული და სიწ-  
ყნარე, ბუნებაჲ, სასუმად საჭამადი, და ისთიფრალი ყველაჲ წესისაებრ იყოს სწორად,  
და მას დღესა რომელ ახალი თევზი ექამოს სძესა, ნარსაქსა და კვერცხსა და ზროხისა ხორც-  
სა და კალნაბასა არ უნდა ჭამა, რომელ ფელიჯისაგან საშიშოჲ იქნების, და მისგან  
სეველიანობისა სნებაჲ გამოჩნდების, და ზაფხულის გრილსა სჭამდეს და ცხელსა ადვილსა ნუ  
დახანს, და აბანოსა შიგან მაძლარი და მშიერი ნუ შევალს, და აბანოსა შიგან ცივსა წყალ-  
სა ყოვლადვე ნუ სუამს, და საზამთროსა, რომელსა ჰქვიან ხარბუხაჲ ჰინდოჲ ნუ სჭამს, და  
30 ახალ თხილთა ნუ სჭამს, რომელ ისთისყოჲსაგან საშიში იქნების, და აბანოსა შიგან  
დიაცსა ნუ მიეკარებინ, რომელ უგრძნულსა სიკუდილისგან საშიშოჲ იქნების, რომელსა  
ჰქვიან მარგი მათაჲ, და გულისა ფეთქაჲ და ნიკრისი და ირქანისი შეე-  
ქნების, და თუალსა ატკიენებს, და აბანოსა შიგან ნუ დაიძინებს რომელ ფილეჯი და  
ლაყეჲსაგან საშიშოჲ იქნების. და თუ დიაცსა თანა მისრულ იყოს, ვიდრე ორი პაჰა  
არ გარდვიდეს აბანოს ნუ შევალს, რომელ აზრ ვითა წამალი ასაღებელი არს, და მისი  
ისტიფრალი თუცა არ სრული ისთიფრალი იქნების, გინა ორი ისთიფრალი კაცისა, ოცდა  
ოთხსა პაჰასა უმცროსი არა ზამს რომელ იყოს. და ისთიფრალი დაცლასა ჰქვიან და მოსუ-  
ბუქებასა, რომელ არ დაუსუსტდეს კაცი. და დიაცსა თანა მისელისაჲ ისთიფრალი, და ხე-  
40 ლის გახსნაჲ, და ცხვირთაგან სისხლისა მოდენაჲ, და ჭიქათა მოკიდებაჲ, და რწყეჲაჲ,  
და სიღობა, და ფსლისა დენაი, და ოფლისა გამოცემაჲ, და სიჩბლი ამას ყველასა ისთი-  
ფრალი ჰქვიან.

84. მისაჲ იტყვის: რომელ უარესი სიმრთელისა შენაბეისა იგი არს, რომელ საჭამადი  
საჭამადსა ზედა ჭამოს, მით რომელ პირველი გაულნობელი იყოს ზედა სხვაჲ მოიმა-

1) ამ გვერდის ქვემო აწიანზე რეცულთა სათვალავი სწერია ვ. და შემდგომ გვერდის ქვემო აწიანზე ვ.



ტოს, ორივე სტომქსა შიგან შეიყარნენ და სტომაქი გააუქუჭრონ, და ესრე ქამისაგან რი-  
 დებაა ხამს, რომელ ტანი მიწყით გამოსეენებით იყოს. რომელ სტომაქისა საქმე ვითა ქო-  
 თანი არს, რომელ შიგან ხორცი და ჰავეჯი ჩადვან და წყალი ასხან, და ადულონ და ადუ-  
 ლებულსა ზედა სხვა ხორცი და ჰავეჯი და წყალი ჩაურთონ, და ადულონ, და კულა ხორცი  
 და წყალი და ჰავეჯი ჩაურიო და ადულო, მაშინ ცივი წყალი ზედა ჩაასხა და ცეცხლსა  
 უჯზებდე, რაა მნახო ზოგი შემგბარი, ზოგი დამწქარი, ზოგი უმგბარი იქნების, და ერთი-  
 ცა გემრიელი არ იქნების, და კაცი რაა პერ ქმული იყოს, ეგრე ხამს რომელ წყარად  
 იყოს, რომელ ნახევრამდის მოიდნოს მაშინლა დაიძინოს, და რაა გაიღვიძოს თუ რაა მა-  
 შინ ქამოს ეგების, ნაკრა ისრამი და აღარდენი, ბრინჯი და თევზი ერთგან არ იქმების,  
 10 ერთდებოდეს ამას, რომელ ყოლინჯისაგან საშიშო იქნების და მკავესა, დია მკავესა, და მლა-  
 შესა, დია მლაშესა, ნუ ჰქამს.

მთ. ის აქ იტყვის: ყოველი ტკბილი ღვიძლსა და წელთა აენებს, და ცხიბიანი სტო-  
 მაქსა დაასუსთებს, და მლაშე წელთა მოხუჭუს, და მკავე მკერდსა გააქმისებს და სტომაქსა  
 აენებს, მაშა საზომისა შენახვაა ხამს, რომელ ერთი მეორესა არგებდეს და ერთმანეთსა არ  
 მოურიონ, და რააცა ერბოა ანუ ტკინი ანუ ქონი დაძველდე მას ნუ ჰქამენ, რომელ ერთო-  
 ბით ზაპრი იქნების, და თავლისა პურსა რომელ თონისაგან აქოლებულ იყოს ნუ ჰქამენ, და  
 თევზი ძველი, აზუბტი არ მაშენი იქნების, და მქუარი ბირიანი რომელ დაზურვალი იყოს,  
 და ძველისა ყველისა ქამაა აენებს კაცსა და საუთერაკოა არს, დი რააცა გემოდ ჰავი  
 20 იყოს და ბუნებაა მას არ ითხოვდეს მაგისი ქამა არა ხამს, რომელ აენებს კაცსა. და მიწყ-  
 ყით ყურისა მოხოცა ხამს ბაყლისა თხამლისაგან, და კბილსა იწმენდეს სანუნითა, რომელ  
 წმიდად იყოს და ყურსა ეამ-ეამ იისა ზეთითა დაალბობდეს. და რაა მარხული იყოს და  
 შიოდეს და ქამად დაჯდეს, ცოტასა ქამდეს რომელ სტომაქი შეიწირვიდეს, და რაა დაწყუ-  
 ნარდეს ეგების რომელ სრულად ქამოს.

6. მგზავრობისა სიბრძლისა და ლაშჩრობისა თადგირი. მუჰამედ ზაქარი ია-  
 სქე იტყვის: ვისცა გრძლად მგზავრობაა უნდეს, პირველ ხამს რომელ ტანი გაწმიდოს ხე-  
 ლის გახსნითა და წამლის აღებითა, და თავისის წესისაგან ნებნებასა დახიდულობასა ვითა  
 ძილისაგან და დია ქანისაგან, და გამოსვენებისაგან და ამისი მგზავსი, რომელ სადაცა  
 იყოს მართლად და უვნებლად იყოს. და რაა მგზავრობაა ზაფხულის იყოს საქამაღსა დია  
 30 ნუ ჰქამს, და ცხიბისაგან და ტკბილსა ერთდებოდეს, და გრილსა და მკავეს ქამდეს, და ნია-  
 დაგ თავსა ჰუნჯიდის ზეთითა ილბობდეს, და ასუიომის ლობითა და აყიროს ზეთითა, და  
 კურცხის გულისა თეთრითა მკერდსა იზულდეს დია, კარგი იქნების, და ევეთსა ნურასა  
 ქამს რომელ აწყურებდეს, და რაა გარდახდეს პირი ცივითა წყლითა დაიბანოს, და ვიდ-  
 რე არა გამოისცენოს ნურას ქამს, და მაშინ ევეთი რაა მკავე ქამოს, რომელ ზაფრად გარდა-  
 ულოს, და ცოტას ხანსა გრილსა ადგილსა დაიძინოს, მაშინ გაიღვიძოს და საქამადი ქამოს,  
 და ხილთაგან ვაშლი და კიტრი, ბროწეული და ტყევალი, და სხალი ქამოს, რომელ  
 წყურვილსა ერგების, და სიქანგუმინი ცივითა წყლითა კარგი არის.

და ეგრე ხამს რომელ ამის სადგომისა წყალსა, მეორისა სადგომისა წყალსა გამრცვდეს,  
 რომელ სტომაქი მისი დაეგვიოს უცხოთა წყლითა, და თუ მქიმედ და ხურვალედ და უსუ-  
 სურად იყოს, ადრე ველსა გასვლასა ეცადოს, და ხელი გაიხსნას რომელ უცხოა ჰაერი საქა-  
 40 მადსა რომელ ექამოს ადრე ასორშაებს, და ხორშასა არაბულად აუინი ჰქვიან, და სისხლსა  
 გააჰავებს. მაშა ხამს რომელ ტანი წმიდად დაიჭიროს, რომელი სნებითაგან მორკმით იყოს.  
 და თუ ზამთარი დაემართოს მგზავრობაა ეგრე ხამს, რომელ მხურვალსა და ლბილსა საქა-  
 მადსა იფარებდეს, უხდურსა შიგან ნიორიანთა, ხახუსა და მხურვალთა სანელებელთა ჩაურ-  
 თვიდეს, რომელ მიწყით მხურვალი იყოს, და ტანსა ტუილთა ტანისამოსითა შეინახვიდეს,  
 და მეტად მკერდსა წეინახვიდეს რომელ სიცივემან გულსა არ ავნოს, და რაა გარდახდეს თუ



შეგდლოს აბანოსა მიეცდეს, და თუ არა, თავი თბილთა რაათნედახურეთა შეინახოს, და თბილსა ადგილსა დაიძინოს (ოტის ხანსა, და რაა გაიღვიძოს სიკვდილსა უკეთესსა და მიწ...<sup>1)</sup>)

- ... წყალი და თეთრისა ხაზხაშისა წყალი ჯულბსა გაურიონ და ასუან, და თუ ტკბილი და გემოდ ჰავი იყოს საჭამადსა ტკბილსა და ცხიბიანსა ჭამდეს და ცოტა ტარეფული გაზრდილი ჭამოს ერგებოს, და ეგრე ხამს რომელ ძიძისა სძე ტკბილი და გემოდ კარგი იყოს, და თეთრი და წმინდაა, და სწორი იყოს, რომელ არცა ხურვალი იყოს არცა გრილი, არცა სქელი და არცა თხელი, და თუ სძე ცოტაა ედგას ცერეცოახსა თესლი და ნესვისა თესლისა წყალი ჯულბსა გარიონ და იხმარებოდეს, და მიწყით თხისა და ფურისა სძესა თეთრითა შაქრით ჭამდეს, და შორაბასა მუხუდითა და ხაჭვითა და ცერეცოახსა თესლითა და ბადიანითა შექნილსა ჭამდეს, და თუ ოდესმე აბანოს მიეიდეს ყრმასა დიდხანს ნუ დაიჭირავს აბანოს, და შხესა ნუ დააწვევს. და თუ ყრმაა დია ტიროდეს მნახოს, არ ყოველივე შამშილისაგან ატირდების, ნუ თუ მუცელი სტკივოდეს, მაშინ დედამან მისმან ცოტა თეთრი საკმეველი ცოხნოს, და წყლით მისი პირსა ჩაუწითოს, რომელ ქარი არა აწყენდეს. და ეგების რომელ ყურიცა სტკივოდეს, მაშინ ცოტაა სძე იისა ზეთსა გაურიონ და ყურსა ჩაუწითონ, და თუ საზარდელი სტკივოდეს ცოტა იასამინის ზეთი ანუ ხირის ზეთი საზარდულსა ზედა სცხონ. და ეგების რომელ აყვანაა მოყუნდეს, ანუ მაგრად შეკრული იყოს, ანუ ეკბინოს რასმე, ამას ყველასა გაუფროთხილდეს. და ძიძაა ზოგჯერ გულბა შაქარსა და ტარეფილსა, და აღვისა გუარიწნსა და ძირაასა გუარიწნსა ჭამდეს, რომელ მისი სძე შეზრგე და წმიდაა იყოს.
- 20 და ვითცა ყმაა იზრდებოდეს ცოცოტასა სძესა შოუმატებდეს. ვითაცა გადიდების უყროა უნდა. და თუესა შიგან ორჯელ დალიასა ჩაუდებდეს ცხვირთა, რომელ დაცემისაგან მორჭპით იყოს რომელსა ჰქვიან სარჩი, და საზარდულსაცა ზედა უტებდეს, რომელ ქვაა არ შეიქნას და არა სტკივოდეს.

58. იოჰანა იტყვის: რომელცა კრმაა საუბრისა ჯამსა დონი ანუ ლასი ახსენოს, უენოა არ იქნების, და რაა საუბრისა ჯამი მოეხდოს ცოტა ანდრანული მარილი დანაყოლი ერბოსა გაპრიოს და ენისა ძირსა ნით უზელდნენ, რომელ ადრე დაიწყოს საუბარი, და რაა კბილთა ამოსულისაჟამი, იყოს შინაურისა ქათმისა ცმელი და იის ზეთი ერთგან გაპრიონ და ღრძილსა სცხონ, რომელ ადრე ამოვიდეს კბილი. და რაა კბილისა ამოსულისა ჯამი იყოს, მისთა ღრძილთაგან მღანე წყალი გამოგა და მუცელსა ჩაუვა, მაშინ მუცელი დაუღებების,
- 30 მაშინ ბეჭე, შარაა და ტაბაშირი გაგლილი იქანონ. და ხმელი ვარდი და ბროწყელისა ყვავილი, და ხმელი პური ერთგან დანაყოლი წყლითა შეზილონ, მუცელსა და საზარდულსა ზედა დაუდენ ერგების, და ძიძაა კაკბისა და თიძაასა ზორცსა ჭამდეს შემწვეარსა, და ხაშხაშისა თესლსა შემგზარსა ჭამდეს. და თუ ოდესმე ყრმაა შეკრული იყოს, შაფი ქნან, თავვისა მძორენისა დამწურისა, სკინტლისა და ფანიდისაგან და შეუპყრან ყმასა, რომელ მუცელი დაუღებეს. და თუ გუამისა პირი გამოვიდოდეს ასფარამის წყალი უყოს ესრე, მიიღოს ბროწყელისა ყვავილი და ვარდის ფურცელი, და სისახბარისა ფურცელი და ტირიფისა ფურცელი ყველა წყლითა შეავბოლოს და თაღარსა შიგან ჩაახსას, და ყრმაა შიგან ჩახვას, ერგების. და ვითარცა ყრმაა იზრდებოდეს სძესა დაუკლებდეს. და რაა კბილი ამოსრულ იყოს ცოცოტასა ღმბილსა პურსა ხელთა მისცემდეს, და დააჩერე საჭამადისა ჭამისა
- 40 და მას უკანით ნეცულსა დამბალსა, შიგან ხარშოსა მისცემდეს, და ესა დაუკლებდეს. და ეგრე ხამს, რომელ ღამით სძესა არა აწოებდეს და ნებნებასა მოიკიდეს, და ძუძუსაგან ზამთარსა და ზაფხულსა შუა ნუ მოსწყვეტენ ყრმასა, რომელ საშიშოა იქნების. და უკეთესი ჯამი ყრმისა მოწყვეტისაა გაზაფხულ და შემოდგომისა ჟამია, რაა ხაზანი იყოს და ფურცელი ზეთიგან ცვიოდეს.

<sup>1)</sup> აქ ერთი ფურცელი უნდა აკლდეს, თავები ნა. 58.



მუნან აქიმი იტყვის: რომელ პატარასა ყრმისა ზამთრის ნედლისა ცილისა ჰამისა-  
 გან შეინახეთ, რომელ საზარდულსა შიგან ქეხსა გამოაჩენს. და კერცხსა და კერცხსა  
 გან ნუ ატყევენ, რომელ მაშინ მტერთა და ცემი გამოაჩინდების რომელსა ჰქვიან სარკი.  
 და თუ აღრე მოსწყვიდონ ძუძუსაგან, მკლედ და უსუსურად იქნების და თუ გვიანად მოს-  
 წყვიტონ, ჰავცნობა შეიქნების. და უმცროასი ხანი წოვნებისა წელიწადი და ნახევარი  
 იქნების, და უფროასი ხანი ორი წელიწადი. და რაა ყრმაა უსუსური იყოს აღრე ნუ მოს-  
 წყუფენ ძუძუსაგან, მაგრა თუ მსუქანი და ძლიერი იყოს არა ჰკავა: და ორსულისა დია-  
 ცისა სძე ზაპრი არს პატარასა ყმისა თვის, მაშა ხამს რომელ მისგნით არა ოდეს აწოონ.  
 და ძიძა ყმა და მთელი და სწორ ბუნებაა ხამს, და არცა დია მკლე და არცა დია მსუ-  
 10 ქანი იყოს, და ყოვლადვე ხახუსა და ნიორსა, და განდანასა და ჯაპოსა, და მლაშესა და  
 ნჟაფესა ხილსა ნუ ქამსა ყოველსა საჭანადსა ტკბილსა და ცხიბიანსა ქამდეს, და ყოვლისა  
 კაცისაგან მისისა დედისა სძე უკეთ შეერგების ყრმისა, და სავსება ღმერთიან იცის.

და მაჯასისა შებუშუბისა მცენიარებაა და ნივთი. ჯალინოზ იტყვის: ვითა მაჯასისა  
 შეტყუებაა მიწევისა შეტყუებაა არს, და მაჯასითა შეიტყუების ყარურა და ლადე, რო-  
 ნელსა ჰქვიან ფიტი კაცისა, და აწ ჩუენ მაჯასისა შეტყუებისა ნივთი ვთქვათ, რომელ გა-  
 მოუკდელისათვის ადვილი იყოს. და იცოდე რომელ მაჯასი გულის ფეთქა არს.  
 სულისა ამოდებისა და ჩაღებისა ემსა შენახვა ბუნებაურისა სიმბურვალისა თვის, და მის-  
 გან შეიგების გულისა სისუსტე და სიძლიერე. და იგი მოწინე არს აქიმისათვის მანეთა,  
 რომელ გულისა და გულისა მიდამოსაგან, და მფეთქელთა ძარლუთა იქნების. და სჯობს  
 20 იგი რომელ მაჯასი მარცხენით კერძოა ჰნაბონ, ანით რომე გული მარცხენით არს. და სწე-  
 ულთა ჰკითბონ ყოფა და ვითარება მათი, და ვისცა სწადდეს რომელ მაჯასისა შეტყუე-  
 ბისა შეცნიერება კარგათ ისწავლოს, ოთხთავე თითთა მიწყით მრთელთა კაცთა მაჯასსა  
 ზედა დასდებდეს, და ნუცა მაგრად ნუცა ლბილად, და კარგათ შეიგებდეს მათისა მაჯისა  
 ძალსა და ფეთქასა, რომელ შეიგნეს თუ მრთელისა ვითა ფეთქს, და სწეულისა ვითა, და  
 მაშინ გამოარჩევს და შეიგებს; თუ მრთელი ვინ არის და სწეული ვინ.

მისსა ზედა თითთა დადებდა სამფერად არს ზოგსა მაგრად, და ზოგსა ლბილად, და  
 ზოგსა სწორად, და მაჯასა რომელ თითთა მაგრად უნდა დადებდა ორფერად არს, ერთი  
 მაჯასაა ძლიერად მფეთქელი არს, რომელ თუ მაგრად ზედა ხელი დასდვა მაჯასი თითთა  
 უკუაყენებს, და მისსა ვითარებასა კაცი ვერ შეიგებს, ვიდრე თითისა თავსა ზედა მაგრად  
 30 არ დასდებს. მეორე იგი, რომელ მაჯასისა პატრონისა ხელი ხორციანი და მსუქანი იყოს,  
 მაშა თითისა თავსა მაგრადცა უნდა დადებდა და ლბილადცა, და ორფერად იქნების, ერ-  
 თად იგი, რომელ უსუსურობისა და სიძლიერისა ემსა სწორად ფეთქს. მეორეთ იგი რო-  
 მელ მაჯასისა პატრონისა ხელი არცა მსუქანი იყოს არცა მკლე. და მაჯასა რომელ თითთა  
 ზედა ლბილად უნდა დადებდა ორფერად არს, ერთი იგი რომელ მაჯასა ლბილად და უსუს-  
 ურად ფეთქდეს, მეორე იგი რომელ მაჯასისა პატრონისა ხელი დია მკლე იყოს, მით რო-  
 მელ თუ ამის ხელსა ზედა ხელი მაგრად დასდვას ფეთქა ყოლ არა ეგებინს მისი. მაშა რაა  
 მაჯასასა უნახვიდეს ვისმე ამას ყოველსა გაფრთხილება უნდა, რომელ მაჯასა შემტყუე-  
 ბელი იყოს.

ჯალინოს იტყვის: რაა ხელი მაჯასა ზედა დასდვას თითთა ქვეშე სწორად ფეთქ-  
 40 დეს, ტანისა სიმრთელისა ნიშანი არს, და აქინნი ესეთსა მაჯასსა ნაბტალმოს თავი  
 ჰქვიან. მაჯასსა არაბულად ნაბტი ჰქვიან. და თუ მაჯასი თითისა ქვეშე ძრიელად იყოს  
 და გვიანად ფეთქდეს, სისხლისა მორვენისა ნიშანი არს, და აქინნი ამას ნაბტალმოს-  
 თალი ჰქვიან. მაშინ ჭბრძანოს რომელ ხელი გაიხსნას და სისხლი გამოიღოს, ვითარცა უნ-  
 დეს. თუ მაჯასი თითთა ქვეშეთ სუსთად იძვროდეს და გვიანად ფეთქდეს, ბალღამისა მო-  
 რვენისა ნიშანი იქნების, და აქინნი ამას ნაბტალ ბატე ჰქვიან. ებრძანოს რომელ ხელ-  
 სა და მბურვალსა საჭამადსა ქამდეს. და თუ აღრე ფეთქდეს და ფიცხლად იტყეოდეს, ზა-



ფრისა და მორვენისაჲ მისისა ნიშანი არს, და აქიმნი ამას ნაბტასართი ჰქვიან, უბრძანოს რომელ გრილსა საქანადსა აჰმევედეს, და შევესა ინპარებდეს. და აქიმნი იყოს ვითა მშვილდისა საბელი, და მაგრად ფეთქდეს სევდისა მორვენისა ნიშანი იქნების, და აქიმნი მას ნაბტალ მუთა ფაქითა ჰქვიან. უბრძანოს რომელ მსურველსა და ნედლსა აჰმევედეს და აბანოს მივიდოდეს.

მესიაჲ იტყვის: მაჯასი რომელ სამთა თითთა ზედა ფეთქდეს, სისხლისა მორვენისა ნიშანი არს, და თუ ორსა თითსა ზედა ფეთქდეს, ბალღამისა მორვენისა ნიშანი არს, და თუ გასხარბული იყოს მშვილდისა საბელისაგებრ, და სწორად იყოს თითთა ქვეშე, და ფიცხლად ფეთქდეს, სევდისა მორვენისა ნიშანი არს.

10 მუჰამედ ზაქრიაჲს ძე იტყვის: ყმა წვრილთა მაჯასიჲ ფიცხელი და წურილი იქნების, და მიწყით ფეთქს. ყმათა კაცთა მაჯასი უძრვილესი და უფროსი იქნების, მაგრა ვგრე მიწყით და სწრაფით ნფეთქელი არს. და მსცე შერეულთა მაჯასი ყმათა კაცთა მაჯასისაგან უფრო უსუსური იქნების. და ბერთა კაცთა მაჯასი გვიანად ფეთქს და იქცევის. და დედათა მაჯასი ყმათა და ბერთა, ყნისა კაცთა მამაცისაგან უფროჲ სუსტი და უსუსური არის, და მიწყით ფეთქს. და მხურვალ და ხმელ ბუნებათა მაჯასი, უმაგრესი და ფიცხლად მფეთქელი არს, და სიბრტყესა ზედა ფეთქს. და გრილ და ხმელ ბუნებათა მაჯასი სხვაგებრ იქნების, და ზამთრის მაჯასი წყნარი და მქცევი იქნების, და ზაფხულის მიწყით ფიცხლად მქცევი. და რომელიცა მაჯასი ოთხივე თითა ქვეშეთ სწორედ ფეთქდეს, და სიბრტყითა და სიგრძითა კარგად ფეთქდეს, აქიმნი მას ძლიერად იტყვიან და სიმართელისა ნიშანი არს. და თუ არ

20 ესეთი იყოს მას მაჯასა ტაიფი ჰქვიან, და სნებისა ნიშანი არს, და ღმერთი არს ყოველისა მცოდნელი.

თუ ბით ყურაჲს ძე იტყვის: რომელ საქამადი და სასუანადი, სიარული და სიცხე, და წყრომაჲ, ესე ყოველი მაჯასსა გაადიდებს, და მსურველი წამალი მაჯასსა გააფიცხებს და გაამხურვალებს, და შიში მრავალ ფერად აფეთქს მაჯასსა, და სნებაჲ და ცბრომაჲ მაჯასსა დაამცრობს. და რაჲ სნეულმან მოიჯობინოს მაჯასი გადიდების ნუ თუ დიყოსა ცბრომაჲჲ შიგან, რომელ მაჯასი მიწყით ცოტაჲ და ნაგარი იქნების, და არ იქცევის. და მაჯასი რომელი წიისაგებრ იძრვიოდეს, სიკუდილისა ნიშანი არს. და მაჯასი რომელი თრთოლით ფეთქდეს, მისი ნიშანი არს, რომელ ბუნებაჲ და სნებაჲ ორივე ძლიერად იყენენ.

30 იოჰანა იტყვის: რომელ მაჯასი ადგომილი იყოს სისხლისა ძლიერისა და მორვენისა ნიშანი არს, და თუ ფიცხელი იყოს და მიწყით ფეთქდეს, ზაფრისა და შანკისა ნიშანი არს, და თუ სავესე იყოს და მძიმედ ფეთქდეს, ბალღამისა სიმრავლისა ნიშანი არს, და თუ წვრილი და მძიმე იყოს, სევდისა მორვენისა ნიშანი არს, და თუ მრავალ ფერად ფეთქდეს, სნებისა და სიმხურვალისა ნიშანი არს, და სნებისა სიმხურვალე მაჯასსა მოუმატებს ვითანცა გაწყრომაჲ და სიარული, და აბანოჲ და საქმომაჲ, და რაჲცა ამას ჰკვანდეს; და ამისგან დასწყნარდეს კაცი, მაჯასი მისსივე წესსა ნივთა. და მრავალ ფერად მაჯასი ბუნებისა სისუთისაგან იქნების, და მაგარი მაჯასი ბუნებისა სიძლიერებისაგან იქნების.

40 და ცოტაჲ და მძიმე მაჯასი, სიგრილისა და სინედლისა სიმრავლისაგან იქნების. და ცოტა მაჯასი დაშავებულისა მანკისაგან იქნების, რომელ სტომაქისა პირისა შეყრილ იყოს, და სტომაქსა უკმენდეს, და ნორთალი მაჯასი მეტისა სიმხურვალისაგან იქნების, და მაჯასი ნამაქი სიკუდილითა ნიშანი იქნების, და ნამაქ არაბულად ჯინველსა ჰქვიან, და სიწლოჲსა და სიღსურით ვახსენე აქა.

მასო იაჲს ძე იტყვის: რომელ სნებაჲ სიმხურვალისა, მაჯასისა სიდიდითა შეიგების, და გრილსა სნებასა სიმცროთა, და ხმელთა სიმავრითა და გასხიბულობითა, და სნებისა სინედლისათა, სიღბოთა და უსუსურობითა. და ვისცა სწადიან რომელ კარგად იცოდეს, პირველ შირიანსა მეცნიერობასა უნა სწავლაჲ, და დასწავლაი რომელ ესე მეცნიერებაჲ ესაზღებოდეს, მით რომელ ამის მეცნიერობისა სრულიად სწავლაჲ დია ძნელი არს, და



დიდი ხანი უნა ამისსა უკანა დგომასა, მაგრამ მსწავლებელსა ესე ეყოფის რაჲ კარგად დაისწავლოს.

59. ფსელისა და ფიტისა შატჰოპისა ნივთი და ძალი. იკოდე რომელ წყალი აქი-  
მისა მოწამე არს, ლეიძლისა და მისისა მიდამოასა მანკისაჲ, და ვიდრე ესე ორივე  
მას იმოწმებენ სნეულისა ჭირისათვის, აქიმსა არა მართებს, რომელ კურნებამ არა შემარ-  
თოს. და ყარულაისა დაჭირვამა მაშინ ხამს, რომელ სნეულმან გაიღვიძოს ჰამისა უწინაჲ.  
რაჲ წყალი დაიჭირო ცოტა ხანსა დადგას ყარურაჲ, რომელ თუ სიბნელე ანუ სხვაჲ რა-  
ჲმე იყოს წყალშიგა, ქვე ჩავიდეს, რომელ აქიმმან მანკისა თავნი შეიგნეს, და არ მოსცოტეს  
და ხამს რომელ წყალი თფილი იყოს, რომელ ნელი და გრილი წყალი არ შეიგებოს, და  
10 ხამს რომელ აქიმმან ჰკითხოს სნეულსა თუ რაჲ უქამია, რომელ ეგეთი არა ექამოს, რო-  
მელ წყლისა ფერი ექციოს. და წყლისა შეტყობისათვის ოთხთა ნიეთთა შენახვამა ხამს, პი-  
რველ ფერი და მეორე სული, მესამე ყავამი, ბეთთე რუსობი, და მე თეთთაჲ მისი გამოვი-  
ცხადო აგრე რომელ მოსწავლემან აღვილად ისწავლოს.

ფსელისა ფერი საჲ რაჲ ფერად იქნების: პირველ თეთრი და მეორე ყვითელი ფე-  
რი, მესამე თრუნჯული, მეოთხე ცეცხლის ფერი, მეხუთე ზაფრანის ფერი, მეექვსე არღაფ-  
ნის ფერი, მეშვიდე წითელი, მერვე შავფერი, და იგი რომელ ფერად თეთრი და წმიდაჲ  
იყოს ვითა წყალი, პირველ ფსელისა წინათა რომელ წყალი დაწრდების სარცხუნენლისაგან ეგრე  
მისგან არს, და მას არაბულად სალასალ ბავლი ჰქვიან, ანუ დია ჰამისაგან და ბალ-  
ლმისა სიმრავლისაგან, და სიხამისა მისისაგან არს, და ლეიძლისა უსუსურობისაგან. და თუ  
20 ფერად თეთრი იყოს, და ზურგი და წელნი სტკიეოდეს, ნიშანი იგი არს, რომელ თირკენელ-  
სა შიგან ქვაჲ იყოს, და რაჲცა ფერად ცოტად ყვითელი ფერი იყოს, ვითამცა ბზისა წყლი-  
სა ფერი ჰქონდეს, ნიშანი იგი არს, რომელ ჯერეთ მკუთხე არს მანკი, და არ შემგ-  
ბარა. და იგი რომელ თრუნჯის ფერთა იყოს, ნიშანი არს ჭირისა და მანკისა სრუ-  
ლიად შებგობილობისა და მოღუნვა სნეულისა, და რაჲცა ცეცხლისა ფერი იყოს, ნიშანი  
არს სნეულისა სიმხურვალისა და დამწუარობაჲ, და რაჲცა ზაფრანის ფერთა იყოს, ნიშანი  
არს სიმხურვალისა, მაგრამ არ ეგრე რომელ ცეცხლის ფერისაჲ, მაგრა ფიცხელი სისხლი  
ზაფრასა გარეული იყოს, და თუ სიყვითლე სქელი იყოს და სიციხზე ზედა წყალსა დგეს,  
დივისა ცხროასა ნიშანი იქნების, და თუ არღაფნისა ფერად იყოს, ნიშანი არს სისხლისაჲ  
და ზაფრისაჲ სიმგრალისაჲ. და თუ წყალსა ზედა ყვითელი პერული იყოს, ნიშანი არს  
30 ზარირისა რომელსა ჰქვიან არაბულად იარაყანი. და რაჲცა წითელი იყოს, ნი-  
შანი სარს ისლმეტისაჲ და მორეგნამ მისი, და რაჲცა ფერად შავი იყოს, და სიშავე  
მისი სიწითლესა და სიყვითლესა უკანით გამოზენილ იყოს, ნიშანი არს ტანისა გასარეველ-  
თა დამწუარობისაჲ, და სიყრდილი სნეულისა, მაგრა მეოთხესა ცხროასა და წიღოვნობისა  
შეკრულობასა შიგან, და სეფისა მანკიანობასა შინა ნიშანი სიმრთელისა არს, სნეულისა  
სნებათა შიგან. ზმეცარნი ტაბიბნი დია შეშინდებიან თავისა წყლისაგან, ამას მანკი-  
ანობსა შიგან არა ხამს შეშინებამ, მით რომელ ბუნებამ სევდასა წყლითა გააყე-  
ნებს. და ეგების რომელ შავი წყალი ჰამისაგანცა ქნილ იყოს, ეგეთი რაჲმე ექამოს  
რომელ ფერად მას გაეწავოს, რომელ თუ ზაფრანა ექამოს წყალი ყვითელი იქნების, და თუ  
მწვანელითა თანა რაჲმე ექამოს წყალი მწვანე იქნების, მაშა ხამს რომელ აქიმმან კარგად  
40 გაიკონოს და სამ დღემდინ გონებასა შიგან იყოს, და სნეულსა ჰკითხოს თუ გუშინ რაჲ  
სქამე, ვიდრე დასტური არ შეიგნეს ნუ ჰკურნებს, რომელ ცთომით არა ქნას<sup>1)</sup>.

და წყალი რაჲ ერბოსა ჰგვანდეს, ნიშანი არს ცმელისა და თირკენელისა გამდნარობი-  
სა და სნეულისა საშიშობაჲ და თუ წყალი სძესა ჰგვანდეს, ნიშანი არს ფელი ჯისა და  
საქთაასი. და თუ წყალი ფუქასა და დელამოტისა წყალსა ჰგვანდეს ნიშანი არს ბუშ-

1) ამ გვერდის ქვემოთ არაჲცა სწერია რეცხლთა სათვლადი „ს“ და შენდეს გვერდის ზემოთ არაჲცა „ზ“



ტისა სიწყლულისა, და თუ წყალსა თანა ღია სისხლი რეულ იყოს, ნიშანი არს, რომელ დირკმელსა შინა ძარღვისა თავი გახსნით იყოს, და თუ წყალი ახალ ხორცისა წყაროსსა ჰგვანდეს, ნიშანი არს ღვიძლისა სისუსთისაჲ, და უკეთესი წყალი იგი არს, რომელ თრუნჯული იყოს, ღარსუბი თეთრი ჰქონდეს, და უფარესი იგი არს, რომელ ფერად შავი და თხელი იყოს.

იოჰანა იტყვის: თეთრი წყალი რომელ წყურვილსა და წყლისა ღია სუბითა იყოს, ღვიძლისა სიგრილისა ნიშანი არს, და საჭამადისა ეერ მოდნობისა, და თუ ღია ყვითელი იყოს, ზაფრისა ფიცხელისა ნიშანი არს, რომელ ტანსა შიგან ჩაქრილი იყოს, და თუ ღია წითელი იყოს, და ზედა ყვითელი პერული იყოს, ზარიჩსა ნიშანი იქნების, და თუ შავი იყოს, მუთხისა ცხროასა და ელნეთისა ტკავილისა, და წიღოვნობისა შეკრულობისა ნიშანი იქ-

10 ნების, და მხურვალთა ცხროთა შიგან, სიკუდილსა ნიშანი არს.

მუჰამედ ზაქარიაჲ ძე<sup>1)</sup>: წყალი თეთრი და წმინდა მიზეჯისა უსუსურობისაგან იქნების, და ესე გვარი ბერთა წაეკიდების, ანუ ეგეთთა კაცთა რომელ წყალსა ღია სმიდენ, და ღია ფსმიდენ. და თუ ყვითელი და ნათელი იყოს უფროასი მარხვისაგან იქნების, ანუ ღია შექირეებისაგან ანუ შიშისაგან, ანუ ზაფრიანობისა ცხროსაგან, რომელ ერთსა დღესა მოვიოდეს და ერთსა არა. და თუ წითელი და ნათელი იყოს ზაფრისა სიფიცხისაგან იქნების, და თუ წითელი და ბნელი იყოს, სისხლისა მორგენისაგან არს, მეტად სიმხურვალისა ქამისაგან იქნების, ვითა ხორცი და ხურმაჲ, და ღვინოჲ და ღვეღვი. და თუ შავი იყოს და ფიცხელსა და სიმხურვალისა სნებასა შიგან იყოს, და სიყვითელსა და სიწითელსა ცხროასა უკანით გაშავებულ იყოს, ხილტთა დანწვრობისაგან იქნების, სიკუდილსა ნიშანი არს, და თუ

20 სევდიანობისა ნანკთა სნებათაგან იყოს, სიმართელისა და მოჯობინებისა ნიშანი იქნების.

მასარჯოაჲ იტყვის: რაჲ თეთრი წყალი ძლიერსა და მხურვალსა ცხროსა შიგან იყოს, და სნეულსა წყურვილი და გულისა ბნედა სჭირდეს, სიკუდილსა ნიშანი არს, და მით რომელ სიმხურვალე ტენისა გახდომილ იყოს, და თუ მწუანე ფერი იყოს, და ღია სდიოდეს ბასორისა და ელნეთისა მანკიანობისა ნიშანი არს. და თუ ღვინის ფერი და მუხუდოს წყლის ფერი იყოს, ისთისყაასა და ძველის სიმხურვალისა ნიშანი იქნების, რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს. და თუ წყალსა ზედა ერბოასაებრ ღია იყოს, თირკმელისა და ცმელისა გადნობისა ნიშანი არს.

მესიაჲ იტყვის: თეთრი და სქელი წყალი ბალღამისა ნიშანი არს, და თუ თეთრი და თხელი იყოს, ბალღამისა და სინდლისა მანკთაგან იქნების. და თუ ყვითელი და თხელი იყოს, ზაფრისა მორგენისა ნიშანი არს. და თუ წითელი და სქელი იყოს, სისხლი სიმეჩისა იქნების, და თუ ზეთის ხილის ზეთსა ჰგვანდეს, ტანისა გადნობისა და დიყისა ცხროასა ნიშანი იქნების.

მასუჲსძე ძე იტყვის: თუ წყალი თეთრი და წმიდაჲ იყოს, და სნეულსა მუშტი ეწუოდეს ნიშანი არს, რომელ მათანსა შიგან ქვაჲ იყოს. და თუ ღია წითელი და სქელი იყოს, და სნეულსა ძნელად გააცხროებდეს, ღვიძლისა სიმსივნისა ნიშანი იქნების, და თუ ცეცხლის ფერად იყოს, სისხლისა და ზაფრისა ნიშანი არს, და თუ ფერად ზაფრანის შტოასა ჰგვანდეს, იგიცა სიმხურვალისა ნიშანი არს.

წყლისა სიმყრალისა ვითარებაჲ, თუ მყრალი იყოს ნიშანი არს, რომელ ბუნებასა მანკი სრულიად შეუბგოლია, და ესე ცხელთა ცხროთა და ღვიძლისა სიმსივნისა შიგან იქნების. და ეგების რომელ წყლისა სიმყრალე მუშტისა სიწყლულისაგან იყოს, და ნიშანი მაგისი იგი არს რომელ, გამოსელისა ეამსა ეწუოდეს და თხამლიცა გამოვლოდეს, და წყალი რომელ სული არა უდიოდეს, მანკისა შეუბგოლობისაგან არს, და თუ ცოტა ჰქონდეს სული ნიშანი იგი არს, რომელ ცოტად მანკი შებგობილ არს, და რაჲზომცა უფროჲ მყრალი იყოს წყალი, და ფიცხელი სული ჰქონდეს, სიმხურვალისა სნებაჲ უძნელესი

<sup>1)</sup> იტყვის.



იქნების, და ზოგთა აქიმთა ოსტატთა უთქუამს, რომელ წყალა მით მყრალი იქნების, რომელ სიმსურვალისა გასარეველი თირკმელსა შიგან ვახორწებულ იყოს.

10 წყლისა სისწორე და ყავამისაჲ. სამი ფერი იქნების, ერთი მსხვილი, მეორე თხელი, მესამე სწორი. და წყალი სქელი იყოს, რომელიცა ფერი იყოს ნიშანი არს ორისაჲ: ნიშანი ერთი, რომელ სათაენო მანკისაჲ სრულიად ზებგობილი იყოს, და სიხაშვე არა იყოს შიგან და სნეულსა ტანსა შიგან სინედლე არ დარჩომილ იყოს. მაშა აქიმისაგან ხაშს, რომელ საზომისაგან სინედლე მისცეს ჰავადმყოფსა. მეორე ნიშანი იგი არს, რომელ სქელი გასარეველი წყალსა გარეველ იყოს. და წყალი რომელ თხელი და წმიდა იყოს სამთაგან იქნების, პირველ თუ ხმაჲსაგან რომელსა ჰქეიან ელდიაჲ, ნიშანი არს, რომელ რაჲცა ექამოს არ მოყუნოს და რაჲსაჲმადი სრულიად არ მოედინოს, განაღმცა წყალი თხელად იყოს. მეორე შეკრულობისაგან, რომელ თირკმელსა და საუსლესა ალათსა შიგან იყოს, რომელ სქელი მანკი შიგან ვერ გაიარებდეს. მესამე მით იქნების, რომელ მანკისა სათაენოჲ ხაში იყოს და სრულიად არ ზემგბარ იყოს, და წყალი რომელ სწორი იყოს, ვითამცა არცა თხელი არცა სქელი, ნიშანი არს მანკისა ზემგბარობისა; და კარგათ მყოფობისა, და ღვიძლისაჲ კარგათ ყოუხსაჲ, და თარქიბთა სისწორისა, ვითამცა შეწყობილობისაჲ. და რაჲ წყალი პირველ წმიდაჲ იყოს და რაჲ დასდვად და ხანსა ერთსა წმიდავე იყოს, რაგისი ნიშანი არს, რომელ სნებასა შევიდოდეს, და თუ პირველ წმიდა იყოს და უკანის დაბნულდეს, ნიშანი არს სნებისა დაწყებისაჲ, თუ პირველ ბნელი იყოს და რაჲ ხანი გარდვიდეს განათლდეს, სიმლთელისა და წალმარობისა ნიშანი არს.

20 მაყრატ იტყვის: რაჲ წყალი პირველ ჰავადმყოფისაჲ სქელი იყოს, და რაჲ ხანი გირდვიდეს გაწმდეს; და განათლდეს, ნიშანი არს სიკვდილისაჲ, მით რომელ სისქე მისი სიმსურვალისა გარევისა ტანისაჲ მორევისაგან იქნების და უსუსურობაჲ ბუნებისა ძალისა. და თუ წყალი პირველ სნეულისა შავი და თხელი იყოს, ნიშანი არს სნეულისა სიკვდილისა, მით რომელ იხლავი დამწუვარი იქნების, და მაგისი ნიშანი არს. და იცოდე რომელ თუ სნებაჲ ნივთიანი იყოს, წყალი სქელი იქნების, და თუ არ ნივთიანი იყოს, უფროასი იგი არს რომელ თხელი და ნათელი იქნების.

რუსუბაჲსა ვითარებისაჲ. იცოდე რომელ რუსუბაჲ ფიტი იქნების ყარურასა ქვეშეთ მიყრილი, ანუ ყარულასა შუა კიდებული, ანუ წყალსა ზედა ვითა ყვითელი ბანაჲ იარებინს, მაგრამ რაცა ყარურასა ქვეშეთ იქნების უმჯობესი არს ყოველთა რუსუბათაჲ, მე-  
30 ტად მაშინდა, რომელ ფერად თეთრი იყოს, სიშართლისა ნიშანი იქნების. და რაცა ფერად წითელი იყოს, ნიშანი არს სნებისა გავრძელებისა. და რომელი ფერად ყვითელი იყოს, ნიშანი არს, სნებისა და მანკთა სიძნელისა. და რომელი ფერად შავი იყოს, ანუ მწუანე იყოს ნიშანი, არს სიკვდილისაჲ მით რომელ სიმსურვალე გარევისა მორევისა, დამწუვარობისაგან იქნების, და რაჲცა ყარურასა შუა მოკიდებით იყოს ნიშანი არს, რომელ ბუნებაჲ მანკისა სათაენოსა შეაბგობს. მაგრა დიდხანს და იგი ყარურასა თაეისა იყოს ნიშანი არს სნეულისა მანკისა სიძლიერისაგან, და შეწყუბებაჲ ბუნებისაჲ. და თუ ფიტი ყარურასა ქვეშეთ გარეული იყოს, ნიშანი არს, რომელ თირკმელსა და დაშათა შიგან ქარი სქელი არს, რომელ ბუნებაჲ მას ვერ მოერევის, დაევების რომელ თეთრი რუსუბი ყარურასა ქვე სქელისა გლუსუნისა ბაღმისაგან იყოს მეტად მაშინ, რომელ წყალი

40 ფერად თეთრი იყოს, და გაყოფაჲ ამას ფიტსა და ამლამსა ფიტსა შუა იგი არს რომელ, ამლასი ფიტი რომელ შიგან მოლხენაჲ არს ჰავადმყოფისაჲ იგი- არს რომელ აჯნაჲ ამას ფიტსა კიდე დაჰპანტავს, ვითა ქვიშაჲ იქნების ყარურასა ქვეშეთ, და ამლასი არ ესრე იქნების. და თუ რუსუბი ანაკუეთსა ჰგვანდეს და წყალი თხელი იყოს, და სნეული დამტკნარ იყოს, ჰავი ნიშანი არს. და რაჲ სნეული სხვილი და მსუქანი იყოს, ბუნებისა სიწყულულისა ნიშანი არს. და თუ ყარურასა ქვეშეთ ქვიშა შეყრილ იყოს, ნიშანი არს რომელ, ანუ ზათანასა ანუ თირკმელსა შიგან ქვაჲ შეეკნების. მაგრა



ყარურაჲ ხამს რომელ გრძელი იყოს, და ბოლო მრგვალი, მით რომელ მკეთნაჲ რაჲ წყალი შიგან იყოს ესეთი იქნების, ნისი ალათი ბუშტისაებრვე ხამს, რომელ მკეთნაჲ წყალი კარგად შეიტყუას.

გამოცნობაჲ მრავალ ფერთა წყალთა შუა. სინაჲს ძე იტყვის: რომელ გამოცნობაჲ პატარასა ყრმისაჲ წყლისა, დიდისა მამაცისა, ბერისა იგი არს რომელ ყმაწურისა უსქესი იქნების, და ცოტად სძესა ჰგავს, და ბერისა კაცისა წყალი თხელი დათეთრი იქნების. და ყმისა კაცისა თურინჯის ფერი იქნების, მაგრასისქითა ვითა ყმაწვრილთა, არ იქნების. და დედაკაცისა წყალი უსქესი არს მამაცისა წყლისა, და გამოჩრევე მათ შუა იგი არს, რომელ ყარურაჲ შესძრან, კაცისა მამაცისა წყალი დაბნელდების, და დიაცისა ეგრევე შეუცვლელი დარჩების. და პირუტყუთა წყალი მრავალ ფერად იქნების, მაგრა ზოგი ვახსენოთ მისგან, ეგების რომელ მაგით გამოსცადონ აქიმნი, რომელ ესეცა იცოდეს აქიმნი და არ გააწბილონ.

ამ უჯარიჲ აქიმნი იტყვის: რომელ ვირისა წყალი ყარულასა შიგან ზროხისა ერბოჲსა გამდნარსა ჰგავს, მაგრა მისგანით უსქესი იქნების. და ცხენისა ფსელი მისგან უწმოდესი იქნების, და ქვეშეთ კერძო მისი უბნელესი იქნების. და ცხურისა წყალი ახლავს კაცისასას, მაგრა ფიტი და რუსუბი მისი ერბოჲსა ჰგავს, და ველურისა თხისა ფსელი ჰგავს ცხურისასა, და სისქე და ფიტი არა აქვს.

ლაქტისა შეტყუებაჲ, ფიტი კაცისაჲ. ფიტისა შეტყუება ნიშანი არს წელთა და სტომოქთა ნანკისაგან, ვითა ფსელი ნიშანი არს ლეიძლისა მანკთაგან და თირკმელის ნანკთაგან და ბუშტისა. ლაქტისა ნიშანი სამფერად არს, პირველი სიმკროჲ და სიმრავლენისი, მეორე ვითარებაჲ მისი, შესამე ეამისაებრ განოსლვება მისი, მეოთხე მით რომელ გამო რაჲმე იტანოს. და სიმრავრე და სიმკროჲ მისი, სამფერად არს: ანუ დია იყოს, ანუ ცოტაჲ ანუ სწორი, და ესე ეგრე არს რომელ ვინცა დია ჰქამოს ფიტი, დია გამოვამისგან, რაჲ ესრე იყოს ტანისა სიმრთელისა და სტომოქთისა სიძლიერისა, და შიგნიერთა ყოველთა სიმრთელისა ნიშანი არს<sup>1)</sup>, რომელ დაფიჲ რომელსა ჰქვია გამამყენებელი დაუსუსტრებულ იყოს: და თუ ცოტასა ჰქმდეს და ფიტი დია მოვიდოდეს, ნიშანი არას დაფიჲსა სიძლიერისა და მასიქაჲსა უსუსტრობისაჲ, და ბუნებისა დანარჩომისა სტომოქთისა და ჰაშისგან გამოყენო, ეგრე გუარი თუ ფიტსა თანა გამოეცანოს. და სწორი ფიტი ეგეთი არს, რომელ რაზომიკა ექამოს ეგდენი გაზოციდეს, და ვითარებდა მისი სამფერადვე იქნების, პირველ სისწორე, შერამე ფერი, შესამე სულციეში ანუ ლბილი იყოს ანუ მაგარი. თუ ლბილი და ნედლი იყოს ნიშანი არს, რომელ ლეიძლი და მისნი ძარღვნი უსუსტურად იყენენ რომელ საქამაღსა ვერ მოადნობდნენ რომელ ეგეთი ჩამოვიდეს, ანუ სინედლე წელთაგან მისთა გარეულ იყოს. და თუ ფიტი მაგარი იყოს და გამზმარი იყოს, ნიშანი არს ლეიძლისა და სტომოქთისა და აჰშათა სიმბურვალისაჲ, და თუ ფერად ყვითელი იყოს და გუამსა დასწვიდეს ნიშანი არის რომელ წელთა შიგან ზაფარაჲ შეყრილ, და თუ თეთრი ფერი და ლბილი იყოს, ნიშანი არს სიგრილისა და ბალღმისაჲ, და მაგისიკა ნიშანი არს, რომელ ნალველსა ზაფრა წელთა შიგან არ გაეყენოს. და თუ ფერად ყვითელი იყოს და არცა მაგარი, არცა ლბილი, ნიშანი არს ტანისა სიმრთელისაჲ და ბუნებათა სისწორისაჲ, და თუ ნწუანე ფერი იყოს, ნიშანი მისი იგი არს რომელ, სტომოქსა და წელთა შიგან ჟანგარული ზაფრა შეყრილ იყოს, და ესე ჰავი ნიშანი არს. და თუ მწუანე იყოს, ვითა განდანა, სჯობს რომელ ჟანგრისა ფერთა იყოს. და თუ შავი იყოს, ნიშანი არს ზაფრისა მორევისაჲ და სევედისა შავისაჲ, და დანწურობაჲ გარევისაჲ, და ესე დია ჰავნი არს, მით რომელ სიკუდილი არს. და თუ შეაეე სული დიოდეს ნიშანი არს, რომელ, მაგეე ბალღამი გარეულ იყოს მასთანა. და თუ დია

1) ამის შემდეგ ეს წინადადება უნდა იყოს გამოტოვებული „თუ ბევრსა სჭამდეს და ფიტი ცოტა იყოს ნიშანი არს...“ და სხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ახრი გაუგებარია.



მკრალი იყოს ნიშანი არს რომელ, სტომაქსა შიგან ნაწევი და გასარეველი დამპალიყოს და შეყრილი. და თუ სული ცოტაა იყოს ნიშანი არს სტომაქისა სიძლიერესი და აქმათა და წელთა და ტანისა სიმრთელისაჲ. და თუ არ ჟამიერად გამოვიდოდეს წესისა და ნიშანი მისი იგი არს, თუ უადრე გამოვიდოდეს მით იქნების, რომელ მასიქა დაუსუსურებულ იყოს, ანუ მისგან რომელ სტომაქისა და ზაფრისა ეკმინოს და დაფიამსა ძალი შეეკრას, ანუ სტომაქისა დაფრეწილობისა და სიწყლულლისაგან იყოს, რომელ დაფიამან სტომაქისაგან ეგრე უსუსურად გაუყენოს, და რაჲ ჟამიერად გამოვიდეს სიმრთელისა ნიშანი არს.

და რაჲცა მას გამოჰყვებოდეს ხუთ ფერი არს: ანუ ქარი იქნების, ანუ სიცხიბე, ანუ სინედლე, რომელ პერულსა ჰვანდეს, ანუ სისხლი ანუ თხამლი. რაჲცა ქართა იყოს ნიშანი არს, რომელ ქარი და სინედლე გარეულ იყოს მასთანა და თუ სიცხიბე გამოსრულ იყოს ნიშანი არს რომელ ცნელი ტანისაჲ და სიცხიბე გამდნარ იყოს. და თუ სიცხიბე რომელ გამოსრულ იყოს გლუხუნთა იყოს, ნიშანი არს რომელ ასონი, რომელნი საძირკუელნიცა ტანისაჲ გამდნარ იყვნენ. და თუ სინედლე ვითა პერული გამოსრულ იყოს, ნიშანი არს მეტისა სიმბურვალისა, ანუ მას თანა სქელი ქარი გარეულ იყოს. და თუ მას თანა სისხლი გარეულ იყოს, ნიშანი არს ლეიძლისა, და ანუ წელთა ანუ გვამისა სიწყლულისაჲ. და თუ მას თანა თხამლი რეულ იყოს, ნიშანი არს წელთა სიწყლულისა და თუ სისხლი ანუ თხამლი უფროჲ განოვიდოდეს ფიტისაგან, ნიშანი არს წელთა სიწყლულისა. და თუ სისხლი ანუ თხამლი ფიტსა უკანით გამოვიდოდეს ნიშანი არს, რომელ სიწყლულე ქვეშეთა წელთა შიგან არს.

მა ყ რ ა ტ ი ტ ყ ე ს : რომელ უკეთესი დაჯტი იგი არს, რომელ ჟამიერ მოვიდოდეს და ლბილი იყოს, და ცოტაჲ სიყვითლე ჰქონდეს. მაგრა თუ ღია ყვითელი იყოს, და გუამსა დასწვიდეს ზაფრისა მორეგნისა ნიშანი არს, და თუ ხმელი იყოს, მეტლისა სინედლისა სიმკროათა და სიმბურვალითა, მისითა იქნების. და თუ ღია მკრალი იყოს დამპალთა ხილტათაგან იქნების, რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს, და თუ ფიტი ღია იყოს სტომაქისა სისუსთისაგან არს. და თუ წყუანე ანუ შავი იყოს, ნიშანი იგი არს რომელ სიკუდილი მოახლოებულ იყოს, და თუ ცხიბიანი იყოს დიყოსა ცხობასა ნიშანი არს, რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს.

რო ფ ი ს ი ტყვის: რაჲ აღვილად მოვიდოდეს მუცლისა წელთა სიძლიერისა ნიშანი არს, და თუ ძნელად გამოვიდოდეს მუცლისა და წელთა სისუსთისაგან იქნების, და თუ ღია ქარი მოვიდოდეს, უმისოდ რომელ ქარიანი რაჲმე ეჭმოს, ჰავად მოდნობისაგან იქნების. რაჲ ქარი არ მოვიდოდეს და მუცელი შეკრავთ იყოს და სიმბურვალისა მეტისა და სინედლისა სიმკროასგან იქნების.

ნ ლ ე უ ლ ი ს ბ ჰ ჰ რ ა ნ ი ს ა უ ბ ჰ უ ბ ა ჲ და ი ო ფ ლ ი ს ა : ი ცოდე რომელ ბუჰრანისათვის ღია შეუზნებულან აქიმნი და ღია წიგნები შეუქნია ბუჰრანისა მეცნიერებისათვის, რომელ თუ ყველა ვახსენოთ მსწავლებელსა მოეწყინების და სარგებელსა ვერ ჰპოვებს. მაგრაჲ მათი განორჩეული სიტყვაჲ შემოგვიღია ამას წიგნსა შიგან მოკლე და ნივთიანი, და მსწავლებელთათვის მოუწყინარი.

ჯ ა ლ ი ნ ო ს ი ტყვის: ვითა ბუჰრანი იგი არს რომელ სნეულსა გამოანდების და მისად შემდგომად ანუ მოკუდების, ანუ გამრთელდების, და ესე მამინ იქნების რომელ ბუნებაჲ ჰავსა ხილტსა კარვისგან გაეყაროს და გაეკიდევნოს, და მერმე თუ შეეძლოს ჰავსა მანქსა ტანისაგან კიდე გაუყენებს, და მამინ მას ჟამა რომელ ბუნებაჲ მანქსა ებრძოდეს სნეულსა აწფოთებს, და შეცვლის, და გაუძნელდების სნებაჲ, და თუ ესე შეჭირვებაჲ და სისწრაფე გარე გამოჰვარდეს ბუჰარნი ღამით იქნების, და თუ მანქისა საძირკუელი და სათავნო სტომაქისა შიგან იყოს ბუჰრანი რწყევითა იქნების, მერმე ბუნებაჲ მას რწყევით გამოაძებს. და თუ მანქისა სათავნო წელთა შიგან იყოს ბუჰრანი მას სილბოათა გაძებს და გააყენებს. და თუ მანქისა სათავნო ლეიძლსა ანუ თირკმელსა შიგან იყოს, ბუჰრანი მას ფსლითა გააყენებს. და თუ საძირკუელი მანკთა ძარლუთა შუა იყოს, ბუჰრანი მას ცხვირჲ





თავან სისხლთა მოღვნითა, ანუ ქვეშეთ სისხლსა დაჯდომითა გაუყენებს და აღდგათა, უფროასსა წიღონობითა სისხლითა გაუყენებს. და თუ მანკისა სათაფნისა მანკისა და ხილტისგან იყოს, და ძლიერად იყოს, ბუნებაჲ მას უსუსურსა ასოსა თანა გაჰგზავნის და მუნით ანუ სიწყულულე, ანუ სიმსიენე გამოჩნდების და ყოვლისა ბუჰრანისა ნიშანი კაცისა ტანსა გამოჩნდების, და კარგი აქიმი ამას ყოველსა შეატყუებს. და უყეთესი ბუჰრანთაჲ იგი არს, რომელ მეშვიდესა დღესა და მეოთხმეტესა დღესა იყოს, მერმე ოცდა ზეერთე.

მოკამედ ზაქარიას ძე იტყვის: ბუჰრანი მით არს რომელ გამოჩენა მისი ჰავსა ჟამსა იყოს ჰავთა ჟამთაგან, და ნუტჯი არაოდეს ჰავი არ იქნების, არაბულად ნუტჯი კირი და მანკი რაჲ შეგბოლოს მას ჰქვიან, რომელ დამწიფდეს და უნდილად არ იყოს, და ყოველაჲ წყნარი იქნების სნეული ნუტჯითა, და ბუჰრანისა სიადე არ ნუტჯისა სიპაისაგან იქნების, რომელ თვით რაჲ ჰავი ჟამი იყოს ბუჰრანის დაწყებაჲ იქნების, და რაჲცა ბუჰრანი, რომელ სიმბურვალისა და სიხველის სნებათა შიგან იყოს ვითა სარსამი და ბარსამი, და ძნელები ცბროებაჲ მეოთხესა დღესა იქნების ძნელი, და მეექვსესა დღესა საშიშოჲ და საუთერაკოჲ იქნების, და მეოთხმეტე უსაშიშოჲ იქნების, და ოც დღემდინ მეტად არ დაზამა და რაჲ ოცსა გარდაჲა მშვიდობით იქნების ნუ [თუ] ფათერაკი რაჲ იქნების.

ზაყრატ აქიმი იტყვის: ნიშანი თელის გამოცემისაჲ პირველ მესამესა და მეხუთესა დღესა, და მეშვიდესა და მეცხრესა და მეთერთმეტესა, და მეოთხმეტესა მეჩვიდმეტესა და მეოცესა კარგი ნიშანი არს. და ბუჰრანისა შეტყუებაჲ მაჯასით გამოთრე არს რომელ თუ მაჯასი ანუ შეკრული ანუ წყნარი იყოს, ანუ ქვე ჩასრული იყოს, ბუჰრანი ანუ რწყევითა ანუ სიღბოთა ანუ ავით მართ ორითავე იქნების, და თუ მაჯასი ანუ გახანილი ანუ გარე გამოსრული იყოს, და ბუჰრანი ანუ ოფლგამოცემულობით ანუ ცხვირთაგან სისხლისა დენით იქნების.

იოკანა იტყვის: ბუჰრანი რომელი სნებისა დაწყებითა იყოს საშიშოჲ არს, და თუ მანკისა ნომატებისა ჟამსა იქნების უსრული იქნების. და კარგი ბუჰრანი იგი არს რომელ მანკი ბოლოდ მისრულ იყოს, ანუ სნეული შემოქცეული იყოს და სრული. ბუჰრანი იგი არს რომელ ყოველი სნებაჲ და მანკი და შეკრულობაჲ გახსნილ იყოს, და სათაფნოჲ მანკთაჲ სრულიად გამოვიდეს და მისგნით ნაწილი შიგნით არ დარჩეს, და დიადი სნებაჲ გარდაჲა რომელ ბუჰრანსა ვერა იქმს, და ნუტჯი არ იქნას ვითა.

ჯალინოს აქიმი იტყვის: ოფლისაჲ: რომელ ოფლისა გამოსულა სნეულისა, სამეურად იქნების, ანუ გახსნა იქნებოდის სნეულისა რომელ ერთმანერთსა უკანა ვველა გაიხსნან, ანუ ისთიფრალი იქნების ანუ სნეულისა ყოფისა ქცივისაგან.

რუფის იტყვის: რომელ ოფლისა გამოცემაჲ ოთხისაგან იქნების, პირველ უსუსურებისაგან არს რომელ ასონი მიკირეებულ იყვნენ რასმე შიგან, სხვაჲ მეორე საქციელთა და მსამთა გახსნილობისაგან, მესამე ფუტულთა სიმრავლისაგან, რომელ აღრითგან ტანსა შეყრილ იყოს, მეოთხე მისგან არს რომელ სტომაქსა შიგან ძალისა მეტად ჩასრულ იყოს საქამადი.

ჭუნან იტყვის: რომელ რაჲ ოული და ცრემლი ორნივე დამლაშდენ მეტისა სიმხურვალისაგან იქნების, რომელ მოპრევს მათ და თუ საზომისაგან მეტი მოვიდეს ოფლი დასიშლაშე დამწარებულსა ჰგვანდეს, მეტისა სიმბურვალისაგან არს, რომელ მორეულ იყოს ტანისადა და ზღვისა წყლისა მსგზაესი იქნების რომელ სიციხითა გამწარდეს, და რაჲ სიმხურვალე და სიწყნარე ტანისაგან სისწორისაგან გამოვა მაშინ დამყავდების.

სინაას ძე იტყვის: ბუჰრანი ასორულითა ენითა ჰქვიან და მისი თარგმანი შებმა არს ბუნებათაი და მანკთა საძირკულთა ერთაგან.

მესია იტყვის: ვითა რომელ ტანი ქალაქსა ჰგავს და ბუნებაჲ მისი ხელნწიფე არს, და მანკისა სათაფნოჲ არაკივითა მტერი არს რომელ ამას ქალაქსა მოსრულ იყოს, ბუნებაჲ მტერსა მისსა შეებმის გასამებლად თუ შეძლებულ იყოს ერთხელ, თუ არ ძალი ჰქონდეს ორჯერ სამჯერ, და თუ არ შეეძლოს და მტერი უმძლესი იყოს, ვითამცა მანკისა საძირკულ-



ლი და სათაფროა ბუნებაა შესწორდების და უსუსურობაა გაიქცევის, მაშინ კაცე მოკუდე-  
ბის, და ოდესცა რომელი ბუნებაა და მანკი შეიბნენ მას ეამსა სნეული დიჟი ვასუსტოდების-  
და გამძიმდების, ამი ყოფასა აქიზნი ბუჭრანად იტყვიან.

ნმ. **ოფლისაა გამოცემისა ნიშანი.** იცოდე რომელ ნიშანი ოფლის გამოცემისა მრავალ  
ფერი არს, პირველი იგი რომელ განოსულა ოფლისა რომლისა ასოსაგან იქნების, მეორე  
გამოსულაა მისი, მესამე სიმცროა და სიდიადე მისი. მაგრა ნიშანი მის ასოსა რომელ ოფ-  
ლი მისგან არს, ეგრე არს რომელ ნახოს თუ პირველისა ასოსაგან გამოვა ოფლი, რომელი-  
ცა ასოა რომელი მისგან გამოვიდეს, მანკი მას ასოსა შიგან არს. და გამოსულა მისი ასოა  
თგან არ სწორად იყოს ეგრე, რომელ ზოგისა ასოსაგან გამოსცენს და ზოგისგან არა, ანუ  
10 ერთისგან დია გამოვიდეს და მეორესაგან უმცროა, და რომელ ზოგჯერ გამოვიდეს და  
ზოგჯერ არა. ესე ყოველი ჰავი ნიშანი არის, ბუნებია უსუსურობისაგან არს, მით რომელ  
მანკისა გამოძიებისაგან შეწუბებულ იყოს. და ნიშანი სიმცროსა და სიმრავლისა მისისა  
იგი არს რომელ, თუ დია გამოვიდეს საზომისაგან უჭარბე ჰავი არს მით რომელ ძალსა  
დააკლებს; და მანკისა სათაფროა გაძლიერდების ნუ თუ ბუნებაა ძლიერად იყოს, რომელ  
ტანისაგან ერთობით მანკი ვაყენოს, და თუ ცოტაა გამოვიდეს ბუნებისა უსუსურობისა  
ნიშანი არს, და თუ სწორად გამოვიდეს ეგრე რომელ არცა დიადი იყოს არცა ცოტაა, სი-  
მრთელისა და მოლხინებისა ნიშანი არს.

და ვითარებია მისი ხუთფერად არს: ერთი სიმზურვალისგან, მეორე სიგრილისგან,  
მესამე სიმყრალისგან, მეოთხე გემოასგან, მეხუთე ყვიმისაგან<sup>1)</sup> და სიმზურვალისა, და  
20 სიგრილისა ნიშანი იგი არს, რომელ თუ ოფლი სიცივითა და სიტუფათა სწორ იყოს კარგი არს,  
და თუ ტფილი იყოს სჯობს ცივსა მით რომელ ცივი ოფლი ჰავი ნიშანი არს. და თუ ფერად  
თეთრი იყოს ნიშანი სიმრთელისა არს, და თუ ყვითელი იყოს ზაფრისა მორევისა ნიშანი  
არს, და თუ წითელი იყოს ნიშანი არს სისხლისა სიმეტისაა, და თუ ბნელი და შავი ფერი  
იყოს ნიშანი არს სეყდისა მორევისაა. მაშა ოდესცა ოფლი სნეულისაა მისისა გარევისა ფე-  
რისა მსგზავსი იყოს კარგი არს, მით რომელ ნიშანი არს რომელ ბუნებაა მანკისა სათაფრო-  
ასა ოფლითა ვასცემს, და თუ არ ესრეთ იყოს ჰავი ნიშანი არს.

და სულისა ნიშანი ეგრე არს: რომელ თუ შვავე სული დიოდეს, ნიშანი იგი არს რო-  
მელ მანკისა დედაა ჰავისა ბალღმისაგან არს, რომელ ტანსა შიგან შეყრილი ყოფილ არს,  
და თუ სიმყრალე ფიცხელი იყოს ნიშანი ზაფრისა მორევისაგან არს, და თუ დია მყრა-  
30 ლი იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ტანსა შიგან შეყრილა გარკულობაა დამძალი.

და გემოასა ნიშანი იგი არს: რომელ თუ გემოთ ტკბილი იყოს სისხლისა მორევის-  
სა ნიშანი არს, და მწარე იყოს ნიშანი არს ზაფრისა მორევისა, და თუ შვავე იყოს ნიშა-  
ნი არს ბალღმისა მკაეისა მორევისაა, და თუ მლაშე იყოს ნიშანი არს მლაშისა ბალღმი-  
სა სიმრავლისაა, რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს.

მაგრამ ყავამისა სანიშნაეი იგი არს, რომელ თუ ოფლი თხელი იყოს ნიშანი არს  
რომელ მანკისა დედაა ნატიფისა გარევისაგან ყოფილ არს, და თუ სქელი იყოს ნიშანი  
არს რომელ მანკისა დედაა გარევისა სქელისაგან ყოფილ არს, და თუ სწორი იყოს სისქე-  
სა და სითხესა შუა, ნიშანი არს რომელ მანკისა ყავამი სწორისაგან არს. აწ ამას სანი-  
40 წნავათა კარგათ უნდა დასწავლა და შეგებაა, რომელ ამისგან შეიგებოდეს მანკისა  
გუნებაა.

ნთ. **სიმრთაულისა და საზიზოასა ნიშანი.** იცოდე რომელ კარგი ნიშანი სნეულისაა  
იგი არს რომელ, ფერი მისი არ შეცვლილებულ იყოს და სუბუქად შეეძლოს ძრვად, და  
მაჯასი ძლიერად ჰქონდეს, და ცნობაა და გონებაა არ შეცვლილებული იყოს მისი, და სა-  
ჭამადი მოუნდებოდეს, და ძილისა ეამსა დაეძინებოდეს და საჭამადი პირსა შიგან ეგემრიე-

1) ყავამისაგან.

ლემოდეს, და მუცელი მისი წესიერად იყოს, და ესე ყოველი სკირდეს მშვიდობისა ნიშანი არს, და ადრე ელხინების.

და ჰაეი ნიშანი სხვაებრ არს ვითა ჯალინოს იტყვის: რაჲ სნეული ვერ იყოს რომელ თავისაჲ არა ახსოდეს, და არ დაეძინებოდეს, და რაჲ უზნობდნენ პასუსსა არ გამოსცემდეს, თავქედისა ნიშანი არს ვითაჲცა სარსამისი, და თუ ხელსა ყოველგან ზოიარებდეს და არ დასწყნარდებოდეს სიკვდილისა ნიშანი არს. და თუ სინათლესა ვერ ხედიდეს და მიწყით პირი კედლისაჲე ჰქონდეს საშიშოა არს<sup>1)</sup>. და თუ ღია აცხრობდეს და ღია პხნედდეს, და მაშინ ცხროჲ დააკდებდეს და ბნედა არ დაუკდებს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ მიწყით კბილსა ერთმანეთზედა მოუსმიდეს, და ფერხთა ღია ჩაუშებდეს და ამო-  
10 ხიდიდეს, და ნიადაგ ფშვებნიდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ მხურვალსა ცხროსა შიგან მყრალი სული ამოიღოს სიკვდილისა ნიშანი არს. და თუ პირი და ცხვირი მისი დაწყლულდეს და თვალნი დაუვიწრდნენ და პირი გაუჩრუდდეს ანუ აღრენილი დარჩეს, სიკუდილისა ნიშანი არს.

ჯალინოს იტყვის: რაჲ სნეულისა თვალი შეიძრას და თრთოდეს დაუწყნარებლად, სიკუდილისა ნიშანი არს, და თუ მიწყით პირადჲ დაწებოდეს და გვერდსა ზედა არა შეეძლოს წოლაჲ ჰაეი ნიშანი არს. და თუ სნეულსა მხურვალე მჯდომი მუცლსა ზედა გამოაჩნდეს და გაუდიდეს, და ამას თანა ძლიერი და მხურვალე ცხროჲ გამოჩნდეს ჰაეი ნიშანი არს. და თუ სიმხურვალისა სნებასა შიგან ხელი და ფერხი გაუცივდეს, ჰაეი ნიშანი არს, და თუ სიმხურვალე მისი საზომისაგან გარდიდეს და სულსა ვერ ჰკუფიოდეს, და მა-  
20 ჯასი წვრილი იყოს და სნეული უსუსურად იყოს, სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ ფრჩხილი და თითთა თავი დაუბნელდეს, და მაჯასი ნელი იყოს სიკუდილისა ნიშანი არს, და თუ ხელი და ფეხა გაუშავდეს მაგრა ძალი ჰქონდეს კარგი ნიშანი არს, მით რომელ ნიშანი არს რომელ ბუნებასა მანკი და სათავნოა მისი ხელით და ფერხითჲე გაეძოს. და თუ ეხრცოდეს და სული დაუმოკლდეს და სიმხურვალე ემატებოდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ სიმხურვალისა სნებასა შიგან თვალი აღრენილი დარჩეს სნეულისა, საშიშოა არს. და სიმხურვალისა სნებასა შიგან ცივსა სულსა ამოიღებდეს უსუსურობასა თანა ღია საშიშოა ნიშანი არს. და თუ ენასა ზედა მუხუდისაებრ შავი რამე გამოვიდეს, მეორესა დღესა მოკუდებ-  
ბის. და თუ ბარსანიისა სნებისა შიგან პირი გაუსივდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ მხურვალსა ცხროსაჲ თანა თაშანუჯი გამოჩნდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ  
30 სნეული უსუსურად იყოს და ჟანგარის ფერად არწყევდეს, ადრე მოკუდების.

იოჰანა იტყვის: რომელ სნეულსა სნებაჲ რაჲ დღისით უარესი იყოს სიმხურვალისა და სიხმელისა ნიშანი არს, და თუ ღამით უარე იყოს სიგრილისა და სინედლისა ნიშანი არს. და თუ სნეული ღრმასა ადვილსა თავსა ჩააკდებდეს და უფერსა უზნობდეს და ყველასა რასმე მოეციდებოდის, და ნუცელი გაუცივდეს და გაუსივდეს, სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ შუბლისაგან ოფლი ღია გამოვიდეს და მაჯასი არ იძროდეს, სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ ოფლი ცივი გამოვიდოდეს და თავისა და ყელისა ძარღვი გამოჩნდეს და ცივსა სულსა ამოიღებდეს, მასე დღესა მოკუდების. და თუ სნეულსა მხურვალე ცხროჲ უგრძნულად გაუცივდეს და დასწყნარდეს გაუხსნელად, უისთიფრადოთ, ანუ გრილი რამე ეკამოს და მაჯასისა სიფიციე დასწყნარდეს და სისუბუქე და ღხინი გამოჩნდეს, შავისი ნიშანი არს რომელ ადრე მოკუდეს. და თუ სარსამისა სნებასა შიგან პირი გაუჩრუდდეს, ცნობასა არ მოვიდეს და ბაჰიში არ მოვიდოდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ ხარირისა სნებასა შიგან ვითაჲცა იარაყანსა სნეული უვარე გახდეს ადრე მოკუდების. და თუ ცხელსა ცხროსა შიგან იყოს და ცივი ოფლი გამოსცეს ადრე მოკუდების. მაგრა მათეჲა მარგი ვითაჲცა უგრძნული სიკუდილი, ეგრეთთა კაცთა უფრო შეექნების რომელ დღე მათი სამოკ-

1) ამ გვერდის ქვემოთ ამაზე სწორია რეგულთა სათვალეი ხ. და შემდგომ გვერდის ქვემოთ აწიაზე ც.



და ათისა წელიწადსა იქით იყოს, და მათი ბუნება გრალი და ხმელი იყოს ანუ გრილად და ნედლი, მეტად ზამთრის და ქალაქთა გრილ ბუნებიანთა და ყმათა, კაცთა, მშობრთა და მათავეა უკროსი ზაფხული და მზურვალ ბუნებიანთა ქალაქთა შიგან წაეკიდებინს. და თუ ანა ნიშანთა თანა რომელ გვიხსენებია მაჯასი ძლიერად იყოს და სნეული სუბუქად იყოს, და საჭამად სასუამადსა ანებებდეს, სხვათა ნიშანთაგან არა ხაზს შეშინებთ აღრე გამრთელდების.

ა. **სნოულაზისა და წყობისა ნიშანი.** იყოფე რომელ ზოგსა სნებასა დასაწყისსა ჰავი ნიშანი აქვს, და სნებისა ვითარებთა ნიშნითა შეიგებინს, და აქიმი ეგეთი ხაზს რომელ ჭირსა და დასაწყისსა სნებათასა კარგათ შეატყუებდის, რომელ რაჲ ნიშანი რაჲმე გამოაჩინდეს სნეულსა ფაჰრეხსა აქნევდეს<sup>1)</sup> და ფაჰრეხი კრძალვასა ჰქვიან, და ეგეთთა საჭამადთაგან რომელ არ მამუნი იყოს შეინახვიდეს, და ეგეთთა წამალთა მისცემდეს რომელ მანკსა მისსა ერგებოდეს ვიდრე მანკისა დედა გაძლიერდებოდეს ტანსა შიგან, და აწ მეყოველსა ნიშანსა გამოავიცხადებ რომელ ისწავლოთ.

ოფლისა დენა ასოთაგან სისახისა ნიშანი არს საჭამადისაგან. მაშა თუ ოფლი ფიცხელი იყოს სისახე მისი ზაფრისაგან იქნებინს. შიუტი რომელსა ჰქვიან ყატიბი ვითამცა რეას ოცდა ათ და ხუთ თუ ეწუოდეს ფსამისა ეჰამა, ნიშანი არს ბუჭტისა ყელისა სიწყლულნა ანუ თირკმელისა სიწყლულისაგან. ასოთა მოტეხა რომელ სტებდეს და საჭამადისა არ მონდომებთა ცხროსა ნიშანი არს. და რწყევთა და საჭამადისა არ მონდომებთა ყოლი ნიშანი არს. სინძიმე მარჯვნივ კერძოა გვერდსა ქვეშეთ ღვიძლისა სინსინისა ნიშანი არს. სიმკრალე ფსლისა და სიფიცხე მისი მზურვალისა ცხროსა ნიშანი არს, ბაგისა გათეთრებთა და პირისა სიყვითლე და სიბნელე ბევასი რისა ნიშანი არს. ხელთა და ფერხთა ფრჩხილთა გამრუდებთა ფირტივისა სიწყლულისა ნიშანი არს. ფირტი რომელ უნებლიე გამოვიდეს მზურვალთა სნებათა შიგან, სიკუდილისა ნიშანი არს. საღბოა მუცლისა რაჲ საქთასა შინა იყოს სიკუდილისა ნიშანი არს. ფეთქაჲ ასოთა რომელ საზომისგან გარდვიდეს საშიშოა ნიშანი არს. ხელთა და ფერხთა დია დაშუებთა და ასოთა გასუსთებთა ფილენჯისა ნიშანი არს. მღერაჲ ტანისაჲ ასოთაჲ თაწანუჯისა ნიშანი არს. სინსინე პირისაჲ და ზურგი ფეხისა ისთის ყაჲსა ნიშანი არს. მალასი და უბისა მიწყით ტკივილი ტაბლურიისა ისთის ყაჲსა ნიშანი არს. ფსლისა რუსუბი რომელ აგურსა დანაყილსა და მურდასანგსა დანაყილსა ჰკვანდეს, ნიშანი არს რომელ მათანასა შიგან ჰქვად აქვს. ორსული დიაცი რომელ მიწყით საღბოა სჭირდეს ნიშანი არს რომელ მკუდარსა შვილსა აენებს დიაცსა. ძუძუჲსა დაქნობა ნიშანი არს შვალისა მოგდებისა კორფლი რომელ სნებათა ფიცხელთა უკანის გამოჩნდეს დიდისა დუნბულიისა ნიშანი არს მას ასოსა შიგან. ფრცხელი ცხროჲ და შეკრულობა ბუნებისაჲ და უძილობაჲ და ფერთა სიბნელე რომელ ყნასა გამოაჩინდეს, ნიშანი არს თაწანუჯისა. თავისა ტვინისაჲ ნაცემსა უკანით ანუ დაცენაჲ მალისა ადგილისაგან ნიშანი არს საქთაჲსა. თავისა და გულისა ტკივილი რომელ სნებისა დასაწყისსა იყო ნიშანი არს სუბათისი. სისხლისა შეკრულობაჲ დიაცისა ძუძუჲსა ზედა ნიშანი არს ვაშმაგებისაჲ. ძნელად შობაჲ დიაცისაჲ ნიშანი არს თვალის ტკივილისაჲ ანუ თეძოთა ტკივილისაჲ. წიდოენობისა სისხლისა დენაჲ ორსულისა დიაცისაგან, ნიშანი არს რომელ შვილი წახდომილიჲოს ზეჰდანსა შიგან, სძისა დენა ორსულისა დიაცისაგან ძუძუთაჲ ნიშანი არს რომელ შვილი მუცელსა შიგან დაუსუსურებულ იყოს. ახალნაშობი დიაცი რომელ სისხლისაგან არ გაწმედებოდეს, ნიშანი არს ღვიძლისა გასივებისა ანუ ზეჰდანისა გასივებისაჲ. გასივებულგბაჲ რომელ რაჰიმისა სიხმელისაგან იყოს და უკრძნულად განოჩნდეს თუ სიხმელე ზღრგით კერძოა იყოს, ნიშანი არს თაწანუჯისაჲ და თუ სიხმელე მუცლისაჲ იყოს, ნიშანი არს სიშმაგისა ანუ სისხლისა მოსულა მუცლისაგან ანუ დათანდჯანბრისა მანკისა.

1) აქნევირებდეს.



ფოლოს იტყვის: თავისა დია ტკივილი და შავიყაასა ტკივილი რომელ ძნელად იყოს, ნიშანი არს 'მავისა წყლისა ჩამოსვლისა თვალთა. პირისა მტერთა და გამრუდებამისი დაცვაასა ნიშანი არს, ხელისა და ფერხის გამრუდებამ ნიშანი არს ფელინჯისა. გაწითლებამ თითთა და ამოჯდომამ ძარღუთა, და სინათლისგან გარდახეწვა, და თავის ტკივილი და ცხროამ, ესე ყოველი ერთგან ნიშანი არს სარსამისი. შეჭირვებამ უნდომი და ხალვათად ჯდომამ ნიშანი არს მალიხოლიასი. ნიადაგ თვალთა წინა იოტისა ფრენამ ნიშანი არს შავისა წყლისა ჩამოსვლისა. ზუქში და სურდომ დიადი ნიშანი არს სილისამ. გულისა მიწყით ფეთქამ ნიშანი არს მარგი მადეჯაასი. გულისა მიწყით ქაილი ბევასი პირისა ნიშანი არს, სილბოამ რომელ გუამსა სწუვიდეს ნიშანი არს გუამისა სიწყლულისამ.

10 მუჰამედ ზაქარიამს ძე იტყვის: ასოთა სისუსთე ფილენჯისა ნიშანი არს. ქამუხსი და ბრუჰსა დასხმამ რომელ სანიადგომ იყოს, ნიშანი არს მტერთა დაცემისამ. გულისა დია ფეთქამ ჯგრძნულისა სიკუდილია ნიშანი არს. სისხლისა მორეენა რომელ სიხომსა გარდვიდეს საშიშროა არს საქთაასაგან და მადეჯაისაგან. ასოთა სისუსთე რომელ სისბლისგან იყოს ნიშანი არს საქთაასი. თვალთა კარისა ზურგი თვითეულ ზურგისა და ხელთა და ფერხთა სიშვიენე ნიშანი არს ისთიყაასი. ფიტისა სიმკრალე ნიშანი არს ელდაასი. სიმკრალე უსლისამ ნიშანი არს ჰავისა მანკისა რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს, სიმაშურალე<sup>1)</sup> ნიშანი არს ცხროამსამ. ზურგისა ტკივილი და დამძიმებამ თქმისამ და ფელისა ქცევეამ თავისა ფერისაგან, ნიშანი არს თირკმელისა სწყულებისამ. დიადი მჯდომი

20 ნიშანი არს დიდთა წყლულთა. თეთრი მამაყი კეთრიანობისა ნიშანი არს. სიბნელე პირისა და სიპოკლე სულთქმისამ ნიშანი არს სიგონჯისამ. და რააცა გამოაჩნდეს კაცსა რომელ მას წინამთ არა სჭირვებოდეს და კაცი თავსა არ ეგრე მანხვიდეს რომელ ენახოს, ხამს რომელ აქა შიგან მონახოს და კურნოს რომელ სიმრთელე ხანიერი იყოს.

30 და. თებით ყურაას ძე იტყვის: რომელ შეიდი მანკი არს რომელ კაცი მისგან ადრე დასნეულდების. პირველ მდიერი, მერმე სიგონჯე. მესამე ყუბვილი, მეოთხე წითელი, მეხუთე პირისა სიმკრალე, მეექვსე მანიაა, მეშვიდე სნებამ ვაზაასი დაწეიდი მანკი სხვამ არს რომელ მამისგან დარჩების შვილსა—პირველ სიგონჯე, მეორე კეთრი, მესამე დიყისა ცხროამ, მეოთხე სილი, მეხუთე მალიხოლიამ, მეექვსე მანიაა, მეშვიდე ნიკრისი. მანა ხამს რომელ ამით ჭართა პატრონთაგან კრძალვით და შორს იყვნენ.

შეხამება ძართამ და ჰამრთა ვითარებისამ. იცოდე რომელ ქარი ბუხარი არს ხმელი რომელ მიწისგან ადგების და ბუნებამ მისი ესრე არს რომლისაგან გამოჩნდების და ჯიპათი ოთხი არს: ჯონახი და შამალი, მადრიყი და მალრიბი. ჯიპათი ჯონახისამ იგი არს რომელ რაჰპირი ამოსავლეთისაკე ჰქნამ შენი მარცხენით კერძამ ჯონახი იქნების, და ამისი ბუნებამ მხურვალე და ნედლი არს, მით რომელ დიდი ზღვამ მის მხარსა არს და მიწყით ნედლი ჰაერი ზღვისამ შიგან გაერევის, და ესე ჯიპათი სხვებთა ჯიპათთა უტყუსი არს და ამა მხარსა რამ ქარი მოვიდოდის მას ჯონაში ჰქვან. ბუნებამ მისი მხურვალე და ნედლი არს ტანსა გაამრთელებს და მართლად შეინახავს და ასოთა არა შენია, და თავისა ტკივილი და თვალისა ტკივილი. და მტერთა დაცენამ

1) ამ იტყვის შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული.



ჩინოვება და ცხადება და საცნაურსა ჰქვიან არაბულად, შით რომ ნხე მას ჯიჰათსა გამოვთა და ბუნებაჲ მისი სწორი არს. მაშა ქარი რომელ ამა მხარსა მოვიდეს მისსა სწორსა ჰქვიან ბუნებაჲ მისი სიმბურვალითა და სილბაოთა სწორი არს და დესავლეთი მის პირის პირ იქნების, და მიხეჯი მისი სწორი არს და ქარი რომელ ამის მხარსა მოვიდოდეს მის დაბური ჰქვიან. ესე ორივე ქარი ტანსა აწუნია და ამა ოთხთა ქართავან თვითოსაგან ორი სხვაჲ გამოჩნდების, ვითა ორი ქარი ჯონაბისაგან ერთსა ნამი ჰქვიან და მეორესა რაჰინ, და ორი ქარი შამალისაგან გამოჩნდების მის თანასა ერთსა ნისი ჰქვიან და მეორესა შობიამ, და ორი ქარი სხვა საბაასგან გამოჩნდების ერთსა აარები ჰქვიან და მეორესა ნაქაბა, და ორი ქარი სხვაჲ დაბურისაგან გამოჩნდების ერთსა მაჯრა

10 ჰქვიან და მეორესა ჯარჯიფი, ესე ყოველი ერთგან თორმეტი ქარი იქნების. მაჯრა იგი პირველი ოთხი ქარი რომელ არიან მათი ძალი და ნივთი რგებასა და ვენებასა შიგან ამა სხვათა ქართავან უძლიერესია. და უკეთესი წართა იგი არს რომელ შიგან ბუხარი არ იყოს და ღბილი იყოს და ხეთა არა. ჰქროდეს, რომელ მათი სული ტენისა აენებს და ვითა ფშატისა ხე და ლელვისა და ამათი შხვავსი და ყოველსა ერგების, და რომელიცა ქარი იყოს და მის სქელი ბუხარი ერთოს სათაგნომ იქნების სნებათა მძიმეთა და ვაზაასა ძნელთა მანეთაჲ და ყოველსა აენებს, და საესებაჲ ღმერთმან იცის.

20 **გ. ძალაძთა და ჰაერთა ბუნებაჲ.** რომელიცა ქალაქი შამალისა მხარსა იყოს იგი ქალაქი უფროჲ გრილ ჰაერი იქნების, და რააცა ჯონუბისაგან იყოს უფროჲ მხურვალ და ხმელ ჰაერი იქნების. და გრილ ბუნებისა ქალაქისა კაცნი უმრთელესნი და უფრო ძლიერი იქნებიან, და მხურვალ ბუნებისა ქალაქისა კაცნი უფროჲ უძალი და ასოჲ სუსთნი იქნებიან, და უფროჲსი ხმელ ბუნებისაგან შეწუხებულნი იქნებიან. და რომელიცა ქალაქი ზღვისა აბლვიდეს და მისსა მიდამოსა წყალი იყოს მისი სინედლე უფროჲსი იქნების, და რომელსა ქალაქსა წყალი უმცროჲ მქონდეს მისი ბუნებაჲ უხმელესია. და იგი ქალაქი რომელ ნისი მიწაჲ მლაწე იყოს ჰაერი მისი მხურვალნი არს, და ბუნებათა გაასუსთებს, და რომელიცა ქალაქი ცხელი იყოს, კაცნი ყვითელ ფერნი იქნებიან და მკლე ასონი ვითა აბაშნი. და იგი ქალაქი რომელ გრილ ბუნებაჲ იყოს სხეებრ იქნების. და აქიწნი იტყვიან ვითა გარდახეწვაჲ უნა მას ქალაქსა რომელ შიგან ნარგი მადეჯაჲ იყოს და სნებაჲ ვაშაასი თუცა სიცოცხლე და სიკუდილი ღმრთისა ბრძანებითა არს, მაჯრა საქმეცა ჩანს და ნივთი.

30 **გ. შავებაჲ თუ ფლიწადი ოთხ ბუნებაჲ და ოთხ ფიკად არიან რად.** იცოდე რომელ წელიწადი ოთხი ფასლი არს. გაზაფხულისა ბუნებაჲ სწორი არს და ზოგნი იტყვიან რომელ მხურვალნი და ნედლი არს, სისხლისა ბუნებაჲ სჭირს, მას ეამსა ერგების კაცსა ხელის გახსნაჲ და წამლის აღებაჲ და კიქის ნოკიდებაჲ, და ბატკნისა და კაკბისა და თიქნისა და ზინაურისა ქათმისაჲ ხორციისა ქამაჲ ხამს ამას ეამსა, და დიაცსა თანა დაწოლაჲ და ამანოსა წისვლა არა ჰგავა.

ფასლი: ზაფხულისა ბუნებაჲ მხურვალნი და ხმელი არს ზაფხრისაჲ ბუნებაჲ იქვს ფარეზი ხამს ხმელისა და მხურვალისა საჭამადისაგან და მას ქამდეს რომელ გრილი და ნედლი იყოს ვითა ტყემლისა უხდური და ისარიმისა, აყიროთა შექნილი და რიატათი და დიაცსა თანა მისულა უმცროჲ ხამს ამას ეამსა, და სისხლისა გამოშვებაჲ და წამლისა აღებაჲ არა ხამს ნუ თუ დაეჭირებოდეს.

40 ფასლი: იცოდე რომელ შემოდგომისა ბუნებაჲ რომელსა ჰქვიან ხაზანი გრილი და ხმელი არს სევდისაჲ ბუნებაჲ არს, ამას ეამსა ფარეზი ხამს გრილისა და ხმელისა საჭამადისაგან და ნეავისაგან და ეგეთისა საჭამადისაგან რომელ სევდისა ნოუმატებდეს, და ღვინისა სუმა არა ხამს, და სისხლის გამოღებაჲ ცოტაჲ უნა. მაჯრა წამლის აღებაჲ ერგების და აბანოს წააჟღერა და დიაცისა თანა მისულა ენების კაცსა, და საჭამადისა ვარიასა ქამდეს სვედაბაგითა და თაფლიანისა შექრითა შექნილსა.

ფასლი: იცოდე რომელ ზამთრისა ბუნებაა გრილი და ნედლი არს ბალღმისა ბუნებაა არს. ამის ეამსა კაცი უფროა მრთელი იქნების სხვისა ეამისა, მით რომელ სტომეჲსა სპეციალის ნოდნობისათვის უფროა მოვლენილი იქნების, მაგრა წამლის აღება და ხელის გახსნა ამას ეამსა საფათერაკოა არს, და ღვინისა სქმა და რიატათი არ აენებს კაცსა და სპეციალთა მხურვალის კერძოა უნა ქამაა ცხვრის ხორცი და ტრედის ხუნდისა და ჩიტისა და წუადადცა უნდა ქამა და თაფლიანი თაფლისა და ხერძა და ნისკოდი და რააცა ამას ჰგვანდეს.

ფასლი: გაზაფხულისა ეამსა რააცა მანკი გამოაჩნდეს კაცსა, ვითა ჰაერი მისი მრავალ ფერი იქნების ეგრე არს, თუ ამას ეამსა ჯონაბისა ქარი წვიმა და თოვლი დია იყოს სინედლე კაცისა ტანსა შიგან შეიყრების, სნება გამოჩნდების ვითა ცხროა ხორ-  
10 შიანი და საქთა და მტერისა და ცეცხა და რააცა ამას ჰგვანდეს. მაშა თუ ამას ფასლსა ვითამცა ეამსა შამალი ქარი, ქროდეს წვიმა და თოვლი ცოტა იყოს რაა ზაფხული მოვიდეს კაცსა ცხროა ფიცხელი და თვალთა ტკივილი, და მუკლისაგან სისხლისა დენა და ზაპირი გამოაჩნდების. და თუ ზაფხული არ დია ცხელი იყოს, და შემოდგომისა ჯონაბისა ქარი დია ქროდეს, და წვიმა დია წვიმდეს ზამთრის სურდოა და ხეღა და სილისა მანკი დია იყოს. და თუ შემოდგომისა შამალისა ქარი დია ქროდეს და წვიმა ცოტა იყოს, და ყმაწვრილთა სნება არა სჭირდეს. მაგრამ ვინცა მხურვალი ბუნებაა და ზაფრიანი იყოს მათ თვალთა ტკივილი და სევდისა სნება გამოაჩნდეს, და თუ ზამთრის ჯონაბისა ქარი დია ქროდეს და წვიმა დია წვიმდეს, გაზაფხულ ყველა შამალისა ქარი  
20 ქროდეს, და უწვიმობა იქნების და ამას ფასლსა ორსულნი დედანი შეილსა დია მოიენებდენ, და სურდოა და თვალთა ტკივილი კაცთა დია სჭირდეს და საქთა და სუბათი და ფილენჯი დია იყოს. და თუ ზამთრის ჯონაბისა ქარი დია ქროდეს კაცი-სა სინედლე დია შეიყაროს რაა გაზაფხული მოვიდეს, თუ შამალისა ქარი დია იყოს ამისი რგება მისსა ენებასა მოერიოს ვითამცა სიხმელე შამალისა ქარისა ჯონაბისა ქარისა სინედლესა გამოზიდავს ტანისაგან, და აგრეთვე თუ ზამთრის შამალი ქარი დია იყოს და წვიმა და თოვლი არა, რაა გაზაფხული მოვიდეს და ჯონაბი დია ქროდეს და თუ წვიმა დია იყოს სინედლე მისი სიმხურვალესა გამოიღებს კაცისა ტანისაგან და სტომეჲსა ასწორებს. და თუ სამივე ფასლი ანუ ორი ფასლი სინედლითა და სიხმელითა სწორად იყვენ ჰავი იქნების, მით რომელ კაცისა ტანისა გარეჯა მიზეჯსა დააშავებენ და სისწორისაგან  
30 შეშლიან და დიადი სნება და სიკუდილი გამოჩნდების, და ამათ ფასლთა შიგან კაცსა ყველასაგან იგი სჯობს რომელ წვიმა და ჯონაბისა ქარი უფროა იყოს, და თუ ამა ეამთა შიგა წვიმა არ წვიმდეს ზაფრამა გასარეველი კაცისა ტანსა შიგან მოჰრეგს და მხურვალი ცხროა და ზაფრისა მანკი გამოჩნდების. და ესეთი მანკი რომელ გვითქვამს ზოგთა ქალაქთა შიგან უფროასი იქნების და ზოგთა შიგან უმცროა, მით რომელ ქალაქთა ჰაერი და ბუნებაა ვითა სხვაებრ არს ეგრევე კაცთა ბუნებაა სხვაებრ არს. ეგრე ხამს რომელ კაცმან თავისა ბუნებისა მისაფერად ეგრეთთა სპეციალთა ჰმდეს, რომელ დააშუნდებოდეს და ხელისა გახსნა და რიატათი და წამლისა აღება ეამიერად შეინახოს, და თუმცა კაცთა ბუნებაა მრავალ ფერი არ იყოს ყოველი კაცი ერთათა სნებათა გახდებოდის ჰავად და სიმრთელე ნათი და სნება ერთფერად იქნებოდა.

40 ად. სიმტკიცე რაა ტანისა მიზეჯსა აცნებდეს. კურნება მისი. იცოდე რომელ უფროასი მით გახდების ავად რომელ გასარეველისა მიზეჯი შეეშლებს და მათ იხლათი ჰქვიან, ვითამც, სისხლი და ზაფრამა, ბალღამი და სეედაა. რააცა მიზეჯისგან გახდების ჰავად ჩვენ ყველასა კურნება მოკლე და ძალიანად გაგიცხადო.

აბ. მანანი რომელ სისხლისა მოკავისაგან და მისსა შაფლისაგან იმოს. ოდესცა სისხლი მოერიოს ტანსა შიგან და ბუნებისა თავისასა შეიშალოს, და გზად ვერ პოოს ტანისაგან გამოსავალი, და უღონოდ დაშავდების, და მანკი გამოჩნდებიან ვითა ხორხისა და-



ჭირვამ და სურდომ, და ღრძილთა სიმსიენე, და მჯდომები, და დუბალაა და წითელი, და ლეიძლისა ტკივილი, და ნიკრისი მხურვალი, და მუტბაყი ცხროა, და საქციელთა ტკივილი და ცხვირთაგან სისხლისა დენაა, და მუკლისაგან სისხლისა დენაა.

სისხლისა მორევენისა და დაშავებისაა ნიშანი, იგი არს რომელ პირი გაუწითლდეს, დაა დაეანებოდეს და იგონებდეს და პირი მიწით ტკბილად ედგას; კაცი გაზანტდეს და ჰაერი გრაილი უნდადეს, და ესე ნიშანი რომელ ვთქვი უფროასი ყმისა კაცისა ტანაა გამოანდებნი, და ცხელთა ქალაქთა და ეგეთთა კაცთა შიგან, რომელ ცხიბიანი და ტკბილი ექაშოს და ღვინოა ესუას.

10 კურნებაა სისხლის მორევენისა და დაშავებისაა. ეგრე ხამს რომელ სნეულან ღვინისა და ხორცისა და ტკბილისაგან ფაჭრებსა იჭმოდეს, და ხელი გაიხსნას და საახლი დია გამოაღოს. და სადაცა სიქანგუბინისა და უნაპისა შარაბსა და ტკბილსა და მკაცესა ბროწეულისა წყალსა, და ქრაილისა წყალსა რომელსა ჰქვიან ქაშქაბი სუმიდეს. და მუტელი დაიღბოს ტკეპლისა შარაბითა და ჰანდურისა თამრისა შარაბითა და იისა შარაბითა და მანჩაყატუნითა და ასუროვითა. და საქამიდსა ურწყოსა კამდეს რომელსა ჰქვიან მუხაფარი ნედლითა ქინძითა, და ქანძითა რომელსა ჰქვიან არაბულად ჰინდზე და ქართულად არდი, და ფარფაჰანია რომელსა ჰქვიან ქართულად კატკატოა და ისრიმი აყროა და ვარიითა, და მუხაფარი ახლითა თევზითა და ხალითა და შაქრითა, და თრუნჯისა მყავითა და კოწახური ურწყოთა ესე, ყოველი ვრგების.

20 მანძი რომელ ზაფრისა მორევენისაგან და შავლისაგან იყოს. რაა ზაფრისან მოკრიოს, კაცისა ტანსა შიგან და დაშავდეს და სნებაა გამოჩნდეს ვითა თავისა ტკივილი, და შაყყაასა ტკივილი, და თავისა სიწულულე, და ტანისა მღიერი, და მჭივანი, და საჩასამი, და ბარსამი, და დათლჯანბი რაქელსა ჰქვიან საქციელთა ტკივილი, და რააცა ამათ ჰგვანდეს, და ღვიძლისა სიწულულე და თვალთა ტკივილი და იარაყანი, და საბოასა თავისა ვითამცა ქართლი და ბავისა და პირისა დაბობილობაა, და სტომოქისა ტკივილი, და წყურვილი და კბილისა ტკივილი, და პირისა და ხორხისა სიმეღე, და ცხროა რომელ მეორესა დღესა ნოვიდოდეს.

30 ზაფრისა მორევენისა და დაშავებისა და შავლისაა. ნიშანი იგი არს რომელ სნეულისა პირისა ვებოა ტკბილი იყოს და სწყუროდეს, და პირი ყვითლად ედგას და საქამიდი არ მოუნდებოდეს, და ბუნებაა შეეშალოს, და ნარწყვი მისი ყვითელი და მწუანე იყოს და ჯუშისა ვამსა გჭამი ეწუოდეს, და ფსელი თხელი და ცეცხლის ფერი იყოს, და ხმა ექცეს, და მაჯასი ფიცხელი იყოს და ფიცხლად ფუტქდეს, და ესეთი მანკი მით შეექნების რომელ წუთი და კალაა და თაფლიანი, და ნიორი და პილპილა, და სარფი ღვინოა და ტკბილი დია ექამოს, და იმარხვიდეს და ცოტასა დაიძინებდეს, და შორს გზასა იარებოდეს და მზესა შანა დია ევლოს და ეჯდომოს.

40 კურნებაა ზაფრისა მორევენისა და შავლისაა. ეგრე ხამს რომელ მხურვალთა საქამიდათა ერიდებოდეს, და ხორცსა და ღვინოსა და ტკბილსა ნუ ჰქამს, და ტკეპლისა წყალსა და თამრისა წყალსა სიქანგუბინითა, იისა შარაბსა და უნაპისა შარაბსა და ტკბილისა და მკაცესა ბროწეულისა წყალსა სუმიდეს, და კატკატოას თესლისა წყალსა კოწახურისა შარაბითა სუმიდეს, და თუ ძალი ჰქონდეს და შეიძლოს ყვითელი ჰალილა შეაბგოლოს და მისი წყალი ჯუღაბსა გაუროს, და ნახევარ დანვი საყმუნია გაუროს და იმაროს. და იისა ზეთი ცხვირთა ჩაუშუას. და ქრაილისა წყალი ბროწეულის მკაცისა და ტკბილისა წყენსა თანა სუმიდეს. და რვეასისა შარაბსა და ისრიმისა წყალსა სუმიდეს. და ურწყოისა კამდეს ქინძითა 1) და კატკატოათა შექნილსა და ცაცისა წყალსა სუმიდეს, და სიმჭურვალესა და ტკბილსა ერიდებოდეს.

1) ამ გვერდის ქვემოთა შიგან რვეულთა სათვალავი სწერია მ. და შემდგომ გვერდის ქვემოთ შიგან თ.





**მანკინი რომელ ბაღღმინსა მოკაპინისა და უფულისაგან შეჰქონილ იქმის**

მოპროოს, კაცისა ტანსა ზიგან დიდი სნება გამოჩნდების მისგან ვითა ფელინჯი, და სარი და საქთაჲ, და ქაბუსი რომელ ქართულად მგონია დედაჯუბიჲ ჰქვიან, ღამით მძინარესა ზედა დააწვების და მოარჩობს, გჭარად ხიბალიკიცა ჰქვიან, ქაბუსი, იგი არს და მოვიწყებაჲ და ასოთაჲ სისუსთე, და თმათა დახდაჲ და მუცლისა ყურყური და ნედლი ხულაჲ, და თავისა სიბრუე და საქამადისა არ მოდნობაჲ, და დია ბოკინობაჲ რომელსა ჰქვიან აროპი, და თირკმელისა ტკივილი და თეთრი ბაჰაყი, და ბუშტის ტკივილი და სტომაქისა სისუსთე, და თვალთა სიბნელე და კბილთა ტკივილი, და ცივი ცხროჲ.

10 ბაღღმინისა მორევენისა და შეშლისაჲ ნიშანი მისი იგი არს რომელ პირა მიწყით ნედლი ჰქონდეს და საქამადსა არ მოიდნობდეს, და დაეძინებოდეს და პირი უსიგდეს, და თავი ამძიმობდეს და ფსლისა ფერი თეთრი იყოს, და მაჯასი ღბილი და უსუსური იყოს, და სნეულისა ფერი თეთრი იყოს, და ცხელი პაერი უყვარდეს, და ესეთი სნებაჲ უფროდესი ეგეთთა კაცთა წაეცილებების და შეეკნების რომელ სძესა და მაწონსა და ყველსა, და ახალსა თევზსა დია ჰამდენ, და წყალსაცა დია სმიდენ, აბანოსა ზიგან დია მივიდოდნენ, და მსუქანთა კაცთა და უთმოთა უფროჲ ექნების.

კურნებაჲ ბაღღმინისა მორევენისა და შეშლისაჲ. ეგრე ხამს რომელ ფეყირაჲსა იარასადა როფინის იარასა ჰამდეს, და მუშუსა და ანბარასა უსუნებდეს, და უზმაჲ აბანოჲსა მივიდოდეს და ხირისა და სოხანისა ზეთსა იხმარებდეს, და საქამადსა თავისასა ზანჯა-

20 ბილსა და ყარანაფულსა გაურედედეს და ქონდარსა და დარუპილბილსა, და ბუსრაჲვი და რუჲ გარეული იყოს, და მწვანელითა თანა ტუკანი და ბიტნაჲ და ბადარანბოჲ აშუნიჲ ამას ჰამდეს. და ურწყოსა ნიგვზისა ზეთითა აქნევდეს და ყალიასა და შორაბასა იხმარებდეს, და თუ მახკი ზაჰუბულის იყოს ცერეცოჲსა წყლითა და თაფლითა არწყიოს, და დიდი ტარეფული და ძირაჲსა გუარიშინი დია აშუნიჲ, და გულანგუჭინსა და მსთაქესა ჰამდეს.

**მანკინი რომელ სავდისა უფულისა და მოკაპინისაგან იხვენი** რაჲ სევდაჲ მოერიოს, და სნებანი გამოჩნდნენ ვითა უძილობაჲ და ვასვასიაჲ დიადი, და ცნობისა შეშლაჲ და ელნეთისა ტკივილი, და მიწისა ჰამაჲ, და ქროჯლი და შაეი ბაჰაყი, და არ გაძლომაჲ საქამადითა, და ძნელნი წულულნი და სიბნელე ფერისაჲ, და ტყავისა გახეთქილობაჲ და სიშმაგე და სიკონჯე, და შეოთხე ცხროჲ და მსგზავსნი ამითი.

30 სევდისა მორევენისა და შეშლისაჲ. ნიშანი იგი არს რომელ ელნეთი გაუდიდდეს და არ დაეძინებოდეს, და ეშინოდეს და მიწყით სავონებელსა ზიგან იყოს, და სტომაქი ეწუოდეს და დამტლდეს, და კაცთა თანა არ დადგებოდეს, და ფსელი შაეი იყოს. ესეთი მანკი უფროდესი ეგეთთა კაცთა შეეკნების რომელ მყავითა და დიდსა გათხელებულსა აბუხტსა, და ნადირის ხორცსა, და ბაკლასა და ოსპსა დია ჰამდენ.

კურნებაჲ სევდისაჲ მორევენისა და შეშლისაჲ. ეგრე ხამს რომელ სნეული ამით საქამადითა ერიდებოდეს, და მარტოჲსა ნუ დაეგდებენ, და მსურვალსა და ღბილსა საქამადსა აქმევდნენ, და ღვინოჲსა წყალ რეულსა მახუჯსა ასმიდნენ, და აბანოს მიიყვანდნენ, და ხარშოსა შორაბასა ბეტკინისა ხორცითა შექნილსა, და კარგი ნატიფი სანელელებლი გაურიონ მისსა უხდურსა, და ვაშლი ტკბილი და ბროწეული ტკბილი და აფთი-

40 მონისა ფუხთაჲ აქამონ, და ღარიყონი და ლოღადიჲსა იარაჲ და მოყარახისა მაჯუნნი და დაზებანგავისა წყალი, ზროხისა ენაჲ ჰქვიან არსდა ჰგავს, მისი წყალი ბადარანბოჲსა შარაბსა თანა და ჰურმისისა იარაჲ, ესე ყოველი ამას ერგების. და ელიჲ ზანდუკთა კარი და ვითარებაჲ ეგეთთა საქმეთა, რომელ აქიშთა მოეხმარების, აქითგან სნებათა და კურნებათა მისთა თადბირი, მოკლე და ნივთიანი მეცნიერთა ოსტატთა ნათქვამი, ვთქვით რომელ გამოსცნობდნენ მხურვალთა გრილისაგან, და სავსებაჲ ღმერთმან იცის.



თუ სიმშურვალისაგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე მანკი თუ სისხლისა მორვევისა და სიფიცხისაგან ანუ ზაფრისა მორვევისაგან ანუ ორთაგანვე რომელ ერთგან გარეულ იყვნენ იქნების. თუ ქარტლი დაძველდეს მისგან საუბა შეიქნების.

ნიშანი რაჲ სიმშურვალისაგან იყოს იგი არს: თუ სისხლისა მორვევისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ქარტლი და თავის ტყავი მოწივალე გუარად იყვენენ, და რაჲცა ზაფრისა მორვევისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ საბოასა და ტყავი ორივე მოყვითლე იყოს.

რაჲცა სიმშურვალისაგან იყოს მისი კურნებაჲ ესე არს. იოჰანა იტყვის ეგრე არს რომელ ყოფალი გაიხსნას, ანუ ყელსა ჭიქაჲ მოჰქიდოს და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს, ანუ ტკბილისა და მეთევისა ბროწეულისა წყლითა და შავისა ტყეულისა წყლითა უზმამან იხმაროს, რომელ სიმშურვალე ჩამოიხიდოს თავისაგან. დარაჲცა ზაფრისა მორვევისაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ყვითლისა ჰალილითა შემგბრითა ანუ დელამოტისა წყლითა, და ყვითლითა ჰალილათა. და თავი მუხუდისა და ბაკლასა და პალბაჲსა წყლითა დაიბანოს, ბალბაჲსა ხატკი პქვიან. და ქინძისა წყალსა თავსა იცხებდეს, და რაჲცა სიმშურვალესა ჩამოიღებდეს ყველაჲ მისთვის კარგი არს.

მუშამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: ეგრე ზამ რომე როფისისა იარაჲთა მუცელი დაიღბოს, და თუ მანკი ძველი იყოს ქუნჯითისა ზეთი მელის ყურძნისა წყლითა შესუსა და თუ ძველი არ იყოს თავი მოიბარსოს, და დამით თავსა ნელი ერბოჲ იცხოს და დღისით ნელითა წყლითა დაიბანოს, ბუზარიანთა საჭამადსა ერიდებოდეს ვითა ნიორი და ხახვი და მიწკით ვარდისა ზეთი დამარი თავსა სცხოს და მაშინ ნელითა წყლითა ჰბანდეს ერგების.

მასარჯოჲა იტყვის: სიმშურვალისაგან ვრიდები დეს და თუთუბითა და ისრითა და მჟავითა შექნილსა ჰამდეს, და თავი შემგბრითა ჰაკუტლისა წყლითა იბანოს, ანუ ტირიფის ფურცლისა წყლითა და კითალითა ბელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს და ანუ ჭიქაჲ მოჰქიდოს, და სიქანგუბინითა ლარლარა ქნას და თავი ნედლისა ქინძისა და ბალბაჲსა წყლითა დაიბანოს, და თუ ნედლი ბაკლა დანაყოს და თავსა შემოსდვას დია კარგად ერგების, და მაშინ აბანოს წავიდეს და ნელითა წყლითა და ბალბითა ჰბანდეს, და ესრე ვითა გვითქვამს იქმოდეს, დია ერგების შეწეწენითა ღმრთისათა.

პარტლი თუ სიგრილით იყოს. ნიშანი მისი იგი არს და ამისგან შეიქნების. ისაკ იტყვის: ესე უფროჲსი მლაშისა ბალღისა სიმეტითა იქნების, ანუ ზაფრისა მორვევისაგან ანუ ზავთა ბუზართა და ორთგლთაგან, ანუ დამწუარისა გარევისაგან რომელ თავსა გაუხდეს და ესე გამოაჰინოს. ნიშანი რაჲცა ბალღისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს რომელ ქარტლი და თავისა ტყავი თუთრად მოაჩვენებდეს, და რაჲცა სვედისაგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ საბოასა და ტყავი შავად მოაჩვენებდეს.

კურნებაჲ სიგრილისაგან თუ იყოს. ისაკ იტყვის: კურნებაჲ იგი არს რომელ გარდელი ზანჯაბილი ნანუაჰსა გაურითს და უზმამან ჰამოს, რომელ სინედლე სტომაქიდაღმა გამოწმიდოს. და თუ ძველი გულანგუბინი და მასტაქი და ცოტაჲ პილბილი დანაყილი იხმაროს კარგი არს. და სოსანისა და ნარგისისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და თუ სელისა და ულბის წყლითა თავი დაიბანოს უმჯობესი არს. და მჟავესა ერიდებოდეს და მუხუდისა წუენსა და ყალიასა ჰამდეს.

თეებით ყურაჲს ძე იტყვის: რაჲ მანკისა დედაჲ სვედისაგან იყოს კურნებაჲ იგი არს რომელ აფთიმონისა ფუხთაჲ ჰამოს რომელ თავისაგან სვედაჲ ჩამოიღოს, და საჭამადთა მშურვალთა და ნედლთა ჰამდეს, და მჟავეთა ერიდებოდეს. და ნილოფარისა ძირი ხორფარასთისა წყლითა შეაბგოლოს და მიწკით თავსა მით იბანდეს ერგების. და თუ მანკისა დედაჲ ჰავთა ბუზართაგან იყოს ამას ტიმადასა იქმოდეს, ვითამცა საცხებელისა მისადებელსა მუხუდისა ფქვილითა სამისა დრამისა წონი, ულბოჲ და ბავრუკი და თენრი ჭიქაჲ თეთოსისაგან დრამისა წონი ყველაჲ დანაყოს და შეზილოს წყლითა, და თავსა დასდებდეს კარგი არს.



მისი იამ იტყვის: ყოყიამა ჰაბი დიდსა იარასაჲ ჰაბსა თანი ჰამოს და მერმე სიქან-  
გუბინითა დარდარა ქნას, ანუ სპანძელისა წყლითა და აყირყარჰათა, და ფუფესა მუხხუდოსა  
წყლითა და თურმისის წყლითა და უღბამსა ლჯაბითა კარგად დაიბანოს, და ნედლისა  
ქუნჯიდისა წყალი ცხარსა ძმარსა გაურიოს და თავი მით დაიბანოს კარგი იქნების. და თუ  
ზროხისა ნავლელი და ბავრუკი თვითოჯასაგან ამისისა წონი მიწისა გაურიოს და თავსა  
სკოხს და მერმე ბაღბათა დაიბანოს ერგების.

**ი. თავისა წაღული რომელ არაბულად საზა ჰვიან.** თუ სიმხურვალისაგან იყოს  
მუჭამედ ზაქარიას ძე იტყვის: თუ გწადდეს შეტყობაჲ ესე მანკა ორდერად იქნების  
ხმელი და ნედლი, და გამოჩენამ მისი ზავრისაჲ სიმეტისაგან არს, რომელ თავისა ტყავსა  
10 ქვეშე შეყრილ იყოს, და ეგების რომელ მლაშე ბაღლამიცა გარეულ იყოს მას თანა.

ნიშანი მისი თუ სიმხურვალისაგან იყოს, რომელ წყლული თავსა შე-  
ყრილ იყოს, რააცა ხმელი იყოს და მოფხანონ მქისე ტყავი ეხდებოდეს და მერმე ყვითლად  
მოაჩენებდეს, და რააცა ნედლი იყოს ნიშანი იგი არს რომელ თხაპლი ყვითელი იყოს.

კურნებაჲ რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. მუჭამედ ზაქარიას ძე  
იტყვის: კურნებაჲ ხმელისა და ნედლისა საფამა იგი არს, რომელ ნუყარავაჰა ჰქაჲ მოჭკი-  
დონ და ყვრიპალისა, და თავისა რომელიცა უფროასი ძარღვი იყოს გაიხსნას, და ტკბილისა  
და მლაშისა და ფიცხელისა საჭამადისაგან ფაძრესა იქმოდეს, და ლბილსა საჭამადსა ჰამდეს.  
და თუ შეეძლოს ჰილილიასა ფუხთათა საბრი და საყაჰონიაჲ ჰამოს, და საჭამადთა გრილ-  
თა და ნედლთა ინჰარებოდეს, და ნუშისაჲ ზეთსა და აყროჯსა ზეთსა და იისა ზეთსა ცხვი-  
20 რსა შიგან ჩასდებდეს და ერგების.

მასოჯამს ძე იტყვის: ნედლისა საფამა კურნებაჲ იგი არს, რომელ ნედლისა  
ქუნჯიდისა წყალი და ოშნანი მწუხანე და მარილი ერთგან გარიოს კარგად თაჲ მით დაი-  
ბანოს, და თუ წურბელი შეუბან რომელ მოწოვოს კარგი არს, და ამისგან უკეთ არა ერგების  
ამას მანკა, და მუცელი დაიღბოს შავისა ტყემლისა წყლითა და შაქრითა ანუ საბრისა და  
აფსანთინისა ჰაბითა, ანუ ფუხთაჲ პალილიათა შაჰთარაჲ გაურიონ დია ერგების. და წურ-  
ბელსა უკანით ყელსა ჰქაჲ მოჭკიდონ რომელ გამრთელდეს, და თუ ლბილად იყოს ისრი-  
მისა წყალი და ბროწეულისა შარაბი სუას ერგების.

ჰუნამა იტყვის: მისი კურნებაჲ იგი არს რომელ ყვითელი გაიხსნას და მხურ-  
ვალთა ერთდებოდეს, და ამით ჰაბითა მუცელი დაიღბოს თურბიდი სამი დრამის წონი  
30 და ნახეკარი, და მასთაჲქ დანჯისა წონი ერთგინ დანაყალი და გაცრილი წყლითა შეზი-  
ლოს და ინჰარებდეს. და თუ არ იჯობინოს ყურისა ძარღვი გახსნას და სისხლი მისი მან-  
კისა აღგილსა კარგად შესცხოს ერგების, და ადრე გამრთელდების შეწყენითა ღმრთისათა.

**საზამ რომელი სიგრილისგან იქოს.** ნიშანი იგი არს მისი აბუჯარიჲ იტყვის:  
რომელ ესე მანკი უფროასეჯერ მლაშისაგან იქნება, რომელ მსხელი ხილტი დაიწვას ანუ  
მლაშე ბაღლამი მასთან გაერიოს, და სინედლე მლაშესა გაერიოს.

ნიშანი და ვითარებაჲ რაჲ სიგრილისა და ბაღლმისაგან იყოს:  
იგი არს რაჲ საწყლულე თავისაჲ თეთრად მოაჩენებდეს ანუ ბავრუკისა ფერად, ბაღლმი-  
საგან არს, და თუ ხმელი და შავი იყოს სეედისაგან იქნების, და ეგების დამწუარი ხილტი  
ყოყილ იყოს და სეედაჲ ქნილიყოს.

კურნებაჲ რაჲ სიგრილისა და ბაღლმისაგან ქნილ იყოს. აბუჯა-  
40 რიჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ წითელი მალჰამაჲ დაუდვას, და ძმარი  
და ვარდისა ზეთი ბროწეულისა ქერქსა და მურდასანჯსა გაურიოს და სცხებდეს, და თუ  
მანკი ძველი იყოს კიჰალისა ძარღვი გაიხსნას, და ფიცხელსა წამალსა დასდებდეს და გა-  
ახმობს, და ანუ მქისითა მჭუართა გაწმიდოს და მოსმითა გაასისხლიანოს, რომელ სისხლი  
აღინოს, მერმე ზარდაჩობაჲ და ინაჲ და მურდასანგი და ძმარი და ბროწეულისა ქერქი  
და ვარდისა ზეთი ავანსა შიგან ერთგან გაგალოს და მას დასდებდეს.



იოჰანაჲ იტყვის: რაჲ ესე მანკი დაძველდეს ქუნჯიდისა ზეთისა ცხებითა ანდ-  
 ლებდნენ, და სოსნისა ფურცელი დანაყილი ზედა მოაყარონ ერგების, და ნედლისა საჯაჲსა  
 კურნებაჲ იგი არს, რომელ ზეთისა დრამისა წონაჲ გუნდაჲ დანაყილი სამსა უკიასა ზეთის  
 ხილისა ზეთსა შიგან ადულონ და სცხებდენ, და ზარდაჩობაჲ და მურდასანგი და ვაშაჲ და  
 თუთიაჲ ერთმან ერთისა ოდენი დანაყილი ერთგან გაჰრიოს და მოაყრიდეს, და თუ მიშ-  
 მიშნა გურკისა გული და ვარდი წითელი და ინაჲ ყველაჲ ვარდისა ზეთითა და ძმრითა  
 შეზიღონ და სცხებდენ, ერგების.

10 თუ ენო ყურაჲს ძე იტყვის: ცოტაჲსა საჯაჲსა კურნებაჲ იგი არს რომელ დაწოლისა  
 ჟამსა მანკისა ადგილი გაშაშრონ და იგი სისხლი თავსა შესცხონ, და ჰალილაჲსა მარცჳა-  
 ლა და ანისონი და შაქარი დანაყონ და მხარებდნენ, და დამწუარი გუნდა ძმრითა გაგა-  
 ლოს და ზედა სცხებდეს, და თუ დამწუარი ჭაღალდი ძმრითა შეზიღოს და ცოტაჲ მურდა-  
 სანგი გაურიოს და მანკსა ზედა იცხოს ერგების, და თუ ქუნჯიდისა ზეთი იცხოს და მა-  
 შინ ვარჰარამისა ფურცელი დანაყილი ზედა მოაყაროს, ერგების.

11 იმ. თჳისა დახლისა და ბალატოგისაჲ რომელსაჲ ჰქვინ ახლანი. თუ სნებისაგან ყოფი-  
 ლიყოს. ბაყრაჲ იტყვის: რომელ ესე ნანკი ოთხისაგან იქნების, ერთი ჰავად ქცევისაგან  
 რომელ არა ყოფაჲ ჰქონდეს, მეორე ჰავთა საჰამადთაგან რომელ მისგან კარგი სისხლი არ  
 იქნებოდეს, და ჰავადყოფობისაგანცა რომელ ტანსა შიგან ესე მანკი გამოჩნდეს.

20 თუ სნებისაგან ქნილ იყოს: ნიშანი იგი არს რაჲცა არა ყოფაჲ და ქცევაჲ  
 ჰქონებოდეს რომელ კაცი მკლე იყოს, და ჟამ ჟამ ცოცოტაჲ თმაჲ ხდებოდეს, და ნიშანი  
 20 მისი რომელ ფიცხელისა სნებისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ თმაჲ ერთობით დახდეს  
 თავისაგან.

კურნებაჲ ნისი რაჲცა უსაჰანადობით და არ ქცევისაგან იყოს.  
 ბაყრაჲ იტყვის: რომელ რაჲცა უსაჰანადობით ქნილ იყოს მისი კურნებაჲ იგი არს,  
 რომელ კარგი საჰამადი მიუმატონ და აბანოს წასვლაჲ და ძილითა გამოუსუნონ, და წი-  
 თელსა ღვინოჲსა სმიდეს, და მორდისა ზეთი და ლადანასი თავსა შესცხოს, და რაჲცა სნე-  
 ბაჲ და ჰავად ყოფობისაგან წაეცილებოდეს მისი კურნებაჲ იგი არს რომელ ნატიფსა საჰა-  
 მადსა აჰმეედენ, ვითა ერთისა წლისა ცხვრისა ხორცი და ნედლი ხილი და იგეთი საჰამა-  
 დი რომელ ტანსა გააძლიერებდეს, და გამოსუნუნებით ყოფითა რომელ არას აჭირვობდენ, და  
 აბანოს დია მიეილოდეს და თავსა მქისეა ჰვარსა მოიამიდეს, და ფარისიოშანი და ბაბუ-  
 30 ნაჯი ერბოთა შეგბოლოს და თავსა იცხებდეს.

რუფას იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სამსა ღღესა ანლაჯი წყალსა  
 შიგან დააღბოს და მისოდენი ერბოჲ გაურიოს და ესდენი შეაბგოს რომელ წყალი წავიდეს  
 და ერბოჲ დაჩქეს და მერმე თავსა იცხებდეს, და თუ ხასა ფურცელი მას თანა შეაბგოს  
 და ცოტაჲ სპანძელი გაურიოს და თმასა მით იბანდეს, თმასა გააგრძელებს, და თმასა  
 წავისა ჰალილითა იბანდეს და ჰაკუნტელის ფურცელისა წყლითა და მუხუდის წყლითა და  
 ზრობის ნაგდლითა კარგი არს, და ძირსა გაამაგრებს თმისასა.

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ მურდისა ახლისა ფურცლისა  
 წყალსა სცხებდეს, და უკანის აბანოს მიეიდეს და თავი მითვე დაიბანოს. და თუ ბანგისა  
 40 ქერქისა დამბლისა ზეთის ხილისა ზეთითა გაგალოს და თმასა<sup>1)</sup> იცხებდეს თმასა გაუშავებს  
 და თუ ლადანაჲ და სპანძელისა თესლი ერბოსა გაურიოს და თავსა იცხებდეს თავს შეინახავს  
 და თუ იგი კაცი გრილბუნებაჲ იყოს კნარდენისა ზეთი გაურიოს და თავსა იცხებდეს ერ-  
 გების შეწეწითა ღმრთისათა.

თჳისა დახლაჲ და ბალატოგაჲ სიმარლისაგან. რაჲცა ტყავისა სისუსთისაგან იყოს,  
 ნესამე თავისა ტყავისა სისუსთისაგან იქნების, მეოთხე თავისა და ტანისა ტყავისა სისუს-  
 თისაგან იქნების, ანუ მათ სამთა თავისა და ტანთა სიფართისა, და სამი მათ ხვრელთა  
 ჰქვიან რომელ თმაჲ მუნით გამოსრული არს, სუსტი და ფარსოჲ იყოს.

<sup>1)</sup> ეს წინადადება „ხილსა ზეთითა გაგალოს და თმასა“ გვერდის აშიაზე სწევია დედნის ხელით.



ნიშანი რაჲ ტყავისა სისუსთისაგან იყოს. რაჲცა ტყავისა სიმქისისაგან იყოს იგი არს, რომელ თმაჲ დია შავი იყოს და თმისა ძირი სქლად იყოს, და რაჲ ზიდვადეს ადრე არა ჰხდებოდეს. და ნიშანი მისი რომელ ტყავისა სისუსთისაგან იყოს ეგრე არს რომელ თმაჲ დია წვრილი იყოს და წმიდაჲ.

კურნებაჲ რაჲცა სიმქისით ტყავთაჲ ანუ სისუსთით კნილ იყოს. ბაყრაჲ იტყვის: რაჲცა ტყავთა სიმქისით იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ნიადაგ თავსა ბაბუნაჲსა ზეთსა იცხებდეს, და აბანოს მივიდოდეს და წამლითა და ალთალობისასა თავსა და თმათა იცხებდეს, და ესე შემოსადებელი ტლე ქნას ვითარებაჲ მისი: აზად დრახთისა 10 ფურცელი ერთი კერძი, საკმელი თეთრი ერთი კერძი, ორივე ერთგან ვარდისა ზეთითა კარგად ავანსა სანაყელსა შიგან დაგალოს და აბანოს თავსა იცხებდეს, დია კარგი არს. და თუ შწარე ნღში და სომხური შიპი და ზღვისა პერული დამწუარო, ვარდისა ზეთითა შეზილოს და თავსა იცხებდეს კარგი არს. და მისი კურნებაჲ რომელ სისუსთისგან იყოს იგი არს რომელ მორდისა ზეთსა იცხებდეს თავსა, და თუ სამისა დრამისა წონი ყაყაჲ ნახევარსა უკიასა ღვინოსა შინა გავალოს და ნახევარი უკიჲ მორდისა ზეთი შიგან გაპრიოს და თავსა შემოსდვას, კარგი არს.

აბუჯარიჲ იტყვის: თუ ას არის შარცუალი და ლადახაჲ და აფსანთინი ერთმანეთისა ოდენი ერთგან დანაყილი ტილოსა მჟუარსა შემოაკრას, და ქუნჯიდისა ზეთსა ახალსა შიგან შეაბგოლოს, და მიწყით თავსა იცხებდეს თმაჲ აღარ დახდების. და თუ ესე 20 ქნას რომელ გამოცდილი არს კარგი არს, ვითარებაჲ მისი მურდისა ზეთი ოთხი უკიჲჲ, ლადანი გავლილი უკიჲჲ ერთი, ორივე ერთგან გაპრიოს და თავსა სცხებდეს კარგი არს.

დეფჯანის იტყვის: სარგისა ნიგოზი ერთი უკიჲჲ, ორისა დრამისა წონი აფსანთინი წმიდად გავალოს და ტილოსა მჟუარსა შიგან გამოჰკრას, და ხუთსა დღესა ვარდისა ზეთსა შიგან მიუშვას, და მერმე თავსა იცხებდეს ერგების და თმისა შეუნახავს, და ქარტლსა გარდაუღებს, და თმაჲ აღარ დახდების, და ბავრუკი სომხური ჰოილოს და მისითა წყლითა თავსა ბანდეს ერგების.

ით. თმისაჲ გაპობაჲ და გათეთრებაჲ. გაპობაჲ თმისაჲ თუ რაჲსგან იქნების გამოციხადო.

მუჰამად ზაქარიას ძე იტყვის: თმისა გაპობაჲ მით იქნების რომელ სიხმელე 30 მოპრიოს ტანისა გასარეველისა მიზეჯსა, ანუ ხმელ ბუნებაჲ საჭამადი ეჭამოს ვითა აბუბტი და თევზი ხმელი, მლაშე, და რაჲცა ამას ჰგვანდეს.

ნიშანი თმისაჲ გაპობისაჲ: იგი არს რომელ თმისა წვერი ბოძლად იყოს, და სიმქისისა კურნებაჲ იგი არს რომელ ბავრუკისა წყლითა მრავალჯერ დაიბანოს თავი, მაშინ დაელბობის და ელავს.

კურნებაჲ თმისაჲ გაპობისაჲ: მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: იგი არს რომელ ხმელთა საჭამადთა ერიდებოდეს, და მიწყით იისა ზეთსა თმისა იცხებდეს, და უკანის ნელითა წყლითა იბანდეს. და თუ წყალი და ერბოჲ ერთგან გარიოს და თმისა მით ზელდეს, და აბანოს მივიდოდეს და ნელითა წყლითა თავსა იბანდეს, ერგების. და ბაზრაცუტუნითა და ლუბითა იბანდეს და თუ ქუნჯიდისა ფურცლისა წყლითა დაიბანდეს თავსა, ერგების.

მასარჯოჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ თავის თავსა კარგად ეჭკოდეს, და საჭამადსა და ღვინოსა და აბანოს მოუმატოს, და მიწყით თავსა ცხიბიანთ დაიჭირვიდეს იისა ზეთითა და ნილოფრისა ზეთითა და აბანოს დია მივიდოდეს, და ლუბითა და ბაზრაცუტუნითა და ბალბათა თავსა იბანდეს კარგი არს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: თმისაჲ გავრძელებისა კურნებაჲ, რაჲ წუერი და თმაჲ და წარბი თხელად იყენენ ყისუმისა ნაცარი ზეთისხილისა ძტელისა ზეთსა შიგან შეზილოს და შესცხოს, ერგების. და ეგეთსა საჭამადსა კამდეს რომელ ტანსა გაახურებდეს



და დაპაპიშთისა გულსა ძმრითა გლიდეს და ტანსა იცხებდეს, თმასა გამოზრდის. და ყოველთაგან დაგლილი სონიჯი უმჯობესია, რომელ მოზრალანსა გაუროს და სანჯესა მიწყით შესცხვდეს, ღია ერგების და ადრე ზრდის თმათა. და თუ ლადანისა ზეთი შესცხოს კარგი არს, და თმათა გამოიყვანა. და საქამადთა ჰავთა და უდნობთა ერიდებოდეს ვითა ზროხისა ხორცსა და აქლემისა ხორცსა, და სძესა და მაწუნსა და მუხუდის წუენსა და ზირაბაჯსა ქამდეს.

თმისა გათეთრებისა ნივთი: ჯალინოზ იტყვის: რომელ თმისა ზრდაა და სიწავე მზურვალსა და ღბილის ბუხარისა და ორთქლისაგან იქნების რომელ ბუნებამას ტყაენსაკე გააყენებს რაჲ ეგე ორთქლი შეწუხდეს თმამ გათეთრდების და დაწეღილდების.

10

თმისა გათეთრებისა ნიშანი: შავი თმამ და გრუზი თმამ ანუ წითელი ანუ ღვიძლას ფერი, ამას ოთხსა საქმესა შუა არიან რომელ გვიანკვამს და ნიშანი მისი ჩანს თუ ვით იქნების, და რად ადრე გათეთრდების.

კურნებაა თმისა გათეთრებისა. ჯალინოს იტყვის: ვითა გრუზი თმამ და ღელი თმამ სიხმელისა და სინედლისა ბუხარისა საზომსა ზედა იქნების რომელ ტყავსა შიგან ეახსენეთ, მაგრა თმისა გათეთრებისა კურნებაა დასაწყისსა მისსა იგი არს რომელ ყოველსა საქამადსა გრილსა და ნედლსა ერიდებოდეს ვითა მაწონი და სძე და თევზი და ზროხის ხორცი და რაჲცა ამათ ჰგვანდეს. და ყალიასა და მოტანჯანსა და ზირაბაჯსა და მწუარსა ბირიანსა და მუხუდოს წუენსა ქამდეს. და მაძღარი რაჲ იყოს არა

20

ყიოს, და ღვინოსა ნუ სტყამს რომელ სიმთვრალე თმასა ადრე გათეთრებს, და ცივსა წყალსა ღია იბანებოდეს.

ნუჰამედ ზაქარიამს ძე იტყვის: ამას მანკსა არა ერგების მისგან უფრო რომელ, რაჲ დღე ხუთისა დრამისა წონსა ტარეფულსა ქამდეს უხვამ, და ბირიანსა მწუარსა და კალიასა ქამდეს, და სიმთვრალესა და აეთა სულთა ვითა ზარნიხიასა, წუნწუბისასა, გოგირდისასა ერიდებოდეს, და მლაშესა საქამადსა ერიდებოდეს, და აბანოს ნუ წავალს და დიაცსა თანა ნუ დაწუებავს, და მიწყით ბალადურისა გუარინსა იხმარებდეს, მეტად ზამთრის და ზაფხულის უმკრომასა ქამდეს და ვარდის წყალსა და ქაფურსა ნუ იხმარებს, რომელ თმასა ადრე გათეთრებს. და რაჲცა გრილი იყოს სურნელთაგან ეგრევე, და თმასა წაღებასა ესრე იტყვის ვითა პირველ თმამ დაგლიჯოს და ადგილი მისი ძმრითა და ასეთიოშითა მრავალჯერ ზელოს, ანუ ბანბითა და იფონითა და ძმრითა, და თუ თაფლი და მინახტრდი ერთგან ვარიოს და შეაცხოს თმასა ძირისაგან წაუღებს. და ქრთილისა ფქვილი და ბაკილასა ფქვილი და ქარსნი და სომხური ბავრუკი რაჲ შესცხოს თმამ არ გამოვალს. და ანჯირაისა თესლა ძუელსა ერბოსა თანა შესცხოს და ძირისაგან თმისა წაღებასა სიშიშო არს და არა ხამს, რომელ გზამ თმათა შეიკრვის. რომელ თმასა მი ჰქვიან და სიყვებამა ღმერთმან იცის.

30

ბ. დაათალაბ და დალჰაია. ორივე ერთი არს 1) დაა თალაბ მელის ჰირი და დალჰაია გფელის ჰირსა ჰქვიან არაბულად. ვითარებამ მისი რაჲ სიხმელიაგან იყოს.

ჯალინოს იტყვის: რომელ ესე მანკი მით შეიქნებიან, რომელ ზაფრამ სისხლსა გაეროს და სისხლი დასწუას ზაფრამან და უფარესი მანკი იგი არს, რომელ ზაფრამ მორენილ იყოს, და ზნელი იყოს და მაშინ გამოწინდეს ესე მანკი. რაჲ სიმხურვალით იყოს ნიშანი იგი არს რომელ კაცი ფერად ყვითელი იყოს და ტანისა მისისა ფერი მწუანედ მოაჩვენებდეს, და ხმელი და მზურვალი საქამადი უყვარდეს, და მანკისა ადგილი ეწუოდეს და ჰქაოდეს და ყვითელი ფერი იყოს.

40

1) აქ ერთი სტრიქონი ცარიელია. ამავე გვერდს ქვემო აშაზე რვეულთა სათვალავი ხწერია თ. შემდგომი გვერდის ხეშო აშაზე ი.



რამ სიმშრეველისგან იყოს ჯალინოს იტყვის; კურნებაჲ მისი იგია არს რომელ დანებისა  
წონი და ნახევარი საყნონიაჲ ცოტასა მაწონსა შიგან გაგალოს და შესწესოს რომელ მუცლისა  
ლი დაუღბეს, ზადრამ ჩამოვიდეს, და დელალოტისა წყალსა სტმიდეს რომელ გაწმენდეს  
და ნედლსა და გრილსა საქამადსა იხმარებდეს ვითა აყიროა და ასუანახი და ჭაშქი და ბა-  
ტკნისა და თიკნის ხორცი და ამითი მსგავსი. და აბანოს მივიდეს და ნელი წყალი თავსა  
ისხას და ადრე გამოვიდეს, და მიწყით თავსა ცხიმიანად დაიჭირვიდეს.

მისაჲ იტყვის: რომელ კიფალი გაიხსნას და ყელსა ჭიქაჲ მოიკიდოს, და მუცელი  
დაიღბოს პალილაჲსა ფუხითთა და საბრი და საყმუნიაჲ და წითელი ვარდი ტყემლისა  
შარაბითა ჭამოს. და მანკისა ადგილი მქისითა მჭურითა შეზილოს, და თეთრი საქმელი ძმ-  
10 რითა ვითა მალჰამა უყოჲ და შესკხოს. და თუ ყონღუზისა ქერქი და მწუანე ნუში დაწუას  
და ქუნჯითისა ხეთითა შეზილოს და შესცხოს ერგების. და მლ-შესა ერიდებოდეს და ზირა-  
ბაჯსა ქამდეს. და მანკისა ადგილი დაშაშროს და თავკისი ხაჩვითა დია შეზილოს, რომელ  
სისხლი მისგან ჩამოვიდეს. და მაწინ ამოხალული სოხიჯი ნუშის ზეთითა შეზილოს, და ზედა  
შემოსდევას და შესცხოს დია ერგების.

ისაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგია არს, რომელ მუცელი დაიღბოს საბრისა და  
საყმონიაჲსა აბითა და აფსანთინითა, და მერნე გოგირდი დანაყოს და ხეთის ხილისა ზე-  
თითა და ძმრითა შეზილოს და ზედა შემოსდევას და ამით ზედდეს, კარგი არს. და თუ საკ-  
ნელისა თეთრისა ქერქი კარგად დაწვას და მერნე ღვინოსა გარიოს და მანკისა ადგილსა  
ზედა შემოსდევას, კარგი არს. და დათვისა და მგლისა ცმელი ძმრითა დაგალოს და ზედ შე-  
20 მოსდევას. და ღვინოსა და ხორცსა და ეგეთთა საქამადთა რომელ გააძღებდეს კაცსა, და სი-  
ნედლედ ჰქონდეს ერიდებოდეს.

რამ სიგრილისაგან იყოს ვითარებაჲ მისი. მუჰამედ ზაქარია ახ-  
ძე იტყვის: ესე მანკი სამთაგან იქნების: ერთი ბალღისა დამწურისაგან და შგორე  
დამწურისა სისხლისაგან და მეტისა სეედისაგან რომელ თავსა მორეულ იყოს, რამ  
სიგრილისაგან იყოს ნიშანი მისი რომელ ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ მას ადგილსა თნაჲ  
არ იყოს და თეთრი იყოს და რაიცა დამწურისა სისხლისაგან იყოს შავად მოაჩუენებდეს,  
და რამცა სეედისაგან იყოს შავი იქნების ფერად.

კურნებაჲ რამ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარია ახძე იტყვის:  
კურნებაჲ იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს იროფისის<sup>1)</sup> იარაჲთა ესრე, შაჰში  
30 პანტალი ორი დანგი, საბრი და თურბითი თვითთასაგან დანგი, ყველასაგან დანაყილი  
უზმამან ჭამოს და მაძღარნან არწყიოს სიქანგუბინითა ნელითა და ცერეცოჲსა წყლითა. და  
თუ არ ერწყეოდეს ერთი დრამის წონი ჭანგარზადი ორსა დანგსა პაერუქსა ვაჟრიოს, და  
ნახევარსა ლიტრასა ცერეცოჲსა წყალსა შიგან გაჰრიოს და დრამისა წონი მარილი ნათლი  
შიგან გაჟრიოს დანაყილი და სუას, თანავე არწყევს და სტომიქსა პავისა გარევისაგან  
გასწმენდს.

მასოჲს ძე იტყვის: ამის ჭირისა კურნებაჲ რამ სეედისაგან იყოს იგი არს, რომელ  
სამჯერ ოდენ აფთიმონისა ფუხითა შექამოს ანუ აფთიმონისა აბი, ანუ ბასბასა უკიაჲ  
ერთი, იარიყონი ხუთისა დრამისა წონი, შაჰშიპანტალი ნახევარ დრამისა წონი, მარილი ნათ-  
თი და ყარაფული თვითთასგან დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი წყლითა შე-  
40 ვილოს და აბად შექმას და რამცაჲ უზმომან ორი დრამისა წონი და ნახევარი შექამოს, და  
მაწინ ანჯირასა თესლი ძტელისა ხეთის ხილისა ზეთითა და ველურისა ტყვანითა აფანსა  
შიგან კარგად გაგალოს და შესცხოს, რომელ თნაჲ ადრე გამოვიდეს. და მკავეთა ერიდებოდეს  
და მშრეველთა და ტკბილთა საქამადთა ქამდეს და ნიშანი სეედოყნობისა იგი არს, რომელ რამ  
ადგილი მანკისა ხელითა ნოიფხანო და დაზილო გაწითლდეს, და თუ არ გაწითლდეს არა-

1) როფისის.

ოდეს ერგების და არ გამართელდების, მით რომელ მანქისა დედა ტყავთა ქვეშეთ იქნების და გამაგრებულ იქნების ეგრეთა კურნება იგი არს რომელ მუცელი დაეღებოდნ როდისის იარათა, და მანქისა აღვილსა კირითა ანუ ლეღვისა ფურცლითა მოფხანდნენ რთულ სის-  
ხლი გამოვიდეს და მერსე მალპამითა ჰკურნონ რომელ გამართელდეს. ერგების მოწყალებითა  
ლმობითაათა.



**კა. თავისი ბავშვილი რომელ სიმსუკვალისგან იყოს.** ვითარება მისი იოჰანა იტყვის: რა სიმსუკვალით იყოს მზესა დია ჯდომისაგან იქნების, ანუ ცეცხლისა წინა დია ჯდომისაგან და რაა შიგნით იყოს საქამადთაგან იქნების რომელ დია ექამოს ხახვი, ნიორი და განდნა.

10 ნი შანი რაა სიმსუკვალისგან იყოს. იგი არს რომელ პირი წითლად ედგას და თავისა და ყელისა ძარლუნი სისხლითა საცხე იყენენ, და თვალნი წითლად ედგნენ, და ხმა დახდილი იყოს, და გრილი ჰაერი უნდოდეს.

იოჰანა იტყვის: კურნება იგი არს რომელ ქრთილისა წყალსა და კატკატოსასა თეს-  
ლისა წყალსა იხმარებდეს, და შეავეთა ხილთა ვითა ბროწეული, და ვაშლი და სიმსუკვა-  
ლესა ერთდებოდეს და რაა ბუნება გაუკეთდეს ვარდისა ზეთი ვარდის წყალსა გაურიოს  
და თავსა მოასხმიდეს, ერგების, და ნილოფარსა და იასა უსუნებდეს და ამით ტილოსა  
გლიდეს და თავსა შემოსდებდეს. ვითარება მისი: თეთრი და წითელი - სანდალი თვითო-  
საგან ხუთისა დრამისა წონი, ქაჰოდასა თესლი ორისა დრამისა წონი, მამითა დრამისა წონი  
და ნახევარი, ნილოფარი ხუთისა დრამისა წონი ყველა დანაყილი ქაჰოდასა წყლითა, ქაჰოა

20 ხაერტი არს, ანუ ტირიფის ფურცლისა წყლითა შეზილოს და შუბლსა შემოსდებდეს და საქამადსა ისრიმსა და თუთუბასა შეაქნედეს.

ისაყ იტყვის: ესე ტიმადი თავის ტკივილისა რომელ სიმსუკვალით იყოს ერგების  
ვარდი და ბალბა თვითოსაგან ოცოცი დრამისა წონი, ქუნარი, ხაშხაში არს და ვარპარამის  
ძირი თვითოსაგან ოცდათი დრამისა წონი ყველა დანაყილი და გაცრილი ქაჰთადასა <sup>1)</sup>  
წყლითა და იის ზეთითა შეზილოს და თავსა შემოსდვას და თუ შხისგან სტკიოდეს ნილო-  
ფარისა ზეთი და ვარდისა წყალი ერთგან გაურიოს და თავსა ასხმიდეს, და ისრიმსა  
რუბი მყინვარითა გააგრილოს და ვარდი<sup>2)</sup> დაასხას და იხმარებდეს და თავსა წინარისა ფურ-  
ცლითა და კატკატოთა და მეშაბაპართი და ვარდისა წყლითა და სანდლითა და ბალბისა  
შემოდებითა არგებდეს.

30 ფოლის იტყვის: რომელ უკეთესი რგება იგი არს რომელ თავი მოიპაროს, და  
იისა ზეთი თოვლითა გააგრილოს და თხემსა ზედა დასდებდეს მით რომელ თხემისა ძუალი  
თხელი იქნების და აღრე აღხენს, და მხურვალთა ორთქლთა მოხიდავს და დია არგებს.

თავისა ტკივილი რომელ სიგრილისაგან იყოს. ვითარება მისი.  
აბუჯარიპ იტყვის: რომელ ესე ნანკი მით იქნების, რომელ ფარდაგი თავისა გაციფ-  
ბულ იყოს, და გრილსა ჰაერსა თავი შიშულეი ყოფილიყოს, ანუ გრილი წყალი ესუას ანუ  
ცივსა წყალსა ბანილ იყოს.

ნი შანი რაა სიგრილისაგან იყოს. იგი არს რომელ პირის ფერი თეთრი იყოს,  
და რაა მხურვალე შემოსდვან დასწყნარდეს და სიცხისა ქამსა უფროა არა სტკივოდეს.

40 აბუჯარიპ იტყვის: კურნება იგი არს რომელ ტაგნისა ზეთი გაატუმს და თა-  
ვისა ასხას ერგების, და თუ ცოტაა ფარფიონი გაურიოს უკეთესი იქნების და ყოველი მხურ-  
ვალე ზეთი ვითა იარისა ზეთი და ყუსტისა ზეთი, მისთვის კარგი იქნების და ადარგო-  
ნისა ზეთი და სოსანისა ზეთი რაა ვაპოვონ იცხებდენ თავსა და თავისა ტკივილი რაა ცა სი-  
გრილისაგან იყოს და იხლატისაგან კურნება მისი იგი არს რომელ ტიმადი უყონ ბუნა-  
ჯითა და აქლილალმალიქითა და ცერეკოთა და სისანბრითა და მარხანგოშითა, და მი-  
წყით თავსა ხარგისის და სოსანისა ზეთსა იცხებდეს.

<sup>1)</sup> „ქაჰოდასა“.  
<sup>2)</sup> შეედომსა, უნდა იყოს „გარდასა“.





მესიაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ შიში და მტრეჭეუდაჲ ინარინი და მარზანგოში, და სოსანი და იასამანი და შაჰასფარაზი ქუნჯილისაჲ (შეხილონ და თავსა შემოსდვას, და პირი ამისსა ორთქლსა ზედაჲ). რომელ ყველასაგან უმჯობესი არს, და თუ ცერცოასა ზეთი ანუ ბაბუნაჯისა თავსა, და ყურსა და ცხვირსა იცხოს კარგი არს.

30 პუნან იტყვის. ბაბუნაჯი თავისა ტკივილსა რომელ სივრილისაგან იყოს ერგების გახსნილობისათვის, და თუ თავისა ტკივილი ძუელი იყოს, ხაზდისა გული და ფარფონი და პილპილი და სპანძელი თვითო ერთმანეთისა ოდენი და ცოტაჲ იფიონი თანა გაურიოს და ძუელითა ღვინითა შეჭილოს და თავსა შემოსდვას. და ესე ტილვე ერგების, მავრა აზას წამალსა უკანა აბანოას მივიდეს და აღრე გამოვიდეს. და თუ ბაბუნაჲ და აქლილალმლიქი თვითოასაგან ხუთი დრამისა წონი დანაყოს და სისანბარისა წყლითა შეხილოს და თავსა შემოსდვას ერგების.

აბ. თაშის ტაქვილი რომელ სინედლისაგან იყოს: ვითარებაჲ მისი: ჯალინოს იტყვის: ესე მანკი ორფერად იქნების ერთი საქამულთაგან რომელ სინედლესა მოუმატებდეს, და დილაგახაჲ<sup>1)</sup> რომელ ბუნებად ნედლი იყვნენ, მეორე აბანოას დია ჯდომისაგან ნელსა წყალსა შივან და დიდხან ჯდომისაგან.

ნიშანი რაჲ სინედლისაგან იყოს: იგი არს რომელ დია დაეძინებოდეს და მძიმედ იყოს ტანად ვითა ნაჭირვებისაგან, და მოვიწყებაჲ მორეულ იყოს მისდა. კურნებაჲ მისი რომელ სინედლისაგან იყოს:

20 ჯალინოს იტყვის: უადვილე არს მის რომელ სინედლისაგან იყოს, და რაჲცა სინედლისაგან იყოს, მას სჯობს რომელ სინემელისაგან იყოს მით რომელ ნედლი მანკი დია არა სტკივის კაცსა, ანუ თუ სინედლე მოერიოს მაშინ კურნებაჲ იგი არს, რომელ ხმელსა და მხურვალსა საქანადსა ქამდეს ვითა კალიაჲ კილამონითა და პილპილითა და ხმელითა და მხურვალითა შექნილ იყვნენ, და თუ ბაბუნაჲ და დრამინაჲ და აქლილალმლიქი წყალსა შივან შეაბგოლოს და პირი მისსა ორთქლსა მიუპყრას, სინედლესა თავისა ტკინისაგან ჩამოზიდავს. და თუ აბანოს დია მივიდოდეს ერგების.

30 მასოაჲჲჲჲჲჲჲ იტყვის: რომელ ასფარაზმაჲ ქნას, ყუაელითა წყალი პიტნაჲსა და აქლილალმლიქისა, და ბაბუნაჯასაგან და მარზანგოშისაგან ყველაჲ წყლითა შეაბგოლოს და თავსა შემოსდვას, და წყალი მისი თავსა ისხას ერგების. და მუშქსა და ღალიასა უაუნებდეს, და ტეგნისა და ნიახურისა ზეთი და ყუსტი ბაჰრი შესცხოს თავსა. და მუხუდისა წყუნსა და კალიასა და შურვასა, რომელ შივან პილპილი და კილამონი და ფარარი და ყარამფული იყოს მას ქამდენ, და მასტაქსა ანუ თეთრსა საკმელსა ცოხნიდეს ეამ-ეამ, და ზიზისა ძმრითა ღარღარა ქნას.

ისაკ იტყვის: რომელ კალიასა აბეკმაჭითა სქამდეს, და საქამულსა დია ნუ ჰქამს. და აბანოს მივიდოდეს და დიდხან დაჯდებოდეს, და ოვლსა გამოიციმდეს, და ღვინისა სმასა ერიდებოდეს, და გვილანგუბინი ზანჯაბილსა გაპრიოს და უხმა ქამდეს. და სონიჯი და ხირსა ზეთი, და თეთრისა იასამნისა ზეთი თავსა იცხოს კარგი არს და საქამულთა ნატიფთა ქამდეს.

40 თავისა ტკივილი რომელ სინემელისაგან იყოს. ვითარებაჲ მისი: მუჰამედ ზაქარიაჲჲჲჲჲ იტყვის. რომელ ესე მანკი უფროასი ზაფხულის შექენების კაცსა მეტისა სიარულითა ცხელისა ქარისა ანუ საქამულისაგან, რომელ სინემელსა მოუმატებდეს კაცსა, ვითა ძუელი ნიგოზი და აპუხტი და რაჲცა ამათ ჰგვანდეს.

რაჲ სინემელისგან იყოს. ნიშანი მისი რაჲცა ცხელისა ქარისაგან ყოფილ იყოს იგი არს, რომელ სიცხისა ეამსა უფროჲ სტკივოდეს, და მისი ნიშანი რომელ საქამულისა სინემელისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ არ დაეძინებოდეს, და რაჲ შიოდეს უფარესი იყოს.

1) აქ აკლია სიტყვა „მიუპყრას“.  
2) შეცდომაა უნდა იყოს „ხილტთაგან“.



კურნებაჲ მისი. იგი არს რომელ ეგეთსა საქამადსა ქამდეს, <sup>ერგებულ</sup> სინედლესა მოუწატებდეს ვითა ქრთილისა წყალი და ჰასოა ნუშის ზეთითა და აყროფს <sup>ფეხლესა</sup> ზეთითა. და ნუშისა ზეთსა ცხვრთა ჩაუწვეთებდეს. და საქამადსა ახალსა თევზსა ქამდეს და შინაურსა ქათამსა, და კვერცხის ყუითელსა ამოზავებულს. და მწუანილთა თანა ხავარტი და კატკატოა. და თუ მანკი ძუელი და მავარი იყოს კარაქი და ბატქნისა ტვინი ერთგან გაპრიოს და ცხვირსა ჩაუწეთოს. რომელ ტვინი მოემატოს და სინედლე შეექნას, და მიწყით ნელსა წყალსა თავსა ისხმიდეს.

10 მასარჯოაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა სინმელისაგან იყოს, იგი არს რომელ-ნატიფსა საქამდსა ქამდეს და დია აქმევენენ, ვითა კვერცხისა სიყვითლე და შინაურისა ქათმისა შორაბჲ და ვაკბისა და თიპოასა ხორცი და თუ ცხტრისა ფერხისა ტვინი, ანუ შინაურისა ქათმისა ცმელი ანუ დურაჯისა ცმელი ცხვირთა ჩაუწვეთონ კარგი არს, და თუ მაგზაჲ ცხვირში ჩაუწეთონ კარგად მოუწატებს სინედლესა.

15 მუნან იტყვის: ესე ტიმაღი დია ერგების, ფქვილი იფქლისა და ქრთილისაჲ გაცრილი გარეული, ნახევარი მით ოდენ შაქარი თეთრი დანაყილი და ნუშისა ზეთი ერთგან შეზ-ლოს, ნელსთა წყლითა შეაგბოლოს და ცოტაჲ აყროფსა თესლი ქერქმებდილი დანაყილი გაუროს. და მანკისა ადგილსა შემოსდვას ერგების. და ოთხსა ეამსა ვითამცა მესამესა ნაწილსა დლისაგან ანუ დამისაგან დათმოს, მრავალჯერ ესე ენას. რაჲცა სინმელე თავსა შიგან იყოს გამოზიდავს. და რაჲცა ხმელი ბუნებაჲ იყოს ერიდებოდეს და სინედლესა მი-ელტვოდეს ერგების, შეწვენითა ღმრთისათა.

20 ძმ. თაჳისა ტაჳილი რომალ სისხლისაგან იყოჲ. ვითარებაჲ მისი: ისაჲ იტყვის: რომელ ხორცი, და ტვბილი, და ღვინოა ესუას და დია ექამოს და ეგეთი საქამადი რომელ სისხლსა მოუწატებდეს დია ექამოს.

ნაშანი რაჲ სისხლისგან იყოს. იგი არს რომელ პირი და თვალნი გაუ-წითლდნენ და ასონი დანძინებულ იყვნენ, და დია დაეძინებოდეს, და ტკივილი ძნელად იყოს და ვითა ისარი ფეტქდეს და ძარღვნი ადგომილ იყვნენ.

30 კურნებაჲ. იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას და ტავშილსა და მუწათარსა ქამდეს, და ისრიმისა წყალსა იხმარებდეს და გურგანულსა. უნაბსა უზმოა ქამდეს ამას მანკსა ერგების, და ხამს რომელ შუცელი დაიღბოს ხილთაჲ ფუხთაჲთა ესრე, ტყემალი შავი ოცი მარცჳალი, უნაბი შავი ოცი მარცჳალი, ჩამიჩი ტაიფური და ხურმაჲ პინდოური თეითოსა თანა თხუთმეტისა დრამისა წონი, ყოველი წყლითა შეაგბოლოს რომელ. მესამედი მისგან დარჩეს, და მამინ ოცისა დრამისა წონი თარანგუბანი გაურიოს და ცისკრისა ეამსა ქამოს. და ცხროასა და ხველასა ესე წამალი ერგების, და თუ ბროწეული ტვბილი ქერქითა დანა-ყოს და დაწუროს და მისაგან ნახევარი მანი ანუ შაქარსა თეთრსა გაურიოს ანუ თარანგუ-ბინსა და უზმომან შესვას.

40 აბუჯარიჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ კიფალი გაიხსნას და სი-სხლი დია გამო-ლოს, და თუ არ დასწყნარდეს ჭიქაჲ მოიკიდოს და გრილი და ნედლი ტი-ლე თავსა შემოსდვას დი ვითა სანდალი და ქაფური, ვარდის წყალი და პინდოური შო-ბილი და შავი მამითა და ქაკუნტელის ფურცლისა წყალი და ძაღლის ყურძენი და ნი-ლოფარის ფურცელი და აყროფსა თესლი და ჩაღზაბაჲ და კარგი და კარგ გემოა ძმარი და რაჲცა ამათ ჰგვანდეს დია ერგების, და თუ დაჲ სტკიოდეს და ცოტაჲ იფიონი ვარდისა ზეთითა გაგალოს და თავსა იყაროს ტკივილი წაუფა. და თუ ყვითელი ჰაღილაჲ და იაჲ და პინდური ხურმაჲ წყლითა შეგბოლოს და შირაბითი შიგან გაურიოს და კულა გამო-წუროს და გაწიძლოს და ცისკრისა ეამსა იხმაროს ერგების. და საქამადსა ურწყოასა ქამ-დეს მამაჲთა და ასუანაბი და ქინძი და შიგან ნუშის გული ძუელი ქამოს ერგების.

თაჳის ტაჳილი რაჲ ბალღვისაგან იყოჲ: ვითარებაჲ მისი: მუნან იტყვის: რომელ ესე მანკი მით იქნების რომელ მაწონი და სძე დია ექამოს და ეგეთი შექა-



მადი, რომელ სიგრილესა და სინედლესა მოუმატებდეს, და მადლარი აბანოას დია მის-  
რულ იყოს, ესე გამოაჩნდების.

ნიშანი მისი რაა ბაღლ მის აგან იყოს. იგი არს, რომელ ფერად თეთრი იყოს  
და ლბილად სტკიოდეს და რაა ღამით საქამადსა დია ქამდეს ჰავად გაბდეს და თავი ემ-  
ძინებოდეს, და ძარლეთა სისავეს არა ჰქონდეს, და რაა თავსა ხელი დასდევან ცივად იყოს.

კურნება მისი. ჰუნაჲ იტყვის: იგი არს რომე მუცელი დაიღბონ ყუყიაჲ-  
სა აბითა და როფისის იარაბითა და თავი და პირი პიტნაჲსა ფუხთაჲთა და მარხანგო-  
შითა და ქინძითა რაა იქმოდის მიუბყრას, და პილპილი და ქუნთუნი და ხაზდისა გული  
უსუნოს რომელ ცხვითა დასკემდეს, და სიქანგუბინითა და სპანძელითა მრავალჯერ ღარ-  
ლარაჲ ქნას, და ხეთის ბილისა ზეთი და სოსანი და ბანისა ზეთი და ნედლი ტაგანი თავ-  
სა შემოსდევას, და პალილაჲსა ფუხთაჲ და ანისონი და ნანხალი მას ერგების, და სპანძელი  
და აყირყირჲ და კაპარისა ძირისა ქერქი დანაყილი თაფლითა შეზილონ და თაფლისა  
წყლითა იხმარებდენ დია ერგების.

მესიაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ყუყიაჲსა აბი ქამოს რომელ ბალ-  
ღამი და სინედლე თავისაგან ჩამოიღოს, და ცივისა ქარისაგან თავი შეინახოს, და მუშკა და  
ღალიაჲსა უსუნებდეს და მუხედისა წვენსა და კალიასა და შორაბასა და რაშიდის და  
წუადსა ქამდეს, და სხვასა ნურასა ქამს. და მიწყით თეთრსა საქმელსა ცოხნიდეს და ღარ-  
ღარასა იქმოდეს, ძმრითა და ლიფახმოშითა აბეკმაქითა, და ორსა ღამესა განკოკლებით შა-  
ბიარისა აბსა ქამდეს დრამისა წონსა და ნახევარსა წონით, და საქამადსა დია ნუ ქამს  
და გრილთა ვრიდებოდეს.

მასარჯოჲჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ, სიქანგუბინითა ღარღარა  
ქნას და ესე ტიმაღი თავსა შემოსდევას მური და საბრი და ფარფიონი თვითასაგან ორი  
დრამისა წონი ზაფრანა და გომიზი არაბული თვითოსაგან დრაჲქინისა წონი, იფიონი ნა-  
ხევარ დრამი, ყუსტი ორი დრამის წონი, თეთრი საქმელი სამი დრამის წონი ანზარუთი  
დრამისა წონი ყველაჲ დანაყოს და ღვინითა შეზილოს და თხემსა და ორთავე თმისა ძი-  
რსა შემოსდევას.

კდ. თავის ტივილი რომელ ზაფრისაგან იყოს. ვითარებაჲ მისი. იოჲჲნი იტყვის:  
ვითა ზაფრისა მორევენაჲ მხურვალისა და ხმელისა საქამადისაგან იქნების რომელ გქამოს,  
და ჭირი ეჩინოს ტანისაღა და ღაბისა უძლობისაგან, და დია მარხვისაგან.

ნიშანი მისი. იგი არს რომელ კაცი მჭლე და წვრილი იქნების, და მაჯასი ფი-  
ცხლად უცემდეს, და დია ეწყურვოდეს და ცხვირი მშრალად ედგას, და ხმელად, და არ  
დაეძინებოდეს და პირი ყვითლად ედგას.

რაჲ ზაფრისაგან იყოს: იოჲჲნი იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ  
მუცელი დაიღბოს ტყემლის წყლითა და ვარდისა შარაბი და გრილი წყალი, და ძმარი  
და ვარდის წყალი ერთგან გაპრიონ და თავსა ასხმიდენ და იისა ზეთი და ვარდისა  
ზეთი და ნუშისა ზეთი ცხვითა ჩაუწოთონ, და საქამადსა გრილსა და ნელსა აქმე-  
დენენ ვითა აყიროჲსა და ისრიმისა და თუთუბასა და რაჲცა ამათ ჰგვანდეს, და მეფე-  
სა ბროწყელსა იხმარებდეს და ესე მათბუხი შესუას: ვითარებაჲ მათბუხისა: ყვითელი  
პალილაჲ რვაჲ დრამისა წონი, რაჲ ხუთი დრამისა წონი, შავი ტყემლი სათუალავსა ოც-  
დაათი, ჰინდოური ხურმაჲ ნახევარ ლიტრაჲ ყველაჲ ლიტრითა და ნახევრითა წყლითა  
შეაბგოლოს, მუნამდე რომელ მესამედი დარჩეს და ცისკრისა ეამსა ნელად შესუას, ერგების.

ჰუნანი იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ქალთა სძე იისა ზეთსა და ვარდის  
ზეთსა გაპრიონს და თავსა იცხოს, და ქრთილისა წყალსა და ჯულაბსა სმიდეს, და ცივისა იღ-  
გილსა და ჯდებოდის და იასა და ნილოფარსა უსუნებდეს, და გრილსა და ნედლსა ხილსა  
ქამდეს, და თუ უნდეს ცოტა პალილაჲ და შირახიშითი ქამოს რომელ გახსნას, და ცოტაჲ  
ზაფრია ჩამოიღოს, და მლაშესა და ტკბილსა საქამადსა ვრიდებოდეს და ხეარტსა ქამდეს.



მას არჯოა იტყვის: რაა ზაფრია თავსა შოგროს მუცელი დაუღობონ ამით მატუბითა ვითარებაა, მისი: ჰალილა ყვითელი უგურკო ათისა დრამისა წონი, იაა და ვარდი და აფსანთინი თვითოასგან სამი დრამისა წონი, ყველაა სამსა ლიტრასა წყალსა გარის და შეაბგოლონ რომელ მეოთხედი დარჩეს მისგან, და მაშინ მითყალისა ნახევარი საბრი და ყერატი ერთი საყუნიაა გაურიოს და იხმაროს ერგების. და ჰავთა და მძიმეთა საჭამადთა ერთ-ებოდეს და ნატიფსა საქამადსა სჭამდეს.

10 **თავისა ტივილი რომელ სავლისაგან იყოს.** ვითარებაა მისი: ისაყ იტყვის: ესე მანკი უფროასი საქამადისაგან იქნების რომელ ეჭამოს, ვითა ნარსაქი და კალნაბი და ბადანჯანი და ზროხის ხორცი, და დიაცისა თანა დიანისტილითა და გრძელ მგზავრობა და გლოვაა.

ნიშანი მისი. იგი არს რომელ პირისა ფერი სიშავისაყენ იყოს, და ბაგე და პირი და ცხვირი ხმელად ედგას, და თვალნი ხმელობდენ, და თავი მძიმედ ჰქონდეს და ხმელად იყოს, და მაჯასი გასხირბული იყოს.

კურნებაა რაა სევედისაგან იყოს: ისაყ იტყვის: იგი არს, რომელ მუცელი დაუღობონ ყოყიანსა ჰაბითა და აფთიმონისა ფუბთაათა. და ჰილბილითა და ქირუსტიითა რომელსა ჰქვიან ქენთუში და ხაზდისა გული, რომელ ცხვირსა დააკვიმებდეს და სიქანგუბინითა და სპანქელითა ლარლარაა ქნას, და მხურვალთა ზეთთა თავსა იცხებდეს ვითა ზეთი ხილისა და ხირისა ზეთი, და ბანისა ზეთი. და სოსანი და ნელლი ტავანი ზეთის ხილის ზეთითა შეაბგოლოს რომელ ზეთი გამწუხანდეს, და ნელი თავსა შემოსდვას ერგების. და პირი მარზანგოშისა და პიტნა და ქინძისა შემებრითა ორთქლსა მიუბყრას ერგების და ამას ჰაბსა იხმარებდეს, ვითარებაა მისი, იარაა ფეყირაა ათი დრამის წონი, შაჰში ჰანტალი დარაშისა წონი, საყინიაა ნახევარ დრამისა წონი ასტოხოლოსი და თურბიდი თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, ყველაა დანაყილი და გაცრილი ჰაბად ქნას და სამსა დღესა შიგან ორი დრამისა წონი, ჰამოს ერგების, და სევედასა თავისაგან ჩამოზიდავს და თუ ხაზდისა გული და ბილბილი და ფარფიონი და სპანქელი, და იფიონი ძუელითა დვინითა დაალობს და თავსა იცხებდეს, კარგი არს.

30 **დევეჯანის იტყვის:** მუცელი დაიღობს ფეყირაისა იარაათა, და ლედვისაა ფუბთა და ზაჰინი და თაფლი იხმაროს. და ცოტად ტარეფული იარაასა გაპრიოს და უხმაა იხმარებდეს. ქონდარი და აყირყირჰაა და სპანქელი ხირისა ზეთითა შეზილოს და თავსა შემოსდებდეს. და შაბიარისა აბი და იარაასა აბი ასტმხიყონისა აბი, ჯამი და ყუყიასა ჰაბი ერთმანერთსა უკან მრავალჯერ შესუას ერგების. და წავისა ჰალილისა თესლი და ბერძელისა ბადიანისა თესლი და ნანხუაჰი ერთგან გაპრიოს და იხმარებდეს, კარგი არის. და საქამადსა ნატიფსა და მაშუნესა ჰამდეს ადრე ელბინოს<sup>1)</sup>.

40 **თავისა ტივილი რომელ მხურვალთაგან იყოს,** ვითარებაა მისი. ბაყრატი იტყვის: ვითა ამის მანკისა გამოჩენაა ფაცხელისა სისხლისა ორთქლისაგან იქნების ანუ ფიცხელისა ზაფრისა მუხარისაგან რომელ მორეენილ იყოს ტანისადა, ანუ ძნელისა დვინისა ძტელისა სმისაგან და დია ესვას.

ნიშანი მისი რაა მხურვალისა ქარისაგან ყოფილი იყოს. რააცა სისხლინა სიფიცხისაგან ქნილ იყოს. ნიშანი იგი არს რომელ პირი წითლად ედგას და ვითა ისარი ფეაქდეს ტყვილი და რააცა ზაფრისაგან ქნილ იყოს, პირისა ფერი ყვითელი იქნების და ტყვილი ძნელი იქნებას, და რააცა დვინისგან იყოს დია ასტყვიდების.

კურნებაა მისი<sup>2)</sup> რაა მხურვალისა ქარისაგან იყოს. ბაყრატი იტყვის: იგი არს რომელ არწყის ნელითა წყლითა და სიქანგუბინითა, და ნელსა წყალსა

1) ამ გვერდს ქვემო აწიზე სწორია რეფულთა სათვალავი „ი“ და შემდგომ გვერდის ზემო აწიზე „ია“.  
2) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული არა დედნის ზელით.



თავსა ისხმიდეს, და ხელთა და ფერხთა აზელიებდეს, და ტკბილისა და მყავესა ბროწეულისა წყალსა და ისრიძისა წყალსა და სიქანგუბინსა სმიდეს, და თრუნჯისა ხიმჯავესა მისწოდეს და მიწყით ვარდისა ზეთსა თავსა იცხებდეს და მოიჭირებდეს რომელ არ დაიძინებდეს და ახალსა იასა და ნილოფარსა უსუნებდეს, და საჭამადსა ბროწეულისა წყენსა ანუ ისრიძისა ჭამდეს რომელ ვარიათა შექნილ იყოს, და წერილთა თევზთა ახლითა ძმრითა შეაჯნევდეს და იმპარებდეს და ხილთაგან სხალსა და ბროწეულსა ნეავესა და ტკბილსა ჭამდეს, და ღვინოსა ნუ სუამს რომელ ელხინოს.

10 ისაკ იტყვის: თუ წყალსა დია სუმიდეს და არ ელეოდეს, ეგების რომელ ცოტაა ღვინოა წყალსა გაურობონ რომელ სტომაქი არ გაუგრილოს და ცივისა ადგილსა იყოს და ცხელსა ადგილსა ვარიდებოდეს მეტად ზაფხულის და დია ნუ იარების და ქირსა ნუ ნახავს, რომელ ესე ყველა თავის ტვივილსა მოჟმატებს.

აბუჯარიშ იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ გაციებულსა ვარდის წყალსა თავსა ისხმიდეს მეტად რაა ძმარი და ვარდის ზეთი ერიოს და თუ დია სტკიოდეს და ისრისაებრ ფეთქდეს სისხლისა ნიშანი ანდეს, ეგრე რომელ პირი წითლად ედგას, და ძარღწნი ადგომილ იყინენ, და ტანი მძიმედ იყოს და დაეძინებოდეს, ეგების რომელ ყოფალი გაიხნას და ცოტაა სისხლი გამოიღოს, და ვარდსა და ქაფურსა, და ვარდის წყალსა და სანდალსა უსუნებდეს ერგების. და საჭამადსა ისრიძისა ურწყოსა ჭამდეს და ალარდენსა. და თუ უსუსურად იყოს ისრიძითა ვარიასა ჭამდეს ერგების.

20 თაზვიან ტაქვილი რაა ძარისა ბრილისაგან იყოს. ვითარებაა მისი. ჯალინოს იტყვის: რომელ ამისა მანკისა ვითარებაა ჰავთა, ლალიტთა საჭამადთა ჭამისაგან იქნების რომელ ეჭამოს, ვითა ზროხისა ხორცი და კალნაბი, და აქლემისა ხორცი და რააცა ამას ჰგვანდეს, და უდნობობის განცა შეიქნების რომელ არ მოედნოს, და სტომაქისა სისუსტისაგანცა.

ნიშანი რაა გრილისა ქარისაგან იყოს, იგი არს რომელ რააცა საჭამადთაგან ქნილ იყოს<sup>1)</sup> ლალიტი საჭამადი ეჭამოს და ტკივილი უფროა იყოს და ბრუნვიდეს მიდ-მოდ, და რააცა სტომაქისა სისუსტისაგან იყოს სიმშობისა ეამსა უფროა ასტკივდების.

30 კურნებაა მისი რააცა გრილისა ქარისაგან იყოს. ჯალინოს იტყვის რომელ იარაა ფეყირაათა მუცელი დაიღობონ ესე: სუნბული და ბალასნისა მარცხალი და შეშაა მისი, და ასარონი და სალიხაა და კილამონი თვითაგან ხუთი დრამისა წონი, საბრი ყოველთა წამალთა ოდენი ორი, ერთაგან დანაყილი და გაცრილი და ხმარებისა ეამსა დრამისა წონი იხმარონ ათითა დრამის წონითა კარგითა თათულითა ცუცხლუნა ავეითა. და უხმაა აბანოს მივიდეს და ასფარამთა წყალი თავსა ისხას, ვითა მარხანგოში და რეჰანი და აქლილალმალიქი და ბაბუნაჯი ერთგან შემეგუბარი, დია ერგების რაა წყალი მისი თავსა ისხას.

40 მასლიამს ძე იტყვის: კურნებაა მისი იგი არს რომელ ესე ჰაბები იხმაროს რომელ სხელი ბუხარი თავისაგან ჩამოიღოს და ტვინი გაწმიდოს, და სტომაქი გაძლიეროს, იარაა ფეყირაა ექვსი დრამისა წონი თურბილი და ყვითელი ჰალილაა თვითოსაგან ორი დრამისა წონი, მინდოური მარლი ორი დრამისა წონი და ნახევარი, ერთგან დანაყილი და გაცრილი ნიახურისა წყლითა შეხილოს და ჰაბად შექნას, და ჩრდილსა გაახმოს და უხმამან ორი დრამისა წონი ჭამოს ერგების.

როფის იტყვის: კურნებაა იგი არს რომელ არწყიოს, რომელ სტომაქი გაწმდეს მანკისა სთაენოასაგან, მეტად რაა მანკი სტომაქისა უსუსურობისაგან იყოს. და ბედანჯირისა ზეთი საბრისა ნაყისა თანა ვარიოს და ცისკრისა ეამსა იხმაროს დია ერგების. და

1) წინადადება „რააცა საჭამადთაგან ქნილ იყოს“ აშინაჲ სწერია დედნის ხელით.



მიწვით მუშესა და ლალიასა, მარხანგოშსა და ხაზდისა გულსა უსუნებდეს, და ეგეთსა საჭამადსა ჭამდეს რომელ მსხვილსა ქარსა აშუნდეს, და სუბუქსა და ნატონსა ჭამდეს ერგების შეწყენითა ღმრთისათა.

33. თაჳისა ტაჳილი რომელ ტჳინისა ფარდაგთა სიხსნიანსაგან იყოს. ვითარებაჲ რაჲ სიხსურვალისგან იყოს. ჰუნადან იტყვიეს: ამის ჰირისა გამოჩენად მით იქნების რომელ სისხლი დაბნელდეს და მოერიოს, ანუ ზაფურისა მორგენისაგან რომელ ტჳინისა ფარდაგთა ქუეშე შეყრილ იყოს, და მაშინ ესე მანკი გამოჩნდების.

10 ნიშანი რაჲ სიხსურვალისაგან იყოს, და ზაფურისა მორგენისაჲ, იგი არს რომელ ძარღვნი შუბლთა და ყურბიშალთა ადგომილ იყვნენ, და მისი ნიშანი რომელ ზაფური-  
საგან იყოს იგი არს, რომელ არ დაეძინებოდის, ყვითლად იყოს, და სწყუროდეს.

კურნებაჲ რაჲ სიხსურვალისგან იყოს. ჰუნადან იტყვიეს: იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას, ანუ შუბლისა ძარღვი გაიხსნას, და ქრთილის წყალსა და კატკატოას თესლისა წყალისა იხმარებდეს და ახალსა ნილოფარსა და იასა უსუნებდეს, და ძალის ყურძნისა წყალსა და აყიროას წყალსა და ლისანალჰამალისა წყალსა თავსა ისხმოდეს, რომელ სინედლე შეემატოს და ტკივილი დაწყნარდეს, და საჭამადსა ურწყოსა ჭამდეს და ნარსაქი ტყავ გახდილი და აყირო ჩაურთოს მისსა მოზაჲ არს.

როფის იტყვიეს: კურნებაჲ მისი რომელ ზაფურისაგან იყოს იგი არს რომელ, პინდურისა ხურმისა წყალთა, და ხიარშანბრითა და ჯოლაბითა<sup>1)</sup> და ტყემლითა მუცელი დაუღობონ, და მაშინ ქრთილის წყალსა ასვიდენ და ტკბილისა და მჟავისა ბროწყელისა წყალი და შემგბარისა აყიროასა წყალი, სიქანგუბინითა და კატკატოას თესლისა წყლითა იისა შარაბითა ასმევდენ ესე ყოველი ერგების. და თუ წითელი და თეთრი სანდალი და-  
20 ნაყონ და მემზაპარისა წყლითა გაჰრიონ და ცოტაჲ ჯაფური ჩაურთონ და ცხვირთა ჩაუწყონ, დია ერგების.

იოჰანა იტყვიეს: ახლისა აყიროასა წყალი და ლისანალჰამალისა წყალი ერთგან გაჰრიოს და მიწყით თავსა ისხმიდეჲ, რომელ სიგრილესა და სინედლესა მოუნატოს. და საჭამადთაგან რომელ ჭამდეს ძვიმული და ჭაკუნტელი და აყიროჲ და ნარსაქი და მაშაჲ ქერქ შეხდილი, და ხორფარასთი რომელ არაბულად ხაზნი ჰქვიან, და ქრთილისა ხალი ესე ყოველი მას ერგების. და რაჲ მოიჯობინოს კვერცხისა ყვითელი ამოწვეებულჲ და ახალი თევზი წურილი, და ხობის ხორცი და თიჰოასა ხორცი, და ბატკნისა და თიქნისა ხორცსა  
30 იხმარებდეს, და ცივსა წყალსა ნუ სუაშს და აბანოსა და ჰირსა და სიციხესა ერთდებოდეს, მეტად რაჲ სნებისაგან ადგომილ იყოს, რომელ ელხინოს და გამრთელდეს ღმრთისა შეწყენითა.

ნიშანი და ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. როფის იტყვიეს: რაჲ ესე მანკი სიგრილისაგან იყოს ანუ ბალღმისა სიმეტისაგან და მორგენისა მისისაგან, ანუ სიგედისა მორგენისაგან რომელ ტჳინისა ფარდაგთა შინა შეყრილ იყოს, მაშინ ნისგან ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი რაჲცა სიგრილისაგან იყოს: რაჲცა ბალღმისაგან იყოს იგი არს რომელ, დია დაეძინებოდეს და რაჲ თავსა ხელი დასდვან ცივად ეღვას. და რაჲცა სიგედისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ჰირისა ფერი შავად მოაჩვენებდეს და თვალთა  
40 ერთმანერთსა ზედა ვერ დასდებდეს.

კურნებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს, როფის იტყვიეს: რაჲ ბალღმისაგან იყოს იგი არს რომელ საბრისა ნაყითა მუცელი დაიღბოს ესე აუსანთინი ბერძული ხუთი დრამისა წონი, ასარონი ორი დრამისა წონი და ნახევარი, უნტორიონ და მასთაქე თვითოასაგან დრამისა წონი და ნახევარი, საბრი სამისა დრამისა წონი, ყველაჲ დანა-

1) ჯულაბი.



ყოლი მოწამლულსა ჯამსა შიგან ჩადვას და ლიტრა და ნახევარი წყალი დაფული ზე-  
და დაასხას, და სამსა დღესა მზესა შიგან მიუშვას და ღამით მიწისა ღამით მტკრისა-  
საგან შეინახოს, მაშინ მეოთხესა დღესა გამოწუროს და მისგან ოთხი უკიაა გამოიღოს  
და დრამისა წონი ნუსის ზეთი გაუროს და იხმაროს.

იოანა<sup>1)</sup>: იარაჲ ფეყირაჲ ქამოს, რომელ სტომაქი გაუწმდეს და მანკისა აღილი  
დამცრდეს, და ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი, და სისანბარი, უღბაჲ და ცერცოჲ და სელი  
ერთმანერთისა ოდენი ყველაჲ წყლითა შებგოლოს, და მისისა წყლისაგან ნელსა თავსა ის-  
ხმიდეს და მრავალჯერ ესრე ქნას, და კურნებაჲ მისი რაჲჲა სევდისაგან იყოს იგი არს  
რომელ აფთიმონისა ფუხთაჲთა მუცელი დაიღბოჲ და ბაბუნაჲსა ფუხთაჲსა წყალი და

10 აქლილალმალიქი და სისანბრისა თავსა ისხას ფუხთაჲ შემგებარსა ჰქვიან. მაგრა ზამს რო-  
მელ წყალი ნელი იყოს და ნარგისისა, და სოსნისა ზეთსა უსუნებდეს ერგების, და ხირი-  
სა ზეთსა ცხვირთა ჩაუწოვედენ და მკავეთა და მძიმეთა საქამადთა ერიდებოდეს და მუხუ-  
დისა წუტენსა ქამდეს, და მუტანჯანსა და კალიასა ქამდეს. და იისა ზეთი და აყიროჲსა გუ-  
ლისა თესლი ერთგან გაპრიოს და თავსა იცხებდეს. და თუ მანკი ძლიერი იყოს ფარფიო-  
ნი და ხაზდისა გული იასამინისა ზეთითა გაადნოს. და მიწყით თავსა იცხებდეს ერგების.

კჳ- თავისა ტჳივილი კოგელ გაიტაჲ ჰჳვიან არაბულად. ვითარებაჲ რაჲ სიმხურვა-  
ლისგან იყოს: მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ამის მანკსა სპარსულად ზოდაჲ  
ჰქვიან, და სისხლისა მორვენისაგან იქნების ანუ ზაფრისა სიფიცხისაგან, ანუ მისგან  
რომელ ტვინისა ფარდაგსა შიგან სიმსიფენი გამოჩენილ იყოს, ანუ სისხლისა სიფიცხითა,

20 ანუ ზაფრისაგან იქნების.  
ნიშანი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს: იგი არს რომელ სრული თავი  
სტკივოდეს, და პირი წითლად ედგას და ისრისაგებ ფეთქდეს, სისხლისა ნიშანი არს  
და თუ პირი ყვითლად ედგას და ტკივილი ძნელად იყოს ზაფრისაგან იქნების.

კურნებაჲ რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე  
იტყვის: თუ სისხლისგან იყოს მანკი ყოფილი გაიხსნას, და თუ ვერ გაიხსნებოდეს შიგ-  
ნითჲ ორთავე წვივთა ქიქა მოჰკიდოს, და მუცელი დაიღბოს ხილთა ფუხითთა ესრე: შავი  
ტყემალი და გურგანული უნაბი თვითთასგან ოცი მარცული, ჩამიჩი ტაიფური თხუთმე-  
ტრისა დრამისა წონი, მინდური ხურმაჲ ოცისა დრამისა წონი, ყველაჲ ლიტრასა და ნახე-  
ვარსა წყალსა შიგან შეაგბოს რომელ მესამედი დარჩეს და მაშინ დაწუროს, და ოცისა

30 დრამისა წონი თარანგუბინი გაუროს და ცისკრისა ჯამსა იხმაროს.

დევეჯანის იტყვის: თუ ამის მანკისა გამოჩენაჲ თვით თავისაგან იყოს, გაუ-  
ფრთხილდეს, რომელ თავი მათ ჰავითა ხილტთაგან რომელ შეყრილ იყოს გაწმიდოს მისგან  
კიდე სხეებრ, რომელ მუცელი დაიღბოს და წიმალი მისი ესე არს: ბაბუნაჲჲ და აქლილა-  
ლმალიქი და ადხარის ყუაფილი და პიტნაჲ და სისანბარი თვითთასა ოდენი, ყველაჲ  
ცეცხლითა შეაბგოლოს და მისსა წყლისაგან ნელსა თავსა ისხმიდეს, და მრავალჯერ ესრე  
ქნას რომელ გარეული ხილტი მუნით გამოიხიდოს.

იპოანაჲ იტყვის: თუ ზაფრისაგან ქნილ იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ვარ-  
დასა ზეთი და ძმარი ერთგან შეაბგოლოს და მისსა წყლისა თავსა ისხმიდეს, და რაჲ ჯო-  
ბინი შეატყოს ბაბუნაჲჲ და აქლილალმალიქი ამის წამალსა გაპრიოს, და მაშინ წყლითა

40 შეაბგოლოს და მისსა წყლისაგან თავსა ისხმიდეს და რაჲ მოიჯობინოს სნეულმან ვარიასა  
შირაურსა ქამდეს ისრითთა შექნილსა, ანუ აღარდანითა, და სიმხურვალისაგან ერიდებო-  
დეს რომელ აღრე გამრთელდეს. ვითარებაჲ რაჲ სიჭრილისაგან იყოს, ისაჲ  
იტყვის: ვითარებაჲ მისი ბალღმისა მორვეისაგან, სევდისა სიფიცხისაგან იქნების ანუ

1) იტყვის\*.



სქელთა ბუნართაგან რომელ ტვინისა ფ რდაგთა შიგან შეყრილ იყვნენ ანუ ცემსთუნისაგან რომელ ტვინისა ფარდაგთა შიგან იყოს ბალღამური და სევდური.

ნიშანი რაჲ სივრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ თავი ამძიმებდეს, და ფერი პირისა თეთრი იყოს, და არ დია სტკიოდეს, და რაჲცა სევდისაგან იყოს ტკივილი უფროჲ ძნელი იქნების და პირისა ფერი შავად მოაჩვენებს.

კურნებაჲ რაჲ სივრილისაგან იყოს. ის აკ იტყვის: რაჲცა ბალღმისაგან იყოს კურნებაჲ იგა არს, რომელ მუცელი დაუღბონ საბრისა ჰაბითა და ცოტაჲ მუშკი და ქაფური ერთგან გაპრიოს და ქვაზედ გავალოს და ცხვირთა ჩაუწითოს და ესე სხვაჲ წაშალი ორგნითვე თავსა წემოსდვას, ვითარებაჲ მისი: ზაფრანაჲ და მური და ხონიაი-  
10 ოშანი და გომიზი არაბული თვითთასა ოდენი და ცოტაჲ აფიონი, ყელაჲ წაიდათ დანაყოს და თეთრისა იასამინისა ზეთითა შეზილოს და იხმარებდეს.

მარსაჯოჲ იტყვის: რაჲცა სევდისაგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ პიტნაჲ და ღარის ფურცელი და ყასაბად არირაჲ რომელ მისი სახელი სპარსულად დამშალი ლერწა-  
მი ნიჰაენდური ჰქეიან, თვითთასა ოდენი, წყლითა შეაბგალოს და მისისა წყლისაგან ნელ-  
სა თავსა ისხმიდეს, და მრავალჯერ ესე ქნას, რომელ სევდაჲ ჩამოზიდოს თავისაგან. და მა-  
შინ ბროწეულისა მკაეისა და ტკბილისა და ვაშლისა, ბეჭესა ჰამდეს.

მადაინური იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ მხურვალთა ზეთთა თავსა იც-  
ხებდეს და ცხვირთა ჩაუწითოს, და ვითა ხირისა და ნარგისისა ზეთსა, და მუშქსა და ან-  
ბარსა უსუნებდეს, და მკავეთა და დალიტთა საჭამადთა ერიდებოდეს, და უზნაჲ გულანგუ-

20 ბინსა თაფლითა წყლითა სმიდეს რომელ სტომაქი და ტვინი გაუძლიერდეს და გასარევე-  
ლი სხვილი გაათხელოს, და გაანქრიოს, და გამოზიდოს, და თაფლისა შარაბი რომელშიგან  
მხურავალი სანულებელი ერთოს ვითა ფაჩარი და ყარანფული და კილაჰონი მას ერგების  
და აქლილალმალიქი და ბაბუნაჯი წყლითა შეაბგალოს და ნელი წყალი მისი თავსა ისხას,  
და მხურვალთა ზეთთა თავსა იცხებდეს კარგად ერგების.

35. თავისა ტკივილი რომელ ნაკრავისგან იყოს. ვითარებაჲ რაჲ ნაკრავისა და ცე-  
მისაგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: ესე მანკი ნაკრავისგან იქნების რომელ თავსა  
სცემოდეს, ანუ მალღისა ადვილისაგან ჩამოიჭრეს, ანუ ვინმე თავსა რაჲე ჰკრას მაგრად, და  
მის ნაკრავისა გზით ეგე ჰკრი გამოჩნდეს.

ნიშანი რაჲ ნაკრავისა და დაცემისაგან იყოს. იგი არს რომელ, თავი  
30 ემძიმებოდეს და დია სტკიოდეს, და ვითა ისარი უფუთქდეს, და ეგების რომელ ცხროცა  
გამოაჩნდეს, და ნიშანი ამისი ნაკრავისა მისაფერად იყოს.

კურნებაჲ მისი რომელ ნაკრავისგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: იგი არს რომელ ყიფალი გაიხსნას და ვარდისა წყალსა თავსა ისხმიდეს, და მორდისა ფურ-  
ცელი და რიამაქი და აყაყიაჲ თბილითა წყლითა შეზილოს და თავსა შემოსდვას, და ბატკნი-  
სა და თიქნისა ტვინსა ჰამდეს, და მხურვალთაგან რომელ თავისა ტკივილსა მოუმატებდეს  
ერიდებოდეს, და ცოტა შაფი საჰონისგან აიპყრას, რომელ მუცელი დაღბეს და ანუ ქაკუნტ-  
ლისა წყლითა და აბეკმაქითა ჰუყნაჲ ქნას, და იის ზეთსა თავსა იცხებდეს. და თუ ტირიფისა  
ფურცლისა წყალსა და სომხურსა მიწასა და ვარდისა ზეთსა თავსა იცხებდეს ერგების, და თუ  
ბუდიითად უზნობდეს შმაგთაებრ, ბალბაჲ და ჰრთილისა წყალი, და იაჲ და ვარდისა ზეთი, და  
40 ცოტაჲ მშარი ერთგან გაპრიოს და თავსა იცხოს და მურღი და სომხური მიწაჲ და ნაძვის  
ფურცელი, და დანაყილი ვარდი ვარდისა წყლითა შეზილოს და თავსა იცხოს, ერგების.

თავის ტკივილი რომელ სულთაგან იყოს. ისაჲ იტყვის: თუ მხურ-  
ვალთა სულთაგან რომელ ქნილ იყოს ვითა მუშქისა და ამბრისა, კურნებაჲ იგი არს რო-  
მელ ციგსა წყალსა თავსა ისხმიდეს, და აყიროასა ზეთი და ანუ იისა ზეთი თავსა იცხოს.  
და მიწყით ნილოჟარსა და იასა უსუნებდეს, და თუ თავის ტკივილი მყრალთა და ავთა





სულთაგან ქნილ იყოს, კურნება იგი არს, რომელ გრილთა და ნედლთა სილსა იხმარებდეს ვითა ქაფურთა და ვარდის წყალთა, და სანდალსა და რასა და ნილოფურსა, და იცხა ზეთსა და ნილოფურისა ზეთსა ცხვირთა ჩაუწითობდეს, და თუ ქალის დედისა სძე აყიროსა ზეთსა გაპიროს და თავს იცხებდეს, და ცხვირთაცა ჩაუწითებდეს ერგების. და თუ თავი მუშბჰართა წყლითა დაიბანოს, ანუ ტირიფის ფურცლისა წყლითა, კარგი არს.

თავის ტკივილი რომელ ისთიფრალინაგან იყოს. ნიშანი და ვითარება რაჲ ისთიფრალისა დაცლისაგან იყოს. ისთიფრალი დაცლასა ჰქვიან დიაციითა და წამლითა, და ხელის გახსნიითა, და სისხლთა დენითა, და რწყევითა და მუცლისა სილბოათა. ამას ყოველთა ისთიფრალი ჰქვიან<sup>1)</sup>.

10 აბუჯარიბ იტყვის: ისთიფრალი დია<sup>2)</sup> სისხლისა დენისაგან იქნების, რომელ ტანისაგან გამოვიდეს ქვეშეო, ანუ ცხვირთაჲთ. ანუ სილბასგან რომელ საზომისაგან ლუროა იყოს, ანუ დიაციითა თანა უფროა მისვლითა.

რაჲ ისთიფრალისგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ ტანი და თავი არ ამძიმებდეს და სინძელე ტანისადა მორეწილ იყოს და ფერად მოყვითლე გვარი იყოს, და ეგების რომელ ბედიტსა უბნობდეს<sup>3)</sup>.

კურნებაჲ მისი რაჲ ისთიფრალისგან იყოს. აბუჯარიბ იტყვის: საჭამადთა ეგეთთა ჰამდეს რომელ ძალსა და სისხლსა მოუმატებდეს, ვითა ერთის წლისა ცხურის ხირცსა, და შინაურსა ქათამსა, და კვერცხსა ამოზაფებულსა, და რაჲცა ამას ჰგვანდეს. და ქალის დედისა სძე და იისა ზეთი, და აყიროასა ზეთი და ნილოფურისა ზეთი ცხვირსა ჩაუწითოს და ფალღადი რომელ ნუშისა ზეთითა შექნილ იყოს, და კალიაჲ ბატქნის ხორცისაჲ, და ნუშისა ზეთი მას დია ერგების, და თუ აცხროვდეს ასფანახისა ურწყაოსა და აყიროსა აქმეფდენ მუნამდე, რომელ ცხრომან დააგდოს და მაშინ ეგების რომელ ხორცი ჰამოს.

20 მასოჯაჲს ძე იტყვის: თავის ტკივილი რომელ დიაციისგან იყოს, კურნებაჲ იგი არს რომელ აღარ მიეახლებოდეს დიაცსა, და თუ ვერ დასთმობდეს მაშინ მივიდეს რომელ არა ექპოსა. მაგრა დია ნუ მივალს დიაცსა თანა. და თუ ხილთა თანა მოუნდებოდეს ბეჰესაგან და ვაშლისა და სხლისაგან კიდე ნურასა ჰამს. და მიწყით ცივითა წყლითა იბანებდეს და იისა ზეთი ცხვირთა ჩაუწითოს და კვერცხისა ყვითელსა ჰამდეს. და ეგეთსა ჰუყნასა უზმიდეს რომელ თირკმელთა ახურებდეს.

მესია იტყვის: თავისა ტკივილი რომელ დიაცსა მისვლასა უკანით იყოს იგი არს რომელ თუ ტანი შექლებით იყოს და ძარღვნი სისხლით საესე და სისხლისა მორეწვისა ნიშანი ცხადი იყოს, ხელი გაიხსნას, და თუ ეგეთი ხილტი სხვაჲ რაჲმე მორეწულ იყოს მუცელი დაუღბოს ეგეთითა წამლითა რომელ მას ხილტსა გამოიღებდეს. და ვარდისა ზეთი და ძმარი და ვარდისა წყალი ერთგან გაპიროს და თავსა იცხებდეს. და ვარდი და ნილოფური და მორდი ერთგან წყლითა შეაგბოლოს და მასსა წყალსა ნელსა თავსა იბნობდეს, რომელ ტვინი თავისა გაუძლიერდეს. და მაძლარი და მშიერი დიაცსა თანა ნუ მივალს რომელ ვამრთელდეს.

30 40 კთ. თავისა ტკივილი რომელ მახმურობისაგან იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ დენისა და მახმურობისაგან იყოს. ისაჲ იტყვის: რომელ მახმურობაჲ დანარჩომისაგან იქნების, უდნობი რომელ სტომაცსა შიგან დარჩომილ იყოს, და წელთა შიგან, და ტანისა ძარღუთა შინა. და ჰირიცა არს რომელ ტვინსა მიხედეს და მაშინ ბუხარი და ორთქლი დვინიამა თავსა გაუხდეს და მოუმატოს.

1) ეს სიტყვა ჩამატებულია არა დედნის ხელით.  
 2) ეს სიტყვა ჩამატებულია დედნის ხელით.  
 3) ამ ვერადის ქვემო აშინაზე რვე ღლთა სთვალავი სწყრიკია" და წენდვ გვერდის ქვემო: შინაზე, იბ"



ნიშანი რა ღვინისაგან იყოს. ვისცა ტვინი ძლიერად და წმინდად ედგას მას თავი მახშრობისაგან არ ასტკივდების, და ვისცა ცოტად სტკივოდეს მახშრობისაგან ტვინისა მისაფერად წაეკიდების. მახშრობაა თუ დიადი იყოს ტვინი მისი და თუ ცოტად ნიშანი მისი იგი არს, რომელ დია სტკივოდეს და თავი და ტანი მძიმედ ედგას.

კურნებაა იგი არს: ისაყ იტყვის: იგი არს რომელ დია იძინოს და ფერხთა და ხელთა ახელიდბდეს, და აბანოს მივიდოდეს და თვილსა წყალსა იბანებდეს, დასაჭამადსა ნარსაჭაბსა ჭამდეს, ანუ ვარისა შინაურსა და ისარიმით შეჭნილსა, და ცოტაა ღვინით დიადსა წყალსა გაურჩოს და სუას. და ხილთა მეთავთა ჭამდეს და ვითა გვითქვამს ესრე იქმოდეს.

10 თავისა ტავილი რომელ ზონსა სინხურავალისაგან ძნილ იყოს: ანუ მხურვალთა საჭამადთაგან ესე ერგების.

თეზით ყურაას ძე იტყვის: მოიჭირვოს რომელ დია დაიძინოს და გაძროს ძილითა, რომელ რააცა ეჭამოს მოიძინოს და თუ ვერ დაიძინებდეს წყნარად იყოს, და საუბრითა შეექციოს თავსა, და თათსა ნელად ახელიდბდეს მუნამდე რომელ შეიგნეს თუ სტომაქი და ასონი მოსუბუქებულან, მაშინ სიქანგუბინი შაქრისა შესუს და თუ მხურვალ ბუნებაა იყოს ესრე ქნას, და თუ მსხვილი და მარტობი იყოს სიქანგუბინი თავლითა შეჭნილი სუას, და მაშინ ცოტარა ხანსა მოიაროს და ნელი წყალი თავსა ისხას, და საჭამადსა სუბუქსა და ნატიფსა ჭამდეს.

20 ჯალინოს იტყვის: ვარდისა ზეთი და ვარდისა წყალი თავსა შესცხოს და იძინოს და თუ სტომაქსა შიგან დანარჩონა ღვინისა იყოს და ბუნებაა შეგშალოს არწყვიოთ თბილითა წყლითა და სიქანგუბინითა, და ბაბუნაჯი და იაა წყლითა შეგაბოლოს და ფერხი და ხელი შიგან ჩადვას, და მას დღესა ნურას ქანს და სალამოსა ეამსა ნელი წყალი თავსა ისხას, და საჭამადსა ნატიფსა ჭამდეს და ტკბილისა და მეთვისა ბროწყულისა წყალი და ისარიმისა წყალი (იყოსა წყალსა გაჭიროს და შესუს. და ვაშლსა და სხალსა ჭამდეს, და საჭამადსა თიქნის ხორცსა და თევზსა ახალსა წვრილსა იხმარებდეს.

30 თავის ტავილი რომელ ბუჰანისაგან ძნილ იყოს. ვითარებაა მისი რაა სნებისა ბუჰანთაგან ქნილ იყოს. აბუჯარიბ იტყვის: ვითარებაა მისი მისგან არს, რომელ სნეულისა ბუნებაა ეცდებოდეს, ხილტები რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს, ზაფრაა და სევდაა, სისხლი და ბალღამი, რომელიცა მანკისა სათავენოა ყოფილ იყოს ტანისაგან გამოზიდოს.

ნიშანი რაა ბუჰანისაგან იყოს. იგი არს რომელ თუ მანკი სნეულისა ზაფრისაგან ქნილ იყოს, ანუ სისხლისაგან დია ძნელად სტკიოდეს, და ვითარი ისარი ფეთქდეს, და თუ სევდისაგან ანუ ბალღამისაგან ქნილ იყოს ტკივილი უმცროა და უღბოასი იყოს.

კურნებაა მისი რომელ ბუჰანისაგან იყოს. აბუჯარიბ იტყვის: აქიმასაგან ხამს რომელ ბუჰანი კარგად შეატყოს, თუ ბაგენი ეძვროდენ და თავი მძიმედ ჰქონდეს, და გული ეშლებოდეს სარწყევლად იცოდეს რომ ბუნებასა სწადიან, რომელ მას ჰავისა მანკისა სათავენოა, რომელ სნებაა მისგან ქნილ იყოს, სწადიან რომელ რწყევითა კიდე გააყენოს ტანისაგან, მაშინ აქიმან ბუნებასა უშეგლოს ეგეთითა წამლითა რომელ სარწყევლი იყოს, ვითა თბილი სიქანგუბინი და ცერეცოას წყალი, და თაფლი ჯულაბი, და თუ ხედვოდეს რომელ ქარი ყურყურებს სნეულისა მუცელსა, იცოდეს რომელ ბუნებაა მას ნანქსა ქუეშე ვერძოა გააყენებს. მაშინ ბუნებასა უშეგლოს ეგეთითა წამლითა რომელ მუცელსა დააღბობდეს ეგეთითა წამლითა, ვითა ტყემლისა შარაბი და იისა შარაბი დათამრი ჰინდისა შარაბითა და ხუთისა დრამისა წონი შირიხითი გაურჩოს. და თუ ხედვიდეს რომელ სნეულსა ქუეშე გვერდთა ემძიმებოდეს, ანუ თირკმელისა სიახლესა, იცოდეს რომელ ბუ-



ნება მას მანკსა და ხილტსა რომელ სნეულებად მისგან ქნილ არს ფსლითა გასდევნის ძა-  
 შინ უშველოს სნეულსა სიქანგუბინითა რომელ შიგან ორისა დრამის წონა ზესვის თესლი  
 და დრამისა წონი ერთი კიტრისა თესლი ქნილ იყოს შესუას რომელ ბუხარი უკუაყენოს,  
 და ფსელი გადინოს და თუ სნეულთა თეალთა წინა წითელი და ყვითელი რაამე იარებო-  
 დეს და ეჩვენებოდეს იცოდეს რომელ ცხვირთაათ სისხლისა მოსვლისა ნიშანი არს, მაშა  
 ცხვირი დააცემინოს ძმრითა. და თუ მაჯასი სნეულისა ზვირთული იყოს და ტყავი ლბი-  
 ლაჟ ედგას, ეგეთა რაჟ უბრძანოს რომელ ოფლი გამოაცემიან. რაჟ ესე ხილტი ტანისაგან  
 გამოვა გამრთელდების შეწყენითა ღმრთისათა.

**ლ. თავისა ტივილი რომელ სტომაქისა სიმხუჯვალითა იყოხ.** ვითარებაჲ მისი:  
 10 მასარჯოჲ იტყვის: ვითაესე მანკი ორფერად იქნების: პირველ მით რომელ სტომაქი  
 მუერვალ ბუნებაჲ იყოს, მეორე ზაფრისა მორვენისაგან და სიფიცხე მისი რომელ სტომაქი  
 გაახურვოს მან და ბუხარი თავსა გაუხდეს.

რაჟ სიმხურვალისაგან იყოს ნიშანი იგი არს: რომელ ძნელად სტკივოდეს  
 და თავსა ბრუჲ ესმოდეს და რაჟ, სტომაქი ცარიელი იყოს ტკივილი დასწყნარდეს, და რაჟ  
 მხურვალი ჭამოს ასტკივდეს.

კურნებაჲ მისი რაჟცა სტომაქისა სიმხურვალისაგან იყოს. მა-  
 სარჯოჲ იტყვის: იგი არს რომელ სტომაქი მის მანკისაგან რომელ სათაენოჲ არს ამის  
 კირისა დასცალოს, და მრავალჯერ არწყიოს სიქანგუბინითა თფილითა და ცერეცოასა წყ-  
 ლითა, და თბილითა ჯულაბითა, და თავლისა წყალსა სმიდეს და სრულიად დაცალოს სტო-  
 20 მაქი მანკისაგან, რომელ ტკივილი დაუშვას. მერმე ვაშლა და ბეჟეა და ბროწყელისა მცა-  
 ვესა და ტკბილსა ჭამდეს, და საქამადა ისრინისა და ბროწყელისასა ჭამდეს.

იოჰანა იტყვის: თუ სტომაქისა სიმხურვალე ზაფრისაგან იყოს არწყიოს, რომელ  
 სტომაქი გაწმედეს, და სიქანგუბინისა და თესლსა ესრე იხმარებდეს, არდისა თესლსა და ბარ-  
 შანისა და შაბთარასა თესლი, და ვარდის ფურცელი თვითთასაგან ათისა დრამისა წონი  
 ყველაჲ ოთხსა ლიტრასა ძმარსა და ორსა ლიტრასა წყალსა შიგან ნელითა ცეცხლითა  
 შეაბოლოს, რომელ ნახევრად გახდეს, და მაშინ სამი ლიტრა თეთრი შაქარი შიგან გაურ-  
 თოს და თხუთმეტსა დრამის წონსა მისგნით სმიდეს. და ამის ტილესა შენოსდებდე ვითა-  
 რებაჲ მისი: ვარდი და სანდალი და ყაყია და სომბური მიწა და ჰუტუტი ყველაჲ დანაყოს  
 და მურდისა წყლითა შეწილოს, ანუ ვარდისა წყლითა და თავსა შემოსდვას, და უზნოჲ  
 30 ბეჟესა ჭამდეს და პურსა ტკბილსა და მთაისა ბროწყელისა შიგან დააღობოდეს და ჭამდეს.

აბუჯარაჲ იტყვის: რაჟ თავისა ტკივილი ძნელად იყოს და მიწყით ისარივითა  
 ფეთქდეს ზაფრისა სიფიცხისაგან იქნების, რომ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს. მეტად  
 მაშინ რომელ მაშინ უფროჲ სტკივოდეს რომელ სტომაქი ცარიელი იყოს, და ნამს ეგრე  
 რომელ პირველ სტომაქი გაწმიდოს რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს, მუცელი დაუღობონ, მა-  
 შინ ტვინსა ძალი მისცეს. მურდისა ზეთი და ვარდისა ზეთი თავსა იცხოს, და სანდალსა და  
 ქაფურსა უსუნებდეს, და რვეასისა შარაბა და ბროწყელისა შარაბსა ჭამდეს ერგების.

**თავის ტივილი რომელ სტომაქისა სისუსითისაგან იყოხ. ვითარებაჲ მისი.** მასოჲაჲს  
 ძე იტყვის. რომელ სტომაქისა უსუსურობაჲ საქამადთაგან იქნება რომელ ხსიათი-  
 თა დაასუსაუბს სტომაქსა, ანუ იხლატისაგან, ანუ თვით დაბადებდგან უსუსური იყოს.

40 ნიშანი რაჟ სისუსითისაგან იყოს. იგი არს რომელ დილას მომშვევისა ემსა  
 ასტკივდებოდეს, და რაჟ ცოტად ჭამოს დასწყნარდეს, და რაჟ დია ეჭამოს ბუხარსა იქნოდეს  
 და ასტკივდეს.

კურნებაჲ მისი რომელ სისუსეთისაგან იყოს. მასოჲაჲს  
 ძე იტყვის: იგი არს რომელ დილას ხალი შაქრითა ჭამოს, და ხილსა ეგეთსა  
 ჭამდეს რომელ სტომაქსა გააძლიერებდეს, ვითა ვაშლი და ბეჟე და ტკბილი და მთავე ბრო-



წეული, და რააც ამას ჰგავდეს, და თუ ესე მანკი ბაღმისაგან ჯნელ იღოს რომელ სტომაქსა შეეკრიბო იყოს არწყვიოს, და სტომაქი ამით საბრისა ჰაბითა გაწმიდოს. ვითარებამა ესისი პალილაჲ ქიბულური და თურბიდი თვითოასაგან ნახევარ, დრამისა წონი, ვარდისა ფურცელი და მასთაქე თვითოასაგან დანგისა წონი და ნახევარი საბრი დრამისა წონი და ნახევარი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი ჰაბად შექნას და დაწოლისა ყამსა უქინა ჰამოს, და დილასა ეარიჲ მუხუდითა და ასუანასითა შექნილი ჰამოს.

10 ი ბნი მასა იტყვის: თუ სტომაქისა სისუსთე უღნობისა საქამადისაგან ჯნელ იყოს, ვაშლისა გვარიშნი ესეთი იხმაროს, ვაშლი არცა მეფე არცა ტკბილი, ნწიფე ქერქი და გული დააგდონ, და ერთი ლიტრა მისგან სუნელითა ღვინითა შაბგოლონ, და ლიტრა ერთი თა-  
20 ფლი გაუროს, და პილპილი და დარაპილპილი და ყარანფული თვითოასაგან დრამისა წონი ზანჯაბიდი ოთხი დანგი, ზაფრანი ექვსი დრამი, ჰინდოური ალვაჲ ხუთისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი და გაცრილი თაფლსა გაპრიოს და ცეცხლსა შეწოსდვას რომელ დია გამაგრდეს, მაშინ ცეცხლისაგან ჩამოიღოს და ტაბაკსა ზედა დაასხას და გაათხელოს და ცოტად დაჭრას დანითა, და ჩრდილითა გაახმოს და შეინახოს, რომელ რაჲ მოცხმაროს მუ-  
30 ნით სამისა დრამისა წონი იხმაროს, რომელ სტომაქი გააძლიეროს და უღნობი და ელდაჲ გარდაიღოს და ტვინი გააძლიეროს, სტომაქისა სისუსთესა ამის გვარიშნისაგან უკეთ არა ერგების და ალვისა გვარიშნიცა კარგი არს.

ლა. შაჰიჰისა ტკივილი ნახევარ თაჰისა აგს. ვითარებამა მისი რომელ სიმ-  
ხურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: იგი არს რომელ თავისა ნახევარი სტკიო-  
20 დეს სიგრძითა თუნდა მარჯვენით გინა მარცხნით, და რააცა სიმხურვალისგან სტკიოდეს სისხლისა მორგენისაგან იქნების ანუ ზაფრისა სიფიცხისაგან.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს რომელ ოთხგნითე თავი ფე-  
თქდეს, და იგი კერძი რომელ სტკიოდეს მხურვალედ ედვას დია, და რაჲ გრილსა შეშოს-  
დებდენ ელხინებოდეს, და ბირი მისი წითლად იყოს ანუ ყვითლად.

კურნებამა მისი რაჲ სიმხურვალით იყოს: იოჰანა იტყვის: კურნება  
იგი არს რომელ ყიფალი გაიხსნას, და საბრისა ნაყითა მუცელი დაიღბოს. და შაქარი და ქინ-  
ძი ერთგან გაპრიოს და დანაყოს, და უზნაჲ მისგან იხმარებდეს, და იფიონი და გომიზი და  
ანზარუთი ვარდის წყლითა აგანსა შიგან გაგალოს და საფეთქელსა შემოსდვას. და თუ იფი-  
ონი ვარდის ზეთითა გაადნოს და მუნითე რომელ სტკიოდეს ცვარი ერთი ყურსა ჩაუწითოს  
30 ერგების. ანუ დანგი ერთი ქაფური ქალის დედისა სძითა დააღბოს და ცხვირთა ჩაუწითოს.  
და ცოტაჲ თუთუბოჲ ვარდითა გაგალოს და ტკივილისა ადგელსა შემოსდვას, და რააცა  
თავის ტკივილსა რომელ სიმხურვალისგან იყოს ავნებდეს, მასცა ავნებს.

რუფის იტყვის: რომელ ყველასა ტკბილსა და ფიცხელსა და ჭირისა ნახვასა და  
სიმღვიძარესა და სიმშლია და სიმძვანსა ერიდებოდეს. და საით სტკიოდეს მუნით ყიფალი  
გაიხსნას და ტყემალისა შარაბითა და შაქრითა მუცელი დააღბოს, და თუ თვით ლბილად  
იყოს ბროწეულისა და ვაშლისა შარაბსა ჰანდეს, რომელ თავისაგან ორთქლი ჩამოიღოს  
რომელ ერგების. და ხაშხაშის წყალი ხავარტის წყალსა გაპრიოს და მრავალჯერ თავსა ის-  
ხას და მაშინ აბანოს ნივიდეს და თავი მრავალჯერ ნელითა წყლითა დაიბანოს. და სიჭე-  
მალსა აღარდნისა და ისრიმისა ურწყოასა ჰამდეს.

40 მასაჲს ძე იტყვის: ესე მოტბახი ჰამოს ბადარავიქი და შაჰთარაჲ და საბრი  
თვითოასაგან დრამისა წონი, თურბიდი ნახევარისა დრამისა წონი, შაჰში ჰანტალი დანგი და  
ნახევარი, საყნონიჲ ყურატი, ყველაჲ ლიტრასა წყალსა შიგან შეაგბლოს რომელ ნახევრად  
მოვიდეს. და თუ შეეძლოს ერთობით შესჯას, და ტირიფისა ზედა ცხვირითა და ყურთა  
ჩაწითოს ერგების, შეწეწითა და მადლითა ლმრთისათა.

შაყიყაას ტკივილი რომელ სიგრილისაგან იყოს. ვითარებაა რაა სიგრილისაგან იყოს, დევჯანის იტყვის: რომელ ამის მანკისა ვითარებაა რაა სიგრილისაგან იყოს იგი არს რომელ ბაღლაში და სევდად მოპრიოს ბუნებასა და თავისა ცალკერძა შეყრილ იყოს, ანუ პავთა ორთქლთა მისთავან, რომელ შეყრილ იყვნენ.

ნიშინი მისი რაა სიგრილისაგან იყოს: იგი არს რომელ ლბილად სტკიოდეს რაა ხელი დასდევან ჭირისა აღვილსა ცივად იყოს და რაა ტილე შემოადვან ელხინებოდეს.

კურნებაა იგი არს. დევჯანის იტყვის: რომელ ლარლასა ქნას ეგე გჭარითა რომელ ბაღლაშა დააკლებდეს, და პირი წყლისა ბუნართა მიუპარას, და თავი მოპარსოს, და ტრედისა სკინტლი და დანაყილი სპანძელი წყლითა შეზილოს და თავსა შემოსდევს. და თუ დრამისა წონი ხაზდისა გული და ერთისა დრამისა წონი ფარფიონი და ყურატი ერთი ზეშეი და ზეთის ხილისა ზეთი გაგალოს და მუნთაყე, რომელთა სტკიოდეს ყურსა ჩაუწოთს. საჭამადსა მუხუდისა წვეწმა და კალიაჲსა აბეკმაქითა ჭამდეს და მძიმეთა და უდნობთა საქამადთა ვრიდებოდეს. დია ნუ ჭამს საჭამადსა და მაძარსა ნუ დაიძინებს, და სიშორვალესა ეკრძალოს თუ სიშორთელე უნდეს.

აბკელანის იტყვის: გულანგუბინი ზანჯაბილსა გაპრიოს და იხმარებდეს, და მუცელი დაილბოს, და თუ სუნბული და მასთაყე დანაყოს და გულანგუბინსა გაპრიოს და ზუნმოძან ჭამოს სიგრილესა გახსნის, და ბაღლაშთა გაადნობს. და სიჭანგუბინითა ლარლარა ქნას, და სონიჯი და ხირისა ზეთი და იასამინისა ზეთი ერთგან გაგალოს და თავსა შემოსდევს და მჭავეთა და მძიმეთა საქამადსა ვრიდებოდეს და ცოტასა ჭამდეს.

მასარჯოჲა იტყვის: ძირთა წყალი ესრე იხმაროს ნიახურისა და ბადიანისა ძირი თვითოჲსაგან ათი დრამისა წონი აღხარის ძირი სამისა დრამისა წონი ანისონი და მასთაყე თვითოჲსაგან ათი დრამისა წონი, ბადიანისა და ნიახურისა თესლი თვითოჲსაგან სამი დრამისა წონი, ნახუნალი ორი დრამისა წონი, ყველა ოთხსა ლიტრასა წყალსა შიგან შეაგბოლოს რომელ ნახურად შეიქნას და მაშინ დაწუროს ოთხისა დრამისა წონი იარაჲ გაპრიოს და ოთხი უკაჲ შესუსას ერგების.

ლბ. თავისა ძნებაა კომფლსა ჰფვიან არაბულად დავბარი. ვითარებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. ჰუნაჲნ იტყვის: ამის მანკისა შექნაჲ პირველი დია ჭამისაგან იქნების, მეორედ ხაფრისა მორვენისა და სიბნელისაგან იქნების რომელ თავისა ძარღვთა შიგან შეეყაროს და გამავრდეს და ეგების რომელ მხურვალთა ორთქლთაგანცა იყოს.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. ნიშანი მისი რომელ სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ თვალი წითლად ედვას და ეწუოდეს, და ძარღენი აღგომილნი და სისხლითა საფსენი იყვნენ, და ნიშანა მავისი რომელ ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ გული ჰბნდებოდეს და ბუნებაჲ პავად იყოს მისი.

კურნებაა რაა სიმხურვალისა და სისხლისაგან იყოს. ჰუნაჲნ იტყვის: იგი არს რომელ ყიფლი გაიხსნას და წვივთა ჭიქაჲ მოკიდლოს, და ვარდისა ზეთი და ვარდის წყალი და ძმარი ერთგან გაპრიოს, და თავსა იცხოს. და ვარდის წყალსა და სანდალსა და ქაფურსა უსუნებდეს. და რაეცა ამის სისხლსა დააწყნარებდეს ვითა ნარსაჭი და ისრიმის წყალი და მწნილსა და მუხადარსა ჭამდეს, და ბარზაქატუნისა ლუაბსა და შაქარსა ჭამდეს ერგების, და რაეცა ზაფრისგან იყოს იგი არს რომელ სიჭანგუბინითა და თბილითა წყლითა არწყიოს, და პალილასა მატბუნსა ჭამდეს და მიწყით ბროწყელისა წყალსა იხმარებდეს.

არხიჯანის იტყვის: კურნებაა მისი რაეცა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ რწყევასა უკანის ერთი შარბათი ყოყიამაჲ პაბი ჭამოს და რაეცა ზაფრისაგან <sup>1)</sup> იყოს იგი

1) შეცდომაა უნდა იყოს „რაეცა სისხლისაგან“.



არს რომელ ხელი გაიხსნას ანუ ჭიქა მოჰკიდოს, და ტყემლისა შარაბითა ნუცელი დააღ-  
ბოს, და თუ ნუცელი ღბილად იყოს ტკბილისა და მეფისა ბროწყელისა წყლისა და მიწმი-  
შისა წყალი და სიქანგუბინი სადაგი სტას, მყინვართა გავრილებული, და ბროწყელისა შა-  
რაბი და ბეჭესა შარაბი მას დია ერგების. და ქაფური და ვარდის წყალი და სანდალსა  
თავზე იხსნიდეს და სიმზურვალესა და ფიცხელთაგან ერიდებოდეს და დიაცსა და სიმზილ-  
სა და სიმღვიძარესა და ჭირის ნახევსა ერიდებოდეს და ისრინისა და თუთუბისა ურწყოსა  
ჭამდეს.

10 ფოლოს იტყვის: თუ მზისა სიციხისაგან ქნელ იყოს ვარდისა ზეთი და ძმარი  
იყოს, და საჭამადსა უკანით დია დაეცემოდეს, ბოლოკისა წყლითა და სიქანგუბინითა  
არწყოს, და მაშინ ცოტა ტარეული ჭამოს და გულან გუბინი ალვასა და ნასტაქსა  
გაჭრიოს და ჭამოს, რომელ სტომაქი გაუძლიერდეს და საჭამადი მოიღწოს და ერგოს.

ვითარებაა ნისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. (ნუჰამედ 1) იტყვის:  
ესე მანკი რაჲ სიგრილისაგან იყოს ბალღისაგან იქნების, რომელ თავისა ძარღუთაგან შეი-  
ყაროს და შიგან დასწყნარდეს, და ეგების რომელ თავისა უსუსურობისაგან იყოს, რომელ  
თვით ეგრე დამადებული იყოს.

ნიშანი ნისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. თავისა სისუსტისა ნიშანი იგი არს  
რომელ მიწყით შტკივანი იყოს, და ყურსა შიგან ხმაჲ ჩიჭრეს და თვალი ცხენულებოდეს, და  
ნიშანი მისი რომელ ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ დია დაიძინებდეს და ბნელ ფერი  
იყოს და თავი ემძინებოდეს.

20 კურნება რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარისძე იტყვის.  
ესე მანკი რაჲ სიგრილისა და ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ მლაშე თევზი და ბო-  
ლოკი და სპანძელი ჭამოს და უკანის ცერცოასა წყლითა არწყიოს და სიქანგუბინითა და  
ნელითა წყლითა, რომელ ხილტი და მანკი შეძრას და სტომაქი გაწმდეს. და მაშინ ყოველთა  
დღეთა ტარეულსა ჭამდეს და გულანგუბინსა ანუ მას თაქესა და საჭამადსა კალიასა ჭამ-  
დეს თიქნისა და ბატკნისა ბორკითა შექნილსა, და ღარღარასა იქმოდეს ეგეთითა წამლითა  
რომელ ბალღათა ჩამოიღებდეს, და მუშქსა და ღალიასა უსუნებდეს.

მესიაჲ იტყვის: რაჲცა ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ ზანჯაბილსა გაზრ-  
დილსა და გულანგუბინსა ფაჩრითა და მასთაქითა ჭამდეს, და სიქანგუბინითა და ქონდრითა  
ღარღარაჲ ქნას, რომელ სინეღლე ჩამოიღოს ტყინისაგან. და ბაბუნაჲ და პიტნაჲ და სისან-  
30 ბარი წყლითა შეავბოლოს და ხელი თავსა შემოსდვას. და მზურვალთა ყუველთა უსუნებდეს.

ბაყრატი იტყვის: კურნებაჲ მისი რომელ თავისა უსუსურობისაგან იყოს იგი არს  
რომელ, მუცელი დააღბოს ეგეთითა რომელ ჰავთა ბუხართა საეით ჩამოზიდვიდეს. და თუ  
შეეძლოს ყიუალი გაიხსნას და ღარღარაჲ ქნას მით რომელ გვითქვავს, და ჰამოთა სურნელ-  
თა უსუნებდეს ვითა ალვად და სანდალი და ნარგისი. და გამსანელთა წყალითა თავსა იხსნი-  
დეს ვითა ბაბუნაჯისა წყალსა და აქლილალმალქისა და სისანბრისა და მარზანგოზისა და  
ტავანისა და რაჲცა ამით ჰგვანდეს, ყველაჲ ერთად შეავბოლოს და წყალსა მისსა ნელსა  
თავსა იხსნოდეს დია ერგების, და რაჲცა უნდეს საცხებელი იცხებდეს, და საჭამადსა კალა-  
სა ჭამდეს ბატკნის ხორკითა და მზურვალთა სანელებლითა შექნილსა.

40 **ღმ. მასდარი რიჰაჲ სიმზურვალისაგან იყოს.** მადაინი იტყვის: რომელ ესე მანკი მით შეეჭ-  
ნების რომელ ზაფრად ტყინსა წინა შეიყაროს და მოკრაოს, ანუ ზაფრასა ორთქლისაგან იქ-  
ნების რომელ სტომაქისაგან ტყინსა გაუხდეს, და ტყინისაჲ პირის პირ გამაგრდეს.

ნიშანი რაჲ სიმზურვალისაგან იყოს. მადაინი იტყვის: კურნებაჲ  
მისი იგი არს რომელ არწყიოს. რომელ სტომაქი ზაფრასაგან გაწმდეს, მაშინ ვაშლისა რუბი

1) მუჰამედ ზაქარისძის ძე.

და ისრინისა რუბი და ბროწეულისა წარაბი იხმაროს, რომ სტომაქი გაძლიერდეს. და თუ მანკი მოჩრულ იყოს უმჯობესი იგი არს, რომელ შემგბრითა დალიაათა მუცელი დაიღობოს ანუ დელამოტის წყლითა. და ბროწეულისა წყალი და კარკატოასა თესლისა წყალი, ანუ თამბარინდისა წყალი და სიქანგუზინი, და ტყემლისა წყალი და ჯულაბი იხმაროს, და მკაეგსა და ტკბილსა ბროწეულსა ჭამდეს და იასა და ნილოფარსა უსუნებდეს კარგი არის.

3) ჰუნაან იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ იგი არა რომელ ყვითლითა პალილაათა და იითა და შირახიშითა მუცელი დაიღობოს, და საჭამადსა ისრინისა ურწყოასა და აღარდენსა და ნარსაქსა ჭამდეს, და თუ მანკისა დედაჲ სტომაქისაგან იყოს ცერეცოასა წყლითა არწყვიოს და სტომაქი რწყვითა გაწმინდოს, და თუ მანკი ძლიერად იყოს, პალილაასა მატბუ-

10 ხითა მუცელი დაიღობოს ესრე: პალილაჲ ყვითელი უგურკოჲ თსუთმეტისა დრაჰმისა წონი, შავი ტყემალი ოცდაათი, უნაბი ოცი მარცვალი, სეფსათონი ოცდაათი მარცვალი, ჩამიჩი ხორასნული უგულოჲ ოციისა დრაჰმისა წონი, ბადეარდი სამისა დრაჰმისა წონი, ბადიანისა და ანისონისა თესლი თვეითაგან დრაჰმისა წონი ყველაჲ გაუცრელი დანაყილი ხუთითა ლიტრითა წყლითა შემგოლოს, ცხრე რომელ ლიტრაჲ ერთი დარჩეს და მაშინ გაწმინდოს და დრაჰმისა წონი იარაჲ ფეყრაჲ შივან ჩაურთოს, და დანგი ერთი საყმონიაჲ და ნელი ცისკრისა ეჟსა შესეს.

მასდარი რომელ სიგრილისაგან იყოს. ვითარებაჲ მისი. როფის იტყვის: ესე მანკი მით შეიქნების რომელ დიდი ბაღლაში ტყინსა პირისპირ შეიყაროს და გაძლიერდეს, ანუ სქელი ორთქლი იყოს, და ბაღლაში რომელ სტომაქისაგან გამოვიდეს და ტეინსა წინა დამკვიდრდეს.

2) ნიშანი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს რომელ ასონი ესუსთებოდინ და ნეტად მაშინ რომელ მანკი ძლიერად და ნორეენილ იყოს. და ამის მანკისა პატრონი რაჲ შემქირნე გჭარად წეიქნას, და თუ მანკისა დედაჲ სტომაქისაგან იყოს საჭამადსა არ მოიდნობს 1).

როფის იტყვის: კურნებაჲ იგი არს რომელ: იარაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღობონ ანუ ყოყიასა ჰაბითა ესრე: იარაჲ ფეყრაჲ და თეთრი თურბიდი ღრუჲ თვეითაგან ხუთისა დრაჰმისა წონი, პალილაჲ ყვითელი და ჰაბულური უგურკო და ბადიანისა თესლი თვეითაგან დრაჰმისა წონი, ჰინდოური მარილი მუთყალი ერთი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი ნიახურისა წყლითა შეზილოს და ჰაბად შექნას, და ჩრდილითა გააშროს და რაჲ უნდეს სამისა დრაჰმისა წონისა იხმარებდეს, და მაშინ აღვისა წარაბი შესეს და მუშქსა, და ლილისა და მარზანგოშა უსუნებდეს.

3) ისაკ იტყვის: მუცელი დაიღობოს საბრისა ჰაბითა და მანკისა დედაჲ ჩამოვიდეჲ, და აქლილაღალიქი და ბაბუნაჲ, დრაჰმინაჲ და ტაგანი ერთგან შემგოლოს და ნელი წყალი მისი თავსა ისხას ერგების. და საჭამადსა შინაურსა ვარისა ჭამდეს მუხუდითა ანუ კალიად შექნილსა და სქესა და ნაწონსა და გრილთა საჭამადთა ნრიდებოდეს. და თუ მანკი ბაღლაგან ქნილ იყოს, რომელ სტომაქსა შივან შეყრილ იყოს ჯალინოსისა იარაჲ ანუ შაბიარისა ჰაბი ანუ პალილაჲსა მატბუხი იხმაროს. რომელ სტომაქი გასარეველისა პავისაგან გაწმინდეს, და მასტაქესა ცოხხიდეს და სიქანგუზინი თესლითა შექნილი იხმაროს:

4) თემათ ყურაჲს ძე იტყვის: ეგების რომელ ესე მანკი სევდისაგან ქნილ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ არ დაეძინებოდეს და თვალთა წინაჲ იოტი შავგუარი ეწვენებოდეს.

კურნებაჲ იგი არს. რომელ ყოყიასა ჰაბითა მუცელი, დაუღობონ და ქონდარსა და მარზანგოშსა და შიპასა და ლარისა ფურცელსა ერთგან შეავბობდეს და პირსა მისსა

1) ამ გვერდის ქვემო აწიხზე რუგულთა სათვალავი სწერია „იბ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აწიხზე „იგ“.



ორთქლსა მიუპყრობდეს და თავსა ნისითა წყლითა დაასოვლებდეს და მხურვალთა სურ-  
ნელთა უსუნებდეს ვითა მუშკთა და ანბართა.

**ლ. სასახი რომელსა ჰქვინათა თაჳსი.** თუ სიმხურვალისაგან იყოს, ვითარებაჲ მისი.  
ისაჲ იტყვის: სიმსივნისაგან იქნების რომელ ტვინისა ფარდაგთა შუა გამოჩნდეს სის-  
ხლისა მორევნისა და სიმხურვალისაგან, ანუ ზაფრისა სიფიკნისაგან, და ანუ სიმხურვალისა-  
გან რომელ ამათ ორთაგანეუ იყოს რომელ ტვინსა შეუხდენ და ფარდაგთა მისთა შიგან  
მივიდენ.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისა და ზაფრისაგან ქნილ იყოს.  
იგი არს რომელ მიწყით აცხრობდეს და თავი და თვალნი და პირი წითლად ედგას; და  
10 მუჯასი სისხლითა სავსე იყოს, რაჲცა ზაფრისაგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ პირი  
ყვითლად ედგას და ტკივილი ვითა ისარი სცეპდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. ისაჲ იტყვის: რაჲ-  
ცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ყუთალი გაიხანას და ძმარსა და ვარდისა წყალსა  
თავსა ისხმიდეს. და ლბილითა ჰყუნითა მუცელი დაიღბოს. დასაჭამადითაგან ქრთილისა  
წყალი იყოფინოს და ისრიმისა წყალი, და უნაბისა ნაყი და ამისაჲ მუჯანსა იხმარებდეს  
და რაჲცა ზაფრისაგან იყოს იგი არს რომელ ყოველთა დღეთა უზნაჲ ტყ მლისა წყალსა სმი-  
დეს და უკანის ქრთილისა წყალსა, და შუა დღეკიტრისა და აჟიროსა წყალსა და სილაპო-  
ასა ეამსა ბარძაყატუნისა ლუბი და ლამით პური და ბროწყელისა წყალი შაქრითა, და  
ცივისა წყალსა იხმარებდეს.

20 თემით ყურაჲს ძე იტყვის: ხელი გაიხანას და იისა შარაბითა მუცელი და-  
იღბოს, და თუ მანკი ძნელი იყოს შუბლისა ძარღვი გაიხანას, და ცხვირთა სისხლი იდინოს  
და ვარდისა ზეთი თავსა იცხოს, და თუ სნეული ბედითა უზნობდეს და არ დაეძინებოდეს  
ესე წამალი იხმაროს, ესრე: ხმელი იაჲ და ხაშხაშისა ქერქი და ქრთილისა დანაყილისა გული  
და ხეარტისა ძესლი, და ცერეკოასა ძირი თვისთოსაგან პეეში ერთი ყველაჲ წყლითა ეგ-  
დენი შეაგბოლოს, რომელ წყალი მისი გაწითლდეს და ნელი თავსა ისხას და იისა ზეთი  
ქალის დედისა სძითა მიწყით თავსა იცხოს ერგების.

მესიაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხაშხაშისა შარაბითა და ტყემ-  
ლისა შარაბითა მუცელი დაიღბოს, და თუ მანკი ლეძილითა იყოს და არ დაეძინებოდეს,  
უკიაჲ ერთი ბარძაყატუნისა წყალი ხაშხაშისა წყალსა გაურის და შეაგბოს რომელ გაერ-  
30 თდეს, და იხმაროს, და თუ აისაი არაჲ თარგმანი მეცხოვრეთა არგანი, და ქრთილი და ნი-  
ლოფრისა ფურცელი და ბაბუნაჯი, და ხაშხაშისა ქერქი და თესლი და ხეარტისა თესლი  
თვისთოსაგან ოთხი დრამისა წონი ერთგან შეაგბოლოს, და მისისა წყლისაგან ნელად თავსა  
ისხმიდეს ერგების შეწყვენითა ღმრთისათა.

თავქედი რომელ სიგრილისაგან იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისა-  
გან იყოს. ნიშანი მისი იგი არს რაჲცა ზაფრისაგან იყოს, იგი არს რომელ გრილად იყოს  
და რაჲ გრილად იყოს ბალღმისაგან იქნების. ანუ სევდისა მორევისაგან რომელ ტვინისა  
ფარდაგთა შინა შეყრილი იყვნენ, და ეგების რომელ გაუსივდეს მაშინ მეტად, რომელ მან-  
კისა სათაენოჲ ძლიერად იყოს.

ნიშანი რაჲ სიგრილისაგან იყოს: რაჲცა ბალღმისაგან იყოს იგი არს  
40 რომელ მოტაბაყი ცბროჲ მოვიდოდეს და ცხელად და მხურვალედ არ იყოს, და სნეული  
მკვდრისაებრ იდგას, და ეგების რომელ თვალთა აიხსნიდეს და იქნების რომელ ძლიე აიხს-  
ნიდეს, და რაჲცა სევდისაგან იყოს ფერად შავგუარი იქნების.

კურნებაჲ რაჲცა სიგრილისაგან იყოს: ფოლის იტყვის: ესე მანკი  
რაჲ ბალღმისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სამსა დღესა სნებისა დასაწყისსა



ძმარსა და ვარდის წყალსა, ასმიდეს და ცოტა ხაზდისა გული შიგან ურთოს, და სისხნბარი და პიტნა და ნაყონ და ღვინთა და ასოვლონ და აფესა და სდენ და ქურჭურთა <sup>1)</sup> და ხაზდის გულითა ცხვირთა და აცემიოს, და ჰყუნა უყონ შაჰი ჰანტალითა და ქურჭურთა ბითა რომელსა ჰქვიან ქურჭურთა მასფარი და კურნება მისი რაჟა სევდისგან იყოს იგი არს, რომელ ჰყუნა უყონ ესრე გამოცდილი არს ჩვენგან, შაჰიჰანტალი და აფთიჰონი თვითმასაგინ პევი ერთი, ბასბასადორი პევი პიტნაჟ კონაჟ ერთი ყველა წყლითა შიგანბოლოს და ბაბუნაჟა ზეთითა ჰყუნა უყონ, და ნარგისისა ზეთი და სოსანისა ზეთი ნელი თავსა იცხოს და ცხვირთა უწითოს და თავლწყალსა სმიდეს.

10 დევჯანის იტყვის: სნებისა დისაწყისსა მხურვალი ჰყუნა, უყონ და მისრული აბი და ბალადურისა ჰაბი აქაჰონ, და ძველი გულანგუბინი და ხანჯაბილსა გჭარიშნი კაჰოს, რომელ თავის ტვინი და სტომაქი გაუძლიეროს და თავლისა შარაბი რომელ მხურვალითა სანელბლითა შექნილი იყოს სმიდეს, ერგების და ბაბუნაჟ და აქლილამალიქი და სისანბარი და მარხანგოში, და რაჟა ამათ ჰგვანდეს წყლითა შიგანბოლოს და თავსა იცხებდეს და ტფილსა ზყოსა იცხებდეს თავსა ვითა ხირისა ზეთი და ნარგისისა ზეთი ცხვირთა ჩაუწითოს, და მხურვალთა სტრნელთა უსუნებდეს.

ბაჟრატ იტყვის: ამათ მანკთაგან რაჟა ტვინსა მიხედეს საჰისა დღისა მეტი არა იქნების, და რაჟა ტვინაჟ ფარდავთა შიგან იქნას საჰიშოჟ არს, და რაჟა ტვინისა გარეთ იქნას ადვილი არს.

20 ლ. სუბათი თარგმანი დაძინებაჟ მიძიდ ვითარებაჟ სუბათისა. ბაჟრატ იტყვის: ესე მანკი მით შეიქნების რომელ ბალლაჰი მოეროს ტვინსა, და წინათა კერძოთა ნახევარსა ტვინსა ტვინისასა შეიყაროს, და დალბეს, და სუბათი სპარსულად საზომისაგან უფროჟ მიძიმეთ დაძინებაჟა ჰქვიან.

ნიშანი სუბათისა მანკისაჟ. მძიმე ძილი იქნების რომელ სნეულმან ეგრე დაიძინოს, რომელ ყველა მისგნით არ გაიღვიძებდეს ნუ თუ დიდითა ჰირითა, და რაჟა გაიღვიძოს თანვე ძვალი ერთმანერთსა ზედა დასდეს, და იქნების რომელ ბედითად უბნობდეს.

30 ქურნებაჟ სუბათისა მანკისაჟ. ბაჟრატ იტყვის: ქურნებაჟ მისი იარაჟ ფეყირაჟთა იქნების ანუ იარაჟსა ჰაბითა, რომელ ტვინი და სტომაქი ჰავისა გასარეველისაგან გაწმდეს და მხურვალთა ზეთთა თავსა იცხებდეს ვითა ნარსქისა ზეთსა და ბაბუნაჟა ზეთსა და სოსანისა ზეთსა და რაჟა ამათ ჰგვანდეს, და თბილსა წყალსა თავსა ისმიდეს და აფსანთინისა ნაყისა იხმარებდეს, და ძველსა გულანგუბინსა ნელითა წყლითა იხმარებდეს, და თუ შეკრვით იყოს ფიცხელი ჰყუნა უყონ რომელ მუცელი დაუღბონ, და ქურჭურთა და ხაზდის გულითა ცხვირთა და აცემიებდეს და თავი მოიპაროს.

40 მასარჯოა იტყვის: თუ მხურვალთა ორთქლთაგან ქნილი იყოს რომელ თავსა გახდომოდეს და ტვინსა წინა შეყრილ იყოს, ნიშანი იგი არს რომელ სნეული მძიმედ იყოს და ადრე არ გაიღვიძებდეს და მძინარე უბნობდეს დიად, და მაჯასი სისხლითა საგსე იყოს ხაშს რომელ ბელი გაიხსნას და იისა შარაბსა აყიროსა წყლითა სმიდეს, და მარო ვარდისა ზეთსა გაჰრიოს და თავსა იცხებდეს რომელ ტვინი გაუძლიერდეს, და ვარდისა წყალსა თავსა ისმიდეს, და საჰამადსა ურწყოსაჟ კამდეს ღირაბაჟსა ანუ მუხუდის წყენსა

ისაჟ იტყვის: სუბათი მას შექნების რომელ ცხროიანი იყოს სხვათა სნებათა თანა და რაჟ სნებაჟ წავიდეს სუბათიჟა წაუფა, მით რომელ სუბათი მათ მანკთაგან იქნე-

<sup>1)</sup> ქურჭურთა.



ბის. და თუ ბალღამიდგან ქნილ იყოს რომელ თავსა შეყრილ იყოს ჰუყნაჲ უყონ და კოყი-  
აჲსა ჰაბი იხმაროს და ცერცოჲ და სისანბარი, და ბაბუნაჲ და მარხანგაშვილ და ბქლი-  
ლაღმალქი ყველაჲ შეგებოლოს და ნელი თავსა იხბას ერგების, შეწეწენითა ღმრთისათა.

სუბათი სპაპარისა ვითარებაჲ. ვითარებაჲ სუბათი სპაპარისა მანკისაჲ.  
იოჰანა იტყვის: რომელ ბალღმისა და ზაფრისა მორევისაგან იქნების რომელ ერთ-  
გან გაურჩონ, და რაჲ ზაფრაჲ შეიძრას სნეულსა ვაღელვიძების, და თუ ბალღამი შეიძრას და-  
იძინოს დაბნედილივითა. ნიშანი მისი იგი არს, რომელ სნეული მას ჰგვანდეს რომელ არცა  
მძინარე იყოს არცა მღვიძარე, და თვალი ღიაჲ ედგას ვითა მკვდარისა და ზოგჯერ ვითა  
შვაგი ბედიტსა უბნობდეს.

10 იოჰანაჲ იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ წამალი მორაქაბი უყონ, არაბულად  
მორაქაბი გარეულსა ჰქვიან, და ორთავე მანკათუვის საზომიერად და ეამისა და კაცისა მი-  
საფერად, და უკეთესი კურნებაჲ მისი დასაწყისსა ჰუყნაჲ არს ფიცხელითა აჰავეჯითა. თუ  
ბალღამსა მოერიოს და თუ ზაფრასა უფროჲ მოერიოს ჰუყნაჲ ღბილი უყონ, და თუ შეეძ-  
ლოს ხელი გაიხსნას ნეტად რაჲ მანკი ფიცხელი იყოს, და თუ არა ჰუყნაჲ უყოს მხურვა-  
ლითა რომელ ბუჰარი თავისაგან ჩანოილოს, და ეგვიპტური ჰაბი რომელსა ჰქვიან ჰაბი  
ნისრი მას ერგების, და მას შაბიარისა ჰაბი ჰქვიან. და ბნელსა სახლსა დააწეწენდნენ და  
ეგეთთა მაჯუნთა იხმარებდნენ რომელ ტეინსა გასწმედს.

თებით კურაჲს ძე იტყვის: რომელ დასაწყისსა მანკისასა უკეთესი კურნებაჲ  
იგი არს რომელ ვარდისა ზეთი და ძმარი ერთგან გაპრიოს და ზაზდისა გული, და ფარ-

20 ფიონი და გაგლილი სპანძელი გარიოს, ბალღამსაღია ერგების და თავსა გაამხურვალეგზა.  
და ასოთა მხურვალი ზეთითა და აყირყირაჲთა და ანჯიზასა თესლითა ზელდეს, და მარი-  
ლი და ფეტვი ამას წამალსა მოჟმატოს და თავსა შემოაკრას. და რაჲ მანკი დააილდეს და  
ტანსა ძალი მოემატოს აბანოჲს მივიდოდეს ცოცოტად, და რატათსა იქმოდეს, იარებოდეს  
ნებასა.

როფის იტყვის: რომელ ფიცხელი ჰუყნაჲ უყონ და თუ ბალღამი მორეულ იყოს  
ქერუშტი და თეთრი ხარბაყი და სონიჭი და ზაზდისა გული დანაყალი ცოტაჲ ცხერთა  
მოუსყას, და თავღისა წყალი რომელ მხურვალითა სანელეზლითა შექნილი იყოს სწმიდეს,  
და მუჰუდისა წვენსა იხმარებდეს, და თუ ზაფრასა მოერივნეს ჰუყნა ღბილი უყონ, და ვარ-  
დისა ზეთი და ძმარი თავსა იცხოს და შესაქესა დღესა თაფლის წყალსა სმიდეს ერგების

30 შეწეწენითა ღმრთისათა.

ღვ. ვახუხი და ჯუშოღი ორივე სიგრილისაგან იძნებოს. ვითარებაჲ მისი. ჰუყნა-  
ჲ იტყვის: ვითა ორივე ერთი მანკი არს, ვითარებაჲ მათი ვრილისა და ხმელისა და  
სქელისა სევდისაგან იქნების, რომელ ტეინსა ფარდაგთა შიგან მორეულ იყვნენ და ესე  
მუნით გამოაჩნდეს.

ნიშანი შეხუხისა და ჯუშუდისა მანკისაჲ. იგი არს რომელ სნეული  
მკვდარსა ჰგვანდეს და თავისასა ვერას შეიგებდეს, და ვერცა იძვროდეს, და სულთქმაჲ მისი  
არა ჩნდეს, და ამისითა გზითა ამას არაბულად შეხუხი ჰქვიან.

ჰუყნაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ფიცხელი ჰუყნაჲ უყონ და  
ჯალინოსის იარაჲ იხმარონ, და იარაჲ ფეყირაჲ და შაჰი ჰანტალი და საყმონიაჲ თვითოჲსაგან  
40 საზომისა ოდენი სნეულსა ძალისა მისაფერი, და ეამისა სიმხურვალისა და სიგრილისა მისა-  
ფერი, ჭამოს, რომელ თავი და ტეინი გასარეველსა ჰავისაგან გაწმიდოს, და რაჲ საჰამადი  
მოუღდეს შურვაჲ ჭამოს შინაურითა ვარიჲთა შექნილი და მერმე აბანოჲსა მივიდეს და  
ტანი ხირისა ზეთითა ანუ იასამინისა ზეთითა, ანუ იისა ზეთითა ზელდეს, და დიანუ დაჯ-  
დების აბანოსა რომელ ეწენების.

დევეჯანის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ჰყუნაჲ უყოს და თბილსა წყალსა სემიდეს, და თავი მოიპაროს და ხაზღისა გული და ფარფიონი დასაშინესა ზეთითა გაგალონ და თავსა იცხოს, და თუ მანკი ძნელად იყოს და ამით, რომელ ვთქვით, არ იჯობინოს და წაშლისა აღებაჲ არ შეეძლოს იარაჲ ფეყირაჲ იხპაროს ესრე, მასთაჲ და ზაფრანაჲ და სუნბული, და ბალანისა გული და შეშაჲ მასი, და ასარონი და სალიხაჲ და კილამონი თვითოჲსა ოდენი, საბრი ყველასა ოდენი ორი, ერთგან დანაყილი და გაცრილი თაფლითა შეზილოს და ქვევრსა შიგან ჩადვას და შეინახოს, და ხმარებისა ეჲმსა ორისა დრამისა წონი იხმაროს ერგების.

10 ისაკ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ იასამინისა და ნაპარანისა წყალი ცხვირთა უწითოს, და მუშქსა და ღალიასა და სანდალსა უსუნოს, და ბაბუნაჲსა ზეთი და სისამბრისა ზეთი თავსა იცხოს, და გვილან გვიბინი ძველი ჭამოს, და საჭამადსა დურაჯისა და თიპოჲსა ზორცსა ჭამდეს რომელ შორაბად შექნილ იყოს.

ჯუშუდი რაჲ სიგრილისაგან იყოს. ვითარებაჲ ჯუშუდისაჲ სიგრილისაგან იყოს. იოჰანა იტყვის, და ძველთა აქიმთაცა უთქვამს, რომელ ჯუშუდი ერთი ფერი არის შეზუსისაგან და ვითარებაჲ მისი სიგრილისა და სიხმელისაგან იქნების, რომელ ტვინსა ნახევარსა უკანის კერძსა შეეყაროს და მოერიოს და განძლიერდეს მას აღგიოსა.

ნიშანი ჯუშადისა მანკისაჲ. იგი არს, რომელ სნეული პირალსა იწვეს ანუ მკუდრისაებრ ანუ შინარისაებრ და ფერსთა და ხელთა არა სძრევდეს, და რაჲზომაცა უკვილუბდენ პასუხსა არა გამოსცემდეს.

20 კურნებაჲ ჯუშადისაჲ. იოჰანა იტყვის: იგი არს, რომელ ასტმიკონისა ჰაბი აფთიმონისა მატბუხსა თანა იხმაროს, რომელ გასარეველი სეედისაჲ ტვინისაგან ჩამოიღოს ესრე: ჰალილაჲ ყვითელი ლგურკოჲ ათისა დრამისა წონი, ჰალილაჲ ქაბულური და შავი თვითოჲსაგან შეიღისა დრამისა წონი, ბალილაჲ და ამულაჲ თვითოჲსაგან სუთისა დრამისა წონი, შავი ტყენალი ოცდი ათი, ლაფითი და ზროხისა ენაჲ რომელ გავზაბანი ჰქვიან და ბადარანბოჲ და უსტუხოოდოსი თვითოჲსაგან ოთხისა დრამისა წონი, მასმასაჲ დანაყილი სამისა დრამისა წონი, ყველაჲ ხელსა ლიტრასა წყალსა შიგან, ზეაგბოლოს რომელ ერთი ლიტრაჲ მისგნით ღარჩეს და ერთი დრამისა წონი ღარიყონი შიგან ვაპრიოს და ხელი ცისკრისა ეჲმსა იხმაროს.

30 მასარჯოჲ იტყვის: რომელ თუ სნეული სუსთად იყოს და მატბუხისა ჭამაჲ არ შეეძლოს ჰყუნაჲ უყონ, რომელ მუცელი დაუღბოს და იგი ხილტი რომელ ამის მანკისა დედაჲ არს ჩამოიღოს, და მაშინ გულანგუზბინი თბილითა წყლითა და თაფლის წყლითა იხმაროს, და მუშქსა და ღალიაჲსა უსუნებდეს და რაჲ მოიჯობინოს და ტანსა ძალი მოემატოს და ხელის გასნა უნდოდეს ყიფალი გაიხსნას, და თუ არ შეეძლოს წვიეთა კიჲჲ მოჰიდონ, და თუ არ დაეძინებოდეს იისა ზეთი და ნილოდრისა ზეთი თავსა იცხოს, რაჲ მანკი გაჭარდეს საჭამადსა მუხუდის წვეწსა ურწყოჲსა იხმარებდეს და უკანის დურაჯისა და ვარიისა ზორცსა ჭამდეს რომელ კალიად შექნილ იყოს.

ლუ. მალიხოლია რომელსა ჰქვიან სპარსულად დევანაჲ, ვითარებაჲ მისი რომელ სიმხურვალისგან იყოს. მესიაჲ იტყვის: ესე მანკი ზაფრისა მორგენისაგან იქნების ანუ სისხლისა სიფიცისაგან, რომელ თავსა შეეყარენ და დაიწუხეს და მათი დაწუჲჲ მზისა სი-

40 ცხისაგან იქნების, ანუ მხურვალისა და ხმელთაგან რომელ ეჭამოს ვითა ნიორი და ხახვი. ნიშანი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს რომელ, რაჲ უკვილუბდენ იცინოდეს და პირი წითლად ედვას, და ძარღუნა ადგომილ იყენენ და რაჲცა ზაფრისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ბედითსა უზნობდეს ღიაჲ და პირი ყვითლად ედვას და ტანი მჭლედ, და არ დაეძინებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲცა სისხლისგან იყოს: მესიაჲ იტყვის: რაჲცა სისხლისაგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას, და თუ არ შეეძლოს შუბ-



ლისა ძარღვი გაიხსნას და ქრთილისა წყალსა სმიდეს, და ბროწეულსა შეაყვას და ტკბილსა მოსწოვდეს, და ლბილითა გასახსნელითა მუცელი დაუღბონ და იასა და ცილია და აფთიომონსა ჭამდეს, და მიწყით ქალისა დედისა სძესა და აყიროასა თესლისა ზეთსა და იისა ზეთსა, და ცოტასა ძმარსა და ვარდის წყალსა ერთგან გაადგენდნენ და თავსა იცხებდეს, დი ფერხთა ნელითა ყვავილისა წყლითა ბანდეს, და ნიადაგ ნილოფარსა და იასა, და შამბალიდსა და შალასფარამსა, რომელ ვარდის წყალი მოპყურებულ იყოს უსუნებდეს, და ეგეთსა კაცსა თანა დაჯდებოდეს რომელ ტურფაჲ კარგი და კარგ გული, და ჰაჰოდ მოუბარი იყოს. და მწვანელითა თანა ხავარტსა ჭამდეს, და ზილთაგან ვაშლსა და სხალსა და ბროწეულსა შეაყვას და ტკბილსა ჭამდეს, და დილაჲს ქრთილისა წყალსა და ჯულაბსა და იისა შარაბსა, და ლისანალბაყრისა წყალსა და მოფარიჰსა და ვაშლისა შარაბსა იხმარებდეს.

10 ფოლის იტყვის: რაჲცა ზაფრისაგან იყოს გრილთა ზეთთა ცხვირსა ჩაუწოთბდეს, და იასა და კიტრის ქერქსა და აყიროას ქერქსა ნაყდეს და თავსა შემოსდებდეს, და მზესა და სიციხესა ერიდებოდეს და კიტრის გულისა ზეთსა თავსა იცხებდეს და ცხვირთა ჩაიწოთბდეს რომელ ტყინსა გაუგრძილებდეს და დააძინებდეს და ღვინოასა წყალსა სმიდეს ცოცოტაჲსა.

იოჰანი იტყვის: ყიფალი გაიხსნას და იისა ზეთსა და ნუშისა ზეთსა, და ნილოფარისა ზეთსა, და აყიროასა გულისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და ბანბაჲ ქალის დედისა სძითა დაალბოს და თავსა შემოსდეს, და თუ ქრთილი ქერქ გახდილი და ხაშხაშისა ქერქი, და იაჲ და ნილოფარი და ვარდი, და ხავარტისა თესლი ესე ყველაჲ წყლითა შეაბ-  
20 გოლოს და მიწყით ნელითა წყლითა თავსა ისხმიდეს ტყინა სინედლესა მოუმატებს და ელხინების შეწეწენითა ღმრთისათა.

ვითარებჲჲ მალიხოლიაჲსი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: რომელ ვითარებჲჲ მისი სევდისა მორვენისაგან იქნების, ანუ მისისა ბუხარისაგან რომელ ტყინსა შეყრილ იყოს, ანუ ხილტისაგან რომელ სტომაქსა ში-  
25 გან დაიწუას და მისი ორთქლი ტყინსა გაუხდეს, ანუ ელწეთისაგან იქნების და ესე ყველასა უვარესია.

ნიშანი რომელ სიგრილისაგან იყოს: სევდისა ნიშანი იგი არს, რომელ ყოველივე ეშინოდეს, და უფროასჯერ კუთხესა დაჯდებოდეს და ცოტასა უბნობდეს, და ნი-  
30 შანი მისი რომელ ელწეთისაგან იყოს იგი არს, რომელ დია ჭამდეს და არ გაძლებოდეს და ვერ მოადნობდეს და ლბილად იყოს.

კურნებჲჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს: მუჰამედ ზაქარის ძე იტყვის: იგი არს რომელ აფთიომონისა მათუხი ჭამოს, და მერმელა ჰაბი აფთიომონისაჲ რომელ ასონი მისნი გაწმდეს სევდითა, და მერმე აფთიომონისა მაჯუნი იხმაროს ესრე: აფთი-  
35 მონი დანაყოს და ჩამიჩი გაურიოს და ანუ ზუთი დრამის წონი ანუ ათი დრამის წონი იხმაროს ნაწკისა მისაფერად, და მისისა ძალისა მისაფერად, და კვირასა შიგან ერთხელ დანაყილსა აფთიომონსა სიქანგუბინითა <sup>1)</sup> იხმარებდეს, და ეგეთთა საჰამადთა ერიდებოდეს რომელ სევდასა მოუმატებდეს.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: კურნებჲჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ფართოდ რომელ დამწჭარი სისხლი გამოვიდეს, და თუ სისხლი შაფი იყოს გაუშვას  
40 დიაჲ მუნამდე რომელ სისუსტე სნეულსა გამოაჩნდეს, და წმიდაჲ იყოს სისხლი შეუკრას და ნუ გამოიღებს. ანუ მუცელი დაუღბოს სიქანგუბინითა და ჯალინოსის იარაჲ ჭამოს და როდისის იარაჲ, და აფთიომონისა ფუხთაჲ დია ერგების, და საჰამადსა შურეასა ჭამდეს ბატკნის ხორცითა, და ბატკნის ტყინი და კვერცხის ყვითელი შაქრითა ერგების. და ჰამოთა

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



სურნელთა უსუნებდეს და ტანისამოსსა ღბილსა და ფერქცულსა ჩაიცვამდეს, და ცხებთანსა და ტკბილსა საჭამადსა ჯამდეს.

ისაკ იტყვის: თუ ელენთისაგან აყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გახსნას და ბასბასაჲსა მატუხი იხმაროს, დანაყილსა ლარიყონსა შაქრითა იხმარებდეს, მერმე თფილი მოფარიძი ჯამოს, და საჭამადსა ტკბილსა ზირაბაჯსა ჯამდეს, და კვირასა შიგან ერთხელ ექვსისა დრამისა წონსა აფთიმონსა, უკით ერთითა სიქანგუბინითა იხმარებდეს ერგების, და ელენთისა წან. ლსა იხმარებდეს ვითა მანკისათვის გვითქვამს, და ბეჭესა გვარიშანსა და ვაშლისა გვარიშანსა ჯამდეს.

10 **ლ. შუბრუბი კოჲელ დავიანოგით იძნევის.** ვითარებაჲ ყუტრუბისაჲ რომელ აიშ-მაგისაგან იქნების. მასოჲას ძე იტყვის: ესე მანკი ორდუერი არს სიშმაგისა და მხოლიაჲსაგან, და უფროჲსა ასბატისა თვესა იქნების და ასბატი მას თვესა ჰქტიან რომელ კატანი იძუნებინ და იხახიან და სისხლისა დამწვარისაგან იქნების რომელ სევდად შეიქნების ანუ მავნებლისა სევდისაგან იქნების.

ნიშანი ყუტრუბისა მანკისა. იგი არს რომელ თვალნი ღრუჲდ იყვნენ და ტანი მჴლე იყვნენ, და პირი კვითლად ედვას, და ღამით სამაროჲანთა და ნახართა იარებოდეს და ჟამ ჟამ დაიხახებდეს.

კურნებაჲ ყუტრუბისაჲ. მასოჲას ძე იტყვის: კურნებაჲ დია ძნლი არს ამისა მით, რომელ მანკი მისი დამწვარისა სისხლისაგან იქნების. კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ხელი გაიხსნას და ეგზოპი სისხლი გამოიღოს, რომელ დაბნედასა მიეწუროს. და საჭამადსა ვარიასა ჯამდეს შურვაჲთა, და ახლითა წურილითა თვეხითა აყიროჲსა და ხავარტითა შექნილსა, და ნუშის გულისა ზეთითა შექნილსა. და აბანოჲს მივიდოდეს და ნელი წყალი თაჲსა იხსას, და რაჲ გაძლიერდეს მუცელი დაიღბოს აყთიმონისა მატუხითა და დელამოტისა წყალსა სიქანგუბინითა ჯამდეს.

30 **როფის იტყვის:** რომელ მანკისა სიფიცხისა ჟამსა ხელი გაიხსნას და საჭამადსა ზედა გაუფრთხილდეს, და ცხურის ფერსა ჯამდეს ასფანახითა და აყიროჲსა შექნილსა, და ამოზაფებულსა კერცხსა ჯამდეს, და ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს და შაჲი ჰალილაჲ და ამოლაჲსა სძე და ბასბაჲ და დანაყილა აფთიმონი ჟამჟამ ორისა დრამისა წონსა ჯამდეს დელამოტისა წყლითა <sup>1)</sup> და ყველასაგან უმჯობესი ამის ჴირისათვის თირაყი ფარჲყა არს. მაშა თუ უძილობაჲ გამოჩნდეს იისა ზეთითა და ქალის დედითა სძითა ბანბაჲ დაასოელონ და თაჲსა შემოსდენ, რომელ ტვისსა სინედლეჲსა მისცემდეს და სიგრილესა.

მასარჯოჲ იტყვის: ხელი გაიხსნას, და იაჲ და ნილოფარი და ხაშხაშის ქერქი და ხავარტის თესლი წყლითა შეაბგოლოს და ნელსა თაჲსა იხსავდეს, რომელ სინედლე მოგმატოს და ძილი მოეყიდოს. და იისა ზეთი და აყიროჲს ზეთი ცხვირთა ჩაუწოთა და თაჲსა იცხოს. და აყიროჲსა და ხავარტისაგან საბოჲსაჲ ქნან ნუშისა ზეთითა და მას ჯამდეს, და საჭამადსა ვრილსა და ნედლაჲ ჯამდეს, მიწყით ნელითა წყლითა თაჲსა იბანდეს და აბანოჲსგან აღრე გამოვიდეს, რომელ გამრთელდეს შეწვენითა ღმრთისათა.<sup>2)</sup>

40 **მანიჲ რომელ სიშმაგისაგან იძნევის.** ვითარებაჲ მანიჲსა მანკისაჲ. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი ზაფრისა სიფიცხისა და სიმზურვალისაგან იქნების, რომელ თაჲსა მოპარიოს, ანუ სასეედოსა სილტისა ფიცხელისაგან იქნების, და მანიჲ სპარსულად ფაცხელსა სიშმაგესა ჰქტიან რომელ ჯაცსა გამოაჩნდების.

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „ღ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აშიაზე „ოდ“.

<sup>2)</sup> ეს ორი სიტყვა გვერდის აშიაზე სწერია დედნის ხელით.



ნიშანი მანიასი. იგი არს, რომელ არ დაეძინებოდეს და დღეც შეშინებოდეს რააცა მნახოს მისგან, და სწადდეს ბედითი საუბარი, და მიწით ფერხთაგან დასხედეს და ტანად მწლე იყოს, და თუ დაიძინოს შეფთი სიხმარი დიაგნოზისა.

კურნება მანიასა მანკისაჲ. ჯალინოს იტყვის: კურნება იგი არს, რომელ ქრთილისა წყალსა სმიდეს ნუშის გულისა ზეთითა, და ახლის აყროასა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს, და მუცელი დაიღბოს თამრი ჰინდისა წყლითა და ტყემლისა წყალსა და ნილოფარისა შარაბსა იხმარებდეს. და საჭამადსა კრწყოასა მაშაათა შექნილსა კამდეს რომელ აყროათა შექნილ იყოს. და მწვანელითაგან ხავარტი და არდი ქამოს. და თუ იცოდეს რომელ მანკი არს დარწმუნული და სნეული შეძლებული იყოს, დარეონისა მატბუ-  
10 ხი ქამოს, და თუ არ შეეძლოს ჰამად ლბილითა ჰუყნითა მუცელი დაუღბონ, და მაშინ ვარისა და ბატუნისა და თიქნისა ხორცსა აქმედენ. და თავი მოჰპაროსონ და იად და ტირიფის ფურცელი, და ნილოფარისა ფურცელი და ვარდი და ქრთილი დანაყილი და ქერქ შეხდილი და ხაშაშის ქერქი ყველაჲ წყლითა შეაგბოლოს, და ნელი წყალი მისი თავსა იხმარს, და ქალის დედისა სძე ცხვირთა უწითოს და თავსა იხმარს.

იოჰანა იტყვის: ამის კირისა კურნება იგი არს, რომელ ღაშხაშისა შარაბი ბროწეულისა წყლითა სმიდეს, და თუ არ დაეძინებოდეს ცოტა გავლილი აფიონი აწითოს ცხვირთა. და ფერხთა აწელიებდეს, და აბანოს მივიდოდეს და ადრე გამოვიდოდეს და უკანის ყიფალი გაიხსნას მეტად მაშინ რაჲ მანკი დამწურისა სისხლისაგან იყოს და საჭამადთა ნედლთა და გრილთა კამდეს.

20 მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: თუ მანკი სისხლისაგან ქნალ იყოს ყიფალი გაიხსნას, და თუ დამწურისა ზაფრისაგან იყოს მუცელი დაიღბოს აფიონისა მატბუხითა ანუ ჰალილასა მატბუხითა, და თუ სევდისა და მისისა სიფიციხისაგან იყოს, აფთიმონისაჲ იარაჲ და უსტუხოდოსა თეთოთაგან ხუთისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი და გაცრილი დიდროანად ჰაზად შექმნას და რაჲ ტანი გაეწოდოს ყოველთა ღამეთა გამოღებით ორსა დრამის წონსა იხმარებდეს, ერგების შეწყენითა ღმრთისათა.

**ლთ. უაილოგაა და ვაჰვანისა სიპაჰლე.** ესეჲა და უძილობა და ვითარებაჲ მისი.

მასარჯოჲ იტყვის: ზაფრისა სიბნელისა და მორევისაგან იქნების, რომელ ასოთა შიგან სისხლი დასწუას ზაფრამან, და სიბნელე ტანსა გამოიწინდეს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ მაჯასი ფიცხლად უფეოქდეს და სწყუროდეს, და ცხვირი ხმელად ედგას და პირი ყუითლად, და უძილობა და სიმღვიძარე დია იყოს.  
30

კურნება რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ტყემლითა შარაბითა და ვარდისა შარაბითა, დნ ციესა წყალსა თავსა იხმიდეს და ვარდისა ზეთი და ვარდისა წყალი და ძნარი ერთგან გაპრიოს და თავსა იცხოს, და იისა ზეთი და აყროას ზეთიცა თავსა იცხოს ერგების. და ისრისა აფიროათა შექნილსა კამდეს და მწვანელითა თანა ხავარტი ქამოს და ნუშისა ზეთი და \*კიტრის გულისა ზეთი, რომელ იითა გაზრდილი იყოს, თავსა იცხოს და ცხვირთა იწითოს რომელ დაიძინოს და სინედლე მოუმატოს. და თუ ამათ ზეთთა აყროასა და ხავარტისა თესლი გაპრიოს უძლიერესი იქნების და უფროჲ ერგების, და ყოლაჲ ქაჟურსა ნუ იხმარებს მით რომელ სიხნელესა მოუმატებს და ძილსა გაუკრობს.  
40

ჰუნადნ იტყვის: კურნება იგი არს რომელ ყუთველთა შემგბართა წყალი რომელსა პქვიან ასფარამაბი, და ხაშაშისა ქერქი და ქრთილისა აქკილი თავსა შემოსდვას. და თუ ქალის დედისა სძე თავსა მოიწველოს კარგი არს, და ნილოფარისა ზეთი და იისა ზეთი ცხვირთა უწითოს, და თუ ღვიონსა სმიდეს, წყალრეული სუას, რომელ სინედლე მოუმატოს და ხაშაშისა შარაბსა სმიდეს.



თებით ყურადღებას იქონიან: რომელ არა ყველა უძილობაა, საკმისად ანუ შეუძლებელია იქნების, ისთიფრალი იქნების რომელ ზიანი არა იქნების მსგავსად, და სიმღვიძარე რომელ უსაქმოდ იყოს საჭამადისა მონღომისა წაუღებს კაცსა და თუ რას სჯობდეს ვერ მოიძნობს მით, რომელ ბუნებაურსა ძილსა გახსნის. და კურნებაა მისი ვერ იქნების რომელ მისგნით ნიშანი გამოჩნდეს, და უძილობაა რომელ საზომისაგან გარდევდეს.

კურნებაა მისი. იგი არს რომელ აღრე ჰეურნონ, და თუ მოლაფლდნენ და არ ჰეურნონ მისგან თაშანუჯი გაძიანდების, და მისი კურნებაა გაძნელდების. და ხუ მოლაფლდეს რომელ გამრთელდეს და არ გაუძნელდეს და ერგოს შეწყვენითა ღმრთისათა.

ვასვასაჲსა ვითარებაა რომელ სიგრილისაგან იყოს: იოჰანაჲ

10 იტყვის: რომელ დია სიმღვიძარე და ვასვასაჲ დამწუარისა სევდისაგან იქნების, რომელ ზაფრად დამწუარ იყოს, ანუ სევდისაგან იქნების რომელ სიფიცხით დამწუარ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ძილი გაკრთეს და თუ დაიძინოს შეფთვი დია ეზმანოს, და მაშინვე გაკრთეს, და ბედით ბუღითსა უზნობდეს და იგონებდესცა.

კურნებაა იგი არს. იოჰანა იტყვის: რომელ ასფარამთა წყლითა თავი დაიბანოს, და თუ ტირიფის ფურცელი და ხაზხაში და ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი წყლითა შეგბოლოს და მაშინ მას დილად და საღამოდ თავსა შემოსდებდეს ერგების, დი ტვინსა გაუძლიერებს, და იისა ზეთი და ნილოფარისა ზეთი ქალის დედისა სძესა გაურითს და ცხვირთა უწითობდეს დაეძინების, და რაჲ დაეძინოს წამალთა ძალი ტვინსა გაუზნების და ერგების და ამით ზეთსა ეგების და ჰამოთადა ნატიფთა საჭამადთა აქმევედი და დედაკაცსა თანა მისელა ამას კირსა დია ერგების და არ მისელა დია აწენებს საზომისგან უფროჲ.

20 **ბა. მოვიწყება და არ დასწავლა.** ვითარებაა მოვიწყებისაჲ. მუჰამედ ზაქარიასჲს ძე იტყვის: ესე მანკი რაჲცა დედის შობითგან იყოს კურნებაა მისი არა ეგების, და რაჲცა სხუასა მანკისაგან ქნილ იყოს მისგნით ეგების მოჯობინებაჲ, და მისი ვითარებაა ბალღმისა სინედლისა და მორეინისაგან იქნების.

ნიშანი მოვიწყებისა. იგი არს, რომელ დია დაეძინებოდეს და გაღვიძება ეწყინებოდეს, და თავი მძიმედ ჰქონდეს და ყურთაგან უწველი ესმოდეს, და გასივებულ იყოს და ბედითსა უზნობდეს, და ეგების რომელ აცხროებდეს.

კურნებაა მოვიწყებისაჲ: მუჰამედ ზაქარიასჲს ძე იტყვის: რაჲცა

30 ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ ძეღელსა გულანგუბინსა და თაფლისა შარაჲსა რომელ მუტრვალთა სანელგბლითა შექმნილ იყოს იხმარებდეს, და ზანჯაბილისა გუარიშინსა ქამდეს და ეგეთთა რომელ თავისგან სინედლემ მოაკლოს, თავსა შემოპკვიდეს და მკავეთაგან ერიდებოდეს, და მუხუდის წვენსა და კალისა ქამდეს. და უკეთესი წამალი მისი იგი არს, რომელ ბალღდურისა მახუნი იხმარონ ესრე: ქაბულური ჰალილაჲ და ბალილაჲ და ამოღება უგურკოჲ თვითთასაგან ორისა დრამისა წონი, ბალღდურისა თაფლი ესრე: გამოიღონ თავი მოჰკლეთონ ცოტაჲ ანუ მარმარილოსა ქვასა ანუ სხვასა რაჲსმე ქვასა ეგეთთა რომელ არ იწოდდეს, ზედა დადგან ნაკვერცხალსა ზედა ქვაჲ დადგან, რაჲცა მისგნით ზეთი გამოვიდეს ზეთი იგი არს, სხუაჲ ფიტო უხმარია. ბალღდურისა თაფლი და ჰაბალთარი 1) და სუდი თვითთასგან სამისა დრამისა წონი ზაქარი ტაბარზადი უკიაჲ ერთი ყველა

40 დანაყილი და გაცრილი თაფლითა ზეზილოს და ექვსსა თვესა შეინახოს და მაშინ თვითთა დრამისა წონსა იხმარებდეს ერგების, და თუ ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი და მარზანგოში წყლითა შეაგბოლოს, და ნელსა წყალსა მისსა თავსა იხმარდეს ერგების. და თუ პიტნაჲ და ქონდარი დანაყოს და შეზღსა შემოსდვას კარგი არს. და იარაჲ ფეყირაჲსა და

1) ჰაბალდარი.



ყოყიამაა ჰაბსა ჭამდეს დია ერგების მეტად მაშინ რაჲ მას უჯანაჲ მასტაქებსა გვარიშნი  
ჭამოს და ზანჯაბილი.

მასარჯოჲ იტყვის: ვითა ესე მანკი სევედისა ხილტისა მორევენისაგან იქნების.  
ნიშანი ნისი იგი არს, რომელ სნეული თვალსა არ იკამკამებდეს. კურნებაჲ იგი არს, რომელ  
აფთიმონისა მათბუხი ჭამოს და თუ შეეძლოს შაჰში ჰანტალი და ბასბასაჲ და აფთიმონი  
და პიტნაჲ<sup>1)</sup> წყლითა შებგოლოს და ჰუყნაჲ ქნას. და დელამოტისა წყალსა სმიდეს და  
ქრთილის წყალსა იხმარებდეს იისა წარაბითა, და ნილოფრისა შარაბსა სმიდეს დია ერგე-  
ბის და აღზენს, შეწვენითა ღმრთისათა.

10 არ დასწავლისა ვითარებაჲ. იოჰანი იტყვის: არ დასწავლისა ნიშანი  
იგი არს, რომელ ბაღლაჲ პირსა შიგან შეიყაროს და დასწავლაჲ შიგან ვერ შეჭბდებოდეს,  
და მისგანცა აცნების რომელ დაბადებით სიხმელე იყოს მიხეჯთა შიგან, და ესე ორივე  
ბუნებასა და გონებასა დასწავლად არა მიუშვებს.

ნიშანი არ დამსწავლეთობისა. რაჲცა ბაღლმისგან იყოს იგი არს, რომელ მის-  
გან სუბათი გამოჩნდეს. ძნელად და მაგრად დაძინებასა ჰქუიან სუბათი. და თავი და ტანი  
მძიმედ ჰქონდეს, და ტვინი ნელად იყოს და ჩამოვიდოდეს. და რაჲცა სიხმელისაგან იყოს  
იგი არს, რომელ არ დაეძინებოდეს და პირი ხმელად ედგაჲ.

20 კურნებაჲ მოვიწყებებისაჲ. იოჰანი იტყვის: არაკი ამის მანკისა ვითა  
გამდნარა ცვილი არს რომელ სიქაჲსა არ აიღებდეს, და რაჲ დია მავარი იყოს მაშინ სი-  
ქაჲსა სიმაგრითა ვერ აიღებდეს. მაჴა ხამს რომელ შუა იყოს. კურნებაჲ მისი რომელ ბაღ-  
ლმისგან იყოს, რომელ იარაჲ ფეყირაჲჲ და ანუ ხაზდისა გული და აყირყირჰა, და შაჰში  
ჰანტალი და როფისის იარაჲ, და ჯალინოსის იარაჲ და ლოლადისა იარაჲ, და ანუ ბაღა-  
დურისა გვარიშნი და რაჲცა ამათ ჰვეანდეს იხმარებდეს, მით რომელ ესე ყოველი დასწავ-  
ლასა ერგების. და ტილესა იქმოდეს სპანძელისა და ხაზდის გულისა და ფარფიონისაგან,  
და გომიზა და გელურისა ტეგანაჲსაგან, ესე ყუქულაჲ დანაყოს წმიდად და წყლითა შეზი-  
ლოს და თავსა შემოსდეს. და რომელიცა ასოჲ რომელ ბაღლმისა მორევენისაგან დასუს-  
თებულ იყოს ესე ტიმადი მას ერგების. მუშქი და ყარამფული და ჯავზი ბოიჲ, და მარ-  
ზანგუში და აყირყირჰა მიწყითმცა პირსა შიგან ჰქონდა, და თუ საჰამადსა გაპრიოს და ჭამ-  
დეს ერგების. და სპანძელი და ცერეცო და მარილი და განდანაჲ, და მუხუდის წვენი და  
ღვინოჲ ესე ყველაჲ რაჲ იხმაროს კარგი არს.

50 მესიჲ იტყვის: მუცელი დაიღბოს იარაჲთა და მაშინ თაფლსა ჭამდეს, და თუ  
ბაბუნაჲ და სისანბარი, და ცერეცო და პიტნაჲ და მარზანგოში წყლითა შეავბოლოს, და  
მისი წყალი ნელი თავსა ისხას. და საჰამადად ჩიტისა ხორცსა ჭამდეს მუხუდით შექნილსა,  
და ხმელი და მხურვალი ყველაჲ აშენია.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიხმელისაგან იყოს. იგი არს, რომელ ხარისა  
ზეთი და სონისა ზეთი თავსა იცხოს და ბაბუნაჲ და აქლილაღალიქი და იაჲ შევბოლოს  
და წყალი მისი თავსა ისხას. და საჰამადსა მურგალსა და ნედლსა იხმარებდეს ვითა ბატ-  
ქნისა ხორცი და კვერცხის ყვითელი, და ღვინოჲსა სმიდეს ერგების შეწვენითა ღმრთისათა.

88. ძაბუსი რომელი მინარაზა ზედა დააწვავის, ხიზალიქი ჰმვიან. ვითარებაჲ მისი  
რაჲ სიხმურვალისაგან იყოს. ის იყ იტყვის: რაჲ ესე მანკი დაძუელდეს დასცემს კაცსა,  
40 და მას დაცემასა არაბულად სარით ჰქვიან და სპარსულად ბადაფჯანი, ქართულად მტერ-  
თა დაცემაჲ, და ამის ხიზალიქისა დაწოლაჲ სისხლისა სიხეტისაგან იქნების რომელ ტანსა  
შეიყაროს, ანუ მხურვალთა საჰამათაგან რომელ ბუხარი ქნას ვითა ნიორი ხახვი და გან-  
დანაჲ და მსგავსი ამითი.

<sup>1)</sup> ეს წინადადება „და ბასბასა და აფთიმონი და პიტნაჲ“ გვერდის აწიაზე სწერია დედნის ხელით.





ნიშანი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ პირი წითლად იყოს და ღია ღივიწიწი იყოს, და მძინარესა ვერე ვეონოს რომელ დასწროლია რამდე, ანუ მძიმე რაჲმე დაუხურავს მას ზედა.

კურნებაჲ მისი. ისაჲ იტყვის: იგი არს, რომელ ყოფალი გახსნას და მუცელი დააღბოს და ტყენლისა წყლითა, და ტუტაჲსა შარაბითა ანუ ბროწეულისა შარაბითა, და შიშინისა წყლითა და ვარდისა ზეთი და ძმარი და ვარდის წყალი ერთგან გაჰრიოს და თავსა იცხოს, და სიქბასა უცხიმოჲსა იხმარებდეს, და იისა მატბუსთა და ყუთელსა ჰალი-ლაჲსა ჭამდეს. და ქალის დედისა სძე და აყროჲსა თესლი, და ვარდის წყალი და ცოტაჲ ძმარი თავსა იცხოს. და გრილთა და ნელთა სურნელთა უსუნებდეს ვითა იაჲ და ნილო-

10 ფარი და შამბალიდი და ლისანალბაყარისა წყალი, და გრილი მუფარაჲი იხმაროს რომელ ელხინოს.

არბიასიჲს იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ წვივთა ჭიქაჲ მოჰკიდოს, და ღია ჭამისა და ღვინისა სმისა და მხურვალთა და ხმელთა ჭანისაგან ერიდებოდეს, რომელ ბუხარი მათი ავნებს, და ტუტისა და მეავესა ბროწეულსა მოსწოვდეს, და ისრიმისა შარაბსა სუმიდეს, და მუცელი დაიღბოს ჰინდურისა თამრისა წყლითა და ტყემლისა წყლითა, და უკანის ჯულაბისუას, და სანდალსა და ვარდის წყალსა შუბლსა იცხებდეს, და ქაფურსა და იასა და ნილოფარსა უსუნებდეს, და სტომაჲი განაძლიეროს და ვაშლისა შარაბითა და ბროწეულისა შარაბითა რომელ ჰავი მანკი და ბუხარი სტომაჲისაგან თავსა არ გაუხდეს. და საჭამადსა თუთუბისა ურწყოჲსა ჭამდეს და ისრიმისასა.

20 თებით ყურაჲს ძე იტყვის: სხვაგებრ ჭაბუსი არს ჰავთა მანკთა ბუხართაგან რომელ თავსა გახლმოდის, და რაჲ მას ჰკურნებენ ადრე ელხინების, და სხვაჲ ნამეტნავისგან იქნების რომელ ტვინსა შეყრილიყოს და ამას ადრე უნა კურნებაჲ ნით რომელ უფროსი იგი იქნების, რომელ კაცსა დასცემს სარად რომელსა ჰქვიან ქართულად მტერ დაცემული, და რაჲ შეიგნეს თუ რომელსა მანკისაგან სჭირს, ეგეთი წამალი იხმაროს რომელ თავისგან იგი ხილტი ჩამოიღოს, და თუ სისხლისაგან იყოს ხელი გაიხსნას.

ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასოჲას ძე იტყვის: ესე მანკი ღიაღისა ბალღამისაგან იქნების რომელ ტვინსა თავისასა და მისთა ფარდაგთა მიერთოს, და იგი ღია ჭამისაგან იქნების და ელდისგანცა, და ანუ სქელთა ორთქლთა და ბუხართაგან რომელ ტვინსა შიგან იყოს.

30 ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ თავი ემძიმებოდეს და ღამით ეძიმეჲ შეშინდეს, შეკრთეს ძილისაგან, და ასონი სუსთად იყენენ მისნი, და პირისა და ცხვირისაგან წყალი სდიოდეს, და პირი წითლად არ ედგას.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასოჲას ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გვარიშინსა ჭამდეს, და ძირაჲსა გვარიშინსა და გულანგუბინსა მეტად რაჲ უზმოჲ იყოს მაშინ, და აბანოჲსა იხმარებდეს და საჭამადთა ჰავთა და უღნობთა ერიდებოდეს, და მუსულის წვენსა და მუტანჯანსა ჭამდეს. და თუ ამით არ გავრილდეს აფთიმონისა მატბუხი ჭამოს და სტომაჲი გაიწმიდოს ჰავთა საჭამადთაგან, და საჭამადად სფედიბადეგსა და შორვასა ჭამდეს ბატკინისა ხორციითა და ვარიასა და კვერცხისა სიყვიალესა ფანიდითა, და ჰამოთა სულნელთა უსუნებდეს ვითა მუშკი

40 და ღალიაჲ და ჩინდანი რომელსა ჰქვიან სანდალი და რაჲცა ამათ ჰგვანდეს და ტუტისი თაფლიანი რაჲცა ნუშის გულის ზეთითა იყოს ჭამდეს.

მუჭამედ ზაქარიასს ძე იტყვის: რომელ კურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ მრავალჯერ ყოყიასა ჰაბი ჭამოს რომელ სტომაჲი მანკის დედისაგან გაწმდეს, და ეგეთსა გჭარბინსა ჭამდეს რომელ ბალღამსა მოადნობდეს ვითა მისასა გჭარბინი და ზანჯაბილისა გჭარბინი. და ქვეშეთნი ასონი ვარდისა ზეთითა დააზელიოს და ალვაჲ და ვარდი წყლითა შეავბოს და მისგნით ჭამდეს და თავი ცერეცოჲსა



ზეთითა და იასამინისა ზეთითა აზელიოს. და საჭამადსა ზირაბაჯსა ჯამდეს და კალიისა ჩი-  
ტის ხორციითა შექნილსა.

ჭუნაჲნ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყოყიასა ჰაზითა მუცელი დაიღბოს, და მაშინ სიქანგუბინისა თესლითა შექნილსა ჯამდეს, და სიანბარსა და მარზან-  
გოშსა და ასფარამა უსუნებდეს და ოუ თეთრისა იასამინისა ზეთი და ხირისა ზეთი თავსა  
იტხოს ერგების, და ყველასაგან უმჯობესი იგი არს, რომელ ძმელი გულანგუბინი ბერძულსა  
ბადიონისა თესლსა, რომელ მას ანოსონი ჰქვიან, გაუროს და უზმაჲ მას ჯამდეს და ღურა-  
ჯისა ბარტყა მოტანჯანათა შექნილსა ჯამდეს, იდრე გამრთელდების.

**88. ბაღაშვანისა კურნებაჲ კოჲელსა ჰქვიან არაბულად საიი და ძაბთულად**

10 **მბრტა დაცემა.** ვითარებაჲ მისი რომელ აინხურვალისაგან იყოს. ჯალინოს იტყვის:  
ესე მანკი და ჭირი სისხლისა ანუ პალღამისა, ანუ სეფდისაგან ანუ გრილთა ქართაგან იქ-  
ნებია, და რადცა სისხლისგან იყოს მისგენით არს, რომელ დია სისხლი შეიყაროს თავსა და  
მოერიოს, და ზუხარი და ორთქლი მისი ტვინსა გაუზდეს.

ნიშანი მისი რაჲ სინხურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ თავისა და  
პირისა და ხელისა ძარღენი სისხლითა საესე იყოს, და დაცემასა უწინა პირი გაუწითლდეს  
და შაშინლა დაეცეს, და ეგებისცა რომელ ცხვირთა სისხლი წაექციოს.

კურნებაჲ მისი. ჯალინოს იტყვის: იგი არს, რომელ ტვინთა ძარღენი გა-  
ხსნას ანუ წვივთა ჭიქაჲ მოჰკიდოს, და საჭამადსა ცოტასა ჯამდეს ნეტად ეგეთთა, რომელ  
სისხლსა მოუმატებდეს ვითა ცხვირის ხორცი და კვერცხისა ყვითელი, და ღვინოჲ და  
20 ტკბილი და ცხობიანი ყველასა ერიდებოდეს, და ამით ჰაზითა მუცელი დაიღბოს ვითარე-  
ბაჲ ჰაზისა: ბადროქი და შაჰთარაჲ და ააბრი თვითთაგან დრამისა წონი თურბიდი  
ნახევარ დრამისა წონი, შაჰი ჰანტალი დანგი და ნახევარი საყმონიაჲ ყერატი ყველაჲ და-  
ნაყილი და გაცილი ჰაზად შექნას და იხმარებდეს.

აბუჯარაჲ იტყვის: ხელი გაიხსნას და ცხვირთა სისხლი იდინოს, და სიმაძღრესა  
ზედა ბურსა ნუ ჰამს, და ხორცსა და თაფლიანსა ერიდებოდეს და მკავეთა ხილთა წყალსა  
იხმარებდეს, რომელ ატომაჰი გაწმდეს და ტვინი გაუგრილდეს, და სისხლისა სიფიცხე დას-  
წყნარდეს, და ეგეთთა საჭამადთა რომელ სისხლსა გაახურებდეს ერიდებოდეს, და ტანსა  
ტყემლისა შარაბითა და შაქრითა, გასწმედდეს და ვარდის წყალსა და ქაფურსა თავსა იც-  
ხებდეს, რომელ ტვინი გაუძლიეროს და თეთრთა და მხურვალთა საჭამადთა ერიდებოდეს,  
30 აბახოსა ყოელადვე ნუ მივალს.

ჭუნან იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ ბასალიჰი გაიხსნას და თუ შეეძლოს  
ჭიქაჲცა მოჰკიდოს და საბრისა ნაყითა მუცელი დაიღბოს ესრე: ჰაბულური ჰალილაჲ ხუ-  
თისა დრამისა წონი, ბალილაჲ და ამოლაჲ და ხამი ალვაჲ თვითთაგან დრამისა წონი და  
ნახევარი, აფსანთინი ორისა დრამისა წონი, ბადეარდი დრამისა წონი, და ნახევარი, სუნ-  
ბული რომელსა ჰქვიან ფაჩარი და ყარანფული და ბალანისა მარცული თვითთაგან  
დრამისა წონი, ჰიტნაჲ ხუთისა დრამისა წონი, ყაყულაჲ და ვარდი თვითთაგან ორისა  
დრამისა წონი, ყველაჲ ოთხითა ლიტრითა წყლითა შეაგზოლოს ეგრე რომელ ლიტრაჲ  
მოიყაროს, და მარადღე მისგან ოთხსა უკიასა იხმარებდეს რომელ გამრთელდეს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაჰარიის ძე  
40 იტყვის: რომელ ესე მანკი რაჲ ბალღმისაგან იყოს მით არს, რომელ ბალღამი თავსა და  
ტვინსა შიგან შეყრილ იყოს და მოერიენეს და უკანის ტვინსა შიგნით გამაგრებულ იყოს,  
რომელ მას გზასა დაუყოფს, რომელ სულისა გზაჲ შემოსავალი და გასავალი იყოს.

ნიშანი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ასონი სუსთად ედ-  
გნენ და ფერად თეთრგუბარი იყოს, და ცხვირთა წვინტლი შეყრილ იყოს, და რაჲ დასცემ-  
დეს პერულსა დია ამოიღებდეს პირსა შიგან, და გრილისა გასარეველისაგან იქნების რომელ  
დიდი ეჭამოს სიგრილე.



კურნება მისი იგი არს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ როფისია იარაღთა და ყოყადა ჰაბითა ტანი გაიწმოდოს, და მანინ ზანჯაბელისა ცვაჭრისა იხმარებდეს, და ძუელი გვილანგებიანი თაფლითა წყლითა გაგალოს და იხმაროს, და ეგეთითა წამლითა რომელ ბალღამსა თავისაგან ჩანოილებდეს ლარღარასა იქმოდეს და ლაღისა და მუშკისა უსუნებდეს და ღია ჭამისა და სიმთვრალესა ერიდებოდეს და მუხღისა წვენსა და კალიასა იხმარებდეს, და ჰერმისისა იარაღ და საბრისა იარაღ მას ერგების, და აყირყობა გაგლითა თაფლითა შეზილოს და რაღ დღე სამისა ღრამისა წონი იხმაროს.

10 ისაკ იტყვის: რომელ უკეთესი კურნება რაღ ბალღისგან იყოს იგი არს, რომელ არწყიოს ეგეთითა რომელ ბალღამსა ჩანოილებდეს, და სოსანისა ზეთი ნაკრტესა იცხოს და ცოტად იარაღ შემოაყაროს და ხორბთა ჩაყოს არწყევს, და ზამთრი ხმელი ზოფად შემგბარი ერგების, მით რომელ სინედლესა წაუღებს და მკერდსა და სტომაქსა გააწმოდეს, და მრავალი კაცი ამის კირისაგან ამით წამლითა დახსნილან, და ზაფხულის აფსანთისისა მატბუხი და სიქანგუბინი ანსული ერგების.

20 როფის იტყვის: ვითა ყოყადა ჰაბი და ასტმისიონისა აბი იხმაროს, და ესე აბი უმჯობესი არს ყოვლისა წამლისა, ვითარება მისი: ასტოხოდოსი და შაჰმიჰანტალი და ზაზღისა გული თვითოსაგან ღრამისა წონა ერთი, იარაღ ფეყირაღ ოთხისა ღრამისა წონი, ღარაყონი ორისა ღრამისა წონი ყველაღ დანაყოს და ჰაბად შექნას და ხმარების ეჰსა ორისა ღრამისა წონი იხმაროს ანუ სამისა ღრამისა წონი სნეულისა სტონაქისა მისაფერად და სიცივისა და სიციხისა ეჰინსა და ჰერისა მისაფერად, და ხმელისა ზოფაღსა მატბუხითა ღარღარაღ ქნას, და სიმადღრითა არწყიოს რომელ მანქისაღ დედაღ ადვილად წამოვიდეს და სტომაქი გაწმოდეს შეწვენითა ღმრთისათა.

30 **მდ. მბართა ღაცემა: რომელ სვედისგან იყოს ანუ გრილთა ძარტაგან.** ვითარება მისი რაღ სვედისგან იყოს. მასარჯოაღ იტყვის: რომელ ესე მანქი რაღ სვედისგან იყოს უძნელესი არს, უფროაღ ძნელად იკურნების და იგი ზაფრისა მორეგისაგან იქნების რომელ ტვინსა გაუხდეს, და ანუ მას ძარღუთა შიგან რომელ სულთაღ ვაჰაღ არს მუნ დამკვიდრდეს.

ნიშანი რაღ სვედისაგან იყოს. იგი არს რომელ კაცი წერილი და ხმელი იყოს და საჭამადსა ღია ჭამდეს, და პერული დაცემისა ეჰსა რომელ ამოიღოს, მკავე იყოს, და რაღ ზომიცა პერული უფროაღ იყოს ჭირი უძნელესი არს 1).

30 კურნება მისი. მასარჯოაღ იტყვის: იგი არს, რომელ დიდხან აფთიმონისა მათბუხსა ჭამდეს და ჯალინონისა იარაღსა იხმარებდეს და ნატყეთა საჭამადთა ვითა ბატქნისა ხორცსა და კვერცხისა ყვითელსა, და ღვინოსა წყალსა რეულსა სმიდეს და ნუშკსა და ღალიასა უსუნებდეს, რომელ ტვინი გაუძლიერდეს და მიწყით აბანოასა მივიდოდეს მაგრამ ღია წუ დაჯდების რომელ ევენების.

40 როფის იტყვის: კურნება ამის მანქისა იგი არს, რომელ აქჰალისა ძარღვი გახსნას, და რაღ კვირაღ ერთი გარღახდეს აფთიმონისა მატბუხი ჭამოს, და წინაურისა ქათმისა კალიასა ჭამდეს. და მწუვანილთა თანა ხავარტი და არღი ჭამოს, რომელსა ჰქვინან არაბულად ჰინდუბე და სპარსულად ქასნი, და ნარსაქსა და კალნაბსა და ბადინჯანსა და ეგეთთა საჭამადთა რომელ სვედასა მოამატებდეს ერიდებოდეს. და ვაშლისა შარაბსა და სიქანგუბინისა შაქრისასა ჭამდეს, და დელამოტისა წყალსა ახალსა სმიდეს.

მესია იტყვის: რაღ ესე მანქი ყმაწერილთა გამოაჩნდეს ოდასლიბი ყელსა ჩანოჰკიდონ ერგების და თარგმანი არაბულად ჯუარისა შეშაღ, და ძუძუღს მწოარისა კურნებაღ არა ხამს, რომელ რაღ გავიდდეს და ასონი გაუხურდენ და განძლიერდეს სინედლე მისგნით

1) ამ კვერდის ქვეშა აწიაზე რვეულთა სათვალავე სწერია „იდ“ და შემდეგი გვერდის ქვეშა აწიაზე „იე“.



კიდევ წავალს და გამართლებდის. და საჭამადსა თიქნისა ხორცსა აჭმევდენ და კაკაბსა და ხოხობსა.

ფოლის იტყვის: იქნების რომელ ორსულსა დიაცსა ესე ჭირი გამოაჩნდეს საშობელისა გზით, და რაჲ შობს აღარა სჭირდეს, და ნიშანი მისი რომელ სტომამაქისგან იყოს იგი არს... [აკლია].

30 ჰუნაჲ იტყვის: კურნებაჲ იგი არს რომელ, არწყვიოს მეტად რაჲ მძღარი იყოს, მაჲინ ცურეკოჲსა წყლითა და მარილითა და პიტნაჲთა ერთგან შენგბართა, და ჯავზალყაჲ რომლისა თარგსანი არს არაბულად რწყევსაჲ ნივოზი, სიქანგუბინითა და ნელითა წყლითა იხმარებდეს, რომელ სტომამაქი გაწმდეს და მყავეთა და მნიმეთა საჭამადთა ერიდებოდეს თუ

30 სიმართლე უნდეს.  
30. სპატიჲ რომელ უბრძულად შეიპყროგს კატსა. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: რაჲ სისხლი გასქელდეს და თავსა შიგან დია შეიყაროს და მოერიოს, და ტვინისა ძარღვთა შიგნით, ანუ ფარდაგთა შიგნით გამაგრდეს და შეიკრას საქთაჲ გამოჩნდების.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს: რაჲ სისხლიგან იყოს იგი არს, რომელ ჰირი წითლად ედგას და ძარღვნი სისხლითა საესე იყვნენ, და სნეული ვითა მკვდარი იღვას რომელ ყველა ვერ იძრვოდეს.

კურნებაჲ მისი. იოჰანა იტყვის: იგი არს, რომელ ორთავე ხელთაგან ხელნი გაუხსნან ყიფალი, და სნეულისა ძალისა მისაჲერად სისხლი გაჰოიღონ, და წვიეთა ჭიქაჲ მოჰკიდონ. და რაჲ მოიჯობინოს საჭამადსა დია ნუ ჭამს, და აბანოჲს მიეიდოდეს და მყავეთა საჭამადთა<sup>1)</sup> ჭამდეს, და თავლიანსა და ტპბლთა ერიდებოდეს. და ძმარსა და ვარდის ზეთსა თავსა იცხებდეს. და თუ ამით კურნებითა ცნობად არ მოვიდეს ჰუყნაჲ უყონ, რომელ მანკისა სათაჲნოჲ ჩამოზიდოს თ-ვსგან, ჰუყნასა ვითარებაჲ: უნაზი ოცი მარცული, სეფისტონი ოცდაათი მარცული, იაჲ ჰუთისა და დრამისა წონისაჲ ქრთილი<sup>2)</sup> ქერქშხლილი ათისა დრამისა წონი, ბალბაჲ და ანაკუეთი და შქოჲჲ და აქლილალმალიქი თვითოსაგან ხევეში ერთი, ლეღვი ზუთი მარცული, ყველაჲ სამით ლიტრითა წყლითა შეაგბოლონ რომელ ნახევრად მოიყაროს, მაჲინ გაწმინდონ და ნახევარ ლიტრაჲ წყალი მისგნით აიღონ და ზუთისა დრამისა წონი, წითელი შაქარი გაპრიონ და ქუნჯიდისა ზუთი და იისა ზუთი და აბეკმაქი თვითოსაგან უკიჲა ერთი ყველაჲ ერთგან გაპრიონ და ნელად ჰუყნაჲ უყონ.

30 ისაჲ იტყვის: ორთავე ხელთა ყიფალი გაიხსნან და სისხლი დია გაჰოიღოს მაჲინ ჯულაბი შესტას ცოტათა ქრთილისა წყლითა და ძმრითა. და ვარდისა წყლითა დარღარაჲ აქნევიონ, და ჰუყნაჲ უყონ და შაჲუი ააღებოინ რომელ მანკისა დედაჲ თავისაგან ჩამოვიდეს, და რაჲ ზომიცა სნეული უფროჲ ფიცხლად იზახდეს, უფროჲ საშიშოჲ იქნების.

ჰუნაჲ იტყვის: რაჲ საქთაჲსა მანკი ტვინსა შიგან მაგარი იყოს, სნეული შიგან მოკვდების, და თუ ცოტაჲ იყოს დაეხსნების, მაგრამ დიდითა კურნებითა და ფელიჯისაგან კაცი დაეხსნების შიგრამ საქთაჲსაგან არ დაეხსნების და თუ დაეხსნას ბოლოჲსა ეჲსა ფელიჯისაგან არ დაეხსნების.

ვითარებაჲ საქთაჲსი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯოჲა იტვის: ვითა ამისა მანკისა ვითარებაჲ ბალღმისა სქელისა მორევისაგან იქნების რომელ 40 ტვინსა და მისთა ძარღვთა შიგან შევიდეს და მაგრად დამკედრდენ შიგან, ანუ უნდილისა ბალღმისა გარევისაგან იქნების რომელ ტვინსა ყოველთა ასოთა შიგან შეიყარნენ.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ხევიდან არს ჩამატებული დედნის ხელით.  
2) ეს სიტყვა დედანში აჲ სწერია „ქაათილი“ და უზის გამოსატყვებელი ნიშანი.  
ამავე გვერდის ქვემო აწიოჲ არა დედნის ხელით ნუსხურით აწერია „უფალო ღმერთთა მოიხსენე ფრიად ცოდვილი სინონ კეტონ ღონაჲნო აფტუ - აჲჲ“.  
გვერდის აწიოჲჲ კი ნუსხური ანბანისა დაწერილი მთლიანად ორჯგულ, პატარა და მთავრულ ასოებით.



ნიშანი რაჲ სიგრილისა გან იყოს. იგი არს, რომელ ტანეკუსდუდუყოს და პირი თეთრად ედგას, და წყალი პირსა და ცხვირთა შიგან დია შემოდგეზრდეს და ნიშანი საქთაჲსა სიძნელისა იგი არს რომელ რაჲ უქუევოა იყოს კბილსა იცოხნიდეს.

კურნებაჲ მისი იგი არს: მასარჯოჲა იტყვის: რომელ ჰუყნაჲ ფიცხელი უყონ და მზურვალი ასფარამი და მუშკი და ლალიაჲ და ხაზდისა გული და ტავანაჲ წმიდად დანაყოს და ცხვირთა შეუბეროს და ქერუშტითა და პილპილითა და ხაზდისა გულითა ცხვირთა დააცემიონ. და რაჲ საქთაჲ წაიედეს ყოყიაჲსა ჰაბი ქამოს და როფისისა იარაჲ და სიქანგუბინი და სპანძელი იხმაროს და თუ იარაჲ ფეყირაჲთა ღარღარაჲ უყონ ერგების. და უკეთესი კურნებაჲ ამის მანკისა იგი არს ესე ჰაბი აქამონ: საბ-  
 10 რი ღრამისა წონი ერთი, შაჰში ჰანტალი ორი დანგი, ფარფიონი ორი დანგი, ხაზდისა გული და გომიზი და ჯაკაშირი და უპანი რომელსა ჰქვიან სპარსულად ანგუჯადი და არაბულად ჰალთიანი, და მუყლი თვითოჲსგან დანგი ერთი, და საყმონიაჲ რომელსა ჰქვიან მაჰმუდაჲ ყურატი ერთი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი გაჰრიოს და ჰაბად შექნას და ერთხელ შე-  
 20 ქამოს.

როფის იტყვის: მუშკი და ლალიაჲ ცხვირთა შემოსდევან და გახურებულსა და გამთფარსა ასფარამთა თავსა შემოსდებდენ, და სონიჯითა და პილპილითა და ძირაჲთა ცხვირთა დააცემიებდენ და სიქანგუბინსა თბილითა წყლითა სმიდეს და მყავეთა ყოველთა ერთდებოდეს. და კალიაჲსა და მოტანჯანსა ქამდეს, და ყოყიაჲსა ჰაბსა და ხანჯაბილისა გუარინსა ქამდეს, და რკინისაჲ თავაჲ გაახურვოს და ტვინსა პირისპირ მიუბყრან, რომელ  
 20 ტვინი ვაუბურდეს და ცნობასა მოვიდეს. და იარაჲსა და აბეკმაქსა ზიზისა ძირითა ხორხსა ჩაუსხნიდენ. და ქერუშტი დანაყილი და მუშკი ცხვირთა შეუბერონ რომელ ცხვირი დააცემიონ. და მუხლნი მაგრად შეუყრან რომელ აღრე ქუქასა მოვიდეს, და საქამადსა ჩიტისა ხორცსა და ტრედისისა შორაბად შექნილსა აქმედდენ, და ველურსა პიტნაჲსა უსუნებდეს ერგების.

მხმრთჲ დაცემაჲ რაჲ ბრილთჲ ძართაგან იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ გრილისა ქარი-საგან იყოს. არბიჯანის იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ რაჲ მანკი შეიძრას ზემოთრე ასოჲ მისი შეიკრას და მაღადურისა თაფლი შესცხოს, რომელ დაბუშტდეს, და გაუწყულდეს და ქიქაჲ მოჰკიდოს და მოწოოს, დაშაშროს, და სპანძელი და ტრედისა სკინტლი შემოსდვას და შესცხოსცა, და მუცელი დაიღბოს ლაიაჲსა ზეთითა ანუ ლედ-  
 30 ვისა ხისა სძითა: და თუ მანკი ძნელი იყოს ყოყიაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და ორჯერ სამჯერ ქამოს, რომელ სტომაქი გაწმდეს და დაიცალოს მანკისაგან.

ფოლის იტყვის: მაჯუნი ნაჯალი ქამოს ერგების, და ყოველისაგან უმჯობესი იგი არს რომელ თირიყი ოთხ წაალი აქამონ, და ვარდი და სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური უსუნოს. და ლედჲსა ნუსითა დანიგუბითა ქამდეს. და თუ მგზავრობდეს მოსუბუქდების ესე ქირი. და ეგრე ხამს რომელ საქამადსა ცოტასა ქამდეს, და რაჲ შეიგნეს რომელ მანკი ძნელი არს მათრედიტოსისა თირიყი იხმაროს დია ერგების.

იოჰანა იტყვის: რაჲ ამას მანკსა ოცდა ბუთი წელიწადი გარდვიდეს არა იკურნების, განა ეგრე იქნებას რომელ უმცროსი იყოს და უმცროჲ აენებდეს ოდაალიბი მიწყითმცა მკლავსა ება<sup>1</sup>) მეტად ყმაწვრილთა ხასიათად შეერგების. და არა ხამს რომელ მას  
 40 სახლსა შიგან რომელ ამის პირისა პატრონი იყოს, რომელსა ჰქვიან მასრუჲ, ნიახური შემოიღონ. მასვე წამსა რაჲ ნახავს დაეცემის, და მიშქადარვი ამას ერგების რაჲ მრავალჯერ აქამონ და საქამადად ნატიფთა გამოარჩევედენ.

83. ფელიჯი კოგელ ბალღმისაგან იყოს. ვითარებაჲ ფელიჯისა რაჲ ბალღმისაგან იყოს. იოჰანა იტყვის: ფელიჯისა ვითარებაჲ სქელისა ბალღმისა მორეენისაგან იქნების, რომელ თავის ნახევარსა კერძსა შეეყაროს და ყერზი დაასუსთოს და რაჲ ტვინსა შიგან იქნეს მისგნით საგთაჲ და სუბათი და სარიი და თაშანუჯი გამოჩნდების.

1) გბას.



ნიშანი რაა ბალღმისაგან იყოს. იგი არს, რომელ ტანისა ნახევარი სუსთად და გრილად იყოს, ეგრე რომელ ვერ იძვროდეს, და თუ იძვროდეს და თუ მუხრავდეს ანუ გრილი რააცა შემოსდეს ვერ უგრძობდეს, და ეგებიცა რომელ ემძიმებოდეს.

კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ რაა გამოჩნდეს სამღვმედის წამალი არა ჭამოს, მაშა თუ თრთოლია მოაკლდეს ზეიდ დღემდინ ნურასა უკურნებთ, რომელ მე დიადი მინახავს რომელ რაა წამალი მიუცემია მანკი მოჰმატებია. და მერმე რაა დღე ათისა დრამისა წონა გულანგუბინსა წყლითა გაადგენდეს და აქმევდეს, და იარაჲ ფეყირაჲსა თაფლითა ჭამდეს და რაა ტანი გაეწმინდოს ამით წამლითა ღარღარაჲ აქნევიონ, და მიწყით ნასთაქესა და რათიანსა, რომელსა ჰქვიან მდინარე, და ეყესა რომელსა ჰქვიან ალაქი, და უჯულოსა ჩამიხსა ცოხნიდეს ერგების.

10)

მასოჯას ძე იტყვის: ამის კირისა კურნებაჲ იგი არს, რომელ ზანჯაბილი კილაშონი დანაყილი თაფლსა გაპრიოს და აჭამოს, და ყველასგან უჯჯობესი ყუსტისა ზეთი იქნების რომელ მიწყით მანკისა ადვილსა ზედა მოიხებდეს, და ეყე სხვაჲ საცებელი: ლაბანბალი და ბედანჯირისა თესლი და უღბოჲსა ფეკილი, და ბატას ცქელი და მუშროლანი ერთგან გაპრიოს და ზედა შემოიდეს, და გრილთა და ნაიმეთა შაქამადთა ერიდოს.

მე. ასოთა სიხუსთო კოჲლსა ჰქვიან არაბულად ისთისხაჲ რაა ბალღმისაგან იყოს. არხიჯანის იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ ბალღმთა სიხურვალასაგან იქნების, სინედლისაგან რომელ გასქელდეს და ასოთა მოერიგენ, და თერთნი ძარღენი რომელთა სპარსულად ფაჲ ჰქვიან დაიბანტენ, და თავსა და ტეინსა და პირსა არ იყენენ.

20)

ნიშანი რაა ბალღამნი იყოს<sup>1)</sup> იგი არს რომელ ასონი დასუსტებულ იყვენ და აღარ იძვროდიან ნუ თუ თავსა და პირსა, მით რომელ ამის მანკისა დედაჲ თავსა და პირსა არ იქნების ანუ მუნ უმცროჲ იქნების.

კურნებაჲ მისი რაა ბალღმისგან იყოს. არხიჯანის იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ ფელიჯისა კურნებაჲსა ჰგავს, მაგრამ ფელიჯი ამისგან უძლიერესი არს, და ფელიჯი უფროესი თავისა და ტეინისაგან იქნების, და ამის მანკისა ვითარებაჲ ასოთგან იქნების, ამისი კურნებაჲ იგი არს, რომელ თირიაცი ნემგბრითა ცერცოჲსა წყლითა იხმაროს და მუცელი ფიცხლითა ჰყენითა დაიღბოს, და მერმე როფისისა იარაჲ შექამოს და ზეთის ხოლისა ზეთი და სომხური ბაერუკი და მლოგვი ერთგან შეზილოს და მიწყით ტანსა მით იხუდეს, და თუ ქონდარი და ტევანაჲ მთისაჲ და მარზანგოში წყლითა შეაგბოს და ნელტფილსა ტანსა ზედა იხსამდეს კარგად ერგების, და ტანსა გაუხურეებს. და ტევანისა ზეთი და ყუატისა ზეთი ტანსა იცხოს, მაშინ რომელ ტანი მქისითა მზურითა იზილოს, და ესე წამალი რომელ გვითქვამს ტანსა იცხოს ერგების.

30)

მასოჯას ძე იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ ჯალინოსის იარაჲთა მუცელი დაიღბოს და თუ წამლისა აღებაჲ არ შეეძლოს, ფიცხელი ჰყენაჲ უყონ და დია ტეილსა წყალსა ტანსა იხსმიდეს, და ძველითა ზეთის ხოლის ზეთითა და ხაზდის გულითა ტანი იხულოს კარგად, და ფარფიონისა ზეთიცა ერგების. და მყავეთა და გრილთა საქამადთა დია ერიდოს და საქამადსა დია ნუ ჰჭამს. და ცხელსა ადგილსა იწყოჲს და მუხუდისა წუნესა ჰამდეს მხურვალითა სანელბლითა შექნილსა. და თუ სნეული უსუსურად იყოს ეგების რომელ ჩატისა ხორცი ნაირითა შექნილი ჰამოს, და ძეულსა ღმინოსა სმიდეს, და თაფლისა შარაბსა რომელ შივან ფაჩარი და კალამონი და ყარანჲული და ხუსრაედარვი რთული იყოს ერგების.

40)

ვითარებაჲ რაა დაცემისგან ყოფილ იყოს. მასარჯოჲ იტყვის: ესე დაცემისაგან იქნების, ანუ ნაცემისგან რომელ მას ასოთა ეცეს რაჲჲ, ანუ ზურგისა მძიეთაგან ერთი დასხლტეს, ანუ მაღლისა ადგილიდან დაცემული იყოს ამის გნით იქნების.

<sup>1)</sup> ბალღმისგან.



ნიშანი რა და ცემისგან იყოს: რომელ ამისი ნიშანი ეგრე არს, ვითა ფელიჯისა რომელ ნაკრავისგან გამოჩნდეს, ანუ სისუსთისგან იქნების, და რა და ცემისგან იყოს და და თავსა და მკერდსა ასოთა მოეროოს საგთაჲ იქნების მისგან და რა და ნახევარი იყო ფელიჯათ შეეკნების.

კურნებაჲ რა და ცემისგან იყოს: რომელ ისთისხაჲ ტანისა სისუსთე არს და ცემისა შიგან არ იკურნების, არცა გამრთელდების. და ორსა ანუ სამსა დღესა უკანით სისუსთე გამოჩნდეს ესე ტილე შემოსდეს: ყუსტი და საბრი და აყიყია და ვარდი თვითო-საგან ორისა დრამისა წონი, რამიქ და მასთაქე და ბროწყულისა ყუთვილი და ფაჩარი თვითო-საგან დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი გამდნარსა ცვილსა თანა გაპრიოს და ცოტაჲ 10 ზეთის ხილისა ზეთი ჟრთოს და მანკისა აღგილსა შემოსდეს. და თუ ბუნებაჲ შეკრვით იყოს ამით ჰუყნითა მუცელი დაუღბონ. ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი და ყინტორიონი და ცერეცოჲ და ბედანჯირი და ქურქუნჩობისა თესლი თვითო-საგან ხუთისა დრამისა წონი, სპანდი რომელსა ჰქვიან მარიამის საკმელა და არაბულად პალმალი და უღბოჲ თვითო-საგან ოთხი დრამისა წონი, პანტალი ერთი, ბადიონისა და ნიახურისა თესლი თვითო-საგან დრამისა წონი ყველაჲ ორითა ლიტრითა წყლითა შეაგბოს რომელ ნახევარ ლიტრა მისგნით დარჩეს, და მაშინ უკიაჲ ერთი თაფლი და ნახევარ უკიაჲ ხირისა ზეთი და ნახევარ უკიაჲ თეთრისა იასპინისა ზეთი, ბაერუჟი ნახევარ დრამისა წონი, ჯავაშირი და სიქაბუნჯი, თვითო-საგან ნახევარი დრამისა წონი, ყველაჲ ერთგან შეაგბო, და ნელი ჰუყნაჲ უყოს ერგების.

20 ისაჲ აქიმო იტყვის: ფილზაჲ და მასთაქე და საბრი და ყაყია დანაყილი ბაბუნისა ზეთითა შეხილოს და მანკისა აღგილსა შემოსდეს, და ფარფიონი და ტეგანასა ზეთი შესცხოს. და თუ ყოლინჯსა უკანით ისთისხაჲ გამოჩნდეს იისა ზეთი ორი ნაწილი, და ცერეცოჲსა ზეთი ერთი ნაწილი ერთგან გაპრიოს, და მანკისა აღგილსა იცხებდეს და საქამაღსა ვარიასა ქამდეს ზირაბაჯითა, ერგების შეწეწითა ღმრთისაათა.

წმ. დაბუშუბაჲ ასოთა რომელსა ჰქვიან არაბულად ხიდრი. ვითარებაჲ რა და სიმბურ-ვალისაგან იყოს დაბუშუბაჲ. მ უ ა ჰ ა მ ე ლ ზ ა ქ ფ რ ი ა ს ძ ე ი ტ ყ ვ ი ს: რომელ ხიდრი ასოთა დაძინებისა ჰქვიან, ვითა იტყვიან ფერხი დამბუყებია, სპარსულად იტყვიან ფამან ბუბუფთ და ანუ ხელსა დაეძინა, ვითარებაჲ მისი სისხლისა სინედლისაგან არს, რომელ ტანსა მოეროოს და ყოველთა ასოთა შიგან დაიპანტოს სინედლე მისი.

30 ნიშანი რა და სიმბურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ პირი წითლად ედგას ეგრე რომელ სიშავესა კერძოჲ იყოს და ოფლი დია სდიოდეს, და რა და ესე გამო-ჩნდეს თუ არ ჰკურნონ ფელიჯათ შეიქნების.

კურნებაჲ მისი. იგი არს რომელ ხელი გაიხსნას და საქამაღსა ცოტასა ქამდეს. და თუ დაბუშუბაჲ მარცხენასა ხელსა შიგან იყოს მარჯვნივ ბასალიკი გახსნას და მას ას-ოსა ქაფურისა ზეთითა იზელდეს, და რაჲცა სისხლსა ახურებდეს მას გრიდებოდეს, და რაჲცა სისხლსა სიფიცხესა დააწყენარებდეს მას იხმარებდეს. და რაჲ ხელი გაუხსნას მაშინ ორსა დღესა ესე მატბუქი შეკამოს ვითარებაჲ მისი: ყვითელი პალილაჲ და ქაბულური პალილაჲ უგურკოჲ თვითო-საგან ხუთმეტისა დრამისა წონი შავი ტყემალი და უნაბი სა-თვალავსა ოცი, ჩამიჩი უგურკოჲ ორი უკიაჲ, ვარდი წითელი და ნილოფარი თვითო-სა-40 გან ხუთისა დრამისა წონი იაჲ სამისა დრამისა წონი ყველაჲ სამსა ლიტრასა წყალსა ში-გან ნელითა ცეცხლითა შეაგბოლოს რომელ ლიტრად ერთად მოვიდეს მაშინ დაწმიდოს და ოცისა დრამია წონი ხიარშამბრისა გული შიგან გაგალოს და ცისკარსა ნელი შესტას.

დევეჯანის იტყვის: ხელი გაიხსნას და სნეულისა ძალისა მისაფერად სისხლი გა-ზოილოს და ტანსა ეგეთსა რასმეს იცხებდეს რომელ ტანსა გააგრილებდეს და სისხლისა სიფიცხესა დააწყენარებდეს, ვითა ქაფურისა და ვარდისა ზეთთა და თეთრი სანდალი და ნილოფრისა ზეთი და იისა ზეთი და ვარდის წყალი. და მოზავარასა რომელსა ჰქვიან ურ-



წყობა ისრინისასა და თუთუბისასა ჭამდეს, და თუ სხეული შეუძლებელი იყოს ვარია თუთუბითა და ისრინითა აქამონ და მხურვალთა და ცხიბინათა და ტკბილთა თაფლიანთა ერი-  
დებოდეს. და აბანოს დია ნუ შავალს მეტად სიმაძღრესა ზედა. და მიწყობს ჭამდეს რომელ სისხლისა სიფიცხე დააწყენაროს. და თუ აყიროასა ზეთი და ბედრანჯისა ზეთი ტირიფისა ზეთი, მანკისა აღვილსა იცხოვს<sup>1)</sup>.

ჰუნაჰან იტყვის: ვითარებაჲ ამის მანკისა იგი არს, რომელ უნდელი გასარვე-  
ლი ტანსა შეიყარნენ და მათგან სინედლე მრავალი თეთრთა ძარღვითა შიგან გაერავენენ,  
ანუ გრილისა აღვილსა შიგან დამკვიდრებულ იყვენენ ანუ სიციფე სცემოდეს.

ნიშანი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲ ტანი მძინედ იყოს და სუსტად და ფერად  
10 თეთრი იყოს, და რაჲ ხელი შემოსდვან გრილად იყოს და თუ დაუყოვნონ კურნებაჲ ფელიჯად  
შეიქნების.

კურნებაჲ მისი იგი არს. რომელ ქუნდურის ჰაბითა მუცელი დაიღმოს და  
ქუნდურისა ჰაბითა შემდგომად ბალადურისა გჭარბინსა ჭამდეს. და თუ გულანგუბინი და  
კილამონი და დარაფლიფილი გაზრდილი იხმაროს უზმასა, დია ერგების. და საჭამადსა ცო-  
ტასა ჭამდეს, და მუხუდისა წვენსა და შურყასა ჭამდეს, და თეთრთა და მყავეთა ერიფე-  
ბოდეს ვითა შაწონი და სძე. და თუ ყუსტი ზეთის ხილის ზეთითა გაგალოს და მანკისა  
აღვილსა იცხებდეს ერგების, და თბილი ერბოჲ რაჲ შესცხონ ერგების. და შეტარაჲსა ჰა-  
ბსა ჭამდეს და მიწყით ტანსა ფარფონისა ზეთითა იხელდეს. და ყუსტისა ზეთი რომელ  
ხაზდისა გული და აყირყირჰაჲ რეული იყოს შეიცხებდეს, და თუ პიტნაჲ და სისანბარი და  
20 ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი და მარზანგოში ყველაჲ წყლითა შეაგბოლოს და ნელსა მან-  
კისა აღვილსა იცხებდეს, დია ერგების.

მესია იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მიწყით ასოთა მხურვალითა ზე-  
თითა ახელიებდეს და ცხელსა აღვილსა დაჯდებოდეს რომელ ოფლი გამოსცეს, და რაჲზო-  
მიცა შეეძლოს ცოტასა ჭამდეს საჭამადსა, და ცხელსა ქვიშასა ზედა დაწებოდეს. და ყუს-  
ტი და ფარჯი ზეთის ხილისა ზეთითა შეაგბოს და ასოთა მანკიანთა მით ზელდეს ძველი-  
თა ბანბითა, ესე წამალი ზედა შემოსდვას დია ერგების, და ასოთა მღერასა ესევე კურნე-  
ბაჲ იხმაროს: ჯალინოს იტყვის: ასოთა მღერაჲ და ცხვირთა და ცეპაჲ მანკისა დანარჩომ-  
თაგან იქნების, რომელ ბუნებაჲ მას კიდე გააყენებს და ესე თვით დია მსგზავსი არს, და იგი  
წამალი რომელ ამას წინათ ვახსენეთ ასოთა მღერისათვის კარგი არს.

30 მთ. პირისა ბაზრუღებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ლაჰჰვაჲ. ვითარებაჲ რაჲ სიგ-  
რილისაგან იყოს. ფოლის იტყვის: ვითარებაჲ მისი გრილისა და სქელისა ბილტისაგან  
იქნების, და ბილტი გარეენასა ჰქვიან მანკთასა, რომელ ერთგან გაერივნენ. ანუ მეტისა  
სინედლისაგან რომელსა ჰქვიან არაბულად რუტობათი, რომელ პირისა ცალსა კერ-  
ძსა მოერიოს და თეთრთა ძარღუთა თანა მივიდეს, და იგი ძალი რომელ კაცისა ძრვაი  
მით იქნების, მას იგი ხასიათი მოუღლოს.

ნიშანი რაჲ სინედლით იყოს იგი არს რომელ პირისა სიღრუე გასუსთდეს  
და ცოტასა დაიძინებდეს, და პირისა წყალი სდიოდეს, და თვალთა ფარდაგი ჩამოზიდულ  
იყოს, და სიტყვაჲ მუნით გამოვიდოდეს რომელ გასუსთებულ იყოს.

კურნებაჲ სინედლისა. იგი არს რომელ ღარღარაჲ ქნას ეგეთითა წამლითა  
40 რომელ თავისაგან ბალღამი ჩამოიღოს, და მიწყით თეთრსა საყმელსა ცოხნიდეს. და ჯავზი  
ზოიჲ პირსა შიგან დაიჭიროს. და ამას მანკსა ცოტასა ჭამისაებრ არა ერგების, და ფაჰ-  
რეზისა ქნა დია ერგების. და თუ არწყიოს და პილპილი და ქერუშტი და ხაზდისა გული, და  
სონიჯი და ჯავზირი თვითოჲსაგან დრამისა წონი, ყველაჲ დანაყოს და ჰაბად ქნას თვითოჲ  
ნარსაქისა ოდენი, და რაჲ ესე მანკი გამოჩნდეს<sup>2)</sup> ერთი მარცვალი მისგნით ტეგნისა

<sup>1)</sup> ერგების.

<sup>2)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავის წყარია „იგ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აშიაზე „იგ“





წყლითა<sup>1)</sup>... რომელ ვახსენეთ ბაღდამისა გარევისაგან იქნების, და სასვედომასა გარევისაგან-  
 მაგრა პირისა სიმრწოდე ლაყვად რაჲ გამოჩნდეს უპილწესი არს, მით რომელ კონსტანსა და  
 ძილისა გემოასა წაუღებს კაცსა. და მისი გამოჩენა სქელისა და გრილისა გარევისაგან  
 იქნების, რომელ სულისა გზასა დაუყოფს რომელ ველარ იძვროდეს, და მისგნით თაშან-  
 უჯი გამოჩნდეს. და რაჲ გარევაჲ უკეთესი იყოს მისგან ხიდრი იქნების და თუ ამა ორთა  
 მანკთა სათაუნოჲ ერთსა ასოსა მოერივნენ მისგნით ლაყვად გამოჩნდების, და აქიმთა  
 ამას შიგან დია საუბარი აქვს შესაუბნებელი და მეცნიერობისა თავის თავისა გა-  
 მოსაცხადებელი.

6. **თაშანუჯი იგი არს რომელ ასონი მამხარბითა იხვენე.** ვითარებაჲ რაჲ სიმხურ-  
 10 ვალით იყოს. ფოლის იტყვის: ვითარებაჲ რაჲ სიმხურვალით იყოს მით არს, რომელ  
 სისხლი მოერიოს ასოთა და მისთა ფაათა, ვითამცა თეთრთა ძარლუთა გაერიოს, და რაჲ-  
 ცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ მეტისა სიღბოისაგან იქნების და დიდთა  
 ქირთაგან და სინედლისაგან, რომელ დია მხურვალი და ფიცხელი იყოს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალით იყოს. იგი არს, რომელ იგი ადვილი გასივებულ  
 იყოს და რაჲ ხელი დასდევან მხურვალი იყოს და სიგრძელ ვლხინებოდეს, და რაჲცა სიხ-  
 ზელისაგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ მუცელი მაგრად ედგას და პირი მშრალად.

კურნებაჲ რაჲ სიმხურვალით იყოს. ფოლოს იტყვის: თაშანუჯი იგი  
 არს, რომელ ძარლუნი და ფაჲ გასბირაით [იყვენენ] იბრტყივ და სიგრძით ტანიას. და თუ  
 მანკისა სათაუნო ხელსა იყოს თითთა ვერ შეჭკვირდეს და ვერ გახსნიდეს, და ეგების რომელ  
 20 შეკრვა შეეძლოს და გახსნა არა, და ეგების რომელ გახსნა შეეძლოს და შეკრვა არა, და  
 ესე მანკისა მისაფერად იქნების თუ დიდი იყოს და თუ ცოტაჲ, და სრულთა ასოთა შიგან  
 საზომისაებრ იქნების.

კურნებაჲ იგი არს, რომელ ბასალიკი გახსნას, და თუ მანკი მარცხნით იყოს  
 მარჯვნივ გახსნას, და თუ მარჯვნივ იყოს მარცხნით გახსნას, და მსურასა გააცივებდეს ვარ-  
 დის წყლითა და ქაფურითა და ზედა შემოსდებდეს, და ღვინოასა და თავლსა ერიდებო-  
 დეს და მჟავესა ქამდეს, ერგების.

ბაყრატი იტყვის: თაშანუჯი რომელ სისხლისაგან იყოს, ხაშს რომელ ხელი გაი-  
 ხსნას და სისხლსა დია ზუ გამოიღებს, და მაშინ ტკბილისა და მჟავისა ბროწიფულისა წყალ-  
 სა და სიქანუბინსა სმიდეს, და საქამადსა თუთუბისასა და ისრიმისასა ქამდეს.

30 **დევეჯანის იტყვის:** რაჲცა სისხელისაგან იყოს კურნებაჲ უძნელესი არს მისი,  
 მაგრა ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს და ასოთა საქცაელთა ნელითა ზეთითა იზელდეს,  
 და თუ შეეძლოს ნელსა ზეთსა შიგან ჩაჯდეს, და ღვინოსა წყალრეულსა სვიმიდეს და ტვი-  
 ნისა გაანედლებდეს ბაბუნაასა ნუტელითა, და იითა და ქუნჯიდისა ფურცლითა, და აყი-  
 როსა ფურცლითა და ბაღდათა, და ნილოფრითა და ქრთილისა გულითა, და იისა ზეთი  
 ქალის დედისა სძესა გაპრიოს და მწჰარი მით დაასოვლოს და თავსა შემოსდვას, და იაჲ  
 და ბაღდაჲ ქრთილსა წყლითა დაასოვლოს და იისა ზეთითა თავსა შემოსდვას. და თუ არ  
 დაწყნარდეს მალჰამა ეგეთი, რომელ გასივებულსა მაგარსა მოაღბობდეს რომელ სანიკრი-  
 სოდ ვახსენოთ იხმარებდეს, და ჯულაბსა ნუშის ზეთითა სმიდეს ერგების. და მათქანისა ქა-  
 თმისა ხორცსა ქამდეს ანუ ბატქნის ხორცი, რომელ შურვაათა შექნილ იყოს, კარგითა სა-  
 40 ნელეზლითა ნატიფითა შექნილსა.

ვითარებაჲ რომელ სიგრილისაგან ქნილ იყოს. ისაჲ იტყვის: ვი-  
 თარებაჲ მისი ბაღდამისა სქელისაგან იქნების რომელ გლუსუნი იყოს, რომელ ფაათა ში-  
 გან დიპანტოს და ასოთა მოერიოს. და ეგების რომელ ესე ბაღდამი უნდილი იყოს, და  
 დიადი სინედლე ძარლუთა თეთრთა შიგან გაგზავნოს და ამას სისავსისა თაშანუჯი ქქიან.

1) აქ ერთი ფურცელი უნდა აკლდეს.



ნიშანი სიგრილისა. იგი არს რომელ ხელი რაჲ მანკისა ადგილსა, <sup>1</sup> შენოსდეს გრილი იყოს, და რაჲ მხურვალი რაჲ შენოსდევან ელხინოს, და ასონი <sup>2</sup> საესედა იყვენ და ბაღლმისა ნიშანი შიგან ჩანდეს.

[ქ] ურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. ისაკ იტყვის: იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გუარიშნისა იხმარებდეს, და გულანგუბინსა ანუ თაფლსა ქამდეს მეტად უზმამან, და აბანოს ოფლი გამოსცეს უზნავე და ასოთა იასამინისა ზეთითა და ხირისა ზეთითა იზელდეს, და მუხუდისა წუენსა და კალიასა ქამდეს, და სიგრილესა და სინედლესა ერიდებოდეს, და იარაჲსა ჰაბსა და ქანდაჲსა აბსა იხმარებდეს ერგების. და ესე ჰაბი ჩვენ გამოგვიცდია უმჯობესია ყველასა წამალსა, ვითარებაჲ მისი: შეტარაჲ და <sup>10</sup> დარაჲპილბილი, და ფანიდი და შაჰმიჰანტალი თვითოჲსგან დრამისა წონი, მარილი ნახევარ დრამისა წონი, ყველა ჰაბად შექნას და ხმარებისა ეამსა დრამისა წონი იხმაროს, და თუ ბაბუნასაჲ შემგებარისა წყალი და აქლილალილიქი, და სისანბარისი და უღბოჲსი, და მარიაჲმის საკმელისა და ყუსტისაჲ, ესე ყველაჲ წყლითა შეაგბოლოს და მანკისა ადგილსა ნელსა შემოასწმიდეს ერგების.

არბიასიოს იტყვის: ლიტრა ერთი ძველი ზეთი და ორი უკიაჲ წითელი ცვილი ერთგან გაადნოს, და უკიაჲ ერთი ფარფიონი გაგლილი თანა გარიოს და მიწყით მანკსა მით ზელდეს ერგების, და თუ ბადიანისა წყალი და თაფლი ქამოს კარგი არის დია. და საჰამადთა თანა ცხტრისა ხორცთა ქამდეს, რომელ მხურვალითა და ნატიფითა სანელგბლითა შექნილ იყოს.

<sup>20</sup> ჯალინოს იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ იგი არს, რომელ შეტარასა ჰაბითა და სიქანგუბინისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და ნაშინ გვილანგუბინისა და ვარდისა შარაბსა ანუ ლელჯთა იხმარებდეს ერგების. და ტანსა იასამინისა ზეთითა იზელდეს. და საჰამადსა მუხუდის წვენსა და კალიასა ქამდეს რომელ ქათმისა ხორცითა შექნილი, იყოს და ღვინოჲსა ნუ სჭამს და საჰამადსა ცოტასა სჭამდეს ერგების და მიწყით სიცხესა და ცხელსა იდგილსა დაიძინებდეს, და ასფარამთა წყალთა შიგან ჩაჯდებოდეს ერგების.

ნა. შუჰაჲი და იმთიღადი ოკიჲ თაშნუჲისაგან არს. ვითარებაჲ ქუზახისა და იმთიღადისა და თაშანუჯისა. არბიჯანის იტყვის: რომელ ესე მანკი უნდილისა გლუსუნისა ხილტისაგან იქნების, რომელ ტანისა ძარღვთა და ფაათა შუა დაპანტულ იყოს, და რაჲ მოერიოს ამას გამოაჩენს, და ეგების რომელ სიხმელისგანცა იყოს.

<sup>30</sup> ნიშანი იგი არს. რომელ ასონი დია სტკიოდენ და საუბრისა ეამსა ენაჲ მიძენედ ედგას, და ეგების რომელ სულიცა დაუგუბდეს. და ნიშანი მისი რაჲ სიხმელისაგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი დია იყოს და ენისა სიმძიმე უმცროჲ იყოს.

კურნებაჲ ქუზახისაჲ მანკისა. არბიჯანის იტყვის: იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და ასონი გაწმიდნეს ამით ჰაბითა ვითარებაჲ ჰაბისა: სიქაბენა და ვაშაჲ, და ჯაეაშირი და მუყლი, და მარიაჲმის საკმელი და შაჰმი ჰანტალი, და საბრი და თურბითი თეთრი ღრუჲ, და ანძეაროთი და ყვითელი ჰალილაჲ თვითოჲსა ორისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცხილი გომიზისა წყლითა დააღბოს, ანუ გომიზი ცერეცოჲსა წყლითა დააღბოს და წამალი ნაგით შეზილოს, და ჰაბად შექნას და ჩრდილითა გაახმოს, და ხმარებისა ეამსა ორისა დრამისა წონი ანუ სამისა დრამისა წონი, და ეამისა

<sup>40</sup> სიგრილისა და სიმხურვალისა მისაფერად, ნელითა წყლითა იხმაროს. და მაშინ ასონი ყუსტისა ზეთითა ანუ ზეთის ხილისა ძველისა ზეთითა კარგად იზილოს ერგების.

როფის იტყვის: კურნებაჲ რაჲცა სიხმელისგან იყოს უძნელესი არს, და უგვიანე იკურნების. მაგრამ კურნებაჲ იგი არს, რომელ ქრთილის წყალსა ნუშის ზეთითა სმიდეს, და გრილი ლუაბი ბაზრაყატუნისა წმენსა იტყვის, ქალის დედისა სძესა<sup>1)</sup> გაპრიოს და ტანსა

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრუქონ ზემოდან არის ჩამატებული არა დედნის ხელით.

იკბოს, და ახალი სძე ნუშის ზეთითა და შაქრითა ქამოს. და საქამდად შურვასა ქამდეს ბატკნის ხორციითა, და წვრილთა ახალთა თევზთა ქამდეს. და თუ შეკრავთ იყოს თარან-გუბინითა და ხიარშაბრითა დაილბოს მუცელი, და თუ ნუშისა ზეთი მისა შარაბითა ინ-მაროს კარგი არს, მაგრა თუ სნეული უსუსურად იყოს ჰუენაჲ უყონ ლბილი, და შურვასა ქამდეს ბატკნის ხორციითა შექნილსა.

იმთიდადისა მანკისაჲ: რომელ გაყოფაჲ ქუხაზსა და იმთიდადსა შუა იგი არს, რომელ ქუხაზისა მანკი უფროდსი თეთრთა ძარღლთა შიგან იქნების და იმთიდადი ხორცთა შიგან, და უნდილისა ბალანურისა ხილტისაგან იქნების, და ანუ სიხმელისაგან რომელ მოერიოს მას რომელ ვთქვით.

10 ნიშანი იმთიდადისა მანკისა. იგი არს, რომელ ასონი მაგრად იზიდვიდნენ და ხელსა და ფერხსა ერთგან ვერ მიიღებდეს, და არცა რაჲ ძვრად ტანსა შიგან იყოს, მეტად მაშის რომელ მანკი სიხმელისაგან იყოს.

კურნებაჲ იმთიდადისა. მასარჯოჲა იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ რაჲ ბალღმისაგან იყოს იგი არს რომელ ჰუენაჲ უყონ და მაშინ კულა მუცელი დაუღბონ იარაჲ ფეყირაჲთა ანუ საბრისა ჰაბითა, რომელ ერთობით რაჲცა ჰავი ხილტი იყოს გამოიღოს ტანისაგან და ასონი გაწმდნენ. და გულანგუბინისა იხმარებდეს ცოტათა თირიყითა ნელითა წყლით დააღბოს და შესუას. და ბაბუნაჲ და აქლილალპალიქი, და მარზანგოში, და ლარისა ფურცელი და თრუნჯისა ფურცელი ყველაჲ წყლითა შეავბოს და ნელსა სტომაქსა და თავსა ისხმიდეს. და ბერძელისა ფახარისა ზეთითა ასონი იზელოს, და ცოტაჲ საბრი მარზანგოშისა

20 წყლითა გაგალოს და ცხვირთა უწითოს კარგი არს. და საქამდასა ზირაბაჯსა ქამდეს ანუ ჩიტსა კალიაჲთა, და მჟავეთა ერიდებოდეს. და თუ მანკისა სათენოჲ ტანსა ზედა მივიდეს მანკი ფელიჯათ შეიქნების.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა სიხმელისაგან იყოს უძნელესი იქნების მით, რომელ უფროჲ ძნელად იკურნების, მაგრა კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ქრთილის წყალსა სმოდეს, რომელ შიგან სეფისთონი და უნაბი და ნუშისა ზეთი შემგბარ იყოს. და აყირომასა წყალი ნუშის ზეთითა და შაქრითა ქამოს, და ბაზრაცუნისა წყენი და ბეპეს გულისა წყენაჲ ქამდეს აყირომასა თესლისა ზეთი გაპრიოს, და ტკბილისა ბროწეულისა წყალსა ნუშის ზეთითა ქამდეს და იისა ზეთსა და ნილოფარისა ზეთსა ცხვირთა უწითობდეს და სმელი იაჲ და ქერის ფენილი დანაყილი ბაზრაცუნისა წყენითა შე-

30 ზილოს და ძავსა შემოსვდას, და ამას წამალსა მანკისა აღვიღოსა იცებდეს: იისა ზეთი და ზროხის წვივისა ტვინი და ცვილი და ქათმის ცხიბი ერთგან გაადნოს და ქვეერსა შიგან დასდვას და იხმარებდეს, ერგების.

**68. ასოთა თრთოლაჲ რომელსა ჰჰვინან აკაბულად რაჲ.** ვითარებაჲ ამისი მრავალფერად არს, რაჲცა სიმხურვალით იყოს სისხლისა მორგენისაგან იქნების, რომელ ასოთა მოერიოს, და ანუ ზაფრისა სიფიცებისაგან იქნების რომელ ექამოს და შეტე ექნას.

ნიშანი რაჲ სიმხურვალით იყოს. რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ტანი დია თრთოდეს და ფერი პირისა და თვალთა წითლად ედგენენ, და ძარღწნი აღდგომით იყვნენ. და ნიშანი რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ყვთლად იყოს და თრთოდეს.

40 კურნებაჲ რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და სნეულისა ძალისა მისაფერად სისხლი გამოიღოს, და ეგეთთა რასმე იხმარებდეს რომელ სისხლსა დააწყინარებდეს ვითა ბროწეულისა და რევასისა შარაბსა იხმარებდეს, და ურწყომასა ისრიმისა და თუთუბისასა და ამითსა მსგზავთა, და თუ ზაფრისაგან სჭირდეს კურნებაჲ იგი არს, რომელ ფეყირაჲსა იარაჲთა ანუ მატბუხი ჰალილაჲთა და სიქანგუბინითა მუცელი დაუღბოს, და ბროწეულისა ტკბილისა და მჟავისა



წყალსა სმიდეს და საჭამადსა ზარაბაჯსა ჰამდეს ანუ ვარიამ ისრიმითა შექნილი, და გრი-  
ლსა საჭამადსა დია ნუ მიელტვის, და მაშინ აბანოსს მივიდეს.

ისაყ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ალილაჲსა მატუხსა და კოწახუ-  
რსა და მაშასა, ნუშის გულსა და ქათმის მუზათარსა და ბატკნის ხორცსა და ახლსა თევზ-  
სა რომელ ძმრითა შექნილ იყოს, და ბროწეულსა და ვაშლსა, და ბეჭესა და შავსა რყემა-  
ლსა [იხმარებდეს] და კურნებაჲ მისი რაჲცა ღვინისა სმისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ  
ღვინოჲ არა სუჲს და მიწყით აბანოსს მივიდოდეს და ადრე გამოვიდოდეს, და ტირიფისა  
ზეთსა ანუ მორდისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და საჭამადთა თანა რაჲცა სისხლსა აცხელებ-  
დეს მას ჰამდეს, ვითა ნარსაჲ და კალნაბი და სხვაჲ ამათი მსგავსი.

13) როფის იტყვის: რაჲცა სნებისაგან ადგომილ იყოს იგი არს, რომელ ძილსა და  
ჰამასა მოიმატოს და კარგთა სურნელთა უსუნებდეს, და ზურგსა ნელითა ერბოთა იხელდეს,  
და რაჲცა ცივისა წყლისა სმისაგან იყოს იგი არს, რომელ მზესა შიგან ოფლი გამოეცეს  
ანუ აბანოსსა შიგან. და თუ შეჭირვებისაგან ქნილ იყოს და გშინოდესცა კურნებაჲ მისი  
იგი არს, რომელ მანკისა დედაჲ გულისაგან მოიხოცოს მოფარაყითა და ზროხის ენითა, და  
ბაღარანბოჲსა იხმარებდეს და ეკეთთა ჰაბსა ჰამდეს რომელ გულსა გააძლიერებდეს.

ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს: დევჯანის იტყვის: ვითარებაჲ  
მისი რაჲ გარევისგან სქელისაგან და უნდილისა<sup>1)</sup> იქნების, რომელ თეთრთა ძარღუთა ში-  
გან გაერინენ და მოერიოს, და გზა სულისა დაუყოს და ძალი წაულოს კაცსა და ანუ გა-  
რევისა რომელსა ჰქვიან მიზეჯი, მისისა სინეღლისაგან იქნების რომელ სიგრილე მოერიოს.

20) ნიშანი მისი. იგი არს რომელ ტანი მძიმედ იყოს და სუსთად, და საჭამადი გრილი  
მოუნდებოდეს, და ელდაჲ დია შეექნებოდეს, და ამის გნით არს რომელ ესე ქირი და მანკი  
ბერთა კაცთა უფროჲ შეექნების.

კურნებაჲ რაჲ სიგრილით იყოს: დევჯანის იტყვის: კურნებაჲ მისი  
იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გჭარიწნსა ჰამდეს და მასტაქისასა და უკანას გაზრდილსა  
ზანჯაბილსა ჰამდეს, და ლედტსა და ფუსტუყსა, და თხილსა და საბზდანსა და ჯავზი ჰინ-  
დის რომელსა ჰქვიან ჰინდური ნიგოზი, და ნუში და ნიგოზი და ჯალილოზაჲ, ამისთანასა  
რაჲსაცა ჰამს ერგების, და წითელი ხორცი ზეთის ხილისა ზეთითა შემწჭარი და კალი-  
დცა შექნილი, და თაფლისა შარაბი რომელ მზურვალითა სანელმებელითა შექნილი იყოს  
ესე ყველაჲ მას ერგების. ჯალლოზაჲ<sup>2)</sup> წმიდაჲ რაზომაცა სწადდეს დანაყოს და თაფლითა

30) შეზილოს და უზმაჲ სამისა დრამისა წონი იხმაროს შარადლე, და ფელიჯსაცა ერგების  
რაჲცა გვითქვამს წამალი.

როფის იტყვის: განდაჲსა ჰაბი და შეტარასა ჰაბი ჰამოს და ხმელ, მზურვალთა  
ზეთთა ტანსა იცხებდეს, და დიდროვანთა იარაჲთა იხმარებდეს. და თუ ხაზდის გული და  
მწარე ყუსტი, და ფარფიონი და პილპილი ერბოთაჲ ადულოს და მანკისა ადგილსა მაგით  
ზელდეს, და დაიძანოს და რაჲ ადგეს ტანი წუნწუბისა წყლითა დაიბანოს. და დია საჭამა-  
დსა ნუ სჭამს, და დაიკცა ნუ დაეკარების და ღვინოჲსა ნუ სჭამს, და ყოველთა გრილთა  
ერიდებოდეს.

ანოთა მღერისაჲ და ანოთა მღერათა. ჯალინოს იტყვის: ესე მით შეიქნების  
რომელ ანუ სქელი ქარი ანუ ძლიერი ორთქლი მას ასოსა შეაზრწუნებს, ამლერს და ადრე  
40) დასწყნარდების და უფროჲსი ბალღმინთა და გრილ ბუნებათა წაეკიდების ესე. და ზამთ-  
რის მოემატების და მაშინ რაჲ კაცმან ცივი წყალი სჭამს, ანუ ცივსა წყალსა ჩაჯდეს. და  
კურნებაჲ მისი ვითა რაშესა კურნებაჲ არს რომელ გაუფრთხილდეს და კარგად ჰკურნოს.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.  
2) ამ სიტყვას ნიშანი ჟხის და აშიაზე მხედრული ხელით სწერია „ფიჭვის კაკალი“.



ვითარებაჲ მისი და ნიეთი.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ სიმქისე თვალისა ბურჯსა შიგან გამოჩნდების ტკივილსა თვალისასა უყინით, ვითარებაჲ მისი სინედლისა და სიმლაშისაგან იქნების, რომელ მანდა შეყრილ იყოს და მოერივნეს მისდა.

ნაშანი რაჲ ქუქუთო მსგავნ იყოს. რაჲ მღიერი თხლად იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ თვალისა ფურცელი შიგნითკე წითელი იქნების და სიმქისე ცოტაჲ იქნების, და რაჲ მანკი დაძველებული იყოს სიმქისე დია იქნების და დანაყილსა ეგვანების.

10 ქურნებაჲ რაჲ ქუქუთო მსგავნ იყოს: რაჲ მანკი ახალი იყოს და არ მო-  
რეულ იყოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ წითელი შაფი და ყვითელი შაფი ლბილი შემოვლოს და ხელი გაიხსნას, და ჭიქა მოიკიდოს და მუცელი დაიღბოს, და აბანოსა იხმარებდეს. და რაჲ მანკი დაძველებული იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და თვალი შეჭრითა ტაბარზადითა ანუ ზღვის პერულითა მოიფხანოს, და ცოტა ძმარი წყალსა გაპრიოს და თვალთა მით იბანდეს. და თუ ძირაჲ მჩუარსა გამოჭრას და მაშინ მოიფხანოს და წყალი მისი ჩაუწოთს კარგი არს. და მეორესა დღესა ხამს რომელ ყვითელი დარური თვალსა ჩაიყაროს, და თუ მანკისაგან ნარჩომი იყოს ლბილითა შაფითა ჰკურნოს, და თუ არა სწადდეს ფხანა წითლითა და თეთრითა შაფითა ჰკურნოს.

20 როფის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ორი შაფი ქნას დარაფილფილისგან რომელ უფრო ძალიანი იყოს, და მწვანე შაფიცა კარგად ერკების. და საჭამადსა ხმელსა და მბურვალსა ერიდებოდეს, და ზეთსა და ძმარსა იხმარებდეს რომელ მანკი გაქარდეს და აღრე იკურნოს.

ახუჯარიჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ წითელი და მწვანე შაფი ორივე შემოვლოს და ესე წამალი იხმაროს გამოცდილი არს, ვითარებაჲ მისი: სპარსული ოშნანი ათისა დრამისა წორი, ბავრუჯი ზუთისა დრამისა წონი ორივე ჩვილისა ყრპისა ფსლითა შეზილოს და ტაშტსა ზედა ცხოს სამსა დღესა, და მაშინ თვალისა ფურცელი მაგით მოპგოზოს, და თუ მანკი ძნელი იყოს შუბლი გაიხსნას და ძირაჲსა წყალი ჩაიწოთს. და ვარდისა ზეთი კვერცხის ყვითელსა გაპრიოს და თვალთა შემოსდეს, და დარური ყვითელი და აღბარი იხმაროს.

30 ვითარებაჲ მქავანისაჲ: მქავანი თვალთა შიგან არ იქნების განა ფურცელსა შიგან იქნების და იგი ჰაგეთისა ხილტისგან იქნების, რომელ ბავრუჯსა ჰგვანდეს და მუნ შეყრილ იყოს და მორევილ იყოს.

ნიშანი მისი. იგი არს რომელ ცრემლი მლაშე იყოს, და რაჲზომცა უფროჲ ჰკურნებდენ ცრემლი უმლაშესი იყოს. და რაჲ მანკი დაძველდეს ცრემლი ბავრუჯისა წყალსა ჰგვანდეს.

ქურნებაჲ მქავანისა. იგი არს რომელ შუბლი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და აბანოსა დია მივიდოდეს. და საჭამადსა მაშუნესა და ნატიფსა ქამდეს. და არდი დანაყოს და ვარდისა ზეთი გაურიოს და დამინებისა ქამსა თვალსა შემოსდეს. და თუ მანკი ძნელი იყოს და ამით არ იჯობინოს, ნარსაქი ტყავ გახდილი და თუთუბაჲ, და ვარდი და ცმელი

1) ტექსტში აქ თავთა სათვალავი არ უწერია, აღდგენილია სარჩევის მიხედვით.

2) შეცდომაა, უნდა იყოს „ზურგთა“



და ბროწეული ყველა ღვინითა შემგბრითა შეაგალოს და დაძინებისა შემსა თვალთა შემოსდვას, და უკანის წითელი შაფი და ბასალიყი <sup>1)</sup> და როშნაა თავისა და თვალისა ძალისა მისაფერად, და მანკისა დედისა მისაფერად, ესე წამალი რომელ გვეთქვამს შემოვლოს.

ჭუნაძე იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ გაზრდილი ისრიმისა წყალი თვალთა შემოვლოს და გრილსა ტილესა თვალთა შემოსდებდეს, და ტვინი ქინძისა წყლითა და არღისა წყლითა ვაიგრილოს, და ურწყოსა მამათა შექნილსა და ნუშის გულისა ზეთითა შეხავებულსა ჰამდეს, და ხაშხაშისა შარაბსა იხმარებდეს. და ყვითელი ჰალილაა ვარდისა წყლითა გაგალოს და თვალთა ჩაუშუას. და მიწყით მუცელი ღბილად დაიჭიროს ხილთა წყლითა, და საჭამადსა ასუანახსა ჰამდეს ოსპითა შექნილსა.

10 არბიასიოს თქვა: თუ მანკი ძნელი იყოს იისა ყურსი, და ყურსი კჭერსა ჰქვიან შექრითა ჰამოს, რომელ იგი მლაშე ხილტი რომელი თავსა და თვალთა შერეულ იყოს ყველაა ჩამოილოს, და წითელი შაფი შემოვლოს, და თუ მქავანი და ქავილი არ დააკლდეს ყვითელი დარტური თვალთა შემოვლოს და მაშინ ბასალიყონი და გრილთა და ხმელთა და უღნობათა საჭამადთა ერიდებოდეს, და ვარიასა და ხოხობსა და თიპოსა ზირაბაჯითა შექნილსა ჰამდეს. და ღამით ნურას ქამს, და დაიცისა სიახლესა ერიდებოდეს, რომელ ელხინოს შეწვევითა ღმრთისათა.

ნდ. ბარდი და თაქაჯური და შაირაა რომელ თვალისა მუცუთოსა შიგან იძნების. ვითარებაა ამით მანკთაა. ფოლის იტყვის: ვითარებაა მისი სქელისა ბალღისა გარევისაგან იქნების რომელ თვალისა ბურგსა [ზურგსა] შიგან შეიყაროს ანუ თვალისა კილოასა, და მაშინ ბუნებისა ძალმან გამოღმა გამოსცეს მუნით, და არაბულად ქაზავადი ჰქვიან.

20 ნიშანი ბარდისა და თაქაჯურისაა: იგი არს რომელ მჯდომი მრგვალი და პატარაა გამოჩნდეს თვალისა ქუქუთოსა ანუ თვალისა კილოასა ნარსაქისა ოდენი, და ანუ მუხუდისა ოდენი, და რააცა მისგნით მაგარი იყოს მას არაბულად თაქაჯური ჰქვიან.

კურნებაა ბარდისა და თაქაჯურისა, ფოლის იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ჯავშირი და ქალბანაა და ვაშაა ყველა ძმრითა გაგალოს და მრავალჯერ ზედა შემოსცხოს, თუ არ გამრთელდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ შაშრითა ადგილი მისი გააბოს და მანკისა დედაა გამოილოს, და უკანის ყვითელი დარტური მრავალჯერ ზედა მოაყაროს.

მასარჯოა იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ია-  
30 რაა ფეყირათა ანუ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, რომელ თვალი და თავი ჰავისა გარევისაგან გაწმდეს, და მანკი ტანისაგან გამოილოს, და ვაშაა და ძმარი და ცვილი და იისა ზეთი თვალსა შუმოსდვას, და თუ შემგბარი ლეღვი შემოსდვას კარგი არს. და შაფი წითელი ღბილი შემოვლოს და თუ არ გაუჩინარდეს ფრჩხილითა მღერი ამოავდოს და მაშინ ყვითელი დარტური შემოაყაროს. ერგების.

ჯალინოს იტყვის: თაქაჯურისა კურნებაა იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ნელი წყალი ზედა დაასხას რომელ დაიღბოს, და თუ ვერ იჯობინოს დახილიონისა მაჰლამაა დასდვას. და თუ ხანი გარდახდეს და ამა წამალთაგან არ იჯობინოს, მანკისა ადგილი გააბოს და რააცა მანკისა დედაა იყოს გამოილოს, და ნურას დაავდებს შიგან მანკისა თანასა რომელ კულა არ გამოვიდეს და ფარეხსა იქმოდეს რომელ თვალისა ქუქუთოა  
40 ერთობილად არ გააბოს, რომელ ჭირსა არ ჩაიჭრეს და ესე დასტაქურობისგან არს, სააქიმოასგან კიდე განი არს.

ვითარებაა შაირაასი. მესია იტყვის: ვითარებაა მისი დამწურისა სქელისა სისხლისაგან იქნების რომელ თვალისა ქუქუთოსა შიგან შეიყაროს წამწამთა სიახლესა, ანუ ვასივებისაგან იყოს ანუ ვასარეველისა სქელისაგან იქნების, და იგი ეგეთი სიმსიენე იქნების რომელ თავსა არ ისხამს.

<sup>1)</sup> უნდა იყოს ბასალიყონი.



ნიშანი შაირაჲსი. იგი არს, რომელ ეგეთი სიმსივნე თვალთა ქუქუთოჲსა ზურგსა გამოჩნდეს და ანუ წაწმინთა სიახლესა, და რაჲ დღე უფროჲ გადრდებინს და უწითლესი იქნებოდეს, და რაჲცა გასარეველისაგან იყოს თეთრი იქნების.

კურნებაჲ იგი არს, რომელ თუ თვალთა ქუქუთოჲ მხურვალედ იყოს მამითაჲსა შაჲი და სომხური შაჲი და არდის წყალი ერთგან გაგალოს და ზედა შემოიცხოს, და ნელითა წყლითა ბანდეს <sup>1)</sup>, და თუ არ იჯობინოს და ხილიონისა მალჰამაჲ დასდევს რომელ მანკისა დედაჲ დაადხოს. და თუ არცა მალჰამამან რაჲ არგოს კურნებაჲ იგი არს, რომელ მღიერი ფრჩხილითა ამოაგდოს და ვაღშტას რომელ სისხლი გამოვიდეს, და მაშინ ყვითელი დარჲური მოაყაროს, და მიდამო მისი გააგრილოს გრილითა შემოსადებლითა, და ხილთა წყლითა მუცელსა დაილბობდეს, და სიქანგუბინსა და ჯუღაბსა იხმარებდეს ერგების, და საჭამადსა ვარიასა ქამდეს ანუ ურწყოსა ნუშისა ზეთითა, ერგების.

მასოჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ გამდნარი ცვილი ლბილი ზედა შემოსდგან და ხილიონისა მალჰამაჲ ერგების, და აბანოჲს ნივიდოდეს და პირსა თბილისა წყლისა ოფელსა მიუჭურობდეს. და წითელი მალჰამაჲმან მანქსა ერგების. და თუ მანკისა ადგილი თბილითა პურითა იზელოს კარგი არს, და თუ თეთრსა ცვილსა ცოტაჲ არჯასი გაჭრიონ და ცვილი გაადნონ და მანკისა ადგილსა შემოსცხონ კარგი არს. და ლეღვი შეაგბონ და საბრი თანა გაჭრიონ და ტკივილისა ადგილსა შეზილონ კარგი არს. და იარაჲ ფეყირაჲთა მუცელი დაუღობონ, რომელ მანკისა დედაჲ თავით ჩამოზიდოს და ტანი სქელითა ხილტითა გაწმიდონ, და საჭამადსა ურწყოსა მაშაჲსაჲსა ქამდეს, და რაჲ იჯობინოს ვარიაჲ აღარდნითა შექნილი ჭამოს, და ლამით ნურას ქამს და დიაცსა ნუ დაეკარების თუ სიმრთელე და სინათლე თვალთა უყუარს.

**60. შათარაჲ და თვალთა მრთმანერითა ზედა გარდაკრვაჲ:** ვითარებაჲ შათარაჲსი.

სინაჲს ძე იტყვის: შათარაჲ არაბულად მას ჭვიან რომელ წამწამნი ერთმანერთსა ზედა არ მიეახლებოდეს, და თვალი ნახევარ აღრენილი დარჩეს. ეგრე რომელ სწადდეს რომელ თვალნი დაიქუხნეს თეთრი კიდე უჩნდეს, და ესე მანკი საბფერად იქნების.

ნიშანი შათარაჲსა მანკისა. ერთი ნიშანი იგი არს, რომელ თვალისა ბურგთა ანუ ქუქუთოსა ანუ ზემოჲსა ეცეს რაჲმე ნაკრავი და გაიხიოს, და მაშინ შეკერონ არ კარგად, და დამოკლდეს. მეორე რომელ თვით დაბადებით მოკლე იყოს, შესამე ქუქუთოჲ გარდაქცეული იყოს ანუ ხორცი მეტი რაჲმე გამოვიდეს.

კურნებაჲ შათარაჲსა მანკისა. სინაჲს ძე იტყვის: თუ ესე მანკი შეკერვისაგან ყოფილიყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ შეკერული გააბონ და ცოტაჲსა მანბისა ძეღელსა ზედა სპეტისა მალჰამაჲ მომროლანსა თანა გაჭრიოს და გაპობილსა შუა დასდევს, და თუ თვალთა ასეთარაჲთა წყლითა ბანდეს ვითა ბაბუნაჲ და აქლილალმალიეი და სიანბარი და რაჲცა ამათ ჰგვანდეს ერგების. და ხმელსა წამალსა ერიდებოდეს ვითა დარჲურსა წითელსა და ყვითელსა და მათსა მსგზავსთა. და თუ თვით დაბადებით მოკლე იყოს არ იკურნების. და თუ ხორცი მეტისაგან იყოს, რომელ ქუქუთოთა ზედა მოზრდილ იყოს, ფიცხელი წამალი შემოსდგან ვითა ეანგარასა მალჰამაჲ და მსგზავსი, მისი რომელ ხორცი მეტი ვაუჭარვოს. და თუ ამან წამალმან არ არგოს უმჯობესი იგი არა, რომელ ხორცი მეტი ზე აუღონ და ფრჩხილითა მოსწყვიტონ და არა დააგდონ, და მაშინ ყვითლითა დარჲურითა კურნონ რომელ ზედა მოაყარონ, და ძირაჲსა წყალი თვალთა უწითონ და მალთუჲკაჲ დასდევან და მაგრად წემოჰკრან. და თუ თვალი გასიყვებული იყოს კურნონს რაჲმადის წამლითა, ვითა რამადისა კურნებასა შიგან ვახენეთ. და თუ სიმსივნე არ იყოს წითელი წაფი შემოვლოს და წითელი დარჲური მოაყაროს. რაჲ დღე და ტანი მიწყით წმიდად დაიჭიროს და კურნებისგან ნუ მოლაფლდების, რომელ კრლა ხორცი არ მოიხარდოს და უდნობთა საჭამადთა ერიდებოდეს.

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავისწერია „ივ“ და შემდგომ გვერდის ქვემო აშიაზე „იზ“.



ვითარებაა თუალთა გარდაკრვისა ერთმანერთსა ზედდაკრვისა კ იტყვის: რომელ თვალთა სიწყულლისაგან იქნების რომელ ქუქუთონი ერთმანერთსა ზედა დაიკრნენ, სხვა მით რომელ საბალი ანუ ნახუნაა თვალთაგან აელოს მაშინ ქუქუთოსა მაგრად შეიპყრობს.

ნიშანი ქუქუთოსთა დაკრვისაა. იგი არს რომელ ქუქუთონი სიშავესა ანუ სითეთრესა თუალისასა ზედა მაგრად დაწებულეითა იყოს, რომელ გახანაა არ ეგებოდეს, ანუ ორნივე წანწანში მაგრად დაკრულნი იყვნენ.

10 კურნებაა. იგი არს, რომელ ვითა ქუქუთო მილისა თავითა ახსნან და ყმა დანით ტყაენი ერთმანერთისაგან გახსნან, და მააფარდაგსა რომელ ყარნი ჰქვიან ერიდოს. და მაშინ ძირაჲსა წყალსა ჩაუწობდეს. და ცოტაა ბანბაა ვარდისა ზეთითა და კვერცხის ყვითლითა დაასოვლოს და ქუქუთოსა ზედა შემოსდვას. და სამღღემდის ამასვე ჰკურნებდეს, და მას შაფისა იხმარებდეს რომელ თვალისა სიწითლესა ერგების, ვითა თეთრი შაფი და აპარისა შაფი და მსგავსი ამათი, და ვითარებაა მისი რაჲცა წამწამთა დაკვრისგან იქნების ერთმანერთ-ზედა, კურნებაა იგი არს, რომელ მილია თავი შუა ჩაყოს და დახსნას ერთმანერთისგან, მაგრა თუ ვერა ქნას მილის წყურითა ზედათი ქუქუთოა გახსნას და ყმა დანითა გააბოს ერთმანერთისაგან და მაშინ გაკვეთილისა ადგალი ძირაჲსა წყლითა დაბანოს და ცოტაა ბანბაა მალჰამითა თეთრითა და ვარდის ზეთითა დაასოვლოს და შუა შემოსდვას, და რომ-ნაჲსა შაფი თვალთა შემოვლოს და საჭამადსა ცოტასა ჰამდეს ერგების.

და თუალთა დაკვრისაა რაჲ გაიღვიძოს, შადაინი იტყვის: თუ 20 თუალთა უმიზეზოთ ვერ გააღებდეს მეტად ძილისაგან ადგომილი, სიხმელისგან იქნების.

კურნებაა იგი არს, რომელ აბანოს მივიდოდეს და იისა და აყიროსა თესლი ერთ-გან გაპრიოს და თავსა იცხოს ერგების, და კურნებისა თეთრი ვარდისა ზეთსა გაურიოს და დაძინებისა ეამსა თვალთა შემოსდვას, და ბირი თბილისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას. და ტვილი წყალი თავსა ისხას დიდ დილით და ნედლთა და გრალსა ზეთთა თავსა იცხებდეს და ცხვირთა უწობდეს ერგების.

63. საზა და კარდანა და შაფაშათა სიხეძა- ვითარებაა საუფასო და ვარდინაჲსი. იოჰანა იტყვის: საფაჲ აყროლებულისა სევდისგან იქნების, რომელ შეყრილ იყოს თვალისა ქუქუ-თოსა და ვარდინაჲ სისხლისა ანუ ზაურისაგან შეიქნების, რომელ თვალთა ქუქუთოსა ში-გნითვე შეყრილ იყოს.

30 ნიშანი საფაჲსი და ვარდინაჲსი. საუფასა ნიშანი იგი არს, რომელ წამწამთა ძირსა ანაკვეთი ვითა იყოს, და ვარდინაჲსა ნიშანი რაჲ სისხლისაგან იყოს, იგი არს რომელ წითელი სიმსიენე თვალთა ქუქუთოსა შიგნით იყოს, და რაჲცა ზაურისაგან იყოს ყვითელი იქნების და ქავისცა.

კურნებაა საფაჲსი და ვარდინაჲსი. იოჰანა იტყვის: კურნებაა საფაჲსი იგი არს, რომელ ყვიალი გაიხსნას და ხილთა წყლითა შემგბრითა მუცელი დაიღბოს, და წითელი შაფი თვალთა შემოვლოს, და მურდასანგითა და მაქვრითა ინაჲთა ტილესა უხმი-დეს თვალთა, და საჭამადთა გრალთა და ხმელთა ერიღებოდეს, და ტანი გარევიანა მალღამურისა და სევდურისა გაწმიდოს, და მიწყით ყვითელსა შაფსა თვალთა შემოვლიდეს, და მა-შინ წითელი და ღბილი შაფი იხმაროს. და საჭამადსა დია ნუ ჰქვამს და ღვინოსა დია ნუ 40 სუჲს, და დიაცა ნუ დაეკარების, და საჭამადად ვარიასა ჰამდეს ზირაბაჯითა შექნისსა. და აბანოს დია ნუ მივალს და დაძინებისა ეამსა ნურას ჰამსა.

მასარჯოჲა იტყვის: ვარდინაჲსა კურნებაა იგი არს, რომ ყვიალი გაიხსნას ანუ ქინაჲ მოიცილოს, და სამსა დღესა კურნებისა ყვითელსა თვალთა ზედა დასდებდეს, და უკა-ნის ცოტაა ზაფრანაჲ და აფიონი კურნებისა ყვითელსა გაპრიოს და თვალთა შემოსდვას, და ქალის დედიანა სძე ჩაუწოს, და მალჰამაჲ თუალთა შემოვლოს, და უკანის ყვითელი და-რური შიგან ჩამოყაროს. და თუ დანაყილი ქრთილი და ნარსაქი და ბროწეულისა ქერქი



დანაყოფი ვარდის ზეთითა შეაბგოს და თვალთა შეწმენდვას ერგების, და რაჲ მანკი გამო-  
თელდეს ყვითელი დაბურთი შემოავლოს, და რაჲცა ზაფრისგან იყოს კურნებამ იგი არს, რომელ  
მულ მუცელი დაიღობოს და უკანის ყვითელსა დაბურთსა იხმარებდეს და ესე ტილე შემოს-  
დვას, და თუ ჰოტუტი და მამითაჲსა შაფი ვარდის წყლითა გაგაღონ და თვალთა გარე შე-  
მოავლონ კარგი არს, და თუ ტკივილი ძნელად იყოს ანზარუთი და მამითაჲ წმიდად გაგა-  
ლოს და თვალთა შემოაყაროს. და კრთილი ქერქვახდილი და ზაფრანაჲ ერთგან დანაყონ  
და არდის წყლითა შეზილოს და თვალთა შემოსდვას.

წამწამთა მატებისა ვითარებაჲ. ფოლის იტყვის: წამწამთა მატებაჲ  
ღვიძლისა და სტომაქისა ბუხარისა და ორთქლისაგან იქნების, რომელ ქუქუთოსა შიგან  
10 შეაყაროს და მოერიოს ნავრა ჰავები ბუხარები, რომელ მყრალისა სინედლისაგან ქნილ  
იყოს.

ნიშანი წამწამთა მომატებისაჲ. იგი არს, რომელ ცრემლი დია სდიოდეს და  
იგი თმაჲ არ სხვისა თმისაებრ იქნების, მით რომელ იგი თვალთა შიგნით დაღმა გაზრდილი  
იქნების და ესე ყველათა იცინან.

კურნებამ იგი არს. ფოლის იტყვის: რომელ აფთიმონისა მატბუხისა ანუ  
ყუყიაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღობოს. და თუ გრილ ბუნებაჲ იყოს ანუ ბერი და ყმაჲ, და  
მხურვალბუნებაჲ იყოს და თვალთა წითლად ედგას და თვალთა ძარღვნი გასიგებული იყვნენ  
შირანისითი და ჰინდოური თამრი, და იაჲ და ვარდი წითელი, და არდისა თესლი და ყვი-  
თელი ჰალილაჲ ყველაჲ შეაბგოს, და ლიტრიითა ერთითა წყლითა იხმაროს. და მაშინ  
20 მაგა თმათა რომელ აწყუნდეს აგლიჯოს, და თუ ვირისა ტერფი დამწჭარი ცოტა მისგნით  
დანაყოფსა ნიშადურსა გაჰრიონ და მას ადგილსა, რომელ თმაჲ დაგლეჯილ იყოს მოაყარონ.  
მაშაჲ თუ თმაჲ დია იყოს თაბაშირი უყოს, და თაბაშირი მას ჰქვიან რომელ ქუქუთოსა  
ზურგი გააბონ და ცოტაჲ ზორცი მუნით გამოიღონ, მეტად მუნით რომელ თმაჲ მოზრდილ  
იყოს, და მაშინ შეკეროს რომელ უკუიქცეს და გამრთელდეს. და თუ თმისა ძირი დასაღონ  
ერგების. მაგრა დადიღვასა უკანით კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი შემოსდვას.

დევეჯანის იტყვის: თუ ამის მანკისა პატრონი გრილ ბუნებაჲ იყოს, ყოყიაჲსა  
და შაბიარისა ჰაბი ჰამოს და ეგრე ხამს რომელ მიწყით ლბილად იყოს და თმაჲ რაჲცა  
მეტი იყოს დაგლიჯოს და ტრედისა ხუნდისა სისხლი მხურვალთა თვალთა ჩაიწაოს, ანუ  
ქრელისა მოკრისა სისხლი. და თუ არა იჯობინოს იგი სისხლი ნასტაქითა სხვათა თმათა  
30 თანა გამოაბას რომელ თვალთა არ იფხანდეს, და არ გააწყულუებდეს და მიწყით ხამს რო-  
მელ ბასალიკონსა თვალთა ჩაუწოთბდეს დიდად ერგების, და დიაცსა ერიდოს.

ნ. თუმნაჲ და თუთაჲ და წაწამთა დახდაჲ. ვითარებაჲ ქვიმნაჲსი და თუთაჲსი.  
არხიჯანის იტყვის: რომელ ქუმნაჲ სქელსა ქარისაგან იქნების რომელ თვალისა ქუ-  
ქუთოსა შიგან შეიყაროს, და თუთაჲ სისხლისა დამწვრისა და დაშავებულისაგან იქნე-  
ბის, რომელ თვალისა ქუქუთოსა მოერიოს.

ნიშანი ქუმნაჲსი და თუთაჲსი: ქუმნაჲსა ნიშანი იგი არს, რომელ რაჲ გაი-  
ღვიძოს ეგრე ეგონოს რომელ თვალთა შიგან ანუ ქვიშაჲ აქვს, ანუ მიწაჲ. და ნიშანი თუ-  
თაჲსი იგი არს, რომელ ხორცი მოზრდილ იყოს ქუქუთოსა ქვეშეთ და შავი ფერი იყოს.

კურნებამ ქუმნაჲსი და თუთაჲსი. არხიჯანის იტყვის: კურნებამ მისი  
40 იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღობოს ესრე: საბრი სამისა დრამისა წონი, მას-  
თაქე და ვარდი წითელი თვითთაგან ორისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყოფი წყლითა  
შეზილოს და ჰაბად შექნას და ჩრდილსა გაახმოს, დრამისა წონი მის გნით იხმაროს რომელ  
ტანი მანკისა დედისაგან გაწმდეს. და მაშინ აბანოსა წაეიდეს. და მაშინ შავითა შაფითა  
ტილე უყოს თვალისა ქუქუთოსა და შაფი აბარი თვალთა შემოვლოს. და უღნობთა საჭამა-  
დთა ერიდებოდეს ვითა ზროხისა ხორცი და აქლემისასა და მათსა მსგავსთა.



მასაჯს ძე იტყვის: კურნება თუთაჲსი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს საბრისა ჰაბითა, ერგების. და მაშინ ფიცხელსა წამალსა შემოსდებდეს ვითა ნწვანე შაფი და როშანაჲ, და ორი პაჰა დათმოს რომელ ადგილი მისი გაშავდეს მაშინ წამალი მისგან მოიხოცოს, ქალის დედისა სძე ჩაიწვითოს, და თუ თუთაჲ ფრჩხილითა მახვილითა მოსწყვიტოს მისგან უადვილესი არს, რომელ წამალი შემოსდევს ფიცხელი.

მასარჯოა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ფიცხელი წამალი შემოსდევან და მიწყით ქალის დედისა სძესა ჩაუწობდნენ, რომელ სიფიცხესა წამლისას დააწყნარებდეს, და თუ კურნებაჲ მისი ფიცხელითა წამლითა არა სწადდეს უმჯობესი იგი არს, რომელ სანართი ამოზიდოს და ყიმა დანითა ხორცი მოჰკვეთოს, ანუ მახვილითა მაკრატლითა, და მაშინ ძირაჲსა წყალსა ჩაუწობდეს მას ადგილსა რომელ ხორცი ამოკუთილი იყოს, და კტერცხისა ყვითული და ვარდისა ზეთი ერთგან გაჰრიოს და ზედა შემოსდებდეს, მრავალჯერ ესრე ქნას.

წამწამთა დახდისა ვითარებაჲ. მადაინელი იტყვის: დახდაჲ იმისი ორფერად იქნების მხურვალისა და ფიცხელისა გარევისაგან, ვითა სისხლსა ფიცხელი ზაფრაჲ გაერიოს ანუ ფიცხელისა სანედლისაგან რომელ მუნ მიხვდეს, ანუ დაათალბისაგან იქნების, და მელთა ჭირი ჰქეიან დაათალბას.

ნიშანი წამწამთა დახდისაჲ: იგი არს, რომელ სიმხურვალისაგან იყოს რომელ წითლად იყოს და ჰქეოდეს, და რაჲცა სიგრილისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ არა ქეოდეს და თეთრი იყოს, და თვალისა ტყავი მსხვილი იყოს.

კურნებაჲ წამწამთა დახდისაჲ. მადაინი იტყვის: რაჲ წითელი იყოს და ქეოდეს ყიფალი გაიხსნას და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს რომელ ტანი მანკისაგან გაწმდეს, და მქავეთა და ფიცხელთა და შლაშეთა ერიდებოდეს, და ნარსაჲ ქერქ დახდილი ბროწეულისა ცმელითა დანაყოს და შემგბარსა ღვინოსა და ცოტათა ვარდის ზეთითა გავალოს, და თვალთა შემოსდევას, და აბანოსა იხმარებდეს და კურნებაჲ მისი რაჲცა არ ქეოდეს და წითლად არ იყოს იგი არს, რომელ ხუთისა დრამისა წონი ხურმის გურკისა ნაცარი, და ფაჩარი და ლაყვარდი თეთროსაგან სამისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი წამწამთა შემოაყაროს ერგების.

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისგან იყოს, რომელ ზანჯაბილისა გვარიშინი ჰამოს და ყოყიაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და პირველსა კურნებასა ვასახნელსა წამალსა იხმარებდეს. და სორმაჲ რომელსა ჰქეიან თვალთა საუღავეი და სომხური ქვაჲ წმიდად დანაყოს და მიწყით თვალსა ჩაიყრიდეს, რომელ რაჲცა სინედლისაგან იყოს ყოველსა ერგების. და ნაცარი რომელი თაგუმან თაფლითა შეზილოს წამწამთა ტილედ შემოსდევას ერგების. და გავლილი ლაყვარდი თვალთა ჩაიყაროს კარგი არს.

ისაკ იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ დაათალბისაგან იქნების ვითამცა მელთა ჰირისაგან ნიშანი იგი არს, რომელ მანკისა ადგილი მოყვითლედ იყოს.

კურნებაჲ მისი. იგი არს რომელ მილი ხახვისა წყალსა შიგან ჩაყოს და წამწამთა მოუსტას, და რაჲცა დაათალბასა კურნებაჲ უნდა იგიცა იხმაროს, და ალაქის ნაწურილი და ჰამო ფაჩარი და ბალასნისა გურკაჲ ყველაჲ ერთად გავალოს და მანკისა ადგილსა შემოსცხოს. და უზმაჲ გულანგუბინსა ჰამდეს. და საქამადსა რაჲცა შიგან სიხმელედ იყოს ნუ

ჰკამს. და მუხუდის წვენსა ჰამდეს ერგების შეწვენითა ღმრთისათა.

მ. სალი და შურნაყი და სულჯი რომელ თვალისა მუხუთოსა შიგანაჲსი ვითარებაჲ სალისა და შურნაყისაჲ. ჰუნაჲნი იტყვის: სალისა გამოჰენაჲ სქელისა ბალდმისგან იქნების რომელ მოერიოს ქუქუთოსა, და შურნაყი სინედლისაგან იქნების რომელ ცმელი ვითა შექნილ იყოს, და თვალისა ტყავისა ფაჲთა შიგან შექსოილი იყოს.

ნიშანი სალისა და შურნაყისაჲ, სალისა ნიშანი იგი არს, რომელ ქუქუთოდ მაგარი იყოს და არა სტეოდეს, და შურნაყისა ნიშანი სისუსთედ და სიმძიმედ არს ქუქუთოდსი, და ცრემლიცა დია ედინების, და სიბნელეცა რთავს.



ჭუნაძე იტყვის: საღისა და შურნაყისა კურნება იგი არს, რომელ ვეფხვიმონისა მათბუხითა მუცელი დაიღბოს და მანკისა ადგილია დახილიონისა შალჰამა შემოსდვას. მაშა თუ ამით არ უჩინარ იქნას მანკისა ადგილი და შაშროს და შემოაჭიროს, რომელ მანკისა დედაა გამოვიდეს, და მერმე ყვითელი დარური შიგან ჩააგდოს, და ეგეთთა საქამადთა რომელ ბალანსა და სეედასა მოუმატებდეს ერიდოს, ვითა ზროხისა ხორცი და ნარსაქი.

ბაყრატი იტყვის: შურნაყისა კურნება იგი არს, რომელ ყვითალი გაიხსნას და ანუ ქიქაა მოიკიდოს და ესე ტილე თვალთა შემოსდვას. ვითარებაა მისი: აყაყიაა და მაქური ჰუტუტი, და სიქი და შაფი მანიითა, და საბრი და ნიშასტაგი, და ალვაა და ზაფრანაა ყველაა დანაყოს და მორდისა წყლითა შეზილოს და იხმარებდეს ერგების. და თუ საბრი

10 მორდისა წყლითა გაგალოს და თვალთა შესცხოს კარგი არს. და თუთა<sup>1)</sup> და შაქარი ზედა მოაყაროს, და თუ დარური ყვითელი მოაყაროს კარგი არს. და თუ მანკი ძლიერი იყოს და ამით არ გამართლდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ იბრტყვიე ქუქუთოა გააპოს და შურნაყი შაშროსა პირითა აიღოს, და მაგრად მოეკიდოს რომელ ხელთაგან არ დასხლტდეს, და ყოველგნით დაიძრას რომელ ქუქუთოსგან გააკიდევნოს და მის გნით ნურას გააკიდევნებს, და მერმე მჭჳარი ძმრითა დაასოვლოს და ქუქუთოსა შემოსდვას და მაგრად შეკრას და მას დღესა ეგრევე მიუშუას მეორესა დღესა ყვითელი დარური შეაყაროს, მაშა თუ თვალთა შიგან სიმსიენე გამოჩნდეს შაფი მანიითა და ჰუტუტი არდისა წყლითა გაგალოს და ქუქუთოსა შემოსდვას, დიდად ერგების ღმრთისა შეწეენითა.

სულაყისა მანკისა ვითარებაა: ქაევანი თვალთა სიღრუჟსა არაბულად სულაყი ჰქვიან და სინედლისაგან იქნების, ბავრუქსა ჰგავს და ნატიფიცა იქნების და ფიცხელი და არაბულად ამ სინედლეთა ბავრუქული რუტობათი ჰქვიან.

ნიშანი სულაყისა მანკისა იგი არს, რომელ წამწამნი გამსხარ იყოს და გაწითლებული და ზოგი მის გზით დახდილი იყოს, და თვალთა ტყავი გასიკვებულ იყოს და ქავოდეს.

კურნებაა სულაყისა. მუჰამედ ზაქარიაჟს ძე იტყვის: რაცა სუბუქი და ახალი იყოს იგი არს, რომელ კვერცხისა თეთრი ერბოთა გაადგინოს ანუ დანაყილი ნუში სძესა გაპრიოს და ძტელი მანბაა მაგით შეზილოს და დაძინებისა ჟამსა თვალთა შემოსდვას. და დილასა აბანოს წავიდეს, და პირი ტფილისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას, და ნუშისა ზეთი ცხვირთა უწთოს. და არდი დანაყოს და ვარდისა ზეთითა გააცხიბიანოს და თვალთა შემოსდვას. და ესე მანკი რაა ძტელი იყოს ყვითალი გაიხსნას და წვივთა ქიქაა მოიკიდოს, და ჰალილასა მატბუხითა მუცელი დაიღბოს, და ნარსაქი ქერქ შეზდილო ბროწეულისა ცმელსა თანა დანაყოს და შემგბარსა ღვინოსა შიგან კარგად გაგალოს ერთობით, და ვარდისა ზეთითა დააცხიბიანოს და თვალთა შემოსდვას. და აბანოს წავიდეს და აღრე გამოვიდეს.

იოჰანა იტყვის: ყვითალი გაიხსნას ანუ შუბლისა ძარღვი და იარაჟსა ჰაბითა ანუ დარიყონისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს. და თუთუბოჟსა წყალი ვარდის წყალსა გაპრიოს და თვალსა შესცხოს. და ნარსაქი წმიდად დანაყოს და ცოტაა იისა ზეთი გაურიოს და თვალთა შემოსდვას კარგი არს. და მაშინ წითელი შაფი ანუ გაზრდილი ისარიმი და თუთიაა თვალთა შემოვლოს. და თუ მანკი არ გამართლდეს ესე წამალი იხმაროს ჩტენ გამოვიც-  
40 დია: თუთიაა და ზარდიხოზაა თვითოსაგან დრაჰმისა წონი, ჰალილაა ყვითელი და ზანჯაბილი თვითოსაგან ნახევარ დრაჰმისა წონი, დარაფილფილი და მაპირანი თვითოსაგან დანგი და ნახევარი, პინდური მარილი ყვრატო, ყველაა დანაყოს ისარიმისა წყალსა გაზრდილსა თანა გაპრიოს და მაშინ წმიდად გაგალოს და მუნით მრავალჯერ თვალთა შემოვლოს ერგების. და ღამით ნურაჟა ჰამს და დიაცსა ერიდოს ევენების უცილოდ.

1) ჟნდა იყოს თუთია.



50. **ლუდა და ლარბი რომელ წამყაშთა შიგან იქნებინ.** ვითარებაა ლუდასი და ლარბისაჲ. ისაკ იტყვის: რომელ სქელისა სისხლისაგან იქნების, რომელ ბრძანებაჲ კილოსა შეიყარნენ და ლარბი ფიცხელის გარეგნისაგან არს, და ფიცხელისა სინედლისაგან, და ეგების რომელ კილოსა თვალისასა გამოჩნდეს და დაიკრას.

ნიშანი ლუდასი და ლარბისაჲ: ნიშანი ლუდასი იგი არს, რომელ თვალი სა კილოსა ცოტა ხორცი მეტი შეიქნას და წითელი იყოს. და ნიშანი ლარბისა იგი არს, რომელ კილო გასივებულიყოს ანუ გახურებულად, და მყრალი თხამლი გამოვიდოდეს მისგან.

კურნებაა ლუდასი და ლარბისი. ისაკ იტყვის: იგი არს რომელ ყოყიასაჲ ჰაბითა ანუ იარაჲ ფეყირაჲთა მუცელი დაიღბოს, და რაჲცა მანკისა სათაჲნო არს სქელი ხალტი ჩამოიღოს თავისაგან და ტანი გაწმიდოს, და მაშინ ფიცხელი წამალი დასდევას ვითა ბასალიყონი და რომნაჲ ქანგარითა და წუნწუბითა. და ზოგთა აქიმთა უთქვამს რაჲ სწულსა შეეძლოს ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაუღბონ, და მაშინ ეანგარისა მალჰამაჲ ცოტაჲ ძეტელსა ბანძასა დასდევას და შემოსდევას, რომელ ხორცი მეტი წაუღოს. და თუ მაკრატლითა ძირითა მოჰჭეტოს, და მაშინ ყვითელი დარური შეაყაროს და ვარდისა ზეთი და კურცხისა ყვითელი დასდევას ერგების.

ფოლის იტყვის: ლარბი ნასორი არს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ ესე შადვი დასდევან: საბრი და თეთრი საკმელი, და ანზარუთი და ხონისიაოშანი თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, გუნდაჲ და თვალთა საოლაგი და თეთრი არჯასაჲ თვითოსაგან დრამისა წონი, ქანგარაჲ ნახევარ დრამისა წონი, ყველაჲ დანაყოს და შაფად ქნას და თათლითა გაგალოს მრავალჯერ მანკსა შემოსდევას რომელ გაშრეს, და რაჲ ნასორი მავარი არ იყოს რომელ ძტალი დაიშაოს არაჲ ჰგავაჲ, და რაჲცა ძტალი დაეშაოს უკუნისამდე არ გამრთელდების. და უკეთესი კურნებაა მისი იგი არს, რომელ დადაღოს და ხაზხაში ფსლითა დაასოვლოს და ფიცხელსა წამალსა გაჰრიოს და ნასორსა შემოსდევას, და თუ წითელი და ყვითელი ზარნიხი, რომელსაჲ ჰქვიან ამარტოჲ, და არჯასაჲ და დარარაჲ, და ქლისი და ნავშადური თვითოსაგან ორი დრამისა წონი, ეაშაჲ და მუცელი თვითოსაგან მუტყალი, ყველაჲ პატარაჲსა ყმისა ფსლითა დაასოვლოს და ოთხისა დრამისა წონი ქანგარაჲ გაჰრიონ და შეზილონ, და პატრუქსა ზედა დასცხონ და ნასორსა ზედა შემოსდევან, ერგების შეწივნითა ღმრთისათა.

30 **ტილი და ყამყამი რომელ წამყაშთა შიგან იქნებინ.** ვითარებაა ტილისა და ყამყამისაჲ. აბუჯარიჲ იტყვის: დასხმაჲ მათი ჰავისა საჰამადისაგან იქნების, რომელ მისგნით ფიცხელი სინედლე თავსა გამოაჩნდეს, მაშინ ბუნებისა ძალმან იგი სინედლე თვალთა ქუქუთოსაჲ გაგზავნოს, და მისგანცა იქნების რომელ აბანოს ღია არ მისულ იყოს.

ნიშანი ტილისა და ყამყამისაჲ: იგი არს, რომელ ქუქუთოჲა შიგნით ღიადი ტილი გამოჩნდეს, და ნიშანი ყამყამისი იგი არს, რომელ ყამყამი ტილისაგან უფროჲსი არს და ფერად წითელი.

კურნებაა ტილისა და ყამყამისა. აბუჯარიჲ იტყვის: კურნებაა მათი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ყოყიასაჲ ჰაბითა და სიქანგუბინითა, და სპანძელითა ლარლარაჲ ქნას, და წამწამთა მარილ წყლითა ბანდეს ანუ თეთრისა არჯასაჲსა წყლითა, და ჩამიჩი და ბავრუკი დანაყოს და წამწამთა შესცხოს რომელ ტილი დაჰვარდეს, და თუ ქუქუთოჲა კუნტლისა წყლითა დაიბანოს კარგი არს, და მიწყით აბანოს მივიდოდეს. და თუ ბავრუკი კალნამისა წყალსა გაჰრიოს და წამწამთა მავით ბანდეს კარგი არს.

მასარჯოჲ იტყვის: გამოჩენაჲ მათი დამპლისა სინედლისაგან არს. კურნებაა მათი იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და ყოყიასა ჰაბითა ლარლარაჲ ქნას და წამწამთა ჩამიჩისა წყლითა ბანდეს, და მიწყით აბანოს მივიდოდეს და ყოლა ლე-

1) ამ გვერდის ქვემო აშინაჲ სწერია რვეულთა სათვალავი „იზ“ და შემდეგი გვერდის ქვემო აშინაჲ „იზ“.

ღმესა და ზროხის ხორცსა და აბუხტსა და ხახვსა ნუ სჭამს. და საჭამადოდ წაომის ხორცსა და კაკაბსა და ღურაჯსა ქამდეს. და როშნა თვალთა შემოვლოს. და თუ ჩაბინი და შამი და არჯასპი, და თხის კორკლი და მარილი ანდრანული, ერთმანერთისა ოდენი ყველა და ნაყილი დრამინაჲსა წყლითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შესცხოს, ერგების დია.

კურნებაჲ მათი. იგი არს, რომელ იარაჲსა და საბრისა ჰაბითა მუცელი დაუღ-  
ბონ რომელ ტანი გაწმიდონ ჰავთა გამრეველთაგან, და უკანის მივიზაჲ და საბრი და ბავ-  
რუჟი ერთმანერთისა ოდენი, ყველა დანაყილი და გაცრილი ცხარითა ძმრითა შეზილოს და  
წამწამთა შესცხოს, და უდნობთა და მძიმეთა საჭამადთა ვრიდებოდეს. და დიაცსა ნუ დაე-  
კარების. და აბანოსა დია მივიდოდეს, ერგების დია შეწვევითა ღმრთისათა.

10 ა. თვალისა ტკივილი რომელ სისხლისაგან იყოს: ვითარებაჲ თვალის ტკივილისა  
რაჲ სისხლისაგან იყოს. ჯალინოზ იტყვის: ესე მანკი სისხლისაგან იქნების რომელ  
სინდელესა მისდა მოერიენეს და პირველსა ფარდაგსა თვალისასა შეყრილ იყოს, და მანკი  
რაჲ ამას ფარდაგსა შიგან იყოს მას რამადი ჰქვიან არაბულად.

ნიშანი მისი რაჲ სისხლისაგან იყოს. იგი არს, რომელ თვალნი წითლად  
იყენენ და გასივებულ იყოს და მიწყით სტკივოდეს, და თავისა და ყელისა ძარღვი ადგო-  
მილ იყენენ და ცრემლი დია სდიოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სისხლისგან იყოს: ჯალინოს იტყვის: ყიფალდ  
გაიხსნას მისე ხელისგან რომელ სტკივოდეს, და თეთრი შაფი ქალის დედისა სძითა გაგა-  
ლოს და ჩაიწითოს. და თუ თვალი იკობლსა იქმოდეს თეთრი დარუბი შიგან შეუშუას და  
20 ყელსა კიქაჲ მოჰკიდოს, და ჰუტუტი ნაწილი ერთი, და აყიყიაჲ ორნახევარი მის ოდენი და  
მეოთხედი მათი ზაფრანაჲ, და საბრი ყოველთა ოდენი, ყველაჲ შაფად ქნას და წამყამ  
არდის წყლითა და ნედლითა ქინძითა გაგალოს და ქუქუთოსა და საფეთქელსა იცხებდეს.  
და თუ ესევე წამალი ნედლისა ქინძისა წყლითა გაგალონ და თვალთა შემოსდგან კაცრი არს.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: ყიფალი გაიხსნას და ბაზრაცატუნისა წყალი ჩაუ-  
წითოს. და თუ ტკივილი გაძნელდეს ესე შაფი შემოვლოს გამოცდილი არს: სპეტი ხუთისა  
დრამისა წონი, ნიშასტავი და ქათირაჲ თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, აფიონი დრა-  
მისა წონი, ყველაჲ დანაყილი კვერცხისა თეთრითა შეზილოს და შაფად ქნას, და მაშინ ქა-  
ლის დედისა სძითა გაგალოს და თვალთა შემოვლოს ერგების, და თუ თუთუბისა შაფი  
თვალთა შემოვლოს კარგი არს. და რაჲ ტკივილი მოაკლდეს და სიწითლე შიგან დარჩეს  
30 ესე დარუბრ მისთვის კარგი არის: ანზართი თეთრი ათისა დრამისა წონი, ზაფრანაჲ და  
ჰამო სუნბული და საბრი და მური თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გა-  
ცრილი თვალთა ჩაიყაროს, რომელ ტკივილი ჩამოზიდოს და არგოს. და საჭამადსა ისრი-  
მსა ქამდეს თიჰაჲსა ხორცითა შექნილსა და ვარიითა, და დიაცსა ნუ დაეკარების.

თვალთა ტკივილი რაჲ ბალღმისაგან იყოს: ვითარებაჲ მისი რაჲ ბალ-  
ღმისაგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: უფროასი გრილისა და ნედლისა საჭამადისა ქამისაგან  
იქმების, რომელ ბალღამსა გააძლიერებდეს და მოარევიოს მეტად თავისა ტენისა, მით რო-  
მელ ბუნებისა ძალი მას თვალისა ფარდაგსა პირველისაჲ გაჰგზავნის.

ვითარებაჲ მისი რაჲ ბალღმისგან იყოს. ნიშანი მისი იგი არს, რომელ  
თვალისა სიშვიენე დიდი იყოს და სიწითლე უმცროჲ იყოს, და ცრემლი და ჰოპლი უფრო  
40 იყოს და არ დია სტკივოდეს, და რაჲსაცა მზურვალსა შემოსდებდენ ელხინებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ ბალღმისგან იყოს: მასარჯოჲ იტყვის: კურ-  
ნებაჲ მისი იგი არს, რომელ იარაჲ ფეყირაჲთა მუცელი დაიღბოს რომელ ტვინი და თავი  
გაწმდეს, და მაშინ გარცხილისა უღბისა წყენი თვალთა ჩაუწითოს, და მესამესა დღესა ყვი-  
თელი დარუბრი შემოაყაროს. და მური და საბრი და აყიყიაჲ და ზაფრანაჲ ერთმანერთისა  
ოდენი წყლითა დაასოვლოს და ქუქუთოსა [შე] მოსდგას. და ყოველსა თვალის ტკივილისა ბო-  
ლოსა აბანოჲ ერგების და თუ ბაყლი და ჰოპლი დიდი იყოს ესე დარუბრი ჩაუყარონ: ანზა-



როთი თეთრი ათისა დრამისა წონი ქალის დედის სძითა გაგალონ და რასამე შიგან ჩაასხას და თავი დაამაგროს მისი, და ცეცხლსა დადვას რომელ გახმეს, მაშინ ეგვიპტელნი მისი გაგალოს და თვალთა შეაყაროს, რომელ ქობლისა ბაყლისაგან გაწმდეს, და წამწანნი ერთმანერთზედა არ გარდაიკვროდნენ.

10 ბაყრატი იტყვის: რაჲ ეს მანკი ბალღამისგან იყოს უმარტილთა და დედათა შეეკნებნის. კურნებაჲ მათი იგი არს რომელ ბაზრაცუთნთა და სხვათა წვენთა შაფთა ესრე იხმარებდეს, ვითარებაჲ მისი: უღბოჲ და კანაფის თესლი კიდევნათ ვარცხოს და მაშინ ერთსა დღესა და ნახევარსა წყალსა შიგან მიუშვას, და მაშინ ორივე ხელითა დაჟყლიტოს და ნათი წუენი დაიჭიროს და თვითოჲსა თვითოჲ კიქამსა შიგან ჩადვას თუნდა ჩაასხას და თავი გაამაგროს პატარაჲსა შიშავისაჲ და მშესა დადვას რომელ გახმეს, და მათისა წვენისაგან ერთმანერთისა ოდენი აილოს, და ნახევარი მათ ოდენი ზაფრანაჲ და ნახევარი მათ ოდენი აფიონი გაჭრიოს, და მაშინ შავად ქნას თვითო ნარსაქისა ოდენი, და ხმარებნისა ეამსა ერთი გაგალოს და თვალთა შემოვლოს. და საბრი და აყაყიაჲ და ცოტა ზაფრანაჲ დაგალოს და ცოტაჲთა წყლითა გაგალოს და ქუქუთოსა იცხოს. და საქამადასა ბატკნისა და დურაჯისასა ქამდეს კალიად შექნისსა.

20 ა. თვალისა ტკივილი რომელ ზაზრისაგან იყოს: ვითარებაჲ მისი რაჲ ზაფრისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიჲჲს ძე იტყვის: ზაფრაჲ პირველსა ფარდავსა რაჲ შეიყაროს და მოერიოს მისგან არს, რომელ ბუნებისა ძალმან ტკინით მუნ გამოგზავნოს და ზაფრიანთა საქამადთა ქამისაგან იქნების იგი, და ეგრეცა იქნების რომელ აღრითვან მუნ შეყრილ იყოს.

ნოშანი მისი რაჲ ზაფრისგან იყოს. იგი არს რომელ დია სტკიოდეს და ვითა ისარი ფეთქდეს, და ფერად მოყვითლე გუარად იყოს, და ცრემლიცა სდიოდეს და რაჲ ხელი თვალთა შემოსდვას მხრეგლად იყოს, და სიგრილე ელხინებოდეს.

30 კურნებაჲ მისი რაჲ ზაფრისგან იყოს: მუჰამედ ზაქარიჲჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს ანუ ჰალილაჲსა მატბუხითა, და მიწყით ქალის დედისა სძესა თვალთა ჩაიწითოდეს. და თუ ტკივილი დია იყოს ლუაბი ბაზრაცუთნისა, და ბეჰეს გულისა ლუაბი, და ქაფურისა თეთრი შაფი და აფიონისა შაფი თვალთა შემოვლოს. და მჟავისა ბროწეულისა წყალსა სძიდეს რომელ ბუხარი თავისა ჩაჰოილოს. და ხმელსა ქინძსა შაქრითა ქამდეს და გაცივებულსა ვარდის წყალსა თავსა ისხმიდეს და სიმბურვალესა ერიდებოდეს. და ასაარაჲსა ფურცელი და მელთა ყურძენი და არღი მანკია დასაწყისსა თვალთა შემოსდვას. და მამღარი ნუ დაიძინებს და დიაცსა ეკრძალოს.

40 ისაყ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი რს, რომელ მუცელი დაიღბოს ყვითლითა ჰალილაჲთა და იითა, რე წითლითა ვარდითა. ყველაჲ ერთგან დანაყოს და შირიხიშტინა და ტკბილისა და მჟავისა ბროწეულისა წყალსა გაჭრიოს და იხმარებდეს. და საქამადასა ტყეშლისა ურწყოსა ქამდეს. და მაშასა და ასფანანაჲ და ქაქუნტელისა ფურცელსა, და ხმელსა ქინძსა და ნუშის გულსა ქამდეს. და კატაკოჲსა თესლისა წყალსა და ახლისა აყიროსა წყალსა, და თამრი ჰინდისა წყალსა და ისრიმისა წყალსა [სტამდეს], ესე ყველაჲ მას აშენია და ერგების. და თუთუბისა წყალი ზაფრაჲსა დააწყანარებს. და თუ ბაზრაცუთნისა ლუაბი და კვერცხისა თეთრი და ქალის დედისა სძე თვალთა ჩაიწითოს კარგი არის.

ჰუნჲან იტყვის: ხილთა მატბუხითა მუცელი დაიღბოს და უკანის ამის შაფსა იხმარებდეს. ვითარებაჲ მისი: არაბული გომიში და ქითირაჲ და ნიშასტაგი თვითოჲსგან ორისა დრამისა წონი, სპეტი ტყვისა ზუთისა დრამისა წონი იფიონი და იყლიმიჲჲ თვითოჲსაგან ორი დანგი, ყველაჲ დანაყილი და გაცილი კვერცხისა თეთრითა შეზილოს და მიწყით თვალთა შემოვლიდეს და თვალთა ასფარამთა წყლითა ბანდეს და სიმბურვალისგან ერიდებოდეს რომელ ერგოს, შეწვენითა ღმრთისათა.



თშალთა ტკივილი რომელ სავდისგან იყოს. ვითარებაა მისი რაჲ სევდისგან იყოს. აბუჯარაჰ იტყვის: ესე მანკი სევდისა სიფიცხისა და შორევისაგან იქნებოს, რომელი პირველთა თვალისა ფარდაგთა შეიყაროს და მას ფარდაგსა მოლთა ჰამაჲ ჰქვიან, და მანკი სევდისგან იშეითა ოდესმე იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სევდისგან იყოს. იგი არს, რომელ სიმსივნე და სიმხურვალე უმცრო იყოს თვალთა, და ქუჭუთოჲ ხმელად იყოს, და რაჲ მხურვალი შემოსდევან ელხინოს და ტკივილი დასწყნარდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სევდისგან იყოს. აბუჯარაჰ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ აფთიჟონისა მათბუნსა ჰამდეს, რომელ ასონი გაწმიდოს სასევდოთა გარევისგან, და აბანოს მივიდეს და უღბაჲსა ლუაბი და სელი და კვერცხისა ყვითელი თვალთა შემოსდევას, და წითელი შაფი თვალთა შემოსდევას, და თუ ქავოდეს ფიცხელსა წამალსა ყოლაჲ ნუ შეუქმნებს თუალთა, მაგრა აბანოს მივიდოდეს და ასფარამთა წყალსა თავსა ისხმიდეს, და ღვინოსა ცოტასა სმიდეს და საჰამადსა ვარიასა კალიით შექნილსა ჰამდეს, ზროხის ხორცსა და ზადანჯანსა და კალნაბასა ერიდებოდეს.

მესია იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტანი გაწმიდოს ღარიყონისა მატბუხითა და მაშინ გულან გუბინი ჰამოს. და უხმაჲ აბანოს მივიდოდეს და პირსა თფილისა წყალსა ორთქლსა მიუბჰრობდეს და გარცხილსა უღბისა ლუაბი და წითელი შაფი თვალთა შემოვლოს. და მჟავთა ერიდებოდეს და მუხუდის წვენსა და კალიასა ღურაჯის ხორცითა ჰამდეს.

23) იოჰანაჲ იტყვის: თუ თვალთა ტკივილი სტომაქისა სიგრილისგან იყოს ღვინოსა წყალგარეულსა სმიდეს. და ესე თვალთა ტკივილი დედათაცა შეექნების რომელ საშობელისა სიგრილისაგან იქნების.

კურნებაჲ მისი. მხურვალითა ჰყუნათა უნა, ვითა ცერეცოჲსა და უღბაჲსა წყალი და ბაბუნაჲ და ბერძულისა ფაჩარისა ზეთი. და ყოველსა თვალის ტკივილსა უქმელობაჲ და ცოტაჲსა ჰამაჲ სარგებლიანი არს, და დიაცისგან კრძალვაცა ერგების. და რაჲ თვალთა ტკივილი გარდვიდეს ხიარ შამბრისა ნატრუხი ჰამოს და საჰამადსა მას ჰამდეს რომელ სინელესა მისცემდეს, ვითა ვარიჲ და მგზავსი მისი. და ნძიმეთა და უღნობთა საჰამადთა ერიდებოდეს რომელ გამრთელდეს და უმანკოდ იყოს.

30) აბ. ტარფაჲსი ნაკაჲში არს რომელ თვალთა მცხეს და ნახუნაჲ. ვითარებაჲ ტარფაჲსი. დევჯანის იტყვის: რომელ ესე მანკი მით იქნების, რომელ თვალთა რაჲ ეცეს ანუ სხვაჲებრ ეფათერაკოს რაჲმე, და მას უკანის სისხლი პირველთა ფარდაგთა შიგნით შეიყაროს.

ნიშანი ტარფაჲსი. იგი არს, რომელ წითელი წინტელი თვალთა შიგნით ჩნდეს, და იქნების რომელ სითეთრესა ზედა წითელი ნიშანი გამოჩნდეს და მას სპარსულად ხუნდარ შორდაჲ ჰქვიან და ქართულად სისხლშემკვდარი.

კურნებაჲ თვალთა ტარფაჲსი. დევჯანის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს. და მიწყით სძესა და ტრედისა სისხლსა თვალთა ჩაიწითობდეს. და თუ არა ეყოს ყვითელი ამარტაჲ ქინძისა წყლითა გაგალოს და თვალთა ჩაიწითოს, და მიწყით ქალის დედისა სძესა ჩაიწველდეს და თუ ამით არ გაქარდეს, ესე წამალი იხმაროს ჩვენ გამოგვიცდია: მური და ზაფრანაჲ და თეთრი საკმელი თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი შაფად ქნას და ნედლისა ქინძისა წყლითა გაგალოს და თვალთა შემოვლოს.

40) თებით ყურაჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხილთა წყალსა ცოტაჲ საყამონიაჲ გაურთოს და სვას რომელ მუცელი დაიღბოს. და მაშინ უღბოსა ლუაბი და სელისა ლუაბი, და ზაფრანისა შემგბრისა წყალი, და აქლილალმალიქი და ქინძისა წყალი შიგან ჩაუწითოს, და იგი სისხლი რომელ შენკედარ იყოს გაიხსნების და თუ ყვითელი



დარური იხმაროს ერგების. ვითარებაა მისი: შაფი მამითა ორისა ტრამისა წონი, ნახაროთი ხუთისა დრამისა წონი, საბრი და ვარდისა თესლი და ზაფრანაა თვითონსაგან ნახევარ დრამისა წონი, იფიონი და მური თვითონსაგან ორი დანგი, ყველა დანაყილი ვითა თუთია წმიდად გაგალოს და თვალთა ჩაიყაროს.

მესია იტყვის: რაა ტარფაა ახალი იყოს და ჯერეთ არ დამკვდრებულ იყოს, კურცხისა თეთრი ვარდისა ზეთსა თანა გაადგინოს და ბანბითა თვალთა შემოსდვან, და თუ ნიახურისა წყალი და კურცხისა თეთრი და ქალთა დედისა სძე თვალთა ჩაიწოთს კარგი არს, და დანარგონი შაფი ხასიათიანი არს ამის მანკისათვის და შაფი აბარცი კარგი არს.

10 ნახუნაჲსა ვითარებაა: როფის იტყვის: ამის მანკის ვითარებაა სათავნოსა ხმელსა და სქელისგან არს, და სიმეტისგანცა რომელ თეთრთა ძარღვთა შიგან მოზრდილი იყოს, და თვალისა კილოსა გაშავდეს პირველსა ფარდაგსა.

ნიშანი ნახუნაჲსა: იგი არს, რომელ თვალისა-შავზავსი რაჲმე თვალისა სიშავესა ანუ სითეთრესა ზედა მოზრდილ იყოს, და უარესი იგი არს მათგან რომელ თვალისა გუგასა მიახლებულ იყოს და გასქელებულ იყოს.

კურნება თვალისა ნახუნაჲსი. როფის იტყვის: იგი არს, რომელ მწვანე შაფი და ბასალიყონი თვალთა შემოვლოს, და მათგან რაჲცა სქელი იყოს და ნახვისა აცილობდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ სანარაჲთა აილოს და მაკრატლითა მოჰკვეთოს. და თუ თხელი იყოს ესე შაფი შემოვლოს ვითარებაა მისი: როსობთაგი ხუთისა დრამისა

20 წონი ვითანცა დამწჳარი სპილენძი, ჟანგარაჲ ორისა დრამისა წონი ყველაჲ წმიდად გაგალოს, ნიშადური და ბავრუკი და ყვითელი ამარტაჲ და არჯასპი, მწვანე უმწჳარი თვითონსაგან დრამისა წონი, ვაშაჲ ორისა დრამისა წონი ყველაჲ წმიდად გაგალოს და მაშინ აბანოს მივიდეს და პირი ტფილისა წყლისა ორთქლსა მიუჰყრას, და რაჲ გამოვიდეს ესე წამალი თვალთა ჩაიყაროს მეტად მანკსა ზედა ერგების, და შაფი მწვანის არჯასპისაჲ რომელ ყაყინდი ჰქვიან ამას კირსა დია ერგების.

არბიასიოს იტყვის: ერთი ფერი ნახუნაჲთგან იგი არს, რომელ სტკივოდეს და იგი ნაკრავისგან იქნების რომელ თვალთა სცემოდეს რაჲმე, ანუ მალლისა ადვილისგან დაცემულ იყოს, ვითარებაა ბასალიყონისაჲ რომელ მას ერგების: ყვითელი პალილაჲ და ზანჯაბილი თვითონსაგან ხუთისა დრამისა წონი, თეთრი პილპილი ორისა დრამისა წონი, ნიშადური დრამისა წონი, ყველაჲ გაგალოს და იხმაროს და ყველასაგან უმჯობესი ნახუნაჲსათვის ყაისარი არს, და ბასალიყონი და როშნაჲ რომელ იხმარებდეს.

30 მუნაჲნ იტყვის: ნახუნაჲსი კურნებაა რაჲ თეთრი და თხელი იყოს იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას მისვე ხელისაგან რომელ ნახუნაჲ იყოს, და ფეყირაჲსა იარაჲთა ტანი გაწმიდოს და მაშინ წითელი შაფი და როშნაჲ თვალთა შემოვლოს, მაშინ რაჲ აბანოჲთ გამოსრულ და ნახუნაჲ დამბალიყოს, ერგების ღმრთისა შეწვენითა.

აგ. სიწყალულე თვალთა და გაბეჩილობა მისი; ვითარებაა თვალთა სიწყალულისაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ თვალთა სიწყალულე უფროასი ფიცხელისა ტკივილისა და ბნელისაგან იქნების რომელ თვალთა გამოაჩნდების, და ანუ ფიცხელისა გასარეველისაგან, ანუ სინედლისა<sup>1)</sup> ფიცხელისა და მლაშისაგან იქნების.

40 ნიშანი თვალთა სიწყალულისაგან რაჲ იყოს: იგი არს რომელ დია სტკიოდეს და ფეთქდეს, და თვალისა თეთრსა თეთრი წინტელი გამოაჩნდების, და სიწყალულე შვიდი ფერი იქნების, ოთხი მის გნით ადვილი არს, სამი ძნელი.

კურნებაა თვალთა წყალულისაჲ: მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ყოფილი გაიხსნას და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს, და სამსა დღესა თეთრი შაფი სძითა გაგალოს და თვალთა შემოვლოს, და რაჲ სატკივარი

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრაქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



მოაკლდეს და თხმალი მალფაკითა გამოვიდეს, ვითამცა ბამბასა გამოჰყვეს თხმლი, მაშინ შაფი აბარი ჩაუწითოს, და რაა ქასირაანითა კურნოს, და რაა ნახოს კომელ-წყლული გამ-  
შრ-ლა და გამქისებულა, ეგეთითა წიშლითა კურნოს რომელ თეთრსა წაიღებდეს, რომელსა  
გნით ნიშანი არაა დარჩეს, და თუ გამრთელდეს და სიწყლულისა ნიშანი შიგან ჩნდეს თუ  
სიღრუე ჰქონდეს არ იკურნების, და თუ თვალისა გუგასა აშორვიდეს არა ჰგავა ნახვისა  
არას აცილებს.

10 ისაყ იტყვის: რომელ იქსირანი შემოვლოს ვითარება მისი: შადნაა გარცხილი და მარგალ ტი, და ძოწი და თუბალი მისისაა ვითამცა სპილენძისა ქანგი, და ჩიფგიაა რომელსა ჰქვიან სირინჯი, და როსობტავი გარცხილი და ოქროსა იყლემიაა თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, თვალთა საოლავი სურმაა და ზღვის პერული და რომნაასა ქვაა თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაა დანაყილი და გაცრილი მანკისა ბოლოსა იხმაროს. და ესე სხვაა წამალი: ანზაროთი სამისა დრამისა წონი, ტაბარზადი და ნიშასტავი თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაა დანაყილი და გაცრილი შემოვლოს თვალსა.

იოჰნაა იტყვის: რომელ სიწყლულე თვალთაა შეიდ ფერი არს და ყველაასა კურნებაა მოხობებელისა წამლითა უნაა ქნას. რომელ იგი სინედლე მომატებული მოჰპო-  
ცოს თვალისაგან, მით რომელ ტანის უკეთესი ასოა არს, და მანკი მისი ნედლისაგან იქნე-  
ბის და თვალთა ტკივილი უფროასი სინედლისაგან იქნების, მით რომელ ეგეთი ხასიათი  
აქვს რომელ სინედლესა არდე შეიწყნარებს.

20 კურნებაა მისი. იგი არს, რომელ ხელი გაიხნას და მუცელი დაიღობოს, და ქალის დედისა სძე ჩაიწითოს ერგების კარგად.

თვალთა გაბერილობისა ვითარება: მადანი იტყვის: ვითა სიმსივნე იქნების, რომელ თვალთა გამოაჩნდების ვითა წითელი წინტილი, და სინედლისაგან იქნების რომელ თვალისა ფარდაგისა შეიყაროს, და მას ფარდაგსა არაბულად ყარნი ჰქვია.

ნიშანი თვალთა გაბერილობისა: იგი არს, რომელ ცოტაა სიმსივნე თვალსა შიგან გამოჩნდეს, თუ პირველსა ტყავსა შიგნით იყოს არა სტკივოდეს ეგრე, და თუ მეორესა ტყავსა შიგნით იყოს დია სტკივის და თეთრი იქნების.

30 კურნებაა თვალთა გაბერილობისა. მადანი იტყვის: გაბერილობაა რაა წტირილი იყოს ადრე გამრთელდების. ქალთა დედისა სძე და ლუბი ცივად თვალთა ჩაუწითონ, და თუ სამ დღემდინ ამით ტკივილი არ დასწყნარდების, გაბერილობაა დია იქნების და სიღრუე აქვს.

კურნებაა. იგი არს, რომელ თვალისა ლუბი შორდისა თვალისა ქალთა დედისა სძითა ჩაიწითოს, და ესე შაფი გაბერილობასა ერგების, ვითარება მისი: თეთრი საკმელი ერთი ნაწილი და ანზაროთი ერთისა ნახევარი ნაწილი, ვაშაა და ზაფრანაა და აფიონი თვითოსაგან ნაწილი ერთი, ყველაა შაფად ქნას უღბოასა წყლითა ანუ სელის წყლითა და იხმარებდეს.

ფოლოს იტყვის: რომელ პირველ ხელი გაიხნას და დია სისხლი გამოიდოს, და მუცელი დაიღობოს. და ხორცსა და თაფლიანთა და დიაცსა ეკრძალოს. და ასფანახისა ურწყოსა იხმარებდეს. და შაფი აბარი თვალთა შემოვლოს და თუ გაბერილობაა დიდი იყოს და ანუ გუგასა სიხლესა იყოს, იქსირაანითა ჰკურნოს და მალფაკაა შემოსდეს და მაგრაღ შეუკრას, და პირ აღმა დაწვებოდეს.

40 მასაას ძე იტყვის: პირველ ყიფალი გაიხნას და სამჯერ სისხლი გაუშვას ანუ ჰქვაა მოჰკიდოს, და თუ ტკივილი არ დასწყნარდეს ყელსა კწლა ჰქვაა მოჰკიდოს რომელ მანკისა დედასა უკანითდაღმა მიზიდოს. და საბრისა ნაყითა მუცელი დაიღობოს. და არდისა წყალი და ჰალილასა მატბუხი და სხვაა გრილი და ნედლი იხმაროს. და მანკისა ბოლოსა აბარისა შაფი თვალთა შემოვლოს და მძიმეთა საქამადთა ერიდებოდეს, და სუბუქსა და ნატიფსა ჰამდეს, ერგების შეწყენითა ღმრთისათა.



ად. საბალი და ცრემლთა დენაა რომელსა ჰძვიან საჰვი 1). ვითარებაა საბალისა.

იოჰანაი იტყვის: საბალსა არაბულად თამი ჰქვიან და სქელისა სისხლისგან იქნების, რომელ თვალისა ძარღვთა შიგან შეიყაროს და თვალი მისგან გასივდეს და გაწითლდეს, და გასქელდეს.

ნიშანი საბალისი. იგი არს, რომელ რაჲ თვალი იხილოს კაცმან გუგასა ზედა რაჲმე ნახონ, ვითა აბლაბუდისა ძაბი წმიდაჲ ეკიდოს ეგეთი, წითელსა წმიდისა ძარღვსა თანა და არ ღია აკლებდეს ხილვასა.

კურნებაჲ საბალისი რომელ თვალთა შეექნას. იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი წითელი შაფი და მწვანე შაფი არს და ერგების, და ბასალიკონისა და რომელსა 10 შნაათა ჰკურნებდეს, და ყოველი ასფარაჲ მისთვის კარგი არს. და თუ მანკი ძნელი იყოს ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და უხმაჲ აბანოს მივიდოდეს და ყოლაჲ ღვინოჲსა ნუ სვამს, და დიაცსა ერიდებოდეს. და რაჲცა უძნელესი არს ამათ მანკთაგან ნიშანი მისი იგი არს, რომელ იგი ძარღვნი, რომელ დედაზარღვისა ბეწვსაებრ არს ღიდად იყვნენ და ხილვასა ეცილებოდენ.

კურნებაჲ მისი. იგი არს რომელ სანარაჲთა აიღონ და მაკრატელითა მოკრეტონ, და მაშინ ძირაჲსა წყალი და ყვითელი დარჲური მოაყარონ. და გაკრეთა არა სწადდეს აბანოჲს მივიდეს და პირი თბილისა წყლისა ორთქლსა მიუჰყრას, და მაშინ წითელი და ყვითელი შაფი მოაყარონ.

ფოლის იტყვის: ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და წითელი და ფიცხელი 20 შაფი, და მწვანე შაფი ცხელი და შაფი მანარგონი, დრაჰმის ფერსა ჰქვიან, შემოვლოს, და საბალსა თხელსა მუცელი დაიღბოს და ტყემლისა შარაბითა და ჯულაბითა. და სქელისა საბალსა ყოყიასა ჰაბითა დაიღბოს და მჟავითა და სინედლეთა ერიდებოდეს, და ნლაშესა ეკრძალოს და ძმარსა და ზეთსა ჰამდეს და ღამით ყოლაჲ ნუ ჰკამს.

ჰუნაჲ იტყვის: ყითალი გაიხსნას და აფთიმიონისა მატბუხითა მუცელი დაიღბოს, ვითა შეორესა წიგნსა შინა ვახსენოთ. და რაჲ მანკი დაძველდეს და დიდხან დარჩეს, შუბლთა და ძვალთა სიღრუჲსა ძარღვი გახსნას. და თუ თქვისა შიგან ორჯერ მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა ერგების. და ხშელთა და მხურვალთა საჰამადთა ერიდებოდეს, და დიაცსა ნუ დაეკარბის.

ვითარებაჲ წყლის დენისა თვალთაგან. ბაყრატ იტყვის: რომელ გრი- 30 ლისა გარევისაგან იქნების იგი, რომელ ნოერიოს. ანუ თვალთა სინედლისაგან და გარევისა, ანუ ხორცთა სისუსტისაგან, რომელ თვალთა მიდამოთა არიან.

ნიშანი წყლისა დენისაჲ: იგი არს, რომელ მიწყით თვალი სველი იყოს და ცრემლი ღია სდიოდეს. და ნიშანი მისი რაჲცა ხორცთა სისუსტისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით წყალი სდიოდეს და თვალი ღია დარჩეს.

კურნებაჲ წყლისა დენისაჲ თვალთაგან. ბაყრატ იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ მიწყით აბანოს მივიდოდეს და ყვითელი ჰალილაჲ ნარსაქისა წყლითა გაგალოს და თვალსა შემოვლოს. და ესე თვალთა საოლაჲ თვალისა სიმრთელისათვის კარგი არს და წყლისა დენისა მოსწყუდეს. ვითარებაჲ მისი: ჰინდური თუთიაჲ და ჰალილაჲ თვითოჲსა ოდენი, ისრიმისა ანუ თუთუმისა წყლითა გაგალონ და გახხმონ, და ცოტაჲ ქაფური 40 მოაყარონ და თვალთა ჩააყარონ. და რაჲ თვალისა კილოჲსაგან წყალი სდიოდეს ნიშანი არს რომელ გახერკილ იყოს, კურნებაჲ მისი დადაღვისაგან კიდე არაჲ არს.

ისაჲ იტყვის: ესე მანკი ორისაგან იქნების ერთი ნახუნაჲსა ამოკრეთასა უკანით იქნების, და კურნებაჲ იგი არს, რომელ ყვითელი დარჲური თვალთა შიგან მოაყაროს. და სხვაჲ მისგან იქნების რომელ გვითქვამს, ესე თვალთა საოლაჲი იხმაროს; თუთიაჲ და ჰალილაჲ

1) ამ გვერდის ქვემო აწიანზე რვეულთა სათვალავი სწერია „იპ“ და შემდეგი გვერდის ზემო აწიანზე „იო“.



თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, თეთრი ბილბილი ნახევარ დრამისა წონი, ყველა სურ-  
მავეთა გაგალოს წმიდად და თვალთა შემოვლოს, და აბანოს მივიდოდეს დია ერგების.

მესია იტყვის: მუცელი დაიღბოს იარაგსა ჰაბითა, რომელ თვალი და თავი მან-  
კისა დედისაგან გაწმდეს, და მაწინ მორდისა ბურედი ანუ ისრიმისა ბურედი თვალთა შემო-  
ვლოს, და ესე წამალი შემოვლოს, ვითარებაჲ მისი: თუთიაჲ რვაჲ დრამისა წონი, იყლემიაჲ  
ოთხი დანგი, სადანაჲსა ქვაჲ დრამისა წონი და ნახევარი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი  
ჰალილაჲსა წყლითა და ისრიმისა წყლითა, და თუთუბის წყლითა გაჰრიოს და გაზარდოს, და  
შეინახოს, და ხმარების ჟამსა თვალთა ჩაიყაროს ერგების. და შუბლსა ზედა ბაკილაჲსა ქერქ  
შეხდილისა ფქვილსა შემოსდებდეს და საჭამადთა ნატიფთა კამდეს.

10 ამ. უტავილი და ღიჲჲ და თეთრი, რომელ თვალთა შიგან იქნებოს. ყუაგილისა და  
დიყისა ვითარებაჲ. ფოლოს იტყვის: ყუაგილი თვალისა სისხლისა და ფიცხელისა ზღუ-  
რისა მორევისაგან იქნების, რომელ პირველი ფარდაგი დააწყულულოს. და დიყჲ სიმსივნე  
იქნების რომელ ამისავე ფარდაგსა შიგან არს, და ვითარებაჲ მისი სქელისა გარევისაგან  
არს სისხლთა მორევისა, ანუ ბალღმისა მორევისაგან არს.

ნიშანი ყუაგილისა და დიყაჲსი. ყუაგილისა ნიშანი იგი არს, რომელ თვა-  
ლი ყვითლად იყოს და ყუაგილი და სიწყლულე შიგან ჩნდეს. და ნიშანი დიყაჲსი იგი არს,  
რომელ სინსივნე თვალთა შიგან იყოს, თუ წითელი იყოს სისხლისგან არს და თუ თეთრი  
იყოს ბალღმისგან არს.

კურნებაჲ ყუაგილისა და დიყაჲსი რომელ თვალთა შიგან იყოს.  
20 ფოლის იტყვის: კურნებაჲ ყუაგილისა იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ხილთა  
წყლითა მატბუხითა მუცელი დაიღბოს. მაწინ თეთრი შაფი ქალთა დედისა სძითა გაგალოს  
და თვალთა ჩაიწითოს, ანუ ვარდისა შაფი. და საჭამადსა მაშაჲსა ურწყოსა კამდეს, და  
ასფანახსა და აყროჲსა კამდეს. და ჯულაბსა და მუაფის და ტკბილის ბროწეულისა წყალსა,  
და ისრიმისა შარაბსა და კატკატოჲსა თესლისა წყალიცა კარგი არს. მეტად მაშინ რაჲ  
მანკი ძლიერად იყვნენ. და თუ თეთრი შაფი ახლთა სძითა გაგალოს და ბანბასა შესცხოს  
და თვალსა შემოსდეს კარგი იქნების. და ბაზრაყატუნისა ლუბი, და ვარდისა წყალი და  
ქინძისა წყალი ერთგან გაჰრიოს და თვალთა ჩაიწითოს, მაშა თუ ტკივილი ძნელად იყოს  
ჰუტუტი და ცოტაჲ აფიონი ხავარტისა წყლითა გაგალოს და თვალთა შესცხოს. მიწყით  
თვალი დაქუხვიით. დაიჭიროს და თუ ბაზრაყატუნისა ლუბი და ბეჰეს გულისა ლუბი ში-  
30 გან ჩაუშვას რომელ დამწიფდეს, და თხამლი მოვიდეს კარგად ერგების.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: კურნებაჲ დიყაჲსი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას  
და საჭამადსა ნატიფსა კამდეს, და მილქაიაჲ თვალთა ჩაიყაროს. და თუ სიწითლე არ დაა-  
კლდეს თეთრი შაფი შემოვლოს მაშინ მალქაიაჲ იხმაროს. და თუ მანკი გაგრძელდეს წი-  
თელი შაფი თვალთა შეუშვას რომელ სათაგნო მანკთაჲ გამოზიდოს.

ჰუნაჲნ იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ სისხლი გამოიღოს და ესე შაფი შე-  
სვას, ვითარებაჲ მისი: არაბული გომიზი და ქათირაჲ და ნიშასტაგი თვითოსაგან ორისა  
დრამისა წონი, სპეტი ხუთისა დრამისა წონი, აფიონი დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი და  
გაცრილი ვერცხისა თეთრითა შეხილოს და ჰაბად ქნას, და თვითოჲ ნარსაქისა ოდენი, და  
ჩრდილსა ვაანბოს, და ხმარებისა ჟამსა ერთი ჰაბი ქვაზედა გაგალოს და თვალსა შემოვლოს.

40 ვითარებაჲ თეთრისაჲ, თვალსა შიგან რაჲ იყოს. იოჰანა იტყვის:  
ესე მანკი უფროჲსი ყუაგილისა წყლულისაგან იქნების და თვალთა სიმსივნისა და გაბერი-  
ლობისაგანცა იქნების, რომელ რაჲ გამრავლდეს ნიშანი დარჩების მისი.

ნიშანი თეთრისა თვალსა შიგან. იგი არს, რომელ თვალსა შიგან თეთრი  
გამოჩნდეს. და უადვილესი იგი იქნების რომელ გუგასა აშორვიდეს, და თხელი და ცოტაჲ  
იყოს, და თეთრსა ზედა იყოს თვალთასა.



თეთრისა კურნებაჲ რომელ თვალთა შიგან იყოს. იოჰანო  
 იტყვის: თუ თხელი იყოს კურნებაჲ ლოკითა კმა არს, და შაქარი ტაბარზადი და ანჯა-  
 რეთი და ზღვისა პერული ყველაჲ დანაყილი შიგან მოაყაროს ეყოფეს, და რაჲცა სქელი  
 იყოს და კაცი მაგრა იყოს, მიწყით აბანოსა მივიდოდეს და თავსა და პირსა თბილისა წყა-  
 ლისა ორთქლსა მიუპყრობდეს, და მაშინ ენითა ლოკდეს ერგების. და ესე წამალი მოაყაროს  
 ვითარებაჲ მისი: ზღვისა პერული და ქიქაჲ და ანჯარეთი და შაქარი ტაბარზადი თვითო-  
 საგან სამისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი თვალთა შეაყაროს.

10 ისაქ იტყვის: რომელ ცოტაჲ არდი შაქრითა ქამოს რომელ ენაჲ განქისდეს და  
 იგი აღგილი კარგად მოლოკოს, და დღივ მრავალჯერ ესრე იქმოდეს უზნაჲ. და თუ სითე-  
 10 თრე სქელი და ძალიანი იყოს შაფი აბარი და ბასალიკონი იხმაროს. და მიწყით თვალსა  
 თბილისა წყლისა ორთქლსა მოუპყრობდეს და ესე წამალი შეაყაროს ვითარებაჲ მისი: პურისა  
 ბავრუკი და ცოტა ანდარანული მარილი, და ქიქაჲ და ჰინდოური თუთიაჲ ერთმანხერთისა  
 ოდენი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი თვალთა შემოაყაროს<sup>1)</sup> და დრაჰმის ფერი შაფი  
 და მურისა შაფი შემოავლოს.

20 აბუჯარიჰ იტყვის: რომელ მერცხლისა წკინტლი თაფლსა შიგან გაჰრიოს და  
 თვალთა შეოვლოს, მაგარსა თეთრსა გარდაიღებს. და თუ ბავრუკი ბანგისა ზეთითა გაგა-  
 ლოს და თვალსა შემოვლოს კარგი არს. და თუ თეთრი ძტელი იყოს ესე წამალი შეაყაროს  
 ვითარებაჲ მისი: ზღვისა პერული და ქიქაჲ, და მხულიკისა სიპილწე ქვეშეთ გამოსავალი,  
 და ბავრუკი და შაქარი თვითოჲსაგან დრაჰმისა წონი, მამირანი და ვაჯისა ძირი თვითო-  
 20 საგან სამი მუტყალი, ყველაჲ ერთსა ლიტრასა წყალს შიგან შეაბგოს რომელ მეოთხედნი  
 დარჩეს, შაფად ქნას და თვალთა ჩაიყრიდეს ერგების.

აჲ. სარატანი და ღუბელაჲ რომელ მემოკნაზა უპანით იძნების. ვითარებაჲ  
 სარატანისა რომელ ჰქვიან ქართულად კირჩხიბი და სპარსულად ხარჩანგი.

აბუჯარიჰ იტყვის: კირჩხიბი ფიცხელისა სევდისა გარევისაგან იქნების რომელ  
 მოერიოს მეორესა ფარდაგსა, და ღუბალაჲ ფიცხელისა გარევისაგან იქნების მასვე ფარ-  
 დაგსა შიგან.

30 ნიშანი სარატანისა და ღუბელაჲსი: იგი არს, რომელ მეორესა ფარდაგსა  
 შიგან სიმსივნე გამოჩნდეს და დია სტკიოდეს, და თვალთა სტკიოდეს, და საჭამადი არ  
 მოუნდებოდეს. და ნიშანი ღუბელაჲსი იგი არს, რომელ მეორე ფარდაგი არა ჩნდეს მანკისა  
 30 სიმნელი<sup>1)</sup>გან.

კურნებაჲ კირჩხიბისა და ღუბელაჲსი: აბუჯარიჰ იტყვის: კურნე-  
 ბაჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და დელამოტის წყლითა მუცელი დაიღბოს,  
 და ხაშხაშისა შარაბი და იისა შარაბი და ჯულაბი სწას, და თეთრი შაფი თვალთა შემო-  
 ვლოს მეტად რაჲ ცოტაჲ გამთბარ იყოს, და ესე შემოსადებელი შემოსდევას, ვითარებაჲ  
 მისი: ქერისა ფქვილი და იაჲ და ნილოფარი, და ბაკილასა ფქვილი და ბალბაჲ, და ხორფა-  
 რაჲსთი თვითოსა ოდენი, ყველაჲ დანაყილი იისა ზეთითა შეზილოს და თვალსა შემოსდევას  
 და ძილისა ეჲმსა ესე დარური შემოაყაროს ვითარებაჲ მისი: თუთიაჲ და შადნაჲ და ნი-  
 შასთაგი, და შაფი მამითა და დაბეჭდული მიწაჲ რომელსა ჰქვიან გილი ბაჲუიძრ, და მარგა-  
 ლიტი უხჭრელოჲ თვითოსა ოდენი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი თვალთა შემოავლოს.

40 როფის იტყვის: რომელ კირჩხიბი ფიცხელსა წამალსა ვერ გასძღებს, და ეგეთი  
 რაჲმე შემოსდევან რომელ ტკივილი დააწყნაროს. თუ სისხლსა მოერივნენ ზელი გაიხსნან, და  
 თუ სასევდოსა ხილტსა მოერივნენ აფთიმონისა მატბუხი იხმაროს რომელ მანკისა დედნი-  
 საგან ტანი გაიწმიდოს. და მაშინ დანაყილი ქათირაჲ კვერცხის ყვითელსა და ქალის დე-  
 დისა სძესა გაჰრიოს და თვალსა შემოსდევას.

1) ამ სიტყვას ნიშანი უზის და აშიაზე სწერია „ჩაივაროს“

იოჰანა იტყვის: დუბალასა კურნებაჲ არს ვითა გვიხსენებია, პირველ ხელი ვაი-  
ხსნას და მუცელი დაიღობოს ხილთა წყლითა, მატბუხითა და ხორცსა და თაფლიანთა ერთ-  
დებოდეს. და იქსირაანი თვალთა ჩაიყაროს ესრე: შადნაჲ და ძოწი და წვრილი მარგალიტი,  
და სპილენძისა თუბალი და ჩიფვილაჲ, და დამწვარი სპილენძი როსოხტაგი, და ოქროსა  
იყლეშიაჲ თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, სურმაჲ და ზღვისა პერული თვითოსაგან დრა-  
მისა წონი, ყველაჲ წმიდად გაგალოს და ხმარებისა ეამსა თვალთა ჩაიყაროს.

თხამლისა მოსჭლა თვალთაგან. ჰუნაჲ იტყვის: თხამლი თვალთაგან  
რამ მოვიდოდეს სიწყულულისაგან არს მეორესა ფარდავით, რომელ თხამლი მანდა შეიყაროს,  
და ანუ ძნელისა თავის ტყვიელისაგან. რომელ ბუნებაჲ ჰავთა ხილტთა მუნ შეყარს.

10 ნიშანი თხამლის მოსვლისაჲ, რამ მეორესა ფარდაგსა უკანით იყოს იგი  
არს, რომელ ანუ მისგან უფროსი იყოს მაგრა მართ ნახუნაჲსაჲჲ ჰგავს რამ გამოჩნდეს.

კურნებაჲ თხამლის მოსვლისაჲ, რამ მეორესა ფარდაგსა უკანით იყოს. ჰუ-  
ნაჲ იტყვის: დასაწყისსა მანკისასა მუცელი დაიღობოს იისა ყურსითა, და ყურსი არაბუ-  
ლად კჭეოსა ჰქვიან, რომელ თავი და ტვინი ჰავისა გასარეველისაგან გწმდეს. და მაშინ  
შესამე მარფაშთაჲ წმიდად გაგალოს და თვალთა ჩაუყაროს, და წითელი შაფი და მალ-  
ქაიაჲ თვალსა შემოვლოს. და თუ არ უკუქარდეს ესე წამალი იხმაროს, ვითარებაჲ მისი:  
მური და ზაფრანაჲ და საბრი თვითოსაგან დრამისა წონი, თაფლი ექვსისა დრამისა წონი,  
გაგლილი წამალი თაფლითა და შემგბრითა ღვინითა შეზილოს და თვალთა შემოვლოს კარ-  
გი არს.

20 მასარჯოა იტყვის: წითელი შაფი და მალქაიაჲ თვალთა შემოვლოს რომელ  
მანკისა დედაჲ დაელიოს. ვითარებაჲ მისი: შადნაჲ სამისა დრამისა წონი, ენგარაჲ ექვსისა  
დრამისა წონი, ყვითელი არჯასპი დამწვარი ოთხისა დრამისა წონი, შაბი იამანური ნახევარ  
დრამისა წონი, როსოხტაგი ორისა დრამისა წონი<sup>1)</sup> ყველაჲ დანაყილი და გაცრილი ღვი-  
ნითა შეზილოს და წურული შაფი ქნას, და მაშინ ნარსაქისა წყლითა გაგალოს და თვალთა  
შემოვლოს. და ხმელთა და მხურვალთა საქამაღთა ერთდებოდეს, და აბანოს მივიდოდეს და  
დიდაჲ ნუ დაჯდების.

არხიჯანის იტყვის: ესე მანკი ძნელად იყოს წამლითა არ გაქარდების, მაგრა  
ხამს რომელ თვალისა კილოჲ ცხვირთა კერძოჲ ცოტად გააპოს, და მილისა თავითა თხამლი  
გამოიღოს.

30 ჯალინოს იტყვის: შაშრისა წჭერითა თვალთა კილოჲ გააპოს, და ეკრძალოს  
რომელ შაშრისა პირი თვალთა შიგნით არ მიახტედროს და ყარნის ფარდაგსა შიგნით არ  
მივიდეს, და თხამლი გამოიღოს, და მაშინ ქალის ღედისა სძე ჩაუწეთოს ერგების. და ეგეთთა  
წამალითა იხმარებდეს რომელ თვალისა წყლულსა ერგებოდეს, და ესე კურნებაჲ სადას-  
ტაქროჲ არს. სააქიმოჲსგან კიდევანი არს რომელ იცოდეთ.

ჟ. 2) თვალისა აღმოგება ერთოგით ანუ ცოტაჲ. ვითარებაჲ მისი რამ სიმხურვა-  
ლისგან იყოს. მადაინი იტყვის. ესე მანკი მამაკატთა რწყევისაგან წაეკიდების, და  
ანუ დიდა ზახილისაგან, და ანუ შეეშინოს რადმე, და დედათა შობისა ჰირისაგან წაეკიდების  
სისხლისა მორევენისაგან.

ნიშანი რამ სიმხურვალისგან იყოს: რამცა სისხლისა მორევენისაგან იყოს  
40 იგი არს, რომელ თვალი და პირი წითლად იყოს და თავისა და ყელისა ძარღუნი აღდგომილი  
იყენენ, და ეგემის რომელ რამ გრილი რამე დასდვან ელხინოს.

კურნებაჲ რამ სიმხურვალით იყოს: მადაინი იტყვის: კურნებაჲ იგი  
არს, რომელ მხურვალი ჰუცნაჲ უყოს და ჰირის ნახვისაგან და ღვინისა სმისაგან, და დია-

<sup>1)</sup> ეს წინადადება „შაბი იამანური ნახევარ დრამისა წონი, როსოხტაგი ორისა დრამისა წონი“ სტრი-  
ქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

<sup>2)</sup> აქ ტექსტში შეცდომით უნაჲ „ჟე“.



ცისაგან კრძალვით იყოს, და საჭამადსა ცოტასა ჭამდეს და ღამით პირ აღმა დაწვებოდეს. და თუთუბისა შაფი თვალთა ჩაიწითოს და მალფაკა შემოსდევას და მაგრად შეეკრას, და ხანსა დიდსა ნუ გახსნის. და რააცა სიმზურვალისგან იყოს კურნებაა იგი არს, რომელ ყოფილი გაიხსნას და ქიქა მოჰკიდოს ყელსა, რომელ მანკი უკანით დაღმა გამოზიდოს, და ხილთა წყლითა შემგრბითა მუცელი დაიღბოს, და ბროწეულისა შარაბი და ტუტისა შარაბი იხმაროს. და ვარდის წყალი და თუთუბისა წყალი და ისრიმისა წყალი ერთგან გაჰკრიოს და თვალთა ჩაიწითდეს. და ვარდის წყალი გაციებული თავსა ისხას და ნუ დაიხახებს. და საჭამადსა თუთუბისა ურწყოსა და ბროწეულსა ჭამდეს ელხინების, ღმერთსა უნდეს.

10 ისაკ იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას, და საბრი და ჰუტუტი, და აყიყია და აფშარაა, ღიჯია თათასი მალფაკასა მოაყაროს და თვალთა შემოსდევას, და პირაღმა დაწვებოდეს და შეინახოს, რომელ ცხვირთა დაცემისა ჟამსა არ დაჰვარდეს. და სიარულსა და საჭიროსა საქმესა ერიდებოდეს. და ესე შაფი მიწყით თვალთა შემოვლოს, რომელ გამოცდილი არს და კარგი ვითარებაა მისი: თუთუბაა ხელითა (ეცხლითა, წყლითა შეაზგოს და მაშინ გაწმიდოს, და ორისა დრამისა წონი სპეტი და ორი დანგი ქაფური, და ქითირაა და იფიონი თვითთმასაგან დანგი, ყველაა მას წყალსა შემგბარაა გაჰკრიოს და მაშინ შაფად ქნას, და ჩრდილსა გაახმოს და ხმარებისა ჟამსა ქვასა ზედა გავალოს და თვალთა შემოვლოს ერგების. და თუ ისრიმისა და თუთუბისა წყალი და ვარდისა წყალი ერთმანერთისა ოდენი ერთგან გაჰკრიოს და თვალთა ჩაიწითოს ერგების. და დიაცსა ერიდოს და ნუ დაიხახებს და მჟავეთა მიეღტვოდეს.

20 ვითარებაა მისი რაა სიგრილისგან იყოს. აბუჯარაბ იტყვის: რაა ბაღლაში და თვალთა სინედლე მოერებენ და მანკი გამოჩნდეს, და გარეთ სიწყლულითა ნიშანი ცოტაა იგი არს, რომელ რაა მეორე ფარდავი დაიხიოს, მესამე გამოვიდეს და ადგეს.

ნიშანი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ რაა მზურვალი შემოსდევან ელხინოს და თვალი წითელი არ იყოს. და ნიშანი მაგისი იგი არს, რომელ თვალისგან რაამე ადგომილ იყოს რომელ ნარსაქისა ოდენი, ანუ უფროსაი თვალთაგან ადგომილ იყოს.

კურნებაა რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გვარიშნი იხმაროს, რომელ ტვინი ჰავისა ვასარეველისაგან გიწმინდოს. და გულანგუბინი ძეღლი ქამოს, რომელ სტომაქი გაამზურვალოს და თაფლისა წყალი რომელ შიგან მზურვალი სანელეზელი რთულ იყოს ერგების. და სიქანგუბინითა და სპანძელითა ღარღარაა ქნას. და დანაყილი სონიჯი და მზურვალი სურინჯი უსუნოს, ვითა მუშკი და ღალიაა და დიაცსა ერიდოს და მჟავეთა ნუ ჭამს, და კალიაასა და მოტანჯანსა ჭამდეს. და მუცელი მზურვალითა ჰუყნაათა დაიღბოს ერგების. და საბრითა და აყიყიაათა თვალსა ტილე უყოს, და შაფი აბარი და იქსირაანი თვალთა შემოვლოს, და მიწყით აბანოს მივიდოდეს მეტად უზმამან.

30 ფოლის იტყვის: რაა თვალისაგან ცოტაა ადგომილ იყოს არაბულად მას ბათვი ჰქვიან. თუ თავისა და შუბლისა ძარღვი ადგომილ იყოს და თვალი წითლად იყოს, ხელი გაიხსნას. და მაშინ შადნაა, იყლემიაა დანაყილისა ვეცხლისაა ვითა თვალთა საოლავი სურმაა გავალოს, და თვალთა შემოვლოს და შემოაყაროს, და მალფაკა შემოსდევას და შეეკრას. და ესე დარური იხმაროს ერგების კარგად, ვითარებაა მისი: სპეტი და ვეცხლისა იყლემიაა და გომიზი თვითთსაგან ერთი ნაწილი, ყველაა დანაყოს და გავალოს და მიწყით თვალთა შემოაყრიდეს, და მალფაკა შემოსდევას და შეეკრას. და თუ მანკი დაძველებული იყოს არა იკურნების მისგან კიდე რომე ერთი ნემსი შიგან გამოაროს აბრეშუმისა მკედითა, და ხელი ზე აიპყრას და მაშინ მახვილითა მაკრატლითა მოჰკუთოს, და გავლილი შადნაა შიგან შეეყაროს და ზირაასა წყალი ჩაუწითოს, და კურცხისა ყვითელი შემოსდევას მაგრად.

ა. სიზარათო და სიძვირთა თვალისა ხსრამლისა. თვალისა გაფართოებისა ვითარუ-  
ბაჲ. ისაჲ იტყვის: გაფართოებაჲ მისი მესამისა ფარდავისა სინმელისაგან იქნებო-  
და ანუ სიმსივნისაგან რომელ ტვინისა ფარდაგსა შიგან გამოჩნდეს, ანუ სიმხურვალისაგან,  
ანუ მაგარისა ნაკრავისაგან რომელ თავსა ეცეს.

ნიშანი თვალისა გაფართოებისაჲ. რაჲცა სიმხურვალისა და სინდლისაგან  
იყოს იგი არს, რომელ თვალთა ჰავად უჩნდეს, და რაჲცა ფარდავისა თავისაგან იყოს იგი  
არს, რომელ თავი სტკიოდეს და ცხროხცა ერთოს, და რაჲცა ნაკრავისაგან იყოს ნიშანი  
იგი არს რომელ თავი სტკიოდეს.

- კურნებაჲ თვალისა გაფართოებისაჲ. ისაჲ იტყვის: რაჲცა სინმელი-  
10 სგან იყოს კურნებაჲ მისი ძნელი არს, და უფროჲსი ესე მანკი ზედაჲ ზედა მარხვისაგან იქ-  
ნების და ღამისა უძილობისაგან, და დია ისთიურალისაგან, მაშა რაჲ გამოჩნდეს ესე მანკი  
ქრთილისა წყალსა სმიდეს, და შინაურისა ქათმისა ბორცსა ჰამდეს და ღვინოსა წყალრე-  
ულსა სმიდეს. და იისა ზეთი და ნილოფრისა ზეთი, და აყროხსა და ნუშისა ზეთი ერთგან  
გაპროს და ცხვირთა უწოთს. და ქალის დედისა სძე თვალთა შიგან მოწველოს. და რაჲ-  
ცა სინდლისაგან იყოს ყოყიასა ჰაბითა მუცელი დაილბოს, და ყელსა ჰიქაჲ მოჰკიდოს,  
და ძმარი და მარილი წყალსა ჩაურთოს და აღულოს და პირსა მაგით ჰჰანდეს, და საჰა-  
მადსა კალიასა ჰამდეს. და რაჲცა სიმსივნისაგან იყოს იგი არს, რომელ ქალისა დედისა სძე  
თვალსა მოწველოს და ვარდისა წყალი თვალთა იცხოს, და შადნაჲ შემოვლოს და ასფა-  
რამითა წყლითა ჰჰანდეს და რაჲცა ნაკრავისაგან იყოს ადვილი არს რაჲ ყიფალსა გაჰხნის  
20 გაქარდების მანკი. და თუ სანდალი და მამითაჲ, საჲფი და ჰუტუტი და სომხური მიწაჲ  
ერთგან გაგალოს და თვალთა შემოსდეს ერგების და თუ თვალი წითლად ედგას ქალის.  
დედისა სძე მოწველოს თვალსა შიგან.

დეგჯანის იტყვის: თუ სიმსივნისაგან იყოს ხელი გაიხსნას და ტლე შემოსდეს  
ნილოფარისა და ტირიფისა ფურცელი, და თუ სქელისა ხილტვისაგან იყოს მუცელი დაილ-  
ბოს იარაჲსა ჰაბითა და ყოყიასა ჰაბითა, და ნაველთა შაფი თვალთა შემოვლოს. და თუ  
სინმელისაგან იყოს კურნებაჲ მისი ძნელი არს, მაგრამ ქალის დედისა სძე მოწველოს შიგან,  
მეტად მაშინ რაჲ წითლად იყოს, და სანდალი და ვარდის წყალი საჲფეთქელთა იცხოს და  
პირსა ცივითა წყლითა ანუ გაცივებულთა ვარდისა წყლითა იბანდეს და საჰამადთა გრი-  
ლთა და ნედლთა ჰამდეს.

- 30 თვალთა დავიწროებისა ვითარებაჲ. მესია იტყვის. დავიწროებაჲ  
თვალთაჲ სიმსივნისაგან იქნების რომელ შიგან გამოჩნდეს და ანუ გრილისა და ხმელისა  
ქემოასისაგან, ანუ სიმხურვალისაგან რომელ მორეულ იყოს.

ნიშანი თვალთა შევიწროებისაჲ, რაჲცა სიმსივნისაგან იყოს ნიშანი იგი არს,  
რომელ თავი და თვალი სტკიოდეს, და რაჲცა გრილისა ქემოსისაგან იყოს იგი არს, რო-  
მელ თვალთაჲ ცოტაჲ უჩნდეს. და რაჲცა სიმხურვალისაგან იყოს იგი არს რომელ თვალი  
ხურვიდეს, და რაჲცა სინმელისაგან იყოს თვალი შემოზიდული იქნების.

- კურნებაჲ თვალთა შევიწროებისაჲ. მესია იტყვის: თუ თვალისა სი-  
ვიწრო დაბადებისაგან იყოს კარგი არს, და თუ სიმსივნისაგან იყოს ყიფალი გაიხსნას და  
მუცელი დაილბოს, და ასფარამითა წყალი თავსა ისხას, და ხმელთა და მხურვალთა საჰამად-  
40 თა ერიდებოდეს. და თუ გრილისა ქემოასისაგან ქნილ იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ  
მუცელი დაილბოს იარაჲსა ჰაბითა და მიწყით თავსა იხელდეს, და ცოტასა ჰამდეს და ვა-  
რისაჲ ჰამდეს. და თუ ხმელისა ხილტვისაგან ქნილი იყოს ნედლთა საჰამადთა იხმარებდეს:  
და მიწყით აბანოს მივიდოდეს და ასფარამითა წყალსა და ბაზრაცუტუნისა წყალსა და ხაფარ-  
ტისასა თავსა ისხმიდეს, და ნუშისა და ნილოფრისა და იისა ზეთსა თავსა იცხებდეს. და  
თუ აყროხსა გულისა ზეთი ახალსა სძესა თანა ჰამოს ერგების და ქალის დედისა სძე და



კვერცხისა თეთრი თვალთა ჩაიწოთს\*) მეტად მაშინ რაჲ ცოტაჲ ზაფრანაჲ კურცხისა თეთრსა გარეულ იყოს ერგების.

როფის იტყვის: თუ სიმსივნისგან ქნილი იყოს ხელი გაიხსნას და ცოტაჲ რაჲ-ტათი ქნას, და პირსა იხელდეს. და თუ სინედლისგან ქნილ იყოს მუცელი დაიღბოს ყოყოაჲსა ჰაბითა. და თუ სიმშელისაგან იყოს კურნებაჲ მისი ძნელი არს მაგრა ჭალის დედისა სძესა თვალსა შიგან მოსწველდეს მრავალ ჯერ კარგი არს. და მიწით აბანოს მივიღოდეს და დია ნუ დაჯდებას, რომელ დია ჯდომაჲ სიმშელესა მოუმატებს და ზაფრასა. და საჭამადსა ვარიაჲსა ჭამდეს რომელ კალიაჲთა შექნილ იყოს და თუ თიკანი იყოს მაშენე იქნების. და თუ სუდაჲსგან იყოს არა იკურნების. და თუ სიმხურვალით იყოს გრილი-  
10 თა უკურნონ და გრილთა ზეთთა სცხებდენ, ერგების შეწვევითა ღმრთისათა.

წმ. ინოიწარი თუალის გუზაჲსა გაჟართომაჲა არს. ვითარებაჲ მისი რაჲ ნაკრავისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ესე მანკი ნაკრავისგან იქნების რომელ თვალთა რაჲ ეცეს, და მაშინ გუგაჲ გაფართდეს ეგრე რომელ ვერას ხედვადეს, და ანუ დიაჲ თავის ტკივილისა უკანით შეიქნების.

რაჲ ნაკრავისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ თვალისა გუგაჲ გაფართდეს და ცოტაჲ უჩნდეს. და რაჲ ზომცა უფიწრესი იყოს სინათლე უფრო იქნების, და რაჲ ზომცა უუფროთე იყოს უმცრო ინახვის.

კურნებაჲ მისი რაჲ ნაკრავისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: თუ ნაკრავისგან იყოს ანუ ჩაჭრისგან რომელ მალლისა ადგილისგან ჩაიჭრეს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბაკილაჲსა ფქვილი და ტირიფის ფურცლისა ფქვილი ერთ-  
20 გან გარბოს და ვარდის წყლითა შეზილოს, და თვალისა ქუქუთოსა შემოსდვას დაძინებისა ჭამსა, და თუ ბაკილაჲ დანაყოს და ქერქი ახადოს და გაცრას და ტირიფის ფურცლითა, არდის წყლითა, შეზილოს და თვალთა შემოსდვას ერგების. და თუ მარტოჲ ტირიფის ფურცელი დანაყოს და თვალთა შემოსდვას კარგი არს. და თუ ქრთილისა ფქვილი ტირიფის ფურცლითა დანაყოს და მალჰამაჲ ვითა თვალსა შემოსდვას ერგების.

არბიასიოს იტყვის: მანკისა დასაწყისსა კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბაკილაჲ დანაყოს, ტირიფის ფურცლითა შეზილოს და თავსა და თვალთა შემოსდვას. და ნიადაგ ნავლელთა შაფსა თავსა და თვალთა შემოივლებდეს ვითარებაჲ შადისაჲ: ძალის მწვერისა და ლომისა და მგლისა ნავლელი, და ელურისა კატისა და ქაფისა რომელსა  
30 ჰვიან ყაბუზუნაჲ, და ყურდგელისა და ველურისა თბისა ნავლელი, და მელისა და კანჯრისა და ქორისა და ვეფხვისა ნავლელი, და ყარყადისა და ცხურისა ნეზვისა, და ხორხბისა და ტრედის ხუნდის თეთროსაგან დრამისა წონი ყველაჲ ერთგან გავალოს, და თვალთა შემოვლიდეს კარგად ერგების. და უკეთესი წამალი ამის ჭირისა ესე არს და ჩვენ გამოგვიღია.

ჰუნაჲნ იტყვის: რაჲ დაძველებულ იყოს არა იკურნების და გაძნელებების. განა დასაწყისსა წამალი მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და შარიანისა ძარღვი რომელ საფეთქელსა არის ვაკუეთოს და ნავლელთა შაფი თვალთა შემოვლოს, და საჭამადსა ნატიფთა ჭამდეს და მძინეთა და უღნობთა ერიდებოდეს, და დიაცსა ნუ დაეკარების და ჭირიანსა საჭმისა ქნასა, და თავისა ჭირისა ჩუენებასა ერიდებოდეს

ვითარებაჲ მისი რაჲ თავისა ტკივილისგან ქნილ იყოს. არხიჯანის იტყვის: თავის ტკივილისა უკანით ესე მანკი ძნელი არს, სინედლისაგან იქნების რომელ მუნ შეყრილი იყოს, და იქნების რომელ სიმშელისგან ქნილი იყოს რომელ თვალისადა მოერივნეს.

\*) ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „ით“ და შემდეგ გვერდის ქვემო აშიაზე „ა“.





ნიშანი მისი რაა თავის ტკივილისგან ქნილ იყოს, იგი არს, რომელ თვალთა არა უჩნდეს, ერცაჲზე ცოტაჲ უჩნდეს, და თვალის გუგაჲ ერცაჲზე დაჩოქეთეს ერცაჲზე რომელ სხომისგან გარდასრულ იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲცა თავისა ტკივილისგან ქნილ იყოს. არხიჯანის იტყვის: კურნებაჲ იგი არს რომელ შარიანი ძარღვი გაჰკვეთოს რომელ მანკი არ გამაგრდეს და თუ გამაგრდების აღარ იკურნების.

10 დევჯანის იტყვის: მანკისა დასაწყისისა იისა ზეთი და აყროჲსა თესლისა ზეთი თავსა იცხოს და ცხვირთა ჩაიწითოს, და ქრთილისა წყალსა სემიდეს და გრილთა საქამადთა ჰამდეს. და მაგისი კურნებაჲ რომელ ცოტაჲ უჩნდეს იგი არს, რომელ თვესა შიგან ორჯელ მუცელი დაიღბოს ამით გვარიშნითა, ვითარებაჲ მისი: ზანჯაბილი ოთხისა დრამისა წონი, არაბული გომიზი და ხირი ბოიჲ თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, ყარამფული და კალამონი თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, და ნახევარი, ჯავზი ბოიჲ ერთი მარცხალი, და ზაფრანაჲ ნახევრისა დრამისა წონი, ნიშასტავი ოცისა დრამისა წონი, შაქარი ტაბარზადი ნახევარ ლიტრიაჲ, ყველაჲ დანაყილი შაქარსა გაჰრიოს და ხმარებისა ეჲსა იხმარებდეს. და მაშინ შაფი ნაეღლთაჲ თვალთა ჩაუწითოს ვითარებაჲ მისი მგორგსა წიგნსა შინა მოვახსენოთ, ღვინოსა ნუ სტამს, დიაცსა ნუ დაეკარების და უდნობსა საქამადსა ნუ ჰამს. საქამადსა მუხუდის წვენსა ჰამდეს, რომელ სქელი გასარეველი გაანატიფოს.

20 მასარჯოჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და ზანჯაბილისა გვარიშნსა იხმარებდეს, და უზმაჲ გულან გუბნისა ჰამდეს. და რაჲცა სიხმელისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა საქამადთა ჰამდეს რომელ სინედლესა მიუმატებდეს, ვითა შინაურისა ქათმისა ხორცი, კაკბისა და თიჲაჲსა ხორცი, ბატქნისა და თიქნისა ხორცი, და რაჲცა ამათ ჰგვანდეს, და იისა ზეთი და ნილოფარისა, და აყროჲსა და ნუშისა ზეთი ერთგან გაჰრიოს და თავსა იცხებდეს, და ცხვირთა ჩაიწითობდეს ერგების დია.

30 ო. თვალთა არ კაბაჲ ჩანაჲ რომელ სიმხუცვალით იყოს. ვითარებაჲ მისი. ფოლოს იტყვის: ვითა ზაფრისა სინედლისაგან<sup>1)</sup> მორევისაგან იქნების, რომელ თვალისა თეთრთა ძარღეთა მოერიოს, ანუ სიხმელისგან იქნების\* რომელ დია ემარხოს, ანუ მისგან იქნების რომელ ღამით არ დაიძინოს და საქმისაგან დია ჰირი ენახოს.

ნიშანი რაჲ სიმხუცვალისგან იყოს. რაჲცა ზაფრისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ რაჲ მეთვე ექამოს უკეთ უჩნდეს, და რაჲცა სიხმელისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ სიმშლისა ეჲსა და შუა დღისა ეჲსა უვარე იყოს, და თვალი სიღრმესა იყოს.

30 კურნებაჲ რაჲ სიმხუცვალისგან იყოს, იგი არს, რომელ უზმაჲ სიქანგუბნისა სმიდეს და მეთეისა და ტკბილისა მროწეულისა წყალსა, და ქრთილისა ხალი მყინვართა გაციებული შაქრითა ჰამოს, და გრილთა ზეთთა ცხვირთა და თავთა იცხებდეს, ვითა იისა და ნილოფარისა ზეთი, და ქალის დედისა სძე თვალთა ჩაიწითოს, და სინხურვალისა და სიფიცხისა და დიაცისა სიახლესა ერიდოს. და სიგრილესა და სინედლესა მიელტვოდეს და ღვინოსა ცოტასა სმიდეს და წყალრეულსა. და თუ აყროსა და იისა და ნილოფარისა და ნუშისა გული ერთგან გარიოს და მიწყით თავსა, იცხებდეს კარგი არს.

40 მასარჯოჲ იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა სიმხუცვალისგან იყოს იგი არს, რომელ უზმაჲ ქრთილისა წყალსა სემიდეს და ქრთილისა ხალსა შაქრითა ჰამდეს, და გრილთა და ნედლთა ზეთთა ცხვირსა ჩაიწითობდეს, და მლაშესა და მეთეესა და ფიცხელსა ერიდებოდეს, და მაშასა ჰამდეს და ზირაბაჲსა. და მწვანელითა თანა ხავარტი და არდი და კატკატო ჰამოს. და ხილთაგან კიტრი და სხალი და ვაშლი, და ქალის დედისა სძე და ფურთა სძე ერთგან გაჰრიოს და თვალთა ჩაიწითოს, ამას მანკსა გარდაიღებს და სინათლესა მისცემს. და მროწეული ტკბილი და მეთვე შეაგბოს თაფლითა რომელ ნახევრამდინ მოიყაროს და თაფლი გაუერიოს, და სამსა კვირასა მზესა დადვას, მაშინ თვალთა ჩაიწითოს რა-

<sup>1)</sup> ეს სიტყვა აშინაზე სწერია დედნის ზელით.



ტენისგან ქვე თვალთა არ ჩამოვიდეს. და ტენი გაწმიდოს ზანჯაბილისა გუარისნითა, და მძიმეთა საქამადთა ერიდებოდეს, და მიწყით კეცსა ცოხნიდეს და წყალსა დადუგავდებდეს და მუხუდის წტენსა იხმარებდეს. და თუ წყალი შემოსრულ იყოს ყადაპისგან კიდე არა იქნების, და ყადაპი წყლისა გახსნასა ჰქეიან მილისა წვერითა. და ეგრე ხაჰს რომელ მას ჟამსა მადლარი არ იყოს, და არცა წეიძრას, და ცხვირთა ნუ დასცემს, და რაჲ შეიგნეს რომელ წყალი სრულად გამოვიდა პირალმა დაწუეს, და კუერცხისა ყვითელი ვარდისა ზეთითა გააღვინოს და თვალთა შემოსდვას, და მალფაკა შემოსდვას და შეკრას და ყველაჲ ნუ იარეზის და სამსა დღესა ესრე ჰქნას და ორივე თვალი დააქუხვიოს და ბნელსა სახლსა იყოს და ნესამესა დღესა ნელითა წყლითა დაიბანოს თვალი და შაფი მზუარი ჩაშოიხუროს ერგების.

10 ვითარება მისი რაჲ სტომაქისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ამის მანკისა გამოჩენა სქელთა ბუხართა ჰავთაგან იქნების, რომელ სტომაქისგან თავსა გაუზდეს და მაშინ ბუნებისა ძალმან იგი ბუხარი თვალისა გზასა ჩასავალსა ჩამოაყენოს და მუნ შეიყარნენ.

ნიშანი რაჲ სტომაქისგან იყოს: იგი არს რომელ ერთფერად არ დაიდგნეს ზოგჯერ უსუბუქესი იყოს და ზოგჯერ უძამესი. და სისუბუქისა და სიმძიმისა სტომაქისა ნისაფერად და ორთავე თვალთა შიგან იქნების და სხვაჲ რომელ ბუნებათა შეშლის.

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ სტომაქი გაიწმიდოს მის ხილტისგან რომელ ამის სათაფრო იყოს. და უზჰაჲ გულანგუბინსა ჰამდეს და ნავლელოთა შაფი თვალთა შემოვლოს და ზანჯაბილისა გუარისნით ამას მანქსა დია ერგების, და ასჯათიყონისა. 1)

20 შაფი სიბნელესა და ამას მანქსა დია ერგების, მეტად მაშინ რაჲ სტომაქი გაწმედილ იყოს, და ესე შაფი იხმაროს: ვითარებაჲ მისი ყვითელი იყლემიაჲ ოქროსა, და ზაფრანაჲ და პილპილი, და აფიონი და ყვითელი ჰალილაჲ თვითოსაგან სამისა დრამისა წონი, გომიზი არაბული და შაფი მამითაჲსი თვითოსაგან დრამისა წონი, მარილი ანდრანული ორი დანგი, მური დანგი, საბრი და ბაერუკი თვითოსაგან ოთხი დანგი, ყვითელი ზარნიხაჲ ორი დანგი, ყველაჲ ბადიანისა წყლითა წმიდად გაგალოს, და ჩრდილოთა გაახშოს და ხმარებისა ჟამსა თვალთა შემოვლოს.

ჯალინოს იტყვის: უკეთესი კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნავლელოთა შაფი იხმაროს მეტად ოთხხეებთა და მფრინელოთა ნავლელისა, და ბადიანისა წყალი დასაწყისსა მანკისასა თვალთა ჩაიწითოს, და მძიმეთა საქამადთა და დიაცსა ერიდოს.

30 კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა და ყოყიასა სტომაქი გაწმიდოს, და იარაჲ ფეყირაჲ და როფისის იარაჲ ერგების, და თუ ფეყირაჲსა იარაჲთა ღარღარაჲ ჰქნას ერგების. და ასთაფიყონისა შაფი მას ერგების, და აზიზი თვალთა შემოვლოს. და რაჲცა ნავლელი მუშქსა გაჰრიოს და მაშინ ბადიანისა წყლითა წმიდად გაგალოს და და თვალთა შემოვლოს ერგების. მაგრა ველურთა მფრინვალთა ნავლელი უმჯობესია და მძიმეთა და უდნობთა საქამადთა ერიდებოდეს, ერგების თუ ლმერთა უნდეს.

ოჲ. ლამით სიბრმისა და დღისით სიბრმისა: ლამით სიბრმისა ვითარებაჲ. თებით ყურაჲს ძე იტყვის: ესე მანკი სქელთა ბუხართაგან იქნების. ლამით რომელ ბრმაჲ იყოს მით არს, რომელ ბუხარი დღისით სინათლესა და დღისა სიცხესა განატივდების და ლამით სიბნელესა ბუხარი გასქელდების.

40 ნიშანი ლამით სიბრმისაჲ, რომელსა ჰქეიან შაბქორი: იგი არს, რომელ ლამით ვერას ზედავდეს ეგრე რომელ დღისით არა აკლდეს სინათლე.

კურნებაჲ ლამით სიბრმისაჲ: თებით ყურაჲს ძე იტყვის: ფეყირაჲსა იარაჲთა მუცელი გაწმიდოს და მითვე ღარღარაჲ ჰქნას, და ხაზდის გულითა და ქერუშტითა ცხვირთ დააცემიოს, და ნავლელოთა შაფი თვალთა შემოვლოს, და ესე წამალი ჩვენ გამოგვიცდია კარგი ხანაითა აქვს. ვითარებაჲ მისი: პილპილი და დარაფიფილი, და ყანბილი

1) შეცდომა, უდნა იყოს „ასტმიაიყონის“.



თვითოსაგან სამისა ღრამისა წონი ყველაა წმიდად გაგალოს, და თვალთა შემოვლოს. და მუცელი დაიღბოს ყოყიასა ჰაბითა, და დარაფილფილი<sup>1)</sup> წმიდად გაგალოს და ეგრეთვე ბადიანი ღვიძლსა შემოაქაროს და ღვიძლი ცეცხლსა შემოსდეს, რომელ მისგან პერული გამოვიდეს, და მაშინ შილი მით პერულითა დაისვაროს და თვალსა შემოვლოს, და ნედლსა ნურას ქაშს ვითა მაწონი და სძე, და კეერცხი და ახალი ხილი, მუხუდისა წყენისაგან კიდე დამწვარი წყადი ჰამოს და ნეორესა ღამესა შაბიარისა ჰაბსა ჰამდეს.

10 ბაყრატი იტყვის: ესე შაფი<sup>2)</sup> შაბქორსა და ინთიბარსა და წყლისა ჩამოსულისა ერგების დასაწყისსა ვითარებაა მისი: ქორისა<sup>3)</sup> ნავლელი უკიაა ერთი შაჰში ჰანტალი მით-ყალი ერთი, თვარფიონი და ნიშადური თვითოსაგან ნახევარ ღრამისა წონი, სიქაბენა ორი დანვი, ყველაა დანაყილი ამა ნავლელსა თანა ჰავანსა ჩაყაროს და გაგალოს და მშითა გა-  
ნმოს ანუ ტუგახახაა წყლითა ანუ ბადიანისა წყლითა შაფაუ ქნას, და ქვასა ზედა გაგალოა და თვალთა შემოვლოს ერგების, დანახვასა გააფიცებებს.

ისაკო იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ თხისა ღვიძლი ცეცხლსა ზედა დას-  
დვას რომელ წყალი გამოვიდეს, მერმე იგი წყალი მისი თეთრსა შიშავსა შიგან ჩასხას და მიწყით თვალსა შეოივლებდეს, და ამის შემწვარისა ღვიძლისა წყალიცა ჰამოს, და თუ ღვიძლისა წყლისა ორთქლისა ზედა პირი მიუპყრას, რომელ ორთქლი თვალსა შეუხდეს კარკი არს.

2) დღისით სიბრმისა ვითარებაა. აბუჯარიჰ იტყვის: ესე ზანკი სიხმელისა სიმ-  
ნავლითა იქნების, რომელ სულსა ნაფსანისასა მოერიოს, და ანუ სულისა ნაფსანისა დად-  
ნობისაგან იქნების, და იქნების რომელ სტომაქისგანცა გამოჩნდეს ჰავისა გასარეგლისგან, რომელ შიგან იყოს.

ნიშანი დღისით სიბრმისაა, იგი არს რომელ ნათელსა დღესა და მზიანსა ვე-  
რას ხედვიდეს, და მნელსა ღამესა კარგად ხედვიდეს. და ნიშანი მისი რომელ სტომაქიდან იყოს იგი არს, რომელ ეამაა და სიმაძღრესა უფარე და უკეთე ხედვიდეს.

3) კურნებაა დღისით სიბრმისაა. აბუჯარიჰ იტყვის: ესე უფრო თვალ  
მარლსა წაეკიდების, ანუ შაჰლასა თვალსა სულისა სინატიფისგან, და გუგაჰსა სინატიფის-  
გან. კურნებაა მისი იგი არს, რომელ ტკბილისა და მეავისა ბროწყულისა წყალსა იხმარებ-  
დეს და ბაზრაცუტუნისა ჯულაბი ლუაბითა, და კატკატოჰსა თესლისა წყალი სიქანჯუბინითა და სანდალი, და ვარდის წყალი შუბლსა შემოსცხოს, ქალის დედისა სძე და იისა ზეთი  
30 ცავერთა ჩაიწითოს. და თუ გაცივებული ვარდის წყალი<sup>4)</sup> თვალთა ჩაისხას კარკი არს. და მიწყით ჰამოთა წყლითა იბანებოდეს, და საჰამადსა ვარიამასა მუხაფართა ჰამდეს რომელ ქინძი რთულ იყოს, და მწვანილთა თანა ხავარტი და ძეინელი ჰამოს, და ქირსა ნურას ჰნახავს და დიაცსა, და ღვიწოჰსა და თაფლიანთა, და მლაშეთა ერიდებოდეს, და გრილსა და ნედლსა საჰამადსა ჰამდეს.

30 მუნაჰან იტყვის: რაჲ სტომაქისგან იყოს ადვილ არს. ნიშანი მისი იგი არს, რომელ თვალნი სწორად იყვენ და რაჲ შიოდეს უჯრ ბდეს, ეგრე ხან რომელ ძალიანი გასახს-  
ნელი აილოს და არწყიოსცა და სტომაქი ხილტიგან, რომელ ამის მანკისა გამამწელებელი იყოს, გაწმიდოს. და თუ ესე მანკი ერთსა თვალსა შიგან იყოს და მიწყით ერთფერად იყოს ნიშანი არს რომელ ტენისგან სჭირს და მანკი ძნელი არს.

40 კურნებაა, იგი არს, რომელ შაბიარისა ჰაბი ჰამოს და მიწყით ამითვე ჰაბითა ღარღარაჰსა იქმოდეს ერგების, და მაშინ გარცხილი შადნაჲ თვალთა შემოვლოს, და ნი-  
ლოჯურისა ზეთი და იაჲ ცხვირთა ჩაიწითოს და თუ ნელითა წყლითა ჰბანდეს ერგების და მიწყით ქალის დედისა სძესა და იისა ზეთსა ცხვირთა ჩაიწითებდეს ერგების, და ნეავეთა და მლაშეთა და ფიცხელთა ერიდებოდეს, რომელ გამრთელდეს შეწენითა ღმრთისათა.

1) სწერია „დარაპილფილი“.

2) სწერია „შაბი“.

3) სწერია „ოშიასა“.

4) ეს წინადადება „შუბლსა შემოსცხოს...“ სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



ვითარება მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ყურთა ტკივილი სხვათა ასოთა ტკივილთაგან არს, მით რომელ გრძობაა მისი უფრო არს და ვითარება მისი რაა სიმბურვალისგან იყოს სისხლისა სიფიცხისა და მორყენისაგან არს რომელ ყურთა და ყურისა ძარღვთა შიგან, შეიყარნენ.

ნიშანი მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ყური წითლად იყოს და ფიცხლად ფეოქედეს და თავი ემძიმებოდეს და რაა ხელი დასდევან ხურვიდეს, და ყვრიმალთა ძარღვნი ადგომილ იყვნენ და მოდრეკისა ეამსა შუბლი სტკივოდეს.

კურნება რაა სიმბურვალით იყოს. იოჰანა იტყვის: ყიფალი გაიხნას და ერთი უკიად ვარდის ზეთი ნახევარსა უკიასა ძმარსა თანა აღუღოს, რომელ ძმარი წავიდეს, და მის ზეთისგან ნელად ყურსა ჩაიწითოდეს, და საქამადსა ცოტასა ქამედეს და ლეინოსა ერიდოს, და თუ ხილთა წყლითა მუცელი დაიღობს კარგი არს, და თუ ნილოფარისა ზეთითა ანუ ვარდისა ზეთითა, ანუ იისა ზეთითა ანუ აყროსა თესლსა ჩაწითობითა ჰყურნებდეს დია მარგი არის. და თუ აფიონისა შაფი ჩაიწითოს კარგი არს, და თუ გაძნელდეს, ბანგი დანაყოს და ერბოთა აღუღოს და ჩაიწითოს, და ქალის დედისა სძე შემოწმელოს კარგი არს, და ტირიფის ზეთი ჩაიწითოს კარგი არს.

მუჰამედ ხაქარიაძეს ძე იტყვის: მუცელი დაიღობს ჰალილათა ყვითლითა, ანუ ჰალილაძასა მათბუხითა, და თუ სნეული შეძლებული იყოს ყიფალი გაიხნას და ძალისა მისაფერად სისხლი გაუშვას და უზმა ტყემლისა შარაბი შაქრითა სჭას. და თუ ქალის დედისა სძე და ვარდისა ზეთი წყლითა და ძმრითა<sup>1)</sup> აღუღონ და ჩაიწითოს კარგი არს. და სიმბურვალესა ერიდებოდეს და გრილთა საქამადთა მიელტეოდეს. და თუ ქუნჯითისა ზეთი ქათმის ცმელითა და ბატის ცმელითა გავალოს და ჩაიწითოს ერგების.

როფისი იტყვის: თუ ტკიბილისა ნუშისა ზეთი ძმრითა აღუღოს ეგრე რომელ ძმარი წავიდეს და ლეინოა<sup>2)</sup> დაჩნეს და ტკივილისა დასაწყისსა ჩაიწითოს კარგი არს. და თუ ახლისა აყროსა წყალი, და მისისა ფურცლისა წყალი, ვარდისა ზეთსა გაჰრიოს და საჩივე ერთგან გაადგინოს, და ყურსა ჩაიწითოს კარგი არს, და თანავე დააწყნარებს, და თუ კჭერცხისა თეთრი ცოტასა ბანგისა თესლსა გაჰრიოს და ყურსა ჩადვას კარგი არს.

ყურისა ტკივილი რაა სიგრილისგან იყოს. ვითარება მისი. მასარჯოა იტყვის: ესე მანკი ბალღმისა ვასარეგლისაგან იქნების რომელ ყურსა მოგრიოს, და ანუ ეგეთთა ადგილთა ყოფისაგან რომელ გრილი იყოს და ცივი ქარი ქროდეს, და ანუ ცივსა წყალსა დია ბანებულ იყოს.

ნიშანი რაა სიგრილისგან იყოს: ნიშანი იგი არს, რომელ ყურთა სიმძიმილი იყოს და რაა ხელი შემოსდევან გრილად იყოს, და რაა სიმბურვალე ეცემოდეს ელხინებოდეს, და ეგების რომელ ხმაცა ჩაიჭრეს შიგან.

კურნება მისი. იგი არს რომელ აბანოს იხმარებდეს, და ფეტვი გამხმარი ხორხსა შემოსდევას. და თუ ორი ცქარი ქადისა ზეთი ანუ ორი ცქარი ყატრანაა რომელსა ჰქვიან წერი, ჩაიწითოს კარგი არს. და თუ ტევანაა ხახვისა წყალსა და ქუნჯიდისა ზეთსა თანა აღუღოს და ყურსა ჩაიწითოს კარგი არს. და ყუსტისა ზეთი ანუ სისანბრისა ზეთი ჩაიწითოს ერგების. და თუ დრამისა წონი ხახვისა გული და წახვეარ დრამისა წონი ფარფიონი, ანუ ნახვეარ უკიად ზეთის ხილისა ზეთი, ერთგან გაიდნონ და ყურსა ჩაიწითონ კარგი არს ტკივილსა დააწყნარებს<sup>3)</sup>. ყოყაძასა ჰაბითა მუცელი დაიღობს და ძველსა ლეინოსა წყალგაურეველსა სმიდეს, და სოსანისა ზეთი და ბოლოკისა ზეთი ჩაუწითონ და უზმა აბანოს

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ შემოდან არის ჩამატებული დედნის ზელით.  
<sup>2)</sup> ტექსტში აქ ეს სიტყვა შეცდომითა სწერია, უნდა იყოს „ზეთი“.  
<sup>3)</sup> ამ სტრიქონის გასწვრივ აწიაზე სწერია „ისაკ“.



მივიდეს და ოფლი გამოიცეს, და ძველსა გულან გუბინსა ქამდეს. და მარილი და ფეტვი გამოთფარი თავსა შემოიკრას და იასამნისა ზეთი და ბაბუნაჲსა ზეთი ჩაიწითოს ნეკორ, და მხურვალთა გვარიშნთა ქამდეს, და უდნობთა საჭამადთა ერიდებოდეს, და მურვასა ქამდეს რომელ მხურვალთა სანელბელი რთულ იყოს, და გრილთა ზეთთა ნურას ჩაუწითობ<sup>1)</sup>.

თეებით ყურაჲს ძე იტყვის: რომელსა რატინი ზეიპყრას ვითამცა ქიაყელი და ძმრითა შეაბგოლოს და ცოტაჲ ბატის ცმელი გაპრიოს და ყურსა ჩაიწითოს, თანავე დააწყნარებს ტკივილსა, და თუ კანათისა პატრუჯი შექნას და თაფლითა შეისუაროს, და ყურსა შემოსდვას ხასიათითა ტკივილსა წაუღებს. და თუ ჯანგარაჲ თაფლითა შეზილოს და ძმარი გაურიოს და ჩაიწითოს ერგების. და ყველაისგან უმჯობესი ღრიანკალისა ზეთი არს რომელ ჩაუწითოს, და ანუ პატრუჯი მაგით დასვაროს და ჩაიდვას, ერგების შეწეწენითა ღმრთისაჲთა.

10

**ოღ. შუარისა სიმსივნე სიმხურვალისგან თუ იყოს.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასაჲს ძე იტყვის: ესე მანკი მით იქნების რომელ ბუნებისა ძალმან სქელი სისხლი ყურისაჲცე გასდევნოს და ანუ ფიცხელისა ზაყრისგან იქნების, რომელ შიგან შეყრილი იყოს და გასივებულ იყოს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ შიგნით გასივებულ იყოს და დია სტკიოდეს და ისარივითა ფეთქდეს, და წითელი იყოს და თავი ემძიმებოდეს, და თუ მანკისაჲ დედა იყოს სიმსივნე დიდი იქნების.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასაჲს ძე იტყვის: რაჲ ყური ფეთქდეს და ფერად წითლად იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და სისხლი დია გამოილოს, და ქალის დედისა სძე შიგან მოიწეწლოს. სამ დღემდინ ესე იქნოდეს და თუ სნეული ჰქუასა არ იყოს, ერთი ყვრატო აფიონი ქალის დედისა სძესა შიგან გაადნოს და ნელი ყურსა ჩაუწითოს, და თუ ბაზრაცატუნისა ლუბი ახლისა ქინძისა წყალსა გაპრიოს და ყურთა გარშემო იცხოს კარგი არს, და თუ ესე ტილე შემოსდვას კარგი არს ბაკილაჲსა ფქვილი და ქრთილისა ფქვილი, და ნილოფარისა ფურცელი და ბაბუნაჲ, ვარპარამისა ძირი, ბალბაჲსა ძირი და იაჲ თვითოსა ოდენი ყველა დანაყილი ქინძისა წყლითა შეზილოს, და იისა ზეთი გაურთოს და ყურთა გარეშე იცხოს ერგების. და საჭამადსა ისრიმისა ურწოსა ქამდეს და ნიშოსა, და დილისა კამსა ქრთილისა წყალსა და ჯულაბასა სმიდეს.

ჭუნაჲნ იტყვის: ხელი გაიხსნას ანუ ჰიქაჲ მოჰკიდოს, და მტკელი დაიღბოს ყვითლისა პალილაჲსა წყლითა და იარაჲ ფეყირაჲთა, რომელ მანკისა დედაჲ უჩინარ იქნეს.

30


და ჯამყამ ახლისა აყიროსა წყალსა ყურსა ჩაიწითობდეს და თუ ბასალიკონისა მალჰამაჲ გამოთბარი ჩაიწითოს კარგი არს, და ესე წამალი გამოგვიცდია: ვითარებაჲ მისი: ბაკილაჲსა ფქვილი და ქრთილისა ფქვილი თვითოსაგან სამისა დრამისა წონი ბაბუნაჲ და აქლილალ-მალლიქი თითოსაგან დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი იისა ზეთითა ანუ ქუნჯიდისა ზეთითა ვითა მალჰამაჲ შეიქნას და პატრუჯი ქნას, და მაგით დასეროდეს, და ყურსა ჩაუწებდეს, და თუ მანკი ძნელი იყოს ახლისა აყიროსა ქერქისა წყალი ვარდისა ზეთსა გაპრიოს და ყურსა ჩაიწითოს, და მხურვალთა საჭამადთა ერიდებოდეს. გამრთელდების თუ ღმერთსა უნდეს.

**შუკთა სიმსივნე რომელ სიგრილისგან იყოს.** მესია იტყვის: ესე მანკი ბალბამურისა გასარეველისა სქელისაგან იქნების რომელ ყურსა შიგნით შეყრილ იყოს, და გასივებულ იყოს, და იქნების რომელ სასეველოსა ხილტისგან ქნილ იყოს მაგრა იშვითა ოდესმე იქნების იგი.

40

ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს. რომელ თავი ემძიმებოდეს და ტკივილი ძნელად არ იყოს, და არ ფეთქდეს, და წითელი არ იყოს, და რაჲ მხურვალთა ყურსა შემოსდვან ტკივილი დასწყნარდეს.

1) ამ გვერდის ქვემო აშიაზე რეველთა სათვალავი სწერია „კ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აშიაზე „კა“



სა

კურნებაა მისი რაა სიგრილისგან იყოს: მესია იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს იარაგსა ჰაბითა რომელ თავი და ტენი მანკისა სათაფნოსაგან გაწმდეს, და ცერეცოვსა ზეთი ანუ ნარგისისა ზეთი ყურსა ჩაიწითოს, და ესე შემოსადებელი შემოსდვას გარეთ, ბაბუნაა და ცერეცოა, და აქლილალმალიქი და სოსანისა ძირი, და მარზანგოში და სისანბარი ერთმანერთისა ოდენი, ზღბოა და სელი თვითოსაგან ნახევარი მათ ოდენი, ყველაა დანაყილი მარზანგოშისა წყლითა და სოსანისა ზეთითა შეზილოს და ყურსა შემოსდვას, და თუ ბაბუნაა და აქლილალმალიქი და ცერეცოა და ჰანდაყოყაა, რომელ საბარგი ჰქვიან ვითამცა სამფურცელი, და ჰონდარი და მარზანგოში ყველაა შეაბგოლოს, და აბრეგსა შეყაროს და თავი გაამბგროს, და კალმისა ერთი თავი აბრეგსა შიგან ჩაყოს და მეორე თავი ყურსა შიგან და ცოტასა ხანსა დათმოს რომელ წამალთა ორთქლი ყურსა შეხედეს, რომელ სიმსიენე დაამწივოს და ტკივილი დაუწყნაროს.

როდის იტყვის: ნიშანი დამწიფებისა მანკისა იგი არს, რომელ თხამლი ყურისგან ჩამოვიდეს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ პატრუკი თავულითა დასვაროს და ცოტაა ანზაროთი მოაყარონ და ყურსა ჩასდვან და თუ საბრი და ანზაროთი და ხონი სიოშანი და თეთრი საკმელი წმიდად გაგალონ და პატრუკი თავულითა დასჭარონ და ამა წამალთაგან ზედა მოაყარონ და ყურსა ჩასდვან. კარგი არს. და თუ თავლი ზროხისა ნავდელსა და ძმარსა თანა გაადგინოს და ყურსა ჩაიწითოს კარგი არს.

ისაკ იტყვის: ესე წამალი ყურისა სიმსიენესა რაა სიგრილისგან იყოს დაამწიფებს: ათი უკიაა სპრასაა, ხუთსა ლეღესა თანა ხუთითა ლიტრითა წყლითა შეაბგოლოს, რომელ ლიტრად და ნახევარი დარჩეს, მაშინ ორი უკიაა ნუშისა ზეთი გაურთოს და რააზომცა ზეთი დარჩეს დიაციასა სძესა გაპრიოს და პატრუკი დასვაროს და ყურსა ჩაიდვას.

**ო. ახალი რომელ ყურსა ჩაუხდეს ანუ მაროშელი.** წყლისა ვითარება ყურსა შიგან იოჰანაა იტყვის: წყლისა ჩახდომია ყურთა მისგან იქნების რომელ კაცმან თავი წყალსა ჩაყოს და იღრჭუმოს და შიგან ხანი დაყოს ზვირთანოსა წყალსა ფიცხელსა მდიწარესა.

ნიშანი რაა წყალი ყურსა ჩაუხდეს იგი არს რომელ ყური მძიმედ იყოს და ცოცოტად სტკიოდეს და რაა ქალადი პატრუკად ქნან და ყურსა შეუპყრან და ხანი დათმონ მაშინ გამოიღოს დასოვლებული იყოს.

კურნებაა რაა წყალი ყურსა შევიდეს. იოჰანაა იტყვის: თუ თბილი წყალი შედგომილ იყოს ყურსა, ახალი სძე ჩაუხდან, ყურის ტკივილი დასწყნარდების და თუ ცივი წყალი ჩასრულ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაა აბანოთ გამოვიდეს სტკიოდეს.

კურნებაა მისი. იგი არს, რომელ ყურსა წყალი ჩაიხანს და მაშინვე დაღვაროს რომელ იგიცა გამოვიდეს, და მაშინ ორი ცხარი ერბოთა შიგან ჩაუწითოს რომელ ტკივილი დასწყნარდეს, და თუ წყალი არ გამოვიდეს მონით, ერთითა ფერხითა ახლტეს რომელ გამოვიდეს და ანუ ცოტაა ბანბაა ცერეცოვსა შეშისა შტოვსა ზედა დაახვიოს და ერბოთა დასვაროს და ბანბაა მაკრა ახვიოს, რომელ ყურსა ქარი არ შეუხდეს და ცეცხლი მიუდვას მას ბანბაასა ჩხირსა რომელ ეხვიოს რომელ წყალი ყურით გამოიღოს და თუ ძველისა ქალადლისგან პატრუკი ქნას და ყურსა ჩაიპყრას წყალსა გამოზიდავს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ ცოტაა ცერეცოვსა ზეთი, ანუ სოსანისა ზეთი, ანუ ნუშისა ზეთი ჩაიწითოს, და თუ ყურსა რაამე ჩაპრილ იყოს ბანბაა მილისა წყურსა ახვიოს და წებოთა დასჭაროს და ყურსა ჩაყოს რომელ გამოზიდოს. და თუ წმადითა მარწუხითა მოეკიდოს და გამოიღოს კადგი არს და თუ არა ქერუშტითა ცხვირი დააცემინოს და პირი დაიყოს და თავი მუნითვე იქციოს და ხელი პირსა დასდვას რომელ გამოვიდეს თუ არა თბილი ერბოა ჩაიწითოს და მუნითვე დაწვეს გამოვა და თუ



ამანოს მივიდეს და კარგათ ცხვირთა დააცემოს ერგების. და რააცა ამისთანაა იქმოდეს ჰამოდ და მუდართ იქმოდეს რომელ ყური არ იტყინოს.

ვითარებაჲ მძრომელისა ყურთაგან. მადაინი იტყვის: მისგან იქნების რომელ კაცი მძინარე იყოს ანუ ლიფილად და მძრომელი შეუხდეს, და ეგების რომელ ჭია იყოს და თვით ყურისგან დაბადებული და გამოჩენილ იყოს, დაზღისა სინედლისაგან ქნილ იყოს.

ნიშანი მძრომელისაჲ იგი არს, რომელ ქამ-ქამ იძვროდეს და ქამქამ დასწყნარდეს, და რააცა თვით ყურისაგან ჭიად ქნილ იყოს მიწყით ატყვენებს და ქავის.

10 კურნებაჲ მძრომელისაჲ რაჲ ყურსა შიგან იყოს. მადაინი იტყვის: რაჲ მძრომელი ყურსა შიგან შევიდეს და ვერ გამოვიდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ საბრი წყლითა გაგალოს და ყურსა ჩაიწთოს, ანუ კაპარისა ფურკლისა წყალი, ანუ აფსანთინისა წყალი, ანუ საბრისა წყალი ატმის გურკისა ზეთითა. და თუ ატმისა ფურკელი პიტნაჲსა წყლითა ანუ შაჰმი პანტლისა შეგბრისა წყლითა, ერთგან ადულოს და ყურსა ჩაიწთოს მასვე წამსა მძრომელსა მოჰკლავს, და თუ კაპარისა წყალი ძმარსა გაპრიოს და ყურსა ჩაიწთოს კარგი არს.

დევეჯანის იტყვის: თუ ყურსა შიგან ჭია იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ქაეოდეს და ზუნებასა შეწლიდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ პიტნისა წყალი ჩაიწთოს ანუ ატმის გურკისა ზეთი, ანუ პატარაჲ ტევანაჲ ძველითა ლეინითა გაგალოს და ყურსა ჩაიწთოს და თუ გამობარი ძმარი ყურსა ჩაიწთოს ჭიასა მოჰკლავს და ტკივილსა დააწყნარება.

20 და თუ სიმძიმე ყურსა შიგან დარჩეს ქერუშტითა ცხვირთა დააცემოს, და ნელი ერბოჲ ჩაუხხას, და ცვარი ერთი წერი ჩაიხხას ყური გაიხხების, და თუ სოსანისა და ნუშისა მწარისა ზეთი ტევანაჲსა წყალსა და ძმარსა გაპრიოს და ჩაიწთოს კარგი არს, და ბოლოკისა და დრამინაჲსა წყალი სადაცა ჭია იყოს ჩაიხხას ჭიასა გამოიყვანს, და ტკივილსა დააწყნარებს და ერგების შეწეენითა ღმრთისათა.

ო3. უზრისა წყალური და თხაზლისა და სისხლისა მოსვლა მისგან. ყურისა წყალურისა ნიშანი და ვითარებაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ყურისა სიწყლულე ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების, ანუ სიმსივნისგან რომელ გასქდეს და სიწყლულე დარჩეს, და ანუ ფიცხელისა რაჲსა, რომელ ყურსა შეუყონ და არყონ მისგნით გაწყლულდეს.

30 ნიშანი ყურისა სიწყლულისა. მისი ნიშანი რომელ ფიცხელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი ისარივითა ფეთქდეს, და რაჲ სიმსივნისგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ თხაზლი სდიოდეს და რააცა თვით გაეწყლულოს სისხლი გამოვიდოდეს.

კურნებაჲ ყურისა სიწყლულისაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რაჲ წყალური ძველი იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ სპეტისა მაჰლამაჲ ვარდისა ზეთითა გაადგინონ და შიგან შემოსდენ, და რააცა აღრითგან დაწყლულებულ იყოს საბრი და ანზარეთი, და თერთი საკმელი და ხონისიაომანი და მური თუთოსაგან ორისა ღრამისა წონი, ყველაჲ წმიდად გაგალოს და მაშინ პატრუკი თაფლითა დასეარონ და ამით წამალთაგან ზედა მოაყარონ და ყურსა შემოსდენ. და თუ წყალი შიგნით იყოს ესე წამალი თაფლსა თანა გაადნონ და ყურსა ჩაიწთონ, და თუ თვეჲ ერთსა, თუნდა უფროსა რკინაჲ ძმარსა შიგან ჩაადგოს და მუნით ცოტაჲ ყურსა ჩაიწთოს რომელ სინედლე გაწმიდოს და წყლული გააძთელოს.

40 ჯალინოს იტყვის: თუ სიწყლულისგან სისხლი და თხაზლი გამოვიდოდეს, თაფლისა წყალი ნელტფილი ყურსა ჩაიწთოს და მაშინ ანზარეთი და ხონისიაომანი, და თერთი საკმელი, და საბრი ყველაჲ წმიდად გაგალოს და პატრუკსა შესცხოს, და თაფლითა დასეაროს და ამით წამალთაგან ზედა მოაყაროს და ყურსა ჩაიდვას, კარგი არის ტკივილსა დააწყნარებს. და თუ ყურდემნაჲ და ბავრუკი წმიდად გაგალოს, და ლეღვი უგულოჲ დანაყოს წმიდად, და ესე წამლები მოაყაროს და პატრუკითა ყურსა შემოსდვას კარგი არს.



მესია იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ანზარეთი და ხონი სიომანი და თეთრი საკმელი, და მური და შაფი შამითაა ერთმანერთისა ოდენი, ყველა დაწყალი და გაცრილი თაფლითა შეზილოს და ტილოაა მზურისაგან პატრუკი ქნას. და ამისთანა წამალს ცხობს და ყურსა შემოსდვას კარგი არს, და ეგეთთა საჭამადთა რომელ სისხლსა გააფიც- ხებდეს ერიდებოდეს.

**სისხლისა და თხამლისა მოსვლისა ვითაობაა უსკისაგან.** აბუჯარაბ იტყვის: მით ედინების სისხლი ყურისგან რომელ სცემოდეს რაჲმე, ანუ მაგრად დაცემისაგან, ანუ რაჲმე გაეწყულულოს, და თხამლი ძეგლისა წყლულისგან იქნების რომელ გამოჩნდეს.

ნიშანი სისხლისა და თხამლისა ყურისგან: ნიშანი იგი არს, რომელ 10 თუ სისხლი დია სდითოდეს წყლული დიდი არს, და თუ ცოტაა გამოვიდოდეს წყლული ცო- ტაა იყოს. და რაჲზომიცა თხამლი უფროა მყრალი იყოს წყლული უძველესი და უვა- რესი არს.

კურნება მისი. იგი არს, რომელ სისხლსა უკუაყენებს, მაგრა ბროწყული წყლითა შეაბგოს და მაშინ შემოაჭიროს და წყალი ნისი ყურსა ჩაიწითოს ხასითითა სისხლსა უკუ- აყენებს, და მამითა ქალის დედისა სძითა ქვისა ზედა გაგალოს და ყურსა ჩაიწითოს კარგი არს, და ტკივილსა დააწყნარებს.

იოჰანა იტყვის: თუ სისხლისა დენაა სწყელისგან ბუჭრანისგან იყოს ნუ უკუ- აყენებთ ნუ თუ საზომისგან გარდვიდეს მაშინ შემგბარი გუნდაა და წყალი ასაარაჲსი და წყალი ლისანალჰამალისა რომელიცა იყოს ჩაიწითოს და თხამლი რაჲ დია გამოვიდოდეს 20 და ძველი იყოს ენგარისა მაჰლამისა პატრუკი შეუბჰკრას და თუ პატრუკი თაფლითა დაი- სვაროს და ენგარაჲ მოაყაროს და ყველა თაფლითა დაისვაროს და ანზაროთი ნოაყაროს და ყურსა შემოსდვას და თუ რკინისა ბაყლი ძმრითა გაგალოს და პატრუკი მაგით დაი- სოვლოს კარგი არს ყურსა შემოსდვას.

ფოლოს იტყვის: თხამლის მოსვლისა კურნება იგი არს რომელ ხონი სიომანი საბრი და თეთრი საკმელი და რკინისა ბაყლი და ენგარაჲ ძმრითა გაგალოს და პატრუკი მაგით დასვაროს და ყურსა შემოსდვას და თუ თაფლისა წყალი და ისრინი შემოაჭიროს და წვენი მისი თაფლსა გაჭრიოს და ყურთა ჩაიწითოს კარგი არს. და თუ ანზარეთი დანა- ყილი ქალის დედისა სძესა თანა გაჭრიოს და აღუღოს კარგი არს, პატრუკსა იცხობს და ყურთა შემოსდვას და ერგების შეწყენითა ღმრთისათა.

80 **ოჰ. ხმისა მოსმინა და შივილი და ძარი რომელ უსკითა იყოს.** ვითარება ხმისა მოსმენისა ყურისგან. იოჰანა იტყვის: სწყელისა გარევისაგან იქნების რომელ ყურსა შიგან შეყრილ იყოს და მოერიგნეს, ანუ სქელთა ქართაგან იქნების რომელ ყჭრემალთა შეწყვდიულ იყოს და გზაჲ გამოსავალი ვერ პოვოს.

ნიშანი ხმისა მოსმენისა ყურისაგან. იგი არს, რომელ ყოლაჲ არ დას- წყნარდეს ხმისა ცემისაგან და მიწყით ყური დაყოფილი იყოს და მძიმე, და ნიშანი მისი რომელ ქართაგან იყოს იგი არს, რომელ ზოგჯერ უფროა იყოს ზოგჯერ უმცრო.

კურნება ხმისა მოსმენისა ყურისგან: იოჰანა იტყვის: კურნება ნისი რომელ ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს რო- მელ მანკისა დედაჲ თავისგან ჩამოიღოს და მაშინ ყუსტისა ზეთს ცოტაჲ ძმრითა ერთგან 40 გაადგინოს და ყურსა ჩაიწითოს, და თუ ზოფაი და ჰაბალლარი და ფიჭვის ფურცელი ერთ- გან შეაბგოს და ყურსა ჩაიწითოს კარგი არს. და თუ ამით რომელ ვიქჰით არ იქურნოს სქე- ლისა ხილტისგან ქილი არს, რომელ თავისა ფარდაგსა შიგან მოსრული და მორეენილი იყოს.

კურნება მისი იგი არს, რომელ ორისა დანგისა წონი ბოლოკისა თესლი, და ორი დანგი და ნახეყარი შაჰმი ჰანტალი, და ქათირაჲ და ანზაროთი თვითოჲსაგან დანგი, ჰალილაჲ ქაბულური ორი დანგი, ყველაჲ დანაყილი ჰაბად ქნას და იხმაროს.



თეზით ყურადმძღ იტყვის: ხმაე ყურსა უფრომულად შევარდების სინხურვა-  
ლისგან იქნების, კურნებაჲ მისი ვარდისა ზეთითა და ძმართა არს. და ქალის დედის სძე და  
აყირომასა წყალი და კიტრისა წყალი ყურსა ჩაიწოთა. და თუ მისგნით წნილ იყოს რომელ  
სნებისგან ადგომილ იყოს იგი არს, რომელ გუარიშნი აფსანთინისა წყლითა გარცხოს და  
ვარდისა ზეთი და ძმარი ჩაიწოთა და თუ სწელთა ქართავან წნილ იყოს კურნებაჲ იგი  
არს, რომელ ფარფიონი ინიასა ზეთითა ანუ ხაზდისა გული ტევანისა ზეთითა გაგალოს და  
ნელი ჩაიწოთს.

მესია იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხმელი ზოფაჲ და შამალღარი  
წყლითა შეაბგოს და ყურსა ჩაიწოთს. და ესე შაბი სიყრუესა და ხმისა მოსმენასა და სიმ-  
10 ძიშესა ყურისასა ერგების, ვითარებაჲ მისი: თურბიდი ათისა დრამისა წონი, ჰალილიჲ ქა-  
ზულური ორისა დრამისა წონი და ნახევარი, ყველაჲ დანაყილი შაბად ქნას და სპარებისა  
ქამსა მუთყალი ერთი ქამოს.

ვითარებაჲ ყურისა ქარისაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის:  
ქარები და ბუხარები ყურსა უფრომსი მისგან იქნების, რომელ რაჲ საჭამადი დია ექამოს  
მაშინ დაიძინოს, ანუ შავნი ბუხარნი თაქა ვაუხდეს და ყურთა ვაუხდეს.

ნიშანი ყურთა ქარისაჲ. იგი არს, რომელ ერთფერად არ დაიდგენს ზოგჯერ  
უფრო იყოს ზოგჯერ უმცრო, ზოგჯერ ასტივდეს და მისგან ხმა მოისმოიდეს, მეტად მან-  
კისა ქამსა.


კურნებაჲ ყურისა ქარისაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურ-  
20 ნებაჲ გრილთა ქართა რომელ ყურსა შიგან იყოს იგი არს რომელ ტევანასა წყალი ერ-  
ბოჲთა შეაბგოს და ჩაიწოთა, და ორისა დრამისა წონი აფიონი ვარდისა ზეთითა გაადნოს  
და ნელი ჩაიწოთს, და საჭამადსა ცოტასა ქამდეს, და ზროხისა ხორცსა და კალნაბასა და  
ოსპსა, რომელსა ჰქვიან არაბულად ადსი და სპარსულად ნარსაქი, ერიდოს, და ესე შაფი  
სქელთა ქართა ერგების და სიყრუესა, ვითარებაჲ მისა: შაჰში შანტალი დრამისა წონი,  
ბავრუჯი ბურისა ორისა დანგისა წონი, ხაზდისა გული და ხარავანდი და აფსანთინისა აფ-  
შარაჲ და ზღვისა ყუატი თვითოასგან დრამისა წონი, ფარფიონი დანგი, ყველაჲ დანაყილი  
ზროხისა ნაველითა შეზილოს, და ოსპასა ოღენი ორსა სამსა ცვარსა ზეთსა მწარისა ნუ-  
შისასა გაგალოს და ჩაიწოთს.

შუნაჲ იტყვის: რომელ პიტნაჲ და დრამინაჲ და მარზანგოში წყლითა შეაბგოს  
30 და მაშინ ყური მისსა ბუხარსა მიუბყრას. და ხაზდისა გული და ფარფიონი იასამინისა  
ზეთითა გაგალოს და ჩაიწოთს, კარგი არს.

ისაჲ იტყვის: ყურისა ტყვილი რაჲ სქელია ქარისაგან იყოს ნიშანი მისი იგი  
არს, რომელ ერთფერად არ დაიდგენს ამია წამლისა ბუხარი და ორთქლი დია ერგების.  
ვითარებაჲ მისი, აქლილალმალიქი და ბაბუნაჲ, და ლარისა ფურცელი და პიტნაჲ, და მარ-  
ზანგოში და ქონდარი ყველაჲ ერთგან ადუღონ, და ყური მათსა ორთქლსა მიუბყრას რო-  
მელ შეუხდეს, და ყურსა შიგნით დაიდგენს, მაშინ ბოლოკისა ნელი ზეთი შიგან ჩაიწოთს,  
და თუ ბრინჯასპი და მარზანგოში და სოსნისა ზეთი შეაბგოს ცოტადთა ხაზდისა გულითა  
და ჩაიწოთს. და თუ ხაზვი ზეთის ხილისა ზეთითა ადუღოს და ჩაიწოთა, ერგების.

ო. შუარისა სიმძივი კომელ სიმხუკვალისგან იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვა-  
40 ლისგან იყოს. ბაყრაჲ იტყვის: მით არს, რომელ ზაფრაჲ თავსა გახდომილიყოს და  
ყურიშალთა შეყრილი და მორცენილი, და იქნების რომელ ფიცხელისა სისხლისგანცა იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ სიმშილისა  
ქანსა შეიძრას და სიმძღრესა დასწყენარდეს, და ყურიშალი დია ზურვიდეს. და თუ სიახლის-  
გან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ყურიშალი წითლად იყოს და ძარღუნი ადგომილ  
იყუნენ.



კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. ბაყრატი იტყვის: რაჲცა დედის შობილგან იყოს მას არა ეკურნების, და რაჲცა ზაფრისგან რაჲს იგი არს, რომელ მუცელი დაუღბოს ტყემლისა შარაბითა, და თუ მტველი ლბრლად იყოს ვაშლისა და ბროწეულისა შარაბი სუას. და ტუტაჲსა შარაბი და ვარდის წყალი, და ქაფური და სანდალი ტვინისა გასაძლიერებლად თაყსა შემოსდევას, და სიმხურვალეთა და თაფლიანთა ერიდებოდეს და მკავეთა ქანდეს და უზმამან სიქანაუბინითა ღარღარაჲ ქნას.

როფის იტყვის. თუ ზაფრისგან იყოს ყვითლისა ქალილასა მათბუხითა მუცელი დაიღბოს, ანუ ჰინდიურისა თამრისა წყლითა და თაყსა გრილითა ასფარამითა ნეტული უყოს. და აბანოჲსა იხმარებდეს, და ბროწეული მრთელი ქერქითა და გულითა დანაყოს და წყალი მისი ყურთა ჩაიწოთს. და გრილთა და ნელლთა იხმარებდეს, და რაჲცა ზაფრიანი იყოს მისგან ერიდებოდეს.

ისაკ იტყვის: რაჲცა ზაფრისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ იარაჲსა აბი ქამოს ანუ ყოყაჲსა ჰაბი, და წამალი რომელ ზაფრასა თაყისგან ჩამოიღებდეს იხნაროს. და გრილთა და ნელლთა საქანადთა ქმდეს, და ზაფრიანსა ერიდოს. და კურნებაჲ მისი რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ ჭიქაჲ მოჰკიდოს, და მკავესა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი სუას და ცოტაჲ ვარდისა ზეთი ძმარსა გაპრიოს და ყურსა ჩაიწოთს. და თუ ესე მანკი თავქედისგან ქნილ იყო, იისა ზეთი და ასფარამთა წყალი იხნაროს, და ბატკნისა ტვინი შაქრითა ქამოს. და თუ თავის ტვიელსა უკანით გაშოჩენილ იყოს, ბოლოკი ვარდის ზეთსა გაპრიოს და ყურსა ჩაიწოთს, და დიაცსა ერიდოს და ძნელსა და საჭიროჲსა საქმესა ნუ იქს, რომელ გამრთელდეს.

ო. შურინა სიმშირი რაჲ სიმგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: გრილისა გასარეელისაგან იქნების, რომელ უნდილი იყოს და ყვრიმალთა შეყრილ იყოს, ანუ თხამლისგან იქნების რომელ ყურისა ძირსა გამაგრებულ იყოს, ანუ სქელთა ბუხარათგან.

ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ ყვრიმალი ცივად იყოს და მიძიმედ და სიმძიდრისა ემასა და სიმშილისა დასწყნარდებოდეს. და ნიშანი მისი რომელ ბუხარისგან იყოს იგი არს, რომელ ერთფერად არ იყოს ზოგჯერ სჯობდეს ზოგჯერ უვარე იყოს.

კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე მანკი რაჲ სიგრილისგან იყოს და ძველი იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბავრუკი წმიდად გაგალოს და ძმრითა და თაფლითა ადუღოს და მრავალჯერ ჩაიწოთს. და თუ ლელი და სპანძელი ერთგან დანაყოს და შათად ქნას და ყურსა შესდევას კარგი არს. მაშა თუ ამით რომელ გვითქვამს არ გაიხსნას ყოყაჲსა ანუ იარაჲსა ჰაბი ქამოს, რომელ მანკისა დედაჲ თავისგან ჩამოიღოს. და თუ იარაჲ ფეყირათა ღარღარაჲ ქნას კარგი არს. და თუ ხაზდისა გული ცერეკოჲსა ზეთითა გაიდნოს და ყურსა ჩაიწოთს კარგი არს. და თუ ტევანასა წყალი და თაფლი და თხისა ნაველი და ქალბანაჲ ერთგან გაპრიოს და ყურსა ჩაიწოთს, კარგი არს.

ჰუნაჲნი იტყვის: რაჲ გასარეველი ბალღამური იყოს, რომელ ყურთა შეხდომილ იყოს კურნებაჲ მისი ძნელი არს, მაგრა ხაჰს რომელ როფისისაჲ იარაჲთა მუცელი დაიღბოს და მიწყით სიქანაუბინითა ღარღარაჲსა იქოდეს, და იასაჰინისა ზეთი და ხაზდისა გული ტევანასა წყალსა გაპრიოს და ყურსა ჩაიწოთს კარგი არს და უზმამა აბანოსა მივიდოდეს და საქამადსა ცოტასა ქანდეს და გრილთა საქამადთა ერიდებოდეს.

ჯალინოს იტყვის: რაჲ მანკი ანელად იყოს შავი ხარბაყი თხილისა ოდენი თაფლითა გაგალოს და ყურსა შემოსდევას, და მიუშვას რომელ იგი ხილტი შექამოს რომელ სმენასა აცილობს, და ყური გაუწმიდოს. და თუ სქელთა ბუხარათგან იყოს კურნებაჲ იგი არს რომელ ბავრუკი ძმრითა გაგალოს და ყურსა ჩაიწოთს, და ხანსა ერთსა მიუშვას და მაშინ გამოყაროს რომელ შეკრულობაჲ გახსნას და სმენასა გზაჲ უყოს.



ვითარებაა ცხვირთა წყლულისაა. არხიჯანის იტყვის: ვითა ხმელი სიწყულულე ცხვირთაა მითიქნების, რომელ გასარეველი სქელი დაიწვია. და ნედლი წყლული დამპლისა სინედლისაგან იქნების, ანუ სიმსივნისა და გაბერილობისაგან.

ნიშანი ცხვირთა წყლულისაა. ხმელად წყლულისა ნიშანი იგი არს, რომელ ქავისა ჟამსა წჭრილი ნღიერი ჩამოვიდოდეს და ნედლისა წყლულისა ნიშანი იგი არს, რომელ მანკისა ადგილი მიწყით ნედლი იყოს, და რაჲ იუხანოს ეწეოდეს.

კურნებაა ცხვირთა წყლულისაა. არხიჯანის იტყვის: კურნებაა ხმელისა წყლულისა იგი არს, რომელ უპესა მიწყით იისა ზეთითა ცხებითა არ [ბილგბდეს] <sup>2)</sup>.

10 თუ არ იჯობინოს თეთრი მალჰამა შემოადვას, და თუ დაძინებისა ჟამსა მამრულანითა, ბატის ცმელითა ზელდეს და იცხებდეს უპესა, დილას ადრე თბილითა წყლითა იბანდეს. და თუ ძველი წყლული ცხვირისა ძნელი იყოს უწყაასა ჰაბი ქაშოა, რომელ თავი და ტვინი მანკისა დედისგან გაწმდეს, და მაშინ ფიცხელი წამალი ანუ ქანგარისა მალჰამა დასდვას.

დევეჯანის იტყვის: კურნებაა ხმელისა წყლულისა იგი არს, რომელ თეთრი ცვილი ორისა დრამისა წონი, და ზროხისა წვივისა ტვინი დრამისა წონი, იისა ზეთსა გაპრიოს და ცოტაა ქათირაა და ცოტაა ბაზრახატუნაა გაპრიოს, და მალჰამად შექნას და პატრუქსა ცხოს და ცხვირსა შემოსდვას, ერგების დია.

20 ისაკ იტყვის: კურნებაა ხმელისა წყლულისა იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ კისერსა ქიქა მოჰკიდოს და მანკისა ადგილსა ვარდისა ზეთითა ანუ ტირიფისა ზეთითა აღბობდნენ, და ესე მალჰამაა დია ერგების ვითარებაა მისი: თეთრი ცვილი ვარდისა ზეთითა გაადნოს და სპეტი ტყუისა და მურდასანგი დანაყილი და გაცრილი შურთოს, და ცეცხლსა შექმოსდვას, და მუნამდე გავალოს რომელ გასქელდეს, და მიწყით ცხვირსა შემოსდვას, და კისერსა ქიქა მოჰკიდეს და თუ მანკი ძნელი იყოს იარაასა ჰაბი ქაშოს, რომელ მანკი დააკლდეს, და ესე წამალი იხპაროს რომელ ვთქვით, და თუ სპეტი და მურდასანგი ვარდის ზეთითა შეზილოს, და პატრუქსა შესცხოს და ცხვირსა შემოსდვას, და მაშინ ცხვირი ძმრითა დაიბახოს.

30 ცხვირთა გაბერილობისა ვითარებაა. მადანი იტყვის: გაბერილობაა ცხვირსა რაჲ გამოწნდეს უფროასი სისხლისა შორევისაგან იქნების, და სისქითა და სიმზურვალითა ნისითა იქნების, და ეგების რომელ გრილისა გასარეველისაგან იქნების, და ესე იშვითა ოდესნე იქნების.

ნიშანი ცხვირისა გაბერილობისაა. იგი არს, რომელ წითელი სიმსივნე იყოს ცხვირთა შიგან და რაჲ ხელი შემოსდენ მზურვალი იყოს, და დია სტკივოდეს. და ნიშანი მისი რომელ სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ არ დია სტკივოდეს.

კურნებაა ცხვირთა გაბერილობისაა. მადანი იტყვის: ცხვირთა გაბერილობასა არაბულად ბათორი ჰქვიან კურნებაა მისი იგი არს, რომელ სუდი სურნელითა ღვინითა შეაგზოს და პატრუქი მაგით დაასოვლოს და ცხვირსა შემოსდვას. და თუ ნარილი ძმარსა შიგან გავალოს, და პატრუქი მაგით დაასოვლოს და ცხვირთა შესდვას კარგი არს.

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწორია „ა“ და შემდეგ გვერდის ქვემო აშიაზე „ბ“.

<sup>2)</sup> აქ სიტყვა არ ბოლავდება, ცარიელი ადგილია დატოვებული.



ჯალინოს იტყვის: რაა გაბერილობაა სისხლისგან იყოს კურნებაჲ... მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ ქიქაა მოჰკიდოს. და ცოტაა ვარდისა ზეთი მშვემბაჰიროსა წყალსა გაჰრიოს და ცხვირთა იწითოს, ანუ ნილოფარისა ზეთი ვარდის წყალსა გაჰრიოს და ჩაიწითოს, ერგების. და თუ სანდალი ვარდის წყლითა გაგალოს და ცხვირთა იწითოს კარგი არს. და ტყემლისა წყალსა იისა შარაბითა იხმარებდეს. ანუ ბროწეულისა წყალი ნილოფარისა შარაბითა, და საქამადად ზირაბაჯსა ქამდეს ანუ ურწყოსა ბროწეულისა წყენსა.

მესია იტყვის: კურნებაჲ გაბერილობისაჲ რაა სიმხურვალით იყოს იგი არს, რომელ სანდალი და მამითაჲა შაფი, და მაქური ჰუტუტი ვარდის წყლითა და კატკატოჲსა წყლითა გაგალონ და შუბლსა და ცხვირსა შეაცხონ. და საქამადასა ქრთილისა ხალსა შექ-  
 10 რითა ქამდეს, და ვაშლსა და ბროწეულსა და ტყემალსა. და თუ სიგრილისგან იყოს ჯალინოსისა იარაჲთა მუცელი დაიღბოს, და ყუსტისა ზეთი და მწარისა ნუშისა ზეთი ჩაიწითოს, და მხურვალთა ტიმაღთა შემოსდებდეს რომელ გაბერილობაჲ გაადნოს, და მკავეთა ერიდოს, და კალიასა ქამდეს მხურვალთა სანელეღბლითა შექნილსა. და აბანოსა ღია მივიღოდეს და თბილსა წყალსა შუბლსა ისხმიდეს. და იასამინისა ზეთი ცხვირსა ჩაიწითოს, და მძიმეთა და უღნობთა საქამადათა ერიდებოდეს ღია ერგების.

3. არ უნოსებაჲ ცხვირთაჲ სიმხურვალითა რაა იყოს. ვითარებაჲ მისი რაა სიმხურვალით იყოს, ბაყრატი იტყვის: ესე მანკი მამაშისა ძტალისა შეკრულობისაგან იქნების და იგი შუბლსა ქვეშეთ არს, და ვითარებაჲ მისი სქელისა სისხლისაგან რომელ მანდა შეყრილ იყოს და ანუ ხორცისაგან რომელ ცხვირსა შიგან გაზრდილ იყოს.

20 ნიშანი მისი რაა სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ არას იყონებდეს და მიწყით შუბლი უხურვიდეს, და რაა გრილი შემოსდევან ელხინოს, და შუბლი წითლად ეღვას.

კურნებაჲ რაა სიმხურვალით იყოს. ბაყრატი იტყვის: იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს პიტნაჲსა და იისა შარაბითა, და ხავარტისა თესლი და ხაშხაშისა ქერქი ყველაჲ წყლითა შეაგბოლოს და თავსა შემოჰკრას. და თუ ქვაჲ ცეცხლითა ახურვოს და ძმარსა შიგან ჩააგდოს და პირი მისსა ორთქლსა მიუჰყრას შეკრულობასა გახსნის და მხურვალთა ერიდოს და გრილთა და ნედლთა მიელტვოდეს. და აყროჲსა წყალი ცხვირთა ჩაიწითოს და ძმრითა ღარღარაჲ ქნას. და ქერუშტითა და ხაზდის 1) გულითა ცხვირთა დააცემიოს, და ძმარი აღდლოს და შუშუტი ძმარსა შიგან ერთი  
 30 პირი ჩაყოს და მგორე თავი ცხვირთა, რომელ ორთქლი შეუხდეს და შეკრულობაჲ გახსნას.

აბუჯარიტი იტყვის: თუ ხორცმეტისგან იყოს რომელ ცხვირთა შიგან გაზრდილ იყოს თუ მაგარი იყოს, კურნებაჲ მისი ვითა კირჩხიბისა კურნებაჲ არს, მით რომელ ეცეკა კირჩხიბთაგან არს ერთი ფერი. და თუ ხორცი მხურვალთა იყოს ყიფალი გაიხსნას ანუ ქიქაა მოჰკიდეს, და იარაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და პატრუჯი და ეანგარისა მალჰამაჲ შემოსდვას რომელ იგი ხორც მეთი შექამოს. და თუ სპილენძისა თობალი და თეთრი არჯასპი და გოროხი თვითთოსაგან სამისა დრამისა წონი, წითელი ამარტაჲ ვითამკა ზარნიხი დრაჰქინისა წონი, შავი ხარბაყი დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი ღვინითა შეზილოს და ტილოსა მწეარისაგან პატრუჯი შეგრიბოს და ამა წამლისა თანა შესცხოს, და ცხვირთა  
 40 შემოსდვას და იცხოს. და თუ შავი და თეთრი არჯასპი თვითთოსაგან დრამისა წონი, იამანური შაბი და გუნდაჲ, და სპილენძისა თობალი და მრგვალი ზარაჲვანდი თვითთოსაგან დრამისა წონი და ნახევარი, თეთრი საკმელი ნახევარისა დრამისა წონი, ძმარი ხუთი უკიაჲ, ყველაჲ ერთგან ვაჰიოს და რაა თაფლიფითა შეიქნას მამაშინ პატრუქსა ზედა სცხოს და ცხვირსა შემოსდვას, ერგების ღმრთისა შეწეენითა.

1) ამ სიტყვას ნიშანი უზისა და სტრიქონ ხეშოდან დედნის ხელით აწერია „თახვის ჯგერია“.



არ ყნოსებაა რაჲ სიგრილისგან იყოს. ვითარებაჲ მისი. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე ნანკი რაჲცა დედის შობითგან იყოს არ ეკურნებინება ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ სქელი ბუხარი გლუსუნი რომელ შებლისა ძარღვსა შიგან არს მას შეჰკრავს.

ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს, იგი არს რომელ ცხვირი ხმელად იყოს და ცხვირთა უბნობდეს, და რაჲ სნეული იყოს მანკი ვაუძნელდებოდეს. და თუ ცოტასა უბნობდეს მანკი უმცროასი იყოს, და ეგების რომელ ტვინისაგან ქნილ იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის. იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გვარიშნსა და გვილანგვიზინსა თეთრითა საკ-  
10 მელითა ჰამდეს, რომელ გრილი გასარეველი თავისა და ტვინისაგან გაწმიდოს. და სინედ-  
ლუ გაიხსნას, და პირი ღვინისა ორთქლსა მიუჰყრას და სიქანგუბინითა და სპანძელისა თეს-  
ლითა ღარღარაჲ ქნას. და პიტნაჲ და მარზანგოში და ქონდარი უსუნოს ერგების. და თუ  
ესე ასფარამი ყველაჲ წყლითა შეაგბოს და თავსა შემოჰყრას კარგი არს. და თუ მანკი ძნე-  
ლად იყოს ყოყიასა ჰაბი ჰამოს, რომელ თავი გაწმიდოს მანკისა დედისგან. და საჰამადსა  
მუხუდის წვეწსა ჰამდეს.

მასარჯოჲა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სონიჯი და მუშვი, და  
ფარფონი და ქერუშტი, და აყირაჲჲჲ რომელ არს ტარაუნისა ძირი, დანაყილი ყველაჲ  
ერთგან ცხვირთა შემოჰბეროს, და ფეყირაჲსა იარაჲთაჲ და თაფლისა წყლითა ღარღარასა  
იქმოდეს, და ერგების, და თუ მანკი ძლიერად იყოს ორი მუთყალი იარაჲ ფეყირაჲ ჰამოს  
20 და უკანის სიქანგუბინსა იხმარებდეს ერგების და მარზანგოშისა წყალი ცხვირთა ჩაიწითოს  
და დანაყილი სონიჯი აქლემისა ფსელსა გაჰრიოს და ცხვირთა ჩაუწითოს, შეკრულობასა  
გახსნის. და თუ სქელთა ბუხართაგან ქნილ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაჲ ცხვი-  
რი წოიხოცოს სული მისგან ძლიერ გამოვიდოდეს, და მიწყით ერთი ხერელი ცხვირისა  
დაყოფილ იყოს.

კურნებაჲ მისი. იგი არს რომელ ყოყიასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და პირი  
შემებრისა ბაბუნაჯისა წყალსა მიუჰყრას, და დრანინაჲ აქლილალმალტი და მარზანგოში  
და რაჲცა ამით ჰგვანდეს მიუჰყრას რომელ ჰავი და მავნი ბუხარი გააქარვოს და ქერუშ-  
ტითა ცხვირი დააცემიოს რომელ ერგოს.

პა. ცხვირთა სიმყრალე და ნასოკი შიგან რომელ იყოს. ვითარებაჲ ცხვირთა სიმ-  
30 ყრალისაჲ. ფოლოს იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ იგი არს, რომელ ძტალევი რო-  
მელთა ჰქეიან მაშაში აყროლებულ იყოს, ანუ მყრალისა გასარეველისაგან იქნების, და ფიც-  
ხელისა სინედლისგანცა იქნების, და ესე ხალტნი ტვინსა შიგან არიან და მუნით გამოზ-  
ნდების.

ნიშანი ცხვირთა სიმყრალისაჲ რაჲცა მაშაშისა ძტალისგან იქ-  
ნების. იგი არს, რომელ მიწყით ცხვირი ჰყროდეს და უფროჲ და უმცროჲ არ იქნებოდეს  
და ნიშანი მისი რაჲცა გასარეველისაგან და სინედლისა ფიცხელისაგან იყო იგი არს, რო-  
მელ უფრო და უმცროცა იყოს.

კურნებაჲ ცხვირთა სიმყრალისაჲ. ფოლოს იტყვის: იგი არს, რომელ  
ფაჩარი და ძმარი და ყარანფული თვითოჲსაგან უკიაჲ ერთი ყველაჲ სურნელსა ღვინოსა  
40 შიგან შეაგბოლოს და ცხვირთა შემოვლოს, და თუ პატრუკი ამით დაასოვლოს და ცხვირთა  
შემოსდეს ერგების. და თუ პატრუკი თაფლითა დასუაროს და ცოტასა ხანსა ცხვირთა  
შიგან მიუშვას და მაშინ ცხვირთა დააცემიოს, და ცხვირი მოიხოცოს და გაჰბეროს, იგი  
ხმელი წყლული ცხვირთაგან ჩამოვარდების და მაშინ თეთრითა მალჰამითა ჰკურნოს, რო-  
მელ გამრთელდეს.

იოჰანა იტყვის: ცხვირისა სიმყრალე დამპლისა სინედლისგან იქნების რომელ  
ცხვირთა ჩამოვიდეს და ცხვირი ამყრალოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სიქანგუბინითა



ღარღარაჲ ქნას მეტად რაჲ სიქანგუბინი სურნელითა სანელებლითა შექნელ იყოს, ვითა ფაჩარი და ნყარაფული, და სუდი და სიქი და მსგზავსი ამათი, და თუ პიტნაჲ ძმრითა შეაგებს ბოს და მაგით ღარღარაჲ ქნას ერგების.

მასაჲს ძე იტყვის: რომელ საბრი და იარაჲსა ჰაბი ჰამოს და მაშინ სიქანგუბინი თესლითა შექნელი, და იარაჲ ფეყირაჲთა ღარღარაჲ ქნას. და მური პიტნისა წყალსა შიგან გაადნოს და ცხვირთა ჩაიწოთს. და თუ ჰამამაჲ და ხმელი ვარდი თვითოსა ოდენი დანაყილი და გაცრილი ბანისა ზეთითა შეზილოს, და დამინებისა ჟამსა ცხვირსა შესცხოს და მაშინ აქლემისა ფსელი ცხვირთა ჩაიწოთს რომელ სიმყრალე გარდაილოს. და თუ ფაჩარი და ყარანფული და პიტნაჲ დანაყილი, შემგბარსა ღვინოსა გაჰრიოს და ცხვირთა შეუ-  
 10 შვას კარგი არს. და თუ დანგი ერთი გაგლილი პიტნაჲ ცხვირთა შეჰბეროს ერგების. და თუ პიტნაჲსა წყალი ჩაიწოთს ერგების. და თუ სუდი და მური დანაყილი ცხვირთა შეჰბეროს ერგების დია.

**ვითარებაჲ ბევსიკრისა და ნასორისა ცხვირთა შიგან იძნების.** აბუჯარიჲ იტყვის: ნასორი ცხვირისა გაცვეთილისა ხორციესგან იქნების, რომელ გაიზარდოს, და სულთა კტეთად არ მიუშვებდეს კაცსა, და ბევსიკრი სქელისა მანკისა გასარეველისაგან იქნების, რომელ მუნ მორგენილ იყოს.

ნიშანი ნასორისა და ბევსიკრისა რომელ ცხვირთა შიგან იყოს. ნასორისა ნიშანი იგი არს, რომელ სული ძლივ გამოეტეოდეს, და იქნების რომელ ცხვირი მსხვილი იყოს. და ბევსიკრისა ნიშანი იგი არს, რომელ სუსთი ხორცი შიგან მოზრდილი-  
 20 ყოს, და ცხვირი წითელი და მსხვილი იყოს.

კურნებაჲ ნასორისა და ბევსიკრისაჲ: აბუჯარიჲ იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ პატრუკი ჟანგარისა მალამითა დასეაროს და ცხვირთა შემოსდვას, რომელ იგი დამბალი ხორცი შეჰკამოს, და მაშინ თეთრითა მალამითა ჰკურნოს. და თუ მწვანე ოშნანი დანაყოს და მისითა წყლითა პატრუკი დასეაროს და ცხვირთა შემოსდვას კარგი არს. და თუ ორისა დრამისა წონი არჯასპი და ნახევარ დრამისა წონი ჟანგარაჲ ორივე მწჳარისა ოშნანისა წყლითა კარგად გაგალოს და პატრუკსა შესცხოს და ცხვირსა შემოსდვას კარგი არს.

მესია იტყვის: ბევსიკრისა კურნებაჲ რომელ ცხვირსა შიგან იყოს იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას, ანუ ყელსა ჰიქაჲ მოკიდოს და მუცელი დაიღბოს იარაჲ ფეყირაჲ-  
 30 თა, რომელ მანკისა დედაჲ დააკლდეს. და ჟანგარისა მალჰამაჲ პატრუკსა სცხოს და ცხვირთა შემოსდვას რომელ ხორც მეტი შეჰკამოს. მაშა თუ ამით რომელ გვეთქვავს არ გამრთელდეს, იგი ხორც მეტი ისაჲთა მოჰკვეთოს, და ისაჲ სადასტაქროჲსა ჰურქელსა ჰქვიან, და მაშინ ღვინოჲ ჩაასხას და თეთრითა მალამითა ჰკურნოს.

მასაჲს ძე იტყვის: კურნებაჲ ცხვირისა ბევსიკრისა იგი არს, რომელ სპილენძისა თობალი შემგბრითა ღვინითა გაგალონ და ცხვირსა შესცხონ, რომელ მანკი დაამცროს და გაწმდოს და თუ იგი ხორცი, რომელ ცხვირთა შიგან იყოს მაგარი იყოს, მას სარატანი ჰქვიან ვითამცა კირჩხიბი.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ პირამდინ და ნიკაუამდინ ჩამოვიდოდეს და ცხვირი მაგარი და ხმელი იყოს. ამას მანკსა მოდარით უნდა კურნებაჲ, რომელ ჰაყი და ლალა-  
 40 ტი არა იქნას, მით რომელ იგი დია საფათერაკოჲ არს. და რაჲ მანკი ძნელი იყოს კურნებაჲ არ ეგების.

**პ. ცხვირთაგან სისხლისა დენაჲ რომელ არაბულად რუაფი ჰქვიან.** ვითარებაჲ მისი რაჲ სისხლისა სიფიცხისაგან იყოს.

მუჰამედ ზაქარიჲს ძე იტყვის: სისხლისა დენაჲ ცხვირთაგან სამფერად არს ერთი ბურანისაგან, მეორე სისხლისა სიფიცხისაგან, მესამე სისხლისა სიმრავლისაგან და სიფიცხისაგანცა და ზაფრისა მორგენისგანცა არს რომელ გაახურვოს.



ნიშანი რაჲ სისხლისა სიფიცხისგან იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლისა დენაჲ ფიცხელთა ცბროთა უკანით იყოს, და სხვათაჲ სწავთათაგან რომელ სისხლისგან იყოს. ნიშანი მისი რაჲცა სისხლისა სიფიცხისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლი ცოტაჲ ჩაჲვოდოდეს, და ესე კარგი ნიშანი არს.

კურნებაჲ მისი რაჲ სისხლისა სიფიცხისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: რაჲცა სისხლისა სიფიცხისგან იყოს იგი არს, რომელ დიაცივისა წყალსა სმიდეს და მაწონსა თოვლითა ჭამდეს, და ქაფური ბადარუქისა წყლითა გაგალოს და ცხვართა ჩაიწოოს, ანუ გუნდაჲ და მტვერი წისქვილისაჲ, და თეთრი საცმეველი და საბრძო, და ხონისთაოშანი და თეთრი არჯასპი, ამათ ყოველთაგან რაჲცა იყოს გაგალოს და ცხვართა შეჰბეროს. და თუ პატრუკი კვერცხისა თეთრითა დაასოვლოს და ამათ წამალთაგან შეჰმოაყაროს და ცხვართა შესდვას კარგუ არს. და ქრთილისა წყალი სტყას და ბაზრაცატუნისა ლუაბი, და ათისა დრამისა წონი ნეჯლისა ქინძისა წყალი სუეს ერგების. და ციესა წყალსა ჩაჯდებოდეს. და ესე მანკი უფროსი წითლისაგან წიკეიდების და ესე თადმირი ერგების.

იოჰანაჲ იტყვის: თოვლისა წყალი და ქაფური, და მწარისა კიტრის წყალი და ბადარუქისა წყალი, და დაბეჭდული მიწაჲ, რომელსაც ჰქვიან სპარსულად გილიმპოზრ და არაბულად ტინიშჰუჰ, და ასაარაჲსა წყალი თარგმანი მისი მეცხოვრისა კეჲროთხი, და სომხური მიწაჲ ცხვართა ჩაიწოოს <sup>1)</sup>. და ესე კურნებაჲ მაშინ უნდა რომელ სნეული დაბნედილ იყოს და ქვევისა არ იყოს, და რაჲ სნეულსა ქვევანი ჰქონდენ ესე კურნებაჲ არ უნდა. და თუ ესე მანკი ძარღვთა გახსნისგან იყოს კურნებაჲ ცუდიჲ მისთვის <sup>2)</sup>. და თუ ტილოსა მწჰარი მელნითა და დანაყილითა არჯასპითა, და გუნდითა და ძმრითა, და თეთრი არჯასპი და ცოტაჲ ქაფური მოაყაროს. ამით ყველაჲთა დასწაროს და პატრუქად ქნას და ცხვირსა შემოსდვას, სისხლსა უკუეყენებს. და თუ ცოტაჲ წისქვილის ქვაჲ ცეცხლითა გაახურვოს და ზედა ძმარი დაასხას და პირი მისსა ორთქლსა მიუბყრას, კარგი არს. და თუ მწორე ვირისაჲ და მიწაჲ დაბეჭდული, და თეთრი არჯასპი გაგლილი ცოტაჲ ცხვართა შეჰბეროს კარგი არს. და თუ ძმარი წყალსა გაჰრიოს და ცხვართა ამოწილოს კარგი არს. და საჭამადთა გრილთა ჭამდეს. და სისხლი რაჲ ზურანისაგან იყოს უკუეყენებაჲ მისი არა ხამს, ნუ თუ საზომისგან გარდვიდეს, მაშინ მუცელსა ჰქვიან მოჰკიდოს მას კერძსა რომელ სისხლი სდიოდეს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სისხლისა სიმრავლისგან იყოს. მაგრა რაჲცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს უფროსი ღვინისა სძისგან იქნების, მაშინ ხელსა გახნა უნა და ჰიქაჲსა მოკიდება არა ხამსა რაჲ ესე გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ სისხლისა სიმრავლისგან იყოს. იგი არს რომელ თავის ტკივილისა უკანით გამოჩნდეს, და თავი და პირი და თვალნი წითლად იყვენენ, და სისხლი ძლიერად გამოვიდეს და თავისა და პირისა ძარღვნი ადგომილ იყვენენ.

კურნებაჲ მისი რაჲ სისხლისა სიმრავლისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ესეთი მანკა უფროსჯერ მისგნით იქნების, რომელ შარიანთა ძარღვთაგან ერთი გაასნილ იყოს ტკინსა ქვეშეჲ, და სისხლი მისგან სდიოდეს. და კურნებაჲ მისი ძნელი არს, და უფროსი იგი არს რომელ არ გამრთულდების, მით რომელ ფარდაგთა უკანით გამოჩნდების და კურნებასა არ შეიწყნარებს, მეტად მაშინ რაჲ მანკისა სათავნოჲ ძლიერად იყოს. მაგრამ კურნებაჲ იგი არს, რომელ თოვლისა წყალი და მყინვარისა წყალი ცხვართა ჩაიწოოს <sup>3)</sup> და ესე კურნებაჲ მაშინ უნდა რომელ...

<sup>1)</sup> აქ ტექსტში ნიშანი უხის და აშიაზე სწერია „ქვევისა ნიშანსა ქვეშე ბრძანე“.  
<sup>2)</sup> აქ „ქვემო“ ნიშანი ზის.  
<sup>3)</sup> აქ ტექსტში ნიშანი უხის და სწერია „უკანის ფურცელზედა სწერია იგი ბრძანეთ“.





ფოლის იტყვის: რომელ თოვლისა წყალი ცხვირთა ჩაუსხას და კურნებანითა გაუტუნოს და მკლავნი და მუხლნი მაგრად შეუტრას, და ცივი წყალი თავსა-ისხას, და გაიძმრითა გაადგინოს და მუხლსა უცხოს, და რაჲ სისხლი ძლიერად მოვიდოდეს წამალი ცხვირთა შიგან არ დარჩების ყიფალი გაიხსნას, და ორი სამი კიქაჲ ყელსა მოჰკიდოს კისრითჲ, მას კერძა რომელ სისხლი სდიოდეს და კარგად მოწოვოს. და კიქის მოკიდებას იგი სჯობს რომელ ბანბასა ცეცხლი მოჰკიდოს კიქისა შიგან და ყელსა შემოსდეს, როჲელ ცეცხლისა მუხარბან კისერი გაუმავროს, და შემოაჰიროს და სისხლი უკუაყენოს. და მეავე მაწონი თაფლითა ჭამოს ერგების, და ცივისა წყალსა ჩაჯდეს კარგი არს, და საჭამადად ოსპი და ისრიმი და თუთუბაჲ და რაჲცა სისხლსა გაავრილებდეს ერგების. და მწარისა

10 კიტრისა წყალი ძმარსა ვაპროს და ცხვირსა ჩაიწოთოს, და სიმხურვალესა ერიდოს.

**33. სურდოჲ რომელსა ჰქვიან ზუშაჲნი და ნაზლაჲ.** სიმხურვალით თუ იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალით იყოს.

მადანი იტყვის: სურდოჲ სიმხურვალისა მანკისაგან იქნების, რომელ თავი მხურვალედ იყოს და პირი წითლად, და ოფლი მუხლსა სდიოდეს და ნიშანი მისი რაჲცა მზისა სიციხისაგან იყოს: იგი არს, რომელ ცხვირი ქაოდეს და ეწწოდეს.

კურნებაჲ სურდოჲსა რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მადანი იტყვის: რაჲცა წყალი ტვირთათ ცხვირთათ ჩამოვიდოდეს მას ზუქში ჰქვიან, და რაჲცა პირისაჲ ჩამოვიდოდეს და შეკრდსა ჩავიდოდეს მას ნაზლაჲ ჰქვიან. მაგრა კურნებაჲ ზუქუმისაჲ რაჲ სიმხურვალისა მანკისგან იყოს იგი არს, რომელ მეოთხესა დღესა უკანით რაჲ

20 შემგბარი იყოს უზმაჲ აბანოს მივიდოდეს, და საჭამადსა ცოტასა ჰამდეს ანუ თვით იმარხოს, და დასაწყისსა ყიფალი გაიხსნას, და საჭამადსა მასაჲ ურწყოსა ჰამდეს ასუნანითა და ჰასოა, თხელი ფუშრუჲ არს ჰასოჲ ნუშის გულითა, და ხაზაშისა შარაბი და ჯულაბი სჭაჲ, და ხაზაშის ქერქი და იაჲ, და ხავარტი და ნედლი ქინძი, და ნილოფარისა ფურცელი და აყროჲ, და მელთა ყურძენი და შანბალიდი წყლითა ადუღოს და პირი მისსა ორთქლსა მიუჰყრას და ქრთლისა წყალი და იისა შარაბი სუას და ბაკილაჲსა წვენი უცხობოჲ ჰამოს. და გვერდსა ზედა ნუ დაწვების რომელ მანკი ნაზლად არ შეექნას

იოჰანა იტყვის: დასაწყისსა ყიფალი გაიხსნას, და საჭამადსა ცოტასა ჰამდეს და სამსა დღესა ეარდის წყლითა ღარღარაჲ ქნას, და თავსა შიშველსა ნუ მიუშვებს, და ცხიბიანსა და თაფლიანსა ერიდებოდეს, და თუ რაჲცა ცხვირთაგან ჩამოვიდოდეს ვითა წყალი იყოს, ქეჲჲ გაახურვის ცეცხლითა და ზედა ძმარი დაასხას და პირი მისსა ორთქლსა მიუჰყრას. და მაშინ აბანოს მივიდეს. და რაჲცა მზისა სიციხისგან იყოს იგი არს, რომელ იის ზეთი ცხვირთა ჩაიწოთოს და ეარდის წყალსა და ქაფურსა უსუნებდეს. და ანაკვეთი ძმრითა დაასოვლოს და დაწვეს და ცხვირთა ქვეშე. [იკმოლოს].

ბაყრატი იტყვის: რაჲცა სიმხურვალისგან იყოს ხმელად ხველაჲ იქნების. ქრთლისა წყალი სევს იისა შარაბითა და ბაკილაჲსა წყლითა და ნუშისა ზეთითა. და რაჲცა ცხროთა იყოს ხელი გაიხსნას და ქრთლისა წყალსა იისა შარაბითა, ნუშისა ზეთითა სევს, და რაჲცა უცბროოდ იყოს ზოფაჲსა მატუხი იხმაროს, რომელ ადრე ელბინოს.

ვათარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. თებით ყურაჲსძე იტყვის: ესე მანკი ჰავისა სიგრილისა და სინედლისგან იქნების, რომელ ტვინსა შიგან შეყროილ იყოს. ბუნებაჲ მას სინედლსა თავით ქვე ჩამოჰგზავნის და ცივისა ქარისგანცა იქნების რომელ ტვინი გაავრილოს.

ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ ზუბლი მშვილდის საბლისაებრ გასხირპული იყოს, და რაჲცა ცხვირთაგან ჩამოვიდოდეს თეთრი და სქელი იყოს. და რაჲ მუხლსა ხელბ შემოსდეს დია ცხელი იყოს, და უფროასი ესე მანკი ზამთრის შეიქნების.



კურნებაა რაა სიგრილისგან იყოს. თებით ყურაესსე, იტყვის: გრილისა ზოქმისა კურნებაა იგი არს, რომელ ბაბუნაა და აქლილალმალექი და ცერეცოა და მარზანგოში წყლითა შებავოს და პირი მისა ორთქლსა მიუპყრას, და მოხალულსა სონიჯსა უსუნებდეს, და ბაბუნაასა ზეთი და მარზანგოშისა ზეთი ცხვირთა შემოვლოს, და ალვისა და ყუსტისა და თეთრისა საკმელისგან მიწყით ჭამდეს, და მხურვალთა ასფარამთა და შამოთა უსუნებდეს, და მძიმეთა და უღნობთა საჭამადთა ერიდებოდეს, და მუხუდის წვენსა და ნატიფთა საჭამადთა ჭამდეს. და ზუქმი სქელი უფროასი ტვინისა სიგრილისაგან იქნების. ეგრე ხამს, რომელ დანაყილსა სონიჯსა უსუნებდეს და ყუსტი და ანისონი და თაფლის წყალი იხმაროს, და ზაფაასა მატუხი ნას დია ერგების, და თუ სელა ამოხალული თაფლსა

10 გაპრიოს და პილპილი ჩაურთოს და ჭამოს კარგი არს, და თუ სამი ნაწილი კალნაბისა წყალი ერთსა ნაწილსა თაფლსა თანა შეაბავოს და ჭამოს კარგი არს, და სინედლესა რომელ მკერდსა იყოს ყველასა გაახმობს, და ბოლოსა აბანოსა იხმარებდეს. და რააცა სიცივისგან ქნილი არს, იგი არს, რომელ გამთფარი ფეტვი თავსა შემოსდევან და აბანოს მივიდეს. და ლეინოსა ნუ სჯამს და ცხვირთა ქვეშე ქალაღდი იკმოლოს, რომელ წყალისა დენაა მოსწყვიდოს.

როფის იტყვის: ნიშანი ნაზილაასი რაა სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ ხეილაა სინედლითა იყოს და რააცა ხორხისგან გამოვიდოდეს ნედლი<sup>1)</sup> იყოს. ხამს რომელ ხაშხაშისა შარაბი შემგბრითა ლეინითა და გაზრდილითა იხმაროს. და რაა დღე უზმამან ორი სამი კოვზი თაფლი ჭამოს და ეამეამ ცოცოტასა ტფილსა წყალსა სმიდეს, და ამას ჰაბასა<sup>2)</sup>

20 პირსა შიგან დაიჭირვიდეს: ნუში და ბადიანისა თესლი, და ქათირაა და ფანილი, ყველა და ნაყოს და ჰაბად ქნას და პირსა შიგან დაჭირვითა იხმარებდეს.

**ბაბერილობაა და გაპობაა ბაბეთა და სიხმინვა რომელ შიგან იყოს<sup>3)</sup>.**

ბაგეთა გაბერილობისა და გაპობისა ვითარებაა დევეჯანის იტყვის: გაბერილობაა ბაგეთა სისხლისა და ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ ერთგან გაერიენენ და მოერიენენ და ბაგეთა რომელ გაბერილობაა გამოჩნდეს, და გაპობაა ბაგეთა გარევისა სიხმელისაგან იქნების.

ნიშანი ბაბეთა გაბერილობისა. იგი არს რომელ ცოტაა სიმსიენე წითელი ბაგეთა გამოაჩნდეს, და გაპობილობისა ნიშანი იგი არს, რომელ ბაგენი მქისედ იყვენ და ხმელსა წყლულსა ჰგვანდეს.

30 კურნებაა გაბერილობისა და გაპობილობისა ბაგეთა. იგი არს, რომელ ყიფალი ვაიხსნას და სპეტისა მალჰამაა ზედა დასდვას. და თუ მურდასანგი და გუნდაა. და ცვილი და ვარდისა ზეთი ყველაა ვითა მალჰამაა შექნას და ზედა იცხებდეს კარგი არს. და თუ სტომაქსა შიგან გასარეველი დია იყოს უმჯობესი იგი არს, რომელ ჰალილაასა მატუხი ჭამოს რომელ ტანი გაწმდეს, და მაშინ სიქანგუბინი და კატკატოასა თესლისა წყალი იხმაროს. და საჭამადსა ისრამისა ურწყოსა და ბროწეულსა ჭამდეს ქათმითა შექნილსა. და თაფლიანითა და ეგეთითა საჭამადთა, რომელ სისხლსა მოუმატებდეს ერიდოს და მთავეთა მიელტვოდეს.

ჯალინოს იტყვის: ბაგეთა გაპობაა მით იქნების, რომელ ტანსა შიგან გასარეველი სასეველოა იყოს, იარაასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს. და მაშინ შინაურისა ქათმისა

40 ცმელი და ბატისა ცმელი და თეთრი ცვილი ყველაა მეწროლანათ ქნას და ბაგეთა უცხებდეს. და საჭამადსა ბატქნისა და ქათმისასა ჭამდეს. და იისა წარაბსა და ხაშხაშისა შარაბსა უზმოა იხმარებდეს. და თუ იგი თხელი ფურცელი რომელი კტერცხსა შიგნით იქნების ბა-

<sup>1)</sup> ეს ორი სიტყვა „გამოვიდოდეს ნედლი“ სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული.  
<sup>2)</sup> ამ გვერდია ბოლო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „გბ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აბიაზე „გა“.   
<sup>3)</sup> ამ თავის გასწვრივ აშიაზე ნიშანი ზის რაც ნიშნავს ორ ასოს „უქ“-ს.



გეთა შემოსდევას კარგი არს, და ესე მალჰამად ღია ერგების: ქათმისა ცნელი ორი უკაჲ, გუნდა დანაყილი და ქათირაჲ, და ნიშასთაგი და სპეტი თვითოასგან ორისა ღრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და მალჰამად ქნილი ბაგეთა იცხებდეს, და უპენა და გვემის პირსა მაგით იცხებდეს. და თუ ცვილი და ვარდის ზეთი და ცმელი ბატისაჲ, და კვერცხისა თეთრი ყველაჲ მალამად შექნას და ბაგეთა იცხებდეს კარგი არს. და თუ სპეტი და ქათირაჲ, და ნიშასთაგი და გუნდაჲ ყველაჲ წმიდად გაგალოს, და სპეტსა მალჰამად თანა გაპრიოს, და მათოდენი ბატის ცმელი, ყველაჲ მალამად შექნას და იხმარებდეს.

10 ვითარებაჲ ბაგეთა ბევასირისა და სიმსივნისაჲ აბუჯარიჲ იტყვის: ბაგეთა გასივებაჲ იგი არს, რომელ პატარა სიმსივნე წითელი ბაგესა ზედა გამომოვიდეს, ანუ ფიცხელისა ბალღმისა სიმრავლისაგან იქნების, და ბევასირისა ვითარებაჲ სქელის სისხლისა სიმეტისაგან იქნების, რომელ შიგან შეიყაროს და მაშინ ბევასირად შეიქნას.

ნიშანი ბიგეთა გასივებისა და ბევასირისა. ბაგისა გასივებისა ნიშანი იგი არს, რომელ მჯღმისაგებრ გამო რაჲმე აჩნდეს, თუ წითელი იყოს სისხლისგან არს, და თუ თეთრი იყოს ბალღმისგან იქნების. და ბევასირისა ნიშანი იგი არს რომელ ყურძნისა მარცვლისა ოდენი რაჲმე გამოჩნდეს და ბაგესა ამრუდებდეს.

20 კურნებაჲ ბაგეთა გასივებისა და ბევასირისაჲ. აბუჯარიჲ იტყვის: გასივებისა ნიშანი<sup>1)</sup> რაჲ სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ყიფალი გაიხნას ანუ ქიქაჲ მოკიდოს. და თუ ბუნებაჲ შეკვრით იყოს ხილთა წყლისა შემგბრისა წყალი სვას, და მჟავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი შაქრითა და ტყემლისა შარაბითა და ტუტაჲსა შარაბითა სმიდეს, რომელ სისხლისა სიმხურვალე დასწყნარდეს. და მაშინ ჰუტუტი და ვარდის წყალი შესცხოს. და რაჲ სიმსივნე მოიჯობინოს მუშროლანი იცხოს და ნელითა წყლითა ბანდეს. და საქამადსა ცოტაჲსა ქამდეს და ხორცსა და თაფლიანთა ერიდებოდეს, მუნამდინ რომელ შეიგნეს რომელ მანკისა დედაჲ დალეულა, და მჟავეთა მიელტვოდეს და ეგეთთა საქამადთა რომელ სისხლსა გააფიცხებდეს, ერიდოს.

30 თიად ოყ იტყვის: კურნებაჲ ბაგეთა ბევასირისაჲ იგი არს, რომელ ყიფალი გაიხნას ანუ ზარრაგი გაიხნას, თარგმანი ოთხი ძარღვი გაიხნას, და ქიქაჲ მოკიდოს. და თუ მურდასანგი ერბოთა კარგად გაგალოს და შესცხოს კარგი არს. და თუ არ გაპრთელდეს და უჩინარ არ იქნას, უმჯობესი იგი არს, რომელ სიბრტყით გააპოს და ხორცმეტი მოკუტეთოს და მაშინ შეეკროს, რომელ ბაგე გაიშართოს. და მაშინ ზაფრანაჲ და ვარდი და ანჯარეთი წმიდად გაგალოს და ზედა შემოაყაროს, და მალფაკაჲ დასდევას და შეჭკრას, და მეორესა დღესა გახსნას და მალჰამასა დასდებდეს. და საქამადსა ისრიმით ურწყოსა ქამდეს ანუ ასუფანახისა ურწყოსა ნუშისა ზეთითა, და მძიმეთა და უღნობთა საქამადთა ერიდებოდეს, და სეედისა მომპატებელთა საქამადთა ერიდებოდეს.

პუნაჲ იტყვის: პირველ ყიფალი გაიხნას და მაშინ ოსპი და ბრანგლისა წყალი და აქლილალმალიქი, და ბაბლბაჲ ერთგან წყლითა შეაბგოს და კვერცხისა ყვითელი და შინაურისა ქათმისა ცმელი გაპრიოს, და შემოსდევას მანკისა ადგილსა მრავალჯერ.

35 ვდ. კბილთა ტაივილი სიმხურვალისაგან თუ იპოს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. არ ბიასიოს იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ სიმსივნისგან იქნების, მხურვალისა გასრეგლისაგან ქნილ იყოს და იგი ღრძილთა შიგან გამოჩნდების. ანუ მხურვალისა და ფიცხელისა ხილტისგან იქნების, რომელ ღრძილისა ძირსა თეთრი ძარღვი რომელსა ჰქვიან ფაჲ მუნ შეიყარნენ.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგიაჲ არს რომელ რაჲ ცივი წყალი პირსა შიგან დაიჭიროს ანუ გრილი რაჲმე შემოსდევან ტკივილი დაუწყნარდეს, და თუ ხელი გარეთ მანკისა ადგილსა დასდევან ხურვიდეს ღია.

1) : ქ ეს სიტყვა შეცდომით არის, უნდა იყოს „კურნებაჲ“.



კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. არბიასიოს იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას ანუ ჩარბავი გაიხსნას, და მჩქვამოჭკიდოს და ცივი წყალი პირსა შიგან დაიჭიროს, და ქაფური და ვარდის წყალი და ძმარი ერთგან ვაპროოს და პირსა დაიჭიროვიდეს. და რაა მოიჯობინოს მასტაქე უკიასა ერთსა ვარდისა ზეთსა შიგან გააღნოს და პირსა შიგან დაიჭიროს. და ცოტაა ქაფური აყირყირაასა თანა გაგალოს და ღრძილთა შესცხოს კარგი არს. და თუ ყურატი ერთი ვარდისა ზეთი აფიონსა თანა გააღნოს და ბანბაა მაგით დაასველოს და კბილთა შემოსდვას კარგი არს. მაშა თუ არ ელხინოს უმჯობესი იგი არს, რომელ ღრძილი დაშაშროს და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს, და მხურვალეთა ერიდოს და მკავეთა მიელტვოდეს. და ცოტაა აფიონი 10 ვარდისა ზეთი შიგან გააღნოს და ყურთა ჩაიწოთოს, და ბანბისა თესლი იკმოლოს ანუ ბანბითა და ძმრითა ღრძილნი გამოირცხას და ეგეთი რაამე იხმაროს რომელ თავსა გასწმედდეს, რომელ მანკისა დედაა ღრძილთაგან დაილიოს და ტკივილი დასწყნარდეს<sup>1)</sup>. თუ სტკივოდეს ჭაჭაა მოჭკიდოს ანუ ყოფალი გაიხსნას ტკივილისაკე, და ძმრითა და ვარდის წყლითა ღრძილი გამოირცხოს, ანუ თუთუბაა ვარდის წყლითა დააღბოს და გამოწუროს და ცოტაა ქაფური გაურთოს და პირსა შიგან დაიჭიროვიდეს, და თუ კიტრისა ფურცელი და გაზაზუი და ძმარი აღულოს და მაგით ღრძილთა იბანდეს კარგი არს. და თუ მანკისა ნივთი ზაფრისგან ქნილ იყოს ყვითელი პალილაა და საბრი ერთგან წმიდად გაგალოს და თამარი ჰინდისა წყალსა ვაპროოს, და ცოტაა შაქარი გაურთოს, და მაგით მიწყით ღრძილთა გამოირცხიდეს, კარგი არს.

20 თებით ყურაას ძე იტყვის: კბილი რომელ სტკივოდეს ნიშანი არს რომელ ღრძილი გასივებულ იყოს მისი. ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაა ამოიღონ არა სტკივის ღრძილი მისი.

კბილისა ტკივილი რაა სიგრილისგან იყოს. დევჯანის იტყვის: რაა სიგრილისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ სიგრილე გასარეველი კბილისა ძირისა თეთრსა ძარღვსა თანა შეყრილ იყოს და მოეროს, და ეგების რომელ გრილი ქარიცა იყოს.

ნიშანი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რააცა გრილისა გასარეველისგან იყოს რომელ ნელად სტკივოდეს და გასივებულ არ იყოს, და ნხურვალისა შემოსადებლისგან ელხინებოდეს. და ქარისა ნიშანი იგი არს, რომელ ტკივილი ერთსა ადგილსა არ დაზმიდეს, იარებოდეს.

30 კურნებაა მისი რომელ სიგრილისგან იყოს, დევჯანის იტყვის: იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ყოყიასა ჰაბითა და მაშინ დანაყილი პილპილი ყატრანსა თანა ვაპროოს და ღრძილთა შესცხოს. ანუ ზაჰმი პანტალი ძმრითა აღულოს და მანკისა ადგილსა ბანბითა შემოსდვას. და თუ აყირყირაა და შეტარაა და ფარფიონი და პილპილი ყველაა დანაყილი ღრძილთა შესცხოს კარგი არს, და ესე წამალი რაა ზიზისა ძმრითა აღუღონ და მრავალჯერ ღრძილი მაგით გამოირცხან, ტკივილსა დააწყნარებს და თუ არ გაქარდეს ტკივილი, თირიყი შემოსდვას, და საქამადთა გრილთა და მკავეთა ერიდებოდეს და ტკბილთა და თაფლიანთა მიელტვოდეს.

როფის იტყვის: ჰაბი ჭამოს ანუ ყოყიასა ჰაბი, და პიტნაა და ქონდარი და აყირყირაა ძმრითა აღულოს და პირსა შიგან დაიჭიროს. და აბანოასა იხმარებდეს და ზანჯაბილისა გვარიშნი, და გულან გუბინი, და მასტაქე და ალგაა დანაყილი უზმამან ჭამოს. და 40 თაფლისა წყალი რომელ მხურვალითა სანელმბლითა შექნილ იყოს პირსა შიგან დაიჭიროვიდეს. და მძიმეთა და უდნობთა საქამადთა ერიდებოდეს, და მუხუდის წვენსა ქამდეს და იასამინისა ზეთსა ყურსა ჩაიწოთოდეს.

იოჰანა იტყვის: მუცელი დაიღბოს და გვანი გაიწმინდოს, და ნაძვისა ნიგუზისაგან და აბჰალისა, და ფურცელი სარვისაგან რომელ ყველაა ერთგან შექყაროს და ძმრითა

1) ამის გასწვრივ აშიაზე სწერია „ჰენან იტყვის“.

შეაბგოლოს და მით ღარღარაჲსა იქმოდეს. და მთისა მავიზი ძმრითა შეაბგოს და შიწით პირისა მავით გამოირცხიდეს. და თუ პილპილი და აღხარისა შექუჲდა წყლითა შეაბგოს და მით ღარღარაჲსა იქმოდეს კარგია. და თუ დეჰვიშთისა ფურცელი და ნიორისა შეშაჲ ძმრითა აღუღლოს და პირსა შიგან დაიჭირვიდეს და მით იბანდეს კარგი არს.

**35. შიჰაჰულობაჲ კბილისა და ძვრისა და დავარდნაჲ.** ვითარებაჲ კბილისა შექმულობისაჲ.

იოჰანაჲ იტყვის: კბილისა შექმულობაჲ ფაცხელისა გასარვევლისაგან იქნების რომელ შეიქმნას, ანუ სინედლისა ფიცხელისა მკამელასგან იქნების რომელ შეიყარნეს, და რაჲ ესე იქნას ესე გამოჩნდების.

10 ნიშანი კბილისა შექმულობისაჲ იგი არს, რომელ ზოგი კბილისგან შექმული იყოს და შიგან ღრუჲცა იყოს, და ფერად შავი იყოს, და სიშავის კერძადცა იყოს და იქნების რომელ ჰყროდესცა.

კურნებაჲ კბილისა შექმულობისაჲ. იოჰანა იტყვის: ამისი კურნებაჲ ხმელითა წამლითა იქნების, რომელ იგი სინედლე ღრძილთაგან გამოზიდლოს და გაანმოს, და სიშავე წაუღლოს, უბანი და პილპილი და ზარავანდი და გომიზი წინდად დანაყოს და შექმულობისა ადვილსა ზედა მოაყაროს. და თუ ხასდისა გული და მეიაჲ და უბანი და პილპილი და აფიონი და ზანჯაბილი ყველაჲ თაფლითა შეზილოს და ზედ შემოსდვას ტკივილისა დააწყნარებს, და მანკისა დედასა გააქარვებს. და უკეთესი კურნებაჲ შექმულისა კბილისა იგი არს, რომელ დადაღონ ანუ ამოიღონ. და თუ დანაყილი მასთაჲე ძმრითა შეზილოს და შექმულსა კბილსა ზედა შემოსდვას, პატარ პატარად შეუქმს.

20 მესიაჲ იტყვის: საბზდანაჲ დანაყოს და თაფლითა შეზილოს, და შექმულსა ზედა შემოსდვას. და თუ ზანჯაბილი და ძმარი და თაფლი ერთგან შეაბგოს, რომელ გასქელდეს და მამინ შექმულსა კბილსა ზედა შემოსდვას და გარეჲცა შესცხოს ერგების. და თუ სონიჯი ამოხალული ძმრითა გაგალოს და შექმულსა შესდვას კარგი არს. და თუ ყატრანი და თაფლი ერთგან გაჭრიოს და შერარი მავით დაასოელოს და შექმულსა შემოსდვას კარგი არს, და თუ ჩაშიჩი და პილპილი ერთგან დანაყოს და შიგან შემოსდვას კარგი არს.

ფოლოს იტყვის: თუ შექმულსა შიგან კიაჲ იყოს, პრასისა თესლი და ლემისა თესლი რომელსა ბანგი ჰქვიან, დანაყოს, და ცვლითა შეზილოს და კბილთა ქვეშეთ იკმოდოს კიაჲ ჩამოსცივივის ყველაჲ, და თუ ნიორი დანაყოს და შექმულსა შემოსდვას კარგი არს. და ყველასაგან უმჯობესი იგი არს, რომელ უბანი დანაყოს და ლელვისა სძითა შეზილოს და შემოსდვას.

კბილისა ძვრისა და დავარდნისა ვითარებაჲ. მასარჯოა იტყვის: კბილისა ძვრისა უმიზეზოდ მისგან იქნების რომელ ღრძილთა სინედლე აყროოდეს, ანუ იგი თეთრი ძარღვი რომელსა სპარსულად ფაჲ ჰქვიან, და კბილისა ძირსა მოკიდებული არს, იგი ფაჲ გასუსთდეს.

ნიშანი ძვრისა და დავარდნისაჲ. რაჲცა სინედლისგან აყროლებულ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ძირი უყროდეს და რაჲცა ძარღვისა სისუსთისაგან იყოს იგი არს რომელ ადვილად ჩამოიჭრეს.

კურნებაჲ კბილისა ძვრისა და დავარდნისაჲ. მასარჯოა იტყვის: დაძრულსა კბილსა ესე წამალი დაამაგრებს და ღრძილთა გაუმაგრებს, ვითარებაჲ მისი: ბროწეულისა ყვეილი და სიქი და სუდი ერთმანერთისა ოდენი, თეთრი არჯასპი თვითოსა ნაზევარსა ოდენი, ყველა დანაყოს და ღრძილთა შესცხოს, და ესე მისგან უმჯობესია და ჩვენ გამოგვიცდია ღრძილსა გაამაგრებს, ვითარებაჲ მისი: ვარდი და თეთრი არჯასპი და გაზმაზვი და თუაუბოჲ და ტაბაშირი თვითოსა ოდენი, ყველაჲ წინდად გაგალოს და ღრძილთა შესცხოს. და ყოველთა დღეთა კბილითა თაფლთა ზელდეს რომელ ძირი გაუმაგრდეს და განძლიერდეს.



მადანი იტყვის: კბილასა ძრკა მისა ძარსა სასუსთავან იქნების ვე-  
 რე ხამს რომელ ევეთი სუნთა, რომელ სინედლასა ღრძილესაგან გაახზოდეს ნაშაროს ვი-  
 თა ბროწეულისა ყვავილი და თეთრი არჯასპა, და სიქი და აყაყაა, და გუნდა და ვარ-  
 დი, და ტაბაშირი და გახზაჩვი, და დანაყილი თუთუბა მიწყით და ნიადაგ კბილსა  
 ცხებდეს. და თუ თეთრი არჯასპი ძპრითა და თაფლითა შეგებლოს და პირსა მავით ჰპან-  
 დეს ღრძილთა გაამაგრებს.

10 თე ბით ყურა იტყვის: რომელ თაფლი და შაქარი ტაბარზადი ერთგან გაპ-  
 რიოსა და ღრძილთა შესცხოს, კბილთა გაუთეთრებს და ძირსა გაუმაგრებს. და ესე წამალი  
 სხვა გემოვცილია, ვითარება მისი: აბალი და კაპარისა ძირისა ქერქი ერთმანერთისა  
 ოდენი, ყველა დანაყილი ღრძილთა შესცხოს, მეტად მაშინ რომელ იარაგ ფეყირაჲთა ღ-  
 რღარაჲ კნას. და უნჯობესი ყოველთაგან იგი არს, რომელ თეთრი არჯასპი და ნიშადღური  
 დანიშასთავი თვითოსა ოდენი, აილოს და დანაყოს და გაცრას და ღრძილთა შესცხოს.

33. სიხრალმ და სიხრამ და სისხლია და ნაჲ ღრძილსაგან. ვითარება სიმყრალისა  
 და სისხლისა დენაჲ კბილისა ძირთაგან. ფოლოს იტყვის: დია შევეისა ჰაძისაგან იქნე-  
 ბის, და შევეისა ბალღმისგანცა იქნების, რომელ სტომაქისა თავისა შეიყაროს. და სისხლისა  
 დენისა ვითარება სისხლისა მორეგვისაგან იქნების ხორცთადა.

ნიშანი სიმყრალისა და სისხლისა დენისა კბილისაჲ. რაჲცა შევეისა  
 ჰაძისაგან არს ნიშანი მისი იგი არს, რომელ მიწყით დია კბილი მყრალად და ჟანგიანათ  
 იყოს, და სისხლისა ნიშანი ცხადი არს.

20 კურნებაჲ კბილისა სიმყრალისა და ჟანგიანობისა და სისხლისა  
 დენისა ღრძილთაგან.

ფოლოს იტყვის: კურნებაჲ კბილთა სიმყრალისა და ჟანგიანობისა იგი არს, რო-  
 მელ კატკატოხსა ცოხნიდეს და ნიგვზისა გულსა, ანუ თბილისა რაჲცა იყოს, ანუ ნუშისა  
 ზეთი შესცხოს კარგი არს, და ნუში ქერქ ახდილი და ცვილი ცოხნოს. და შემწუარსა ყვა-  
 ვილსა და ქერცხისა ყვითელი შემებარი ამათ თანასა რომელსაცა ცოხნიდეს კარგი არს. და  
 თუ ნელი ერბოჲ პირსა შიგან დაიჭიროს და ცვილსა ცოხნიდეს კარგი არის. და თუ ან-  
 დრანული მარლი გავლილი შესცხოს კარგი არს. და თუ მიწმიშისა გული დანაყილი მა-  
 რილითა და ძპრითა გაგალოს და კბილთა შემოსდვას, ჟანგსა და სიმყრალესა წაუღებს, და  
 შეჭმულთაჲსა ერგების.

30 ისა კიტყვის: რაჲცა შევეისა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი მის  
 მანკისგან გაწმილოს მითწამლითა, რომელ სტომაქისათვის ვახსენეთ. და მაშინ კატკატოხსა  
 და მისსა თესლსა ცოხნიდეს. ანუ კევი და ჩამიჩი. და კბილი რომელ წყალი წასვლოდეს  
 ნიშანი მისი იგი არს, რომელ ცივისა წყლისა და გრილთაგან სტკივოდეს.

კურნებაჲ მისი იგი არს. რომელ თბილი პური შემოსდვას ვერე, რომელ თვალ-  
 თაგან ცრემლი ჩამოვიდეს. და თუ არა გამთბარი ერბოჲ პირსა შიგან დაიჭიროს, ანუ ბა-  
 ლასნისა ზეთი.

40 როფის იტყვის: სისხლსა დენისა კურნებაჲ იგი არს, რომელ ვარდი წითელი  
 ხელი და ჰალილაჲ, და ბროწეულისა ყვავილი დანაყილი და გაცრილი, და ცოტაჲ წითელი  
 და ყვითელი ზარნიხი დანაყილივე, და გაცრილი, ერთგან კულა გაპრიოს, დანაყოს და გაც-  
 რას და ღრძილთა შესცხოს, და მაშინ მორდისა წყლითა და ვარდისა წყლითა ღრძილთა  
 და პირსა გამოიბანოდეს. და მხურვალთა საჭამადთა და თაფლიანთა ერიდოს.

ვითარება კბილთა სიშავისა. იოჰანაჲ იტყვის: ვითარებაჲ მისი ცო-  
 ტაჲსა ჰამიანაგან იქნების და უფროსი ბერთა წაეკიდების.

ჯალინოს იტყვის: კბილთა სიშავე <sup>1)</sup>, ტკივილი მისგანვე იქნების, რომელ კბილ-  
 სა მოსკამს.

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ ხევიდან არის ჩამატებული.



ნიშანი კბილისა სიშავისაჲ. ნიშანი იგი არს რომელ ერთობით კბილნი შავად იყვნენ ანუ ზოგი მისგნით, და რაჲრომცა უშვეე იყოს მანკისა დედაჲ უნდოერესი და უფროთა მორეწილი იქნების, და ეგების რომელ ჰყოდესცა.

კურნებაჲ კბილთა სიშავისაჲ. იოჰანა იტყვის: თუ გაშვეებული კბილი დასდალოს ჩამოჰვარდების. და თუ ლემისა თესლი რომელსა ჰქვიან ბანგი თაფლითა შეზილოს და მსხვილსა ლერწმის გულსა ჩაყაროს და დაწვას. და მაშინ კბილთა შესცხოს სიშავესა წაუღებს. და ესე სანონი კბილთა გასწმენდს ვითარებაჲ მისი: ზღვისა პერული და გახმაზვი თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, და ლერწმისა ნაქარი ორისა დრამისა წონი, მარილი ოთხი უკიაჲ, ანისონი ხუთისა დრამისა წონი, ყველა დანაყილი და გაცრილი

10 თაფლითა შეზილოს და კბილთა შესცხოს ერგების. და თუ ირი ნაწილი მარილი ერთსა ნაწილსა ბაერუქსა თანა გაპრიოს, დანაყოს და გაცრას, და თაფლითა შეზილოს და ქაღალდსა შიგან წაახვიოს და დასწვას, და შესცხოს, კარგი არს.

მადანი იტყვის: კბილისა გაშვეებაჲ დანძალთა სინდლისაგან იქნების. კურნებაჲ იგი არს რომელ იარაჲსა და ყოყიაჲსა ჰაბი ჰამოს, და მაშინ პილბილი და სუდი და ანდრანული მარილი, და ფაჩარი და სარვისა ნიგოზი, ყველა დანაყილი კბილთა შესცხოს. და ესე წამალი მხურვალე მუნებათათვის კარგი არს, და კბილთა გაათეთრებს ვითარებაჲ მისი: ტაბაშირი და ზღვისა პერული და მარმარილოსა ჰეჲ, რომელსა ჰქვიან სპარსულად სანგი როხამი, თვითოსაგან სამისა დრამისა წონი, მარგალიტი წერილი შვიდისა დრამისა წონი, დრამინაჲ დანწყარი რვისა დრამისა წონი, ვარდი წითელი უკიაჲ ერთი, ქაფური

20 დრამისა წონი, ყველა დანაყილი კბილთა მაგით გასწმედდეს. და თუ ზღვისა პერული და ყაისუმი თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, ძირაჲ და ალვაჲ თვითოსაგან დრამისა წონი, მარილი ანდრანული დრამისა წონი, ქაფური ნახევარ დრამისა წონი, ლერწამი დამწვარი ორისა დრამისა წონი, ყველა დანაყილი და გაცრილი კბილთა 1) შესცხოს ერგების.

**33. ღრძილისა სიმსივნე რაჲ სიმხურვალით იყოს.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალით იყოს. არხიჯანის იტყვის: რომელ სიმსივნე ღრძილთა სისხლისა მორეწვისაგან იქნების რომელ მუნ შეიყაროს, ანუ ფიცხელისა ზეფრისაგან რომელ სისხლსა გაერიოს და გაახურვოს, და ღრძილი გაასიგოს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისა მორეწვისაგან იყო იგი არს, რომელ სიმსივნე დია წითელი იყოს და ძარღენი ტკივილისაჲ ადგომილ იყვნენ. 30 და ნიშანი მისი რომელ ზეფრისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლსა რეულ იყოს და სტკივოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. არხიჯანის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ ჩარრაგი გაიხსნას, და მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა და შაქრითა, და პირსა ოსპისა წყლითა შემგბრითა ირეცხიდეს, და თუთუბაჲ ვარდისა წყლითა შეაბგოს და მიწყით პირსა მაგით ჰბანდეს. და მორდი და ბროწყულისა ქერქი რომელ ძმართა შემგბარ იყოს, პირსა მიწყით მაგით იბანდეს. და თაფლიანსა ნუ ჰამა, და გრილთა საქამადათა ჰამდეს ვითა ისრიმი და ბროწყულისა მეთე. და თუ ვარდი და ქაფური და სანდალი თეთრი და ოპი, უქერქოჲ და თუთუბაჲ ყოველი ერთგან გაგალოს და ღრძილთა შემოსცხოს. და პირსა ძმრითა და ვარდის წყლითა ჰბანდეს.

40 მესია იტყვის: რომელ ყიფალი გაიხსნას და ჩარრაგი და ნიკაფთა ქვეშეთ ძარღვი გახსნას და ყელსა ჰიქაჲ მოჰკიდოს. და ახალი მორდი ძმრითა დააღბოს და პირსა შიგან დაიჭიროს, რომელ სისხლი სინდვისისგან განოზიდოს. და თუ ძალის ყურძენი ძმრითა და მორდის მარცვლითა შეაბგოს და პირსა დაიჭიროს, კარგი არს.

როფის იტყვის: ყიფალი გაიხსნას ანუ ჰაქაჲ მოიკიდოს, და ბროწყულისა ქერქი ანუ მეშპარისა წყალი, ანუ ბუსთანაფროზისა წყალი ძმრითა შეაბგოს და პირსა დაიჭიროს

1) ან სიტყვის მაგებრათ დედანში შეცდომით სწერია „ცხვირთა“.



გაბერილობასა რომელ სიმბურვალისგან იყოს ერგების. და ესე წამალი სხვა კბილის ტკი-  
ვილსა წაუღებს და სისხლის დენასა ღრძითლაგან უკუაყენებს, ვითარებაჲ მისსა: თეთრი  
არჯასპი დაწმას და ძმრითა დაალბოს, და მორდისა მარცვალი და დაწმარი ძმრითი  
თვითოსაგან ორი ნაწილი, თუთუბოჲ სამი ნაწილი, ყველა დანაყილი იხმაროს.

**ღრძილისა სიმსივნე რომელ სიმკრძალიზგან იქოს.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან  
იყოს. აბუჯარაჲ იტყვის: ღრძილთა სიმსივნე სიგრილისგან მით იქნების, რომელ  
გლუსუნნი ბალღამი მუნ შეიყაროს და აყროლდეს, და ღრძილი გაასივოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ ღრძილი დანძალ  
იყოს, და რაჲ დაძველდეს ზევასირად შეექნას <sup>1)</sup>, და სიმბურვალე და სიწითლე არა აქვს

10 და ნელად სტკივოდეს, და სიმსივნე მისი ლბილად იყოს.

კურნებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარაჲ იტყვის: იგი არს,  
რომელ ყოყიასა ჰაზი ჭამოს რომელ თავი და ტვინი ჰავისა მანკისგან გაწმოდოს. ანუ ხმელი  
ლედვი თაფლითა დაალბოს და ჭამოს, და მაშინ სუდი და ფაზარი და დანაყილი ოშნად  
ღრძილთა შესცხოს რომელ დამპლობაჲ გარდაიღოს და გახმოს, და მუხუდის წვენი და კა-  
ლიაჲ იხმაროს, და სიგრილეთა ერიდოს. და მური და ცერეცოჲ და აბალი და სარვისა ნიგო-  
ზი თვითოსა ოდენი, ზაფრანაჲ ნახევარი თვითოსა ოდენი, ყველა წყლითა შეაბგოს და  
პირსა მით იბანდეს, და თუ სამისა ღრამისა წონი ნასთაქე, უკაათა ერთითა ერბოათა შეა-  
ბგოს, და პირსა დაიჭიროს, და საბაზდანიისა ზეთი და ფურცელი მისი აღუღოს და პირსა  
შიგან დაიჭიროს, კარგი არს.

20 მასაჲსქე იტყვის: სისუსთე ანუ სიმსივნე ღრძილთაჲ რაჲ სინედლით იყოს, ბრო-  
წეულისა ყუავილი ლენითა შეაბგოს და პირსა მით ბანდეს. და თეთრი არჯასპი წყალსა  
შიგან დაალბოს და გუნდაჲ შიგან ჩაადოს რომელ შეაბგოს და მაშინ ღრძილთა იცხებდეს,  
და მორდისა ზეთი დია კარგი არს ამისთვის. და ესე წამალი ამას დია ერგების: აყიყიაჲ  
ექქისისა ღრამისა წონი, ზარნიხი წითელი და ყვითელი თვითოსაგან სამისა ღრამისა წონი,  
ყველა დანაყილი ძმრითა შეზილოს და კვერად შექნას და ხმარებისა ჟამსა მისგნით ცო-  
ტაჲ მანკისა ადგილსა მოაყაროს, ერგების.

ჰუნაჲნ იტყვის: რაჲ მანკი ზევასირად შეიქნას კურნებაჲ მისი იგი არს რომელ  
გახმაზეი და საბრი და მური და აყირყირჰაჲ თვითოსა ოდენი ყველაჲ ყურძნისა ძმრითა  
შეაბგოლოს, და მაშინ პირსა მავით იბანდეს, კარგია.

30 **პ. პირისა ტივილი და გაბერილობა შიგან რომელ გამოჩნდეს.** ვითარებაჲ მისი  
რაჲ სიმბურვალით იყოს. თჳბით ყურაჲსქე იტყვის პირისა ტკივილი და გაბერილო-  
ბაჲ რომელ სიმბურვალისგან იყოს სინედლისგან იქნების, რომელ იგი სინედლე ზაფრასა  
გააფიცხებს, და ბუნებაჲ მას პირისაკე გამჰზაენის და უფროასი ყმაწვრილთა შეექნების.

ნიშანი მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ გაბერილო-  
ბისა ადგილი სტკივოდეს დია და წყურვილიცა იყოს, და რაჲ გრილი შემოსდგან ელ-  
ხინოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. თებით ყურაჲ იტ-  
ყვის: იგი არს, რომელ ყიფალი გაიხნას და ანუ ნიკაპისა ქვეშეთ ქიქაჲ მოჰვიდოს, და  
ნაშინ ცოტაჲ ქაფური და ძმარი და ვარდის წყალი ერთგან გაჰრიოს და პირსა შიგან და-  
40 ჰიროს და მრავალჯერ ესრე ქნას. და ვარდი და ბროწეულისა ყვავილი დანაყოს და ცო-  
ტაჲ ქაფური გაჰრიოს და პირსა შიგან ჩაიყაროს <sup>2)</sup> დაიჭიროს, და მყავეთა ხილთა მკრველ-  
თა ჭამდეს. და ესე წამალი ჩვენ გამოკვიცდია კარგი არს <sup>3)</sup> ვითარებაჲ მისი: ტაბაშირი

<sup>1)</sup> ამ გვერდის ბოლო აშიაზე რეფელთა სათვალავი სწერია „კგ“ და შემდეგი გვერდის ქვემო აშიაზე „კდ“.  
<sup>2)</sup> ეს სიტყვა აშიაზე სწერია დედნის ზელით.  
<sup>3)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე მხედრული ზელით სწერია „ტაბაშირი დაწმარი ირმის რქა არის“.



და ნიშანტაგი, და ვარდი და ქინძი, და თუთუბის გუჯრკადად ოსპი ქერქვახლილი, და კატ-  
კატოჯსა თესლი და მაქური ინაჲ თვითოჯსა ოდენი, შაქარი ტაბარზადი (შეგნობასა ოდენ-  
ნისა ნახევარი ყოველი დანაყილი და გაცრილი პირსა შესცხოს. და თუ თუთუბაჲ ვარდისა  
წყლითა დაალბოს და პირსა შიგან დაიჭიროს კარგი არს.

მესია იტყვის: ყიფალი გაიხსნას ანუ ყელსა ჭიქაჲ მოჰკიდოს, და მუცელი დაილ-  
ბოს ტუტაჲსა შარაბითა, და გაცივებულთა ძმრითა და ვარდის წყლითა იღარღაროს. და  
გრილთა საჭამადთა ქაშდეს. და გახმაზვი წყლითა შეაგბოს, და წყალსა მისსა, პირსა შიგან  
დაიჭირვიდეს, და თუ ქინძი თუთუბისა <sup>1)</sup> წყლითა შეაგბოს და მით იღარღაროს კარგი არს,  
ანუ ბროწეულისა ყუბეილი და ზროხისა ენა, არ ხორცი იგი არს რომელ არდსა ჰგავს, ვარ-  
დის წყლითა შეაგბოს და წყალი მისი გაწმიდოს და პირსა შიგან დაიჭიროს ერგების. და  
10 თუ ამით წამლითა რომელ გვითქვამს არ გამართელდეს ქვეშეთ ძარღვი გაიხსნას და პირი  
ძმრითა და მარლითა დაიბანოს. და თუ არ იჯობინოს ხიარ მამბრისა ნატბუხითა ზუცელი  
დაიღბოს. და ძუძუმს მწოარსა დედისა მისისა სძე თვით ჰკურნებს, ამით რომელ გვით-  
ქვამს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. შადანი იტყვის: გაბე-  
რილობისა და პირისა ტკივილისა ვითარებაჲ, რომელ სიგრილისგან იყოს ფიცხელისა სი-  
ნედლისაგან იქნების, რომელ ბუნებაჲ მას ასოთაგან პირისკე გადღენის ანუ მლაშისა გლუ-  
სუნისა ბალღმისაგან იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აგი არს, რომელ გაბერული და  
20 ტკივილისა ადგილი თეთრი იყოს და წყურვილი და სიმბურვალე არ იყოს. და იქნების რო-  
მელ გაბერილი შავი იყოს და მაშინ ფიცხელისა სევდისაგან იქნების, რომელ სინედლესა  
თანა გარეულ იყოს.

კურნენაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. შადანი იტყვის: იგი არს,  
რომელ ძმრითა იღარღაროს, და მაპირონი და ჰალილაჲ და აყირყირპაჲ პირსა შიგან დაი-  
ჭიროს. და თუ შაქარი ტაბარზადი თაფლსა თანა და მწვანე არჯასპსა და თეთრსა არჯას-  
პსა დანაყილსა თანა გარიოს, და მანკისა ადგილსა შესცხოს კარგი არს. და თუ მარლი  
თაფლითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს. და თუ სიქანგუზინი აბეკმაქსა თანა გაპრიოს  
და პირსა შიგან დაიჭიროს კარგი არს. და ძქელსა გჳლან გუბინსა <sup>2)</sup> ჰამდეს უზნაჲ თბი-  
ლითა წყლითა, რომელ გრილი გასარეველი გაწმიდოს. და აყირყირპაჲ და ქაბაბაჲ პირსა  
30 შიგან დაიჭიროს. და მუხუდის წქენსა ჰანდეს და ნატოჳთა საჭამადთა.

იოჰანა იტყვის: ყოყაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და პიტნაჲ და ტეგანაჲ  
ძმრითა შეაგბოს და მით იღარღაროს. და პირსა ნელითა ძმრითა იბანდეს და გამოირეც-  
ხიდეს. და თუ მლაშისა გლუსუნისა ბალღმისაგან ქნილ იყოს ჰუტუტი ძმრითა გაგალოს და  
თუ ყვითელი ჰალილაჲ და მამითა, და ტაბაშირი და ბროწეულისა ყუბეილი, და ყაყულაჲ  
თვითოსაგან ნაწილი ერთი დანაყილი, შიგან მოაყაროს. და ყმაწვრილთა ხმელი ვარდი გაგ-  
ლილი შემოაყაროს პირსა და თვისა ასოთა მისაფერად მისად ჰკურნებდეს.

ჰენაჲ იტყვის: გაბერილობისა და სიშავისა და დამპლისა კურნებაჲ იგი არს,  
რომელ ზარნიხი და კირი და გუნდაჲ და არჯასპი და ქანგარაჲ თვითოსაგან ნაწილი  
ერთი, ყველაჲ კვირასა ერთსა ცხარსა ძმარსა შიგან დაალბოს და მაშინ ჰაბად შექნას და  
40 ჩრდილთა გაახმოს, და ხმარებისა ქამსა დანგი ერთი გაგლილი პირსა შესცხოს, და ცოტასა  
ხანსა მიუშუას და მაშინ ვარდისა ზეთითა იზელოს ერგების. ანუ ზარნიხი და აყირყირპაჲ  
თვითოსა ოდენი დანაყოს და შესცხოს, ერგების შეწეფნითა ღმრთისათა.

პთ. პირისა სიმპარალე რომელ ჰჳვიან არაბულად აბხარაჲ: ვითარებაჲ მისი რაჲ სიმ-  
ბურვალისგან იყოს. მუჰანედე ზაქარიჲ ასძე იტყვის: სიმურალე პირისა უფროჲსი

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

<sup>2)</sup> ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია არა დედნის ხელით „გულანგუზინი ქვიან ვარდის წარბაოი“.

სტომაქისა სიმბურვალისაგან იქნების, რომელ დაბადებითგან მსურვალ ბუნება იყოს, და მეორედ მით იქნების, რომელ დია მსურვალისა ჭამისაგან ბუნება მსურვალედ გახდეს კაცი.



ნიშანი მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. რაჲცა დაბადებითგან სტომაქი მსურვალ ბუნება იყოს იგი არს, რომელ მიწყით ჰყროდეს პირი და კბილნი შავვერნი იყვნენ. და ნიშანი მისი რაჲცა სისხლისა სიმბურვალისგან იყოს იგი არს, რომელ რაჲ მადლარი იყოს სიმბურვალე უმცრო იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმბურვალით იყოს. მუჭამედ ზაქარიაჲსძე იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა, და მაშინ შეავესა ბროწყულსა ჭამდეს ტაბაშირითა რომელ სტომაქი გაახმოს და გააძლიეროს. და ქრთილისა წყალსა სიქანგუბინითა სმიდეს და სიმბურვალეთა ერიდოს. და მიწყით მეთვეთა და შემკრველთა ჭამდეს ვითა ისრიმი და თუთუბაჲ. და ხილთაგან ტყეშალი შავი და მიშმიში და ატამი, და კიტრი და შანგარი იგი გრძელი კიტრი, და სახამარონესვი რომელსა ჰქვიან ხარბუბაჲ პინდოჲ, უზმასა ჭამდეს. და საქამადსა ადრე ჭამდეს და ხალსა და შაქარსა ჭამდეს და გულნაგუბინი შაქრისა ჭამოს.


თეზით ყურაჲსძე იტყვის: მუცელი დაიღბოს საბრისა ჰაბითა რომელ სტომაქი გაწმდეს მანკისა დედისაგან, და აბემაქსა სმიდეს, და მადლარმა არწყოს. და ამას ჰაბაჲ მიწყით პირსა შიგან დაიჭირვიდეს, ჯავზიმოიაჲ და ყაყულაჲ, და ყარანფული და ქაფური, და შობილი და კილაშონი თვითოსაგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ვარდითა შეზილოს ვარდის წყლითა, და ჰაბად შექნას და პირსა შიგან დაიჭირვიდეს, სიმყრალესა გარდაიდებს.

ისაკ იტყვის: რაჲ სტომაქი დაბადებითგან მსურვალი იყოს და მანკი მიწყით იყოს რომელ არცა დააკლდებოდეს არცა მოჰმეტებოდეს. მას წანლისა ჭამაჲ ყოლაჲ არ უნდა, მით რომელ არა ეკურნების და არა ერგების. და თუ სხვაჲმბრ იყოს კურნებაჲ იგი არს რომელ ხილთა შეავითა წყლითა მუცელი დაიღბოს, ვითა შავი ტყეშალი და მიშმიში და პინდოური თამრი და ალარდენი და მსგავსი ამათი რომელ სტომაქი გაახმოს და მანკისა სათაენოჲ დაილიოს, და საქამადთა ისრიმი და ნიშო ჭამოს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: რაჲ დამპლისა სინედლისაგან იყოს რომელ სტომაქსა შეყრილ იყოს ანუ გასარეველისა დამპლისაგან იქნების რომელ ხორცსა ჩასრულ იყოს, ანუ მისგნით იქნების რომელ ღრძილი დამპლი იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს: რაჲცა დამპლისა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ჰყროდეს და რაჲ გრილი საქამადი ჭამოს უვარე იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ღრძილთაჲ იყოს იგი არს. რომელ კბილი შეჭმული იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: რაჲცა დამპლისა სინედლისაგან ქნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი, არს რომელ მრავალჯერ იარაჲ ფეყირაჲ ჭამოს და არწყოს. და რომელ მანკისა დედაჲ დაელიოს და მაშინ გაზრდილსა ზანჯაბილსა ჭამდეს და ტარეფულსა. და იქნების რომელ მანკისა დედაჲ თავისგან ჩამოსული იყოს, და ხორხთან შეყრილი და დამპალი იყოს. ესე ჰაბი იხმაროს რომელ მანკისა დედაჲ იფარ უყოს ვითარებაჲ მისი: სუდი და თრუნჯისა ქერქი, და ფაჩარი და ყარანფული და სიქი და ალვაჲ თვითოსაგან დრამისა წონი, მუშკი ყერატი ერთი, ყველაჲ დანაყოს და ცერეცოხსა წყლითა და ლეინოჲ რაჰანითა შეზილოს და ჰაბად შექნას, და პირსა დაიჭირვიდეს. და ესე გჳარიშნი პირისა სიმყრალესა, რაჲ დამპლისა ბალღმისგან იყოს ერგების, ვითარებაჲ მისი: ახლისა მორდისა ფურცელი ეტესი დრამისა წონი, ამოლაჲ და სუდი და ფაჩარი, და თრუნჯისა ქერქი და აღხარი, და მასთაქე და სიქი, და მუშკი და ყარანფული თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, ყველაჲ უგულოსა ჩამიჩსა თანა დანაყოს და ნიგვზისა ოდენი პირსა შიგან დაიჭირვიდეს.



ფოლოს იტყვის: ზანჯაბილისა გჭარიშნი და გულანგუბინე ჯამოს და მძღარძინ არწყოს, და გრილთა საქამადთა ერიდოს. და კალიასა მხურვალითა სანელებლითა შენილსა <sup>1)</sup> ჯამდეს, და საბრისა ჰაბსა და ყოყიასა ჰაბსა და ტარეფულსა ჯამდეს. და თუ მავჰან აბეკმაქი სჭას და ნიაბურსა ჯამდეს რომელ ხასიათი აქეს, და ჩამიჩისა მაჯღნი და მორდისა ფურცელი იხმაროს. და რააცა ღრძილი აყროლებული იყოს ზარნიხი და კირი, და გუნდაჲ და შაბი, და ეანგარაჲ თვითოხსგან ნაწილი ერთი დანაყილი, ძმრათა დააღბოს და კვერად შექნას და გაახმოს, და მანკისა ადგილსა მოაყაროს და ცოტასა ხანსა მიუშვას, და გარცხოს და მაშინ ვარდისა ზეთითა დააცხიბიანოს.

10 **შ. წაღისა დენაჲ პირისაგან მძინარსა.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასოჲძე იტყვის: ვითარებაჲ მისი სტომაქისა სიმხურვალისგან იქნების და სინედლისგან რომელ შეიყარნენ, ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან იყოს რომელ სტომაქი გაახურვოს და სინედლე გაეროს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ გემო პირისაჲ მწარე იყოს და საქამადი არ მოუნდებოდეს, და წყალი დია სდიოდეს პირისგან, მეტად სიმშოლისა ეანსა უფროჲ იყოს.

20 **კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს.** მასოჲძე იტყვის: იგი არს, რომელ პასალიყი გაიხსნას და მჯავეთა და შემკრველთა რუბთა იხმარებდეს, ვითა ბეჰესა რუბსა და ვაშლის რუბსა, და ისრიმის რუბსა და რააცა ამათ ჰგვანდეს, რომელ სტომაქისა სიმხურვალე დააწყნაროს და სინედლე მოაკლოს. და საქამადსა ვარისა ჯამდეს ისრიმითა შექნილსა ანუ ალარდნითა შექნილსა, და თუ ზირაბაჯი ჯამოს კარგი არს.

არზიჯანის იტყვის: რააცა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით უხზაჲ არდსა ჯამდეს მარილითა, და ქრთილისა და იფქილისა ხალი მარილითა ჯამოს, და ახალთა წყრილთა თევზთა ჯამდეს, და ხორცთა მაშუნეთა და ნატიფთა ჯამდეს ვითა ხოხბისა და და ვარისა შინაურისა, რომელ მჟავითა შექნილ იყოს. და მიწყით შემგბრისა ოსპისა წყლითა და თუთუბისა წყლითა და მჟავისა ბროწყულისა წყლითა პირსა გამოირცხდეს, და მჟავეთა მიელტვოდეს და თაფლიანთა და ტკბილთა ერიდებოდეს.

30 **მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის:** კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნელისა ჯულაბითა არწყოს და მაშინ სიქანგუბინითა ილარლაროს, და ყმაწულთა პირთაგან წყლისა დენისა კურნებაჲ იგი არს, რომელ აყაყიჲ ვარდის წყალსა ანუ შემგბარსა ლენისა შიგან დააღბოს, რომელ გადნეს შიგან და მაშინ ეამ ეამ პირსა შეუცხებდენ, და ხამს რომელ ძიძაჲ საქამადსა ცოტასა ჯამდეს, და სქელთა და უდნობთა საქამადთა ერიდებოდეს, და ნატიფთა მიელტვოდეს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. არზიასიოს იტყვის: ვითარებაჲ მისი სტომაქისგან იქნების მით, რომელ დიადი სინედლე მორეგნილ იყოს მისდა, ანუ საქამადთა ჯამისაგან იქების რომელ სტომაქსა ზედა მძიმე და უდნობი იყოს, ვითა ზროხისა ხორცი და მსგზავსი მისი.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ გემოჲ პირისაჲ მჟავე იყოს და წყალი პირისაჲ სქელი იყოს. და ნიშანი მისი რააცა მხურვალისა საქამადისა ჯამისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი მძიმედ იყოს და დია ნერწყვიდეს.

40 **კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისგან იყოს.** აბრისიოს იტყვის: იგი არს, რომელ უხმაჲმიწყით გულანგუბინსა ჯამდეს და მასთაქესა ცოხნიდეს და ჰნერწყვიდეს, და ცხელსა ჯულაბსა სმიდეს და ცოცოტად ტარეფულსა ჯამდეს ვითარებაჲ მისი: ჰალილაჲ ჯაბულური და ჰალილაჲ და მლაჲსა უგურკო თვითოსაგან ნაწილი ერთი, ყველაჲ დანაყილი ნუშის ზეთითა შეზილოს და წამალთა ყოველთა ოდენი თაფლი წმიდაჲ გაპრიოს, და

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დენის ხელით.



ქვევრსა შიგან ჩადვას და ხმარებისა ეამსა ორისა დრაჰკინისა წონი იხმაროს. მაშა თუ წყლისა დენაა დია იყოს და ამით არ გამრთელდეს, ცოტაა თესლი თეთრისა სისხლისა შაქარსა გაპრიოს და იხმაროს. და საჭამადსა ტრედის ხუნდისა შემწვარსა ჭამდეს, ანუ მუტანჯანაა აბეკმაქითა და ძმრითა ილარლაროს უზმამან. და თუ ამით წამლითა არ იჯობინოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ არწყვიოს და სტომაქი განწმიდოს, და მაშინ გაზრდილი ჰალილაა იხმაროს ერგების.

10 მესია იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ბოლოკისა წყლითა არწყვიოს, ანუ ნელითა თავლის წყლითა, რომელ მანკისა დედაა დამკრდეს. და მაშინ ცოტაა მდოგვი დანაყილი იუქლისა ხალსა გაპრიოს და უზმამან იხმაროს და მაშინ აბეკმაქითა ილარლაროს, და გაზრდილსა ჰალილაას, ჭამდეს და მიწყით მასთაქესა ანუ თეთრსა საკმელსა ცოხნიდეს და ნერწყვიდეს. და დურაჯისა ხორცსა და თიჰოისასა ჭამდეს რომელ შემწვარ იყოს ანუ კალიასა და ხოხობისა ხორცსა ჭამდეს ერგების. და მყავეთა და უდნობთა საჭამადთა ერიდებოდეს, და თეთრთა საჭამადთა ერიდოს და უზმაა იარებოდეს ერგების.

შა. განივებაა პირისა სიმხურვალისგან თუ იყოს. ვითარებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. მუჰამედ შაქარიას ძე იტყვის: ენისა გასივებაა სისხლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალი მანდა შეაყენებს მას, და დიდხან შეყრილ იყოს მუნ.

20 ნიშანი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ წითელი იყოს და გასივებული იყოს და ტკივილი ვითა ისარი ფეჭდეს და ენისა ძარღვი ადგომილ იყენენ და სიგრილე ელხინებოდეს.

კურნებაა მისი რა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ ენასა ქვეშეთ ძარღვი გაიხსნას, და ხეარტისა და ნედლისა ქინძისა წყლითა პირსა გამოიკციდეს, ანუ გაკვივებულითა ვარდის წყლითა და თუთუბისა წყლითა, დია ერგების. და საჭამადსა ისრიშისა ურწყოსა ჭამდეს და თუთუბისასა. და რაა მანკისა დედაა დამკირდეს სელისა ლუაბითა პირი გამოიკცოს. და თუ სიმსივნე თხაზლად შექნილ იყოს ლელი წყლითა შეავბოს და ცოტაა მური მას წყალსა გაპრიოს, და ცოტაა შემგებარი ღვინოა გაპრიოს, და ცოტაა იისა ზეთი და ყველაა ნელად ვაატფოს, და პირსა მაგით გამოიკციდეს, რომელ სიმსივნე დააცხროს, და ახლითა სძითა პირსა გამოიკციდეს, და თეთრი მალჰამაა და აფიონი და ვარდისა ზეთი შემოსდვას.

30 ჯალინოს იტყვის: ყიფალი გაიხსნას და ნიკაჰსა ქვეშეთ ქიქაა მოჰკიდოს და ძმრითა და წყლითა ილარლაროს. და ხილთა წყალი და ქრთილისა წყალი სუას. და ენასა ატმისა წყლითა, ანუ ხეარტისა წყლითა, ანუ მყავეთისა ბროწყელისა წყლითა კარგად იზელდეს. და ენასა ქვეშეთ ძარღვი გაიხსნას და თუ ოსპისა წყალი და ქინძისა წყალი კატკატოშსა წყალსა გაპრიოს, და ცოტაა სიმხური მიწაა დანაყილი შიგან გაპრიოს, და პირსა შიგან დაიჭიროს, და ენასა ნით იზანდეს, რომელ მანკისა დედაა გაანქროს და ერგოს.

რაფის იტყვის: ყიფალი გაიხსნას და ხილთა შემგებრითა წყლითა მუცელი დაიღობოს. და ბროწყელისა წყლითა და ტუტითა ილარლაროს, და სიმხურვალეთა ერიდებოდეს და მყავეთა მიელტვოდეს. და თუ ხეარტისა წყლითა, ლისნალჰამალისა წყლითა ილარლაროს კარგი არს. და თუ თარფი რომელ ყუეტსა ჰვავს, სიმხურად ჩორათანი ქვიან, და თრუნ-

40 ჯისა სიმჟავე ზედა იცხოს ერგების. კურნებაა მისი რაა სიგრილისგან იყოს. და ვითარებაა ენისა სიმსივნისაა რაა სიგრილისგან იყოს. მასოას ძე იტყვის: სისხლისა გლუსუნისა ბალღმისა სისქისგან იქნების, ანუ სეველისა სიმრავლისაგან და მისისა ძალისაგან, რომელ შიგან შეყრილ იყოს და მოერიენეს, და ამისთვის შესივებულ იყოს.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაა ბალღმისგან იყოს რომელ სიმსივნე ლბილი იყოს და ფერად თეთრი იყოს და არ დია სტკივოდეს, და ნიშანი



მისი რააცა სევდისგან იყოს, იგი არს რომელ სიმსიენე მაგარი იყოს და უფროდ მაგარე მანი იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასოჲს სე იტყვის: რაჲ სიმსიენე ბალღისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ იარაჲ ფეყირაჲთა მუცელი დაიღბოს და თაფლითა და აბეკმაქითა პირსა გამოირცხიდეს. და საჭამადსა ზირაბაჲსა ჰამდეს ურწყოჲსა ანუ მუხუდის წვენსა. და თუ მანკი ძქელი იყოს ძქელი გულანგუბინი ძირაჲსა წყლითა გაპრიოს და უზმაჲ იხმარებდეს, და ზანჯაბილსა და დარაფილვილსა დანაყილსა ენასა ქვეშ შეიტხებდეს რომელ ბალღამი გაადნოს და მანკისა სათაენოჲ გაუჩინაროს. და იღარღაროს მასთაქისა წყლითა, და თაფლისა წყლითა რომელ მხურვალითა სანელგბლითა 10 შექნილიყოს. და მიწყით თეთრსა საქმელსა ცოხნიდეს და ნერწყვისა გააგდებდეს. და უდნობთა საჭამადთა ერიდებოდეს. და თუ ვირისა სძითა და თაფლისა წყლითა და შემგბრითა უღბისა წყლითა, და ვარჰარამის ძირითა და ლეღვითა დარღარაჲსა იქმოდეს.

ბაყრატი იტყვის: თუ სევდისგან იყოს, აფთიმონისა მათუხითა მუცელი დაიღბოს და მაშინ სოსნისა ზეთითა, ანუ შინაურისა ქათმისა ცმელითა, ანუ ბატისა ცმელითა და იისა ზეთითა ენასა იხელდეს. და თუ ცოტაჲ ვირისა სძე, ანუ თხისა სძე ნელი მოიღოს და პირსა ნით აბანდეს კარგი არს. და თუ ცოტაჲ იისა ზეთი შემგბარსა ლეღვისა წყალსა და უღბაჲსა ლუაბსა გაპრიოს და უზმაჲ პირსა მაგით გამოირცხიდეს, კარგი არს.

პუნაჲნი იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ აფთიმონის მატუბითა ტანი გაწმიდოს და მაშინ სელისა ლუაბი, და ლეღვისა წყალი, და ნილოფრისა ზეთი ყველაჲ ერთგან გაპრიოს და უზმაჲ მრავალჯერ პირი რაგით განოირცხას და სევდიანთა საჭამადთა და რომელ უდნობი იყოს ერიდებოდეს, ერგების.

**შბ. ენისა მახევილოგაჲ რომელსა ჰძვიან არაბულად ულაჲ** <sup>1)</sup> ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ ენისა ტყავსა შიგან შეყრილ იყოს და მორყენილ იყოს, ანუ სისხლისა სიმეტისაგან, რომელ გახურებულ იყოს და მისგნით ესე მანკი გამოიჩნდების.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რააცა ზაფრისგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ გაბერილობისა ფერი მოყვითლე იყოს და დია ხურვიდეს და ტკივილი ფეთქდეს. და ნაშანი მისი რააცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ მანკი წითლად იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: 30 რააცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას ანუ ნიკაჰსა ქვეშე ჰქიჲ მოჰკიდოს ანუ ჩარაჲვი გაიხსნას, და მაშინ ხმელი ვარდი და თუთუბაჲ და ქინძი და ბროწყელისა ყუაილი ყველაჲ დანაყოს და ვარდისა ზეთითა, და თეთრითა ცელითა, და ცოტაჲთა ქაფურითა ერთგან ვითა მომროლანი შექნას, და ენასა ქვეშე იცხებდეს. და თუთუბაჲ და ოსპი და წითელი ვარდი ყველაჲ წყლითა შეავბოს და წყალი მისი დაწუროს და მიწყით პირსა მით გამოირღუნიდეს, და თუ ენაჲ ნუშისა ზეთითა იხელოს და მაშინ ტაბაშირი და ქინძი და თუთუბაჲ და ვარდი და კატკატოჲსა თესლი ყველაჲ გაგლილი ზედა მოაყაროს. და თუ ესე მანკი ყმაწვილთა სჭირდეს დედამან მისმან ყოფალი გაიხსნას და ანუ ჰქიჲ მოიკიდოს, და საჭამადსა თუთუბისა ურწოჲსა ჰამდეს ანუ ალარდნისასა, და ხორცსა და თაფლიანთა ერიდოს, და ციკარსა ქრთილისა წყალსა და ბროწყელისა ყვაი- 40 ლსა, და კატკატოჲსა თესლი სიქანგუბინითა იხმაროს.

მესია იტყვის: თუ ზაფრისგან იყოს ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს ანუ პინდოფრისა თამრისა წყლითა, და თუ იისა შარაბი და ხმელი ქინძი წყლითა შეავბოს და თუთუბაჲ მისსა წყალსა შიგან დააღბოს და მით პირსა გამოირცხიდეს კარგი არს. და თუ ხმელი ქინძი და თუთუბაჲ და ვარდი და ოსპი და შობილი, და ტაბაშირი და ნიშასტაჲვი და კატკატოჲსა თესლი, და შაქარი ტაბარზაჲვი და სანდალი ნაწილი ერთი, ქაფური ნაწილისა მეოთხედი

<sup>1</sup> სარაგენი სწერია „ყილად“.



ყველა წმიდად გაგალოს და ტკივილსა ზედა მოაყაროს. და სიმხურვალესა გრიდოს და მკავეთა მიელტვოდეს. და თუ ქინძისა წყალსა რომელ შიგან ყურძნისა ტყეა და ყვეტიმი შემგებარ იყოს პირსა შავით გამოირცხიდეს კარგი არს უზნასა, ერგებისა

ვითარება მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მისარჯოა იტყვის: ვითარება ამის მანკისა ბალღმისა მლაშისგან იქნების რომელ ბუნებისა ძალი მას ენისა ძირსა გაჰგზავნის, ანუ დამწერისა სეველისა მორევისაგან იქნების რომელ ესე გამოჩნდეს. ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ვაბერილი წჭრილი ენასა ზედა გამოჩენილ იყოს, ანუ პირისა შიგან, რაჲცა ფერად თეთრი იყოს ბალღმისგან არს და რაიცა შავი და მავარი იყოს სეველისგან იყოს.

10 კურნება მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მისარჯოა იტყვის: რაჲცა გლაშისა ბალღმისაგან იყოს საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღბოა რომელ მანკსა სათაგნოა დააკლდეს ვითარება მისი: კილაზონი და ყასაბადირაჲ და ბალასნისა მარცტალსა და აღხარისა შქუთაჲ და სალიზაჲ და ყუოფაჲ თვითოვსაგან ორისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი ორითა ლიტრითა წვიმისა წყლითა შეაბვოს და აღუღოს რომელ ნახევრად მოვიდეს, მაშინ სამისა დრამისა წონი საბრი გაპრიოს და მზესა დადვას რომელ დაწრდეს, და ზაფრანაჲ და მისთაქე და წური თვითოვსაგან დრამისა წონი: გაპრიოს და მაშინ ყველაჲ ერთგან გაგალოს და ჰაბად შექნას, სამისა დრამისა წონი ხმარებისა ჯმისა იხმაროს, და მაშინ არჯასპი და ცერეკოჲ წმიდად დანაყოს და თაფლსა გაპრიოს და ენასა ქვეშეთ იხელდეს, და აბეკაქითა იღარღაროს და ზეთის ხილისა ფურცელი და მარზანგოში წყლითა შეაბვოს და მისითა წყლითა პირსა გამოირღწინდეს, და ბროწეულისა ყტაყელი, და მამირონი და ყაყულაჲ თვითოვსაგან ერთი ნაწილი, დანაყილი, მანკისა აღგილსა მოაყაროს. და უზმაჲ გულანგუბინისა ქამდეს, და თუ პატარასა ყმასა სჭირდეს წამალი მისი დედამან ქამოს<sup>1)</sup>.

ჰუნანაჲ იტყვის: თუ სეველისგან იყოს აფთიზონისა მატუბითა მუცელი დაიღბოს და ზეთისხილისა ფურცელი და ავსაჲსა ფურცელი, და აყაყიაჲ და ზაფრანაჲ, და არჯასპი ყველაჲ დანაყილი და გაცრილი ზედა მოაყაროს ერგების, და გრილთა საჭამადთა ერიდოს და ნატიფთა მიელტვოდეს.

შგ. ვნა რომელ გემოა მძციოს, არაგულად ლაღარა დავეი ჰქვიან. ვითარება მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს.

30 თებით ყურაჲს ძე იტყვის: ვითა ესე მანკი სისხლისა მორევისაგან იქნების რომელ ენისა ტყაესა შიგან შეყრილ იყოს და ბუნებაჲ მისწორისაგან აქციოს იგი, ანუ ზაფრისა მორევისაგან იქნების.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს: რაჲ სისხლისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ მიწყით გემო პირისაჲ ტკბილი იყოს მეტად უზმისაჲ, და ნიშანი მისი რაჲცა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ გემოა მწარე და არ ჰამოჲ იყოს.

40 კურნება რაჲ სიმხურვალისგან იყოს. თებით ყურაჲს ძე იტყვის: ვითა ესე სისხლისა მორევისაგან იქნების. კურნებაჲ იგი არს რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ ყელსა ქიქაჲ მოჰკიდოს და ისრიმისა შარაბსა და ტყემლისა შარაბსა იხმარებდეს, და სიქანგუბინი სტას და ბროწეული ტკბილი და შეავე ქამოს. და ხორცხა და თაფლიანთა ერიდებოდეს და მკავეთა მიელტვოდეს, ვითა ისრიმისა და აღარდენსა და თუთუბასა და უნაბსა და ტყემალსა და ნიშოსა იხმარებდეს და ტუტისა შარაბსა და მკავესა ვაშლისა შარაბსა იხმარებდეს, მას დია აშუნია და სიქანგუბინითა ანუ ბროწეულისა წყლითა უზმაჲ პირსა გამოირღწინდეს. და თუ კაცი გაცივებულითა ვარდის წყლითა და თუთუბის წყლითა რომელ ცოტაჲ ქაფური შიგან რთულ იყოს იღარღარებდეს, კარგი არს.

1) ამ გვერდის ქვემო აწიხე რვეულთა სათვალავი სწერია „კდ“ და შემდგომ გვერდის ქვემო აწიხე „კე“



მასოჯას ძე იტყვის: რააცა ზაფრისგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ შაჰნარი მისითა ცმელითა დანაყოს და უზომიან წყალი მისი იხმაროს, (ნუ თამარჭინდისა შარაბსა სმიდეს<sup>1)</sup>) და თუ თამარჭინდისა წყალი სიქანგუბინითა და შაჰნარისა ბროწეული-სა წყლითა გაპრიოს და მიწყით იხმარებდეს კარგი არს, მანკა დაპლესს. და თუ კატაკოასა თესლი და კიტრისა წყალი სიქანგუბინსა გაპრიოს დია კარგი არს. და თუ მანკი ძლიერად იყოს და მუცელი შეკრული იყოს ყვითლისა პალილასა მატბუხი იხმაროს და ბროწეულისა წყალი და ტყე<sup>2</sup>ლისა წყალი იისა შარაბსა გაპრიოს და უზმა იხმარებ-დეს. და ნუშისა შარაბი, და ტყემლისა შარაბი, და თრუნჯისა სიშეავისა შარაბი ესე ყველაჲ მას დია ერგების. და სიმბურვალესა და თაფლიანთა ერთდებოდეს და მკავეთა მიელტეო-დეს ვითა ისრინი და თუთუბაჲ, და რააცა ამით ჰკვანდეს. და საჭიროსა და ძნელსა სა-ქმარსა საქმეთა ერთდებოდეს, და ერგების შეწვინთა ღმრთისათა.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. არხიჯანოს იტყვის: ესე მანკი ბალღმისა სიმრავლითა და მორევისა მისისაგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალმან იგი ენასა ქვეშე შეჰყაროს და ბუნებაჲ მისი სისწორისგან შესცვალოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ მიწყით გემოჲ პი-რისა მკავე იყოს ანუ მლაშე. მაგრა უზმაჲ რაჲ იყოს სიმკავე და სიმლაშე უფრო შეექნე-ბოდეს და უფროა ძალიანი იყოს პურკმულისა.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. არხიჯანოს იტყვის: იგი არს, რომელ სიქანგუბინითა არწყიოს და თბილის წყლითა და მარილითა, რომელ სტომაქი გაწ-მდეს და მანკისა დედაჲ დამცრდეს, და მაშინ უზმაჲ ძველსა გულანგუბინსა იხმარებდეს. და თუ ამით რომელ გვიოქვამს არ გამრთელდეს იარაჲსა იხმარებდეს ესრე ვითა გვიოქვამს: იარაჲ ფეყირაჲ და თეთრი თურბითი, და პალილაჲ ქაბულური და ყვითელი პალილაჲ თვითოსაგან ნახევარისა დრამისა წონი, მარილი ნავთი დანგი ნახევარი, საბრი ასეტორი და ანისონი თვითოსაგან ორისა დანგისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი წყლითა შეხილოს და პაბად ქნას და ხმარებისა ემისა იხმაროს. და ეგეთთა საქამადთა რომელ ბალღამსა მატებდეს ერთდოს, ვითა სძე და მაწონი და მსგზავსი მათი. და საქამადსა თიპ-ოასა შემწვარსა და ზირაბაჯსა ჰამდეს. და მიწყით პირსა თბილითა წყლითა იბანდეს და მოირღუნიდეს ერგების.

მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: ნელითა ჯულაბითა არწყიოს ანუ ცერეცო-ასა წყლითა რომელ სტომაქი გაწმდეს მისი, და სიქანგუბინი თბილითა წყლითა რომელ შიგან ცოტაჲ ალვაჲ და ანისონი რთულ იყოს უზმამან იხმაროს. და თბილი წყალი რომელ შიგან დანაყილი მასთაქე რეულ იყოს მისთვის კარგი არს. და ნიადგ სიქანგუბინითა ილა-რლარებდეს და თიპოასა ხორცსა ჰამდეს კალითა ანუ მოტანჯანითა, და ასფანახისა ურ-წყოასა მუხუდისა და ნუშის ზეთითა ჰამდეს და გრილთა საქამადთა ბალღმისა მიმმატებე-ლთა ერთდებოდეს, და სიმბურვალეთა მიელტკოდეს. და თუ მანკი ძნელი იყოს ჯალინოსის იარაჲსა ჰამდეს ერგების. და სტომაქი ჰეთა მანკთაგან გაიწმიდოს და მაშინ მასთაქესა და ანისონსა გულანგუბინითა ძველითა მრავალჯერ ჰამოს, ერგების თუ ღმერთსა უნდეს.

40 **ჟღ. ენისა სიწყალუღე და სიმძიმე და სისუსთე შიგან.** ვითარებაჲ ენისა სიწყალულისა. ისაჲ იტყვი: ესე მანკი უფროასი გაბერულობი<sup>3)</sup> და ენისა სიწყალულისაგან იქ-ნების, და ეგების რომელ ფიცხელისა ზაფრისგანცა ქნილ იყოს, რომელ ენისა ტყავსა შიგან გამაგრებული და მორეწილი იყოს.

ნიშანი ენისა სიწყალულისა, რააცა გაბერილობისგან ქნილ იყოს და სიმსიფ-ნისგან, იგი არს, რომელ ცხადად არს, და თქმაჲ არ უნდა, და ნიშანი მისი რააცა ფიცხე-

<sup>1)</sup> ამ გვერდის აშთახე სწერია მხედრული ხელით „თამარინდი ინდოური ტყემალი“.



ლისა ზაფრისგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ენაა ხურვიდეს და წითლად იყოს და ვვი-  
თლად მოაჩვენებდეს, და ტკივილი ვითა ისარი ფეთქდეს.

კურნებაა ენისა სიწყლულისაა. ისა კიტყვის: ვითარებაა მისი სიმსივნისა და გაბერილობისაგან იქნების. კურნებაა მასი იგი არს, რომელ თეთრითა მალაჰამითა და ეგრე ვუარითა რომელ გაბერილობისა და გასივებისათვის ესთქვით ეგეთითა ჰყურნოს, და რააცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ბროწეულისა მეთვისა და ტკბილისა წყალ-  
სა ჯულამითა შესმიდეს, და რევასისა შარაბსა და თამარჰინდისა შარაბსა, და რააცა ამით ჰგვანდეს სუმიდეს ერგების, და ხილთა წყლითა შემგბრითა მუცელი დაიღბოს ანუ თამარჰინდისა წყლითა, და ტყემლისა და მიშმიშისა წყლითა და რააცა ზაფრისა გარდაიღებდეს.

10 და ესე წაწალი შემოაყაროს ვითარებაა მასი: ვარდი ორისა დრამისა წონი და ნახევარი, ნიშასტაგი დრაჰმისა წონი, კატაქტოასა თესლი და ოსპი ქერქ გამოხდილი და შაქარი თვი-  
თოსასაგან ორისა დრამისა წონი, ყაყულაა და ზაფრანაა თვითოსაგან დრამისა, წონი ქა-  
ფური დანგი ერთი, ყველაა დანაყილი და გაცრილი იხმაროს.

იოჰანაა იტყვის: ეგეთსა რასმე ჰამდეს რომელ ზაფრისა გარდაიღებდეს ვითა შაწან-  
რისა ბროწეულისა წყალი და თამარჰინდისა წყალი და ტყემლისა წყალი. და ურწყოსა ჰამდეს ისრიმისა და ალარდნისა და სიმბურვალესა ერთდოს და მეთვეთა მიელტვოდეს.

და ვენისა და ნაჰილოჯია ვითაგვა გახეთილოჯისა. მუჰამედ ზაქარაას ძე  
იტყვის: კურნებაა იგი არს, რომელ ბაზრაყატუნსა შაქრითა იხმარებდეს და ქრთილისა  
წყალსა და ბაზრაყატუნისა ლუბსა მიწყით პირსა შიგან დაიჭირვიდეს ერგების. და საჭა-  
20 მადსა ვარიისა და ამოხავებულსა კვერცხსა ჰამდეს და კიტრსა იხმარებდეს, დანითა მოჰკვე-  
თოს და ერთმანეთსა ზედა გაუსვას და რაა ჩისგან პერული გამოვიდეს და მას პერულსა  
ენასა იცხებდეს ერგების. და მიწყით სეფოსთანსა პირსა შიგან დაიჭირვიდეს და ეგეთთა  
რასსმე ჰამდეს რომელ სტომაქსა გააცივებდეს.

სისუსთა და სიმძიმე ვენისა. მუჰამედ ზაქარაას ძე იტყვის: ვითარებაა მისი  
ერთი ბარსამისგან იყოს, და მეორე ენისა საქციელთა სიმოკლითა, მესამე ლუდედისაგან  
რომელ ქვეშეთ გამოჩნდეს, და ლუდედი კორძგუარი რაამე არს, და მისიანი ხორცთაგან  
გამოვადებენ, სადცა ხორცთა შიგან იყოს და არაბულად მას კორძსა ლუდედსა ტაფდაა  
ჰქვიან და თარგმანი მისი წყურბი, და მეოთხე ფიცხელთა ცხროასგან იქნების.

ნიშანი მისი რაა ენისა სისუსთისა და სიმძიმისგან იყოს. ნიშანი  
20 მისი რაა ბარსამისგან იყოს იგი არს, რომელ ძლიერისა მანკისგან იყოს და რააცა ენისა  
საქციელთაგან იყოს იგი არს, რომელ იგი ძარდენი რომელ ენასა ქვეშეთ არიან ცალსა  
კერძსა მოკიდებულ იყვნენ, და რააცა ლუდედისგან იყოს იგი არს, რომელ ენა მაგრად იყოს.

ნიშანი<sup>1)</sup> ენისა სისუსთისა და სიმძიმისა: კურნებაა იგი არს, რომელ  
რააცა ბარსამისგან იყოს კურნებაა იგი არს, რომელ ენასა ქვეშეთი კერძი ანდრანულითა  
მარილითა და ნიშადურითა იხელოს, და თუ ენისა სიმძიმე აბლად გამოჩენილ იყოს ასონი  
ბნელად იქნებიან, და მას ფელიჯისა კურნებაა უნა ვითა ფელიჯისათვის გვითქვამს, და  
რააცა ენისა საქციელისგან იყოს იგი არს, რომელ რააცა მოკიდებულ იყოს ენისად მოჰ-  
კვეთოს. და ნიშანი მისი იგი არს, რომელ მოკიდებული ენისა თავამდინ მოსწორებულ იყოს-  
და რააცა ლუდედისგან იყოს იგი არს, რომელ თუ ლუდედი დიდი იყოს გააპოს და კიდე გა-  
40 მოილოს მისგან, და თუ ცოტაა იყოს ფიცხელი წამალი მოაყაროს ზედა, ვითა არჯასპი და  
ჟანგარაა რომელ გააღნოს. და თუ არჯასპი დამწურარი და სორინჯანი კვერცხისა თეთრისა  
თანა გაპრიოს და ენასა შემოსდეს ადრე გააღნოს მას. და რააცა ფიცხელთა ცხროათგან  
ქნილ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ენაა დამცრდეს და დაწყლულდეს და დამო-  
კლდეს და მას თაშანუჯი ჰქვიან.

<sup>1)</sup> ტექსტში ეს სიტყვა შეცდოვით სწერია უნდა იყოს „კურნებაა“.





კურნება მისი იგი არს, რომელ თბილი წყალი ყვრიმალთა და კეცერეს ზედა ისხას და მაშინ ერბოთა შეზილოს, და ნელი ერბოთა პირსა შიგან დაიჭიროს და ცხრეცხრასა ზეთი და ბაბუნაა შესცხოს.

მაღაინი იტყვის: ენისა სიმძივე რომელ ბალღმისგან ნიშანი იყოს, და დაძველებულ იყოს გულანგუბინი ზანჯაბილითა იხმაროს, რომელ სინედლე გაიხსნას და სიქანგუბინითა ილარღაროს. და გრილთა საქამადთა ერიდოს და შორეასა მხურვალითა სანელეზლითა შექნილსა ქამდეს. და რაჲ მოკიდებული ენისა მოჰყვეთოს სიქანგუბინითა ილარღაროს. და გრილთა საქამადთა ერიდოს. და თუ სიმსიენისგან იყოს, ნუშისა ზეთი და იისა ზეთი და გრილი ლუბაბი შემოსდვას. და თუ ბალღმისგან იყოს ყოყიასა ჰაბი ქამოს, და უდნობთა საქამადთა ერიდოს, ერგების.

10

**შე ძამისა ჩამოსულა რომელსა ჰქვიან ხასა თუ სიმხურვალისგან იყოს.**

ვითარებდა მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს.

მასარჯოა იტყვის: ესე შიჲ იქნების რომელ სინედლე სისხლსა გაერიოს, მერვე ბუნებისა ძალმან იგი სისხლი მუნ გამოგზავნოს, რომელ მუნ შეიყარნენ და მათ სინედლეთგან გასუსთდეს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ რაჲ პირი აღრინოს და ენა გამოყოს სასაჲ ნახოს ჩამოსული, და დია წითელი იყოს, და ხურვიდესცა და სტკივოდეს.

კურნება მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასარჯოა იტყვის: იგი არს, რომელ ყითალი გაიხსნას და ძმრითა და ვარდის წყლითა ილარღაროს, და მორდი და დანაყილი სანდალი და ცოტად ქაფური მას გაჭიროს და შესცხოს. და თუ დელამოტისა წყლითა და მარლითა და გუნდათა და ძმრითა ილარღაროს დია კარგი არს. და ვიდრემდე შეიძლოს ღბილსა წამალსა იხმარებდეს ვითა ნიშანთაგი და ქათირაჲ, და ბაზრატუნისა ლუბაბი, და ბეჭეს გულისა ლუბაბი და ბალბაჲსა თესლი და მსგზავსი ამათი. და მაშინ ანაკეტისა წყლითა და ქრთილისა წყლითა, შემგბრითა ღვინითა, ვარპარამის წყლითა ილარღარებდეს.

20

მაღაინი იტყვის: სასაჲსა ჩამოსვლაჲ ზორხთა სიმსიენისაგან არს, ეგრე ხამს რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს თუთისა შარაბითა, და ვარდითა და ძმრითა და ხავარტის წყლითა, და ნედლითა ქინძითა ილარღაროს. და ვარდისა წყალი და ქაფური და სანდალი შემოსცხოს, და სიმხურვალეთა ერიდოს და ისრიმსა და მსგზავსა მისსა იხმარებდეს. და თუ კისერსა კიქაჲ მოკიდოს ერგების, და მხურვალთა საქამადთა და სიტკბოთა და თაფლიანთა ერიდოს.

30

ჰუნაჲნ იტყვის: ხელი გაიხსნას და ყვითლისა პალილაჲსა წყლითა მუცელი დაიღბოს. და მაშინ ყურძნისა წყლითა, რომელსა ჰქვიან ძაღლის ყურაჲნი, და თუთუბაჲსა შემგბრისა წყლითა და შემგბრისა გაზისა წყლითა, და გუნდაჲსა შემგბრისა წყლითა ილარღაროს, და ამათ მანკთაგან რაჲცა უფროჲსი იყოს უფარესია.

კურნება მისი. იგი არს, რომელ თუთუბისა წყლითა და ნარსაქისა წყლითა და ხაზხაზითა, და ძაღლია ყურძნითა და ნედლისა ქინძისა წყლითა ილარღაროს. და ზორხი მავრად შეიპყრას, თუთაჲსა რუბითა ილარღაროს. და ვარდი და სანდალი და ბროწეულისა ყუაგილი, და ქაფური და თუთაჲსა რუბი, ერთგან გაჭიროს და თითსა შემოსცხოს და სასაჲ მით აიღოს და სიმხურვალეთა და თაფლიანთა ერიდოს.

40

ხასაჲსა ჩამოსულა რომელ სიმრავლისგან იყოს. მბუჯარაიჲ იტყვის: ვითარება მისი ბალღამურისა გააარეველისგან იქნების რომელ სინედლე მოერიოს მას, და მაშინ სასაჲსა შიგან შეჰყაროს, და სინედლისა სიმრავლითა გასუსთდეს და ჩამოვიდეს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ სასაჲ მისგან უფროჲსი იყოს რომელ ყოფილ იყოს, და ფერად თეთრი იყოს, და რაჲ მხურვალთა პირსა შიგან დაიჭირვიდეს ელხინებოდეს, და დია არა სტკივოდეს და საქამადსა ძლიეს შთანთქმიდეს.



კურნებაა ნისი რაა სივრცისგან იყოს. აბჯრიძ იტყვის: /კუნნი-  
ბაა იგი არს, რომელ აბეჭმაქითა და სპანძელისა წყლითა იღარღაროს. და რაა შჩჩი დაუ-  
წყულულდეს და წითელი არ იყოს ხამს მოკჭეთა მისი. და ძმრითა და უარდინა წყლითა  
იღარღაროს, და დანაყლი ნიშადური შესცხოს, და თუ გუნდაა და ნიშადური და თეთრი  
არჯასპი დანაყლი და მარლი შესცხოს კარგი არს. და თეთრი არჯასპი ძმრითა და თაფ-  
ლითა შეაგბოს და შესცხოს ერგების. და მიწყით მარლ წყლითა იღარღარებდეს რომელ  
ძირი არ დაუწლდეს, რომელ საშიშოა იქნების, რომელ სისხლი არ დაწრდეს და მჭავე ბრო-  
წუელი მისითა ცმელთა დანაყოს და მისითა წყლითა იღარღაროს. და რაა დაძველდეს  
ღონე და კურნებაა მოკჭეთისგან კიდე არ იქნების.

10) ისაჲ იტყვის: რომელ ლეღვი შემგბარი ჭამოს რომელ თავი და ტვინი მანკისა  
სათანოვსგან გაწმდეს. და უზმაა ჩამიჩი და გულანგუბინი ჭამოს, და თესლითა შექნილითა  
სიქანჯუბინითა და სპანძელითა იღარღაროს. და სასა ფაჩართა და ვაგლილითა სუღითა  
აიღოს. და სივრცელთა ერიდებოდეს და ნატაფთა მიელტვოდეს და მუხუღისა წვენსა ჭამდეს.

იოჰანა იტყვის: ყუსტი თაფლისა შივან დაალოპს და მით იღარღაროს, და ცე-  
რეკოა დანაყოს და ქყუშეთ უემოლოს, და ესე იწაშლოს ვითარებაა მისი: შამითაა და ვარ-  
დი და თესლი მისი, და თუთუბაა და ზაფრანაა, და თავდარი და რუბასოსი, და სპარსული  
ქონდარი და აყირყირაა, და პილპილი და დარაფილფილი, და გაზმაზვი და ბროწეულისა  
ქერქი, და ზარდარჩობაა და ყუთელი ჰალილაა, თეთოსსაგან ნაწილი ერთი, შაბი და ჰეტუ-  
ტი და ინაა, და ყაყულაა და წითელი ზარნიჩი, და ყუსტი თეთოსსაგან ნახევარი ნაწილი

20) ყველაა დანაყილი და გაცრილი მანკისა ადგილსა შესცხოს, და ნატაფთა საჭამადთა იხმა-  
რებდეს რომელ ერგოს კარგად.

შჰ. ხანისა: სიმსივე და ჩამოსულაა მრთა კვიკვიტა რომელსა ჰძვიან აბაბულად  
დუგადმა ვითარებაა სასისა სიმსივნისაა. როფის იტყვის: სისხლისა სიხურეალისა  
და მორევისაგან იქნების, ანუ ზაფრისა სიფიცებისა და მორევისაგან, ანუ ჰავთა ბალღამთა  
საჰავითა და სიმრავლითა, და ანუ სეედისა მორევისა და სიფიცებისაგან, თუ ამა ოთხთა-  
გან ერთი ანუ ორი რომელსა შივან შეყრილიყოს.

ნიშანი სასაა და სიმსივნისა რაა ცუა სისხლისგან იყოს. ნიშანი იგი  
არს, რომელ დია სტკიოდეს და ფერად წითელი იყოს. და მავისი ნიშანი რომელ ზაფრისგან  
იყოს იგი არს, რომელ სწყუროდეს და სტკიოდეს. და რაა ცუა ბალღმისგან იყოს იგი არს,  
30) რომელ ლბილად სტკიოდეს. და რაა ცუა სეედისგან იყოს გაგრძელდების.

კურნებაა სასისა სიმსივნისაა. როფის იტყვის: სიმსივენე ჭამიანაა რაა  
განოჩნდეს შრავალ ფერი იქნების და მით დია სახელი ჰქვიან, მით რომელ იქნების, რო-  
მელ სასაა ერთობითა გასიედეს მაშინ ასტეინი ჰქვიან, და მისი გაკუეთა არ ეგების, მით  
რომელ სისხლი არ უკუდგების. და ეგების რომელ სასისა თავი გასიედეს და მას ანაბი  
ჰქვიან, ეგების მოკეეთა მისი, და ეგების რომელ სასააა ძირი გასიედეს და ანაბი ასლი  
ჰქვიან და ამისი გაკუეთაა არ ეგების რომელ საშიშო არს, და გასიედების ვითარებაა  
რომელ სისხლისგან იყოს ყიფალი გახსნას, და ტუტისა შარაბითა და რევისისა შარაბითა  
იღარღაროს. მაშა თუ არ უჩინარ იქნას, ტყემლისა წყლითა და ჰინდოჯრისა თამრითა მუ-  
ცელი დაიღბოს, და მაშინ ვარდი და ბროწეულისა ქერქი და გუნდაა და ოსპი და თუთუ-  
ბაა და მორდის მარცული წყლითა შეაგბოს და მით იღარღაროს. და ქრთილისა წყალსა  
40) ხუშის გულისა ზეითთა იხმარებდეს. და საჭამადთა თუთუბისა ურწყოასა და აღარდინისა  
ჭამდეს. და რაა სიმსივენე ზაფრისგან იყოს მუცელი დაიღბოს ხიარშამბრისა ფოლოსითა,  
ვითამცა გულითა, და თარანგუბინითა და ძაღლის ყურძნისა წყლითა იღარღაროს. და  
ქრთილისა წყალი, და კატკატოასა თესლისა წყალი ბაზრავატუნისა ლოაბითა იხმაროს, და  
ბეჭეს გულისა<sup>1)</sup> ლუაბითა, და ხაშხაშისა შარაბსა სმიდეს, და საჭამადად აღარდინსა ჭამდეს.  
და თუ ბალღმისგან იყოს იარაა ფყრითა მუცელი დაიღბოს, და ლეღვისა შემგბარისა

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

წყლითა იღარღარებდეს, და უზმამან გულანგუბინი ჭამოს და მუხუდის წვენი ჭამოს, და გრილთა ერიდებოდეს, და თუ სევდისგან იყოს აფთიმონისა მატბუხი ჭამოს და წყლითა გულაბითა იღარღაროს, და ცოტაა ზაფრანაა გარეული, რომელ ელხინოს და გამრთელდეს.

ვითარებაა კვიკვირთა ჩამოსვლისა და რომელსა ჰქვიან დუბადმაა. თებით ყურაა იტყვის: რაა კვაკვირი ჩამოვადეს რომელსა ჰქვიან არაბულად ლავ-ჯათაანი, ვითარებაა მისი გასარეულისა სქელისა გლუსუნისაგან იქნების, ანუ დამწვრისა სისხლისგან, მაგრაა დაბჰაა სიმსივნე არს სასასა უკანით და ვითარებაა მისი სისხლისა მორყენისაგან იქნების, ანუ ზაფრისაგან ანუ გლუსუნისა ბალღმისაგან.

10 ნიშანი დაბადმაათა ჩამოსვლისაა, იგი არს, რომელ სასასა უკანით რა მნახოს რომელ კვიკვირი ჩამოსულა და ჰკიდავს და ნიშანი მისი იგი არს, რომელ ნერწყუსა ძლივ ჩანთქმოდეს და სული ძლივაათ ამოვიდოდეს.

კურნებაა კვიკვირთა ჩამოსვლისა. თებით ყურა იტყვის: იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა და ყვითლითა ჰალილათა, და ცოტაათა საყამონიაათა, რაა შეიგნოს რომელ სიმხურვალიდგან არს იღარღაროს ტუტისა წყლითა და ხავარტისა წყლითა, დაიკიროს და შეაგბოს რომელ ნახევრად მოვიდეს და მით იღარღაროს, და ყელსა ჰიქაა მოჰკიდოს, რომელ იგი სისხლი გაჰოილოს, და მაშინ თუთუბისა წყლითა და ქინძითა და ვარდის წყლითა იღარღაროს, და რაა მანკი სიგრილისგან იყოს ნახევარ უკიაა სპანძელი დანაყილი, ნახევარსა ლიტრაასა შემგობილსა ლელვსა თანა გაჰრიოს და იღარღაროს, და პიტნაასა შემგობითა პირსა დაჰირვითა იხარკოს.

20 ბაყრატი იტყვის: კურნებაა იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს, ანუ ლბილითა ჰყუნათა დაიღბოს, და ქრთილისა წყალსა ნუშის ზეთითა სმიდეს და მაშინ ქინძისა წყლითა იღარღაროს და თუ იკოდეს რაა გასიყებულსა შიგან თხამლი იყოს ახლითა სძითა და ნუშის ზეთითა იღარღაროს. და თუ დაბჰაასა სიმსივნე სიგრილისაგან იყოს გაზრდილითა ნივჯითა იღარღაროს, და რაა სიმსივნე მოაკლდეს მუხუდისა წვენი ჭამოს. და თუ სულსა ძლივ იკვეთდეს და სიმსივნე გაეთარებულ იყოს მანკი დაძველებული იქნების<sup>1)</sup>. კურნებაა იგი არს, რომელ მოჰკვეთოს და თუთუბისა წყლითა და დაბეჭდულითა მიწითა, რომელ არაბულად ტინი მახთუმი ჰქვიან, ბევრჯელ იღარღაროს, და თუ ცხროა გამოჩნდეს კვერცხისა თეთრითა და ვარდისა ზეთითა იღარღაროს. და საჭამადსა ზირაბაჯსა ჰამდეს, ერგებინ შეწვენითა ღმრთისათა.


30 შუ. ხორხისა სიმსივნე რომელსა ჰჰვიან არაბულად ხომინაჰი<sup>2)</sup>. ვითარებაა მისი რაა სიმხურვალით იყოს. იოჰანა იტყვის: სისხლისა სიმხურვალითა და მორყენისაგან იქნების, ანუ ზაფრისა სიმეტითა რომელ ხორხსა ხორცთა შიგან შეყრილიყვენ და მოეროვენ, და სიმსივნედ შექნილ იყოს.

ნიშანი რაა სიმხურვალით იყოს, რაა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერი და პირი წითლად იყვენ მისი, და ნერწყუვითა ძლივსა ნთქმოდეს. და ნიშანი მისი რააჰა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ფერად ყვითლად იყოს და აცხრობდეს.

კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: რააჰა სისხლისგან იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ორთავე ხელთაგან და ორჯელ სამჯერ სისხლი გაუშვას, და მაშინ ლისანალჰამალისა წყალი და ვარდის წყალი 40 და რუბი თუთაასი ერთგან შეყაროს და მით იღარღაროს, თუნდა კიდეს კიდეთა იღარღარონ. და ქრთილისა წყალსა სმიდეს რომელ შიგან ოსპი და ნუშისა ზეთი ერიოს, და ანუ

1) ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერაა „კვ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აშიაზე „კვ“.

2) სარჩევნი სწერაა „ხუნაჰი“.



იისა შარაბსა იხმარებდეს და ლბილითა ჰუყნაათა მუცელი დაიღბოს, და მაშინ შირაბი შთითა და ხიარშამბრითა იღარღაროს. და მაშინ რაჲ სიმსიენე და თხაძლიერება გამოვიდეს კარაქითა და ნუშის ზეთითა იღარღაროს. და მეორესა დღესა კვერცხის გული ყვითელი და ნუშის გულისა ზეთი, და ნიშასთაგი და ქათირაჲ ერთგან გაპრიოს და მით იღარღაროს. და საჭამადსა ჰასოსა სიძინდისგან შექნილსა ჰამდეს ნუშისა ზეთითა, და ჰასოჲ არაბულად მას ჰქვიან რომელ თხლად ფქვილი მოჰკიდოს წყალსა. და რაჲ ნაწი დაძველებული იყოს შურგაჲ ჰამოს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ორჯერ სამჯერ გაშვებითა ყიფალი გაიხსნას. და თუთუბაჲ კატკატოჲსა თელისა წყალსა შიგან დაიღბოს და ნაშინ დაწუროს და მით იღარღაროს. და ვარდი წითელი ხმელი და ნიშასთაგი, და კატკატოჲ და ტაბაშირი, და შაქარი ტამარხადი და ბროწეულისა ყუფილი თვითოსაგან ნაწილი ერთი ყველაჲ დანაყილი მრავალჯერ ხორხსა ჩაიბეროს. და რაჲ სიმსიენე ზაფრისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ხიარშამბრისა ფოლოსითა და ქრთილისა წყალსა სმიდეს უნაბითა შექნილსა, ანუ იისა შარაბსა ცოტაჲ ძმარი ლასანაჰამილისა წყალსა თანა გაპრიოს და მით იღარღაროს. და ვაკოვებული ვარდისა წყალი ყელსა და კისერსა შესცხოს. და კატკატოჲსა თესლისა წყალსა ხაზხაშისა შარაბითა სმიდეს. და ბეჰესა გულისა ლუაბი იისა შარაბითა და ახლისა აყიროსა წყლისა ჯულაბითა იხმარებდეს.


ვითარებაჲ მისი რომელ ზაფრისგან იყოს. თეებით ყურაჲ იტყვის: რაჲ ესე მანკი სიგრილისგან იყოს ჰავისა ბალღამურისა გასარველისაგან იქნების, ანუ სეგ-  
 20 დისა შორეენისაგან რომელ ბუნებისა ძალღან ხორხისა ხორცთა შიგან შეიყაროს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. რაჲცა ბალღამისგან იყოს იგი არს, რომელ ფერად თეთრი იყოს და სინედლე პირისაგან დია სდიოდეს, და ტკოვილი ლბილად იყოს, და ძარღვი ადგომილ იყენენ. და ნიშანი მისი რაჲცა სეგდისგან იყოს იგი არს, რომელ ფერი შავჭარი იყოს მისი.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. თეებით ყურაჲ იტყვის: რაჲცა ბალღამისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ჰუყნაათა მუცელი დაიღბოს და მერმე იარაჲ ფეყირაათა იღარღაროს. და თუ ცოტაჲ დანაყილი დანძილი იარაჲსა გაპრიოს უკეთე იქნების, და ნონიჯისა წყალი ყოყაჲსა ჰაბითა იხმაროს რომელ მანკისა დედაჲ უჩინარ იქნას. და ჰაშინ თაფლისა ანუ ნიგეზისა რუბითა შარაბითა ანუ ბალიანისა წყლითა იღარღაროს.  
 30 როს. და თუ მანკი ძლიერად იყოს, და ამით რომელ გვითქვამს არ გარდაიღებოდეს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ძაღლისა მძღრენი რომელ ძქალი ეჭამოს ცოტაჲ მანდათ აიღოს, და ცოტაჲ თაფლი და ზაფრანაჲ თანა გაპრიოს და მით იღარღაროს, ერგების. და თუ ხორხი განრთელდეს ჰალთა დედისა თუნდა ყმისა დედისაჲ სძე ჩაიწვეთოს ხორხთა, და საჭამადსა მუხუდის წვენსა ჰამდეს, და ეგეთთა საჭამადთა რომელ ბალღამსა მოუმატებდეს ერიდოს, და მხურვალთა ჰამდეს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რაჲცა სეგდისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხილთა წყლითა იღარღაროს და შემგბრისა ლეღვისა და ულბისა წყლითა მეტად უხნაჲ, და მაშინ ჯულაბი სტაჲ და მანკისა ადგილი უღბოჲსა და სელისა შემოდებითა აცხოვნოს. და აბანოჲს მაიოდეს და ტფილი წყალი შეიცხოს, და მიწყით მუხუდოს წვენსა  
 40 ჰამდეს. და თუ ამით წამლითა არ იჯობინოს და სიკუდილისგან საშიშოჲ იყოს, უმჯობესი იგი არს, რომელ ხორხისა ყურყეჰსა ქვეშ გახვრიტოს ორთავე მრგვალთა<sup>1)</sup>... და რაჲ სიმსიენისგან შორჭმით იყოს ხტრელი შეკროს, და ესე სიკუდილისა საშიშოჲსა ყამი იქნების იცოდე.

1) ეს აიტყვა აშიახე სწერია დედნის ხელით.



უფ. ხოკისა ტკივილი სიგრილისგან იყოს და თუ სიმხურვალისგან, ვითაჲრება მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაჰარიამს ძე იტყუვის: რაჲცა სისხლისა სიმრავლისგან იქნების და მორევენისა მისისაგან, და ზაფროსა სიუიციხისაგან და სიმრავლისგანცა, რომელ ესე სენი გამოჩნდეს, მაგრა იშვითა ოდესმე იქნების ესე.

ნიშანი მისი რაჲ რომელ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ პირი და თვალნი წითლად ედგას და ნიშანი მისი რაჲცა ზაფროსისგან იყოს იგი არს, რომელ სწეროდეს და სტკიოდეს ძნელად, და ესე ძნელი და საშიშოა არს.

- 10 კურნებაჲ მისი რაჲ, სიმხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაჰარიამს ძე იტყვის: რაჲცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ძმრითა და სიქანგუბინისა შაქრითა შევნილითა და ნედლისა ქინძისა წყლითა ილარღაროს, და სამ დღემდის ამისავე იქმოდეს, და მამინ ხიარ შამპრისა ფოლოსი ახალსა სძესა შიგან დაალბოს და მით ილარღაროს. და თუ არ ეყოს ლეღვი წყლითა შეაგბოს, და ნახევარი უკიაჲ ბაგრუკი და ორისა დრამისა წონი თაფლი გიპრიოს, და მით ილარღაროს. და ესრევე შემგბრისა ულბოჲსა წყლითა და სურშაჲთა ილარღაროს. და თუ საქმე გაძნელდეს და ხორხი შევიწოდეს ესე წამალი ხორხსა ჩაჰბეროს, ვითარებაჲ მისი: საბნაჲსა და ბოლოკისა თესლი, და მარვი და უპანი, და სომხური ბაგრუკი და ნავშადური თვითოჲსა ოდენი დანაყილი და გაცილი აორხსა ჩაუბერონ. და თუ ჩანთქმიაჲ არასა შეეძლოს ქიქაჲ რაჲცა უფროსი არს კისერსა მოჰკიდოს, და მოწონ კარგად. და თუ იგი ორი ძარღვი რომელ ენასა ქვეშეთ არს სისხლითა საყუ იყენენ გაიხსნას, მას უკანით რომელი ყიფალი გახსნილ იყოს, და თუ ხელის გახსნისა უკანით პირი გაუსივდეს, და შაშრონ, რომელ ჰავი სისხლი გამოვიდეს.
- 21 მესია იტყვის: თუ ზაფროსისგან იყოს ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და თუთუბაჲ ვარდის წყალსა შიგან დაალბოს და მით ილარღაროს, და ქრთილისა წყალი და ბაზრაცატუნისა ლუბი და ხიარ შამპრისა ფოლოსისა წყალი იხბაროს, და თუ შამპარი ბროწეული მისითა ცმელითა დანაყოს და უზნაჲ მით ილარღაროს კარგი არს. და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს ანუ ლბილისა ჰყუნაჲთა, და სიმხურვალესა ერიდოს. და თუ ბაზრაცატუნისა წყლითა და იისა ზეთითა და ბალბითა ილარღაროს, კარგი არს.
- 30 ხორხისა ტკივილი რომელ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: ესე მანკი რაჲ სიგრილისგან იყოს ბალბისა სიმხურვალითა და მორევენისაგან იქნების, ანუ სქელისა სინედლისაგან რომელ ხორხსა და ხარხასსა შეყრილ იყოს, გრილისა და ნედლისა საჭამადისა ჭამისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ წყალი პირისგან დია სდიოდეს და ხორხი დია სტკიოდეს, და საჭამადსა ჭირით ჩანთქმიდეს, და ფერად თეთრი იყოს, და სიმხურვალე ილხენდეს რაჲ მიხტუნეს.

- კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ ხუთისა დრამისა წონი სპანძელისა წყალი ლიტრაჲსა ერთსა თაფლსა გაპრიოს და მით ილარღაროს, ანუ სიქანგუბინითა და ბოლოკისა წყლითა, ანუ შემგბრისა ლეღვისა წყლითა და ბაგრუკითა ილარღაროს, რომლითაცა ილარღაროს ერგების. და ბაგრუკი და ნიშადური და უპანი დანაყილი ხორხთა ჩაუბერონ ერგების. და თუ მანკი ძლიერად იყოს იარაჲსა ჰამითა მუცელი დაუღბონ, ფიცხელითა ჰყუნაჲთა იხმარებდეს და მერნე სიქანგუბინითა და აბეკაქითა ილარღაროს, და ბალადურისა თაფლსა ყელისა და კისრისა მიძეთა იცხებდეს, რომელ დააწყულულოს და სანედლე შიგნით დაღმბა გამოზიდოს. და თუ სპანძელი და ნიშადური და აყირაჲჰაჲ, და უპანი და პილპილი დანაყილი თაფლითა
- 40



შეზილოს და უზმამან მით იღარღაროს კარგი არს. და შეავეთა და გრილთა საჭამადთა  
 ვერიდოს და მუხუდის წვეცნსა კამდეს.

მასოა დას ძე იტყვის: ყოყიამასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და ანუ ჰყუნად  
 ლყოს, და შემგებრითა ლეღვითა და ჩამიჩითა და ბავრუკითა უზმამან იღარღაროს, და ბა-  
 ბუნად და აქლილალმალქი და მარხანგოში და სისანბარი წყლითა შეიბგოს, და ბუხარასა  
 მისსა პირი მიუპყრას, და პირი აღრინოს რომელ ხორხთა ჩაუსდეს, და სქელი სინელღე გა-  
 აღნოს, და მუხუდის წუტენსა კამდეს. და მანკისა დასაწყისსა ნიგვზისა რუბითა და თეთრითა  
 არჯასპითა იღარღაროს. და თუ ძაღლისა მძღრენი რომელსა ძუალი ექამოს თაფლსა გაპ-  
 რიოს და ზორხთა გარეშემო შესცხოს, კარგი არს.

10 იოჰანა იტყვის: ხორხისა ტკივილი რააცა ნახაესკე იყოს ადვილი არს, ვითამცა  
 წინადათვე და რააცა ზურაგაჰასაკე იყოს ძნელი არს, ვითამცა კისრისაკე. და მანკისა  
 სიძნელისა ნიშანი იგი არს, რომელ ხორხთა შემოაჭირებდეს და ცხროაცა ერთოს და ესე  
 იგი არს, რომელ მისგან დახსნად არა ეგებოს.

მთ. დეჰადა ანუ მუხუდის რომელ ხორხსა დაჰმაროს. დეჰადა წურბელსა ჰქვიან და ზალ-  
 ვიცა ჰქვიან, და არაბულად აღჰაყი ჰქვიან.

ვითარებთაა წურბელისაა: არბიასიოს იტყვის: რომელ ხორხსა შიგან  
 დარჩეს მრღვისა წყლისა სმისგან იქნების, და ტუა იყოს არ მდინარე, მით რომელ წურბე-  
 ლი წარმავალსა წყალსა შიგან არ იქნების.

20 ნიშანი წურბელისაა. იგი არს, რომელ ხორხსა შიგნით ეგრე ეგონოს რომელ  
 მას მოსწოვს რაამე, და ტკივილი და კირი ძნელი იყოს, და იწყით ხორხისაგან თხელი სი-  
 სხლი ამოდიოდეს და ეწყოდეს ძნელად.

კურნებაა წურბელისაა. რომელ ხორხსა შიგან დარჩეს, არბიასიოს იტ-  
 ყვის: რაა წურბელი ხორხსა ჩამოეკიდოს პიტნისა წყლითა იღარღაროს, ანუ მის ხესა  
 ფურცელითა რომელ მუწლნი ეხვეოდნენ, მისითა წყლითა, და მუწლსა ფაშად ჰქვიან სპარ-  
 სულად, და მისსა ხესა დრაბთი ფაშად ჰქვიან, და არაბულად შაჯარა თაღბაყი ჰქვიან, და  
 ანუ ძმრითა და უმანითა იღარღაროს, და თუ ძნელი ცხარი ძმარი და ნიორი და ნიშადუ-  
 რი და გავლილი არჯასპი ხორხთა ჩაპბეროს წურბელი ზე გამოვა. ანუ ცხელსა აბანოასა  
 შივიდეს და დიდხან დაყოს და იჯდომოს, მაშინ ანუ მყინვარი ანუ ცივი წყალი პირსა ში-  
 გან დაიჭიროს, კიდე გამოვა, სიკრილესა მოჰმართებს. და თუ წურბელი კიდე ჩნდეს გულან-  
 გუბინითა მოეკიდოს და ამოზიდოს. და თუ გამოვიდეს და სისხლი არ უკუდგეს ბრო-  
 წეულისა ქერკი და ბროწეულისა ყუთვილი და თეთრი საკმელი, და ხონისაიოშანი და გუნ-  
 დაა, და გავლილი ნიშასთავი ხორხთა ჩაპბეროს.

30 ჯალინოს იტყვის: ნიორსა კამდეს რომელ წურბელი გამოვიდეს, და თუ სტო-  
 მაქსა ჩასრულ იყოს ესე წამალი იხმაროს ვითარებთა მისი: ყაისუმი და აფსანთინი და სო-  
 ნიჯი, და თირმისი და შწარე ყუსტი, და თრუნჯისა გულისა გული და ქაილდარგი თვითო-  
 საგან დრამისა წონი, ყვალად დანაყილი ძმარსა გაპრიოს და ჰამოს.

მასარჯოა იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ნიორსა და სპანძელსა  
 კამდეს ანუ ორი უკიაა ცხარი ძმარი, და ორი მუთყალი ბავრუკი, და ორი კბილი ნიორი  
 ყველა ერთგან გაპრიოს და მით იღარღაროს ერგების, და თუ სტომაქსა შიგან ჩასრულ  
 იყოს სონიჯი და ყაისუმი და აფსანთინი ყველა დანაყილი და გაცრილი ცხარსა ძმარსა  
 40 გაპრიოს და ჰამოს, ერგების.

ვითარებთაა ძუალისა რომელ ხორხსა შიგან დაეჩაროს. ისაკ იტ-  
 ყვის: ამისა ნიეთი წვრილისა თევზისა ჰამისაგან იქნების ანუ ფრინველთა ხორციისა ჰა-  
 მისგან რომელ შიგან ძუალი იყოს, და ჰამისა ფამსა ხორხსა შიგან დაეჩაროს.

ნიშანი ძუალისა რაა ხორხსა შიგან დარჩეს. იგი არს რომელ სნეულ-  
 სა ჰკითხოს თუ რაა ჰამა, და ეგე მანკი და სენი რაასგან წაჰკადებიაა, რომელ რაა უამ-  
 ბოს, დასტური შეიგნეს და ჰკურნოს.

კურნება აქ ძალიან რა ხორხსა დაეჩაროს. ისაქ იტყვის: თუ ჩნდეს მარწუხითა ანუ შვილდის საბლითა ამოიღოს, და თუ არა, არწყვიოს რომელ გამოვიდეს და ცოცოტაჲსა წყალსა სმიდეს. ანუ დიდრვანთა ლუკმათა ჩანთქმედეს რომელ ქვე ჩაჰყვეს, და რაჲ საჭამადი ხორხსა შიგან დაეჩაროს მკერდსა ზედა ანუ ზურგსა ზედა მჯილი ჰკრას რომელ ჩავიდეს. და რაჲსაცა სიმახვილე ჰქონდეს არა ხაშს მკერდსა კერაჲ, მით რომელ უფროჲ დამავრდების. და თუ ლეღვი და ცომი წყლითა შეავბოს და მით იღარღაროს კარგი არს. და თუ ცოტაჲ ხორცი წითელი, მკედსა მოაბას და ჩანოქას და მაშინ ანოზიდოს უღონოდ, ძჳალი მას ხორცსა მოეკიდების და გამოჰყვებინს. მაშა თუ მაგარი რამე იყოს გამოღებისაგან მოღაფლებჲჲ არა ხანს.

10 და ხმისა დაჰამფიხსათვის. ჰუნაჲნ იტყვის: ხახილისგან რაჲ ხმაჲ დახდილი იყოს ანუ მისგან იქნების ანუ ხორხისა სისხელისაგან ფირტვისა ყიაჲ რომელ ხმელად ედგას.

კურნება აქ მისი. იგი არს, რომელ თეთრი ჩამიჩი უგულთა ნუშის გულისა ზეთსა შიგან დააღბოს და დილა საღამოთა ცოცოტაჲ მარცვალთა ჰამდეს. ანუ დანგი ერთი საბრი ამოხავებულსა კურცხსა გაღრთოს და ხერიტოს. ანუ ხველისა ჰაბი რომელ მეორესა წიგნსა შიგან ვახსენოთ იხმაროს. და რაჲცა ბალღმისა რეულობისგან იყოს და მიწყით იხარხარებდეს <sup>1)</sup>.

კურნება აქ მისი იგი არს. რომელ ჯულაბითა და სპანძელია წყლითა იღარღაროს 20 ერგების, და სპანძელი და პილბილი დანაყილი თაფლითა შეზილოს და ჰაბად ქნას და პირსა შიგან დაიჭირვიდეს, და ხაშხანისა შარაბსა სემიდეს. და თუ იისა ზეთითა და კურცხისა ყუითლითა და ნიშასთავითა და ქათირაჲთა იღარღაროს კარგი არს, და ერგების შეწყენითა ღმრთისათა.

#### რ. სისხლისა ამოვლდა ხორხისგან და რუხვითა ამოვალდა სისხლისა.

ვითარებაი რაჲ სისხლი ამოვიდოდეს ხორხისგან. ჯალინოს იტყვის: მით იქნების რომელ მდლისა ადგილსგან ჩამოიჭრეს, ანუ გარე ნაკრავი მკერდსა სცემოდეს, ანუ ტყირბისგან იქნების, რომელ მკერდისგან ამოვიდოდეს.

ნიშანი რომელ სისხლი ხორხისგან ამოვიდოდეს. ნიშანი მისი რაჲ 30 ცა თავისგან ჩამოვიდოდეს იგი არს, რომელ თელსა ზუა სტიეოდეს. დანიშანი მისი რომელ ტყირბისა და ფირტვიან იყოს იგი არს, რომელ ხველსა ამოჰყვეს და თხელი იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა მკერდისგან ამოვიდეს იგი არს, რომელ სისხლი შავი იყოს და სქელი.

კურნება აქ სისხლისა რომელ ხორხისგან ამოვიდოდეს. ჯალინოს იტყვის: რაჲ სისხლი ცოცოტაჲ ამოვიდოდეს კურნებაჲ მისი <sup>2)</sup> იგი არს, ვარდის წყლითა თუთუბაჲ დააღბოს და დაწუროს და მით იღარღაროს, ანუ ისრიმისა წყლითა და მსგზავსითა მისითა იღარღაროს. და თუ ხველისა ეჲმა ამოვიდოდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყუავალი ვახსნას და ამით რომელ გვითქვამს იღარღაროს, და ესე წამალი იხმაროს რომელ ჩვენ გამოვეციდია ვითარებაჲ მისი: თეთრი საკმელი და ხონისიაოშანი <sup>3)</sup> თვითთა 40 საგან იორისა დრამისა წონი, ამარტაჲ რომელსა ჰქვიან ქაჰრაბაჲ დრამისა წონი, შადინაჲ და მიწაჲ დაბეჭდული თვითთაგან დრამისა წონი, თეთრი არჯასპი და ბროწყულისა ყუაგილი თვითთაგან ოთხისა დანგისა წონი, ყუელაჲ დანაყილი და გაცრილი სამისა დრამისა წონი, კერატაჲ ერთსა აფიონსა და ორსა დანგსა სუნბულსა ანუ კილამონსა თანა იხმაროს, და დილა საღამოსა ძმრითა წყალ რეულითა იღარღაროს. და თუ სისხლისა ამოღე-

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე რეულთა სათვალავი სწერია „კვ“ და შერდგვ გვერდზე „კზ“.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა აშიაზე სწერია დედნის ხელით.

<sup>3)</sup> ასო „ო“ ჩამატებულია ამ სიტყვაში.



ბასა თანა მკერდი სტკივოდეს ესევე წამალი ღვინითა დააღბოს და ქაჩქაძე ადგილსა იცხოს ერგების.

ოკაძანი იტყვის: თუ რწყევითა და ამოღებისა ცდითა გამოვიდოდეს საშიშოა არა არს. სომხური მიწა და არაბული გომიზი, და ბროწეულისა ყუაილი და ღრამინა და ცოტაა ხონისიაოშანი და შობილი და ყველაა დანაყილი და გაცრილი მორდასა და ბეჭესა თანა იხმარებდეს. და საჭამადსა თუთუბისა ურწყოასა და კოწახურისასა და ოსპისასა და ისრიმი სასა ჭამდეს. და სისხლი რაა ხველაასა ამოჰყევბოდეს საშიშოა იქნების, და უფროასი იგი იქნების გაუგრძელდების და არ დაეხსნების, ეგრე ხამს რომელ ბასალივი გაიხსნას და ქაპრაბაასა ყურსი ჭამოს, და სანდალი და ნარდის წყალი და წითელი ვარდი მკერდასა შემოადვას. და

10 თუ სისხლსა თანა ხველაა და ცხროა იყოს და მკერდი სტკივოდეს, ხაშაში და მორდდა-ნა და ნიშასთავი ჭამოს, და ქრთილისა წყალი რომელ თიქნისა ფერხითა შექნილ იყოს იხმარებდეს და პურსა ჯულაბითა და ნუშისა ზეთითა და შაქრითა ჭამდეს ერგების.

სისხლი რომელ რწყევებსა ამოჰყევბოდეს. მუჰამედ ზაქარიასს ძე იტყვის: სისხლი რაა რწყევითა ამოვიდოდეს მაგარისა ნაკრავისგან იქნების, რომელ მკერდასა სკემოდეს, და ანუ მალღისა ადგილისგან ჩამოჰკრილ იყოს და ძარღვი სტომაქსა შიგან მით გახსნილ იყოს და ანუ სისხლისა სიმრავლისაგან.

ნიშანი სისხლისა რაა რწყევით ამოვიდოდეს. ნიშანი მისი რაა ცა ნაკრავისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლისა ამოღებისა ეამსა სტომაქი სტკივოდეს და ნიშანი მისი რაა ცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს იგი არს, რომელ ყური წითლად ედვას და

20 სისხლსა დია ამოიღებდეს ერთგან და სტომაქი არა სტკივოდეს.

კურნებაა სისხლისა რომელ რწყევით ამოიღებდეს. მუჰამედ ზაქარიასს ძე იტყვის: სისხლი რომელ მიწყით და დია ამოვიდოდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ბასალივი გაიხსნას მეტად მაშინ რომელ ორთა მხართა შუა სტკივო-დეს, მაშინ ცოტაა თეთრი საკმელი მეფისა ბეჭესა გულისა ლუბაშსა და ბეჭესა წყალსა შიგან დააღბოს და იხმაროს, და გრკოა და ჰანჯაქი ჩაბიჩითა ჭამოს. და ამას წამალსა მიწყით ჭამდეს ვითარებაა მისი: სომხური მიწა და არაბული გომიზი და ბროწეულისა ყუაილი და ხონისიაოშანი და თეთრი საკმელი <sup>1)</sup> თვითოსაგან ნაწილი ერთი, კველაა დანაყილი ბეჭესა შარაბსა თანა ანუ ვაშლისა შარაბსა თანა გაპრიოს და იხმაროს, და საჭამადსა ისრიმისა ურწყოასა ჭამდეს და ალარდენისა და ნუშისა ზეთითა და სიმხურვალეთა და სი-

30 ფიცხეთა ერთდოს.

ფოლოს იტყვის: რაა ნაკრავისგან იყოს ანუ დაცემისგან ხელი გაიხსნას, და ბეჭესა შარაბი და ვაშლისა შარაბი იხმაროს და თუ მუცლისა დაღბობაა უნდეს ხილთა წყლითა და თონიჯისა წყლითა და ფანიდითა მუცელი დაიღბოს. და ლასანალჰაშალისა წყალი ანუ დაბეჭდული მიწა იხმაროს. და ბარსიანისა მოწამლულსა და სისხლისა ამოღებასა ერგების რაა გვარადცა იყოს, რაა წამალი თანა გაპრიონ ანუ მარტოა იხმარონ და სვან. და თუ უკიაა ერთი ლერწმისა ძირისა წყალი ცოტაათა ქაპრაბათაა იხმაროს კარგი არს. და ყურსი ანდრომახისი სისხლისა ამოღებასა და სტომაქისა სიწყულღეთა ერგების.

ისაქ იტყვის: თუ სისხლისგან იყოს რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს არაა საშიშოა არს, რომელ მშვიდობისაა ნიშანი <sup>2)</sup> არს. მაგრა კურნებაა იგი არს, რომელ დამ-პირავსა ჭამდეს ვითა ბროწეულისა შარაბსა და ტუტაასა შარაბსა, და ალარდენისა და ისრიმისა შარაბსა, და თუთუბისა წყალსა რომელ ერგების. და თუ თუთუბაა და აყაყიაა და მური და აფიონი ძმარსა გაპრიოს და იხმაროს ამას მანქსა ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

40

რ. ხველაა რაა სიმხურვალისგან იყოს ანუ სიმხრიდისგან. ვითარებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. ბაყრაქ იტყვის: იგი არს, რომელ გარევაა ფირტვისა ანუ მკერ-

<sup>1)</sup> აქ განმეორებულია „და თეთრი საკმელი“  
<sup>2)</sup> ეს სიტყვა ჩამატებულია.





დისაჲ გახურებულ იყოს. ანუ ზაფრისა სიფიცებისა და მორევისაგან, ანუ სიმხურვალითა და მორევისა სიხლისაგან, ანუ მეტად მხურვალისა საჭამადისა ჯამისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ჰერდი დია მხურვალედ იყოს და ფერად წითელი იყოს, და ძარღვი ადგომით იყვნენ, და რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ დია სწყუროდეს და მაჯასი ფიცხლად მფეთქელი იყოს, და რაჲცა ამოიღოს ყვითელი იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიმხურვალისგან იყოს. ბაყრატი იტყვის: რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას და უხმაჲ ქრთილისა წყალსა სმიდეს, და ხაშხაშისა შარაისა და გაზრდილისა იისა შარაბსა, და ბაზრაყატუნისა ლუაბსა და კატკატოსა თესლისა წყალსა ხაშხაშისა შარაბითა სმიდეს, და მიწით ტკბილსა ბროწყულსა მოსწოვდეს. და საჭამადსა ბაკლასა ჯამდეს ნუშისა ზეთითა, და თუ კატკატოსა წყალი ბაზრაყატუნისა ლუაბსა გაჭროს და ხეარტისა წყალსა და იხმარებდეს კარგი არს, და გრილითა შენოსადებთა მკერდსა შემოსდებდეს, და თუ ხველაჲ ცხროჲ ერთოს და დია აწყენდეს ესე წამალი მას დია ერგებოს, ვითარებაჲ მისი: ნიშანთაგი და ქათირაჲ და რობასოსი თვითთაგან ხუთია ღრამია წონი, აფიონი ხუთისა დანგოა წონი, ყველაჲ დანაყილი ბაზრაყატუნისა წყლითა შეზილოს და ბტყელი ჰაბი ქნას, თვითთა მისი ნახევისისა ღრამისა წონი, და რაჲ ღამე ანუ ორსა ანუ ოთხსა ჰაბსა ჯამდეს მისგნით, და ენასა ქვეშეთ დაიჭირვადეს.

მასარჯოჲ იტყვის: თუ ხველაჲ ცხროჲ ერთოს ესე წამალი იხმაროს, ნიშანთაგი და ქათირაჲ და რუბასუსი თვითთაგან ნაწილი ერთი, და წყალი ხეარტისა ძირისაჲ, ყველაჲ ჰაბად ქნას და დაძინებისა ჟამსა ენასა ქვეშეთ დაიჭირვადეს, და ზოფაჲსა მატბუხი და ხიარშამბრისა ფოლოსი და რებასოსი და ეგეთი რაჲმე რომელ მკერდსა აღრე მოაღმობდეს იხმარებდეს. და რაჲ ხველაჲ სიღბოჲთა იყოს და ხერენდეს ხაშხაშისა ყურსი და მორდღანაჲსა ყურსი ჯამოს, ერგების.

ჯალინოს იტყვის: ხველაჲ რაჲ სამხურვალე სიგრილითა იყოს, ქრთილისა წყალი და გაზრდილი იაჲ ჯამოს. და თუ გაზრდილი იაჲ ზუფაჲ მატბუხითა ჯამოს კარგი არის, და მაშინ რაჲ ორი ჰაჲჲ გარდვიდეს, ვითამცა ორი ყამი, მაშინ ქრთილისა წყალი სუას იისა ზეთითა და შაქრითა, და ბაკლასა წყალსა სმიდეს და თუ შეეკლოს ბასალიკისა ძარღვი გაიხსნას, ერგების დია.

ვითარებაჲ ხველისაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. ფოლის იტყვის: ბალღმისა სიმრავლითა და მორევისაგან იქნების, რომელ ფირტისაჲ გარეჲჲ და მკერდისა გარეჲჲ გავგრილოს, ვითამცა ბუნებაჲ მათი გაეგრილოს. ანუ ფიცხელისა სინედლისაგან იქნების, როზელ ტვინისგან ზამოსრულ იყოს, და მკერდსა ანუ ფირტესა შეყრილ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მკერდი გრილად იყოს და ბალღში რაჲცა მკერდისგან გამოვიდეს თეთრი იყოს, და ნიშანი მისი რომელ ტვინისა სინედლისგან იყოს, რომელ ზამოსრულ იყოს იგი არს, რომელ სურდოსგან ქნილ იყოს, და ფირტისა ხარხაოსა რომელ სპარსულად ნაზაჲ ჰქვიან უკმენდეს, და ნაზაჲ მიო ჰქვიან რომელ ნასა ჰგავს.

კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისგან იყოს. ფოლოს იტყვის: იგი არს, რომელ უხმამან გულანგუბინი ჯამოს და ლედესა შემგბარსა და ზამიჩსა ნუშისა ზეთითა ჯამდეს, და მუხუდოს წვესა და ტრედის ხუნდსა შორაბაჲთა შექნილსა ჯამდეს და შემგბარსა ლეინოსა იხმარებდეს კარგი არს. და თუ მანკი ძნელად იყოს მუცელი დაიღმოს როფისისა იარაჲთა, და მაშინ ზოფაჲსა მატბუხთა ჯამდეს და ესე წამალი ერგების ვითარებაჲ მისი: ბაღაანისა თესლი და ნიახურისა თესლი, და ვარჰარამისა ძირი და ხმელი ზოფაჲ და ბოლოკისა თესლი, და ფარი სიავოშანი, თვითთაგან ჰვეშვი ერთი, ყველაჲ ორითა ლიტრი-



თა წყლითა შეაბგოს რომელ ნახევრად დავიდეს, მაშინ დაწუროს, და რაა დღე მისგან წახევარსა ლიტრასა იხმარებდეს. და ესე წამალი სხვაა ვითარებამ მისი: რომანუსს უკეთაა ერთი, ზოფაა ხმელი და ანჯირაასა თესლი, და ფარისიავოშანი და ცაას ფერისა სოსნისა ძირი, და ყურდემნაა და ფილფილი, და მრგვალი ზარავანდი და მწარე ნუში, და სპანძელი თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, ყველაა დანაყალი და გაცრილი ხმარებისა ესაა ნიგვისისა ოდენი ჭამოს.

ისაჲ იტყვის: გულანგუბინი და თაფლი ლედესა შემგბარსა გაპრიოს და ჭამოს. და სელსა თაფლითა ჭამდეს, და თუ შემგბარისა ბადიანისა წყალი შეპრითა ტაბარზადითა ჭამოს ერგების. და ნედლსა ხველასა ლეღვი და ნუში ნიგოზსა თანა ჭამოს. და კურნებაა მისი რომელ ტვინისა სინედლისგან იყოს ხამს რომელ ხაშხაშისა შარაბსა სეიმდეს და ხმელისა ვარდისა ფურცელი და ბროწყულისა ყვავილი და ხანჯაქი წყლითა შეაბგოს და ძილისა ესაა მისათა წყლითა ილარღაროს. და მას ჰაბსა პირსა შიგა დაიჭირვიდეს ვითარებამ მისი: ნიშანთავი და ქათირაა და ნუში და ბაკლაა ქერქ შეხდილი და ხაშხაშის გული და ქერქი, და გომიზი არაბული და სონხური მიწაა თვითოასაგან ნაწილი ერთი, ყველაა ჰაბად შექნას ბახრაყატუნისა წყლითა.

რბ. ხველაა რომელ სიხეღისგან იყოს ანუ სინედლისგან. ვითარებამ მისი რაა სინედლისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: უფროასი ესე მანკი ეგეთთა კაცთა შეეჭნების რომელ ნებვირად გაზრდილ იყვნენ და არა მიჰქირდებოდეს, და გრილი და ნედლი საჭამადი დია ეჭამოს მეტად სიბერისა ესაა.

ნიშანი მისი რაა სინედლისგან იყოს: იგი არს რომელ 1) ბალღამსა დია ამოადდებდეს ხორხისგან, მეტად ძილისა უკანით, და მიწყით ბალღამი ხორხსა შიგან მზად ჰქონდეს და იხარხარებდეს და ფირტვსა იკბენდეს.

კურნებაა მისი რაა სინედლისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: იგი არს, რომელ მიწყით ცხელსა აბანოასა შიგან მივიდოდეს და დიდხან დაზიდეს შიგან, რომელ დიდი ოფლი გამოეცეს, და მაშინ ძტელსა ღვინოასა სმიდეს და კალიათა იხმარებდეს, და წვადსა ჭამდეს, და რააცა წყლითა შექნილი იყოს მის უხდურსა თანასა ნუ ჭამს, და კალიაა იხმაროს. და უზმამან შავი ჩამიჩი უგულლოა ჭამოს და დია იარებოდეს, რომელ ერგების, და ვიდრემდე შეეძლოს საჭიროასა საქმეებსა იქმოდეს რომელ გამოსყვენებაა დიდად აენებს, და საჭამადისა ჭამასა უწინააქთ ხმა მაღლად რაასმე იკითხვიდეს, რომელ ზახილითა ძალითა სინედლე რომელ მკერდსა ანუ ფირტვსა შიგან იყოს დაეღლიოს. და ეგეთთა საჭამადითა რომელ შიგან სინედლე იყოს ერიდოს, ვითა სძე და მაწონს, და ახალი ნედლი ხილი არ აშტნია, ნუ ჭამს, და ეგეთთა რაასმე მიელტვოდეს რომელ შიგან სიხმელე დიდი იყოს.

მასოაას ძე იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ საჭიროათა საქმეთა იქმოდეს და დია იარებოდეს, და მოიჭირვოს რომელ ოფლი ტანისგან გამოაცენიოს. და მიწყით ამას ჰაბსა პირსა შიგან დაიჭირვიდეს ვითარებამ მისი: რებაოსი ხუთისა დრამისა წონი, პილპილი და მური და ყურდემნაა, და მწარე ნუში თვითოასაგან ორისა დრამისა წონი, უპანი დრამისა წონი, ყველაა დანაყალი თაფლითა შეხილოს და ჰაბად შექნას და პირსა შიგან დაიჭირვიდეს. მაშა თუ მანკი ხველისაა გაუძნელდეს და ძილად არ მიუშვებდეს ღამით, ესე ჰაბი იხმაროს ჩვენ გამოგვიცდია, მარგი და კარგი არს, ვითარებამ მისი: მური და მიაა, და თეთრი საქმელი თვითოასაგან ნაწილი ერთი, ივიონი მეოთხენდი ერთისა ნაწილისა, ყველაა დანაყოს და გაცრას და ჰაბად შექნას, თვითთა მისი დანგი, და ხმარებისა ესაა ორსა, ანუ სამსა ჰაბსა ენასა ქუეშე დაიჭირვიდეს ერგების. და ჰამოდ დააძინებს და ხველაასა დააკლებს და მანკსა გააქარებებს.

1) ეს სამი სიტყვა ტექსტში განმეორებულია.

ხველაა რაჲ სიხმელისგან იყოს, ვითარებაჲ მისი. მადანი იტყვის: რაჲცა სიხმელისგან იყოს ფირტვისა სიხმელისგან იქნების, და მსგავსად იქნების, რომელ ეგეთი საჭამადი ეჭამოს რომელ ბუნებად ხველი იყოს, და მისგანთ დიეჭვამოს ვითა აბუხტი და მსგავსი მისი.

ნიშანი მისი რაჲ სიხმელისგან იყოს - იგი არს, რომელ ხველისა ეამა ხორხისაგან არა ამოვიდოდეს და ზამთრის უსუბუქესი იყოს და აბანოჲსა შიგან სიმაძღროსა ეამა უკეთესი იყოს, და სული დამოკლებით იყოს ფირტვისა სიხმელისა მისაფერად, და ტანი მჭლედ იყოს, და მაჯასი ფიცხელი იყოს.

10 კურნებაჲ მისი რაჲ სიხმელისგან იყოს. მადანი იტყვის: კურნებაჲ იგი არს, ქრთილისა წყალსა სმიდეს ნუშისა ზეთითა და ბაზრაცუნისა ლუაბი და ჯულაბი იხმაროს. და უზმამან ხაშხაშისა წყალი სჭას, და მიწყით აბანოს მივიდოდეს და დია ნუ დაზამს, და შურვასა ჭამდეს რომელ ბატკნისა ხორციითა შექნილი იყოს. და თუ ხველაჲ სევდისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ანაკტეთისაგან ჰასოჲ და ნუშისა ზეთი ურთოს და ჭამდეს, და ჰარისსა ჭამდეს ბატკნისა ხორციითა შექნილსა, და ფანიდი დანაკოს და ჰარისსა ნოიყაროს და ეგრე ჭამოს. და შეავეთა ერიდებოდეს და მხურვალეთა და ნედლთა საჭამადთა ჭამდეს.

20 იოჰანა იტყვის: თუ ფირტვისა სიხმელისაგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ქრთილისა წყალსა სმიდეს რომელ შიგან ხაშხაში და სეფისთონი რთულ იყოს, მეტად მაშინ რაჲ ხველაჲსა ცხროჲ ერთოს, და ცისკრისა ეამსა სმიდეს ქრთილისა წყალსა, და სადილობისა ეამსა თვითო ჯერსა მანისა ნახევარი, და მანი ლიტრისა უმცროჲ არს სამოცთა დრამისა წონითა, და შუადლისა ეამსა მორწყულსა ადგილსა დაჯდებოდეს, და შემგებარსა აყიროსა ნუშისა ზეთითა ჭამდეს, და მიწყით ამას ჰაზსა პირსა შიგან დაიჭირვიდეს რომელ ზვენ გამოგვიციდია დია კარგი არს ვითარებაჲ მისი: რომასუსი უკიაჲ ერთი, აყიროჲსა თესლი და კიტრისა თესლი და კატკატოჲსა თესლი თვითოჲსაგან შეიღისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი ბაზრაცუნისა წყლითა და კვერცხისა თეთრითა შეზილოს და ჰაზად ქნას, და პირსა შიგან დაიჭირვიდეს. და თუ არ იყოს წყლისა ნაცვლად სძესა სმიდეს ანუ დიაცისა სძესა სმიდეს, და თხისა სძე უმჯობესია ყოვლისა, მეტად მაშინ, რომელ მწვანე ეძოვნოს და აბანოსა ჰრქმული მივიდოდეს. მაგრა დია ჯდომია ავნებს, ადრე გამოვიდოდეს ერგების.

30 რა. რაბოჲსა რომელ სიმხურვალისგან იყო ანუ სიგრილისაგან. ვითარებაჲ მისი რომელ სიმხურვალისგან ქნილ იყოს. თეებით ყურაჲ იტყვის: რაბოსა სპარსულად დმაჲ ჰქვიან და სიმხურვალისგან იქნების, ანუ გასარეველისა ზაფრისგან რომელ ფირტვისა ყელკეჲსა შიგან შეიყაროს, ანუ მერდსა შიგან შეყრილ იყოს და მუნ დამკვიდრებულ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ ხორხი უხურვდეს და სული დამოკლებულ იყოს, და წყურვილი დია იყოს, და საქმისა ქნითა და შეძრეითა უფარ გახდეს და იხველდეს, და ქვე ჯდომით გამოსვენებითა მოიჯობინოს.

40 კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან ქნილ იყოს. თეებით ყურაჲ იტყვის: იგი არს, რომელ მასალიკი გაიხსნას და ორთავე მხართა შუა ქიქია მოიკიდოს და მუცელი დაიღბოს სუბუქითა რაჲთნე, ვითა შემგებარი ხილი და თამრიჰინდისა შარაბითა და მსგავსი ამათი. და მიშინ ქაფურისა ყურსი და ვარდისა ყურსი იხმაროს, გაზრდილი იაჲ და ქრთილისა წყალი ვარჰარამისა ძირითა შეაგბოს <sup>1)</sup> და სვას. და სიმხურვალეთა ერიდოს, და პურსა ჯულაბსა შიგან დააღბობდეს და ეგრე ჭამდეს, და ჯულაბი და ნუშისა ზეთი და ძმარი ერთგან გაპრიოს და იხმაროჲ. და გრილთა მალჰამათა რომელ გრილთა ზეთითა შექნილ იყოს მიწყით მერდსა შემოსდებდეს.

<sup>1)</sup> ამ სამ სიტყვას თავზე ნხედრული ზღლით აწერია „რამისა ძირითა შეაგბოს და სვას“.



სინააქსტე იტყვის: რაა ესე მანკი და სულისა სიმოკლე ერთგან იყენეს, რომელ არაბულად მას ტიყა ნათასი ჰქვიან, სიმბურვალისგან იქნების, კურნებაა ზვიარსკარტმელ ბასალაყი გაინსნას და ოთრავე მხართა შუა ჭიქაა მოჰკიდოს. და მაშინ ესე ყურსი იხმაროს ვითარებაა მისი: ვარდი სამისა დრამისა წონი, ვირჰარამბია ძირი შვიდისა დრამისა წონი, კოწახური დრამისა წონი, წასთაქე და რეეანდი და აფშარაა ლაფითისა, და აფშარაა აფსინთინისა, და ფაჩარა და ანისონი, და ბადიანისა თესლი თვითოადაგან დრამისა წონი და ნახევარი, ორთავე კიტრთა თესლი და აყროადა თესლი, და ნესვისა თესლი თვითოადაგან ნახევარი დრამისა წონი, გომიხი და ქათირაა და რუბასუსი, და ხორფარასთისა თესლი რომელ არაბულად ხამზი ჰქვიან თვითოადაგან ოთხისა დანგისა წონი ყველა და ნაყილი და 10) გაცრილი წყლითა შეზილოს და ყურსად შექნას, და ხმარებისა ეამსა მისგნით ორისა დრამისა წონი იხმაროს. და თუ მანკი სიხმელისგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ სწყუროდეს და ხმა დაწლობილ იყოს, ხამს რომელ მიწყით შირახიშთსა ჰკამდეს რომელ სიხმელე კიდე გამოიღოს და ერგოს.

რაბოა რომელ სიგრილისგან ქნილ იყოს ვითარებაა მისი. მუჰამედ ზაქარიასქე იტყვის: ამის მანკისა გამოჩენაა უფროადა ბალღმისა სქელისაგან იქნების, რომელ ფირტვისა ყელყექსა ჩასრულ იყოს და მუნ შეყრილი. ანუ გლუსუნისა სინელისგან, რომელ თავისგან ჩამოვალს და მუნვე დადგების ფირტვისა ნახადა, და ანუ მკერდსა ჩამოვალს და მუნ დამკვიდრდების.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მკერდსა და ხორხას ხარხარი იყოს, და სული დამოკლებულ იყოს და იხველდეს. და სიცივისა ჟამსა და საქმისა ძნელისა ეამსა სქელი ბალღამი ხორხისგან დია გამოვიდოდეს.

კურნებაა მისი რაა სიგრილისგან იყოს: მუჰამედ ზაქარიასქე იტყვის: იგი არს, რომელ ორი პეეზეი უღაბა, და მანისა ნახევარი ხურმაა, სამსა მანსა წყალსა შიგან შეაბგოს და კარგად ადუღოს, და ხურმაა დაფშენას მაშინ დაწუროს და ჰამოს და ეგეთთა რაასმე რომელ ბალღამსა დაამკრობდეს ჰკამდეს, ვითა მუხუდოს წვენსა და სპანძელისა თესლსა მოაყრიდეს ზედა, და ბოლოკი და ფურკელი მისი შეაბგოს და იხმაროს, და თუ რაბუსა მკერდისა სიძქისე ერთოს ანაყეთი წყლითა დაასოვლოს და დანაყოს, და წყალი მისი სძითა შეაბგოს და დანაყალი ფანიდი ზედა მოაყაროს, და ბადიანისა თესლი და ძირაა და ანისონი შიგან გაურთოს, და უზამან შესვას და ტკბილსა ნენესა ჰკამდეს 30) ერგების.

მასარაჯოა იტყვის: მკერდი გაწმიდოს და მუცელი ამით ჰაბითა დაიღბოს ვითარებაა მისი: ლარიყონი ოთხისა დანგისა წონით შაჰმი ჰანტალი დანგი და ნახევარი, კიტრისა აფშარაა დანგი ერთი, რეზასოსი ნახევარისა დრამისა წონი, ყველა და ნაყილი და გაცრილი, ბადიანისა თესლი და ფანიდი გაჰრიოს და იხმაროს. და ესე მაჯუნე ჩვენ გამოგვიტღია ამას მანკსა ერგების ვითარებაა მისი: ჯალღორაა და ფანიდი და ბადიანისა თესლი ყველა წვიდად გაგალოს და თაფლითა შეზილოს, და იხმარებდეს.

ჰუნან იტყვის: კურნებაა იგი არს, რომელ არწოყის ნელითა სიქანგუბინითა და ბერუკითა და სპანძელითა რომელ სტომაქი გაწმიდეს. და მაშინ მიადასა ჰაბი და უღბოადა ლუოყი საჰამადსა უწინათრე ჰამოს, და ვიდრე შეეძლოს მღვიძარე იყოს მათ რომელ ძილი 40) სულსა დაამოკლებს და მანკა დიდსა თავისგან ჩამოიღებს, და მანკსა მოუმატებს და საჰამადსა ხობბისა და კაკაბისა კალიად შექნილსა ჰკამდეს. და მწვანეილთა თანა ქონდარი და პიტნაა, დი სპანძელი ჰამოს და გრძობისა ხორცსა ამის მანკისათვის დიდი ხასიათი აქვს საკვირვლად მარგებელი არს.

რდ. ფიტხინა განივება რომელსა ჰჰმინ არაბულად დამარაა, რა სიმბურვალისგან იყოს, ჯალინოს იტყვის: ვითარებაა მისი სასხლისა მორენისაგან იქნების, რომელ



მელ ფირტცსა შიგან შიყრილ იყოს, ანუ ზაფრისა სიმეტითა, ანუ ორთაგანეც ტომეცლ ერთგან გარეულიყოს და ფირტცსა შიგან შეიყარნენ, და მუნ სიმსივნედ ქნილ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმბურვალისგან ვასივებულ იყოს. ნიშანი იგი არს, მისი რომელ იხველდეს და აცხრობდეს. და სული დაუმოკლდეს და ფერად წითელი იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ცხროდ დია ფიცხელი იყოს და სწყუროდეს.

კურნებაჲ მისი რომელ სიმბურვალისგან ქნალ იყოს. ჯალინოს იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას. ქრთილისა წყალი და შაქარი და ბაზრაცატუნისა წყალი სებას, და რეზასოსი თეთრითა შაქრითა ქამოს, და თუ მანკი ძნელად იყოს ლბილითა ჰუყნითა მუცელი დაიღბოს, და ქრთილისა წყალი და ნუშისა ზეთი და ფანილი<sup>1)</sup> ქამოს. და თუ მანკი სნებათა უკანის გამოჩენილ იყოს ვითა დათალ ჯანბი ანუ რაბვი ანუ მძიმენი სნებანი ხელსა ნუ გაიხსნის, რომელ არ დაუხუსურდეს და საშიშოჲ არს რომელ სხედაცა რაჲ მე სენი გამოჩნდეს.

ფოლოს იტყვის: თუ სნეულსა შეეძლოს ბასალიკი გაიხსნას და ძალისა მისაფერად სისხლი გაუშვან. და მაშინ ქრთილისა წყალი სებას, რომელ სეფისთანითა და უნებითა შექნილ იყოს. და მიწყით ტკბილისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს და ბაზრაცატუნისა ლუბი და ბეჰესა გულისა ლუბი იისა შარაბსა ვაპროოს და მას სმიდეს, მეტად უზმამან. და თუ შეკრვით იყოს ხიარშამბრისა ფოლოსითა და იისა შარაბითა მუცელი დაიღბოს, და ხაშაშისა შარაბითა ილარდაროს ერგების. დამეშაპარისა წყალი და კატაკტოასა თესლი და ძაღლის ყურძნისა წყალი მკერდსა იცხოს, და მეხუთესა დღესა ამის წყლისა ნაცვლად

20 იისა ზეთი და ნილოფარისა ზეთი, და თეთრი ცვილი და ქაფური, მალჰამად შექნას და მკერდსა შესცხოს და ზოფაჲსა<sup>2)</sup> მატბუხი ქამოს. და რაჲ ცხროდ და ხველდა დააკლდეს და სნეული უსუსორად იყოს, აყიროსა ურწყოჲ ქამოს ნუშისა ზეთითა, ანუ მაშაჲსა ურწყოჲ. და რაჲ შეიგნეს რომელ მანკი აღარა არს, ვარია წეადად ქამოს, და სიმბურვალეთა ერიდებოდეს, და საკამადსა დია ნუ ქამს ნუ თუ შეძლებული იყოს, რომელ კარგად ერგოს. ფირტცისა სიმსივნე რაჲ სიგრილისგან იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგინ იყოს.

თებით ყურაჲ იტყვის. ვითარებაჲ ბალღისა სიმრავლისაგან იქნების, რომელ ფირტცსა შიგან შეყრილ იყოს, ანუ სინედლისაგან, რომელ თავისა ტენისაგან ჩამოსრულ იყოს და მოერეინეჲ და უსუსურობისაგან ფირტცსა მათი გაყენებაჲ არ შეეძლოს, შიგან

30 დამკვიდრდეს და სიმსივნედ და მანკად შეიქმნეს შიგან. ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ სული დამოკლდეს დია და იხველდეს და პირსა წყალი სდიოდეს და ცხროდ ფიცხელი არ იყოს, წყნარი იყოს. კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან ქნილ იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: ლელვისა შემგბარი ქამოს და გულანგუბინი თბილითა წყლითა იხმაროს, და სიმყავეთა ერიდებოდეს და თუ დანაყილისელი თაფლითა ქამოს კარგი არს. ანუ ბადიანისა<sup>3)</sup> შემგბრისა წყალი შაქრითა იხმაროს. და თუ მანკი ძლიერად იყოს ხმელისა ზოფაჲსა მატბუხი იხმაროს და ფარისიაოშანი იისა ზეთითა, და ჯალღორაჲსა ზეთი და ფუსათუყისა<sup>4)</sup> ზეთი მკერდსა იცხოს კარგი არს. და საკამადსა მას ქამდეს რომელ იფქლისა და ქარსნაჲსა და თაფლისა და ნუშის ზეთისგან შექნილ იყოს. და თუ შურგაჲ თიკნისა სორკითა შექნილ

40 იყოს და მურვალითა სანელბელითა შეზავებული იხმაროს დია ერგების. და ჩამიჩისა წყალი და თაფლისა წყალი და შემგბარი ლეინოჲ მას დია ერგების. და თუ მკერდი ნარგისისა ზეთითა და სოსანისა ზეთითა, და ცვლითა და ქათირაჲთა, რომელ მალჰამაჲ ვითა შექნილ იყოს შესცხებდეს<sup>5)</sup>.

არბიასიოს იტყვის: ესე მატბუხი ქამოს ვითარებაჲ მისი: ლელვი და უნაბი და ჩამიჩი ტაიფური, და სიფისთანი და იაჲ და ბალღისა თესლი, და ბროწეულისა გული და

1) ამ სიტყვის ნიშანი უზის და აშიაზე სწერია მხედრულით „შაქარი“.  
2) ამ სიტყვის გაწვრივ აშიაზე სწერია მხედრულით „კურკანტელა“.  
3) ამ სიტყვის გას ვრივ აშიაზე სწერია მხედრულით „ბადიანი რახიანას ჰქვიან ამ წიგნით“.  
4) ამ სიტყვის ნიშანი უზის და აშიაზე სწერია „თბილი“.  
5) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია მხედრულით „ფარისიაოშანი წყლის პირას არის ცხენას ძუასაც კიბიან“.

ფარისიაოზანი თვითოვსაგან პევზეი ერთი, ყველაა წყლითა აღულოს რომელ ჯულაბი ვითა შეიქნეს, და მათნი ორი უკიაა მისგნით ინმაროს ერგების. და თუ ბადიანისა წყელი თათლსა გაპრიოს და ცოტაა ფანიდი გაპრიოს, და მისგნით მიწყით ცოცოტასა ჭამდეს ერგების, და საჭამადად მუხუდისა წვენსა ჭამდეს, რომელ ბადიანისა თესლი რთულ იყოს. და ზოფაასა შარაბი მას ერგების. და ესრე იქმოდეს გამრთელების წყალობითა ღმრთისათა.

**აძ. შირტვისა სიწყალულა რომელსა ჰქვიან არაბულად სილი.** ვითარებაა მისი შეცნიერთა აქივითა თქმულისაგან. იოჰანაა იტყვის: რომელ სინედლითა სიფიცხისგან იქნების რომელ ფირტესა შიგან შეიყაროს, ანუ მკერდსა შიგან, ანუ ფირტესა ზედა გამოვიდეს და გაწყლულდეს, და თხამლი სდიოდეს.

10 ნიშანი მისი იოჰანაა აქივისგან ნათქვამი და შეტყვებაა: იგი არს, რომელ ტანი დაშლდეს და მიწყით ლბილად აცხრობდეს, და თხამლი რომელ ხორხისგან ამოვიდეს ყვითელი იყოს, და მკერდისა სიწყალულე იგი არს რომელ ცხობა მხურვალე იყოს და მკერდი სტკიეოდეს<sup>1)</sup>.

კურნება მისი. იოჰანაა აქიმიცა იტყვის: არ გამრთელდება ამის მანკისა მისგან არს, რომელ ფირტი სილითა კვეთისა სისხლი არს, და წამსა ძვირისგან არ დასწყნარდების, და სიწყალულესა ვერ ჰკურნებდე სიწყნარე ეხმარების, და არ შეძრვავ რომელ წამალი შეუხდეს და არგოს რაამე, დაამწიფოს და გაამრთელოს. და ფირტი ძვირისაგან არ დასწყნარდების ამისთვის ძნელად იკურნების. და სხვაა ნივთი მისი იგი არს, რომელ ფირტი ბაღლმისა სახლი არს და მიწყით შიგან სინედლე შეყრილი არს, და წყალულსა ვიდრე 20 არ დაამრობ არ გამრთელდების, და ფირტვისა გახმობაა არაათ არ ეგების. და წამალიცა მას ვერ მიხედების გზისა სიშორითა. ამისთვის ესე მანკი ძნელი არს. და რაა სილსა ცხობა ერთოს უძნელესი არს, მით რომელ ესე ორივევე სნეულებაა ერთმანერაისგან კიდე განია, მით რომელ ცხროასა ყოლაა ნედლი და გრილი უნდა, და ფირტვისა წყალულსა ხმელი და მხურვალე უნდა, ამისთვის კურნებაა მისი ძნელი არს, მათ რომელ რააცა ცხროსა ერგების ფირტესა ევენების, და რააცა ფირტვისა წყალულსა ერგების ცხროსა ევენების, ეგრე ხამს რომელ ჰარველ ცხროსა ჰკურნონ. და თუ მანკი ძველი იყოს არა იკურნების. მაგრა დასაწყისსა ეგრე ხამს, რომელ ბასალიყი ძარღვი გახსნან ტკივილისაჲ, და თუ ყიფალიცა გაიხსნას არა ჰგავა, და თუ ძალი ჰქონდეს ხიარშამპრისა მატუხითა<sup>2)</sup> მუცელი დაიღბოს, და იაა და უნაბი და ჩამიჩი, და სიფისთანი და თარანგუბინი და ფანიდი ცოცოტაა ჭამოს, 30 და თუ მკერდსა შიგან სიხმელე იყოს ლისანალჰამალისა წყალი იისა ზეთსა და აყიროსა ზეთსა გაპრიოს და ინმაროს. და ძილისა ეამსა ბაზრაყატუნაა და გომიზი არაბული და და სომხური მიწაა ჭამოს, და ბეჭესა გულისა ლუბასა ჭამდეს, რომელ ადრე ელხინოს.


ვითარება ფირტვისა სიწყალულისა. ფოლის იტყვის: რომელ ესე მანკი სარსამისგან იქნების, ანუ სურდოსა უკანით რომელ დიდხან სჭირვებოდეს და თავისგან ჩამოვიდეს, ანუ ხველასა უკანით შეექნების, ანუ სისხლისა სიმრავლისგან იქნების, რომელ ხორხისგან ამოვიდეს, და იქნების რომელ მკერდიცა და ფირტიცა ორივე აწყლულდეს კაცისა.

ნიშანი მისი და შეტყობაა ფოლისისა ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ ცხროა ლბილად იყოს და ტანი მკლე იყოს, და ფრჩხილნი გამრუდდენ სინედლისა მოღნობისაგან და ხველისა ეამსა ჰავე თხამლი მყრალი ამოვიდეს, და ფერხნი გასივდენ და 40 საჭამადსა არ ინებდეს ჰავად მყოფი კაცი ამით მანკითა.

კურნებაა მისი ფოლისისა ნათქვამისგან. ესე მანკი მით ძნელი არს, რომელ ფირტი აწყლულდეს უკვე არ გამრთელდების, რომელ ნიადაგ შეკერასა და გაღებასა შიგან არს, რომელსა ჰქვიან არაბულად ინყიბატი და ინბისატი, ვითა მკედელთა საბერველი რომელსა ჰქვიან სპარსულად დმი აჰანგარან. ცივისა ქარსა შეიბყრობს და გულსა მისცემს

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „კზ“ და შემდეგ გვერდის აშიაზე „კმ“.

<sup>2)</sup> ეს სიტვა განმეორებულია შეიღობით



და თუ ბაჰა ერთი დასწყნარდეს მასვე ბაჰასა გული დაიწვიოს, და მეტისა სიმშურვალისგან  
 კაცი ცოცხალი არ იქნების, მაშა ვიდრე ესე მანკი გაძნელდებოდეს ვირფაქეხისაჲ კამდეს  
 და კირჩხიბსა ფერხა დაუჭრას და ერთსა დღესა და ღამესა წყალსა და ნაცარსა შიგან დააღობოს,  
 და მაშინ გარცხოს და ქრთილისა წყალსა შიგან შეაბგოს, და ნელ თბილსა ქამდეს, და მუ-  
 ცელსა ნუ დაიღობოს, რომელ თუ სიღობა მოემართოს სნეული დაუსუსურდების. და თუ ცხროა  
 ძლიერი იყოს კვეცრისა ყვითელსა ქამდეს, და ფურისა და თხისა სძესა ქრთილისა წყლითა  
 შემგბარსა, და ახალსა თევზსა ქამდეს, და თიკინისა ხორცსა და ბაკილასა წყალსა, და ნუ-  
 შისა გულსა, და ვარიად და ახალი თევზი ქრთილისა წყლითა შექნილსა ქამდეს. და დღივ  
 ორჯერ აბანოსა შიგან დაჯდებოდეს და რაა გამოვიდეს ტანი აყიროდსა ზეთითა და იისა

10 ზეთითა იზელოს, და თუ ბუნება დაუღბეს ესე წაშალი ქაშოს ვითარებაა მისი: გომიზი  
 არაბული და ტაბაშირი, და მიწა სომხური და მორდი, და ჰებესა გული თვითოასაგან  
 დრამისა წონი, ფარისიაოშანი და ქათირა და ნიშისთავი და კატკატოსა თესლი თვითო-  
 საგან ნახევარი დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ბაზრაყატუნისა ლუბითა ყურსად, ვი-  
 თამცა კვერად, შექნას, თვითომისი ორისა დრამისა წონი და დღივ თვითოსა ქამდეს. და  
 ხაშხაშიცა ქაშოს, და თუ ცხროა ძალიანად იყოს ქრთილისა წყალი სევს. და რაა ცხროა  
 დასწყნარდეს მაშინ სძე ქაშოს, ზოგჯერ ქრთილისა წყალი, ზოგჯერ სძე, და ბუნება შეინა-  
 ხოს და ყოვლისაგან მას სძე უჯობს და დიაკისა სძე უმჯობესი იქნების, და მაშინ ვირისა სძე და  
 მაშინ აქლემისა სძე, და პურსა სძითა ქამდეს, რომელ აღრე ელხინოს წყალობითა ღმრთისათა.

**რგ. გვირდთხ სიხსივნე რუმელსა ჰქვიან დათალჯანნი არაბულად.** ვითარებაა მისი

20 რომელ სიმშურვალისგან იყოს. მაჰმად ზაქარიას ძე იტყვიოს: სისხლისა სიმშურვალის-  
 სა ანუ სიფიცხლისა და მორგენისა სისხლისაგან იქნების, ანუ ზაფრისა მორგენისაგან იქნე-  
 ბის, რომელ ბუნებისა ძალსა გვერდისა ფარდაგსა შიგან შეეყვნოს, და რაა დია შეიყაროს  
 მას ადგილსა სიმსივნედ შეიქნების.

ნიშანი მისი რაა სიმშურვალისგან ქნილ იყოს. ნიშანი მისი რაა სის-  
 ხლისგან იყოს იგი არს, რომელ პირი წითლად ედგას და მაჯასი ადგომილი იყოს, და სუ-  
 ლი დამოკიდებულ იყოს. და ნიშანი მისი რააცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ  
 ტკივილი გვერდსა შიგან ვითა ისარი სცემდეს და ცხროა ფიცხელი იყოს.

ტურნებაა რაა სიმშურვალისგან იყოს. მოჰამედ ზაქარიას ძე იტ-

ყვიოს: ბასალიყი გაიხსნას მუნითვე რომელ არა სტკიოდეს, და მესამესა დღესა ყიფალი  
 30 გაიხსნას მუნითვე რომელ სტკიოდეს. და ქრთილისა წყალსა და გაზრდილსა იასა ქამდეს.  
 და თუ შეკვრით იყოს ხილთა წყლითა ნუცელი დაიღობოს ვითა ტყეშალი და ხმელი ია  
 და ხიარ შაბმარი და თარანგუბინი. და თუ ტკივილი დია იყოს ბაბუნად და ბაღბაა  
 თვითოსგან ჰევში ერთი წყლითა შეაგბოს, და ქუნჯითისა ზეთი გაპრიოს, და მალჰამაა  
 ვითა შექნას, და ნელსა, ტკივილსა ზედა შემოსდებდეს. და თუ ხველსა ხმელი იყოს და  
 სულსა ძლივ იკვეთდეს უზმამან ესე მატბუხი იხმაროს, მას წინააო რომელ ქრთილისა წყა-  
 ლი ესევს, ვითარებაა მატბუხისა: ლელვი ოცი მარცვალი, ჩამიჩი უგულოა ათისა დრამისა  
 წონი, ვარჰარამისა ძირი გათლილი და დანაყილი ხუთისა დრამისა წონი, უნაბი და სიჟინ-  
 თანი თვითოასაგან სათვალავისა ოკო, ყველა სამსა ლიტრასა წყალსა შიგან შეაგბოს რო-  
 მელ ნახევრად მოვიდეს, და რაა დღე ნახევარ ლიტრა მისგნით ხუთითა დრამის წონით

40 გაზრდილითა იაათა ქამდეს, და სამისა დრამისა წონი ნუშისა ზეთი ქაშოს ერგების დია.

ისაჲ იტყვიოს: თუ მანკი ზაფრისგან იყოს ბასალიყი გაიხსნას ტკივილისაჲ. და თუ  
 მრეკელი შეკვრით იყოს ხილთა წყლითა და ხიარ შამბრითა და იითა დაიღობოს. და თუ არა,  
 ჰლბილითა ჰუყნითა დაიღობოს. და ბაღბაა და იაა და ვარდი წითელი და ქრთილისა ფქვილი  
 და ბაბუნაა ერთგან შეაგბოს და ტკივილისა ადგილსა შემოსდვას. და ცვილი იისა ზეთსა  
 შიგან დააღობოს და მკერდსა იცხებდეს, და ეგეთთა რასმე რომელ სიმშურვალესა დააწყნა-  
 რებდეს იხმარებდეს ვითა ბაზრაყატუნისა ლუბი და კიტრისა წყალი, და აყიროდსა წყალი  
 და ქრთილისა წყალი, რომელ კირჩხიბი შემგბარ იყოს შიგან, ამით იხმარებდეს რომელ აღრე  
 ელხინოს შეწყნითა ღვთისათა.



**დათალჯანისა ვითარებაა რა სიმრდილისგან იყოს.** იოჰანა იტყვის: ამის მანკის გამოჩენაა<sup>1)</sup> ვითარებაა სივრილისა იშვითა ოდესმე იქნების, მით რომელ მანკი გულისა სიბხლესა იქნების, მაგრა რა ბალღამი გულსა ზედა გამრავლდეს ანუ სისხლი ზაფრისა სიფიცხითა დაიწვას, და გვერდისა ფარდაგსა შიგან შეიყარნენ სივრილისგან იქნების ესე.

ნიშანი მისი რა სივრილისგან ქნილ იყოს, და ბალღმისგან: იგი არს რომელ ტკივილი ღებილად იყოს და არღია სწყუროდეს, და რააცა ხორხისგან ამოიღოს თეთრი იყოს და ნიშანი მისი რააცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ პირი მშრალად ედგას და ენა მჭისედ იყოს, და რააცა ამოიღოს შავი იყოს.

10 კურნებაა მისი რომელ სივრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: რა ესე მანკი ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ ფიცხელითა ჰუცნაათა მუცელი დაიღბოს და ხელი გაიხსნას უცილოდ, და ნელი ქრთლისა წყალი და სიქანგუბინი შესვას, და მუხუდისა ურწყოსა კამდეს ნუშისა ზეთითა, და მიწყით მკერდსა მომროღანითა იხელდეს კარგი არს. და აბანოსა მივიდოდეს და წყალსა ჩაჯდებოდეს ნელსა, რომელ მანკისა დედაა შეაბგოს. და თავსა ყოლა ნუ იხხავს წყალსა ეგნების, და საჭამადსა ცოტასა კამდეს და თუ მანკი ძლიერად იყოს ხიარშამბრისა ფოლოსი ძირაგსა წყალსა შიგან დააღბოს და იხმაროს უზმამან, რომელ სიმსივნე ბალღამური გახსნას და შეაბგოს. და მიწყათ შაქრისა გულანგუბინსა კამდეს თბილითა წყლითა. და ზოფაგსა მატბუხსა დიდი ხასიათი აქვს ამის მანკისათვის. და გაზრდილსა იასა კამდეს. და უფულა ჩამიჩი ერთსა დღესა და დამესა წყალსა შიგან დააღბოს და უზ-  
20 მად ნუშით კამდეს. და თუ ცვილი ხირისა ზეთსა შიგან გაადნოს და მკერდსა შესცხოს კარგი არს. და მუხუდის წვენსა კამდეს ნუშისა ზეთითა.

ბაყრატი იტყვის: რა მანკი სევდისგან იყო ეგრე ხამს, რომელ დასაწყისსა ხელი გაიხსნას. და წყალსა ძეჭილისა ფეჭილი მოჭიდოს ჰასოა ქნას და მას კამდეს. და შაქარი ნუშისა ზეთითა და ზოფაგსა მატბუხი იხმაროს. და თუ უღბაა და გუშდანიგი რომელსა ჰქვან სელი, წყლითა შეაბგოს და მიწყით მანკისა ადგილსა შემოსდებდის კარგი არს. და შაქარსა და კარაქსა გაპრედეს და კამდეს ერგების. და მაშინ აბანოსა მივიდოდეს და ნელსა აეტსა შიგან ჩაჯდებოდეს, და მაშინ მანკისა ადგილი შემროღანითა იხელოს და მუხუდოს წვენსა კამდეს.

30 **რ. ბარსამი რომელსა ჰქვინა არაბულად შავსა.** ვითარებაა მისი რა სიმბურვალისგან იყოს. არბიასიოს იტყვის: ესე მანკი სისხლისა მორგენისაგან იქნების, ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან რომელ სისხლისადა გარეულ იყოს, და გვერდისა ხორცთა შუა შეყრილ იყოს, და განძლიერდეს.

მოსოფაის ძე იტყვის: სიმსივნე არს.

ნიშანი მისი რა სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ თვალნი წითლად იყენენ და რა ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვან სიმსივნე ბელსა ქვეშეთ ჩნდეს, და აკბრობდეს და სნეული ბედიოსაცა უმნობდეს.

კურნებაა მისი რა სიმბურვალისგან ქნილ იყოს. არბიასიოს იტყვის: რომელ ესე მანკი სისხლისგან იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ მუნითვე რომელ ტკივილი არ იყოს ბასალიყი გაიხსნას, და მაშინ ქრთილისა წყალი სვას იისა შარაბსა თანა, და ბაზრაცატუნისა ლუბი იისა შარაბითა და ხაშხაშის შარაბითა სვას. და ნილოფარისა ფურცელი და სომზური ნიწაა თვითოგან ნაწილი ერთი ყველაა წყლითა და იის ზეთითა ზეხილოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და შურვასა კამდეს ნუშისა ზეთითა და მანკისა გამრთლებამდე ნუშისა ურწყოასაგან კიდე ნურას კამს.

40 **ჯალინოს იტყვის:** რა მანკისა სათაენო სისხლისა და ზაფრისგან იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ხელისა გახსნისა ქამსა ხორცისა ქამისა და სიმბურვალისგან

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრიკონ ზვიდან არის ჩამატებული დედნის ხელით.





სსსკ

ერიდოს, და ქრთილისა წყალი და ჯულაბი და იისა შარაბი იხმაროს, და თუ მეოთხესა დღესა მუცელი დაღბეს მისი, და რააცა გამოვიდოდეს ადვილად იყოს უჭირად და ფერად თეთრი იყოს მეშვიდე დღესა გამართულდების. და თუ მუცელი მეშვიდესა დღესა დაღბეს მანკი ძნელი და საფათერაკოა იქნების. და თუ რააცა მოვიდოდეს გაშავებულ იყოს, და ცოტაა ხიარშამბარი და სიფისთანნი და უნაბი სამივე აღდლოს და შესვას, რომელ მუცელი დაიღბოს, და მაშინ ასუანახი და ნონიჯი ჭამოს ნუშისა ზეთითა შექნილიერგების. და ყოლაე საჭამადსა ნუ ჭამს ქრთილისა წყლისგან კიდე. და თუ მეშვიდესა დღესა ცხროდ და სიმზურვილე არ დასწყნარდეს და გულისა ბნედად იყოს, და დია შრვიწვიდეს, და მკერდი სტკიოდეს და იხარხარებდეს, და პირსა კედლისაყენ იქმოდეს, და პირი წითლად ედგას სიკე-

10 დიდისა ნიშანი არს.

**ვითარებაა ვაკანაშია რომელსა ჰქვიან არაბულად შავსა.** რაე სიგრილისგან ქნილ იყოს. აბუჯარიჰ აქიმი იტყვის: ესე მანკი სტელისა გლუსუნისა ბალღმისგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა გვერდისა ხორცთა შიგან შეეყაროს, და რაე დია შეეყაროს ნოფროოს, და იგი ხორცი გაასიფოს და იშვითა იქნების.

ნიშანი მისი რაე სიგრილისგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ მზურვალე აცხროს და ხორხისაგან რააცა ამოვიდეს თეთრი იყოს და გვერდი არა სტკივოდეს, და მაჯასა უსუსურად იყოს, და რაე ხელი მანკისა ადგილსა შემოსდევან დია ხურვიდეს.

კურნებაა მისი რომელ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: თუ ესე მანკი ბალღმისაგან ქნილ იყოს კურნებაა იგი არს, რომელ უხმაე გაზრდილსა იასა 20 ქამდეს. და გულანგრბინი თაფლისა წყალსა შიგან დაგალოს და იხმაროს, და ზოფაქსა მატბუნსა ქამდეს. და ბაბუნაე და აქლილამალიქი და სისანბარი და ქაშიშითისა ფურცელი ქუნჯიდისა ზეთითა აღდლოს და ტკივილისა ადგილსა შემოსდევას. და თუ მუცელი შეკრულ იყოს ღბილითა ჰუქნითა მუცელი დაიღბოს. და მანკისა ბოლოსა აბანოსა მივიდეს ერგების. და საჭამადსა შურვასა ქამდეს ერგების, მსუქნითა ვარიითა შექნილსა. და ფლიანი რომელ შეჭრათა შექნილ იყოს და ნუშისა ზეთითა. და საჭამადსა დია ნუ ქამს და უდნობთა და მჭავეთა საჭამადთა ერიდოს.

მასარჯოა იტყვის: კურნებაა იგი არს, რომელ თუ ბუნებაა კვრით იყოს ღბილითა ჰუქნითა მუცელი დაიღბოს, და თაფლისა შარაბი რომელ მზურვალითა სანელვალითა შექნილ იყოს ვითა ფაჩარი და ყარანფული მას ქამდეს. და თუ ამით როჰელ გვითქვამს არ გამართულდეს, ესე წამალი ზუკოს ერგების ვითარებაა მიაი: ჩანიჩი და ნიანურისა ძირი, და ბადიანისა ძირი და იარაე თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, ქამაფიტოასი სამისა დრამისა წონი, ყველაე ორითა ლიტრითა და ნახევრითა წყლითა შეავბოს რომელ ლიტრად და უქეცა მოვიდეს, მაშინ ნახევარისა დრამისა წონი ბედანჯრისა ზეთი გაურიოს და უხმაე იხმარებდეს ერგების. და მიწყით მანკისა ადგილსა მუმროლანითა რომელ იისა ზეთისა შიგან შექნილ იყოს იზელდეს. და მაშინ აბანოსა მივიდეს და ნელსა ვობსა შიგან ჩაჯდებოდეს. და რაე მანკი გაქარდეს ვარიისა ქამდეს ზირაბაჯათ შექნილსა და საჭამადსა დია ნუ ქამს.

**აკ. ზულისა ტკივილი რომელ სიგრილისა ანუ სიმზურვალისა, ანუ სინეღლითა ანუ სინემლი-საგან ქნილ იყოს.**

ვითარებაა მისი რომელ სიმზურვალისა ანუ სიმემელისგან იყოს. 40 ჯალინოს იტყვის: ვითარებაა გულისა სიმზურვალისა მეტად მზურვალისა საჭამადისა ქამისაგან იქნების, ანუ ტანისა ქირისა ჩვენებისაგან, რომელ საჭიროა საქმე ექნას. და სინემლისა მისისა ვითარებაა დიდისა ქირისა და სიმფოთისგან იქნების, ანუ ხმელისა საჭამადისა ქამისაგან, რომელ დია ექამოს.

ნიშანი მისი რაე სიმზურვალისა ანუ სიმემელისგან იყოს.



ნიშანი ბუნებისა სიმხურვალისა. იგი არს რომელ შეკრდი უხურვიდეს და მჯახსი დიდი და ფიცხელი იყოს, და ცბროჲ არ დააგდებდეს. და ნიშანი სიმბელისა იგი არს, რომელ კაცი დამკლდეს და დაწვლდეს, და მჯახსი ფიცხელი და მავარი და მიწყით მფეთქელი იყოს ისარივითა.

კურნებაჲ მისი რომელ სიმხურვალისა ანუ სიმბელისაგან იყოს. ჯალინოს იტყვის: სიმხურვალისა ბუნებისა კურნებაჲ იგი არს, რომელ მარცხნით ბასალიყი გაიხსნას ანუ ორთავე მხარსა შუა ჰაქაჲ მოჰკიდოს, და მაშინ ქაფურისა ყურსი წყლითა იხმაროს, და მიწყით ქრთილისა წყალსა სმიდეს შეავისა ბროწეულისა წყლითა. და თუ მიწაჲ სომხური და ქინძი თვითოჲაგან დრამისა წონი, ტაბაშირი და ქაპრაბაჲ თვითოჲსაგან ნახევარისა დრამისა წონი, ქაფური დანგი ერთი, ყველაჲ დანაყილი დოსა გავრიოს და ჰამოს ერგების. და თუ ამას მანქსა თანა ცბროჲცა იყოს ბროწეულითა შექნილთა შაქანადთა ჰამდეს რომელ ნუშისა ზეთითა შეზავებული იყოს. და თუ ცბროჲ არ ერთოს ვარიჲა აღარდნითა ანუ ისრითა ჰამოს. და თუ ესე მანქი ზაფხულის იყოს გრილსა ადგილსა დაყოს და ქვეშეთ ტირიფისა და წნორისა ფურცელი დააგონ, და მიდამოსა სურნელი ჰამოჲ დასდევან ვითა შაჰასფარამი და ნილოფარი, და ვარდი და სანდალი და ვარდის წყალი და მსგავსი ამითი, და მიწყით მესმაჰარისა წყლითა მზვარსა დაასოვლებდეს და გულსა შემოსდებდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა სიმბელისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ვირისა სძესა ანუ ქალთა დედისა სძესა ჰამდეს, და თუ სიმბელესა თანა სიმხურვალისა ნიშანი იყოს ქრთილისა წყალი ბაზრაცატუნისა ლუბითა იხმაროს, და იისა შარაბი და ნილოფარისა შარაბი იხმაროს. და ვარდის წყლითა მზვარი დაასოვლოს და იისა ზეთითა და აყიროსა ზეთითა მკერდსა შემოსდებდეს. და ახალსა თევზსა ჰამდეს, რომელ ნუშისა ზეთითა კალიად შექნილი იყოს.

იოჰანაჲ იტყვის: მკავე მაწონი და თრუნჯისა მკავე ჰამოს, და ვაშლისა რუბი და კიტრისა წყალი და ქაფურისა ყურსი ჰამოს. და ვარდისა წყალი მყინვართა გაავრილოს და მზვარი მაგით დაასოვლოს და მკერდსა შემოსდევას. და ცივსა წყალსა სმიდეს. და გრილსა აბანოსა დაჯდებოდეს. და რაჲცა სიმბელისგან იყოს იგი არს, რომელ რაჲ ცბროჲ არ ერთოს. ქრთილისა წყალი იხმაროს და სძესა ჰამდეს და მუმროლანსა იისა ზეთისაჲ მკერდსა იცხებდეს.

ვითარებაჲ გულის ტკივილისა, რაჲ სიგრილისა და სინედლისაგან ქნილ იყოს.

ფოლის იტყვის. ვითარებაჲ გულისა ტკივილისა გრილისა საჭამადისა ჰამისაგან იქნების რომელ საზომისგან მეტი ეჭანოს, და სინედლისა ვითარებაჲ ნედლისა საჭამადისა ჰამისაგან იქნების და გამოსევენებისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისა ანუ სინედლისაგან იყოს. ნიშანი გულისა სიგრილისა იგი არს, რომელ კაცი ზანტად იყოს და პირისაგან სიელვარე წასრულ იყოს, და მკერდი მხურვლად არ იყოს. და სინედლისა ნიშანი იგი არს, რომელ მჯახსი ზანტად ფეთქდეს და ლბილი იყოს, ეგრე რომელ თითი შიგან ჩაჯდებოდეს სილბოთა მისითა.

კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისა ანუ სინედლისაგან იყოს. იგი არს რომელ ვაშლისა შარაბი რომელ შიგან მუშკი და სიქი შექნილ იყოს იხმაროს. ანუ მიშქადარვი ღვინითა შემგბარი ანუ ვარდის წყალი და ალვია და მასტაქი ჰამოს. და თუ სისამბარი და მარზანგოში და დრამინაჲ, და თეთრისა იასამინისა ზეთი, და წმინდაჲ ყვითელი ცვილი ყველაჲ მალჰამავითა შექნას და მკერდსა მაგით იხელდეს დია ერგების. და ვიდრე შეეძლოს ცივისა წყლისა სმისგან ერიდებოდეს. მაშა თუ ამით არ გამრთელდეს ანბრისა გვარიშნი ჰამოს. და საჭამადსა დურაჯსა ანუ თიჰოჲსა კალიად შექნილსა ჰამდეს, და სინედლისა კურნებაჲ იგი არს, რომელ იარაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღობოს ანუ ფიცხელითა ჰყუნითა, და მაშინ ანბრისა გვარიშნი და ვარდის წყალი, და მასთაქე და ალვიაჲ საშსა დრამისა



წონსა სოსნისა ზეთსა გაჭროს, და ცოტად მდოგვი გაჭროს და ჭამოს, **ერგებეს** და საჭამადსა თიპოსსა და დურაჯისასა კალიად შექნილსა ჭამდეს აბეკმაქითა **აბეკმაქითა**

მუჭამედ ზაქარიაას ძე იტყვის: რომელ სურნელი ღვინოა სუას, რომელ შიგან ცოტად მხურვალე სანელებელი რთულ იყოს, და მკერდსა ბერძელისა ფაჩარისა ზეთითა იზღლდეს, და ყუსტი და სუდი და აბალი, და კილამონი და ყარანფული და მორდისა ფურცელი, ყველა ერთგან დანაყოს და ჭამოსა ღვინოსა და ბეჭესა შარაბსა, ვაშლისა შარაბსა გაჭროს, და გულსა შემოსდგას, და საჭამ და ტრედისა ხუნდსა და კვერცხისა ყვითელსა ჭამდეს, და კალიად ჩიტის ხორცითა და მზრვალითა სანელებლითა შექნილსა, და დია უძნელესი კურნებაა ესე არს ყოველთა კურნებათაგან, ვერე ხამს რომელ ადრე ეწიოს და არ მოლაფლდეს და მოიჭირვოს სიფროთილესა და კურნებაა მისსა კრძალვითა.

**აბი. გულითა ფითხაა რომელსა ჰქვინან არაბულად ხაფაჰანი.** ვითარება მისი რომელ სიმხურვალისგან იყოს. ფოლის იტყვის: ესე მანკი სისხლისა მორგენისაგან იქნების ანუ ზაფრისა სიფიციბისაგან რომელ ერთგან გაეროვნენ და გოლისა ფარდაგსა შიგან შეიყარნენ, ანუ სხვაყებრ იქნების რომელ გულისა ფარდაგსა შიგან გამოჩნდეს, ანუ გულისა სისუსტისაგან რომელ პეით უსუსტრ ქნილ იყოს.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მკერდი მხურვალედ იყოს, და ნიშანი მისი რაა სიმსივნისგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ სული დამოკლებით იყოს და სნეული და დაბნედილი იყოს, და მრუა ესხმოდეს და ერთგან ვერ დაჰმიდეს.

**20** კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან ქნილ იყოს: მასარჯოა იტყვის: ამისი კურნებაა რაა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და სამჯერ სისხლი გაღშვას. და ტინძი და ტაბაშირი და ვარდი თვითთასაგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ცერეკოასა წყლითა და თრუნჯისა მყავისა წყლითა ჭამოს ერგების, და თუ ათისა დრამისა წონი ხეარტისა აესლი, ათისა დრამისა წონისა ფურისა მაწონსა შიგან დაალბოს და ჭამოს ერგების. და ესე წამალი კარგი არს ვითარებაა მისი: ტაბაშირი ათისა დრამისა წონი, ქაბაბაა და ყაყულაა და ჰილი ბოიად თვითთასაგან სამისა დრამისა წონი, ყოველი ლიტრააა და ნახევარსა მყავისა მაწონსა შიგან დაალბოს, და რაა დღე მისგნით ნახევარი მანი ჭამოს, და თუ ბევში ერთი ხეარტისა თესლი და ბევში ერთი ტინძი დანაყილი, და ბევში ერთი ქააქი შეჭამოს ერგების. და მიწყით თრუნჯისა მყავისა შარაბი იხმაროს, და ვაშლისა შარაბი ამას მიჩქასა ერგების.

**30** ისა იტყვის: რაა სიმხურვალისა ნიშანი იყოს ამას მანქსა თანა კურნებაა მისი იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და მაშინ ბროწყელისა მყავისა და ტკბილისა წყალი და თამრი ჰინდისა წყალი უსმამან იხმაროს. და ესე სუფლფი მას ერგების ვითარებაა მისი ორთავე კიტრთა წყალი და თესლი, და ჯიროასა თესლი და კატკატოასა თესლი თვითთასაგან ხელისა დრამისა წონი, კოწახტრი და ტაბაშირი და სიმბური მიწა თვითთასაგან სანისა დრამისა წონი, ქაპრაბაა და წერილი მარგალიტი თვითთასაგან ორისა დრამისა წონი, აღვაა ჩინური და მასთაქე თვითთასაგან დრამისა წონი, ყველაა წმიდად დანაყოს და ვაშლისა შარაბსა გაურთოს და ცოტად ჯოყიასა ჰაბი გაჭროს, და მუნით ჟამ და ჟამ იხმარებდეს, და ქაეურისა ყურსი და სიქანგუბინი შაქრითა შექნილი ჭამოს, და ზირაბაჯი ვარიითა **40** შექნილი ჭამოს ერგების დია.

გულისა ფეთქისაა რომელსა ჰქვინან ხაფაჰანი. ვითარება მისი რაა სიგრილისგან ქნილ იყოს.

ჯალინოს იტყვის. ვითარება მისი რაა სიგრილისგან ქნილ იყოს სისხლისა მორგენისაგან იქნების, ანუ სინედლეთაგან რომელ გულისა ფარდაგთა ქვეშე შეყრილ იყოს, ანუ სასეფლოთა ბუხართაგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალსა გულსა ფარდაგსა შიგან შეყენოს ანუ სიმსივნისგან იქნების, რომელ მუნ გამოჩენილ იყოს.



ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. ჯალინოს იტყვის: იგი არს, რომელ მაჯასი ლბილად იყოს და ფერი არ წითელი იყოს, და მკერდსა სიმბურვალე არა ჰქონდეს და ნიშანი მისი რაჲცა სიმსივნისგან იყოს იგი არს, რომელ სული დანოკლებულ იყოს და ამა სიმსივნესა არაბულად ლაშალ უალბი ჰქეიან.

10 ქურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისგან ქნილ იყოს. ჯალინოს იტყვის: იგი არს, რომელ მიწით ანბრისა გვარიშსხა და დიდსა თირიაცსა იხმარებდეს, და ესე სუფუფი მას ერგების ვითარებაჲ მისი: ჰინდოური ჰალეჲ და ყარანფული თვითოსაგან დრამისა წონი, ქაპრაბაჲ და თრუნჯისა ქერქი და ყუბროსული მიწაჲ, და ბარანბოჲსა თესლი და სუდი, და ქინძი და ანჯლაჲ თვითოსაგან სამისა დრამისა წონი, ბუსადი რომელსა ჰქეიან ჰოწი, და მარგალიტი და ხამი აბრეშუმი ზემწვარი დამწვარი, და ლეყვარდისა ქვაჲ და ნასათქე თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი დრამისა წონი ვაწლისა შარაბსა თანა და ბადრანბოსა შარაბსა თანა იხმაროს. და თუ მიშქადარვი მწარე ღვინოჲსა თანა გაპრიოს, დრამისა წონი ერთად ქამოს ერგების. ანუ ანყარდიამასა მაჯუნთი თაფლისა წყლითა შესვას, ანუ ბადანჯრისა მაჯუნთი მიშქადარჯსა თანა მიწყით ქამოს.

20 მესია იტყვის: მიშქადარვი ჰამოს, და ესე წამალი კარგი არს ვითარებაჲ მისი: მასთაქე და კილამონი<sup>1)</sup>, და დარაფილფილი სისანბარი<sup>2)</sup> და ბადარუქი და ფლანგამიშქი და ბადარანბოჲ, და სოდი ჰინდოური და ქინძი და ფაჩარი თვითოსაგან დრამისა წონი ერთი, ქაპრაბაჲ და წვრილი მარგალიტი და ტაბაშირი თვითოსაგან ნახევარისა დრამისა წონი, მუშვი დანგი ერთი, ყველაჲ დანაყილი თაფლითა, და ქაბულური ჰალილაჲ გაპრიოს, შეზილოს და იხმაროს. და თუ ერთი ამოლაჲ და პევში ერთი შავი ჰალილაჲ წყლითა შეზილოს და წყლითა ადულოს, და მაშინ მეოთხენდი მისი თაფლი მას თანა გაპრიოს, გვრე შეაბვოს რიმელ წყალი წაეიდეს და თაფლი დარჩეს, და ესე წამალი რომელ ვახსენეთ ამით თაფლითა შეზილოს და ეამ ეამ ნისჯნით იხმარებდეს, მიწყით მკერდსა ჰალილაჲთა იზელდეს და სურნელი ღვინოჲ და კვერცხისა სუთელი ამოზავებული იხმაროს, რომელ იდრე ელხინოს და გამართელდეს.

**რი. ღაზნადილოჲაჲ რომელსა ჰჰვიან აკაბულად ღიჲვი.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. ზაქარიას ძე იტყვის: მბურვალისა გასარველისგან იქნების რომელ გულისა სიახლესა შეყრილ იყოს, ანუ ძარღვთა სისავსისგან იქნების, ანუ სტომაციისა სისავსისგან, ანუ დია ჰამისგან, არაბულად იმთილე ჰქეიან.

30 ნიშანი მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. ზაქარიას ძე იტყვის: იგი არს, რომელ მბურვლად აცბროებდეს და მკერდი დია უბურვდეს და მაჯასი ფიცხლად ფეთქდეს, და ნიშანი მისი რაჲცა ძარღვთა სისავსისგან იყოს იგი არს, რომელ ძარღვნი ადგომილ იყვნენ, და სტომაციისა სისავსე ელდისგან იქნებაჲ და არ მოდნობისგან.

40 ქურნებაჲ მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: თუ ანის მანკის ვითარებაჲ სიმბურვალისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ გაცივებულსა ვარდის წყალსა მკერდსა და პირსა ზედა იხმიდეს. რომელ კუყვასა მოვიდეს. და მაშინ სიქანგუბინი და ისრიმისა შარაბი იხმაროს. საჭამადსა ტრედის ზუნდსა ქამდეს რომელ ალარდნითა ანუ ისრიმითა შექნილ იყოს. და თუ ზაფრისა გასარველისგან ქნილ იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ არწყიოს ანუ მუცელი დაილბოს<sup>3)</sup> ანუ აფსანთინისა შარაბი სვას რომელ მანკისა სათაფროჲ დაჰლიოს, და მაშინ სანდალი და ქაფუ-რი და ვარდის წყალი და მემბჰარისა წყალი ერთვან გაპრიოს და მკერდსა იცხოს<sup>4)</sup> ერგების. და არა ხამს რომელ მუცლისა დალბობასა უქანა შემპყრობელთა რაჲსმე ქამდეს ვითა თუთუბაჲ და ისრიმი რომელ წელწულთა და შიგანთა აცხებს. და თუ ოფლსა გამოსცემდეს

1) ან წინადადებაში ეს სიტყვა შეცდომით გინჰერთვებოდა.  
2) ან გვერდის ქვეშ ანიზზე რვეულთა სათვალავი სწერია „აბ“. და შენდევერძზე „კთ.“  
3) ეს სიტყვა სტოიქონ ზემოდან არის ჩამატებული  
4) ამ აბტყერს მაგიერ ტექსტში შეცდომით სწერია „გაპრიოს“.



კურნება მისი იგი არს, რომელ გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს რ ვარდის წყალსა პირსა ესხმოდეს და მორდის წყალსა ტანსა იცხებდეს. და რაჲ ჭკუფასა მოვიდეს ცივითა წყლითა იბანებოდეს და პირსა ნუ მნახავს, და საჭამადსა ვარიასა ჭამდეს თუთუბითა შექნილსა. და რაჲ ელდისგან ქნილ იყოს ნელითა წყლითა და სიქანგუბინითა არწყიოს, რომელ სტომაქი გაუსუქდეს და მანკი გაქარდეს. და თუ ესე მანკი და ცხროჲ ერთგან გამოჩნდენ თუ მანკისა დედაჲ სტომაქსა შიგან იყოს არწყიოს. და თუ სიხველისგან იყოს ეგრე ხაშს, რომელ ცხროებასა უწინაჲთ პური შემგებარსა ღვინოჲსა და ვარდის წყალსა შიგან დააღბოს ეგრე ჭამოს. და მაშინ ვაშლისა შარაბი წყლითა შესვას და ფერხი და ხელი შეკრას და იხელდეს. და თუ იგი მანკი ცხროებასა პირველსა დასაწყისსა თანა გამოჩნდეს პური ბროწყელისა წყლითა დააღბოს და ეგრე ჭამოს.

10 და ბნედილობისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: ამის საქმისა ვითარებაჲ რაჲ სევდისგან იყოს იგი არს, რომელ გასარეველი სქელი ბალღამური სტომაქსა შიგან შეიყაროს, ანუ ისთიფრადისგან იყოს ვითა სიღბოჲ და სისხლისა დენაჲ ცხვირთაჲ.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: რაჲცა ბალღამურისა გასარეველისგან ქნილ იყოს, იგი არს რომელ ყოლა საჭამადი არ მოუნდებოდეს და ნიშანი მისი რაჲცა ტანისა ისთიფრადისგან იყოს ვითამცა დაკლისაგან იგი არს, რომელ ტანი დაიკალოს.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისგან ქნილ იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: დაბნედილობისა კურნებაჲ იგი არს, მანკი რომელ მისგან ქნილ იყოს წამლითა გარდაიღოს, მაშა თუ ბალღამურისა გასარეველისგან ქნილ იყოს ცერეკოჲსა წყლითა ნელითა არწყიოს და ბოლოკისა წყლითა, რომელ სტომაქი გაწმდეს და უხმამან გულანგუბინი და მასთაქე ჭამოს. და აბანოსა მივიდეს და დიდხანი დაყოს რომელ ბალღამი სტომაქსა შიგან გაადნოს. და საჭამადსა ვარიასა ჭამდეს ზირაბაჯითა. და თუ ისთიფრადისგან ქნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ჰამოთა სურნელთა უსუნებდეს და მაშინთა და სუბუქთა საჭამადთა ჭამდეს ვითა ვარიას და ბატკნის ხორცი კალიითა შექნილი. და თუ ისთიფრადი სიღბოჲსაგან იყოს ამას ჭამდეს რომელ გვითქვამს. და ნილოფარსა და შაჰასფარამსა უსუნებდეს, რომელ ტვინი ვანძლიერდეს, და აბანოსა მივიდოდეს და ნელითა წყლითა იბანებოდეს. და თუ ისთიფრადი სამხურვალისაგან იყოს მკლავი და ფერხი შეიკრას და იხელდეს. დელი ჰალილი და ზანჯაბილი და შაყაყული გაზრდილი რაჲცა იყოს ჭამოს. რომელ სტომაქი მანკისა დედისგან გაწმდეს. და ყოვლისაგან უმჯობესი ამის მანკისათვის აფსანთინისა შარაბი არს, რომელ მიწყით იხმარებდეს და გრილსა და ხმელსა საჭამადსა ერიდოს, და ტკბილთა და მხურვალეთა ჭამდეს.

**რჩე. არგამლოჲჲა ჭაშისაგან რომელსა ჰქვინან არაბულად შაკვათალ ძალგია და ჯუალ ძალგი, თარგმანი მისი კლოშილისა სიფოილი.**

ვითარებაჲ რაჲ სიმხურვალისგან იყოს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ ამის მანკისა ვითარებაჲ სტომაქისა სიმხურვალისგან იქნების. და ეგების რომელ სევდისა ძალმან ამას შიგან სტომაქსა შეეწიოს. და ქირისა და სიძნელისგანცა იქნების, რომელ კაცსა ღარიბობასა და მგზავრობასა ენახოს, და მისგან იქნების მანკი იგი.

40 ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ კაცი დია ჭამდეს და გაძლომაჲ არ ეგებოდეს, და სწყუროდეს და წლყისა სნისგან ელხინებოდეს. და ნიშანი მისი რომელ მგზავრობისგან წაჰკიდებოდეს იგი არს, რომელ რაჲ გვიანად ჭამოს დაჰბნებოდეს.



კურნება მისი რომელ სიმბურვალისგან იყოს. იგი არს. მუქა-  
მედ ზაქარიასძე იტყვის: ბასალიყი გაიხსნას მარცხნივ და ზღვითა წყლითა  
მუცელი დაიღბოს, და თუ მუცელი ლბილად იყოს ტკბილასა და მუცლისა მარცხენისა  
წყლითა მატბუხისა შარაბი<sup>1)</sup> ინმაროს, და საჭამადსა თუთუბისა ურწყოსა ჭამდეს რომელ  
მუცელი შეუკრას. და წითელი და თეთრი სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური ერთგან  
გაგალოს და სტომაქსა შესცხოს, და სიმბურვალეთა ერიდებოდეს და რაჲ მანკიან მოიჯო-  
ბინოს სიქვისა ჭამდეს ზრობის ხორცითა და ძმრითა შექნილსა.

10 ისეჲ იტყვის: თუ ესე მანკი მეტისა სიმბურვალისგან იყოს კურნება იგი არს,  
რომელ ბეჭესა რუბი ჭამოს ანუ ისრიმისა რუბი, ანუ ვაშლისა რუბი. და ღვინოსა ნუ  
სვამა და მბურვალთა საჭამადთა ერიდოს. და ხმელი ვარდი და მროწეულისა ყვავილი და  
თეთრა სანდალი ერთგან გაგალოს და შესცხოს სტომაქსა. და მუზაფარსა ჭამდეს ზრობი  
სასა და ახალი თევზი ძმრითა შექნილი ჭამოს ერგების. და ხილთაგან ორივე კიტრი ჭამოს.

20 თებით ყურაჲ იტყვის: სიმშილი რაჲ საზომისაგან გარდვიდეს, კურნება იგი  
არს რომელ ცივი წყალი და გაცივებული ვარდის წყალი პირსა იცხოს მრავალჯერ. და  
ჭამოთა ასფარამთა უსუნებდეს და ალვიითა და ანბრითა, და ზაფრანითა და ფაჩარითა,  
და ყარანფულითა და მასტაქითა, რაჲჰანურითა ღვინითა სტომაქსა იცანდალებდეს. და  
ასოთა ვარდის წყლითა და ქაფურითა და მუშკითა და მურდისა წყლითა და ვარდითა  
მიწყით იზელდეს. და მკლავი და ბარკალი შეკრას. და რაჲცა მგზავრობისგან ქნილ იყოს  
იგი არს, რომელ ხორცისა წყალსა სმიდეს მბურვალთა სანელებლითა შექნილსა, ერგების  
20 ღმრთისაჲ შეწვევითა.

ჯუალ ქალბისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. თებით ყუ-  
რაჲ იტყვის: მით იქნების რომელ ფიცხელი სევდაჲ სტომაქისა პირსა შეყრილ იყოს,  
ანუ ისთიფრალისგან იქნების რომელ ტანსა ყველაჲსა წაეკიდოს. ისთიფრალი დაცლაჲ.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ დია ჭამდეს და  
ფატი ცოტაჲ იყოს მისი, და თუ არაჲ ჭამოს სტომაქი ასტკივდეს. და მუცელსა გასარევე-  
ლისა ნიშანი იგი არს, რომელ ბალღამსა დია ამოიღებდეს, და ისთიფრალისა ნიშანი თეით  
ცხადი არს.

30 კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის:  
რაჲ სევდისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელი ბასალიყი გაიხსნას და აფთიმონისა მატ-  
ბუხითა მუცელი დაიღბოს. და ტყირბსა ზედა დალი დასვას და ჭიქაჲ მოჰკიდოს. ცხიბიანსა  
ჭამდეს და ძლიერსა ღვინოსა ინმარებდეს. და თუ ესე მანკი სტომაქისა სიგრილისგან იყოს  
ნიშანი მისი იგი არს, რომელ დია ჭამდეს და ფატი დია იყოს, და ტყივილი და კბენაჲ  
სტომაქისა არ იყოს.

კურნებაჲ მისი იგი არს რომელ სტომაქისა სიგრილისათვის ვახსენეთ. მაგრა  
ამისი კურნებაჲ უფროჲ ძალიანი უნდა რომელ სტომაქი გააძლიეროს. და თუ საჭამადსა  
დია ჭამდეს სტომაქსა ზედა დამძიმდეს, და საჭამადსა ცხიბიანსა ჭამდეს და მუცელთა და  
შემკერდელთა ერიდებოდეს.

40 მასარჯოჲ იტყვის: რაჲ მანკისა დედაჲ სევდისგან იყოს ბასალიყი გაიხსნას და  
აფთიმონისა მატბუხი ჭამოს, და შავი ძალილაჲ და ბასბაჲსა ინმაროს და ცხიბიანსა ბრინჯ-  
სა ჭამდეს რომელ ბატქნისა ხორციითა და ვარითა შექნილ იყოს, და ძალიანსა ღვინოსა სმი  
დეს და ფალუდაგსა და ლავზინაჲსა ჭამდეს, რომელ ნუშისა ზეთითა შექნილ იყოს.

თუ მანკისა დედაჲ მუცლისა ბალღამისგან იყოს. კურნებაჲ მისი  
იგი არს. რომელ იარაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და მაშინ ძირაჲსა გვარიშინი  
ჭამოს და ძველსა ღვინოჲსა სმიდეს, რომელ მანკი არ გაძლიერდეს. და თუ ცოტაჲ თირი-

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული ჯედნის ხელით.



აყი ქამოს კარგი არს, და მიწყით ცხიბიანთა საქმადთა მიელტვოდეს, ანუ შურვადცა მწყერისა ხორცითა ანუ შინაურისა მსუქნისა ქათმისა ხორცითა შექნილნი ანუ ქერთისა წლისა მსუქანისა ცხერისა ხორცითა, რომელ მხურვალითა სანელეზლითა შექნილ იყოს იხმარებდეს. და თაფლიანსა ფაღუდაგსა ნუშისა ზეთითა და ზაფრანითა შექნილსა, რომელ აღრე გამრთელდეს და მანქსა დაეხსნას.

**რივ. მიწისა და ბაჩისა და მლაშისა კედლისა ჰამბა.** ვითარება მისი ჯალინოსისა ნათქვამისგან. ამას იტყვის ჯალინოს აქიმნი რომელ: ესე მანკი ორსულთა დედათა წაყვიდების და ეგეთთა კაცთა, რომელ მათთა სტომაქთა შიგან ჰავი გასარეველი შეყრილ იყოს და მოერივნეს მათდა.

10 ნიშანი მისი ჯალინოსისა ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ მიწყით მიწისა ქამასა მიელტვოდეს, და კედლისა გაჩსა და მლაშესა და ნახშირსა, და მყავეთა და მლაშეთა და რააცა ამით ჰვეანდეს ჰავთა, თხრიდეს და ქამდეს.

კურნება მისი ჯალინოსისა ნათქვამისაგან: იტყვის ვითა არწყით სიქანგუბინითა რომელ ბოლოკისა წყალი რეულ იყოს, ანუ ცერეცასა წყლითა ნელითა რომელ სტომაქი გაწმდეს, და მაშინ აღვისა ვეარიშინი ქამოს, ანუ ნიახურისა თესლი და ანისონი, და ხმელი პიტნა თვითოასაგან ნახევარისა დრამისა წონი ყველა და ნაყილი უზმამან ქამოს. და ესეცა წამალი კარგი არს: აილოს იგი თხელი ტყავი რომელ გრკოსა შიგნით იყოს ორისა დრამისა წონი, ჩამიჩისა გული ექვისისა დრამისა წონი, ანისონი და შავი ალილა და ბალილა და აშულა თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, ყველა ერთსა

20 ლიტრასა შემგბარსა ლეინოსა და ნახევარსა ლიტრასა წყალსა შიგან ეგდენი შეგბოს რომელ ნახევარად მოვიდეს, და რაა დღე მისგნით ათისა დრამისა წონსა ქამდეს. მაშა თუ მანკისა დედა ძლიერად იყოს ნუ არწყევს. მაგრა ამა სუფუჟსა თანა რაა დღე დრაპკნისა წონი თფილითა წყლითა იხმაროს. ვითარება მისი: ყაყულა და ბასბასა თვითოასაგან ნაწილი ერთი, შაქარი ტაბარზადი და ქირმანული ძირაა და ნახევაპი თვითოასაგან ორი ნაწილი, ყველა და ნაყილი დრაპკნისა წონი ორი ეამ ეამ იხმაროს. და მიწასა ნუ ქამს რომელ გასარეველსა გაურყენის. და ფერსა და შეენებასა პირისასა წაუღებს, და სტომაქსა დაუსუსურებს და ისთისყასა გამოაჩენს. და ეგრე ხამს რომელ მანკისა ჰალი დია<sup>1)</sup> ადვილი არ ეგონოს, და მრავალჯერ არწყით ცერეცოასა წყლითა, რომელ სტომაქი გაწმდეს. და მაშინ რიმაჰანი იხმაროს და ქირმანული ძირაა და ნახევაპი და მასთაქე თვითოასაგან ნაწილი


30 ერთი, ყოვლადე ცოხნიდეს და წყალსა მისსა ჩანთქმიდეს. და ესე წამალი სტომაქისა შესლილობისა რომელ მიწისა ქამისაგან იყოს ერგების, ვითარება მისი: მის გრკოასა ფურცელი შიგნითისა ტყავისა, ეგე გრკოასა ტყავი შიგნითისი რვაა დრამა, და საბრი ორი დრამა, დაფითი ექვისი დრამა, აღბარი ოთხი დრამა, ნური ორი დრამა, ყველა და ნაყილი ორთა ლიტრითა წყლითა შეაბგოს რომელ ნახევარად მოვიდეს და სამსა დღესა ქამოს ერგების.

ვითარება მიწისა ქამისაა რომელ სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე მანკი გრილისა გასარეველისაგან იქნების, რომელ სტომაქისა ტყავსა შიგან შეყრილ იყოს, და ორსულთა ესევე იქნების, და მესამესა თვესა ესე მანკი დასწყნარდების და იქნების ოდესმე რომელ მანათაცა შეექნას, ესე მანკი საძულელია.

40 ნიშანი მისი იოჰანაასა ნათქვამისგან: თუ სიმლაშესა მიელტვოდეს მანკი სტომაქისაა მლაშე იქნების, და თუ სიმლაშესა არ მიელტვოდეს ბალღამურისა ჰავისა მანკისაგან არს.

კურნება მისი იოჰანაასა ნათქვამისგან: იგი არს, რომელ სტომაქი რწყევითა გაწმიდოს მარილისა და ცერეცოასა წყლითა, რომელ წითელი ლობიოა ერის

1) ტექსტში ამ სიტყვის მაგიერ სწერია შეცდომით „და“



აყი ქაშოს კარგი არს. და მიწყით ცხიბინთა საჭამადთა მიელტვოდეს, ანუ შურვადცა მწყერისა ხორცითა ანუ შინაურისა მსუქნისა ქათმისა ხორცითა შექნილი, ანუ ერთისა წლისა მუჭანისა ცხერისა ხორცითა, რომელ მხურვალითა სანელნებლითა შექნილ იყოს იმ მარბდეს, და თაჟლიანსა ფალღდაგსა ნუშისა ზეთითა და ზაფრანიითა შექნილსა, რომელ აღრე გამრთელდეს და მანკსა დაეხსნას.

რკმ. მიწინა და გარისა და მლაშისა კედლისა ჰამაჰ. ვითარებამ მისი ჯალინოსისა ნათქვამისგან. ამას იტყვის ჯალინოს აქიმი რომელ: ესე მანკი ორსულთა დედათა წაეკიდების და ეგეთთა კაცთა, რომელ მათთა სტომაქთა შიგან ჰავი გასარეველი შეყრილ იყოს და მოერივნეს მათდა.

10 ნიშანი მისი ჯალინოსისა ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ მიწყით მიწისა ქამასა მიელტვოდეს, და კედლისა განსა და მლაშესა და ნახშირსა, და მჟავეთა და მლაშეთა და რაადცა ამათ ჰგვანდეს ჰავთა, თხრიდეს და ქამდეს.

კურნებაჲ მისი ჯალინოსისა ნათქვამისაგან: იტყვის ვითა არწყიოს სიქანგუბინითა რომელ ბოლოკისა წყალი რეულ იყოს, ანუ ცერცვასა წყლითი ნელითა რომელ სტომაქი გაწმდეს, და მაშინ ალვისა გვარიშინი ქამოს, ანუ ნიახურისა თესლი და ანისონი, და ხმელი პიტნაჲ თვითთასაგან ნახევარისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი უზმამან ქამოს, და ესეცა წამალი კარგი არს: აილოს იგი თხელი ტყავი რომელ გრკოსა შიგნით იყოს ორისა დრამისა წონი, ჩამიჩისა გული ექვისისა დრამისა წონი, ანისონი და შავი ალილაჲ და ბალილაჲ და ამულაჲ თვითთასაგან ხუთისა დრამისა წონი, ყველა ერთსა

20 ლიტრასა შემგბარსა ლეინოსა და ნახევარსა ლიტრასა წყალსა შიგან ეგდენი შეგბოს რომელ ნახევრად მოვიდეს, და რაჲ დღე მისგნით ათისა დრამისა წონსა ქამდეს. მაშა თუ მანკისა დედაჲ ძლიერად იყოს ნუ არწყევს. ნაგრა ამა სუფუფსა თანა რაჲ დღე დრამკენისა წონი თფილითა წყლითა იხმაროს. ვითარებამ მისი: ყაყულაჲ და ბასბასაჲ თვითთასაგან ნაწილი ერთი, შაქარი ტაბარზადი და ქირმანული ძირაჲ და ნანხვაჰი თვითთასაგან ორი ნაწილი, ყველაჲ დანაყილი დრამკენისა წონი ორი ეჲმ ეჲმ იხმაროს. და მიწისა ნუ ქამს რომელ გასარეველსა გაურყვნის. და ფერსა და შეგნებასა პირისისა წაუღებს, და სტომაქსა დაუსუსურებს და ისთისყასა გამოაჩენს. და ეგრე ხამს რომელ მანკისა ჰალი დიაჲ) ადვილი არ ეგონოს, და მრავალჯერ არწყიოს ცერცოვასა წყლითა, რომელ სტომაქი გაწმდეს. და მაშინ რიმაჰანი იხმაროს და ქირმანული ძირაჲ და ნანხვაჰი და მათაქე თვითთასაგან ნაწილი

30 ერთი; ყოვლადეე ცოხნიდეს და წყალსა მისსა ჩანთქნიდეს. და ესე წამალი სტომაქისა შეშლილობისა რომელ მიწისა ქამისაგან იყოს ერგების, ვითარებამ მისი: მის გრკოსა ფურცელი შიგნითისა ტყავისაჲ, ეგე გრკოვასა ტყავი შიგნითისი რვაჲ დრამაჲ, და საბრო ორი დრამაჲ, ლაფითი ექვისი დრამა, ადხარი ოთხი დრამაჲ, მური ორი დრამა, ყველაჲ დანაყილი ორთა ლიტრითა წყლითა შეაბგოს რომელ ნახევრად მოვიდეს და სამსა დღესა ქამოს ერგები.

ვითარებამ მიწისა ქამისაჲ რომელ სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე მანკი გრილისა გასარეველისაგან იქნების, რომელ სტომაქისა ტყავსა შიგან შეყრილ იყოს, და ორსულთა ესევე იქნების, და მესანესა თვესა ესე მანკი დასწყნარდების და იქნების ოდესმე რომელ მამათაცა შეექნას, ესე მანკი საძულელია.

40 ნიშანი მისი იოჰანაჲსა ნათქვამისგან: თუ სიმლაშესა მიელტვოდეს მანკი სტომაქისაჲ მლაშე იქნების, და თუ სიმლაშესა არ მიელტვოდეს ბალღამურისა ჰავისა მანკისაგან არს.

კურნებაჲ მისი იოჰანაჲსა ნათქვამისგან: იგი არს, რომელ სტომაქი რწყევითა გაწმიდოს მარილისა და ცერცოვასა წყლითა, რომელ წითელი ლობიოჲ ერიოს

1) ტექსტში ამ სიტყვის ნაგერ სწერია შეცდომით „და“





და თუ მანკი ძლიერი იყოს და ამით წამლითა არ არწყვიოს კურნება იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღობოს ანუ იარაფთა და მაშინ ესე ნაჯღნი იხმაროს. იარაფ ეტკვისა დრამისა წონი, შავი ჰალილა და ბალილა თვითოჯგან დრამისა წონი, იფქლისა ლავზი ვითამცა ნუში ხუთისა დრამისა წონი, ყველა დანაყილითაფლითა შეზილოს, და მასთაქე და ანისონი და პიტნაა წყლითა შეაბგოს და სამისა დრამისა წონი მისი წამლისა თანა, ცოტასა ამას წამალსა გაპრიოს და უზმამან ნელი იხმაროს. მაგრა ორსულთა დედათა კურნება იგი არს, რომელ ალვისა გვარიშნსა ჰამდეს და შემეკრელსა ბექესა გვარიშნსა, და მსუქნისა ჭათმისა ხორცსა, და თიჯისა და ბატკნისა მწვარისა ტენი ჰამოს შაქრითა და მადლარმან არწყვიოს, ეგრე რომელ სტომაქსა არა მიჰპირდეს. და ცოტაა ნიორი და ხახვიცა ჰამოს ანუ თუთუბაა რომელ მანკი დააწყნაროს. და კურნება მლაშისა გასარეელისა იგი არს, რომელ შეყრილ იყოს, საბრისა ნაყითა მუცელი დაიღობოს და მაშინ ტარეფული და რინაჰანი ჰამოს. და შემწვარისა ძაღლსა მოსწოვდეს რომელ ნდობა და სწყნარდეს. და ნანხვალსა მატბუხი და ტაბაშირი და იფქილსა ლავზი, და ჰალილა და ყაყულაა ჰამოს და ნუ დაიყოვნის ჰამასა უღონოდ, ნდომასა მიწისასა გარდაიღებს და მანკი დასწყნარდების. და ბალღმისა მომბატებელთა ერიდოს და სიმხურვალესა ნიელტვოდეს ერგების და გამრთელდების.

10

**კიშ. წაუტვილი და წაღისა ღია ხმა.** რომელ სიმხურვალისგან იყოს. მასოჯას ძე იტყვის: მისგან იქნების რომელ სიმხურვალე და სიხმელე სტომაქსიდან მორევილ იყოს, ანუ ზაფრად შიგან შეყრილ იყოს და გამაგრებულ იყოს, და გულისა ანუ ღვიძლისა სიმხურვალისგან ესე გამოიქნის იყოს.

20

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწყით პირი მშრალად იყოს. და ზაფრისა ნიშანი იგი არს, რომელ წყურვილისგან ეგრე ეგონოს რომელ სტომაქსა რაჟმე უკბენს, და პირი მწარე იყოს. და გულისა სიმხურვალისა ნიშანი იგი არს რომელ რაა ქარი ხორხსა ჩაუვიდეს არა სწყუროდეს.

კურნება მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. რაჟცა სტომაქსი სიმხურვალისა და სიხმელისგან იყოს იგი არს, რომელ შაქრისა სიქანგუბინსა ჰამდეს და შაჰნარისა ბროწეულისა წყალსა და მთავისა ვაშლისა წყალსა, და ტყემლისა წყალსა და თაშირისა წყალსა, და კატკატოჯასა თესლისა წყალსა, და გრძელისა ბადარანჯისა კიტრისა წყალსა ისრიმისა შარბითა და კოწახურისა წყლითა, და ანუ ბექესა სიქანგუბინითა რაჟცა პოვოს ამით თანა მით იხმაროს ერგების. და ხილთაგან ვაშლი და სხალი ჰამოს ერგების. და ხელთა და ფერხთა ცივსა წყალსა შიგან ჩასდებდეს. და სტომაქი თუთუბისა წყლითა და ვარდისა წყლითა გაიგრილოს. და საჰამადსა თიჯის ხორცსა ჰამდეს ძმრითა შექნილსა ანუ ისრიმითა.

30

ჯალინოს იტყვის: თუ წყურვილი მეტისა სიხმელისგან იყოს ქრთილისა წყალი სჭას ნუშისა ზეთითა, და ჰაბი ბექეს გულისა შაქრისა სიქანგუბინითა იხმაროს, და იფქლისა ხალი შაქრითა და და ხავარტისა თესლითა ჰამოს. და საჰამადსა ვარიასა ჰამდეს ალარდნითა ანუ თუთუბითა შექნილსა, და თუ წყურვილი ზაფრისგან იყოს. რომელ სტომაქსა შეყრილ იყოს კურნება იგი არს, რომელ არწყვიოს და მუცელი დაიღობოს და გრილთა საჰამადთა ჰამდეს.

40

მაღინი იტყვის: რაჟცა სიმხურვალისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ღია მჯავე ბროწეული და მსგავსი მისი ჰამოს. და რაჟცა სიხმელისაგან ოდენ იყოს იგი არს, რომელ ქრთილისა წყალი და აყიროჯასა წყალი, და ბაზრაცატენისა ლუაზი ჰამოს. და თუ ღვიძლისა სიმხურვალისგან იყოს, ანუ გულისა სიმხურვალისგან, ანუ ფირტვისა სიმხურვალისაგან, ანუ თირკმელისა სიმხურვალისგან, მასალიყი გაიხსნას და სიქანგუბინსა და ტყემლისა წყალსა პირსა შიგან დაიჭირვიდეს. და თუ გულსა სიმხურვალისგან იყოს

ეგრე ხამს რომელ მკერდი სანდლითა და ქაფურითა და ვარდის წყლისა შემოდებითა გაავრილოს, და ციესა ადგილსა დაჯდებოდეს.

წყლისა დია სმისა ვითარებაა რაა სიგრილისგან იყოს ნიშანი: ესე მანკი მლაშისა ბალღმისაგან იქნების, რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს და აყროლებულ იყოს, და რაა სტომაქსა მოერიოს წყურვილი გამოჩნდბის დია.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწყით გემოა პირისაა მთავე იყოს, და რაა მლაშისა ბალღმისაგან იყოს და რააცა ბალღამი ამოიღოს იგიცა მლაშე იყოს და არცა სტომაქი მსურვალედ იყოს.

10 ქურნებაა მისი რაა სიგრილისგან იყოს: რააცა მლაშისა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი მანკისა დედისაგან გაწმიდოს რწყევითა ცერეცოდასა წყლითა ნელითა. და მაშინ სიქანგუბინი და გველბა შაქარი ქამოს, და ეგეთთა საქამადთა რომელ ბალღამსა მოუმატებდეს ერიდოს. და ზირაბაჯი ქამოს ანუ ბატკნისა ხორცი კალითა ანუ შემწვარი ქათამი.

იოჰანა იტყვის: წყურვილი და წყლისა დია სმა მლაშისა ანუ ფიცხელისა ბალღმისაგან იქნების, რომელ სტომაქსა შეყრილ იყენენ და რაა მოერიოს, სიფიცხლითა ადულდების და აწყურვებს.

ქურნებაა მისი იგი არს, რომელ დია იძინოს, რომელ სინედლესა იქმნს ძილი ტანსა შიგან. და წყურვილი რაა დაძინებისა უამსა იყოს სიმსურვალისგან იქნების და მსურვალისა საქამადისგანცა რომელ ექამოს. ცივი წყალი სტას რომელ წყურვილი დააწყნაროს.

20 როფის იტყვის: წყურვილი რომელ მეთვისა ბალღმისგან იყოს ქურნებაა იგი არს, რომელ არწყიოს რომელ სტომაქი მანკისა სათაენოასგანცა აწმდეს, და მაშინ ტარეფული ქამოს ანუ ხანჯაბილი, და მლაშესა და მეთვისსა ნუ ქამს. და რაა მანკი სეედისა ნიშნითა იყოს მეთვისსა ერიდოს და ცხობიანსა მიღლტვოდეს და ძილსა მოკმატოს, და ვარდისა ზეთი და ნუშისა ზეთი თავსა იცხოს. და თუ მუცელი ღმბილად იყოს ბროწყელისა ანუ ისრიმისა წყალი სვას, და სიარულსა და პირისა ნახვასა და დიაცსა ერიდოს. და იქნების რომელ ესე მანკი სიგრილისა და სიხველისა ვანცა ქნილ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ყოლა წყურვილსა ვერ გასძლებდეს. ქურნებაა მისი იგი არს, რომელ მიწყით უზმამან ჩამინი და ჯულაბი იხნაროს, და ერბოა ფურთაა და თაფლი ერთგან გაპროოს და ქამდეს. და ესე მანკი მსურვალისა საქამადისა და ცხობიანისაგან არს უჩინარ იქნების, და დაილევის და

30 გამრთელდების, თუ ღმერთსა უნდეს.  
**ჩიუ. სტომაქისა პირისა შემოძა რომელსა მძინან არაბულად ვაჯალ ფუჰადი.** ვითარებაა მისი რაა სიმსურვალისგან იყო, მასარჯოა იტყვის: იგი არს, რომელ გასარეველი ზაფრათლი სტომაქისა პირსა შეყრილ იყოს და მორევილ იყოს, და მას ადგილსა უკებდეს ძნელად.

ნიშანი მისი რაა სიმსურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მანკი ძლიერად იყოს სნეული დაბნდეს და ფერხნი გაუწყდენ, და ტყვილისა სიძნელისაგან ვერ დასწყნარდებოდეს, და რაა მანკი გაღვრძელდეს და არაა უკურნონ უღონოდ, მოკვდების კაცი უცილოდ.

40 ქურნებაა მისი რაა სიმსურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მასარჯოაა იტყვის: ამას მანკსა ვაჯალ ფუჰადი მით ჰქვიან, რომელ მანკი გულისა სიანლესა იქნების, და იქნების რომელ მანკისა დედაა გულისა ზიარობითა იყოს. ქურნებაა მისი იგი არს, რომელ არწყიოს სიქანგუბინითა და ნელითა წყლითა. მაშა თუ სნეული რწყევსა არ ჩვეულ იყოს მუცელი დაიღბოს ტყემლისა შარაბითა, და თამრიჰინდითა და ნელოფრითა. და მაშინ სტომაქი ეაშლისა შარაბითა განაძლიეროს ანუ სადავითა ბეჭტა რუბითა, და შაჰნარისა ბროწყელისა წყლითა და თრუნჯისა მეთავითა, და ქრთილისა წყლითა. მაშა თუ მუცელი შეკრვით იყოს ღმბილითა ჰყენითა მუცელი დაიღბოს. და მიწყით მესაჰარისა წყალი და ლისიანლაჰამლისა წყალი ტყვილისა ადგილსა იცხოს და ასნინდეს,



რომელ სტომაქისა პირი გაგრილდეს. და საჭამადსა თუთუბისა ურწყოასა კამდეს ნუშისა ზეთითა შექნილსა, ანუ აღარდნისა ურწყოასა. და რაჲ მანკი დაელიოს და სწულელსა გასწიერდეს ვარიამ ჭამოს ამითევე მფავითა, რომელ მანკი არ შემოიქცეს.

ჯალინოს იტყვის: მრავალჯერ ნელითა სიჭანგუბინითა არწყიოს რომელ სტომაქი მანკისა დედისაგან გაწმდეს, და მუცელი დაიღბოს თამრიპინდისა წყლითა და თეთრისა შაქრითა ერგების. ანუ ჰუყნაჲ უყოს ჭრთილსა წყლითა, და კატაკტოასა თესლისა წყლითა და ვარდისა ზეთითა, და მაშინ ვარდისა შარაბი ბროწყულითა შარაბითა იხმაროს ერგების. და თუ ქერისა ხალი ტკბილითა და მფავითა ბროწყულითა ჭამოს ერგების. და თუ რქისა თავი რომელ არაბულად ლაფალქარში ჰქვიან, ყურძნისა რქისა თავი, დანაყოს და თეთრსა პურისა გულსა გაპრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას ერგების, და სიმბურვალეთა ერიდებოდეს ყოველსა.

10

სტომაქისა პირისა ფეთქისაჲ ვითარება, რაჲ სიგრილისაგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: ესე მანკი სიგრილისაგან იშვითა ოდესმე იქნების, და ეგების რომელ სასეველოჲ ხილტი, ძნელი და ფიცხელი სტომაქისა პირსა შეიყაროს და რაჲ გაძნელდეს უკებდეს.

ნიშანი მისი რა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ რწყევისა ეამსა სასეველოჲსა ამოიღებდეს და სტომაქი დიახურვალედ არ იყოს, და ტკივილი ეგრე ძნელად არ იყოს რომელ ზაფრისაგან, და რაჲ მხურვალე ჭამოს ელზინოს, და საჭამადი მხურვალე ეჭამებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: იგი არს, რომელ აფთიმონისა მატბუბი იხმაროს, რომელ სტომაქი მანკისა სათაფროსაგან გაწმდეს, და მაშინ ძეღელი გულანგუბინი ვარდისა ყურსითა იხმაროს, და მასთაქე და ალვაჲ და ყარანფული წყლითა ადუღოს და იხმაროს, და თუ არ იჯობინოს მიქშადარვი და საჯაზაანაჲ ბანდადიყონისა მაჯუნითა, ანუ ნათრედიტოსითა, ანუ დიდისა თირიყისაგან თვითოჲსაგან ნდომისა მისაფერად იხმარებდეს. და თუ ძირაჲ ქირმანული, და ანისონი და მისტაქე და ფაჩარი წყლითა ადუღოს და ამათ მაჯუნთა თანა ცოტაჲ გაურიოს და უზმამან ჭამოს ერგების. და ეგეთითა საჭამადთა რომელ სევდასა მოუმატებდეს ერიდოს, და მხურვალთა და ლბილთა საჭამადოჲ ჯანდეს.

20

არხიჯანის იტყვის: რომელ ეგრე ხამს, პირველ სტომაქი მანკისა სათაფროსაგან გაწმიდოს აფთიმონისა მაჯუნითა, და მაშინ ძეღელი გულანგუბინი ანუ მასთაქე უზმამან კამდეს, და მასთაქე და ვარდი, და ალვაჲ და სიქი, და საბრი და აფსანთინი, და ზაფრანაჲ თვითოჲსაგან ნაწილი ერთი, ყველაჲ დანაყილი ბეჰესა წყლითა და შარაბი რაჰანითა შეზილოს, ლვინოჲსა იტყვის შარაბი რაჰანი, და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და თუ ესე წაშალი რომელ ვახსენეთ, დანაყილი და გაცრილი მასთაქესა ზეთითა ანუ ყუსტისა ზეთსა გაპრიოს, და თეთრი და წითელი ცვილი გაადნოს და მისგნით მალჰამაჲ ქნას, და მიწყით მანკისა ადგილსა მით იხელდეს ერგების. და საჭამადთა რომელ სევედიანი იყოს ერიდებოდეს, და ტკბილთა მიელტეოდეს ვითა ფალუდაგსა და ლაეზინაჲსა რომელ ნუშისა ზეთითა, და ზაფრანითა, და კარგითა თაფლითა შექნილ იყოს, და ქარიანსა საჭამადსა ერიდოს.

რით. ჰბატა და გარჯუა რომელსა ჰქვიან არაბულად თუხვა და ძართულად ელდაჲ ვითარებაჲ ჰაიტაჲსა. მასარჯოჲსა იტყვის: ესე მანკი დია საჭამადისა ჭამისაგან იქნების ანუ გასარეველისა საზაფროჲსა ფიცხელისაგან, რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს, ანუ ტკბილისა და ცხიბიანისაგან ქნილ იყოს რომელ დია ექამოს და ეგრე მოედნოს<sup>1)</sup>.

40

ნიშანი ჰაიტაჲსა. იგი არს, რომელ ბუნებაჲ ეშლუებოდეს და სწყუროდეს, და ხელნი და ფერხნი გაუცივდენ და ცივი ოფლი გამოეცეს, და უკანის დია არწყევდეს, და სილბოჲ დაეწყოს და ხელი და ფერხი გახმეს.

კურნებაჲ ჰაიტაჲსა. მასარჯოჲსა იტყვის: არა ხამს რომელ აქიმი შეწუ-

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემოთ ამოიხე რვეულთა სათვალავი სწერია „კთ“ და შემდეგი გვერდის ხეშო ამოიხე „ლ“.



ხდეს ნიშნებითა რომელ ამას მანქაა შიგან განიჩნდეს, მაგრა სტომაქი გაწმინდეს, ჰვეთა საჭამადთა ნარჩობითგან რომელ შიგან იყოს, მით რომელ მრავალჯერ არწყვიოს, თაფლისა წყლითა, მუცელიცა დაიღბოს. და თუ იცოდეს რომელ სტომაქი გაწმინდელ არს ბროწყულისა რუბი ჰანოს რომელ სტომაქი გაწმინდეს, და თუ მოსწყურდეს ბეჭესა ანუ ვაშლისა წყალი სტას. და რაა რწყევად დააკლდეს და სნეულსა არ გააცხოებდეს აბანოას წავიდეს, მეტად მაშინ რომელ იცოდეს თუ მანქისა სათაფნოა გაწმინდელ არს, და ნელითა წყლითა ტანსა იბანდეს. და საჭამადსა ვარიასა შურვისა ჰამდეს და ბეჭესა ჰამდეს. და ბეჭე ქრთილისა წყლითა შეაბგოს და იხმაროს. და თუ ღია სწყუროდეს კატკატოხასა თესლისა წყალი კოწახურისა თესლითა იხმაროს და სტას, და ცოტაა ტაბაშირი და სომხური

10 მიწაა გაპრიოს და იხმაროს. და მორდისა ანუ თუთუბისა წყალი სტომაქსა იხმარს და ჰამოთა სურნელთა უსუნებდეს. და თუ არ გარდვიდეს და არწყევდეს ხორასნული მიწაა და დაბეჭდული მიწაა თვითოხასგან ერთი ნაწილი. ტაბაშირი ნახევარი მით ოდენი, ქაფური ცოტაა, ყოველი ბეჭესა რუბსა გაპრიოს და იხმარებდეს. და რაა მანკი გაქარდეს ვარიასა თუთუბითა შექნილსა ჰამდეს. და თუ რწყევასა თანა ანუ განავალსა თანა გლუხუნი ბალღამი ერთი მიაა ჰამოს, და პურსა ღვინითა დამბალსა ჰამდეს ერგების. და რაა მანკი დააკლდეს ტრედისა ხუნდსა ჰამდეს მუზაფრად შექნილსა. და რიდებით საჭამადსა ჰამდეს რომელ გამრთელდეს, და სნებაა და მანკი კულა გარე არ შემოეჭყეს და ელხინოს.

თუხმაააა ვითარებაა. მესია იტყვის: ღია ჰამისგან იქნების ანუ ჰავისა საჭამადისაგან, რომელ სტომაქსა შიგან აღრე დაშავდეს. ანუ უღნობისა სქელისა საჭამადისაგან

20 გან იქნების, რომელ პირველი იგი ექამოს, უკანის ნატიფი.

ნიშანი თუხმააა სი. იგი არს, რომელ სნეულსა ჰკითხოს თუ რაა უქამიაა, და რაასდენი უქამიაა, და სხვაა ნიშანი მისი იგი არს, რომელ მიწყით ჰავსა და მყარლსა აბოყინებდეს და ხორხთა ამოვიდოდეს.

კურნებაა თუხმააა სი. მესია იტყვის: ვითა თუხმაა მეტისა ჰამისაგან იქნების. იგი არს, რომელ ცერეცოხასა წყლითა და თაფლითა და თბილითა წყლითა არწყვიოს, და რაა სტომაქი გაწმინდეს გულანგუბინი ჰამოს და საჭამადსა ვარიასა ჰამდეს ძმრითა შექნილსა, და ძველსა ღვინოხასა იხმარებდეს, და ღია ნუ სუანს. და თუ საჭამადისგან ქნილ იყო რომელ სტომაქსა შიგან დაშავებულ იყოს, კურნებაა მისი იგი არს, რომელ არწყვიოს რომელ სტომაქი გაწმინდეს. და თუ ვერ არწყევდას აღვაა და ვარდი და მასთაქე წყლითა შეავბოს და იხმაროს. მაშა თუ არ გარდვიდეს აღვისა გვარიშნი ჰამოს უხმააან ერგების. და საჭამადსა ზირაბაჯსა ჰამდეს თიპოხასა ხორციითა.

30

სინააააა იტყვის: თუ უღნობისა საჭამადისგან სჭირდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ბეჭესა წყალი ანუ ვაშლისა წყალი ცოტაასა ღვინოხასა თანა სტმიდეს, რომელ სტომაქი განაძლიეროს. და თუ საჭამადთა არ რვიანობით ქნილ იყოს ეგრე რომელ შემკვრელი რააშე ჰამოს საჭამადისა ჰამისა უწინაა, არა ხამს რომელ მუცელი დაიღბოს.

კურნებაა მისი იგი არს, რომელ თფილითა წყლითა ჯულაბად შექნას და მრავალჯერ უხმააან იხმაროს, ანუ გულანგუბინი ჰამოს ერგების, და რაა შეიგნეს რომელ სტომაქი გაწმინდელ არს მოიჭირვოს რომელ ღია იძინოს, და რაა გაიღვიძოს იარებოდეს, რატათსა იქმოდეს. და მაშინ აბანოას მივიდოდეს და ნელითა წყლითა იბანებოდეს. და რაა

40 აბანოით გამოსრულ იყოს ვარიასა ჰამდეს ისრითა შექნილსა ერგების. და მაშინ ცოტაა ღვინოა რააჰანი იხმაროს, და ვიდრე შეეძლოს დაიძინებდეს, და ცოტასა ჰამდეს და უღნობისა გრიდოს.

რკ. ღარაბი სიღბოხასა ჰამიან რომელ გავრქელდეს. ვითარებაა რაა სიმხურვალისაგან ქნილ იყოს. აბუჯარიბ იტყვის: ეს მანკი შეიქნების რომელ ზაფრიაანი ფიცხელი საჭამადი ღია ექამოს, და სტომაქსა და წელთა შიგან შეიყაროს, და რაა შოერისი და დამკვარდეს ესე მანკი გამოჩნდების.



ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწყით გემოჲ პირისა მწარე იყოს და სტომაქი დია სტკიოდეს. და რაჲცა მუკლისგან ჩამოვიდეს ფერად ანუ ყვითელი იყოს ანუ წითელი. და წყურვილი დია იყოს. და უბე და საზარდული ეგრიებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. აბუჯარიჲ იტყვის: გაყოფაჲ ჰაატაჲსა და დარაბსა შუა იგი არს, რომელ ჰაატასა თანა რწყევაცა იყოს და რაჲცა მუკლისგან ჩამოვიდეს ზაფრაჲ იყოს, და დარაბსა თანა რწყევაჲ არა იქნების და რაჲცა მუკლისგან ჩამოვიდეს ფერსა იქცევდეს. კურნებაჲ იგი არს მისი, რომელ ტაბაშირისა ყურსი ბეჭესა რუბსა თანა ჭამდეს, და ქრთილისა წყალსა რომელ შიგან აღარდენი შექნილ იყოს და მაშინ ვაშლისა რუბსა ცივი წყალი გაპროს და ხხაროს და სალამოსა ჟამსა დრამისა წონი აღარდენისა სუფუფი კაწოხურისა წყალსა ანუ რევასისა რუბსა, ანუ მორდისა რუბსა თანა ჭამოს. და თუ სწყუროდეს კატკატოჲსა თესლისა წყალი ბეჭესა სიქანგუბინსა თანა სტას. და მიწყით ფმატისა ნალსა და აღარდენსა ჭამდეს, და საჭამადსა თუთუბისა ურწყოსა ანუ აღარდენისასა ჭამდეს. და თუ სნეული შეუძლებელი იყოს ვარია თუთუბითა შექნილი ჭამოს. და თუ აყაყიაჲ და სომხური მიწაჲ, და თუთუბაჲ და სანდალი, და გუნდაჲ დანაყოს და წყლითა ნეზილოს და სტომაქსა შემოსდვას [ერგების].

ჯალინოს იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტაბაშირისა ყურსი და წითელი ვარდი და გომიზი არაბული, და კოწოხური და არდისა თესლი, ისრიმისა შარაბსა და აღარდენსა და რევასსა თანა ჭამოს, და ბეჭე ავშარასა თანა ჭამოს, და საჭამადსა თიჰოჲსა ხორცსა ჭამდეს.

20 ისაკ იტყვის: თუ ბურანსა შინა გამოაჩნდეს ესე შეკრვა არა ხამს, მით რომელ დადათ ავნებს, და სნეულსა დააუსუსურებს. მაშინ ერგების რომელ უზამან ვაშლისა შარაბი იხმაროს, და საჭამადსა თუთუბისა ურწყოსა ჭამდეს. და თუ ზაფრისგან ქნილ იყოს რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტაბაშირისა ყურსი და რევასისა რუბი და ტუტაჲ ჭამოს ნიადაგ.


ფითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს: მასოაჲს ძე იტყვის: ესე მანკი მლაშისა ბალღმისაგან იქნების, რომელ სტომაქსა ანუ წელთა შიგან შეყრილ იყოს და მოერიენეს ანუ ბალღმიანთა საჭამადთაგან რომელ ეჭამოს, ანუ მისარიყითა გზათაგან იქნების ესე.

ნიშანი მისი რომელ სიგრილისგან იყოს, იგი არს, რომელ გემოჲ პირისა მლაშე იყოს და სტომაქი სტკივოდეს, და რაჲცა განავალი იყოს ფერად თეთრი იყოს და სწყუროდის. და რაჲცა მისარიყითა გზათა შეკრულობისგან იყოს იგი არს, რომელ ქირი და მახკი გაუგრძელდეს.

30 მასოიჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ პირველ რაჲ ბალღმისაგან იყოს მატლითაჲთა სუფუფი შიბეჰსა და მორდისა შარაბსა თანა იხმაროს ანუ ბეისა შარაბი ვაშლისა რუბითა იხმაროს, და მაშინ სუდი და მასტაქი, და ლადანაჲ და წითელი ვარდი დანაყილი, მორდისა წყლითა შეზილოს და სტომაქსა შემოსდვას ერგების. და საჭამადსა დურაჯისა და თიჰოჲსა ხორცსა [რომელ] ძმრითა და ნიახურითა და ქინძითა და კილაშონითა შექნილ იყოს, ანუ ჩამიჩითა და აღარდინითა, მას ჭამდეს, და თუ მანკი მისარიყითა გზათა შეკრულობისგან იყოს ძირაჲსა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს და თუ შიგან სიმხურვალე არ იყოს, კურნებაჲ მისი ძირებისა წყლითა იქნების რომელ უზამა სმიდეს, და საჭამადთა ცოტაჲსა სჭამდეს და ზირაბაჯსა ჭამდეს.

40 მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: რაჲცა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ მუყლიაჲთასა სუფუფი ვაშლისა შარაბსა თანა ჭამოს, და ესე სუფუფი კარგი არს: მორდისა მარცჳალი და ჩამიჩისა თესლი თვითოჲსაგან ხუთისა დრამისა წონი, აღარდენი უკია ერთი, ძირაჲ ქირმანული რომელ ძმარსა<sup>1)</sup> შიგან დებულ იყოს და მაშინ ამოეხალოს, შეიღისა დრამისა წონი, ანისონი და ნიახურისა თესლი და ჩანჩაქი თვითოჲსაგან სამისა დრამისა წონი, ხმელა ფაჩარი და მასტაქე და ყაყულაჲ თვითოჲსაგან დრამისა წონი, სიქი და აღვაჲ ჰინდური თვითოჲსაგან მითყალი ერთი, ყველაჲ დანაყილი დილასა ოთხისა

1) ამ სიტყვის მაგიერად ტექსტში შეცდომით სწერია „ძირასა“



დრამისა წონი მორდისა შარაპითა ანუ სურნელითა ვაშლისა შარაბითა, **ნბმაროს**, და ეგრევე საღამოს. და თუ ნაჩვიპი და თეთრი საკმელი და ბროწეულისა ყუბავილი **წიფილი** ნაწილი ერთი, ჩამიჩისა თესლი ორი ნაწილი, ყოველი დანაყილი და ვაცრილი უზამან მისგნით ორისა დრამისა წონი მითა ქამოს ერგების დია, რაჲ ესრე ვითა გვითქვამს იხმაროს.,

**რკბ. ზალაქალიდა და ზალაქალ ამაჲ, ორივე სიღვრა არს, თარხმანი მისი სტომოქისა და წალთა სიგლუსუნე.** ფოლის იტყვის: რომელ ზალაქალიმდა იგი არს რომელ რაჲცა ეჭამოს ეგრევე შეუშლელი განავლად გავიდეს. ვითარებაჲ მისი მისიქაჲსა უსუსურობისაგან იქნების, რომელ გასარეველსა ჰავსა და ნედლსა და გრილსა დაესუსთოს, ანუ სტომოქის, სიწყულლისაგან იქნების ესე მანკი.

10 **ნიშანი ზალაქალიმიდაჲსი — სტომოქისა სიგლუსუნისა.** იგი არს, რაჲცა მისიქაჲსა სისუსტისგან იყოს, რომელ საჭამადი ეგრევე გამოვიდეს. და ნიშანი მისი რაჲცა სტომოქისა სიწყულლისაგან იყოს იგი არს რომელ ეგრე ეგონოს ნუ თუ რაჲ უტებნს სტომოქსა, და თუ ზაფრისგან იყოს, გემოჲ პირისაჲ მწარე იქნების.

**კურნებაჲ ზალაქალიმიდაჲსი, რაჲ სიგრილისაგან იყოს.**

**ფოლის იტყვის:** რაჲცა მისიქაჲსა უსუსურობისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ რუტაჲსა გვარიში და ავსაჲსა ნედლისა წყალი ერთგან იხმაროს, ანუ აღარდენისა სუფუფი, ანუ ბეჭესა რუბი ანუ ბროწეულისა ყუბავილისა ყურსი, ანუ მორდისა რუბი და ზაფრანაჲ და ვარდი წითელი, და ბროწეულისა ყუბავილი და ალვაჲ, და ყასაბადირაჲ და სული და რამიქი, ყოველი წმიდად დანაყოს და მორიდისა წყლითა ანუ პიტნისა წყლითა შე-

20 **ზილოს და სტომოქსა შემოსდეს.** და საჭამადსა დურაჯისა ხორცსა ქამდეს ზირაბაჯითა და ჩამიჩითა და აღარდენითა შეგმნილა. და თუ მანკისა ვითარებაჲ სტომოქისა სიწყულლისაგან ქნილ იყოს მიზეჯისა სიმბუვალისგან, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბეჭე დანითა დაქრას და ქრთილისა წყლითა შეაბგოს და დაწუროს, და არაბულისა გომიზისა ყურსი და სომბური მიწაჲ დანაყილი მასთანა გაპრიოს და იხაროს. ერგების.

**მუჰამედ ზაქარიჲს ძე იტყვის:** რაჲცა წელთა სიწყულთისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ კატკატოჲსა თესლისა წყალი ანუ ბეჭესა რუბი, და კოწახურისა წყალი, ანუ ვაშლისა რუბი ანუ ტაბაწირისა ყურსი უზაფრანოდ, რომელიცა იყოს იხმაროს და ჯალზაბაჲ და ახლისა აყიროჲსა ნათალი, და თუთუბაჲ და ვარდი ყველა დანაყილი მყერდსა შემოსდეს. და საჭამადსა ვარიისა ქამდეს რომელ აღარდენითა ანუ თუთუბითა

30 **შექნილ იყოს. და სტომოქისა სიწყულლუ ზაფრისა სიფიცებისაგან თუ ქნილ იყოს [კურნებაჲ] იგი არს, რომელ ნელითა წყლითა და ანუ სიქანგუბინითა არწყიოს და ქრთილისა წყალი აღარდენისა წყალსა გაპრიოს და ბუნებაჲ გაავრილოს მით, რომელ მიწყით კატკატიჲსა თესლისა წყალსა ანუ მთავისა ბეჭესა წყალსა და ტაბაწირსა ვაშლისა რუბითა იხმარებდეს. და თუ ცხროჲ არ იყოს ვარიჲ, ქამოს ძმრითა.**

**ვითარებაჲ ზალაქალი მიმასი<sup>1)</sup>.** აბუჯარიჲ იტყვის: ესე მანკი მიზეჯისა დაშავებისათვის მქებებს, რომელ გრილი ბილტი მორეულ იყოს მისდა, და მისიქაჲ დაუსუსთოს, ანუ წელთა სიწყულლისაგან იქნების, რომელ ფიცბელი საჭამადი ეჭამოს.

**ნიშანი ზალაქალიმიდაჲსი რომელ მიზეჯისი დაშავებისაგან იყოს.** ამის იანკისა ვითარებაჲ [კურნებაჲ] მისი, იგი არს, რომელ ესე სუფუფი იხმაროს ვითარებაჲ მისი:

40 **ბროწეულისა ყუბავილი და მორდენაჲ და თუთუბაჲ და ყურეტი თვითოჲსაგან ორისა დრამისა წონი, ძირაჲ ქირმანული რომელ ძმარსა შიგან დებულ იყოს და მაშინ ამოხალული, ორისა დრამისა წონი, ტარათითი ხუთისა დრამისა წონი, გუნდა ამოხალული და ძმარსა შიგან დებული, და მთავისა ბროწეულისა თავი და ველურისა ჯაკუნტელისა თესლი, და მანჩიქი ნაბატი, და ჩამიჩისა გული და გრკოჲსა ჰანთი მისი სარქველი, თვითოჲსაგან ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი მორდისა შარაბსა თანა გაპრიოს და იხმაროს. და ბროწეულისა**

<sup>1)</sup> ამ სტრიქონის გასწვრივ ამაზე დედნის ხელით ძალიან შერდილდ სწვრთა, რომელ არა წყებოდეს და რაჲ წელთა წყულლისაგან იყოს იგი, რომელ სწვროდეს და ვაბერი [ლი] წყრილი ჰარსა შიგან მისა გამოხდეს, კურნებაჲ წე [ლთა] სიგლუსუნისა ზალაქალიმიდაჲსი.



შარაბი და ბროწეულისა ყრავილისა ყურსი ვაშლისა შარაბითა უზმამან იხმაროს, და სა-  
ქამაღსა ვარიასა და კაკობისა ხორცსა ქამდეს ძმრითა ანუ აღარდნითა და სხვათა და  
ქინძითა შეგნოს, ანუ ზირაბაჯი მორდნადათა და კილაპონითა შექნილი.

ჯალინოს იტყვის: რაეცა წელთა სიწყლულსაგან იყოს იგი არს, რომელ ესე  
სუფუფი იხმაროს ეთარებდა მისი ბაზრავატუნა და შაჰასფარამისა თესლი, და შურისა  
თესლი და ლისანალ ჰამილისა თესლი თვითოასაგან ნაწილი ერთი და თბილი წყალი და-  
ასხას და გაადგინოს რომელ გასქელდეს და ცოტა ვარდისა ზეთი გაურთოს და იხმაროს,  
და ესე ყურსი წელთა სიწყლულთა ერგების: ყუბროსული მიწა და არაბული გომიზი  
თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, ხონისიაოშანი სამისა დრამისა წონი, ყოველი და-  
10 ნაყოს და წყლითა შეზილოს და კვერად შექნას და ორისა დრამისა წონი კატკატოასა  
თესლისა წყლითა ქანოს და მამინ სტომაქსა შემოსდვას წითლისა თუ თეთრისა სანდლი-  
თა და სომხურითა მიწითა, და ბროწეულისა ყრავილი და აყავიადთა, და ჰუტუტითა და  
რამიქითა და ბეჭესა წყლითა და მეშაპარისა წყლითა.

**აკვ. მანიშ გშთანი რომელსა ჰჰვიან არაბულად დაშაანდი.** ვითარებდა მისი რაე სიმ-  
ხურვალისგან იყოს. მასარჯოა იტყვი: ესე მანკი ზაფრანისა ფიცხელისა ხილტის  
გან იქნების, და თუ სტომაქისა თავსა დაკრული იყოს მანიშ გშთანი იქნების, და  
თუ სტომაქისა შიგან იყოს რწყევად არს.

ნიშანი მისი რაე სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწით გემოა  
პირისა უზმასა მწარე ედვას და დია სწყუროდეს, და რაე ხელი სტონაქსა შემოსდვას და  
20 მხურვალედ იყოს, და ნარწყვეი მისი ყვითელი იყოს.

კურნება მისი რაე სიმხურვალისგან იყოს. მასარჯოა იტყვის: თუ  
თაბავუა და მანიშ გშთანი ფიცხელისა და მხურვალისა ხილტისგან იყოს კურნება  
იგი არს მისი, რომელ ქრთილისა წყალი სუას, სიქანგუბინითა და ბროწეულისა წყლითა არ-  
წყიოს რომელ სტომაქი გაწმდეს, და მუცელი დაიღბოს ხილთა შემგბრითა წყლითა, და მა-  
შინ ვარია ისრინითა ანუ თუთუბითა ქამოს. და ცოტა ტაბაშირი წყლითა გაგალოს და შესტას  
რომელ წყურვილი მოაკლდეს. და სანდალი და ქაფური ვარდის წყლითა გაგალოს და სტო-  
მაქსა შემოსდვას ერგების. და კურნება რწყევისა რაე ზაფრანისგან იყოს იგი არს, რომელ  
ზაფრაე სტომაქისაგან ვარდაილოს, რომელ დაეღბოს. და თუ მუცელი ღბილად იყოს ვაშ-  
ლისა შარაბა ანუ ბეჭესა რუბი, ანუ ისრინისა რუბი ანუ რევასისა რუბი იხმაროს. და მი-  
30 წყით ყურმინისა რქისა თავსა მოსწოვდეს. და თუ სნეული უსუსურად იყოს ვარია ისრინი-  
თა ანუ აღარდნითა შექნილი იხმაროს.

მადანი იტყვის: თუ მანკისა დედა და იყოს და სნეული შეძლებით იყოს  
იგი ძარღვი, რომელ ღლიასა ქვენეთ არს და არაბულად ბასალიყა ლაბტინი ჰქვიან, გახ-  
სნას რომელ მანკი დაწყნარდეს. და თუ მას მანკსა თანა ცხროა ერთოს კატკატოასა თეს-  
ლი და კოწახურისა წყალი, და ქრთილისა წყალი რომელ შიგან აღარდენი შექნილ იყოს  
იხმაროს და რაე მანკი გაქარდეს ურწყოა ისრინისა ანუ თუთუბისა ქამოს და სტომაქი  
გააკრელოს სანდლითა და ქაფურითა, და ვარდისა წყლითა და ბეჭესა წყლითა. და თუ მან-  
კი ბუჭრანითა იქნას არაე ჰყურნოს, ნუ თუ სნეული უსურად შეიქნას, მაშინ კურნება მი-  
სი იგი არს, რომელ ბასალიყი მარჯვენა ხელისაგან გაიხსნას, და თუ მუცელი შეკრვით იყოს  
40 ჰქნება იყოს და მეშაპარისა შეავია წყალი სუას.

ვითარებდა მისი რაე სიგრილისგან იყოს. შესია იტყვის: გლუსუნისა  
ბაღმისაგან იქნების რომელ სტომაქსა შეყრილ იყოს, ანუ შეავისა ბაღმისაგან იქნების,  
ანუ სპაჰადისა სიმეტისაგან იქნების რომელ ექამოს, და სტომაქსა აწყენდეს, ანუ სიძსენი-  
სგან იქნების რომელ შიგან შეექნას. და მისგნით ესე მანკი გამოიხდეს.

ნიშანი მისი რაე სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ბაღმისა გლუ-  
სუნისაგან ქნილ იყოს, რომელ პირისა გემოა მფავე იყოს. და ნიშანი მისი რაეცა მლაშისა

ბალღმისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ გემო პირისა მლაშე იყოს. და ნიშანი მისი რა-  
ცა მეტისა ჭამისაგან ქნილ იყოს იგი ცხადი არს, და სიმსივნისა ვითაჲცა არს მანკა შიგან  
ვახსენოთ მისსა აღდილსა.



კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მესია იტყვის: თუ თა-  
შაეუა და მანიშ გ'შ თანი დია გლუსუნისა ბალღმისაგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ  
სიქანგუბინითა და ბოლოკისა წყლითა არწყიოს და იარასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და  
სტომაქი გაწმდეს, და მარხვაჲ ამას მანკა ერგების. და დია რუბითა რომელ შიგან პიტნაჲ  
რეულ იყოს იხმაროს. და საჭამადსა ზირაბაჯსა ანუ მუხუდის წყენსა, ჰამდეს რომელ შიგან  
პიტნაჲ რთულ იყოს, ანუ ღვინოსა სმიდეს, ანუ ჩიტის ანუ ტრედის ხუნდი შეწწუარი ჰამოს,  
10 და აბანოსა მივიდეს და მიწყით სტომაქსა ბერძულისა ფანჩისა ზეთითა იწვლდეს ერგების,  
და თუ რწყევლაჲ ელაშისა ბალღმისაგან იყოს გულანგუბინი და თაფლისა წყალი იხმაროს და  
საჭამადსა თიჰოხასა ხორცსა ჰამდეს კალიად შექნილსა და ძველსა ღვინოსა სმიდეს დამიწყ-  
ყით მასთაქესა ცოხნიდეს. და თუ მანკი სევდიანისა ხილტისგან ქნილ იყოს რწყევასა ნუ  
გარდაიღებს, ნუ თუ დია არწყევდეს, და მაშინ ჰუყნაჲ უყოს და ყოველთა დილათა ბროწყე-  
ულსა შარაბსა რომელ პიტნითა შექმნილ, იყოს ანუ რუბსა იხმარებდეს.

მუჰამედ ზაქარიაჲ იტყვის: თუ ესე მანკი დია ჭამისაგან ქნილ იყოს კურ-  
რებაჲ მისი იგი არს, რომელ საჭამადსა ცოტასა ჰამდეს და რაჲცა სტომაქსა განაძლიერებ-  
დეს მას ჰანდეს და ესე ყურსი ერგების ვისაცა საჭამდი არ დააშენდებოდეს და დია არწყევ-  
დეს: ნიახურისა თესლი და ანისონი თვითოხსაგან თხუთმეტისა დრამისა წონი, აფსანთინი  
20 ბერძული უკია ერთი, რამაქი და სალიხა თვითოხსაგან ორი უკიაჲ, მური და ბილბილი, და  
ხაზდისა გული თვითოხსაგან ორისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი კვერად შექნას და  
დრაჰენისა წონი ჰამოს, და ალვისა ყურსი მას კარგად ერგების და სტაფილონისა გვარიშნი  
და ბროწყულსა შარაბი ერგების თაფლითა.

**აკბ. სისხლისა ამოღებაჲ ხოახისგან რომელ სტომაქისგან იყოს.** ვითარებაჲ მისი  
ფოლის იტყვის: ესე მანკი მისგან იქნების რომელ ფიცხელი გასარეველი სტომაქსა  
შიგან შეყრილ იყოს, ანუ სისავსე ძარღვთა რომელ შიგან გაპობილ იყოს, ანუ ტანსა რამე  
ნაკრავი სცემდეს ანუ მალღისა აღდილისაგან ჩაჭრილ იყოს.

ნიშანი მისი ფოლის იტყვის: რაჲცა ფიცხელისა გასარეველისაგან იყოს იგი  
არს, რომელ ეგრე ეგონოს თუ სტომაქი უტბენს, და რაჲცა ძარღვთა სისავსისაგან იყოს იგი  
30 არს რომელ იგი ხილტი მრავალ იყოს ტანსა შიგან, და რაჲცა ნაკრავისგან იყოს<sup>1)</sup> იგი  
არს, რომელ სისხლი ერთობით ამოვიდეს<sup>2)</sup>

კურნებაჲ მისი. ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიყო გაიხსნას და ეგეთ-  
თა რუბთა იხმარებდეს რომელ სისხლისა უკუმყენებელი იყოს, ვითა თუთუბისა რუბი და ბეჰესა  
რუბი. და მაშინ სჯობს რაჲ ესე რუბები კატკა: ჯოხასა თელისა წყლითა იხმაროს. და ლისანალ-  
ჰამალისა წყალი ტაბაშირითა და სომხურითა ნიწითა ბეჰესა რუბითა იხმაროს ერთგან  
რეული. და თუ ამის რომელ გვითქვამს არ იჯობინოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ჰამ-  
რაბაჲსა ყურსი ვაშლისა რუბითა ანუ ტაბაშირისა ყურსითა წყლითა იხმაროს. და თუ მანკი  
ძლიერად იყოს კურნებაჲ იგი არს მისი, რომელ სტომაქსა შემოსდეს ლიჰიათა თაისისა აუ-  
შარაჲ და გუნდაჲ, და აყაყიაჲ და სომხური მიწაჲ, და იფიონი და მორდისა წყალი, ყველაჲ  
40 დანაყილი წყლითა შეზილოს და სტომაქსა შემოსდეს, და საჭამადსა თუთუბისა ურწყოხსა  
ანუ ალარდნისა ჰამოს ნუშისა ზეთითა, და მწვანითა თანა ხავარტი და კატკატოჲ იხმა-  
როს. და თუ ძალი არ ჰქონდეს სნეულსა ვარია ალარდენითა ანუ თუთუბითა შექნილი ჰა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.  
2) ამ გვერდის ჰემო აშიაზე რვეულთა ს თვალავი სწერია „ლ“ და შემდეგი გვერდის ზემო აშიაზე „ლა“.





მოს, და საჭიროსა საქმესა ნურასა იქმს და დია ნუ ქამს, და სიმხურვალეთა ერიდოს. და თუ სისხლი რწყევითა ამოვიდოდეს და ვამ წამს ნაქნებოდეს, არა ხანს უკუყენება, ნუ თუ დია ამოვიდოდეს და სნეული დაუსუსტროს. და მაშინ უკების რომელ ესე წამლები რომელ გვითქვამს იხმაროს, მით რომელ სისხლისა უკუყენება რომელ უნანკოდ და უჭიროდ იყოს ტანსა შიგან სისხლისა სიმხურვალისაგან არს, რომელ სტომაქისგან გამოვთა უწყენრად და მავისი უჭურნება არა ხამს. მაშინ შემკვრელი წამალი ჭამოს სნეულისა კურნება და რგება მავით იქნების.

ვითა რება მ სისხლისა ამოღებისა. იოჰანა იტყვის: ამის მანკისა ვითარება სტომაქისა სიწყულლისაგან იქნების, ანუ სიძინისაგან რომელ შიგან იყოს და გასქედეს, ანუ ღვიძლისა სისხლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ ელნეთსა შიგან იყოს.

ნიშანი მისი რააცა სტომაქისა სიმსივნისა წყლულისაგან იყოს, იოჰანა იტყვის: იგი არს, რომელ დია სტკივოდეს. და ნიშანი მისი რააცა სისხლისა სიმეტისა და ღვიძლისგან იყოს და არა სტკივოდეს და სისხლი წითელი იყოს იგი არს. და რააცა ელნეთი სისხლისა სიმეტისაგან არს იგი არს, რომელ სქელი იყოს.

კურნება მისი იოჰანა იტყვის: ესე მანკი თუ სტომაქისა სიწყულლისაგან იყოს ანუ სიმსივნისაგან რომელ შიგან იყოს, კურნება თვითსა ეთქვათ ადგილსა ზედა. და რააცა ღვიძლისა სისხლისა სიმრავლისაგან იყოს. ანუ ელნეთისა რომელ სტომაქისაგან ამოვიდეს სიმრავლისა ნიშანი არს. და ამასაცა იტყვიან რომელ დია გვინახავს რომელ ორი ლიტრა და უფროასიცა სისხლი ამოუღია, და მაშინ ლხენია და არა დია ჭივრებია. და იტყვიან ვნახეთ ერთი ვინმე რომელ სტომაქისა თანა ერთი პატარა ხორცი ამოიღო, და ვითარება მისი იტყვიან, რომელ მისგნით იქნების რომელ ხორც მეტი ახახი ანუ ბოსორელი სტომაქისა შიგან მოხრდილი იყოს და ბუნებასა მოეწყვიდოს და ზემოთვე მიეძალოს. და იგივე იტყვის ვითა სისხლისა ამოღება სტომაქისაგან რომელთანა ცხრომ ერთოს ჰავი არს, და რომელ ცხრომ არ ერთოს უჭკობია, და ამის მანკისა ვითარება სისხლისა და სისხლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ ასოთა შიგან იყოს.

კურნება მისი. იგი არს, რომელ ხელი გაიხნას და თუ არ დაეღიოს მკლავნი და ბარკალნი მავრად შეუკრას, და სიქანგუბინი გაცივებული სუას. და აყაყა და ეარდისათესლი, და მიწა დაბეჭდული და ბროწყულისა ყუავილი, და იფიონი და ბანგისა თესლი, და გომიზი არაბული თვითოვსგან ნაწილი ერთი, ლისანალჰამალისა აფშარაჰასა თანა ანუ ასააროასა აფშარაჰასა თანა გაჰრიოს და ნახევარისა დრამისა წონი ანუ უფროასი მისგან იხმაროს ერგების. და ნიგვზისა რუბი და ყოველი შემკვრელი რუბი მას ერგების. და თუ გუნდა და ბროწყულისა ყუავილი თვითოვსაგან ნაწილი ერთი აილოს, და ორივე წმიდად დანაყოს და ყერატი ერთი აფიონი შიგან გაჰრიოს და სამივე ლისანალჰამალისა წყაოსა გაჰრიოს, და მარად დღე მისგან იხმაროს.

რად. რაჟივამ ოღინი რომელ სიღბოც არ ერთოს თანა. ვითარება მისი რა სიმხურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ვითარება მისი ძლიერისა ზაფრისაგან იქნების

1) ამ გვერდის დასასრულს აწიან არა დედნის ხელით სწერია:

ჯალინოზ, ბაყრატი და იოანა, მასარჯი, მაჰმად ზაჰარიას ძე . . . . .	მ
ანდრომახოს და აბუჯაროჰ, თიადიუ ხ ფილოს, მასოას ძე . . . . .	მ
არჯიასიოს, ნადანელი, თებით ყურ ისა ძე, თებითყურას ძე . . . . .	მ
და არბიჯან, დეფჯან, ჰუნან, მესიაჰ, იბნიშას, რუფოს, სიანას ძე . . . . .	მ
ესენი დიდნი ფილასთოსონი ცდილობდენ კაცთა უკუდავ ყოფა . . . . .	სა
ემიებდნიან ხასიყდებსა ხეთა, ზალაბთა ყოველთა მოყოფთა . . . . .	სა
მოუღბნიებდნენ, მუგენისცემდენ, ჰირს განსდენიდნენ ავთიმეთ . . . . .	(აქ აწია შტრილი და აღარ

იკითხება).  
 1) ამ სიტყვის მაგიერ ტექსტში ორი ასო სწერია „იტ“.  
 2) ტექსტში სწერია „იტ“.

რომელ სტომამაჲსა ზიგან ზეიყაროს და მაშინ დაწავდეს, და რაჲ მოიძეტყოს და... ქოეროსს ესე მანკი გამოჩნდეს. ანუ დია ჭამისაგან იქნების რომელ საზომისგან უფროა ექმის.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲცა ამოილოს ყვითელი და წწარე იყოს, და დია სწყურვოდეს. თუ ზაფრისაგან იყოს და სტომაჲი მხურვალედ იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა დია ქანისგან იყოს იგი არს, რომელ სნეულსა ჰკითხოს.

კურნება მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. პიოპანა იტყვის: რაჲცა ზაფრისგან იყოს და მუცელი შეკრეთ იყოს იგი არს, რომელ ჰყუანაჲ უყოს ეგეთითა წამლითა რომელ საყრახასა ჩამოიყვანდეს, და ტყემლისა წყალი და ჰინდოურისა თამრისა წყალი იხმაროს რომელ სიმხურვალე დაუწყნაროს და მუცელი დაუღბოს, და თუ მუცელი ღბილად იყოს ბეჰესა შარაბი და ტუტაჲსი ჭამოს. და ოცისა დრამისა წონი მჟაფე აღარდენი დრამისა წონისა ერთხა მასტაქესა თანა ერთითა ლიტრითა წყლითა წეაგზოს რომელ ნახევრად მოვიდეს, და ალვაჲ და სიქი თვითოჲსაგან ორისა დრამისა წონი, გაპრიოს და ჭამოს. და თუ მწუანისა ფუტაჲსისა ქერქი წყლითა<sup>1)</sup> წეაგზოს და ცოტაჲ სიქი გაპრიოს და ჭამოს ერგების, და თუ სნეულსა ძალი ჰქონდეს ბასალიყო გაუხნას და საჭამადსა თუთუბისა ურწყოასა ჭამდეს, ხოხბისაჲცა ხორცთა და თიბოჲსა ხორცთა ექმების. და გრილთა და დამკერელთა შემოსადებლთა შემოსდებდეს სტომაჲსაზედა.

ფოლის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სადაგისა ბროწეულისა წყალი სჭას, და გაცივებული მჟავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი სჭას, რომელ სტომაჲი განძლიერდეს და სიმხურვალე დააწყნაროს. და თუ მუცელი შეკვრით იყოს ვაშლისა შარაბი და ტყემლისა წყალი სჭას რომელ მუცელი დაიღბოს. და სანდალი და ვარდი და ქაფჯრი ვარდის წყლითა დააღბოს და გაცივებულ სტომამაჲსა შემოსდეს, და სიმხურვალეთა და ზაფრისა მომმატებელთა ერთდებოდეს, და საჭამადსა თუთუბისასა ანუ აღარდენისასა ჭამდეს, და ხილთაგან ვაშლსა და სხალსა და ატამსა ჭამდეს, და ბროწეულსა მჟაფესა და ტკბილსა. და კურნებაჲ მისი რაჲცა დია ჭამისაგან იყოს იგი არს, რომელ დია არა ჭამდეს და მძიმეთა და უღნობთა საჭამადთა ერთდებოდეს, და ნატიფთა და ჰამოთა მიელტეოდეს.

ვითარება რწყევისაჲ რომელ სიღბოჲ არ ერთოს, რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ვითარებაჲ მისი რაჲ ბალღიმისგან იყოს რომელ სტომამაჲსა ზიგან შეყრილ იყოს იგი მის ზიგან არს, ანუ გასარეველისა სასვლოჲსაგან რომელ ელენით სტომამაჲსა მიხედეს, და მაშინ სტომაჲი მისისა სიმჟავისაგან დაშავდეს და შეიშაითოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ არა სწყუროდეს და სტომაჲი მხურვალედ არ იყოს, და რაჲცა ამოილოს თეთრი იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა სვედისგან იყოს იგი არს, რომელ რაჲცა ამოილოს მჟაფე იყოს, და ჭამისა უწინაჲთა გულისა თავი სტკავოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: რწყევისა კურნებაჲ რაჲ ბალღიმისგან იყოს იგი არს, რომელ შემგზრდისა ვაშლისა წყალი და ცოტაჲ მარილი და პიტნაჲ სიქანგუბინითა ჭამოს, რომელ სრულიად მანკისა სათაჲსა ჩამოიღოს. და თუ ვერ გაწმდეს იარაჲ ფეყირაჲთა და საბრისა ჰამითა არწყიოს, და მაშინ ბროწეულისა შარაბი იხმაროს, რომელ სტომაჲი განძლიერდეს. და სისანბარო და ლამანი და ძირაჲ თვითოჲსგან ნაწილი ერთი უმატოს, და აფსანთინისა შარაბი და მიშქდარო<sup>2)</sup> და ბეჰესა გვარი<sup>3)</sup>ნი მას ერგების. და საჭამადსა აღარდენისასა ჭამდეს რომელ ზიგან პიტნაჲ და ტეგანაჲ რთულ იყოს, და სურნელთა და მხურვალთა შემოსადებელთა მკერდსა შემოსადებლთა შემოსდებდეს.

1) ეს სიტყვა სტრიკონ ზემოდან არის ჩამატებული და სწერია სიტყვა „ცოტაჲს“ მაგისად, რამელიც წაშლილია.

2) შიშქდარგი.



დებდეს ვითა თაჩარი და სიჭი, და სოდი და ზაფრანაჲ, და ყარამფული და ჯაფრი ბოჲაჲ, და აფსანთინი და მასტაქე, და ალჳა და მუშეი, და მსზავსი მისი.

ჯალიონოს იტყვის: კურნებაჲ მის რაჲ სეედისგან იყოს იგი არს, რომელ ვიდრე საზომისაგან არ გარდვიდეს არ უკუტყენოს რწყევისაგან, მით რომელ შიგან ღიადი სარგებელი არს, მით რომელ სტომაქსა მრავლისა მანკისაგან გასწმედს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ აქლილალმალქი და მორდი, და ლადანაჲ და ოშნაჲ შემკრველითა შარაბითა მალკამად შექნას და სტომაქსა შემოსდევას. და ბროწეულისა შარაბი და შემკრველთა ხილთა შარაბი ქამოს. და რწყევასა უკანით აფთიმონისა მატბუხა ღარიყონისა მატბუხა თანა ქამოს თუ ამას მანკსა თანა ელნეთიცა სტკიოდეს ჩასალიყი გაიხსნას შარცხენისა ხელისა, და ელნეთისა ტკივილისი წამალი იხმაროს, და უზმამან ერთი კოფეი თაფლი ქამოს. და თუ ხუთისა დრამისა წონი აფთიმონი ჯულაბსა გაპრიოს და იხმაროს ერგების, და ადრე ილხენს და იჯობინებს.

10 **ჩემი გოჳინებაჲ ღიაჲ რომელ სტომაქსა შიგან ჩაჭრილ იყოს.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იოჳანა იტყვის: ესე მანკი ზაფრიანისა ხილტისა ჰავისაგან იქნების რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს, ანუ გასარეველისა დაშავებისგან რომელ გამხურვლებულ, იყოს ანუ სტომაქისა უსუსურობისაგან იქნების, რომელ შიგან ქარი იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲ გასარეველისგან იყოს, რომელ დაშავებულ იყოს და გამხურვლებულ იყოს, იგი არს, რომელ მიწყით ბოყინებაჲ ამოვიდოდეს ხორხისგან. და სტომაქისა უსუსურობისა და თირკმელისა თვით ვაზსენოთ კურნებასა შიგანვითა უნდეს.

20 **კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს.** იოჳანა იტყვის: იგი არს რაჲცა ჰავისა ზაფრისაგან იყოს, იგი არს, რომელ შემგბართა ხილთა წყალი იხმაროს რომელ სტომაქი გაწმიდოს და ვარდისა შარაბი მკინვართა გაგრილებული იხმაროს, და ბუნებაჲ ტანისა გააგრილოს კატკატოასა თესლისა წყლითა რომელ შიგან ისრამისა შარაბი რთული იყოს. და თუ მუცელი შეკრვით იყოს თამრიჳინდისა წყალი ჯულაბითა იხმაროს რომელ მუცელი დაიღბოს. და საჭამადსა თუთუბისა ურწყოასა ქამდეს. და თუ ბუნებაჲ ჩაგარი იყოს და თუ ღბილი ტყემლისა ურწყოასა იხმარებდეს. და ესე მანკი თუ მიზეჯისა შესლისგან იყოს, რომელ გამხურვლებულ იყოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტყემლისა წყალი სიქანგუბინსა თანა იხმაროს, ანუ შაჳნარისა ბროწეულისა წყალი ჯულაბსა გაპრიოს და იხმაროს, და საჭამადსა ვარიასა ქამდეს ისრამითა შექნილსა.

30 **მუჳამედ ზაქარიაჲსძე [იტყვის]:** რაჲ ღია ამოყინებდეს საჭამადსა მოიღნობს და რაჲ შოკლდეს ამოყინებს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ძირაჲ და თითრი საკმელი იჯობნოს რომელ ამოყინებდეს, და ბალღანურისა ღია ამოყინებისა კურნებაჲ იგი არს, რომელ საჭამადსა უწინაჲთა არწყოს, და ფილფილისა და ზანჯაბილისა გვარიწნი იხმაროს, ვითა პიტნაჲსა და ძირაჲსა გვარიწნი და თეთრისა საკმელისა ყურსი, კარგი არს.

თებით ყურაჲ იტყვის: ბუნებაჲ რაჲ საზომისაგან გარდვიდეს საჭამადსა სტომაქისაგან ამოიღებს, და რაჲ არ ამოყინებდეს სტომაქსა შეშლის, და ამასავე ერთავე ყოფასა შიგან საჭამადსა ვერ მოიღნობს და სტომაქსა შიგან ქარსა ჩაგდებს მეტად მაშინ, რომელ საჭამადი თუ ექამოს, გრილი და უღნობი იყოს. კურნებაჲ იგი არს, რომელ თაფლი და 40 ანისონი ქამოს რომელ სტომაქი განძლიერდეს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ვითა ბალღანურისა ხილტისგან იქნების რომელ სტომაქისად მორგენილ იყოს რომელ ტანისა მიზეჯი <sup>1)</sup> ავად გააგრილოს, ანუ ღია ქამისგან იქნების, რომელ ვერ შეერგოს.

1) ტექსტში ამ სიტყვის მავიგრად შეედრებით სწერია „მიზეჯი“.



ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲცა ტანისა მიზეჯისა და გაგრილებისაგან, და ბალღამურისა ხილტისაგან იყოს იგი არს, რომელ ბოყინებაჲ რომელ ხორხისგან ამოვიდეს შეაფე, იყოს და ნიშანი მისი რაჲცა დია ქამისგან იყოს იგი არს, რომელ აროლსა რომელსა ჰქვიან ბოყინებაჲ. და მუცლის ტკივილსა ქარცა იყოს.

10 კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარაჯოჲ იტყვის: ესე მანკი რაჲ ბალღამურისა ხილტისგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს საბრისა ჰაბითა, და მაშინ გულანგუბინი და აღვაჲ და მასთაქი ყოველი ერთგან წყლითა ადუღოს და მისსა ტფილსა წყალსა უზმა სმიდეს, და საჭამადსა მუხუდის წვეწსა ჰამდეს. და რაჲ სტომაქი, მანკისა დედისგან გაწმიდოს დურაჯისა ხორცი, რომელ ზირაბაჯად შექნილ იყოს იხმაროს. და თუ მისგან ქნილ იყოს რომელ ტანისა მიზეჯი ჰავად გაგრილებულ იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ბერძელისა ბადიანისა წყალი იხმაროს, და ანუ ძირაჲ და ქონდარი წყლითა შეაგბოს და იხმაროს. და საჭამადსა ვარიამსა ჰამდეს რომელ აღარდნითა და ჩამიჩითა შექნილ იყოს. და რაჲ ბუნებაჲ მიზეჯისა მოიჯობინოს ცხვირის ხორცი კალითა ჰამოს.

20 ისაჲ იტყვის: თუ ესე მანკი დია ქამისგან ქნილ იყოს კურნებაჲ მასი იგი არს, რომელ საჭამადი ცოტა ჰამოს. და თუ სტომაქსა შინა ქარი დია იყოს ქარიანთა საჭამადთა ერიდოს, და უზმამან დია იარებოდეს, და მაშინ აბანოს მივიდეს, და რაჲ აბანოჲთ გამოვიდეს ღვინოჲ სურნელი სჭას. და ძირაჲსა გვარიშნი ანუ ქონდარისა გვარიშნი და სამის წონი ნელსა წყალსა გაპრიოს და უზმამან იხმაროს. და მაშინ ზირაბაჯსა ჰამდეს ანუ ვარიამსა კალიად შექნილსა. და რაჲცა ბალღამისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა საჭამადთა ჰამდეს, რომელ ბალღამსა გარდაიღებდეს და სტომაქსა გაახურებდეს ვითა ქონდარი და ანისონი, და ტევანასა ფურცელი და კულიაეუ, და მთისა პიტნაჲ და ძირაჲ, და ნანხვაჰი და ყარაფული, და მასტაქე და რაჲცა ამათ ჰგვანდეს იხმაროს, რომელ სტომაქსა განადლიერებს.

30 **ადვ. ხარკოლა რომელსა ჰქვიან არაბულად ფავანი და სპარსულად სჰჰინაჰი.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმზღრვალისგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: ვითარებაჲ მისი სტომაქისა უსუსურობისაგან იქნების რომელ ზაფრაჲ შიგან შეყრილ იყოს, და ბუნებასა მისი გაყენებაჲ არ შეერთოს, და ანუ სიხნელისგან იქნების, და ვითარებაჲ მისი გრძელთა სნებათაგან იქნების და ისთიფრალითაცა.

ნიშანი მისი რაჲ სიმზღრვალისგან იყოს. იგი არს, რომელ აწყურებდეს და რწყევვისა ეამსა ზაფრაჲსა ამოიღებდეს, ნიშანი მისი რაჲცა სტომაქისა სიხნელისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით პირი უშრებოდეს, და ნიშანი მისი რაჲცა ღვიძლისა სიმსივნისგან იყოს იგი არს, რომელ მოტბაყი ცხროცა იყოს და მარჯვნით გვერდი სტკიოდეს.

40 კურნებაჲ მისი რაჲ სიმზღრვალისგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის. რაჲცა სტომაქისა უსუსურობისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ არწყვიოს სიქანგუბინითა და კალნაბისა წყლითა, და მაშინ ქრთილისა წყალი, და ტბილისა ბროწყელისა წყალი, და ახლისა აყიროსისა წყალი იხმაროს. და კურნებაჲ მისი რაჲცა სტომაქისა სიამფლისგან იყოს იგი არს, რომელ ბაზრაყატუნაჲ იხმაროს და ლისანალჰამალისა თესლი ცივითა წყლითა. და გრილთა ზეთთა იხმარებდეს. და სტომაქსა გრილთა ზეთითა და ძაღლის ყურძნისა წყლითა და ვარდის ზეთითა იზელდეს. და საჭამადსა ასფანახსა ჰამდეს აყიროჲთა შექნილსა. და კურნებაჲ მისი რაჲცა სიღბოჲსა უკანით შექნილ იყოს იგი არს, რომელ ხორცთა წყალი, ქათმისა, და კვერცხისა ყვითელი ჰამოს, და სურნელთა უსუნებდეს. და იისა ზეთი ცხვირთა ჩაიწითოს, და საჭამადად თბილთა ხარშოთა ხვრეტდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა მზღრვალთა საჭამადთაგან ქნილ იყოს ვითა ხახვი და ნიორი და მსზგავსი მათი გვითქვამს.



დევჯანოს იტყვის: ნიშანი ღვიძლისა სიმსივნისაჲ იგი არს, რომელ ცხროა ერ-  
 10 აოს და ბუნებისა ქცევად ღია იყოს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას  
 და ქრთილისა წყალსა და ბროწეულისა წყალსა სმიდეს. და სანდალი და ქაფური ვარდის  
 წყალსა გაჰრიოს და ღვიძლსა ზედა შემოსდვას. და არდისა წყალი სიქანგუბინითა სჯას. და  
 თუ ესე მანკი ცხროასა უკანით ანუ მარხვათა უკანით იქნას, და მხურვალთა საქამადთაგან  
 რომელ ექამოს, კურნებაჲ იგი არს, რომელ ბაზრაყატუნისა ლუაბი ნუშისა ზეთითა იხმა-  
 როს, და ლბილთა საქამადთა იხმარებდეს, რომელ შაქრისა მყინვარისა და ქრთილისა ფქვი-  
 ლისა და ნუშისა ზეთისაგან შექნილ იყოს.

მესია იტყვის: რაჲცა ღვიძლისა სიმსივნისაგან ქნილ იყოს, ვითარებაჲ მისი მის-  
 10 გან არს რომელ ღია ებრცოდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას და  
 თუცა სწეული შეუძღვროდ იყოს არდის წყალსა და ძაღლის ყურანისა წყალსა სმიდეს, და  
 ქრთილისა წყალსა და სიქანგუბინსა იხმარებდეს ნიადაგ.

ვითარებაჲ ხრცოლისა რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჲ იტ-  
 ყვის: მით იქნების რომელ სტომაქისა შიგან ხილტი შევრილ იყოს, ანუ ქარისგან იქნების  
 რომელ სტომაქი კარგად ჩაეზიდოს, და მძიმეთა საქამადთა და ღვინისაგან იქნების. ანუ  
 ელღისა და სქელთა ქართაგან იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ სწყურო-  
 დეს. და ნიშანი მისი რაჲცა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ ელღისგან შეიქნას. და ნიშანი  
 მისი რაჲცა მძიმეთა საქამადთა უკანის და ღვინოასა უკანის ქნილ იყოს იგი არს, რომელ  
 20 ვიდრე ებრცოდეს სტომაქიცა სტკივოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს: აბუჯარიჲ იტყვის: რაჲცა  
 ნედლისა და გრილისა ხილტისგან იყოს იგი არს, რომელ მთისა ნიაზურისა თესლი და სუდი  
 და ძირაჲ და თეთრი საკმელი თვითოასგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი, ერთი ნა-  
 წილი მისგან სისანბარისა წყალსა ანუ შემგბარისა ძირაჲსა წყალსა თანა გაჰრიოს და იხ-  
 მაროს. და კურნებაჲ მისი რომელ ქართაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ნანხეაჲ და ზან-  
 ჯაბილი და პიტნაჲ და მასტაქე ქამოს. და ხმელისა სისანბარისა ფურცელი, ანუ ტევანაჲსა  
 ფურცელი, ანუ პიტნაჲსა ფურცელი ამათ ყოველთაგან რაჲცა იყოს მისგანით ორისა დრა-  
 მისა წონი გაგლილი წყალგაურეველსა ღვინოასა თანა, ანუ შემგბართა ძირაჲსა წყლითა,  
 იხმაროს. და ცოტაჲ თეთრი საკმელი შიგან გაჰრიოს და ქამოს, და ტფილსა წყალსა სმი-  
 დეს და აბანოს მივიდოდეს ერგების.

30 მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა მძიმეთა საქამადთა  
 უკანის იქნების იგი არს, რომელ ცოტაჲ ძირაჲ და პიტნაჲ და კულიაფი ერთგან გაჰრიოს  
 და შეებგოს და ქამოს. და მიწყით თეთრსა საკმელსა ცოხნიდეს, და გამთბართა ჩეართა მუ-  
 ცელსა ზედა შემოსდებდეს, და მას დღესა ნურასა ქამს. და მეორესა დღესა აბანოს მივი-  
 დეს. და საქამადსა ეგეტსა ქამდეს რომელ სტომაქისგან სინედლეგა ამოჰბოდეს ვითა კა-  
 ლიაჲ დი მუტანჯანაჲ რომელ ნატიფითა სანელეგლითა შექნილ იყოს, და მაშინ ღვინოსა  
 წყალგარეულსა სნიდეს და კურნებაჲ მისი რომელ ელღისა და სქელთა ქართაგან შექნილ  
 იყოს იგი არს, რომელ ესე წამალი იხმაროს: თეთრი საკმელი სამისა დრამისა წონი, ხმელი  
 რასინი ექვისისა დრამისა წონი, ხმელი პიტნაჲ და ტევანაჲსა ფურცელი თვითოასგან ორი-  
 40 წონი, გაჰრიოს და მოთყალი „ა“ იხმაროს.

რამ. სტომაქისა ტივილი სიმხურვალისგან რაჲ იყოს. ვითარებაჲ მისი. მუჰამედ ზა-  
 ქარიასძე იტყვის: ერთი სტომაქისა ტკივილი იგი არს, რომელ სიმშლისგან იქნე-  
 ბის, დამეორე საქამადისა ქამისა ეამსა, მესამე ქამისა უკანით. და ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურ-

1) ტექსტში ამ სიტყვის მაგივრად სწერია ერთი ასო „ი“

ვალისგან იყოს ზაფრისა ნორვენიისაგან იქნების, რომელ სტომაქი დაეზაბუნოს, ანუ ლეიძი-  
ლისაგან.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. რააცა სიმშლიისაგან იქნების იგი სიმსივნისაგან იქნების რომელ სტომაქსა შაგან იყოს, ანუ სიწყულულისაგან იქნების. და რააცა ჭამისა ეამსა იყოს და სიმხურვალისგან ზაფრისგან არს და ნიშანი მისი იგი არს, რომელ აწყურებდეს და პირი მწარედ ეღვას და რააცა ლეიძისგან იქნების იგი არს, რომელ ცხროცა ერთოს.

კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას-  
ძე იტყვის<sup>1)</sup>: რააცა სიმშლისაგან იყოს სიმსივნისა ანუ სიწყულულისა სტომაქისა იქნების,  
10 და ყოვლისა კურნებაა კიდე ვახსენოთ. და რააცა ჭამისა ეამსა სტკიოდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ეგეთითა წამლითა რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს, და მძღარმან არწყიოს მეტად მაშინ რომელ ახალი თევზი ეჭამოს, და მაშინ სიქანგუბინი და ქრთლისა წყალი სჭას, და მუცელი დაიღბოს აფსანთისა მატბუხითა რომელ თანა თამ-  
რი ჰინდი და ტყემალი ერთოს, ანუ შაბთარაა და უგურკოა ჩამიჩი შეაბგოს და დრამისა წონი ერთი იარაა ფეყირაა და ორისა დრამისა წონი ყვითელი ჰალილაა შიგან ჩააგდოს და მრავალჯერ იხმაროს, რომელ სტომაქი გაწმიდეს, და ჩამიჩი ცოტად მყავე იყოს.

ისაკ იტყვის: თუ სტომაქი ლეიძისგან სტკიოდეს ხელი გაიხსნას, და დელამო-  
ტისა წყალი სჭას, ანუ სიქანგუბინითა და ყვითლითა ჰალილათა, და საყამონიათა და  
20 ჰინდოურითა მარილითა, და შაპნარისა ბროწყელისა წყლითა, და საჭამადსა ხობისა ბორ-  
ცსა და კაკისა და ვარიისასა ბროწყელისა წყლითა ანუ ისრიმითა შექნილსა ჰამდეს. და სიქანგუბინი შაქრისაა, და შაპნარისა ბროწყელისა წყალი, და სანდალი და აყროაჟსა თესლი და ორთავე კიტრთა თესლი, და კატკატოსაა თესლი თვითოვსაგან ხუთისა დრამისა წონი, ვარდი წითელი შვიდისა დრამისა წონი, კოწახური ექვსისა დრამისა წონი, სომხური მანაა<sup>2)</sup> ექვსისა დრამისა წონი, ქაფური დანგი ერთი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ახლისა აყროაჟსა თესლისა წყლითა ანუ აყროაჟსა ნედლისა წყლითა, ანუ კატკატოსა წყლითა შეზილოს და კვერად შექნას, და ფურისა დოთა თანა ანუ ისრიმისა წყალთა თანა იხმაროს. და ხილი ატამი ანუ კიტრი ჰამოს.

სტომაქისა ტკივილისა ვითარებთა რაა სივრილისგან იყოს<sup>3)</sup> იგი არს, რომელ ყოლაა საჭამადსა არ მოიღნობდეს, და ვიდრე არ არწყიოს არ გამოიხვეწოს.  
30 და რაცა მეტისა ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ არა სწყუროდეს და პირსა წყალი დია სდიოდეს, და მაჯასი ლბილად იყოს.

ნიშანი მისი რაა სივრილისაგან იყოს. კურნებაა მისი რაა სივრილისა-  
გან იყოს იგი არს, რომელ საჭამადი ცოტაა ჰამოს და დაპანტვით ნუ ჰამს, რომელ უვა-  
რგინი იგი იქნების, რომელ საჭამადს უკანით იქნების, და ვიდრე არ არწყიოს არ დისწყნარ-  
დეს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ საბრისა ნაყი ჰამოს და მაშინ ქავებადისა ყურსი და  
ელაოსისა ყურსი იხმაროს, და საჭამადსა წინა ორი კოვზი თაფლი ჰამოს, და სამი კვერც-  
ხისა ყვითელი კვრივი, და ორისა დრამისა წონი ჰინდი ხმელი დანაყილი, თაფლითა შეზი-  
ლოს და საჭამადსა წინააჟ მისგან იხმაროს.

იოჰანაა იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ არწყიოს მლაშითა თევზითა და  
40 ბოლოყისა წყლითა, და ასტმბიყონისა ჰაბითა და საბრისა და მასტაქისა ჰაბითა, და დიდთა იარააჟთა იხმარებდეს და ბედანჯირისა ზეთი და ნუშისა ტკბილისა და მწარისა ზეთი ძირ-

1) ამ სიტყვის მაგივრად ტექსტში სწერია „იტ“.

2) ამ სიტყვის შემდეგ სტრიქონ ზემოდან სწერია დედნის ხელით ასომთავრული ხუცური ასო „დ“.

3) ტექსტში ამ ადგილას ვარსკვლავი უზის და ამოახე სწერია: „მუჰამედ იტყვის რააცა საჭამადსა უკანით იქნას იგი არს, რომელ რწყ ვით იყოს და ვითირება მისი დია ჰამისგან იქნების, რომელ სტომაქსა შიგან დაშვადეს, ანუ მეტისა ბალღისაგან იქნების, რომელ სტომაქისაღ მოფრიოს და შიგან დაშვადებულ იყოს“.



თა წყლისათა სტას. და ესე წამალი მას დია ერგების ვითარებაჲ მისი მასთაჲ და ვარდისა ყურსი თვითოვსაგან სამისა დრამისა წონი, ქაპრაბაჲ და ხმელი პიტნაჲ და მურყანისა და ალვაჲ თვითოვსაგან ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ძველსა ღვინოსა თანა ანუ ანისონისა წყალსა თანა და მასტაქითა იხმაროს და აფსანთინისა შარაბი და გვარინი ძირაასი, და გაზრდილი ზანჯაბილი და გაზრდილი ჰალილაჲ მას დია ერგების. და სიმშურვალესა ჰამდეს კარგი არს ვითა ჩიტისა ხორცსა წყალი და მსხვევსი მისი. მაგრა ტრედისა ხუნდი თუცა მზურვალეა მას არ აშენია, მით რომელ სტომაქსა ზედა მძიმე არს. და ძნელი ღვინოჲ და თაფლისა წყალი რომელ მზურვალითა სანელელებითა შექნილი იყოს, და ჩაჰინისა ღვინოჲ რომელ თაფლითა იქმნას ესე ყოველი მას ერგების. და ალვაჲ და ანბარი სოს-  
10 ნისა შარაბითა დააღბოს და სტომაქსა შემოსდეს.

**სტომაქისა სიმსივნე რაჲ სიმხურვალისგან იყოს.** ვითარებაჲ მისი. აბუჯარიჰ იტყვის: სისხლისა სიმეტისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა სტომაქისაჲ მიეძალოს და რაჲ მოერიოს სიმსივნედ შეექნების. ანუ ზაფრისაგან იქნების რომელ სიმეტითა მოერიოს და სიმსივნედ შეიქნას სტომაქსა შინა<sup>1)</sup>.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ დასაწყისსა აცხროოს და სტომაქსა ზედა სიმსივნე ჩნდეს, და ყოლა საჭამადი არ მოუნდების და არწყვედეს, და წყურვილი დია იყოს, და რაჲ ხელი მანკისა აღვილსა შემოსდეს და უხურვიდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: იგი არს, რომელ ხელი გაცხნას და კტლა არწყიოს, და მაშინ ტაბაშირისა ყურსი ჰამოს ისრაშისა წყლითა, და ბეჰენსა აფშარაჲ და სანდალი და ვარდი და ქაფური ერთგან გაგალოს და სტომაქსა შემოსდეს. და საჭამადსა ალარდნისა ურწყოასა ჰამდეს მაშინ რომელ აბურვოს, და სიმხურვალე ცხროებისა დასწყნარდეს. და მაშინ ხიარ შანბრისა ფოლოსსა ანუ ვარდისა ყურსი არდის წყლითა გააღნოს და იხმაროს. და რაჲ მანკი დაძულდეს მოყლისა ყურსი ჰამოს. და რაჲ ცხროჲ წასრულ იყოს ორი მუთყალი საბრი და სუდი და აღხარი, ორი მუთყალი მოყლი, სამი მუთყალი ღვინოსა შიგან გაადგინოს და ყველაჲ მომროღანსა და ბერძულსა ფაჩარსა შინა გაჰრიოს, და მკერდსა შეესცხოს ერგების.

**ჯალინოს იტყვის:** სიმსივნე რაჲ სიმხურვალისგან იყოს და გამაგრდეს და დუბელად შეიქნას ნიშანი მისი იგი არს, რომელ აცხროებდეს და სტკივოდეს და მჯახსი დიდი იყოს და ფიცხელი, და სტომაქი ქარიანად შექნას, მაგისი ნიშანი არს, რომელ თხაბლი შიგან შეყრილ იყოს. უკურნოს განხანელითა წამლითა ვითა ახალი სძე რომელ ზალასა ხალა სმიდეს, და თბილსა წყალსა სმიდეს, და სტომაქსა შემოაჰირებდეს. და თუ განავალსა თანა თხაბლი იყოს ამასვე მანკსა თანა ლეწაჲცა იყოს ასოთაჲ, იცოდეს რომელ სიმსივნე განხანილ არს, და თუ ესე არ იყოს სპანძელი და თაფლისა წყალი სტას. რომელ სიმსივნე გაიხნას და გაწმდეს.

**იოჰანა იტყვის:** თუ სიმსივნე მზურვალეთა ცხროთაგან იყოს არდისა წყალი და ძალის ყურძნისა წყალი ჯულაბითა და სიქანგუბინითა იხმაროს. და საჭამადად ვარიასა და დურაჯსა და კაკაბსა და პატკნისა ყელსა ჰამდეს. და თუ სიმსივნე დიდი და ძალიანი იყოს ბასალაჲცი გაიხნას, და იაჲ და ხიარ შამბარი და შირაბიშთი და არდის წყალი და  
40 ძალის ყურძნისა წყალი სტომაქსა იცხოს.

**სტომაქისა სიმსივნისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს.** მასარჯოჲ იტყვის: ბალამისგან იქნების რომელ სტომაქსა შიგან შეიყაროს და რაჲ დაშავდეს სიმსივნედ შეიქნების. ანუ სევედისა სიმეტისგან იქნების და მორგენისაგან, რომელ სტომაქსა შიგან შეიყაროს და სიმსივნედ შეიქნას რაჲ მოერიოს შიგან.

<sup>1)</sup> ან გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „ლა“ და შემდეგ გვერდის ზენთ აშიაზე „ლბ“.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. რომელ ნელითა ცხროთა იყოს და პირსა წყალი დია სდიოდეს, და საქამადი არ მოუნდებოდეს და სტომაქი ქალონდ იყოს და მჯავსი ლბილად იყოს, და რაჲცა სვედისაგან იყოს იგი არს, რომელ სიმსიენე მავარი იყოს და პირსა წყალი სდიოდეს.

კურნება მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: რაჲ სიმსიენე ბალდმისაგან იყოს იგი არს რომელ საბრისა ნაყი იხმაროს რომელ მანკისა სათავნოჲ დაელიოს. და საქამადთა ნატიფთა ქამდეს და ყოლაჲ ნუ არწყევს და ვაზისა<sup>1)</sup> ნაცარი სუდსა და ფაჩარსა და აღხარსა გაპრიოს და მაშინ ძპრითა შეზილოს და შემოსდევს სტომაქსა. და ხიარშამბრისა ფოლოსი თესლთა წყალსა შიგან გაადგიონს და ნუშისა ზეთითა იხმაროს, რომელ სიმსიენე გახსნას და მანკისა დედაჲ დაპლიოს. და მახუნაჲსა და აქლილალმალქისა და ბალბისაგან შემოსადებელი შემოსდევს სტომაქსა ნელად. და მხურვალითა ზეთითა სტომაქსა და მკერდსა იზელდეს, ვითა თეთრითა იასამანისა ზეთითა და ზირისა ზეთითა და მსგავსი მათი, და მძიმეთა საქამადთა ერიდოს და ცოტასა ქამდეს, და მუხუდისა წებენსა მიელტვოდეს. და მუცელი დაიღბოს ასტმიხეიონისა პაბითა და გულანგუბინსა და მასთაქესა იხმარებდეს.

დევეჯანის იტყვის: თუ სტომაქსა შინა სიწყულუღესა თანა მკედარი ხორცი იყოს იარაჲ ფეყირაჲ იხმაროს რომელ იგი მკედარი ხორცი მისგნით გააკიდევნოს, და სტომაქი გაწმიდოს. და რაჲ იცოდეს რომელ სტომაქი გაწმედელ არს ფურცსაჲ დოჲ და ბეჰესა შარაბი იხმაროს, და ქრთილისა წყალსა სმიდეს და თიკნის ხორცსა ქამდეს ძპრითა შექნილსა. და თუ მანკი სტომაქისა პირსა შიგან იყოს გომიზი და ქათირაჲ ქამოს და ქაპრაბაჲსა ყურსი სტომაქისა წყლულსა ერგების, მეტად მაშინ რაჲ სნეული სისხლსა არწყევდეს და ყოველი შემკერელი რუბი მას ერგების და თუ სტომაქისა სიწყულუღისაგან მუცელი შეკვრით იყოს ხიარშამბრითა მუცელი დაუღბოს. და თუ მუცელი ლბილად იყოს ტაბაშირისა ყურსი და ბეჰესა რუბი ვაშლისა წყლითა შეაბგოს და იხმაროს რომელ შეკვას, და ბუნებაჲ სწორად შეინახოს და ეგეთთა საქამადთა იხმარებდეს და ქანდეს რომელ მაშუნი იყოს, და სტომაქსა არ აწყინოს.

კჲ. სტომაქის სიწყულუღე რომელ შიგან სისხლი ანუ სჲმ გაყინულ იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲსგანცა იყოს.

მასოჲაჲს ძე იტყვის: სიმსიენისგან იქნების რომელ გასქედდეს და მაშინ აღგილი წყლულად დარჩეს, ანუ ფიცხელისა გარევისაგან რომელ თავისგან ჩამოვიდეს და სტომაქსა შიგან შეიყაროს და დააწყულლოს.

ნიშანი მისი. იგი არს რომელ რაჲ მლაშე რაჲჲე ქანოს ანუ მჲაჲე სტომაქი ასტკიედეს, და პირსა შიგან გაბერილობაჲცა განოჩნდეს, და სისხლი და თხამლი ერთგან რეულ იყოს, და ანუ უბეთა ქვეშეთ ძნელად სტკიოდეს მიწყით<sup>2)</sup>.

კურნებაჲ სტომაქისა სიწყულუღისაჲ. იგი არს, რომელ თაფლსა და ჯულაბსა თანა წყალსა სმიდეს რაჲ მანკი ცოტად სიმხურვალისაჲე იყოს, და მაშინ ორსა ემსა უკანით ესე წამლები იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი საკმელი და ხონისიოშანი თვითოჲსგან ხუთისა დრაშისა წონი, ვარდი და ბროწყელისა ყუბავილი და ქალრაბაჲ თვითოჲსგან ორისა დრაშისა წონი, სიმხური მიწაჲ სამისა დრაშისა წონი, ყველაჲ დანაყილი ბეჰესა წყალსა თანა ანუ ვაშლისა წყლითა სქეს, კარგი არს.

დევეჯანის იტყვის: თუ სტომაქი სიწყულუღითა მისითა შიგან მკედარი ხორცი იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ იარაჲ ფეყირაჲსი სქეს, რომელ იგი მკედარი ხორცი მისგან გააკიდევნოს და სტომაქი გაწმიდოს მაშინ, ფურთა დოჲ და ბეჰესა შარაბი და

<sup>1)</sup> ტექსტში სწერია „ვაზისა“

<sup>2)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ შემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.





ბროწეულისა შარაბი იხმაროს და ქრთილისა წყალსა უზმად იხმარებდეს, და საქამადასა თიკნისასა ჰამდეს ძმრითა შექნილსა. და თუ მანკი სტომაქისა პირსა შიგან კურნებად მისი იგი არს, რომელ გომიზი და ქათირაჲ ჰამოს და ქაპრაბაჲსა ყურსი სიწულუღესა სტომაქისასა ერგების, მეტად მაშინ რაჲ სნეული სისხლსა არწყევდეს. და ყოველი შემკრველი რუბი ერგების მას, ვითა ბეჭესა რუბი და ვაშლისა რუბი, და ლაფითისა რუბი და აფსანთინისა რუბი, ხასიათითა კარგითა ერგების მას ქირსა. და თუ სიწულუღესა სტომაქისასა თანა მუცელი შეკვრით იყოს და სნეულსა აწყენდეს ეგების რომელ ხიარ შამბრითა მუცელი დაუღობნ. და თუ მუცელი ლბილად იყოს და სნეულსა აწყენდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტაბაშირისა ყურსი და ბეჭესა შარაბი სჭას ანუ ვაშლისა წყალი შეაბგოს და

10 იხმარებდეს, რომელ მუცელი შეკვრას და ბუნებაჲ სისწორესა ზედა შეინახოს, და ეგეთთა რაჲსმე ჰამდეს რომელ არა აწყინოს.

ვითარებაჲ სისხლისა ანუ სძისა რომელ სტომაქსა შიგან შეყინულ იყოს. მესია იტყვის: ვითა ღია მაწონისა და სძისა ფურისა ჰამისაგან იქნების ანუ ცხვრისაჲთა, მეტად მაშინ რაჲ სძე სქელი იყოს, და სისხლიაჲ მისგან ექნების რომელ სტომაქსა შიგან გაიყინოს.

ნიშანი სისხლისა ანუ სძისა გაყინვისაჲ. იგი არს, რომელ ღია დაბნდებოდეს მეტად მაშინ რომელ სძესა მაწონითა ჰამდეს, და ოფლიც ცივი იყოს და ესე მანკი ცხროჲათაჲ იქნების. და სისხლისა გაყინულისა ნიშანი იგი არს, რომელ სტომაქი მხურვალედ იყოს და ცხროჲფიცხელი იყოს.

20 კურნებაჲ სძისა ანუ სისხლისა რომელ სტომაქსა შიგან გაყინულ იყოს. მესია იტყვის: სძისა ყურნებაჲ რომელ სტომაქსა შიგან გაყინულ იყოს იგი არს, რომელ არწყიოს ცერცოჲსა წყლითა და თაფლითა და ნელითა წყლითა, და მაშინ დანაყილი პილპილი თაფლითა იხმაროს რომელ მანკისა დედაჲ განაქარგოს. და თუ ნახევარისა დრამისა წონი ყურდგლისა დფრიტაჲ ნელსა წყალსა შიგან გაგალოს და შესჭას ერგების. და თუ ამით რომელ გვითქვამს არა გარდვიდეს კურნებაჲ იგი არს, რომელ ყაისუმისა წყალი დრამინაჲსა წყალსა ანუ პიტნასი წყალსა, რომელიცა იყოს თანა ცოტაჲ მარილი გაპრიოს და შესჭას, რომელ მანკისა სათაენოჲ გახსნას და სტომაქი გაწმოდოს და საქამადასა ცხვრის ხორცსა კალითა შექნილსა ჰამდეს, და ძეგლსა ღვინოსა და საქამადასა ცოტაჲსა ჰამდეს და უდნობსა ნურასა ჰამს.

30 მასოჲას ძე იტყვის: რომელ სისხლისა კურნებაჲ, რომელ სტომაქსა შიგან გაყინულ იყოს იგი არს, რომელ ორისა დრამისა წონი დანაყილი სპანძელისა თესლი ჰამოს, რომელ მანკისა დედაჲ გახსნას. და თუ განივალი წყლითა აღულოს და ნელი წყალი მისი ბრძანოს, მანკისა დედსა ტანისაგან გასწმედს და გაჰხსნის, და ნატიფსა საქამადასა ჰამდეს ვითა ზირაბაჯი ვარიითა.

30 ჰუნაჲნ იტყვის: სისხლისა კურნებაჲ რომელ სტომაქსა შიგან გაყინულ იყოს იგი არს, რომელ ორისა დრამისა წონი ბაბილური მდოგვი წყლითა შეაგმოს და იხმაროს კარგი არს. და თუ სძე სტომაქსა შინა შეყინულ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყურდგლისა დფრიტაჲ ოცსა დრამსა პიტნისა წყალსა და ცოტასა მარილსა გაპრიოს და იხმაროს, და საქამადასა გრილსა და ნედლსა ერიდოს.

40 რძთ. დიბ ნარჲჲჲსინა გაბღღბაჲ და სინედლე რომელ პირსა შიგან დია შიიჲრამოდოს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მას არჯოჲა იტყვის: ესე მანკი სტომაქისა სიმხურვალისა და სინედლისაგან იქნების და საქამადისა მხურვალისა და ნედლისაგან რომელ ეჭამოს, ანუ თვით დაბადებიდგან სიმხურვალესა და სინედლესა მოერივნეს მისისა სტომაქისადა.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ბუნებაჲ იტყოდეს და გახურდეს, და ანუ რაჲ თაფლიანი ღია ეჭამოს ნერწყვიდეს, და სინედლე პირსა



სკ

შიგან უფროა იყოს, და ნიშანი მისი რააცა ბუნებისა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ რაა ცოტა ქამოს გამოჩნდეს.

კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს: იგი არს, რომელ ბასალის კი გაიხსნას ანუ მხართა შუა ქიქაა მოჰკიდლოს, და ეგეთსა რასმე ქამდეს რომელ სტომაქსა განაძლიერებდეს ვითა ვაშლისა წყალი და ბროწეულისა წყალი, ანუ ისრიმისა წყალი ანუ ბროწეულისა სიქანგუბინი რომელ ცივითა წყლითა შექნილ იყოს, და ხილთაგან შაჰნარი ბროწეული და ვაშლი მჟაფე და ტკბილი და სხალი იხმაროს. და საჭამადსა ეარიისასა ქამდეს რომელ ისრიმითა შექნილ იყოს ანუ თუთუბითა, ანუ ახალი თევზი წვრილი ძმრითა შევაგბოს და ქაშოს, და თუ ამით რომელ გვითქვამა არ გარდვიდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ მიწყით უხმაა პირსა გამოიბანდეს თუთუბისა წყლითა და სიმხურვალეთა ერიდებოდეს.

აბუჯარიკი იტყვის: ბასალიყი გაიხსნას და ანუ ორთა მხართა შუა ქიქაა მოჰკიდლოს, და სიქანგუბინი და მჟაფისა ბროწეულისა წყალი იხმაროს. და ყოველისაგან უნჯობეთ ამის მანქისათვის ისრიმისა რუბი არს ესრე: კარგად წენიანი ისრიმი აილოს და დამარცვლოს და მუნანდე ადულოს რომელ ოთხისგან ერთი დარჩეს შაშინ ცეცხლისაგან ვარდაილოს და გააციოს, და თუ სწადდეს რომელ შაქარი გაპრიოს მუნამდე ადულოს რომელ ნახევრამდე მოიყაროს და ეგდესი რომელი იყოს თეთრი შაქარი გაპრიოს და კულა ნელად ადულოს, რომელ შაქარი შიგან გადხეს და თაფლისაებრ შეიქნას და ქვევრსა წაშლიანსა შიგან ჩადვას და ოდესცა უხდეს იხმარებდეს. და ვარიასა თუთუბითა ქამდეს.

20 ვითარებაა დია ნერწყვისა რაა სიგრილისგან იყოს. მუჰამედ შაქარიასძე ეტყვის: ესე მანკი რაა სიგრილისგან იყოს ბალღმისა სიმრავლისაგან იქნების რომელ სტომაქსა შიგან წყვილ იყოს და მოერივნეს, და გრილისა საჭამადისა ქამისაგან.

ნიშანი მისი რაა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ზამთრის და ოდესცა ბალღამიანი ეჭამოს უფროა გამოჩნდეს, და ნერწყვაა უსჭესი იყოს რომელ სიციხისა ეამსა უფრო იყოს პირსა შიგან.

კურნებაა მისი რაა სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: ბალღამი რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ცერეცრასა წყლითა არწყიოს რომელ მარილი ერთოს, და თუ არ გარდვიდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ იარაა ფეყირაასი იხმაროს, რომელ მანქისა დედისაგან სტომაქი გაწმდეს, ვითარებაა მისი: ზაფრანაა და მასტაქი და ფაჩარი, და ბალასნისა მარცხალი და შეშაა მისი, და ასარონი და სალიხაა და კილაშონი თვითთაგან ნაწილი ერთი, საბრეორის ოდენი ყოველთა წაშალთა, ყოველი დანაყოს და გაცრას და შეინახოს და ორისა დრამისა წონი ხამსა თაფლსა თანა გაპრიოს და იხმაროს, რომელ ბალღმისგან გაწმდეს სტომაქისაგან და შაშინ გულანგუბინი და თრიაყი ანუ მაჯუნი მათრედიტოსისაა ქაშოს, და საჭამადსა ტრედისა ხუნდსა შემწვარსა ქამდეს ანუ ჩიტიაა ხორცსა კალითა, და მიწყით მასტაქესა ცოხნიდეს და ჰნერწყვიდეს, და თუ ძველსა ღვინოასა სმიდეს კარგი არს.

მადაინი იტყვის: არწყიოს რომელ სტომაქი მანქისა დედისგან გაწმდეს და ძირაასა გვარიშნი იხმაროს ესრე: ძირაა ქირმანული რომელ ერთსა ღდესა და ღამესა ძმარსა შიგან დაშალი იყოს და ჩრდილითა გაახმოს, და ერთი ლიტრა შავი პილპილი<sup>1)</sup>, მალილაა უკია ერთა, ყველა დანაყილი და გაცრილი სამითა ესდენითა რომელ ყველაა წამალი იყოს თაფლითა შეზილოს და ხმარებისა ეამსა იხმაროს, და ზოგთა აქიმთა სალიხა და კილაშონი და პილპილი და ბალასნისა მარცხალი და მასტაქი და ფაჩარი თვითთაგან ოთხისა დრამისა წონი მეტი გაურევია ამას გეაროშნსა შინა, რომელ უფრო ძლიერად იყოს და საქმე ქნას.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ხეშოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



ვითარებად მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. ფოლის იტყვის: ესე მანქა მიზეჯისა დაშავებისაგან იქნების სიმბურვალისა ანუ სიგრილისა ეამსა, ანუ მხურვალთა წამალთაგან და დია საჭამადი რომელ ეჭამოს, ანუ სისხლისა სიმრავლისაგან, რომელ შორეულ იყოს მისდა და ეტკინოს ღვიძლი ვითარებათა მათთა რომელ ვთქვით.

ნიშანი მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, რაჲცა მიზეჯისა დაშავებისაგან იყოს რომელ სწყუროდეს და მუცელი შეკვრით და მაგრად<sup>1)</sup> ღბილად იყოს და საჭამადი არ მოუნდებოდეს, და რაჲცა მხურვალთა საჭამადთა და წამალთაგან იყოს, იგი არს, რომელ რაჲ სიმბურვალე ქამოს გაუძნელდეს და რაჲცა სისხლისგან იყოს მაჯისი სავსე იყოს.

10 კურნებაჲ მისი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. ფოლის იტყვის: რაჲცა გასარევისა დაშავებისგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილისა წყალსა სმიდეს, და კიტრისა წყალი, და აყიროჲსა წყალი, და არდისა წყალი და სადაგი სიქანგუბინი, და ძაღლის ყურძნისა წყალი რაჲცა ჰპოოს სიქანგუბინითა იხმაროს, და მიწყით ვარდი და სანდალი და ქაფური მას ღვიძლსა შემოსდებდეს. და მკავესა ნურასა ქამს, და ძმრითა შექნილი თევზი და ცივი წყალი იხმაროს და ღვინოჲსა ნუ სჭამს. და კურნებაჲ მისი რაჲცა მხურვალთა საჭამადთაგან იყოს იგი არს, რომელ მკავე ბროწყული ქამოს რომელ ხასიათითა დია ერგების. და არდისა წყალი და ძაღლის ყურძნისა წყალი აღულოს და სამი უკია სიქანგუბინითა იხმაროს, და კოწოხურისა ყურსი დია ერგების, და საჭამადთა თანა მუხაფარი და 20 ზეთი შაჰნარითა ბროწყულითა და ნუშისა ზეთი იხმაროს, და მკავე ბროწყული და ბეჭე და ტუტაჲ და ტყემალი მას დია ერგების. და არდისა წყალი ყოველთა ღვიძლის ტკივილთა ერგების.


30 მუნაჲ იტყვის: უფარესი ღვიძლის ტკივილი იგი არს, რომელ სისხლისგან იყოს მით რომელ სნეულსა დიდთა მანკთა შიგან ჩაადგებს და ყოველი ფათერაკი მისგან იქნების, ნიშანი მისი იგი არს, რომელ ცბროჲცა იყოს და გვერდი სტკივოდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას მარჯვნითკე, და მაშინ ეგეთთა რასმე ქამდეს რომელ ღვიძლსა განაძლიერებდეს, და ტყემლისა შარაბითა მუცელი დაიღბოს. და თუ მუცელი ღბილად იყოს ბროწყული მკავე და ტკბილი ქამოს და სიქანგუბინი. და თუ სნეული უსუსურად იყოს ვარია ქამოს თუთუბითა შექნილი. და თუ სანდალი და ვარდისა წყალი და 40 ქაფური ერთგან გავალოს და ღვიძლსა შემოსდევს ერგების. და სიმბურვალეთა ერიდოს და ძმარსა და ზეთსა ქამდეს. და თავი ფრთხილად შეინახოს ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

ღვიძლისა ტკივილი რომელ სიგრილისაგან იყოს. ვითარებაჲ მისი. იოჰანაჲ იტყვის: ღვიძლისა უსუსურობისაგან იქნების ანუ სინედლისაგან, რომელ მიზეჯი შეეშალოს ანუ სქელთა ქართაგან იქნების რომელ ქვეშეთ მიხედეს, ანუ გრილთა საჭამადთა და გრილთა წამალთაგან, რომელ დია ეხმაროს.

ნიშანი მისი რაჲცა სიგრილისაგან იყოს. რაჲცა ღვიძლისა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ კაცი მტლედ იყოს და საჭამადი არ მოუნდებოდეს. და რაჲცა მიზეჯისა შემლისგან იყოს იგი არს რომელ ღბილად იყოს და რასაც ქამდეს არ შეერგებოდეს. და რაჲცა გრილთა წამალთა და საჭამადთაგან იყოს იგი არს, რომელ გრილსა 40 საჭამადისგან ასტკივდების.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იოჰანაჲ იტყვის: რაჲცა ღვიძლისა უსუსურობისაგან იყოს იგი არს, რომელ ღვიძლსა ზედა დამკერელი შემოსადებელი შემოსდევან ვითა სული<sup>2)</sup> და მასთაქი და თეთრი საკმელი და ნაძვისა ნიგოზი და სიქი და მუშვი და

1) ეს სიტყვა სტრაქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ზელით.  
2) აქ სიტყვაჲ გამოტოვებული და აწიხეზ მხედრული ზელით სწერია „სული თოფალანი“.



ძველი ღვინო და მადოსანი. და რააცა მზურვალი და შემკრველი და დამკრველი იყოს იხმაროს ამით წაწალთა მსგავსი ვითარებაა მისი: მასთაქი და სუდი და აღხარისა წყაღველი და ნიხუ რისა თესლი და ნახევაჰი თვითოასგან დრაჰკნირა წონი, თეთრი საკელი ორი მითყალი, ფაჩარი მითყალისა ნახევაჰი, ყოველი დანაყონ და სანისა დრამისა წონი ძველსა ღვინოსა თანა შესრეს, ანუ ძირთა წყლითა შესრეს, და საქამიდასა აღარდნისა ურწყოსთა ჰამდეს რომელ მზურვალთა სანელეზლითა შექმნილ იყოს და უზმამან ჩამიჩი ჰამოს და ცოხნადეს. და კურნებაა მისი რააცა მიზეჯისა შეშლისგან იყოს იგი არს, რომელ რააცა ღვიძლისა ერგებოდეს მას ჰამდეს ვითა ჰიტნისა გვარიშნსა და გაზრდილსა ზანჯაბლისა, და ძველისა ღვინოსა და კალიისა ნატიფითა სანელეზლითა. და თუ სოდი და სუნბული და აღხარი და ყუსტი

10 სურნელისა და მკერელსა ღვინოსა გაპროს და ღვიძლსა ზედა შემოსდეს კარგი არს და რააცა სქელთა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ გვერდითვე სიმაიენე გჭარი გამოჩნდეს და პურქმულსა ღვიძლი ასტკავდეს, და რაა შეზილოს ტკივილი დათუშოს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ ცოტაა ღვინო წყალ გაურეველი სქეს და წყალსა ცოტასა სმიდეს და თუ სმიდეს ღვინითა სმიდეს. და სინედლისა ჰამასა ერიდოს, და გამთბართა ჩეართა ღვიძლსა შემოსდებდეს, და უზმაა აბანოს მივიდეს. და კურნებაა მისი რააცა გრილთა საქამათაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ვარდის ყურსი ძირთა წყლითა იხმაროს და თავი ფრთხილად შეინახოს დია ერგენის.

რღ. კურნებაა ღვიძლისა სიმსივნისა რაა სიმსუარვალისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: თუ ღვიძლისა სიმაიენე სისპლისაგან იყოს კურნებაა მისი იგი 20 არს, რომელ მარჯვნითვე ბასალიქი გაიხსნას და ქრთილისა წყალი გაცივებული სჭას, და სიქანგუბინი შაქრის წყლითა გაცივებულითა სქეს, და აყიროასა წყალი და კატკატოასა თესლისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს. და თუ სიმაიენე ზურგსა ზედა არ იყოს და შიგნით იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ საქამადი არ მოუნდებოდეს და ერცხოდეს, და ზაჟრასა არწყევდეს, და მუცელი შეკრვით იყოს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს არ ძლიერთა წაშლითა, არდის წყლითა ხიარშამბრისა ფოლოსი იხმაროს, და ბაზრაცატუნისა ლუბი ნილოფრისა შარაბითა შესრეს ანუ ლბილი ჰყყანაა უყოს. და თუ სიმსიენე ღვიძლისა ზურგსა ზედა იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ცხველდეს და სულსა არ დია ჰკვეთდეს.

კურნებაა მისი. იგი არს, რომელ ორთავე კიტრთა თესლი და აყიროასა თესლი და 30 ქერქ შეხდილი ნესვის თესლი ამათი წყალი დაიქიროს და სქეს და მაშინ ყველისა წყალი ვითაცა დელაპორტისა სიქანგუბინითა შესრეს. და თუ მუცელი დაღბეს ბეჟესა რუბი ანუ ვაშლისა რუბი ჰამოს და თუ სინხურვალე დია იყოს ქაფურისა ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს. და სანდალი, ქაფური და ძაღლის ყურძენი და მეშმაპართა წყალი და ვარდის წყალი ერთგან გაგალოს და მანქისა ადგილსა იცხებდეს, რომელ ვაგრილდეს. და რაა მანქი მოაკლდეს ისრიმისა ურწყოსა ჰამოს და ზეარტსა და არდსა იხმარებდეს და მაშინ ვარია ჰამოს ისრიმითა. და რააცა ზაჟრისგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილისა წყალი და მეავისა ბროწყელისა წყალი და კატკატოასა თესლისა წყალი სიქანგუბინითა სქეს, და თუ მუცელი შაყვრით იყოს თამრი მინდრისა წყალი ჯულაბითა სქეს, ანუ არდისა წყალი სიქანგუბინითა რომელ მუცელი დაღბეს, და კოწობურისა ყურსი უზმამან ჰამოს და სანდალსა და ვარდის წყალსა ღვიძლსა 40 სა ზედა სცხებოდეს<sup>1)</sup>.

კურნებაა ღვიძლისა სიმსივნისა რაა სიგრილისგან იყოს. არხიჯანის იტყვის: რააცა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ უზმამან ძველი გულანგუბინი ჰამოს, და აღვაა და მასტაქე წყლითა შეაბგოს და წყალსა მისსა სმიდეს დია ერგების. და უზმამან ცოტაა ღვინოა წყალგაურეველი სქეს, და საქამიდასა მუხუდის წვენსა ჰამდეს.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდა არის ჩამატებული დედნის ზედათ.



და რაჲ მანკი დაელოოს ღურაჯისა ხორცი კილაშინითა და ძირაჲთა შემგებარი იხმაროს. და თუ სიშისიენე სასეელოასა ვასარეველისაგან ქმნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ დაჰმართაჲ და დელაშოტისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს და საჭამადსა შორაბასა ჰამდეს რომელ თიჰოასა ხორციითა შექმნილ იყოს. და ესე წამალი იხმაროს ვითარებაჲ მისი: აფთიმონი და ბასბასაჲ ჰინდოლური თვითოასგან მითყალი ერთი, ღარყონი დანმისა წონი, ჰინდური მარილი და ასტოხოდოსი და ლაჯავარდი თვითოასაგან ოთხისა ღარგისა წონი, ყველაჲ დანაყილი წყლითა შეზილოს და ხუთისა დრამისა წონი იხმაროს, და თუ სუფუფსა ჰამდეს სამისა დრამისა წონი მისგან კმა არს.

10 მასარჯოაჲ იტყვის: რაჲცა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ თანასფაჲ იხმაროს და მუყლისა ყურსი ესრე ჰამოს: ვარდი წითელი დრამისა წონი, ფაჩარი ორისა დრამისა წონი, ზაფრანაჲ და მური თვითოასგან დრამისა წონი, ყუსტი და მწარე ნუში თვითოასგან დრამისა წონი და ნახევარი, მასტაქი ორი დანგი, მუყლი სამისა დრამისა წონი, ღვინითა დაიღბოს და სხვაჲ წამალი მით შეზილოს და ყურსად შექნას თვითოჲ კვერი სამისა დრამისა წონი, და თვითოასა კერსა იხმარებდეს ვარდის წყლითა. და თუ მანკი გლუსუნისა ბალღმისაგან იყოს აფსანთინი და ლაქი და რევანდი, და რევანდისა ყურსი და მწარისა ნუშისა ყურსი იხმაროს. და თურქისისა ფქვილი და ვაჯი და ჯუდაჲ და ნიახურისა თესლი და ფაჩარი და ნუში თვითოასგან ნაწილი ერთი წყლითა შეზილოს, და ღვიძლსა შენოსდვას.

20 კლდ. ღვიძლისა სიმსივნე რომელ შეკრულობისგან ძმნილ იყოს.) ვითარებაჲ მისი რაჲ სქელისა ბალღმისგან ქმნილ იყოს. მასოჲასძე იტყვის: ესე მანკი ვასარეველისაგან იქნების, რომელ ღვიძლისა შიგან შეყრილ იყოს და მოერივნეს, და ღვიძლისა გზაჲ შეკრულ იყოს. ესე შეკრულობაჲ თვით ღვიძლისგან იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სქელისა ბალღმისგან ქმნილ იყოს. იგი არს, რომელ მარჯენით გვერდი შიგნით სტკიოდეს არა, და მძიმედ იყოს, და ანუ ცბროჲ იყოს და საჭამადსა არ მოინდომებდეს, და მუცელი ღბილად იყოს და ფსელი ღია თეთრი იყოს.

კურნობაჲ მისი რაჲ სქელისა ბალღმისგან იყოს. მასოჲასძე იტყვის: ზამს აქივისგან რომელ შეიგნეს თუ მანკისა ვითარებაჲ რომლისა ხილტისგან არს, და შეკრულობაჲ ღვიძლისა ზურგისაკე არს და შიგნით კერძოჲ მისით, მით რომელ თუ შეკრულობაჲ ღვიძლისა ზურგსა კერძოჲთ იყოს ფსელი თხელი იქნების, და თუ შეკრულობაჲ 30 და მანკი ღვიძლისა შიგნით იყოს განავალი ცოტაჲ იქნების, და თუ შეკრულობაჲ და მანკი მისთა ძარღვთა შიგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ღვიძლი სუსტად სტკივოდეს. და თუ მანკისა დედაჲ ბალღმისა გლუსუნისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ უზმამან გულანგუბინი ჰამოს, და უხვაჲ აზანოას მივიდეს. და თუ შეკრულობაჲ და მანკი ღვიძლისა ზურგსა შიგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნიახურისა და ანისონისა თესლი ჰამოს. და თუ მანკი არ გარდვიდეს აფსანთინისა ყურსი სიქანგუბინითა ჰამოს.

40 მუჰამედ ზაქარიასძე [იტყვის]: ვითა სიქანგუბინი არდისა წყლითა იხმაროს რაჲ მანკი სიმბურვალისა ნიშნითა იყოს. და სიმბურვალისა ნიშანი თუ არა ჰქონდეს და სქელისა გლუსუნისა ბალღმისაგან იყოს ქურქუმდარვი დიდი ჰამოს, და ძირთა წყალი. და მძიმე და გულსუნთა საჭამათა ერიდოს ვითა ფალუდავი, ასიდაჲ და ხშიადი პური და ყველი, და გამსხნელთა და გამაუზინარებელთა ჰამდეს ვითა ქრთლისა წყალი, და ბაკილასა წყალი, და მუხუდისა წყალი. და თუ კაპრისა ძირისა ქერქი და ბადიანისა ძირი და ნიახურისა ძირი და მასთაქი და ანისონი და ულბოჲ და სალიხაჲ და ჩამიჩი უგურკოჲ ყველაჲ შეაბგოს და დაწუროს, და ანსოლითა სიქანგუბინითა ჰამოს, და ლეღვი რომელ ნუშის გულითა

1) ამ გვერდის ბოლო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „ღბ“ და შემდეგი გვერდის ხეშო აშიაზე „ღბ“.

შეგებად იყოს მრავალჯერ ჭამოს, და ბალღმიანთა ერთდოს და მხურვალთა საქმელთა მი-  
ვლტოდეს.

ვითარებაა ღვიძლთა სიმსიენისა რომელ გზათა შეკრულობის-  
გან იყოს, რაჲ სევდისგან იყოს. მასარჯოა იტყვის: შეკრულობაა გზა-  
თა მისთა რომელ სასევდოასა გასარეველისაგან იყოს მისგან იქნების, რომელ დაეწვარი  
სევდაა შიგან შეყრილიყოს და მოერიგნეს და გზაა შეუკრას.

ნიშანი მისი რაჲ სევდისგან იყოს. იგი არს, რომელ მარჯვენა გვერდი  
სტკიოდეს წიბოათა ძბალთა ქვეშეთ, და იქნების რომელ ცოტად სწყუროდეს და მაჯასი  
მაგრად იყოს და ფსელი შეეფერი იყოს, და ცხროა არ ერთოს ყოლა.


10 კუბრნებაა მისი რაჲ სევდისგან იყოს. მასარჯოა იტყვის: თუ  
დამწვარისა სევდისაგან იყოს აუთომონისა მატბუხი იხმაროს, და ეგეთი რაჲმე იხმაროს  
რომელ შეკრულობასა გახსნიდეს ვითა სიქანგუბინი, რომელ შიგან არდისა თესლი და თა-  
მრი ჰინდოფური იყოს, და კოწოხურისა ყურსი სიქანგუბინითა და დელამოტისა წყლითა  
იხმაროს. და რაჲ მანკი დაელიოს ზირაბაჯისა ურწყოა ჭამოს და მაშინ ვარიოა ჭამოს შე-  
ხუდითა შექნილი. და თუ შეკრულობაა და მანკისა დედაა ღვიძლისა შიგნით იყოს აუთი-  
მონისა მატბუხი იხმაროს, და საჭამადისა ზირაბაჯისა ურწყოა ჭამდეს, ანუ თიჰოასა  
ხორცი ანუ დურაჯისა ხორცი, რომელ კალიად შექმნილ იყოს.

დეგჯანის იტყვის: თუ შეკრულობაა და მანკი ღვიძლისა ზურგსა შიგან იყოს  
აფსანთინისა ყურსითა და კოწოხურისა ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს, და მჟავეთა ერი-  
20 დოს, და პურჭამული ნუ იარების. და თუ მანკისა სათავნოა ღვიძლისა შიგნით იყოს კურ-  
ნებაა იგი არს, რომელ ღმბილითა ჰუყნითა მუცელი დაიღბოს და გვარიწნებთა ეგეთთა რო-  
მელ შეკრულობასა გახსნიდეს იხმარებდეს, ვითა ბანდადიყონისა გეარიშნი და ძირაასა გვ-  
არიშნი, და ბაბუნაა და აქლილალმალქი და ბრინჯასბი თვითოასაგან ხუთისა დრამისა წო-  
ნი, ნიახურისა თესლი და ნანხუაჰი თვითოასაგან სანისა დრამისა წონი, მწარე ნუში ოთხისა  
დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ბადიანისა წყლითა შეხილოს და რაჲ სტომაქი საჭამადისა-  
გან ცარიელი იყოს ესე წამალი ტკივილისა ადგილისა შეჰოსდეს. და მუხუდის წვენსა ჭამ-  
დეს რომელ ძირაათა და კილამონითა შექმნილ იყოს. და თუ მანკი ღვიძლისა შიგნით  
იყოს აუთომონისა მატბუხი იხმაროს, რომელ მანკისა დედაა გაწმიდოს და გახსნას  
შეკრვაა.

30 **ალმ. ისთისყა:** რომელსა ჰჰვიან ჰუცლისა განივებაა. ვითარებაა ზიყურისა ისთი-  
სყაასი. ჯალინოს იტყვის: გასივებაა ნუცლისა სამვერად იქნების და ხუთთა საქმეთა-  
გან იქნების, ერთი მისგან რომელ წყალი მუცელსა შიგან დია იყოს და მას ზიყი ჰქვიან, და  
ვითარებაა მისი მხურვალისა სიმსიენისაგან იქნების, რომელ ღვიძლსა შიგან იყო.

ნიშანი ისთისყაასი რომელ ზიყი იყოს. იგი არს, რომელ მხურვალნი  
ცხროა ერთოს და ფსელი წითელი იყოს, და სწყუროდეს და რაჲ მუცელისა ხელი დაჰკრან  
ხმაა მისი ეგრე იყოს რომელ წყლითა საესე კუბრიელისაა ხმაა, და შიგან წყალი იყოს.

40 კურნებაა ისთისყაა ზიყისაა. ჯალინოსი [იტყვის]: კუბრნებაა მისი  
ორფერად არს, პირველ ღვიძლისა სიმსიენისა და მეორე ისთისყაასი, ეგრე რომელ ერ-  
თხელ სიქანგუბინი და არდი ჭამოს რომელ ღვიძლისა სიმსიენისა ერგების, და კულა ეგე-  
თი რაჲმე ჭამოს რომელ ღვიძლისა სიმსიენისა ერგებოდეს, და მაშინ ეგეთთა რასმე ჭამ-  
დეს რომელ ყვითელსა წყალსა ამოიღებდეს და ღვიძლისა სიმხურვალესა დააწყნარებდეს  
ვითა ბაკილასა წყალი, და ჰალილასა ნაყი და კოწოხურისა ყურსი და მსგზავსი მისი, და  
ისტისყაა ზიყი რომელ სიმხურვალით არ იყოს ქურქუმდარგი დიდი და მშირიონისა მახუ-  
ნი მას ერგების, და თხის კორკლი რომელ ძტელი იყოს წყლითა დაასოვლოს და მუცელსა შესც-  
ხოს კარგი არს, და თუ ზაფხული იყოს ცხელსა ქვიშაასა შიგან ჩაწვებოდეს, და მუცელსა  
ცხელსა ქვიშაასა ზედა დასდებდეს.



დევჯანის იტყვის: თუ ესე მანკი მის გნით იყოს რომელ მიზეზი ჰქვად გაგრილებულ იყოს, სიქანგუბინი თესლთაჲ და ძელი გვილანგუბინი იხმაროს, და თუ მუცელსა შიგან წყალი დიად იყოს სიქანგუბინაჲ ჰაბი და იარაჲ ფეყირაჲ ჭამოს, რომელ ყვითელი წყალი გაიდნოს. და ქაქნაჲსა წყალი <sup>1)</sup> ქაქსირაჲსა წყალი ნახევარი ლიტრაჲ და ორთაგანეცე შაქრითა იხმაროს<sup>2)</sup>, მეტად შემგებრითა ღვინითა, ანუ ბროწეულისა წყლითა რომელ შიგან ანისონი და ნიაბურისა თესლი და მასტაქე შემგებარ<sup>3)</sup> იყოს. და რაჲ წყალი ნუცლისაგან გამოვიდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ქრთილისა ფევილი და სუდი, და თხის კორკლი და ზროხის სკორე, და ბავრუკი ყველა დანაყოს და წყლითა შეხილოს და მუცელსა შენოსდეს. და საქანაღსა ქვისა მჭამლისა<sup>4)</sup> ხორცსა ჭამდეს ანუ თიჰოღსასა ანუ ჩიტისასა აბეკმაქითა,   
 10 და ბადიანისა თესლითა და ნიაბურისა თესლითა, და ძირაფთა და ქინძითა და ჩამაჩითა რომელ შემქნილ იყოს ჭამოს. და თუ ყვითლისა წყლისაგან მუცელსა შიგან რაჲმე დარჩომილ იყოს მრავალქერითა გაუშვას.

ტაბლისა ისთისყაჲსა ვითარებაჲ. არბიასიოს იტყვის: ესე მანკი მავრისა სიშვიწისაგან იქნების რომელ ღვიძლსა შიგან იყოს, ღვიძლისა სიგრილისაგან იქნების და ესეთი უმჯობესი არს ისთისყაჲსა ლაჰმისასა მრავლითა საქმითა.

ნიშანი ისთისყაჲსა ტაბლისა. იგი არს, რომელ თანა ცხროჲ და სიმშურვალე არ იყოს და ფსელი წითელი არ იყოს, და რაჲ ხელი მანკისა ადგილსა შემოჰკრან ხმა მისი ტაბლისასა ჰგვანდეს ვითამცა დუნაბულისა ხმასა, არაბულად ტაბლი ჰქვიან დუნბულსა, და შიგან ქარი იყოს, და ამისთვის მას ისთისყაჲ დუნბულური ჰქვიან.

20 კურნებაჲ ისთისყაჲსი ტაბლისაჲ. არბიასიოს იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ იგი არს, რომელ ქურქუმდარგი და ლუქისა მაჯუნი და ყუსტისა მაჯუნი იხმაროს მას უკანის<sup>5)</sup> რომელ მუცელი დაეღბოს მაზირონისა ფურკლითა და როისოხითა. და ფარფიონი და კიტრისა აფშარაჲ, და ყვითელი ჰალილაჲ, და კისფერისა სოჰანისა ძირი და გომიზი, სნეულისა ძალისა მისაფერად და ნანკისა საზონსა მისაფერთა. და მაშინ ეგეთთა წამალთა ჭამდეს რომელ ფსელსა გაიდუნდეს. და თუ კვირასა შიგან ერთი შარბათი ქალქაღანაჲ სუჲს კარგი არს. ქურქუმდარგისა დიდსა უკანის ბადიანისა მიტბუნი და ნიაბურისა თესლი წყლითა ჭამოს. და თუ საქმე გაძნელდეს მიუშვას კულა ეამამდე და მაშინ იხმაროს.

30 ისაკ იტყვის: თუ ამას მანკისა თანა ფსელი წითლად იყოს აროდეს იჯობინებს, და თუ ბუნებაჲ შეკრვით იყოს რევანდისა ჰაბი იხმაროს, და ყაყულაჲსა წყალი და ბადიანისა წყალი სიქანგუბინითა, და ძირისა წყალსა და რევანდისა ყურსსა თანა იხმაროს ერგების. და უხმაჲ იარებოდეს კარგი არს. და ცოტაჲსა ჭამდეს და ბეჰესა შარაბი და კოწოხური უხმამან იხმაროს. და თუ ძალი არა ჰქონდეს ქათამი მუზაფარითა ჭამოს და პური ქაქისი.

მესია იტყვის: რაჲცა ღვიძლისა სიმშურვალისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ჰალვის ყვითლის მატბუათითა, და ქაქსირისა წყლითა, რომელ მისგნით ათი უქია იხმაროს, და შაჰთარაჲსა წყალი და ტარჰაშეჟუისა წყალი ესდენსავე ოშნანისა წყალსა გაპრიოს და მრავალჯერ შესუჲს, ერთმანეთისა უკან. და შირიონისა მაჯუნი რომელ ხასიათითა ამას მანკსა ერგების. და ქარიანსა და უდნობსა სიქამაღსა ერიდოს, და ხილსა ყოლა ნუ ჭამს. და ტეგნაჲსა მაჯუნი ამას მანკსა ხასიათითა დია ერგების, და საძესა და მაწონაჲ ერიდოს თუ რგებაჲ უნდეს.

1) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია ასომხედრულით „ილი“.  
 2) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია ასომხედრულით „ღვინის ბაქმაზი“.  
 3) ტექსტში :მ სიტყვაში ორი ასო „გბ“ განმეორებულია.  
 4) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია ასომხედრულით „ღურჯი“.  
 5) ამ გვერდის ქვემო აშიაზე ასომხედრულით სწერია „ხადრიანისა მაჯუნი დიდი“



**რღვ. ისთისუბა ლაჰამი და რააცა სიმხურვალესა შპანით იყო.**

თისყაასა ზორცისასა, მუ ჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ესე მანკი ღვთისმადგრილი საგან იქნების ანუ ბალდამურთა სინედლეთაგან, სინედლისა და სიგრილისა სიმრავლითა რომელ ღვიძლისა შიგან იყოს, და საზომისაგან გარდასრულ იყოს, და სისხლი ყოველთა ადვილთა ტანსა შიგან გაცივებულ იყოს.

ნიშანი ისთისყაასი ლაჰამისა იგი არს, რომელ ტანი დაბუყებით იყოს და ფხელი თეთრი იყოს. და რაა მუცლისა სიმსიენესა ზედა თითი დააქირო ჩადგეს ღრულ, და რაა ხელი აიღონ ზევე შემოჯდეს და გასწორდეს.

10 კურნებაა ისთისყაასი რაა ლაჰამი იყოს. ზაქარიასძე იტყვის: იგი არს, რომელ ქურქმდარგი ძირითა წყლითა იხმაროს, და რააცა ფსელსა გამოადენდეს ვითა წამალი ლაქისი და მსგავსი მას ერგების. და შაჰთრასა თაფლის წყლითა ქამდეს. და თუ არ გარდვიდეს და სნეულსა შეეძლოს მასალიყი გაუხსნას. და იგი გაცივებული სისხლი გამოუღოს, და საზომისა სნეულისა ძალისა ებრ ქნას რომელ ბუნებაური სიმხურვალე, რომელსა ჰქვიან ჰარაბაჰთი ლარიზი არ შეუშალოს, ეგრე რომელ ნედლი შეშაა რაა ცეცხლსა დაუტოო ცეცხლი დაავსოს.

20 ბაყრატი იტყვის: ლაჰამურისა ისთისყაასა შიგან ხელისა გახსნა მიწყით დიდი კურნებაა არს, ოდესცა ეამსა იყოს წელიწადისგან. და რუყევაა ამისა მანკისათვის საქებელი კურნებაა არს პირველსა და ბოლოსაცა. და თუ ფხელი წითელი არ იყოს ღვიძლისა სიმსიენესა ჰკურნოს ვითა ჰმართებდეს, და მაჯური ქალქალანაასი და მზირიონისა ფურცელი

30 მისარჯოა იტყვის: ისთისყაა ლაჰამისა უფარესი და უძნელესი არს ზიყასა და ტაბლისა, და არ ღია იკურნების, და უფროასი მაგით მოკვდებიან. და ეგრეცა კურნებაა მისი იგი არს, რომელ გუნდაა და ფარფარი, და სიქაბენაა და დიდისა ლაქისა მაჯური თანისიასი, და ქილაქალანაა ამათგან რააცა იყოს ქამოს ერგების. და აქლემისა სძე იმისითა ფსლითა შესტას ერგების. და საქამადსა ცოტაასა ქამდეს, და თუ ორასა დრამისა წონი სიქაბენაა აქლემისა რძითა სტას ერგების. და თუ ნატრონი და ზროხისა ცმელი და დრამინაა და ალაქი წმიდად დანაყოს და მუცელსა შემოსდვას კარგი არს. და თუ თხისა კორკლი და ზროხისა სკორე ერთგან გაჰრიოს და შენოსდვას კარგი არს, და მხურვალსა ქვიშისა ჯდეს.

30 ვითარებაა ისთისყაასი რომელ ცხროა ერთოს. ბაყრატი იტყვის: ფიცხელისა სნებისაგან იქნების და ფიცხელთა მხურვალეთა ცხროათაგან, და მორცენაა რომელ ღვიძლი დააუსუსტროს მეტისა სიგრილისაგან რომელ შიგან მიეყენოს, ამისითა გზითა საქამადსა სისხლად ვერ შეიქმს.

ნიშანი ისთისყაასი რომელ ცხროა ერთოს. იგი არს რომელ წყურვილი დია იყოს, და ფხელი წითელი იყოს, და ფიცხლად აცხროებდეს, და იქნების ესე მანკი უცხროოდ დია, და ვითარებაა მისი სიმხურვალისგან არს რომელ გაძლიერებულ იყოს.

40 კურნებაა ისთისყაასი, რომელ სიმხურვალესა უკანით ცხროა იყოს. ისთისყაა რომელ ცხროათა იყოს სიმხურვალესა ნურაას აქმევენ. მაგრა ძალის ყურძნითა და ქაქნაა და ნიახური, და ქაქსირი და გარცხილი ლაქი, და რეჟანდი და ზაფრანაა და ყვითელი ჰალილაა იყოფინოს, და მხურვალეთა წამალთა და მხურვალთა მაჯუნთა ერიდოს რომელ ცხროასა მომდებლნია და წყურვილსა უმატებენ, და ტანსა შიგნით გაახურებენ. და ისთისყაა რომელ ფიცხელ სნებათაგან იყოს უღვიძლისა სიმსიენოდ კურნებაა მისი არცა მხურვალე ეგების არცა გრილი ნით რომელ სიგრილე, ისთისყაასა გაამაგრებს და სიმხურვალე ცხროასა გაამნელებს. ღონე მისი იგი არს, რომელ წამალნი გაჰრიენენ რომელსა ჰქვიან მოლქაბი არაბულად და კურნებასა იცვლილებდეს, ერთხელ გრილი, ერთხელ მხურვალე, და ნახოს რომელსა მანკსა მორცენია მას უკან ჰკურნონ, და მასაცა მისდა შენად ჰკურნებდეს, და ამას ნუ მოისმენს რომელ იტყვიან ვითა ისთისყაასა ყოველი მხურვალე საქამადი უნდა.





ჯალინოს იტყვის: და მრავალთა სჭირთ ისთისყა სიმზურვალისგან და გრილითა კურნებითა ილხენს, და მრავალთა სჭირებთა სიგრილისაგან და მზურვალეთა ჰლხენია. და ესეც ცხადი საქმე არს რაჲ სიმზურვალე რევედეს, სიგრილითა უნდა კურნებაჲ უცილოდ გასწორდების, და იგი მანკი რომელ ისთისყაჲ მისგან გამოჩნდეს უამი ერთი იგი არს, რომელ აბანოჲჲ გამოვიდეს ანუ ცხელსა აბანოჲსა შიგან ექნას რაჲმე და მაშინ ცივი წყალი სჭას. მეორე გრძლად სილბოჲსგან იქნების ანუ დია სისხლისაგან რომელ ტანისგან გამოვიდეს, ანუ ელენთისა სიმსივნისაგან იქნების, ანუ მასგან იქნების რომელ ცოტაჲ წყალი მუცელსა შიგან გაიბეროს და ყოლაჲ ვერ გაიხსნას, და ამისი კურნებაჲ ძნელი არს.

10 **კლი. მვითელი და შავი ზარიჩი რომელსა ჰჰვინან არაგულად იარაჰანი.** ვითარებაჲ ყვითლისა ზარისაჲ. მასარჯოჲჲ იტყვის: ვითარებაჲ მისი ზაფრისა სიმეტისა და მორვენისაგან იქნების რომელ სრულიად ტანსა შიგან გაიპანტოს, ანუ ღვიძლისა სიმზურვალისგან ანუ ღვიძლისა სიმსივნისაგან, ანუ ღვიძლისა გზათა შეკრულობისგან იყოს, ანუ მკებნართა ზაჰრთაგან იქნების მზურვალთაგან.

ნიშანი ყვითლისა ზარიჩისაჲ ვითამცა იარაჰანისა, იგი არს რომელ თვალი და ყოველივე ტანი ყვითლად იყოს, და ფეელი წითელი იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა ღვიძლისა სიმზურვალისგან იყოს იგი არს, რომელ მიწკით ფერად ყვითელი იყოს. და სიმსივნისა ნიშანი იგი არს რომელ გვერდი სტკივოდეს.

კურნებაჲ იარაჰანისაჲ რომელ ყვითლად იყოს. მასარჯოჲჲ იტყვის. რაჲცა ზაფრისა მორვენისაგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილისა წყალი სჭას და სიქმნეუბინი რომელ ვარდის წყლითა და არდის თესლითა შექნილ იყოს იხმაროს, და მჟავისა და ტკიპილისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს, და ბროწეულისა და ტუტაჲსა შარაბი სჭას და ტყეჲლისა შარაბი მისათვის კარგი არს. და გარეცხილსა ქრთილისა ხალი შექრითა ჰამოს მეტად ზაფხულის, და ყოველსა სიმზურვალესა ერიდოს და დიაცსაერიდოს და სიმღვიძარისა და რაჲცა ზაფრასა მოუმატებდეს ერიდოს. და ძმარი და ზეთი და გრილი საქამადი ჰამოს, და მწვანელითა თანა ხავარტი და არდი და სატაცური ჰამოს. და ხილთაგან კიტრი და ატამი და მჟავე ვაშლი ერგებას. და კურნებაჲ მისი რაჲცა ღვიძლისა სიმზურვალისაგან იყოს იგი არს, რომელ რაჲცა ღვიძლსა გააგრილებდეს იხმაროს ვითა ქრთილისა წყალი მჟავისა ბროწეულისა წყლითა ცისკრისა უამსა იხმაროს. და რაიცა ღვიძლისა სიმზურვალისგან იყოს ზაფხულის ქრთილისა ხალი შექრითა ჰამოს და სიმზურვალეთა ერიდოს. და კურნებაჲ მისი რომელ სიმსივნისა და გზათა შეკრულობისა ღვიძლისა იყოს იგი არს, რომელ ვახსენეთ.

ისაჲ იტყვის: თუ ამას მანკისა თანა ცხროჲ იყოს არდის წყალი და ძქელის ყურძნისა წყალი და სიქანგუბინი და ქრთილისა წყალი სჭას და საჰამადსა კოწახურისა ურწყომასაჲჲჲ, რომელ აყიროჲთა და ასფანახითა შექნილ იყოს. და კიტრი და ხავარტი და ქინძი ნედლი ჰამოს და ვარდის წყალსა და ქაფურსა ღვიძლსა შემოსცხებდეს, და თუ რეჲნადი და ქაფურისა ყურსი ბროწეულისა შარაბსა და რეჲსისა შარაბსა თანა იხმაროს კარგი არს. და თუ უსელი წითელი იყოს და ბნელი და ძარღენი სისხლითა სავსე, ხელი გაიხსნას. თუ თვალთა სიყვითლე დარჩომილ იყოს ძმარსა ძქელსა უსუნებდეს და ვარდის წყალი ბროწეულისა წყლითა ანუ თუთუბისა წყლითა ჰაიწითოს ყვითელსა გარდაილებს და ერგების.

ვითარებაჲ შავისა იარაჰანისა და ზარიჩისაჲ. არხიჯანის იტყვის: ესე მანკი სევდისა მორვენისაგან იქნების და სიმეტითა მისითა, რომელ ყოველთა ასოთა შიგან დაიპანტოს ანუ ელენთისა ტკივილისაგან იქნების, რომელ გასივდეს და მოემატოს და სიმეტითა სევდაჲ არ დაუტოს.

ნიშანი შავისაა ზარირისაჲ. იგი არს, რომელ ასონი მისნი სიყვილითა შავ-  
თა ჰგვანდნენ და თვალთა თეთრი მღრუფ იყოს, და საქამადი არ მოუნდებოდეს, და ნიშანი  
მისი რომელ ელენთისგან იყოს იგი არს, რომელ ელნეთი მაგრად იყოს და გასივდეს და  
სტიკივოდეს დია.

კურნებაჲ ზარირისა რაჲ შავად იყოს: იგი არს, რომელ მასალიყი გაიხსნას  
მარცხენისა ხელისა და კიქაჲ ცეცხლითა ელნეთსა მოჰქიდოს, და აუთიმონი ჯულაბსა ში-  
გან დააღობოს და ჭამოს, რომელ სევდაჲ ტანისგან გაწმდეს. და ბასბასა დანაყოს და შაქ-  
რით შეაგბოს და იზმაროს. გაზრდილი კაპარი ძმრითა<sup>1)</sup> მას ერგებას. და სევდიანსა ყოველ  
სა ერიდებოდეს ვითა ოსპი და კალნაბი და ბადანჯანი. და თავსა ნუ აწყენს ნურასა საქმი-  
10 თა. და შურგაჲ ბატენისა ხორციითა და ზირაბაჯი შაქრითა ჭამოს, ერგების.

დევეჯანის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მასალიყი ანუ ისლეგი გა-  
იხსნას და სისხლი დია გაუშვას და მუცელი დაიღობოს. და აფთიმონისა მატბუხითა ანუ  
ხუთისა დრამისა აფთიმონი დანაყილი ორითა უკითა სიქანგუბინითა თბილითა წყლითა  
შესჭას. და თუ ცოტა ღარიყონი დანაყილი შიგან გაურთოს უძლიერესი არს. თუ ფარისია-  
ოშანი წყლითა შეაგბოს და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. და ჭაკუნტლისა წყალი  
და ქალის დედისა სძე თვალთა ჩაიწიოს რომელ სიყვილთუ გარდაიღოს.

თებით ყურაჲ იტყვის: მასალიყი გაიხსნას მარცხენის ხელის და მალილასა  
მატბუხითა მუცელი დაიღობოს. და თუ მანკი ძლიერად იყოს უკითა ერთი ნიახურისა ძირი და  
ბადიანი, და შავი ზარბაყი, ასყოლოყნდრინი და კაპარი და აუთიმონი თეთრომასგან ხუთი-  
20 თისა და დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი მალილასი მატბუხითა იხმაროს,  
და აქლემისა სძე დელამოტისა წყლითა და სიქარგუბინითა და თესლებითა იხმაროს, ერ-  
გების, და საქამადსა თიქნის ხორცსა რომელ ძმრითა შექნილ იყოს ჭამდეს. და კურნებაჲ  
მისი რომე ელნეთისა გასივებისგან იყოს იგი არს, რომელ ისლეგისა ძარღვი გაიხსნას და  
დელამოტისა წყალსა და სიქანგუბინისა იხმარებდეს. და თუ მანკი ძლიერად იყოს აფთიმო-  
ნისა მატბუხი იხმაროს.

#### კლმ. ელნეთისა ტიპილი რომელ სიმხურვალისგან იყოს.

ჰუნაჲ იტყვის: ესე მანკი ჰავითა სიმხურვალეთაგან იქნების, რომელ ელნეთისა  
დია მორეულ იყოს. ჰავითა ნხურვალთა საქამადთაგან, რომელ ეჭამოს. ანუ მისისა უსუ-  
სურობისგან იქნების რომელ უსუსურობით სევდასა ვერ შეიწყნარებდეს, და სევდისა სახ-  
30 ლი იგი არს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ საქამადი არ  
მოუნდებოდეს და დია სწყუროდეს, და თვალთა თეთრი დაბნელებულ იყოს. და რაჲცა მისი-  
სა უსუსურობისაგან იყოს იგი არს, რომელ კაცი ფერად გაჰავდეს და პირისა ყერიცა.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის<sup>2)</sup>:  
ამის მანკისა კურნებაჲ რაჲ ჰავითა სიმხურვალეთაგან იყოს იგი არს, რომელ ისლეგისა  
ძარღვი მარცხენისაჲ გაიხსნას და თუ შეეძლოს მუცელი დაიღობოს მალილასა მატბუხითა,  
და სიქანგუბინისა სმიდეს და მუცელი<sup>3)</sup> მეჯისა და ტუბილისა<sup>4)</sup> ბროწყელისა წყალსა იხმა-  
რებდეს. და არდისა წყალსა ერთგან სმიდეს. და თუ სიმხურვალე დია იყოს ტაბაშირისა  
ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს და კატკატოჲსა თესლი დანაყილი შაქრითა ჭამოს. და თუ

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

2) ტექსტში ამ სიტყვის მაგიერად სწერია ერთი ასო „ა“.

3) ეს სიტყვა შეცდომით არის ჩართული გადამწერის მიერ.

4) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



შეკერით იყოს ტყემლისა წყალი და თამრიპინდისა წყალი ჯულაბად შესწას რომელ მუცელ-  
ლი დაღბეს, და საჭამადსა ზირაბაჯსა ჰამასა არა უჯობს.

ჯალიონოს იტყვის: თუ ფსელი წითლად იყოს მარცხნით ისლემი გაინსნას, და ისლემი იგი ძარღვი არს რომელ ორთა თითსა შუა არს. და მაშინ არღისა წყალი სწას და რევანდისა ყურსი და კოწოზური იხმაროს. და არღისა თესლი და კატკატოხსა თესლი და ფანჯანგუშთისა თესლი და ხველი აყიროდ თვითოხსგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი შეავითა სიქანგუბინითა ორი მითყალი ჰამოს. და ტევანი ძმრითა აღულოს და ცოტა ნაბადი მაგით დაასოვლოს და ელნეთსა შემოსდვას. და მიწყით სიქანგუბინსა სმიდეს და კარგსა პურსა ძმრითა ზრდიდეს ეგრე ჰამდეს, და თუ უკიაჲ ერთი მარბანისა წყალი სწას

10 დია კარგი არს.

ისაკ იტყვის: რაჲცა ელნეთისა უსუსურობისაგან იყოს იგი არს, რომელ ჰიქაჲ მოჰკიდოს ელნეთსა და მოსწოროს და დაშაწროს, და ეგეთი შემოსადებელი შემოსდვას რომელ ელნეთსა გააძლიებდეს, და მიწყით ხელითა იხელდეს, და სიარულითა აწყენდეს, და ესე შემოსადებელი შემოსდვას, ტევანსა ფურცელი თორმეტისა დრამისა წონი, მწარე ნუში სამისა დრამისა წონი, ორივე ძმრითა გაგალოს და ელნეთსა შემოსდვას.

ვითარებჲაჲ ელნეთისა ტკივილისა რაჲ სიგრილისგან იყოს. მასაჯოჲა იტყვის: გრილთა საჭამადთაგან იქნების რომელ დია ეკამოს და მაშინ<sup>1)</sup> ბუნებჲაჲ მისი ჰავად გავგრილოს, ანუ ქარისგან იქნების რომელ ელნეთსა ქვეშეთ შექნების და იგი ატკივნებს ელნეთსა.

20 ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ სწყუროდეს და ნერწყუფვასა ცივსა ამოიღებდეს, და ნიშანი მისი რაჲცა ქარისგან იყოს იგი არს, რომელ სიმსიენე ღბილი იყოს, და რაჲ თითთა შემოაჭირონ ამოყინებდეს, და მუცელი შიგან ქუხილისაებრ უყურყურებდეს.

კურნებჲაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს, იგი არს, რომელს ესე მანკი გრილისა ჰავისა გასაგრეველისაგან იქნების, კურნებჲაჲ იგი არს, რომელ ძველი გულანგუბინი სიქანგუბინითა იხმაროს, და ლეღვი რომელ ძმარსა შიგან დებულ იყოს უზმამან ჰამოს, და საჭამადსა ბატკნისა ხორცსა ჰამდეს რომელ მშურვალითა სანგლებლითა შექნილ იყოს.

30 ბაყრატი იტყვის: თუ ელნეთისა ტკივილსა თანა ფსელი წითელი იყოს, კაპრისა ყურსი რომელ ფანჯანგუშთისა თესლისა, ორთავე კიტრთა თესლისგან, და შობილისა, და გაზმანგვისაგან ქნალ იყოს, სიქანგუბინითა და ბადიანსა წყლითა იხმარებდეს, და ცოტაჲ თეთრი ნაბადი მარილწყლითა და ძმრითა და ღვინითა დაასოვლოს და გაატვოს და ელნეთსა შემოსდვას ერგების. და აღუღებულსა წყალსა სმიდეს, და რაჲ პური ეკამოს ყოლაჲ ნუ იარების რომელ ევენების.

40 ისაკ იტყვის: ელნეთი რაჲ გამაგრდეს რაჲ კაცი წყნარათ იყოს ასტკივდეს, და რაჲ იაროს ტკივილი დაუშვებდეს; კურნებჲაჲ მისი იგი არს, რომელ ფანჯანგუშთი ძმრითა და თაფლითა გაზარდოს და მას ჰამდეს რომელ ელნეთი დაამცროს და მიწყით იხელდეს, და ჰიქაჲ ცეცხლითა მოჰკიდოს, და პიტნაჲ და ტევანაჲ ძმრითა აღულოს და ნაბადი მით დაასოვლოს და ელნეთსა შემოსდებდეს ერგების, და კურნებჲაჲ მისი რაჲცა ქარისგან იყოს იგი არს, რომელ ჰიქაჲ ცეცხლითა მოჰკიდოს და კარგად მოწოროს ერგების. და ძმარსა და თაფლსა ელნეთსა ზედა იცხებდეს და სიქანგუბინსა, და ჰამდესცა ძმარსა და სიქანგუბინსა უზნაჲ დია ერგების. და ნიახურისა ძირისა ქერქი და ფანჯანგუშთი და ვაჯი სიქანგუბინითა ანსოლითა ანუ ძმრითა ჰამოს ერგების.

რღთ. სიმხივემ ვლნეთისა სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისგან. ვითარებჲაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასოჲას ძე იტყვის: ელნეთისა სიმსიენე უფროჲსი მშურვალითა ცხროჲთაგან იქნების და ელნეთი გამაგრდების, და ეგების რომელ ცხროჲ ორფერად

1) ამ გვერდის დასასრულს აშინაჲ სწერია დედნის ზელით „ღბ“.



იყოს ანუ სისხლისა სიმეტისაგან ანუ ზაფრისა სიფიცხისაგან იყოს რომელ ტემპინდეს და ელნეთი გაასივოს ეგრე.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲ ხელი ზედა შემოსდეს სიმსივნე ჩნდეს და ხურვიდეს და სიმძინე და ტკივილიცა იყოს, დია, და დია სწყუროდეს და იქნების რომელ აცხრობდეს, და მაკასი სნეულისა სისხლითა სავსე იყოს.<sup>1)</sup>

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალითა ქნილ იყოს. მანკისა დასაწყისსა კურნებაჲ იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და თუ სნეულსა შეეძლოს ისლემი ძარღვიცა გაიხსნას და სიქანგუბინი შაქრისა არდის წყლითა იხმაროს. და თუ სამისა დრამისა წონა მკედელთა წყალი ძმარისა გაპრიოს კარგი არს. და სიგანგუბინისა სმიდეს რომელ ვაზმაზ-

10 ვითა და არდისა თესლითა და ფანჯანგუშითა შექნილ იყოს უზნოჲ იხმარებოდეს. და ცხარითა ძმრითა ნაბადი დაასოვლოს და ელნეთსა შემოსდვას.

კურნებაჲ<sup>2)</sup> მისი. იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს შაბთარაჲსა მატბუხითა და იარაჲ ფეყირაჲ და ღარიყონითა, და თუ ნონიჯისა წყალი სჭას ერთითა მუთყლითა ღარიყონითა დია კარგი ხასიათი აქვს, და თუ მუთყალი ერთი ღარიყონი ოცისა დრამისა წონითა უზანისა სიქანგუბინსა თანა იხმაროს კარგი არს, გასწმენდს ელნეთსა, და მაშინ ძალღის ყურძნისა წყალი იხმაროს. და თუ შაჰვაზისა წყალი ბარშანისა წყალსა გაპრიოს ანუ ტირიფისა წყალსა თანა, რომელიცა იყოს ერთი და ნელითა ცეცხლითა ადუღოს და პერული აიღოს და გაწმინდოს და მისგნით ორი უკიაჲ იხმაროს სიქანგუბინითა კარგი არს, და თუ ათისა დრამისა წონი კატკატოჲსა ოესლი წმიდად გაგალოს და სიქანგუბინითა იხმაროს კარგი არს, და ანაკვეთი ძმრითა ადუღოს და ნელი ელნეთსა შემოსდვას ერგების, მით რომელ ეგეთი ხასიათი აქვს, რომელ ელნეთსა გააღნობს. და თუ ვაზისა ფურცელი დანაყოს და ძმრითა შეზილოს და ელნეთსა შემოსდვას ერგების და ამის მანკისა კურნებასა ისწრაფოს და ნუ მოლაფლდების რომელ იქნების, რომელ ღვიძლისა ტკივილი შეიქნას და მუნით ისთისყაჲ შეიქნას და მაშინ კურნებაჲ მისი გაძნელდების და არ იკურნების.

ელნეთისა სიმსივნე რომელ სიგრილისგან იყოს. ვითარებაჲ მისი იგი არს აბუჯარიჲ იტყვის: ესე მანკი ცხროჲთა გრძელთა უკანის იქნების რომელ სიგრილისგან იყოს, და სიმსივნე მაგარი იქნების სასეედოჲსა გასარეველისა ფიცხელისგან იქნების, და თუ სიმსივნე ხურვიდეს ბალღამურისა ხილტისგან იქნების.

30 ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაჲცა სეედისაგან იყოს რომელ სიმსივნე მაგარი იყოს და სტკივოდეს, მანკი რომელ სასეედოჲთა ცხროჲთა უკანის გამოზენილ იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ სიმსივნე ღბილი იყოს და არა სტკივოდეს და არცა სწყუროდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჲ იტყვის: იგი არს, რომელ სიმსივნე ღვიძლისა ელნეთისა მისგან იქნების რომელს სნებათა გრძელთა უკანის ქნილ იყოს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ფანჯანგუშითისა ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს და თუ მანკი ძლიერად იყოს აფთიმონისა მატბუხი იხმაროს და ტეგანაჲ და პიტნაჲ ძმრითა ადუღოს და ზედა შემოსდვას ერგების. და ძუელისა სიმსივნისა კურნებაჲ იგი არს, რომელ მჯღომად შექნილ იყოს, რომელ კაპრისა ყურსი და ძირთა წყალი სიქანგუბინითა იხ-

40 მაროს, და კარგსა ღვინოჲსა სარჴსა სმიდეს, და ყოლაჲ წყალსა ნუ სჭამს ნუ თუ ცოტაჲ ერცახე. და ელნეთი ვაშაჲთა ანუ კირთა შემოდებითა იკურნოს და თაფლიანსა ნუ ქამს, და ეგეთთა საჰამადთა ერიდოს რომელ მოაწყურებდეს და კაპრისა ქამისა ნუ ქამს ჰავი არსა. და თუ მანკი ძნელად აყოს ბასალიყი გაიხსნას, და ისლემისა გახსნაჲ ყოველსა ტკივილსა ელნეთისასა ერგების, ნუ თუ მას რომელ ქარისგან იყოს.

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „ლგ“ და შემდეგ გვერდის ზემო აშიაზე „ლდ“.

<sup>2)</sup> ამ სტრიქონის გასწვრივ აშიაზე დედნის ხელით სწერია „ისაკ იტყვის“



იოჰანა იტყვის: რაეცა ბაღდადურისა ბილტისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ კაპარისა ყურსი და თეთრისა საკმლისა ყურსი ჭამოს. და თუ სამი კურნებაჲ სხანძელი დანაყილი ძმრითა შეზილოს და შეწვას ეგრე რომელ დაიწვას, და ათისა ღრამისა წონი ფანჯანგუშთისა თესლი, და გაზმაზვი და ასკოლოფანდრიონი თვითთასგან ხუთისა ღრამისა წონი, და მასთანა გაპრიოს და სიმისა ღრამისა წონი მისგან სუფუფად ქნას და მაშინ სიქანგუბინი ჭამოს, ერგების.

ჯალინოს იტყვის: გულანგუბინი და ძირთა წყალი იხმაროს ნუშისა ზეთითა და თუ მანკი ვაგრძელდეს კაპარისა ყურსი თესლთა სიქანგუბინითა ჭამოს, და მუცელი დაიღობოს აფთიმონისა მატრუხითა და საჭამადსა მუხუდის წყენსა ჭამდეს და თუ სნეული უაუსურად იყოს თიპოვსა და დურაჯისა ხორცი ჭანოს კალიითა, ერგების დია.

**ჩმ. სისხლისა დაჯლომაჲ თუ ღვიძლისგან იყოს.**

ვითარებაჲ მისი. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი სისხლისა სიმეტისგან იქნების რომელ ღვიძლისა ძარღვთა შიგან იყოს, ანუ სისხლისა მოლაჩაჲსა უსუსურობისგან იქნების ანუ შეკრულობისგან მისისგან.

ნიშანი მისი რაჲ სინხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ სისხლისა დენისა ეამსა მუცელი არა სტკიოდეს და სისხლი ერთობით მოვიდეს, და ნიშანი მისი რაეცა მოლაჩაჲსა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლი წითელი იყოს. და ნიშანი მისი რაეცა მხურვალსა ბილტისგან იყოს იგი არს, რომელ სწყუროდეს.

20 კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. ჯალინოს იტყვის: ხამს აჭიმისგან რომელ ამის მანკისა ნიშანი დასტურობით შეიგნეს და გაიგონოს, და ცნას თუ რომელ სისხლი ღვიძლისა სიწყლულისგან მოვალს და თუ წელთა სიწყლულისგან, რომელ კურნებისა ეამსა არ მოცდეს, და გამოცნობაჲ ამით (ორთაფე) მანკთა შუა იგი არს, რომელ რაეცა წელთა სიწყლულისგან მოვიდოდეს მას ბაღდადი და განაეალი ჰქვია და სისხლი ცოტაჲ იყოს, ნუ თუ წელთა შიგან ძარღვი გახსნილ იყოს და მით სისხლი დია იყოს. და რაეცა ღვიძლისგან მოვიდოდეს ხასი სისხლი და მრავალი იქნების, და ერთობით ჩამოვალს და იქნების რომელ მარჯვენაჲ გვერდი სტკივოდეს, და იგი დასტური ნიშანი არს ღვიძლისა. და რაჲ მანკი დიად იყოს და სისხლი დია სდიოდეს და არაჲს აწყენდეს უკურნებაჲ მისი არა ხამს, ნუ თუ დია სდიოდეს და სნეული უსუსურად გაჰხადოს. და ღვიძლისა

30 მანკი რაჲ სიმხურვალისგან იყოს დია ჰავი არს. და ეგრე ხამს რომელ კრთილისა წყალი და სომხური მიწაჲ და ტაბაშირი იხმაროს. და ტაბაშირისა ყურსი და კაპარაბაჲსა ყურსი ბეჰესა რუბითა უზმა მიწყით იხმარებდეს. და სანდალი და ვარდი, და სომხური მიწაჲ და თუთუბაჲ, და ლისინალჰამალისა აფშარაჲ და ვარდის წყალი ერთვან გაპრიოს და ღვიძლისა შენოსდეს, და კოწახურისა ყურსი ბეჰესა სიქანგუბინისა თანა იხმაროს. და თუ ბროწყელისა წყალი და კატკატოჲსა თესლი ეაშლისა რუბითა ჭამოს კარგი არს, და მანკისა ბოლოსა პურსა ტკბილისა და მგაეისა ბროწყელის წყალსა თანა ჭამდეს. და ხილთაგან ბროწყული და სხალი და ბეჰე და ალუჯი, რომელ არაბულად ზარური ჰქვიან ჭამოს. და რაეცა ღვიძლისა სიმსივნისა და მისისა შეკრულობისგან იყოს სრულიად თვითთა მანკებისათვის გვიხსენებია. და რაეცა მოლაჩაჲსა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა რაჲსჲე ჭამდეს რომელ ღვიძლსა განაძლიერებდეს.

40 ვითარებაჲ მისი. როფის იტყვის: სისხლისა სიმეტისგან იქნების რომელ ღვიძლსა შიგან შეყრილ იყოს და არ იძვროდეს, ანუ ღვიძლისა უსუსურობისაგან იქნების რომელ საჭამადისა სისხლად შექნა არ შეგდლოს უსუსურობისა და სისაწყლისაგან.

ნიშანი მისი როფისისა ნათქვამისგან: რაეცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს ღვიძლისა იგი არს, რომელ სისხლი ერთობით ჩამოვალს და საჭამადისა ნდომიაჲ არ

\*) ამ სიტყვის დაბოლავება „ეჲ“ სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



შოაკლდეს, და რააცა ღვიძლისა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ საკამადი არ მოუნდებოდეს და სისხლი ვითა ხორცისა წყალი იყოს.

კურნებაა მისი როფისისა ნათქვამისაგან: რაა ესე მანკი სისხლისა სიკრავლისეგან იყოს რომელ ღვიძლსა შიგან შეყრილ იყოს კურნებაა მისი არა ხამსო, რომელ ღვიძლსა ევენების ნუ თუ დია მოვიდოდეს და სნეული დაუსუსუროს, და რააცა ღვიძლისა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა რაასმე ქამდეს რომელ ღვიძლსა გააძლიერებდეს ვითა რევასისა რუბი და კოწოხურისა შარაბი ტაბაშირისა ყურსითა იხმაროს, და დაბეჭდული მიწა და კოწოხური ამას მანკსა ერგების. და ამას სუფუფსა დიდი ხასიათი აქვს მისთვის, ვითარებაა მისი: კოწოხური სამისა დრამისა წონი, ვარდი წითელი ექვსი-

10 სი და რამისა წონი, სანდალი და ტაბაშირი და გომიზი არაბული და ნიშასთავი თვითოასგან ორისა დრამისა წონი ყოველი დანაყილი და გაცრილი ორისა დრამისა წონი ვაშლისა რუბსა თანა ანუ რევასისა რუბსა თანა იხმაროს, და თუ სანდალი თეთრი და წითელი და ვარდი თვითთა<sup>1</sup> გან ხუთისა დრამისა წონი, თუთუბა და ბროწეულისა ყუაგილი თვითოასგან სამისა დრამისა წონი, ყუბროსული მაწა და აფშარაა ვაკის წვერისა თვითოასგან ორისა დრამისა წონი. ყოველი დანაყილი ლისანალჰამალისა წყლითა შეზილოს და ვარდისა წყალი გაურთოს და ღვიძლსა შემოსდვას. და კაკბისა ხორცი ანუ თიპოასა, ანუ ახალი თევზი კოწოხურითა ანუ თუთუბითა ქამოს.

ნიშანი სისხლისა დენისაა გჭამისაგან. იგი არს, რომელ ეწწოდეს და სტკიოდეს და სისხლი სდიოდეს.

20 კურნებაა მისი. იგი არს, რომელ ტყვიად ქვასა ზედა მოუსვას და ცოტაა ერზოა დაუწითოს რომელ დია შეიყაროს, და დამწვარი ტილოა და ქათმისა ცმელი და თეთრი ცვილი, და სპეტი და იფიონი ერთგან გაპრიოს და მალჰამად შექნას და მრავალჯერ ზედა იცხოს ერგების. და რააცა ამისგან კიდე იყოს ბევასირი არს.

რმა. სისხლისა დენაა მუცლისგან რაა წალთა სიწულულისგან იყოს<sup>2</sup>. ვითარებაა მისი რაა სიმხურვალით იყოს. ისაჲ იტყვის: ვითარებაა მისი ფიცხელისა ზაფრიანისა გასარეველისაგან იქნების რომელ ღვიძლსა ანუ სტომაქსა შეყრილ იყოს და მოერიგნეს, და ბუნებისა ძალსა მაშინ წელთაჲ შეეძლოს, და გამოსვლისა ჟამსა სიმხურვალითა და სიფიცხითა მისითა წელი გააწყლულოს.

30 ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ტკივილი და გრებაა დია იყოს და სისხლი ცოცოტად წრდებოდეს და ბალღამური და ზაფრაული ფიტი ერთოს მას, და სისხლი რომელ ჩამოვიდეს მუცლით ვითა ხორცისა წყალი იყოს.

კურნებაა მისი რაა სიმხურვალით იყოს. ისაჲ იტყვის: თუ სიწყულღე ზემოთა წელთა შიგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ უპეთა ქვეწეთ სტკივოდეს და რაა მუცელი ეგრებოდეს მაშინ არ ჩამოვიდეს, და რაა ხანი გარდვიდეს მაშინ ჩამოვიდეს. და თუ სიწყულღე ქვემოთა წელთა შიგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ უპეთა ქვეწეთ დია სტკიოდეს და რაა მუცელსა იგრებოდეს ჩამოცივიდეს, და სიწყულლისა კურნებაა რომელ ზემოთა წელთა შიგან იყოს იგი არს, რომელ მაყლიათაასა<sup>2</sup>) სუფუფი იხმაროს და ეგეთი რაამე რომელ ზაფრისგან სიღბოასა ერგებოდეს ვითა ბაზრაყატუნაა და ხაშხაშისა თესლი, და ლისანალჰამალისა თესლი და გომიზი არაბული, და ნიშასტავი და მურისა თესლი და სპანძელი, და შაფი მამითა და იფიონი, და ვარდისა ზეთი, ამას აიპყრობდეს. და 40 საკამადთა ბრინჯსა და ჩორათანსა შემგბარსა, და კვერცხისა ყვითელსა შემგბარსა და თხისა სძესა იხმარებდეს.

იოჰანაა იტყვის: სუფუფატინი ბეჭესა რუბსა თანა იხმარებდეს მანკისა დასაწყისსა, და ქრთილისა წყალი სონხურითა მიწითა და გომიზითა არაბულითა იხმაროს, და

1) ტვქსტში შეცდომით სწერია „აყოს“.  
2) ზნდა იყოს „წყულიათაასა“.



კატკატოასა უესლისა წყალი, და სომხური მიწა და ტაბაშირი ბეჰესა რუბითა იხმაროს გარეული. და თუ სისხლი უფროა მოვიდოდეს ქაპრაბაასა ყურსი კატკატოასა თესლისა წყლითა და ლისანალჰამალისა წყლითა და ვაშლისა რუბითა გარეული იხმაროს. და რაჲ მანკი დააკლდეს ქვაჲ გაახურვოს და თხისა სძესა ანუ ფურისა სძესა შიგან ჩაადგოს და მას ჰამდეს, და თუთუბინა ურწყოასა ჰამდეს. და მანკისა ბოლოსა კვერცხისა ყვითელი რომელ ძმრითა შექნილ იყოს ჰამდეს, და ხორცი დურაჯისა თუთუბითა ანუ ალარდნითა შექნილი ჰამოს, და თუ სიწყლულე ქვეითა წელთა შიგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ჰუყნაჲ ანუ შაფი იხმაროს და თუ შანგიარისა კიტრისა თესლისა წყლითა და კატკატოასა თესლითა და ვარდისა ზეთითა და კვერცხისა ყვითლითა, რომელ თუთუბისა წყლითა შემგებარ იყოს, და ლისანალჰამალისა აფშარაათა და ხონისიორანითა და სომხურითა მაწითა და აფიონითა ჰუყნაჲ უყოს, დია ერგების და განრთელდების.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. თუ სისხლთა დენაჲ წელთა სიწყლულისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ვითარებაჲ მისი ვასარეველისა ბალღამურისა დაწაფებულისგან იქნების, ანუ ბალღამისა მყარლისა კირულისა იქნების, ანუ სასე-ვლოასა დამწურისა ჰაეისა ხალტისგან იქნების. და ყოვლისაგან უძნელესი მანკი იქნების მანკითა შიგან.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს იგი არს: რაჲცა ბალღამურისა გასარეველისაგან იქნების რომელ ქარი და გრებაჲ მუკლისა შიგან დია იყოს, და განავალსა თანა სისხლი და ფიცხელი ბალღამი იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ხევედისგან იყოს იგი არს, რომელ რაჲცა მუკლისგან გამოვიდეს შავ ფერი იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: იგი არს რაჲცა ბალღამურისა გასარეველისაგან იყოს რომელ შაჰასფარადისა<sup>1)</sup> თესლი და მურდისა თესლჲ ორივე ამოხალული, და გრკოჲ რომელ ძმარსა შიგან დებულ იყოს და მაშინ ამოხალული, და მორდისა, ყოლაჲ დანაყოს და მუნით ორისა დრამისა წონი ვაშლისა წყლითა ცისკრისა ჟამსა ჰამოს. და საჰამადნა ვარიასა ჰამდეს კალიად შექნილსა ანუ მხურვალითა სანელგბლითა მუტანჯანათ შექნილსა ვითა ძირაათა და კულიაფითა და ქინძითა.

მასოიქსძე იტყვის: ნიშანი მისი რომელ ბალღამურისა გასარეველისგან იყოს იგი არს, რომელ სურდოასა უკანით გამოწნდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ქაპრაბაასა ყურსი ბროწეულისა ყვავილისა კურსითა და მორდის შარაბითა იხმაროს. ანუ ბეჰესა რუბი ლისანალჰამალისა წყლითა და კატკატოასა წყლითა უზმაჲ ჰამდეს. და თუ მანკი ცხროათა არ იყოს კოტაჲ რკინაჲ ცეცხლითა გაშანთოს და ადუღებული მისი სძესა შიგან ჩაადგოს და მის სძისგან უზმამან სმიდეს. და თუ ცხროჲ იყოს ტაბაშირისა ყურსი ბეჰესა რუბსა თანა იხმაროს დასამისა დრამისა წონი სუფუფუი იხმაროს რომელ ჩუენ გამოგვიცდია დია კარგი არს, ვითარებაჲ მისი: ბაზრაცატუნაჲ და მურისა თესლი, და შაჰასფარადისა თესლი, და კუბრული მიწაჲ და სომხური მიწაჲ და ნაშასთავი და ტაბაშირი და ვარდი და ქაპრაბაჲ თვითოასგან ნაწილი ერთი აილოს და სამისა დრამისა წონი ბეჰესა რუბსა თანა იხმაროს.

აბუჯარი იტყვის: თუ ესე მანკი გასარეველისა სასეველოასგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ განავალი რაჲცა მისგან გამოვიდეს მიწაჲ ადუღოს მისისა სიფიცხისაგან. გრე ხამს რომელ ბაზრაცატუნი ამოხალული და მურისა თესლი და თუთუბაასა თესლი და ნიშანტავი და გომიზი არაბული და სომხური მიწაჲ, და ლასანალჰამალისა აფშარაჲ და წაბლი თვითოასგან ნაწილი ერთი მისგან ოთხისა დრამისა წონი ბეჰესა წყლითა შესტას.

რამზ. ზაჰირი სიმზარაბლისაჲ იყოს ანუ ხიზრილისაჲ. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა ზაფრატლისა გასარეველისგან იქნების რომელ ქვეითა წელთა შიგან ჩამოვიდეს და მაშინ ქტეშეთა, უკბენდეს ანუ სიმ-

1) უნდა იყოს „შაჰასფარადისა“.



სიენისგან იქნების რომელ წელსა შიგან იქნების და სნეულსა ეგრე ეგონოს ვითა გარე გამოვალს მისგან იგი.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ განავალი ცოცოტად ჩამოვიდოდეს და ნერწყვისაებრ იყოს, და ტკივილი ძნელად იყოს, და სისხლი განავლისგან კიდე იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა სიმსიენისგან იყოს იგი არს, რომელ მძიმედ იყოს და ტკივილი ფიცხლად იცენდეს მიწყით ისრისაებრ მალე.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მანკისა სათაენოჲ რაჲ ფიცხელისა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ სუფუფატინი ესრე იხმაროს ვითარებაჲ მისი: ბაზრუცტუნაჲ და თუაუბაჲსა თესლი, და ლისანალჰამალისა თესლი

10 თეთროდსგან ნაწილი ერთი, ყოველი <sup>1)</sup> ადუღოს და ამათ წამალთა ნახევარი სომხური მიწაჲ და გომიზი არაბული და ტაბაშირი ყველაჲ დანაყილი ერთგან გაპრიოს და იხმაროს. და თუ მანკი დიადი იყოს საქამადსა ნუ ქანს, ნუ თუ ქრთილისა წყალი რომელ აღარდნითა შემგებარ იყოს ერგების, მეტად რომელ შიგან სომხური მიწაჲ და არაბული გომიზი რთულ იყოს. და ბეჰესა წყალი ადუღოს და ტაბაშირი შიგან გაპრიოს და ესე წამალი ორჯერ იხმაროს. და მაშინ თუთუბისა ჟრწყოჲ იხმაროს და ასფარამთა წყლითა იბანებოდეს ერგების.

იოჰანა იტყვის: რაჲცა სიმსიენისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ კვერცხისა ყვითელი და ვარდისა შემოსდეს, და ძაღლის ყურძნისა წყალი ლისანალჰამალისა წყალი და ვარდისა ზეთი, და კვერცხისა ყვითელი მით ყველაჲთა ჰუყნაჲ უყოს, და ეგეთთა რაჲსმე იხმარებდეს რომელ სტომაქი გაუგრილოს. და თუ გრკოჲსა ქერქი მორდის წყლითა დაასოყლოს და ვარდი და ბროწყელისა ყვავილი წყლითა შეაბგოს და მით იბანდეს

20 გუჰამსა, და უღბაჲ და სელი, და ბალბაჲსა ძირი შეაგბოს და მალჰამიდ შექნას და იხმარებდეს კარგა არს, და ესე შენოსადემელი ამას მანკსა ერგების რომელ ფიცხელისა ზაფრისგან იყოს და თუ მხურვალისა სიმსიენისგან ერგების, ვითარებაჲ მისი: კალნაბაჲ და თესლი მისი შემგებარი ვარდისა ზეთითა, და კვერცხისა ყვითელი და ოსპი ქერქმეხილი, და ძაღლის ყურძენი ამას ერთგან გაპრიოს და შემოსდეს კარგი არს. და საქამადსა ნატიფსა ქამდეს რომელ ადრე ელხინოს და ერგოს, შეწვენითა ღეთისათა.

ვითარებაჲ ზაჰირისა რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: ბალღმისა სიმეტისგან იქნების რომელ ჰეშეთსა წელსა შიგან ჩამოსრულ იყოს, ანუ ბალღამურისა სიმსიენისგან იქნების ქეშეთსა წელსა შიგან, ანუ განავლისაგან იქნების რომელ დაუყესა წელსა შიგან გამხმარ იყოს.

30 ნიშანი ზაჰირისი რაჲ სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ არა დია სტკივოდეს და მუცელსა შიგან ყურყური დია იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ბალღამურისა სიმსიენისგან იყოს იგი არს, რომელ სიმძიმე ერთოს და წყურვილი და სიმხურვალე არა დია იყოს.

კურნებაჲ ზაჰირისა რაჲ სიგრილისგან იყოს. რაჲცა ბალღამურისა ხილტისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მურისა თესლი და შაჰასფარადისა თესლი ამოხალული შეაყესა აღარდენსა და მიასა თანა იხმაროს, და ნელსა წყალსა სმიდეს, და უხმაჲ აბანოს მივიდეს და საქამადსა ტრედისა ხუნდსა ქამდეს ანუ ჩიტსა კალიითა, ანუ მუხუდოს წჭენსა იხმარებდეს. და საქამადსა დია ნუ ქანს <sup>2)</sup> და კურნებაჲ მისი რაჲცა <sup>3)</sup>

40 სიმსიენისგან იყოს იგი არს, რომელ ასფარამთა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს. და თუ მანკი ძნელი იყოს მოყლიაჲთათა სუფუფი იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი სჰანძელი და შაბრა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.  
2) ამ გვერდის ქვეითა აწიხე რვეულთა სათვალავი სწერია „ლდ“ და შემდგომი გვერდის აწიხე „ლმ“. აგრეთვე სწერია მხედრულით რვეული „იზ“.  
3) ეს სიტყვა ასე სწერია „რაჲ რაჲცა“.





მი და სელის თესლი და განდინახსა თესლი, და ბაღბა და შავი ჰალილა ყველა და ნაყი-  
ლი და გაცილი მისგნით დრაჰნისა წონი იხმაროს.

ისაკ იტყვის <sup>1)</sup>): ესე მანკი განავალისა იქნების რომელ წელსა შიგან გამაგრებულ იყოს და დაჯდომისა ეამსა ცოტა ჩამოვიდოდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ ვეეთთა რაჲსმე იხმარებდეს რომელ მუცელსა და აღბობდეს და იგი გამაგრებული განავალი და აღბოს, ვითა იისა ყურსი შაქრითა იხმაროს, ანუ ბავრუკი და ბაღბა და შავი ჰანტალი და წითელი შაქარი წმიდად დანაყოს და მისგნით შაფი ქნას და მას აიპყრობდეს რომელ მუცელი და აღბოს. და მამინ ჰაკუნტელი ბასბახსათა შექნილი კარგი არს მისთვის. და თუ ბაღბისა გლუსუნისაგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ სპანძელისა თესლი და ნია-  
10 ბურისა თესლი თვითოხსაგან ორისა დრამისა წონი ორივე დანაყილი თბილთა წყლითა იხმაროს <sup>2)</sup> შეზილოს. და თუ ნაწილი ერთი თეთრი საკმელი და მური და ნახევარი მათ ოდენი ზაფრანა და იფიონი წმიდად დანაყოს და მისგან შაფი ქნას და იხმარებდეს. და საჭამადსა ტრედის ხუნდსა ჰამდეს მუხუდით შექნილსა, და უღნობსა საჭამადსა ვრიდებოდეს და ნატიფთა საჭამადსა ჰამდეს, რომელ ადრე ელხინოს და გამრთელდეს.

**რამა. მაღასი მგვითი მანკი არს რომელ ეგრე ეგონოს კაცსა თუ მისსა წალსა უკანს რამა.** ვითარება მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. ისაკ იტყვის: ესე მანკი ფიცხელი-  
სა ზაფრისაგან იქნების რომელ წელთა ჩასრულ იყოს, და სიფიცხითა რომელ იყოს, წელთა უკბენდეს, და იქნებისა რომელ წელთა სიწყულლისაგან იქნების ესე.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ წელთა ში-  
20 გან სიმხურვალე იყოს დია, და ტკივილი ისარივითა იცემდეს და წყურვილი იყოს, და ნი-  
შანი მისი ვითა ყოლინჯისა ნიშანი იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა წელისა სიწყულლისაგან იყოს იგი არს, რომელ მას კარსა თვით გვიხსენებია ვითამცა ხდეს.

კურნება მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ბაზრა-  
ყატუნა და კატკატოხსა თესლი, და შაჰასფარამისა თესლი და ხაშხაშისა თესლი, და კიტ-  
რისა თესლი და აყიროხსა თესლი თვითოხსაგან ნაწილი ერთი, ტაბაშირი და ლისანალჰა-  
მალისა თესლი თვითოხსაგან ნაწილისა ნახევარი, ყოველი დანაყილი ბაზრაყატუნისგან კი-  
დე, და ყოველი ვარდის ზეთითა შეზილოს და ორისა დრამისა წონი მისგნით კოწოხურისა  
წყლითა და რევასისა შარაბითა იხმაროს. და ეგეთთა რაჲსმე ჰამდეს რომელ ბუნებასა გაუ-  
გრილებდეს ვითა ქრთილისა წყალი რომელ შიგან ბროწულისა წყალი შემგბარ იყოს <sup>3)</sup>,

30 ბეჰესა რუბი სადაგი და გრილისა წყლითა იხმაროს, და კატკატოხსა თესლისა წყალი კო-  
წოხურისა წყლითა უზმამან იხმაროს კარგი არს. და თუ სიქანგუბინი წყლისა ტაბაშირითა და სომხურითა მიწითა იხმაროს კარგი არს. და თუ ბეჰე ადულონ და რაჲ გაგრილდეს ცოტა ტაბაშირი შიგან გაპრიოს და იხმაროს კარგი არს, და საჭამადსა თუთუბისა ურ-  
წყოხსა ჰამდეს ანუ შინაური ვარია აღარდნითა შექნილ იყოს.

ბაჰრატი იტყვის: კურნება მისი რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ თუ  
სნეულსა შექმლოს და მანკისა სათავნოჲ დიადი იყოს მუცელი ლაილბოს ჰალილაჲა მატ-  
ბუხითა, ანუ მკაეისა და ტკბილისა ბროწულისა წყლითა რომელ ცოტაჲ საყმონიჲ შიგან  
რთულ იყოს, რომელ მანკისა სათავნოჲ წელთა შიგან ჩამოილოს, და მამინ თფილსა წყალსა  
სმიდეს. და თუ თამრიპინდისა მატბუხი და ხიარ შამბარი და შირახიშოი ჰამოს ერგების.

40 და ძაღლის ყურძნისა წყალი და რქისა ყუავილი ერთგან გაპრიოს და მუცელსა შემოსდვას  
კარგი არს, და თუ აფსანთინი გაპრიოს უმჯობესი იქნების. და საჭამადსა თუთუბისა ურ-  
ყოხსა ჰამდეს ასფანახითა ანუ კოწოხურითა, და ეგრე ხაშს რომელ მისი ნიშანი კარგად  
შეინახოს და კურნებასა ნუ მოიღაფლებდეს.

1) ამ სიტყვას თავზე ხუთი რგოლი უხის და მხედრულით სწერია „ისაკ იტყვის“.  
2) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.  
3) ეს ორი სიტყვა გვერდის გათავებისას აწივზე არის გატანილი არა დედნის ხელით.



მაღასისა ვითარებაა რაჲ სიგრილისგან იყოს. მასოაქცე იტყვის: ვითარებაა მისი ბალღმისა მლაშისა გასარეველისაგან იქნების, რომელ წყლთა შიგან შეყრილ იყოს, ანუ სქელისა გლუსუნისა ბალღმისაგან იქნების რომელ შიგან გამაგრებულ იყოს, ანუ ქარისგან იქნების რომელ შიგან დარჩომით იყოს და გზაჲ არა ჰქონდეს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაჲცა მლაშისა ბალღმისაგან იყოს რომელ ეგრე ეგონოს ნუ თუ წელსა რაჲმე უკბენს. და ნიშანი მიაი რაჲცა გლუსუნისა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ განაჲლსა თანა ბალღამი დია ზამოვიდოდეს. და რაჲცა ქარისგან იყოს მანკი იქცევის ჟამ ჟამად.

10 კურნებაა მისი რაჲცა მლაშისა ბალღამისგან იყოს. იგი არს, რომელ ჰუცნაჲ უყოს თურბიდითა და ბასბაისითა და სიჲვისთონითა და იითა, და ნერმე იარაჲ ფეყირაჲ ჰამოს რომელ მანკისა დედაჲ წელთაგან ჩამოილოს. და საქამადსა ანუ ბატკნისასა ჰამდეს ანუ ჰათმისათა მზუხდითა შექნილსა, და უკანის ცოტაჲ ღვინოჲ შესჭას და თუ აბანძმელისა და ანისონისა თესლი და ვაჯი და ჰაბაღღარი და ფურცელი მისი, და ზარავანდი და ყანტორიონი და ბალანხიაა შეშაჲ ყველაჲ დანაყილი თათულითა შეზილოს და ჰამოს ერგების, და თუ ამა წამალთაგან სამიცა იყოჲ კარგი არს.

ჰუნჯან იტყვის: თუ მანკისა სათაენოჲ გლუსუნისა ბალღამისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ უზმამან გულანგუბინი და მასტაქე და ალვაჲ წყლითა აღულოს და ჰამოს, და თუ თრიაყი ჰამოს სოჯაზაჲახათა, და ანისონი და ქონდარი და ძირაჲ წყლითა შეაბვოს და მიწყით მისსა წყალსა სმიდეს. და ფიცხელი ჰუცნაჲ ამას მანკსა ერგებია.

20 და მანკისა ბოლოჲსა ზირაბაჯი ურწყოჲ ჰამოს, და მაშინ ხორცი კალიად შექნილი მსურვალითა სანელეზბითა. და თუ ესე მანკი ქარისგან ქნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ანისონი და ქონდარი და ბადიანი აღულოს და მაქარი გაჰრიოს და ნელი უზმამან იხმაროს კარგი არს, და თუ ნიახურისა თესლი და ანისონი და ბადიანი, და ნანხვაჲი და სპარსული ქონდარი დანაყილი იარისა დრამისა წონი მისგან შემგზარსა ღვინოჲსა გაჰრიოს და იხმაროს. და საქამადსა ზირაბაჯსა ჰამდეს და ქერიანთა საქამადთა ერიდებოდეს და ნატიფსა მიელტვოდეს. და დასაწყისაჲვე კურნებაჲ დაუწყოს ამას მანკსა რომელ არ გუჲმეღდეს მანკისა სათაენოჲ, თუ არა მაშინ მისი კურნებაჲ უფროჲ საჭიროჲ არს.

80 **კაზ. ყოლინჯი ვამითი მანკი არს რომელ ყოლინსა ჟილსა შიგან იძნაიოს.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მაღაინი იტყვის: უფროჲსი უბეთა ჭეჲშე შეიყაროს ყოლინისა წელთა შიგან, და ვითარებაჲ მისი მხურვალისა და ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების, რომელ მუნ შეიყაროს და მუცელი ატკინოს, ანუ მხურვალისა სიმსივნისაგან იქნების რომელ მუნვე მიხვდეს და ესე მანკი გამოაჩნდეს.

ნიშანი ყოლინჯისა რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ცხროთა იყოს და აწყურებდეს, და ნარწყევი ზაფრაჲ იყოს, და ფხელი ფიცხელი იყოს და ნიშანი მისი რაჲცა სიმსივნისგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი იარისაებრ ფეთქდეს და ტკივილისა ადგილი დია უწყობდეს ფიცხლად.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ<sup>1)</sup> თუ სიმხურვალითა ძარღვი სისხლითა საესე იყვნენ ბასალცი გაიხანას და მაშინ მუცელი დაიღბოს ჰალილაჲსა მატუხითა, და ტყეპლითა და ხიარშამბრითა, და ჰინდოფრითა თამ-  
40 რითა. და ჩვარი ვარდიჲ წყლითა დაასოღლოს და მუცელსა შემოსდებდეს და ლბილი ჰუცნაჲ იხმაროს, და თუ სიმხურვალე დია ძლიერად იყოს სიქანგუბინი იისა შარბითა იხმაროს, და მაშინ ბაზრაცატუნისა ლუბი ჯულაბსა თანა გაჰრიოს და მიწყით ტკბილისა ბროწყელისა წყალსა სმიდეს. და მაშინ სიქანგუბინი იხმაროს და თამრი ჰინდისა წყალსა ნილოფრისა შარბათითა სმიდეს. და რაჲ მანკი დეელიოს ურწყოჲსა ასფანახისაჲსა ჰამდეს და

1) ან სიტყვის შემდეგ პუნქტირშია ჩასმული შემდეგი წინადადება „ცხროთა იყოს და აწყურებდეს“.

სამსა დღესა ჰასოა რომელ თეთრითა პურისა გულითა და ნუშისა ზეთითა და ქათმითა შექნილ იყოს. და მაშინ აბანოს მივიდეს რომელ წყალი მისი ნელი იყოს, და მხურვალთა საჭამადთა ერიდებოდეს.

იოჰანა იტყვის: თუ მანკი მხურვალისა სიმსიენისაგან ქნილ იყოს ეგრე რომელ ფსელი შეუკრავს ეგრე ხამს, რომელ ისლემი ძარღვი გაუხანას ანუ საფინი და ეგეთი რამე რომელ წელთა სიმსიენე გახსნას და მუცელი დაუღბოს იხმაროს, და ხიარშამბრისა ფოლოსი თბილითა წყლითა დააღბოს და იისა შარაბითა შესუას. და საჭამადთა წინაჲთ გრილი და ნედლი ხილი ჭამოს. და თუ მუცელი არ დაღბეს ეგეთი შაფი რომელ შიგან კირი და საყამონიაჲ და შაჰმიჰანტალი იყოს აიპყრას, რომელ იგი გამხმარი განაეალი ჩამოიღოს, და გრილი შემოსადებელი მუცელსა შემოსდვას, და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს და ადრე გამოვიდეს რომელ ასონი არ გაუსუსთოდენ. და მხურვალთა საჭამადთა ერიდებოდეს და შურვასა ჭამდეს რომელ ბატკნისა ხორციითა ანუ თიქნისა ხორციითა შექნილ იყოს დია ერგების, და გამრთელდების და გაიხსნების, და დაეხსნების ჭირსა.

ვითარე ბაჲ ყოლინჯისა. რაჲ სიგრილისაგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: რომელ ბალღმისა გლუსუნისა ზაჯაჯისაგან იქნების, რომელ წელსა ყოლინისასა შეიკრების და გაიყინების მით რომელ იგი წელი ბუნებად დია გრილი იქნების. ანუ ბუნებისა სიხმელისაგან იქნების, ანუ გრილთა ქართაგან იქნების, ანუ გრილთა ამეზიშთა და გასარეველთაგან იქნების ყოლინჯი.


ნიშანი ყოლინჯისა რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲ ბალღმისა გლუსუნისაგან იყოს რომელ ზოგჯერ სტკივოდეს და ზოგჯერ დაუყუჩებდეს და შეავესა აბოყინებდეს. და ნიშანი მისი რაჲცა გრილთა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ სიმძიმე არა ჰქონდეს და მუცელი უყურყურებდეს, და მანკი და ტკივილი იარებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: რაჲცა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ მხურვალთა ჰუყნაჲ უყოს და თუ არ იყოს ფიცხელიცა უყოს. და თუ არ იჯობინოს მხურვალთა ჰუყნითა მუცელი დაუღბონ, და სნეულისა ძალისა მისაჲურად უყონ ჰუყნაჲ.

ისაკ იტყვის: თუ ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი და ბრინჯასფი და შტუჰა წყლითა შეაგბოს, და მაშინ მისა ცხელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. და მესამესა დღესა უყონ ჰუყნაჲ ესრე: ლღვი თეთრი და უნაბი, და სეფისთონი და ჩამიჩი, და ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი, და ცერეცოჲ და თუათუბაჲ, და იაჲ და ნილოფარი და ბაბუნაჲ <sup>1)</sup> და ანაკეთი ტილოსა მჩვარსა შიგან გამოკრული ყველაჲ წყლითა ადუღოს და მისისა წყლისაგან ნახევარი ლიტრაჲ ჰუყნად უყოს დია კარგი არს. და თუ ოცისა დრამისა წონი ხიარშამბრისა ფოლოსი და თხუთმეტისა დრამისა წონი გულანგუბინი ორივე წყლითა ადუღოს, და ორისა დრამისა წონი ბადიანისა თესლი, და მუთყალი ერთი თურბითი, და მუთყალი ერთი იარაჲ ფეყირაჲ მასთანა გაპრიოს და იხმაროს, კარგი არს.

ფოლისი იტყვის: თუ მანკი გრილთა ქართაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ერბოჲ ძირაჲთა და ნიახურისა თესლითა და კელღავითა და ტევანაჲსა თესლითა შეაგბოს და ჰუყნაჲ უყოს რომელ ქარები გარდაიღოს. და თუ უძლიერესი უნდეს ხაზდისა გული და ფარფიონი ორი დანგისა წონი გაურიოს. და თუ შაჰმიჰანტალი და მარილი და თაფლი და ბავრუქი და ტევანაჲსა თესლი დანაყილი შაფად ქნას და ტევნისა ზეთითა და აცობიანოს და აიღოს კარგი არს. და თუ ფეტვითა უფუთქოს კარგი არს. დანიორსა დიდი ხასიათი აქვს რომელ ქართა დაჰჰანტაჲსა, და შორვასა ჭამდეს. და თუ მანკი გრილისა სიმსიენისაგან იყოს ლარისა ზეთი და ზეთიანლისა ზეთი და წეროსა ცმელი ყველაჲ ბალღმად შექნას და მანკისა ადგილსა შემოსდვას.

<sup>1)</sup> ეს სიტყვა განმეორებულია.



**რმდ. ელასო.** ერთი ფერი ყოლინჯი არს ღმერთიან ნუვის მისცეს, იონანიანთა ენითა უფალო მეწიე. ვითარებაა ელასოსი რომელ სიმბურვალისაგან იყოს. ესე მანკი გასარეველისა მხურვალისა და ფიცხელისაგან იქნების, რომელ დაყაყსა წელსა შიგან შეიყაროს და შიგან გამაგრდეს. და ანუ მხურვალისა სიმსიენისაგან იქნების ანუ განავალისაგან რომელ გამაგრებულ იყოს.

ნიშანი მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მუცელი მხურვლად იყოს და უბეთა ქვეშეთ სტკიოდეს, და რაა მანკი გაძლიერდეს განავალი ხორხისგან ამოვიდეს, მით რომელ გზაა მისი წყურული იყოს. და რაა ცა სიმსიენისაგან იყოს იგი არს, რომელ ცხროათა და სიმბურვალითა იყოს.

10 კურნებაა მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, მასარჯოაა იტყვის: ელასო იონანიანთა ენითა იგი არს, რომელ სნეული იხახდეს ვითა უფალო შემიწყალე, მეწიე, მით რომელ ძნელი მანკი არს და მისგან დახსნა უღმერთოდ არ ეგებოს. და ქვეშეთ გზაა არ ექნების განავალი ზემოთ მით ამოვა. და თუ სნეულისა ბუნებაა მხურვლად იყოს და მანკისა სათაენოა ხმელისა განავალისგან.

კურნებაა მისი. იგი არს, რომელ იაა ხიარ შამბრისა ფოლოსითა იხმაროს, და საჭამადსა ასთანახისა ურწყოასა ჭამდეს, და თუ მიზეჯი სნეულისა ვითამცა ბუნებაა გრილად იყოს ლედვისა შარაბი და იარაა იხმაროს, და თუ ჰუყნაა უყოს ერგების, საჭამადსა მამლისა შურვისა ჭამდეს რომელ შიგან ცერეკოა შექნილ იყოს. და თუ ესე მანკი სიმსიენისა მხურვალისა და ფიცხელისაგან იყოს ანუ ბასალიკი ანუ აქალი გახსნას, და თუ სნეული

20 ძლიერად იყოს მაშინ ქრთილისა წყალი სწას რომელ შიგან ვარპარამისა ძირი და ხორფარასთისა თესლი შექნილ იყოს. და ესე შემოსადებელი შემოსდევას: ხორფარასთისა ფურცელი და ძალღისა ყურძენი და იაა ახალი თვითოასაგან ათისა დრამისა წონი, ყველაა დანაყილი ცერეკოასა თესლისა და მისისა წყლითა გაპრიოს, და თეთრი ცვილი შიგან გააღნოს, და იისა ზეთი და ბატისა ცმელი შიგან გაპრიოს, და სადა სტკიოდეს შემოსდევას. და თუ მანკი გარდვიდეს ისრიმისა ურწყოა ჭამოს ნუშისა ზეთითა, ერგების. და ძალღის ყურძენი და ქაქნაასა წყალი და თუნჯისა წყალი თვითოასგან ორი უკიაა, ხიარ შამბრისა ფოლოსი უკია ერთი, ნუშისა ზეთი ორისა დრამისა წონი, ყველაა აღულოს და ჰუყანაა უყოს ერგების. და თუ მანკი გასარეველისა მხურვალისაგან იყოს საჭამადსა ცოტააა ჭამდეს და საეროსა პურსა ჯულაბსა და ნუშისა ზეთსა თანა ჭამდეს, და საჭამადსა ზირაბაჯსა ჭამდეს.

30 ვითარებაა ელასოსი რაა სივრილისგან იყოს. ისაჲ იტყვის: ვითარებაა მისი გასარეველისა სქელისა ბალამურისგან იქნების რომელ დაყაყსა წელსა შიგან შეყრილ იყოს, და გამაგრებულ იყოს. ანუ სიმსიენისა გრილისაგან ანუ მომკვლეღითა წამალთაგან იქნების, რომელ ეჭამოს. ანუ ფეთყისა ქარისაგან იქნების რომელ გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაა სივრილისგან იყოს. იგი არს, რომელ სიმბურვალე და ცხროა ერთოს. და ნიშანი მისი რაა ცა გრილისა სიმსიენისაგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი და სიმძიმე ლბილად იყოს. და ნიშანი მისი რაა ცა ფეტყისაგან იყოს იგი არს, რომელ მისითა შეიგნეს და შეიტყვიას ფეტყისა ქარისა მანკიანობაა.

კურნებაა მისი რაა სივრილისგან იყოს. ისაჲ იტყვის: იგი არს, რომეთ ძირთა წყალი იარაათა თაფლითა გაპრიოს, შვზილოს და იხმარებდეს. და საჯაახანაა და ბედანჯირისა ზეთი და მაზარიონისა ყურსი, მით წყლითა რომელ მავით ანისონი და ნახურისა თესლი და ბადიანი შემგბარ იყოს, იხმაროს. და თუ ტკივილი ძნელად იყოს და მანკი ძლიერად იყოს მაჯუნნი ფელონიასი და ბარასტუნისა მაჯუნნი, და თერიაყი ფარუყი და დიდროიანი იარაა იხმაროს. და ფელონიანისაგან ცოტაა მისცეს სნეულთა მართ ეგდენი რომელ ტკივილი დააწყნაროს, და მაშინ ნულარ მისცემს. და თუ მანკისა ვითარებაა გრილისა სიმსიენისაგან იყოს, კურნებაა მისი იგი არს, რომელ ასფარანთა წყალთა შიგან ჩაჯდეს და მუცელსა ქუნჯიდისა ზეთითა იხელდეს, და აბანოასა შიგან მივიდოდეს და ცბი-



ბიანსა შურვასა ხერეტდეს და მხურვალთა ზეთითა ჰუყნაასა იქმოდეს, მეტად მაშინ რომელ სიმსივნე სედაურთა გასარეველთაგან იყოს. და კურნება მისი რაჯა მუცელთა წამალთაგან იყოს რომელ ექამოს, იგი არს რომელ პირველ არწყიოს და მაშინ თარიყი მათრედიტოსისა ქამოს. და კურნება მისი რაჯა ფეტიყისგან იყოს იგი არს, რომელ პირაღმა დაწვებოდეს და ხელსა მუცელსა ზედა ივლებდეს რომელ წელი თავისსა ადგილსა მივიდეს, ანუ აბანოასა მივიდეს და პირაღმა დაწვეს და ნებსა ზედა ხელსა მუცელსა ივლებდეს რომელ წელი ადგილსა ზედა მივიდეს, და მაშინ დამკერელი შემოსადებელი შემოსდევს. და ცხიბიანსა შურვასა იხმარებდეს რომელ ბატკნისა ხორცითა შექნილ იყოს, და საჭამადსა ცოტაასა ქამდეს და ნუ იარების. და ამის მანკისა კურნებისათვის მოიჭირვოს

10) თუ არა რაა გაწენლდეს კურნება მისი გაუჭირიანდების, და არ ეგების უკანის რგება და კურნება მისი, იცოდეს.

რმ. ჰიბა ზრძელი და გოკლი და ჟღედანა. რომლისა არს თარგმანი აყროასა თესლი, რომელ მუცელსა შიგან იქნების. მოკლისა და გრძელისა ჭიისა ვითარება. იოჰანა იტყვის: ბალღმურთა სინედლისგან იქნების რომელ წელთა შიგან დაღბეს და აყროლდეს, ჰავად მოდნობისგან, ანუ მძიმეთა საქამადთაგან რომელ დია ექამოს და დაემეტოს.

ნიშანი გრძელისა და მოკლისა ჭიისა რომელ მუცელსა შიგან იყოს. გრძელისა ჭიისა ნიშანი იგი არს, რომელ პირსა წყალი დია სდამოდეს და ბუნება ეშლეზოდეს, მეტად მაშინ რომელ შიოდეს, ეგრე ეგონოს რომელ წელსა რაამე უკბენს, და ნიშანი მოკლისა ჭიისა იგი არს, რომელ გუამი ჰქავოდეს.

20) კურნება დიდისა და ცოტაასა ჭიისა იგი არს, იოჰანა იტყვის: ესე მანკი უფროასჯერ ბალღმიანთა კაცთა და ეგეთთა კაცთა შეეკნების რომელ უდნობი, გრილი საქამადი დია ექამოს, და წელთა შიგან დამბალ იყოს, და მისგნით სულეირი მძრომი დიაბაზდების და შეიკნების. და ყოველი მძრომი და სულეირი მის წელისა მისაფერად საზომითა იქნების. ვითა გრძელი ჭია საამა წელსა შიგან იქნების. და იგი უფართესი უფროა ზემოათ ყოველთა წელთა. და წერილი და ბრტყელი ჭია რომელ მას აყროასა თესლი ჰქვიან იგი ყოლინსა აავარსა წელსა შიგან იქნების და აავარიან თარგმანი მრუდი არს. და ესრე ორივე წელი საამა წელსა ქვეშეთ იქნების და სიფართითა და სიფირითა შუანი არიან. და წერილი ჭია მოსთაყიმსა წელსა შიგან იქნების და ყოველთა წელთაგან უფირესი და უქვეშესი არს. და სიდიდე და სიმცროა ჭიათა ადგილისა სიფართისა და სიწლოსგან იქნების. და გრძელთა

30) ჭიათა წამალი<sup>1)</sup> ეგეთითა წამლთა ხანს, რომელ მწარე და გამწმედელი იყოს წელთა ვითა ქაილდარვი და თირმისი, და სონხური შიპი და ქაბულური ბრინგი, და აფთიმონი და აბჰალი, და მწარე ყუსტი და აფსანთინი, ამათ ყოველთგან თუ ერთი წამალი ქამოს და თუ ორი სამისა დრამისა წონი, ოთხისა დრამისა წონამდენ მეტი ნუ, დანაყოს, წმიდად და თაფლითა ქამოს რომელ ჭია მოკლას. და ესე წამალი გრძელსა და მოკლესა ჭიასა მოპკლავს: ქაილდარვი სამისა დრამისა წონი, ბრინგი და თირმისი და თეთრი თურბიდი სამისა დრამისუ წონი, ყოველი დანაყოს და სამითა დრამისა წონითა თაფლითა და თბილითა წყლითა იხმაროს. და ნილდანა და თეთრი თურბიდი და თირმისი თვითოასა ოდენი ყოველი დანაყილი ოთხისა დრამისა წონი თბილითა წყლითა და ძმრითა და თაფლითა გაძრიოს და იხმაროს. და წერილი ჭიაა ძარბოასა წყლითა ანუ აფსანთინისა წყლითა ანუ

40) აბეკმაქითა ჰუყნაა უყოს. და ზეთისხილისა ზეთითა და ბედანჯირისა<sup>2)</sup> ზეთი აიპყრას ერგების, და ჭიათა მოპკლავს.

კურნება ჭიისა ქუდედანაასი რომელსა ჰქვიან აყროასა თესლი. არხიჯანოს იტყვის: ვითარება მისი ბალღამურისა სინედლისგან იქნების რომელ მრუდსა და ყოლინსა წელსა შიგან გამავრებული და დამბალ იყოს, მეტისა ბალღამურ-

<sup>1)</sup> უნდა იყოს „წამლობა“.  
<sup>2)</sup> ამ სიტყვას ქვემოდან უწერია მხედრული ზელით „პიტნა“.



რისა საქამადისაგან რომელ ეჭამოს, ვითა სძე და მაწონი, და ყველი ეხადეს და მხრობისა ხორცი, და ნაძღარი და პურქმული აბანოს მისრულ იყოს.

ნიშანი ჭიისა ქუდუდანიისაჲ. იგი არს, რომელ ეგრე ეგონოს ეამყამ თუ წელსა რაჲმე უკუნს, და ესე მანკი უფროსჯერ ყმაწვრილთა შეეკნების და ბაღღმონთა კაცთა, და ზაფრიანთა და სედიანთა არაოდეს შეეკნების, სიმბურვალისა მათისა ბუნებისაგან არ შეეკნების.

ქურნებაჲ ჭიისა ქუდუდანიასი: იგი არს, რომელ რაჲცა ნატიფი იყოს საქამადთა თანა მას ქამდეს. და აუჲანთინი და თურქული დრამინაჲ, და აფთიმონი და პიტნაჲ, და თირმისი და ჰარბოჲ, და ყურდემანაჲ და კალნაბისა თესლი, და სონიჯი რომელ ქამოს და მუცელსა შემოსდევს კარგი არს. და ატმისა ფურცელი დანაცოს და უბესა ზედა შემოსდევს ერგების. და ძირაჲ და...<sup>1)</sup> ქერქი და შგაეისა ბროწყელისა ქერქი მას ერგების და ამას მანკსა ესე წამალი ერგების ვითარებაჲ მისი: თირმისი და ბრინგი ქაბულური, და ყუნაბელი თვითოასაგან სამისა დრამისა წონი, ყუელა დანაყილი და გაცრილი ერთგან გაპრიოს და ხუთისა დრამისა წონი მისგნით უზმამან იხმაროს ერგების, და ესე წამალი ჩუენ გამოვეციდია უკეთესი არს უჭიროთ ჩამოიღებს აყიროჲსა თესლსა ჭიისა, ვითარებაჲ მისი: რასინისა ნედლისა ძირი დანაყოს და სამი უკიაჲ წყალი მისი სჴას.

თემით ყურაჲ იტყვის: რაჲ უბე იგრებოდეს და მუცელი სტკიოდეს და ბუნებაჲ ჰავად ედვას მანკი იგი არს, რომელ ჭია გაზრავლებულ იყოს და საშიშოჲ იქნების, რომელ წელთაგან სტომაცსა ამოვიდენ ჭიანი. ქურნებაჲ იგი არს, რომელ სპანძელი და 20) აბეკმაქი საქამადსა შიგან იხმაროს. და თუ შეიდისა დრამისა წონი ბრინგი ქერქ შეხდელი უზმამან შექამოს ჭიისა აყიროჲსა თესლსა ჩამოიღებს. მაგრა ეგრე ხაშს რომელ წამალსა აღებაჲსა წინაჲთ ორსა დღესა პურსა გაზობარსა სძითა ქამდეს, და მაშინ ვითა გვითქვამს წამალი აიღოს. და სძე და მაწონი და ახალი თევზი და რაჲცა ამას ჰგვანდეს არ აშუნია, ერიდებოდეს. და მუხუდაჲ და კალიაჲ მხურვალითა სახელუბლითა მქენილი ქამოს, ერგების.

**რჩხ. ბავასირი და თუთია რომელ ბჭამსა შიგან იხმაროს.** ვითარებაჲ ბევასირისაჲ. იოჰანა იტყვის: ბევასირი სამი ფერი არს, ერთი მათგან გრძელი იქნების და ცოტასა ფუტკარსა ჰგავს, და სხვაჲ მრგვალი არს ვითა ყურძნისა <sup>2)</sup> მარკულაჲ, მესამე თუთასა ჰგავს და ყოვლისაგან უფარესი იგი იქნების, დამწუარისა სისხლისაგან იქნების.

ნიშანი ბევასირისა რაჲ გჭამსა შიგან განოჩნდეს. იგი არს, რომელ ხორცმეტი გჭანსა ზედა გაზრდილ იყოს და მისგნით სისხლი წრდებოდეს. და იქნების რომელ სისხლი არ მოვიდოდეს, და იქნების რომელ გჭამსა შიგნით იყოს და არა ჩნდეს, და მას ლაიბაჲ ჰქვიან არაბულად, თარგმანი მისი უზინარი და გჭამსა მყადი ჰქვიან.

ქურნებაჲ ბევასირისა მანკისაჲ. იოჰანა იტყვის: მიწყით მის გნით სისხლი დიოდეს და არას აწყენდეს კაცსა, მას სისხლსა უკუყენებაჲ არა ხაშს, რომელ მორქული იქნების ღვიძლისა სიმსივნესა. ვიდრე იგი სისხლი დიოდეს და არას აწყენდეს არცა ისთისყაჲ შეიქნების, არცა გჭამისა სიმსივნე. მაგრა თუ დაუსუსტრებდეს მაშინ ხაშს უკუყენებაჲ მისი და ქურნებაჲ მისი ქაპრაბაჲთა არს, ანუ ეაშლისა შარაბითა და გვარიშნსა რიმშაჲნისასა იხმარებდეს, და რიმშაჲნი რკინისა წიდასა ჰქვიან. და თუ გჭაჲი უსიყდეს და სტკივოდეს ბასალიყი გიხსნას, და განდინაჲ და შემგბარი ხახვი, და აქლილალმალაქი და 40) ბაღბაჲ, და აჲიონი და კვერცხისა ყვითელი ქათმის ცმელითა, და ვარდის ზეთითა და ყვითლითა ცვილითა მალჰამად შექნას და ნელი ზედა შემოსდევს. და მაშინ ტფილსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და ზროხის ხორცსა და ოსპსა და კალნაბაჲ და სასეგდოჲთა საქამადთა ერიდებოდეს. და დიაცსა ნუ დაეკარების. და ქათმის ხორცი შურვათა ქამოს ანუ ბატკნის ხორცი, და ეამყამად არწყევდეს, და მუყლი გჭამსა ქვეშეთ იკმოლოს და მუყლისა მაჯუნი იხმაროს.

<sup>1)</sup> აქ სიტყვაჲ გამოტოვებული დაახლოებით 7 ასოიანი [აყიროისა].  
<sup>2)</sup> ან გვერდის ქვეშე ამოიწერებულთა სათვალავი სწერია „ლე“ და შემდეგ გვერდის ხეშო ამოიწერ „ლე“



მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: რომელ ბევასირსა ეგრე ეგრე ერგების ვითა მუყლი, სისხლსა უკუაყენებს და ტკივილსა გააგდებებებს ვითარებაჲ სინსთი (ვალიჲ) დამწერი და შიფი ჰალილაჲ და ბალილაჲ და ამოლაჲ თვითთასგან ნაწილი ერთი, ძოწი და ქაპარბაჲ ნახევარ დანაყილი და დამწუარი თვითთასგან ნახევარი ნაწილი, ყველაჲ დანაყილი აქლემის დემითა შეზილოს, ქჰანი <sup>1)</sup> ჰქეიან ზურგსა ზედა რომელ მჯდომად არს, და თალარი გახვრიტოს და ზედა დაჯდეს და ქტეშეთ იკმოლოს. და თუ სელისა ზეთი საწაშლეთა შიგან ჩაახხას და ერთი კბილი ნიორი ქერქ შეხდილი შიგან ჩააგდოს და აღულოს, მუნამდე რომელ გაწითლდეს, და მალჰამად შექნას და ტკივილსა ზედა შემოსდვას ერგების, და ტკივილსა დააგდებს.

10 თუთაჲსა ბევასირისა კურნებაჲ რომელ გტამსა შიგან იყოს. იცოდე რომელ თუთაჲ ბევასირი სქელისა სისხლისგან იქნების, რომელ დამწუარი იყოს ნეტისა საქამადისა მხურვალისა და ფიცხელისა ქანისგან, ვითა ნიორი და ხახვი, და განდანაჲ სპრასა და პილპილი, და რაჲცა მათი მსგაესი იყოს, მაშინ ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი თუთაჲსა ბევასირისა რომელ გტამსა შიგან გამოჩნდების. იგი არს, რომელ მეტი ხორცი და სუსტი გამოსრული იყოს, და თავი მისი მრგვალი იყოს და ტანი მისი წყრილი ვითა თუთაჲ, და ამისთვია არაბულად მას თუთაჲ ჰქეიან.

კურნებაჲ ნისი. აბუჯარიჲ იტყვის: იგი არს, რომელ ძირით მოჰყუეთონ და თუ მაგარი იყოს ლუდედისა ებრ ერთობით ღნდა მოკტეთაჲ, რომელ ჰავი და საძულელი და მავნი იქნების. და თუ მოკტეთასა უკანით სისხლი დია წასრულ იყოს და არ დადგე-  
20 ბოდეს თეთრი არჯასჲ და აყაყიაჲ, და ბროწეულისა ყუბილი და წისქვილის მტვერი ერთგან გაპრიოს და ზედა შემოაყაროს, რომელ სისხლი უკუაყენონ. და რაჲ კარგად მოიკვეთოს და ღრუად იყოს და არ გაუშვას რომელ სისხლი გამოვიდეს, მაშინ გასივდების და ასტკივდების, ეგრე რომელ ფსელი და განავალი უკუდგეს.

კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ მალბისა ფურცელი და სელი და კალნაბიაჲ ფურცელი წყლითა შეაბგოს და მას წყალსა ნელსა შიგან ჩაჯდეს, რომელ ტკივილი დასწყნარდეს. და თუ მანკი შეაბგოს და სისხლი არ დია სდიოდეს ბასალიყი გაიხსნას, და თეთრი ხახვი შეაბგოს და ზედა შემოსდვას, ანუ კევრცხისა ყვითლითა შემოდებითა იხარკოს. და სამსა დღესა სასწამად საქამადსა უმცროჲ ქამდეს რომელ ფსელი და განავალი არას აწყენდეს და სიმსიენე დაჯდეს. და თუ ამითა ანუ აბრეშუშითა წმიდითა შეკრას კარგი  
30 არს თვით დაჰვარდების. მაშინ დიცხელი წამალი შემოაყარონ რომელ გაზავდეს, და კალნაბაჲ წყლითა შეაბგოს და ვარდისა ზეთითა შეზილოს და ზედა შემოსდვას რომელ ჩამოიკრეს. და თუ ასტკივდეს და სიმსიენე ემატოს მოჰყვეთოს, რომელ მახვილი უადვილე და უფროჲ მშვიდობისაჲ იქნების, მისგან, რომელ წამალი შემოაყაროს. ეგრე ხამს, რომელ პირველ ბასალიყი გაიხსნას ერგების. და ზოგნი თუთაჲსა ბევასირსა უკმოლებენ რომელ გაშავდეს და ჩამოჰვარდეს, მაშინ ერბოჲსა სცხებენ და თუთრითა მალჰანიითა, და კევრცხითა და ვარდის ზეთითა ჰკურნებენ.

რამჲ. ნასორი და დანაყილოგაჲ რომელ გტამსა შიგან იყოს. ვითარებაჲ ნასორისა. დევჯანის იტყვის: ესე მანკი სიწყლულისგან იქნების, რომელ დაძველებულ იყოს და მანკსა შოერინეს, მეტად დამპლისა და მყრალისა სინედლისაგან, რომელ ბუნებისა ძალსა  
40 და სიმხურვალესა მას ადგილისაჲენ მიეძალოს.

ნიშანი გტამისა ნასორისაჲ იგი არს, რომელ მისგნით მყრალი თხამლი ჩამოვიდოდეს და სნეულისგან ქარი მისდა ღნებლიათ გამოვიდოდეს, მეტისა გტამისა უსუსურობისგან და შეწუხებისა და უძალო ქნილებისაგან არს.

1) შეცდომაჲ, უნდა იყოს „ვარი“.  
2) ქონი.

კურნება გუამისა ნასორისაჲ. იგი არს, რომელ რაჲ მკრალი თხამლი ჩამოვიდოდეს და ცოტაჲ იყოს უადვილესი არს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მძიმეთა და ჰავთა და უღნობთა გრიდებოდეს და მალჰამაჲ, რომელ ხორცსა ზრდიდეს, ზედა შემოსდეს ვითა ფისისაჲ მალჰამაჲ და მსგავსი მისი. ანუ წყალი რომელ შიგან დამკრველი წამალი შემგებარ იყოს, ვითა გუნდაჲ და ჩანჩაჭი და სხვაჲ ზედა შემოსდეს. და თუ მისგნით მკრალი თხამლი დია მოვიდოდეს ფიცხელი წამალი შემოსდეს ვითა ქანგარისა მალჰამაჲ, რომელ იგი დამპალი ხორცი გაადნოს, ანუ მაკრატლითა მოჰყუეთოს თუ გუამსა ვარეთ იყოს. მაშა თუ შიგნით იყოს და კარგად არა ჩნდეს, არა ხამს მოკვეთა, თუ არა მაშინ განავალი უნებლიე განოვალს. და თუ სწადდეს რომელ წამლითა იკურნოს ეგრე ხამს, რომელ ხმელი წამალი ძველითა ბანბითა შემოსდეს, და მაშინ კარაჭი და ძველი ერბოჲ შემოსდეს რომელ გაწმიდოს.

ბაყრატი იტყვის: ესე მალჰამაჲ იხმაროს ვითარებაჲ მისი: ფისი ხუთისა დრამისა წონი, ნიგეზისა ზეთი შვიდი დრამისა წონი, ფისი ერბოთა გაადნოს და მაშინ იფიონი და გუნდაჲსა ქერქი და ყანსუმი თვითოჲსაგან დრამისა წონი ერთი, ყოველი დანაყილი ფისსა და ერბოჲსა თანა გაპრიოს, და ცოტაჲ ვეცხლისა ნაგლილი და თეთრისა იასამინისა ზეთი შიგან ჩაურთოს, და ბატრუკსა ზედა შესცხოს, და მანკისა ადგილსა შემოსდეს დია ერგების. და ესე წამალი სხვაჲ გამოვეიცდია, ამას მანკსა ერგების ლიპითა თაისისა, ვითაჲცა ვაცი-სა წვერისა აფშარაჲ ოთხისა დრამისა წონი, თეთრი საკმელი დანაყილი ექვისისა დრამისა წონი, ორივე ყურძნისა ტკბილსა შიგან დაალბოს, და ტილოსა მწვარსა შიგან შესცხოს და ზედა შემოსდეს.

ვითარებაჲ გუამისა დანაყილობისაჲ. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი სიღმოჲსა უკანით შეიქნების, გასარეველისა საზაფროჲსა ფიცხელისგან იქნების, ანუ მეტისა სიხმელისაგან რომელ გუამისაჲდა მორეულ იყოს, მაშინ ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ეწუოდეს, და სისხლი მისგან ჩაჰოვიდოდეს და სტკივოდეს მაშინ, რაჲ ხმელი რაჲმე ეტამოს, ვითა აპუბტი და ხმელი ყველი და მსგავსი მისი.

კურნებაჲ გუამისა დანაყილობისაჲ იგი არს, რომელ სპეტისა მალჰამაჲ კვერცხისა თეთრსა და ქათურსა და ვარდისა ზეთსა თანა, და მეშაჰარისა წყალსა თანა გაპრიოს, და ზედა შემოსდეს. და მაშინ ასფარამთა წყალსა შიგან ჩაჯდეს მაშენი. თუ მანკსა თანა სიმზურვალე დია იყოს კვერცხისა ყვითელი და ზროხის წვივისა ტვინი და ცმელი ქათმისაჲ, და ქათირაჲ დანიშასტავი, და იფიონი და სომხური მიწაჲ, და თეთრი ცვილი და ერბოჲ ერთგან გაპრიოს და მალჰამად შექნას, და მანკისა ადგილსა შემოსდეს. და საჰამაღსა დია ანუ ჰამსა და ლეინოჲსა და თაფლიანსა ერთებოდეს, და მაზრაყატუნსა ქულაბითა სტმიდეს. და საჰამაღსა შურვასა იხმარებდეს რომელ ვარიითაჲ შექნილ იყოს, ანუ ასფანახისა შურწყოჲსა.

თებით ყურაჲ იტყვის: რაჲ კაცი მზურვალ ბუნებაჲ იყოს და დანაყილობაჲ სიმსივნისა ემსა იქნას, ხელი გაიხსნას, და თეთრი მალჰამაჲ შემოსდეს. და რაჲცა სიმზურვალე და სიმსივნე არ ერთოს იგი არს, რომელ კვერცხისა ყვითელი ზედა შემოსდეს და მუყილი ცმელითა დანაყოს და უკმოლოს კარგი არს. და თუ დანაყილობაჲ ძველი იყოს ხამს რომელ დია მოფხანოს, რომელ სისხლი დია ჩამოვიდეს. და ბასალიყონისა მალჰამით ჰკურნოს და ქათმის ცმელი და ბატის ცმელი ქათირაჲსა თანა გაპრიოს და ცოტაჲსა ხანსა თაფლისა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და მაშინ ზედა შემოსდეს.

მუჰამედ ბაქარიასძე იტყვის: რაჲ მანკი სიმზურვალითა ნიშნითა იყოს თეთრი მალჰამაჲ იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი ცვილი და ხირისა ზეთი ანუ იასამინისა ზეთი და ქათმისა ცმელი თვითოჲსა ოდენი, ქათირაჲ თვითოჲსა ნახევრისა ოდენი, ყოველი ერთგან გაპრიოს და დანაყილსა ზედა შესცხოს. და რაჲ ტკივილი გაუძნელდეს ბაღბისა





ძარი და ფურცელი მისი, და სელი და ბაბუნაა რომელიცა პოვოს ბანგისა წყლითა წებ-  
გოს, და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს და ხანი დაყოს, ერგების.

**აგვ. სიწყულულე გუამისა ანუ ძარღვისა თავი რომელ შიგან გახსნილ იქოს.** ვითა-  
რებდა გუამისა სიწყულულისა. არხიჯანოს იტყვის: სიწყულულე მისი ზაფრულისა  
ფიცხელის სიმსივნისაგან იქნების რომელ მეტისა სიფიცხისაგან გააწყულულოს, ანუ გასარევე-  
ლისა ბალღამურისაგან იქნების ანუ ძნელად დანაყოლობისაგან იქნების, რომელ ღრულ ჩას-  
რულ იყოს.

ნიშანი გუამისა სიწყულულისა. რაიაცა ზაფრულისა ფიცხელისა სიმსივნის-  
საგან იყოს იგი არს, რომელ ეწეოდეს და ტკივილი ისრისაებრ სცემდეს. და ნიშანი მისი  
10 რააცა ბაგრუქულისა ბალღამისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით მისგან თხამლი მოვი-  
დოდეს მოუწყვედელი.

კურნება გუამისა სიწყულულისა. არხიჯანოს იტყვის: იგი არს, რო-  
მელ მანკისა ადგილსა ნიადაგ ასუარამისა წყლითა ბანდეს და მურდასანგისა მალჰამაჲ შე-  
მოსდვას, და ესე წამალი იხმაროს ვითარებდა მისი: ზროხის წვივისა ტენი და სპეტისა მა-  
ლჰამაჲ ყოველი ერთგან გაპრიოს და იისა ზეთითა შეზილოს და ცოტაჲ აფიონი გაპრიოს  
და მანკისა ადგილსა შემოსდვას.

ჯალინოს იტყვის: თუ ესე მანკი გასარეველისა ბალღამურისაგან იყოს კურნე-  
ბაჲ მისი იგი არს, რომელ ზროხისა წვივისა ტენი და ყვითელი ცვილი თვითოასაგან ათ-  
ისა დრამისა წონი, ფისი ხუთისა დრამისა წონი, სპეტი და ზურდასანგი თვითოასაგან სა-  
20 მისა დრამისა წონი, ეარდისა ზეთი ოთხისა დრამისა წონი, ყოველი ერთგან გააღნოს და  
სპეტი და მურდასანგი დანაყოილი შიგან გაპრიოს და მალჰამად შექნას, და რაჲ მოეხმაროს  
მანკისა ადგილსა შემოსდვას. და თუ მანკი დანაყოილობისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს,  
რომელ ზროხის წვივისა ტენი და ირმის ცმელი თვითოასაგან ათის დრამისა წონი, ცვი-  
ლი ხუთისა დრამისა წონი, თეთრი მუშიაჲ სამისა დრამისა წონი <sup>1)</sup> ცვილი იისა ზეთითა  
გააღნოს და ესე დანაყოილი წამალი გაპრიოს რომელ მალჰამად შეიქნას და მანკისა ადგილ-  
სა იცხოს. და თუ მანკი და დანაყოილობაჲ სიმზურვალითა იყოს სპეტისა მალჰამაჲ რომელ  
კვერცხისა თეთრითა და ქაფურითა შექნილ იყოს იხმაროს. და ძალის ყურძნისა წყალი  
და ბალბის ფურცლისა წყალი, და კატკატოჲსა წყალი და თეთრი ცვილი, ვარდისა ზეთი-  
თა გააღნოს და ამა წყალთა თანა გაპრიოს და ყოველი ავანსა შიგან გაგალოს და მაშინ  
30 მანკისა ადგილსა ზედა იცხებდეს ერგების, და ნატიფთა საჭამადთა ქამდეს.

**ვითარებაჲ ძარღვისა თავისა გახსნილ გუამსა შიგან.** მუჰამედ იტყვის: ესე საქ-  
მე ორჯერად იქნების. ერთი იგი არს, რომელ სისხლი მისგნით ცვარად დაწუთებინს. და მე-  
ორე იგი არს, რომელ სისხლი დია გამოჲა მისგან და იგი სისხლისა სიმრავლისაგან იქნე-  
ბის, რომელ ძარღვისა შიგან სისხლი დია იყოს.

კურნებაჲ <sup>2)</sup> ძარღვის თავისა გახსნილ გუამსა შიგან. რაჲ სნეული  
ფსუსურად იყოს მეტისა სისხლისგან რომელ მისგნით მოსრულ იყოს ნიშანი მისი იგი არს,  
რომელ გული იფეთქდეს და ფერი ყვითლად იყოს მისი, და მუხლისა თავნი გაუსუსთდენ  
სნეულსა.

კურნებაჲ მისი. მუჰამედ ზაქარიაჲსძე [იტყვის]: იგი არს, რომელ ქაჰ-  
40 რაბაჲსა ყურის იხმაროს ანუ ფილონიჲსა მჯუჲნი რომელიცა იყოს თუთუბისა წყლითა იხ-  
მაროს, და საჭამადსა გრილსა და შიმრგელთა ქამდეს ვითა ისრამი და თუთუბაჲ. და იქნე-  
ბის რომელ ესე სისხლი ზოგჯერ მოვიდოდეს და ზოგჯერ უკუდგებოდეს, ვერე ხამს რო-  
მელ წინაჲსეჲ რაჲ სისხლისა დენისა რიგი არ იყოს ბასალიყი ვაიხსნას, და ეგეთთა რაჲსმე

<sup>1)</sup> ამ სიტყვის შემდეგ სწერია „ყოველი ერთგან გააღნოს“ — ეს წინადადება პუნქტირშია ჩასმული.  
<sup>2)</sup> ამ სიტყვის ნიშანი უხის და აშიაზე დედნის ბელით სწერია „ნიშანი“.

რომელ სისხლსა ამხურველებდეს ცრიდებოდეს. და თუ სისხლისა დენა საზომისაგან გარდ-  
ვიდეს უკუყენებისათვის დია იხრაკოს რომელ ისთისყად არ შეექნას სიღაფღაფე.

იოჰანა იტყვის: ვიდრე სნეული არ დაუსუსრდეს და ფერი აღგილობასა იყრ-  
ნუ შეპკრავსო, და რაა დაუსუსრდეს და მუხლნი დაუსუსთდნენ და ფერი წაუვიდეს მაშინ  
თუ არ უკუაყენონ ისთისყადაგან საშიშოა არს. და ესე ყურსი ქაპრაბაჲსი ესრე მას ერ-  
გების: ქაპრაბაჲ და გომიზი არაბული, და ლაქი და ბროწეულისა ყუბიელი, და გუნდაჲ  
თვითომაგან ხუთისა დრამისა წონი, თეთრი საკმელი ორისა დრამისა წონი, ყოველი ორი-  
თა უკიათა თუთუბისა წყლითა შეაბგოს რომელ წყალი გაუწითლდეს და მაშინ იხმარებ-  
დეს. და თუ ქაპრაბაჲ და გომიზი ხიგეზისაჲ ვერ პოოს, სანდაროსი მისდა ნაცვლად იხმა-  
10 როს. და ესე წამალი სხვაჲ ჩვენ გამოგვიცდია ამა ქირსა ერგების, ვითარებჲა მისი: გუნ-  
დაჲ და თეთრი საკმელი და ბროწეულისა წყალი და რკინისა წიდაჲ თვითომაგან ხუთისა  
დრამისა წონი, მასტაქე დრამისა წონი და ნახევარი, აფთიმონი ხუთი დანგი, ბანგისა თეს-  
ლი დრამისა წონი ერთი, ყოველ დანაყილი თაფლითა შეზალოს და მისგნით ორისა ანუ  
სამისა დრამისა წონი ქამოს და მაშინ თუთუბისა წყალსა სმიდეს. და ესე შაფი აიპყრას  
მურდანანგი და ხონისიაოშანი, და სპეტი და ქალადი დამწვარი, და მიწაჲ სომხური და  
აყუყუაჲ თვითომაგან დრამისა წონი ერთი, ყოველი შაფად შექნას და იხმარებდეს დია  
კარგი არს, და მარგებელი შეწყენითა ღმრთისათა.

რმთ. გუამისა სიმსივნე და სისუსტე და გამოცვლა მისი. და ძაფილი. ვითარებჲა გუა-  
მისა სიმსივნისა და სისუსტისაჲ. იოჰანა იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა გასარევე-  
20 ლისაგან იქნების, რომელ მოგრისს, ანუ გლუსუნისა ბალღმისაგან იქნების. და სისუსტე გუ-  
ამისა მისგან იქნების, რომელ სათმე ზურგსა ზედა დაეცეს ანუ დიდი ჭირი ენახოს.

ნიშანი გუამისა სიმსივნისა და სისუსტისა. რაჲცა მხურვალისა და  
ფიცხელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ დია სტკივოდეს და ფსელი იწთებო-  
დეს და თუ სიმსივნე ბალღამური იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ თეტრი და სუსთი  
იყოს, და რაჲცა დაცემისა და ნაკრავისაგან იყოს ცოცოტად გამოჩნდების.

კურნებჲა სიმსივნისა და სისუსტისა გუამისაჲ: იგი არს, რომელ ბა-  
სალიყი გაიხსნას და გრილსა საქამადთა ქამდეს. და ოსპი და აქლილალმლიქი, და ძაღლის  
ყურწისა ფურცელი და იაჲ ხნელი, ყველაჲ წყლითა აღულოს ეგრე რომელ წყალი წავიდეს,  
და მაშინ იისა ზეთი და კვერცხისა ყვითელი და მეშპართა წყალი შიგან ჩაურთოს და  
30 მანკისა აღვილსა შემოსდვას. და ესე სავაჲ შემოსადებელი ვითარებჲა მისი: სპეტი ხუთისა  
დრამისა წონი, თეთრი საკმელი დრამისა წონი და ნახევარი, იყლეშიაჲ წმიდისა ვერცხლისა  
ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ვარდისა ზეთითა და არდისა წყლითა და კიტ-  
რისა წყლითა და მეშპართა წყლითა ავანსა შიგან გაგალოს და მანკისა აღვილსა შე-  
მოსდვას. და თუ სიმსივნე ბალღამური იყოს კურნებჲა მისი იგი არს, რომელ ბაჭისა ცმე-  
ლი და კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი ანუ იასამინისა ზეთითა ერთგან გაპრიოს და  
ზედა შესცხოს. და ასფარამთა წყლითა თბილითა იბანდეს მას აღვილსა.

მასარაჯოჲა იტყვის: გუამისა სისუსტისა კურნებჲა რაჲ ნაკრავისაგან იყოს  
იგი არს, რომელ ქვეითსა საკციელთა ზურგთა, ჰკურნებდენ ევე გუარითა წამლითა, რომელ  
საფელინჯოთ გვეთქვა, და სარვისა ნიგოზი და საბრი, და მური და ჟუსტი, და სუნბული  
40 ყოველი წყლითა შეაბგოს და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს ერგების. და ესე შემოსადებელი  
კარგი არს, დაჰამიშთისა მარცხალი და ყუსტი და თეტრისა საკმლისა ქერქი თვითომა-  
გან ხუთისა დრამისა წონი, შუამე მიაჲ ექვისისა დრამისა წონი, საბრი და მური და აბალი  
და სარვისა თესლი და ვაჯი და წითელი ვარდი და შაბი იამანი თვითომაგან 1) ხუთისა  
დრამისა წონი, ზაფრანაჲ და ხაზლისა გული თვითომაგან ორისა დრამისა წონი, ყურდ-

1) ამ სიტყვას ხიშანი უხეს და აწიან სწერია დედნის ზელით „ოთხისა“.



განაა სამისა დრამისა წონი, პუტუტი <sup>1)</sup> და რამიქი და ბროწეულისა ყბაველი და სუნბული და აყიყია თვითოვსაგან ორისა დრამისა წონი და ნახევარი, მასთაქე დასუზი თვითოვსაგან სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ყუსტისა ზეთითა მანკისა აღვილსა შემოსდებდეს მიწყით.

ვითარებაა გჭამისა გამოსულისა და ქავილი მისი. მუჭამედ იტყვის: მეტისა სინედლისაგან იქნების რომელ მისდა მორევილ იყოს, ანუ მასქაჲსა უსუსურობისაგან იქნების, და ქავილი მისი ფიცხელისა სინედლისაგან იქნების, წერილთა კიათაგან იქნების, რომელ სტომაქით სინედლე წელთა მივიდეს და კიად ქნილი მუნ მივიდეს.

10 ნიშანი გჭამისა გამოსვლისა და ქავილი მისი იგი არს: გამოსტლისა თვით ცხადი არს მით რომელ ჩანს, და ნიშანი ქავილისა რაჲ სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ქავოდეს. და ნიშანი მისი რაჲცა წერილისა კიისგან იყოს იგი არს, რომელ ღამით უფროჲ ქავოდეს და ძნელად ქავოდეს.

კურნებაა გჭამისა გამოსულისა და ქავილისა მისისაჲ: იგი არს, რომელ გჭამი ვარდისა ზეთითა დააცხიბიანოს, და სპეტი და თეთრი არჯასპი და თვალთა საოლავი, და თეთრი საკმელი ყოველი წმიდად გაგალოს და ზედა შემოიყაროს. და აღვილსავე მისსა მიილოს. და თუ გუნდაჲ და ბროწეულისა ქერქი, და მორდისა ფურცელი და სარვიჲა ნიგოზი, ყოველი შეაბგოს ეგდენი რომელ წყალი მისი გაწითლდეს და მრავალჯერ მას წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. და გაზმაზვი და გუნდაჲ და სპეტი, და ვაცის წვერისა ატუშარაჲ და თეთრი საკმელი, და მური თვითოსაგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი და

20 გაკრილი დამკრველითა შარბითა გჭამი გამოირცხას და ცხე წამლები შემოიყაროს. და თუ ვარდი წითელი და ოსპი და, ძალის ყურძენი და თუთუბაჲ ყოველი წყლითა შეაბგოს და შიგან შემოჯდეს, და მანკისა აღვილი მით დაიბანოს, და ვარდისა ზეთითა და მურდასანგითა იხელდეს კარგი არს.

ისაკ იტყვის: ქავილი რომელ სინედლისაგან ფიცხელისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ საბრი ღვინითა გაადნოს და შესცხოს, ანუ ხელი ზოფაჲ ბატისა ცმელითა შეხილოს და შაფად ქნას და აიპყრას. და თუ თურბიდისა <sup>2)</sup> წყალი შესცხოს ქავილი რომელ სინედლისაგან იყოს დასწყენარდების. და თუ ვარდისა ზეთი და ძნარი, და საბრი და თეთრი ცვილი მალჰამად შექნას და მანკისა აღვილსა იცხებდეს კარგი არს. და კურნებაჲ მისი რომელ წერილთა კიათაგან იყოს იგი არს, რომელ ატმისა ფურცელი დანაყილი მუცელსა და უბესა შემოსდვას. ანუ მიწნიშისა გურკისა ზეთი ფელურისა პიტნასა წყლითა ბანბასა ზედა იცხოს და აიპყრას. და საბრი დანაყოს და ზროხისა ნავლელსა თანა გაპრიოს და ბანბასა ზედა იცხოს და აიპყრას. და თუ საბრი და ტყვანაჲსა წყალი და ღვინოჲ ძნელი მუცელსა და უბესა ზედა შემოსდვას კარგი არს. და უმჯობესი მისი იგი არს, რომელ აღავენი კამოს რომელ კიაჲ მოკლას ყოველი ვითა ამას წინათ გვითქვამს.

**ან. თიკამელისა ტივილი სიხუკვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.**

ვითარებაა მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი დია კამისგან იქნების რომელ მხურვალი და ხმელი დია ეჭამოს და ბუნებაჲ გაეჭავოს. ანუ თირკმელისა უსუსურობისაგან იქნების, და ეგრეცა მხურვალთა კამისაგან, რომელ დია ეჭამოს მხურვალი და ხმელი.

30 ნიშანი მისი რაჲცა სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ ფსელი წითელი იყოს და სწყუროდეს და დია მხურვალედ იყოს ღამით. და ნიშანი მისი რაჲცა მისისა უსუსურობისაგან იყოს რომელ ფსელი ხორცის წყალსა ჰგვანდეს და ზურგი სტივოდეს და დიაცისა ნდომად არ იყოს.

<sup>1)</sup> სწერია „პიტოტი“.  
<sup>2)</sup> სწერია „თურბიდა“.

კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილი-  
სა წყალი სტას და სიქანგუბინი და მიწყით კიტრისა გრძელისა წყალსა კრთმელსა ჰქვიან  
ბრინგი, იისა შარაბითა სმიდეს, და მეშბჰართა წყალი და ვარდისა წყალი და სანდალი  
ერთგან გაჰრიოს და მანკისა ადგილისა იცხოს, რომელ გავრილდეს, და ტკივილი დაუშვას  
და საჭამადსა ასუანახისა ურწყოასა ჰამდეს. და თუ არდი და ხეარტი ისრიმისა ურწყო-  
სა შიგან იხმაროს, კარგი არს.

მადანნი იტყვის: თირკმელისა სნებისაგან უვარესი იგი არს, რომელ სიმხურვა-  
ლით იყოს, და თუ აღრე არ მიესწრან ყოველი ასო გასუსთდების მეტისა სინედლისაგან  
რომელ კაცისაგან ჩამოვალს. და მრავალნი აქიმნი შესწუბდებიან ამას მანკსა შიგან, რომელ  
10 აგრე ეგონოს ნუ თუ ყოლინჯი არისო და დია მოსცთებიან შიგან აქიმნი. და ერთი ნიშა-  
ნი მისი იგი იქნების, რომელ რაა ყოლინჯსა შიგან სისხლი გაიხსნას დასწყნარდების, და  
თირკმელსა შიგან არ დასწყნარდების. კურნებაა მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რაასმე  
იხმარებოდეს რომელ ღვიძლსა გაუგრილებდეს ვითა ბაზრაცატუნი ანუ ქრთილისა წყალი  
იხმაროს, და მკავისა მაწონისა წყალი და მიწნიშისა წყალი. და ყოველთა მკავეთა და შემ-  
კრველთა ხილთა შარაბი, ვითა ბროწყელისა შარაბი და ვაშლისა შარაბი, და ტუტაასა  
შარაბი. და თუ სანდალი და ვარდის წყალი და ჯადური ერთგან გაგალოს და ტილოსა  
მჭარბი მით დააყოლოს და თირკმელსა შემოსდვას კარგი არს.

მუჰამედ ზაქარიას ძე ი [ტყვის]: კურნებაა მისი რააცა თირკმელისა უსუ-  
რობისაგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას მუნითვე რომელ ტკივილი იყოს, და  
20 თუ მანკი ძლიერად არ იყოს მარჯვნივ ბასალიყი გაიხსნას, და ესე წამალი მანკისა ადგი-  
ლსა ზედა იცხოს რომელ თირკმელი განძლიეროს, ვითარებაა მისი: ვარდი წითელი და  
სანდალი, და ყაბაა და რამიქი და მორდი თვითთასგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი  
ერბოსა და ძმარსა გალესოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას, ერგების დია შეწენითა  
ღმრთისათა.

ვითარებაა თირკმელისა ტკივილისა რაა სიგრილისაგან იყოს.  
ფოლის იტყვის: ესე მანკი რაა სიგრილისგან იყოს ვითარებაა მისი ბალღამურისა სი-  
გრილისაგან იქნების, რომელ დია ეჭამოს, ანუ სასვედოსა გასარეველისაგან რომელ ბუნებაა  
მისი გაეჭავოს და გაერყვნას და გაეგრილოს\*)

ნიშანი მისი. რაა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ფსელი თეთრი  
30 იყოს და წყურვილი არ იყო და დია სტკივოდეს, და ნიშანი მისი რააცა სასვედოსა გა-  
სარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ფსელი მისი ფერად წაფი იყოს, სევედისა ფერი.

კურნებაა მისი რაა სიგრილისაგან იყოს: იგი არს, რომელ რაა ბალღამი-  
საგან იყოს გულანგუბინი ჰამოს და თბილი წყალი სტას და მხურვალთა იხმარებოდეს  
ვითა თბილი და საბაზღანაა და ზანჯაბილი და ფუსტუყი და მსგზავსი მათი. და მუცელსა  
თეთრისა იასანინისა ზეთითა იხელდეს ანუ ღალიათა და საჭამადსა ხორცსა კალიითა ანუ  
ზირამაჯისა ურწყოასა ჰამდეს და თუ ამით [რომელ] გვითქვამს არ დასწყნარდეს მიშქა-  
დარვი ანუ მოფარაყისა მაჯუნი იხმაროს.

ბაყრატი იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ მხურვალთა შაფთა აიბყრო-  
დეს და ნუშის გული და თბილი და ნაძვისა ნაყოფი ყოველი დანაყილი შაქრითა ჰამოს  
40 და რასინისა ჰქვიან უკოს და ზურგსა მხურვალთა ზეთითა იხელდეს. და ჰირსა ნურას  
ჰნაბავს და დიაცა ნუ მოჰხნავს. და საჭამადსა შურვასა ჰამდეს რომელ ბატკნისა ხორცი-  
თა შექნილ იყოს და ჰარისისასა და მწვადსა ჰამდეს.

ისაქ იტყვის: კურნებაა მისი რომელ სასვედოსა გასარეველისაგან იყოს იგი არს,  
რომელ ეგეთთა რასნე ჰამდეს რომელ მანკისა დედასა გაუჩინარებდეს ვითა ყვითელი პალი-

\*) ამ გვერდის ბოლო ამაზე რეულთა სათუათაი სწერია „ლე“ და შემდეგ გვერდის ზემო ამა-  
ზე „ლზ“.



ლაჲ ორისა დრამისა წონი, დარიყონი დრამისა წონი, საყმონიაჲ ორი კერტი, <sup>საბჭო</sup> ორი დანგი, ყოველი დანაყილი თბილითა წყლითა იხმაროს დია კარგი არს. დამხურვალთა ზეთითა ჰუყანა ჟყოს ვითა ყუსტისა ზეთი, და საბზდანაჲსა ზეთი, და ფუსტუყისა ზეთი, და თუ მუყლი და ვაშაჲ და სიქაბენაჲ, და დათყასა ცმელი და ლომის ცმელი, და ირმისა ტვინი, ყოველი მალჰამად შექნას და მანკისა ადგილსა ზედა იცხებდეს ერგების. და თუ ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი და სელი ყოველი დანაყოს და ზედა შემოსდვას კარგი არს, სასველოჲთა საჭამადთა ერიდებოდეს და ნატიუთა მიელტვოდეს.

რნა. თირკმელისა სიმსივნე სიმსივნეაღლისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. ჰუ ნაჲნ იტყვის: ვითარებაჲ მისი სქელისა სიგრილისაგან იქნების რომელ თირკმელსა შიგან შეყრილ იყოს და ნოერიენეს, ანუ ზაფრანასა <sup>1)</sup> სასხლისაგან იქნების, და იქნებისცა რომელ ესე სიმსივნე ერთსა თირკმელსა შიგან იყოს, და იქნების რომელ ორსავე შიგან იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს, იგი არს, რომელ ამას მანკსა თანა ცხროჲ იყოს და ხელი და ფერხი ცივად იყოს და ფსელი წითლად იყოს, და თუ მანკისა სათაფროჲ ზაფრიანისა სისხლისგან იყოს, ფსელი ყვითელი ექნების და წყურვილიცა იყოს.

კუნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲ ცხროჲ ერთოს ბასალიყი გაიხსნას ტკივილისაჲ, და მაშინ ორთავე კიტრთა თესლი და აყიროჲსა თესლი, და არდისა თესლი და კატკატოჲსა თესლი, და კიტრისა და ნესვისა თესლი თვითო-საგან სამისა დრამისა წონი, თეთრი ხაშხაში ექვისისა დრამისა წონი, შავი ხაშხაში დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ერთგან გაჰრიოს და მისოდენი თეთრი შაქარი გაჰრიოს და ყოველთა დილაჲთა, მისგან სამისა დრამისა წონი იხმაროს. და მაშინ გრილისა წყლითა ჯულაბითა სმიდეს, და ქრთილისა წყალი ნუშისა ზეთითა იხმაროს, და კატკატოჲსა თესლისა წყალი იისა შარაბითა იხმაროს. და თუ თეთრი სანდალი ვარდის წყლითა გაგალოს და ზურგსა შესცხოს, ზურგსა გააგრილებს და ტკივილსა დააწყნარებს. და მამითაჲსა შაფი და არდისა წყალი და შეშხართა წყალი ვარდის წყალსა გაჰრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას, ერგების. და თუ ბუნებაჲ შეკრული იყოს ხიარ შამპრისა ფოლოსი ვარდის წყლითა სქას. და იისა შარაბი ბაზრაცატუნისა ლუაბსა გაჰრიოს და იხმაროს. და ყოლა არ ეგების თუ ძნელი წამალი მისცეს სნეულსა. და რაჲ მანკი გარდვიდეს მაშასა ჟრწყოჲ ანუ ასთა-ნახისაჲ ჟრწყოჲ ქამოს, და მიწყით ასფარამთა წყალი ზურგსა იცხოს ერგების.

რო ფის იტყვის: თუ სიმსივნე დიდი იყოს ტკივილითჲე ბასალიყი გაიხსნას, და თუ საზაფროჲსა სისხლისაგან იყოს ღბილი ჰუყანა ლუაბური ჟყოს, და დელამოტისა წყალი ხიარშამპრისა ფოლოსითა იხმაროს, და ქრთილისა წყალი იხმაროს. და არა ხამს რომელ ეგეთი რაჲმე შემოსდვას რომელ ფსელსა გაადენდეს ბუნამდე, რომელ შეიგნეს რომელ მანკი დალეულა, მაშინ ქათმის ცმელი და იისა ზეთი და თეთრი ცვილი მოშროლანად ქნას და მანკისა ადგილსა შესცხოს.

თირკმელისა სიმსივნისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. დეგჯანის იტყვის: ესე მანკი ზალჰამურისა გარევისაგან იქნების რომელ შორელ იყოს, ანუ მეტისა სასველოჲსა ხილტისაგან იქნების რომელ მისდა შოერიენეს, და გაძლიერებით იყოს და ესე იქნას.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მუცლისა შიგან ეძსიმებოდეს, და ტკივილი არ იყოს და ფსელი თეთრი იყოს. და ნიშანი მისი რომელ სასველოჲსა ხილტისაგან იყოს იგი არს, რომელ მუხლნი და ბარკალნი გაუსუსთდენ და ფსელი თხელი იყოს და სიშავითჲე იყოს ფერად.

1) ზაფრიანისა.



კორნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. ბალღამურისა სიმსივნისა კურნებაჲ იგი არს, რომელ გულანგუბინსა ჭამდეს და ხილთა წყლითა მუცელი დაიღობოს, და თარანგუბინითა და შირაბიწითთა. და მაშინ ბაბუნაჲ და სისანბარი და ღარისა ფურცელი და მარხანგოში ერთგან გაპრიოს და ზურგსა შემოსდვას. და საქამაღსა ზირაბაჯსა ჭამდეს და მაშინ ღურაჯისა ხორცი ანუ ვარიისა ხორცი კალითა ჭამოს. და მწვანეილითა თანა პიტნაჲ და ნიხური კანოს. და მხურვალსა შემოსდებდეს ვითა დაჰშიშითი და ღარისა ფურცელი, და დაჰშიშითისა ზეთი და ტეგანაჲ და ტეგანაჲსი<sup>1)</sup> ზეთი და რაჲცა ამას ჰგვანდეს.

10 ისაკ იტყვის: თუ მანკი სასეფდოჲსა ხილტისაგან იყოს მურისა თესლი და სელი, და ბაღბაჲსა თესლი, და გურქუნჩობისა თესლი ყოველი დანაყილი, სნეულისა ძალისა მის ფერად იხმარებდეს, და მანკისა ადგილსა ყუბატისა ზეთითა ანუ ფაჩარისა ბერძელისა ზეთითა იზღიდეს. და ბაბუნაჲ და აქლილმალაიჭი და სელი, და მუყლი და ვაშაჲ და სიქაბენაჲ, და დათვსა ცმელი ყოველი ერთგან გაპრიოს და მალჰამაჲ ვითა შექნას, და ზედა იცხებდეს კარგი არს.

ფოლის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ესე შემოსადებელი შემოსდვას ვითარებაჲ მისი: სელი და უღბოჲ თვითოჲსაგან ხუთისა დრამისა წონი, ბაღბაჲსა თესლი და კიტრი და შბითი და ბაბუნაჲ თვითოჲსაგან ოთხისა დრამისა წონი, ვაშაჲ და მუყლი და ილქალბატამ თვითოჲსაგან სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი თბილითა წყლითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას ერგებნის. და მიწყით ხილიონისა მალჰამაჲსა ზედა იცხებდეს, და სეფდიანთა საქამადთა ყრიდებოდეს და სიმსურვალესა მიელტვოდეს. და ბატისა ცმელი და ქაოზისა ცმელი ერთგან გაპრიოს რომელ მალჰამაჲ ვითა შექნას და პანკისა ადგილსა იცხებდეს, რომელ ადრე გამრთელდეს, და ნატიფთა საქამადთა მიელტვოდეს.

20 **466. თიკაჲმალისა სიყალულე და სისხლისა დენაჲ სარცხუენელისგან.** ვითარებაჲ მისი: მასოჲაჲს ძე იტყვის: ვითა სიწყლულე მისი ფიცხელისა ზაფრისაგან არს, ანუ გასარეველისაგან იქნებია რომელ გასქდეს<sup>2)</sup>. და სისხლისა დენისა ვითარებაჲ მისგან არს რომელ შილისა ადგილისაგან ჩაიჭრეს ანუ ძარღვი გაიხსნას.

ნიშანი სისხლისა დენისაჲ რვაასოცდაათ ხუთნეტისაგან<sup>3)</sup> იგი არს თირკმელისა სიწყლულისა რომელ მუცელი დიასტიკვოდეს, და სისალი გამოვიდოდეს ყსლისა გზასა, და ნიშანი მისი რომელ შიგან ძარღვი გახსნილ იყოს იგი არს, რომელ ერთხელ სისხლი გამოვიდეს დია.

30 **კურნებაჲ სისხლის დენისა და თირკმელისა სიწყლულისა.** კურნებაჲ იგი არს, რომელ: იისა შარაბი წყალსა გაპრიოს და იხმარებდეს უშმაჲ. და შაჰნარისა ბროწყულასა წყალი ფარისიაოშანთა თანა, და ორთავე კიტრთა თესლსა თანა, და ნესვისა თესლთა თანა, ყოველი ჯულაბსა გაპრიოს და ჭამოს. და თუ მანკი ძლიერად იყოს ცოტაჲ მანგისა თესლი დანაყილი ექნაჲსა ყურსსა თანა გაპრიოს და იხმაროს კარგი არს. და თუ სანღალი და ვარდის წყალი და გუნდაჲ და ძმარი ერთგან გაპრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას კარგი არს. და მწვანეილითა თანა ხავარტი და არდი და კატკატოჲსა ჭამდეს. და მანკისა ბოლოსა სომაური მიწაჲ და გომიზი არაბული და ქათირაჲ და მორდდანაჲ ხაშხაშისა, შარაბსა თანა გაპრიოს და იხმარებდეს და საქამადსა ზირაბაჯსა ჭამდეს. და თუ მანკსა ცბროჲ ერთოს საქამადსა ზირაბაჯსა ჭამდეს ვარიითა.

40 **ჯალინოს იტყვის:** სისხლისა დენისა კურნებაჲ იგი არს, რომელ ჭაჰრამბსა ყურსი და კაჰრული მიწაჲ, და ტარათითი და ვაცის წვერისა აფშარაჲ, ყოველი დანაყილი ლისანალჰამალისა წყლითა შეზილოს და იხმარებდეს. და ესე ყურსი სხვაჲ ვითარებაჲ მისი: აყროჲსა თესლი და კიტრისა თესლი ბადარანგისი, და ნიშისთავი და გომიზი არაბული, თვი-

1) აქ სიტყვის შემდეგ სწერია „ფურცელი“ და პუნქტირშია ჩასმული.  
 2) აქ ეს სიტყვა შედომით არის უნდა იყოს „გასქედესა“.  
 3) ხანჯესო ასოს სახელია ციფრებით.



თოხსგან სამისა დრამისა წონი, ბროწეულისა ყუთავილი ორისა დრამისა წონი, ვარდი წითელი და აყაყია თვითოხსგან მუთყალი ერთი, ქაპრაბაჲ დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი წყლითა შეზილოს და იხმარებდეს, ყურსად შექნილი თვითო მუტყალსა კატკატოხსა თესლისა წყლითა, ანუ თუთუბისა წყლითა. და ესე ყურსი სხვაჲ გამოგვიცდია ღია კარგი არს: კატკატოხსა თესლი და ორთავე კიტრთა თესლი, და ბაზრაცუენაჲ თვითოხსგან ხუთისა დრამისა წონი, ქათირაჲ და ნიშასთავი თვითოხსგან ოთხისა დრამისა წონი, აყაყიაჲ და მიწვაჲ ყუბროსული თვითოხსგან ორისა დრამისა წონი, ქაპრაბაჲ მუთყალი ერთი, ყოველი დანაყოს ბაზრაცუენისგან კიდე, და ხმარებისა ეამსა იხმარებდეს, ღია ერგების.

**თხამლისა ღებნა სატახეფისაგან ფსლისა მჯანსა.** ვითარებაჲ მისი. იოჰანი ა

10 იტყვის: ესე მანკი სინსიფენისაგან იქნების რომელ თირკმელსა შიგან გაიხსნას, ანუ დუბელისაგან ანუ სიწყულულისაგან, რომელ შიგან დაძველებულ იყოს, და რაზომცა უძველესი იყოს წყლული, თხამლი უმკრალესი იქნების.

ნიშანი მისგნით თხამლისა დენისაჲ. იგი არს, რომელ თუ სინსიფენე დუბელასგან იყოს რომელ შიგან გასქდეს ნიშანი იგი არს, რომელ თხამლი ერთობით გამოვიდეს, და ნიშანი მისი რაჲცა თირკმელისა სიწყულულისაგან იყოს იგი არს, რომელ თხამლი ცოტად გამოვიდოდეს და ძნელად ეწეოდეს.

კურნებაჲ თხამლისა მოსვლისაჲ. იგი არს, რომელ ესე ყურსი იხმაროს ერგების, ვითარებაჲ მისი: ორთავე კიტრთა თესლი, და ნესვისა თესლი და აყიროჲსა თესლი თვითოხსგან ხუთისა დრამისა წონი, ნიშასთავი და ნუში ქერქშეხდილი თვითოხსგან ოთხისა 20 სა დრამისა წონი, რუბასოსი ექვისისა დრამისა წონი, ბალბაჲსა თესლი და ხორფარასთისა თესლი და ჯალლორაჲ და ბეჭესა მარცუალი ვითამცა გული, და მამლაბისა გული ქერქ შეხდილი და თუსუბაჲსა თესლი და მწარე ნუში და ნუშისა გომიხი და ქათირაჲ სამისა დრამისა წონი, ბადიანისა თესლი ორისა დრამისა წონი, მთისა ნიახურისა თესლი დრაჰენისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი წყლითა შეზილოს და ყურსად ქნას თეთოჲ მისი ორი დრამისა წონი, და ერთი ყურსი შემგბრითა ღვინითა იხმაროს ერგების. და მუხუდისა წვეენსა ჰამდეს, და ჰაეთა და მძიმეთა საჭამადთა ერიდებოდეს და ჰამოთა და ნატიფთა მიელტვოდეს.

მასოჲს ძე იტყვის: ესე წამალი იხმაროს ვითარებაჲ მისი: ჰამადროსი და ჰამაფიტოჲსი თვითოხსგან ორისა დრამისა წონი, ასარონი და თეთრი პილბილი თვითოხსგან ხუთისა 30 დრამისა წონი, კილაჲმონი ორი დანგი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ორისა დრამისა წონი შემგბრითა ღვინითა იხმაროს. და საჭამადსა ჰასოჲსა ჰამდეს რომელ ნიშასთავისაგან შექნილ იყოს, ანუ სიმინდისა ფქვილისაგან შექრითა და ნუშის გულითა, იხმარებდეს. და ასღანახისა ურწყოჲსა ანუ ხორფარასთისა ურწყოჲსა ჰამდეს მამადთა და ოსპითა შექნილსა და კვერცხი ამოზაგებული და ნუშისა ზეთი და თეთრი ნაქარი და ხაშბაში დანაყილი და რაჲცა ანათ ჰგვანდეს იხმარებდეს. და რაჲ მანკი გარდვიდეს ღვინოჲ რომელ ღია წყალი ერთის სუას, რომელ მანკისა დედაჲ გაწმიდოს. და მძიმეთა და ჰაეთა საჭამადთა ერიდებოდეს ვითა ხმადი პური და ზროხისა ხორცი<sup>1)</sup> და მსგზავსი მისი. და ჰამოთა და ნატიფთა და სუბუქთა მიელტვოდეს.

**468. ძვალ ანუ ძვირაჲ რომელ თირკმელსა შიგან იყოს. ვითარებაჲ მისი.**

40 არბი ასიოს იტყვის: ესე მანკი ვასარეველისა სქელისა გაუმდნარისგან იქნების რომელ სინსიფენე ქნილი სინედლესა გაეხზოს, და მაშინ ქვაჲ ვითა შექნილ იყოს.

ნიშანი ქვისაჲ რომელ შიგან იყოს. იგი არს, რომელ ფსელი ცოცოტად გამოვიდოდეს და ეწვოდეს და იქნების რომელ ქვისა ნალეწისა ებრ გამოჰყვეს ფსელსა თანა და თირკმელი გამაგრდეს და ბარკალი ემძიმებოდეს.

1) აქ არას ჩამატებული დედნის ხელით „და აქლემისა ხორცი“



კურნებაა მისი. არბიასიოს იტყვის: იგი არს, რომელ მეწყით სავააზმანსა კამდეს და ამროსიაა და გოგირდისა წამალი, და ესე წამლები ფსელისა ვხანასა ვაწმედს და ქვასა ჩამოიღებს. და კიდევანთა წამალთაგან ნესვისა თესლი და ორსავე კიტრთა თესლი, და ხორფარაასთა თესლი და ნიახურისა თესლი, და სუდი და ძირაა და ნახუაჰი, და ბოლოკისა თესლი და მწარე ნუში, ამა ყოველთაგან რომელსა კამდეს ერგების. და ყოველი ერთგან გაპრიოს, და რაა დღე მისგნით დრამისა წონი, მით წყლითა რომელ ფარისიავოზანი შიგან აღდღებულ იყოს, იხმაროს, რომელ ქვაა თირკმელისგან დაღეწოს და ჩამოიღოს. და რასინი და აბეკმაჰი და რააცა ფსელსა აღენდეს მას კამდეს.

- ისაკ იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ესე წამლები იხმაროს თირკმელისა
- 10 ქვასა დაღეწს და ჩამოიღებს ვითარებაა მისი: კაპარისა ძირისა ქერქი და კიტრისა ძირი, და მწარე ნუში, და სალიხაა და სპანდი, მარიანისა საკმელსა პქვიან, და მრგვალი ზარავანდი თვითოვსაგან ნაწილი ერთი, მური ერთისა ნახევარისა ოდენი, მუყლი ნაწილი ერთი, მუყლი წყლითა დაალბოს და წამლები დანაყილი მით შეზილოს და ჰაბად ქნას, და რაა დღე სამისა დრამისა წონი რასინისა წყალი ანუ ბოლოკის ფურცლისა წყლითა კამოს. და თუ დანგი ერთი დანაყილი ღრიანკალი ამათ თანა გაპრიოს უმჯობესი, უძრიელესი არს. და ესე წამალი სხვაა გამოგვიცდია ჩვენ, კარგი არს: ნესვისა თესლი ქერქ შეზდილი ათისა დრამისა წონი, ნახუაჰი და ძირაა და ნიახურისა თესლი და ბოლოკისა თესლი და სუდი და მწარე ნუში თვითოვსაგან სამისა დრამისა წონი, ბოლოკისა წყლითა კამოს, უცილოდ ქვასა ჩამოიღებს. და მუხუდისა წყენსა კამდეს ზეთიანილისა ზეთითა. და რასინი და აბეკმაჰი და კაპარი მისთვის კარგი არს. და თუ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. ანუ მტომელსა ცხენსა შეჯდეს, ესე ყოველი ქვასა თირკმელით გამოიღებს.

ვითარებაა ქვიშისა რომელ თირკმელსა შიგან იყოს. ჯალინოს იტყვის: ვითა ბალღამურისა სქელისა სათაფროვსაგან იქნების, რომელ თირკმელსა შიგან ბუნებისა ძალაა მიეძალოს და მორევილ იყოს, მაგრა სათაფროა ქვისა გასარეველისა უფროვსი და უსქესი იქნების, სხვათა გასარეველთაგან.

ნიშანი ქვიშისა რომელ თირკმელსა შიგან იყოს. იგი არს რომელ ფსმისა ეამსა წითლისა ქვიშისა ებრ გამოვიდეს და თავიცა ეწყოდეს სარცხვენელისა, და იქნების რომელ საზარდული გასივდეს.

- კურნებაა ქვიშისა იგი არს, რომელ აქიმისგან ხამს, რომელ ესე მანკი
- 30 მართლად შეატყვას და გამოარჩიოს ამას მანკისა და ყოლინჯსა შუა, მით რომელ ორთავე მანკთა შუა ნიშანი ერთი არს, ნუ თუ ამით რომელ ამას მანკსა უძნელესი სტკივის თირკმელი ზურგისავე, და სხვაა ნიშანი იგი არს, რომელ ფსელსა თანა ქვიშაა განოვა. მაშაა რაა ესე მანკი სანიშნავად იყოს, სნეულსა დღივ მრავალჯერ აბანოს გაპვზავნიდეს და მიწყით ზურგსა იხელდეს ნარგასისა ანუ ცერეცოვსა ზეთითა, ერგების. და შქობაა და ბაბუნაა და აქლილალნილიქი და მარზანგოში, და ნიახური და გოგირდი, და ბალბისა თესლი და ფარისიავოზანი, ყოველი დანაყოს და აღულოს და შიგ შემოჯდეს კარგი არს, და თუ ხიარ შამბრისა ფოლოსი ნუშისა ზეთითა და იისა შარაბითა გაპრიოს და იხმაროს, კარგი არს.

- დეჯვანის იტყვის: ზურგსა ქათმისა ზეთითა იხელდეს და ამას წამალსა იხმარე-
- 40 ბდეს ნესვისა თესლი და კიტრისა თესლი თვითოვსაგან ათისა დრამისა წონი, ყლთისა თესლი და შქუპაასა თესლი და ბადიანისა თესლი და ტყენლისა გომიზი და ფარისიავოზანი თვითოვსაგან დრამისა წონი, ძირაასა და ბოლოკისა თესლი და ქირმანული ძირაა და სუდი თვითოვსაგან ნახევარისა დრამისა წონი ყოველი დანაყილი მუთყალი ერთი სიქანგუბინითა იხმაროს. და საქამადსა ზირაბაჯსა კამდეს ანუ ქათმისა ხორცსა შურვამათა შექნილსა, და ხმიადი პური და ზროხისა ხორცი და აქლების ხორცი, და სძე და მაწონი არ აშენია, ერთდოს და ესე სხვაა წამალი ვითარება მისი: ნესვისა თესლი და ორთავე





კატრთა თესლი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, ნიახურისა თესლი ორისა დრამისა წონი, ბადიანისა თესლი და დამწუარი კიქა თვითოასგან სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ხპარებისა ეჟმსა სამისა დრამისა წონი, მისგან სიქანგუბნიითა ეჟმოს კარგი არს.

**ჩნდ. უხელისა შთენა ცვაკცვაკად რომელსა ჰქვიან აკაგულად სალუსალბავლი.** ვითარება მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. არ ბიასიოს იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ ხმელისა და მხურვალისა გარევისაგან იქნების რომელ თირკმელსა შიგან შეყრილ იყოს და ბუნებაჲ ჰავად გაემხურვალოს, მეტიჲა ხმელისა საქამადთა შიგან რომელ ეჟმოს ხარბად.

10) ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს: იგი არს რომელ დია სწყუროდეს და ფსელი ცვარ ცვარად წთოდეს და სარცხენელი არ ეწვოდეს, და წყალი ვითაცა ესჟას ეგრევე დაუყოვნებლად აღრევე გამოვიდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. წამალი რომელ ნედლი და გრილი იყოს და ფსელსა აღენდეს იხმაროს და ესე წამალი მას ერგების: კატრისა თესლი და ნესვისა თესლი, და ბალანისა თესლი და ნიახურისა თესლი, და ხავარტისა თესლი და კატკატოასა თესლი თვითოასგან ნაწილი ერთი ყოველი დანაყილი შაქარსა გაპრიოს და მისგნით მიწყით ჰამდეს.

თებით ყურაჲ იტყვის: ხარკებაჲ ხამს მანკისა კურებისათვის რომელ რაჲ დაძველდების ბუშტისა დააწყულელს ეგრე ხამს, რომელ ქრთილისა წყლი და ხავარტი და არდი და აყიროჲ და ხოფარასთი იხმაროს, და ტფილსა წყალსა ჩაჯდებოდეს და ვარდისა ზეთი იცხოს, და ყოველთა სიმხურვალეთა ერიდოს. და მიწყით ბაზრაცატუნსა ვარდის ზეთითა ჰამდეს და სწორთა და სიმხურვალეთა, დამწყნარებელთა ჰამდეს.

20) მაყრატ იტყვის: ესე მანკი ძნელი არს და იშვითა ოდესჲე ერგების კურნებაჲ მეტად ბერბერთა კაცთა არა ერგების. და რაჲ ხმელისა და მხურვალისა ხილტისაგან ქნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თირკმელსა ძალი მისცეს ვითა ქრთილისა წყალი და ბროწეულისა წყალი და ისრიმისა წყალი გრილთა წყლათა იხმარებდეს, და ახლისა აყიროასა წყალი სიქანგუბნიითა და კატკატოასა თესლისა წყლითა, ხაშხაშისა შარბითა და ბაზრაცატუნისა ლუბითა, და ბროწეულისა წყლითა, და ტყემლისა წყალი ჯულაბითა იხმაროს კარგი არს, და რევასისა რუბი და ბეჰესა რუბი და ვაშლისა რუბი და ისრიმისა რუბი ესე ყოველი კარგი არს, და თუ ტანსა შიგან სისხლისა ნიშანი ნახოს მანკისა დასაწყისსა ბასალიკი გაიხსნას, და თუ სიმხურვალე დია იყოს ქაფურისა ყურსი ბროწეულისა წყლითა და ტაბაშირისა ყურსი ახლისა აყიროასა წყლითა იხმაროს, კარგი არს და მარგებელი.

ფსლისა წთენისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: ესე მანკი სიგრილისა და სინედლისაგან იქნების რომელ ბუშტისა შიგან დია შეყრილ იყოს და შეეწუხოს და იგი თეთრი ძარღვი რომელ ბუშტისა პირაჲ არს გაესუსთოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ესე მანკი უფროასი უმაწვრილთა და ყვერულთა და ბერთა კაცთა შეექმნების. მით რომელ სიგრილედ და სინედლედ ამათ უფროჲ მოერევის და ნიშანი მისი რომელ დია სწყუროდეს იგივე არს.

40) კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს რომელ მხურვალე მავუნ და ჯალინონისა იარაჲ იხმაროს, და ცოტასა ტარეფულსა ჰამდეს შაქრითა, და კრკოჲ თეთრითა საკმლითა ჰამოს. და ჩვენ გამოგვიცდია ესე წამალი კარგი არს ვითარებაჲ მისი: კრკოჲსა მარკუალი და თეთრისა საკმლისა ქერქი და ძირაჲ ქირმანული ყოველი დანაყილი სამისა დრამისა წონი ძველითა ღვინითა იხმაროს, და ესე სხვაჲ წამალი: ხმელისა მორდისა ფურცელი და თეთრი არჯასპი და ინისა ფურცელი და მური და თეთრი საკმელი

და ბროწეულისა ყუბავილი და გრკოა ყოველი ღვინითა შეაგბოს და უზმამან უკიაა ერთი იხმაროს. და თუ ძირაა და მრკვალი ყინტორიონი თვითთასაგან ხუთისა დრამისა წონი თბილითა წყლითა ქამოს, კარგი არს.

იოჰანა იტყვის: ესე წამალი ვინცა ფსელსა ვერ დაიჭირვიდეს ერგების: პალილაა და ბალილაა და ამოლაა თვითთასაგან ხუთისა დრამისა წონი, ყოველი თაფლითა შეზილოს და სამისა დოამისა წონი მჭედელთა წყლითა იხმაროს. და თუ გრკოა ძპრითა დაალბოს და მაშინ შეწყეს, და ათისა დრამისა წონი ეკრევე რასინი და პალილაა, რომელ წყლითა აღუღებულ იყოს ხმელითა იაათა ვითა გვითქვამს იხმაროს.

10 ისაკ იტყვის: ესე წამალი იხმაროს, სუდი და ეაჯი და რასინი და გრკოა თვითთასგან ორისა დრამისა წონი, მური სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი მისგნით ორისა დრამისა წონი იხმაროს სიქანგუბინითა. და თუ ოთხისა დრამისა წონი თეთრი საკმელი ორითა დრამის წონითა მაჰლაბითა ქამოს კარგი არს. და ესე ჰეყნაა უყოს: ბანისზეთი და ღარისა ზეთი, და თხილისა ზეთი და ფუსტუყი, და საბაზდანაა თვითთასგან ნაწილი ერთი, და ცოტაა შუშვი და წყალი ნაწილი ერთი გაჰრიოს და ჰეყნაა უყოს.

რ60: ფსელისა შეაჭულობაა რომელსა მძვინან არაბულად ანირალბაველი. ვითარებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. ისაკ იტყვის. ხმელისა და მხურვალისა გარევისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა თირკმელსა შიგან მიეძალოს, და რაა მოფრიოს მას ადგილსა ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს: იგი არს, რომელ მუცელი შე-  
20 კრვით <sup>1)</sup> და ლბილად იყოს, და ფერდი სტიკოვდეს, და დია სწყუროდეს და ზურგსა შუა სიმძიმე იყოს, და ფსელი სქელი და ყითელი იყოს, და ცხროაცა იყოს ამას მანკსა თანა <sup>2)</sup>

კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს: შეკრულობაა ფსელისა და წვაა მისი სიმხურვალისგან იქნების თადბირი მისი იგი არს, რომელ გრილი წამალი იხმაროს კატკატოასა თესლი და კიტრისა ბადარანგისა თესლი, და ნესვისა თესლი ბროწეულისა წარამსა გაჰრიოს და იხმაროს. და ბაზრაცატუნისა ლუაბი ხაშხაშისა შარიბითა იხმაროს. და ახლისა აყიროასა წყალი სიქანგუბინსა გაჰრიოს და იხმაროს ერგების. და ხაშხაშისა ყურსი ამას მანკსა ერგების. და არდის წყალი და ძაღლის ყურძნისა წყალი და მემბჰართა წყალი მას ერგების.

მადანი იტყვის: თუ ეს მანკი სიმხურვალისა და სიმხელისაგან იყოს ესე შემოს-  
30 დვას: იაა და ბაღბისა ფურცელი და ქაქნაა და ძაღლის ყურძენი ყოველი დანაყილი, ქრთილია ფქვილი და იისა ზეთი გაჰრიოს და მალჰიმად შექნას და ნელსა იხმარებდეს. და ესეცა შემოსადებელი კარგი არა ძაღლის ყურძენი და არდი და ქრთლისა ფქვილი, და ბაბუნაა და იაა, და სოსნისა ძირი და იისა ზეთი ყოველი მალჰამად შექნას და მანკისა ადგილსა შემოსდვას <sup>3)</sup>.

თებით ყურაა იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ორთავე კიტრთა თესლი და აყიროასა თესლი, და ბაბუნაა და ბაზრაცატუნისა ლუაბი, და იისა შარაბი და ნუშისა ზეთი, და ჯულაბი იხმაროს. და მიწყით სახარდულსა იისა ზეთითა გაშთფართა იზელდეს. და ეგეთთა რაასეუ რომელ ფსელსა აღენდეს საქამადიდცა და წამლადცა იხმარებდეს. და თუ ბეშტი უსიედეს და სტიკოვდეს და ისრისებრ სკემდეს მასალივი გაიბს-  
40 ნას და ქრთლისა წყალი და ბაზრაცატუნისა ლუაბი შეკრითა იხმაროს მიწყით.

ვითარებაა ფსელისა შეკრულობისაა რაა სიგრილისაგან იყოს: მასარაჯოა იტყვის: რომელ ბაღბისა სიგრილისგან იქნების გლუსუნი ბაღბი რო-

<sup>1)</sup> ამ სიტყვას საპი შერტილი უბის დი თაზე აწერია დედნის ხელათ „მაგრაღ“.

<sup>2)</sup> ამ გვერდის ქვემოთაზე რვეულთა სათვალავი სწერია „კიზ“ და შემდეგ გვერდია ზემოთაზე „კიზ“.

<sup>3)</sup> ამ სიტყვის შემდეგ მოელი წინადადება პუნქტორშია მოქცეული „აბუჯაოი“ იტყვის: თუ ესე მანკი უცხროვდ იყოს კურნებაა მისი იგი არს რომელ ქაქნასა უფრსა“.

მელ ბუშტსა შიგან შეიყაროს და ბუნება გაუგრილოს, ნით რომელ ბაღღმინი საქამდა  
დია ეყამოს და ბუშტი გაეგრილოს.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ფსელი თეთრი იყოს და ბუშტი გრილიდ იყოს და  
ცხრობ. არ ერთოს და ფსმისა ეამსა თხამლი გამოვიდოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ უხვამან გულან-  
გუბინი იხმაროს და ცოტა ტარფუული კამოს და მიწყით ხმელსა ლედესა და შავსა ჩამიჩსა  
კამდეს და მიწყით ბუშტსა ნარგისისა ზეთითა ანუ ბანისა ზეთითა იხელდეს. და თბილსა  
წყალსა ბუშტსა ზედა ისხმიდეს და საქამდასა მუხუდის წვეცსა კამდეს ანუ ტრედის ხუნდსა  
მუტანჯანითა შექნილსა.

10 აბუჯარიჲ იტყვის: თუ ეს მანკი უცხროოდ იყოს კურნებაჲ, მისი იგი არს,  
რომელ ქაქნახაჲ ყურსი და ველურისა სტაფილონისა თესლი და ყურდემანაჲ და ანისონი,  
და ასარონი, და ნიახურისა თესლი და ნესვისა თესლი ქერქშეხდილი, ბადიანისა წყლითა იხმა-  
როს. და საქამდასა შურვასა და მუხუდისა წუენსა კამდეს რომელ შიგან ნიახური და ნახუა-  
პი შექნილ იყოს. და ბანისა ზეთსა და ლალასა საზარდულსა იხელდეს. და აქლილალმალ-  
ქისა და ბაბუნახაჲ და ყაისუმისა, და მარზანგონისა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს, რომელ  
მანკისა სათაფროჲ გაიდნოს და შეკრულობაჲ გაიხსნას.

30 ჰუნახან იტყვის: ესე სუფუფი კაშოს, ნიახურისა თესლი და ბადიანისა და ანი-  
სონსა თესლი თვითოხსაგან სამისა დრამისა წონი, ყურისალიონი და ფაჩარი და სალიხაჲ  
და ზაფრანაჲ და ასარონი და კილამონი თვითოხსაგან ორისა დრამისა წონი, ყოველი და-  
20 ნაყილი მისენით მუთყალი ერთი თვითლითა წყლითა იხმაროს, და თუ მანკი ამით არ გარ-  
ვიდეს და ფსელი არ გამოვიდოდეს კურნებაჲ იგი არს, რომელ ყათატირი სარცხენელისა  
ხვრელსა შიგან შეიპყრას რომელ ფსელი გამოვიდეს, და ესე სადასტაქროჲ არს მაგრამ რაჲ  
დაექირებოდეს ღონესა ძებნა უნდა, და ყათატირი ქურქელი არს კალამი უგულოჲ ვითა  
რომელ დასტაქარნი ამა საქმისთვის იქმან, და ხმარებისა ეამსა ვითა ღარსა დაუძებენ.

რ63. ფსლისა უნახლიჲ გამოსვლაჲ. ვითარებაჲ მისი ბაყრატი სანათქვამისაგან.  
ბაყრატი იტყვის: ესე მანკი ბუშტისა წელისა ხორცისა სისუსთისაგან იქნების ანუ  
მისიქაჲსა უსუსურობისაგან, რომელ სისუსტით ფსლისა დაჭირვაჲ არ შეეძლოს.

ნიშანი მისი იგი არს, რომელ ბუშტისა ყელი და ხორცი მისისა წელისა სუსტად  
იყოს, ანუ მასიქაჲსა უძალდობისაგან იქნების რომელ სინედლესა მოერიენეს მისდა.

30 კურნებაჲ მისი ბაყრატი სანათქვამისაგან: იგი არს, რომელ გულანგუ-  
ბინი და ნელი წყალი და ცოტაჲ ტარფუული და ღვინოჲ წყალგაურეველი და ჩამიჩი იხ-  
მაროს, და წყალსა ცოტასა სმიდეს და ბუშტსა ზროხის ერბოჲთა რომელ ცოტაჲ მუშვი  
ერიოს იხელდეს, მაშა თუ ბუნებაჲ გრილი იყოს და ფსელი დია სდიოდეს, კურნებაჲ მისი  
იგი არს, რომელ ესე წამალი იხმაროს და მაშინ შემგბარსა ღვინოსა სმიდეს. და თუ ბუნე-  
ბაჲ მხურვლად იყო ესე წამალი მას ერგების ვითარებაჲ მისი: ხმელი ქინძი რომელ ძმარ-  
სა შიგან ერასა დღესა და ღამესა დამბალი იყოს და მაშინ ამონალულ იყოს ოთხისა დრა-  
მისა წონი მისენით აილოს, სომხური მიწაჲ ორი დრამისა წონი, გრკოჲ ექვსისა დრამისა  
წონი ქაპრაბაჲ დრამისა წონი, ოსპი ქერქშეხდილი ათისა დრამისა წონი, ყოველი დას-  
ყოს და ყოველთა დილაჲთა ორისა დრამისა წონსა კამდეს და მაშინ ცივსა წყალსა სმიდეს. და

40 კურნებაჲ მისი რომელ საგებელსა შიგან ფსმიდეჲ და ვერ შეიგებდეს იგი არს, რომელ ბარკ-  
ლისა ღლითა ბანისა ზეთითა იხელდეს ერგების<sup>1)</sup>. და ძტელსა ღვინოსა წყალგაურეველსა  
სმიდეს. და თუ ესე მანკი ბუშტისა სიმკროხსაგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ბარკლი-  
სა ღლითა ღვინისა და ზეთის ბილისა ზეთითა იხელდეს, და ათფარამთა წყალსა ბუშტსა  
ზედა ისხმიდეს ერგების. და წყალსა ცოტასა სმიდეს და გრკოჲ და პიტნაჲ და ქონდარი

1) ამ სიტყვის გასწვრავ აშოაზე მხედრულით სწერია „ბანის ზეთი ზეთისხილი“ ზეთიან.



და ძირაჲ ქირმანული და მორდისა მარცხელი ყოველი დანაყოს და გაცრას და შაქარსა ტაბარზადსა გაპრიოს და იხნარებდეს, ნდომისა მისაყურად, ღია ერგებნის და სპაჰმადსა ერთისა წლისა ცხვრის ხორცსა ქამდეს კალიად.

ფსლისა დენაჲ უნებლივ, ვითარებაჲ მისი. ფოლის იტყვის: სინედლისაგან იქნების რომელ მასიქაჲ დაეუსუსუროს, ანუ ბუშტისა ყელისა ხორცისა სისუსთისაგან იქნების რომელ ესე მანკი გამოჩნდეს.

ნაშანი მისი იგი არს, რომელ ფსელი უნებლივ ჩამოვიდოდეს, ცვარცვარად არ ჩამოვიდეს, შაგრა შეიყაროს დაჰიროვაჲ არა შეეძლოს, გამოვიდეს.

კურნებაჲ მისი. ფოლის იტყვის: თუ ამას მანკსა თანა სარცხენელი ეწოდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხოსრაჲი დარვი წმიდად დანაყოს და თაფლითა შეზილოს და ცოტაჲ ფურთა ერბოჲ გაპრიოს და ნიგვზისა ოდენი მისგნით შემგბრითა ღვინითა და ნელითა წყლითა იხმაროს, და თუ ძირაჲ და ყენტორიონი თვითოასაგან ნაწილი ერთი, ორივე დანაყოს და ორისა დრამისა წონი ნელითა წყლითა იხმაროს კარგი არს, და თუ ხუთისა დრამისა წონი გრკოჲ, და ორისა დრამისა წონი თეთრი საკმელი, და სამისა დრამისა წონი მაჰლადისა მარცხელი ყოველი დანაყილი მისგნით ორი დრამისა წონი ანუ უფროჲ იხმაროს, და თუ ჰალილაჲ და ბალილაჲ და ამულაჲ ფურისა ერბოჲთა ამოხალოს და თვითოასაგან დრამისა წონი აილოს, და გრკოჲ ორისა დრამისა წონი, თეთრი საკმელი და ხმელი შიჲ და სუდი თვითოასგან ოთხისა დანგისა წონი, მური ნახევარი დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი მისგნით სამისა დრამისა წონი იხმაროს. და ესე წამალი ვინცა საგებელსა შანი ფსმიდეს ერგების ვითარებაჲ მისი: სუდი ორისა დრამისა წონი სონიჯი და მდოგვა და სპანძელისა თესლი თვითოასგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი თაფლითა და ზეთისხლისა ზეთითა შეზილოს და დამინებისა ეჰსა ნიგვზისა ოდენი იხმაროს, და მას უკნით სამი კერკები ამოხავებული ქამოს კარგი არს. და ესე წამალი სხვაჲ ამასვე მანკსა ერგების ვითარებაჲ მისი: ბიტნაჲ და ზღვისა პურეული ორისა დრამისა წონი, მური ორისა დანგისა წონი, ორივე დანაყილი და გაცრილი სურნელსა ღვინოასა გაპრიოს და შემგბრითა ღვინითა იხმაროს და მაშინ ბაბუნაჲსა ზეთი ნელითა წყლითა ქამოს, და სპაჰმადსა ბატკინისა ხორცსა კალიად შექნილსა ქამდეს.

რწჲ. ბუშტისა სიმსივნე სიმშრვალისაგან რაჲ იყოს. მასარაჯოჲ იტყვის ვითარებაჲ მისი სისზღისა სიმრავლისაგან იქნების, ანუ საზაფროასა გასარეველისაგან რომელ ბუშტსა შიგან შეიყაროს და რაჲ მოერიოს სიმსივნედ შეიქნას, ანუ მალლისა ადვილიაგან ჩაპოიჭრეს, ანუ ნაკრავი ეცეს შაგრათ საითმე.

ნიშანი მისი რაჲ სიმშრვალისგან იყოს, იგი არს, რომელ ფსელი ძლივ გამოვიდოდეს და ბუშტი იხურვიდეს, და ღია სტკივოდეს, და სწყუროდეს და მუცელი შეკრვით იყოს, და იქნების ევეთცა რომელ თანა ცხროჲ ერთოს ამას მანკსა.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმშრვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხნას და სამსა დღესა ბუშტსა იისა ზეთითა იზღლდეს, და მაშინ ბაბუნაჲსა ზეთითა და ცხიმიანოს და გრილსა და დამკრველსა ნურას შემოსდებს. და ქუნჯიდი დანაყილი და გათეთრებული სძესა და თეთრსა წმიდასა ფქვილსა გაპრიოს და ბუშტსა შემოსდევს და რაჲ ტკივილი დასწყნარდეს და კვირაჲ ერთი გარდვიდეს, მაშინ განისნელი და მბურვალი მალჰამაჲ შემოსდევს ვითა ბაბუნაჲ და სელი და ბაკლაჲსა ფქვილი შემგბრითა ღვინითა შეზილოს და შემოსდევს კარგი არს.

დევეჯანოს იტყვის: ბასალიყი გაიხნას და ესე ყუროტი ზედა შემოსცხოს კარგი არს ვითარებაჲ მისი: არდის წყალი და ძალის ყურძნისა წყალი, და ქაქნაჲსა წყალი და შემგბარისა წყალი, იისა ზეთითა და თეთრითა ცვილითა გაპრიოს და მალჰამიდ შექნას და იხმაროს. და მაშინ ქრთილისა ფქვილი და ბაღბაჲ და იაჲ და სანდალი თეთრი თვითოასაგან

ნაწილი ერთი, ყოველი დანაყოფი ძალის ყურანისა წყლითა და აყიროასა ნათლითა და იისა ზეთითა გაპრიოს, და მალპამა ვითა შექნას და მანკისა ადგილსა შემოსდეს.



ისაკ იტყვის: ესე წამელი იხმაროს ვითარება მისი: ორთავე კატრისა თესლი და ნესვისა თესლი და აყიროასა თესლი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, კატკატოას თესლი ოთხისა დრამისა წონი, ბალბამა თესლი და ხორფარასთი ტფარისიავოშანი თვითოასგან დრამისა წონი, ყოველი დანაყოფი მისგნით ორისა დრამისა წონი ჯულაბითა იხმაროს. და რაა სიმსივნისა ვითარება და ცემისგან ანუ ნაკრავისგან იყოს ბასალიყი გაიხსნას, და ბუშტსა იისა ზეთითა იხელდეს, და თფილი წყალი ზედა იხსნას. და თუ ფსელი არ გამოვიდოდეს ბუშტსა შენაოქიროს რომელ გამოვიდეს და დენა დაიწყოს.

10 ვითარება ბუშტისა სიმსივნისა რაა სიგრილისაგან იყოს. აბუჯარიკ იტყვის: ესე მანკი ბალბამურისა გასარეველისაგან იქნების რომელ შიგან შეყრილ იყოს და მორევენული, და ესე მით იქნების რომელ ბალბამიანი საჭამადი დია ექამოს.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან იყოს, იგი არს, რომელ არ დია სტკიოდეს და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს, და ენა თეთრი იყოს, და რაა სიმსივნე დიდი იყოს ამას მანკსა თანა ლბილი ცხროა იქნების და ფსელი არ გამოვიდოდეს.

კურნება მისი რაა სიგრილისგან იყოს: იგი არს, რომელ სისანბარი და დაკმითისა და მარხანგოში წყლითა შეაბგოს და მისსა წყალსა ნელსა შიგან ჩაჯდებოდეს, და ნესვისა თესლისა გული შეჭრითა ხუხითა ჭამდეს, და გულბაშაქარსა ჭამდეს ნელითა წყლითა, და საჭამადსა მუხუდის წყენსა ჭამდეს, და თუ ამით რომელ ვთქვით მანკი არ

20 გარდვიდეს კურნება მისი იგი არს, რომელ საჯახანაა ლეღვის შარაბითა იხმაროს, და თუ ფსელი ძნელად გამოვიდოდეს ნიახურისა თესლი და ნესვისა თესლი ქერქ შეხდილი, და ვარპარამისი რუბი, და ანისონი ყოველი დანაყოფი მისგნით მითყალი ერთი სიქანგუბინითა ანუ ჯულაბითა იხმაროს. და რაა მანკი გარდვიდეს ტრედის ხუნდი შემწუარი და ხორცი კალით ქამოს.

არხიჯანოს იტყვის: თუ მათანისა ვითამცა ბუშტისა სიმსივნე დიდი და მგარი იყოს, ესე შემოსადებელი შემოსდვას ვითარება მისი ულბა და სელი თვათოასგან ხუთისა დრამისა წონი, ნესვისა თესლი და კიტრისა თესლი და ბალბისა თესლი და სისანბარი და ბაბუნა თვითოასგან ოთხისა დრამისა წონი, ვაშა და მყელი და ილქალბატნი თვითოასგან სამისა დრამისა წონი, და ამა წამალთა თანა რომელიცა გომიზი იყოს წყალსა თფილსა გაპრიოს და სხვა წამალი დანაყოფი და ვაცრილი თანა გაპრიოს, და მანკისა ადგილსა შემოსდვას, და მიწყით ყვერსა ბატისა ცმელითა იხელდეს, და თუ ცმელი ბატისა და ტვინი ზროხისა წვივისა, და მუელი, და მდენარე რომელსა ჰქვან რაათიანა, ყოველი ჰვანსა ჩაყაროს და ტფილი წყალი გაპრიოს და წმიდად გავალოს და მალპამად შექნას, და მიწყით ბუშტსა მუნით შემოსდებდეს, და გრილსა და მამენსა საჭამადსა ვრიდებოდეს და მხურვალსა და ნატიფთა მიელტვოდეს ვრგების.

30 რაა მათანასა სიწულულსა ვითამცა ბუშტისა და ძვა რომელ შიგან იყოს. ვითარება ბუშტისა სიწულულია. მას არჯოა იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების რომელ ბუშტსა შიგან შეყაროს და მეორივენს, ანუ სიმსივნისაგან იქნების მხურვალისგან რომელ გაიხსნას, და მამინ ბუშტი გააწყლულოს და იგი მანკი გამოჩნდეს.

40 ნიშანი ბუშტისა წყლულისა რომელსა ჰქვან მათანაა: რააცა გასარეველისა და ფიცხელისაგან იყოს იგი არს, რომელ ფსელსა თანა თხამლი გამოვიდოდეს და ჰყროდეს და ეწყოდეს. და ნიშანი მისი რააცა სიმსივნისგან იყოს იგი არს, რომელ ფსელსა უჯანით თხამლი ერთობით გამოვიდეს უფსლოდ.

კურნება ბუშტისა სიწყლულისა. იგი არს, რომელ ქაქნასა ყურსი ქამოს თაფლითა და თეთრი შაფი ქალის დედისა სძითა დაგალოს და ზარაყათა მათანასა შიგან ჩაადგოს. და რაა დია სტკიოდეს ანუ თხამლი დია მოვიდოდეს თაფლი ზარაყათა მა-



თანასა შიგან ჩააგდოს, და ბაზრათუნი ვარდისა ზეთსა გიჰრიოს და ზუზუმაძე ქამოს, და მიწყით ვიროსა სძესა და თხისა სძესა ქამდეს დია ერგებინ. და ხაშხაშხანსა ყუბასი ამას მანქსა დია ერგებინ, რაჲ მუთყალი ერთი ცივითა წყლითა იხმაროს, და ესე მალქამაჲ მადია ერგებინ, ვითარებდა მისი: ნედლი მიაჲ დრამისა წონი, წეროასა ცმელი სამი დრამისა წონი, თეთრი ცვილი ათისა დრამისა წონი, ყოველი ერთგან შეყაროს მალქამად შექნას და ბუშტსა ზედა იცხებდეს. და თუ თეთრი ცვილი და ბატისა ცმელი და ვარდისა ზეთი მალქამად შექნას და ბუშტსა შიგან მიიღოს კარგი არს.

10 არბიასიოს იტყვის: ესე ყურსი იხმაროს ვითარებდა მისი: ვაცის წვერისა აფშარაჲ, დაბეჭდული მიწაჲ და ძოწი და ქაპრაბაჲ და ნიშასთავი, და კიტრისა თესლი და ნესვისა თესლი და ბალბისა თესლი და ველურისა სტაფილონისა თესლი და ნიახურისა თესლი ყოველი დანაყილი წყლითა შეზილოს და კვერად შექნას, და მისგნით ორისა დრამისა წონი იხმაროს. და ესე წამალი უმჯობესი არს, ორთავე კიტრისა თესლი და ნესვისა თესლი და აყროასა თესლი ამოხალული თვითოასგან ზუთისა დრამისა წონი, ნიშასთავი ოთხისა დრამისა წონი, ვარჭარამისა რუბი რვასა დრამისა წონი, კატკატოასა თესლი სამისა დრამისა წონი, და ნახევარი, ნუში ქერქ შეხდილი და თხილი ამოხალული თვითოასგან ოთხისა დრამისა წონი, ჯალღოზაჲ რომელსა ჰქვიან ნაყი და თუ ნაძვი სამისა დრამისა წონი, ნუშისა გომიზი და აფიანი თვითოასგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი შემებრითა ღვინითა შეზილოს და მისგნით სამისა დრამისა წონი იხმაროს.

20 ვითარებდა ბუშტისა ქვისაჲ. იოჰანაჲ იტყვის: ესე ნაწკი ყმაწვრილთა უფროჲ შეეკნებინ, და ვითარებდა მისი გასარეველელისა სქელისა უმებრისაგან იქნებინ, რომელ ბუშტსა შიგან შეიყაროს და სიმხურვალემან შეკრას იგი. და სიმხურვალე მისი მხურვალთა საქამადთაგან იქნებინ რომელ ეჭამოს და მოერიოს მისდა.

ნიშანი ბუშტისა ქვისაჲ. იგი არს, რომელ ფსელი თეთრი იყოს და თხელი და მიწყით სარცხენელი აულდებოდეს და თუ პატარაჲ ყმაჲ იფხანდეს მას, და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს და სტკივოდეს, და მიწყით გუჰამიცა გამოვიდოდეს.

კურნება ბუშტისა ქვისაჲ. იგი არს, რომელ ჰურიათა ქვაჲ, რომელ არაბულად ჰაჯარალი აჭუდი ჰქვიან, ორისა დანვისა წონი წმიდად გაგალოს და თბილითა წყლიდა შესტას და ორისა დანვისა წონი ღრიანკალი დამწეარი რომელ შავისა მუხუდისა წვერსა გაჰრიოს და იქმაროს კარგი არს. და ესე წამალი ბუშტისა ქვაჲ დაღეწს ვითარებდა

30 მისი: უხმარებელი ქიქაჲ ნაწილი ერთი, გომიზი არაბული და ტყვმლისა გომიზი თვითოასგან ორი ნაწილი, ასყოლოფანდრიონი ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი და გაცრილი მისგნით, სიქანგუბინისა თანა იხმაროს.

40 მასლიაჲსძე იტყვის: რომელ ყოველთა ტკბილთა და ნედლთა ხილთა და თევზსა ერიდოს და ესე მავჯუნი იხმაროს ვითარებდა მისი: ასარონი და ველურისა სტაფილონისა თესლი და ჰამიშთისა მარცჭალი, და თუ თეთრი სალიხაჲ და ბალასნისა მარცჭალი და შეშაჲ მისი ყოველი დანაყილი ბადიანისა წყლითა და თაფლითა შეზილოს და სამისა დრამისა წონი იხმაროს. და თუ მანკი ძნელი იყოს ნახევრისა დრამისა წონი ღრიანკალისა ნაცარი დამწეარსა ჰიქაჲსა თანა იხმაროს. ეგრე ხამს რომელ ქიქაჲ ცეცხლსა შიგან დააღბოს და მაშინ წყალსა შიგან ჩააგდოს და შეიდვეგრ ესრე ქნას და მაშინ წმიდად გაგალოს თეაღთა საოლავისებრ და ვაშლისა შარაბითა ქამოს. და საზარდულსა და სარცხენლოთა ტფილითა ზეთითა ღრიანკალისაჲთა იზელდეს, და ღრიანკლისა ზეთი იგი არს, რომელ ღრიანკალი ახალსა კუტალსა შიგან ჩააგდოს და ცეცხლსა შემოსდევან, და გამოიღონ და ნელად გაგალონ ცოტაჲთა ერბოჲთა ბანითა, და ყოველი მხურვალე ზეთი ერგებინ ვითა ტყვანასა ზეთი და ნარდენისა ზეთი, და ბალასნისა ზეთი, და საქამადსა მუხუდის წუენსა ქამდეს ბატკნისა ხორცითა და ტფილსა წყალსა ჩაჯდებოდეს, კარგი არს.



ვითარებაა მისი, ფოლის იტყვის: ესე მანკი სათაუნოვან მხურვალისა წყაროსაგან იქნების, რომელ თირკმელსა სარცხვენელისავე ნიეძლოს, და სინედლე სქელი რომელ შიგან იქნების, რომელ მფეთქელთა ძარღვთაგან შევარდეს სარცხველსა შიგან.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან ქნილ იყოს. და ყელისა სინედლისაგან: იგი არს, რომელ სარცხვენელი დეა ფეთქდეს. ნიშანი მისი რომელ ქარისგან იყოს რომელ მფეთქელთა ძარღვისაგან ჩაქრილ იყოს იგა არს, რომელ არ ფეთქდეს.

10 კურნებაა მისი, ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ რაჲ მანკისა ვითარებაა სიმხურვალისგან, იყოს რომელ თირკმელსა შიგან შეყრილ იყოს, კურნებაა მისი იგი არს, რომელ ბასალეცი გაიხსნას შარჯყენისა ხელისგან და ხეარტისა თესლი შაქარსა გაპრიოს და უზმომან ციციტა წყლითა ჩანთქას და მიშვიშისა წყალსა სმიდეს. და ნელსა წყალსა თავსა ისხამდეს რომელ მხურვალი ბუხარი გახსნან, და მაშინ სარცხვენელსა ვარდისა ზეთითა და ქაფურითა იხელდეს, და სიმხურვალეთა და თაფლიანთა ერიდებოდეს და მკავეთა იხმარებდეს. და ამის მანკისა ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს კურნებაა იგი არს, რომელ უზმომან ოვლი გამოიცეს აბანოება შიგან რომელ იგი სქელი ქარი დალიოს, და საჭამადსა ცოტაებაჲ კამდეს და ძველსა გულანგუბინსა ძირაება წყლითა იხმარებდეს, და შიშეთა საჭამადთა ერიდებოდეს, და ნატიფთა მიელტვოდეს ვითა კალიაჲ და მოტანჯანაჲ. და თუ ვითარებაა ამის მანკისა სარცხვენელსა შიგან ქარისაგან იყოს რომელ შეყრილ იყოს, კურნებაა მისი იგი არს, რომელ იგი ქარი გაუყენოს მხურვალთა წამალთა და ფანჯანგუფთისა 20 თესლითა, და ცერეცოვასა თესლითა და ძირაებათა, ამათ თანა რომელიცა ორისა ანუ სამისა დრამისა წონი დანაყილი იხმაროს, და მაშინ გრილთა და ხმელთა წამალთა იხმარებდეს რომელ მანკსა ზედა წყალი დაიკლდეს ვითა ბანკისა თესლი და ქინძი, და არდისა თესლი, და თუ შიგან სიმხურვალე იყოს სარცხვენელსა აყიროება ნათალითა და ხეარტისა წყლითა და სანდლითა და ქაფურითა იხელდეს. და თუ ამით რომელ გვითქვამს მანკი არ გარდვიდეს ცოტაჲ აფიონი ხეარტისა წყალსა გაპრიოს და შესცხოს და ყველაჲ დია ნუ გაჭრევს რომელ აენებს. და საჭამადსა ქარიანსა ნუ ჰჭამს, და ცოტაებაჲ კამდეს უჭაროსა<sup>1)</sup> ნატიფთა საჭამადთა.

30 ვითარებაა სარცხვენელისა აღგომისაჲ დიაცისა უნებლიე. იოჰანა იტყვის: ესე მანკი სქელისა ქარისაგან იქნების რომელ თირკმელისაგან სარცხვენელსა ჩაიოვიდეს. ანუ გასარეველი სქელი და ფიცხელი იყოს, ანუ თეთრისა წყლისაგან იქნების, რომელ შიგან შეყრილ იყოს, რომელსა ჰქვიან აბი მანი.

ნიშანი მისი რაჲ ქარისგან იყოს. იგი არს, რომელ სარცხვენელი იფეთქდეს და ნიშანი მისი რაჲცა სქელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ დია ფეთქდეს. და ნიშანი მისი რაჲცა თეთრისა წყლისა სიმხურვალისგან იყოს, რომელსა ჰქვიან მანი, იგი არს, რომელ სტკიოდეს და აწყენდესცა.

40 კურნებაა მისი რაჲცა სქელისა ქარისაგან იყოს. იგი არს, არწყიოს რომელ ტანი გაწმდეს და ქარიანთა საჭამადთა ერიდებოდეს, და ამისი კურნებაა ორფერად არს, პირველი იგი რომელ ქარი მანკისა სათაუნოა არს გაუყენონ მხურვალთა საჭამადითა ვითა ტევანაება თესლი და ქონდარი, და ძირაჲ და ნიახური, და სპანქელისა თესლი, ამათ თანა რომელიცა იყოს სამისა დრამისა წონი ტევანასა წყლითა სტეს, რომელ იგი სქელი ქარი რომელ მანკისა დედაჲ არს, გამოზიდოს. და მაშინ სარცხვენელსა იასამინისა ზეთითა იხელდეს. და ესე წამალი მანკისა დასაწყისა იხმაროს და მაშინ ჰამოს რომელ სტომაქი რწყევითა გაუწმინდოს. და მაშინ გრილთა წამალთა იხმარებდეს რომელ ამის მანკისა სიფიცხლე დააწყნაროს ვითა ხმელი ქინძი და ვარდი და ბროწყელისა ყუბიელი და ბანბისა თეს-

1) სწერია „ოქროსა“.



ლი და აღარდენი, და ოსპისა თესლი და მზგავსი მისი. და ნედლისა ქინძისა წყლითა და ხავარტისა წყლითა და ვარდისა ზეთითა სარცხვენელსა იხელდეს. და მანქანისა მუთუბისა ურწყომასა ჭამდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა სქელისა გასარცხვენელისაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და არწყიოს. და მხურვალთა ასფარაშთა წყლითა სარცხვენელსა იხელდეს, და საქამადსა კალიასა ქამდეს და გრილთა და უდნობთა ერიღებოდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა წყლისა მანისა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და გრილთა იხმარებდეს, ვითა ქრთილისა წყალსა და ბროწყულისა წყალსა და კატაკტომსა თესლისა წყალსა, და მადარანგისა კიტრისა თესლი. და მუცელი დაიღბოს იითა და შაქრითა, და მწვანელითა თანა ხავარტი და კატაკტოჲ ქამოს, და დოჲ და ოსპი ქერქშებდილი რომელ ძმრითა შექნილ იყოს იხმარებდეს დია კარგია. და ჰუყნაჲ უყოს ქრთილისა წყლითა და ერბაჲთა და ცოტაჲთა ქაფურითა. და თუ ცოტაჲ ტყვიჲა ზურგსა გამოაბას კარგია.

**რა. სარცხვენელისა სისუსთო და ფლვისა დენაჲ მისგან უნდოჲლად და უსიკამოვნოთ.** ვითარებაჲ მისისა სასუსთოსაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: სისუსთე მისი ბუნებისა სიგრილისაგან იქნების, ანუ მისგან რომელ გრილი და მშელი დია ეჭამოს ვითა ლემოჲ და ოსპი და კოწოხური მტავე.

ნიშანი სარცხვენელიაჲ სისუსთისაჲ. იგი არს, რომელ კარგად ვერ აღგებოდეს და წყალი ადრე მოვიდოდეს, მანი, რაჲმცა უფროჲ სუსთად იყოს სიგრილესა უფროჲ ეჯობინოს<sup>1)</sup>.

კურნებაჲ სისუსთისა მისისაჲ. იგი არს, რომელ ფელიჯისაგან ერთი ფერი 20 ნანკი ესე არს, ხამს აქიმისაგან რომელ ესე ნანკი გამოსცადოს რომელ იკურნების ანუ არა. და მანკისა პატრონი ცივისა წყალსა შიგან ჩასვას და სარცხვენელი მისი დამოკლდეს და შეტქნეს იკურნების, და თუ ვერათვე იყოს ვითა წინაჲს და არა შესცეალოს, კურნებაჲ მისი არ ეგების, და ეგეთთა რასმე რომელ ბუნებასა გაამხურვალეზდეს ზედა შემოსდებდენ. და ძტელსა გულანჯუბინსა და მიშქადარუსა საჯაჲზანასა ქამდეს. და მხურვალითა ზეთითა იხელდეს ვითა მანისა ზეთითა, და ფაჩარისა ზეთითა თა ხირისა ზეთითა და მხურვალთა საქამადთა ქამდეს ვითა ჩიტისა ხორცსა და ტრედისა ზუნდსა, ანუ ცხვირისასა რომელ მხურვალთა სანელეზელი დია რთულ იყოს. და ნიწყით უზნა შავსა ჩამიჩსა ქამდეს და ძტელსა ღვინოსა სმიდეს. და თუ ნანკი გაგრძელდეს და ვერევე სუსთად იყოს არ იკურნების.

მასთაჲს ძე იტყვის: თუ მისგან ქნილ იყოს, რომელ სარცხვენელი თავისა ადგილსაგან ამოვარდნილ იყოს კურნებაჲ მისი ვითა ფელიჯისა კურნებაჲ არს, და თუ სისუსთე წყლისა სიმცროსსაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რაჲსმე ქამდეს რომელ ზურგისა წყალსა მოჰმატებდეს, და გამოარჩულთა საქამადთა ქამდეს ვითა ცხვირის ხორცი მხურვალთა სანელეზელითა კალიითა შექნილ იყოს. და მუხუდის წვენი და განდუშავი და რაჲცა ამით ჰკვანდეს და თუ წყალი მათ იყოს, რომელ სიგრილესა და სისმელესა მოერიგნენ მისდა კურნებაჲ მისი სიმხურვალითა არს ვითა ჩიტისა ხორცი და ზუნდისაჲ.

**მანისა წყლისა დენაჲ.** აბუჯარიჲ იტყვის: წყლისა გამოსვლაჲ მით იქნების რომელ შეყრილ იყოს და სქელი და დია იყოს, ანუ მხურვალთა საქამადთაგან რომელ ეჭამოს, ანუ ადრითაგან დიაცა თანა არ ნისრულ იყოს.

ნიშანი წყლისა დენისა რაჲცა სიმრავლისგან იყოს. იგი არს, რომელ 40 მანი თეთრი იყოს და სქელი და დია იყოს. და ნიშანი მისი რომელ საქამადითაგან იყოს იგი არს, რომელ წყალი ყუთთელი იყოს და თხელი.

კურნებაჲ წყლისა უსიკამოვნოდ გამოსულისაჲ. აბუჯარიჲ იტყვის: რაჲცა წყლისა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ დია საქამადი არ ქამოს და ხორცსა და თაულიანსა ერიდოს. და ხელი გაიხსნას, და ძნელთა საქიროჲთა საქმეთა იქმოდეს და

<sup>1)</sup> ან გვერდის ბოლო აწიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „კილ“ და შემდეგი გვერდის ზემო აწიაზე „კით“.





ნიორსა და ტევანსა ჰამდეს, და დია ნუ დაიძინებს, და ისრიძისა ურწყომსა ჰამდეს. და კურნება მისი რააცა მხურვალთა საქამადთაგან იყოს იგი არს, რომელ გრილთა სჯამადთა ჰამდეს ვითა კატაკომასა თესლისა წყალსა სიქანგუბინითა, და ბაზრაცატუნად თეთრითა შაქრითა ჰანოს. და ხავარტისა თესლი და ქინძი ცივითა წყლითა და ნილოჟარისა შარაბი გაპრიოს. და საქამადსა ვარიასა ჰამდეს რომელ თუთუბითა შექნილ იყოს. კურნება მისი რომელ არ ქნისა მოგონებისა შეჭირვებისგან იყოს იგი არს, რომელ სხვადასა რაასმე შეექცეოდეს და დაივიწყოს მოგონება და შეჭირვება ჩუჩაღბილობისისა. და კურნება მისი რომელ აღრი-  
თავან დიაცსა თანა არ მისრულ იყოს იგი არს, რომელ ხენიდეს თუ შექმლოს<sup>1)</sup>, და გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს და ხავარტისა წყალსა და ძაღლის ყურძნისა წყალსა და ჯახაღბი-

1) თა ზურგსა შემოსადებელსა უზმიდეს.

ისაკ იტყვის: თუ წყლისა დენად ნასიქამსა უსუსურობისაგან იყოს, მიწყით ბროწე-  
ულსა და ბეჭესა იხმარებოდეს. და თუ სიმხური მიწად და ხავარტისა თესლი და ტაბაშირი  
თვითოხსაგან ნაწილი ერთი, დანაყილი და გაცრილი ვაშლისა წყალსა გაპრიოს და იხმა-  
როს ერგების. და მაშინ აყაყიად და თუთუბად და შურდისა წყალი აბალი ერთგან გაპრი-  
ოს და ზურგსა შემოსდვას. და საქამადსა ვარიასა ჰამდეს რომელ აღარდინითა ანუ ძმრითა  
შექნილ იყოს. და მხურვალთა და ხმელთა საქამადთა ერიდოს, და თიჯნისა ხორცსა ჰამდეს  
რომელ თუთუბითა შექნილ იყოს.

2) რაბ. სიმსივნე სარცხველისა რაბ სიმხურვალისგან იყოს. ვითარება მისი: მასა-  
რჯომა იტყვის: სისხლისა სიმრავლისა და სიფიცხისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა  
მუნ მიეძალოს და რაბ დია შეიყაროს სანსიენე გამოჩნდეს. და იქნების რომელ ზაფრადცა  
გარეულ იყოს მას თანა და მისგან ქნილ იყოს.

ნიშანი მისი რაბ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ სიმსიენე წითე-  
ლი იყოს და დია სტეკიოდეს და რაბ ხელი შემოსდვან ხურვიდეს. და თუ ზაფრად გარე-  
ულ იყოს ჟფრობა ძნელად სტეკიოდეს.

3) კურნება მისი რაბ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ბასალიყი გა-  
იხსნას და კატაკომასა თესლისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს. და მანკის ალაგსა სან-  
დლითა და ვარდის წყლითა, და ხავარტის წყლითა და ძმრითა, და სომხურითა მიწითა და  
სპანძელითა, რომელ ერთგან გაპრიოს, და შემოსადებელსა ზედა დასდებდეს. და ესე შემო-  
სადებელი სხვა ვითარება მისი: ძაღლის ყურძნისა წყალი და არდისა წყალი, და ზაფრა-  
ნად, და ბაკლასა ფქვილი და ქრთილი, და ვარდის ზეთი ყოველი ერთგან გაპრიოს და  
მანკისა ალაგსა შემოსდვას.

4) ისაკ იტყვის: ბასალიყი გაიხსნას მუნითვე რომელ სიმსიენე იყოს და გრილი და  
ნედლი წამალი იხმაროს. და ციესა წყალსა შიგან ჩაჯდეს და ტილოასა მკვარი ძმრითა და  
ვარდის წყლითა დაასოვლოს და ზედა შემოსდვას. და ბაკლასა ფქვილი და თეთრი  
ბაღბად, და ძაღლის ყურძენი და ნედლი ქინძი, და ვარდის ზეთი და ძმარი, და კვერცხისა  
ყვითელი თვითოხსაგან ნაწილი ერთი, და დანაყილი და გაცრილი წყლითა შეზილოს და  
შემოსდვას ერვების.

5) იოჰანა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და ხორცსა  
და თაფლიანთა ერიდოს. და ჯულაბი და სიქანგუბინი და კატაკომასა თესლისა წყალი  
იხმაროს, და მაშასა ურწყომსა ჰამდეს რომელ ნეში და ზეთი ერთოს. და თუ სისხლსა  
თანა საზაფრობ სიმსიენე რეული იყოს, ტკივილი ძნელად იყოს და ისრისაებრ სცემდეს,

<sup>1)</sup> ამ გვერდის აშინზე მხედრულით: სწერია [სიქანგუბინი ძმარი [...] რითა შენაზულსა [ქქვიან]. კატაკომ, უკუ[დაიას] ქქვიან. ბასრაცატუნი მრავალმარჯვას თესლასა ჰქვიან. გულანგუ[ბინი] ვარდსა შაქრით რომ შეინახვენ იმას ქვიან. კატაკომ: რძღვამლსა ჰქვიან.

<sup>2)</sup> ამ გვერდის აშინზე მხედრულით სწერია: ვარდცაცკაცკა. ტაქანიში რომელ შაქარი. წითელი მიწა [სიმხური თინა, ტაბაშირი ღი...] თეთრი მიწა.

და შეფოთად იყოს ესე შემოსდვას და ჩვენ გამოგვიცდია დია კარგი არს: ოსპი ქერქმესდითი და ქერის ფქვილი და ბაკილასა ფქვილი და ჯალზაბაჲ ყოველი ძაღლის უფრონიცა წყლითა შეზილოს, და კვარცხისა ვეიოელი და ვარდისა ზეთი გაჰრიოს, და მანკისა ადგილსა იცხოს.

**ვითარებაჲ სარცხენელისა სიმსივნისა რომელ სიზრილისგან იყოს.** ჰუნან იტყვის: ესე მანკი გლუსუნისა ბალღამისაგან იქნების, რომელ სარცხენლოსა მოერიოს ანუ სევდისა ფიცხელისა სიმეტისაგან იქნების, რომელ შიგან შეიყაროს, და რაჲ მოერიოს გაასიგოს<sup>1</sup>).

იგი არს რომელ სიმსივნე თეთრი და ვარილი იყოს და არ დია სტკიოდეს, და რაჲ ხელი ზედა შემოსდვან ვარილად იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ფიცხელისა სევდისაგან იყოს

10 იგი არს, რომელ სიმსივნე წაგარი იყოს და ტკივილი ცოტაჲ იყოს.

კურნებაჲ მისი რომელ სივრილისგან იყოს. იგი არს, რაჲ ბალღისაგან იყოს ესე შემოსადემელი იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი საკმელი და ძირაჲ და ბაკლაჲ-სა ფქვილი, და ქრთილისა ფქვილი და ქუნჯადისა ზეთი და ხორასნული ჩამიჩი უგულოჲ ყოველი დანაყოს და თხის ცხელი გაჰრიოს და კელა წმიდად გავალოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და თუ კალნაბისა ნაცარი და სელი დანაყოს და ბატის ცმელი და თხის ცმელი მალჰამად შექნას და შემოსდვას. საჭამადსა ნელსა და ვარილსა ერიდოს და მხურვალთა მიელტვოდეს.

**ბაყრატი იტყვის:** კურნებაჲ იგი არს, რომელ მუხუდისა ფქვილი და ბაკლასა ფქვილი და ძირაჲ და ცმელი ერთგან გაჰრიოს და შეგებრითა ღვინითა შეზილოს

20 და შემოსდვას კარგი არს. და თუ სელი და აქლილმალჩი და იაჲ დანაყილი თხისა ცმელსა გაჰრიოს და მალჰამად შექნას და შემოსდვას. და თუ მანკი სევდისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ სარცხენელი ნუშისა ზეთითა და ლელვისა ზეთითა იხელოს და თუ წეროასა ცმელი და თეთრი ცვილი გაჰრიოს მალჰამად ქნას და მანკისა ადგილსა შესცხოს კარგი არს. და ბაზუნაჲ და აქლილმალჩი და სისანბარი დანაყოს და შესცხოს კარგი არს. და ნელსა წყალსა ზედა იხმიდეს, და საჭამადსა ბატჩისა ხორცსა ქამდეს, ანუ ერთის წლისა ცხვრისა ხორცსა რომელ მხურვალთა სანელეზბლითა კალიად ანუ მოტანჯანად შექნილ იყოს. და მძიმეთა და ვარილთა საჭამადთა ერიდებოდეს და ტკბილთა და მხურვალთა და ეგეთა საჭამადთა მიელტვოდეს რომელ ბუნებასა გაამხურვალეზბდეს, ერგების.

**სარცხენელი რაჲ იწოდეს სიმსივნისგან.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. უფროასი საზაფროასა გასარეველისაგან იქნების, რომელ ღრუა მისი, ვითამცა ღარ ი, გაეწყულლოს. ანუ სიმსივნისაგან რომელ მუნ შიგან ვასქედეს და მაშინ შიგან კერძი მისი გაეწყულლოს ღარი, ფსლისა გზაჲ.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ დია სტკივოდეს და ეწოდეს და ზელისგან ვახურდეს. და თუ ფსელსა თანა თხამლი ცოტაჲ გამოვიდოდეს წყლული უმცროასი იქნების, და თუ დია გამოვიდოდეს წყლული უროასი იქნების შიგნით კერძოჲ<sup>2</sup>).

ნიშანი მისი რაჲ სივრილისგან იყოს რაჲცა ბალღისგან იყოს იგი არს, რომელ სარცხენელისა ღარისა და ბუშტისა ფსლისა გზასა წვაჲ საზაფროასა ხილტისაგან იქნების, და თუცა ფსელი დია სდიოდეს სიმხურვალისა მიცემაჲ არა ხამს სნეულსა, მით

40 რომელ რეგვენთა და უმეცართა აქიმთა მრავალი ჩაუვდია ცხროასა და სნებათა შიგან, უმეცრობითა, და თეთრისა საკმლისა გვარიშნი და სხვაჲ მხურვალი მიუცემია და სრუ-

<sup>1</sup>) ტექსტნი აქ ნიშანი ღზის და სტრიქონებ შუა წერილად სწერია დედნის ხელით: „კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასოაის ე იტყვის“ ამის შემდეგ ტექსტში გამოტოვებული ადგილი მთლიანად ამოიხევა გატანილი სულ ცამეტი სტრიქონი.

<sup>2</sup>) ანიაზე აქამდის არის გატანილი. სწერია მეტად წერილი დედნის ხელით, აქვე სწერია თავთა სავალავე „რამბ“.



ლიად დაუწყულულებია ღარი და ფსლისა გზაჲ, და მაშინ დიდითა მიჭირებებთა ძლიერ კურ-  
ნების. მაშაჲ ამის მანკისა კურნებაჲ იგი არს, რომელ ორთავე კიტრთა თესლითა სძვე და  
სტაფილონისა თესლი, და ხაშხაშისა თესლი, და ყიპრასა თესლი, ყოვლისა სძვე დაიჭიროს და  
ჯულაბითა იხმაროს. და ნუშისა ზეთი და ნილოფრისა ზეთი შესცხოს და საზამთრო<sup>1)</sup> ა ნესვისა  
ჭამდეს რომელსა ჰქვიან ხარბუზაჲ ჰინდოჲ, და კარაქი<sup>2)</sup> და თეთრი შაქარი, და მაშაჲსა და  
ასუანახისა და აყირომაჲ ჯრწყოასა ჰამდეს. და ნედლთა და გრილთა საჭამადთა მიელტვა-  
დეს. და მიწყით მოშროლანსა იცხებდეს სარცხვენელსა. და თუ ამით რომელ გვეთქნამს არ  
გარდავიდეს იისა ზეთი და ზაზარაყატუნისა ლუბი და ქალისა დედისა სძესა ზარაყათა  
შეუყრიდეს მისსა ღარსა შიგან.

10 ჰუწაჲ იტყვის: ესე მანკი ორდგრაჲ იქნების, ერთი თხამლითა იქნების და კურ-  
ნებაჲ მისი იგი არს, რომელ თესლთა ჰაბი და იისა შარაბი და ბაზარაყატუნისა ლუბი  
და შემგბარი ღვინოჲ დი ქრთილისა წყალი იხმაროს. და ყოველითა თაფლიანთა და მლა-  
შეთა ერიდოს. და დიაცსა ნუ მოჰხნაეს, და ძნელთა ააქმეთა და საჭიროათა ერიდოს. და ნე-  
ლითა წყლითა იბანებდეს. და აოზავებულსა კვერცხსა ნუშისა ზეთითა ხერცტდეს. და ქა-  
თანსა კარგად შემგბართა ჰამდეს. და მალჰამათა რომელ სიმსივნისა თვის ვახსენეთ იხმა-  
რებდეს, ერგების კარგად.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. აბუჯარიჲ იტყვის: ესე  
მანკი სიგრილისაგან უმცროჲ იქნების სასევედოასა ხილტისაგან რომელ ღარი გაეწყლუ-  
ლოს, ანუ სასევედოასა სიმსივნისაგან იქნების, რომელ ღარსა შიგან შეყოლილ იყოს და გზაჲ

20 ექოვნოა.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს: იგი არს ნიშანი სიწყლულისა რო-  
მელ სარცხვენელსა შიგან იყოს, იგი არს, რომელ ფსელსა უწინაჲთ თხამლი გამოვიდეს, და  
რაჲ თხამლი შაფფერად იყოს მანკი სევედისგან იქნებაჲ. შაგრა კურნებაჲ მისი იგი არს. რო-  
მელ ჰაქნაჲსა ყურსი ჰამოს, და თაფლისა წყალი და შაფი სძითა ვაადნოს ხერცლსა მისა  
შემოსდეს. და ეგეთი მალჰამაჲ რომელ სასევედოასა სიმსივნესა ერგებოდეს პატრუსა ზედა  
შესცხოს და შენოსდეს, ხერცლსა მისსა გამრთელდების.

არხიჯანოს იტყვის: რაჲ ფსმისა ეამა ეწვოდეს ესე წამალი ერგების ვითარებაჲ.  
მისი: ნესვისა თესლი ქერქმეზდელი ორმოცდა ათისა დრამისა წონი, აყირასა თესლი და ქა-  
თირაჲ და ნიშასთავი, და ვარჰარამისა რუბი და ნუში ამოხალღლი და ქერქმეზდელი, და  
30 ხაშხაშისა ქერქი და თესლი მისი, თვითოასაგან დრამისა წონი ერთი, ნიახურისა თესლი  
ხუთისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი რაჲ დღე დილა საღამოსა სამისა დრამის წონსა  
იისა შარაბითა ანუ ჯულაბითა იხმარებდეს. და საქიმადსა ასუანახსა რომელ ვარიითა შექ-  
ნილ იყოს ჰამდეს. და მხურვალთა და ფიცხელთა საჭამადთა ერიდოს ვითა ნიორსა და ხა-  
ვისა, სპრასასა და ბილბილსა, და მლაშეთა ერიდოს. და ნედლთა და ლბილთა საჭამადთა ჰამ-  
დეს ვითა ასუანახი და ხოხუარასთი და ნუშისა ზეთი. და თუ ამას მანკისა თანა სისხლი  
იყოს და ტყვიელი არ დასწყნარდებოდეს ბაალიკი ვაინხანს<sup>3)</sup> და ესე წამალი იხმაროს:  
ქათირაჲ და ნიშასთავი და კიტრისა თესლი და სომხური მიწაჲ თვითოასგან ნაწილი, გუნ-  
დაჲ და ბროწყელისა ყუთავილი და თეთრი საქმელი და ხონისთაოშანი და ნიახურის თესლი  
თვითოასგან ნახევარი ნაწილი, ყოველი დანაყილი ციფითა წყლითა იხმაროს, ერგების შე-  
40 წვევითა ღმრთისათა.

რაჲ. ღინაცისა არ მონდომაჲ სიგრილისაგან იყოს და თუ სიმხურვალისაგან. ვითარე-  
ბაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. მესიაჲ იტყვის: ესე მანკი მით შეიქნების, რომელ  
ტანისა მიზეჯი, ვითამცა ვარევაჲ, დია მიურვლად იყოს მხურვალისა მანკისა სამეტისაგან

1) სწერია „ქარაქი“.

2) ამ გვერდის ამოაზე მხედრულით სწერია: ნიშასთავი(გი) თქრომბედელ[უს] [...] აქ სიტყვა წაშლილია.



ანუ მეტად სიხმელისაგან იქნების რომელ ბუნებისად მოეროვნენ, და ნდომად დიაცისა მო-  
ფლოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს: იგი არს, რომელ ზურგისა წყალი ყვითელი და თხელი იყოს, და რაჲცა გრილი ჭამოს ელბინოს. და ნიშანი მისი რაჲცა მიზეჯისა სიხმელისაგან იყოს იგი არს, რომელ ზურგისა წყალი ცოტაჲ იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ ქრთილისა წყალი კატაკოთაჲა თესლისა წყალსა თანა და ბაზრაცხენაჲ ჯულაბითა იხმაროს. და ახალი თევზი კალიითა შექნილი, ანუ შემწვარსა ჭამდეს. და გრილთა იხმარებდეს ვითა ხეარტი და კოტრი და სხალი და მსგავსი მისი. და ჭირსა ნურას მნახავს და მიწყით ყვერსა იისა 10 ზეთითა იზელდეს. და თუ მანკის ვითარებაჲ სიხმელისაგან იყოს რომელ ბუნებისად მორეგნილ იყოს<sup>1)</sup> კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთი საქამადთა რომელ სინედლისა მოუმატებდეს იხმაროს ვითა ერთის წლისა ცხვრისა მსუქნისა ხორცსა რომელ შურვითა შექნილ იყოს იხმაროს, და კვერცხისა ყვითელი ამოზავებული. და მიწყით ნელსა აბანოვსა მივიდოდეს და მომროდანითა სარცხენლოსა იზელდეს. და ღვინოვსა სურნელსა სმიდეს და ეგეთთა საქამადთა ჭამდეს რომელ ზურგისა წყალსა იმატებდეს ვითა ცხვრის ხორცი სტაფილიონითა და ხაზეითა შექნილი, და ჩიტის წვენი ჭამოს ერგების, და ხილთაგან ყურძენსა ჭამდეს.

მაჰმად ზაქარიაჲს ძე: [იტყვის]: თუ მანკისა ვითარებაჲ დიაცისა არ მონდომისა, ტანისა უსუსურობისაგან იყოს და საქამადისა არ ქონებისაგან, კურნებაჲ მისი იგი 20 არს, რომელ კარგითა საქამადითა და ღვინითა თავეისა ქცევად დაიწყოს და ჰამოთა სურნელთა უსუნებდეს, და სინარულსა და ძილსა და გამოსვენებას მიელტვოდეს. და თუ მანკისა ვითარებაჲ თირკმელისა სიმხურვალისაგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ დიაცისა ზნისა ჭამსა სწყუროდეს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თარანგუბინისა მაჯუნი და ფურთიაჲ სძე იხმაროს, და ამოზავებულისა კვერცხისა ყვითელსა იხმარებდეს, და ახალსა თევზსა და მსუქანსა ქათმისა ხორცსა ჭამდეს. და ეგეთთა საქამადთა მიელტვოდეს რომელ სინედლესა მოუმატებდეს, და ტკბილთა საქამადთა და მხურვალთა ერიდებოდეს.

დიაცისა არ მონდომისა ვითარდებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. გასარეველისა საბალღამოსა სქელისაგან იქნების რომელ ტანისა მიზეჯი გავკრალოს, ანუ მეტისა სინედლისაგან იქნების რომელ ტანისა გასარეველისად მოეროვნენ, ანუ ზურგისა წყლისა სიმცროვითა.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲცა საბალღამოსა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ მანისა წყალი თეთრი და სქელი იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა მიზეჯისა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ წყალი ზურგისა დია იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა სიმხურვალისგან იყოს ისათფრალისაგან იქნების, დაცლისაგან.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲცა ბალღამურისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ გულანგუბინი<sup>2)</sup> თაფლითა წყლითა იხმაროს, და საქამადსა ტრედის ზნდსა ჭამდეს და ჩიტისასა კალიითა. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ გარდვიდეს მუშისა გვარიშნი იხმაროს. და მიწყით ყვერსა თეთრისა იასამინისა ზეთითა იზელდეს. და თუ ვითარებაჲ მისი სინედლისაგან იყოს რომელ ტანისა ბუნებისად მორეგნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თესლთა სიქანგუბინი იხმაროს და აღვად წყლითა 40 თა შეაბავს და მიწყით მისსა წყალსა სმიდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა ზურგისა წყლისა სიმცროვსაგან იყოს იგი არს, რომელ გამოჩრეულთა საქამადთა ჭამდეს ვითა ერთისა წლისა ცხვრის ხორცსა და ღვინოვსა სურნელსა, და მიწყით აბანოვსა მივიდოდეს რომელ წყალი მისი ნელი იყოს, და სურნელთა უსუნებდეს.

1) ამ გვერდის აშიაზე მხედრულით სწერია „კალია: მაშა“.  
2) ამ სიტყვის გასწორებ აშიაზე მხედრული ნელით სწერია „გულანგუბინი ვარდი მაქარით გაცვეთული“



იოჰანამ იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ გავრდილი ზანჯაბილი იხმაროს, და ქაბაბაჲ და კვერცხის ყვითელი და ჩიტის ტყეინი რომელ კილამონსა გაჰრიოს იხმაროს. დია კარგი არს. და შურვასა რომელ მხურვალეთაჲსა სანელემლითა შექნილ იყოს იხმაროს, და ხორცსა რომელ სტაფილონითა და ხახვითა შექნილ იყოს ქამდეს, მეტად რომელ დარაფილფილი და კილამონი და პიტნაჲ რთულ იყოს. და ესე მაჯუნე ქამოს ვითარებაჲ მისი: სტაფილონისა თესლი და ქეჭეზისა თესლი და კულანგარი-სა<sup>1)</sup> სამყურისა თესლი, რომელსა ჰქვიან ასფისთი, ცხენსა დია გაასუქებს თიფაჲ არს, დას-თესვენ და სამჯერ მოვალს, და ხახვისა თესლი და სატაცურისა თესლი, რომელსა ჰქვიან მარჩობაჲ, და ნაძვისა გული და შაყაყული და თუღარი და ყურფაჲ და ყუსტი და ზაფრანაჲ

10 თეთოფსაგან ნაწილისა ნახევარი, ყოველი დანაყილი და გაცრილი საბაზდანიასა ზეთითა, რომელ არაბულად მას ბატამი ჰქვიან, დააცხიბიანოს და მაშინ თაფლითა შეზილოს, და რაჲ დღე მისგნით ნიგვზისა ოღენი ღვინითა იხმაროს კრგების.

რად-ჲ ვჰმარისა სიმსივნე სიმხურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან, ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. აბაჯარიჲ იტყვის: სისხლისა სიმხურვალისაგან იქნების და მისისა სიფიცხისაგან, რომელ ბუნებისა ძალსა მიეძალოს მუნ. ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ მისისა მორევისაგან ესე გამოჩნდეს ყვერთა შიგან.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ ფერად წითელი იყოს და ზელისგან გახურდეს და ფეთქდეს. და ნიშანი მისი რომელ ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ დია სტკიოდეს, ისრისაებრ სცემდეს.

20 კურნებაჲ მისა რომელ სიმხურვალისგან იყოს: მასალაყი გაიხსნას სიმსივნითჲ და თუ ორგნითჲ სიმსივნე იყოს პირველ მარცხნით გაიხსნას და მეორესა დღესა მარჯვენით, სნეულისა ძლისა მისაფერად. და ჯალზაბაჲ და ძაღლის ყურძნისა წყალი და მესმპარისა წყალი, და სანდალი და ვარდი შემოსდვას. და ქრთილისა წყალსა და სადაგსა სიქანგუბინსა იხმარებდეს, და შაჰნარსა მოსწოვდეს, და კატკატოასა თესლისა წყალი, და ბაზრავატუნისა ლუაბი სიქანგუბინითა და ჯულაბითა იხმაროს. და რაჲ სიმსივნე გაიხსნას და სიმსივნე მოაკლდეს ისრინისა ურწყოასა ქანდეს და მომროლანი შესცხოს და მაშინ აბანოას მივიდეს და ნელი წყალი დაისხას კარგი არს.

ისაკ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მასალაყი გაიხსნას და მანკისა დასაწყისსა ესე წამალი იხმაროს, ვითარებაჲ მისი: არდისა წყალი და ძაღლის ყურძნისა წყალი

30 და მესმპარისა წყალი იისა ზეთითა და თეთრითა ცვილითა გაჰრიოს, და ყოველი მალ-ჰამაჲ ვითა შექნას, და ესე სხვაჲ შემოსადებელი ვითარებაჲ მისი: ქრთილისა ფქვილი და ბალბაჲ და ხმელი იაჲ და თეთრი სანდალი თვითოასაგან ნაწილი ერთი დანაყილი, ძაღლის ყურძნისა წყლითა და ახლისა აყიროასა ნათალი და იისა ზეთი ერთგან გაჰრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას კარგი არს. და ესე წამალი შემოსდვას დია კარგი არს, ვითარებაჲ მისი: ორთავე კიტრისა თესლი და ნესეისა თესლი და აყიროასა თესლი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, კატკატოასა თესლი და ბალბისა თესლი, და ხორფარასთისა და ფარისიავოშანი თვითოასაგან დრამისა წონი ერთი, ყოველი დანაყილი ორისა დრამისა წონი ჯულაბითა შესქას ერგების თუ ღმერთსა უნდეს.

ყვერისა სიმსივნისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. არბი-ასიოს იტყვის: ბალღამურისა გასარველისა სიმრავლისაგან იქნების რომელ შიგან შეყრილ იყოს, ანუ სახეველოასა ხილტისა ფიცხელისაგან რომელ მისისა ბუნებისად მორევილ იყოს და იგი მანკო გამოჩნდეს მაშინ.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ბალღამისგან იყოს, რომელ სიმსივნე თეთრი და ღბილი იყოს და ნოსმისაგან გაგრილდეს და არ სტკი-

<sup>1)</sup> ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე მხედრელი ხელით სწერია: „კულანგარი სამყურა ბალბია—ასფისთი თესლსა ჰქვიან“.

ვოდეს. და ნიშანი მისი რააცა სევდისაგან იყოს იგი არს, რომელ სიმსივნე მავარი და ფე-  
რად შევეგრეშანი [იყოს].

კურნება მისი რაა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ცეცხლითა წე-  
ლითა იხმარებდეს რომელ ბალანსა ჩამოიდებდეს, რომელ ტანი მანკისა დედისაგან გა-  
მდეს. და გულანგუბინსა ნელითა წყლითა იხმარებდეს, და ბანისა ზეთითა ანუ იასამინისა  
ზეთითა მანკის ადგილსა იზელდეს, და ასფარამთა იბანებოდეს. და მუხუდის წვესა ქამდეს  
და თუ ამით რომელ ვთქვით სიმსივნე არ გაიხსნას, ესე შემოსადებელი იხმაროს რომელ  
სიმსივნე გაიხსნას ვითარება მისი: თეთრი საკმელი და ბაკლასა წმიდისა ფქვილი და ძი-  
რამა ყოველი დანაყილი და გაცრილი ცვილსა და ცმელსა გაპრიოს, მალაჰმად შექნას და შე-  
10 მოსდვას, ერგების.

ბაყრატი იტყვის: თუ სასევდოა ხილტისგან იყოს კურნება მისი იგი არს, რო-  
მელ ბაკლასა ფქვილი და მუხუდისა ფქვილი, და სელი და წუნწუბისა ნაცარი, და აქლი-  
ლალმალიქი და ბაბუნაჲ, და იაჲ ცვილსა თანა გაპრიოს და ხმელი იაჲ ყოველი დანაყილი  
სოსნისა ზეთსა და თხის ცმელსა გაპრიოს და მალაჰმად შექნას და შემოსდვას. და თუ არ  
გაიხსნას კურნება მისი იგი არს, რომელ მუყლი და ვაშაჲ და სძე და შემგბარი ღვინოჲ  
ყველაჲ ერთგან გაპრიოს ეგდენი რომელ წამლები მოკრიბოს, და სოსნისა ზეთი შესცბოს,  
და ესე შემოსადებელი შემოსდვას რომელ ვახხენეთ, და რაჲ წამალი მისგნით აილოს ნელი  
წყალი ზედა ასხას. და საქამადა ზირაბაჯსა ქამდეს ურწყოსა. და თუ სელი და აქლილა-  
ლმალიქი და იაჲ თხის ცმელსა თანა გაპრიოს და გაადნოს და მანკისა ზედა შემოსდვას ერ-  
20 გების. და თუ მუხუდისა ფქვილი და თხის ცმელი და შემგბარი ღვინოჲ ერთგან გაპრიოს  
და მალაჰმად შექნას და შემოსდვას. და გრილთა და უდნობთა საქამადთა ერიდოს.

რამ. ფიშჰინსა ძარისა ვითარებაჲ რომელ საზარდულსა შიგან ანუ შვირთა შიგან იყოს.  
ვითარებაჲ მისი რაჲ საზარდულსა შიგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის:  
ფეტყისა ქარი ერთი იგი არს, რომელ საზარდულსა ქვეშეთ არს მას ადგილსა, რომელ  
არაბულად მარაყი ჰქვიან. ვითარებაჲ მისი სქელისა ქარისაგან იქნების, რომელ მძიმე ტვირ-  
თი აელოს ანუ უმადლისა ადგილისაგან ჩამოსტეს ოდესმე.

ნიშანი მისი რაჲ საზარდულისა შიგან იყოს. იგი არს, რომელ სნეული  
პირ აღმა დააწვიონ ორივე ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვან, ქარი თავისა ადგილსა  
შივიდეს.

30 კურნება მისი მანკისაჲ: გარდაუგდია შეცნიერთა აქიმთა, მით რომელ საკრ-  
ძალავ არს, და ჰირი ღია არს მისსა კურნებასა შიგან, და ზოგნი ჰკურნებენ მით რომელ  
არ გაძნელდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ საქამადასა უკანით ყოლა არ იაროს და ყო-  
ველთა ქარიანთა საქამადთა ერიდოს. და მაძორად რაჲ იყოს ყოლა ნურას ქამს. და რასა-  
ცა საქმესა იქმოდეს უზმამან ქნას. და რაჲ ქვეჯდეს მიწყით უპესა ქვეშ და საზარდულსა შე-  
კრულიცა აქეს. და რაჲ ადგეს ნუ ახლტების ერთბელად და ხელი მას შეკრულსა ზედა და-  
სდვას და შემოაქიროს, რომელ ქარი მუცელსა შიგან შევიდეს მაშინ ადგეს, და ოთხკედ-  
ლითა შემოსაკრავითა მავრად შეკრას. და შესოსადებელისა რომელ სქელსა ქარსა ერგებო-  
დეს იხმარებდეს ვითა ყოლინჯისათვის გვითქვამს. და ყოლა დიაცსა ნუ დაეკარების, ნუცა-  
დაიხახებეს, და ნუ რას აიღებს, და მადლისა ადგილისაგან სწრაფათ ნუ ჩამოვალს, ესე ყოვე-  
40 ლი ფეტყისა ქარსა აგნებს. და თუ რაჲ ამისგან წიეკიდების სხეა მანკი გამოაჩნდების. და  
თუ ფეტყი ცოტაჲ იყოს და კაცისა ასოჲ ლბილად იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ  
რაჲცა სქელსა ქარსა გაჰხსნის წამლითგან და საქამადითგან და მალაჰმითგან ვითა ყოლი-  
ნჯისათვის გვთქვამს იხმარებდეს. და თვილსა წყალსა ერიდოს და ყოლა მძიმეთა საქამად-  
თა ნუ ქამს და ქარიანსა, და ნუ იარების.

ვითარებაჲ ფეტყისა ქარისაჲ რაჲ საზარდულისა შიგან იყოს. ვითა-  
რებაჲ მისი რაჲ ყვერთა შიგან იყოს. ჯალანოს იტყვის: ესე მანკი ოთხჟერად არს.

ერთი იგი რომელ წყალი ყვერთა შიგან ჩაიჭრას, მეორე ქარისაგან იქნების, მესამე ცმელი-  
საგან იქნების, მეოთხე წელთა კუთხისაგან იქნების, როველ მას ღარსა შიგან ჩაიჭრეს და  
მანკი გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ ყვერთა შიგან იყოს. რაჲცა წყლისგან იყოს იგი არს,  
რომელ ყვერი წითლად იყოს და ხვაჲ ეტრატისაჲ იყოს, და რაჲცა ქარისაგან იყოს გას-  
ხირბული იქნების ვითა მშვილდისა საბელი და ასტკივდების, და რაჲ ქარი დია იყოს უყუ-  
რებდეს. და ამა ორთა ფერთა სხვათა ნიშანი ხელითა შეიგნების, პაზრითა.

კურნებაჲ მისი რაჲ ყვერთა შიგან იყოს: ფეტყისა ქარი რაჲ ნოწიფლო-  
ბისა ჟამსა იქნას არ ოდეს გამრთელდების, მაგრა კურნებაჲ ხამს რომელ არ გაძნელდეს. და  
10) კურნებაჲ მისი რაჲცა წყლისგან იყოს იგი არს, რომელ ვახსნითა წყალი კიდე გამოილოს  
ვითა მუცელსა გაჰხსნიან ისთისყაასათვის. და კურნებაჲ მისი რომელ ქარისაგან იყოს იგი  
არს, რომელ მხურვალი მაჯუნი იხმაროს და შემოსადებელი<sup>1)</sup> უყოს სარვისა ნიგუჯისაგან,  
და მურისა და სუდისა წებოასა, და მარზანგოშისა და გუნდაასა, და თეთრისა საქმელისა-  
გან. ესე ყოველი დანაყოს და წყლითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შემოსდეს. და მძი-  
მეთა და ქირისა ნახვისაგან ერიდოს. და რაჲცა ცმელისაგან იყოს იგი არს, რომელ ყვერთა  
ჩაუვიდეს, ანუ წელისა ყურისგან იყოს რომელ ღრუასა ჩასრულ იყოს, შეკრვისაგან უმჯო-  
ბესი არა არს, და დიაცა ნუ მოჰხნავენ, და ქარიანსა ნურას ქაშს, და მაწყით მასთაქისა  
ზეთსა იცხებდეს.

როფის იყვის: ბაკლად და ოსპი და ლობიოჲ არ ექმევის. დამძლარი ნუ იარებას  
20) და მიწყით შეჭკრვიდეს. და ფეტყი რომელ ქარისაგან იყოს ხაზდისა გული და ფარფიონი  
ზეთის ხილისა ზეთითა გაადნოს და სარცხენლისა ხერელსა ჩაასხას, და საზარდულსა შეს-  
ცხოს. და თუ ბალღაშურისა ხილტისგან იყოს ესე შემოსადებელი შემოსდეს ვითარებაჲ  
მისი: სარვისა ნიგოჯი და ბროწეულისა ქერქი და შაბი იამანური და ბროწეულისა ყუჩავილი<sup>2)</sup>  
ქერქი და ვარდი, და მორღი თვითოასგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაკილი ტყელისა გო-  
მიზი და თევზისა წებოჲ გაპროს, და ცოტაჲ შრეში გაპროს და მანკისა ადგილსა შემო-  
სდეს. და საქამადსა ცოტაასა ქამდეჲ ერგების. და ძირაასა გვარიშნი და პიტნაასა გვა-  
რიშნი იხმაროს ერგების. თუ ღმერთსა უნდეს.

### რკვ. ზოდანისა შიკრულობაჲ რომელსა ჰჰვიან აკაბულად ივთინაჲალ აპჰიმ.

ვითარებაჲ მისი რაჲ მანისა წყლისა სიმრავლისაგან იყოს. ბაყრატი იტყვის: ესე მანკი  
30) ორისაგან: იქნების ერთი მანისა სიმრავლითა, მეორე წიღოვნობისა შეკრულობისაგან. ვითარე-  
ბაჲ მისი რომელ მანისა წყლისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს, რომელ დიაცა ქმარი არ  
ესვას და წყალი დაშავდეს მისი, და მისგნით შავი ბუხარი თავსა გაუხდეს.

ნიშანი მისი რაჲ წყლისა მანისა სიმრავლითა იყოს. იგი არს, რომელ  
დიაცი დაჰბნდეს ვერე რომელ მტერდაცემული, და გამოცნობაჲ მტერ დაცემულსა და ამას  
მანკსა შუა იგი არს, რომელ ცნობაჲ წაუფა დიაცა მაგრამ პერულსა ვერ ამოვა პირსა ამას  
მანკსა შიგან.

კურნებაჲ რაჲ მანისა წყლისა სიმრავლისაგან იყოს. იგი არს, რომ-  
ნელ ქმარი შეირთოს, და თუ ქმრისა შერთვაჲ არ მოუხდებოდეს ეგეთი წამალი რომელ მამა-  
ციისა ნლომასა აკლებდეს იხმაროს, სისანბარი და თეთრისა იასამინისა ზეთითა აიპყრას და  
40) გოგირდი დამწუარი მწეარი ცხვირთა ქვეშე იკმოლოს. და უპესა და საზარდულსა ზედა ქი-  
ქაჲ მოჭიდოს, და მიწყით ფერხთა იხელდეს. და რაგისაგან გარე ეგეთსა წამალსა იხმარე-  
ბდეს რომელ დიაცა მამაციისა მონდომასა მოაკლებს. და ჟამი იქნების რომელ სული  
აღარ ჩაუვიდოდეს და მავასი არ ეძვროდეს, და იქნების რომელ ერთსა დღესა ეგრევე

<sup>1)</sup> ან გვერდის ქვემო ამიანუ რვეულთა სათვალავი სწორია „კოთ“ და შეკრევ გვერდის ზემო ამიანუ „მ“

<sup>2)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ ხელიდან არის ჩამატებული დედნის ბეულით.



იყოს და ეგრე ეგონოს რომელ წამკედარ არს. და კურნებაჲ მისი ჰასეთობჲსკჳ შეგან იგი არს, რომელ ზეჰდანისა თავსა მიწყით იზელდეს, და სურნელი შემოსდეს რომელ რჯობინოს.

ისაკ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მამაცი მაიწყინოს და მუცელი და-  
იღბოს ხიარ შამართა და იაათა და შირახიშითა, და ყოველი მისი მსგზავსი მისთვის კარგი არს. დაცემისა ეამამდე ყოველსა გრილსა ქამდეს ვითა ორთაეე კიტრთა წმიდით დარჩეული თესლი, და არდის წყალი და ქაფური, და სიქანგუბინი. და რაჲ დაცემული იყოს ფერხთა უზელდენ და თითთა მისთა ხოლოყისა ზეთი სცხონ, და ზეჰდანსა შიგან უყონ და ზეჰდანისა თავი შეარყიონ. და დამწუარი მგვარი და ქერლშტი, და გოგირდი და ხაზბი და ჯავაშირი, და ჰავთა მყარლთა უსუნებდეს, ჰამოჲ სურნელი ზეჰდანსა თავსა შესცხოს, და  
10 რაჲ მანკი გაუგრძელდეს ეგეთი რაჲმე რომელ ქარსა დაჰლევდეს აიპყრობდეს, ვითა ძირაჲ და ქარვაჲ და მსგზავსი მისი.

ვითარებაჲ მისი რაჲ წიდოვენობისა შეკრულობისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასჲ ძე იტყვის: ესე მანკი ნდომისგან სინედლისა იქნების რომელ ქალწულთა დედათა მოეროოს, და ანუ წიდოვენობისა შეკრულობისაგან იქნების რომელ ქმაროსანთა დედათა გამოაჩნდეს მეტისა მამაციისა ნდომისაგან, და მაშინ ესე მანკი და კირი გამოაჩნდეს დიაცსა.

ნიშანი მისი რაჲ წიდოვენობისა შეკრულობისაგან იყოს. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა დიაცი გაზანტდეს და გაყვითლდეს და გასუსთდეს, და რაჲ მანკი გაძლიერდეს ასოთა შიგან თაშანუჯი გამოჩნდეს და მანკი რიგსა ზედა მოუვიდოდეს  
20 მტერთა დაცემისაგებრ, და ფსელი შავი იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ წიდოვენობისა შეკრულობისაგან იყოს. იგი არს, რომელ საფინი ძარღვი გაიხსნას, და იგი ძარღვი კოჭისა სიახლესა არს შიგნით კერძოათ, და წვივისა ქიქჲ მოჰკიდოს და მუცელთა ქვევით ქიქჲ მოჰკიდოს მრავალგან. და ეგეთთა წამალთა იხმარებდეს რომელ წიდოვენობისა სისხლსა ჩამოიღებდეს. და რიგისა ჟამსა წვივნი შეიკრას და ფერხთა იზელდეს. და მყარლთა უსუნებდეს ვითა ყატრანი, წერი მგონიან, და ხაზდისა გული და ჯავაშირი. და ჰამოთა სურნელთა აიპყრობდეს. და რაჲ რიგი გარდვიდეს არწყაოს და ლარლარაჲ ქნას უნსულისა ძმრითა, და მუთყალი ერთი დაჰმართაჲ ქამოს მარ-  
დაჰუხითა წყლითა, და ქაქნაჲსა მაჯური მისთვის კარგი არს. და ყოველისგან უმჯობესი რომელ ჩვენ გამოგვიცდია ამას მანკისათვის მარგი, ნაჯაჰური მაჯური არს, იხმარებდეს  
30 ერგების.

მასარაჯოჲ იტყვის: ესე შაფი წიდოვენობისა სისხლსა ჩამოიღებს ვითარებაჲ მისი: სპარსული უშნანი და აყირყირჰა, და სონიჯი და ტეგანაჲ და ფარევიონი თვითოჲსგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი და გაცრილი თეთრისა იასამინისა ზეთითა შეზილოს და მატყლსა ზედა იცხოს და აიპყრას. და ესრევე სოსნისა ძირი და უჰანი, რომელსა ჰქვიან ბურიხადი, ორივე დანაყოს და კალნაბისა წყლითა შეზილოს და აიპყრას კარგი არს. და ესე წამალი სხვაჲ წიდოვენობისა სისხლსა ჩამოიღებს და ზურგისა წყალსა დაამკრობს ვითარებაჲ მისი: ფანჯანგუშითისა თესლი და ტეგანსა ფურცელი, და ჰიტნაჲ და სჰანძელისა თესლი და სუდი და სალიხაჲ შავი, და ყუსტი თვითოჲსგან ნაწილი ერთი, ხაზდისა გული და მორდი თვითოჲსგან ნახევარი ნაწილი, ყოველი დანაყილი თაფლითა შეზილოს და ნიგე-  
40 ზისა ოდენი თფილითა წყლითა დანაყილისა ძირაჲსა თანა იხმაროს, ერგების.

რ.წ. წიდოვენობისა ბახსნაჲ რომელსა ჰქვიან ნაჯუფი: ვითარებაჲ მისი. ბაყრა (იტყვის: ვითა სისხლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ რანსა შიგან შეიყაროს, ანუ სიფიცხისა და სითხისა სისხლისაგან იქნების, ანუ ენელად შობისაგან იქნების, ანუ ნასორისაგან იქნების, რომელ ზეჰდანსა შიგან გამოჩნდეს ოდესმე.





ნიშანი მისი იგი არს რომელ: რააცა სისხლისა სიმრავლისაგან იყოს, რომელ ტანი უსუსურად იყოს და ფერი შეუცვლელად იყოს, და რააცა სისხლისა სიჭრელისაგან იყოს იგი არს, რომელ ჩნდეს, და რააცა ნასორისაგან იყოს იგი არს, რომელ უჟამოდ და ურიგოდ ჩამოვიდოდეს.

კურნებაჲ მისი ბაყრატიისა ნათქვამისაგან: რაჲ სისხლისა სიმრავლისაგან იყოს უმჯობეთი იგი არს, რომელ დაეხსნას, სდიოდეს მუნამდე<sup>1)</sup> რომელ კაცი დაუსუსუროს და ფერი გაუყვითლდეს, და ნაშინ ძუჭუათა ძირი ასაბითა შეუკრან, და ჭიქაჲ ცეცხლითა მკერდზე მოჰკიდონ, და ეგეთი შაჟი რომელ წიდოვანობისა უკუყენებს აიბყრას, და ეგეთი წამალი რომელ მას ერგებოდეს იხმაროს და ციგა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და ნათქვამისა და შემკვრელთა საჭამადთა ჰამდეს ვითა თუთუბისა და იპრიმისა უხდურსა, და ეგეთი წამალი რომელ სისხლი უკუყენოს და ტანი გაახშოს იხმაროს, და კურნებაჲ მისი რომელ შობისა უკანით ქნილ იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა რაჲმე ჰამდეს რომელ სისხლსა გაასქელებდეს, და ჰაჰრახაჲსა, ყურსიცა კარგი არს, და რააცა ზეჰდანიისა სიწყლულესა ერგებოდეს იხმარებდეს. და კურნებაჲ მისი რააცა ზეჰდანიისა ნასორისაგან იყოს იგი არს, რომელ ბახალიყი ვაიხსნას და ჰაჰრახაჲსა ყურსი ჰამოს, და ეგეთი ჰუყნაჲ უყოს რომელ ზეჰდანიისა ნასორისათვის მეორესა წიგნსა შიგან გვითქვამს. და ესეცა წამალი წიდოვანობისა ზეჰკრავს ვითარებაჲ მისი: გუნდაჲ და გრკოჲ ორივე ძმარსა შიგან გაჰრიოს, დაალბოს, და ყარანფული და ბროწყელისა ყუჭავილი თვითოასაგან ხუთისა და დრამისა წონი ხაზდისა გული დრამისა წონი ორი, ვარდი დამწჭარი და ჰაჰრახაჲ და ძოწი ორთავე ცოტაჲ, ცეცხლი უჩვენოს და თვითოასაგან სამისა დრამისა წონი ცივითა წყლითა იხმაროს. და თუ არ გარდვიდეს საფინი ძარღვი ვაიხსნას და წვიეთა ჭიქაჲ მოჰკიდოს. და მურისა ყურსი ტევნაჲსა წყლითა ანუ ნიახურისა წყლითა იხმაროს. და ესე შაჟი აიბყრას სალიხაჲ და ნურრი და მუშკი ტრაჟეშალი და ნიახურისა თესლი ყოველი დანაყოჲ და შაფად უყოს და აიბყრას. და შაჟისა მუხუდის წუნენი ნიგვზისა ზეთითა ჰამოს ერგებია.

ვითარებაჲ მისი რომელ ძარღვთა უსუსურობისაგან იქნებოს. ისაჲ იტყვიან: რაჲ დია სისხლი მოვიდოდეს და ვერ დაიჭირვიდეს ანუ ზეჰდანიისა სიწყლულისაგან იქნებოს, ანუ სისხლისა სითხისა და სიმრავლისაგან იქნებოს, ანუ ხაჰრავისაგან იქნებოს რომელ ზეჰდანიისა სცენოდეს.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ძარღვნი რაჲ უსუსურად იყენენ სტკიოდენ, და მავჯასი უსუსურად იყოს. და სიწყლულისა მისისა ნიშანი იგი არს, რომელ რააცა ჩამოვიდეს თხამლივითა თხელი იყოს და დია არ მოვიდეს. და რააცა საშობელისაგან იყოს, რომელსა ჰქეიან რაჰიმი, თვით სნეულსა ჰქეიან.

კურნებაჲ მისი. ამის მანკისა წეტყუებაჲ დასტურობითა სწადდეს რომელ, რომლისა ხელტისაგან არს, ცოტაჲ ტილოჲსა წყარი აიღოს თხელი და აიბყრას და მანკისაგან და ნახოს თუ წიაყული იღოს, მანკისა დედაჲ სისხლისაგან არს, და თუ ყვეთელი იყოს ხაფრისაგან არს, და თუ თვთარი იყოს ბაღდამისაგან არს, და თუ შაჟი იყოს სვედისაგან არს. და მანკისა ვითაცა იყოს ჰკურნებდეს. შაჟი სისხლისა კურნებაჲ იგი არს, რომელ გრილთა და შემკვრელთა საჭამადთა და წამალთა იხმარებდეს ვითა ვარდი და ოსპი გერჰ შეხდილი და მსგზავისა მისი. და ამა წამალთა თანა რომელიცა ჰამოს, ანუ წყლითა წვაგვოს და მისსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, ანუ შემოსდეს. და თუ ლისანალჰაჰალისა წყლითა ოდენ მარტოჲ ჰუყნაჲ უყოს ერგების. და ესე შაჟი ქნას: აყაყიაჲ და ქაჟური და ლადანაჲ დანაყილი მორდისა წყლითა შეხილოს და აიბყრას. და თუ სურმაჲ და გრკოჲ და ბროწყელისა ყუჭავილი და თანგარი თვითოასა ოდენი, ყოველი დანაყილი მორდისა ფურკელისა წყლითა შეხილოს და მატყლსა წესცხოს და აიბყრას ერგების. და თუ მანკი საზომისაგან გარდვიდეს მანკი

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნია ხელით.



ბასალიყი გაიხსნას და ქაპრაბაძესა ყურსი ქამოს კვირაჲსა ერთსა, და საჭამადთა მუავეთა და შემკვრელთა იხმარებდეს. და თეთრი საკმელი და ბროწელისა ყუაველი, და გუნდაჲ და თვალთა საოლავეი, და თეთრი არჯასპი და აყაყიაჲ წმიდად გაგალოს და მატყლითა აიპყრას და ფიცხელი ჰუყნაჲ უყოს, კარგი არს.

რამ. წიღოვანობისი შიჰარულობაჲ რომელსა ჰჰვიან ილთიბასალბათი. ვითარებაჲ მისი. იოჰანა იტ [ყვის]: შეკრულობაჲ მისი ანუ სისხლისა სიმცროსაჲგან, ანუ სისქითა და გაყინულობითა მისითა იქნების ანუ გრძელთა სნებათაგან და სიმშვილისა და უღონობისაგან, და ჭირი და შეჭირვებაჲ ხანთა გრძელთა.

ნიშანი მისი რომელ სისხლისა სიმცროსთა ქნილ იყოს. იგი არს, რომელ მწლე იყოს და ყვითელი. და ნიშანი მისი რაჲცა სისქისაგან იყოს იგი არს, რომელ დიაცი სუსთად იყოს და მსუქანი და ხორციანი.

კურნებაჲ მისი რაჲცა სისხლისა სიმცროსაგან იყოს. იგი არს, რომელ საჭამადსა მოიმატოს და გამოსვენებით დაიჭიროს თავი, და სურნელთა უსუნებდეს და იბანოს, და ძილსა მოიმატოს და ჭირი არაჲ ნახოს. და რაჲცა სისხლისა სისქისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა წამალთა იხმარებდეს, რომელ სისხლსა ანატიფებდეს, და მუხუდის წვენი ცერეცოჲთა და და ძირაჲთა იხმაროს და მუავეთა და ეგეთთა რაჲსმე რომელ სისხლსა გაასქლებდეს ერთდოს. და წვივთაჲ ჭიქაჲ მოიკიდოს მანკისა ქამსა უწინაჲთა ორითა დღითა, და საფინიკა გაიხსნას რომელ წიღოვანობაჲ არ შეიკრას. და მაშინ ჭიქაჲ უპესა და საზარდულსა მოჰკიდოს რომელ ჩამოვიდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნიახურისა თეს-

ლი და ანისონი და ბადიანი და პიტნაჲ მთისა ყოველი დანაყოს და თათლითა ანუ შავისა მუხუდისა წყლითა იხმაროს. და კალნაბი და ნიახური და ბადიანი და ტევანაჲ და ბაბუნაჲ და აბჰალი, და პიტნაჲ ყოველი წყლითა შეაბგოს და ტაშტსა შიგან ჩაასხან და შიგან ჩაჯდეს, და თუ ფაჩარი და კილამონი და სალიხაჲ და ბალანისა შეშაჲ, და ჯავზი ბოიბი მქისედ დანაყოს და წყლითა შეაბგოს და ტფილი მისი მრავალჯერ უპესა და სარზადულსა შენოსდეს კარგი არს. და თუ ნახევარ მუტყალი ხაზდისა გული და ორი ჰაბაჲ მუშკი ორივე იასამინისა ზეთითა გაადნოს და მატყლსა ზედა იცხოს და აიპყრას ერგების. და თუ პიტნაჲ და აბჰალი და ტევანაჲ თვითოჲსა ოდენი, ხაშაშისა ქერქი და ქერუსტი თვითოჲსაგან ნახევარი ნაწილი, ყოველი დანაყილი პიტნაჲსა წყლითა შეზილოს და მატყლითა აიპყრას კარგი არს. და თუ ქალბანაჲ და ხაზდისა გული და აბჰალი და მური თვითოჲსა ოდენი,

ნი, ზროხისა ნავალითა და ტევანაჲსა წყლითა შეზილოს და მატყლითა აიპყრას, კარგი არს. ვითარებაჲ წიღოვანებისა შეკრულობისა. როფის იტყვის: ესე მანკი სნებისაგან იქნების ანუ ზეჰდაწისა სიმსივნისგან, რაჲჲს უყურნონ და წიღოვანობისა გზაჲ შეიკრას, ანუ სისქითა და სისხლისა სიმცროსთა.

ნიშანი მისი როფისისა ნათქვამისგან. იგი არს რომელ ყოველი ასოჲ მძიმედ იყოს და საჭამადი არ მოუნდებოდეს, და თავი და ზურგი და წელი და თვალნი სტკიოდეს, და ბარკალი სტკიოდეს და, ფიცხელი ცხროჲ იყოს, და ფსელი შავი და მოწითლე იყოს.

კურნებაჲ მისი როფისისა ნათქვამისგან: იგი არს, რაჲცა სნებისაგან იყოს რომელ საჭამადსა მოუმატოს და თავსა კარგად ექცეოდეს. და ხელსა წყალსა მანკსა ზედა ისხანდეს<sup>1)</sup> და ღვინოჲსა წყალ რეულსა სმიდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა ზეჰდანისა

სიწყულლისგან იყოს იგი არს, რომელ ჰუყნაჲ და შემოსადებელი ლბილი და გამხანელი უყოს, და ესე წამალი მას ერგების ვითარებაჲ მისი: წითელი ლობიოჲ და უღბოჲ თვითოჲსაგან ჰევში ერთი, ანისონი და ქევანაჲ თვითოჲსაგან ხუთისა დრამისა წონი, ყოველი ორსა ლიტრასა წყალსა შიგან შეაბგოს რომელ ნახევრად მოვიდეს, გამოწუროს და გეოთხედი მისხნით შესტას, და ესე ყურსი ჩვენ გამოგვიცდია შეკრულობისა რასა განცა იყოს გახნის ვითარებაჲ მისი: მური სანისა დრამისა წონი, თურმისი გაგლილი ხუთისა

<sup>1)</sup> ამ გვერდის დასასრულს აწიხებ სწერია „იხედეს“



დრამისა წონი, ტეგანა და უღბოადა მუშკი ტარამეშალი და ანგუზადი რომელსა ჰქვიან უპანი, და სიქაბენა და ჯვარშირი თვითოაგან ორისა დრამისა წონი ყოველი ერთად გაპრიოს დანაყილი და ყურსად უყოს თვითო მისი ორისა დრამისა წონი, და ერთი ყურსი აბალითა იხმაროს, სისხლსა ჩამოიღებს. და წვივთა ჰიქაა მოჰკიდოს, და საფინი გაიხსნას და უტესა და საზარდულსა ჰიქაა მოჰკიდოს, და თუ ჯავაშირი და ქერაშტი და სადაფისა ფრებილი თაღარსა ჰქვემე იკმოლოს, და თაღარსა ხერელი იყოს და ზედა შემოჯდეს რომელ კვამლი აუვიდეს ერგების, და თუ შაჰში ჰანტალი ესრევე იკმოლოს კარგი არს. და ბირმაქისა ყურსსა ამისათვის დიდი ხასიათი აქეს რაჲ თვესაჲ შიგან მისგნით ორი შარბათი იხმაროს, და თუ ფურთა სძე და აფსანთინი და სალიხაახაგან მუთყალი ერთი რუხსულთა პიტნისა წყლითა იხმაროს, დია სარკებელსა უზამს, გამოცდილი არს ესე.

10 რამე. **ბასივება ხაშობაელისა რომელსა ჰქვიან ჯაჰდანი.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს მუჰამედ ზაქარიაჲს ძე [იტყვი] ვითარებაჲ მისი წიღოვანისა სისხლისა შეკრულობისაგან იქნების, ანუ ძნელად შობისაგან ანუ ნაკრავი რაჲმე ეცეს მას აღღვისა. და იქნების რომელ თვით ამათაგან კიდე სიმსივნე იყოს შიგან, ბუნებისა სიმხურვალისაგან რომელ მანდა ჩაადოს ბუნებისა ძალმან.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ცხროჲ მხურვალი იყოს და ენაჲ გაშავდეს და თაფი და ყელი და ზურგი სტკიოდეს, და მუცელი შეიკრას და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს, და მაჯასი ერკაბე და წილობილ იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხრვალისგან იყოს. რაჲცა ძნელად შობისაგან 20 ქნილ იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას, რომელ ქნების დედათა შობისა უკანით სისხლი დია ნახოს. და ხელისა გახსნაჲ მას ერგების, და მაშინ ბაზრაცუნისა წყალი და ვარდისა ზეთი მანკისა ადვილსა შემოიყაროს, ბარსამისა მანკისა კურნებაჲ იხმაროს ვითა ქრთალისა წყალი და იისა შარაბი და ბაზრაცუნისა ლუბი. და თუ მანკი სტკივოდეს და ფსელი შეიკრას ბაბუნაჲ და სელი და უღბოა წყლითა შეაბგოს და მას წყალსა შიგან ჩაუდეს, და წყალი უტესა ზეოათ არ გაოდვიდეს, და მანკისა ადვილსა ბაბუნაჲსა ზეთითა იხელდეს, და თუ მანკისა სამანი არ იყოს ნურას იქს ვიდრე ერთი კვირა არ გარდიაროს. მერმე აიას მანკისა სასანი საწფერად გამოჩნდების: ანუ გაიხსნების და ილხენს, ანუ გამაგრდების, ეგრევე დადგების და თხამლად შეიქნების. და თხამლისა ნიშანი იგი არს რომელ სიმსივნე ესრე ფიცხელად ფეთქდეს რომელ მისისა სიბნელისაგან გააცხროს და 30 ზოჯჯერ ათრთოლებდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მეშვიდესა დღესა მას ადვილსა ღბალი მალჰამაჲ შემოსდვას და ვითა ბაბუნაჲ და ბალბაჲ და სელი და უღბოა, რომელ მათი წყალი ზეჰდანსა შიგან წეიყაროს. და მიწყია თბილსა წყალსა შიგან ჩაუდებოდეს, და მანკისა ადვილსა ნელითა ერბოათა იხელდეს, რომელ თხამლსა შეყრის ნიშანი სიმსივნესა შიგან გამოჩნდეს მაშინ ნებასა იარებოდეს, რომელ გასქდეს და გაიხუტოს. და ვახეთქისა ნიშანი იგი არს, რომელ სიმსივნითი მისგნით წავიდეს, და თხამლი ფსელსა თანა გამოჰყვეს.

ვითარებაჲ ზეჰდანსა სიმსივნისაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. არბიასი [ოს იტყვი]: ესე მანკი მერსა გასარევისა სასეფდოაგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალსა აამობელსა შიგან მიეძალოს, და მისისა მორევენისაგან გასივდეს. ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მანკისა ადვილი 40 ემძიმებოდეს და სიმსივნე მაგარი იყოს, და ვერ ფსამდეს, და წვივნი გაუსუსთდეს ეგრე რომელ ძლიე ადგებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მანკისა დასაწყისსა ბასალიყი გაიხსნას და უხმამან გულანგუბინი და სიქანგუბინი [სეას] და ტანი გაწმიდოს იარაჲ ფეყირაჲთა ანუ აფთიმონისა მატბუნითა. და მანკისა ადვილსა ბატისა ცნელითა. ანუ ქათმის ცმელითა, ანუ ცერეკოაჲსა ზეთითა იხელდეს და ბაბუნაჲ და აქლილალმაქი და იაჲ წყლითა შეაბგოს და მას წყალსა ზედა იხმიდეს. და საზარდულსა უღბოაჲსა ლობითა და სელითა და ქუნჯი-





ლი კირჩხიბი იყოს ნიშინი მისი იგი არს, რომელ დია მყრალი თხამდე ვამთვიდოდეს მისგან.

კურნებაჲ კირჩხიბისაჲ რომელ შიგან იყოს: იგი არს, რომელ ამის მანკისა დასაწყისსა ხირისა და ბაბუნასა ზეთი, და ბატისა და ქათმისა ცმელი და ეგეთი მალჰამაჲ რომელ მავრისა სიმსივნისათვის გვითქვამს იხმარებდეს. და რასაცა იქმოდეს ცხიბითა და მუდარით იქმოდეს რომელ არ დაწყულდეს. და რაჲ იფეთქოს და სტიკოდეს გარდისა ზეთითა და ბაზრაცატუნისა წყლითა ჰუყნაჲ უყოს და გრილი მალჰამაჲ შემოსდვას რომელ დაწყნარდეს, და ჯობინსა ნუ ეძებ ამას დაჰჯერდი რომელ არ იმატოს. და რაჲ დაწყულდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ აბანოჲს მივიდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდეს.

10 და ქალის დედისა სძე და თეთრი შაფი ცოტასა აფიონსა და ზაფრანასა გაპრიოს და მაშინ ჰუყნაჲ უყოს რომელ ტკივილი დასწყნარდეს. და ლელვი და ჩამიჩი და უნაბი და სიფისთანნი ერთგან გარიოს, და ხიარ შამბარი და ნუშისა ზეთი გაპრიოს, და იხმაროს.

იოჰანა იტყვის: ესე მანკი ძნელად იკურნების, მაგრა ჰკურნონ რომელ არ მოიმატოს, კატკატოჲსა თესლი და ბალბაჲ ნელლი თაფლისა წყლითა გაპრიოს, და მაშინ გარდისა ზეთითა კარვად იხელოს<sup>1)</sup> და მანკის ადგილსა შემოსდვას, და ნელი წყალი და ქალისა დედისა სძე, და გარდისა ზეთი და კატკატოჲსა თესლი დანაყილი ერთგან გაპრიოს და მით ჰუყნაჲ უყოს. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ გარდვიდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ლიპიათა თაისისა აფშარაჲთა, და სპეტითა და სომხურითა მიწითა, და ლისანალჰამალისა წყლითა ჰუყნაჲ უყოს და თიენისა ხორცსა და ღურაჯისა ხორცსა რომელ ნატიფითა 20 სანელებელითა შექნილ იყოს ჭამდეს. და ხილთაგან ლელვი და ყურძენი თეთრი და ვაშლსა და ატამსა ჭამდეს ერგების შეწვევითა ღმრთისათა.

როჲ. კიდე გამოსვლაჲ საშობაელისა და სინდლისა დენაჲ მისგან. ესე მანკი ბალბაშურისა სინდლისგან იქნების ანუ მავარისა ნაკრავისაგან რომელ სცემოდეს ანუ მალლისა ადგილისაგან დაცემულ იყოს ანუ შიხე რაჲჲ აედოს ესე გამოჩნდეს

ნიშანი ზეჰდანისა გამოსვლისაჲ იგი არს რომელ გამოსრულ იყოს და თვით შეიგნეს, და ესე უმეცართა აქიშთა არა იციან და ყველა ამას მანკსა ვერ შეატყუებენ, თუ ღია შეცნეირი აქიმი და მონახული არა არს.

კურნებაჲ ზეჰდანისა გამოსვლისაჲ იგი არს, რომელ დამკერელთა წყალთა შიგან ჩაჯდეს და ზეჰდანი გარდისა ზეთითა დაიციხიბიანოს და დამკერელი წამალი შემოსდვას და ადგილსავე მიიღოს. ბროწეულისა ყუჩავილი და ვარდი, ოსპი და გუნდაჲ, და ბროწეულისა ქერქი ყოველი წყლითა შეაბგოს და ზეჰდანი მაგით დაიბანოს და შიგანცა ჩაჯდეს. და თუ ნელი ერბოჲ შეისხას და თუ მატყლი ამითვე ერბოჲთა ჩაყოს და შემოსდვას კარგი არს. და თუ ლიპიათა თაისისა აფშარაჲ, ვითამცა ვაცის წვერისაჲ, ღვინოჲსა შიგან გაადნოს ანუ მორდისა წყალსა შიგან დააღბოს და ზედა შემოსდვას, კარგი არს.

თიადუყ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მორდისა შტოჲ და გუნდაჲ და კრკოჲსა ჯანთი და თუთუბაჲ და ზეთისხლისა ფურცელი, და ატმის ფურცელი და სარვისა ნიგოზი ყოველ წყლითა შეაბგოს და შიგან ჩაჯდეს. და თუ ესე შაფი აიპყრას ამას მანკსა ღია ერგების ვითარებაჲ მისი: აყაყიაჲ და მური და თეთრი საქმელი, და ლადანაჲ და ბროწეულისა ყუჩავილი, და მორდი და ოსპი ქერქ შეხდილი, და ვარდი და გუნდაჲ 40 თვითოჲსა ოდენი, ყოველი დანაყილი და მკრველითა ღვინითა შეზილოს და მატყლი მაგითი დასვაროსდა მორდისა ზეთსა შიგან ჩაყოს და აიპყრას. და თუ ზეჰდანისა თავი ქავოდეს ატმისა ფურცელი და ბროწეულისა ქერქი, და ოსპი უჭურქოჲ ყოველი დანაყილი შაქარსა გაპრიოს და მატყლსა შემოაყაროს და აიპყრას, ერგების.

როფის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ იარაჲსა ჰაბი ჭამოს და იასამინისა თეთრისა ზეთითა და ლალიაჲთა ჰუყნაჲ უყოს. და სამსა დღეთა ჰამოთა სურნელთა

1) შეხილოს (წამალი).



უსუნებდეს ვითა მუშკი და. ლალია და ამბარი და ასფარამთა წყალსა ვიფაძცა ყუწვილთა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს და [იბანდეს]¹) და ტარათითი და აყაყიამ მღოსანსა ღამლისა წყლითა შეზილოს და ზეჰდანიისა შემოსდვას ერგების.

**გამრუდებამა ზეჰდანიისა და ვითარებამა მისი.** იოჰანა იტყვის: ვითარებამა მისი გლუსუნისა სქელისა გასარეველისაგან იქნების რაჲ ცალსა კერძსა ზეჰდანიისა მიტენილ იყოს, და იგი კერძი სხვაჲ მისისა სიმძიმისაგან გამრუდდების მით რომელ სძლევს.

ნიშანი ზეჰდანიისა გამრუდებისაჲ. იგი არს, რომელ დიაცი არ დაორსულდეს და ზეჰდანიისა იგი კერძი რომელ ხილტი შიგან იყოს ემძიმებოდეს, და ესე მანკი შობასა უკანით გამოაჩნდების დედათა.

10 კურნებამა ზეჰდანიისა გამრუდებისაჲ. იგი არს, რომელ იარაჲსა ჰაბი ჰამოს ანუ ყოყიასა ჰაბი, და თეთრისა იასამინისა ზეთსა ლალიითა და მუშკითა და ანბრითა გაჰრიოს და უსუნებდეს. და მას კერძსა რომელ ემძიმებოდეს ხელითა იხელდეს, რომელ ზეჰდანიი გამრუდდეს, და თუ ძარღვი სისხლითა საესე იყოს და სისხლისა ნიშანი ჩნდეს, კურნებამა მისი იგი არს, რომელ მუნითვე რომელ ემძიმებოდეს ხელი გაიხსნას, და იგი ხილტი რომელ მორეულ იყოს კიდე გააყენოს ტანისაგან წამლითა რომელ საამისოჲ იყოს, და მაშინ აბანოჲსა მივიდეს, და საჭამადსა მხურვალსა და ნატიფსა ჰამდეს.

ისაჲ იტყვის: კურნებამა მისი იგი არს, რომელ ეგეთა წამალითა იხმარებდეს რომელ მსხვილსა გასარეველსა ჩამოიღებდეს. და მანკისა სითავნოჲ გაწმინდოს ყოყიასა ჰაბითა ესრე, ვითარებამა მისი: მასთაქე და აფსანთინისა აფშარაჲ, და საბრი და საყამონიაჲ

20 და შაჰში ჰანტალი თვითოჲსაგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი წყლითა შეზილოს და ჰაბად ქნას და ცისკრისა ეამსა მუთყალი ერთი იხმაროს.

**სინედლისა მოსვლაჲ ზეჰდანთა რომელსა ჰჰვიან სალანალ ჩაჰიმ.** იგი სინედლე რომელ გამოვიდეს ჰნახონ, თუ წითელი იყოს სისხლისა სიმეტისაგან არს, ბასალიყი გაიხსნას. და თუ ყვითელი იყოს ზაფრისა მორევისაგან არს, ჰალილაჲსა ყვითელისა მატბუხი იხმაროს ხილთა წყლითა. და თუ თეთრი იყოს ბალღმისა სიმეტითა არს, კურნებამა მისი იგი არს, რომელ ეგეთი წამალი რომელ ბალღმისა ჩამოიღებდეს იხმაროს, და დრამისა წონი ერთი დანაყოს და ამოზაეებულსა კვერცხსა თანა ჰამოს, და ჰილპილი და ხაზდისა გული დანაყილი აიბყრას. და თუ ფერად შავი იყოს სევდისაგან არს, კურნებამა მისი იგი არს, რომელ აფთიმონისა მატბუხი ჰამოს.

30 **როჰ. შვილისა მოგდებაჲ და ძარბი რომელ იჰოს საშობელსა ზეჰდანსა შიგან.** ვითარებამა მისი და ყმისა მოგდებამა.

მესია იტყვის: ვითა ნაკრავისაგან იქნების რომელ მუცელსა ეცეს რადმე, ანუ მალღისა ადგილისაგან ჩამოხლტეს, ანუ თვით ჩაიჭირეს, ანუ ისთიფრალისაგან არს რომელ საზომისაგან გარდასრულ იყოს ანუ გლუსუნისა სინედლისაგან იქნების, ანუ ქართავან. ისთიფრალი დაცლასა ჰქვიან სილბოჲთა, სისბლთა დენითა, რწყევითა რაჲთაჲ.

ნიშანი ყმისა მოგდებისაჲ რაჲცა საშობელისა ნაკრავისა ანუ დაცემისაგან ანუ ისთიფრალისაგან იყოს, იგი თვით ცხადი არს, და ნიშანი მისი რაჲცა სინედლისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს, რომელ სინედლე მისგან გამოვიდეს, და იქნებისცა რომელ სამისა თვეს მოივნოს.

40 კურნებამა მისი რომელ მოევენოს ყმაჲ. მესია იტყვის: იგი არს, რომელ რაჲ ორსული არ იყოს ტანი გაწმინდოს გასარეველთა ბალღამურთაგან იარაჲ ფეყირაჲთა, და არწყიოსცა ცერეცოჲსა წყლითა და ნელითა თაფლის წყლითა, რომელ მანკისა დედაჲ დაელიოს, და მაშინ ძქელი გულანგუბინი და მუშკისა გვარიშნი ანუ ანბარისა გვარიშნი იხმაროს. და ესე შაფი აიბყრას ვითარებამა მისი: შაჰში ჰანტალი და მასტაქი და ზაფრანაჲ

¹) აქ ტექსტში ერთი სიტყვა ისეა წაშლილი რომ ვერ იკითხება.

და ხმელი მიაღ და ფაჩარი თვითოვსაგან ნაწილი ერთი, და ცოტაჲ მუშკი გაჭრიოს და შა-  
შინ დანაყილი ღვინითა შეზილოს, და შაფად ქნას და აიპყრას, საქამადსა ცხვირისა ხორცსა  
კამდეს კალიითა.

ისაჲ იტყვის. ესე წამალი ყმისა მოდგებასა თუ ქარისაგან, თუ სინედლისაგან  
იყოს ერგებრს: ბალანისა ზეთი ორისა დრამისა წონი, თირიყი ასპიტისაჲ ვითამცა აფესი  
მუთყალი ერთი, ხაზლისა გული ორისა დრამისა წონი და ნახევარი, ჯაშირისა <sup>1)</sup> ძირი  
დრამისა წონი და ნახევარი, ზარნაბადი და დრონაჲ თვითოვსაგან ორისა დრამისა წონი,  
ნედლი ზოფაჲ ორი დანგი, რაჲცა ამა წამალთაგან ხმელი იყოს დანაყოს, და თირიყი ბა-  
ლანისისა ზეთითა გაადგინოს, და ყოველი ერთგან გაჭრიოს, და მისგნით თხილისა ოდენი  
10 მატყლსა ზედა იცხოს და აიპყრას. და მენუთესა დღესა მისგნით ოთხოთხსა დღესა გარდა-  
რებდეს ნახევარსა დრამისა წონსა წისგნით კამდეს. და თუ ესე მანკი ქარისგან იყოს ესე  
სუფუფი კამოს, რომელ ესე ქარი გაქარდეს, ვითარებაჲ მისი: ნიახურისა თესლი და ბადი-  
ანი, და ანისონი და ქონდარი, და ნახუაბი და შავი ანგუდანი, უპანი არს, და დინაროჲ  
და პიტნაჲ მთისაჲ, და სუდი და ძირაჲ და ზარნაბადი თვითოვსაგან ნაწილი ერთი, ყოველი  
დანაყილი და გატრილი მისგნით ნუტყალი ერთი ღვინითა იხმაროს. და თუ ნაყრავისა ანუ  
დაცემისაგან ქნელ იყოს ფაჭრეზი ქნას, და თავი შეინახოს ჰავთა საქამადთაგან და გამოს-  
ვენებით იყოს თუ მშვიდობაჲ უნდეს.

ვითარებაჲ საშობელთა ქარებისაჲ: ესე მანკი მით იქნების რომელ ჰავსა  
გასარეველსა ბუნებაჲ მისი გაეჰავოს, ანუ გრილისა ხილტვისაგან იქნების რომელ შიგან  
20 შეყრილ იყოს, ანუ სისხლისაგან ქნილ იყოს რომერ შიგან გამაგრებულ იყოს.

ნიშანა ზეჰდანიისა ქარისაჲ. იგი არს, რომელ მუცელი და საზარდული გა-  
სივდეს და გამაგრდეს, და რაჲ ხელი შემოსდგან და დადრეკონ ხმაჲ მისი ღუნგულისა ხმი-  
საებრ იყოს, და რაჲ ქარიანი საქამადი კამოს მაშინ უფარეს გახდეს სნეული, და არ აშენ-  
დეს ქარიანი.

კურნებაჲ ზეჰდანიისა ქარისაჲ: იგი არს, რომელ მასოი ახსძე იტყვის:  
ეგეთთა საქამადთა კამდეს რომელ ქარსა გააქარებდეს ვითა ძირაჲსა გვარიშნი და ნიახუ-  
რისა თესლი, და ბადიანისა თესლი და ანისონი, ყოველი დანაყილი მისგნით მუთყალი ერთი  
თაფლითა იხმაროს. და მიწყით უპესა ქვეშეთი და საზარდული ტეგნაჲსა და ცეროცსა ზე-  
თითა იზელოს. და თუ ბაზუნაჲ და ცეროცოჲ, და მარზანგოში და აფსანთინი, და სისანბარი  
30 და მარდაპუზი, და დრამინაჲ და ნიახურისა თესლი, და ანისონი და ბადიანი და ძირაჲ ყო-  
ველ წყლითა შეაბგოს და სამი უკია მისგნით აილოს და სამისა დრამისა წონი კუსტისა  
ზეთი გაურროს, და მით წინაჲთ ჰყუნაჲ უყოს, კარგი არს.

ჯალინოს იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ დრამისა წონი დაჰმართაჲ  
მით წყლითა, რომელ მით ტეგნაჲსა აფშარაჲ და ძირაჲ ამოდულეზულ იყოს, კამოს კარგი  
არს. და კიქაჲ ცეცხლითა საზარდულსა მოჰკიდოს. და თუ მანკი არ დაელიოს იარაჲ ფეცი-  
რაჲ და ჰაბი გუნდაჲ იხმაროს. და თუ მანკი სისხლისგან იყოს რომელ ზეჰდანიისა თავსა გა-  
მაგრებულ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს რომელ, წინა მდგომიან დიაცვან ხელითა დააცხი-  
ბიანოს ბალბითა და ერბოჲთა და შეყოს ხელი მუნ, და იგი გამაგრებული სისხლი გამოი-  
ლოს, და ესე შემოსადებელი გარეთ მუნ შემოსდგას ვითარებაჲ მისი: ხმელი ლეღვი და თხი-  
40 ლი დანაყილი ახალსა სძესა გაჭრიოს და ცოტაჲ ბავრუკი და ძირაჲ დანაყილი შეურთოს  
და შემოსდგას, და ესე შაფი აიპყრას. და ესე ჰყუნაჲ ერგების მას ბაზუნაჲ და აქლილალმა-  
ლიქი და ბრინჯასფი თვითოვსაგან უკიაჲ ერთი, ცეროცოჲ და სისანბარი და დრამინაჲ თვი-  
თოვსაგან ხუთისა დრამისა წონი, სუთი ულბოჲ თვითოვსაგან სამისა დრამისა წონი, ყოველი  
ადულოს და ჰყუნაჲ უყოს ერგების.

<sup>1)</sup> ჯავაშირისა.



**არგ. არ დამოკიდებება და უშიშროება არ მიცემა მამაციისაგან იყოს, თუ დიაცი**

საგან- ვითარება მისი რაა მამაციისაგან იყოს. ბაყრატი იტყვის: არაა მამაციისაგან იყოს იგი არს, რომელ სარცხვენილი ცოტაა იყოს მისი, და საშვილესა აღვიღოსა ვერ მის წვთეს, ანუ ჰაეზუნებობისა ზურგისა წყლისაგან იყოს, რომელ დია მხურვალი იყოს, ანუ თუ გრილი.

ნიშანი მისი რაა მამაციისაგან იყოს. იგი არს რომელ სიმხურვალისა წყლისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ წყალი უვითელი იყოს და ცოტაა, და მერალი იყოს. და ნიშანი მისი რომელ სიგრილისა ჰაეზუნებობისაგან იყოს იგი არს, რომელ წყალი თეთრი და სქელი და მრავალი იყოს.

- 10 კურნებაა მისი რაა მამაციისაგან იყოს უშიშროებაა. იგი არს, რაა სარცხვენილი ცოტაა იყოს დიაცისა მოხვნაა სწადდეს დიაცი თავჩალმა დააწინოს და ბარკალნი მისნი აამალხეს და რაა მოიცალოს დიდხან თავ ჩაღმა დაყოს დიაცი, და რაა მოხვნას აღრე ნუ გაეყრების, ხანი დაყოს ეგრეთვე, რომელ წყალი საშვილესა აღვიღოსა მივიდეს. და კურნებაა ჩისი რაადა წყლისა სიმხურვალითა არ მიეცემოდეს იგი არს, რომელ გრილითა და ნედლითა იხმარებდეს და საქამადთა სწორთა მიელტვოდეს. და ყველასა წყალსა ნუ სუამს, კარგსა გამოცდილსა სმიდეს. და რომელიცა მამაციისა წყალი სისწორისგან გასულ იყოს მისგან შეილი არ შეიქნების. მრავალთა აქითა უთქვამს ჰაე ბუნებაა მამაციისა და დიაცისა წყლისა სიხმელითა და სინედლით შეიღსა არა შლის მიცემსა, განა სიმხურვალე და სიგრილე შლის, ეგრე რომელ მამაციისა და დიაცისა ორთავე წყალი რაა მხურვალი იყოს შეილი არ შეიქნების, და თუ დია გრილი იყოს არავე მიეცემის, ეგრე ხამს რაა მამაცი მხურვალბუნებაა იყოს გრილბუნებასა დიაცსა თანა დაწვეს, რომელ მათი წყალი გასწორდეს მათგან შეილი მიეცეს. და თუ ცოლსა სხეასა ვერ შეირთავდეს მხურვალბუნებიანი სიგრილესა მიელტვოდენ, და გრილ ბუნებაა სიმხურვალესა მიელტვოდენ. და საჭამადისა ბუნებაა ეგრევე შეინახონ. და თუ დიაცი და მამაცი ორივე მხურვალბუნებიანი ანუ ორივე გრილბუნებიანი იყვნენ მათ შეილი არ მიეცემის. და რაა ერთი გრილი და ერთი მხურვალი იყოს, და ამათ მიზეზთა და მანკთაგან რომელ გვითრვამს არა ერთოს, შეილი მიეცემის. და რაა დიაცი და მამაცი ორნივე წსორ ბუნებიანი იყვნენ შეილი მიეცემის. და მამაცი იქნების რომელ დიაცისაგან შეილი არ მიეცემის მით რომელ ბუნებაა მათი უფერი იყოს. და ესე შეცხიერებაა კარგად გაიგონებით, დაისწავლე ვინცა აქიმობ, და კაცისა ტანისა და ბუნებისა და
- 30 გასარეველისა შეტყუებაა სახამსოა არს, მეტად მეცნიერისა და გონიერისა აქიმისაგან.

**უშიშროებისა ნიშანი და ვითარებაა რაა დიაციისაგან იყოს.** ჯალინოს იტყვის: მით იქნების რომელ გრილად იყოს, ანუ ნედლად იყოს, ანუ მეტად მხურვალი იყოს, ანუ სიმელესა მოერივნენ მისისა ბუნებისად, ანუ სვედისა მორევისაგან იქნების, ანუ ტართა მორევისაგან.

ნიშანი მისი რაა დიაციისაგან იყოს. იგი არს, თუ საშობელი გრილად იყოს წიდოვანდებისა სისხლი თხელი იქნების, და საზარდულსა ზედა თმაა ცოტაა იქნების, და სინედლისა მისისა იგი არს ნიშანი, რომელ შეილი დიდი ივნოს და მოიგდოს. და სიმხურვალისა ნიშანი იგი არს, რომელ დიაცი მკლე იყოს და სისხლი ცოტაა იყოს და შავი.

- 40 კურნებაა მისი რაა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ მხურვალთა იხმარებდეს და მხურვალთა იკმოლებდეს, და მხურვალთა შემოსდებდეს, ესე ყოველი მას ერგების. და კურნებაა მისი რაადა ზეჰდანისა სინედლისაგან იყოს იგი არს, არწყვიოს რომელ ბალღამი დაელიოს და ეგეთი [შაფი] რომელ შაჰი პანტლისა და ანზარეთისგან შექნილ იყოს აიპრობდეს, და სურნელითა ჰუყნაა უყოს რომელ მანკი დაელიოს. და რაადა სინედლესა იქმოდეს იხმარებდეს. და კურნებაა მისი რომელ საშობელითა სიმხურვალისაგან იყოს იგი არს, რომელ საჭამადთა სწორთა ჰამდეს და გრილითა და ნედლითა ჰუყნაა უყოს, რომელ გასუქდეს და ბუნებაა სწორად შეიქნას. და ნიშანი მისი რომელ ზეჰდანისა სიხმელისაგან იყოს იგი





არს, რომელ დიაცი ხმელი და მჭლე იყოს, და იგი ადგილი მშრალად ეღვას, ვერც ხამს რომელ ლბილსა და ნატიფსა იხმარებდეს საქამადას, და აბანოს მივიდოდეს და და რეინოსა წყალ რეულსა სმიდეს, და ლბილთა შაფთა და ზეთთა აიპყრობდეს. და რააცა ქარისგან იყოს იგი არს, რომელ ამას წინად გვითქვამს. და დიაცი არ ოდეს დაორსულდების ვიდრე სახომსა ზედა საშობელი არ მივა, და უზნედ არ გამრთელდების.

ისაკ იტყვის: ესე შაფი კარგი არს ზაფრანაჲ და ჰამამაჲ და ფაჩარი და ანლი-  
ლაღმლაჲ თვითოხსაგან სამისა დრამისა წონი, ბატისა და ქათმისა ცმელი და კვერცხისა  
ხუთთელი თვითოხსაგან სამი უკიაჲ, ჰინდოური საჯიდი <sup>1)</sup> და ყურდემნაჲ თვითხსგან უკიაჲ  
ერთი ბალასნისა ზეთი, არა ნარდენისა ზეთი, დრამისა წონი, რააცა ამით წამალთა თანა  
10 ხმელი იყოს დანაყოს და რააცა ნედლი იყოს გაგალოს და ერთგან შეხილოს, და მატყლსა  
შესცხოს და საღამოდ დიაციმან აიპყრას. და ცოტაჲ მუშვი და ზაფრანაჲ მგლისა ნაგელსა  
თანა გაპრიოს და აიპყრას, დია კარგი არს.

**როდ კნელად შობაჲ და მათიშობაჲ გამოსვლა.** ვითარებაჲ ძნელად შობისაჲ.  
ფოლის იტყვის: ეჲე შანკი მანშიმასა სისქისაგან იქნების, რომელ დიაცი ქალწული იყ-  
ოს ანუ უსუსური, ანუ გრილი ჰაერი ანუ მხურვალე ჰაერი სცემოდეს, ანუ შვილისა სიდიდისა-  
გან იქნების, ანუ შვილისა არ მართლად გამოსვლისაგან.

ნიშანი ძნელად შობისაჲ რაჲს განცა იყოს. მათიშობასა სისქისა ნიშანი იგი  
არს, რომელ აღრე გასქდეს და ქალწულობისა და უსუსურობისა ნიშანი თვით ცხადი არს, და  
ჰაერის ცემისა გრილისა და მხურვალისა ნიშანი იგი არს, რომელ თვით სნეულსა ჰკითხონ  
20 და თქვას.

კურნებაჲ ძნელად შობისაჲ. რაჲ შობისა ეამი მოეხლოს მიწყით აბანოს  
მივიდოდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს, და დღივ მრავალჯერ შევიდოდეს და გამოვი-  
დოდეს და ზურგსა და უბესა ქვეშესა იზელდეს ერბოითა, და რაჲ ხორცისა მისისა ფერი  
გამწვანდეს, ზურგსა და საზარდულსა და მიდამოსა მისსა ხირისა ანუ ნარგისისა ზეთითა ნე-  
ლითა იზელდეს, ზოგჯერ სკამსა ზედა დაჯდებოდეს და ზოგჯერ იარებოდეს. და რაჲ შო-  
ბისა ტკივილი გამოჩნდეს სული მაგრად დაიგუბოს და წინა მდგომი ამქვემელი დიაცი ხელსა  
მუცელსა ზედა მოუსმიდეს ვითა წესი არს, და თუ ძნელად შობაჲ მათიშობასა სისქისგან იყოს  
მოიჭირვოს, რომელ ფრებილითა ანუ დანის წვერითა გაალოს. და თუ მართ უსუსურობისა-  
გან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთათა საქამადაჲ ჰამდეს რომელ ძილსა <sup>2)</sup> მოუ-  
30 მატებდეს, და სურნელსა ლეინოასა სმიდეს და სურნელთა ქვეშე უკმოლებდნენ, და თუ ჰაე-  
რისა ხმელისა ანუ მხურვალისაგან იყოს, გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს და ბროწყულისა  
წყალი იხმაროს. და თუ გრილსა ჰაერისაგან იყოს აბანოს მივიდეს და საზარდულსა იასამი-  
ნის ზეთითა იზელდეს, და ნელსა წყალსა მუცელსა ზედა ისხმიდეს. და თუ შიშისგან იყოს ჰა-  
მითა სიტყვითა შეაქცევდნენ. და თუ სიმსქნიდან იყოს მუცელი ბარკლსა ზედა დასდვას  
რომელ ადვილად შობოს და ყეროტითა <sup>3)</sup> ზეჰდანის თაგი კარგიდ იზელოს და ქალღდი  
მოგრეხილი ცხვირთა ჩასდვას, და ფარისიფოწანი და ძმარი და ნუშისა ზეთი შეაბგოს და  
ცხვირთა ჩაიწოოს. და დიაცი რაჲ ძნელად შობდეს ფარრაჯაჲ ქნას გუნდასგან და ბრო-  
წყულისა ყრევილისაგან და თვით აიპყრას.

**მათიშობასა გამოსვლისა ვითარებაჲ:** იოჰანა იტყვის: საშობელისა გამოსვლაჲ სის-  
40 ქისა ანუ სითხისა მისგან იქნების და შვილი რომელ მუცელსა შიგან მოკვდეს ნაკრავისა-  
გან იქნების, ანუ საზარდულისა სიმცროსაგან, და მხურვალთაგან რომელ ეჭამოს.

<sup>1)</sup> ამ სიტყვას სამი წერტილი უზის და ამოაზე სწერია „სადიჯი“.  
<sup>2)</sup> უნდა იყოს „ძილსა“  
<sup>3)</sup> ყეროტი—სახელი ინსტრუმენტი.



ნიშანი მაშინმასა გამოსვლისაჲ გამოსვლა თვით ცხადი არს. და შვილისა ნიშანი რომელ მუცელსა შიგან მოკვდეს იგი არს, რომელ პირველი მუცელი სუბუქად იყოს და მაშინ დამძიმდეს და ძღუთანი დაჰყენეს.

კურნებაჲ მაშინმასა გამოსვლისაჲ: იგი არს, რომელ დანგი ერთი ღალიაჲ შემგბრითა ღვინითა ჰამოს, და ეგეთთა რაჲსმე რომელ წიდოვნობისა სისხლსა ჩამოიღებდეს აიპურას. და ესე შადი ამას ერგების ვითარებაჲ მისი: ზარაფანდი მრგვალი და აბჰალი, და სბანძელისა თესლი ყოველი დანაყილი ზროხისა ნავლელითა შეზილოს და შაფად ქნას, და აიპურას. დს თუ ამით რომელ გვითქეაჲს არ გამოვიდეს და ზეჰდანიისა თაეი ღიაჲ იყოს, წინა ჰდგომმან დიაცმან შეხედნეს, თუ ნახოს რომელ მაშინმასა მოგრებილ იყოს, ხელი დააცხიბი-  
 10 ანოს ერბოჲთა დაეკიდოს, და გამოილოს. და თუ ზეჰდანიისა თაეი ღიად არ იყოს და მაშინმასა არა ჩნდეს, იისა ზეთი შესცხოს და თუილსა წყალსა ჩაჯდეს, და თუ ყატრანი მატყლსა ზედა იცხოს და აიპურას, მაშინმასა გამოიღებეს.

ისაჲ იტყვის: რაჲ შვილი მუცელსა შიგან მოკვდეს მოიჭირვოს რომელ წამლითა გამოილოს, და თუ არ გამოვიდეს დანითა დაჰრას და გამოილოს. მაგრამ ვაგებდაჲ მისი იგი არს, რომელ პირველ ესე წამალი მისცეს ვითარებაჲ მისი: თირმისი და პიტნაჲ და ასა-  
 რონი წყლითა ადულოს და ნელი მისი იხმაროს. და ესე შადი აიპურას რომელ შვილი მკვდა-  
 რი გამოვიდეს ვითარებაჲ მისი: ხარბაყი და ჯავაშირი და ზროხისა ნავლელი თვითოჲ-  
 საგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი შაფად ქნას თვითო გრწყისა ოდენი დააიპურას, და  
 20 თუ ქვეშ იკმოლოს და ქერუშითა ცხვირი დააცემიოს კარგი არს, და უღბოჲ და ტეგნაჲ და ხურმაჲ ერთგან შეაბგოს და ჰამოს. და თუ ზეჰდანი თხელი იყოს ნელი ერბოჲ შიგან შეიცხოს, და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს.

როჲ. ძაჲშათა სიმსივნე სიმსხვრისაგან რაჲ იყოს. აბუჯარიჲ იტ[ყვის]: ვითარებაჲ მისი სიმსურვალისგან იქნების რომელ რაჲცა სინედლე შიგან იყოს გამოზიდოს, და გაახშოს, და რაჲცა შიგან დარჩეს გაასქელოს, და ესე მანკი <sup>1)</sup> მაშინ მისგან ძღუთთა შიგან ღია გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲცა მსხურვალისა სიმსივნისაგან იყოს იგი არს, რომელ ძნელად სტიკეოდეს და ისრისაებრ სცემდეს და ფერად წითელი იყოს, და რაჲ ხელი შემოსდვან ხურვიდეს, და რაჲ გრილი რაჲმე შემოსდვან ელხინოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმსურვალისგან იყოს. აბუჯარიჲ იტყვის:  
 30 მანკისა დასაწყისსა ბანბაჲ თფილითა წყლითა, რომელ ძმარი რეულ იყოს, დაასოვლოს და შემოსდვან. და თუ არ ელხინოს კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი შემოსდვან, და ნელითა წყლითა იბანებოდეს. და თუ სიმსურვალე ღია იყოს და სტიკეოდეს ბაკილასა და ქერისა ფქვილი კვერცხისა ყვითლითა შეზილოს, და მეშზპარისა წყალი და ნედლისა ქინძისა წყალი გაჰრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და რაჲ სიმსურვალე და ტკივილი დაელიოს მომ-  
 როლანი სცხოს და ასდარამთა წყლითა მიწყით ჰბანდეს. და თუ თხაბლი შეყრილ იყოს უღ-  
 ბოჲ და სელი, და მური და ბალბაჲ, და ქერისა ფქვილი და ერბოჲ ერთგან გაჰრიოს და  
 ზედა შემოსდვას, რომელ სიმსივნე გაიხსნას. და თუ არ გაიხსნას და სტიკეოდეს და შეეძლოს  
 გახსნა მისი ეგრე, რომელ არა აწყინოს, გახსნას, და კარაქი შემოსდვას, და ნატიფთა ჰამდეს  
 და რაჲ ჭამი იყოს თეთრი მალჰამაჲ შემოსდვას.

40 ჰუნაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუნთკე რომელ ტკივილი იყოს ხელი გაიხსნას, და კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი და ქერისა ფქვილი შემოსა-  
 დებლად შემოსდვას. და თუ სიმსურვალე ღია იყოს ქერისა და ბაკილაჲსა ფქვილი, და ველს-  
 რისა ბროწყელისა ძირი <sup>2)</sup> და ქინძისა წყალი და მეშზპარისა წყალი, და კატკატოჲსა წყა-

<sup>1)</sup> ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.  
<sup>2)</sup> ამ გვერდის ქვემო აწიხე რვეულთა სათვალავი სწერია „მა“ და შემდგომ გვერდის ზემო აწიხე „ბბ“.

ლი, ყოველი მალჭამად უყოს და შემოსდვას. და თეთრი ცვილი და კვერცხისა ყვითელი და ერბოჲ ერთგან გაგალოს და ზედა შემოსდვას. და ესე მალჭამად კარგი არს ვითარცა შისი: ქერისა და ბაკლაჲსა ფქვილი, და უღბოჲ და კვერცხისა ყვითელი, და ბალბაჲ და მური, და ზაფრანაჲ ყოველი მალჭამად უყოს და შემოსდვას, ერგების შეწვევითა ღმრთისათა.

ძუძუჲსა სიმსივნე რაჲ სიგრილისაგან იყოს: მუჭამედ ზაქარიაჲსძე იტყვის: ბალღამურისა გასარეველისაგან იქნების რომელ მისდა მოერიოს, ანუ მისგან იქნების რომელ სასეველოჲ სისხლი ძუძუჲთა შიგან გამაგრებულ იყოს და მაგრად მუნ შეკრულ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს: იგი არს, რაჲცა ბალღამურისა გასარეველისაგან იყოს, რომელ სიმსივნე თეთრი იყოს და ღმირი და ზელისაგან გაპკრილდებოდეს. და ნიშანი მისი რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ მაგარი იყოს და შავგზარი.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს: რაჲ ბალღამურისა გასარეველისაგან იყოს ნიახური დანაყოს და შემოსდვას, და ბაბუნაჲ დია ერგების, და ბალღამურისა საჭამადთა ერთდებოდეს. და კურნებაჲ მისი რომელ სასეველოჲსა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ აფთიმონისა მატუბი იხმაროს, და თუ სნეულსა შეეძლოს ზროხისა წვივისა ტენი და თეთრი ცვილი ერთგან გაპკრიოს და მიწყით მას იცხებდეს. და ესე შემოსადებული ერგების: ლედვი წყლითა ადულოს და უღბოჲსა ფქვილი და სელი, და ბალბაჲ თეთრი გაპკრიოს და ავანიითა კარგათ დაგალოს, და სოსნისა ზეთი გაუკრიოს და მანკისა ადვილსა შემოსდვას. და სასეველოჲთა საჭამადთა ერთდოს ვითა ზროხისა, ხორცსა და ქათმისა და ბატისა ხორცსა ჭამდეს:

როდის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბაბუნაჲ და სისანბარი და ყაისუმი ყოველი წყლითა შეაბგოს და მიწყით მისსა წყალსა ნელსა ზედა ისხმიდეს, და ნარგისისა ზეთი შესცხოს, და იისა ზეთი და კვერცხისა ყვითელი და ქათირაჲ ავანსა შიგან გაგალოს და ზედა შემოსდვას. და თუ სიმსივნე მაგარი იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ თეთრი ცვილი და ვარდისა ზეთი, და ყატრანი და ზროხისა ნაცლეი ყოველი მალჭამად შექნას და იცხებდეს. და ესე წამალი სხვაჲ სიმსივნესა გაპკინის ვითარებაჲ მისი: უღბოჲ და სელი და ქუნჯიდი და სოსნისა ძირი და მიაჲ და თაგვისა განაველი და თხისა კორკლი და მდინარე, ფიჭვისა გომიზი არს რათიანა ჰევიან, და თეთრი ცვილი და ერბოჲ ყოველი მალჭამად უყოს. და შემოსცხოს.

როგ. კურნებაჲ სისხლსა და სხე რომელ შიგან შიქარაჲ. ვითარებაჲ ძუძუჲთა ტკივილისა. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი მხურვალისა გასარეველისაგან იქნების რომელ ტენისა ბუნებაჲსა სისწორისაგან შესცვალოს და მოერიოს, ანუ სასეველოჲ ანუ საბალღამოჲ გასარეველი გრილი იყოს.

ნიშანი ძუძუჲთა ტკივილისა რაჲ სიმხურვალისგან იყოს იგი, არს რომელ ტკივილი ისრისაგან სცემდეს და ხელთა მოსმისაგან გახურდეს დია, და ნიშანი მისი რაჲცა სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ არ დია სტკივოდეს და ზელისგან გაგრილდეს.

კურნებაჲ ძუძუჲთა ტკივილისა. რაჲ ესე მანკი მისგან იყოს რომელ ბუჯაჲ გამხურვლებულ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ორთავე კიტრთა თესლი და კატკატრასა თესლი, და ხაშხაშისა თეთრისა თესლი, დანაყილი ერთგან გაპკრიოს და მისგან ორისა დრამისა წონსა იხმარებდეს ცისკრისა ეამსა, და ქათმისა ხორცსა ისრითა შექნილსა ჭამდეს, და ლეინოჲსა წყალ რეულსა ცოცოტასა სმიდეს. და თუ ვითარებაჲ მისი სიგრილისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მხურვალთა საჭამადთა ჭამდეს და ძირაჲ დანაყილი ნიახურისა წყლითა შეზილოს და ზედა შემოსდვას. და ბაბუნაჲ და ძირაჲ დანაყოს და იასამინისა ზეთითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს. და სეველიანთა საჭამადთა ერთდოს და ტკბილთა მიელტვოდეს.



და სძისა დენისათვის თუ არ ჩამოვიდოდეს. მადანი იტყვის: სძესა ჭამდეს, და ცერეკოასა თესლი, და ბადიანისა თესლი და სახერეცელთა რომელ სძისა და მუხუდისა ფქვილისაგან შექნილ იყოს ხერეტდეს. და იველი დანაყილი ფურთა სძითა შეაბგოს და ბადიანისა თესლი შეგან ჩაურთოს და ხერიტოს. და მიწყით ნელსა ბადიანსა ჭამდეს, სძესა მოუმატებს, და ესე სუფუფი ჩვენ გამოგვიცლია სძესა მოუმატებს: ცერეკოასა თესლი სამი დრამისა წონი, სონიჯი ხუთისა დრამისა წონი, ორივე დანაყილი ერთგან გაპრიოს და რაა დღე მასგანთ ხუთისა დრამისა წონსა იხმარებდეს, ანუ სამისა დრამისა წონსა, და თხისა სძესა სძიდეს კარგი არს. და ნიაბურისა თესლი და პიტნაა და ნანხუაჰი და ცერეკოასა თესლი, და ბადიანისა თესლი, და ბადიანი ამით ყოველთაგან რომელიცა იყოს

10) თაფლითა შეზილოს დანაყილი და იხმარებდეს. და ქრთილისა წყალი და ბადიანისა თესლი და მანბისა ძირი შეაბგოს და ძუძუმთა შესცხოს, სავეირვლად კარგი არს.

**სძისა ვითარება რომელ ძუძუმთა შიგან შიქრას.** მასარაჯოა იტყვის: შეტისა სიმხურვალისაგან იქნების, რომელ შორეულ იყოს და სინედლე მისი შიშიდოს და გაახმოს, ანუ სიგრილისაგან იქნების რომელ გუნებასა მისსა აჯობოს და მაშინ სძე შიგან გაუყინოს.

ნიშანი მისი: იგი არს, რომელ ძუძუნი ხმელად და დამკენარ იყოს, და რაა ხელი შემოსდვან ხურვიდეს და ნიშანი მისი რააცა სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ ზელისაგან გაგრილდეს და ტკივილი არ ერთოს მანკსა თანა.

კურნება მისი რაა სძე შეკრულ იყოს. იგი არს, რაა სიგრილისგან იყოს

20) სიმხურვალეთა მიელტვოდეს და ესე შემოსადებელი შემოსდვას ვითარება მისი: მუმროლანი და იაა და კვერცხისა ყდითელი ყოველი ვითა მალჰამაა შეიქნას და შემოსდვას. და თუ ბაბუნაა და აქლილალმალთი წყლითა შეაბგოს და ჩელსა მისსა იხმარებდეს კარგი არს. და გრილთა ზეთთა და გრილთა ლუბთა ზედა იცხებდეს, და ქინძი და ნელლი კატკატოა ორივე დანაყოს და შემოსდვას ერგების. და თუ ძმარი და ვარდია ზეთი ორივე ერთგან გადგინოს და წესცხოს კარგი არს. და ძალის ყურმისა ფურცელი და კალნაბისა ფურცელი ორივე დანაყილი, მური და ზაფრანაა გაურიოს და შესცხოს, ერგების.

ისაჲ იტყვის: თუ მანკი სიგრილისაგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ბადიანისა თესლი და ცერეკოასა თესლი დანაყილი თაფლითა შეზილოს და იხმარებდეს და ნარგისის ზეთი და სოსნისა ზეთი და ხირისა ზეთი რომელიცა იყოს ზედა იცხებდეს, და

30) სიგრილეთა ერიდებოდეს. და სისხლი რომელ ძუძუმთა შიგან შეიკრას კურნება მისი იგი არს, რომელ ბაჯლასა ფქვილი და თაფლი მალჰამაა ვითა შექნას და ზედა შემოსდვას. და მიწყით თფილსა წყალსა ზედა ისხმიდეს. და თუ ცოტად ზეთისხილისა ზეთი თფილსა წყალსა თანა გაპრიოს უნჯობესი არს. და თუ უღბოა და სელი ჰაშაა წყლითა შეაბგოს, ჰაშაა ღორის ფიტი მკონიან, და მისისა წკლისაგან ნელსა ზედა ისხმიდეს კარგი არს. და თუ ხმელისა პურისა გული დანაყოს და უღბოა და სელი გაპრიოს და ყოველი წყლითა შეზილოს და შემოსდვას, კარგი არს.

**როჲ. ზურგისა ტკივილი სიმხურვალისგან იყოს თუ სიგრილისგან.**

40) ვითარება მისი რაა სიმხურვალით იყოს. არბიასიოს იტყვის: ვითარება მისი მხურვალისა გასარეველისაგან იქნების რომელ მისდა მოერივნენ, და ესეცა ეგების რომელ ზურგისა ძარლეთა სისავისისაგან იყოს, რომელ სიმსივნისაგან იყოს, და ესე გამოჩხდეს.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რააცა მხურვალისა გასარეველისაგან იყოს რომელ დია სტკივოდეს მეტად სიარულისა ვამსა და ზელისაგან გახურდეს. და ნიშანი მისი რააცა ზურგისა ძარლეთა სისავისისაგან იყოს იგი არს, რომელ ზურგის სტკივოდეს.



კურნება მისი რაჲ სიძხურე აღისგან იყოს. იგი არს, რაჲცა მხურვალისა გასარეულისაგან იყოს რომელ ბასალიკი გაიხსნას მანკისა დასაწყისსა, ედმუნტკატოასა თესლისა წყალი და ბადარანგისა კიტრისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს და სტეპილისა და შეივისა ბროწეულისა წყალი და ტყეშლისა შარბი იხმაროს, და სანდალი და ვარდის წყალი ვაგალოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და საჭამადსა თუთუბისა ანუ ისრიძისა ურწყოასა ჯამდეს. და გრილსა ადგილსა დაწვებოდეს და დაიძინებდეს, და მიწყით ციესა წყალსა ზურგსა ზედა იხმოდეს. და თუ მანკი ზურგისა ძარღვთა სისავისისაგან იყო ბასალიკი გაიხსნას, და მიწყით შამხარსა ბროწეულსა ჯამდეს და გრილსა წყალსა ჩაუდებოდეს.

10 იოჰანა იტყვის: რაჲ ზურგისა ტკივილი დაძველდეს და სიგრილისგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ხაზლისა გულისა ზეთი შესცხოს უკია ერთი, ხარახაპრასა ფურცელი ნახევარ ლიტრასა ზეთის ხილის ზეთსა შიგან შეაბგოს და ზურგსა ზედა შემოსდვას, და დილასა აბანოს მივიდე, და ზურგსა მუხუდოს წვესა ჯამდეს. და თუ მანკი ძნელად იყოს იარაგსა ჰაბითა ანუ შეტარაგსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს. და ესე ჰაბი ზურგისა ტკივილსა რაჲ სიგრილისაგან იყოს ერგების. ვითარება მისი: შაჰმი ჰანტალი და სიქაბენაჲ თვითოასგან ნაწილი ერთი, საბრი ორი ნაწილი, მუყელი ნახევარი ნაწილი, ყოველი ერთგან გაპრიოს და ჰაბად ქნას და იხმარებდეს ორისა დრამისა წონსა. და თუ ზურგისა ტკივილი და ნიშანი ღვინისა სმისაგან იყოს, ბასალიკი გაიხსნას და ციეთა წყლითა იბანებოდეს, და გრილსა საჭამადთა ჯანდეს, ერგების.

20 ზურგისა ტკივილისა ვითარება რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: ზურგისა და წელითა ტკივილი უფროასი სიგრილისაგან იქნების და უნდილისა ბალღამისაგან, და აღრითგან ცოცოტა შეიყრების და მაშინ გამოჩნდების. და იქნებისცა რომელ დია მიჭირებინაგან ქნილ იყოს, და დიაცისა დია მოხვნისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. რაჲცა ცოცოტად გამოჩნდების იგი არს, რომელ სიარულისა ეამსა ტკივილმან დაუშვას, და რაჲცა დიაცისა მოხვნისგან იყოს იგი არს, რომელ ეგრე ველარ ხნვიდეს, მუშად გაძვეებული იყოს, და წელი და ზურგი სტკივოდეს.

30 კურნება მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. რაჲცა ცოცოტად გამოჩნდებოდეს იგი არს რომელ, უზმამან გულანგუბინი ჯამოს და ალვაჲ წყლითა შეაბგოს და ჯამდეს, და მუცელი დაიღბოს სურინჯანისა ჰაბითა რომელ მანკი ტანისაგან დაიკალოს. და ზურგსა ზეთის ხილისა ზეთითა კარგად იხელდეს, და ნელსა წყალსა ზედა იხმოდეს, და მუხუდისა წვესა ჯამდეს, და წყლისა სმისა ერიდოს. და თუ მანკისა დედაჲ ძნელად იყოს არწყიოს, და მუცელი დაიღბოს ვანდაჲსა ჰაბითა და შეტარაგსა ჰაბითა ესრე: ყვითელი პალილაჲ ზეთისა დრამისა წონი, საბრი ათისა დრამისა წონი, ხანჯაბილი და ფაჩარი თვითოასგან დრამისა წონი ერთი, პილბილი და დარაფილფილი თვითოასგან ნახევარისა დრამისა წონი, მარილი ნავთი დრამისა წონი, ფანილი ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი 1) ჰაბად ქნას და მისგნით ორისა დრამისა წონსა იხმარებდეს. და ესე შემოსიდებელი იხმაროს ვითარება მისი: ფარფიონი მუტყალი ერთი, ქალბანაჲ სამისა დრამისა წონი, თუთრი ცვილი უკიაჲ ერთი, ზროხისა ცველი ორისა დრამისა წონი, სოსნისა ძირი შვიდისა დრამისა წონი, ნარდენისა ზეთი უკიაჲ ერთი, ყოველი ერთგან გაპრიოს და ნალჰამად ქნას და ხაზლისა გული და ფარფიონი ერბოჲთა გაადნოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და თუ დია ქირისა ნახვისაგან იყოს თავისა კარგად ჩიყვად და გამოხვეწება დაუწყოს. და იისა ზეთსა და ხირისა ზეთსა ისოთა ზედა იცხებდეს, და ღვინოსა წყალრეულსა სწიდეს და რაჲცა დიაცისა მოხვნისაგან იყოს კურნება იგი არს, რომელ თირკენღთა კურნებისა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ხენოდან არის ნაშატებული დედნის ხელით.

თვის გვითქვამს, ესეთთა რაჲსზე ჴამდეს რომელ თირკმელსა განაძლიერებდეს, და კალაჲსა ჴამდეს მხურვალითა სანელებლთა.

რომ. სიკუჲმ რომელსა ჴაჲვიან არაბულად ჴადგაჲ ჯალინოს იტყვის: ვითარებდა მისი გლუსუნისა გასარეველისაგან იქნების რომელ ზურგისა, მძივთა საქციელთა შუა შეიყაროს, და მისითა სიგლუსუნითა მათ საქციელთაგან რომელიმე თავისა ადგილისაგან დასხლიტოს. ანუ ნაკრაჲვი რაჲმე ეცეს ზურგსა, და მაშინ მისგნით ესე გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ გასარეველისაგან იყოს. რაჲცა გლუსუნისა ბაღმისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით დია სტკივოდეს უმავისოდ რომელ სიმხურვალისა ნიშანი იყოს. და რაჲცა დაცემისა ანუ ნაკრაჲვისაგან იყოს იგი არს, რომელ სნეულსა ჴითხონ და მან თქვას.

კურნებაჲ მისი რაჲ გლუსუნისა ხილტვისაგან იყოს. იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ჴანდაჲსა ჴაბითა ანუ ბეჲესა ჴაბითა, და მაშინ გულანგუბინი თფილითა წყლითა იხმაროს. და მიწყით მანკისა ადგილსა ბანისა ზეთითა და თეთრისა იასამინისა ზეთითა იხელდეს. და მარზანგოში და სისანბარი და ყაისუმი წყლითა შეაბგოს და მისსა წყალსა მანკისა ადგილსა ზედა იცხებდეს. და საჴამადად კალიითა ხორცსა ჴამდეს. და ესე შემოსადებელი მას ერგების ვითარებაჲ მისი: ბერძული ფაჩარი და ყუსტი და საბრი თვითო-ახგან მუთყალი ერთი, მური ნახევარისა დრამისა წონი, და ლადანაჲ და ყასაბადირაჲ და აყიყიაჲ თვითო-ახგან ხუთისა დრამისა წონი, სომხური მიწაჲ და ვარდი თვითო-ახგან უკიაჲ ერთი, სარკისა ნიგოზი ექვსი დრამისა წონი, ყოველი დანაყილი მორდისა წყლითა შეზილოს და სიკუჲესა შემოსდვას. და თუ ამით არ იჯობინოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ჯვარედად დასდაღონ.

ფოლოს იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა სორინჯანისა ჴაბი ჴამოს და თესლთა წყალი ბედანჯირისა ზეთითა იხმაროს. და იასამინისა ზეთითა და მიაჲთა და ხაზდის გულითა იხელდეს. და გრილთა საჴამადთა ერიდოს და პიტნისა წყლითა და დრამინაჲთა და მარზანგოშითა ნუტული ქნას. და თუ მანკი ცხროჲთა იყოს ბასალიყი გაიხსნას, და ხიარზამბარისა ფოლოსი ჴამოს, და ესე შემოსადებელი უყოს: ყასაბადირაჲ ორი ნაწილი, ულბოჲ ნაწილი ერთი, ორივე ვირისა სპითა შეაბგოს და ქუნჯილისა ზეთი და დუმჲა ჩაურთოს, და მალჴამად ვითა უყოს და შემოსდვას. და თუ დაცემისა ანუ ნაკრაჲვისაგან ქნილ იყოს იგი ასოჲ მაგრაღ შეკრას და თავისა ადგილსა მიიღოს, და მალჴამად რომელ შემაჲთა ფქვილთაგან ქნილ იყოს შემოსდვან. და ნატიფთა საჴამადთა მი-ელტვოდეს.

ვითარებაჲ სიკუჲისა რაჲ ქარისაგან ქნილ იყოს. მუჴამედ ზაქარიაჲ სძე იტყვის: ესე მანკი სტელისა ქართაგან შეიქნების რომელ ზურგისა მძივნი შეკრას, ანუ ძნელისა სიწყულულისაგან იქნების რომელ მუნ შექნილ იყოს, და მისგნით ესე სიკუჲე გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ ქარისაგან იყოს. რაჲცა სქელითა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ უცხროოდ და უსიმხურვალოდ იყოს, და ტკივილი ზოგჯერ დია იყოს და ზოგჯერ უმცროჲ. და ნიშანი მისი რაჲცა სიწყულულისაგან იყოს იგი არს, რომელ უკნი სტკი-ოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სტელთა ქართაგან იყოს. იგი არს, რომელ მხურ-ვალითა ზეთთა იცხებდეს, და სორინჯანისა ჴაბი და ბედანჯარისა ზეთი და მხურვალი მალჴამად შემოსდვას ვითა ხაზდისა გულისა <sup>1)</sup> მალჴამად და მსგაესი მისი. და სისანბარი და მარზანგოში და დრამინაჲ და ყაისუმი ყოველი წყლითა შეაბგოს და ნელსა ზედა იხმიდეს. და ჴიქაჲ ცეცხლითა მოჴიდოს, და მხურვალთა წამალთა შემოსდებდეს ერგების.

1) ეს სიტყვა სტრიკონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის დფლით.



თეზით ყურად იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ზედანჯირისა ზეთი თესლითა წყლითა იხმაროს და სიქაბენაჲსა ჰაბი ჭამოს, და ესე მალჰამაჲ მას ერგებნის; ხმელი მიაჲ და ყუსტი და ყასაბადირაჲ და აბჰალი თვითოჲსაგან უკოჲ ერთი, ფარფონი ღრამისა წონი ერთი, ყოველი ნარდენისა ზეთითა შეზილოს და მალჰამად შექნას. და ვაჯი და რასინი წყლითა შეაბგოს და წყალი მისი მანკისა ადგილსა ასხას, კარგი არს.

იოჰანა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა შეტარაჲსა ჰაბი ჭამოს და თესლითა წყალი იარაჲთა იხმაროს, და რაჲცა სქელთა ქართავან იყოს იგი არს, რომელ სიქაბენაჲსა ჰაბი იხმაროს და ზედანჯირისა ზეთი თესლითა წყლითა იხმაროს გამხსნელითა. და თუ მანკი წყლულისგან იყოს ლბილი შემოსადებელი შემოსდვას და მხურვალითა ზეთითა იხელოს. და ბალბისა ძირი და სელი ერბოჲთა შეაბგოს და მით ჰუყნაჲ უყოს. და ხიარ შამბრისა ფოლოსი ნუშის ზეთსა შიგან გაადნოს და უხმამან იხმაროს, და ნატიფთა ჭამდეს.

10

რომ. ირჰანისა იგი არს რომელ ბარქლისა თავით კოჰამდის სტაქოდეს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რო ფის იტყვის: ამისი მანკი სქელისა დამწვარისა სისხლისაგან იქნების რომელ სექციელთა მისთა შეიყაროს და მოერიოს, ანუ მეტისა ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ მას ადგილსა დამწვარ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისა მორგენისაგან იყოს იგი არს, რომელ მანკისა ადგილი დია სტკივოდეს და წითლად იყოს და მხურვალედ. და ნიშანი მისი რაჲცა ფიცხელისა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ტყვილი

20

ისრისაებრ სცემდეს. კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ირყანისასა ძარღვი და ბასალიყი გაიხსნას ტყვილისაჲ და ირყანისა ძარღვი არს რომელ თითასა ქვეშე უკანით კერძოჲთა ქუსლისა სიახლესა არს, და სისხლი მისგნით გამოსრული ცივი იქნების. და მარილი მას ფერხსა შეაყაროს და მანკმან არ მოერიოს. და ეგეთთა რასჲე ჭამდეს რომელ სისხლისა სიუციხესა დააწყნარებდეს, ვითა ტყემლისა შარაბი და სიქანგუბინი და ჯულაბი და შაჰნარისა ბროწყელისა წყალი. და თუ მანკი ძნელად იყოს მუცელი დაიღობოს სორინჯანისა ჰაბითა. და თუ წამლისა აღებაჲ არ შეეძლოს ლბილი ჰუყნაჲ უყოს და მიწყით ასუარამთა წყალსა ზედა იხმოდეს. და ვიდრე არ გაიხსნას მუნამდე ზეთითა ნუ იხელს, და რაჲ მანკი დაელიოს ვარიჲსა შექმვარსა ჭამდეს და თაფლიანთა ერიდოს. და შემოსადებელი იხმაროს ვითარებაჲ მისი: ტეგანისა ზეთი ანუ ინაჲსა ზეთი, მატყლი მით დაასოვლოს და ბავრუკი, აყირუკიჲ ზედა შემოიყაროს და ძმარი დაიხსნას და ტყვილისა ადგილსა შემოსდვას. და თუ მანკი ზაფრისა სიმრავლისაგან იყოს მუცელი დაიღობოს ჰალილაჲსა მატბუთითა, და ბადარანგისა თესლისა წყალი, გრძელსა კიტრსა ჰქვიან ბადარანგი, შარაბი ნილოჲარისა თანა და ჰინდურისა თამრისა წყალი სიქანგუბინსა თანა და ხილთა წყალი იისა შარაბსა თანა იხმაროს, რომელ მუცელი დაეღობოს. და რაჲ გაძლიერდეს ბელი გაიხსნას და ეგეთთა რაჲსჲე ჭამდეს რომელ ბუნებაჲსა გაუფრილებდეს ვითა კიტრი და აყიროჲ, და არდა და ჯალხაბაჲ ძმრითა დაასოვლოს და მანკსა ზედა შემოსდვას, და მიწყით ბაზრაყატუნსა ძმრითა შემოსდებდეს.

30

ირყანისაჲსა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ეჲ მანკი სქელისა ბალდამისა უნდილისაგან იქნების, რომელ მისითა მორგენითა და სიმრავლითა ესე მანკი გამოჩნდეს.

40

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისა ანუ ბალდამისაგან იყოს. იგი არს, რომელ არ დია სტკივოდეს და ზელისგან გაგრილდეს, და ნიშანი მისი რომელ სასეედოჲთა ხილტისაგან იყოს იგი არს, რომელ მანკისა ადგილი ვითა ნშვილდისა საბელი გახხირპული იყოს.



კურნებაა მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲ ბაღლამისაგან იყოს იგი არს, რომელ სიქანგუბინითა წელითა და ბოლოკის წყლითა არწყვიოს, და ჰყუნას ჟუოს, და იარაჲ ფეყირაჲთა მუცელი დაიღბოს. და გულანგუბინსა კამდეს. და საქამადსა მუხუ დას წყენსა ანუ ზირაბაჯსა იხმარებდეს. და თირმისისა ფქვილი ღვინითა შეზილოს და ზედა შემოსდვას, და მიწყით ნარდენისა ზეთსა იცხებდეს, მაშა თუ მანკი სასეგლოასა ხილტისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აფთიმონისა ნატუბითა და გულანგუბინი შაქრისა წელითა წყლითა იხმაროს. და ინაჲ მანკსა ზედა შეიცხოს. და ცვილი და ბატისა ცმელი და ზროხისა ერბოჲ მალჰამად შექნას და ზედა შემოსდვას. და ასფარამთა წყალსა ზედა ისხმიდეს. და მანკისა ბოლოსა ირჯანისისა ძარღვი გაიხსნას და

10) თუ მანკი გაგრძელდეს ძალიანი ჰუყნაჲ ჟუოს.

ისაკ იტყვის: ესე მანკი და ზურგისა ტკივილი რაჲ სიგრილისაგან იყოს, და მუხლისა და ბარკლისა ტკივილსა შეტარაჲსა შაბი ერგების ესრე: ყვითელი ჰალილაჲ ხუთისა დრამისა წონი, შეტარაჲ ორისა დრამისა წონი, სამრი ჟუიაჲ ერთი, ზანჯაბილი და შაჰი ჰანტალი და მარილი და ვაჯი თვითოჲსგან დრამისა წონი, დარაფილფილი და სპანძელისა თესლი თვითოჲსგან დრამისა წონი და ნახევარი, ფანიდი ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი წყლითა შეზილოს და ორისა დრამისა წონი იხმაროს. და თუ სპანძელი წყლითა შებაგოს და ზეთისხილისა ზეთითა ჰუყნაჲ ჟუოს. და რაჲ ხანი გაეწიდედოს მაშინ ფარფონისა ზეთსა იცხებდეს. და ბედანჯირისა ტვინი ძნრითა გაგაღოს და შემოსდვას და ყუსტი და პიტნისა წყალი და წეტფაჲ აღხარისაჲ ამის მანკისთვის კარგი არს, და

20) დიდი ხასიათი აქვს, და დია ერგების.

რკ. სპაციალთა ტკივილი რომელსა ჰქმნიან არაბულად ვაჯალ მაფასილი და სპარხულად დარდი ბანდაჰა. რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: ესე მანკი სისხლისა სიმრავლითა იძნების უნდილისა რომელ ტანსა შიგან შეიყაროს, ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალმან საქციეელთაჲ მიუძალოს და მუნ დაჰანტოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ მაჯასი საესე იყოს და საქციელნი ზელისაგან გაზურდენ და ფერად წითელი იყოს. და ნიშანი მისი რომელ ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ დია სტიკოლდეს და ისრისაებრ სცემდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალით იყოს. საქციელთა ტკივილი და ნი-  
 30) კრისი ერთი არს და გამოცნობაჲ ამათ შუა იგი არს, რომელ რაჲ ტკივილი ყოველთა საქციელთა ტანისასა შიგან იყოს მის არაბულად ვაჯალ-მაფასილი ჰქვიან, და რაჲ ტკივილი ფერხისა თითთა შუა, და საქციელთა მისთა და კოჭისა საქციელთა შუა იყოს მას ნიკრისი ჰქვიან. მით რომელ უფროასი მანკისა სათაფროჲ რაჲ სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნან და მაშინ ბუნებაჲ გაუგრილონ წყლითა და კატაკტოჲსა თესლისა წყლითა, რომელ შაქრითა იხმაროს და თუ სნეული მტლედ იყოს ნუშისა ზეთი ქრთილისა წყალსა გაპრიოს და იხმაროს. და თუ ტანი <sup>1)</sup> მტლედ იყოს ქრთილისა წყალი შაქრითა იხმაროს, და ბროწყელისა წყლითა მუცელი დაიღბოს, ანუ ტყემლისა წყლითა და თამარიპინდისა წყლითა და უნაბისა წყლითა. და შარაბი ნილოფარისა სიქანგუბინითა იხმაროს. და საქამადი ზირაბაჯი ანუ აღარდენისა ჯრწყოჲ კამოს, და მხურვალთა საქამადთა ერთი-  
 40) დოს და სანდალი და მეშპარისა წყალი, და ხვარატისა წყალი და კიტრისა წყალი, და ცოტაჲ ძმარი და ქაფური ერთგან გაპრიოს, და მანკისა ადგილსა შემოსდვას.

ჰუნაჲ იტყვის: თუ ესე მანკი ზაფრისგან იყოს მანკისა, დასაწყისსა მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა, ანუ ვარდი და სიქანგუბინი და მყინვარი იხმაროს. და მაშინ ქრთილისა წყალი და ბროწყელსა წყალი და ბადარანგისა კიტრისა წყალი და კატაკტო-

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვეშა ამაზე რვეულთა სათვალავი სწერია „მბ“ და შესდგომი გვერდის ზემო აშიაზე „მგ“.





სა თესლისა წყალი და ბაზრაცუტუნისა ლუბი იხნაროს და ბუნება გაიგრილოს, და ხელი გაიხსნას, და ეგეთთა რაჲსზე ქამდეს რომელ ბუნებასა სინედღესა მოუმატებდეს და მიწყით ლისანაღლაშაღლისა წყალი და სანდალი, და შაფი მამითა და შობილს და სმეტს და სოხუბრი მიწაჲ, და ქაუფური და ვარდისა წყალი და შეშაპარისა წყალი ერთგან შეზილოს და მანკისა ადგილსა შესცხოს. და ჯალზაბაჲ ძმრითა დაასოვლოს და ამა წამალთა თანა გაძროის უკეთესი იქნების და ერგების, რაჲ ესრე ვითა გვითქვანს კარგად ჰკურნოს.

ვაჯალმათასილისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. ისაკ იტყვის: გლუსუნისა უნდილისა ბალღამისა სიმრავლისაგან იქნების, რომელ ტანისა საქციელთა შიგან შეყრილ იყვნენ და მოერივნენ. ანუ ასევედომაჲ გასარეველისაგან იქნების რომელ ტანისა საქციელთა შიგან შეყრილ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რაჲცა ბალღამისგან იყოს რომელ რაჲ ხელი შემოსდგან საქციელთა ხურვიდეს, და გრილისა ტამისაგან უვარე გახდეს. და ნიშანი მისა რაჲცა სევდისგან იყოს იგი არს, რომელ მანკისა ადგილი ფერად შეიი იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. ესე ნაწკა რაჲ ბალღამისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ მიწყით უზამან გულანგუბინი ქამოს და თესლთა სიქინგუბინი. და საჭამადსა მუხუდის წვენსა იხმარებდეს. და რაჲ შეიგხეს რომელ მანკისა სათაგნოჲ შემგბარ არს მუცელი დაიღბოს იარაჲთა ანუ სორინჯანისა ჰაბითა. და მაშინ ტრედი-სა ხუნდი ქამოს რომელ შურვაჲთა შექნილ იყოს. და ცერეკოლსა წყლითა ნელითა არწყოს, და მანკისა დასაწყისსა მხურვალი წამალი იხმაროს. და მანკისა ადგილი ჰუტუტითა და ზროხისა სკორითა და ცხერისა კორკლითა რომელ თაფლითა შეზილონ, შემოდებითა აცხოვნოს. და ასღარათა წყალთა ზედა იხმადეს. და იუ ჰიტნაჲ ძმრითა ადულოს და მანკისა ადგილსა შემოსდგას კარგი არს.

მესიაჲ იტყვის: თუ ესე მანკი სასევედომაჲ ხილტისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აეთიფონისა მატუხითა, და მიწყით მანკისა ადგილსა ქათმისა ცმელითა და ბატისა ცმელითა, და ულბოასა ლუბითა და სელისა ლუბითა, და ჭუნჯილისა ზეთითა იზელდეს. და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს. და თუ მანკი გაგრძელდეს უშჯობები მისთვის იგი არს, რომელ აბთარი რომელსა ჰქვიან არაბულად, წყლითა შეაბგოს და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს დია კარგი არს. და ესე ჰაბი იხმაროს ჩვენ გამოგვიცდია ვითარებაჲ მისი: სორინჯანი და ბოზიღანი და შაჰმი ჰანტალი თვითოვსგან დანგი ერთი, ღარიყონი და საბრი თვითოვსგან ნახევარ დრამისა წონი, თურბიდი დრამისა წონი, მარილი დანგი და ნახევარი, მუყლი დანგი და ნახევარი, ყოველი დანაყოს და წყლითა შეზილოს და ჰაბად ქნას და ერთხელ იხნაროს თუ ძალი ჰქონდეს. და გრილთა და შძიმეთა საჭამადთა ერთდოს და მხურვალთა მიელტოდეს. და თუ ფარფიონი და იასამინისა ზეთი და ხაზლისა გული ვითა მალჰამაჲ შექნას და შემოსდგას, კარგი არს.

რვა. ნიარინი, სიმზურვალისგან თუ იყოს. ვითარებაჲ მისი. თე ბით ყურაჲ იტყვის: დია მხურვალისა საჭამადისა ქამისაგან იქნების რომელ რაჲ ხაფრაჲ მოერიოს, ანუ მიწყით სიმთვრელისგან და უდნობისა საჭამადისაგან რომელ რიატათი არ ექნას, და დიაცისა და მრავალჯერ მოხნისა და სიენისგან იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ფერად წითელი იყოს და რაჲ ხელი შემოსდგან მხურვალი იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ხაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ დია სტკიოდეს და იცემდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს, რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას არ მენითეე რომელ სტკიოდეს, და ნუ მოდაუდებების და ხელის განანისა უკანით გრილთა შემოსადებელთა შემოსადებდეს. და თუ ტილოასა მგარსა ძმრითა და ვარდისა წყლითა დაასოვლებდეს და შემოსდებდეს კარგი არს, და ესე შემოსა-

დებელი მას ერგების ვითარებაჲ მისი: თეთრი სანდალი და შაფი მამითაჲ, და შობილი და სპეტი და სომხური ნიწაჲ, და ფუჲი და რუმანდელი, ყოველი ძმრითაჲ და სპარსულითაჲ შეზილოს და ყოველსა მხურვალთა სიმსიკნეთა შემოიკბოს, სიმსიენისსა დასაწყისსა დააწყნარებს ყოველსა, ანუ წითელი და თეთრი სანდალი მეშპარითა წყლითა ანუ ხავერტისა წყლითა გაგალოს, და ანუ ამით წყლითა დაასოფლოს და ცოტათა ძმრითა შეზილოს და შესცბოს, ერგების.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რაჲცა ზაფრისაგან იყოს. რომელ მუცელი დაიღბოს ბუყნითა ეგეთითა რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს ვითა სორინჯანისა მატბუხი, და ტყემლისა შარაბი საყამონიათა, და დელამოტისა წყალი რომელსა ჰქვიან სფილი, და საბრისა ნაფი არღისა წყლითა, რომელ მანკისა სათაგნოჲ დაელოოს, და თუ დანგი და ნახევარი საყამონიაჲ ერთსა უკიასა სიქანგუბინსა თანა ანუ ჯულაბითა დაასოფლოს და იხმაროს, სიმხურვალესა გარდაიღებს და სიმამენესა დააწყნარებს. და ეგეთთა მალჰამათა იხმარებდეს რომელ სიმსიენესა გამჰანიდეს ვითა დაბილიონისა მალჰამაჲ, რომელ ქენჯიდისა ზეთითა დაალბოს და მანკისა ადვილაჲ შემოსდეს. და თუ წერისა ფქვილი და ბაბუნაჲ და ბალაბაჲ თეთრი ერთგან გაჭრიოს და იასამინისა ზეთი ჩაჭრათ, და მანკისა ადგილსა შემოსდეს ერგების. და საქამადად ქრთილისა წყალსა იხმარებდეს და მკავესა და ტკბილისა ბროწეულისა წყალსა, და ზაფრიანთა საქამადთა ერთდოს და სიგრილესა მიელტვოდეს. და ჯალზაბაჲ მყინვართა გაგალოს და შემოსდეს, ერგების.

ვითარებაჲ ნიკრიისისა რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: უნდილისა<sup>1)</sup> ბალღმისა სიმრავლითა იქნების რომელ ტანსა ზაგან შეიყაროს, და ბუნებისა ძალმან იგი ქვე ჩიძალოს, და ხორხთა საქციელი მავით ივისოს და გაასივოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲცა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ მისი სიმსიენე ფერად თეთრი იყოს და ზელისაგან გაგრილდეს. და რაჲ გრილი რაჲმე ქამოს გაუფიცბდეს მანკი, და რაჲ მხურვალე ქამოს ელხინოს და იჯობინოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲცა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ არწყიოს ეგეთითა რომელ სქელსა ბალღმისა ჩამოიღებდეს და მუცელი დაიღბოს სორინჯანისა ჰაბითა ანუ შეტარაჲსა ჰაბითა, ანუ ასტმხიყონისა ჰაბითა და რაჲცა ამით ჰგვანდეს. და ცივსა წყალსა ნუ სქამს და დიაცსა და სიმთვრალესა ერთდოს. და რაჲ საქამადი დი დია ექამოს არწყიოს, და თუ მანკი სინედლისა ნიშნითა იყოს სპანძელისა თესლი და თაფლი ერთგან გაჭრიოს და იხმაროს, რომელ მანკი აღარ მოემატოს. და რაჲ მანკი ნარჯენით იყოს აღრე გამრთელდების და უადრე გაიხსნების, ვიდრე მარცხნითყე.

ნასარჯოჲა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მხურვალე შემოსადებელი შემოსდეს და შეტარაჲსა ჰაბი იხმაროს, და ამის მანკისა კურნებასა დათმობაჲ უნდა, მით რომელ, ესე მანკი უნდილი იქნების ძნელად გაიხსნების და დიდი ხანი უნა რომელ იკურნოს. და მანკისა ბოლოსა ბაბუნაჲ და აქლილალმალიქი და ღარყონისა ფურცელი დანაყილი მალჰამად შექნას და შემოსდეს, და თუ ქენჯიდი და მარზანგოშისა ფურცელი დანაყილი და პეშვი ერთი სპანძელისა თესლი თანა გაჭრიოს და მალჰამად შექნას და შემოსდეს, ერგების.

მადიანი იტყვის: სორინჯანისა ჰაბი ამას მანკსა რომელ ბალღმისაგან იყოს ერგების ვითარებაჲ მისი: თურბიდი მუტყალი ერთი, საბრი ნახევარისა დრამისა წონი, მარილი და მასტაქი თვითოჲსაგან დანგი, სორინჯანი ნახევარ დრამისა წონი, ჰაბად ქნას და ჰამოს. და ესე შემოსდეს მიაჲ ნეღლი და ხაზდისა გული და ფარფიონი, მურტი და საბრი და აკაყიაჲ თვითოჲსაგან ნაწილი ერთი, ყოველი ღვინითა შეაბგოს და შესცბოს. და რაჲ ტკივილი დაწყნარდეს თაფლითა წყლითა ნეტული ჯკოს.

1) „უნდილისა“.



აკვ. დავალი და დაღუპილი ორივე ფაჩთა შვიკნაის. ვითარება დავალისა მანკისა. მუშამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე მანკი საყვედომსა ხელტისაგან იქნების რომელ ფერხისა ძარღუსთა შიგან ჩასულ იყოს, და ესე მანკი უფროდსა მათ შექცების რომელ ქუეით მგზავროდეთა ვითა ყარბანთა და მუქართა.

ნიშანი დავალისა მანკისა. იგი არს, რომელ ძარღვი ადგომილნი, მახვილნი, მოგრებილნი, წვივთა ზედა გამოჩნდეს და ფერად იგი ძარღვი შეფერი იყვნენ, ანუ წვივან გუბრი, და რად ფერად შავი იყოს ძარღვი, მანკი მისი უფროდ ქნელი იქნების.

10 კურნება დავალისა მანკისა. იგი არს, რომელ ბასალიცი გაიხსნას და მანკი იგი მოგრებილი ძარღვი რომელ წვივთა ზედა ჩნდნენ ყოველი გაიხსნას, და ხელითა ჩამოხელოს რომელ სიალი ყოველი გამოვიდეს და დაიკალოს. და მრავალჯერ ბასალიცი გაიხსნას. და თუ ბალბად და კვრკვისა თეთრი და აცაქიად ერთგან გაპრიოს და წვივთა შემოსდვას, და ეგეთთა წამალთა რომელ სევდასა ჩამოიღებდეთა იხმაროს, და მძიმეთა საქამადთა ერიდებოდეს. და აიარკულითა და საქმითა ქნითა თავსა ნუ აწყენს, და შექვერცლთა საქამადთა ქამდეს ვრთა ვაზად თუთუბითა შენნილი ანუ აღარდნითა. და მიწყით აბანოს დიდიოდეს და ნელსა წყალსა ზედა იხმოდეს. და ვარდი და ბროწყელისა უჭავილი დანაცოს და მორდისა წყლთა მსხალოს და მანკთა ადგილსა შემოსდვას მრავალჯერ, ერგების.

20 მასარჯოთა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ბასალიცი გაიხსნას და თუ სხეულსა შეეძლოს მუცელი დატლბონ ამით წამლითა, რომელ მანკისა დედისგან გაწმენდს ვითარება მისი: აფთიომნი აფრეტი და ბანბასა თვითოვსაგან ორისა დრამისა წონი, მარლიხ ნეთი ოთხი დანგი, ასტობოდოსი ოთხი დანგი, ლავიარდი მუთყლისა ნახევარი, ყოველი დააყული და გაცრილი სამისა დრამისა წონი მისგნით იხმაროს თფილითა წყლითა და ცისკრისაგანსა ქამოს. და თუ ესე წამლები წყლითა შეზილოს და ჰამად ქნას და ოთხი დრამისა წონი მისგნით იხმაროს ერგების. და უდნობთა და არ მამყნეთა საქამადთა ერიდოს; და ხატიფთა მიელტვოდეს, რომელ ელხინოს და ანა მანკსა დაეხსნას.

ვითარება დაღუპილისა. აბუჯარიკ იტყვის: ესე მანკი სევდისა სიმეტისგან იქნების რომელ დამწვარ იყოს და ბუნებისა ძალსა მიეძალოს, ანუ სქელისა ბალღმისაგან იქნების.

30 ნიშანი მისი რად ბალღმისაგან<sup>1)</sup> იყოს. იგი არს, რომელ ფერხი გასიყვებით იყოს და დამსხობილი და ფერად შავი იყოს და ბნელი, და ნიშანი მისი რადცა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ თეთრი იყოს და ზელისაგან გაცივდეს.

კურნება დაღუპილისა: ესე მანკი მუხლთა და წვივთა შიგან იქნების, და რად გაძლიერდეს კაცი მქოლილი იქნების, და მანკი არა იქურნების. და მანკისა დასაწყისსა ღონე მისი იგი არს, რომელ არუეიოს და დიამთა<sup>2)</sup> სორინჯანისა ჰამითა მუცელი დაიღბოს და ნუ იარების. და ჰეთა საქამადთა ერიდებოდეს. და საბრი და მური და აცაქიად და ლიპითა თასისა აფშარად და თეთრი არჯასზე ყოველი ძმრითა დააღბოს და ფერხთა შემოსდვას და შასცხთა და მაგრად შეკრას. და შექვერვა ქუსლით დაღმა დაიწყოს და მუხლამდე გამოვიდეს. და კალნა ისა თესლი და ნაცარი. და თხის კორკლი, და ქერის ფშვილი ბალღამად შექნას და შემოსდვას.

40 მასაქს ძე იტყვის: მუნითვე რომელ მანკი იყოს ბასალიცი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს აფთიომონისა მატბუხითა და დელამოტისა წყლითა. და სევდიანსა საქამადსა ერიდოს და ვარიად ქამოს და ბატკნისა ხორცი კალიით. და ამოხაფებული კვრცხისა ყვითელი ქამოს, და ნუ იარების დია. და გრილსა საქამადთა ნუ ქამს, რომელ მანკი ირ გაძნელდეს, თუ გაძნელდების არა იტონებას. და ესე ჰამი ჩვენ გამოვიცდითა ამას მანკსა დია ერგების ვი-

<sup>1)</sup> აქ შეცდომაა უნდა იყოს „სევდიანსა“.  
<sup>2)</sup> აქაც შეცდომაა უნდა იყოს „დილისა“.



თარება მისი; შაჰში ჰანტალი ხუთისა დრამისა წონი, შაბარამისა შეშა კორესა დრამისა წონი, მუყლი ლურჯი ორისა დრამისა წონი, ყოველი დენაყოს და ვაცრისა და მუყლითა შეხილოს და ჰაბად ქნას, და ჩრდილსა გაახნოს და ნდომისა ჯამსა ორისა დრამისა წონი იხაროს. და უდნობსა და გრილსა ერიდოს.

**კმზ. ნახუნხუარაჲ კომელისა თარაჲანი არს ფრჩხილისა მხამელი და რიშთაჲ კომელსა ჰჰვიან მჰელი კომელ, ფრჩხილისაჲან ბამოჲა.**

ვითარებაჲ ნახუნხუარისა, ფრჩხილის მჰამელითა. მასარჯოჲა იტყვის: ესე მანკი სიმეტისა და შორეენისა მხურვალისა სისხლისგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალი თითთაჲე მიუძალებს წაჲ, და იქნების ცა რომელ სისხლისა თანა ზაფრაცა 10 რაჲელ იყოს.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ სიმაიენე თითთა ზედა გამოჩნდეს ფრჩხილისა სიახლესა და ღია სტკივოდეს, და მაშინ ფრჩხილი დაჰვარდეს და წით არაბულად ამას მანკსა დაბისი ჰჰვიან.

კურნებაჲ ნახურხუარისა. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ეანვირთა და რკინისა ბაული, რომელსა ჰჰვიან რიშაჲანი, და ქართულად წიდაჲ, მპრითა გაგოლოს და შესცხოს ანუ თოვლსა და მყინუარსა შუა ჩადვას, და თუ ნელსა ერბოჲსა შიგან ჩაყოს კარგი არს, ეგრე რომელ დაწვას, და ეგეთთა რაჲსჲე შემოსდებდჲჲ რომელ ათაჲლიანებდეს, და მაშინ გახსნას რომელ თხამლი გამოვიდეს, ეგრე შემოაჰიროს რომელ დაიცალოს და გაწმედეს, და შეინახოს რომელ ფრჩხილი არ დაჰვარდეს, და თუ მანკი ვაგარძელდეს ეგეთითა 20 მალჰამითა რომელ ზორცსა ზრდიდეს, ჰჰურნოს.

თეზით ყ. 1): ესე მანკი მხურვალე სიმსიენე არს, და ფიტხელისა ზაფრისაგან არს, რომელ ფრჩხილისა ძირსა გამოჩნდეს რაჲ მუნ შეიყაროს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ რაჲ სისხლისა ნიწნითა 2) იყოს მის სხე ზელისაგან ზელი გაიხსნას, და მუცელიცა დაიღბოს ჰალილაჲსა მატხუბითა ყვითლითა. და მსგავსი შიპი. და ზანგისა თესლი და აფიონი რომელიცა იყოს ძმრითა დააღბოს და შემოსდვას, და თუ თირიჲე იყოს შემოსდვას ეყოფის.

ისაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუმროლანი ვარდისა და ბაზრაცაჲუნაჲ წყლითა შეხილოს და მიწყით შესცებდეს. და თუ ღია სტკივოდეს ფარფიონი ძმარსა გაჰრიოს და შემოსდვას, და თუ მაჯაჲი სისხლითა საესე იყოს ზელი გაიხსნას არ 30 მის ზელისგან, და რაჲ სიმსიენე გაიხსნას კარაჲი ზემოსდვაჲ და მაშინ თეთრითა მალჰამითა ჰჰურნოს. და თუ თხამლი იყოს შიგან და თვით არ გაიხსნას, მაშინ შაშრითა გახსნას რომელ თხამლისაგან დაიცალოს.

**მითარებაჲ მჰედისაჲ კომელ ფრჩხილისაჲან ბამოჲა.** მუჰამედ ზაჰარიაჲს ძე

იტყვის: ესე მანკი დამწვარისა სევდისა [გან] იქნების რომელ მუნ შეიყაროს და შოერის, ანუ ღია ნგზავრობისა და სიარულისაგან იქნების, და ანუ ჰაერისა სისხმელისაგან იქნების რომელ მუნ დიეყოს ხანი.

ნიშანი ნეკედისაჲ რომელსა ჰჰვიან რიშთაჲ. იგი არს, რომელ ფერხისა ტყავთა ქვეშეთ ძარღვი ვითა გახსნილ იყოს და გრძელდებოდეს. და რაჲცა ამის მანკისაგან ტყავთა შიგნით იყოს ქიაჲ ვითა ეგრე ეგონოს რომელ იძრვის, და მას ირყიმედინი 40 ჰჰვიან არაბულად.

კურნებაჲ ფერხისა მკედისაჲ, იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ერბოჲსა შესცებდეს და ეგეთთა რაჲსჲე რომელ სინედლეჲა მოჲმატებდეს იხმარებდეს. და რაჲ აცხროოს და სიმხურვალე ერთოს ბასალაჲე გაიხსნას, და ნუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა, და ქრთილითა წყალსა სმედჲ, და ეგეთთა რაჲსჲე იხმარებდეს რომელ ნედლი და გრი-

1) თეზით ყურას ძე იტყვის:  
2) ეს სიტყვა სტრატონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



ლი იყოს. და თუ სიმბურველე მანკისა ადგილსა ზედა იყოს და სსეა ადგილი და ასონი სწორად იყენენ მუცელი დაიღბოს საბრისა ნაყითა. და მუნამდეცა რომელ შექმლოს არდისა წყალი სტას რომელ ერგების. და თუ წურბელი მოჰკიდოს მანკისა ადგილსა ერგების.

მადაინი იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ორჯერ სამჯერ გასახსნელი წამალი აიღოს რომელსა ჰქვიან მოსპილი, თარგმანი მისი ადვილი. და ხორცსა და თავლიანთა ერიდოს და მუმროლანი იცხოს. და იგი მკედი რომელ გამოვიდეს მუდართა გამოზიდვითა <sup>1)</sup> და რაჲ გაგრძელდეს ჩხირსა ზედა ახვიოს, და ნუ მოსწყუტდეს. და წყალსა და ერბოჲსა შიგან ჩასდებდეს და მიწყით ცხიბიანად და ნედლად დაიჭირვიდეს, მუნამდე რომელ ერთობით გამოვიდეს. და მლაშეთა და ფიცხელთა საქამადთა ერიდოს ვითა მლაშე თევზი, აპუხტი და აბეკმაქი. და მიწყით საბრსა ზედა იცხებდეს გამოსვლასა უწინა დია ერგების, და მით რომელ საბრი გამოსვლად არ მიუშვებს. და ესე წამალი ჩვენ გამოვიცვლია ახრე ერგების და გამოიყვანს ვითარებაჲ მისი: ყვითელი ცვილი თხუთმეტისა დრამისა წონი, ქუჩხითისა ზეთი ლიტრაჲ ერთი, მურდასანგი და ლერწმისა ნაცარი თვითოჲსგან სამისა დრამისა წონი, კირი უნდილი, ვითამცა ეგეთი რომელ წყალი არ მიხვდარ იყოს მისდა, დრამისა წონი ერთი, ყოველი მალჰამად შექნას და მანკისა ადგილსა შესცხოს და ბაზრათუნი იისა ზეთსა გაპრიოს და შესცხოს, და ნატიფთა საქამადთა ქამდეს.

10

**კად. გავოგაჲ ხელისა და ფეხისა და სისვივისა ცემაჲ და ზარმაჲ.** ვითარებაჲ ხელთა და ფერხთა გაპობისა, ბაყრატი იტყვის: ესე მანკა სევდისაგან იქნების რომელხელთა და ფერხთა შიგან შეიყაროს და მოერიოს, და ანუ მეტიჲ სიხმელისაგან იქნების რომელ ბუნებაჲ მეტიჲ სიხმელითა სისწორისაგან შეიცვალოს და ესე მანკა გამოჩნდეს.

15

ნიშანი ხელისა და ფერხისა გაპობილობისაჲ იგი არს რაჲცა სასევდოჲსა გასარეველისაგან იყოს, რომელ გაპობილობაჲ ხელთა და ფერხთა ფერად წავი იყოს, და რაჲცა სიხმელისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ძნელად ქავოდეს.

კურნებაჲ ხელ ფერხთა გაპობილობისაჲ იგი არს, რომელ მუმროლანი და ბატისა ცმელი და ქათირაჲ და ნიშასთავი და ბეჭესა გულისა ლუბი ყოველი მალჰამად შექნას და შესცხოს პობილობასა. და თუ ქუსლი დია იპებოდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ წამალი აიღოს და ტანი გაწმიდოს მანკისაგან და სევდაჲ ჩამოიღოს, და წამალი აფთიმონისა ნატრჯი და მსგავსი მისი უნდა, და მაშინ სპეტი კყერცხა გაპრიოს და ზედა შემოსდვას. და თუ თხის ცმელი გაადნოს და დანაყილი გუნდაჲ გაპრიოს და მიწყით იცხებდეს კარგი არს. და მუმროლანი მისთვის კარგი არს. და თუ ფისი გაპრიოს და შემოსდვას კარგი არს.

20

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ ხელთა და ფერხთა პობილობისაჲ იგი არს, რომელ ქათირაჲ და გუნდაჲ, და ნედლი ზოჟაჲ და ნიშასთავი, და ეაშაჲ და ქათმისა ცმელი და ვარდისა ზეთი, და ყვითელი ცვილი, ყოველი მალჰამად შექნას და იცხებდეს. და ნაჯიბისა მაჯუნი ქაშოს და ცხიბიანი შურვაჲ, და მტვერსა და მიწასა ერიდოს, და მიწყით ჰბანდეს.

კურნებაჲ თითთა ქავილისაჲ, მარილწყალი ასხას ზედა ანუ კაჟენტლისა ყურცელი წყლითა შეამგოს და ხელი და ფერხი მისსა წყალსა ნელსა შიგან ჩადვას, ანუ ბანისა ზეთი შესცხოს და რაჲ ქაეილი საზომისაგან გარდვიდეს ღელვი ზეთისხილისა ზეთსა შიგან დანაყოს, ანუ ხახვი ღვინოსა შიგან დანაყოს, და შემოჰკრას ზედა, ერგების.

25

**დაშავებაჲ ფეხითთა.** თებით ყურაჲ იტყვის: ხილიონისა მალჰამაჲ შემოსდვას, ანუ ნელი და ლბილი შემოსადებელი რომელ ნიკრისისა თავს გვითქვანის იხმარებდეს, რომელ ფრჩხილი არ დაშავდეს და დაშავებული ქქე დაავდოს და ახალი მოიყვანოს. და თუ მური და გავაშირი დანაყილისა ჩაშირისა გულითა ზეთითა შეზილოს და შემოსდვას, კარგი არს.

<sup>1)</sup> ტექსტში სწერია «გაპობითა».



განოჩნდების. კურნება მისი ძნელი არს მით რომელ პირველ ტანსა გაწმენდა უნდა ვითა  
გასარეველთაგან, და მაშინ მოწონებულსა საქამადას ქანდეს. მაგრა ვითარება მისი რა  
ტყავთა გარეთ იყოს და კაცი მრთულად იყოს, კურნება მისი იგი არს, რომელ აბანოს მი  
კიდეს რომელ წყალი მისი ტფილი და მამოა იყოს და რაა გამოვიდეს თბილსა საგებელისა  
შიგან დაწყეს, და სურნელსა ლეინოსა და ხორცისა წვენსა იმზარებდეს.

როფის იტყვის: კურნება პროფლისა იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მაშინ  
მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა შემგბართა ანუ დელამოტისა წყლითა. და სევდიანსა  
საქამადას ერიდებოდეს და ესე წამალი შესცხოს პროფლსა და ბარიშსა ერგების და გარდა-  
იდებს, ვითარება მისი: ბოლოკისა თესლი და სპანძელისა თესლი, და ჩიტრსა სკინტლი და  
16 მდოგვი, და ლერწმისა ძარი და მწარე ნუში, და პილპილი და ბავრუკი, და თირმისი და  
ყუსტი, ყოველი წმიდად დანაყოს და ბოლოკისა წყლითა და ბოლოკის ფურცლისა წყლითა  
შეწილოს, და აბანოსა შევიდეს და ტანი ანაკვეთითა კარგად დაიბანოს, და მაშინ ესე წამა-  
ლი შესცხოს, და თუ პროფლი შავი და ბნელი იყოს ესე წამალი უყოს ერგების, ფაჩარი ნე-  
სვისა წყლითა დააღბოს და ცოტაა ზაფრანაი და ქარისნა<sup>1)</sup> ურთოს და შესცხოს ერგების.  
ვითარება ნამიშისა და ქუნჯიდასა. აბუჯარიჰ იტყვის. გასარევე-  
ლისაგან იქნების რომელ ტყავთა ქვეშე ბუნებისა ძალა მიეძალოს, და იქნების რომელ სი-  
სხლისა დამწერისა ბუნარიცა იყოს.

ნიშანი ნამიშისა და ქუნჯიდასა, იგი არს ნამიშისა ნიშანი, რომელ ფერად  
მწვანე იყოს ანუ ცოტად მოწითაღე იყოს, და ქუნჯიდასა ნიშანი იგი არს, რომელ შავი  
20 იყოს და მანკისა სათავენრა უძნელუკი იყოს, და მას არაბულად ბალი ჰქვია, ქართულად  
ნიშანი.

კურნება ნამიშისა და ქუნჯიდასა აბუჯარიჰ იტყვის: რომელ ქუნ-  
ჯიდასაგან ზოგი შავი და ძველი იქნები, და მას ძალიანი შემოსადებელი უნდა ვითა სპა-  
ნძელისა თესლი და ვერცხლის წყლისა ნაცარი და პილპილი და ბავრუკი. და იქნების რო-  
მელ ვერცა რაა ამან წამალმან უყოს უფიცხესი უნდეს ვითა ყვითელი ზარნიში ანუ მანი-  
რიონისა ტილე რომელ შესცხონ. და თუ წურბელი მოჰკადოს კარგი არს. და რაა შავი არ  
იყოს ანუ აკლდეს სიშავე კურნება მისი და ქუნჯიდასი იგი არს, რომელ კითალი გაი-  
ხსნას და მუცელი დაიღბოს აუთიშონისა მატბუხითა, რომელ მანკისა დედა გაწმინდოს  
ტანისაგან და მაშინ ბოლოკისა თესლი და მწარე ნუში ქერქ შეხდელი ბაკლასა ფქვილსა  
30 თანა ნესვისა თესლსა გაპრიოს და შესცხოს, კარგი არს.

ნადიანი იტყვის: ნამიშისა და ქუნჯიდასა კურნება იგი არს, რომელ პირველ  
ხელა გაიხსნას და მუცელი დაიღბოს აფაიშონისა მატბუხითა და ესე წამალი იმზაროს  
ვითარება მისი: ნესვისა თესლი ქერქშებდელი ნაწილი ერთი, სპანძელისა თესლი და ყუს-  
ტი მამოა თეითოსაგან ნაწილისა ნახევარი, ყოველი ქურქუნჯობისა წყლითა ყვითლითა  
დააღბოს და ღამით შეიცხოს, და დღისით აბანოს შევიდეს და იბანოს. და თუ მწარე ნუ-  
ში შეყულსა თანა დანაყოს და შეშებრისა ლეღვისა წყალსა თანა გაპრიოს და შესცხოს, მა-  
შინ რაა აბანოთ გამოსრულ იყოს და პირი ტფილითა წყლითა და ანაკვეთითა დაიბანოს.  
და თუ ამარტაა ზარნიში ქინძისა წყლითა დააღბოს და შესცხოს პროფლსა და ქუნჯიდა-  
40 ასა წაიღებს. და ესე სხვაა წამალი: ლერწმისა ტყავი თუ უნდა ქერქი ბუთისა დრამისა წო-  
ნი, ბოლოკისა თესლი და ხარბაყი და ქუნთუში თეითოსაგან ორისა დრამისა წონი, ყოვე-  
ლი დანაყული ბოლოკისა წყლითა შეწილოს და შესცხოს, და დღისით აბანოს მივიდეს და  
ანაკვეთისა წყლითა დაიბანოს კარგად გასწმედს.

აკვ. ყოგა რომელსა ჰქვია ნამიშისა და თუთა რომელსა არაბულად შიკი ჰქვია.  
ვითარება ყობასი და თუთასი. შესისა იტყვის: ვითა ყობა ნატიფისა სისხლისაგან

<sup>1)</sup> შეკდოვაა, უნდა იყოს „ქარისნა“.



იქნების ბალღბური ანუ სეგდაური რომელ შლაშე გასარეველი რეზლ იყოს, და თუთაა სასევედოა სქელისა გასარეველიაგან შეიქნების.

ნიშანი ყობასა და თუთაასი ყობასა ნიშანი იგი არს, რომელ მქისედ იყოს და ბნელ ფერი იყოს და ქავოდეს ცა, და იქნების რომელ ცოცოტად ქერქი უზმებოდეს. და ნიშანი აუფთაბი იგი არს, რომელ სიმსიენე რაა გამოჩნდეს მაშინ გამაგრდეს.

კურნებაა ყობაასი და თუთაასი. ყობასი იგი არს, რომელ მიწით ცხიბიანსა ისხმიდეს და ველურისა ბროწეულისა ძირი და ვაშა და ძმარი ერთგან გაჭრიოს და შესცხოს, და თუ იფქილისა ზეთი შესცხოა კარგი არს. და თუ მანკი დაძველდეს და ხმელი ღვეტილად იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ შოიფხანოს და წურბელი მოჰკიდოს და

10

საფაასა ძველისა წამალი იხმაროს ეითა გვითქვამს. და თუ თრუნჯისა მკავითა ანუ ძმრითა და აყაყაბითა და ველურისა კატკატოათა შეზილოს, კარგი არს.

ჭუნაძნ იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ დამწუჭარისა გუნდაასა ნანაყი ძმრითა აღდლოს და მისგნით დრამისა წონი, დრამისა წონაა გომიზსა. არაბულსა და ნახეფარ დრამისა წონსა კირსა, ყოველი დანაყილი ერთგან გაჭრიოს და მანკისა აღდგისა შესმოსდვას. და თუ მანკი ახალი იყოს იუქლისა ზეთი შესცხოს კარგი არს, მეტად რაა ძმარი ერიოს. და რაა მანკი დაძველებულ იყოს წურბელი მოჰკიდოს და ბატისა ცმელითა და ქათმის ცმელითა მიწით იცხიბიანოს და მუძროლანი საბრსა და ქათირააა თანა გაჭრიოს და შემოსდვას კარგი არს. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ გარდვიდეს, ტანი გაწმიდოს ეგეთითა წამლითა რომელ სეგდაა და ბალღამსა ჩამოიღებდეს და მიწით ტანსა ნულითა წყლითა იხანდეს.

20

თუ მით ყურაა იტყვის: კურნებაა თუთაასი იგი არს, რომელ შალქამაა ქანგარისაი შემოსდვას, ანუ მაკრატელითა მოჰკვეთოს და გაუშუის რომელ სისხლი გამოვიდეს და ძველი ერბოა შემოსდვას, და მეოთხენა დღესა ეგეთი ხორცისა მზრდელი შემოსდვას რომელ ხორცსა ზრდიდეს. და თუ მანკისა დედაა ძნელი იყოს აფთომონისა მატბუსითა მტველი დაიღბოს.

30 **მთარგმბა შირინაასა.** მასარჯოა იტყვის: ამის მანკისა ვითარებაა ახელისა სისხლისაგან იქნების რომელ ფიცხელი ზაფრად ანუ შლაშე ბალღამი მას თანა გარდულ იყოს, და რაა მოერიოს ესე გამოჩნდეს.

ნიშანი შირინაასა იგი არს რომელ წვრილი გაბერილობაა ფეტვისა ოდენი ტანსა გამოჩნდეს და ფერად წითელი იყოს, და თუ დღისით ქავოდეს ზაფრისაგან იყოს, და თუ დამისა ქავოდეს ბალღამისაგან იყოს.

30

კურნებაა შირინაასა. მასარჯოა იტყვის: რააცა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ ხელი ვაიხნას თამარი პინდისა წყლითა და ტყენლისა წყლითა მტველი დაიღბოს, და ყვითლისა ბალიღაასა წყალსა სნიდეს, და თუ მუთყალი ერთი ყვითელი ბალიღაა, და დრამისა წონი იარაა ფეციოა ორივე სიქანგუზბინსა გაჭრიოს და იხმაროს კარგი არს. და მაშინ ტკბილისა და ჩაფისა ბროწეულისა წყალია სნიდეს. და თუ სიქანგუზბინი და ტაბაშირი და ცოტაა ქაფური ერთგან გაჭრიოს კარგი არს. და თუ კინძისა წყალი და ქერისა ფეცილი ერთგან შეზილოს და შემოსდვას კარგი არს. და ზეთისხილისა ვერცხელი წყლითა აღდლოს და მიწით მისითა წყლითა ნელითა იხანდეს ერგებს.

40

ისაკ იტყვის: რა ესე მანკი შლაშია ბალღამისაგან იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ უკია ერთი ნელისა სარგისა ნიგვზისა წყალი დრამისა წონსა დანაყილსა საბრსა თანა გაჭრიოს და იხმაროს, და თუ მუთყალი ერთი კაბაბაა. წილითა მაჭრითა იხმაროს კარგი არს, და თუთუბაა წყლითა დააღბოს და დაწუროს და ოთხი უკია მისგან დრამისა წონისა გაგლიღსა აბაღსა თანა ქამოს. და თუ ქერისა ფეცილი და დანაყილი ნიხური ერთგან გაჭრიოს და შემოსდვას კარგი არს.





როფის იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ რააცა ზადრისაგან იყოს ხელი გაიხსნას და რაა დღე ორჯერ სამჯერ ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს. და თუ შორინა დია იყოს ნუცელი დაიღბოს ყვითლითა პალილითა და შაჭრითა. და სიქანგუბინი და ტკბილი-სა და მკაეისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს, ერგების და ადრე იღებენ.

**კპჴ. ხმალი და ნადლი მლინადი და ძაჴანი ტანისა.** ვითარება ნედლისა მლიერისა.

როფის იტყვის: ვითარება მისი რომელ სინედლისაგან იყოს მლაშისა ბალღმი-საგან იქნების, რომელ მხურვალი სისხლი და ფიცხელი ზაფრია გარეულ იყოს მას თანა, და რაა მოერიოს და განძლიერდეს მაშინ მისგნით ეუ მანკი გამოჩნდეს.

ნიშანი ნედლისა მლიერისა იგი არს, რომელ პირველ გამერილობა თითთა 10 შუა გამოჩნდეს და ქაეოდეს და ფერად წითელი იყოს, და რაა განძლიერდეს ყოველგან დაიპანტოს, და რაა მოიფხანდეს მაშინ მისგნით ნედლი თანამლი სდიოდეს.

კურნება ნედლისა მლიერისაა როფის იტყვის. იგი არს, რომელ ხარა-ზაჴრასა ფურცელი, და ვერცხლისა წყალი და ქერუშტი, და მურდასანგი და ცოტაა მა-რილი, ერთგან გაჴრიოს და ძმრითა და ვარდის ზეთითა ყოველი ერთგან გაჴრიოს და ტან-სა შესცბოს, და მაშინ აბანოს მიეიდეს და ნელითა წყლითა დაიბინოს.

მუშამედ ზაქარიაჴს ძე იტყვის: კირი და ვარდისა ზეთი ერთგან გაჴრიოს და შესცბოს, და თუ გოგირდი სელისა ზეთსა გაჴრიოს და შესცბოს და მხესა დაჯდეს ერგების. და თუ გოგირდი თეთრი და ქერუშტი და წითელი ზარნიხი თეთროსგან ნაწილი ერთი, ვაზისა რქისა ნაცარი ყოველთა წამალთა ოდენი, ზეთითა შეხილოს და რაა აბანოთ 20 გამოსრულ იყოს შესცბოს, ერგების.

ძეელია ქაეანისა კურნებაჴ. იგი არს, რომელ ძეელი დელამოტისა წყალი სტას და ნუნისა ზეთი და ნახრავატუნისა ლუბი. და გრილთა და ხედლთა შარაბითა იხმა-რებდეს ვითა ბროწეულისა შარაბი და ვაშლისა შარაბი და ტუტისა შარაბსა. და თუ ქა-ელური პალილაჴ და ბალილაჴ და ამელაჴ უკულოჴ თეთროსგან ნაწილი ერთი, ყოველი ცოტაჴსა ნუშისა ზეთითა და თაფლითა შეხილოს და სამისა დრამისა წონი იხმაროს. და თუ მქაეანი სინხურვალიაგან იყოს პალილაჴსა მატუხი შაჴთარაჴსა წყლითა იხმაროს რომელ მუცელი დაიღბოს და მანკისა სათაენოჴ დააკლდეს. და ბაჴრავატუნისა და შა-ქარსა ჴამდეს, და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს. და ტყემლისა წყალი და მკაეისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს. და თუ მანკი ძნელი იყოს ხელი გაიხსნას და ასონი 30 ვარდისა ზეთითა იხელოს, და ტუილაჴ წყალთა იბანოს, და ხმელთა ერიდოს.

ვითარება ხმელისა მლიერისა. ჯალინოს იტყვის: რაჴ სინძელისაგან იყოს სხვილისა და მხურვალისა სისხლისაგან იქნების რომელ ზაფრია მას თანა რეულ იყოს. და ტანისა მქაეანისა ვითარება მლაშისა ბალღმისაგან იქნების, რომელ ტანისა ტყაჴსა ქვე-მეთ შეიყაროს და გამოჩნდეს.

ნიშანი ხმელისა მლიერისა: იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა თითთა შუა ქაეოდეს და რაა მოერიოს თავი ამოყოს და სინედლე მისგნით სდიოდეს. და მქაეანი რომელ სინხურვალისაგან იყოს იგი არს, რომელ ზელისგან გახურდეს რაჴ მოიფხანოს მაშინ.

კურნება მლიერისა ხმელისაჴ. ჯალინოს იტყვის: ვითა ხმელისა მლიე-რისა კურნებაჴ უძნელესი არს მით რომელ გვიანად იკურნების, და ეგრეცა მოღაფლებად არა ხამს მისგან, რომელ არ გაძლდდეს და თადბირი მისი იგი არს, რომელ პირველ აქა-ლისა ძარღვი გახსნას და მუცელი დაიღბოს ხალთა წყლითა შემგებრითა და შაჴთარაჴსა წყლითა რომელ პალილაჴსა და შაქარსა გაჴრიოს და იხმაროს ერგების, და მაშინ დელამო-ტისა წყალი სტას. და ესე წამალი ხმელსა მლიერსა ერგების ვითარებაჴ წისი: ზარდაზობაჴ და ბავრუკი და მარილი, და არჯასპი და ყუსტი, და ქერუშტი დრამისა წონი თეთროსგან,



შიაჲ ნედლი სოფელთა წიშელთა ოდენი, ყოველი წმიდად გაჯალოს და ვარდისა ზეთითა შე  
ზილოს და ზედა შესცხოს, და მასან ტყილთა წვლითა იბანდეს და გარდისა ზეთითა და  
კაფურითა ტანი იზელოს.

ისაკ იტყვის: კურნება სმელისა მდევრისა იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და  
სამჯერ ოდენი გაიხსნელი ნოსპილი იხმაროს. ანუ საბრისა ჰაბი, ანუ იისა მიტბუხი, და ჰა-  
ლილაჲ მჟავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყლითა. და შირიხიშტი და მახუნი კიშვიშისი  
იხმაროს. და რაჲ დღე ზეთისა დრამისა ცოტასა ტარეფულსა ჯამდეს ზედა ზედ, და აბანოს  
მივიდოდეს და ხელითა წყლითა მიწყით იბანებოდეს, და მჟავისა და ტკბილისა წურას ჯამს.

10 კურნებაჲ სმელისა მლიერისა და მქავანისა. რაჲბაღლისაგან იყოს იგი  
არს, რომელ ნუჯელი დაიღბოს და აბანოსა შიგან ტანი თირმისისა წყლითა და ძმრითა და  
ვარდისა ზეთითა იზელდეს. და თუ ნედლისა ქინძისა წყალი და მახურჯკი და ვარდისა ზეთი  
და ძმრისა თხლე და შიაჲ ნედლი ერთგან გაპროს და შესცხოს, და აბანოს დია მივიდოდეს.  
და თუ მქავანი სიმურჯალისაგან იყოს ხელი გაიხსნას და ხილთა წყლითა მუცელი დაიღ-  
ბოს, და ნურჯალთა საკამადთა გრიდოს და ნატიფთა მიელტეოდეს, რომელ ელხინოს.

აკო. ოფლისა დენაჲ ღია და ოფლისა არ გამოცემაჲ. ვითარებაჲ ოფლისა  
დია დენისა, არ გამოცემისა. იოჰან აჲ იტყვის: ტანისა მასამისა გახსნილობისაგან არს,  
და მასამი მას აღვილსა ჰქეიან რომელ თმია ელხას ტანსა ანუ სადაცა, ანუ სინედლისა სიმ-  
რავლითა რომელ ტანსა შიგან იყოს, ანუ გასარეველისა სიბიხისაგან იქნების რომელ და-  
ფიჲ რომელსა ჰქეიან გამაყენებელი, შორეულ იყოს.

20 ნიშანი ოფლისა დია დენისა. რაჲცა მასამისა გახსნილობისაგან იყოს იგი  
არს, რომელ სიციხისა გამსა უფროჲ სდიოდეს. და ნიშანი მისი რაჲცა სინედლისა სამრავ-  
ლითა იყოს იგი არს, რომელ ტანი მსუქნად იყოს, და რაჲცა დაფიჲასა შორევენით იყოს იგი  
არს, რომელ მიწყით ღანსა და უჯამოსა ოფლი სდიოდეს.

კურნებაჲ მისი. იოჰან აჲ იტყვის: დია ოფლისა დენაჲ რომელ მასამისა გა-  
ხსნილობისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ციყითა წყლითა იბანებოდეს და პანგი  
წყლითა შეაზგოს და წყალსა მისსა ტანსა იხსნიდეს, ანუ ჩინჩაქისა წყალი და სოსნისა ფურ-  
ცელი, ანუ ყურძნისა ვაზისა ფურცელი დანაყოს და მორდისა წყლითა დაიღბოს და ტანი  
მავისა იზელოს. და მიწყით გრილთა ზეთთა იცხებდეს ტანსა ვითა ვარდისა ზეთი და იისა  
ზეთი და ნილოფარისა ზეთი და მსგავსი მათი. და გრილსა აღვილსა დაჯდებოდეს და

30 დაიძინებდეს. და თუ სინედლისა სამრავლით იყოს რომელ ტანსა შიგან იყოს კურნებაჲ მისი  
იგი არს, რომელ ეგვეთთა რასნე ჯამდეს რომელ სიხმელესა იქნოდეს ვითა ოსპი და აჲ-  
უხტი და მსგავსი მათი. და მწარეთა და მლაშითა წყლითა იბანებოდეს. და თუ ვითარებაჲ  
მისი გასარეველსა სითხისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგვეთთა რაჲსჲე ჯამ-  
დეს რომელ ხილთა ვითამცა გასარეველთა გაასტელებდეს, და მიწყით ბეჭესა ზეთსა იცხებ-  
დეს, და ზეთი მისი იგი არს რომელ ნახევარ ლიტრაჲ ბეჭე და ნახევარ ლიტრაჲ ყუბავი-  
ლი მისი და ხუთი უჯიაჲ ვარდი ხმელი. და ზეთი ლიტრაჲ წყალი, ყოველი ხელითა წყლი-  
თა მუნამდე შეაბგოს რომელ სამი ნაწილი მისგნით წავიდეს და მამინ დაწუროს და ნახე-  
ვარი მის ოდენი ვარდისა ზეთი ჩაერთოს და კულა ცეცხლსა დადგას და შეაბგოს, ეგრე  
რომელ წყალი ყოველი წავიდეს და ზეთი დარჩეს. და მამინ მის ზეთისგან იხმარებდეს. და

40 თუ მურდასანგი და გუნდაჲ დანაყოს და ეახისა თავისა წყლითა შეზილოს და შესცხოს  
კარგი არს. და ესე შემოსადებელი სხვაჲ სიმურჯი მიწიაჲ და მურდასანგი თვითთმასა ოდენი,  
ვარდისა წყლითა და მორდისა წყლითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს.

ოფლისა არ გამოცემაჲ, ვითარება [მისი]. როფის იტყვის: ესე მანკი  
დაფიჲასა უსუსტრობისაგან იქნების, ანუ გასარეველისა სისქისაგან ანუ სინედლისა სიმკრო-  
თითა რომელ ტანსა შიგან ცოტაჲ ზეყრილ იყოს, ანუ მასამისა გზისა შეკრულობისაგან  
იქნების.



ნიშანი ოფლისა არ გამოცემისა. რააცა დაფიასა უსუსურებდნენ იყოს იგი არს, რომელ ოფლი ტანისგან გვიანად გამოვიდოდეს, და ნიშანი მისა რააცა სინედლისა სიმკროსიდან იყოს იგი არს, რომელ ტანი მკლედ იყოს, და რააცა მასამისა შეკრულობისგან იყოს იგი არს, რომელ სიცავეს ოფლი უფროა გამოვიდოდეს.

კურნება ოფლისა არ გამოცემისა. ოფლისა არ გამოცემა ტანისგან მასამისა შეკრულობისაგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ კერეცოა და აქლალღობლინი და ბაჟუნაა წყლითა აღფლოს და მაშინ მისითა წყლითა ტანსა იბანდებს და იხელდეს, და ცერეცოასა ზეთსა ანუ ბაბუნაასა ზეთსა მიწყით იკებდეს, და გრილსა აღვილსა დაშიდეს და დაიძინებდეს, და თუ ვითარებამ ამის მანკისა ტანისა სინედლისა სიმკროსიდან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რასმე ჰამდეს რომელ სინედლესა მოუხატებდეს ვითა ქროილისა წყალი ნუშისა ზეთითა და ჰასოა, და ციხიზიანი ზორცისა შურვად და ღვინოა წყალრეული. და ხელსა წყალსა და ნილოფარისა და იისა ზეთითა იხელდეს ტანსა. და თუ ვითარებამ ამის მანკისა გასარეველისა სისქისგან იყოს მუცელი დაიღბოს ეგეთითა (ჰაბითა) რომელ მანკისა სათაგნო ჩამოილოს, და საჭამადსა ცოტასა ჰამდეს და სომბური ზაერუკი ღარისა ზეთსა გარიოს და ნავითი ტანი კარგად იხელოს და კილაზონი და სონიჯი ანუ ყასბადირაა დანაყოს და ცერეცოასა ზეთითა შეზილოს და ტანსა შესცბოს და ოფლი გაიციეს, და თუ ოფლი საზოშასაგან მეტო გამოეცეს და დააუსუსუროს კურნება მისი იგი არს, რომელს მორდისა ზეთი ანუ გეგესა ზეთი ტანსა შესცბოს და მაშინ სანეტი ტყეისა და გუნდაა და მორდი და სომბური მიწაა და თეთრი არჯასპი და მურდასანგი

- 10) ყოველი დანაყოს და ვაცრას და ვაპრიოა, და ვარდისა წყლითა შეზილოს, და ტანსა იცხოს დაა ერგების, და ვანრთელსებეს შეწყენითა ღმრთისათა.
- 2) რკთ. შილი და ტილი რომელ დახსნას თხიბს ძირსა. ისა კ ი ტ ყ ე ის: ვითარებამ მისი სინედლისაგან იქნების რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს და შეიკრას, და რაა გასტელდეს და მასამა მისგნით შეკრას ოფლი ცოტა გამოეცემის, და რაა სინედლე შიგნით ტანსა დარჩეს მისგნით ტილი გამოჩნდეს.

ნიშანი მისი იგი არს, რომელ რააცა საჭამადისა ჰამისაგან იყოს შეიგების, ვითა ლეღვი ხმელი და აბუხტი და ხანჯა და სპრასა და თუთისა ფურცელი ამისგან შეიქნების და ბაყლიანობისა და ღინიოზობისა და არ მანისგანცა შეეჭნების.

თუ ტილი თავსა ოდენ ესხას კურნება მისი იგი არს, რომელ თავი წმიდად გაპარსოს, და თუ ტილი ტანსა ესხას ესე წინალი ტანსა შესცბოს ვითარებამ მისი: საბარი და ზაერუკი და მური ყოველ დანაყილი აბანოს ტანსა შესცბოს და ცოტასა ხანსა მიუწეას და მაშინ მორდისა ფურცელი ბროწყელისა წყალსა ვაპრიოს და აბანოს მივიდეს და ტანი მით იბანოს კარგად, და ტალოა ჩაიცვას და ეგრე გწარსა რომელ საფაქსათვის გეიარქვამს ერიდებოდეს. და თუ ტილი თავსა დია ესხას ესე საცხებელი ტილე მას ერგების ვითარებამ მისი: თეთრი ხარბაყი და ზაერუკი ნაწილი ერთი, ჩამიჩი ნესამედი ნაწილისა, ყოველი წმიდან დანაყოს და ვარდისა ზეთსა ვაპრიოს და აბანოსა შევიდეს და თავსა შეცბოს, და მაშინ რაა ფაში ერთი გარდავიდეს თავი დაიბანოს და ეგეთთა წინაღობითა იხმარებდეს რომელ ტანსა სინედლისაგან გაანმობდეს, რომელ იგი სინედლე ტყავთა მქმნეთ ტანისაათ გამოილოს და ტანი გაწმიდოს, ვითა ორი ნაწილი ჩამიჩი და ზაერუკი და

- 40) აპარტა რომელსა ჰქვიან ხარნიბი თვითთასგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი ფურისა სძითა და ვარდისა ზეთითა შეზილოს და შეცბოს კარგი არს. და უმჯობესი ამისგან იგი არს რომელ იარასა ჰაბი და ასტინიზიონისა ჰაბი იხმაროს რომელ მშენისა დედაა გამოილოს ტანისაგან და დამალი სინედლე, და მიწყით მარილის წყლითა და ნატრუნითა ტანსა იბანდეს რომელ სინედლე ასოთაგან განიხილოს. და მაშინ ჰამოსა წყალსა ჩაჯდებოდეს. და თუ სისხლისა ნიშანი ჩნდეს ხელი გაიხსნას და რაა შეიგნეს რომელ მანკისა დედაა დიად არს ტანსა შიგან, მუცელი დაიღბოს ეგეთითა მატბუნითა რომელ ბალღამათა და სინედლეთა ჩამოილებდეს ტანისაგან რომელ ადრე ელხინოს.

1) ეს სიტყვა სტრიქონ შემოდან არის ჩამატებული დედნის წელით.



ვითარება მისი, ფოლის იტყვის: ვითა სქელისა და ფიცხელისა სინედლისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა ტყავთა ქვეშეთ გიყენოს, და ტანისა ჰაელოცა გარეულ იყოს მას თანა, და მაშინ მისგნით ტილი შეიქნების ყოველი ექვს ფერხი, და მცბეწარი.

ნიშანი მისი იგი არს ცხადად რომელ ვგეთთა საქამადსა ჭამდეს, რომელ მისგან<sup>1)</sup> შეიქნებოდეს და აბანოსა არ მივიდოდეს,

კურნება მისი, ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ თუ შაჯასი საესე იყოს ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს მატბუხითა ანუ იარაჟსა ჰაბითა, და მაშინ აბანოს მივიდეს და ნელა წყალსა შივან ჩაედეს, და საქამადსა მაშუნესა ჭამდეს და ტილოთა ჩაიცვიდეს, და სძესა და მაწონსა ერიდებოდეს. და ესე საქებელი ტანსა იცხოს ვითარება მისი: ამარტა და ჩამიბი და მდოგვი თვითოასგან ნაწილი ერთი, საბრი და ვარდი და მორდასანგი და ბავრუკი დამწუბარი, დრამინა და შაფი მამითა თვითოასგან ნაწილი ერთი, მჟავინასა ძირი სამჯგერ ყოველთა ოდენი, ყოველი წმიდად დანაყოს და ძმრითა და ვარდის ზეთითა შეზილოა და დამით ტანსა შესცხოს, და დღისით აბანოს მივიდეს, და მაშინ დრამინასა წყლითა იბანოს, და ტანი ანაკვეთითა კარგად იხელოს, თა თუ ტილი თავსა და წვერსა შივან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს იისა ყურსითა და მას წამლისა თანა რომელ გვითქვამს თავსა და წვერსა იცხოს, და წამლებისა ჟამსა თვალნი დაიჭუნეს რომელ წამლისა ბუხარი შივან არა შეუბდეს. და თუ ტილი წამწამთა შივან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ მარილი და თეთრი არჯასა წყალსა შივან გაადნოს და წამწამთა მით ჰბანდეს, და თვალნი ცხელისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას ერგების.

ჭუნადი იტყვის: თუ ტილი ანუ ყაყამი ცოტა იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ქერუშტი ქვეშეთ იკაილოს, და თუ დიადი იყოს დაკლული ვეცხლისა წყალი და ქერუშტი და ნედლი შივა აბანოს მივიდეს და შესცხოს. და თუ აბით რომელ გვითქვამს არ დაელიოს მოაძილი გასახხნელა აილოს ვითა გვითქვამს, რომელ ტანი ჰავისა გასარეველისაგან გაწიძლოს და მიწყით აბანოს მივიდოდეს და წმიდად დაიჭირვიდეს ტანისამოსსა.

აჲ. კეთრიანობა რომელსა ჰქვინან სპარსულად ფსინ და არაბულად ბარასნი და შაბი და თათრი ბაჰაჲნი რომელსა ჰქვინან ძარტულად. ვითარება კეთრისა მანკისა. თებით ყურაჲ იტყვის: ესე მანკი გლეჟუნისა ბალღმისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა ტყავსა ქვეშეთ მიეძალოს, და ვეგეთთა საქამადთაგან რომელ სისხლსა გააგრილებდეს და დაძანტავდეს ტანსა შივან.

ნიშანი კეთრისა მევცნიერთა აქიმთაგან ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ სითერთე გამოიწდეს სადაცა ასოთა ანუ ტანსა და ღბილი იყოს, და იქნების რომელ ძველი და მქისეცა იყოს და ხორცა წესრულ იყოს, ზელისგან არ გაწითლდებოდეს, და რაჲ ნეშტი შესცენ სისხლი არ გამოვიდეს მისგან ყოლა.

კურნება კეთრისა მანკისა გონიერთა აქიმთა ნათქვამისაგან. თებით ყურაჲ იტყვის: რომელ ბარასი ვითაცა კეთრი შავიცა იქნების და თეთრიცა და რაჲცა ნეშტი შესცენ და სისხლა არ გამოვიდეს, არ იკურნების და რაჲცა სისხლი გამოვიდეს მას კარგად იკურნების, და რაჲცა სინედლე გამოვიდეს ძნელი იქნების. თად-ბირი მისი იგი არს, რომელ მიძარმინ არწყიოს და ჯალინოსისა იარაჲ და ლოლადიასა იარაჲ, ანუ აფთიმონისა მატბუხი ჭამოს და საბრისა ჰაბი და მასტანისა ჰაბი იხმაროს. და მიწყით ამას წამალსა ჭამდეს ვითარება მისი: ქალჭალანი დიდი ორისა დრამისა წონი, პალილა ქაბულური ორისა დრამისა წონი, აფთიმონი ორი დანგი, ყოველი დანაყილი ერთგან გამრიოს და თუ შეეძლოს ერთ წილამდინ მისგნით ჭამდეს. და ესე ჰაბი

<sup>1)</sup> ამ გვერდის ქვემო აშიახვ რეფლთა სათვალავი „მდ“ სწერია და შემდგომი გვერდის ზემო აშიახვ „მე“.



მას ერგების ვითარება მისი კილაშონი და ფაჩარი, და ბალასნისა შეშა და მასტაჭი, და ხაფრანა და ასარონი, და ჰინდოური შადნა და პიტანა, და შაჰში პანტაღლ თეფთუფესგან დრამისა წონი ერთი, დანაყილი ჰაბად შექნას და მისგნით დრამისა წონი ერთი სიქანგუბინითა იხმაროს. და და თული წყალი გაპრიოს სიქანგუბინსა, და შავი ხარბაყი და გუნდაყი ყოველი დანაყოს და შესცხოს კარგი არს. მაგრა შავისა კეთრისა ვითარება მისი დამწვარი სეედისაგან იქნების აფთიმონისა მატბუხი იხმაროს, რომელ ტანი მანკისა დედისგან გაწმდეს და მაშინ ქარსინაჲსა უქეილი და კაპარისა ძირისა ტყაყი და თუთაჲსა გომიში დანაყოს და ძრმითა შესცხოს. ანუ ყაყაჩოჲ ანუ ჰაზარ ქაბანი ძმრითა გავალოს და შესცხოს. და თუ არ დიდი იყოს ადგილი იგი დასდალოს და მაშინ ჰეურნოს, რომელ გამრთელდეს. და

10 რაჲცა ჰიქისა მოსაკიდებელი იყოს ჰიქაჲ მოჰკიდოს, და მაშინ თეთრითა მურნუანანგითა კარგად ზალოს ანუ მარხანგოშისა წყალი ჰიქასა შიგან ჩაახხას და იგი ჰიქაჲ მოჰკიდოს, მაშინ დია ერგების.

ვითარება შავისა და თეთრისა ბაჰაყისა. იოჰანა იტყვის: ვითა თეთრი ბაჰაყი დასაწყისი არს კეთრისა, და შავი ბაჰაყი დასაწყისი არს სიჯონჯისა და ვითარება თეთრისა ბაჰაყისა ბალღშისა მორვენისაგან იქნების, და ვითარება შავისა ბაჰაყისა სეედისა მორვენისაგან იქნების.

ნიშანი შავისა და თეთრისა ბაჰაყისა. ცხადი და საჩინო არს და გამოცნობაჲ კეთრისა თეთრისა ბაჰაყისაგან იგი არს, რომელ კეთრი ხორცსა შიგან იქნების, და ბაჰაყი ტყაყსა შიგან იქნების. და რაჲ თეთრი ბაჰაყი დამველდეს მაშინ კეთრად შეიქ-

20 ნების.

კურნება შავისა და თეთრისა ბაჰაყისა. თეთრისა ბაჰაყისა კურნება იგი არს, რომელ პირველ არწყიოს და გრილთა და ნედლთა საქამადთა ერიდოს, და აბანოსა შიგან ოვლი დია გამოიცეს, და ტარეფულსა ჰამდეს და გულანგუბინისა მასტაჭითურთ. და უხმაჲ თეთრსა საკმელსა იხმარებდეს. და მუცელი დაიღბოს ეგეთითა წამლითა რომელ თურბიდი და შაჰშიტალი ერთობს, და ბაჰაყი კარგად იზელოს რომელ გაწითლდეს, და მაშინ ესე წამალი ზედა შემოსდვას ვითარებაჲ შინი: თირმისი და შეტარაჲ, და ენდროჲ და ქერუშტი, და მდოგვი თვითოჲსა ოდენი, ყოველი დანაყოს და ცხარითა ძმრითა შეზილოს და შესცხოს და მხესა დაჯდეს რომელ გაშრეს. და მაშინ ბაზრაცატუნისა წყლითა აბანოსა შიგან ტანი დაიბანოს, და ესე წამალი სხვაჲ ლყოს ვითარებაჲ მისი: ყალყანდი და ეანგაროჲ თვითოჲსგან ნაწილი ერთი, ხატრონი ორი ნაწილი, ყოველი დანაყილი ერთგან გაპრიოს და შესცხოს. და ესე წამალი სხვაჲ: ხარბაყი და სონიჯი და ჰეტუტი და ენდროჲ და არჯაჰი და ხარნიხი ყოველი დანაყილი ძმრითა შეზილოს და შესცხოს. და შავისა ბაჰაყისა კურნება იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს აფთიმონისა მატბუხითა, და ესე საცხებელი შესცხოს ვითარებაჲ შინი: ბოლოკისა თესლი და ქერუშტი და ყუშტი თვითოჲსგან ნაწილი ერთი და ყოველი დანაყილი აბანოს მივიდეს და მრავალჯერ შესცხოს. და რაჲცა მალიხოლიასათვის გვითქვანს იხმაროს. და ესე საცხებელი სხვაჲ შემოსდვას ხარავენდი და ჰილი და ბაერუკი თვითოჲსგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი ერთგან გაპრიოს და შეზილოს, და რაჲ მანკისა ადგილი კირითა ეზილოს, მაშინ შესცხოს. და თუ არ იჯობინოჲ ნაჯალისა მაჯლინი ჰამოს ანუ აფთიმონისა ნაჯლინი, და სიქა-

30

40

ბუჲ. ბანდუშაჲ რომალსა ჰმინან არაბულად თალულაჲ და მართულად მუჰაჲ. ვითარებაჲ მისი. არბიასიოს იტყვის: ესე მანკი სქელისა გლუსუნისა ბალღშისაგან იქნების, რომელ ბუნებამან ტყაყთა გარეთ გააყენოს ანუ სასეედოჲსა გასარეველისაგან იქნების,

ნიშანი განდუშაჲსი ვითამცა მუქეტიჲსა, რაჲცა ბალღშისა მორვენისაგან იყოს იგი არს, რომელ ზელითა ღმირი იყოს და ფერად თეთრი იყოს. და რაჲცა სასეედოჲსა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად შავი იყოს და მქისე.



კურნება მცვექისა და რააცა ბაღღმისგან იყოს. იგი არს, რომელ ეგეთთა წამალთა აიღებდეს რომელ ბაღღამსა ჩამოიღებდეს ვითა შაჰში ჰანტალი და სურბიდი და ლარყონი. და ესე წამალი მას დია ერგების და ტანსა ბაღღმისაგან გასწეხნდეს ვითარება მისი: თურბიდი დრამისა წონი, ლარყონი ოთხისა დანგისა წონი, ნილდანა ნახევარ დრამისა წონი, შაჰში ჰანტალი ორისა დანგისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი თაფლითა შეზილოს და ცისკრისა ვამსა იხმაროს, და მაშინ ნელი წყალი სტას ცოტა და ეგეთთა საქამალთა რომელ ბაღღამთა მოუმატებდეს ერიდებოდეს. და ნედლითა კაპარისა ფურკლითა და ქანჩაქითა კარვად იზელოს. და თუ დანაყილი გუნდაჲ ძირითა შეზილოს და შემოსდვას დია ერგების.

10 მასარჯოთა იტყვის: თუ ერთი ანუ ორი იყოს ასოთა ზედა მკრატლითა მოკვეთოს ანუ ენდროთა დასწვას, და თუ დიადი იყოს გასახსნელი მოსპილი აიღოს ვითა გვითქვამს რომელ ტანი მანკისა სათაენოასგან გაწმდეს. და საქამალსა კარვად შემგარსა ქანდეს და შუკელი დაიღბოს აფთიმონისა მატბუხითა. თუ სევდისაგან იყოს მანკისა სათაენოა და თუ მაჯასი სავსე იყოს ხელი გაიხსნას, და მაშინ ფიცხელი წამალი შემოსდვას რომელ გაშავდეს, და რაჲ გაშავდეს მაშინ ძველი ერბოა შესცხოს დია კარგი არს. და თუ ცხარითა ძირითა გარცხას და მაშინ ლერწმისა ფურკლითა კარვად ზელოს, დია კარვად ერგების და განრთელდების.

მორღისა 1) ვითარებაჲ. მუქამედ ზაქარიასჲ ძე [იტყვის]: კარკისა სინელითაგან ბაღღამურისა იქნებას, და ფიცხელისა საზაფროასა სისხლისაგან, რომელ ერთგან გარეული იყვნენ. და ესე მანკი უფროასი ქვეშეთა კერძთასაქციელთა შიგან გამოჩნდების.

20 ნიშანი მურდარისა. იგი არს, რომელ მას ადგილსა რომელ მანკისა დედაჲ იყოს ქავოდეს, და ფეტყისა ებრ ვაბერილობაჲ გამოვიდეს და დიპანტიას, და რაჲ მოიფხანოს მისგნით ყვითელი წყალი დიოდეს.

კურნებაჲ მურდარისაჲ. იგი არს, რომელ სანდალი და გუნდაჲ და ზარდანჩობაჲ დანაყილი ძირითა და ვარდის წყლითა შეზილოს და ზედა შესცხოს. და თუ მორღი და ასი წყლითა შეაბგოს და მიწყით ამით წამლითა ჰბანდეს კარგი არს. და თუ ძმარი და ვარდის წყალი შესცხოს კარგი არს. და თუ ძმარი და ინაჲ და მარილი შქისე ერთგან გაჰრიოს და აბანოასა შიგან მანკისა ადგილი სამჯერ ოდენ მით ზელოს რომელ დაეწვას, და მაშინ მით ჰბანოს კარგი არს, და მაშინ დანაყილითა სონიჯითა ზელოს კარგი არს.

30 იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტანი გაწმიდოს და ბაღღამი და ზაფრად წამლითა ჩამოიღოს. და მაშინ ძმარი და ინაჲ ერთგან შეზილოს და მანკისა ადგილსა შესცხოს. და თუ ნარსაქი ქინძისა წყლითა შეზილოს და ცოტათა ქაფურითა შესცხოს, და მიწყით წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს, და მორღი წყლითა შეაბგოს და მიწყით მავით იბანდეს. ეჯჯა და მანკისა ადგილსა შაჰასფარმითა იზელდეს. და თუ ესე მანკი ყვერთა შიგან იყოს ესე შემოსადებელი უყოს ვითარებაჲ მისი: სვეტი ექვისისა დრამისა წონი, გოვირდი დრამისა წონი, იფიონი ნახევარ დრამისა წონი, ყოველი წყლითა და ძმრითა გაგალოს და შესცხოს. და ესე სხვაჲ წამალი ვითარებაჲ მისი: აყაყიაჲ და მამითაჲ თვითო-  
40 ლოს და შესცხოს. და მაშინ ბაზრაცატუნისა წყლითა დაიბანოს ერგების. და მანკისა დასაწყისსა ცივითა წყლითა ჰბანდეს, და რაჲ გამოჩნდეს ნელითა წყლითა ჰბანდეს კარგია.

რუხ. ათაში ფარსი რუხლისა თარგმანი არს ცმცხლი სპარსული და გაბერილობაჲ რომელ გამოჩნდეს კაცისა ასოთა და ტანსა ზიდა. ვითარებაჲ ათაში ფარსისა, ჯალინოს იტყვის: ვითარებაჲ მისი მხურვალისა სისხლისაგან იქნების და თხელისაგან და დამწვარისა

1) მურდარი.



ბაღდადისაგან რომელ ორნივე ერთგან გარეულ იყვნენ, და ბუნებისა ძალი მათ ტყვესავე გააყენებს.

ნიშანი ათაში ფარსისა: იგი არს, რომელ მანკისა ადგილი გასრულდეს და ქაფრედეს და ეწოდეს, და ყვაილივითა გაბერილობაჲ გამოჩნდეს, და ეკრე გახდეს რომელ ცეცხლითა დამწუარსა ჰგვინდეს იგი.

კურნებაჲ მისი მასარჯოჲა იტყვის: იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და თუ არ შეეძლოს ჭიქაჲ მოჰკიდოს, და მოწონებულსა და მაშენესა საქამდსა ჰანდეს და მაშინ ესე წამალი შესცხოს ერგების, ვითარებაჲ მისი: სპეტი და მურდასანგი, და თეთრი სანდალი და ცოტაჲ ქაფური ყოველი დანაყილი ნებისა ზელითა შეზილოს ტკბილითა, და შესცხოს, და თუ სინედლე სდიოდეს ესე წამალი შესცხოს ვითარებაჲ მისი: მჭური ჰეტუტი და ზარდანიობაჲ, და ქაფური ერთგან გაჰრიოს და წმინდაჲ გაგალოს, და არდისა წყლითა ანუ შემზაპარისა წყლითა შეზილოს, და ისმარებდეს. და თუ ზოგთა მათ ყუბავილთაგან თხამლი სდიოდეს, ყოველი ზელითა გამოწყოს, და მაშინ თეთრითა მაღაჰმითა ჰკურნოს.

აბუჯარიჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და მაშინ მალჰამაჲ ქაფურისაჲ შემოსდვას. და თუ ამით არ გარდვიდეს წურბელი მოჰკიდოს რომელ ნანკიანი და მავნი სისხლი გამოსუროს, და დია ნუ იარების და ფერხანაოკიდებით ნუ დაჯდების, და თუ არწყევდეს სახამსოა არს. და საქამდაჲ გრილსა ჰამდეს და სინჯურვალესა ერთდებოდეს. და სპეტისა მალჰამაჲ და ქაფურა შემოსდვას, და თუ თეთრი მალჰამაჲ არ იყოს ნარსაჲ და ბროწეულისა ქერქი წმიდაჲ დახაყოს და ცივითა წყლითა შეზილოს და შემოსდვას. და თუსი ნედლი და მურდასანგი და ქაფური და სპეტი ყოველი წმიდაჲ დანაყოს, და ვარდისა წყლითა შეზილოს, და ძველსა ბანბასა შემოსცხოს და ეპქამ მას ბანბასა მანკისა ადგილსა შემოსდებდეს. და მაშინ სომალური მიწაჲ ძმრითა და ცივითა წყლითა გაგალოს და შემოსდვას. და მზურვალთა საქამადთა და თაფლიანთა ერთდებოდეს. და გრილთა მიელტვოდეს.

ვითარებაჲ გაბერილობისა. მასარჯოჲა იტყვის: სინედლისა სქელისა სისხლისაგან იქნების, ანუ საზაფროსა ფიცხელისა სინედლისაგან იქნების, რომელ ასოთა ზედა მოერიოს, ანუ საბაღდადითა მლაშეთა სინედლისაგან იქნების.

ნიშანი გაბერილობისა: რაჲცა სქელისა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად წითელ იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა საზაფროსა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ ყვითლად მოაჩვენებდეს, და რაჲცა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ თეთრი იყოს.

კურნებაჲ გაბერილობისა: რაჲცა სინედლისა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და ჭიქაჲ მოჰკიდოს და სიგრილესა ჰამდეს ვითა კატკატოსა თესლისა წყალსა, და სიქანგუბინისა, და ქრთილისა წყალსა, და გრილთა საქამადთა, რომელ მანკისა სათაგნოა დაელიოს, და კურნებაჲ მისი რაჲცა სინედლისა საზაფროსაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა ვითა პინდორისა თამრისა წყალი და ტყემლისა წყალი, და მყავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი, და რაჲცა ამას ჰგვინდეს, და მყავისა მიელტვოდეს, და სიმზურვალეთა და ტკბილთა ვრიდოს. და ქანძისა წყალი და ძმარი და ვარდისა ზეთი იცხოს მიწყით მანკისა ადგილსა. და საქამდსა ვარისა შინაურსა ქათმისასა ჰამდეს რომელ ზირაბჯად ანუ ისრიმითა შექნილ იყოს. და კურნებაჲ მისი რაჲცა საბაღდადითა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს იარაჲ ფეყირაჲ ანუ იარაჲსა ჰაბითა, და მაშინ მზურვალთა ზეთი შესცხოს ვითა შიბითისა ზეთი, რომელსა ჰქვიან ცერეცოჲ, და ბაბუნაჲსა ზეთი და ყუსტისა ზეთი. და საქამადთა თანა რაჲცა ბაღდადითა იყოს ვრიდოს ვითა სქე და მაწონი და ახალი თევზი. და აბანოს მივიდოდეს.

ისაჲ იტყვის: მუცელი დაიღბოს იარაჲ ფეყირაჲთა და საქამადთა ნატიფთა ჰამდეს, და ხარაზაპრაჲ და ტეკანა დანაყოს და ძმრითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შეს-



ცხოს, და თუ გაბერილობაა სრულიად<sup>1)</sup> არ გამოცემულ იყოს მანკისა, ადგილი მწერითა კარგად შეზილოს, რომელ გაბერილობაა სრულიად გამოვიდეს, და მაშინ მწერიც და ტევანა დაასოვლოს და ძმრითა გაგალოს და მანკისა ადგილსა შემოსდეს. და აბანოს დია მივიდოდეს, და ნედლისა ჭამასა და ლეინისა სვმასა ერიდოს, ერგების.

**აჲშ. უტავილი რომელსა ჰქვინან არაბულად ჯოდრი და სპარსულად აბ** [..წაშლილია] და წითელი. ვითარებაა ყუბავილისა, აბუჯარიჰ იტყვის: მხურვალისა და ფიცხელისა სისხლისაგან იქნების რომელ ტანსა მოერივნენ. ვითარებაა მისი სისხლისა დანარჩონისაგან იქნების, რომელ ყნაწვრილსა დედის მუცელსა შიგან აწოვნოს წილოვანობისა სისხლისგან, უცილოდ.

10 ნიშანი ყუბავილისა ვითარებისა იგი არს, რომელ ძნელად აცხრობდეს და თრთოდეს და სანსა დღესა და სანსა ღამესა აცხრობდეს, და ზურგი სტკივოდეს, და თვალნი წითლად იყვნენ.

კურნება ყუბავილისა იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და სისხლი სნეულისა ძალისა მისაფერად გამოილოს. და თუ ვერ მიესწრას ხელის გახსნასა და გამოსულ იყოს ყუბავილი და გამოვიდოდეს ნუ გახსნის, თუ არა, ეცნების. და ქრთილისა წყალსა სპიდეს რომელ სეფისთონი<sup>2)</sup> და უნაბი ერთოს. და ოსპი უჭურქოა და სიქანგუბინი რომელ კიტრისა თესლი და ცერეკოასა თესლი ერთოს, იხმარებდეს. და თუ ხელსა ვერ გაიხსნის ქრთილისა წყალსა ცა ერიდოს და გრილსა საჭამადსა ნუ ჭამს, და ეგეთთა რაჲსმე იხმარებდეს რომელ ყუბავილსა გამოიციმდეს და ამწიფებდეს. ვითარებაა მისი ოსპი უჭურქოა უკიაა ერთი, ქათირაა ხუთისა დრამისა წონი, ბადიანისა თესლი სამისა დრამისა წონი, ყოველი ლიტრასა და ნახევარსა წყალსა შიგან შეაბგოს ეგრე, რომელ მესამედი დარჩეს და მაშინ დაწუროს და ცოტაა ზაფრანაა ურთოს, და იხმაროს ბადიონისა წყლითა, და ძაღლის ყურძნისა წყლითა და შაქრითა, და ცოტათა ნიხურისა წყლითა ერთგან ვაპრიოს და იხმაროს ერგების. და ნედლისა ქინძისა წყალი თვალთა ჩაიწოთს. და თუ თუთიაა ქინძისა წყლითა გაზარდოს თვალთა შემოსდვას ერგების, და ყუბავილი თვალთა შიგან არ ჩაიჭრების.

მასოაჲს ძე<sup>3)</sup>: ხელი გაიხსნას ანუ ჰქვია მოჰკიდოს, და ვარდის წყალი და თუთუბისა წყალი და ბროწეულისა წყალი თვალთა ჩაიწოთს. და თუ ყუბავილი თვალთა შიგან გამოცხნას სურმაჲ თვალთა საოლაფი, ქინძისა ნედლისა წყლითა გაგალოს და შემოვლოს. ანუ ხმელი ქინძი წყლითა დაასვლოს და ჩაიწოთს. და საჭამადსა მამასა და ოსპსა და ყატფსა ჰამდეს ხეთისხილისა ზეთითა. და ხილთა თანა ვაშლი და სხალი ჰამოს. და თუ ზამთარი იყოს (ყეკალი ვაზისა<sup>4)</sup>) შეშისა და ვაზისა რქაჲ კარგი არს. და რაჲ შრობაჲ დაიწყოს მარლი კუნჯიდისა ზეთითა შესცხოს კარგი არს.

წითლისა მანკისა ვითარებაა, მასარაჯოაჲ იტყვის: სიმხურვალისა და ხმელისა სისხლისაგან იქნების, რომელ ტანსა მოერიოს.

იოჲანა იტყვის: დანარჩონისა სისხლისა წილოვანობისაგან იქნების, განა ეს სისხლი უფროა ნატიფი იქნების, ყუბავილისა სისხლისაგან.

ნიშანი წითლისა მანკისა: იგი არს, რომელ პირი მშრალად ედვას და სნეული შფოთად და ჩქარად იყოს, და თვალნი წითლად ედგნენ და ბუნებაჲ ეშლებოდეს, და მაშინ წითელი გაბერილი გამოჩნდეს.

40 კურნება წითლისა მანკისა: მასვე წამსა აქალი ძარღვი გაიხსნას და სისხლი დია გამოილოს. და თუ სნეული ყნაწვრილი იყოს ჰქვია მოჰკიდონ და სისხლი დია გამოილონ, რომელ ესე მანკი დია სისხლისა გამოვლებითა დასწყნარდების. და მეცნიერთა აქიმთა გამოუცდია ვისცა ესე ცხროჲ შეეპყრას საშიშოჲ იქნების, და ეგრე ჰკონია ვითა ერთო-

1) ეს იტყვა სტრაქონ ზემოდან არის ჰამატებული დედნის ხელით.  
2) სწერია „სეფისთონი“  
3) იტყვის  
4) სწერია „ვაზისა“.





ბით ყუბავილი გამოეცემის. ეგრე ხამს რომელ ორივე ხელი გაიხსნას და დია სისხლი გამოიღოს, რომელ იგი ტკივილი გაუსაძღდეს და ადრე დაეხსნას, და წითლისა მისსავე ესევე კურნებაჲ ხამს, ნით რომელ ორივე მანკი ერთ ფერი და ერთ ნივთი არს. ამისგან კიდე რომელ ქრთლისა წყალსა და სინედლეთა უფროასი წითლიანია უნდა ქმეინებაჲ.

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთთა სიკამადითა ქამდეს რომელ სინედლესა მოუმატებდეს ვითა ქრთლისა წყალი და ახლისა აყროასა წყალი. და ეგეთსა ნურას ჰამს რომელ მუცელი დააღბოს, ვითა ბეჭესა რუბი, და ტაბამირი, დაბეჭდული მიწაჲ და არაბული გომიბი, და კოწოხურისა წყალსა სმიდეს. და რაჲ მანკი გარდვიდეს თუთუბისა ურწყოჲ ჰამოს ცოტაჲთა ნუშისა ზეთითა, და რაჲ გაბეროლობაჲ გახმეს ვარაჲ ჰამოს

10 თუთუბითა შექნილი.

იოსაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და ქრთლისა წყალი და ხაშხაშისა შარაბი იხმაროს ანუ ბაზრავაყატუნისა ლუაბი ჯულაბსა გაპროს და იხმაროს და ქრთლისა წყალსა შიგან ხამს რომელ ოსპი და სიფისთანო და უნაბი ერთოს რომელ სიღბოჲ და სინედლე მოუმატოს და საკამადსა ასუანახისა ურწყოასა ქამდეს ნუშისა ზეთითა შექნილსა ანუ ხორჟარასთისა ურწყოჲ ნუშისა ზეთითა.

**აჲლ. ჰომარაჲ სისხივნესა ჰჰვიან ღბ ხორაჲ წალისა სიწყალულებს.** ვითარებაჲ ჰომარაჲსი. იოჰანა იტყვის: მუროვალისა სისხლისაგან იენების რომელ საზაჟროჲ გასარეველი გაეროს და რაჲ მოეროს ბუნებისა ძალი მას ტყავისაჲე გააყენებს, და იგი ათაჲე უარსისაგან ერთ ფერი არს.

20 ნიშანი კუმრახსა მანკისაჲ. იგი არს, რომელ სადაცა მანკი იყოს გასივდეს და ფერად წითელი იყოს, და მაშინ ყუბავილი გამოჩნდეს და ეგრე გახდეს ვითა ცეცხლითა და მწქარი ასოჲ, სადაცა იყოს იგი მანკი.

კურნებაჲ კუმრახსა მანკისაჲ. იოჰანა იტყვის: თუ სისხლსა მოერივნენ ხელი გაიხსნას, და საკამადითა მაშენეთა ქამდეს ვითა სიქანგუბინი და ქრთლისა წყალი, და კატკატოასა თესლისა წყალი და ჯულაბი. და მიწყით მანკისა ადგილსა გეშბპარისა წყლითა და ძალისა ყურძნისა წყლითა, და შაფი მამითაჲთი იხელდეს. და თუ ზაჟრაჲ უფროჲ ძლიერად იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს შემგბრითა ხილთა წყლითა და ქრთლისა წყლითა, და მაშინ ორსა ეამსა უკანით სიქანგუბინი და ბროწყელისა წყალი სჭას. და თუ ბუნებაჲ შეეკრას ჰინდოურისა ზურმისა წყლითა და თირმისითა დაიღბოს. და

30 ესე შემოსადებელი მანკისა ადვილსა შემოსდვას ვითარებაჲ მისი: სომხური მიწაჲ ლისანალჰაშლისა წყლითა და ვარდისა წყლითა და ნედლისა ქინძისა წყლითა გაგალოს და იხმაროს.

იოსაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მანკისა ადვილი კარგად დამაშრონ, რომელ იგი მანკი და მანკიანი სისხლი მისგნით გამოვიდეს, და მაშინ გუნდაჲ რომელ ძმარსა შიგან დამბალ იყოს, ღამით ზედა შემოსადეან. და ესე სხვაჲ წამალი ჩქენ გამოგვიცდაჲ ამას მანკსა დია ერგების ვითარებაჲ მისი: ნედლი ნიგოზი და მისისა ხისა ფურცელი, და ხალი და ჩამიჩი, და ხმელი ლელი რომელ ლეინოასა შიგან დამბალ იყოს, და შავისა ხაშხაშისა ზეთი თვითოასა ოდენი, ყოველი ერთგან გაპროს და მანკისა ადვილსა ზედა მრავალჯერ შემოსდვას. და ესე წამალი სხვაჲ ვითარებაჲ მისი: აფიონი და აყაყიაჲ და ბანგისა თესლი თვითოასაგან დრამისა წონი ერთი, ყოველი დინაყალი და გაცრილი ხაშხაშისა ზეთითა შემოილოს და მრავალჯერ მანკისა ადვილსა შემოსდვას, ერგების.

31 **ვითარებაჲ ხორაბსა მანკისა.** არხიჯანი იტყვის: რომელ ამის მანკისა ვითარებაჲ ზალჰანურისა სისხლისა მყრალისა დამბალისაგან იქნების, რომელ სევდათ ქნილ იყოს და რაჲ მოეროს ასოჲ გააწყლულოს. მას არაბულად აქლაჲ ჰქვიან და ქართულად ურვილი.

ნიშანი ურვილისა მანკისაჲ იგი არს, რომელ ჰარველ სიმსიენე გამოჩნდეს და მაშინ გამწვანდეს, ანუ შავფერად იყოს, და დაწყლულდეს და თხმალი გამოვიდეს. და

\*) ამ გვერდის ქვემო აშოზე რეველთა სათვალავი სწერია „მე“ და შემდგომ გვერდის „მე“.



რამე გაძნელებდეს ასოთა ქამდეს და უფროსი რეაქსი ოცდა ხუთმეტსა შეეცნებინს, და დასჯე თელსა უფროა.

კურნებაჲა ურკილდისა მანკისა როშელსა ჰქევიან იქნება არაზულად და სმარსულად ხორაჲა. არხიჯანოს ი [ტყვის]: კურნებაჲა მისი იგი არს, რომელ აყთომონისა მატუხითა და როჟისისა იარაჲთა მუცელი დაიღბოს, და მანკისა სათაგნოჲ ტანისაგან გამოიღოს, და ვარჯარანისა წყალი აღლლოს და მანკისა ადვილსა სცებდეს კარგი არა. და თუ სონიჯი ძმრითა დაიღბოს და შემოსდვას კარგი არს. და მიწით გოჯირდისა წყლითა ბანდეს. და თუ მანკი ვაგერელდეს გაძნელებინს და ჰამოდ იკურნების, ღონე იგი არს, რომელ თუ მოიკვეთებოდეს მანკისა ადგილი მოჰკვეთოს, და თუ არა, დასდალოს რომელ სხეანი ასონი არ დააშავოს. და სეედინსა საჭამადსა ერიდებოდეს ვითა ზროხისა ხორცი და ოსპი და კალნაბი და მსგაჲსი მისი, და ნატიფთა საჭამადსა ქამდეს ვითა ვარიჲა და დურაჯი რომელ ზირაბაჯად, ანუ ისრამად, ანუ თუთუბითა შექნილ იყოს, ანუ აღარდნითა, და მაშინ თეთრსა მალჰამისა შემოსდებდეს.

10

ნასარაჯოჲა იტყვის: რომელ აღრე დასდაღონ რომელ არ დაიბანტოს, ანუ ძნელი და ფიცხელი წამალი შემოსდვინ ვითარებაჲა მისი: ჟანგარი და თეთრი არჯასპი და ჭიქა თეთოთასაგან ხაწილი ერთი, ყოველი დანაყილი მანკისა ადვილსა შემოაყაროს და მიდამო მისი ძმრითა და ვარდითა ხელოჲ კარგი არს. და თუ მანკისაგან სინელდე მოვიდოდეს კურნებაჲა მისი იგი არს, რომელ ზარავენდი და მრგვალი გუნდაჲ და ცოტაჲ არჯასპი გაუროჲს და დანაყილი მანკისა ადვილსა შემოაყაროს. და თუ ზარბაირისა აფშარაჲ შენოსადებელი უყოს ერგების, და მძიმეთა და სქელთა საჭამადთა ერიდებოდეს და ნატიფთა ქამდეს, ერგების.

რუჲ. ჯოდგი როჟელსა ჰქვიან სიგონჯა. ზაფრისაგან იყოს და თუ სეედისაგან. ვითარებაჲა დამწმარისა ზაფრისა. იოჰანა იტყვის: ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების რომელ სიმბურყალითა და სიფიცხითა დამწმარ იყოს და მას სისხლთა თანა რომელ ასოთა საზრდელი იყოს გარეულ იყოს, და დააშავოს იგიცა, და ყოველგან გაერიოს.

ნიშანი დამწმარისა ზაფრისაჲსა. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ასონი გაშავდენ და სიმლაშე მოიკიდოს და პობაჲ დაიწყოს, და ყვითელი წყალი სდიოდეს, და ხორხი შეიპყრას, ხმა დახდეს და სულსა ვერ იკვეთდეს, და პირი და თვალი დამრღუქედეს და დაშავდეს.

30

კურნებაჲა მისი რაჲცა დამწმარისა ზაფრისაგან იყოს. იოჰანა იტყვის: რომელ მანკისა დასაწყისსა ორთავე ზელთაგან დია სისხლი განიღოს და ფერხთა ძარღვი და შუბლთა ძარღვი გაიხსნას, და მუცელი დაიღბოს. ზაფხულისა აბანოსა მივიდეს რომელ სისხლი გაათხელოს. და გრილი და ნედლი ზეთი სძესა გაპრიოს და იხმარებდეს, შესცოს, და რაჲცა ზარფაჲაჲ გამოიღებდეს იხმარებდეს, და ბატქნისა ხორცსა შემწმარსა ქამდეს. და რაჲ მანკი გამაგრებულ იყოს არა იკურნების. და უმჯობესი წამალი ამის მანკისა იგი არს, რომელ ასპიტისა აფესი კვერი, ვითამცა ეურსი, ჰამოს და რაჲ ხმაჲ დახდეს და ხორხი შეეპყრას ავდაჯისა ძარღვი გახსნას. და ამის მანკისა დასაწყისსა უიმედობაჲ არა ხამს, რომელ უგრძნელად კურნებასა შიგან ირგებს და იკურნების, და საჭამადსა ბატქნისა და თიქნისა ხორცსა ქამდეს, და დეინოჲსა წყალრეულსა. და დელამოტისა

40

წყალი შაქრითა სქას და აბანოსა იხმარებდეს. მუნჲან იტყვის: ერთი ყმა კაცი ვკურნე ამით თადბირითა და ზუთსა თვესა ორმოცი გასახსნელი მოსპილი შევსვი აყთომონისა მატუხი რომელ ჯობანი დაიწყო და გამართელდა, და მას ხანსა წამალი არ ექამა ნუ თუ დელამოტისა წყალი შაქრითა<sup>1)</sup>.

როდის იტყვის: რომელ მანკისა დასაწყისსა კურნებაჲა მისი იგი არს, რომელ მარჯვნივ ზელა გაიხსნას და ბატქნისა ხორცი ჰამოს და აბანოსა დია მივიდოდეს და ჰამინ

1) ამის გასწვრივ აშოაზე ნაკვიავეგი მხედრულით სწერია „დელამოტი“ [ე]ველსა ქვიან.

მარცხნით აქვალი ძარღვი გაიხსნას, და რაზომთა ოდენ დღითა გამოისვენოს, და საჭამად მასვე ქამდეს, და თუ ჰაერი სწორი იყოს აფთიმონიაა მატბლხსა იხმარებდეს, და თუ ზედიხელი იყოს არწყვის ბოლოყისა წყლითა და მღოვავითა, და თუ ხმა დაუხდეს ავდაჯის ძარღვი გაიხსნას, რომელ კიფერა ზედა არს, და ვიდრე არ დაბნდეს ნუ შეიკრავს.

ვითარებაა მისი რაა ფიცხელისა სევდისაგან იყოს. მუქამედ ზედიხარია მძე იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა სევდისა სიმეტისაგან იქნების, რომელ ტანისა გასარვევლსა სოეოის, და ბუნებასა არ შეერთოს მისი გაუენება, არცა სიღბოთა და არცა რწყევითა.

ნიშანი მისი რაა ფიცხელისა სევდისაგან იყოს. იგი არს, რომელ ყელი და საქციელნი დამოკლანენ და თმა დაწულდეს და პირი დაბნულდეს, და შფოთი სიზმარი ეზმანებოდეს, და გაპავცნობდეს და არ უბნობდეს.

კურნებაა მისი: იგი არს, რომელ თავს თავისა ზელსა გაიხსნიდეს და კვირასა შიგან მუცელსა დაიღობდეს ეგეთითა, რომელ სევდისა ჩამოიღებდეს. და აბანოსა დია მივიდოდეს, და იისა ზეთი და აყროვასა ზეთი და ნილიურისა ზეთი ცხვირთა ჩაიშვას, და ასონი ნუშისა ზეთითა ზელოს, და ღვ ნოა რომელ დია წყალი ერიოს, და მრთელთა პირუტყვთა სძე რხმაროს. და მძიმესა და სქელსა საჭამადსა ერიდოს ვითა მალხოლიასა შიგან გვითქვამს. და ეგეთთა რასმე რომელ ფსელსა აღენდეს ერიდოს, რომელ მანკი არ მოიმატოს. და მეცნიერთა და წინამძღვართა აქინთა ესრეთ უთქვამენ, რომელ ასპიტისა თირიაცი და ხორცა, მისი ხასიათითა ამას მანკსა ერგების.

ისაკ იტყვის: რაა ესე მანკი გამოჩნდეს და ასონი გაწყულდენ კურნებაა მისი იგი არს, რომელ დასდაღონ საქციელნი ტანისანი რომელ გაპავრდეს, და ასოთა შიგან არა ჩავიდეს. და ავდაჯი და ბასალიფი გაიხსნას რომელ არ დაწყულდეს. და აბანოსა მივიდოდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩავდებოდეს, რომელ მკერდი დაალბოს მისი და გრილთა ზეთითა და გრილთა საჭამადთა იხმარებდეს, რომელ ტანი არ დაიარღვოს, და ცხვირისა სძესა სნიდეს. და ყოველთა დღეთა ასოთა კირითა და ღვლისა შუშისა ნაცრითა ზელდეს, და გამამად წყალსა ჩავდებოდეს. და ნუშისა ზეთი და ქურჯიდისა ზეთი ყურძნისა წყალსა გაპრიოს და ხანსა ერთსა იხმაროს, რაა ტანი გაეწმიდოს, და მრავალნი გამრთელებულნი ამით უთირიაცი და უასპიტის ხორცად.

**რამ. პირისა რღვევა და პირისა სიგნალე და ფარისა სიგნალე რაა მზისაგან იყოს.**

ვითარებაა მისი. ფოლის იტყვის: პირისა დაშავებაა და რღვევაა ფიცხელთა სნებათაგან იქნების ვითა იარაყანსა ყვითლისა და შავისაგან, და რააცა ამით ჰგვანდეს, ანუ ძნელთა სნებათაგან, რომელ ავდომილ იყოს ჰავად მყოფი.

ნიშანი მისი ფოლოსისა ნათქვამისაგან. იგი არს, რააცა ფიცხლთა სნებათაგან იყოს რომელ ევად ყვათელი იყოს ანუ შავი. და ნიშანი მისი რააცა ძნელთა სნებათაგან იყოს იგი არს, რომელ დაიარღვოს სნებათა სიძნელისაგან სახე მისი.

კურნებაა მისი ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ საჭამადსა მაშინესა ქამდეს და არას იკირყოფა რომელ მოაჯობინოს. და თუ ვითარებაა მისი მისგნით იყოს რომელ მანკისაგან რაამე დაძინოდეს მას თანა, ეგრე ხამს რომელ წამლითა იგი ხილტი ჩამოიღოს ტანისაგან, და მაშინ აბანოსა მივიდეს, და თუ სიყვითლე პირისაა არ მანკისაგან

იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ რიმაჰანისა შარაბი სჭას, რკინისა წიდისა შარაბი, და საჭამადსა შერწყვარსა ვარიასა და ტკბალსა ღვინოთა იხმარებდეს, და ტკბილი ბროწეული და თეთრი ღვლი, და კვერცხისა ყვითელი ამოხავებული. და თაფლიანსა ქამდეს და მუხუდისა წყენი რომელ აატკნისა ხორცითა შექნილ იყოს. და გამ გამ უბანსა ქამდეს, რომელსა ჰქვიან ანგუჯადი სპარსულად და არაბულად ჰალთითი, და ნიწყით პირსა იხელდეს ეგეთითა წამლითა რომელ პირსა აელვარებდეს და ფერსა მისცემდეს. და ესე წამლი პირისა სიყვითლესა გარდაღებს და სიწითლესა მისცემს ვითარებაა მისი: თირმისი და ბა-



კლბა, და ნესვისა თესლი და ნუში, თვითთასგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყოფი ახლისა ირისა წყლითა ანუ ქუნჯიდისა თურქლისა წყლითა დაისოვლოს, და პირსა მით იბანდეს, და თუ სამი ნაწილი თირნისი, და ორი ნაწილი ბაკილაჲსა ფქვილი. და ქრთლისა და მღუღინისა ფქვილი თვითთა ნაწილი, ქათირაჲ ნახევარი ნაწილი, ნესვისა თესლი სამი ნაწილი, ყოველი დანაყოფი დიაცისა სძითა შეზილოს და პირსა შესცხოს, და დილსა ხმელისა ნესვისა ქერქისა წყლითა პირი კარგად იბანოს და იზელოს. და ესე ყურსი პირისა ბანისათვის დიაკარვი არს ვითარებამა ნისი: ბაკილაჲ და ქათირაჲ ორივე კვერცხისა თეთრითა შეზილოს და კვერად შექნას და გაახმოს, და პირსა მით იბანდეს, და თუ პირსა სიყვითლე უძილობისგან იყოს ქრთლისა წყალი სტას ნუშისა ზეთითა, და ხაერტი და ხაშხაშისა ყურსი მისთვის

10 დია კარგი არს, და ერგემის.

პირისა სიბნელე რაჲ მზისგან იყოს. ქუნჯის იტყვის: ვითარებამა ნისი ბუნებისა შეშლისაგან იქნების, რემელ თავისა ბუნებისაგან ბუნებამა შეცვლილებით იყოს, ანუ ფიცხელთა ცხროათა და სნებათაგან იქნების, ანუ ზისა და ქარისაგან იქნების რომელ პირი კაცისა დააბნელოს და შეცვალოს.

ნიშანი მისი. ქუნჯის იტყვის: მრავალი ფერი იქნების, მით რომელ ბუნებისა ბუნებამა მრავალ ფერად იქნების, თუ ზაფრასა მოერიენენ ყვითელი იქნების, და თუ სისხლსა მოერიენენ წითელი იქნების, და თუ ბალღამსა მოერიენენ თეთრი და თუ სეფდასა წავი იქნების.

კურნებამა მისი: იგი არს, რომელ ტანისა ბუნებისა და მისი კურნებამა საჭიროჲ არს, და მისგნით ზოგი ვახსენოთ გრძელთა სნებათა და დიყისა ცხროსა შინა. და მრთელთა კაცთაჲცა დია სპირს ბნელფეროვნობამა პირისაჲ. კურნებამა მისი იგი არს, რომელ აბანოსა დია მივიდოდეს და კარგთა და ნატიფთა საქამადთა ჭამდეს, რომელ ნათელი და წინდა სისხლი ტანსა შიგან მოემატოს, და ჰავთა საქამადთა ერიდოს. მაგრამ ფერად თუ დია ყვითლად იყოს რკინისა წიდისა შარაბისაგან უმჯობესი არა არს მისთვის, რომელსა ჰქვიან რიმაჰინისა შარაბი, რომელ უხმამა იზმარებდეს. და ეგეთთა საქამადთა ჭამდეს რომელ სისხლსა გასწედდეს ვითა გვითქვამს. და თუ ფერად დია წითელი იყოს და იზომოდეს ამით ხარკებით უკურნოს, რომელ ჰავი მანკი იქნების იგი, და სისხლისა მორეგნისაგან იქნების. ეგრე ხამს რომელ ყიფალი გაიხსნას და წვიესა და კისერსა კიქამა მოჰკიდოს. და თუ ბუნებისა შეშლისაგან სპირდეს ეგეთთა საქმეთა, რომელ პირსა ჩაღმა უნდოდეს ქნა, ერიდოს. ვითა ლოცვისა შიგან მოდრეკამა და პირისა მიწისაჲცა ქნა, და პირდაღმა დაწოლაჲ, და ხახილსა ერიდოს. და მაშინ რაჲ ყიფალი გაიხსნას შუბლი და ცხერი გაიხსნას, და წურბელი მოჰკიდოს და რაჲცა სისხლსა უმატებდეს ერიდოს ვითა ღვიწოასა და ბორცსა. და თუ აბანოას დია არ შეეძლოს წასვლა პირი ცხელისა წყლისა ორთქლსა და ბუხარსა მიუბყრას, და მაშინ ცივითა წყლითა იბანდეს. და ცივისა ქარისაგან და სიცხისა და სიცივისაგან პირი შეინახოს. და თუ პირი მზისა და ქარისაგან დაბნელებულ იყოს კურნებამა მისი იგი არს, რომელ ქათირაჲ და ნიშასთაგი და გომიზი, და ბახრაყატუნაჲ და ბეჰესა ლუბი, და კვერცხისა თეთრი ერთგან გაპრიოს და პირსა შესცხოს, მაშინ ერგემის რაჲ ესე ესრეთ ჰკურნოს თუ ღმერთისა უნდეს.

რუჲ. მსურავალი სიმსივნე რომელ სისხლისაგან იშოს ანუ ზაფრისაგან. ვითარებამა სისხლისა სიმსივნისა. ფოლის იტყვის: ესე მანკი ორფერად იქნების, ანუ ნაკრავისაგან იქნების რომელ მანკისა ადგილსა ეცეს, ანუ სისხლისა სიმრავლე და დანაყოფობისაგან არს, რომელ ბუნებისა ძალი გააყენებს მას და სიმსივნედ იქნების მაშინ.

ნიშანი სიმსივნისა რაჲ სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ძნელად სტკივოდეს და რაჲ ხელი შეშოსდენ დია ხურვიდეს, და ამის სიმსივნე [სა] აქიმთა მეცნიერთაგან ფალღამონი ჰქვიან.



კურნება მისი. ფოლის იტყვის: რომელ მანკისა დასაწყისსა კურნება მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას არ მენითე რომელ სიმსივნე იყოს, და მაშინ ვასახსნელი რამე ერთგან გაპრიოს და შემოსდეს. ანუ გრილი შემოსადებელი შემოსდეს ვითა შემზპარი და ბროწეულისა ქერქი და თუთუბა და ქერის ფქვილი ყოველი ძმარეულსა წყალსა გაპრიოს და შემოსდეს, რომელ ადრე ელინოს.

ისაკ იტყვის: ესე მანკი თუ დანაყოლობისაგან ანუ ნაკრავისაგან ქნილ იყოს ხელის გახსნა არ ჯნდა. კურნება მისი იგი არს, რომელ შემროდანი შესცხოს და მიწყით ნელთა წყლითა ჰბანდეს. და ქერისა ფქვილი და ულბა და ბალბა შემოსდეს. და მაშინ ასფარამთა წყლითა ჰბანდეს. და თუ მანკიანი სისხლი შიგან შეყრილ იყოს ნანკისა ადგილი დაშაშრონ, რომელ იგი მანკიანი და მენი სისხლი გამოვიდეს. და მაშინ მალპამა შემოსდეს.

იოჰანა იტყვის: ამის მანკისა კურნება იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და ძალისა მისადერად სისხლი გამოიღოს, და გრილსა შემოსადებელსა შემოსდებდეს ვითა სოხური მიწა და სპეტი, და შაფი მამითა და არდისა წყალი, და აფიონი და მემზპარისა წყალი, და ჩაღბაბა და ამათი მსგავსი, და თუ ამასე მანკსა თანა აცხოვრდეს კურნება მისი იგი არს, რომელ საჭამადსა ცოტასა ჰამდეს და სიქანგუბინსა და ქრთილისა წყალსა სმიდეს. და რა თხი დღე გარდვიდეს ცოტა ცერცოხსა წყალი და ქაქნაჲსა წყალი ჯულაბითა იხმაროს. და თუ აქლილალმლიქი და ბალბა და ცერცოხ და ფარისიოშანი სელისა ლუბითა შეზილოს და შემოსდეს დია კარგი არს, და გამრთელდების და ელხინების.

20) ვითაჲბა საზაჲროჲსა სიმსივნისა. დეჯვა[ნის იტყვის]: ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა მის ასოსა შიგან მიეყენოს, და რაა მოერიოს სიმსივნედ შეიქნების, და მის არაზულად ნაჲლაჲ ჰქვიან.

ნიშანი საზაჲროჲსა სიმსივნისაჲ. იგი არს, რომელ მანკისა ადგილი დია ხურვიდეს და ისრისაგბრ ფეთქდეს და ფერად მოყვითლე იყოს, და ადრე დაიბანტოს ასოთა შიგან, და სიმსივნე მისი დიდი არ იყოს.

კურნება მისი. იგი არს, რომელ მსუცელი დაიღბოს ეგეთითა რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს, და თუ ხელი არ გაიხსნას არა ჰკავა, და გრილთა შემოსდებდეს ვითა<sup>1)</sup> ძალისი ყურძნისა წყალი და ლისანალჰამლისა წყალი<sup>2)</sup>, და მემზპარისა წყალი, და კატკატოჲ დანაყილი და ბაზრაჲატუნაჲ, და ბანგი და ახალი აყიროჲ, და ქერისა ფქვილი ქინძისა წყალსა გაპრიოს, რომელ არა წანალი ამას მანკსა არა ერგების, და თუ ცივი წყალი ზედა ისხას ერგების.

ჯალინოს იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მსუცელი დაიღბოს რაჲცა ზაფრასა ჩამოიღებდეს, ვითა ბიარ შაპრისა ფოლოსი და თამრი ჰინდისა წყალი, და ხილთა წყალი და მსგავსი ამათი. და მაშინ გრილი შემოსადებელი შემოსდეს ვითა შაფი მამითა და აყაყიაჲ, და სომხური მიწა<sup>3)</sup> და ჰუტუტი. და არდისა წყალი, და მემზპარისა წყალი, და ასარაჲსა, წყალი რომლისა თარგმანი არს არაზულად ნეცხოვრისა კვერთხი, და ვარდისა წყალი და მსგავსი ამათი. და საჭამადსა ისრიმისა ურწყოსა ჰამდეს. ანუ ოსპი ქერქ შებდილი რომელ ძმრითა შექნილ იყოს, ანუ ვარიაჲ ძმრითა შექნილი.

როფის იტყვის: თუ სიმსივნე ფიცხელისა ზაფრისაგან იყოს და მანკი ხორცს-  
40 შესქანდეს ესე მალპამა იხმაროს ვითარება მისი: გუნდაჲ მწვანე და მურდასანგი, და ზარდაჩობაჲ თუითოჲსა ოდენი, ბროწეულისა ყწავილა და მორდი და ლისანალჰამალი თვითოჲსაგან ნახევარი მათ ოდენი, ყოველი ერთგან გაგალოს და იხმარებდეს. და მიწყით კატკა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული მხედრული ხელით.  
2) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.  
3) ამ სიტყვის შემდეგ სწერია „და აყაყიაჲ—ეს შეცდომაა.“



ტოპა წყალსა ისრინისა შარაბსა თინა იხმარებდეს და აღარდნისა ურწყობსა ჰაზღეს ერგებისს. და ოსპი შემგებარი ვარდის წყალსა გაპროს და შეოსდესა ერგებებსა და სიმრეულთა თა ყოველთა ერიდებოდეს თუ სიმრთელე უნდეს.

**ჩაშ. მკილი სიმსივნე რომელ ბალღამისგან იყოს ანუ სავდისაგან.** ვითარება მისი რომელ ბალღამისგან იყოს. ჯალდინოს იტყვიეს: ვითარება მისი დიაღისა ბალღამისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა მუნ მიყვანოს და რაჲ მოერიოს სამსივნედ შეიქნების, დამას არაბულად ვარამელ რახოჲ ჰქვიან.

ნიშანი სიმსივნისაჲ რომელ ბალღამისგან იყოს. იგი არს, რომელ ფერად თეთრი იყოს და არ დია სტკიოდეს, და სიმსივნე არ მაგარი იყოს, და რაჲ თითი შე-  
10 მოსდენ აღვილი ღრჲჲ დარჩებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ ბალღამისაგან იყოს. იგი არს, რომელ ძმარი და ვარდისა ზეთი და მარლი ერთგან გაპროს და ზედა შესცოს. და გამხნელთა მალჰამათა ზედა დასდებდეს. მაგრა ბალღამური სიმსივნე ორჟერად იქნების ერთი უტკივარი არს და ყოლა კურნებაჲ მისი არ ეგების, და მეორე ცოტად შტკივანი იქნების და ისეცა ძლიე იქნების და გვიანად გაპრთელდების. და კურნებაჲ მისი გამხნელითა ლბილითა წაწლითა უხა, ვითა აქლემისა ტვირი და დათვისა ცმელი, და ლომისა ცმელი, და ზროხისა ცმელი და ბატისა ცმელი, და შინაურისა ქათმისა ცმელი. და წამალთა თინა რაჲცა უნატიოფესი და უკოფესი არის იხმაროს ვითა ვაშაჲ, და მუყლი აზრაყი, და მიჲა ხედლი და ახალი, და ძმელი ზეთის ხილისა ზეთი და მსგზავსი მისი. და თუ ცოტა წისქვილისა ქვისა ნანები ცეხლითა გაახურ-  
20 ვონ და ძნარი ზედა დაასხან და მანკისა ადვილი მისსა ორთქლსა პიუპურან კარგი არს. მეჲად მაშინ რომელ სიმსივნე საქკუელთა და თეთრთა ძარღეთა შიგან იყოს, და მაშინ ცერეკოჲსა ზეთითა იზღლდეს.

მასარჯოჲა იტყვიეს: მანკისა დასაწყისა მუცელი დაიღბოს იარაჲსა ჰაბითა ანუ თურბითითა და შაჰში პანტელითა. და ძმარსა წყალი გაპროს და მატკლი ანუ ღრუბელი მითი დაასოვლოს და მანკისა ადვილსა შეოსდეს. და ბალღამისა სავაშადსა ერიდოს ვითა ახალსა თევსსა და მაწონსა და სტესა და რაჲცა ამათ ჰვეინდეს და თუ საბრი და მარლი თვიოჲსა ოდენი წმიდად დანაყოს და გაცრანს და ღორდისა წყლითა და ცოტათა ძნრითა შეზილოს და შეოსდესა ერგების. და თუ შეეძლოს სიმსივნისა შემოკრვაჲ მხვრითა მაგ-  
30 რად შემოკრან ერგების, და ელხინების და უჩინარ ექნების.

ვითარებაჲ სიმსივნისაჲ რაჲ სევდისაგან იყოს. როჟის იტყვიეს: სასველოჲსა გასარეგლისაგან იქნების რომელ მორუელ იყოს და ბუნებისა ძალსა ასოთა გარე გაყენოს, და მას არაბულად ვარამას ულბი ჰქვიან.

ნიშანი სიმსივნისაჲ რაჲ სევდისაგან იყოს. იგი არს, რომელ არ დია სტკიოდეს და ფერად შავი იყოს, ანუ თეთრი იყოს, და რაჲ ხელი შემოსდენ მაგარი იყოს და არ ხორეიდეს, და რაჲ სიმხურვაღეთა შემოსდებდენ ელხინებოდეს და ეჰამებოდეს.

კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აფთიმონისა მატბუხითა და მაშინ ზროხისა წვივისა ტვინი და თეთრი ცვილი მალჰამად შექნას და შემოსდეს, ანუ აყარო ღელვი წელითა შეაბგოს და ულბოჲსა ფქვილი და სელი და ბალღაჲ თეთრი დახა-  
40 ყილი გაპროს, და ყოველი სოსნისა ზეთითა ავანსა შიგან წმიდად გაგალოს და მალჰამად შექნას, და მიწყით შესცხებდეს ნანკისა ადვილსა. და სევდიანთა სავამადთა ერიდებოდეს ვითა ზროხის ხორცსა და თხისასა და ოსპსა და აპლტსა და კალნბასა და რაჲცა ამათ ჰვეინდეს და მოწონებულსა და მაშენესა სავამადსა ჰაზღეს ვითა ვარიჲსა და დურაჯისა ხორცსა კალით შექნილსა.

არაიჯანის იტყვიეს: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აფთიმონისა მატბუხითა და მაშინ დახილიონისა მალჰამად შემოსდეს და თუ ცვილი ზეთითა და ძმელითა ერბოჲთა გააღნოს და შესცხოს კარგი არს. და თუ აფთიმონისა მატბუხისა ჰაზა არ შეე-



ძლოს დელამოტიისა წყლითა მუცელი დაიღბოს, და საქამიდასა მაშასა უტყუოსა ქამდეს, ანუ ვარია ქალითა და კარგითა სანელებლითა შექნილსა, და სევდიანთა სკანალოთა ერთდებო დეს. და თუ ვაშა თაფლითა და თფოლითა წყლითა შეჩილოს და მრავალჯერ შემოსდესა კარგი არს. და მუყლი ახრავი დანაყილი სძესა და აღხარისა ახლისა ზეთსა თანა გაპრიოს და შემოსდეს ელხინების<sup>1)</sup>, და თუ სიმსიენე მავარი იყოს ჟამიამ ძქელისა ზეთისხილისა ზეთითა ზელდეს მეტად მაშინ რაჲ ამანოათ გამოსრული იყოს, დაა ერგების.

**აჲთ. სარბანი რომელსა ჰქვინან კირჩხიბი და სპასუღად სარჩანში.** ორფერი არს

ერთი მავარი, მეორე წყლული. მისი ვითარება რაჲ მავარი იყოს. აბ უჯარი იტყვის: ესე მანკი სქელისა გლუსუნისა ბალღისაგან იქნების რომელ ასოსა ზედა მორკულ იყოს, ანუ

1) დამწვარისა სევდისაგან იქნების რომელი მოერიოს და ესე მანკი გამოაჩინოს სადაცა. ნიშანი მისი. რაჲ მავარი იყოს და ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად თეთრი იყოს და უფროასი ყელსა და ღუდედიანსა ადგილსა გამოჩნდების, და რაჲცა დამწვარისა სევდისაგან იქნების იგი არს, რომელ შავად მოაჩვენდეს.

კურნებაჲ მავარისა კირჩხიბისაჲ იგი არს, რომელ ტანი გაწმიდოს სასევდოაჲ გასარეველისაგან, და ნატიფთა ღუბთა იხმარებდეს. და რაჲცა სევდაჲსა მოუმატებდეს მისგნით ერიდოს, და იხარკოს რომელ სიმსიენე დააწყულლოს, რომელ ვიდრე არ დაწყულდების არ იჯობინებს და არცა გამრთელდების. და ესე მანკი უფროასი დედითა ძუძუთა შიგან იქნების და საშობელთა შიგან, და მამათა წელსა შიგან და ბუშუტისა ხურელსა შიგან, და რაჲ ტანი გაწმიდოს ესე საცხებელი მოიხმაროს, ვითარებაჲ მისი:

2) თეთრი ფქვილი იფქილისაჲ და სპეტი თვითოასაგან დრამისა წონი ერთი, მიწია დაბეჭდული, ანუ სომხური მიწია, და გარცხილი საბრი თვითოასგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ვარდისა ზეთსა გაპრიოს და შემოსდეს, და თუ გაწყლულდებულ იყოს ეგრევე ხველი ზედა შემოაყაროს ერგების.

იოჰანა იტყვის: კირჩხიბი უფროასი ღუდედიანსა ასოსა შიგან იქნების, და დასაწყისსა იშეთა ვინმე შეატყვებს, და მას არაბულად სარატანი მით ქვინან, რომელ სიმავრითა კირჩხიბსა ჰგავს და მრავალი ფერხი ათქს, და ძნელად იკურნების. და წამალ აღებითა არ დაიღბობის და უსუსურთა წამლითა არ გააკვირვებს, და ძრიელთა წამალთაგან ასტკოვდების. და ამისსა დასაწყისსა კურნებაჲ იგი არს, რომელ არ მოიმატოს. და რაჲ გაძლიერების არა იკურნების არცა რაჲ მოერევის წამალი. და დისაწყისსა კურნებაჲ მისი იგი

3) არს, რომელ ტანი გაწმიდოს აფთიმონისა მატბუხითა რომელ მრავალჯერ აიღოს. და რაჲ ტანი გაწმენდილ იყოს ეგეთი მალჰამაჲ იხმაროს რომელ ასოთა გააძლიერებდეს, და მავნი სიმეტე უკუაყენოს მისგან, რომელ ელხინოს.

ვითარებაჲ კირჩხიბისა რაჲ წყლული იყოს. არბიასიოს იტყვის: ვითარებაჲ მისი სქელისა მავარისა ბალღისაგან იყოს, რომელ ბუნებაჲსან ღუდედიანთა ასოთა შიგან გააყენოს და რაჲ მოერიოს სიმსიენედ შეიქნას. და იქნების რომელ გადიდდეს თვით.

ნიშანი მისი რაჲ წყლული იყოს: იგი არს, რომელ მავარი ღუდედი ანუ ყელსა ანუ სხვათა ასოთა გამოჩნდეს, და რაჲ შემოაჭირონ დაიბტყელოს და რაჲ აუშეან ერთგანვე მოკრბეს, და რაჲ გამაგრდეს ნესვისა ოდენი შეიქნას.

4) კურნებაჲ წყლულისა კირჩხიბისაჲ იგი არს, რომელ მალიხოლიასათვის გვითქვანს და სიგონჯისა თვისცა. ვითა ხელი გაიხსნას და სევდაჲ ტანისაგან ჩამოიღოს. და საქამიდასა ეგეთთა ქამდეს რომელ სინედელსა მოიმატებდეს. და რაჲ სისხლსა წმიდასა მოიმატებდეს. და რაჲ მანკი გაძლიერდეს ნუ ვინ ენუკვის კურნებასა, მით რომელ არ იწამლებდეს. და თუ დასაწყისსა ბასალიყი გაიხსნას და მრავალჯერ აფთიმონისა მატბუხი აიღ-

1) ამ გვერდის ქვემო აშიაზე სწვრია რვეულთა სათვალავი „მე“ და შემდგომ გვერდის ხეშო აშიაზე „მზ“



ოს რომელ მანკისა დედა დააკლდეს, და მაშინ ქრთილისა წყალი და კატკატოსა თესლისა წყალი და ორთავე კიტრთა წყალი იხმაროს. და საჭამადთა სევდიანთა კრძალვად და თუ სნეული უსუსურად იყოს ვარია და თიკანი და ახალი თევზი წყრილი კალიად შექნილი ქაშოს

დევეჯანი ის იტყვის: კურნებაჲ მისი დასაწყისსა იგი არს, რომელ ათთომონისა მატბუხი აილოს, და მაშინ ძაღლის ყურძნისა წყალი და არდისა წყალი და ქაქნაჲსა წყალი შესცხოს. და ფიცხელსა წამალსა ნუ შემოსდებს მით რომელ გააძნელებს, და თუ მომროლანი ქნას და შესცხოს კარგი არს. და ესე მალჰამაჲ ჩვენ გამოგვიცდია ერგების ვითარებაჲ მისი: სვეტი და თუთიაჲ გარცხილი და მურდასანგი გაზრდილი და სონსური მიწაჲ თვითონსაჲ ოდენი, წაღნაჲ გარცხილი და აფშარაჲ ლისანალჰამალისაჲ თვითონსაგან ორი ნა-

10 წილი მით წინანდელთა ოდენი, ნიშასტაგი და გომიზი არაბული გაგლილი თვითონსგან სამი ნაწილი, ყოველი დანაყილი და გაცრილი წყლითა შეაბგოს და მალჰამაჲ ვითა შექნას და შემოსდეს ერგების. და თუ სომხური მიწაჲ ქინძისა წყალსა გაპრიოს და მიდამოსა მისსა იცხებდეს, დია კარგად ერგების.

**ს. ღორთელი და სალაჲსა რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს.** ვითარება ღორთელისაჲ. აბუჯარიჰ იტყვის: ესე მანკი მალღანისა სქელისა გასარეველისაგან იქნების რომელ ასოთა შიგან მორეულ იყოს, ანუ დამწყარისა სევდისაგან რომელ მორეულ იყოს და გამოჩნდეს.

ნიშანი ღორთელისაჲ. იგი არს რაჲცა მალღანისაგან იყოს, რომელ თეთრი იყოს და უფროსი ყელსა და ღუფედიანსა ადვილსა იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა დამწყარიჲ არისა სევდისაგან იყოს იგი არს, რომელ შავფერი იყოს.

კურნებაჲ ღორთელისაჲ. მანკისაჲ იგი არს, რომელ მანკისა დასაწი[საჲ] [საქამადსა] 1) ცოტაჲსა ქამდეს და თაჲსა წშიერსა დაიჭირავდეს, და ღამით ყოლა ნურას ქამს, და არწყვიოს რომელ სტომაჰი გაწმიდოს, და ძუცელი დაიღბოს ეგეთითა რომელ სევდაჲსა მალღამსა ჩამოიღებდეს და მაშინ მანკისა ადვილი გამსხნელითა რაჲთჲ იკურნოს ვითა დახილიონითა მალჰამითა, და მური ღვინითა შეხილოს და შემოსდეს, და მწარე ნუში და ბაკილაჲსა წყალი და ნური სამი, სელისა ღუბითა შეხილოს და ძუცელი თბის კორკლი სიქანგუბინითა და კალნაზისა წყლითა დაიღბოს და მალჰამად შექნას და შემოსდეს, რომელ დაიღბოს და გაუხსნას. და თუ მანკი გარდვიდეს და დაწყულდეს სათაფნოჲ მანკისაჲ გამოიღოს მისგან, ეგრე რომელ შიგან არა დარჩეს და გაწმდეს, და კულა არ გასივდეს. და რაჲ გაწმდით იყოს მალჰამით ჰკურნოს, და იქნების რომელ ღორთელი ნესვისა ოდენი შეიქნას.

30 ჰუნაან იტ (ყვიც): ვითარებაჲ ამისი უდნობობისაგან იქნების და უზჯობესი კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თხელი ტყეიჲ ჩამოჰკიდოს და ესე მალჰამა შემოსდეს ვითარებაჲ მისი: ბავრუჯი და მარილი, და კაკისა განავალი და ტრედისა სკინტლა, და ქათმისა შინაურისა სკინტლა, თვითონსაგან დრამისა წონი ერთი, საფუფარი სამისა დრამისა წონი, ყოველი ზეთის ბილისა ზეთითა შეხილოს და ურთოს და მალჰამაჲ ვითა შექნას და შემოსდეს. და თუ თარმისისა ფქვილი სიქანგუბინითა შეხილოს და შემოსდეს, ერგების.

ვითარებაჲ სალაჲსა მანკისაჲ. არბიასიოს იტყვის: მაგარისა სქელისა 40 ბალღმისაგან იქნების რომელ ბუნებაჲმან ღუფედიანთა ასოთაჲცე გაგზაყნოს და რაჲ მოერიოს სიმსივნეჲ შეიქნას და იქნებისცა დია დიდი.

ნიშანი სალაჲსა მანკისაჲ. იგი არს, რომელ მაგარისა ღუფედისა ებრ ყელსა ზედა ანუ სხეისა ადვილსა გამოჩნდეს და რაჲ შემოაჭირო დაიბტყელოს, და ოდესცა ესე მანკი გამაგრდეს ნესვისა ოდენი იქნების.

კურნებაჲ სალაჲსა მანკისაჲ: ესე მანკი ვიდრე უსუსურად იყოს ღბილი და გამსხნელი წამალი ეყოფის, და რაჲ გძლიერდეს უზჯობესი წამალი მისთვის ვაშაჲ არს

1) აქ ტექსტი დაზიანებულია.





რომელ ძმრითა შეზილოს და შემოსდევან ერგების. და ჩარდარგისა მალჰამად და შასალი-  
ყონისა მალჰამად ერგების მას. და ესე წამალი რომელ გვითქვამს თუ ვერ მტკბაროს მაშინ  
გააპონ და ბუდისაგან გამოიღონ, და თუ ბუდისაგან არ გამოიღონ კულა დაბოუნდების.

ისაკ იტყვის: თუ მანკისა დედაც ცოტა იყოს იგი წამალი რაეცა გვითქვამს  
ეყოფის. და თუ მანკი დიდი იყოს ღონე იგი არს, რომელ გააღონ და ბუდე მისი დაცალონ,  
და მაშინ ნურას მიუშვებენ, თუ არა კულა გამოჩნდების. და რაე გააპობდენ წინაას კარგა  
ზელონ, და არგნითა შემოაჭირონ რომელ გაიბრტყელოს, და მაშინ გააპოს. და თუ დაბი-  
ლიონისა მალჰამად შემოსდევას კარგი იქნების. და თუ სნეული ღბილად იყოს და დაუსუს-  
ურდეს ბეჭესა რუბი და სომხური მიწა და გომიზი არაბული ჭამოს. და საჭამადსა თუ-  
10 თუბისა ურწყოასა ჭამდეს ანუ აღარდნისა ურწყოასა, რომელ მთეული შეუჭრას. და თუ  
უსუსურად იყოს ვარიამ კოწიხურითა შექნილი ანუ ისრინითა ჭამოს, და ჟღნობსა ერიდოს.

სა. ტაშნი და ღუბალაა რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს, ვითარებაჲ ტაშნისა.  
მუჰამედ ზაქარიასძე [იტყვის]: ტაშნი სიმსივნესა ჰქვიან რომელ ღლიასა ქრეშეთ  
გამოჩნდეს, ანუ ბარკლისა ღლიასა ქრეშეთ, და ვითარებაჲ მისი საზაფროასა გასარეველისა  
ფიცხელისაგან იქნები, ანუ სისხლისა ზაფრად რეულისაგან.

ნიშანი ტაუნისაჲ: იგი არს, რომელ მანკისა ადგილი წითელი იყოს ანუ სიშა-  
ვისა კერძოათ იყოს, და სიმსივნე დია ხურვიდეს და მიდამო მისი ლურჯი ანუ შავი იყოს,  
და არწყევდეს, და გულისა ფეაქა იყოს და ჰვნდებოდეს სნეული.

კურნებაჲ ტაუნისა მანკისაჲ: მოჰამედ [ზაქარიასძე] იტ [ყვის]:  
20 რომელ ყოლა ხელს ნუ გაიხსნის, და ამისა თადბირი ქნას რომელ გული წამლითა გააძლი-  
ეროს, და გაავრილოს ევეთითა წამლითა რომელ გულიათვის გვითქვამს. და მკაეისა ბროწყე-  
ლისა წყალი და თრუნჯისა მკაეე მისთვის კარგი არს. და გრილთა სურნელთა უსუნებდეს ვითა  
იასა და ნილოფარსა. და საჭამადსა ოსპსა ქერქ შეხდილსა ძმრითა შექნილსა ჭამდეს. და  
რაეცა სისხლსა გაასქლებდეს მისთვის კარგი არს. და მკინჯარსა და თოელსა მისსა მიდამო-  
სა დასდებდეს. და ესე მანკი უფროასი თირშაჰისა გარდაავალსა იქნების. ამის მანკისა  
კურნებაჲ რაე დაწყულდებულ იყოს და სისხლი სდიოფეს, იგი არს, რომელ სისხლი თფი-  
ლითა წყლითა დაიბანოს, რომელ არ გაიყინოს და გამოვიდეს; და ღბილად მოწოონ რო-  
მელ მანკიანი სისხლი გამოვიდეს. და ყოლა გრილსა შემოადებულსა ნუ შემოსდებს ტილე-  
სა, თუ არა გულისა ყუთქსა მოუმატებს, და წყლულსა ნიასა ნუ გამოაჩენს, დახურვითამ-  
30 ცა იყოს რომელ თოელისა და მკინჯარისა სიციკე, რომელ მისსა მიდამოსა დადებულ იყოს  
არ ეცეს. და ამის თვის მოიჭიროვს რომელ გული გაუგრილოს და გააძლიეროს გრილითა  
წამლითა, და წყლულია კურნებაჲ ადეილად ეგების მას უკანით რომელ გულისა ფეთქაჲ  
დაწყნარებულ იყოს, რაე სნეული შეძლებულად იყოს. და კარგად გაუფრთხილდეს წყლუ-  
ლისა და მანკისა ფერსა რომელ არ მოსცეთეს კურნებასი, თუ არა მაშინ საშიშოა იქნების  
მით რომელ ესე მანკი დია საკრძალაეი და საშიშოა არს. მცნიერულად ხამა მისი კურნებაჲ.

ღუბალასა ვითარებაჲ რომელს იტყვის: ესე მანკი ბალღისა სქელისა  
გლუსუნისაგან იქნების, რომელ სქელსა სისხლსა და სევდასა თანი გარეულ იყოს, ანუ სა-  
ჭამადთა არ მოდნობისაგან იქნების, რომელ ბუნებასა ასოთა შიგან მიტალოს იგი მანკი.

კურნებაჲ ღუბალასი. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ხელი გაიხსნას და  
40 მაშინ შემგბარი ღელვი ფქვილსა და გავლილსა მარილსა, ცხელსა გაპრიოს და მალჰამად  
შექნას და მანკსა ზედა შემოსდევას. და თუ ჰურისა გული ზეთის ხილისა ზეთითა დააღბოს  
და შეზილოს და შემოსდევას კარგი არს. და თუ ანით რომელ გვიქვამს არ იკურნოს მიწ-  
ყით (ერეკოისა ზეთსა სცხებდეს. და მაშინ რკინითა გააპოს და მანკისა დედა გამოიღოს  
ნისგან, და მაშინ მალჰამათა ჰკურნონ.

თებით კურაჲ იტყვის: ესე მანკი რაე დაძებლდეს ესე წამალი მას ერგების შე-  
ჭამოს ვითარებაჲ მისი: მურისა თესლი და ბალღისა თესლი, და ხორჯარასთი და კაითრაჲ



ყოველი დანაყოფი სანითა უკიდათა ტარპაშეუყისა და სანითა უკითა ვერისა სითა გაპროცა და დილა საღანოს ქიმოს. და თუ დუბალაჲსა თანა ცხროჲ არ იყოს და ადრე განსნაჲ სწადდეს, ორი დანგი საბრი ორისა დანგისა წონასა ზაფრანასა თანა გაპროცა და ღვინით შეწილოს და ქამოს. და რაჲ გახსნილ იყოს მას უკანა სუფუფი მუყლაჲათასი ქამოს. და თუ ნურისა თესლა და ნესვისა თესლი და ქათირაჲ თვითოჲსა ოდენი მას თანა გაპროცა და ქამოს კარგი არს. და თუ დუბალაჲ ქტეშეთ კერპოჲთა ასოთა წიგან იყოს ჰყუნაჲ უყოს ეგეთითა, რომელ მეორესა წიგნსა წინა გვიჲქემს, და საქამადსა დანაყოფსა ბრინჯსა და ნიშასტავსა ერთგან შემგბარსა ქამდეს. და ქრთალი დანაყოფი უქერქოჲ მაზრაყატუნსა გაპროცა და ცოტაჲ გომიზი გაპროცა და ხერტოს ერგების, და მხურვალთა ერიდოს.

10 სბ. დუნბალი არმელსა ჰჰვიან მჯდომი და გავარსა და ბაღოზილა. არმელ გამორდეს, ვითარებაჲ მჯდომისა დუნბალისაჲ. თე ბით ყურაჲ იტყვის: მჯდომი ერთი ფერი არს მხურვალთა სიმსივნეთაგან იქნების, უფროდესი საქამადთაგან რომელ სისხლსა მოუჲატებდეს, და ანუ მისგნით იქნების რომელ ეამიერად ხელა არ გაიხსნას ნდომისა ეამსა.

ნიშანი დუნბალისა მჯდომისაჲ იგი არს, რომელ ასოსა ზედა სიმსივნე გამოჩნდეს და გადიდდეს, და ფერად წითელი იყოს და სტკივოდეს, და რაჲ ხელი მანკისა ადგილსა შემოსდეს ხურვიდეს.

კურნებაჲ დუნბალისა, ამის მანკისა კურნებაჲ მხურვალთა სიმსივნეთა კურნებაჲ არს, ამისსა კურნებასა ნუ მოლაფლდების, რომელ თუ ესე მანკი გაძლიერდების მკლველი და საშიშოა იქნების.

20 თადბირი მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და ჰქაჲა მთჰკიდოს და ჰალილაჲსა მატბუხი და შაპთარაჲსა მატბუხი ქამოს. და ტყეჲლისა ნაყი და თამრი ჰინდი და უნაბი იხმაროს, და მჯდომი დახილიონისა მალჰანითა გააპოს ეგრე რომელ მრავალჯერ შემოსდეს, და რომელ თავი შექნას ანზაროთი თაფლსა გაპროცა და ცეცხლსა ზედა მალჰაჲაჲ ვითა შექნას და შემოსდეს, დია ერგების.

ნუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სელი და მურისა თესლი და ტრედისა სკინტლი და საფუჲარი ყოველი ერთგან შეწილოს და შემოსდეს, და თუ ხმელი ღელვი შეაზგოს და მაშინ დია დანაყოს და ძირაჲ გაპროცა, და ტუნჯითისა ზეთითა დია გაგალოს, და ნალჰამად შექნას და შემოსდეს.

30 ისაჲ იტყვის: მისი კურნებაჲ იგი არს, რომელ საქამადსა ცოტასა ქამდეს და ხორცსა და ღვინოსა და თაფლიანთა ერიდოს, და მკავეთა იხმარებდეს და ნედლთა და გრილთა შემოსადებელთა შემოსდებდეს, ვითა მაზრაყატუნისა ლუაბი და ქერისა ფჰვილი და ძაღლის ყურძნისა წყალი და კვერცხისა თეთრი და მსგავსი მისი. და თუ არ იჯობინოს ეგე გჰარი რაჲჲ \*) რომელ მჯდომთა ამწიფებდეს შემოსდეს, ვითა უგულო ჩამიზი მარილთა დანაყოს და შემოსდეს. და თუ სწადდეს რომელ გაიპოს კირი რომელ წყალი არ მიშხედარ იყოს მისდა, ცმელითა დანაყოს და შემოსდეს მასვე წამსა გაიპობების და ელხინების.

ვითარებაჲ გავარსასი არმელისა თარგმანი არს შემტაჲ. დეეჯანის იტყვის: მხურვალისა სისხლისაგან იქნების რომელ ფიცხელი ზაფრაჲ გაეროცა მას და ბუნებისა ძალმან გადევნოს, და ტანსა ზედა გაბერილობაჲ გამოჩნდეს ფეტვისა ებრ წვრილ წვრილი.

40 ნიშანი გავარსისაჲ იგი არს, რომელ მანკისა ადგილი გასიოდეს და ზედა ფეტვისა ებრ თეთრი გამოჩნდეს და მისგნით თხაშლი სდიოდეს, და დია სტკივოდეს და სიმსივნისა ძირსა წითელი ხორცი გამოჩნდეს.

კურნებაჲ გავარსისაჲსი. იგი არს რომელ ხელი გაიხსნას და მტკელი დაიღობოს ხილთა წყლითა და ეგეთითა რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს ვითა ყვითელი ჰალილაჲ

\*) ეს სიტყვა სტრუქომ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.



და საყმონიამ, და მანკისა ადგილი ამით წაშლითა ზელოს ვითარებაჲ მისი; გუნდჲ და გუზ-  
მაზვი და ბროწეულისა ქერქი და სანდალი და სოპხური მიწაჲ თუთოასგან წაწილი ერთი  
დანაყილი ძმრითა და ვარდის წყლითა შეზილოს და შესცხოს და ძაბრი ცოტაჲ ჴრთოს  
რომელ არ ეწუოდეს. და ყურსი ანდრომახისისი და შემკრველ დაძკრველი წამალი ერგე-  
ბის მას.

მასოაჲასტე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღობს ლო-  
ლადიაჲსა იარაჲთა და მაშინ ნატიფთა საქამადთა ჭამდეს. და აბანოს მივიდოდეს. და თუ  
ბარაჲ ზაპრაჲ წმიდად დანაყოს და ძმრითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს, და თუ ცო-  
ტაჲ მური ტეგანასა თანა დანაყოს და ძმრითა შეზილოს და შესცხოს მანკისა ადგილსა  
10) კარგი არს.

მადანი იტყვის: ბადამილაჲ რომლისა თარგმანი არს გარეუფილი იგი არს, რო-  
მელ ტანსა ზედა გამოჩნდეს წინტილი და ვითა შიგან ერთი დიდი ერთოს ყუბავილისა ებრ,  
რომელ ცეცხლისა დამწქრისა ებრ ქნილ იყოს.

კურნებაჲ მისი იგი არს, რომეთ ზელი გაიხსნას თუ მაჯასი სისხლითა საესე იყ-  
ოს. და მიწყით ტყეზლისა წყალსა და მკავისა ბროწეულისა წყალსა და ტაყშილსა ჭამდეს,  
ტავშილი მას მკვიან რომელ ძმარსა და წყალსა ფქვილი მოჰკიდონ, და უხდურსა მახობისა  
თხელისაებრ შექნას. და რაჲცა სისხლსა დააწყნარებდეს მას ერგებინს. და იგი ყუბავილი გა-  
მოწყოს და თხამლი წმიდად გამოიღოს და სპეტი შემოიყაროს, ანუ გაზრდილი მურდაჲან-  
გი ვარდისა წყლითა და მორდის წყლითა შესცხოს, და მხურვალთა საქამადთა გრიდოს და  
20) გრილთა მიელტვოდეს.

**სმ. ცხროჲ ურველთა დღეთა რომელ წარკოვისგან იყოს ანუ შიშისგან.**

ვითარებაჲ მისი რაჲ წყრომისგან იყოს. მას არჯოჲ იტყვის: ესე მანკი სულისა მეტად  
ძრვისაგან იქნების შიგნით დაღნა განოღჲ, ბუნებისა სიძლიერისაგან და მისისა მორვე-  
ნისაგან, გაწყრომისა და გაფიცებისა ეჲმსა.

ნიშანი ცხროჲსა რაჲ გაწყრომისაგან იყოს. იგი არს, რომელ თვალმან  
ფერი იქციოს და გამოვიდეს, და პირი საკვირვლად გაუწითლდეს და იქნების რომელ პირი  
გაუწითლდეს <sup>1)</sup> და ფსელი საკვირვლად გაუწითლდეს.

კურნებაჲ ცხროჲსა რაჲ გაწყრომისაგან იყოს. იგი არს, რომელ ნელ-  
სა წყალსა შიგან ჩაჯდეს და გაგრილებულსა ჯულაბსა სნიდეს, და თეთრი სანდალი და ქა-  
30) ფური და ვარდის წყალი ერთგან გაძრიოს და თავსა შემოსდეს. და მკავისა და ტკბილისა  
ბროწეულისა წყალსა სმიდეს და გრილთა და ნედლოთა საქამადთა ჭამდეს. და ნღმისა ზეთ-  
სა შაქრითა ჭამდეს. და ღვინოჲსა ნუ სტჲმს და სიხარულსა შეექცეოდეს რომელ გავრ-  
თელდეს.

მუჰამედ ხაქარიჲსტე იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ რაჲ ნელისა  
წყლისაგან განოსრულ იყოს ნახევარ ცივისა წყალსა შიგან ჩაჯდეს და მასეჲ წამსა გამოვი-  
დეს. და სხვაჲ კურნებაჲ რომელ გვიოქვამს იხმაროს და მიწყით ქეფურსა და ვარდის წყალ-  
სა უსუნებდეს, და მაშინ დაიძინებდეს.

ისიჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ რაჲ წყრომისგან დაწყნარდეს  
აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და თუ ზამთარი იყოს და ჰაერი გრილი  
40) იყოს. და თუ ზაფხული იყოს და ჰაერი მხურვლად იყოს ცივისა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და  
ტანი კარვად იბანოს ცივითა წყლითა. და მიწყით ჰამოთა სურნელთა უსუნებდეს მეტად  
გრილთა და ნედლოთა, და ნილოფარსა და იასა უსუნებდეს, და ვარდის წყალსა და გაცივე-  
ბულსა ჯულაბსა სნიდეს ერგების. და გრილთა და ნედლოთა საქამადთა ჭამდეს და ბროწეულისა  
და ალარდნისა ჴრწყომასა, და ახალსა თევზსა ჭამდეს, და აყიროთა შექნილი ისრიმისა

1) აქ ეს სიტყვა შეცდომით არის უნდა იყოს „გაუფითლდეს“

ურწოყვ ნუშისა ზეთითა. და რასა კამდეს მოხალულისა ნუშისა ზეთითა კამდეს, და დიადაიძინებუეს და ხმელთა და მხურვალთა საქამადთა ერიდოს, და კამოთა და ნატიფთა მიელტკოდეს, ერგების.

ვითარებაჲ ცხროასა რომელ შიშისგან იყოს. ისაჲ იტყვის: მისგან იქნების რომელ ტანსა შიგან სული გარდხევეწოს დია შიშისგან, რომელ გულსა შიშისკემოდეს, და ესე სხვაგებრი ცხროა არს, არ წყრომისა ცხროასაგებრ.

ნიშანი ცხროასა რაჲ შიშისგან ქნილ იყოს. იგი არს რომელ ფერი პირისაჲ დია წითელი იყოს ანუ დია ყვითელი, და თვალი მისი ღრუდ იყოს, და მაჯასი დია უსუსურად იყოს და მიწყით ფეთქდეს.

10 კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ ევეთთა რასამე შეექცეოდეს რომელ გულსა გაანხიარულებდეს ვითა ჰანოთა მუტრიბთა ხმაჲ, და ჰანოთა მოამბვეთაგან ჰანბავისა მოსმენაჲ, და კარგთა ნეზღაპრეთაგან ზღაპრისა მოსმენაჲ, და ლეინისა სწმაჲ და რაათაცა შეაქცევდეს კაცსა და გულსა გაუჰამებდეს და მოუნდებოდეს და ელხინებოდეს, და მერმე ნელსა წყალსა ჩაჯდეს და მიწყით ტანსა იისა ზეთითა, და ნალოფრისი ზეთითა, და აყროასა ზეთითა იხელდეს. და საქამადსა ვარიასა კანდეს კალიად შექნილსა, მხურვალითა სანელგებლითა შექნილსა, ანუ თიენის ზორცსა ასფანახითა შექნილსა. და მოიჭირვოს დაიძინებისათვის რომელ დია დაიძინოს. და ესე კურნებაჲ მით არს რომელ იგი სული რომელ ტანსა შიგან დამალულ იყოს ნებნებასა გამოვიდოდეს მალულისაგან, და ბუნებისა ძალი განაძლიეროს.

20 დევჯანის იტყვის: აბანოსა დია მივიდოდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს, და ყოლა ცხელსა სახლსა შიგან ნუ შევალს აბანოსა რომელ ევენების, და ტანსა გრილითა და ნელლითა ზეთითა იხელდეს ვითა აყროასა ზეთი, და იისა ზეთი. და მიწყით უზმამან ქაფურულსა მოფარიძსა იხმარებდეს. და გრილთა და ნელთა სურნელთა უსუნებდეს ვითა იისა და ნილოფარსა, და ალყასა და ქაფურსა და ვარდისა წყალსა. და გრილთა ლუბთა მკერდსა ზედა შემოსდებდეს ვითა ბაზრავატუნისა ლუბსა, და ბეჭეს გულისა ლუბსა, და ნეშბაჭრისა და ძაღლის ყერძისა წყალსა, და ქინძისა წყალსა და მსგაესსა მათსა. და სევდიანსა და ზაფურიაწა საქამადსა ერიდოს.

30 სდ. ყოველ დღეთა ცხროა რომელ საბაჰადისგან იყოს ანუ სიფშილისაგან. ვითარებაჲ მისი რაჲ კამისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიაჲსძე იტყვის: რომელ ესე მანკი რაჲ დია კამისგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი უსუსურად იყოს და საქამადსა ვერ მოიძინებდეს და საქამადთა კმულთაცა დამავებდეს სტომაქისა უსუსურობითა.

ნიშანი მისი რაჲ საქამადისა კამისაგან იყოს. იგი არს, რომელ მხურვალსა აბოყინებდეს და იქნებისცა რომელ დია სწყუროდეს, და იქნების რომელ ლბილად იყოს, და იქნების რომელ ყოველი ანოჲ მიიმედ ედგან.

40 კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ დია იძინოს და თუ პირი წითლად ედგას და მაჯასი სისხლითა სავსე იყოს ხელი გაიხსნას, და ორთა, ოდენ სამთა დღეთა ხალი შაქრითა კამოს და კურნებაჲ მის ცხროასა იხარკოს. და თუ არ გავრძელდების და რაჲ ცხროა მოტბაყად შეიქნას, ადრე ტანი გაწმიდოს, ამით რომელ მრავალჯერ ხილთა წყალი იხმაროს და ქრთილისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს და რაჲ ცხროა მოუსუბუქდეს აბანოს მივიდეს და დია ნუ დაჯდების, და ნელითა წყლითი ტანსა იბანდეს, და ანაკეთითა ტანსა იხელდეს. და თუ აბანოჲ ცივი იყოს ადრე გამოვიდოდეს, რომელ თუ დ. იყოფნოს მაშინ საშიშოჲ არს, რომელ ცხროა მანკიანად შეიქნას, და რაჲ აბანოჲთ გამოვიდეს მაშინ დაიძინოს.

არბიასიოს იტყვის: თუ ესე მანკი ელდაჲსგან ქნილ იყოს არწყიოს ნელითა წყლითა და სიქანგუბინითა, და მაშინ მუცელი დაიღბოს თამირი ჰინდითა ანუ ტყემლისა წყლითა და ჯულაბითა, და ტკბილისა და მკაეისა ბროწეულისა წყლითა, და თუ ბუნებაჲ



ლბილად იყოს აღარდნისა წყალი და ბროწეულისა წყალი პეპესა რუბითა ქამოს, რომელ შეიკრას. და თუ პეპესა წყალი აღუღოს და ცოტაა ტაბაშირი ჩაუროს და იხმაროს კარგი არს, და თუ ფსელი წითლად იყოს და ცბროა ძლიერად იყოს, და სნეული უსუსურად არ იყოს ხელი გაიხსნას, და თუ დია მოსწყურდებოდეს ბროწეულისა რუბი ცივსა წყალსა გაჭრიოს და იხმაროს. და რაა ცბროა დაელიოს ცივნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს აბანოას, და საჭამადსა ბროწეულისა ურწყოასა ქანდეს, და თუ უსუსურად იყოს, ვარცისა ქანდეს ელხინების.

10 ცბროსა ვითარებაა რაა სიფხვილისგან იყოს. ანუ ჯარიმ იტყვის: რაა სიმშინლისაგან იყოს იგი არს რომელ ბუხარი ტანისაა ყოველი გაფიცდეს მით რომელ საჭამადი არ მისხდარ იყოს.

ნიშანი მისი რაა სიმშინლისგან იყოს. იგი არს, რომელ ასოა ყოველი დაუსუსურდეს და რაა ხელი შემოსდგან შაჯასსა, მავარსა და ვასხირპულსა ჰგვანდეს.

კურნებაა მისი. იგი არს, რომელ ქასოსა ჰამდეს ნუშის ზეთითა, და ნაშინ უძლიერესთა საჭამადთა ჰამდეს უკანის ვითა მუხუდისა ურწყოა, ანუ ვარიდა კალიით შექნილი. და მაშინ აბანოას მივიდეს და ნელი წყალი თავსა ისხას, და ნელსავე წყალსა შიგან ჩაჯდეს, და რაა გამოვიდეს ტანსა ვარდისა ზეთითა და აყიროასა თესლისა ზეთითა იზელდეს, ვრგების.

მუშანედ ზაქარიასძე იტყვის: ცბროა რომელ სიმშინლისაგან იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას, რომელ დაელიოს და მაშინ ხალი ზაქრითა ჰანოს.

20 და ქრთლისა წყალსა და გრილთა და ნელთა საჭამადთა იხმარებდეს. და თუ ცბროა ვაცივებულ იყოს ცივსა წყალსა ცოცოტასა სნიდეს, და ყოლა ჰირსა ნურას ნახავს რომელ აღრე ელხინოს. და მიძეთა და უდნობთა საჭამადთა ვრიდოს და სუბუქთა და ნატიფთა მიელტვოდეს. და თუ ცბროსა ვითარებაა წყურვილისაგან იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ცივსა წყალსა სმიდეს, და ხილთა წყალსა იხმარებდეს ვითა ყვითლისა ტყემლისა წყალსა და აღარდნისა წყალსა, და უხაბისა და ჰინდოურსა ხურმასა და რააცა ამათ ჰგვანდეს, და ყოვლისაგან მას მეთვისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი უჯობს. და მაშინ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და თუ ზაფხული იყოს და თუ ზამთარი უმჯობეს იგი არს, რომელ ცივსა წყალსა იხანებდეს და მიწყით ტანსა გრილითა და ნელდითა ზეთითა იზელდეს ვითა იისა ზეთითა.

30 ს. ცბროა ყოველთა ღვთაა რომელ მოვიდოდეს თუ შავიკავიისაგან იყოს და თუ პირთაგან. ვითარებაა მისი რაა შეჭირვებისაგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე ცბროა მისგან იქნების რომელ ბუნებაური სიმხურვალე ტანსა შიგნით დიმილოს, და მეტისა შეჭირვებისაგან დამავრდეს შიგან.

ნიშანი მისი რაა შეჭირვებისაგან იყოს. იგი არს, რომელ თვალნი ღრუდ იყვნენ და ებნელებოდესცა, და შაჯასი წერილად და უსუსურად იყოს, და ფსელი ცბროანისა წითლად იყოს.

40 კურნებაა მისი. იგი არს, რომელ თავი შეიქციოს სიხარულსა და ნიშატსა და ეგეთთა საჭმელთა რომელ გულსა გაანხიარულდებდეს და ძბალთა, სნითა და ჰანოთა მომღერალითა. და ეგეთთა საჭმელთა მიელტვოდეს რომელ გულსა და ბუნებასა ნოუნდებოდეს. და რაა ცბროა ვარდვიდეს აბანოსა მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და სწორთა საჭამადთა ჰამდეს ვითა თიკნისა ხორცსა ზირაბაჯად შექნილსა და ახალსა თევზსა კალიით, ნუშის ზეთითა შექნილსა. და თუ ზაფხული იყოს ცივსა ადგილსა დაჯდებოდეს და იმყოფებოდეს. და თუ ზამთარი იყოს ცხელთა ადგილთა იმყოფებოდეს. და დია იძინებდეს.

ისა იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და ასოთა იისა ზეთითა იზელდეს. და გრილთა სურნელთა უსუნებდეს ვითა იისა და ნილოფარსა და შამბალიდსა, და რააცა ამათ ჰგვანდეს. და ჭაყურისა მოფარიჰსა



იხმარებდეს. და გრილთა ლუბთა მკერდთა იცხებდეს ვითა ბაზრაცატუნისა ლუბსა და ბე-  
 ჰესა გულისასა, და თუ მეშპარისა წყალსა და ძაღლის ყურძნისა წყალსა მკერდსა იცხებ-  
 დეს კარგი არს <sup>1)</sup>. და ლენოხასა სურნელსა სმიდეს მაგრაჲ ნუ დაიდსა. და სედეიანსა საკ-  
 მადსა ერიდოს და ნატიფთა მიელტვოდეს. და თუ სტომაქი უსუსურად იყოს ბეჰესა შარა-  
 ბი და ვაშლისა შარაბი იხმაროს. და ცბროჲ რომელ შექირევებისაგან იყოს კურნებაჲ მისი  
 ესევე არს, მაგრა რასაცა ჰკურნებდეს მანკისა და სნებისა მისადერად ჰკურნებდეს.

10 ვითარებაჲ ცბროხსა რაჲ ჰირისაგან იყოს. არხიჯანის იტყვის: ცბროჲ  
 რომელ დია ჰირისა ნახვისა და საქმისა ძნელისა ქნისაგან იყოს მისგან არს, რომელ სხეუ-  
 ლი დია ჰირისა ნახვისაგან გამხურვალეზულ იყოს, და დია სიარულისაგან და მაშინ გააც-  
 ხროოს კაცი.

ნიშანი მისი რაჲ ჰირისა ნახვისაგან იყოს. იგი არს, რომელ ყოველი  
 საქციელი მხურვალედ იყოს და სიმშრალისა და მძინარეობისა ნიშანი ასოთა შიგან ჩნდეს  
 და მაჯასი წვრილი და უსუსურად იყოს, და ფსელი სნეულისა ყვითელი იყოს.

კურნებაჲ ცბროხსა რაჲ ჰირისა ნახვისაგან იყოს. იგი არს რომელ  
 გამოსიყენებდეს და დაიძინებდეს, და ქრთილისა წყალსა და სიქანგუბინსა სმიდეს, და მიწ-  
 კით მევენესა და ტკბილსა ბროწულსა ქანდეს. და რაჲ ცბროჲ გამხურვალედეს აბანოს მივი-  
 დეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და საქციელთა იისა ზეთითა იხელდეს. და თუ ზამ-  
 თარი იყოს ასოთა ხირისა ანუ ბაბუნახსა ზეთითა იხელდეს. და რაჲ აბანოჲთ ვამოსულ  
 იყოს აღარდნისა ურწყოხსა ჰამდეს ნუშისა ზეთითა. და მაშინ არდისა წყალსა და კატკა-  
 20 ტოხსა წყალსა იხმარებდეს. და მანკისა ბოლოსა ვარიასა ჰამდეს აღარდნითა შექნილსა,  
 და ხნელთა საჭამადთა ერიდებოდეს, და ლენოხსა წყალ რეულსა სმიდეს და დაიძინებდეს.

მუჰამედ ზანჯარიასძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნელსა  
 წყალსა დია იხმარებდეს, და იისა ზეთსა ანუ ნილოფარისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და ასოთა  
 იისა ზეთითა იხელდეს. და რაჲ აბანოჲთ გამოვიდეს გრილსა და ნედლსა საჭამადსა ჰამდეს  
 ვითა ასპანახსა და ძვიმელსა რომელ ნუშისა ზეთითა და ქათმისა ხორციითა და თიქნის  
 ხორციითა შექნილ იყოს. და გაცივებულსა ჯულაბსა სმიდეს, და დია დაიძინებდეს. და თუ  
 არ მოიჯობინოს კტლაცა აბანოს მივიდეს და იგივე ჰკურნოს რომელ გვითქვამს. და თუ  
 ნილოფარისა ზეთითა მიწყით საქციელთა იხელდეს საკვირვლად ერგების. და თუ მრავალ-  
 ჯერ ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს ერცახე კარგი არს მეტად ზამთრის რაჲ ცივი იყოს.

30 ს3. ყოველთა დღეთა ცბროჲ რომელ დია სიციხისგან იყოს ანუ დია სიცივისაგან.  
 ვითარებაჲ მისი რაჲ სიციხისაგან იყოს. იოჰანაჲ იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ  
 ჰაერისა სიციხისაგან იქნების რომელ ბუნებაჲ ტანისაჲ გაემხურვალოს, ანუ მიაგან იქნების  
 რომელ ცხელსა აბანოსა ანუ მხესა დია ჯდომილ იყოს <sup>2)</sup>.

ნიშანი მისი რა სიციხისაგან იყოს. იგი არს, რომელ ტანისა ქერქი შენოკი-  
 რებულ იყოს და რაჲ ხელი ასოთა შეძოსდენ სიციხე არ დია ჰქონდეს, და არ უხურვიდეს  
 და მაჯასი ფიცხლად უფეთქდეს, და ფსელიცა თეთრი იყოს.

კურნებაჲ ცბროხსა რაჲ დია სიციხისგან იყოს. იგი არს, რაცა ჰაერისა  
 სიციხისაგან იყოს ანუ აბანოს დია ჯდომისაგან, რომელ ცოტაჲ ძმარი წყალსა, და ვარდისა  
 წყალსა გაჰროოს და თავსა შემოსდეს ერგების. და რაჲ ცბროჲ დაეღიოს აბანოს მივიდეს  
 40 და თავი მრავალჯერ ამა წამლისა წყლითა დაიბანოს ვითარებაჲ მისი; იცა და ნილოფარი  
 და ბაბუნაჲ თვითოხსაგან ნაწილი ერთი, ყოველი წყლითა აღუღლოს რომელ ძალი გამოვი-  
 დეს, მაშინ აბანოს მივიდეს და თავი ამით წყლითა დაიბანოს, და სიმხურვალეთა ერიდოს.

<sup>1)</sup> ან გვერდის ქვემო აწიხე რეულთა სათვალავი სწერია „მზ“ და შემდეგ გვერდის ზემო აწიხე  
 „მშ“.

<sup>2)</sup> ან ტექსტში ვარსკვლავი უზის და აწიხე დედნის ხელით სწერია: „ნიშანი მისი რაჲ სიციხისაგან  
 იყოს იგი არს, რომელ ასოთა აძინებდენ და ხელისაგან გახურდებოდეს, და თავი სტკიოდეს და ფერი პირი-  
 საჲ წითლად ედგას, და მაჯასი წერილად იყოს და ერცახე ადრე უფთქდეს“.





და ტანი კარგად იბანოს, და ნესვისა თესლი და ცოტა ბევრუკი წმიდად დანაყოს და ტანს შესცხოს, და ხანი ერთი დღით და მათნ ტანი კარგად დაიბანოს, და არა მხოლოდ გემს ნოვიდეს ცოტა საჭამადი ქამოს, რომელ ზაფრად დააწყნაროს. და ღვინვას წყალ რეულსა ცოცოტასა სმიდეს, და ვითა გვითქვამს იქმოდეს. და კურნებაჲ ცხროასა რომელ მუღრავალითა ქამისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს და ცივსა წყალსა სმიდეს და სანდალსა და ვარდის წყალსა და ვარდსა და ქაფურსა ერთგან გარეგედეს და თავსა შემოსდებდეს. და დილასა ქრთილის წყალსა სმიდეს. და თამრიპინდისა წყალი და ტყემლისა წყალი და ყვითლისა მიშმიშისა წყალი და სადაგსა სიქანგუბინსა, ესე ყოველი მას ერგებინს. და თუ ამასთან ზოგი რაჲმე იყოს იგიცა ეყოფის და ერგებინს. და

10) ღვინვისა სმასა და თაფლიანთა და მზურვალთა ერიდოს და გრილთა მიელტვოდეს, და ამის ცხროასა კურნებაჲსა ნუ მოღაფლდებინს რომელ განწილდებინს.

**30) თბაძობაჲ ცხროასა რაჲ სურდოასაგან იყოს:** ამის მანკისა ვითარებაჲ სურდოასა მანკისა შიგან სრულიად გვიხსნებია თუ სიმზურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან, მით რომელ ესე მანკი და ცხროა სურდოასგან შეიქნებინს.

ნიშანი მისი რაჲ სურდოასაგან იყოს. იგი არს, რომელ გამოგვიცხადებია სურდოასა მანკისა შიგან სიმზურვალით და სიგრილით, ეგრევე იქნებინს რომელ სურდოასა შიგან გვითქვამს.

კურნებაჲ მისი რომელ სურდოასაგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ხელი გაიხსნას ანუ ჭიქაჲ მოჰკიდოს, და ხორცსა და თაფლიანთა ერიდოს. და გაზრდილსა იასა და ქრთილისა წყალსა იხმარებდეს. და იხარკოს ამის ცხროასა კურნებაჲსა, თუ არა უფროასი მისგან იგი არს, რომელ სარსამად შეიქნებინს, რომელსა ჰქვიან თავქედი, მაშინ მანკი გამრუდდებინს.

20) მასარჯოჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას და ხორცსა და თაფლიანთა ერიდოს, და საჭამადად მაშასა ურწყოსა ჰამდეს და ასფანანსა და ქრთილსა წყალსა ნუშის გულითა, და ხაშხაშისა შარაბსა და გაცივებულსა ჯულაბსა სმიდეს, და ბაკილასა წყალსა ნუშისა ზეთითა იხმარებდეს, და მასოჲ თხელი ფურსუკი რომელ ანაკვეთსა და შაქრისაგან შექნილი იყოს და ნუშისა ზეთითა იხმარებდეს. და კურნებაჲ ცხროასა რომელ სნებათაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ასოთა ნელითა წყლითა იბანდეს და ნედლთა და გრილთა ზეთითა თავსა იცხებდეს, და საჭამადთა სწორთა ჰამდეს.

30) და კურნებაჲ ცხროასა რაჲ ტკივილისაგან იყოს იგი არს, რომელ მას ტკივილსა უკურნოს. და ცხროასა ეაბაჲსა კურნებაჲ იგი არს, იგი ხილტი რომელ მანკისგან გასრულ იყოს წამლითა გააყენონ ტანისგან, და რაჲ ტანი გაეწმინდოს და მკრველთა შარაბთა იხმარებდეს ვითა ვაშლისა შარაბსა და ბროწეულისა შარაბსა, და ისრიმისა რუბსა და სადაგსა სიქანგუბინსა. და უზომოან ქაფურისა ყურსი ჰამოს, ანუ თრუნჯისა რუბი. და მკერდი სანდლითა და ქაფურითა და ვარდისა წყლითა ზედა დადგით გაუგრილოს. და გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს. და საჭამადსა თუთუბისა და ალარდნისა ურწყოსა ჰამდეს რომელ ადრე ელხინოს და დაეხსნას.

**სმ. ცხროა რომელ უძილობისგან იყოს ანუ სიძინებისა ტკივილისაგან:** ვითარებაჲ მისი რაჲ უძილობისგან იყოს. ბაყრაჲ იტყვის: რაჲცა უძილობისაგან იყოს საჭამადისა არ მოღნობისაგან იქნებინს, და მისგანცა იქნებინს რომელ ტანისა ასოსა მიჰკიდდეს რაჲ უძილობისაგან მეტად, სხეულსა და გონებასა კაცისასა.

ნიშანი მისი: იგი არს, რომელ თვალნი ღრუდ ჩასრულ იყვნენ და ქუქუთონი ემძიმებოდინ და პირი ვასივებულ იყოს და თსელი თეთრად იყოს, და მაჯასი წვრილად იყოს.

კურნებაჲ ცხროასა რაჲ უძილობისაგან იყოს. იგი არს, რომელ აყოროასა თესლისა ზეთი იითა გაზრდილ იყოს მრავალჯერ ცხვირთა ჩაიწოთს, და იაჲ და ნილოფარი და ხაშხაშის ქერქისა<sup>1)</sup> თესლისა წყალი და დანაყილი ქრთილი ყოველი წყლი-

<sup>1)</sup> სიტყვა „ქერქისა“ ჩამატებულია დედნის ზეით.







სტმიდენ, და დიაცისა მოხენისათვის ხარბნი იყვნენ. მით მოგრევის მათ ბუნებასა ზაფრად და აფნებს. მაგრა კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ვერძობა და ნელთა ჭამდეს, და მაშინ მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა და შირახიშითთა, და თარანგუბინსა და ქრთილისა წყალი, და ახლისა აყროასა წყალი, და კიტრისა წყალი, და შაჰნარისა ბროწეულისა წყალი სიქანგუბინითა ეხმაროს და რააცა ტანისა ბუნებასა გააგრძობდეს და გაანედლებდეს მას დია ერგების ვითა აავარტი და ყატუი და კიტრი შანგიარისი, რომელსა ჰქვიან ბადარანგი. და თუ მანკისა სათავნო სტომაქსა შიგან იყოს არწყიოს და თუ მანკისა დედაჲ წელთა, შიგან იყოს ღბილითა ჰუყნითა ჩამოიღოს. და თუ ძარღუთა შიგნით იყოს ეგეთთა რაჲსმე ჭამდეს რომელ ფსელსა გაადენდეს ვითა სიახჯრისა შატბუნი, და 10 პალილად და აჯსანთინი, და მსგზაენი მათი. და რაჲ ცხროჲ დაეღიოს და საქამადი შოიღნის აჰანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, ერგებინა.

მუჰამედ ზაქარიასჲ ძე [იტყვის]: კურნებაჲ ლაზიამასი იგი არს, რომელ ცისკარსა ტყეშლისა წყალი სტას, და რაჲ მზე გამოვიდეს ქრთილისა წყალი სტას, და შუადლე კიტრისა ანუ აყროასა წყალი, და ძილისა ეჰმა ბაზრაცუქნისა ლუაბი იხმაროს. და თუ მუცელი ღბილიად იყოს ბროწეულისა წყალი სტას, და ტანი გააგრძობს ეგეთითა რაჲსმე რომელ ბუნებასა გააგრძობდეს. და ამას ნანკა შიგან სნეულსა ცივისა წყლისა ებრ არა აშქნია. და თუ ნანკი რბილიად იყოს ნას დღესა რომელ არა აცხრობდეს ხელი გარხსნას და სისხლი გამოიღოს.

